ახალი ისტორია

(მეორე პერიოდი)

წიგნი I

(1870—1900)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1973

9 (4) 3
9 (4/9)
ა 984

წიგნი გამოდის ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია ევროპის, აშშ-ის და ლათინური ამერიკის ახალი ისტორია 1870 წლიდან XIX საუკუნის დამლევამდე, მეორეში — XX საუკუნის დამდეგიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე და პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

ნაშრომი დაწერილია ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად. იგი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებლებს, აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, ასევე ევროპის, აშშ-ის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

წიგნს დართული აქვს რუკების ალბომი, რომელიც მოთავსდება წიგნის მეორე ნაწილში.

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს ახალი ისტორიის მეორე პერიოდს (1870—1918), რომელიც, ვ. ი. ლენინის განმარტებით, არის „საკვანძო დამთავრებული ისტორიული პერიოდი: სახელდობრ. პარიზის კომუნიდან პირველ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკამდე“ [1]. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია კაპიტალისტური სისტემის კრიზისი, ძველი „თავისუფალი“ კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში, სოციალისტური რევოლუციის მომწიფება. პერიოდი იწყება პარიზის კომუნით, როცა პროლეტარიატმა პირველი მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა კაპიტალიზმს და მთავრდება ოქტომბრის რევოლუციით, როცა დედამიწის ერთ მეექვსედზე დაემხო კაპიტალიზმი. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ახალი ისტორიის მეორე პერიოდი „არის ბურჟუაზიის სრული ბატონობისა და დაქვეითების, პროგრესული ბურჟუაზიიდან რეაქციულ და ურეაქციულეს ფინანსურ კაპიტალზე გადასვლის ეპოქა. ეს არის ახალი კლასის, თანამედროვე დემოკრატიის მიერ ძალთა მომზადებისა და ნელი შემოკრების ეპოქა“ [2].

კაპიტალიზმის გადაზრდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ ეტაპში — იმპერიალიზმში ახალი ისტორიის მეორე პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი მომენტია. ვ. ი. ლენინის მიხედვით, ეს პროცესი იწყება XIX საუკუნის 70-იან წლებში. „XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედი იყო გადასვლა ახალ იმპერიალისტურ ეპოქაში“, — აღნიშნავს იგი [3]. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ კაპიტალიზმის იმპერიალისტური ეპოქის არსებობის შესახებ. „იმპერიალიზმი, როგორც ამერიკისა და ევროპის,

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში, თხზ., ტ. 31, გვ. 22.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სხვისი დროშით, თხზ., ტ. 21, გვ. 166.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, თხზ., ტ. 23, გვ. 144.

შემდეგ კი აგრეთვე აზიის, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, სავსებით ჩამოყალიბდა 1898—1914 წლებში", — წერდა ვ. ი. ლენინი [1]. მეორე ადგილას იგი აღნიშნავს: „ვერც მარქსი, ვერც ენგელსი ვერ მოესწრო მსოფლიო კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ეპოქას, რომელიც იწყება არა უადრეს 1898—1900 წლებისა" [2].

აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ახალი ისტორიის მეორე პერიოდისათვის დავადგინოთ ორი ეტაპი: 1871—1900 და 1900—1918 წლები.

ახალი ისტორიის მეორე პერიოდის პირველი ეტაპი (1870—1900) იწყება პირველი პროლეტარული რევოლუციით —პარიზის კომუნით, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველ ცდას წარმოადგენდა. მისი სახით ახალი ისტორიის პირველი და მეორე პერიოდების მიჯნაზე თავი იჩინა კაპიტალისტური სისტემის დამხობის აუცილებლობის მაუწყებელმა პირველმა რეალურმა სიმპტომმა. კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების პერიოდი დამთავრდა. დაიწყო მისი დეგრადაციისა და უკუსვლის, ძველი, „თავისუფალი" კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის ეპოქა. იმპერიალიზმზე გადასვლა, მისი განვითარება და სოციალისტური რევოლუციების პირობების მომზადება, საერთოდ, ახალი ისტორიის მეორე პერიოდის მთავარი შინაარსია.

როგორც აღვნიშნეთ, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდა იწყება XIX საუკუნის 70-იან წლებში და მთავრდება XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე. 70-იან წლებში თავისუფალი კონკურენცია და სამრეწველო კაპიტალი განვითარების ახალ საფეხურს აღწევს. აქა-იქ უკვე ჩანს მონოპოლიები, მაგრამ ჯერჯერობით, მონოპოლია არ წარმოადგენს მყარ გაერთიანებას, არ მოიცავს წარმოების ყველა დარგს. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს მონოპოლიები კაპიტალისტურ მეურნეობაში წამყვან მდგომარეობას აღწევს და საყოველთაო ხასიათს ღებულობს. ამასთან ერთად კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს. ახალგაზრდა კაპიტალისტური სახელმწიფოები — გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია სწრაფად ვითარდებიან და უპირისპირდებიან ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ინგლისსა და საფრანგეთს. XIX — XX საუკუნეების მიჯნაზე „დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, თხზ., ტ. 23, გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 139.

უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის" დაჭთავრებულია. დღის წესრიგში დგება მათი ხელახალი გადანაწილების საკითხი. ეს ვითარება განაპირობებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობათა სწრაფ ზრდას და მათ შეურიგებელ ხასიათს. უკვე ისახება მომავალი მსოფლიო ომის კონტურები.

მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში აღინიშნება ინდუსტრიის ძლიერი განვითარება. ფართოდ ინერგება რკინიგზების მშენებლობა. ვითარდება გემთმშენებლობა და ზღვაოსნობა; მრეწველობის სრულიად ახალი დარგები — ქიმიური და ელექტრომრეწველობა. ტექნიკური ბაზის გაფართოება ხელს უწყობს ახალ მეცნიერულ და ტექნიკურ აღმოჩენებს. კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარება აღინიშნება სოფლის მეურნეობაშიც. კაპიტალიზმის განვითარებას ადგილი აქვს აგრეთვე კოლონიურ, ნახევრადკოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. აქ ეს პროცესი ღებულობს ცალმხრივ ხასიათს და ემსახურება მეტროპოლიების ინტერესებს, აძლიერებს ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვას, აფერხებს ადგილობრივ საწარმოო ძალთა განვითარებას.

მონოპოლიური კაპიტალიზმის განვითარების შედეგად იზრდება მუშათა კლასის ექსპლუატაცია, მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მწვავე, შეურიგებელი წინააღმდეგობა უკვე წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში ვლინდება, მაგრამ ჯერჯერობით პროლეტარული რევოლუცია არ დგას დღის წესრიგში. ეს წინააღმდეგობები შედარებით მშვიდობიან ხასიათს ატარებს. იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარიატი ბრძოლის ახალი ამოცანების წინაშე დგება. დაიწყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ თანდათანობითი გადამწყვეტი შეტევა, ამ დიდი ბრძოლის წარმატებით წარმართვისათვის მუშათა კლასს სჭირდება ძალთა საყოველთაო კონცენტრაცია, პარტიული, პროფესიული და სხვა ორგანიზაციების შემდგომი სრულყოფა და განმტკიცება.

კაპიტალიზმის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ახალი ძალით იჩენს თავს მწვავე სამრეწველო ციკლური კრიზისები, რაც კაპიტალიზმის საერთო შინაგანი კრიზისის ზრდაზე მიუთითებს.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება ახალი ისტორიის მეორე პერიოდის მეორე ეტაპი (1900—1918). ამ ეტაპზე კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაცია საყოველთაო და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. მონოპოლიები მოვლენათა მსვლელობის ცენტრშია. საკუთარი თუ სხვა ქვეყნების მშრომელი მასების უკიდურესი ექსპლუატაციის, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით მონოპოლისტური კაპიტალის მოგება უმაღლეს წერტილს აღ-

წევს. ზედმეტი ღირებულების კანონი ახალი ძალით ამოქმედდა. კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარება მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევს, კრიზისები და ჭარბწარმოება ახალი ძალით იჩენს თავს და ხელს უწყობს კაპიტალისტური წარმოების დეზორგანიზაციას. კაპიტალიზმის დეგრადაცია, რომელიც ჯერ კიდევ ახალი ისტორიის მეორე პერიოდის პირველ ეტაპზე დაიწყო, ძლიერდება. იგი ვლინდება მრეწველობაში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობები იზრდება, მწვავდება ბრძოლა კოლონიებისათვის, გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისათვის, კაპიტალის გატანისა და დაბანდების სფეროებისათვის, ანუ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. დიდ სახელმწიფოებში ხელისუფლებას იხვეჭენ იმპერიალისტები და მილიტარისტები. იწყება გამალებული შეიარაღება, შენდება მძლავრი საზღვაო ფლოტი, ფართოდ მზადდება იმპერიალისტური ომები, ყალიბდება სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები, საყოველთაოდ ინერგება შოვინიზმი, რასიზმი, მილიტარიზმი, მარინიზმი.

ახალი ისტორიის აღნიშნულ ეტაპზე კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ახალ, უფრო მაღალ საფეხურს აღწევს. ფართოვდება ანტიიმპერიალისტური მოძრაობა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში. მუშათა კლასის ძირითად მსოფლმხედველობად ხდება მარქსიზმი, ძლიერდება მუშათა კლასობრივი შეგნება, მტკიცდება მისი პოლიტიკური ორგანიზაცია. პროლეტარიატი კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლებში რაზმავს ყველა ანტიიმპერიალისტურ ძალას. იგი ამ ბრძოლის ჰეგემონის მდგომარეობას აღწევს. ახალი ისტორიის მეორე პერიოდში ახალი ძალით იჩენს თავს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მთავარი წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ვ. ი. ლენინი წერდა: „საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად გაამწვავა მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობა... წინააღმდეგობათა ეს გამწვავება წარმოადგენს იმ გარდამავალი ისტორიული პერიოდის ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალას, რომელიც დაიწყო მსოფლიო ფინანსური კაპიტალის საბოლოო გამარჯვების დროიდან“ [1]. ამრიგად, ახალი ისტორიის მეორე პერიოდის მეორე ეტაპის (1900-18) ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 379.

ში, რომ იგი კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ „გარდამავალი ისტორიული პერიოდია“. იმპერიალიზმის შიგნით წინააღმდეგობათა მკვეთრი ზრდა ქმნის ამ „გარდამავალი ისტორიული პერიოდის ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალას“. ამ წინააღმდეგობებს მივყავართ აფეთქებამდე, ახალ სოციალურ რევოლუციამდე.

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა კიდევ უფრო გაამწვავა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი და გამოიწვია რევოლუციური ძალების შემდგომი გაძლიერება. ომმა დაარღვია იმპერიალიზმის ერთიანი ჯაჭვის გაწყვეტა. ეს მოხდა რუსეთში, სადაც იმპერიალისტური წინააღმდეგობები განსაკუთრებით მწვავედ ვითარდებოდა, სადაც შეიქმნა ძლიერი მუშათა პარტია, რომელმაც შეძლო მუშათა და გლეხთა კავშირის შეკვრა და ყველა ანტიიმპერიალისტური ძალის საბრძოლო ორგანიზება.

1917 წელს რუსეთში, პირველად მსოფლიოში, გაიმარჯვა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. პროლეტარიატმა დიდ წარმატებას მიაღწია გერმანიასა და უნგრეთში. ამიერიდან დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი — „უახლესი ისტორია“, ანუ „მსოფლიოს საყოველთაო რევოლუციური განახლების ეპოქა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა“ [1]. ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენდა ნიმუშს, რომელიც, ვ. ი. ლენინის თქმით, „ყველა ქვეყანას უჩვენებს ზოგიერთ, და ფრიად მნიშვნელოვან რამეს მათი გარდუვალი და არც თუ შორეული მომავლიდან“ [2].

„ახალი ისტორია“, როგორც მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი პერიოდი მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიას მოიცავს. წინამდებარე სახელმძღვანელოში კი მხოლოდ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხალხთა ისტორიაა წარმოდგენილი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში (კერძოდ, უნივერსიტეტში) მსოფლიოს სხვა ხალხების ისტორია ცალკე ისწავლება. მაგალითად, ცალკე ისწავლება აზიისა და აფრიკის, სამხრეთ და დასავლეთ სლავების, სსრ კავშირის, საქართველოსა თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ისტორიები ძველ, შუა და ახალ საუკუნეებში. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ საუნივერსიტეტო კურსს შეიძლება ვუწოდოთ „დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის მეორე პერიოდი“.

---

[1] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1967, გვ. 4.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, თხზ., ტ. 31, გვ. 6.

წინამდებარე ნაშრომი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე შექმნის პირველი ცდაა. ქართული ლიტერატურა ახალი ისტორიის შესახებ მეტად ღარიბია, ამდენად, სახელმძღვანელოს ავტორებმა საჭიროდ ჩათვალეს ზოგიერთი მასალის შედარებით ფართოდ წარმოდგენა. სახელმძღვანელოში სპეციალური თავი ეძღვნება ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემის გაშუქებას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ.

ახალი ისტორიის მეორე პერიოდის სახელმძღვანელო წარმოდგენილია ორ წიგნად. პირველ წიგნში განხილულია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორია 1870—1900 წლებში, მეორეში — 1900-18 წლებში.

სახელმძღვანელოს შედგენაში მონაწილეობა მიიღეს თსუ ახალი ისტორიის კათედრის წევრებმა: კონსტანტინე ანთაძემ, გივი ბოლოთაშვილმა, ვარლამ დონაძემ, ვლადიმერ ივანოვმა, ნოდარ კიკვაძემ, გივი კილურაძემ და რევაზ ლასკარმა.

სახელმძღვანელოს შექმნის ინიციატორი და მისი რედაქტორია პროფესორი გივი ჟორდანია.

წინამდებარე ნაშრომი უნაკლო არ იქნება. ავტორთა კოლექტივი ყურადღებით მიიღებს ყველა შენიშვნასა და წინადადებას. რომელსაც მკითხველი მოგვაწვდის.

საფრანგეთ-პრუსიის ომი.

ოთხი სექტემბრის რევოლუცია საფრანგეთში

საფრანგეთ-პრუსიის ომი ახალი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. იგი იყო „თავისუფალი კონკურენციის" კაპიტალიზმის ბოლო ფაზის იმპერიალისტური ომი, რომელიც აღმოცენდა ევროპის ორი დიდი სახელმწიფოს—საფრანგეთისა და პრუსიის ინტერესთა დაჯახების ნიადაგზე. თავისი შედეგებით მან ღრმა კვალი დაამჩნია ევროპის სახელმწიფოთა მაშინდელ პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემას და პოტენციურად შეამზადა ნიადაგი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წარმოშობისათვის. ამიტომაა, რომ მარქსისტული ისტორიული მეცნიერება მას მიიჩნევს ახალი ისტორიის მეორე პერიოდის ერთ-ერთ ამოსავალ პუნქტად.

საერთაშორისო ვითარება 1870 წელს.

საფრანგეთ-პრუსიის ომის მიზეზები და მეომარ მხარეთა მიზნები

60-იანი წლების დასასრულისათვის მეორე იმპერიის კრიზისმა საფრანგეთში უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო. მისი შენობის ყველა საყრდენი შეირყა. ნაპოლეონ III-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა. იმპერატორმა ვერ შეძლო რეაქციული საშინაო პოლიტიკით, პოლიციური ტერორითა და დემაგოგიით მასობრივი უკმაყოფილების ჩახშობა და თავისი სოციალური ბაზისის განმტკიცება. მწვავე კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენებულ პონაპარტის ხელისუფლებას მხოლოდ მანამდე შეეძლო არსებობა, სანამ დაცული იყო მოწინააღმდეგე სოციალურ ძალთა წონასწორობა. როგორც კი ეს წონასწორობა დაირღვა, ხელისუფლებამაც რყევა დაიწყო. გამართლდა მარქსის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ „როდესაც იმპერატორის წამოსასხამი, დაბოლოს, ლეო-

ბონაპარტის მხრებს წამოესხმის, ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკება ვანდომის სვეტის სიმაღლიდან ძირს დაემხობა“ [1].

ნაპოლეონ III-ემ თავისი უხეირო მმართველობით აიმხედრა ხელისუფლების საყრდენი სოციალური ძალები — ბურჟუაზია და გლეხობა.

ბურჟუაზია განსაკუთრებით გაახელა იმპერატორის ავანტიურისტულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელმაც საფრანგეთს დიდებისა და ტერიტორიული გაფართოების ნაცვლად მხოლოდ მარცხი მოუტანა და მკვეთრად შეარყია მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ჯერ იყო და, ბისმარკის დაპირებებით გაბრიყვებულმა ნაპოლეონმა საფრანგეთის ჩაურევლობით ავსტრია-პრუსიის ომში საშუალება მისცა პრუსიას დაემარცხებინა ავსტრია. ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთმა, ბისმარკის ხრიკების წყალობით, არა თუ ვერ მიიღო დაპირებული კომპენსაცია და ვერ შეიერთა ლუქსემბურგი, არამედ მკვეთრად გაიუარესა თავისი პოზიცია ევროპაში. მის აღმოსავლეთ საზღვართან წარმოიქმნა ძლიერი მეტოქე — ჩრდილო გერმანიის კავშირი პრუსიის მეთაურობით (1867).

ასეთივე კრახით დამთავრდა ნაპოლეონ III-ის ავანტიურა მექსიკაში (1867), რამაც დიდი სახსრები შთანთქა და საფრანგეთს აშშ-თან ურთიერთობის გამწვავების მეტი არაფერი მოუტანა. დაბოლოს, საფრანგეთის პროგრესული საზოგადოებრიობა აღაშფოთა იმპერიის მიერ იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ გამოსვლამ და იტალიაში რომის პაპის დასახმარებლად ჯარების გაგზავნამ.

საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება გააღრმავა დიდმა ხარჯებმა, რომლებიც მოითხოვა დაუსრულებელმა კოლონიურმა ექსპედიციებმა ინდოჩინეთში და ინგლისთან დადებულმა ახალმა არახელსაყრელმა სავაჭრო ხელშეკრულებამ.

მეორე იმპერიის წლებში სოფლად მიმდინარე სოციალ-ეკონომიურმა პროცესებმა — მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდამ, გლეხური პარცელების შემდგომმა დაქუცმაცებამ და მათი ნაწილის მემამულეთა და მდიდარ, ბობოლა გლეხთა ხელში გადასვლამ, საიჯარო ქირის და სახელმწიფო გადასახადებისა და ბანკებისადმი საიპოთეკო დავალიანებათა ზრდამ და სხვ. მკვეთრად დასცა გლეხობის მატერიალური მდგომარეობა; გლეხს დაუკარგა თავისი პარცელისადმი რწმენა და აშკარა უკმაყოფილების გზაზე დააყენა იგი.

[1] კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბილისი, 1932, გვ. 146.

ნაპოლეონ III-ემ განიზრახა ისევ ახალი დათმობებისათვის მიემართა, რათა შეენელებინა მასობრივი უკმაყოფილება. ამ მიზნით 1866 წელს გამოქვეყნდა კანონი, რაც ითვალისწინებდა პრესაზე წინასწარი ცენზურის გაუქმებას. 1868 წელს მას მოჰყვა მეორე კანონი — პოლიციის ზედამხედველობით საჯარო შეკრებების შესახებ.

მეორე იმპერიის მოწინააღმდეგეებმა — რესპუბლიკელებმა და სოციალისტებმა — მაშინვე ხელი ჩასჭიდეს ამ კანონებს და გააქტიურეს ბრძოლა მმართველი ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ-ერთმა გამოჩენილმა პროგრესულმა პუბლიცისტმა, მემარცხენე რესპუბლიკელმა ჟურნალისტმა ანრი როშფორმა[1] დაიწყო გაზეთ „ლამპარის" (La Lanterne) გამოცემა, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებდა მეორე იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სამეფო კარის კამარილიის ფუქსავატობასა და სამოხელეო აპარატის გახრწნას. ამ მკაცრი თავდასხმებისათვის ხელისუფლებამ მალე აკრძალა ეს გაზეთი, დაჯარიმა ა. როშფორი და ცამეტი თვით პატიმრობა მიუსაჯა მას. მსჯავრდებული როშფორი ბელგიაში გაიქცა, სადაც იგი განაგრძობდა თავის ჟურნალისტურ საქმიანობასა და მეორე იმპერიის ხელისუფალთა მხილებას.

არანაკლები შეუპოვრობით ებრძოდა ნაპოლეონისა და მისი ხელისუფლების პოლიტიკას საფრანგეთის მეორე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე — ახალგაზრდა ვექილი ლეონ გამბეტა. იგი ხშირად გამოდიოდა საჯარო პროცესებზე. გაბედულად იცავდა პასუხისგებაში მიცემულ რესპუბლიკელებს და მუშებსაც კი ექომაგებოდა. გამბეტა მაშინ „რადიკალურ დემოკრატს. ძმობისა და თავისუფლების თავდავიწყებით ქომაგს" უწოდებდა თავის თავს და კლერიკალიზმის მკაცრად დაგმობასთან ერთად ფართო დემოკრატიული რეფორმების გატარებას უპერდა მხარს.

ნაპოლეონმა ვერც მუშათა მოძრაობის შემდგომი ზრდისა და სოციალიზმის გავლენის გაფართოების შეჩერება შეძლო. საამისოდ უძლური აღმოჩნდა როგორც „ხელკეტის", ისე დემაგოგიური პოლიტიკა. 1868-69 წლები აღინიშნა პარიზისა და საფრანგეთის სხვა ქალაქების მუშათა მძლავრი გაფიცვებით. გაიფიცნენ მაღაროელები, მშენებლები, მელითონეები, მანქანათმშენებლები. ამას მოჰყვა სოციალისტური პროპაგანდის გაძლიერება და მოწინავე მუშებს შორის სოციალისტური განწყობილების ზრდა. პირველი ინტერნაციო-

---

[1] შემდეგში ნ. ნიკოლაძის პირადი მეგობარი ნ. ნიკოლაძის თხოვნით „Обзор"-ში მან მოათავსა რამდენიმე წერილი.

ნალის პარიზის სექციებმა შეძლეს მშრომელთა ახალი ფენების მოქცევა თავიანთ გავლენაში.

1870 წლის დასაწყისისათვის საფრანგეთში შექმნილ ვითარებას ვ. ი. ლენინი რევოლუციურ სიტუაციას უწოდებს. ვერავითარმა რეპრესიებმა, ახალმა დათმობებმა და მმართველობაში მომხდარმა ცვლილებებმა ვერ უშველა საქმეს. იმპერიის რღვევისა და ფართო ფენების უკმაყოფილების ზრდა პროგრესული ნაბიჯებით წავიდა წინ.

ასეთ რთულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში ნაპოლეონ III-ემ და სასახლის ელიტამ შერყეული ტახტის განმტკიცების ერთადერთ ეფექტურ საშუალებად პრუსიასთან ომი მიიჩნიეს. „მე მჭირდება ომი, ომის გარეშე ჩემი შვილი ვერ იმეფებს", — ხშირად ეუბნებოდა დედოფალი ეჟენი თავის გვირგვინოსან მეუღლეს. მეორე იმპერიის ხელისუფლება ფიქრობდა გაენადგურებინა საშიში პრუსია, დაეშალა ჩრდილო გერმანიის კავშირი, დაემორჩილებინა საფრანგეთის გავლენისათვის სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოები, ჩაეშალა გერმანიის გაერთიანება, შემოეერთებინა ლუქსემბურგი, ჩარეულიყო გერმანული სახელმწიფოების შინაგან საქმეებში, გაეძლიერებინა საფრანგეთის პოზიციები ევროპის კონტინენტზე და ყოველივე ამით აღედგინა საფრანგეთის დაცემული პრესტიჟი. ამას, თავის მხრივ, უნდა მოჰყოლოდა მოსახლეობის ყურადღების შენელება საშინაო საჭირბოროტო პრობლემებისადმი, მუშათა მასის რევოლუციური გზიდან ჩამოცილება, ხალხის მასების შოვინისტური შხამით გაბრუება და მმართველი დინასტიის განმტკიცება.

ამ მიზნებს, როგორც თავის დროზე სამართლიანად მიუთითებდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე, არაფერი ჰქონდა საერთო საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის საარსებო ინტერესებთან და დინასტიური მოტივებით იყო განპირობებული.

მაგრამ მარტო ნაპოლეონ III და მისი საიმპერატორო კარი როდი იყვნენ დაინტერესებულნი ომის გაჩაღებით. იგივე სურდათ პრუსიის მმართველ წრეებსაც, განსაკუთრებით ჰოჰენცოლერნთა დინასტიის „ერთგულ მოურავს" ბისმარკს. მასაც სურდა წარმატებითი ომი საფრანგეთთან, რათა ამით დაეთრგუნა დემოკრატიული ოპოზიცია პრუსიაში. ბოლომდე მიეყვანა გერმანიის ზემოდან („რკინითა და სისხლით") დაწყებული გაერთიანება, დაემყარებინა პრუსიის ჰეგემონობა გაერთიანებულ გერმანიაზე და, როგორც მარქსი ამბობს, „...გერმანია ჰოჰენცოლერნთა დინასტიისათვის დაემტკიცებინა" [1].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში, თბ., 1931. გვ. 23 -24.

პრუსიული რეაქციის თავკაცებს და მათ მხარდამჭერ იუნკრებსა და ბურჟუაზიას ისეთივე დინასტიურ-აგრესიული და ანტიხალხური ინტერესები ამოქმედებდათ, როგორც ნაპოლეონ III-ეს და მის დამჭაშებს; აღნიშნულთან ერთად, ისინი ოცნებობდნენ საფრანგეთის ელზას-ლორენზე, კონტრიბუციაზე, ნადავლსა და სახელზე.

მაგრამ უკვე შესაძლებლობაში მოცემულ ომს საფრანგეთსა და პრუსიას შორის მთლიანად გერმანიისათვის უნდა მიეღო პროგრესული ხასიათი. საქმე ისაა, რომ გერმანიის გაერთიანება ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. დაქუცმაცებული გერმანიის ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება, თუგინდ ბისმარკისეული რეაქციული გზით, ამ ქვეყნის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობა იყო. საფრანგეთის მეორე იმპერია კი ყოველმხრივ ხელს უშლიდა ამ საქმეს და მზად იყო იარაღიც კი მოემარჯვა, რათა არ დაეშვა სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოების გაერთიანება ჩრდილო გერმანიის კავშირთან. ამ თვალსაზრისით გერმანია-საფრანგეთის ომს პირველ ეტაპზე გერმანელი ხალხისათვის უნდა მიეღო ეროვნული და პროგრესული ომის ხასიათი.

პრუსიის რეაქციულ-მილიტარისტული წრეები გაფაციცებით ემზადებოდნენ საფრანგეთთან ომისათვის. ომისწინა 1867, 1868 და 1869 წლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა პრუსიის არმიის გაწვრთნა და მისი აღჭურვა ახალი საომარი იარაღით, ჯაშუშური საქმიანობა საფრანგეთის კუთვნილ ელზასისა და ლორენის მოსაზღვრე პროვინციებში (რომელიც პრუსიის სარდლობის გეგმით საომარ მოქმედებათა ძირითად ასპარეზად უნდა ქცეულიყო), არმიების თავმოყრა საფრანგეთის საზღვრებთან და მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება. საომარმა ციებ-ცხელებამ და ომის „ეროვნულ" ომად გასაღებამ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოთა (ბავარია, ბადენი, ჰესენი, ვიურტემბერგი) მმართველები პრუსიის მოკავშირეებად აქცია.

იმ სასტიკი დიპლომატიური მარცხის შემდეგ, რაც ნაპოლეონ III-ემ ბისმარკის ხრიკების წყალობით განიცადა ლუქსემბურგის საკითხში, მკვეთრად გამწვავდა საფრანგეთ-პრუსიის ურთიერთობა. ომის შავმა ღრუბელმა დაფარა ევროპის ცა. ბისმარკის პროვოკაციების პასუხად ნაპოლეონ III-ემ პრუსიასთან ომზე აიღო გეზი და საათანადო უწყებებს შესაბამისი მითითებები მისცა.

საფრანგეთ-პრუსიის ღრმა ანტაგონიზმმა გარდუვალი გახადა მათ შორის ომი. პრუსიის მმართველმა ელიტამ 1870 წლის დამდეგს დაამთავრა ომისათვის მზადება და მხოლოდ სათანადო საბაბს ეძებდა

მის გასაჩაღებლად. ევროპაში მაშინ არსებული პოლიტიკური სიტუაცია ბისმარკს ხელსაყრელად მიაჩნდა ასეთი ომის დასაწყებად. საფრანგეთი თითქმის იზოლირებული იყო; მას არ შეეძლო დაყრდნობოდა ევროპის არც ერთ დიდ სახელმწიფოს, ან ჰქონოდა ვისიმე დახმარების იმედი. რუსეთი მტრულად იყო განწყობილი საფრანგეთისადმი, რადგან იგი ინგლისთან ერთად მონაწილეობდა ყირიმის ომში და პარიზის ზავის ერთ-ერთი ინიციატორი იყო; რაც შეეხება ინგლისს, მას არ სურდა საფრანგეთის შემდგომი გაძლიერება და ტერიტორიული გაფართოება კონტინენტზე.

ომის საბაბი გახდა ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. 1870 წლის 2 ივლისს პრუსიაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ესპანეთის მთავრობამ ესპანეთის ვაკანტური ტახტი [1] შესთავაზა პრუსიის მეფის, ვილჰელმ I-ის ნათესავს, ჰოჰენცოლერნთა დინასტიის გვერდითი განშტოების წარმომადგენელს, პრინც ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენს (ცხადია, ბისმარკის ფარული ჩაგონებითა და მისი ინტრიგების წყალობით). მეორე იმპერიის მთავრობა მკაცრი პროტესტით შეეგება ამ ცნობის გამოქვეყნებას. ნაპოლეონმა საჯაროდ განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებდა ჰოჰენცოლერნთა წარმომადგენლის გამეფებას ესპანეთის ტახტზე, რადგანაც იგი პირენეის საზღვრებზეც საფრთხეს შეუქმნიდა საფრანგეთის უშიშროებას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰერცოგმა გრამონმა პროვოკაციულად განაცხადა: მეორე იმპერია უყოყმანოდ დაიწყებს ომს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც შეეცდება აღადგინოს კარლ V-ის იმპერიაო.

ნაპოლეონ III-ემ მითითება მისცა საფრანგეთის ელჩს ბერლინში ბენედეტს ლეოპოლდის კანდიდატურის თაობაზე უშუალოდ ვილჰელმ I-ს (ბისმარკის გვერდის ავლით) მოლაპარაკებოდა. საფრანგეთის ელჩს პრუსიის მეფისათვის უნდა მოეთხოვა ლეოპოლდის კანდიდატურის მოხსნა. მოლაპარაკებამ დადებითი ნაყოფი გამოიღო; ვილჰელმ I დათანხმდა ზემოქმედება მოეხდინა პრინც ლეოპოლდზე, რათა მას შეთავაზებულ ტახტზე უარი ეთქვა. 12 ივლისს ლეოპოლდმა, მართლაც, სათანადო განცხადება გააკეთა, რაც ვილჰელმ I-მა მოიწონა.

კონფლიქტი ამით თითქოს უნდა ამოწურულიყო. მაგრამ სწორედ ეს არ აწყობდათ საფრანგეთისა და პრუსიის იმ მმართველ

---

[1] 1868 წლის ზედაპირულმა რევოლუციამ ესპანეთში დაამხო დედოფალი იზაბელა. ახალმა მთავრობამ უარყო რესპუბლიკის გამოცხადების წინადადება და დაიწყო უცხოელი პრინცის ძებნა ტახტის დასაკავებლად.

წრეებს, რომლებიც დინასტიური თუ სხვა მოსაზრებებით დაინტერესებულნი იყვნენ ომის გაჩაღებით. ამიტომ მათ ახალი ენერგიით დაიწყეს ინტრიგები, რათა ხელიდან არ გაეშვათ ხელსაყრელი სიტუაცია. ბისმარკის მითითებით ბერლინის პრესამ ღრიანცელი ატეხა პრუსიისა და მთელი გერმანიის თითქოსდა „დამცირების" შესახებ, პარიზში კი კონფლიქტის გამწვავების მიზნით წამოიწყეს ახალი დიპლომატიური ინტრიგა. ნაპოლეონ III-ის მითითებით ბენედეტი კვლავ ეწვია ემსში ვილჰელმ I-ს და მოითხოვა მისგან წერილობითი ვალდებულება — კატეგორიულად აეკრძალა ლეოპოლდისათვის ესპანეთის ტახტის დაკავება იმ შემთხვევაში, თუ ასეთს კვლავ შესთავაზებდნენ. პრუსიის მეფემ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა საფრანგეთის მთავრობის ეს უპრეცედენტო მოთხოვნა. როდესაც ბენედეტი პარიზიდან მიღებული ახალი მითითებით იმავე დღეს ისევ გამოცხადდა პრუსიის მეფესთან აუდიენციისათვის, უკანასკნელმა არ მიიღო იგი. ხოლო მეორე დღეს, როცა ბენედეტი მაინც შეხვდა ვილჰელმ I-ს, ბერლინში მისი გამგზავრების წინ, ამ უკანასკნელმა საფრანგეთის ელჩს აცნობა, რომ ვერაფერს დაუმატებდა წინათ თქმულს და რომ მოლაპარაკება ბერლინში გაგრძელდებოდა. ვილჰელმის მითითებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა აბეკერმა ბისმარკს გაუგზავნა პარიზში გასაგზავნი დეპეშა, რომელშიც გადმოცემული იყო 13 ივლისს მეფესა და ბენედეტს შორის წარმოებული მოლაპარაკების შინაარსი.

ბისმარკმა, რომელსაც არ მოეწონა ემსიდან მიღებული დეპეშის შინაარსი, პროვოკაციულად მოახდინა მისი ფალსიფიცირება. მან, როგორც ცინიკურად იგონებდა შემდეგში, დეპეშიდან ამოშალა ზოგიერთი სიტყვა და ტექსტს მისცა საფრანგეთისათვის გამომწვევი ხასიათი [1]. ამგვარად შეცვლილი დეპეშის ტექსტი მან წააკითხა მასთან სადილზე მყოფ სამხედრო მინისტრს ფონ როონს და შტაბის უფროსს გენერალ მოლტკეს; მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა იგი პრესაში გამოსაქვეყნებლად. ბისმარკი წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ ეს დეპეშა საფრანგეთის მმართველებს წონასწორობიდან გამოიყვანდა: „ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, — ამბობდა იგი, — რომ ჩვენ ვიყოთ თავდასხმის მსხვერპლი. გალელთა ქედმაღლობა და ფხუკიანობა დაგვეხმარება ამაში". და მართლაც, ბისმარკი არ შემცდარა თავის ვარაუდში.

---

[1] „ასე სულ სხვაგვარად ჟღერს, წინათ იგი უკან დახევის სიგნალად ისმოდა, ახლა იგი გამოწვევის საპასუხო ფანფარის მსგავსად მოისმის", — თქვა ბისმარკთან სტუმრად მყოფმა მოლტკემ, როცა ბისმარკმა აჩვენა მას დეპეშის ახალი ტექსტი.

პარიზში უდიდესი აღშფოთებით შეეგებნენ „ემსის დეპეშის“ გამოქვეყნებას. „საფრანგეთის პრესტიჟი უაღრესად შეურაცხყოფილია, ჩვენი ერთადერთი პასუხი ამ შეურაცხყოფაზე შეიძლება მხოლოდ ომი იყოს“, — ასეთი იყო ნაპოლეონის, სასახლის კამარილის, საკანონმდებლო კორპუსისა და ოფიციალური პრესის გამოხმაურება ბისმარკის პროვოკაციულ ნაბიჯზე. მეორე იმპერიის მაშინდელი „ჰირისუფლები“ ზერელე დამოკიდებულებას იჩენდნენ პრუსიასთან ომის საკითხში, ისინი გულდამშვიდებით მიდიოდნენ ომის რისკზე, უსაბუთოდ ფიქრობდნენ, რომ მოწინააღმდეგე სუსტი იყო, საფრანგეთი კი — ძლიერი. სწორედ მაშინ იყო, რომ საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ლეფევრმა, საკანონმდებლო კორპუსის დეპუტატთა შეკითხვაზე—მზად იყო თუ არა ქვეყანა ომისათვის—განაცხადა: „ჩვენ მზადა ვართ, ყოველმხრივ მზადა ვართ! ჩვენს არმიაში ყველაფერი წესრიგშია; უკანასკნელი ჯარისკაცის ფარაჯაზე უკანასკნელი ღილის ჩათვლით...“

19 ივლისს საფრანგეთის საკანონმდებლო კორპუსმა დაამტკიცა სამხედრო კრედიტები და მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება პრუსიისათვის ომის გამოცხადების შესახებ.

გერმანიისა და საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციების დამოკიდებულება ომისადმი

ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით გაჟღენთილი მოწინავე ფრანგი და გერმანელი მუშები, რომლებიც პირველი ინტერნაციონალის გავლენას განიცდიდნენ, არ დაავადებულან საფრანგეთისა და გერმანია-პრუსიის რეაქციულ-მილიტარისტული წრეებისა და იუნკერ-ბურჟუების მიერ გაღვივებული შოვინიზმის სენით. ისინი, პირიქით, შეეცადნენ ხელი შეეშალათ საფრანგეთ-პრუსიის კონფლიქტის გაღვივებისა და ძმათამკვლელ ომში მისი გადაზრდისათვის.

1870 წლის 12 ივლისს პირველი ინტერნაციონალის პარიზის სექციაში გაერთიანებული მუშები მშვიდობის სახელით სთხოვდნენ გერმანელ მუშებს არ აჰყოლოდნენ საომარ ყიჟინას და ხელი შეეშალათ ძმათა სისხლისღვრისათვის, რომელსაც მოჰყვებოდა მხოლოდ დესპოტიზმის სრული ტრიუმფი რაინის ორივე ნაპირას; აცხადებდნენ რა მკაცრ პროტესტს ომის გამჩაღებელთა ბოროტი გეგმების წინააღმდეგ, ისინი არწმუნებდნენ გერმანელ ძმებს, რომ სურთ მხოლოდ მშვიდობა, შრომა და თავისუფლება.

პარიზის სექციების მანიფესტს მოჰყვა მრავალი სხვა ფრანგული

ადრესი, რომლებშიც აგრეთვე გამოხატული იყო ფრანგი მუშების ღრმა ინტერნაციონალიზმი, მშვიდობისმოყვარეობა და შეურიგებელი ანტიმილიტარისტული სულისკვეთება.

ფრანგი მუშების ხმამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე პოვა გამოძახილი გერმანელ მუშათა შორის; 16 იანვარს ბრაუნშვაიგის მუშათა მასობრივმა კრებამ სავსებით მოიწონა პარიზის მუშათა მანიფესტი, კატეგორიულად უკუაგდო აზრი საფრანგეთის წინააღმდეგ ეროვნული შეურაცხყოფისა და სიძულვილის შესახებ და მიღებულ რეზოლუციაში ღრმა მწუხარება და გულისტკივილი გამოხატა იმის გამო, რომ ძალაუნებურად უხდებოდათ მონაწილეობის მიღება „თავდაცვით ომში, როგორც აუცილებელ ბოროტებაში". საქსონელ მუშათა რწმუნებულების ხემნიცის კრების რეზოლუცია წამოწყებულ ომს დინასტიურ ომად აცხადებდა და სიხარულით ართმევდა ხელს ფრანგ მუშებს.

I ინტერნაციონალის ბერლინის სექციის წევრებმაც პასუხი გასცეს პარიზელ მუშათა მოწოდებას. თავიანთ პასუხში ისინი სრულ სოლიდარობას უცხადებდნენ ფრანგ ამხანაგებს, არწმუნებდნენ მათ ინტერნაციონალური საქმისადმი ერთგულებაში, ფრანგი ხალხისადმი სიძულვილის უქონლობაში და მკაცრად გმობდნენ ამ ომს.

ეხებოდა რა ფრანგ და გერმანელ მუშათა ამ მეგობრულ მიმოწერას ომის თაობაზე, მარქსი წერდა: „ეს ერთ-ერთი ოფიციალური საფრანგეთი და ოფიციალური გერმანია ძმათა სისხლისმღვრელ ბრძოლას იწყებენ, მუშები ერთმანეთს მშვიდობისა და მეგობრობის მოციქულობას უგზავნიან. უკვე მარტო ეს დიდი ფაქტი, რომელსაც ბადალი არ აქვს ისტორიაში, უკვე მომავლის იმედს აღვიძებს" [1].

როგორც კი დაიწყო ომი, პირველი ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა მარქსის მიერ დაწერილი მოწოდება ფრანგი და გერმანელი მუშებისადმი. მოწოდებაში დაწყებული ომი გერმანიისათვის თავდაცვით ომად იყო მიჩნეული და გამოთქმული იყო რწმენა, რომ გერმანელი მუშები არ დაუშვებდნენ მის გადაზრდას დაპყრობით ომში საფრანგეთის წინააღმდეგ. ინტერნაციონალის წევრებმა ავგუსტ ბებელმა და ვილჰელმ ლიბკნეხტმა ჩრდილო გერმანიის რაიხსტაგში თავი შეიკავეს ომის კრედიტის საკითხებზე კენჭის ყრისას. მათი გაბედული ანტიმილიტარისტული პოზიცია ხელისუფლებამ სახელმწიფო ღალატად ჩათვალა და მოგვიანებით ისინი ციხეში ჩასვა.

---

[1] კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში; კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950, გვ. 561.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ვერც ინტერნაციონალმა, ვერც ფრანგმა და გერმანელმა მუშებმა ვერ შეძლეს შეეჩერებინათ უკვე შემზადებული ომი. საამისო ძალა მათ არ აღმოაჩნდათ.

საომარ მოქმედებათა მსვლელობა

მეორე იმპერიის ხელმძღვანელობა ქარაფშუტული უდარდელობით ჩაება პრუსიასთან ომში. დიდ მოხელეთა აკვეხარა განცხადებების მიუხედავად, საფრანგეთი სრულიად მოუმზადებელი იყო ომისათვის. ბონაპარტისტული რეჟიმის სრულმა გახრწნილობამ ომის დასაწყისშივე მკაფიოდ ისინა თავი. აპარატის მოშლილობამ, არმიის სუსტმა ორგანიზაციამ, საინტენდანტო სამსახურში გაბატონებულმა მტაცებლობამ, უმაღლესი სარდლობის უნიჭობამ და დაუდევრობამ შეუძლებელი გახადა მოქმედი არმიის დროული მობილიზაცია და მისი გადასროლა საზღვრისპირა წინა ხაზზე. ნავარაუდევი ნახევარმილიონიანი არმიის ნაცვლად უმაღლესი სარდლობის განკარგულებაში აღმოჩნდა სულ 230—240 ათასი კაცი. ტრანსპორტის მოუქნელობისა და მრავალ დაუდევრობათა შედეგად კუს ნაბიჯით მიმდინარეობდა არმიის ახალი რეზერვებით შევსება და მათი გადაჯგუფება. არმიას აკლდა იარაღი, აღჭურვილობა, საზიდრები, საველე მოწყობილობა, სურსათი, ამან ხელი შეუშალა საფრანგეთის არმიის კონცენტრაციას საომარ მოქმედებათა ძირითად უბნებზე, თითქმის ორი კვირით შეაფერხა უმაღლესი სარდლობის მიერ გათვალისწინებული შეტევა და ჩაშალა გერმანიის ტერიტორიაზე შეჭრის გეგმა. საფრანგეთის არმიის საერთო სარდლობა იკისრა თვით იმპერატორმა ნაპოლეონ III-ემ, რომელსაც საამისოდ არც ნიჭი ჰქონდა და არც გამოცდილება.

პირიქით, პრუსიის არმიამ კი, რომლის სარდლობას დაექვემდებარა მთელი ჩრდილო გერმანიის კავშირის კონტინგენტები და სამხრეთგერმანულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, გათვალისწინებულ დროში დაასრულა ყველა სახის მზადება და 31 ივლისისათვის შეემზადა საბრძოლველად. პრუსია-გერმანიის არმიას, დაყოფილს 3 საარმიო შენაერთად (380—390 ათასი კაცი), ფორმალურად სარდლობდა პრუსიის მეფე ვილჰელმ I, ფაქტიურად კი მის ოპერაციებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა პრუსიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ჰ. მოლტკე (უფროსი).

აგვისტოს პირველ რიცხვებში პრუსია-გერმანიის ჯარები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და გადალახეს საფრანგეთის საზღვრები. თოფის პირველი გასროლისთანავე გამოაშკარავდა საფრანგეთის სრუ-

ლი მოუმზადებლობა და უმწეობა. სამ სასაზღვრო სისხლისმღვრელ ბრძოლაში 4 აგვისტოს ვისენბურთან (ელზასი) და 6 აგვისტოს ვოერტთან და ფორბახთან (ლორენი) საფრანგეთის არმია სასტიკად დამარცხდა.

ცნობას საფრანგეთის არმიის დამარცხებათა შესახებ ღრმა გულისტკივილითა და აღშფოთებით შეეგება პარიზის მოსახლეობა. საპასუხოდ პარიზსა და მის პროვინციებში გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომლებიც სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობის გამო სტიქიურად მიმდინარეობდა და დიდ რევოლუციურ გამოსვლებში არ გადაზრდილა. მასების გამოსვლით დაშინებული ბურჟუაზიული რესპუბლიკელები ნაცვლად იმისა, რომ ესარგებლათ მშრომელთა რისხვით და მხარში ამოდგომოდნენ მათ რესპუბლიკის მოსაპოვებლად, ბონაპარტისტებს მიეკედლნენ. უკანასკნელები კი, მოახდინეს რა მთავრობის რეორგანიზაცია, შეეცადნენ მკაცრი რეპრესიებით ჩაეხშოთ მასების სამართლიანი აღშფოთება. ბლანკისტებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და დაიწყეს აჯანყება. 14 აგვისტოს რამდენიმე ათეული კაცი ბრიუსელიდან ფარულად დაბრუნებულ ოგიუსტ ბლანკის ხელმძღვანელობით, თავს დაესხა პარიზსა და ვილეტის ბულვართან არსებულ მესანგრე-მეხანძრეების ყაზარმას. მესანგრე-მეხანძრეებმა (თუმცა ისინი რესპუბლიკას თანაუგრძნობდნენ) მხარი არ დაუჭირეს მეამბოხეებს, არ მისცეს იარაღი და გამოაძევეს ყაზარმიდან. მასების მხარდაჭერას მოკლებული ბლანკისტების აჯანყება სრული მარცხით დამთავრდა. თავდასხმის მონაწილეები შეიპყრეს, გაასამართლეს და მკაცრად დასჯეს. ამ მარცხმა ერთხელ კიდევ ნათელყო ბლანკისტური ტაქტიკის — ყოველგვარ პირობებში „ძალაუფლების ხელში ჩაგდების" ცდის სრული უმწეობა და ავანტიურისტული ხასიათი.

პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ საფრანგეთის არმიის მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ფრანგ ჯარისკაცთა მამაცობისა და თავდადების მიუხედავად, მან ზედიზედ უკან დაიხია. უმაღლესი სარდლობის უხეირობისა და ცალკეულ შენაერთთა სარდლების შეუთანხმებელი მოქმედების გამო მან დაკარგა ყოველგვარი ინიციატივა და მობილობა. აგვისტოს მეორე ნახევარში პრუსიელებმა მორიგი დამარცხებები აგვეს საფრანგეთის რაინის არმიას და გათიშეს იგი ორ ნაწილად. მთავარი პასუხისმგებლობა მორიგი დამარცხებისათვის ეკისრებოდა ნაპოლეონის ნაცვლად დანიშნულ უმაღლეს მთავარსარდალს მარშალ ბაზენს, რომლის უმოქმედობა და დაუდევრობა მავნებლობამდე მიდიოდა.

აგვისტოს ბოლოსათვის საფრანგეთის ერთმა არმიამ მარშალ ბა-

ზენის სარდლობით (160—170 ათასამდე კაცი) მძიმე ბრძოლების შემდეგ მეცის ციხესიმაგრისაკენ დაიხია. აქ იგი პრუსიის არმიებმა მოსწყვიტეს კომუნიკაციებს და გარემოიცვეს. მეორე — შალონის არმიამ მარშალ მაკ-მაონის სარდლობით (120 ათასი კაცი), რომელთანაც იმყოფებოდა თვით იმპერატორი, უშედეგოდ სცადა მეცში ჩაკეტილ ბაზენის არმიასთან შეერთება და გარემოცვისაგან მისი განთავისუფლება. პრუსიელებმა, რომლებიც სწრაფად და საზრიანად მოქმედებდნენ, რიცხობრივად ჭარბი ძალებით გზა გადაუღობეს მაკ-მაონის არმიას. 30 აგვისტოს ბომონთან ახლოს სასტიკი დამარცხება აგემეს მას და გადაისროლეს სედანის მიმართულებით. პრუსია-გერმანიის არმიებმა, რომლებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ მაკ-მაონის უკანდახეულ არმიას, მოუჭრეს მას პარიზისაკენ დასახევი გზა და გარემოიცვეს სედანთან.

1870 წლის 1 სექტემბერს დილაადრიან სედანის ირგვლივ მაღლობებზე განლაგებულმა პრუსია-გერმანიის არმიამ კონცენტრირებული იერიში მიიტანა მახეში მოქცეულ საფრანგეთის არმიაზე. რამდენიმე საათის გააფთრებული და მამაცური ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის არმია იძულებული იყო ციხესიმაგრისათვის შეეფარებინა თავი. ფრანგ მებრძოლთა გმირობას და თავდადებას არ შეეძლო ეხსნა საფრანგეთის არმიის ღირსება. გერმანელთა დიდმა პოზიციურმა უპირატესობამ, მათი არტილერიის სიძლიერემ და მეორე იმპერიის უმაღლესი სარდლობის უნიჭობამ გადაწყვიტა სედანის ბრძოლის ბედი.

დღის 3 საათზე ამ არმიამ შეწყვიტა წინააღმდეგობა. ნაპოლეონ III-ემ უარყო მაკ-მაონის (იგი მსუბუქად დაიჭრა) შემცვლელი გენერლის ვიმპფენის წინადადება — რჩეული ნაწილებით გაერღვიათ რკალი და გზა გაეკაფათ პარიზისაკენ, და ბრძანება გასცა სედანის კოშკზე აღემართათ თეთრი დროშა; მანვე პარლამენტიორების მეშვეობით ვილჰელმ I-ს წერილი მისწერა, რომლითაც აცნობებდა, რომ ტყვედ ბარდებოდა გერმანელებს. 2 სექტემბერს სედანის ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიანი არმია (82—88 ათასი კაცის რაოდენობით) მთელი თავისი იარაღით, მათ შორის 550—600 ზარბაზნით, საწყობებით, დიდძალი დაჭრილებით, ჰოსპიტლებით იმპერატორთან ერთად ტყვედ ჩაბარდა მტერს [1]. ეს იყო საფრანგეთის არმიის გაუგონარი და სამარცხვინო მარცხი, რომელსაც სამართლიანად შეარქვეს „სედანის კატასტროფა“.

[1] სედანთან ბრძოლაში ფრანგებს მოუკლეს 2 ათასი და დაუჭრეს 14 ათასი, კაცი. მხოლოდ 3000 ფრანგმა მებრძოლმა მოახერხა მტრის რკალის გარღვევა და ბელგიის საზღვარზე გასელა. აქ კი ისინი განიარაღებულ იქნენ.

„საფრანგეთის 1870 წლის კატასტროფას, — წერდა შემდეგში მარქსი,—არა აქვს შესადარი ახალი დროის ისტორიაში! მან გვიჩვენა, რომ ოფიციალური საფრანგეთი, ლუი ბონაპარტის საფრანგეთი... მმართველი პარტიებისა და მათი სახელმწიფოებრივი პარაზიტების საფრანგეთი — ხრწნადი ლეშია“ [1].

4 სექტემბრის რევოლუცია პარიზში. რესპუბლიკის გამოცხადება

სედანის კატასტროფამ საბოლოოდ გადიწყვიტა იმპერიის ბედი. იგი, როგორც მარქსი ამბობს, დასრულდა ისევე როგორც დაიწყო, პაროდიით. ტრაგიკული ამბავი საფრანგეთის არმიის კაპიტულაციის შესახებ იმავე დღის საღამოსათვის გაიგეს მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა. რესპუბლიკური ოპოზიციის ხელშეწყობით ისინი შეეცადნენ დაემალათ იგი მოსახლეობისათვის, რათა აეცილებინათ მისი მოსალოდნელი გამოსვლა.

მაგრამ ზარდამცემი ცნობა სედანის კატასტროფის შესახებ 3 სექტემბერს პარიზის შრომელთა ფართო ფენებსაც მისწვდა და აალორიაქა. 4 სექტემბერს ხელოსნები, მოსწავლე ახალგაზრდები და გვარდიელები დილადანვე მოედვნენ პარიზის ქუჩებსა და მოედნებს და ბლანკისტების წინამძღოლობით დაიძრნენ ბურბონის სასახლისაკენ. პოლიციამ ვერ შეძლო მრისხანე ტალღის შეჩერება.

მუშათა შრავალრიცხოვანი კოლონა შეიჭრა საკანონმდებლო კორპუსის შენობაში და ოპოზიციის ლიდერებს მოსთხოვა ნაპოლეონის დამხობა და რესპუბლიკის გამოცხადება. ლეონ გამბეტას, ჟიულ ფავრს და ბურჟუაზიული რესპუბლიკელების სხვა ლიდერებს, რომელთაც ეშინოდათ მშრომელებისა და რევოლუციისა, არ სურდათ მიეღოთ მათი მოთხოვნა და სიტყვიერი დაპირებებით შეეცადნენ დაეშოშმინებინათ ისინი. მაგრამ მუშათა განმეორებითმა, დაჟინებითმა მოთხოვნამ, პარიზის ქუჩების დემონსტრაციათა მრისხანე რესპუბლიკურმა ხასიათმა და ბლანკისტების აქტივობამ, რომლებიც რატუშის შენობაში შეეცადნენ შეედგინათ მომავალი რევოლუციური მთავრობა (ბლანკის, ფლურანსის, დელეკლიუზის შემადგენლობით), აიძულა ისინი წასულიყვნენ დათმობაზე და გამოეცხადებინათ საფრანგეთი რესპუბლიკად. ასე მოხდა უსისხლო რევოლუცია, რომლის შედეგადაც საფრანგეთი მესამედ იქცა რესპუბლიკად, 1848 წლის მსგავსად, ბურჟუაზიულ რესპუბლიკად.

ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა, როგორც გამოცდილმა და

---

[1] К. Маркс, Первый набросок «Гражданской войны во Франции», «Архив Маркса—Энгельса», т. III (VIII), стр. 281.

გაქნილმა პოლიტიკანებმა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ მიეღოთ მშრომელთა ულტიმატუმი რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ, ისარგებლეს მშრომელთა ნაკლები ორგანიზებულობით, ბლანკისტების მასებთან სუსტი კავშირით და შეძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას და თავზე მოეხვიათ მათთვის (რატუშის შენობაში, სადაც წაიყვანეს ბურბონის სასახლეში შეპრილი მასები) შეძლებული კლასებისათვის სასურველი რესპუბლიკური მთავრობის შემადგენლობა.

ახალ დროებით რესპუბლიკურ მთავრობაში შევიდნენ ბურჟუაზიული პარლამენტური ოპოზიციის წარმომადგენლები — ბურჟუაზიული რესპუბლიკელები — ჟიულ ფავრი (საგარეო საქმეთა მინისტრი), ლეონ გამბეტა (შინაგან საქმეთა მინისტრი), პიკარი (ფინანსთა მინისტრი), ჟიულ სიმონი (განათლების მინისტრი) და შენიღბული მონარქისტები, უპირატესად ორლეანისტები — გენერალი ტროშიუ (პარიზისა და მისი გამაგრებული ზონის სამხედრო გუბერნატორი), რომელმაც მიიღო მთავრობის მეთაურის პოსტი, გენერალი ლეფლო (სამხედრო მინისტრი), ადმირალი ფურიშონი (საზღვაო მინისტრი) და სხვები. მშრომელთა თვალის ასახვევად მთავრობაში შეიყვანეს დიდი პოპულარობის მქონე უკიდურესი მემარცხენე რესპუბლიკელი ჟურნალისტი ანრი როშფორი. „უმჯობესია ჩვენთან იყოს იგი, ვიდრე ჩვენს წინააღმდეგო“, — განაცხადა მის შესახებ ჟ. ფავრმა. როშფორი მთავრობაში გარეშე კაცად თვლიდა თავს და მალე გამოვიდა იქიდან.

ახალი მთავრობის უმრავლესობა, როშფორის გამოკლებით, მტრულად იყო განწყობილი მშრომელი მასებისადმი. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც, როგორც მარქსი აღნიშნავდა, 1848 წლის ივნისის აჯანყებამ წარუხოცელი ლაქა დაამჩნია. თვით ყველაზე მემარცხენე რესპუბლიკელი ლეონ გამბეტაც კი სასტიკად ილაშქრებდა სოციალიზმის წინააღმდეგ, უარყოფდა რევოლუციურ მეთოდებს, შეძლებულთა პლატფორმაზე იდგა და მხოლოდ ცალკეულ დემოკრატიულ რეფორმებს უპერდა მხარს.

1870 წლის 4 სექტემბრის უსისხლო რევოლუცია მოახდინა პარიზის მუშათა კლასმა სხვა მშრომელების აქტიური მხარდაჭერით. რევოლუციამ დაამხო მეორე იმპერია და დაამყარა რესპუბლიკა [1]. მართალია, მას შედეგად არ მოჰყოლია სახალხო ხელისუფლების

[1] თუმცა მარქსი წერს: „რესპუბლიკას ტახტი როდი დაუმხვია. მან მხოლოდ მის მიერ დატოვებული ცარიელი ადგილი დაიკავა...“; კ. მ ა რ ქ ს ი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში, გვ. 36.

შექმნა; მშრომელთა რევოლუციური გამოსვლით ისარგებლა ბურჟუაზიამ, რათა საკუთარი კლასობრივი ინტერესების დამცველი მთავრობა შეექმნა [1]. მაგრამ ეს არ აბეცირებს ამ რევოლუციის მნიშვნელობას. 1870 წლის სექტემბრის რევოლუცია, როგორც 1848 წლის რევოლუციის მემკვიდრე, თავისი ხასიათით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო.

ომის ხასიათის შეცვლა. ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა და ორლეანისტთა ბლოკის ანგინაციონალური პოლიტიკა

ახალმა რესპუბლიკურმა დროებითმა მთავრობამ „ნაციონალური თავდაცვის მთავრობის" სახელი მიისაკუთრა. ფრანგი ხალხის საყოველთაო პატრიოტული აღტყინების ზეგავლენით იგი იძულებული გახდა განეცხადებინა ქიულ ფავრის პირით, რომ განაგრძობდა ომს უკანასკნელ შესაძლებლობამდე, მტერს არ დაუთმობდა ფრანგული მიწის არც ერთ გოჯს, სიმაგრეთა არც ერთ ქვას და არასოდეს არ მოახდენდა კაპიტულაციას მომხდური მტრის წინაშე. მაგრამ ეს იყო მხოლოდ თვალთმაქცობა და ცბიერება. სინამდვილეში, ტროშიუ, ქიულ ფავრი, მთავრობის წევრთა უმრავლესობა კაპიტულანტური სულით იყვნენ გაჟღენთილნი და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ ქვეყნის თავდაცვის საქმეს. მათთვის მთავარ ფრონტს შინაგანი ფრონტი წარმოადგენდა, მთავარ საშიშროებას — მშრომელთა აქტივობა.

ბევრმა მშრომელმა გულწრფელად ირწმუნა დროებითი მთავრობის ფირნინში და დეკლარატული განცხადებები. თვით ბლანკისტები და ახალი იაკობინელებიც კი მოექცნენ ცდუნების მახეში და გამოეხმაურნენ ბურჟუაზიული პოლიტიკანების მოწოდებას — „სამშობლო განსაცდელშია". ბლანკმა და მისმა მომხრეებმა მუშათა ორგანიზაციების განმტკიცების ნაცვლად სრული მხარდაჭერა აღუთქვეს ახალ მთავრობას, თუ იგი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა გერმანელ-პრუსიელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ასევე მოიქცა შარლ დელეკლიუზიც, რომელიც წერდა: „უპირველეს ყოვლისა, პრუსიელები". „მტრის წინაშე არ უნდა არსებობდეს არც პარტია და არც უთანხმოება... ყოველგვარი ოპოზიცია უნდა ჩაჩუმდეს საერთო კეთილდღეობისათვის", — აცხადებდნენ ბლანკი და დელეკლიუზი. თქმა არ უნდა, მათი ასეთი პოზიცია უაღრესად მცდარი იყო და ასუსტებდა პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მალე გამოფხიზლდნენ, თავი დააღ-

---

[1] მხოლოდ პროვინციულ ცენტრებში (ლიონი, მარსელი, ტულოზა) შეიქმნა მოკლე ხნით რევოლუციური ორგანოები — კომუნები.

წიეს ყალბ ილუზიას და შეიცნეს დროებითი მთავრობის ჭეშმარიტი „პატრიოტიზმი“.

„უსისხლო რევოლუციის“ რამდენიმე დღის შემდეგ, 9 სექტემბერს პირველი ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა მარქსის მიერ დაწერილი მეორე მოწოდება ომის შესახებ. ამ დოკუმენტებში მარქსი ამხელდა პრუსია-გერმანიის მმართველი წრეების დაპყრობით გეგმებს საფრანგეთის წინააღმდეგ და მოუწოდებდა გერმანელ მუშებს აეძულებინათ მათი მთავრობა — ხელი აეღო ელზას-ლორენის დაპყრობაზე, ეცნო საფრანგეთის მთავრობა და დაედო მასთან საპატიო ზავი. ფრანგი მუშებისადმი მიმართვაში მარქსი წერდა: რესპუბლიკის დაარსება საფრანგეთში მისასალმებელია. მაგრამ ეს არ არის თქვენი რესპუბლიკა. დროებითი მთავრობა ორლეანისტებისა და ბურჟუაზიული რესპუბლიკელებისაგან შედგება. ისინი კი შიშითა და სიძულვილით არიან გამსჭვალულნი მშრომელების მიმართ. ახალი რევოლუციური გამოსვლისათვის თქვენ ჯერ უნდა განამტკიცოთ თქვენი რიგები, ინტერნაციონალის ფრანგული სექცია. ახლა კი „ყოველი ცდა მთავრობის დამხობისა, როცა მტერი პარიზის კარიბჭეზე აკაკუნებს, სასოწარკვეთილი უგუნურობა იქნებოდა“ [1].

4 სექტემბრის რევოლუციამ ძირეულად შეცვალა მიმდინარე ომის ხასიათი. მეორე იმპერიის დამხობით და რესპუბლიკის გამოცხადებით საფრანგეთში ბოლო მოეღო იმ ძალების ბატონობას, რომლებიც ხელს უშლიდა გერმანიის გაერთიანებას. აღნიშნულის გამო ომმა გერმანიისათვის დაკარგა თავდაცვითი ხასიათი; თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ პრუსიის მმართველები შეწყვეტდნენ ომს და, რაკი მიღწეული იყო გერმანიის გაერთიანება, დადებდნენ ზავს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასთან საფრანგეთისათვის საპატიო პირობებში. მაგრამ გამარჯვებით თავბრუდახვეული პრუსიელ-გერმანელი მილიტარისტები, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ იუნკრები და ბურჟუები, განაგრძობდნენ უკვე უსამართლო ომს, რათა ჩამოეკრათ საფრანგეთისათვის ელზასი და ლორენი, გაენადგურებინათ საფრანგეთის სამხედრო ძლიერება და დაებეგრათ ეს ქვეყანა დიდი კონტრიბუციით. მაშასადამე, თავდაცვითი ომი გერმანიისათვის იქცა აგრესიულ, დაპყრობითი ომად. თავის მხრივ ახალი საფრანგეთისათვის, რომლის მიწა-წყალს უხეშად თელავდნენ უცხოელი დამპყრობლები და რომლებმაც უკვე მოიტაცეს მისი ტერიტორიები, უსამართლო, დინასტიური ომი იქცა სამამულო, თავდაცვით ომად. ამან შეცვალა ფრანგი ხალხის დამოკიდებულება ამ ომისად-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწ. ტ. 1. გვ. 570—571.

ში. მოსახლეობის ფართო წრეებში, როგორც სამართლიანად მიუთითებდა თავის დროზე ნ. ნიკოლაძე, ფეხი მოიკიდა პატრიოტულმა აღტყინებამ, რამაც მრავალ გმირულ აქციაში იჩინა თავი.

პარიზის გარემოცვა

დროებითმა მთავრობამ მალე გამოავლინა თავისი ნამდვილი სახე. თავდაცვითი მთავრობიდან იგი ეროვნული ღალატის მთავრობად იქცა. ოკუპანტების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლისა და ფრანგ პატრიოტთა სათავეში ჩადგომის ნაცვლად იგი ყოველმხრივ აფერხებდა თავდაცვის საქმეს და კაპიტულაციას ამზადებდა. მან გაქნილი პოლიტიკოსი ტიერი მიაგზავნა ლონდონში, პეტერბურგსა და ვენაში, რათა რუსეთის, ინგლისისა და ავსტრიის მთავრობებისათვის ეთხოვა შემწეობა და მომრიგებელ-შუამავლობა ზავის დადების საქმეში. სექტემბრის ბოლოს კი ჟიულ ფავრი გაემგზავრა ფარულად ბისმარკთან ზავის პირობებზე მოლაპარაკების საწარმოებლად. რეაქციული ბურჟუაზიისათვის, რომლის ინტერესებს გამოხატავდა ეს მთავრობა, ყველაზე საშიში მტრები ფრანგი მშრომელები, მუშები და ხელოსნები იყვნენ. ამიტომ გაურბოდა იგი მასების შეიარაღებასა და სახალხო ბრძოლის გაშლას ოკუპანტების წინააღმდეგ. ამიტომ აიღო მან გეზი მის წინაშე კაპიტულაციაზე. ფრანგმა მშრომელებმა კარგად განჭვრიტეს ახალი მთავრობის ანტინაციონალური ბუნება და სამართლიანად შეარქვეს მას „ეროვნული ღალატის მთავრობა“.

„ეროვნული ღალატის მთავრობის“ მარცხმოსურნე ტაქტიკამ საშუალება მისცა პრუსიელ-გერმანელ დამპყრობლებს სწრაფად წაეწიათ წინ და უკვე 19 სექტემბრისათვის გარემოეცვათ პარიზი. ტროშიუმ და მისმა თანამზრახველებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ დედაქალაქის თავდაცვისათვის, სინამდვილეში არაფერი გააკეთეს ამ მიმართულებით. ხოლო როცა თვით მშრომელები შეეცადნენ ექციათ ქალაქი მტრისათვის მიუვალ ციხესიმაგრედ, ისინი საბოტაჟის გზას დაადგნენ. გენერალმა ტროშიუმ პროვოკაციულად ნამდვილი უაზრობა უწოდა პარიზის დაცვის ყოველგვარ ცდას. მან მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ ჩაეტარებინა ეროვნული კრების არჩევნები, რათა მისთვის გადაეცა ხელისუფლება და მისი მეშვეობით დაეჩქარებინა ზავის დადება პრუსიელებთან. მშრომელებისადმი სიძულვილით გაჟღენთილმა მთავრობამ ხელი არ ახლო ძველ, მონარქისტულ აპარატს პარიზსა და პროვინციებში, ხელი არ

შეუშალა ორლეანისტებისა და ბონაპარტისტების თავდასხმებს რეს-პუბლიკის წინააღმდეგ [1].

ინტერვენტთა ალყამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო პარიზი. იგი მოწყდა შემოგარენ რაიონებს: შეწყდა სურსათის, ნედლეულისა და სათბობის შემოზიდვა. ქალაქში თავი იჩინა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ, სიძვირემ, სპეკულაციამ, მასობრივმა უმუშევრობამ, შიმშილმა, რომელმაც აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო მუშები, ხელოსნები და წვრილი ბურჟუაზია. სპეკულანტურმა ბურჟუაზიამ, მევაჭრეებმა, ფინანსისტებმა კარგად მოითბეს ხელი მშრომელთა ამ გასაჭირით და მილიონები ჩაიჯიბეს „შავ ბაზარზე" ვაჭრობით, ფასების აწევით, მევახშური სესხებით.

ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად პარიზის მშრომელებმა მაინც შეინარჩუნეს სულიერი სიმხნევე, პატრიოტული შემართება და მზადყოფნა ბოლომდე ებრძოლათ სამშობლოდან ოკუპანტების განსადევნად. ჯერ კიდევ სექტემბრის პირველ რიცხვებში პარიზის მშრომელმა მოსახლეობამ შექმნა მასობრივ კრებებზე არჩეული რაიონული მეთვალყურე კომიტეტები. ყოველმა ასეთმა კომიტეტმა გამოჰყო 4—4 დელეგატი, რომელთაც შექმნეს საერთო-საქალაქო თვითმმართველობის ორგანიზაცია — 20 რაიონის ცენტრალური კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდა დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის რამდენიმე ცნობილი მოღვაწე, ინტერნაციონალის ფრანგული სექციის წევრები. ეს იყო პარიზის მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის თვითნებური მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია. ოფიციალური ბურჟუაზიული მთავრობის არსებობის პირობებში პარიზის მშრომელმა ხალხმა ამ ორგანოს დააკისრა მერებისა და ქალაქის ყველა თანამდებობის პირთა მოქმედების კონტროლი და თავდაცვის ორგანიზაცია, მოსახლეობის მომარაგებაზე ზრუნვა და სხვ.

ჯერ კიდევ ნაპოლეონ III-ის მეფობაში, ფრონტზე პირველი მარცხის შემდეგ პარიზსა და ფრონტისპირა ზოლში, ცოტათი გვიან კი მთელ საფრანგეთში შეიქმნა სახალხო ლაშქრისმაგვარი სამხედრო შენაერთი — ეროვნული გვარდია. პარიზში თავდაპირველად იყო 60 ბატალიონი, რომლებიც უპირატესად ბურჟუაზიისა და სხვა მქონებელთაგან იყვნენ დაკომპლექტებულნი. მტრის მიერ ქალაქის

---

[1] „ეროვნული ღალატის მთავრობაში" იყვნენ ისეთი მინისტრებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ ენერგიულ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ, სურდათ დაეცვათ სამშობლოს მთლიანობა და დამოუკიდებლობა. ასეთი იყო გამბეტა, მთავრობის გარეთ კი — ფრეისინე, კლემანსო და სხვები.

გარემოცვის შემდეგ 20 ოლქის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით დამატებით შეიქმნა 200 ახალი ბატალიონი, რის შემდეგაც მისი პირადი შემადგენლობა 260—230 ათას კაცამდე გაიზარდა. ახლადშექმნილი ბატალიონები უპირატესად მუშების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტდა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ბატალიონის უფროსი ბლანკი იყო. დამშეული, შემოსავლის წყაროს მოკლებული უმუშევარი მშრომელები ეროვნულ გვარდიაში სამსახურისათვის მცირეოდენ ხელფასსაც კი იღებდნენ დღიურად (45 სუს — ცოლიანები, 30 სუს — უცოლოები). ეს კი მათთვის მათხოვრული არსებობის ერთადერთ საშუალებად იქცა.

ეროვნული გვარდია სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და მას შეეძლო გადამწყვეტი როლი შეესრულებინა მტრის რკალის გარღვევაში. მაგრამ იგი, ძირითადად, მშრომელებისაგან იყო დაკომპლექტებული, მშრომელების შეიარაღება კი ბურჟუებს არ სურდათ, მშრომელებს ხომ შეეძლოთ მტრის ძლევის შემთხვევაში იარაღი გამყიდველების წინააღმდეგ მიემართათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ დროებითი მთავრობა შეგნებულად უშლიდა ხელს ეროვნული გვარდიის აღჭურვას შასპოს სისტემის ახალი თოფებით. აწვდიდა უვარგის იარაღს, აფერხებდა ახალი შენაერთების ფორმირებას და მათი განადგურების მიზნით დროდადრო აწყობდა მათ მოუმზადებელ გამოხდომებს პრუსიელთა წინააღმდეგ. 20 ოლქის ცენტრალურმა კომიტეტმა ფარდა ახადა „ეროვნული ღალატის მთავრობის“ ვერაგობას და რამდენჯერმე ჩაშალა მისი ზრახვები. ამ ორგანოსა და ბელვილის მუშათა თაოსნობით პარიზის მშრომელებმა ნებაყოფლობითი შემოწირულების გზით შეაგროვეს მნიშვნელოვანი სახსრები, რომლებითაც ჩამოასხეს ათეული ზარბაზანი, განალაგეს ისინი სტრატეგიულ მაღლობებზე და გამოიყენეს პრუსიელების წინააღმდეგ. პარიზის მშრომელთა და მისი ორგანიზაციების აქტიურობამ და პატრიოტულმა საქმიანობამ გააბორკა ბურჟუაზია. მან გადაწყვიტა დაეჩქარებინა ეროვნული ღალატის აქტის გაფორმება, რათა შემდეგ მთელი ძალები „შინაგანი მტრის“ — მშრომელების წინააღმდეგ მიემართა.

ფრანგი ხალხის პატრიოტული აღტყინება მარტო პარიზით არ შემოიფარგლა. ომის ხასიათში მომხდარმა ცვლილებებმა ახალი საბრძოლო ენერგია და მტრისადმი შეუპოვრობა შემატა მილიონობით ფრანგ პატრიოტს. მრავალი ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი იშვიათი თავგანწირვით და მამაცობით ებრძოდა სამშობლოს ამწიოკებელ მოძალადეებს, გმირულად კვდებოდა, მაგრამ არ ტო-

ვებდა საბრძოლო ზღუდეებს. ათეული ქალაქის, დაბისა და სოფ-ლის დაცვა მტრის დიდად ჭარბი ძალებისაგან და ამ ბრძოლაში ათა-სობით პატრიოტის მიერ გამოჩენილი თავგანწირვა სამარადისო დი-დებით მოსავს მათ სახელებს. მოსახლეობის ფართო ფენების საბრ-ძოლო შემართებამ ხელი შეუწყო ახალი არმიების შექმნას, მათ გაწვრთნასა და ფრონტებზე გაგზავნას განადგურებული შენაერთე-ბის შესაცვლელად. 7 ოქტომბერს ალყაშემორტყმული პარიზიდან სა-ჰაერო ბურთით გადაფრინდა და ტურთან ახლო დაეშვა თავდაცვის ერთ-ერთი სული და გული — გამბეტა, რათა უშუალოდ სათავეში ჩასდგომოდა მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაციას, ახალი არ-მიების შექმნასა და გაწვრთნას არაოკუპირებულ ტერიტორიაზე. მი-სი და მისი აქტიური თანაშემწის ინჟინერ ფრეისინეს ენერგიული საქმიანობით მოკლე დროში შეიქმნა რამდენიმე ახალი არმია (500 ათასი კაცი), რომელიც ისტორიაში ლუარის არმიების სახელით არის ცნობილი. ახალმა არმიებმა, რომელთაც მალე მიიღეს საბრძო-ლო ნათლობა ალყაში მოქცეული პარიზის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, გამოავლინეს მაღალი საბრძოლო თვისებები და ბრწყინ-ვალე ფურცლები ჩაწერეს სამშობლოს დაცვის მატიანეში.

რეგულარულ ნაწილებთან ერთად მტრის წინააღმდეგ საბრძოლ-ველად აღდგა სამოქალაქო მოსახლეობა; გაიშალა ჭეშმარიტად სა-ხალხო შურისმაძიებელი ომი. გლეხობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, ხელოსნები, წვრილბურჟუაზიული ფენები მასობრივად ქმნიან ნე-ბაყოფლობით მებრძოლ რაზმებს, ე. წ. „თავისუფალ მსროლელთა“ („ფრანტირერთა“) რაზმებს. ეს რაზმები, რომლებიც პარტიზანული მეთოდებით იბრძოდა, მძლავრ დარტყმებს აყენებდა მტერს, ანად-გურებდა მის გარნიზონებს, მოლაშქრე შენაერთებს, მიმოსვლის სა-შუალებებს, საწყობებს, შტაბებს. მათ არაერთი დასახლებული პუნქ-ტი გამოსტაცეს ოკუპანტებს და უკან დაახევინეს. პარტიზანული ბრძოლა მიმდინარეობდა მტრის ზურგშიც, მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე: მარქსი და ენგელსი აღტაცებული იყვნენ სახალხო არმიების გმირული ბრძოლით და სავსებით იწონებდნენ მათ მზად-ყოფნას.

დიდმა ფრანგმა მწერლებმა ემილ ზოლამ[1], ანატოლ ფრანსმა, ალფონს დოდემ, გი დე მოპასანმა და სხვებმა თავიანთ მაღალმხატვ-რულ ნაწარმოებებში მადლიანი კალმით ოსტატურად აგვიწერეს „თავისუფალ მსროლელთა“ გმირობა და თავდადება, მრავალი საბრ-

[1] მაგალითად, ამ თემისადმია მიძღვნილი ე. ზოლას ცნობილი რომანი „განად-გურება“.

ძოლო ეპიზოდი და უკვდავყვეს მათი ნათელი ხსოვნა შთამომავლობის წინაშე. უდიდესი მიწონებითა და აღტაცებით მოუთხრობდნენ ქართველ მკითხველს ფრანგი ხალხის ამ სახალხო-განმათავისუფლებელ ომის და „თავისუფალ მსროლელთა“ პატრიოტული თავდადების შესახებ ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძე, ს. მესხი და ქართული პროგრესული ჟურნალისტიკის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები.

სახალხო წინააღმდეგობით გაბოროტებული პრუსიულ-გერმანული მხედრიონი ბარბაროსული სისასტიკით უსწორდებოდა სამშობლოს გმირ დამცველებს. ისინი სწვავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ ქალაქებს, ანადგურებდნენ დაბა-სოფლებს, სპობდნენ ნათესებს, აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ხვრეტდნენ ტყვედ ჩაგდებულ პარტიზანებსა და მძევლებს. მათმა შურისძიებამ და ვანდალიზმმა ყოველგვარ ნორმას გადააჭარბა.

31 ოქტომბრისა და 22 იანვრის აჯანყებები. სტრასბურგეთის კაპიტულაცია

ფრანგი ხალხის გმირული თავგანწირვა უძლური იყო შეეცვალა ომის ბედი. სამშობლოს გამყიდველთა წყალობით დამარცხებას დამარცხება მოსდევდა. ჯერ იყო და ტროშიუმ უმწეოდ დატოვა ჯგუფი მებრძოლებისა, რომლებიც პარიზიდან გაუსხლტნენ მტერს და პრუსიელებმა აკუწეს. ამას მოჰყვა მეორე უფრო დიდი ღალატი, რომელიც ჩაიდინა მონარქისტმა მარშალმა ბაზენმა. 27 ოქტომბერს მან უბრძოლველად ჩააბარა მტერს ძლიერ გამაგრებული მეცის ციხესიმაგრე, იქ მომწყვდეული 170—175 ათასიანი არმია, დიდძალი იარაღი და სურსათის მარაგი [1].

ცნობა მეცის გამცემლური ჩაბარებისა და დაზავების თაობაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ მალე გავრცელდა პარიზში და აავსო მშრომელთა მოთმინების ფიალა. მისი პასუხი იყო 31 ოქტომბრის აჯანყება. აჯანყებას ხელმძღვანელობდა 20 ოლქის ცენტრალური კომიტეტი; უაღრესად აქტიურ როლს მის მომზადებაში ასრულებდნენ ბლანკისტები [2]. „ეროვნული ღალატის მთავრობის“ გამცემლური პოლიტიკით აღშფოთებული ხალხის უთვალავი მასა და რევოლუციური ეროვნული გვარდიელები შეიჭრნენ ქალაქის თვით-

---

[1] ამ მოღალატე გენერალმა, რომელსაც შემდეგში სიკვდილით დასჯა მიესაჯეს (რაც სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს), პრუსიელების წინაშე კაპიტულაციით განიზრახა გამოეყენებინა თავისი არმია საპოლეონ III-ის ტახტზე აღსადგენად.

[2] რაც შეეხება ინტერნაციონალის პარიზის ფედერაციას, მან განზე დგომა ამჯობინა და ამიტომ მონაწილეობა არ მიუღია აჯანყებაში.

მმართველობაში (სადაც მიმდინარეობდა მთავრობის სხდომა) და დამხობილად გამოაცხადეს არსებული მთავრობა. მათვე შექმნეს ახალი დემოკრატიული მთავრობა, რომელშიც შევიდნენ 1848 წლის რევოლუციის მონაწილე „ჭაღარა" იაკობინელები — ფელიქს პია, ლედრიუ-როლენი და შარლ დელეკლიუზი, აგრეთვე უტოპისტ-სოციალისტი ლუი ბლანი, დიდი ფრანგი ჰუმანისტი მწერალი ვიქტორ ჰიუგო, რასპაილი და სხვები. ამის პარალელურად შეიქმნა რევოლუციური კომუნა, რომელშიც შევიდნენ ოგიუსტ ბლანკი, გიუსტავ ფლურანსი და სხვა რევოლუციონერები.

მოპოვებული გამარჯვება მშრომელებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. სანამ ბლანკისტები და ახალი იაკობინელები დაობდნენ ახალი მთავრობის ამოცანების შესახებ, ხოლო მისი შემადგენლობა უმოქმედოდ იყო, ძველი მთავრობის მომხრეებმა დრო იხელთეს, რატუშაში თავი მოუყარეს ეროვნული გვარდიის საიმედო ბატალიონებს, მათი მეშვეობით გაათავისუფლეს ტროშიუს მთავრობის წევრები და ისევ აღადგინეს მათი ხელისუფლება (1 ნოემბერს). 31 ოქტომბრის გამოსვლის მარცხის მიზეზი იყო მშრომელთა სუსტი ორგანიზება, ბურჟუაზიისადმი მისი მინდობა და სოციალისტების რიგებში არსებული კინკლაობა. ძველმა მთავრობამ ძალაუფლების აღდგენის პირველ დღეებში მოსახლეობას აღუთქვა კომუნის არჩევნები და აჯანყების მონაწილეთა საერთო ამნისტია. მაგრამ ხელისუფლების განმტკიცებისთანავე მან უკვე წაიღო დანაპირები და ხელი მიჰყო 31 ოქტომბრის მონაწილეთა დატუსაღებას. ბლანკიმ მოასწრო გაქცევა და მას დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯეს.

ფრონტზე კი მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. მტერი წინ მიიწევდა და ქვეყნის სიღრმეში იპრებოდა. უფრო მძიმე გახდა პარიზის ალყა. მეცის კაპიტულაციის შედეგად განთავისუფლებული ჯარების დიდი ნაწილი მტერმა პარიზისაკენ დაძრა და გაორკეცებული ენერგიით შეუტია მას. ნედლეულის უქონლობის გამო ქალაქში მასობრივად დაიხურა ფაბრიკა-ქარხნები და სახელოსნოები, მასობრივი ხასიათი მიიღო უმუშევრობამ. სიძვირემ, სურსათის ნაკლებობამ და შიმშილმა, უმუშევრობამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა პარიზის მშრომელები. არც წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობა იყო სახარბიელო. ათასობით ვაჭარი, ოსტატი და მოსამსახურე გაკოტრდა და მევახშეთა კაბალაში მოექცა. ამას ზედ დაერთო ზამთარში სათბობის უქონლობა და დეკემბერში გერმანელების მიერ ქალაქის სისტემატური დაბომბვა მძიმე არტილერიით, რასაც მოჰყვა მრავალი მსხვერპლი და ზარალი. დროებითი მთავრობა არაფერს აკეთებდა მშრომელთა ტრაგიკული ხვედრის შესამსუბუქებლად, ხელს უშლი-

და ქალაქის გმირ დამცველებს და ფარულად ამზადებდა ქვეყნის ღალატს — კაპიტულაციას. მაგალითად, მან 19—20 იანვარს ბიუზერვალის უბანზე მოაწყო გვარდიის ნაწილების მოუმზადებელი ბამოხდომა პრუსიელთა წინააღმდეგ, რაც სრული მარცხითა და პატრიოტების დაღუპვით დამთავრდა.

ყოველივე ამით აღშფოთებული პარიზის მშრომელები 1871 წლის 22 იანვარს შეეცადნენ ხელმეორედ მოეხდინათ აჯანყება. სათანადო ინიციატივა ისევ ბლანკისტებისაგან გამომდინარეობდა. ჰერქვეშეთიდან ფარულად გამოსულმა ბლანკიმ თავისი მომხრეების დახმარებით შეძლო საპყრობილიდან გაენთავისუფლებინა ფლურანსი და 31 ოქტომბრის აჯანყების ბევრი სხვა მონაწილე. ეს აჯანყება ისეთივე უმწეო და მოუმზადებელი იყო, როგორც ბლანკისტების სხვა გამოსვლა. მან ერთხელ კიდევ გამოავლინა ბლანკისტების „პუჩტისტური“ ტაქტიკის სრული გაუმართლებლობა და მასებთან მათი სუსტი კავშირი. მშრომელთა ფართო ფენებმა მხარი არ დაუჭირეს მცირერიცხოვან ბლანკისტთა გამოსვლას. ინტერნაციონალის პარიზის ფედერაციის ხელმძღვანელობამ, რომელშიც პრუდონისტები სჭარბობდნენ, ამჯერადაც თავი შეიკავა რევოლუციურ ამბებში მონაწილეობისაგან.

ამის შედეგად 22 იანვრის აჯანყებაც სრული მარცხით დამთავრდა. დროებითმა მთავრობამ სასტიკად იძია შური მის მონაწილეებზე. ბევრი მათგანი აჯანყების ჩახშობის პროცესში დახოცა: დანარჩენები შეიპყრო და ციხეში ჩაყარა. მხოლოდ ბლანკიმ და რამდენიმე მისმა თანამებრძოლმა შეძლეს დამალვა და თავის გადარჩენა. ქალაქის ხელისუფლებმა დახურეს ყველა დემოკრატიული ორგანო, კლუბი და გაერთიანება.

საფრანგეთის კაპიტულაცია. ტიერის მთავრობა. საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგები

1871 წლის 28 იანვარს „ეროვნული ღალატის მთავრობამ“ საკუთარი ხელით გამოაქვეყნა თავისი გამცემლური სახე. მან პრუსიელებთან ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს და მიიღო გამარჯვებული მტრის მიერ წამოყენებული ყველა პირობა. დაზავების პირობები ითვალისწინებდა პარიზის კაპიტულაციას, პარიზის გარნიზონის (ეროვნული გვარდიის გამოკლებით) განიარაღებას, პარიზის ფორტების უმეტესობის, საველე ზარბაზნებისა და თავდაცვის სხვა საშუალებათა გერმანელებისათვის გადაცემას, ორი კვირის ვადაში 200 მილიონი ფრან-

კ კონტრიბუციის გადახდას და 10 დღის ვადაში ეროვნული კრების მოწვევას საბოლოო ზავზე ხელის მოსაწერად. რაც შეეხება ეროვნულ გვარდიას, მან არა თუ შეინარჩუნა თავისი თოფები და ზარბაზნები, და მხოლოდ დროებითი ზავი დადო გამარჯვებულთან, არამედ აიძულა უკანასკნელები ხელი აეღოთ პარიზში ტრიუმფალური შესვლის განზრახვისაგან. ისინი დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ქალაქის მცირე კუთხის დაჭერით და ისიც მხოლოდ რამდენიმე დღით. მარქსის თქმით, „... ისინი ვისაც 131 დღის განმავლობაში პარიზი ალყაშემორტყმული ჰქონდა, თვით ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ შეიარაღებული პარიზის მუშების მიერ“ [1].

ეროვნული კრების არჩევნები დაინიშნა 8 თებერვალს. მისი ასე ნაუცბათევად ჩატარება, ისიც ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციისა და პარიზის დანარჩენი საფრანგეთისაგან ფაქტიური იზოლაციის პირობებში, მხოლოდ ხალხის მტრებისათვის იყო ხელსაყრელი. ასეთ პირობებში ჩატარებული არჩევნები ვერ იქნებოდა ნუგეშის მიმცემი მშრომელებისათვის. სოციალისტები და დემოკრატიის სხვა ძალები მოკლებულნი იყვნენ აგიტაციის საშუალებას. მათ არ შეეძლოთ პრესისა და მიტინგების საშუალებით სიმართლე ეთქვათ ხალხისათვის და თავიანთ სასარგებლოდ განეწყოთ მძიმე ომით მოქანცული გლეხთა მასები. მთელი საფრანგეთის ბედი კი არჩევნების დროს ფაქტიურად ამ კლასს უნდა გადაეწყვიტა. ხოლო გლეხობას სურდა ომის შეწყვეტა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო. მათი ასეთი განწყობილება კარგად გამოიყენეს სამღვდელოებამ, მონარქისტულმა წრეებმა და ბურჟუაზიულმა რეს.პუბლიკელებმა, რომელთაც მოსყიდული პრესის მეშვეობით გააჩაღეს გლეხობაში კამპანია პარიზის მუშებისა და სოციალისტების წინააღმდეგ. პარიზის მუშებს, არწმუნებდნენ ისინი გლეხობას, ომის გაგრძელება და არეულობა სურთ, ისინი მხოლოდ მეამბოხენი არიან, ომის საბაბით შრომას გაურბიან და მშრომელთა ხარჯზე ბუქთახორობას ამჯობინებენო.

8 თებერვლის არჩევნები, მართლაც, რეაქციის გამარჯვებით დამთავრდა. ეროვნულ კრებაში უპირატესად აირჩიეს მემამულეები. კათოლიკური ეკლესიის თავკაცები, მილიტარისტები და მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები. 700-მდე დეპუტატიდან, რომლეაიც 12 თებერვალს შეიკრიბნენ ქალაქ ბორდოში და არა ალყაშემორტყმულ, რევოლუციური ტრადიციების მქონე პარიზში, უმრავლესო-

---

[1] კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში: კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ 1, გვ. 546.

ბას შეადგენდნენ მონარქისტები: ორლეანისტები, ლეგიტიმისტები და ბონაპარტისტები.

ბორდოს რეაქციულმა ეროვნულმა კრებამ—„ტეტია აზნაურების“ კრებამ, როგორც მას უწოდა მარქსმა[1]. პირველ სხდომაზევე გამოავლინა თავისი სახე. მართალია, მან აზრი გამოთქვა რესპუბლიკის დროებითი შენარჩუნების შესახებ, მაგრამ მისი სახელით საჭიროდ ცნო გამარჯვებულ მტერთან სამარცხვინო ზავის დადება. 13 თებერვალს მან აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ მთავრობის მეთაურად აირჩია დემოკრატიის, მუშათა კლასისა და, საერთოდ, მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტერი, მდაბიო ინტრიგანი მონარქისტი ტიერი. მარქსის ხატოვანი გამოთქმით, ტიერი, ეს „მახინჯი ქონდრის კაცი“, ბურჟუაზიის გარყვნილების საუკეთესო სულიერ გამოხატულებას წარმოადგენდა. ხარბი, ვერაგი, შეუბრალებელი, ყოველგვარ მზაკვრობასა და თაღლითობაში დახელოვნებული ტიერი მზად იყო საკუთარი სულიც კი მიეყიდა სატანისათვის, ოღონდ სიმდიდრე მოეხვეჭა და ხელისუფლებას დაუფლებოდა[2]. ლუი-ფილიპეს ეს ყოფილი მინისტრი მზად იყო ერთხელ კიდევ დაეღვარა პარიზის მშრომელთა სისხლი.

ბისმარკთან დაჩქარებით დაწყებული საზავო მოლაპარაკება 26 თებერვალს დამთავრდა ვერსალში პრელიმინარულ ზავზე ხელმოწერით. პირველ მარტს იგი დაამტკიცა ეროვნულმა კრებამ (საბოლოო ზავი ხელმოწერილ იქნა ცოტა გვიან, 1871 წლის 10 მაისს მაინის ფრანკფურტში). ზავის პირობები მეტად მძიმე და დამამცირებელი იყო დამარცხებული საფრანგეთისათვის. საფრანგეთი კარგავდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის, ეკონომიურად განვითარებულ ორ ოლქს: ელზასსა და აღმოსავლეთ ლორენს, იხდიდა 5 მილიარდ ფრანკ კონტრიბუციას (უკვე გადახდილ 200 მილიონ ფრანკს გარდა) და იძულებული იყო ზავის საბოლოო რატიფიკაციამდე შეენახა თავისი ხარჯით გერმანელთა საოკუპაციო ნაწილები.

ამგვარად, საფრანგეთ-პრუსიის ომი საფრანგეთის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ამ ომის შედეგი იყო ამ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური ძალის შერყევა, მისი ტერიტორიული ამპუტაცია და მორალური შეურაცხყოფა. საფრანგეთის დამარცხებისა და მრავალი ფრანგი პატრიოტის სიცოცხლის საფასურში იშვა გერმანიის ერთიანობა. 1871 წლის 18 იანვარს პრუსიის მეფემ ვილჰელმ I-მა ვერსალის სასახლის დიდსარკეებიან დარბაზში საზეი-

---

[1] კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში, გვ. 52.

[2] იქვე.

მო ვითარებაში თავზე დაიდგა გერმანიის იმპერატორის გვირგვინი. პრუსიულ-გერმანული იმპერია იშვა „რკინისა და სისხლის“ გზით საფრანგეთის დამარცხების ბაზაზე.

ეხებოდა რა საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „საფრანგეთ-პრუსიის ომში გერმანიამ გაძარცვა საფრანგეთი, მაგრამ ეს არ ცვლის ამ ომის ძირითად ისტორიულ მნიშვნელობას, რომელმაც გაათავისუფლა მრავალათეული მილიონიანი ხალხი ფეოდალური დაქუცმაცებისა და ორი დესპოტის, რუსეთის მეფისა და ნაპოლეონ III-ის მიერ ჩაგვრისაგან“ [1]. ამ ომს ევროპული რეზონანსი ჰქონდა: მან დათესა ღრმა ანტაგონიზმის თესლი საფრანგეთსა და გერმანიას შორის, შექმნა მძიმე ვითარება ევროპის კონტინენტებზე და მით შეამზადა „შეიარაღებული მშვიდობის“ ატმოსფერო.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 363.

პარიზის კომუნა

ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი

პარიზის კომუნა მსოფლიო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ოქტომბრამდელი პერიოდის უდიდესი აქტი იყო. იგი იყო პარიზის მუშათა კლასის პირველი რევოლუციური მთავრობა, მშრომელთა (პროლეტარიატის) დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლების პირველი გაბედული, მაგრამ წარუმატებელი ცდა — შეტრიალებული ყო ისტორია კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მან სულ 72 დღე იარსება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარუშლელი კვალი დატოვა ისტორიაში.

* * *

პარიზის კომუნა, როგორც მართებულად აღნიშნავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, საფრანგეთის წინამორბედი ისტორიის მშფოთვარე ამბებისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარების ლოგიკური შედეგი იყო. იგი ამავე დროს სტიქიურად აღმოცენდა და, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, შეგნებულად, გეგმაზომიერად არავის მოუმზადებია. პარიზის კომუნა წარმოშვა იმპერიის მიერ ფრანგი ხალხისათვის თავზე მოხვეულმა მარცხიანმა ომმა პრუსიასთან, მშრომელთა აუტანელმა ყოფამ, პარიზის ალყამ, ბურჟუაზიის გამცემლობამ, პროვოკაციებმა და მშრომელთა რიგებში ფეხმოკიდებულმა სოციალისტურმა სულისკვეთებამ[1]. რეაქციულმა ეროვნულმა კრებამ და მის მიერ შექმნილმა ტიერის მთავრობამ თავიანთი გამოჩენილი პროვოკაციული მოქმედებით თვითონ აიმხედრეს პატრიოტულად განწყობილი პარიზის მუშათა კლასი, ქალაქის დემოკრატიული ფენები და უბიძგეს მათ გაუთვალისწინებელი ნაბიჯისაკენ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კომუნის ხსოვნას, თხზ., ტ. 17, გვ. 149.

ჯერ კიდევ 1871 წლის თებერვალში პარიზის მუშათა კლასმა და წვრილმა ბურჟუაზიამ შექმნეს მძლავრი მასობრივ-უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაცია — ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი, ანუ ეროვნული გვარდიის რესპუბლიკური ფედერაცია. იგი აერთიანებდა მუშებისა და სხვა მშრომელებისაგან დაკომპლექტებულ 215 ბატალიონს (270 ბატალიონიდან). ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა რამდენიმე ცნობილი სოციალისტი, მათ შორის პირველი ინტერნაციონალის წევრები ვარლენი, ასი, დიუვალი და სხვ [1].

ამ მასობრივმა ორგანომ მალე მოიპოვა პარიზის მოსახლეობაში ავტორიტეტი და მხარდაჭერა და ფაქტიურად ახალი სახალხო ხელისუფლების ჩანასახი გახდა. მან მიზნად დაისახა პარიზის მშრომელთა შემჭიდროება და შეტევაზე გადმოსული კონტრრევოლუციის ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა (იარაღითაც, თუ ეს საჭირო გახდებოდა).

პარიზის 20 ოლქის მეთვალყურეთა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ცოტა ადრე შეიქმნა, და ინტერნაციონალის პარიზულმა სექციამ ენერგიულად დაუჭირეს მხარი ეროვნული გვარდიის ცენტრალურ კომიტეტს, თავიანთი წარმომადგენლები წარგზავნეს იქ და ხელი შეუწყვეს მის პატრიოტულ საქმიანობას.

ამ ორგანიზაციის ინიციატივით, რევოლუციურ-პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილმა მშრომელმა მოსახლეობამ გადაარჩინა საკუთარი სახსრებით შეძენილი ათეული ზარბაზანი, გამოიტანა ისინი საშიში (პრუსიელებისათვის დატოვებული) უბნებიდან და განალაგა მონმარტრის, ბელვილისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან სხვა მაღლობებზე. პირველ მარტს, როდესაც გერმანიის ჯარები პარიზში შევიდნენ, რათა დაზავების პირობების შესაბამისად მოეხდინათ მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, ეროვნული გვარდიის ცკ მოწოდებით პარიზის მოსახლეობა სრული თავშეკავებით შეხვდა მათ. არავითარ შეჯახებასა და პროვოკაციულ გამოხდომებს ადგილი არ ჰქონია. ოკუპანტებს არ მიეცათ საშუალება შური ეძიათ ქალაქის პატრიოტებზე, განეიარაღებინათ შეიარაღებული ხალხი. სამარისებური სიჩუმით მოცულ, ეროვნულ გლოვაგამოცხადებულ ქალაქში, სადაც ყველა დაწესებულება და სავაჭრო დახურული იყო, ხოლო საცხოვრებელ შენობებს ფარდა ჰქონდა ჩამოშვებული, გერ-

---

[1] მაგრამ მათ შემადგენლობაში იყვნენ ისეთი პირებიც (ლეონ გამბეტა, ლუი ბლანი), რომლებიც შემდეგში კომუნის მტრების ბანაკში აღმოჩნდნენ.

მანელ-პრუსიელი ოკუპანტები მხოლოდ 62 საათს დარჩნენ და დარცხვენილ-გაბოროტებულები 3 მარტს დილით გაეცალნენ მას.

ამან კიდევ უფრო გაზარდა ეროვნული გვარდიის ცკ ავტორიტეტი და აქცია იგი პარიზის რეალურ მუნიციპალურ ხელისუფლებად. მისი ძალაუფლება ემყარებოდა მუშების, წვრილბურჟუაზიული მასებისა და დემოკრატიული ინტელიგენციის ერთსულოვან მხარდაჭერასა და გვარდიის შეიარაღებულ ძალებს. იგი უფრო და უფრო ბჟიდროდ რაზმავდა პარიზის მუშათა კლასსა და მის მოკავშირეებს რეაქციული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პრუსიელ-გერმანელ დამპყრობთა მეშვეობით შეიარაღებული პარიზის დათრგუნვის ცდის მარცხმა უკიდურესად გააბოროტა კონტრრევოლუციური ბურჟუაზია. მან პარიზი მეამბოხე ქალაქად გამოაცხადა, ისევ ალყაში მოაქცია იგი და გადაწყვიტა სანიმუშოდ დაესაჯა მისი მშრომელები. მან ხელი მიჰყო ისეთი პროვოკაციული ნაბიჯების გადადგმას, რომელნიც აიძულებდა მშრომელ პარიზს თავგანწირულ ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ჯერ იყო და ეროვნულმა კრებამ ეროვნულ გვარდიელებს მოუსპო ის მცირე ხელფასი, რასაც ისინი ღებულობდნენ ალყისა და შიმშილის პერიოდში. ამან არსებობის ერთადერთი სახსარი წაართვა ათეულ ათას მშრომელს. 10 მარტს რეაქციულმა ეროვნულმა კრებამ მიიღო დადგენილება მთავრობასთან ერთად ვერსალში გადასვლის შესახებ. ეს იყო რევოლუციური პარიზის მორიგი აღმაშფოთებელი აბუჩად აგდება და გამოწვევა. ამას მოჰყვა ასეთივე პროვოკაციული დეკრეტები ალყის განმავლობაში დადგენილ საბინაო ქირის გადახდისა და თამასუქების განაღდების ვადის გადადების გაუქმების შესახებ. პირველი დეკრეტი სახლის მფლობელებს უფლებას აძლევდა ქუჩაში გამოეყარათ ყველა მდგმური, რომლებიც მოკლე დროში ვერ გადაიხდ-დნენ ბინის ქირას; მეორე კი კრედიტორებს უფლებას აძლევდა აეწერათ და საჯაროდ გაეყიდათ თამასუქების მქონებელთა ქონება იმ შემთხვევაში, თუ დებიტორები ორი კვირის განმავლობაში ვერ გამოისყიდდნენ მათ ხელთ არსებულ თამასუქებს. ამ დეკრეტებმა მუშებთან ერთად შელახა წვრილი ბურჟუაზიის (წვრილი ხელოსნების, წვრილი ვაჭრების) ინტერესები, აღაშფოთა და რევოლუციის გზაზე დააყენა იგი.

18 მარტის რევოლუცია და მისი მიზეზები

იმისათვის, რომ სისრულეში მოეყვანათ დანაშაულებრივი შეთქმულება რევოლუციური პარიზის წინააღმდეგ, საფრანგეთის კონტრ-

რევოლუციურ მმართველებს წინასწარ უნდა აეყარათ იარაღი ამ ქალაქის შეიარაღებული პროლეტარიატისათვის, განეიარაღებინათ ეროვნული გვარდია. ამ საქმის მოგვარება პირადად ითავა ტიერმა, რომელიც ამ მიზნით პარიზს გაემგზავრა. 17 მარტს მან მთავრობას მიაღებინა დადგენილება ეროვნული გვარდიის განიარაღებისა და მისი სარდლობის შეპყრობის შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად მან რეგულარული ჯარის ნაწილებს უბრძანა შესულიყვნენ პარიზში და ხელთ ეგდოთ მონმარტრისა და ბელვილის მაღლობებზე განლაგებული ზარბაზნები. პროლეტარიატის ზარბაზნების ხელში ჩაგდება რევოლუციური პარიზის საყოველთაო განიარაღების ნიშანი უნდა გამხდარიყო.

18 მარტს, განთიადისას, მთავრობის ჯარისკაცთა რაზმი 3000 კაცის შემადგენლობით ქურდულად შეიპარა მონმარტრის მაღლობებზე ტიერის მთავრობის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად [1]. მოულოდნელ თავდასხმას თავდაპირველად ერთგვარი წარმატება ჰქონდა: მთავრობის ჯარებმა შეიპყრეს გუშაგები და ხელთ იგდეს ზარბაზნები, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს მათი გაზიდვა, ეროვნული გვარდია გონს მოვიდა და მუშა-ქალების, ბავშვებისა და მოხუცების დახმარებით გზა გადაუღობა მოძალადეებს. ატეხილი ჩოჩქოლის დროს ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ესროლათ ხალხისათვის, ისინი ეროვნული გვარდიის მხარეზე გადავიდნენ. მათ შეიპყრეს გენერლები ლეკოხტი და ტომა, რომლებიც ცოტა ხნის შემდეგ დახვრიტეს. გამარჯვებულმა მოსახლეობამ ზარბაზნები ძველ ადგილებზე განალაგა და გვარდიის დახმარებით მონმარტრს დაეპატრონა.

ეს გარემოება გახდა მშრომელი პარიზის აჯანყების დასაბამი. რაც მოხდა მონმარტრზე, განმეორდა პარიზის სხვა უბნებშიც. ეროვნული გვარდიის პროლეტარული ნაწილები ინტერნაციონალის წევრების, ცნობილი რევოლუციონერის ვარლენისა და ბლანკისტ ბერჟერეს მეთაურობით ნაციონალური გვარდიის ცკ ბრძანებით მონმარტრიდან პარიზის ცენტრისაკენ დაიძრნენ და დღის მეორე ნახევარში დაიკავეს ქალაქის დიდი ნაწილი: სამინისტროები, ვაგზლები, ყაზარმები, მერიების უმეტესობა, პოლიციის შენობა და რატუშა, სადაც წითელი დროშა ამართეს. 18 მარტის საღამოს მთელი პარიზი აჯანყებული მშრომელების ხელში აღმოჩნდა. ტიერის მთავრობა, მსხვილი მოხელეები, მსხვილი ბურჟუაზია თავისი პარაზიტული ამალით

---

[1] გენერალ ვინუას სარდლობით. მასთან იყვნენ აგრეთვე გენერლები ლეკონტი და ტომა.

საფრანგეთის მეფეთა ყოფილ რეზიდენციაში, ვერსალში გაიქცა[1]. იქვე გაიყვანეს პარიზში მყოფი დივიზია.

ასე მოხდა 18 მარტის რევოლუცია. იგი ჩატარდა უსისხლოდ, სტიქიურად, წინასწარი მომზადების გარეშე. 18 მარტის აქტი მოჰყვა იმ სამოქალაქო ომს, რომელიც წამოიწყო ტიერის კონტრრევოლუციურმა ხროვამ პარიზზე პროვოკაციული თავდასხმით. კონტრრევოლუციის გაუბედავი ცდა — აღედგინა ძველი მდგომარეობა, მალე იქნა აღკვეთილი ეროვნული გვარდიის მიერ. პარიზი მუშათა კლასისა და მისი მოკავშირის — წვრილი ბურჟუაზიის ხელში გადავიდა.

ამ დროისათვის ერთადერთ რეალურ ძალას ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი წარმოადგენდა. იგი ხელმძღვანელობდა 18 მარტის ამბებს და მან ძალაუნებურად თავს იდო რევოლუციური პარიზის დროებითი მთავრობის მოვალეობა. 18 მარტის შემდეგ სახელმწიფოს ბედს, მართლაც, ვარლენის და დიუვალის ტიპის მკინძავები, მგლინავები და სხვა მუშები წყვეტდნენ. ახალი მთავრობა „უცნობი“ ადამიანებისაგან შედგებოდა. მასში არ იყო გაბატონებული კლასის არც ერთი წარმომადგენელი. ეს იყო ისტორიაში გაუგონარი შემთხვევა. როგორც მარქსი აღნიშნავდა, „ევროპა თითქოს ერთი წუთით დაეჭვდა მის თვალწინ მომხდარ გასაოცარ დიდ სახელმწიფოებრივ და სამხედრო მოქმედებათა სინამდვილეში: შორეული წარსულის სიზმარი ხომ არაა ყოველივე ეს“[2]. პარიზის ახალი ხელისუფლება იყო პირველი პროლეტარული მთავრობა, პარიზის მუნიციპალური ხელისუფლება, პარიზის კომუნა, როგორც უწოდებდნენ მას ისტორიაში. სიტყვა „კომუნა“ აჯანყებულ მშრომელთა გაგებით არ ნიშნავდა საერთო საკუთრებას, „კომუნიზმს“, არამედ — მხოლოდ პარიზის თვითმმართველობას ავტონომიურ საფუძველზე. არც სიტყვა „კომუნას“ აქვს საერთო რამ კომუნასთან. მაგრამ ის ფაქტი, რომ აჯანყება მოახდინეს მშრომელებმა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ მუშათა კლასის ხელმძღვანელობითა და სოციალისტთა მონაწილეობით, სოციალისტურ ხასიათს აძლევდა მას. ეს გარემოება სავსებით ამართლებს ენგელსის თქმას იმის შესახებ, რომ კომუნა პროლეტარიატის დიქტატურა იყო.

ახალმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ — ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ამბების მოულოდნელობის

---

[1] იგი მდებარეობს 18—19 კილომეტრზე პარიზის სამხრეთ-დასავლეთით.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში; კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 587.

გამო არ გააჩნდა მოქმედების ნათელი პროგრამა, თავისი საპატიო ძისიის შესრულების დასაწყისშივე დაუშვა რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა. მან არ ისარგებლა მოპოვებული გამარჯვებით და ბოლომდე არ მიიყვანა კლასობრივი მტრის განადგურების საქმე. პირველ ყოვლისა ახალმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ ზედმეტად ჩათვალა პარიზის ალაყაფის კარების ჩაკეტვა და ქალაქის კონტრრევოლუციური ძალების განიარაღება, მათი გაუვნებელყოფა, მინისტრებისა და მსხვილი მოხელეების შეპყრობა. ამის ნაცვლად მან საშუალება მისცა ტიერს, მის მინისტრებს და კონტრრევოლუციური ხროვის სხვა წარმომადგენლებს დაუბრკოლებლად გასულიყვნენ ქალაქიდან და თავი მოეყარათ ვერსალში, საიდანაც მალე ტიერის გარეწრებმა დაიწყეს შეტევა რევოლუციურ პარიზზე. ასეთივე დაუდევრობა ჩაიდინეს პარიზში დისლოცირებული მთავრობის ჯარის (ერთი დივიზიის ოდენობით) მიმართ. სამშვიდობო ილუზიის ტყვეობაში მყოფმა ეროვნულმა გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი განიარაღებისა და ხალხის მხარეზე გადაყვანის ნაცვლად საშუალება მისცა დამხობილ მთავრობას იგი ქალაქიდან გაეყვანა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაახსენდათ 18 მარტის რევოლუციის ორგანიზატორებს კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება, როდესაც პარიზში შემორჩენილმა კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა თავი წამოყვეს და ამბოხებაც კი სცადეს; მაშინ გამოიყო ცკ საგანგებო სამეული, რომელთა შორის იყო პარიზის კომუნის „გენერალი", უშიშარი ბლანკისტი დიუვალი.

არანაკლებ სერიოზული შეცდომა იყო თავდაცვით ტაქტიკაზე დადგომა და აჯანყების, როგორც ხელოვნების წესების, უგულებელყოფა. ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარიზით შემოზღუდა თავისი მისია და საჭიროდ არ ცნო რევოლუციის ჩარჩოების გაფართოება. მან ყურად არ იღო ზოგიერთი წევრის დაჟინებითი მოთხოვნა დაუყოვნებლივ მოწყობილიყო ლაშქრობა ვერსალზე და გაენადგურებინათ კრაზანების ბუდე. თავდაცვა, როგორც არაერთხელ აღნიშნავდა მარქსი, „სიკვდილია შეიარაღებული აჯანყებისათვის".

ახალმა დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ — ეროვნული გვარდიის ცკ-მა ისიც კი დაივიწყა, რომ მტერი სულ ახლო იყო და ძალებს იკრებდა. რაკი პარიზი თვითონ შეიქნა საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი, საჭირო იყო მთელი მშრომელი პარიზის ფეხზე დაყენება, დარაზმვა, შეიარაღება, ვერსალისაკენ დაძვრა, დამარცხებულ, დაქსაქსულ, თავგზააბნეულ მტერზე იერიშის მიტანა, სანამ იგი გონს მოვიდოდა და საპასუხო დარტყმისათვის მოემზადებოდა.

ასეთივე მიუტევებელი შეცდომა იყო ეროვნული გვარდიის ცკ მიერ თავისი რევოლუციური ხელისუფლების დროებითად მიჩნევა და კომუნის არჩევნებისათვის მზადება, რომელსაც უნდა გადასცემოდა „კანონიერი“ ძალაუფლება. მაგრამ საამისო დრო და საშუალება მაშინ არ იყო. კომუნის არჩევნები შეიძლება ჩატარებულიყო უფრო მოგვიანებით, კერძოდ კი მაშინ, როცა სამოქალაქო ომი დამთავრდებოდა, კონტრრევოლუცია განადგურდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლა[1]. ეს იყო ბურჟუაზიული „კანონიერების“ ტყვეობაში ყოფნა, საკუთარი უილაჯობის აღიარება. ბევრ პარიზელ მებრძოლს მომხდარი რევოლუცია 1789—1794 წლების დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის უბრალო განმეორება ეგონა მაშინ, როდესაც იგი იყო თვისობრივად სავსებით ახალი, სოციალისტური რევოლუცია.

კ. მარქსი მართალი იყო, როცა კომუნარებს უსაყვედურებდა გაუბედაობას კლასობრივ მტერთან ბრძოლაში: „თუ ისინი დამარცხდებიან, ამაში დამნაშავე სხვა არა იქნება რა, თუ არა მათი „დიდსულოვნება“,—სწერდა მარქსი ლ. კუგელმანს 1871 წლის 12 აპრილის წერილში, — ...საჭირო იყო ვერსალზე დაუყოვნებლივ გალაშქრება. სინდისიანობის გამო მომენტი ხელიდან გაუშვეს. არ უნდოდათ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი ს დ ა წ ყ ე ბ ა, თითქოს მახინჯმა გადაგვარებულმა ტიერმა თვით არ დაიწყო სამოქალაქო ომი, როდესაც პარიზს განიარაღება დაუპირა. მეორე შეცდომა: ცენტრალურმა კომიტეტმა ძალიან აცრე აიღო ხელი თავის ძალაუფლებაზე, რათა კომუნისათვის დაეთმო ადგილი. ესეც კვლავ „პატიოსანი“ წვრილმანობის გამო!“[2]

სანამ კომუნის არჩევნები ჩატარდებოდა და ხელისუფლება მას გადაეცემოდა, ეროვნული გვარდიის ცკ მაინც გაატარა ზოგიერთი საჭირო პროგრესული სოციალ-ეკონომიური ხასიათის ღონისძიება. მან შეაჩერა თამასუქების განაღდება და ლომბარდში დაგირავებულ და გამოუსყიდავ ნივთთა გაყიდვა და გადადო ერთი მილიონი ფრანკი ქალაქის ყველაზე გაჭირვებული ელემენტებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ღარიბ მდგმურებს უგრძელდებოდათ ბინის ქირის დავალიანების გადახდის ვადა, სახლის მფლობელებს კი ეკრძალებოდათ მობინადრეთა გამოსახლება ბინის ქირის გადაუხდელობის გამო.

---

[1] სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო აგრეთვე ახალი რევოლუციური ხელისუფლების მიერ ტიერის მომხრე პარიზის მერებთან უსარგებლო მოლაპარაკების გამართვა. ტიერის მითითებით ეს მოლაპარაკება მერებმა შევნებულად გააჭიანურეს და ამით მას 10—12 დღის შესვენების შესაძლებლობა მისცეს.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 561.

მართალია, ეს ცოტა რამ იყო, მაგრამ მან მშრომელებს მაინც აგრძნობინა რევოლუციის რეალური სარგებლობა.

კომუნის არჩევნები, მისი შემადგენლობა. კომუნის მოღვაწეები

პარიზის კომუნის არჩევნები თავდაპირველად 23 მარტისათვის იყო დანიშნული, მაგრამ ქალაქის მერებისა და სხვა ბურჟუაზიული ელემენტების გაფთრებული წინააღმდეგობის გამო იგი 26 მარტისათვის იქნა გადატანილი[1]. კლასობრივი მტრისა და მისი მრავალრიცხოვანი აგენტურის ცილისმწამებლური კამპანია და საბოტაჟი არჩევნების დღესაც არ შენელებულა. მიუხედავად ამისა, ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარიზის მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით დასძლია ყველა წინააღმდეგობა და შეძლო არჩევნების ორგანიზებული ჩატარება.

პარიზის კომუნის არჩევნები ჩატარდა მეორე იმპერიის დროს არსებულ საყოველთაო-საარჩევნო კანონის საფუძველზე[2]. არჩევნებში მონაწილეობდა 228—230 ათასი კაცი[3]. ქალაქში დარჩენილმა ბურჟუაზიამ ბოიკოტი გამოუცხადა მას და არჩევნებისაგან თავი შეიკავა. რაც შეეხება მუშათა კლასსა და წვრილბურჟუაზიულ წრეებს, ისინი უდიდესი ენთუზიაზმით გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში და ერთსულოვნად ხმა მისცეს თავიანთ კანდიდატებს. არჩევნები განსაკუთრებული გაცხოველებით მიმდინარეობდა მუშათა უბნებში.

პარიზის კომუნის საბჭოში სულ აირჩიეს 86 კაცი[4], მათგან მუშები — 25, დანარჩენი — მოსამსახურეები, პედაგოგები, ექიმები, ჟურნალისტები და ა. შ. არჩეულთა შორის 21 ლიბერალი და რადიკალი ბურჟუა იყო, რომელთაგან 16 კაცმა მალე ჩააბარა რწმუნებები და კომუნის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია. ასე რომ, პარიზის კომუნაში დარჩა 64 კაცი, ბლანკის გამოკლებით, რომელიც ვერსალელებმა პროვინციაში შეიპყრეს.

ეს 64 კაცი სხვადასხვა რევოლუციური ჯგუფის წარმომადგენელი იყო. კომუნის უმრავლესობას მუშები, წვრილი ბურჟუები და პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ. არჩეულთა შორის იყვნენ სოციალისტები — პირველი ინტერნაციონა-

---

[1] 23—24 მარტს მათ კონტრრევოლუციური ამბოხებებიც კი სცადეს, თუმცა უშედეგოდ. 26 მარტი კვირადღე იყო.

[2] 2000 მოქალაქე ირჩევდა ერთ დეპუტატს. აღნიშნული კანონით საყოველთაო-საარჩევნო უფლება ქალებზე არ ვრცელდებოდა.

[3] საარჩევნო სიებში შეტანილ ამომრჩეველთა ნახევარი.

[4] თავდაპირველად გათვალისწინებული 90 კაცის ნაცვლად.

ლის პარიზის სექციის წევრები, სულ 30 კაცი. მათ შორის, ე. ვარლენი, ო. სერაიე, ე. დიუვალი, ლ. ფრენკელი, კ. ტეისი, ო. ავრიალი და სხვები[1]. მათ გვერდით კომუნის საბჭოში არჩეულთა შორის იყვნენ ფრანგული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები: სწავლული გ. ფლურანსი, მწერალი ჟ. ვალესი, ექიმი და ინჟინერი ე. ვაიანი, ბხატვარი გ. კურბე, პედაგოგი გ. ლეფრანსე, პუბლიცისტები ო. ვერმორელი და გ. ტრიდონი, პოეტი-რევოლუციონერი, ინტერნაციონალის ტექსტის ავტორი ე. პოტიე, ჟურნალისტი რ. რიგო და სხვები.

16 აპრილს კომუნიდან გასული ბურჟუების ნაცვლად მოხდა ახალ წევრთა დამატებითი არჩევნები. მის შედეგად კომუნაში აირჩიეს 16 ახალი წევრი: 6 მუშა, 9 მოწინავე ინტელიგენტი და ერთი წვრილი მეწარმე.

მართალია, მუშები არ წარმოადგენდნენ კომუნის წევრთა უმრავლესობას (დამატებითი არჩევნების შემდეგ 34—36 მუშა შეადიოდა), მაგრამ ხელმძღვანელი როლი მის საქმიანობაში მაინც მათ ეკუთვნოდათ. ჯერ ერთი, მათ ხელში იყო რეალური ძალაუფლება პარიზში და მათ ეკუთვნოდათ რევოლუციური შეიარაღებული ძალა ეროვნული გვარდიის სახით. მეორე, „მათი ცხოვრებით ცხოვრობდა“ და პროლეტარულ სულისკვეთებას იზიარებდა კომუნაში არჩეული პროგრესული ინტელიგენციის უმრავლესობა.

28 მარტს ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი ძალაუფლება გადასცა პარიზის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს; უფრო სწორად რომ ვთქვათ, არნახული ზეიმის ვითარებაში, რომელშიც მონაწილეობდა ასი ათასი ეროვნული გვარდიელი და პარიზის ასეული ათასი მშრომელი, მოხდა პარიზის კომუნის ოფიციალური გამოცხადება[2].

პარიზის კომუნის ერთ-ერთი უბედურება ის იყო, რომ მას არ ჰყავდა ნათელი სამოქმედო პროგრამით აღჭურვილი, მარქსისტული მსოფლმხედველობით შეიარაღებული რევოლუციური ავანგარდი — კომუნისტური პარტია. პარიზის კომუნაში თავიდანვე ორი პარტიულ-პოლიტიკური დაჯგუფება დაუპირისპირდა ერთმანეთს: ე. წ. „უმრავლესობა“ და „უმცირესობა“, რომელთაგან არც ერთი არ იყო ნამდვილი რევოლუციური პარტია.

„უმრავლესობას“ შეადგენდნენ რევოლუციური დემოკრატები — „ახალი იაკობინელები“ (19 კაცი) და ბლანკისტები (12 კაცი), „უმცირესობას“ — ძირითადად ინტერნაციონალის წევრები — მე-

---

[1] სულ კომუნაში შედიოდა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის 33 წევრი.

[2] სათანადო საზეიმო ცერემონია ჩატარდა რატუშის წინმდებარე მოედანზე.

მარჯვენე პრუდონისტები და პრუდონისტ-კოლექტივისტები (23 კაცი). იყვნენ კომუნაში ე. წ. „უპარტიოებიც“, რომლებიც ხან „უმრავლესობას“ ემხრობოდნენ, ხან „უმცირესობას“.

მართალია, „უმრავლესობაში“ რევოლუციონერ-დემოკრატებს ეკუთვნოდათ უმრავლესობა, მაგრამ მთავარ როლს იქ მაინც ბლანკისტები და მათი მომხრეები ასრულებდნენ. ბლანკისტურმა დაჯგუფებამ პარიზის კომუნას მისცა ისეთი უშიშარი და შეუდრეკელი მებრძოლები, როგორებიც იყვნენ გუსტავ ფლურანსი, ედუარდ ვაიანი, რაულ რიგო, ემილ დიუვალი, თეოფილ ფერე და ემილ ედი. ფლურანსი, ეს „უშიშარი რაინდი“ ძალიან ადრე დაიღუპა (3 აპრილს) ვერსალელებთან ბრძოლაში ერთ-ერთი გამოხდომის დროს. ასევე ადრე დაიღუპა კომუნის „გენერალი“ უშიშარი და ენერგიული მეთაური დიუვალი. ბლანკისტი ვაიანი სათავეში ედგა სახალხო განათლების საქმეს და მებრძოლი რევოლუციონერის ალღოთი წარმართავდა მას. ახალგაზრდა, 25 წლის ჟურნალისტი რაულ რიგო ჯერ პოლიციის უფროსი იყო. შემდეგ კი კომუნის პროკურორი და საზოგადოებრივი ხსნის კომისიის ხელმძღვანელი. ამ პასუხსაგებ პოსტებზე მან გამოავლინა შეუდრეკელობა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში (თუმცა დაგვიანებით და არათანმიმდევრულად). ასეთივე უშიშარი და უდრეკი რევოლუციონერი იყო ფერე, რომელმაც რაულ რიგო შეცვალა საზოგადოებრივი უშიშროების კომისიის პოსტზე.

ბლანკისტები მოითხოვდნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნას და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღებას; ამაში მათ მხარს უჭერდნენ „ახალი იაკობინელები“, მაგრამ ბლანკისტებს სუსტი კავშირი ჰქონდათ მასებთან და მუშათა კლასის დიქტატურის ნაცვლად რჩეული რევოლუციონერების დიქტატურის დამყარებისაკენ მიილტვოდნენ. სუბიექტურად ისინი სოციალისტები იყვნენ, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ თეორიულ საკითხებზე, სუსტად ერკვეოდნენ სოციალ-ეკონომიურ საკითხებში; ამიტომ, ნაკლებად მონაწილეობდნენ კომუნის სოციალ-ეკონომიური ღონისძიებების გატარებაში.

„ახალი იაკობინელები“ წვრილბურჟუაზიული რევოლუციური დემოკრატები იყვნენ. ისინი ინდიფერენტულად ეკიდებოდნენ სოციალურ პრობლემებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პოლიტიკური ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს, სწორედ ამ დარგში ისინი ყველაზე ახლოს იყვნენ ბლანკისტებთან. ამიტომ იყო, რომ ბევრ საქმეში ბლანკისტებთან ერთად მოქმედებდნენ. საერთოდ, ისინი წარსული იდეებით ცხოვრობდნენ, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული, რევოლუციის საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ თავს და ვერ ხედავდ-

ნენ ძირეულ განსხვავებას, რაც არსებობდა ამ რევოლუციასა და 1871 წლის რევოლუციას შორის. ამიტომ პარიზის კომუნა მათ პირველი რევოლუციის უბრალო გაგრძელებად მიაჩნდათ, კომუნის ხელისუფლება კი — იაკობინური კომუნის სახესხვაობად.

„ახალ იაკობინელთა" შორის ყველაზე ნათელი ფიგურა იყო 1848 წლის რევოლუციის მონაწილე შარლ დელეკლიუზი. ფელიკს პიას მსგავს მოლაყბე იაკობინელთაგან განსხვავებით იგი იყო დემოკრატიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, უშიშარი, უდრეკი კომუნარი, რომელმაც თავისი სიცოცხლე კომუნის დიდ საქმეს შესწირა. „ახალ იაკობინელთა" შორის აქტიურ როლს ასრულებდნენ აგრეთვე ვექილი და ჟურნალისტი შარლ გამბონი და მხატვარი ალფრედ ბიიორე.

„უმრავლესობას" უპირისპირდებოდა პრუდონისტული „უმცირესობა". „უმრავლესობისაგან" განსხვავებით, რომელიც მხარს უჭერდა ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას, „უმცირესობა" მაქსიმალური თვითმმართველობის მომხრე იყო. კომუნაში იგი მხოლოდ ქალაქის მუნიციპალურ ხელისუფლებას ხედავდა და მომავალი საფრანგეთი თვითმმართველი ქალაქებისა და სასოფლო თემების, ანუ კომუნების სახით ჰქონდა წარმოდგენილი. „უმცირესობის" წარმომადგენლებს სურდათ არა ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების სრული ლიკვიდაცია. აქედან გამომდინარეობდა მათი მტრული პოზიცია კომუნის იმ ღონისძიებებისადმი, რომლებიც მიზნად ისახავდა კლასობრივი მტრის დათრგუნვას და კომუნის ხელისუფლების განმტკიცებას. მემარცხენე პრუდონისტები, რომლებიც ინტერნაციონალის წევრები იყვნენ და მხარს უჭერდნენ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციას, სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ სოციალ-ეკონომიურ საკითხებს და კომუნის სათანადო ღონისძიებების ინიციატორებად გამოდიოდნენ, თუმცა ვერ იჩენდნენ გამბედაობასა და თანამიმდევრობას.

პრუდონისტთა შორის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე და ნათელი ფიგურა იყო პრუდონისტ-კოლექტივისტი ლუი-ეჟენ ვარლენი. ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსული მუშა-მკინძავი ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და პირველი ინტერნაციონალის ფრანგული სექციის აქტიური წევრი გახდა, 1868 წლიდან კი იგი ხდება ინტერნაციონალის პარიზის ბიუროს წევრი, მონაწილეობს ინტერნაციონალის ლონდონის კონფერენციისა და ჟენევისა (1866) და ბაზელის კონგრესების (1869) საქმიანობაში; იგი პირადად იცნობდა მარქსს და განიცდიდა მის იდეურ გავლენას. 4 სექტემბრის რევოლუციის შემდეგ პარიზელი მუშები მას ირჩევენ ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი

ბატალიონის უფროსად; შემდეგ კი ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. ვარლენი იყო დიდი გაქანების, კრისტალური პატიოსნებისა და უდრეკი მამაცობის მქონე პიროვნება. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა პარიზის კომუნის საქმიანობაში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მის ავანპოსტებზე იყო და გმირულად დაეცა კომუნის სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში.

დანარჩენი პრუდონისტებიდან შეიძლება დავასახელოთ პრუდონისტ-კოლექტივისტები მალონი და ასი, პრუდონისტები — I ინტერნაციონალის უძველესი წევრი, ჟურნალისტი ვერმორელი, ინტერნაციონალის წევრები ლეფრანსე, არნუ, ტეისი, ჟურდი, პენდი და ბელე.

კომუნის შემადგენლობაში იყვნენ მარქსთან ახლო მყოფი რევოლუციონერებიც, რომლებიც ფორმალურად არც ერთ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, სერაიე — ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მიერ პარიზის სექციასთან კავშირის დასამყარებლად პარიზში მივლინებული ინტერნაციონალის წევრი. იგი პერიოდულად აწვდიდა ცნობებს მარქსს კომუნის საქმიანობის შესახებ, მაგრამ მის მუშაობაში აქტიურ როლს არ ასრულებდა. სერაიესთან ერთად უნდა დავასახელოთ უნგრელი მუშა-ემიგრანტი, ინტერნაციონალის პარიზის ფედერაციის საბჭოს წევრი, შემდეგში უნგრეთის სოციალისტური პარტის ერთ-ერთი დამაარსებელი ლეო ფრენკელი. იგი იყო ერთადერთი უცხოელი კომუნის საბჭოს წევრთა შორის, რომელსაც კომუნარებმა შრომისა და გაცვლის კომისიის ხელმძღვანელობა მიანდვეს.

კომუნის წევრთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდნენ, მაგალითად, ცნობილი ფრანგი მწერალი ჟიულ ვალერი და საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი გიუსტავ კურბე, ეჟენ პოტიე, გამოჩენილი მეცნიერი, გეოგრაფი ელიზე რეკლიუ, მხატვარი-კარიკატურისტი ანდრე ჟილი და სხვები. პარიზის კომუნის მხარეზე დადგნენ და ხალხის სამსახურში ჩადგნენ ფრანგული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები.

აღნიშნულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, ე. ი. „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის დაპირისპირებამ და აზრთა სხვადასხვაობამ თავი იჩინა კომუნის საქმიანობის დაწყებისთანავე. შემდგომში ეს ბრძოლა უფრო გამწვავდა, განსაკუთრებით კომუნის არსებობის უკანასკნელ დღეებში, როდესაც საქმე უფრო ცუდად წავიდა. უაღრესად მწვავედ დაეჯახა ერთმანეთს ეს ორი ფრაქცია 28, 30 აპრილსა და 1 მაისის სხდომებზე, როცა იხილებოდა საზოგადოებრივი ხსნის კო-

მიტეტის შექმნის საკითხი. უმცირესობა, რომელსაც არასწორად ესმოდა დემოკრატიის ცნება, ილაშქრებდა ასეთი ორგანოს შექმნის წინააღმდეგ და მას 18 მარტის რევოლუციის დემოკრატიული პრინციპების დარღვევად თვლიდა. 16 მაისს უმცირესობა გათიშვის გზას დაადგა და გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც აცხადებდა, რომ ამიერიდან მონაწილეობას არ მიიღებდა კომუნის სხდომებში. ძაგრამ საქმე სრულ გათიშვამდე არ მისულა. ვერსალელთა ქალაქში შეჭრის საფრთხემ აიძულა ისინი დაევიწყებინათ თავიანთი მუქარა და დარაზმულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კომუნის უმნიშვნელოვანესი სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებები

კომუნას მუშაობა უხდებოდა: ვერსალის შემოტევის, ძველი აპარატის მოხელეთა საბოტაჟის, ქალაქში მოკალათებული ჯაშუშების ძირგამომთხრელი საქმიანობის, სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა ბრძოლისა და ახალი ცხოვრების მშენებლობის გამოცდილების სრული უქონლობის მძიმე პირობებში. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ კომუნას არ ჰქონია გარკვეული სამოქმედო გეგმა, არ ჰყოფნიდა დრო და იძულებული იყო, უწინარეს ყოვლისა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ეწარმოებინა ვერსალელთა წინააღმდეგ. ისიც ოკუპანტთა თვალწინ, რომელნიც განაგრძობდნენ რევოლუციური ქალაქის ალყას.

მიუხედავად ამისა, სამხედრო ბანაკის მდგომარეობაში მყოფმა პარიზის კომუნამ მაინც მიიღო ზოგიერთი ღონისძიება და გამოაქვეყნა ისეთი დეკრეტები, რომლებიც დიდი პოლიტიკური სიბრძნით იყო გამსჭვალული. ამ დეკრეტების უმრავლესობას აჩნდა სოციალისტური აზრის კვალი და მშრომელთა ფართო ფენების პირობების გაუმჯობესების, მათი ეკონომიური განთავისუფლების კეთილშობილური ზრახვებით იყო ნაკარნახევი.

კომუნამ მეპატრონეთა მიერ მიტოვებული ფაბრიკები და სახელოსნოები გადასცა მუშათა საწარმოო ამხანაგობებს (16 აპრილის დეკრეტით) იმ პირობით, რომ პატრონების დაბრუნების შემდეგ მათ მისცემოდათ სათანადო ანაზღაურება. მუშათა საწარმოო ამხანაგობებს ევალებოდათ აეგებინათ ეს შეჩერებული საწარმოები და ჩაეყენებინათ ხალხის სამსახურში. მართალია, ეს იყო ბურჟუაზიული კერძო საკუთრებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების გამოხატულება, მაგრამ მაინც პირველი ნაბიჯი, გადადგმული კაპიტალისტთა საწარმოო საშუალებათა ექსპროპრიაციის გზაზე. სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კონტროლის დაწესებას

რკინიგზების სამმართველოებზე, რათა ამით თავიდან ყოფილიყო აცილებული ძველი მოხელეების მავნებლობა, უზრუნველყოფილიყო ქალაქში სურსათ-სანოვაგის რეგულარული შემოზიდვა და სიმაგრეების მომსახურება. არანაკლები მნიშვნელობისა იყო სახელმწიფო და მუშათა კონტროლის დაწესება თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე ზოგიერთ მსხვილ საწარმოზე. მაგალითად, ლუვრის იარაღის სახელოსნოებში დირექტორთან შეიქმნა სპეციალური საბჭო მუშათა და მოსამსახურეთა არჩეული წარმომადგენლებისაგან.

შრომისა და გაცვლის კომისიამ ფრენკელის ინიციატივით დააყენა საკითხი 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ, თუმცა მისი ცხოვრებაში გატარება ვერ მოხერხდა, მაგრამ ამ მიმართულებით ერთგვარად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა 3 მაისის დეკრეტი 10-საათიანი სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

იმავე შრომისა და გაცვლის კომისიის ინიციატივით, კომუნამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც იკრძალებოდა ღამით მუშაობა პურის საცხობებსა და მაღაზიებში. მანვე აკრძალა უკანონო ჯარიმები და ხელფასიდან სხვა თვითნებური გამოქვითვები, რასაც ხშირად მიმართავდნენ მეწარმეები.

კომუნამ მიიღო ზომები დაქირავების საქმეში შუაკაცების მიერ მუშათა სასტიკი ექსპლუატაციის აღსაკვეთად და უმუშევაროათვის საშუშაოს გამოსანახავად. ამ მიზანს ემსახურებოდა შრომის ბიურის დაარსება და პროექტი საგანგებო სახელოსნოების დაარსების შესახებ სამხედრო დაკვეთების შესასრულებლად. დასასრულ, ერთ-ერთი უკანასკნელი (13 მაისის) დეკრეტით მან დააწესა სავალდებულო მინიმალური ხელფასი იმ მუშებისა და მუშა ქალებისათვის, რომლებიც კომუნის დაკვეთებზე მუშაობდნენ. კომუნამ სცადა ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა უსახლკარო მუშათა საბინაო პირობები. ამ მიზნით მან მიიღო დეკრეტი მიტოვებული ბინების რეკვიზიციისა და მათში გარეუბნების უბინაო მუშათა ჩასახლების შესახებ. ალყის დროს და მომდევნო პერიოდში პარიზელ ღარიბებს ძალზე გაუჭირდათ და ორიოდე გროშის მისაღებად ლომბარდებში დააგირავეს რაც კი რამ ღირებული ებადათ. კომუნამ გაითვალისწინა ეს გარემოება და მიიღო დადგენილება — იმ მშრომელებს, რომლებიც ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდიდნენ, უფლება მისცემოდათ უკან დაებრუნებინათ 800 ათასამდე დაგირავებული ნივთი, თიოოეული 20 ფრანკის ღირებულებისა. მშრომელთათვის დიდი შეღავათი იყო, აგრეთვე, 9 თვით ბინის ქირის გადასახადისაგან მათი განთავისუფლება.

მუშათა კლასის მოკავშირის, წვრილი ვაჭრებისა და სახელოსნოების მფლობელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად პარიზის კო-



კარლ მარქსი



ფრიდრიხ ენგელსი

მუნამ 3 წლით გადადო (პროცენტების დაურიცხავად) ყოველგვარი ვალის გადახდა, თამასუქის განაღდება და შეაჩერა გადახდის უნარის არმქონე დებიტორთა სასამართლო დევნა.

თქმა არ უნდა, კომუნამ სოციალ-ეკონომიურ დარგში ცოტა რისამე გაკეთება შეძლო, მაგრამ რაც გააკეთა ისიც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, საკმაო სიცხადით ააშკარავებს მის — კომუნის „სახალხო, მუშათა მთავრობის ხასიათს“ [1]. კომუნა ხომ ფაქტიურად ფრონტზე დაზავების პირობებში მოქმედებდა! კომუნის გამოცხადებიდან მეხუთე დღეს ვერსალის ხროვამ, კარგად გამოიყენა რა კომუნართა შეცდომები, სამხედრო მოქმედებები დაიწყო პარიზის წინააღმდეგ.

მაგრამ ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება კომუნის პროგრესული ღონისძიებები. მან სერიოზული ყურადღება მიაქცია კულტურისა და განათლების საქმეს, განიზრახა მისი გარდაქმნა და ხალხის სამსახურში ჩაყენება, რათა მისი ნაყოფით ესარგებლა არა ექსპლუატატორულ უმცირესობას, არამედ მშრომელ მასას.

კომუნამ თავიდანვე გამოავლინა თავისი რევოლუციური შეურიგებლობა ეკლესიისადმი, რომელიც წამლავდა მასების გონებას და მხარში ედგა ბურჟუებსა და მემამულეებს მშრომელთა არაადამიანურ ჩაგვრაში. კომუნამ ერთ-ერთი დეკრეტით ეკლესია ჩამოაშორა სახელმწიფოს (3 აპრილის დეკრ.), მოსპო კულტების ბიუჯეტი (ე. ი. კულტების მსახურთ მოუსპო სახელმწიფოსაგან ჯამაგირის მიცემა) და მღვდელთმსახურება კერძო საქმედ გამოაცხადა. ამ ანტიკლერიკალური ღონისძიების ლოგიკური გაგრძელება იყო ენერგიული ბრძოლის გაჩაღება საერო სკოლებში კათოლიკური სამღვდელოების გავლენის წინააღმდეგ. კულტის მსახურთათვის სკოლებში სწავლების უფლების აკრძალვა და მათი შეცვლა საერო მასწავლებლებით.

უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კომუნის განათლების კომისია ბლანკისტი ვაიანის ხელმძღვანელობით. მისი ინიციატივით კომუნამ გამოაცხადა სავალდებულო, უფასო და საერო სწავლება და გაბედულად შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. კომუნამ ჯეროვან სიმაღლემდე აიყვანა მასწავლებლის პროფესია, მნიშვნელოვნად გაადიდა მისი ხელფასი [2]. მასწავლებელი ქალის ხელფასი გაათანაბრა მამაკაცი მასწავლებლის ხელფასთან და შემოიღო სავალდებულო და უფასო სწავლება დაწყებით სკოლებში. მანვე გადადგა ნაბიჯები სწავლების პოლიტექნიზაციისაკენ, რომელიც მიზნად ისახავდა მეცნიერების დარგთა სწავლების შერწყმას ხელობის შესწავლასთან. სე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კომუნის ხსოვნას, თხზ., ტ. 17, გვ. 152—153.

[2] 400—600 ფრანკიდან 2000 ფრანკამდე.

რიოზული ყურადღება მიაქცია კომუნამ სკოლამდელ აღზრდას და შეიმუშავა პროექტი საბავშვო ბაღების შექმნის შესახებ.

დროის უქონლობის მიუხედავად კომუნამ ყურადღების გარეშე არ დატოვა ხელოვნების საქმეც. მან წამოიწყო მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია და ხელოვნების მუშაკთა ნაწილის საბოტაჟის დასაძლევად შექმნა მხატვართა ფედერაცია. ხელოვნების დარგში გატარებული სიახლეების ერთ-ერთი ავტორი და ორგანიზატორი იყო დიდი ფრანგი მხატვარი, კომუნართა თანამებრძოლი კურბე.

კომუნა, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფო

პარიზის კომუნა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო იყო. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებით, იგი წარმოადგენდა პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელიც სოციალისტურ ხასიათს ატარებდა.

„კომუნისტური მანიფესტის" 1872 წლის გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელსაც მარქსი და ენგელსი აწერდნენ ხელს, ავტორები „კომუნისტური პარტიის" პროგრამის ზოგიერთ პუნქტს მოძველებულად თვლიდნენ და ამას კომუნის გაკვეთილებზე მითითებით ასაბუთებდნენ. „განსაკუთრებით კომუნამ დაამტკიცა, — წერენ ისინი, — რომ მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის" [1].

ლ. კუგელმანისადმი 1871 წლის 12 აპრილს გაგზავნილ წერილში (ეს წერილი დაიწერა მაშინ, როდესაც გმირ კომუნარებს მხოლოდ პირველი ნაბიჯები ჰქონდათ გადადგმული) მარქსი სახელმწიფოს საკითხზე შემდეგს წერდა: „თუ გადახედავ ჩემი „თვრამეტი ბრიუმერის" უკანასკნელ თავს, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ცდად მე ვაცხადებ არა სამხედრო ბიუროკრატიული მანქანის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემას, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ მის დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ა ს; აი სწორედ ეს არის კონტინენტზე ყოველი ხალხური რევოლუციის წინაპირობა, ასეთია სწორედ ჩვენი გმირული პარიზელი პარტიული ამხანაგების ცდა" [2].

მართლაც, პარიზის მუშათა კლასმა და მისმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც რევოლუციური ხელისუფლების სათავეში მოექცნენ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 2.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 560.

18 მარტის სტიქიური სახალხო აჯანყების შედეგად, ნათელი პროგრამის უქონლობის მიუხედავად, დასძლიეს რა დოქტრინიორული ცრუმორწმუნეობანი, გამოღვიძებული მასების გენიალური ალღოს წყალობით გამოიჩინეს უდიდესი საზრისიანობა და ინიციატივა და გაბედულად დაადგნენ რევოლუციური შემოქმედების გზას. ასეთი ინიციატივა გამოიჩინეს მათ, კერძოდ, სახელმწიფოს საკითხში.

კომუნა არ წასულა ბურჟუაზიული რევოლუციების მიერ გაკაფული გზით და ხელუხლებლად არ დაუტოვებია ძველი პოლიციურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი. მან ხელი მიჰყო ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის სრულ განადგურებას და მის ნაცვლად ახალი დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოს შექმნას. ახალი ხელისუფლება, რომელიც აღმოცენდა პარიზის მშრომელთა რევოლუციური ინიციატივით ქვევიდან, თავისი წარმოშობით და ხასიათით წარმოადგენდა გამარჯვებული ხალხის დიქტატურას, რევოლუციურ დიქტატურას. ხელისუფლების ახალ ორგანოებში მან მიიზიდა მანამდე უცნობი, ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები, რომელთაც, მართალია, არ გააჩნდათ მართვის გამოცდილება, მაგრამ გამსჭვალული იყვნენ რევოლუციის საქმისადმი ერთგულებით.

კომუნა იყო „საქმიანი კოლეგია", რომელმაც უარყო ხელისუფლების ცნობილი დაყოფა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებად და თავის ხელში მოაქცია ორივე ფუნქცია. კომუნის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა აღმასრულებელი კომისია[1]. მმართველობის სხვადასხვა დარგების (უწყებების) სახელმძღვანელოდ კომუნამ თავისი რიგებიდან გამოყო 5—8 კაცისაგან შემდგარი კომისიები — განათლების, საგარეო საქმეთა, შრომის, ფინანსების. ყოველ კომისიას სათავეში ედგა დელეგატი (მინისტრი).

კომუნამ შემოიღო ყველა თანამდებობის პირთა არჩევა და გარკვეული ვადის შემდეგ მათი გადარჩევა. ამომრჩევლებს უფლება ჰქონდათ ყოველ დროს მოეთხოვათ იმათი უკან გამოწვევა და გადარჩევა, რომლებიც ვერ გაამართლებდნენ მათ იმედს. 2 აპრილის დეკრეტით კომუნამ უმაღლესი მოხელეების ხელფასი გაათანაბრა კვალიფიციური მუშის ხელფასთან და იგი 6000 ფრანკით განსაზღვრა. ამ ღონისძიებით მას სურდა ბოლო მოეღო უმაღლეს მოხელეთა პრივილეგიური ფენისათვის და უმაღლესი სახელმწიფო მოსამსახურენი გადააქცია „სხვა ფუნქციების მქონე მუშაკებად".

ერთ-ერთი პირველი დეკრეტით (29 მარტის) კომუნამ მოსპო მუდ-

---

[1] 1 მაისიდან იგი შეცვალა საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტმა, რომელიც საგანგებო რწმუნებებით იყო აღჭურვილი.

მივი არმია და შეცვალა იგი ეროვნული გვარდიით, რომელიც შეიარაღებული მუშებისა და სხვა დემოკრატიული წრეების წარმომადგენლებისაგან იყო დაკომპლექტებული. ახალ სახალხო არმიაში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ოფიცერთა პრივილეგიურ კასტას, გაუქრდა გენერლის ხარისხი, როგორც შეუთავსებელი ეროვნული გვარდიის დემოკრატიულ ტრადიციებთან და დაწესდა მეთაურთა შემადგენლობის არჩევნები ბატალიონების მიერ.

კომუნამ მოსპო, აგრეთვე, ძველი საიმპერატორო პოლიციაც — ექსპლუატატორული საზოგადოების ეს ერთ-ერთი საიმედო ბურჯი, და მისი ფუნქციები ხალხის წარმომადგენლებს გადასცა. კომუნა შეუდგა სასამართლო საქმის რეფორმას, რასაც საფუძვლად დაედო მოსამართლეთა არჩევითობა, სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა და თავისუფალი დაცვა.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს, ნაკარნახევს რევოლუციური ენთუზიაზმით, გამოღვიძებული მასების აღღოთი და ინიციატივით, უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ძირეულად ცვლიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივ დანიშნულებას და საფუძველს უყრიდნენ ახალი ტიპის სახელმწიფოს.

ზემოაღნიშნულ დარგებში კომუნის მიერ მოხდენილი ძირეული ცვლილებების ღრმა აზრს მკაფიოდ ახასიათებს ვ. ი. ლენინი: „ამრიგად, დამსხვრეული მანქანა კომუნამ შეცვალა თითქოს „მხოლოდ" უფრო სრული დემოკრატიით: მუდმივი არმიის მოსპობა, ყოველი თანამდებობის პირთა სრული არჩევითობა და გამოცვლის შესაძლებლობა. მაგრამ სინამდვილეში ეს „მხოლოდ" ნიშნავს ერთ დაწესებულებათა გიგანტურ შეცვლას პრინციპულად სხვა დაწესებულებებით... დემოკრატია, ისეთი უდიდესი სისრულითა და თანმიმდევრობით გატარებული, როგორც ეს საერთოდ წარმოსადგენია, ნაცვლად ბურჟუაზიული დემოკრატიისა იქცევა პროლეტარულ დემოკრატიად, ნაცვლად სახელმწიფოსი (— განსაკუთრებული ძალა გარკვეული კლასის დასათრგუნავად) რაღაც ისეთად, რაც უკვე არ არის საკუთრივ სახელმწიფო"[1]. პარიზის კომუნამ, რომელიც ფორმალურად მხოლოდ პარიზის მუნიციპალური ხელისუფლება იყო, მაგრამ მთელი საფრანგეთის მშრომელთა სახელით მოქმედებდა, შექმნა ისეთი ახალი ტიპის სახელმწიფო, პროლეტარული დემოკრატიის პირველი ისტორიული ნიმუში, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა სახელმწიფო ხელისუფლების გარდაქმნას მთელ საფრანგეთში — პროვინციებიდან კანტონებამდე (ე. ი. სოფლებამდე).

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ. 25, გვ. 516.

კონტრრევოლუციონერ მესაბოტაჟეთა ძირგამომთხრელი საქმიანობის აღმოფხვრისა და ხელისუფლების სახალხო ორგანოების ფორმირების პროცესში რევოლუციურმა პარიზმა არნახული ენერგია და უნარი გამოიჩინა. რევოლუციური ინტელიგენციისა და მუშათა ათეულმა წარმომადგენლებმა მიატოვეს თავიანთი სამუშაო და კომუნის დავალებით სათავეში ჩაუდგნენ მათთვის უცნობ და ძნელ საქმეს — მმართველობის საქმეს. სახალხო წიაღიდან გამოსულმა მანამდე უცნობმა ადამიანებმა, რომელთაც სრულებით არ გააჩნდათ მართვის გამოცდილება, რევოლუციის საქმისადმი ერთგულების წყალობით დაძლიეს ყოველგვარი სიძნელე. მათი რიგებიდან გამოვიდა ათეული ნიჭიერი ორგანიზატორი, რომლებიც უნარიანად უძღვებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ასეთები იყვნენ, მაგალითად, საფოსტო უწყების ხელმძღვანელი — მუშა ალბერტ ტეისი, ზარაფხანის გამგე—ბრინჯაოს მუშა კამელინი, ევროპული ტიპოგრაფიის უფროსი— დურგალი დებიკი, ჟან კლემანი, კომბი და სხვები.

კომუნა და მუშათა მასები

მუშაობის რთულსა და მძიმე პირობებში კომუნა ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნულ სოციალ-ეკონომიურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ღონისძიებათა ჩატარებას პარიზის მშრომელთა სისტემატური დახმარების გარეშე. პარიზის მუშების, ხელოსნებისა და მშრომელი ინტელიგენციის ფართო ფენები პარიზის კომუნას საკუთარ საქმედ თვლიდნენ. იგი ხომ მათი მთავრობა იყო. კომუნა თავის საქმიანობაში მუდამ ემყარებოდა მასებსა და მასობრივ რევოლუციურ ორგანიზაციებს, კერძოდ, მუშათა პოლიტიკურ კლუბებს. ასეთი კლუბები, შექმნილი პარიზის თითქმის ყველა რაიონში, ათასობით მშრომელს აერთიანებდა[1]. კლუბებში იხილებოდა და წყდებოდა ათეული საჭირბოროტო საკითხი, დაწყებული თავდაცვიდან დამთავრებული კომუნის სოციალ-ეკონომიური ღონისძიებით.

მათთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ პროფესიულ კავშირებს, რომელთა საქმიანობა კომუნის დროს არაჩვეულებრივად გამოცოცხლდა. მელითონეები, ხაბაზები, ყასბები და სხვა ხელოსნები ქმნიან ან ამტკიცებენ თავიანთ ორგანიზაციებს და მათი მეშვეობით მჭიდრო კავშირს ამყარებენ კომუნასთან. მასების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის საქმეში აქტიურ როლს ასრულებდნენ აგრეთვე ინტერნაციონალის სექციები, რომელთა რიცხვი 30-ს უდრიდა; კო-

---

[1] სხდომები ტარდებოდა სკოლებში, მერიებში, ეკლესია-მონასტრებში.

პერატივები და ისეთი ორგანიზაციები, როგორიც იყო ლეგიონერთა საბჭოები, რომლებიც აერთიანებდნენ ეროვნული გვარდიის ბატალიონების არჩეულ წარმომადგენლებს, მეთვალყურეთა კომიტეტი, სიფხიზლის კომიტეტები. მათი მეშვეობით ხორციელდებოდა ბრძოლა კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, საბოტაჟის აქტების გამოვლენა, ქალაქის ტრანსპორტის წესიერი მუშაობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვ. მუშათა მასები მოქმედებდნენ აგრეთვე რევოლუციური პრესის მეშვეობით.

მამაკაცებს მხარში ედგნენ და მათთან ერთად ენერგიულად იბრძოდნენ კომუნის საქმისათვის მშრომელი ქალებიც: კომუნართა დედები, დები, ცოლები. მათ შექმნეს ათეული მასობრივი რევოლუციური ორგანიზაცია, რომლებმაც ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა პარიზის კომუნის ისტორიაში. ასეთი იყო, მაგალითად, „პარიზის დამცველი და დაჭრილთა დამხმარე ქალთა კავშირი", რომლის სათავეში მდგომ ცენტრალურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა მუშა ქალი სოციალისტი ნატალი ლემენი. ამ კომიტეტის აქტიური წევრი იყო აგრეთვე რუსი რევოლუციონერი ემიგრანტი ქალი—ელისაბედ დმიტრიევა. მაისში, როცა ვერსალის კონტრრევოლუციური ხროვა პარიზის კარიბჭეს მიადგა, შეიქმნა სპეციალური ქალთა ბატალიონი, რომლის მეთაური იყო მგზნებარე რევოლუციონერი, გამოჩენილი კომუნარი ქალი, „მონმარტრის ქალწული", მწერალი და მასწავლებელი ლუიზ მიშელი.

მუშათა მასები თავიანთი მასობრივი ორგანიზაციებისა და პრესის მეშვეობით სისტემატურ კონტაქტში იყვნენ კომუნასთან და ზემოქმედებას ახდენდნენ მის საქმიანობაზე. მუშათა მასები მკაცრად აკრიტიკებდნენ კომუნის ხელმძღვანელთა შეცდომებსა და ხარვეზებს და თავიანთი ზემოქმედებით ეხმარებოდნენ მას ამ შეცდომების გამოსწორებაში. მშრომელები მოითხოვდნენ კომუნისაგან გაბედულ ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, უფრო ეფექტურ სოციალ-ეკონომიურ ღონისძიებებს, დაჯგუფებათა შორის არსებული ქიშპობის აღმოფხვრას, თავდაცვის უკეთ ორგანიზაციასა და სხვ. მუშებმა აიძულეს დაბრუნებულიყვნენ უკან და განეგრძოთ თავიანთი მუშაობა იმ პრუდონისტ კომუნარებს, რომლებმაც 15 მაისს, მტრის გააფთრებული შემოტევის დროს, დატოვეს თავიანთი პოსტები.

კომუნის ინტერნაციონალიზმი

პარიზის კომუნა — მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუცია ღრმად ინტერნაციონალური მოვლენა იყო. იგი მიილტვოდა

არა მარტო საფრანგეთის მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისაკენ, არამედ მსოფლიოს ყველა მშრომელებთან ძმური კავშირის გაბმისა და სალხთა შორის მშვიდობის დამყარებისაკენ. მარქსის თქმით, კომუნა „საფრანგეთის საზოგადოების ყველა ჯანსაღი ელემენტის ნამდვილი წარმომადგენელი იყო... ამასთანავე იგი როგორც მუშათა მთავრობა, როგორც შრომის განთავისუფლების გაბედული მოწინავე მებრძოლი, ინტერნაციონალურიც იყო. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... კომუნამ საფრანგეთს მთელი დედამიწის მუშები შემოუერთა“ [1]. ამიტომ იყო, რომ სხვა ქვეყნის მშრომელები და დემოკრატიული საზოგადოებრიობა უღიდესი აღტაცებით შეეგებნენ მას, საერთაშორისო რეაქცია და კონტრრევოლუციური ძალები კი — გაბოროტებული გააფთრებით. პირველებმა დაინახეს მასში დიადი მერმისის განთიადი, შრომის სუფევაზე, მშვიდობასა და სამართლიანობაზე დამყარებული საზოგადოების შექმნისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი, მეორეებმა — საკუთარი კლასობრივი ბატონობისათვის შექმნილი სასიკვდილო საფრთხე, საშიში კლასობრივი მტერი. ამიტომ იყო, რომ პირველები შეეცადნენ დახმარების ხელი გაეწოდებინათ კომუნარებისათვის, მეორეებმა კი ვერსალის ხროვასთან შეკრეს კავშირი კომუნისათვის შეერთებული ძალებით სასიკვდილო მახვილის ჩასაცემად.

ინტერნაციონალური სულისკვეთება ამოქმედებდათ პარიზელ რევოლუციონერებს, როცა კომუნის დადგენილებით მათ დაანგრიეს პარიზში ნაპოლეონ ბონაპარტის გამარჯვების აღსანიშნავად ამართული ვანდომის სვეტი, რომელიც შოვინიზმისა და მილიტარიზმის, „სამხედრო დიდების უზარმაზარ სიმბოლოდ“ იყო ქცეული. და ეს მოხდა გამარჯვებული პრუსიელებისა და ბონაპარტისტული ჯარის თვალწინ.

რევოლუციურმა პარიზმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესანიშნავი პრაქტიკული მაგალითი უჩვენა მსოფლიოს იმითაც, რომ თავის რიგებში მიიღო და უმაღლეს ორგანიზაციაში — კომუნის საბჭოში აირჩია უცხოელები — მენოტი გარიბალდი, რომელიც პარიზში არ იმყოფებოდა, და უნგრელი რევოლუციონერი ლეო ფრანკელი. მანვე დაუსწრებლად პარიზის ეროვნული გვარდიის სარდლად აირჩია იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი და გაძაერთიანებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორი, რევოლუციონერი დემოკრატი ჯუზეპე გარიბალდი. ინტერნაციონალური საქმისათვის გმირ კომუნარებთან ხელიხელჩაკიდებულნი ბარიკადებზე მამაცუ-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 606.

რად იბრძოდნენ პოლონელი, რუსი, იტალიელი, ბელგიელი და სხვა უცხოელი რევოლუციონერები. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლების დიადი საქმისათვის და თავისი სისხლი შეუერთა პარიზის მშრომელთა მიერ დაღვრილ სისხლის ნაკადს. „კომუნამ,—როგორც წერდა მარქსი, — ყველა უცხოელს პატივი მიანიჭა ბრძოლის ველზე დაცემულიყო უკვდავი საქმისათვის“ [1]. პარიზში მცხოვრებმა ბელგიელმა მშრომელებმა შექმნეს ნებაყოფლობითი „ბელგიელთა ლეგიონი“, რომელიც აქტიურად იბრძოდა ბრძოლის წინა ხაზზე.

პარიზის კომუნის გამოჩენილი წითელი მხედართმთავრები იყვნენ ცნობილი პოლონელი რევოლუციონერები, პოლონეთის 1863 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეები იაროსლავ დომბროვსკი და ვალერი ვრუბლევსკი, რომლებიც კომუნამ პარიზის დამცველების „მეთაურებად დააყენა“, რითაც პატივი სცა პოლონეთის გმირ შვილებს [2]. ერთიც და მეორეც სარდლობდნენ კომუნის არმიებს და ამ მაღალ პოსტებზე გამოავლინეს შესანიშნავი ნიჭი და თავდადება. ისინი ბოლომდე დარჩნენ საბრძოლო პოსტებზე და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ გაუგდიათ ხელიდან იარაღი. დიდი მამაცობით გამოირჩეოდნენ აგრეთვე პოლონელი ძმები ოკულოვიჩები და პოლონელი ქალი ანა პუსტოვოიცოვა. კომუნის საქმისათვის იბრძოდნენ რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი ემიგრანტი პეტრე ლავროვი, ელისაბედ დმიტრიევა, ანა კორვინ-კრუკოვსკაია (ჟაკლარი)...

კომუნის საქმისათვის იბრძოდნენ და ამ ბრძოლას სიცოცხლე შესწირეს ქართველი ხალხის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდა სტუდენტებმა ბაგრატიონმა და ფავლენიშვილმა. ისინი დაეცნენ ერთ-ერთი ბარიკადის დაცვის დროს.

კომუნა და გლეხობა

კომუნის ერთ-ერთი ძირითადი უბედურება, რომელიც მის ტრაგედიად იქცა, ის იყო, რომ მან ვერ შეძლო კავშირი გაება გლეხობასთან და რევოლუციის მხარეზე გადაეყვანა იგი. „1848—1871 წლების რევოლუციები საფრანგეთში დაიღუპნენ უმთავრესად იმიტომ, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ გლეხთა რეზერვები ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ“ [3].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 607.
[2] იქვე.
[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 413.

საფრანგეთის მუშათა კლასის სისუსტისა და ნაკლები შეგნებულობის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო გლეხობასთან — საფრანგეთის ძირითად მოსახლეობასთან — სუსტი კავშირი. გლეხთა შორის რევოლუციური მუშაობის შეუფასებლობამ სწორედ კომუნის დღეებში იჩინა თავი. გლეხობის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციურ პროლეტარიატსა და კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. გამარჯვების სასწორი იმის მხარეზე გადაიხრებოდა, ვინც შეძლებდა ამ დიდი რეზერვის საკუთარ მხარეზე გადაბირებას.

სწორი არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ კომუნარებმა ვერ შეაფასეს გლეხობასთან კავშირის დიდი მნიშვნელობა და არ გადადგეს რაიმე ნაბიჯი ამ მიმართულებით. არა, პარიზის კომუნა შეეცადა კავშირი გაება ფრანგ გლეხობასთან, გაეცნო მისთვის პარიზის რევოლუციური ხელისუფლების მიზნები და გაეთავისუფლებინა იგი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის გავლენისაგან. მან ორჯერ მიმართა გლეხობას საგანგებო მოწოდებით, რომელშიც წერდა: „პარიზს სურს, დაიხსომე ეს კარგად მიწის მუშავ, ბედუკუღმართო დღიურო მუშავ, წვრილო მესაკუთრევ, რომელსაც ტყავს გაძრობს მევახშე, ფერმერი, მოიჯარე, ყველა თქვენ, რომლებიც თესავთ, იღებთ ჭირნახულს, შრომობთ, ოფლს ღვრით, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენი შრომის უკეთესი წილი ერგოს რომელიმე უსაქმურს — პარიზს სურს მიწა გლეხობისათვის, წარმოების საშუალებები — მუშებისათვის, სამუშაო — ყველასათვის“ [1].

კომუნას სრული უფლება ჰქონდა გლეხობაში თავისი ბუნებრივი მოკავშირე დაენახა; მარქსი ამბობს: „ჩვენი გამარჯვება თქვენი ერთადერთი იმედია“[2], მაგრამ მათთვის ეს მოწოდება, ისე როგორც სხვა მსგავსი მოწოდებები, დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. იგი გლეხთა მილიონებამდე არ დასულა და არ აღუგზნია რევოლუციური სული. ამას პირველ ყოვლისა ხელი შეუშალა პარიზის გარემოცვამ ვერსალის კონტრრევოლუციისა და გერმანელთა ჯარების მიერ. ტიერის ხროვამ ყველა ზომა იღონა იმისათვის, რათა მოეწყვიტა „ამბოხებული“ რევოლუციური ქალაქი პროვინციისაგან, კერძოდ კი — გლეხობისაგან, რათა კომუნარებს არ მიეწვდინათ მათთვის მართალი ხმა. „მემამულეთა დეპუტატებმა“ კარგად იცოდნენ, — წერდა მარქსი, — რომ საკმაო იყო სამიოდე თვის განმავლობაში კომუნართა და პარიზსა და პროვინციებს შორის თავისუ-

---

[1] მოწოდების ავტორი იყო კომუნარი ქალი, მწერალი ანდრე ლეო.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 605.

ფალი მისვლა-მოსვლა დამყარებულიყო და ყველგან გლეხთა აჯანყება დაიწყებოდა"[1]. ვერაგმა მტერმა გარემოიცვა ქალაქი სიცრუის, ცილისწამების, ბოროტი ჭორების და ინსინუაციების ჩინური კედლით. ვერსალის კონტრრევოლუციამ კარგად გამოიყენა პარიზის მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი, მუშების პატრიოტიზმი და გლეხობის მისწრაფება ზავისაკენ, გლეხობის უმეცრება და მესაკუთრეობრივი ინსტინქტები და, როგორც 1848 წელს, ახლაც გაავრცელა ლეგენდა კომუნართა გამთანაბრებლურ „გამნაწილებლობის" შესახებ, რათა გლეხობაში ჩაენერგა უნდობლობა და შიში პარიზის მუშათა მიმართ, და მით საბოლოოდ აემხედრებინა გლეხობა კომუნართა წინააღმდეგ. ვერსალის კონტრრევოლუციური ხროვა და მისი ადგილობრივი აგენტურა მოუთხრობდნენ გლეხობას პარიზელების მიერ თითქოსდა ჩადენილ საშინელებათა, ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობათა შესახებ. კომუნარებს სწამებდნენ უღმერთობას, ძალმომრეობას, კანონის, წესრიგისა და საკუთრების წინააღმდეგ ამხედრებას. ის, რაც კომუნარებმა გლეხობასთან კავშირის დასამყარებლად გააკეთეს, სრულიად არასაკმარისი იყო. მათ ვერ შეძლეს გაერღვიათ ის სიცრუისა და ცილისწამების ჩინური კედელი, რომელიც თიშავდა მათ გლეხობისაგან. მთელ რიგ გარემოებათა მეოხებით და, რაც მთავარია, დროის სიმცირის გამო კომუნამ ვერ შეძლო განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი გლეხობასთან კავშირის შესახებ. მაგრამ „მთავარი რაც აკლდა კომუნას, — წერდა ვ. ი. ლენინი,—ის იყო; რომ მას არა ჰქონდა საკმაო დრო და თავისუფლება, რათა მიმოეხედა და თავის პროგრამის განხორციელებას შესდგომოდა"[2].

კომუნის მხარდამჭერი მოძრაობა პროვინციებში

პარიზის 18 მარტის რევოლუციის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული დანარჩენი საფრანგეთის, კერძოდ დიდი სამრეწველო ქალაქების მშრომელთა სოლიდარობისა და დახმარებისაგან. თუ უზრუნველყოფილი იქნებოდა ასეთი დახმარება და რევოლუციური ხანძარი პროვინციებსაც მოედებოდა, მაშინ კომუნარებს შეეძლოთ ვერსალის კონტრრევოლუციურ ხროვაზე გამარჯვების იმედი ჰქონოდათ. ამით ბოლო მოეღებოდა პარიზის კომუნის იზოლაციას და გამორიცხული არ იყო მისი განვრცობა საფრანგეთის მიღმაც.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 605.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კომუნის ხსოვნას, თხზ., ტ. 17, გვ. 152.

იმ რთული ვითარების მიუხედავად, რომელიც შექმნა საფრანგეთის დამარცხებამ და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციამ გერმანელ-პრუსიელების მიერ, კომუნის გამოცხადებამ მაინც სერიოზული გამოხმაურება პოვა საფრანგეთის პროვინციებში. საფრანგეთის ზოგიერთი ქალაქის მშრომელები შეეცადნენ მაშინვე მიებაძათ პარიზის მშრომელებისათვის, აეფრიალებინათ რევოლუციის დროშა და გამოეცხადებინათ კომუნები. ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა პირველ რიგში ლიონსა და მარსელში, იმ ქალაქებში, სადაც ძლიერი იყო რევოლუციური ტრადიციები, არსებობდა ინტერნაციონალის სექციები და მუშათა კლასიც მრავალრიცხოვანი იყო.

პირველად გამოვიდნენ ლიონის მშრომელები, 22 მარტს მათ ეროვნული გვარდიის ნაწილების დახმარებით ხელში ჩაიგდეს რატუშა, გადააყენეს პრეფექტი და შექმნეს დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა სამი დღის შემდეგ კომუნის გამოცხადება. მართალია, 26 მარტს, როდესაც ლიონში ჩამოვიდა პარიზის კომუნის დელეგაცია ამურუს ხელმძღვანელობით, მართლაც, კომუნა გამოცხადდა, მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდა. კომუნის გამოცხადების ორგანიზატორებს არ მიუღიათ ზომები ახლად გამოცხადებული ხელისუფლების განსამტკიცებლად, მუშებთან კავშირის დასამყარებლად, კონტრრევოლუციის ასალაგმავად და რევოლუციური შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. ამით ისარგებლეს ძველი საზოგადოებრივი წყობილების მომხრე ძალებმა, რომელთაც ადვილად შეძლეს თავიანთი ბატონობის აღდგენა. აპრილში ლიონის მშრომელები, ეროვნული გვარდიის პროლეტარული რაზმის დახმარებით, ხელმეორედ შეეცადნენ შეექმნათ კომუნა, მაგრამ ეს ცდაც წარუმატებელი აღმოჩნდა; გონს მოსულმა კონტრრევოლუციამ ერთგული ჯარების მეშვეობით სისხლის მორევში ჩაახშო იგი. პირველ მაისს აიღეს რატუშა. უკანასკნელ ბარიკადულ ბრძოლებში დაიღუპა რამდენიმე ათეული ლიონელი მშრომელი.

ლიონის მაგალითს მიჰბაძა მარსელმა. 23 მარტს მარსელში მოხდა სამდვილი სახალხო რევოლუცია, მუშებმა და ნაციონალური გვარდიის ნაწილებმა დაამხვეს ძველი ხელისუფლება, შეიპყრეს პრეფექტი და გამოაცხადეს მარსელის ავტონომიური ხელისუფლება. ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა პარიზთან და განეხორციელებინა ზოგიერთი პროლეტარული ღონისძიება, მაგრამ ნათელი გეგმის უქონლობის გამო, ძალიან ცოტა რამ გაკეთდა მოპოვებული გამარჯვების განსამტკიცებლად. 5 აპრილს მარსელის კომუნა 8-საათიანი გააფთრებული ბრძოლებისა და მარსელის მუშათა გმირული წინააღმდეგობის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა

ვერსალის ერთგული ჯარების მიერ.გამარჯვებულმა კონტრრევოლუციამ ვანდალური შეუბრალებლობით დახოცა, დახვრიტა და რონაში ჩაახრჩო კომუნისათვის მებრძოლი ასეული მარსელელი მებრძოლი.

რევოლუციურ გამოსვლებსა და კომუნების დაარსების ცდებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე კრეზოში (26 მარტს), სენ-ეტიენში (24 მარტს), ნარბონაში (24 მარტს), ტულუზაში, ლიმოჟში (4 აპრილს), ბორდოში (28 აპრილს), ბეზანსონში, პერპინიანში, ჰავრსა და რიგ სხვა ქალაქებში. მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონია ორგანიზებული ხასიათი. ზოგი მათგანი ხელისუფლებამ დასაწყისშივე ჩაახშო, ზოგიც განადგურებულ იქნა მთავრობის ჯარების მეშვეობით კომუნის გამოცხადებიდან 2-3 დღის შემდეგ. ერთიანი რევოლუციური ხელმძღვანელობის უქონლობა, აჯანყების პროცესში დაშვებული სერიოზული ტაქტიკური შეცდომები, აჯანყებათა ვათიშული ხასიათი, მშრომელთა არასათანადო მომწიფება, — აი რა იყო მათი დამარცხების მიზეზები. აღნიშნულის გამო პროვინციულმა კომუნებმა ვერ შეცვალეს ვითარება, ვერ შებოჭეს კონტრრევოლუციის ძალები და რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინეს პარიზის კომუნას. ეს უკანასკნელი ბოლომდე დარჩა იზოლირებული დანარჩენი საფრანგეთის მუშებისა და სხვა მშრომელებისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით პარიზის კომუნასაც მიუძღვის სერიოზული ბრალი ამ საქმეში. საფრანგეთის პროვინციულ ქალაქებში კომუნის მხარდამჭერ რევოლუციურ აჯანყებებს ასე იოლად ვერ გაანადგურებდა ვერსალის კონტრრევოლუციური ხროვა, კომუნარებს რომ დასაწყისშივე მომაკვდინებელი შეცდომა არ დაეშვათ. კომუნას რომ დაელაშქრა ვერსალი და შეტევითი ტაქტიკა მოემარჯვებინა, ამით იგი დიდ დახმარებას გაუწევდა მეგობრებს. პარიზის ამბებმა ალჟირშიც პოვა გამოძახილი. იგი აღინიშნა ევროპული მოსახლეობის მშრომელი ფენების რევოლუციური გამოსვლებით და ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეული აჯანყებებით. მაგრამ საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ საოკუპაციო სამხედრო ნაწილებით გაანადგურა ეს გამოსვლები.

კომუნის შეცდომები

კომუნის საქმიანობაში, ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ თავდაპირველ მომაკვდინებელ შეცდომებთან ერთად, იყო სხვა სერიოზული შეცდომებიც, რომლებმაც, რა თქმა უნდა, დააჩქარა კომუნის დაღუპვა.

კომუნარებმა ძნელად გასაგები მოკრძალება და თავშეკავება გამოიჩინეს ბურჟუაზიული საკუთრების მიმართ და ვერ გაბედეს სა-

სიკვდილო ლახვარი ჩაეცათ ბურჟუაზიული კლასის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციებისათვის. ფ. ენგელსი კომუნის დიდ პოლიტიკურ შეცდომად თვლიდა საფრანგეთის ბანკის კარიბჭესთან შეჩერებას. „კომუნის ხელში, — წერს იგი, — ბანკს ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ათი ათას მძევალს. ეს გამოიწვევდა მთელი საფრანგეთის ბურჟუაზიის ზემოქმედებას ვერსალის მთავრობაზე, რათა მას ზავი შეეკრა კომუნასთან“ [1].

ამ ბანკში კონცენტრირებული იყო უდიდესი ფასეულობა, რომელიც 3 მილიარდ ფრანკს აღემატებოდა (აქედან 1,3 მილიარდი ოქროთი და ფულის ნიშნებით). კომუნართა ხელში მისი გადასვლა ახალ ძალებს შემატებდა, სათანადო ფინანსურ ბაზას შეუქმნიდა მას და საგრძნობ დარტყმას მიაყენებდა ბურჟუა-ფინანსისტებს. მაგრამ კომუნამ ვერ შებედა ამ „ციხესიმაგრეს“ და არ მოახდინა მისი აქტივის კონფისკაცია. იგი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ბანკის მმართველთან გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელმაც კონტროლი ვერ გაუწია მის საქმიანობას და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად 16 მილიონ 690 ათასი ფრანკი „სესხი“ მიიღო მისგან. ამ უდიდესი დაუდევრობით და დამღუპველი შეცდომით კარგად ისარგებლა ვერსალის კონტრრევოლუციამ, რომელმაც ფარულად 257 მილიონი და 630 ათასი ფრანკი მიიღო იმავე ბანკიდან და ეს თანხა კომუნართა წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა.

აი როგორ აფასებს კომუნის ერთ-ერთი თანამედროვე კომუნართა ამ შეცდომას: „ყველა სერიოზული აჯანყება იწყებოდა იქიდან, რომ ანადგურებდნენ მტრის ნერვს — სალაროს. მხოლოდ კომუნამ უარყო ეს. მან გააუქმა ბიუჯეტი რელიგიური საჭიროებისათვის და მოკრძალებული თრთოლვით შეჩერდა უმაღლესი ბურჟუაზიის ბიუჯეტის წინაშე“.

ასეთივე მოკრძალება გამოიჩინა კომუნამ ბურჟუაზიის სხვა ეკონომიური ბურჯების წინაშეც. მან საჭიროდ არ ჩათვალა მოეხდინა რკინიგზის კომპანიების საკუთრების კონფისკაცია, კონტრიბუცია არ შეაწერა ქალაქიდან გაქცეულ ვაჭარ-მრეწველებს, არ შეასახლა მდიდართა ბინებში უბინაო მშრომელები.

კომუნა ერთხანს ისე მოქმედებდა, თითქოს მძაფრი სამოქალაქო ომის ნაცვლად სიმშვიდე და უსაფრთხოება არსებობდა. იგი განაგრძობდა მიუტევებელ „დიდსულოვნების“ გამოჩენას კლასობრივი მტრის მიმართ. საკვირველია, რატომ იტანდა იგი ბურჟუაზიულ პრე-

---

[1] კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში; კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 551.

სას, რომელიც პარიზში იბეჭდებოდა და აღვირახსნილ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდა რევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ. ქალაქში ფარულად შემოპარული ვერსალის ასეული აგენტი მავნებლობასა და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა კი სუსტად მიმდინარეობდა. კომუნამ მხოლოდ მაშინ შეცვალა ტაქტიკა და უფრო ეფექტური ზომები მიიღო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, როცა ასეული კომუნარი გაუსამართლებლად დახვრიტეს და აწამეს ტიერისა და მისი გენერლების ბრძანებით. ასეთი საპასუხო რეპრესიული ღონისძიება იყო, მაგალითად, ათეული კონტრრევოლუციური ელემენტის შეპყრობა, მათ შორის არქიეპისკოპოსისა და მათი მძევლებად გამოცხადება (ისინი კომუნის უკანასკნელ დღეებში დახვრიტეს).

ასევე დამღუპველი იყო კომუნის მოღვაწეობისათვის მისი უუნარობა — განსაკუთრებული ყურადღება მიექცია სამხედრო საქმისათვის და შეექმნა მაღალი დისციპლინისა და სამხედრო უნარის მქონე არმია. კომუნის განკარგულებაში იყო შესანიშნავი საბრძოლო მასალა — პარიზის რევოლუციური მასები — მუშები, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია და დიდძალი საომარი იარაღი — 1000 ზარბაზანი, დიდძალი ყუმბარები, თოფის წამალი, ახალი — შასპოს ტიპის თოფები. მაგრამ კომუნამ ვერ შეძლო სათანადოდ გამოეყენებინა ყოველივე ეს. ზარბაზნების უმეტესობა გამოუყენებელი იყო არტილერისტთა ნაკლებობის გამო, ხოლო ეროვნული გვარდიის კონტინგენტების საგრძნობი ნაწილი, კლასობრივ შეგნებულობაზე აგებული რევოლუციური დისციპლინის უქონლობის გამო, ზურგში იმყოფებოდა და კრიტიკულ მომენტშიც კი არ მონაწილეობდა საომარ ოპერაციებში. კომუნარებმა ბოლომდე დატოვეს მეთაურთა არჩევითობა. სამხედრო ნაწილების საარჩევნო ორგანიზაციებს ნება დართეს ჩარეულიყვნენ სარდლებისა და მეთაურთა ოპერატიულ განკარგულებებში, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს თავდაცვის საქმეს. ერთიანი ოპერატიული გეგმისა და საჭირო დისციპლინის უქონლობის გამო, ზოგიერთი ნაწილები თვითნებურად ტოვებდნენ პოზიციებს ან საკუთარი ინიციატივით ებმებოდნენ ბრძოლაში. მთავარსარდლობას არ ჰქონდა არავითარი საერთო სამოქმედო გეგმა. არ იყო რეზერვები, პოუგვარებელი იყო მათი შევსების საქმე და უმსგავსოდ იყო დაყენებული დაზვერვა და საგუშაგო სამსახური; ამიტომ იყო, რომ მტრის აგენტები თავისუფლად აღწევდნენ კომუნის სამხედრო ნაწილების ვანლაგებაში, აფუჭებდნენ ზარბაზნებს და მწყობრიდან გამოჰყავდათ ცალკეული საგუშაგოები.

განსაკუთრებით ცუდად იყო დაყენებული ეროვნული გვარდიის

სარდლობის საკითხი. მას თითქმის ერთი თვის განმავლობაში სარდლობდა კარიერისტი, ავანტიურისტი და უქნარა სამხედრო სპეციალისტი გენერალი კლოუზერე, რომელმაც ფაქტიურად ჩაშალა თავდაცვის საქმე. ამისათვის იგი პასუხისგებაში მისცეს და მისი პოსტი როსელს გადასცეს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ათ დღეს იყო ამ პოსტზე და, ისიც მოხსნეს. იგი ვერსალელებთან გაიქცა, სადაც შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. 9 მაისიდან ტრაგიკულ ფინალამდე არმიის სარდლობა დელეკლიუზს ებარა. იგი უშიშარი და თავდადებული მებრძოლი იყო, მაგრამ სამხედრო საქმეს სუსტად იცნობდა.

ინტერნაციონალის გენერალური საბჭო და პარიზის კომუნა. საერთაშორისო მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის გამოძახილი პარიზის კომუნაზე

18 მარტის რევოლუციამ და პარიზის კომუნის გამოცხადებამ ფართო გამოხმაურება პოვა მსოფლიოში. ამ აქტს აღფრთოვანებით შეეგება ინტერნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილი სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით მშრომელი. პირველი ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ, რომელსაც მარქსი ედგა სათავეში, და ინტერნაციონალის გერმანულმა, ინგლისურმა, შვეიცარულმა, ამერიკულმა სექციებმა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებმა სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს პარიზის კომუნას და რწმენა გამოთქვეს, რომ მის მიერ დაწყებული ბრძოლა, რომელიც მათი ღვიძლი საქმეც არის, წარმატებით დაგვირგვინდებოდა. გენერალური საბჭოს 1870 წლის სექტემბრის მოწოდებაში მარქსი ფრანგ მუშებს აფრთხილებდა — თავშეკავება და გონიერება გამოეჩინათ და მათი კლასობრივი ბრძოლისათვის უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში არ მოეხდინათ ნაადრევი გამოსვლა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ. „ყოველი ცდა ახალი მთავრობის დამხობისა, — წერდა იგი, — როცა მტერი უკვე პარიზის კარიბჭეზე აკაკუნებს, სასოწარკვეთილი უგუნურება იქნებოდა“ [1]. მაგრამ როცა 18 მარტის რევოლუცია ფაქტი გახდა, მარქსი, კატასტროფის მომასწავებელი ნიშნების მიუხედავად, აღტაცებით მიესალმა პირველ პროლეტარულ რევოლუციას და ქება-დიდება შეასხა მის გმირ მებრძოლებს: „რა მოქნილობა, რა ისტორიული ინიციატივა, რა თავგანწირვის უნარია ამ პარიზელებში!—აღტაცებით წერდა მარქსი კომუნართა პირველი

[1] კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში; კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 570—571.

ნაბიჯის შესახებ გერმანელ სოციალისტ კუგელმანისადმი 1871 წლის 12 აპრილს გაგზავნილ წერილში, — ისინი ჯანყდებიან, პრუსიული ხიშტებით გარშემორტყმულნი, თითქოს საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომი არასოდეს არ ყოფილიყოს, და მტერი თითქოს პარიზის ჭიშკართან არ მდგარიყოს! ისტორიამ არ იცის ამგვარი სიდიადის სხვა მაგალითი" [1].

პარიზის მშრომელთა სასახელო რევოლუციას. მისი წარუმატებელი პერსპექტივის მიუხედავად, მარქსი თვლიდა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ყველაზე დიად აქტად და სიამაყით მიიჩნევდა მას პირველი ინტერნაციონალის ყველაზე ბრწყინვალე ღვაწლად: „რაც არ უნდა მოხდეს, პარიზის ახლანდელი აჯანყება, ივნისის აჯანყებიდან მოკიდებული, ჩვენი პარტიის ბრწყინვალე ღვაწლს წარმოადგენს, — თუნდაც იგი დათრგუნვილ იქნეს ძველი საზოგადოების მგლების, ღორებისა და სულმდაბალი ძაღლების მიერ", — წერდა მარქსი დასახელებულ წერილში კუგელმანისადმი [2]. მარქსის შესედულებით, პარიზის კომუნის წყალობით მუშათა კლასის ბრძოლა ძველ საზოგადოებასთან ახალ ფაზაში შევიდა. „როგორც არ უნდა წავიდეს საქმე უშუალოდ ახლა, — წერდა იგი ლ. კუგელმანისადმი 1871 წლის 17 აპრილს გაგზავნილ წერილში, — მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ახალი გამოსავალი წერტილი მაინც მოპოვებულია" [3].

მართალია, მარქსი ფიზიკურად შორს იყო კომუნარებიდან და სურვილის შემთხვევაშიც არ შეეძლო პარიზში ჩასვლა, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა კომუნარებთან კონტაქტის დამყარებას თავისი ემისრის, ინტერნაციონალის წევრის სერაიესა და ერთ-ერთი გერმანელი ვაჭრის მეშვეობით, რომელიც სავაჭრო საქმეების გამო ხშირად მოგზაურობდა ლონდონსა და პარიზს შორის. მათი მეოხებით მარქსი პერიოდულად იგებდა პარიზის ამბებს და თანაც თავის რჩევა-დარიგებას და მითითებებს უგზავნიდა კომუნარებს.

კომუნარებისადმი ღრმა სიმპათიის მიუხედავად, მარქსმა მოურიდებლად ამხილა მათ მიერ დაშვებული მიუტევებელი შეცდომები, სამოქალაქო ომის წესების უგულებელყოფა, ზოგიერთ წვრილმან საქმეებზე დროის ფუჭად დაკარგვა და როგორც მოკეთემ პირში

---

[1] კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში; კ. მარქსი. ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 561.

[2] კ. მარქსი. დასახ. წერილი; კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 561.

[3] იქვე, ტ. II, გვ. 562—563.

პარიზის კომუნის მოღვაწეები



ბერლინის კონგრესის მონაწილენი

უთხრა სიმართლე: თუ დამარცხდებით, ამაში პირველ ყოვლისა თვით თქვენ იქნებით დამნაშავენი... მართალია, მარქსი არ იყო სამხედრო საქმის სპეციალისტი, მაგრამ იგი ამ დარგშიც არ აკლებდა კომუნარებს თავის რჩევა-დარიგებას. იგი მათ აფრთხილებდა: ტიერსა და ბისმარკს ფარული კავშირი აქვთ შეკრული. ბისმარკს არ ენდოთ, ფხიზლად იყავით, კარგად გაამაგრეთ პრუსიელ-გერმანელების მიერ ოკუპირებული ზონის ტერიტორია (მონმარტრის ჩრდილო მხარე), თორემ მოსალოდნელია იქიდან ვერსალის ჯარების შემოსვლა. საუბედუროდ კომუნარებმა ყური არ ათხოვეს მარქსის ამ გაფრთხილებას, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ.

მარქსი არასაკმაოდ მიიჩნევდა კომუნართა ღონისძიებებს პარიზში მოკალათებულ აშკარა და ფარული კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, უსაყვედურებდა კლასობრივი მტრისადმი ლმობიერებას და ურჩევდა მათ მიეღოთ უფრო გაბედული და ეფექტური ზომები შინაური და გარეშე მტრის უვნებელსაყოფად. მარქსი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა იმისათვის, რომ გაეფანტა ევროპის ბურჟუაზიულ პრესაში ფრანგ კომუნართა წინააღმდეგ გაჩაღებული ბოროტი ცილისწამებისა და ინსინუაციების კამპანია და სწორი ცნობები მოეწოდებინა მათ შესახებ მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. მარქსის ინიციატივით გენერალურმა საბჭომ თავისი მდივან-კორესპონდენტების მეშვეობით დაგზავნა რამდენიმე ასეული წერილი, რომლებშიც განმარტებული იყო პარიზის რევოლუციის ჭეშმარიტი არსი. როგორც ლ. ფრენკელისა და ლ. ვარლენისადმი 1871 წლის 13 მაისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, მარქსს თვით ინგლისის ბურჟუაზიულ გაზეთებშიც კი დაუწერია კომუნისადმი თანაგრძნობის გამომხატველი წერილები [1]. მარქსისვე ინიციატივით ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ არაერთხელ განიხილა პარიზის კომუნის საკითხი და დასახა მისადმი დახმარების ღონისძიებები. დაბოლოს, გენერალურმა საბჭომ ინტერნაციონალის რიგებიდან გარიცხა ფრანგი სოციალისტი ტოლენი, რომელმაც ღალატის აქტი ჩაიდინა და ვერსალელთა მხარეზე გადავიდა. დაბოლოს, მარქსისა და ენგელსის უშუალო ხელმძღვანელობით გენერალურმა საბჭომ და მისმა სექციებმა გააჩაღეს მასობრივი კამპანია ემიგრანტ კომუნარებისადმი ფულადი და სხვა დახმარების აღმოსაჩენად. ვ. ი. ლენინი მარქსს უწოდებდა იმ მასობრივი ბრძოლის მონაწილეს, რომელსაც

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 33, стр. 189.

იგი „ლონდონში დევნილი, თავისი დამახასიათებელი გატაცებითა და გზნებით განიცდიდა“ [1].

გერმანიის პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი აღტაცებით შეეგება პარიზის კომუნის დაბადებას და საჯაროდ გამოუცხადა მას თავისი სოლიდარობა. მისმა ლიდერებმა ავგუსტ ბებელმა და ვილჰელმ ლიბკნეხტმა, როგორც რაიხსტაგის ტრიბუნიდან, ისე სოციალისტთა გაზეთ „ფოლკსშტაატში“ („სახალხო სახელმწიფო“) მოთავსებულ წერილში, ხაზგასმით აღნიშნეს პარიზელ კომუნართა ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ნიღაბი ჩამოხსნეს გერმანიის გაბატონებული კლასების აგრესიულ პოლიტიკას და მათ ფარულ მორიგებას ვერსალის კონტრრევოლუციასთან. 1871 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვეებში ბერლინში, ჰამბურგში, დრეზდენში, ხემნიცში, ჰანოვერში, ბრანდენბურგში, მიუნხენსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში გაიმართა პარიზის კომუნისადმი სოლიდარობის კრებები. 1871 წლის 25 მაისს ბებელმა რაიხსტაგში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც გამოთქვა რწმენა, რომ ახლო მომავალში პარიზელ კომუნართა განმათავისუფლებელი ლოზუნგები მთელი ევროპის მუშათა კლასის საბრძოლო მოწოდებები იქნებაო.

ფრანგი კომუნარებისადმი ევროპის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ამსახველი ახალი საინტერესო მასალები, რომლებიც ახლახან გამოქვეყნდა, ერთხელ კიდევ ნათელყოფს ამ სოლიდარობის კამპანიის ფართო და ორგანიზებულ ხასიათს. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, შვეიცარიის, აშშ და ევროპის სხვა ქვეყნების მუშათა კლასი არა თუ მაშინვე მხურვალედ გამოეხმაურა პარიზის კომუნის გამარჯვებას, არამედ კლასობრივი ალღოთი ჩასწვდა ამ გამარჯვების უდიდეს ინტერნაციონალურ მნიშვნელობას: „მთელმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა, — წერდა ენგელსი, — ლისაბონიდან და ნიუ-იორკიდან ბუდაპეშტამდე და ბელგრადამდე მაშინვე თავის თავზე აიღო უშუალო პასუხისმგებლობა პარიზის კომუნის საქმისათვის“ [2].

ამ ახალი მასალებიდან ვიგებთ, რომ შვეიცარიაში, სადაც არსებობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლება, მუშები I ინტერნაციონალის ადგილობრივი სექციების ხელმძღვანელობით აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ სიმპათიას პარიზის კომუნისადმი. ამ

[1] ვ. ი. ლენინი. წინასიტყვაობა კ. მარქსის წერილების რუსული თარგმანისა, თხზ., ტ. 12, გვ. 119.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Эмигрантская литература, Соч., т. 18, стр. 516.

სოლიდარობის კამპანიის საქმეში დიდ როლს ასრულებდა ინტერნაციონალის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე—ჟენევის გერმანელ მუშათა სექციის ხელმძღვანელი და ჟურნალ „ფორბოტის“ („მაუწყებელი“) რედაქტორი ა. ბეკერი. ავსტრია-უნგრეთში იმპერიის ხელისუფლებამ ოთხი თვის პატიმრობა და ფულადი ჯარიმა მიუსაჯა გაზეთ „ფოლკსვილის“ („ხალხის ნება“) რედაქტორს, ა. შეის იმისათვის, რომ თავის გაზეთში საჯაროდ დაიცვა პარიზის კომუნა და კომუნართა საქმეს კაცობრიობის განთავისუფლების საქმე უწოდა.

პარიზის კომუნას, როგორც „პროლეტართა პირველ რესპუბლიკას“, მხურვალედ მიესალმენ და საჯაროდ გამოექომაგენ პირველი ინტერნაციონალის რუსული სექციის წევრები, ბულგარელი სოციალისტი ქრისტო ბოტევი, ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი და სწავლული ედუარდ ს. ბიზლი, მეორე ინგლისელი პროგრესული პუბლიცისტი ფრ. ჰარისონი, ამერიკელი რადიკალი პუბლიცისტი ლიტონი და ბევრი სხვა ჰუმანისტი და დემოკრატი მოაზროვნე. როგორც ცნობილია, ასეთივე გამოხმაურება პოვა პარიზის კომუნართა გმირულმა ბრძოლამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნისათვის რუსეთსა და საქართველოში. ამ ქვეყნების პროგრესული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი წარმომადგენლები (გონჩაროვი, ნეკრასოვი, უსპენსკი—რუსეთში. ი. ჭავჭავაძე. ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე — საქართველოში) გულმხურვალედ მიესალმენ კომუნის აღმოცენებას, მოიწონეს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული ღონისძიებები, სრული სოლიდარობა გამოუცხადეს ვერსალის კონტრრევოლუციისა და პრუსიულ-გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ პარიზელ კომუნარებს და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს მათი მტრები.

ვერსალელთა და პრუსიელთა კავშირი კომუნის ჩასახშობად. ბრძოლა ვერსალის კონტრრევოლუციასთან

კომუნარებს ძალიან ძვირად დაუჯდათ პირველ დღეებში დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომა — თავდაცვაზე გადასვლა, პარიზში დაბანაკებული ჯარის გაშვება, ვერსალის დაულაშქრობა, მონვალერიანის ფორტის მტრისათვის დანებება და ტიერისათვის დროის მოგების საშუალების მიცემა. სანამ კომუნარები ამბების მშვიდობიანად დასრულების ილუზიებით იკვებებოდნენ და შინაგანი საქმეების მოგვარებით იყვნენ გართულნი, ტიერმა მოახერხა რეგულარული

არმიის ნაშთებისაგან შეექმნა, გაეწვრთნა და კომუნარების წინააღმდეგ დაეგზავნა 40-ათასიანი არმია, რომელზეც ტიერმა თქვა—„ერთი უმშვენიერესი არმიათაგანი, როგორიც ოდესმე ჰყოლია საფრანგეთს". სინამდვილეში კი ეს იყო არყით დამთვრალი, კონტრრევოლუციური აგიტაციის შხამით გაჟღენთილი ნაძირალების ბანდა. 2 აპრილს ტიერმა ეს ჯარი დაძრა პარიზისაკენ.

ამ შეტევის პასუხად 3—4 აპრილს კომუნამ თვითონ მოაწყო უკვე დაგეგმილებული და მოუმზადებელი შეტევა ვერსალის მიმართულებით, რომელიც სრული მარცხით დამთავრდა. ბრძოლაში დაიღუპა ასობით მამაცი ეროვნული გვარდიელი. ტყვედ ჩავარდნილი კომუნარები გაუსამართლებლად დახვრიტეს გენერალ ვინუას განკარგულებით. მაშინ დაიღუპენ კომუნარი მებრძოლები დიუვალი და ფლურანსი.

ვერსალის კონტრრევოლუციას პარიზის კომუნის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური დასმარება აღმოუჩინეს გერმანელ-პრუსიელმა ინტერვენტებმა. ვილჰელმ I-მა, ბისმარკმა და ახლადშობილი იმპერიის სხვა რეაქციონერმა თავკაცებმა კომუნაში საერთო კლასობრივი ბრერი დაინახეს, და მაშინვე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს ტიერის მთავრობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და ერთობლივი ღონისძიებით რევოლუციის კერის ჩასახშობად. ბისმარკის განკარგულებით გერმანია-პრუსიის არმიის სარდლობამ გაათავისუფლა 100 ათასი ტყვე ფრანგი ჯარისკაცი. ოკუპანტები დაეხმარენ ტიერის მთავრობას ოკუპირებული ტერიტორიიდან არაოკუპირებულ ტერიტორიაზე მათ გადაყვანაში. ტიერმა მათგან მალე შექმნა ახალი არმია, რომელიც პარიზს მიუსია. გერმანია-პრუსიის არმიის სარდლობამ მითითება მისცა პარიზის გარემომცველი კორპუსის (მე-3) მეთაურებს. კონტაქტი დაემყარებინათ ვერსალის არმიის სარდლობასთან და ზოგიერთ შემთხვევაში გაეტარებინათ თავიანთ უბნებზე ფრანგული კონტინგენტები სტრატეგიული ზონების დასაკავებლად. მკაცრად იქნა გაფრთხილებული გარემომცველი კორპუსის ოფიცრობა—არ დაეშვა რაიმე სახის კონტაქტი კომუნარებსა და გერმანელ ჯარისკაცებს შორის, ხელი შეეშალა მეზობელი სოფლებიდან პარიზში სურსათ-სანოვაგის შეზიდვისათვის, აღეკვეთა კომუნარებისა და შემოგარენი რაიონების მოსახლეობის დაკავშირების შესაძლებლობა, არ გაეშვა ქალაქიდან კომუნის მომხრეები და დაუყოვნებლივ გადაეცა ვერსალელთათვის ტყვედ ჩაგდებული კომუნარები. ბისმარკი იმითაც დაეხმარა ვერსალის მთავრობას, რომ კომუნის წარმომადგენლებთან წამოიწყო მოლაპარაკება ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრუ-

ლების დასადებად. სინამდვილეში ეს იყო ყალბი, პროვოკაციული ნაბიჯი, რომლის ამოცანა იყო დაეხერგათ კომუნის ხელმძღვანელებში ილუზია, ხელი შეეშალათ მათი სამხედრო ღონისძიებებისათვის. ვერსალელებისათვის კი დროის მოგების საშუალება მიეცათ. ბისმარკი მზად იყო მთელი თავისი არმია დაეძრა რევოლუციური პარიზის წინააღმდეგ, თუ ტიერის კონტრრევოლუცია გერმანიის ზემოაღნიშნული დახმარებით ვერ შეძლებდა სისხლის მორევში ჩაეხშო პარიზის კომუნა [1].

6 აპრილს ვერსალის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი მაკ-მაონი. ამ უკანასკნელს თანამემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლით სურდა გამოესყიდა ის სამარცხვინო მარცხი, რაც მან სედანთან იწვნია. 9 აპრილს ვერსალის არმია მიუახლოვდა პარიზის გარეუბნებს და ზარბაზნები დაუშინა დედაქალაქს. მთავარი იერიშები ვერსალის არმიამ იმ ფორტების წინააღმდეგ მიიტანა (ისი, ვანგი), რომლებიც ხელს უშლიდნენ მის წინსვლას ქალაქის ცენტრისაკენ.

კომუნარები უდიდესი გაოფთრებითა და თავგანწირვით უწევდნენ წინააღმდეგობას ჯარს, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ და გამხეცებულ არმიას. მაგრამ მათ გმირულ შემართებასა და თავდადებას, ძალიან ცუდად დაყენებული სამხედრო საქმისა და ეროვნული გვარდიის სარდლობის დაუდეგრობის პირობებში, არ შეეძლო მოეხდინა გარდატეხა საომარ ოპერაციათა მიმდინარეობაში. საქმეს ვერც იმან უშველა, რომ კომუნარებმა ყველაზე საშიში უბნების დაცვა ჩააბარეს ისეთ ნიჭიერ და სამხედრო საქმის კარგ მცოდნეებს, როგორებიც იყვნენ პოლონელი რევოლუციონერები — დომბროვსკი და ვრუბლევსკი. აპრილის მეორე ნახევარში ვერსალის არმიის რიცხვმა 100 ათას კაცს გადააჭარბა. კომუნარებს კი მისთვის შეეძლოთ დაეპირისპირებინათ 30-35 ათასი მებრძოლი. ცალკეული ნებაყოფლობითი რაზმები — „პარიზის შურისმაძიებლები", „ფლურანსის შურისმაძიებლები", „რევოლუციის ნებაყოფლობითი მსროლელები" — რევოლუციისათვის თავდადებისა და შეუპოვრობის იშვიათ ნიმუშებს იძლეოდნენ. მამაკაცებს მხარში ედგნენ ქალები და მოზარდები, მაგრამ ეროვნული გვარდიის შენაერთთა დიდ ნაწილს სარდლობა ძველებურად არასაკმაოდ იყენებდა. ვერ მოხერხდა დისციპლინის დამყარება; ოფიცერთა შორის გამძვრალი ვერსალის ფა-

---

[1] არანაკლები ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს საფრანგეთში მიმდინარე ამბებს პეტერბურგში, ვენასა და სხვა სატახტო ქალაქებში. ევროპის რეაქციული წრეებიც მზად იყვნენ გერმანიის იმპერიასთან ერთად მოეხდინათ ინტერვენცია რევოლუციური პარიზის წინააღმდეგ.

რული აგენტები ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ თავდაცვის საქმეს, მათ წინააღმდეგ ბრძოლა კი სუსტად წარმოებდა. კომუნის რიგებში არსებული შინაბრძოლა და კინკლაობა მრისხანე დღეებშიც გრძელდებოდა და აფერხებდა პარიზის რევოლუციური ძალების საბრძოლო დარაზმვას.

აპრილის პირველ ნახევარში დაწყებული ბრძოლა მაისის 20 რიცხვისათვის დამთავრდა პარიზის ყველა სიმაგრის ვერსალელთა ხელში გადასვლით. ვერსალის არმიის სარდლობამ გააძლიერა გმირი ქალაქის საარტილერიო დაბომბვა და მოემზადა მის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. რევოლუციური ქალაქის დამცველთა საგრძნობი ნაწილი გმირული სიკვდილით დაეცა ვერაგ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

მაისის სისხლიანი კვირა

21 მაისს (კვირას) ვერსალის ჯარები მავნებლური დაუდევრობისა თუ გამცემლობის წყალობით დაუცველად დარჩენილ სენ-კლუს ალაყაფის კარებიდან პარიზში შეიჭრნენ. ერთი დღის ბრძოლის შემდეგ მტერმა ხელთ იგდო სხვა კარიბჭეებიც, საიდანაც მტრის ახალი ძალები მიესივნენ რევოლუციურ ქალაქს. სასიკვდილო საფრთხემ არნახული ენერგია და გმირული სული შთაბერა კომუნარებს. რევოლუციის დასაცავად აღსდგა მთელი მშრომელი პარიზი. მამაკაცებს მხარში ამოუდგნენ ქალები, მოზარდები და მოხუცები; ქალაქი ბარიკადებით დაიფარა — სულ აღიმართა 500 ბარიკადი. ქალები და მოზარდები არა მარტო ბარიკადების აგებაში ეხმარებოდნენ თავიანთ ძმებს, მამებსა და ქმრებს, არამედ ბარიკადების დაცვაშიც მათთან ერთად იყვნენ. მტრის მრავალრიცხოვან ჯარბ ძალებს დაუპირისპირდა მშრომელთა უსაზღვრო ენთუზიაზმი და თავგანწირვა. მტრის განზრახვა, ერთი დარტყმით დაუფლებოდა ქალაქის ცენტრს, ჩაშალა დამცველთა გმირულმა წინააღმდეგობამ. ბრძოლა წარმოებდა ყოველი ქუჩისა და სახლისათვის. ხშირად ცალკეული ბარიკადი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. ვერსალის არმია ზარბაზნებით ანგრევდა შენობებს, სპობდა ბარიკადებს, გაუსამართლებლად ხვრეტდა ტყვედ ჩაგდებულ მის დამცველებს — ასაკისა და სქესის განურჩევლად და თანდათანობით მიიწევდა ცენტრისაკენ.

24 მაისს კომუნარები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ რატუშა და მე-11 ოლქის მერიისაკენ დაეხიათ. 25 მაისისათვის ბურჟუაზიული კვარტალები მთლიანად ვერსალელთა ხელში გადავიდა და ბრძოლამ პროლეტარული რაიონებისაკენ გადაინაცვლა. აქ კომუ-

ნართა წინააღმდეგობა კიდევ უფრო შეუპოვარი გახდა. ამ ბრძოლებში დაეცნენ გმირულად დომბროვსკი და დელეკლიუზი, რომელთა ადგილები ვრუბლევსკიმ და ვარლენმა დაიკავეს. ყველა მშრომელი, ვისაც კი შეეძლო იარაღის სროლა, ბარიკადებზე იბრძოდა, იბრძოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ბარიკადულ ბრძოლებში მონაწილეობდა მრავალი უცხოელი და 10 ათასი კომუნარი ქალი, გმირი კომუნარი ქალის ლუიზ მიშელის მეთაურობით.

ერთი კვირა გაგრძელდა კომუნარების უთანასწორო გმირული ბრძოლა ვერსალის ჯარების წინააღმდეგ. უკანასკნელი სისხლიანი ბრძოლები მიმდინარეობდა მუშათა რაიონებში — ბელვილში, შომონში, სენტ-ანტუანის გარეუბნებში... კომუნის დამცველები ხშირად თვითონ გადადიოდნენ კონტრშეტევებზე. იცავდნენ ყოველ ბარიკადს, სანამ ჰქონდათ ტყვია-წამალი და ერთიმეორეზე არ იღუპებოდნენ მისი მამაცი დამცველები. ბარიკადების დამცველებიც და ყველა ტყვედ ჩავარდნილი კვდებოდა მამაცური შეძახილით: „გაუმარჯოს კაცობრიობას", „გაუმარჯოს კომუნას" [1]. 27 მაისს კომუნარებმა უკანასკნელი გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. გამხეცებულმა ვერსალელმა ჯალათებმა ასეული ტყვე-კომუნარი იქვე სასაფლაოს კედლებთან დააყენეს და დახვრიტეს. 28 მაისს (კვირას) ვერსალელებმა ბოლო მოუღეს კომუნართა წინააღმდეგობის უკანასკნელ კერას რამპონოს ქუჩაზე.

ამით დამთავრდა „სისხლიანი კვირა", დამთავრდა ბრძოლა გმირ კომუნარებსა და ტიერის სისხლისაგან გამხეცებულ ჯალათებს შორის. კომუნა დაიღუპა, დაიღუპა ისე, რომ ვერც კი მოასწრო ფრთების გაშლა.

გაუგონარი იყო აღვირახსნილი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის შურისძიება „თავნება" ფრანგი კომუნარების მიმართ. სისხ-

---

1 მხოლოდ კომუნართა მცირე ნაწილმა მოახერხა დამალვა, მტრის რკალიდან გასვლა და ემიგრაციაში წასვლა. ასეული კომუნარი გააპარეს გერმანელმა ჯარისკაცებმა, მიუხედავად იმისა, რომ სარდლობის მიერ მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, მათ განლაგებაში გადასული „მეამბოხეები" შეეპყროთ და ვერსალელებისათვის გადაეცათ. პარიზში დამალულ კომუნარებს დიდი დახმარება აღმოუჩინა მარქსმა, რომელმაც საიმედო პირის მეშვეობით მზა პასპორტები გაუგზავნა მათ. ამ პასპორტებით კი მათ შეძლეს გასხლტომოდნენ მტრის რისხვასა და საზღვარგარეთ გახიზნულიყვნენ. ლონდონში მარქსმა ფეხზე დააყენა ყველა მისი მომხრე და კეთილი ნების ადამიანი, რათა დახმარება აღმოეჩინა იქ თავმოყრილ კომუნარ ლტოლვილთათვის სურსათით, დროებითი თავშესაფარის გამონახვით და სამუშაოზე მოწყობით.

ლიან მაისის კვირას მათ დახვრიტეს 30 ათასზე მეტი კაცი, დაატუსაღეს 50 ათასი, მათ შორის ათასამდე ქალი და 500 ბავშვი. ამათგან საბრალდებულო განაჩენი გამოუტანეს 10037 კაცს. ძალთ შორის ასეულს — სასიკვდილო. დატუსაღებულთა უმრავლესობა, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ციხეებში ჩაჰყარეს ან ახალ კალედონიასა და სხვა ადგილებში გადაასახლეს. სამხედრო-საველე სასამართლოები 1873 წლამდე განაგრძობდა მძვინვარებას [1].

ამ სისხლიანმა ანგარიშსწორებამ საფრანგეთის მამაცი მუშათა კლასი დატოვა უთავშესაფროდ, უმეთაუროდ, თითქმის ათი წლით ამოაგდო პოლიტიკური ბრძოლის სარბიელიდან.

კომუნის დამარცხების მიზეზები, გაკვეთილები და მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა

კომუნა დამარცხდა იმიტომ, რომ მას ჩამოშორდნენ გუშინდელი მოკავშირეები — წვრილი ბურჟუები და ბურჟუაზიული რესპუბლიკელები. არავინ დაუჭირა მხარი მას — არც პროვინციების მუშათა კლასმა, არც გლეხობამ და არც სხვა ქვეყნის მშრომელებმა. კომუნამ დაუშვა მეტად მძიმე და საბედისწერო შეცდომები როგორც სამხედრო დარგში, ისე სოციალ-ეკონომიურ სფეროში, რომელთა გამოსწორება მან ვერ შეძლო დროის სიმცირის გამო. კომუნა დამარცხდა იმიტომ, რომ არ გააჩნდა გარკვეული სამოქმედო გეგმა საქმიანობის არც ერთ დარგში. მისი დამარცხება დააჩქარა იმ ლმობიერებამ, სულგრძელობამ და დიდსულოვნებამ, რაც მან გამოიჩინა კლასობრივი მტრის მიმართ, რასაც ზედ დაერთო მიუტევებელი მორცხვობა და გაუბედაობა ბურჟუაზიული კერძო საკუთრებისადმი. დაბოლოს, კომუნის განადგურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო გერმანელ-პრუსიელ მილიტარისტთა აქტიური მხარდაჭერა ვერსალის კონტრრევოლუციისადმი.

კომუნის მიერ დაშვებული შეცდომები ძირითადად ეპოქის „ნაკლიდან" გამომდინარეობდა. იმდროინდელი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ძირითადი ნაკლი, რამაც განაპირობა კომუნის სისუსტე და მისი დამარცხება, იმაში მდგომარეობდა, რომ მუშათა კლასს არ ჰყავდა საკუთარი რევოლუციური ავანგარდი, მოწინავე თეორიით შეიარაღებული პოლიტიკური პარტია.

„ძლევამოსილი სოციალური რევოლუციისათვის, — წერდა

---

[1] ვერსალის სისხლიანი რეპრესიების დროს შეიპყრეს 1725 უცხოელი. მათ შორის 737 ბელგიელი, 500—600 პოლონელი, 215 — იტალიელი (უმეტესად გარიბალდიელები).

ვ. ი. ლენინი, — საჭიროა ორი პირობა მაინც: საწარმოო ძალთა მაღალი განვითარება და პროლეტარიატის მომზადებულობა. მაგრამ 1871 წელს არც ერთი ეს პირობა არ იყო. საფრანგეთის კაპიტალიზმი ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული... არ არსებობდა მუშათა პარტია, არ იყო მომზადებული და ხანგრძლივ გაწვრთნილი მუშათა კლასი, რომელსაც მასობრივად სავსებით არც კი ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი თავისი ამოცანები და მათი განხორციელების საშუალებები" [1].

პარიზის კომუნას, ხანმოკლე არსებობისა და მის მიერ დაშვებული დიდი შეცდომების მიუხედავად, ძალიან დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს მშრომელებზე, გააძლიერა მუშათა კლასის საბრძოლო სულისკვეთება და მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციურ-სოციალისტურ პროპაგანდას. მის მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება საფუძვლიანად გამოიყენა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასმა შემდგომ კლასობრივ ბრძოლებში. მის მიღწევებზე, შეცდომებსა და ისტორიულ გამოცდილებაზე აღიზარდა რევოლუციური მუშათა კლასის მთელი თაობები.

მარქსმა, ენგელსმა და ვ. ი. ლენინმა თავიანთ ნაზრევში პარიზის კომუნის შესახებ, მოგვცეს ამ მსოფლიო-ისტორიული მოვლენის ამომწურავი ანალიზი. მათ სახელთანაა დაკავშირებული კომუნის ხასიათის, ისტორიული მნიშვნელობის, შეცდომებისა და დამარცხების მიზეზების ღრმამეცნიერული შეფასება.

ვ. ი. ლენინი პარიზის კომუნას თვლიდა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პირველ ისტორიულ ცდად, ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლებას კი — მის განვითარებად და ლოგიკურ დამთავრებად.

„ყველა შეცდომის მიუხედავად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კომუნა უდიდესი ნიმუშია XIX საუკუნის უდიდესი პროლეტარული მოძრაობისა... რა დიდიც არ უნდა იყოს კომუნის მსხვერპლი, იგი ნაზღაურდება იმ მნიშვნელობით, რომელიც კომუნას აქვს საერთოპროლეტარული ბრძოლისათვის" [2].

მარქსის თქმით, კომუნა „...არსებითად მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა იყო, შედეგი მწარმოებელი კლასის ბრძოლისა მიმთვისებელი კლასის წინააღმდეგ, დაბოლოს, აღმოჩენილი პოლიტი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კომუნის ხსოვნას, თხზ., ტ. 17, გვ. 151—152.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კომუნის გაკვეთილები, თხზ., ტ. 13, გვ. 601.

კური ფორმა, რომელშიც შეიძლებოდა შრომის ეკონომიური განთავისუფლება“ [1].

საერთოდ, მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ პარიზის კომუნის წყალობით განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. „როგორც არ უნდა წავიდეს საქმე უშუალოდ ახლა,— წერდა მარქსი ლ. კუგელმანს 1871 წელს 17 აპრილის წერილში,— მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ახალი გამოსავალი წერტილი მაინც მოპოვებულია“ [2].

პარიზის კომუნამ ისტორიაში პირველად გვიჩვენა, რომ პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციის აქტის განხორციელების შემდეგ არ შეუძლია მზამზარეულად მიიღოს ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და გამოიყენოს იგი საკუთარი მიზნებისათვის. „მან, თუ არ სურს ხელახლა დაჰკარგოს თავისი ახლად მოპოვებული ბატონობა, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, ერთი მხრივ, უნდა გაანადგუროს ძველი, დღემდე მის წინააღმდეგ მიმართული ჩაგვრის მანქანა, ხოლო მეორე მხრივ, თავის თავი უნდა დაიცვას თავისი საკუთარი დეპუტატებისა და მოხელეებისაგან“ [3].

პარიზის კომუნა იყო ისტორიაში პირველი რევოლუცია, რომელშიც მთავარი მამოძრავებელი ძალისა და ჰეგემონის როლს ასრულებდა რევოლუციური პროლეტარიატი, რომელმაც თავის გავლენას დაუქვემდებარა და მოკავშირედ გაიხადა წვრილი ბურჟუაზია. მისმა გამოცდილებამ ნათელყო, რომ მუშათა კლასს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ჰქონდეს ბურჟუაზიაზე გამარჯვებისა და მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნების იმედი, თუ მკიდრო კავშირს შეკრავს გლეხთა მილიონებთან და გამოიყენებს მას მის რევოლუციურ ძალად.

პარიზის კომუნა მსოფლიო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში პირველი რევოლუციური აქტია, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები, მკაცრად დაგმო მილიტარიზმი და დაპყრობითი ომები და აღნიშნულისათვის მსოფლიოს მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

კომუნის ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომელთა ფესვები და ხასიათი ამომწურავად გააშუქეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწ., ტ. I, გვ. 626.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწ., ტ. II, გვ. 563.

[3] კ. მარქსი. ფ. ენგელსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში; კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწ., ტ I, გვ. 552.

შა, კარგი გაკვეთილი იყო რევოლუციური პროლეტარიატის მომდევნო თაობებისათვის. მათ კარგად გაითვალისწინეს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ ან არ გაეკეთებინათ კომუნარებს, რა იყო მათი უბედურება და გამოიყენეს ყოველივე ეს თავიანთ რევოლუციურ პრაქტიკაში. როგორც ცნობილია, კომუნის გაკვეთილები საფუძვლიანად იქნა გათვალისწინებული ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის მიერ რევოლუციის მომზადების პროცესში. რუსეთის რევოლუციის ყველა ეტაპზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ჩათვლით, რუსეთის მუშათა კლასმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით და ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით თავისი რევოლუციური სტრატეგია და ტაქტიკა ააგო კომუნის შეცდომებისა და გაკვეთილების გათვალისწინებით.

პარიზის კომუნით დაიწყო კაპიტალიზმის დაცემის, მუშათა კლასის კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის ერა. იგი იყო მსოფლიო მუშათა კლასის პირველი რევოლუციური გაზაფხული, ამაშია მისი უკვდავებისა და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საიდუმლოება.

„მუშათა პარიზი მისი კომუნითურთ, — წერდა კ. მარქსი, — ყოველთვის პატივცემული იქნება როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი. მისი წამებულნი სამარადისოდ აღბეჭდილნი არიან მუშათა კლასის დიად გულში. ხოლო მისი ჯალათები ისტორიამ მიაკრა სამარცხვინო ბოძს, საიდანაც მათ ვეღარ მოხსნის მათი ხუცების ვერავითარი ლოცვანი“ [1].

პარიზის კომუნის ისტორიოგრაფია

მდიდარი და მრავალფეროვანია პარიზის კომუნის ისტორიოგრაფია. ეს დიადი ისტორიული მოვლენა დღემდე რჩება ისტორიული მეცნიერების აქტიური დაინტერესების საგნად. ეჭვი არ არის, რომ კიდევ მრავალი ასეული მონოგრაფია და გამოკვლევა გაამდიდრებს პარიზის კომუნის შესახებ ისედაც მდიდარ წიგნების ფონდს.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია როგორც საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებში თავიდანვე მტრულად მოეკიდა ახალი საზოგადოების ამ „დიად განთიადს“ და ღვარძლიანი ცილისწამებისა და ფალსიფიკაციის ობიექტად აქცია იგი. მისი ისტორიული მნიშვნელობის ყოველმხრივ დამცირება, მისი სახელის ლაფში ამოსვრა, გმირი კო-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. დასახ. ნაშრ., რჩეული ნაწ., ტ. I. გვ. 626.

მუნარების შესახებ ათასგვარი ჭორების შეთითხვნა სოციალიზმისა და მშრომელთა ყველა ჯურის მტრების, ისე როგორც მათი დიპლომიანი ლაქიების „საპატიო“ მისია გახდა. იშვიათად შეხვდებით მათ შორის ისეთ მკვლევარს, რომელიც ობიექტურად აშუქებდეს პარიზის კომუნის მოღვაწეობას.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას პარიზის კომუნის შესახებ უპირისპირდება მარქსისტული ისტორიოგრაფია, რომელსაც მარქსმა და ენგელსმა ჩაუყარეს საფუძველი. პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს ადრესები, მარქსის კლასიკური ნაშრომ- — „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და ენგელსის შესავალი ამ ნაშრომზე პირველი კლასიკური მარქსისტული ნაშრომებია, რომლებშიც მებრძოლი რევოლუციური პათოსითა და ღრმამეცნიერული შემართებით ამომწურავადაა გაშუქებული მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციის არსი, მისი დამარცხების მიზეზები და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ვ. ი. ლენინმა განავითარა და მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსისა და ენგელსის ნააზრევი პარიზის კომუნის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: „კომუნის გაკვეთილები“, „კომუნის ხსოვნას“ და „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელშიც მან საგანგებო თავი უძღვნა კომუნის მდიდარ ისტორიულ გამოცდილებას სახელმწიფოს საკითხში.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, მარქსიზმ-ლენინიზმის კორიფეების შეხედულებები პარიზის კომუნის შესახებ ურყევ იდეურ-თეორიულ ბაზად დაედო საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომებს ამ დიდი ისტორიული მოვლენის შესახებ. საბჭოთა კავშირის არქივსაცავებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფონდებში თავმოყრილია დიდძალი პირველწყარო პარიზის კომუნის შესახებ, რომელსაც საფუძვლიანად იყენებდნენ და იყენებენ საბჭოთა ისტორიკოსები თავიანთ მონოგრაფიებსა და ნარკვევებში. ათეული საბჭოთა ისტორიკოსიდან, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს პარიზის კომუნის მეცნიერულ შესწავლაში, განსაკუთრებით უნდა დავასახელოთ ნ. ლუკინი, კ. კერჟენცევი, ე. მოლოკი, ი. სტეკლოვი, ს. მონოსოვი, ბ. გორეევი, ა. ლურიე და სხვ.

მარქსისტული ისტორიოგრაფია პარიზის კომუნის შესახებ კარგა ხანია გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს. ამჟამად პარიზის კომუნის ისტორიის ცალკეულ საკითხებს წარმატებით აშუქებენ სოციალისტურ ქვეყნებში: გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში. კაპიტალისტური ქვეყნებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ პარიზის კომუნის

სამშობლო საფრანგეთი. ამ ქვეყანაში, რომელიც დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონეა, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მდიდარი მემკვიდრეობისა და უხვი საარქივო მასალების ბაზაზე გაიშალოს ინტენსიური კვლევაძიებითი მუშაობა პარიზის კომუნის მარქსისტული ისტორიის ახალი გამოკვლევების გასამდიდრებლად. პარიზის კომუნის მეცნიერულ შესწავლას საფრანგეთში უშუალოდ ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია, სორბონის უნივერსიტეტის საფრანგეთის ახალი ისტორიის კათედრის მარქსისტ პროფესორებთან კონტაქტში. მონოგრაფიებთან ერთად დროგამოშვებით გამოდის სპეციალური კრებულები, სადაც თავმოყრილია მრავალი საინტერესო, ახლად მიკვლეული მასალა, რომელიც აშუქებს კომუნის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს. რამდენიმე ფრანგი კომუნისტი ისტორიკოსი საგანგებოდ მუშაობს პარიზის კომუნის ისტორიის პრობლემებზე და ახალ სიტყვას ამბობენ ამ დარგში[1].

პარიზის კომუნის ისტორიოგრაფიის განხილვისას არ შეიძლება ყურადღების გარეშე დაეტოვოთ ის სერიოზული წელილი, რაც პირველი სოციალისტური რევოლუციის შესწავლაში შეიტანეს თვით პარიზის კომუნის ცოცხლად დარჩენილმა მონაწილეებმა, კერძოდ კი პროგრესული ინტელიგენციის რიგებიდან. მათგან კომუნის ს�ი აქტიური მონაწილე ლეფრანსზე, ე. ლისაგრე და არტურ არნუ შეიძლება ჩაითვალონ კომუნის პირველ ბუმბარიტ რევოლუციონერ ისტორიკოსებად. მათთან ერთად უნდა დავასახელოთ ე. რეკლიუ, ლ. მიშელი, საჟინ როსი, ა. და ვ. მარგერიტი, ხ. ინსაროვი, ლ. დიუბრეილი, რომელთაც დაგვიტოვეს შესანიშნავი ნაწყვეტები და მოგონებები პარიზის კომუნართა გმირობის, კომუნის გაჭიანურების, ვერსალელთა მხეცობის, კომუნის უკანასკნელი დღეებისა და სხვა საინტერესო ამბების შესახებ.

მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა რევოლუციამ — პარიზის კომუნამ ფართო გამოხმაურება პოვა საქართველოში. იმდროინდელმა პროგრესულმა ქართულმა პრესამ კარგად გააშუქა მისი აღმოცენება, მიმდინარეობა, ღონისძიებები, ბრძოლა ვერსალთან, „სისხლიანი კვირა“ და კომუნის შედეგები. ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ი. ჭავჭავაძემ,

---

[1] პარიზის კომუნის მეასე წლისთავის საზეიმო აღნიშვნასთან დაკავშირებით საფრანგეთში, სსრკ და რიგ სხვა ქვეყნებში გამოვიდა ახალი გამოკვლევები და დოკუმენტთა კრებულები, რომლებშიც ახლებურადაა გაშუქებული კომუნის ისტორიის ბევრი საინტერესო მხარე.

ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, დ. მიქელაძემ და სხვებმა სიხარულით აღიქვეს მისი დაბადება, მოიწონეს მისი „სწავლება“ და ღრმა გულისტკივილით შეეგებნენ მის დაღუპვას, მის განადგურებას ვერსალის კონტრრევოლუციური ძალების მიერ. ინფორმაციის წყაროების არაობიექტური ხასიათის მიუხედავად, ქართული პრესა ძირითადში სწორად ჩასწვდა პარიზის კომუნის კლასობრივ არსს და მის ისტორიულ დანიშნულებას. მან ინტერესგაღვიძებული ქართველი მკითხველი საფუძვლიანად ჩაახედა პარიზის კომუნის რთულ და საინტერესო ანალებში და განაწყო იგი მისი საქმისა და „სწავლებისადმი“ სიმპათიით.

პირველი ინტერნაციონალი პარიზის კომუნის შემდეგ

ბაკუნინისტთა ძირგამოთხრელი საქმიანობა ინტერნაციონალში. ლონდონის კონფერენცია

პარიზის რევოლუციური კომუნა, თუმცა იგი სტიქიურად აღმოცენდა, მაინც პირველი ინტერნაციონალის სულიერი პირმშო იყო. იგი იმ რევოლუციური იდეების განხორციელების პირველ ცდას წარმოადგენდა, რომელიც საფუძვლად ედო ამ პირველ საერთაშორისო გაერთიანებას. ამიტომ იყო, რომ პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭო, რომელსაც მარქსი და ენგელსი ედგნენ სათავეში, აღტაცებით შეეგება მსოფლიო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ამ უდიდესი აქტის დაბადებას, ხოლო კომუნის ჩახშობის შემდეგ იგი საჯაროდ გამოექომაგა პარიზის კომუნას, სიამაყის გრძნობით მიიღო მისი მემკვიდრეობა და კომუნის საქმე პირველი ინტერნაციონალის ყველაზე სასახელო და დიდებულ რევოლუციურ აქტად გამოაცხადა.

1871 წლის 30 მაისს I ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ ერთხმად მიიღო მარქსის მიერ დაწერილი მანიფესტი პარიზის კომუნის შესახებ[1]. ამ მანიფესტით გენერალურმა საბჭომ გაბედულად დაიცვა გმირი კომუნარების დიადი საქმე საერთაშორისო რეაქციის უხეში თავდასხმებისა და ცილისწამებებისაგან და ნიღაბი ჩამოხსნა კომუნის ბოროტ მტრებს.

„მუშათა პარიზი მისი კომუნითურთ, — ვკითხულობთ ამ მანიფესტში, — ყოველთვის პატივცემული იქნება როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი. მისი წამებულნი სამარადისოდ აღბეჭდილნი არიან მუშათა კლასის დიად გულში“.[2]

---

[1] „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის გენერალური საბჭოს მოწოდება 1871 წლის სამოქალაქო ომის შესახებ საფრანგეთში“: კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული ნაწ., ტ. I, გვ. 626.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. I. გვ. 626.

პირველი ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნის იდეურ-პოლიტიკური კავშირი და გენერალური საბჭოს საჯარო გამოსვლა კომუნის საქმის დასაცავად ხელზე დაიხვიეს მშრომელთა საქმის ყველა ჯურის მტრებმა. კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, მათმა დამქაშებმა, პრესამ და ოფიციალურმა მთავრობებმა გააჩაღეს გაფთრებული კამპანია პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოსა და პირადად კ. მარქსის წინააღმდეგ. არ იყო ისეთი ცოდვა და დანაშაული, რომელშიც ბრალი არ დაედოთ ამ ორგანიზაციისათვის. მუშათა სტიქიური გამოსვლები, გაფიცვები და კლასობრივი ბრძოლის სხვა აქტები პირველი ინტერნაციონალის ძირგამომთხრელი და „დამანგრეველი" საქმიანობის ნაყოფად გამოაცხადეს.

ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მანიფესტის გამოქვეყნება ევროპული რეაქციისა და კონტრრევოლუციისათვის პირველი ინტერნაციონალის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის გაჩაღების საბაბად იქცა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით საფრანგეთის მთავრობამ გადადგა.

1871 წლის 6 ივნისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟიულ ფავრმა საფრანგეთის მთავრობის სახელით ევროპის მთავრობებს დაუგზავნა წერილი, რომლითაც მიუთითებდა ინტერნაციონალის საქმიანობის საშიშ ხასიათზე და აყენებდა მის წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების მიღების საჭიროებას. ამ ნაბიჯის პარალელურად საფრანგეთის მთავრობამ დაარბია ინტერნაციონალის ფრანგული სექციები და მკაცრი ზომები მიიღო მისი წევრების წინააღმდეგ.

გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ესპანეთის, რუსეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მთავრობები აქტიურად გამოეხმაურნენ საფრანგეთის მთავრობის ინიციატივას. მათ აკრძალეს პირველი ინტერნაციონალის ეროვნული სექციები და შეიმუშავეს მკაცრი პოლიციური ზომები მისი „ძირგამომთხრელი" საქმიანობის აღსაკვეთად. ინტერნაციონალის წევრობა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა. გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში შეიპყრეს ინტერნაციონალის წევრები და მოაწყვეს მათი სასამართლო პროცესები. 1872 წლის 22 აპრილს გერმანიის საიმპერიო სასამართლომ 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა „აიზენახელების" ლიდერებს ავგუსტ ბებელსა და ვილჰელმ ლიბკნეხტს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ ხმა მისცეს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობამ, რომელსაც აქამდე პოლიტიკური ემიგრანტებისადმი შემწყნარებლობით მოჰქონდა თავი, ტიერის მთავ-

რობის გულის მოსაგებად პოლიციური დევნა დაუწყო ემიგრანტ კომუნარებს.

პირველი ინტერნაციონალისა და მისი გენერალური საბჭოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციებისა და თავაშვებული ცილისწამების კამპანიამ ბიძგი მისცა მარქსისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფების გააქტიურებას როგორც ინტერნაციონალის შიგნით, ისე მის გარეთ. ინგლისის მუშათა არისტოკრატიის წარმომადგენლებმა, ოპორტუნისტებმა ოჯერმა და ლეკრაფტმა, რომელთაც გაიზიარეს ბულვარული პრესის აზრი „კომუნის საშინელებათა“ შესახებ, დაგმეს მარქსის მიერ კომუნის შესახებ მანიფესტის გამოქვეყნება და პროტესტის ნიშნად გავიდნენ გენერალური საბჭოდან. ისევ განაახლეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა ანარქისტებმა. ბაკუნინმა და მისმა მომხრეებმა მიზანში ამოიღეს გენერალური საბჭოს ხელმძღვანელი კ. მარქსი, რომელსაც ბრალი დადეს წესდების დარღვევაში, პროგრამის გაყალბებაში, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში და სხვ. მათ მკაცრად გაილაშქრეს პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგ, აღადგინეს თავიანთი ალიანსი, რომელიც ფაქტიურად არასოდეს არ ყოფილა დაშლილი და იგი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოსა და მარქსის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად აქციეს.

ასეთი იყო ვითარება, როცა 1871 წლის სექტემბერში გენერალურმა საბჭომ მარქსისა და ენგელსის წინადადებით ლონდონში მოიწვია პირველი ინტერნაციონალის ნახევრადლეგალური კონფერენცია.[1] კონფერენცია გაგრძელდა 17 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე. მას დაესწრო 23 დელეგატი, მათ რიცხვში გენერალური საბჭოს 13 წევრი (მათ შორის მარქსი და ენგელსი და ემიგრანტი-კომუნარების წარმომადგენლები სერაიე, ბასტელიკა და ედუარდ ვაიანი) — 6 ბელგიელი, 3 შვეიცარელი და 1 ესპანელი[2].

ლონდონის კონფერენციის ძირითადი ამოცანა იყო ინტერნაციონალის ორგანიზაციული განმტკიცება, გადამწყვეტი ბრძოლა ანარქიზმთან და მისი სახით ინტერნაციონალის წიაღში აღმოცენებული დამშლელი, ძირგამომთხრელი ძალების ალაგმვა.

კონფერენციის საქმიანობა მიმდინარეობდა პარიზის კომუნის გაკვეთილების შეჯამებისა და მისი განზოგადების უშუალო ნიშნის

---

[1] წინათ გათვალისწინებული კონგრესის ნაცვლად, რომლის აშკარა მოწვევა აღვირახსნილი რეაქციის პირობებში შეუძლებელი გახდა.

[2] განმარტებისათვის მოწვეული ბაკუნინის უახლოესი თანამებრძოლი ჯ. გიიომი კონფერენციაზე არ გამოცხადდა.

ქვეშ. პარიზის რევოლუციური კომუნის გაკვეთილები და მათი გათვალისწინება სოციალისტთა მომავალ საქმიანობაში იყო სწორედ კონფერენციაზე მარქსისა და ენგელსის გამოსვლების ერთ-ერთი მთავარი თემა. მათ გამოსვლებში განვითარებული მოსაზრება საფუძვლად დაედო კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებებს.

კონფერენციამ პარიზის კომუნის დამარცხების ძირითად მიზეზად მიიჩნია ის გარემოება, რომ საფრანგეთის პროლეტარიატს იმ დროისათვის არ გააჩნდა დამოუკიდებელი, რევოლუციური იდეებით აღჭურვილი პროლეტარული პარტია, რომელსაც უნარი ექნებოდა სათავეში ჩასდგომოდა მის გმირულ ბრძოლას. თავის სიტყვაში ამ საკითხის შესახებ ენგელსი აღნიშნავდა: „ჩვენ გვსურს კლასების მოსპობა. რა საშუალებით შეიძლება ამ მიზნის მიღწევა? პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობით. მაგრამ რევოლუცია არის პოლიტიკის უმაღლესი აქტი. ვინც ამას აღიარებს, იგი უნდა ისწრაფოდეს ისეთი საშუალებებისაკენ, ისეთი პოლიტიკური მოქმედებისაკენ, რომლებიც ამზადებენ რევოლუციას და წვრთნიან მუშებს რევოლუციისათვის.... პოლიტიკა, რომელიც უნდა ვაწარმოოთ, ეს არის მუშათა პოლიტიკა. საჭიროა მუშათა პარტია ყალიბდებოდეს არა როგორც ამა თუ იმ ბურჟუაზიული პარტიის კუდი, არამედ როგორც დამოუკიდებელი პარტია, რომელსაც აქვს საკუთარი მიზანი, თავისი საკუთარი პოლიტიკა“.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება, კონფერენციამ თავის დადგენილებაში ინტერნაციონალის სექციებისა და ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნია მოკლე დროში ცალკეულ ქვეყანაში დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების შექმნა. „მქონებელი კლასის კოლექტიური ძალაუფლების წინააღმდეგ, — აღნიშნული იყო რეზოლუციაში, — პროლეტარიატს, როგორც კლასს, მხოლოდ მაშინ შეუძლია მოქმედება, როდესაც შექმნის შეძლებულთა კლასის მიერ შექმნილ ყველა ძველი პარტიისაგან განსხვავებულ დამოუკიდებელ პარტიას...“.

თავის დადგენილებაში კონფერენციამ ამასთან ერთად მოაგონა ინტერნაციონალის ეროვნულ სექციებს, რომ მუშათა კლასმა სოციალური რევოლუციისა და მისი საბოლოო მიზნის—კლასთა მოსპობის—მისაღწევად უნდა გააერთიანოს თავისი საბრძოლო ძალები და მჭიდროდ დააკავშიროს ერთმანეთთან ეკონომიურ ფრონტზე წარმოებული ბრძოლა და პოლიტიკური საქმიანობა.

ეს დადგენილება მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის შესახებ, უშუალოდ იყო მიმართული ანარქისტებისა და სხვა სექტანტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და ხელს უშლიდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი ეროვნული პარტიების შექმნას.

კონფერენციამ მოიწონა გენერალური საბჭოს მიერ ანარქისტთა გამთიშველური ტაქტიკის წინააღმდეგ მიმართული ყველა ღონისძიება, აუკრძალა ადგილობრივ ჯგუფებს მიეღოთ სექტანტური სახელწოდებანი, ყველა სექციას მოსთხოვა უყოყმანოდ ეცნოთ გენერალური საბჭოს ყველა სახელმძღვანელო მითითება და მკაცრად დაგმო ბაკუნინის მომხრეთა პროვოკაციული გამოხდომები.

I ინტერნაციონალის ჰაგის კონგრესი

ბაკუნისტები მტრულად შეეგებნენ ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. მათ გადაწყვიტეს ესარგებლათ ინტერნაციონალისა და მისი გენერალური საბჭოს წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიერ გაჩაღებული მტრული კამპანიით შექმნილი ვითარებით, რათა ხელში ჩაეგდოთ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა და წაეყვანათ იგი მათთვის სასურველი მიმართულებით. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ დასჯერდნენ მარტო ცილისმწამებლურ კამპანიას გენერალური საბჭოსა და პირადად მარქსის წინააღმდეგ და პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობის გასაძლიერებლად.

განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ისინი იტალიაში, ესპანეთსა და შვეიცარიაში, სადაც მსხვილი მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული; თანაც ძლიერი იყო იმ წვრილბურჟუაზიული წრეებისა და დეკლასირებული ელემენტების გავლენა, საიდანაც ჰკრეფდნენ თავიანთ მომხრეებს. 1871 წლის 12 ნოემბერს ბაკუნისტებმა ქალაქ სონვილში (შვეიცარია) მოიწვიეს სეპარატული კონგრესი. კონგრესის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნოდა ანარქისტების გავლენის ქვეშ მყოფ იურის ფედერაციას. კონგრესს ესწრებოდა სულ 16 დელეგატი, მათ შორის გიომი, შპიჰგერი და შვიცგებელი იურის ფედერაციიდან, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მომავალი ფუძემდებელი ჟიულ გედი, რომელიც მაშინ ანარქისტობდა, ბაკუნინის მეგობარი რუსი ემიგრანტი ნ. ჟუკოვსკი და სხვები.

კონგრესმა გამოუშვა მანიფესტი („სონვილის მანიფესტი") — „ცირკულიარული მიმართვა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ყველა ფედერაციისადმი", რომლითაც უკანონოდ ცხადდებოდა ლონდონის კონფერენციის დადგენილებები და წამოყენებული იყო წინადადება დაუყოვნებლივ მოწვეულიყო ახალი კონფერენცია აღნიშნული დადგენილებების გასაუქმებლად. სონვილის კონგრესის მთავარი დარტყმა მიმართული იყო გენერალური საბჭოსა და მისი ხელმძღვანელის კ. მარქსის წინააღმდეგ. სეპარატული კონგრესის ორგანიზატორები ბრალს დებდნენ მარქსს ინტერნაციონალში ერთპიროვნულ ხელმძღვანელობასა და დიქტატურის დანერგვაში, უფლების გადაჭარბებაში, გენერალური საბჭოს პოლიტიკური ხაზის გამრუდებაში და ა. შ. ბაკუნისტთა შეხედულებით, გენერალურ საბჭოს უნდა ჩამორთმეოდა ყველა უფლება, გარდა საკორესპონდენტო-სტატისტიკური ბიუროსი; დანარჩენი უნდა გადასულიყო ფედერაციების და ბიუროების ხელში, რომელთაც ავტონომიური უფლებები უნდა მინიჭებოდათ.

თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობაში ბაკუნისტები არ დაკმაყოფილდნენ მარტო კონგრესის მოწვევით და ზემოაღნიშნული მიმართვის დაგზავნით. მათ მოიმარჯვეს აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალება, და მშრომელთა ყველა ჯურის ბოროტი მტრების გულის საამებლად გააჩაღეს უხეში ცილისწამების კამპანია. განსაკუთრებით ენერგიულად მოქმედებდნენ ისინი იტალიაში, ესპანეთში, ბელგიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. მათმა ძირგამომთხრელმა საქმიანობამ მალე იჩინა თავი. ესპანეთის ფედერაციაში მოხდა გათიშვა, რის შედეგადაც ნაწილი იურის ფედერაციის გზას დაადგა და სონვილის კონგრესის გადაწყვეტილებებს შეუერთდა. ამავე გზას დაადგა იტალიის სექციათა უმეტესობა, სექციათა ნაწილი საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში. გამთიშველურ დეცენტრალისტურმა ტენდენციებმა სხვა ქვეყნებშიც იჩინა თავი, მაგალითად, ინგლისში, სადაც ინტერნაციონალს ყველაზე მეტად ჰქონდა გადგმული ფესვები. ოჯერისა და ლეკრაფტის გენერალური საბჭოდან გასვლის შემდეგ გაძლიერდა ამ ორგანიზაციის საწინააღმდეგო განწყობილება. ინტერნაციონალის ახლადშექმნილი ინგლისური ფედერაციის საბჭო თავის საქმიანობაში დაუპირისპირდა ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს პოლიტიკურ ხაზსა და პრინციპებს. ინგლისის ტრედიუნიონების ხელმძღვანელებში ფეხი მოიკიდა რეფორმისტულმა და ლიბერალურმა ტენდენციებმა. რამდენადაც მებრძოლი და რევოლუციური გახდა ინტერნაციონალი, იმდენად უფრო დაშორდნენ მას ინგლისიდან ის ელემენტები, რომლებიც

მხარს უჭერდნენ მას წინათ ეკონომიური ბრძოლის მოსაზრებებით. ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა ბრძოლა მარქსიზმის მომხრეებსა და ბაკუნისტებს შორის აშშ-ში. მარქსიზმის მტრები აქაც ბურჟუაზიულ ელემენტებთან ბლოკში გამოდიოდნენ.

1872 წლის 5 მარტს გენერალურმა საბჭომ სპეციალურად განიხილა ბაკუნისტთა ძირგამომთხრელ-გამთიშველური საქმიანობა და მკაცრად დაგმო იგი. მან მიიღო მარქსისა და ენგელსის მიერ შემუშავებული ცირკულარი—სახელწოდებით: „მოჩვენებითი გათიშვები ინტერნაციონალში“. მასში ერთხელ კიდევ მკაფიოდ იყო ფორმულირებული ინტერნაციონალის პრინციპები და პოლიტიკა; კონკრეტული ფაქტებით ნაჩვენები იყო ბაკუნისტთა თვალთმაქცობა, ორპირობა, ძირგამომთხრელი საქმიანობა და ბურჟუაზიისადმი ლაქიობა, ნათლად იყო დახასიათებული ანარქიზმის სოციალური ბაზა, მისი წვრილბურჟუაზიული სტიქია.

შექმნილმა ვითარებამ მკვეთრად დააყენა ინტერნაციონალის შემდგომი ყოფნა-არყოფნის საკითხი. მუშათა კლასის მტრებად, ბურჟუაზიის ლაქიებად ქცეული ბაკუნისტების შემდგომი დატოვება ინტერნაციონალის რიგებში უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა. მას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პროლეტარული ორგანიზაციის სრული დაშლა.

სწორედ ეს საკითხი განიხილა ინტერნაციონალის მორიგმა კონგრესმა, რომელიც გაიხსნა 1872 წლის 2 სექტემბერს ჰოლანდიის დედაქალაქ ჰააგაში[1]. ამ კონგრესის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა კ. მარქსმა.

ჰააგის კონგრესს დაესწრო 65 დელეგატი. მათ შორის გენერალური საბჭოს 21 წევრი. ევროპის ქვეყნების მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად კონგრესს ესწრებოდნენ დელეგატები აშშ-იდან და ავსტრალიიდან[2]. ეს იყო პირველი ინტერნაციონალის ყველაზე ხალხმრავალი, ჯეშმარიტად საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის თავჯდომარედ აირჩიეს ფრანგი სოციალისტი-კომუნარი რანვიე, რომელმაც 1871 წლის 28 მარტს საზეიმო ვითა-

---

[1] ლონდონში ინტერნაციონალის კონგრესის მოწვევა ინგლისური ფედერაციის განწყობილების გამო დიდ სიძნელეებს წააწყდა. ჰოლანდიაში კი ადგილობრივი ფედერაცია, რომელიც მხარს უჭერდა გენერალურ საბჭოს, შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა.

[2] სამანდატო კომისიამ არ ცნო 9 დელეგატის მანდატი, მათ შორის ის მანდატები, რომლებიც ინტერნაციონალიდან გარიცხულმა ნიუ-იორკის მე-12 სექციამ და ალიანსის ესპანურმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ინტერნაციონალიდან გარიცხულებმა გასცეს.

რებაში გამოაცხადა პარიზის კომუნა. ეს იყო კომუნის დიდი ისტორიული დამსახურების ღირსეული აღიარება.

კონგრესში თავიდანვე მოხდა ძალების პოლარიზაცია: იგი გაიყო გენერალური საბჭოს მომხრე მარქსისტულ უმრავლესობად, მარქსისა და ენგელსის უშუალო ხელმძღვანელობით. და ბაკუნინის მომხრეთა უმცირესობად [1].

კონგრესმა მოისმინა და ეითქმის ერთსულოვნად მოიწონა გენერალური საბჭოს ანგარიშები, რომლებიც მარქსმა შეადგინა. ანგარიშში დეტალურად იყო გაშუქებული ბაზელის კონგრესის შემდეგ მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მათდამი ინტერნაციონალის დამოკიდებულება და გენერალური საბჭოს საქმიანობა; შეჯამებული იყო ინტერნაციონალის მიღწევები ევროპის ქვეყნებში.

კონგრესზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მძაფრი პოლემიკა გაჩაღდა ორგანიზაციული საკითხის განხილვის დროს. ბაკუნისტებმა კვლავ თავგამოდებით გაილაშქრეს პარტიული დისციპლინის წინააღმდეგ, უარი განაცხადეს დამორჩილებოდნენ გენერალურ საბჭოს და ეცნოთ მისი გადაწყვეტილებები. ისინი შეეცადნენ წაერთმიათ გენერალური საბჭოსათვის მისთვის მინიჭებული ინტერნაციონალის ხელმძღვანელი ცენტრის როლი და ექციათ იგი უბრალო საკორესპონდენტო ბიუროდ. გენერალური საბჭოს მომხრე უმრავლესობამ გადაჭრით უარყო ბაკუნისტთა ეს მავნებლური მოთხოვნები. კონგრესმა დაამტკიცა გენერალური საბჭოსათვის მინიჭებული ფართო რწმუნებები და მიანიჭა მას უფლება შეეჩერებინა კონგრესებს შორის ინტერვალში არა მარტო ცალკეული სექციების, არამედ მთელი ფედერალური კომიტეტებისა და ფედერაციების მოქმედება-გადაწყვეტილებები. ეს ზომა მიღებულ იქნა ბაკუნისტთა აგიტაციის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ.

სასტიკი მარცხი განიცადეს ბაკუნისტებმა (და მათთან ბლოკში მყოფმა ინგლისის ტრედუნიონების ოპორტუნისტმა ხელმძღვანელებმა) პოლიტიკური ბრძოლის საკითხშიც. 20 ხმის უმრავლესობით კონგრესმა დაადასტურა ლონდონის კონფერენციის რეზოლუცია „მუშათა კლასის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ", რომელიც აღიარებდა, რომ შეძლებული კლასების წინააღმდეგ პროლეტარიატს შეუძლია იმოქმედოს ენერგიულად მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შექმნის თავის საკუთარ პოლიტიკურ პარტიას. მარქსსა

[1] უმრავლესობა შედგებოდა 40 დელეგატისაგან, უმცირესობა — 24 დელეგატისაგან.

და ენგელსს ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ენერგიულად დაუჭირეს მხარი ე. ვაიანმა, ფ. ზორგემ, ი. ბეკერმა და სხვებმა.

ჰააგის კონგრესმა განიხილა საკითხი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს ახალი ადგილსამყოფელის შესახებ და ცხარე კამათის შემდეგ, ენგელსის წინადადებით, მიიღო დადგენილება მისი ევროპიდან აშშ-ში, ნიუ-იორკში გადატანის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ინტერნაციონალის შემდგომ ბედზე ზრუნვით. პარიზის კომუნის დაცემის მომდევნო საერთო ევროპული რეაქციის, ბაკუნისტთა ინტრიგის გაძლიერებისა და სხვა ოპორტუნისტული ჯგუფების აქტივიზაციის პირობებში გენერალური საბჭოს ლონდონში და, საერთოდ, ევროპაში დატოვება მეტად სახიფათო იყო. მოსალოდნელი იყო, რომ იგი მოექცეოდა ინგლისის ტრედიუნიონების ოპორტუნისტი ლიდერების გავლენის ქვეშ ან ხელთ ჩაუვარდებოდათ ანარქისტებს. ამ დროისათვის ინტერნაციონალს ევროპაში არ გააჩნდა არც ერთი ისეთი მძლავრი ფედერაცია ან სექცია, რომელიც ბოლომდე ბურჯად გაუხდებოდა გენერალურ საბჭოს და დაიცავდა მის იდეურ-პოლიტიკურ სიწმინდეს. აშშ-ში მაშინ შედარებით სხვა ატმოსფერო სუფევდა. მეშათა მოძრაობა იქ, კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის კვალდაკვალ, შეუჩერებლივ იზრდებოდა. ინტერნაციონალის ნიუ-იორკის ფედერალურ საბჭოში ითვლებოდა მარქსისტთა საკმაოდ ძლიერი ბირთვი, რომელშიც შედიოდნენ გერმანელი ემიგრანტი-სოციალისტები ფ. ზორგე, ფ. ბოლტე, ბერტრანი და სხვები. მარქსი და ენგელსი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი ხელმძღვანელობით ინტერნაციონალი და მისი გენერალური საბჭო თავისი არსებობის ფინალშიც ღირსეულად ატარებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საბრძოლო დროშას, დაიცავდა მის იდეურ-პოლიტიკურ პრინციპებს და მარქსიზმის მტრებს არ მისცემდა საშუალებას ხელში ჩაეგდოთ მისი საქმე.

ამ დადგენილებასთან ერთად მოხდა გენერალური საბჭოს სრული განახლება-გადახალისება. მის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ აშშ-ის ფედერაციის ხელმძღვანელები ფ. ბოლტე და ფ. ზორგე.

კონგრესის დასკვნით სხდომაზე (7 სექტემბერს) განხილულ იქნა ბაკუნისტთა ალიანსის ფარული საქმიანობის საკითხი. სპეციალურმა კომისიამ (თეოდორ კუნოვის ხელმძღვანელობით) დოკუმენტურად დაამტკიცა, რომ ბაკუნისტებმა უსინდისოდ მოატყუეს გენერალური საბჭო, ფარულად შეინარჩუნეს თავიანთი ალიანსი და იგი ინტერნაციონალისათვის ძირგამომთხრელ საქმიანობის ბაზად

აქციეს. გაითვალისწინა რა ეს გარემოება, კონგრესმა ინტერნაციონალის შემადგენლობიდან გარიცხა ფარული ალიანსის მეთაურები— ბაკუნინი და გიიომი. კონგრესმა ამასთან ერთად დაადგინა, I ინტერნაციონალის შიგნით გამოქვეყნებულიყო გენერალური საბჭოს მოხსენება ბაკუნისტთა ფარული საქმიანობის შესახებ.

ფ. ენგელსმა ხაზგასმით აღნიშნა ბაკუნისტებისადმი ჰაგის კონგრესის მიერ აღებული შეურიგებლობის გეზის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. „ჰაგაში რომ შემრიგებლურად გამოვსულიყავით, — წერდა იგი შემდეგში, — და მიგვეჩქმალა მომწიფებული გათიშვა, მაშინ სექტანტები, ე. ი. ბაკუნისტები დროს მოიგებდნენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი სისულელეები და სისაძაგლეები ჩაედინათ ინტერნაციონალის სახელით. ამას კი მოჰყვებოდა ყველაზე განვითარებული ქვეყნების მუშათა მიერ ჩვენდამი ზიზღით გვერდის აქცევა. აი მაშინ ინტერნაციონალი მართლაც დაიღუპებოდა, დაიღუპებოდა „ერთიანობისაგან“. ამის ნაცვლად ჩვენ ღირსეულად გამოვეყავით დამპალ ელემენტებს“ [1].

პირველი ინტერნაციონალის აღსასრული. მისი დაშლის მიზეზები და ისტორიული მნიშვნელობა

ჰაგის 1872 წლის კონგრესზე მარქსიზმმა სრული იდეური და ორგანიზაციული გამარჯვება მოიპოვა სოციალიზმის ყველა ჯურის წვრილბურჟუაზიულ, სექტანტურ მიმდინარეობებზე. ამით პირველმა ინტერნაციონალმა ფაქტიურად შეასრულა მასზე დაკისრებული ისტორიული ამოცანა. მსოფლიოს მშრომელთა მებრძოლი რევოლუციური მოძღვრება—მარქსიზმი მან დაიყვანა ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე პროლეტარიატის შეგნებამდე.

ჰაგის კონგრესის შემდეგ ინტერნაციონალს დიდხანს არ უარსებნია მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში გადასული გენერალური საბჭო ფორმალურად 1876 წლამდე განაგრძობდა არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ ჰაგის კონგრესი ინტერნაციონალის უკანასკნელი კონგრესი იყო და ინტერნაციონალმაც მასთან ერთად დაამთავრა არსებობა. ევროპაში შექმნილმა ვითარებამ და ევროპულ მუშათა მოძრაობისაგან მოწყვეტამ გენერალურ საბჭოს წაართვა საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა[2]. 1876 წელს მარქსის წინადადებით ფილადელფიაში მოწვეულმა ინტერნაციო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 26, стр. 343—344.

[2] 1873 წელს გენერალურმ საბჭომ ჟენევაში მოიწვია მორიგი კონგრესი, რომელმაც დელეგატთა სიმცირის გამო სრული მარცხი განიცადა.

ნალის საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც უმთავრესად ამერიკული ფედერაციების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. მიიღო დადგენილება გენერალური საბჭოს დაშლისა და ინტერნაციონალის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

„ჩვენ დავშალეთ ინტერნაციონალის ორგანიზაცია, — ნათქვამი იყო ამ სალიკვიდაციო კონფერენციის მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაში, — დავშალეთ იმ მიზეზების გამო, რომელიც გამომდინარეობს ევროპის თანამედროვე მდგომარეობიდან. მაგრამ მის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მოწინავე მუშები სცნობენ და იცავენ ამ ორგანიზაციის პრინციპებს. მივცემთ ჩვენს ამხანაგ ევროპელ მუშებს ცოტაოდენ დროს თავიანთი ნაციონალური ორგანიზაციების გასაძლიერებლად და ისინი უთუოდ მალე შესძლებენ გაანადგურონ ის ბარიერი, რომელიც აშორებს მათ მსოფლიოს სხვა ნაწილების მუშებისაგან“ [1].

პირველმა ინტერნაციონალმა შეწყვიტა არსებობა იმიტომ, რომ ევროპის ცალკეულ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არსებობდნენ დამოუკიდებელი ეროვნული მუშათა პარტიები—სოციალ-დემოკრატიული პარტიები; თანაც მუშათა კლასის გარკვეულ ჯგუფში, განსაკუთრებით რომანულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს წვრილბურჟუაზიულმა და ანარქისტულმა მიმდინარეობებმა (პრუდონიზმი, ბაკუნიზმი, ბლანკიზმი). მართალია, მარქსიზმი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გამარჯვებული გამოვიდა მეცნიერული სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, მაგრამ უკანასკნელებმა მაინც მოასწრეს მუშათა პირველი საერთაშორისო გაერთიანების მთლიანობის დაშლა.

პარიზის კომუნის განადგურებამ. მომდევნო ევროპულმა რეაქციამ, მუშათა მოძრაობის დროებითმა დეპრესიამ და ბაკუნისტთა ძირგამომთხრელმა საქმიანობამ პირველი ინტერნაციონალის ლიკვიდაცია გამოიწვია.

პირველ ინტერნაციონალს, ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო მუშათა კლასის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ემყარებოდა მეცნიერული

---

[1] შედარებით უფრო ხანგრძლივი გამოდგა ბაკუნისტების მიერ ჰაგის კონგრესის შემდეგ დაარსებული საკუთარი საერთაშორისო ორგანიზაცია. მან რამდენიმე კონგრესი მოიწვია და 1878 წლამდე არსება. ამ დროის განმავლობაში იგი ცდილობდა დაეპყრო ახალი პოზიციები და გადაებირა თავისკენ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია და გლეხობის ფართო ფენები. ყოველგვარი პოლიტიკური ხელისუფლების განადგურებისა და ამბოხებისაკენ მოწოდება ისევ დარჩა მათ ძირითად ხაზად.

სოციალიზმის თეორიულ პრინციპებს. მართალია, მან ვერ შეძლო წაეყვანა მუშათა კლასი კაპიტალისტურ წყობილებაზე გადამწყვეტი შეტევისაკენ, ვერ განახორციელა სოციალისტური რევოლუციის დიადი აქტი, მაგრამ მაინც მოასწრო გაევრცელებინა მუშათა კლასის ფართო ფენებში მეცნიერული სოციალიზმის იდეები. მან შეიმუშავა თანმიმდევრული რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის, პროგრამისა და წესდების მეცნიერული პრინციპები, აქცია იგი მილიონობით მშრომელთა კუთვნილებად, შეასრულა იმხანად არარსებული ეროვნული მუშათა პარტიების მაგიერობა და მოამზადა ნიადაგი პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოღვიძებული მუშათა მასების კაპიტალისტურ საზოგადოებაზე მომავალი გადამწყვეტი თავდასხმისათვის.

მარქსის სიტყვით, „პირველი ინტერნაციონალი დაარსებულ იქნა იმისათვის, რათა შეეცვალა სოციალისტური და ნახევრადსოციალისტური სექტები, მუშათა კლასის ნამდვილი ორგანიზაციით მისი ბრძოლისათვის“ [1].

აჯამებდა რა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობას, ენგელსი წერდა: „ინტერნაციონალი ეკუთვნოდა მეორე იმპერიის პერიოდს, როდესაც მთელს ევროპაში გაბატონებული მჩაგვრელობა უკარნახებდა გამოღვიძების გზაზე დამდგარ მუშათა მოძრაობის მთლიანობას და თავის შეკავებას ყოველგვარი შინაური პოლიტიკისაგან. 1864 წლის მოძრაობის თეორიული ხასიათი მთელს ევროპაში ე. ი. ფართო მასებში ჯერ კიდევ შეგნებული არ იყო.

ძველმა ინტერნაციონალმა ამოწურა თავისი თავი. ხოლო ახალი, ასეთივე ტიპის ორგანიზაცია, ე. ი. მსოფლიოს ყველა პროლეტარული პარტიების კავშირის ორგანიზაცია გულისხმობს მუშათა მოძრაობის ყოველგვარ დევნას, როგორც ეს იყო 1848—1864 წლებში. მაგრამ თანამედროვე პროლეტარული მსოფლიოსათვის აწი საშიში არ არის არავითარი დევნა. მე ვფიქრობ, რომ შემდგომი ინტერნაციონალი იქნება, მას შემდეგ, რაც მარქსის მოძღვრება რამდენიმე წლის განმავლობაში თანდათან უფრო შეთვისებული იქნება, წმინდა კომუნისტური“ [2].

ენგელსის ეს სიტყვები, რომელიც 80 წელზე მეტი ხნის წინათ დაიწერა, წინასწარმეტყველური ხასიათის იყო. 1919 წელს ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა ახალმა, მესამე კომუნისტურმა ინტერნა-

---

[1] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წერილები, ვ. ადორატსკის რედაქციით, გვ. 266.

[2] იქვე.

ციონალმა მემკვიდრეობით მიიღო და განავითარა პირველი ინტერნაციონალის საბრძოლო კომუნისტური იდეები, მასების დარაზმვის დარგში ჩატარებული მისი მნიშვნელოვანი მუშაობა, დემოკრატიულ ცენტრალიზმზე აგებული ორგანიზაციული პრინციპები.

პირველმა ინტერნაციონალმა შეასწავლა მუშათა კლასს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შეხამება. მან უშუალო დახმარება და ხელმძღვანელობა აღმოუჩინა მას საკუთარი საარსებო ინტერესებისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, განამტკიცა მუშათა რიგებში კლასობრივი სოლიდარობისა და ინტერნაციონალური მოვალეობის გრძნობები. ინტერნაციონალმა ყველა ქვეყნის სოციალისტებს ასწავლა მებრძოლი პრინციპულობა, რევოლუციური საქმისადმი ერთგულება, ყოველგვარი გადახრებისა და სექტანტობისადმი შეურიგებლობა. მან აღზარდა სოციალისტთა მებრძოლი კადრები ორ ფრონტზე (მემარცხენე წვრილბურჟუაზიულ და მემარჯვენე რეფორმისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ) შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით. მესამე, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ამ დარგშიც აითვისა და განავითარა მისი ძვირფასი მემკვიდრეობა.

ვ. ი. ლენინის თქმით, „პირველმა ინტერნაციონალმა (1864—1872) საძირკველი ჩაუყარა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას კაპიტალზე მათი რევოლუციური იერიშის მოსამზადებლად. მან საძირკველი ჩაუყარა პროლეტარულ საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის“ [1].

პირველმა ინტერნაციონალმა ღირსეულად შეასრულა მასზე დაკისრებული დიდი ისტორიული მისია. მან ამოწურა თავისი ისტორიული როლი და ადგილი დაუთმო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა მოძრაობას, განუზომლად უფრო დიდი ზრდის ეპოქას, საზელდობრ, მისი ზრდის, გაფართოების, ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოთა ბაზაზე მასობრივი სოციალისტური პარტიების შექმნის ეპოქას.

პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობა უდიდესი ნიშანსვეტი იყო საერთაშორისო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში, თხზ., ტ. 29, გვ. 355.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ნიშნები მონოპოლიამდელი კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის პერიოდში

1870 წლის შემდეგ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების ზოგადი დახასიათება. ტექნიკური პროგრესი

XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედი, რომელიც პარიზის კომუნის განადგურებით იწყება და იმპერიალიზმის დამკვიდრებამდე გრძელდება, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში „თავისუფალი კაპიტალიზმის" იმპერიალიზმში გადაზრდის პერიოდის სახელითაა ცნობილი. მსოფლიო ისტორიის ეს სამი ათეული წელი ბევრ ორიგინალურ ნიშანს შეიცავს და საგრძნობლად განსხვავდება როგორც წინამორბედი, ისე მომდევნო პერიოდებისაგან.

ამ წლებში მზადდება ნიადაგი „თავისუფალი კაპიტალიზმის" კაპიტალიზმის უკანასკნელ და უმაღლეს ფაზაში, მონოპოლისტურ სტადიაში—იმპერიალიზმში გადაზრდისათვის. მისი დამახასიათებელი ნიშნებია საწარმოო ძალების შემდგომი დაჩქარებული განვითარება, მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სფეროს არნახული გაფართოება და აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ავსტრალიის თვალუწვდენელი სივრცეების თავის ორბიტში მოქცევა; მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის უდიდესი წარმატებები, წარმოების ტექნიკის მკვეთრი ამაღლება, კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის გაძლიერება, ეკონომიური კრიზისების გაღრმავება, ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მიერ მსოფლიოს ვრცელი „გაუნაწილებელი" ტერიტორიების დაპყრობა და მათი კოლონიებად ქცევა, მუშათა მოძრაობის შედარებით მშვიდობიანი განვითარება და სხვ. ამ პერიოდში მომწიფდა ბევრი ისეთი მოვლენის წანამძღვრები, რომელთაც შემდეგ გადამწყვეტი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში. მაშინ შეიქმნა უაღ-

რესად ხელსაყრელი პირობები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარებისათვის, კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევების ცხოვრებაში მასობრივად დანერგვისათვის.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მრეწველობის მანამდე გაუგონარი სწრაფი ტემპით განვითარება და მისი გეოგრაფიული ჩარჩოების გაფართოება. დროის ამ მონაკვეთში მისი პროდუქცია გაიზარდა სამჯერ და მეტად და უზარმაზარ მოცულობას მიაღწია.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება ამ წლებში მეტალურგიული მრეწველობა, კერძოდ, ფოლადის გამოდნობა. სამოცდაათეული წლის მანძილზე (1870—1900) მისი წარმოება 56-ჯერ გადიდდა და 28 მილიონ ტონას გადააჭარბა. ფოლადის წარმოების ზრდას მძლავრი სტიმული მისცა მეტალურგიულ მრეწველობაში მომხდარმა ტექნიკურმა რევოლუციამ, ბესემერისა და მარტენის გამოგონებებმა და რკინის მადნის ტომასის წესით დამუშავებამ. რამაც შესაძლებელი გახადა ფოსფორის შემცველი რკინის მადნების მასობრივად დამუშავება ევროპასა და აშშ-ში. ფოლადის წარმოების სწრაფ ზრდას ადგილი ჰქონდა უპირატესად „ახალგაზრდა“, დაჩქარებული ტემპით წინმავალ კაპიტალისტურ ქვეყნებში — აშშ-ში, გერმანიასა და სხვ.

მეტალურგიული მრეწველობის, კერძოდ ფოლადის წარმოების დარგში მომხდარმა ტექნიკურმა რევოლუციამ უშუალო გავლენა მოახდინა მრეწველობის სხვა დარგებზეც და იქაც დააჩქარა სათანადო რევოლუციური პროცესი, რასაც თან მოჰყვა მანქანათმშენებლობის და მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგების დაჩქარებული განვითარება. ამან ძირეული ცვლილება მოახდინა კაპიტალისტური მრეწველობის სტრუქტურაში და წინ წასწია საწარმოო საშუალებათა მწარმოებელი წარმოება, რომელმაც მალე გაუსწრო მსუბუქ მრეწველობას (საფეიქრო, გემო-კვების...). კაპიტალიზმი „ბამბეულის საუკუნიდან“ „ფოლადის საუკუნეში“ გადავიდა.

რიგ დარგებში ფოლადმა მალე გამოდევნა თუჯი, რომლითაც მანამდე ამზადებდნენ მანქანებს, გემებს, ორთქლმავლებს, რელსებს, ვაგონებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. აღნიშნულის შედეგი იყო მანქანების ხარისხის, გამძლეობის, სიჩქარის, სიმძლავრის გადიდება და მრავალი ახალი კონსტრუქციული გაუმჯობესებანი, რაც მოასწავებდა შემდგომ ტექნიკურ რევოლუციას მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიასა და სხვა დარგებში.

მძლავრი ტექნიკური პროგრესი, რომლის ტემპი თანდათანობით ჩქარდება მრეწველობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი წინსვლის, დიდი კაპიტალისტური ქვეყნე-

ბის მილიტარიზაციის კვალდაკვალ, თანდათანობით მოიცავს ცხოვრების ყველა დარგს. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო ახალი მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნა და შრომის ნაყოფიერების გადიდება. თანდათანობით გაუმჯობესდა ორთქლის მანქანები. ორთქლის ტურბინამ (იგი გამოიგონეს ურთიერთისაგან დამოუკიდებლად შვედმა ლავალმა და ინგლისელმა პარსონმა 1883-84 წლებში) და ტურბოგენერატორების გამოგონებამ[1] არამარტო გაადიდა ორთქლის ენერგიის გამოყენების სიმძლავრე, არამედ შეამზადა ნიადაგი „ორთქლის საუკუნიდან" „ელექტრონის საუკუნეში" გადასვლისათვის. შიდაწვის ძრავების მასობრივ დანერგვას თან მოჰყვა მოთხოვნილების გადიდება თხიერ საწვავზე, რამაც გაადიდა ნავთობის ეკონომიური მნიშვნელობა, ბიძგი მისცა მის მასობრივ მოპოვებას და ნავთობის მძლავრი ინდუსტრიის შექმნას. 1870 წელს მსოფლიოში სულ მოპოვებულ იქნა 0,8 მლნ ტ ნავთობი, 1900 წელს კი უკვე 20 მლნ ტ ნავთობის მოპოვება და ნავთობის წყაროების დაუფლება მსხვილი კაპიტალისტური მაგნატებისა და მონოპოლიების გააფთრებული მეტოქეობის ობიექტი ხდება.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან თანდათანობით ინერგება ელექტრობა ჯერ საწარმოებისა და ქალაქების გასანათებლად, შემდეგ კი მექანიკური ენერგიის წყაროდ. ამ დროიდან იწყება თბოდა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და საფუძველი ეყრება ელექტროტექნიკას, ელექტრომრეწველობას. ვერნერის, გრამის, სიმენსის, ცნობილი ამერიკელი გამომგონებლის ედისონისა და სხვათა გამოგონებებმა ელექტროდენი მექანიკურ ენერგიად აქცია და ბიძგი მისცა მის მასობრივ გამოყენებას მრეწველობაში, ტრანსპორტსა და საქალაქო მეურნეობაში. ელექტროენერგიის შორს მანძილზე გადაცემამ, რასაც ფრანგი ინჟინრის დეპრეს პრაქტიკულმა ცდებმა ჩაუყარა საფუძველი, ახალი მძლავრი ბიძგი მისცა ელექტროენერგიის მასობრივ დანერგვას. ფ. ენგელსმა ელექტროტექნიკურ რევოლუციას კოლოსალური რევოლუცია უწოდა. ელექტროენერგიის გამოყენებამ, მისი თქმით, შესაძლებელი გახადა ყველა სახის ენერგიის (სითბო, მექანიკური ენერგია, ელექტრობა) ერთი მეორედ გარდაქმნა და მათი სამრეწველო გამოყენება. დეპრეს გამოგონებამ საბოლოოდ გაათავისუფლა მრეწველობა ყველა გეოგრაფიული ზღუდისაგან და შესაძლებელი გახადა აგრეთვე შორეული წყლის ენერგიის გამოყენება[2].

---

[1] შიდაწვის ძრავა, რომლის გამომგონებელია გერმანელი ინჟინერი დიზელი.

[2] ფ. ენგელსის 1883 წლის 1 მარტის წერილი ე. ბერნშტაინისადმი; К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, стр. 374.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ და ათეულ-დიდმნიშვნელოვანი გამოგონების ინტენსიურად დანერგვამ ელექ-ტროენერგია ენერგიის წამყვან წყაროდ აქცია; მან საჭიროდ გახადა ელექტროქიმიის, ელექტრომეტალურგიის შექმნა და მძლავრი ბიძგი მისცა მრეწველობის სხვა სრულიად ახალი დარგების შექმნას. ასეთები იყო ქიმიური მრეწველობა, ზუსტი ხელსაწყოების მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, ცელულოზის წარმოება, სამაცივრო საქმე და სხვ.

ფოლადის მასობრივმა წარმოებამ, მრეწველობის სწრაფმა ზრდამ, ახალი სამრეწველო დარგების შექმნამ და ელექტროენერ-გიის გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი ტრანსპორტისა და კავშირ-გაბმულობის საშუალებათა განვითარებას.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს სარკინიგზო ტრანსპორტის არნახული ტემპებით ზრდა. 1870 წლიდან 1900 წლამდე მსოფლ-ის რკინიგზების ქსელის სიგრძე 4-ჯერ გაიზარდა და 800 ათას კი-ლომეტრს მიაღწია (200 ათასიდან). ეს ზრდა უმთავრესად მოხდა სარკინიგზო ქსელის ინტენსიური მშენებლობით გერმანიაში, საფ-რანგეთში, რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. სარკინიგზო ტრანსპორტი ამ ქვეყნებში მიმოსვლის ძირითადი საშუალება გახ-და. მან მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მანამდე დაშორებული ადგილები. გააადვილა მოსახლეობის გადაყვანა და ტვირთის გადა-ზიდვა, შექმნა პირობები საწარმოო ძალების ახალი გეოგრაფიული განლაგებისათვის და გაადიდა შინაგანი და საგარეო ვაჭრობის მო-ცულობა.

სარკინიგზო ტრანსპორტი მასობრივად დაინერგა კანადაში, ლა-თინური ამერიკის ქვეყნებში, ინდოეთში, იაპონიაში, თურქეთში, აზიის სხვა ქვეყნებში, აფრიკასა (ჩრდილოეთი და სამხრეთი) და ავსტრალიის კონტინენტზე.

არანაკლები ტემპით ვითარდება საზღვაო და სამდინარო ნაოსნო-ბაც, საბოლოოდ გამოდის წყობიდან იალქნიანი გემები, რომლებსაც ორთქლის ენერგიით აღჭურვილი გემები ცვლის. ფოლადის გამო-ყენებამ და სხვა ტექნიკურმა სიახლემ შესაძლებელი გახადა გემე-ბის კონსტრუქციის შეცვლა, მათი ტონაჟისა და სიჩქარის მკვეთრი გადიდება. საზღვაო სახელმწიფოთა რიგებში ჩადგნენ ახალი სა-ხელმწიფოები (აშშ, ნორვეგია, საბერძნეთი, იაპონია).

ასეთივე მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური პროგრესი კავშირგაბ-მულობის დარგშიც. ედისონის, ბელისა და სხვათა გამოგონებებმა უაღრესად გააუმჯობესეს ტელეგრაფი და ტელეფონი, გაამასობრი-

ვეს მათი გამოყენება და მსოფლიოს ხალხთა დიდი ნაწილის კუთვნილებად აქციეს. თუ 1880-82 წლებში ტელეგრაფის ხაზების სიგრძე მსოფლიოში 1,5 მლნ კილომეტრს არ აღემატებოდა, 1900 წლისათვის მისი სიგრძე 4,3 მლნ კილომეტრამდე გაიზარდა.

XIX საუკუნის მიწურულისათვის უდიდესი ტექნიკური გადატრიალება კავშირგაბმულობის დარგში დაგვირგვინდა უმავთულო ტელეგრაფის — რადიოს გამოგონებით (1895 წელს), რომელიც რუსი მეცნიერის პოპოვისა და იტალიელი მეცნიერის (იგი ინგლისში მუშაობდა) მარკონის სახელებთან არის დაკავშირებული.

ზემოაღნიშნულმა დიდმა სამრეწველო-ტექნიკურმა პროგრესმა ძლავრი ბიძგი მისცა ურბანიზაციის პროცესს. მისი უშუალო შედეგი იყო ათეული ახალი ქალაქის შექმნა, ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, სოფლის მოსახლეობის ქალაქისაკენ მასობრივი ლტოლვა. ამან მკვეთრად შეცვალა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის შეფარდება; ევროპის რიგ ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია, ბელგია) ქალაქის მოსახლეობამ წინ გაუსწრო სოფლის მოსახლეობას [1].

ნარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. მონოპოლიების აღმოცენება

საწარმოო ძალების დაჩქარებული ზრდის, კაპიტალისტური მრეწველობის სფეროს არნახული გაფართოებისა და საწარმოო პროცესის უაღრესად გართულების ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო სერიოზული ცვლილებები კაპიტალისტური მეურნეობის სტრუქტურაში. მრეწველობის წამყვან დარგად ქცეული მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარება მოითხოვდა ახალი ქარხნების, მაღაროების, ელსადგურების, დამხმარე საწარმოთა მასობრივ მშენებლობას, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის გაფართოებას, რაც დიდ კაპიტალურ დაბანდებებთან იყო დაკავშირებული. ასეთი დიდი სახსრების გაღება, მოგების რაგინდ მაღალი პროცენტის მიღებასთან არ უნდა ყოფილიყო იგი დაკავშირებული, აღემატებოდა ცალკეული კაპიტალისტის შესაძლებლობებს. ამან და კაპიტალისტთა შორის კონკურენციის გამწვავებამ და გახშირებულმა ეკონომიურმა კრიზისებმა ხელი შეუწყვეს კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას და შექმნეს ხელსაყრელი პირობები მონოპოლიების აღმოცენებისათვის.

---

[1] აშშ-ში, ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში 1871 წლისათვის ქალაქად ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 37%, 1901 წლისათვის მისი რაოდენობა 51,6 პროცენტამდე გაიზარდა.

80-იანი წლების დასაწყისიდან მასობრივად იქმნება ე. წ. სააქციო საზოგადოებები, რომლებიც თავს უყრის მსხვილ, საშუალო და წვრილ მეწარმე-საქმოსანთა სახსრებს და ახდენს კაპიტალის კონცენტრაციას. ამ პროცესს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკების ფუნქციათა გაძლიერება, საწარმოებთან მათი კავშირის განმტკიცება და მრეწველობის სხვადასხვა დარგების მზარდი დაფინანსება.

სააქციო გაერთიანებათა ბაზაზე კი, უპირატესად მძიმე ინდუსტრიის დარგში, თანდათანობით იქმნება მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებები — კარტელები, სინდიკატები, ტრესტები, კონცერნები [1]. ამა თუ იმ ქვეყანაში ან წარმოების დარგში ფეხს იკიდებს მონოპოლისტურ გაერთიანებათა ესა თუ ის სახე.

მონოპოლისტური გაერთიანებები იქმნება როგორც მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია), ისე რუსეთში, იაპონიაში, ავსტრია-უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში. მაგრამ მათი მასშტაბი და, მაშასადამე, კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაცია გაცილებით უფრო მაღალია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში [2].

მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა პირველად წამყვანი ადგილი დაიკავეს მეტალურგიულ, სამთო, ქვანახშირის, გემთმშენებლობის, ელექტროტექნიკურ, ქიმიურ მრეწველობაში, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტზე. XIX საუკუნის მიწურულიდან კარტელები, სინდიკატები და სხვა სახის მონოპოლისტური გაერთიანებები მსუბუქი ინდუსტრიის დარგებშიც მკვიდრდებიან.

თავდაპირველად მონოპოლიები არამყარი იყო, სუსტი იყო მათი ეკონომიური როლიც. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გავლენა მათ მხოლოდ 80-იანი წლებიდან მოიპოვეს. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე კი ისინი არსებით ზემოქმედებას ახდენდნენ როგორც ეკონომიურ განვითარებაზე, ისე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკაზე.

---

[1] კარტელები ისეთი გაერთიანებებია, რომელთა ამოცანაა გასაღების ბაზრების გაყოფა, ფასების დადგენა და წარმოების ოდენობის განსაზღვრა, სინდიკატები საქონელთა ერთობლივი გასაღების მიზნით შექმნილი გაერთიანებები. ტრესტები გაერთიანების უმაღლესი ფორმაა, როცა ათეულ მეწარმეთა საწარმოები და სახსრები გაერთიანებულია ერთიან ცენტრში, ერთობლივი წარმოებისა და გასაღების მიზნით; კონცერნები კი ტრესტებისა და საწარმოთა გაერთიანებებია ერთობლივ ფინანსურ ბაზაზე.

[2] მაგ. 1880-90 წლებში მეტალურგიული ქარხნების რიცხვი აშშ-ში ერთი მესამედით შემცირდა, მათი პროდუქცია კი — პირიქით, რამდენჯერმე გადიდდა.

წარმოების კონცენტრაციას და მონოპოლისტურ კავშირთა აღმოცენებას თან სდევს საბანკო საქმის კონცენტრაცია, საბანკო და სამრეწველო კაპიტალთა მზარდი შერწყმა და ფინანსური კაპიტალის ჩასახვა. მასთანაა დაკავშირებული ფინანსური ოლიგარქიის წარმოშობა, რომელიც თავის ხელში აქცევს მსხვილ საბანკო და სამრეწველო გაერთიანებათა სახსრებს, პოლიტიკურ უფლებებს. ამ მხრივ ტიპურია მორგანისა და როკფელერის მძლავრი გაერთიანებები (კორპორაციებიც), რომლებიც უკვე XIX საუკუნის მიწურულისათვის ხელში იგდებენ აშშ-ის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

იმპერიალიზმის ეპოქის აღნიშნულ ნიშნებთან ერთად XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში თავს იჩენს კაპიტალიზმის უმაღლესი ეტაპისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც. პირველ ყოვლისა ეს ითქმის კაპიტალიზმის ხრწნისა და მის მიერ ტექნიკის შემდგომი განვითარების დამუხრუჭების შესახებ.

კაპიტალიზმის ხრწნის ერთ-ერთი კონკრეტული ნიშანია არასაწარმოო პროფესიების (სასადილოებისა და სასტუმროების მოსამსახურენი, შინამოსამსახურენი...) რიცხვის ზრდა, რანტიეთა ფენის გადიდება ინგლისსა და საფრანგეთში და ამავე ქვეყნების, აგრეთვე ბელგიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, თანდათანობით გადაქცევა რანტიე სახელმწიფოებად.

მთელ რიგ შემთხვევებში ცალკეული კაპიტალისტები და თვით მონოპოლისტური გაერთიანებები ხელოვნურად აფერხებენ ახალი ტექნიკის დანერგვას და ამჯობინებენ ძველებური წესით მუშაობას. მაგალითად, გაზის კომპანიები ხელს უშლის ელექტროგანათებას. სარკინიგზო მაგნატები — რკინიგზის ელექტროფიკაციას, მიწათმფლობელები — თავიანთ ნაკვეთებზე ელექტროგადამცემი ხაზებისა და ახალი რკინიგზების გაყვანას, საწარმოთა აგებას და ა. შ.

კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის გაძლიერება

უდიდესმა ძვრებმა, რომლებიც სამი ათეული წლის მანძილზე მოხდა წარმოების კაპიტალისტურ წესში (მსოფლიო სამრეწველო წარმოების გასამკეცება, აღებ-მიცემობისა და კავშირ-მიმოსვლის საშუალებათა დაჩქარებული განვითარება, ძირეული ცვლილებები საწარმოო ძალთა გეოგრაფიულ განლაგებაში, მონოპოლიების აღმოცენება და სხვ.), წინ წასწია მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა. მაგრამ მან, ამასთან ერთად, მკვეთრად გაამწვავა კაპიტალიზმისათვის იმანენტურად დამახასიათებელი წინააღმდეგობანი და ძველ

მოურჩენელ იარებს ახალი იარები დაუმატა. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობა, რომელიც, ვ. ი. ლენინის თქმით, კაპიტალიზმის უცილობელი კანონია, არის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა. XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ეს უთანაბრობა პროგრესულად გაძლიერდა.

განვითარების უთანაბრობის გაძლიერებამ თავი იჩინა ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების სხვადასხვა ტემპებში, წარმოების დარგთა წინსვლისა და ტექნიკური სიახლის დანერგვის უთანაბრო ხასიათში.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის მხოლოდ ევროპის ორ ქვეყანაში — ინგლისსა და საფრანგეთში იყო განვითარებული მსხვილი კაპიტალისტური ინდუსტრია. მათგან წინ მიდიოდა ინგლისი, რომელიც „მსოფლიოს სახელოსნოს“ როლს ასრულებდა სხვებისათვის. მაგრამ მომდევნო პერიოდში ძველი კაპიტალისტური ქვეყნის განვითარების ტემპები შენელდა. ახალმა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა — აშშ-მა, გერმანიამ, ბელგიამ, აგრეთვე რუსეთმა, ავსტრია-უნგრეთმა, იაპონიამ, რომელთაც ისარგებლეს ძველი კაპიტალისტური ქვეყნების მდიდარი საწარმოო-ტექნიკური გამოცდილებით, შეძლეს მოკლე დროში აეთვისებინათ ახალი ტექნიკური მიღწევები, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მოეწყოთ ახალი საწარმოები. აღნიშნულის წყალობით შედარებით ახალმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საგრძნობლად გაუსწრეს სამრეწველო განვითარების ტემპებით ინგლისსა და საფრანგეთს. ამის შედეგად ინგლისმა დაკარგა ძველი სამრეწველო მონოპოლია, უკანა პლანზე გადავიდა საფრანგეთიც. და მკვეთრად შემცირდა მათი ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. 1870 წელს ინგლისზე მოდიოდა მსოფლიო სამრეწველო წარმოების 32 პროცენტი, აშშ-ზე—23. გერმანიაზე—13 და საფრანგეთზე—10. 1900 წლისათვის ეს შეფარდება ასე შეიცვალა: აშშ-ზე მოდიოდა მსოფლიო სამრეწველო წარმოების უკვე 31 პროცენტი, ინგლისზე — 18, გერმანიაზე — 16, საფრანგეთზე — 7.

როგორც ვხედავთ, ინგლისმა პირველი ადგილი აშშ-ს დაუთმო, თვითონ კი დროებით მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. იგი მალე მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ხოლო მესამე ადგილზე მყოფმა გერმანიამ (ფოლადისა და ნაგლინის გამოდნობით, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციით. რკინიგზის მშენებლობის ტემპებით მან უკვე უკან მოიტოვა ინგლისი) რამდენიმე წლის შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. საფრანგეთმა საბოლოოდ დათმო მეორე ადგილი და მეოთხეთი დაკმაყოფილდა.

ამ წლებში განვითარების მაღალი ტემპები ჰქონდათ აგრეთვე ისეთ შედარებით პატარა ქვეყანას, როგორიცაა ბელგია, მანამდე მკვეთრად ჩამორჩენილ მეფის რუსეთსა და იაპონიას, რომლებმაც ტემპების მხრივ სხვა ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნებიც კი მოიტოვეს უკან.

„1871 წლის შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გერმანია 3—4-ჯერ უფრო სწრაფად გაძლიერდა, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი, იაპონია 10-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე რუსეთი“ [1].

„ძველ“ და ახალ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიური განვითარების უთანაბრობის გამწვავებამ საგრძნობლად შეცვალა მათი პოლიტიკური წონა მსოფლიოში, შექმნა ახალი თანაფარდობა, გააძლიერა მათი ბრძოლა გასაღების ბაზრებსა და ნედლეულის წყაროებისათვის და ამით გაამწვავა დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული ანტაგონიზმი. მისი ლოგიკური შედეგი იყო მილიტარიზმის საყოველთაო ზრდა და „შეიარაღებული მშვიდობის“ ატმოსფეროს შექმნა.

ცალკეულ ქვეყნებს შორის განვითარების უთანაბრობის გაძლიერებასთან ერთად გაიზარდა დისპროპორცია და განვითარების ტემპების უთანაბრობა წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მზარდი დისპროპორცია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. მართალია, სოფლის მეურნეობაშიც ხდება ცვლილებები, იქაც ინერგება ახალი ტექნიკა და შრომის უკეთესი ორგანიზაცია, მაგრამ ყოველივე ეს შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, რის შედეგად სოფლის მეურნეობა ტემპებით თანდათანობით ჩამორჩება მრეწველობას. რუსეთში, ავსტრია-უნგრეთში, იაპონიაში სოფლის მეურნეობის წინსვლას მკვეთრად აფერხებდა ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი გადმონაშთების დიდი ხვედრითი წონა, მიწის მაღალი რენტა და მემამულური მიწათმფლობელობა კაბალურ მოიჯარეობასთან ერთად, მრეწველობაში მძიმე ინდუსტრიის ზრდის ტემპებმა მკვეთრად გაუსწრო მსუბუქი მრეწველობის ტემპებს. თითქმის ყველა ქვეყანაში ზრდის ტემპებით გამოირჩევა მრეწველობის ახალი დარგები, რომლებიც მოწინავე ახალი ტექნიკით იყო აღჭურვილი (ქიმიური, ელექტროტექნიკური, ფერადი მეტალურგიის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის და ა. შ.).

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ევროპის, შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 416.

ასეთ პირობებში მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის შექმნა კიდევ უფრო ამწვავებს კაპიტალიზმის უკურნებელ წყლულებს, ქმნის ღრმა წინააღმდეგობას დაჩაგრულ და მჩაგვრელ ქვეყნებს შორის და აძლიერებს დამონებულ ხალხთა ბრძოლას პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის.

საგარეო ვაჭრობის ზრდა. კაპიტალის ექსპორტის გაძლიერება და ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიური ექსპანსიის გაძლიერება

XIX საუკუნის მიწურულისათვის დიდ მასშტაბს მიაღწია სხვადასხვა კონტინენტის სახელმწიფოთა ეკონომიურმა დაახლოებამ. ამას მძლავრი ბიძგი მისცა წარმოებისა და ტექნიკის დაჩქარებულმა ზრდამ, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარებამ და მსოფლიო აღებ-მიცემობის სფეროს გაფართოებამ. კაპიტალისტური წარმოებისა და აღებ-მიცემობის ფერხულში ძალაუნებურად ჩათრეული აღმოჩნდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნები, აზიისა და აფრიკის ბევრი კოლონია და ნახევრადკოლონია, ავსტრალია. ეს პროცესი ფაქტიურად მოასწავებდა მსოფლიო მეურნეობის შექმნას, რაც კაპიტალიზმის არსებობისა და კოლონიური დაპყრობების პირობებში მიმდინარეობდა არა ხალხთა ნებაყოფლობითი დაახლოების, არამედ იძულებით, ერთთა (ძლიერთა და განვითარებულთა) მიერ მეორეთა (ჩამორჩენილთა) დაპყრობა-დამონებისა და ეკონომიური დამორჩილების გზით. წარმოების, ტექნიკისა და მიმოსვლის საშუალებათა მძლავრმა განვითარებამ და კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის გეოგრაფიული ჩარჩოების გაფართოებამ დიდად წასწია წინ მსოფლიო აღებ-მიცემობა და არნახულად გააფართოვა საგარეო ვაჭრობის მოცულობა. მკვეთრად გაიზარდა გაზიდულ და შემოზიდულ საქონელთა ასორტიმენტი. მანქანებმა, სატრანსპორტო მოწყობილობამ, ნედლეულმა ექსპორტსა და იმპორტში წამყვანი ადგილი დაიკავეს. მსოფლიო ვაჭრობის ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი სახელმწიფოები. შეირყა ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობა და მწვავე ხასიათი მიიღო ბრძოლამ საქონლის გასაღების ბაზრებისათვის[1].

ძირითად კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საგარეო ვაჭრობის

---

[1] იგი ზოგჯერ მძაფრი საბაჟო ომის ხასიათს იღებს. მაგ. რუსეთ-გერმანიის— 1891-93 წლებში, საფრანგეთ-იტალიისა — 1895-98 წლებში და ა. შ.

მოცულობა 1870 წლიდან 1900 წლამდე გაორკეცდა[1] და ღირებულებით 3 მილიარდ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. მართალია, ინგლისმა შეინარჩუნა პირველი ადგილი მსოფლიო ვაჭრობაში, მაგრამ მისი ხვედრითი წონა საგრძნობლად შემცირდა (19%-მდე). რაც შეეხება აშშ-სა და გერმანიას, მათი წილი, პირიქით, გადიდდა (გერმანიისა — 13%-მდე, აშშ—12%-მდე).

მოცემული ისტორიული მონაკვეთის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალის მზარდი გაზიდვა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებიდან კოლონიებში, ნახევრადკოლონიებსა და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში. მას სტიმულს აძლევს ამ ქვეყნებში გაზიდულ და ინვესტირებულ კაპიტალზე ზემოგებისა და მაქსიმალური მოგების შესაძლებლობა. მაქსიმალური მოგების მიღება კი ხდება ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მრავალფეროვანი ნედლეულისა და იაფი მუშახელის მტაცებლური ექსპლუატაციის გზით. კაპიტალი მზარდი რაოდენობით გადის ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, შვეიცარიიდან და ა. შ. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტირებული კაპიტალი ბანდდება რკინიგზების მშენებლობაში, პლანტაციურ მეურნეობებში, წიაღისეულის მოპოვებაში, სახელმწიფო სესხებში, ბანკებსა და სავაჭრო-სპეკულაციურ სფეროში (მიწების შესყიდვა და სხვ.). ლათინური ამერიკა, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, რუსეთი, თურქეთი, ირანი, არაბული აღმოსავლეთი, ტროპიკული აფრიკა—ეი კაპიტალის ექსპორტის მთავარი რაიონები. დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის საქონლის გასაღების ბაზრებისა და ხელსაყრელი ბაზებისათვის მძაფრ ბრძოლას ემატება მათი და საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის სასტიკი მეტოქეობა კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელი სფეროებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის სარფიან პირობებში გაზიდვას ეწეოდნენ იმ სახელმწიფოთა ბანკირ-ფინანსისტები და ოფიციალური უწყებებიც, რომლებიც თვითონ წარმოადგენდნენ დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების კაპიტალის დაბანდების ობიექტებს (რუსეთი — ჩინეთსა და ირანში, იაპონია—ჩინეთსა და კორეაში, ავსტრია-უნგრეთი—ბალკანეთის ქვეყნებში).

XIX საუკუნის 70—90-იან წლებში უდიდეს გაქანებას იღებს ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური დაპყრობები აზიაში, აფრიკასა და ოკეანიის უკიდეგანო სივრცეებზე. ძველი

---

[1] 1870 წლისათვის მისი მოცულობა 1,546,3 მლნ გირვ. სტერლინგს უდრიდა. აქედან 547,3 მლნ გირვ. სტერლინგი მარტო ინგლისზე მოდიოდა.

კოლონიური სახელმწიფოები—ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა ხელში იყო მოქცეული მანამდე კოლონიური სამფლობელოების დიდი უმეტესობა, ათეული კოლონიური ექსპედიციებით მკვეთრად აფართოებენ თავიანთ კოლონიურ სამფლობელოებს და ქმნიან ვეებერთელა კოლონიურ იმპერიებს (ვიეტნამი, ინდონეზიის ნაწილი...). „ძველ“ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მხარში ამოუდგნენ რუსეთი, რომელმაც შუა აზიის სახანოების დაპყრობით კიდევ უფრო გააფართოვა იმპერიის ფარგლები, გერმანია, აშშ, იაპონია, იტალია, ბელგია. „დაამრგვალეს“ თავიანთი კოლონიური სამფლობელოები აფრიკაში პორტუგალიამ და ესპანეთმა. ვინაიდან აზიაში ცოტა იყო დაუპყრობელი და „უბატონო“ ტერიტორია (ლაოსი, კამბოჯა, კორეა, ინდონეზიის ნაწილი...) დიდმა და პატარა კოლონიზატორებმა განაწილების ძირითად ობიექტად და კოლონიური მტაცებლობის მთავარ ასპარეზად აფრიკის ვრცელი კონტინენტი აქციეს. 1876 წელს ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია ფლობდნენ აფრიკის ტერიტორიის მხოლოდ 10.8%-ს, 1900 წლისათვის კი უკვე—90.4%-ს. აფრიკის კონტინენტი ძველი და ახალი კოლონიური სახელმწიფოების მძაფრი მეტოქეობის ობიექტი ხდება. იგივე მეორდება ოკეანიაშიც. მაშინ მოხდა ფაქტიურად ოკეანიის მრავალრიცხოვანი არქიპელაგების კოლონიური განაწილება ინგლისს, საფრანგეთს, აშშ-სა და გერმანიას შორის.

ამ სამი ათეული წლის მანძილზე დაპყრობილი ვრცელი ტერიტორიები და მილიონობით ხალხები მეტროპოლიების გაბატონებული კლასების კოლონიური ძარცვისა და მტაცებლობის ობიექტები გახდნენ. ისინი იძულებით აღმოჩნდნენ ჩაბმული მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სფეროში. ოღლი გამდიდრების ჟინით შეპყრობილი ყველა ჯურის საქმოსანი, სპეკულანტი და ავანტიურისტი მიესია ახლად დაპყრობილ კოლონიებს და დაიწყო წიაღისეულის, საუკეთესო მიწების მითვისება, ნედლეულისა და სხვა სიმდიდრეების მიტაცება.

XIX საუკუნის მიწურულის ეკონომიური კრიზისები

წარმოებისა და ტექნიკის დარგში მომხდარმა კოლოსალურმა ცვლილებებმა უფრო მკვეთრად, ვიდრე მანამდე, გამოავლინა წარმოების კაპიტალისტური წესის სრული ანაქრონიზმი. მილიონთა დაქირავებულ შრომასა და კერძო-კაპიტალისტურ მითვისებაზე აგებული გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობა უფრო და უფრო წინააღმდეგობაშია საწარმოო ძალების მაღალი დონისა და წარმოე-

ბის საზოგადოებრივი ხასიათისადმი და მისი შემდგომი განვითარების მუხრუჭად იქცევა. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ეკონომიური კრიზისების გახშირება და მათი მსოფლიო ეკონომიურ კრიზისებში გადაზრდა.

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში კაპიტალისტური ქვეყნები შეარყია ოთხმა ერთიმეორის მომდევნო გაჭიანურებულმა კრიზისმა. პირველი დაიწყო 1873 წელს, მეორე—1882 წელს, მესამე—1890 წელს, მეოთხე—1900 წელს. ინტერვალები კრიზისებს შორის, რომელთა დროსაც ადგილი აქვს გამოცოცხლებას, დაახლოებით 4—5 წელს გაგრძელდა. ყოველი მომდევნო კრიზისი კი სიმწვავითა და ხანგრძლივობით წინამორბედს მკვეთრად აღემატებოდა.

პირველი კრიზისი გერმანიასა და აშშ-ში დაიწყო და მალე სხვა ქვეყნებსაც მოედო. მეორე კრიზისის მთავარი ბაზა იყო აშშ, მესამისა—ევროპა. კრიზისებს თან სდევდა სამეურნეო აქტივობის გაუგონარი შემცირება, მასობრივი ბანკროტობა [1], მშრომელთა დაუსაქმებლობა-უმუშევრობა და მათი ცხოვრების პირობების კატასტროფული დაცემა. 1900 წელს დაწყებული კრიზისი მეოცე საუკუნის პირველ წლებშიც მძვინვარებდა. განსაკუთრებული სიმწვავისა და ყოვლისმომცველობის გამო მან მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ხასიათი მიიღო.

კრიზისების ერთ-ერთი უარყოფითი რეზულტატი იყო მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესება, მისი რეალური ხელფასის სისტემატური დაცემა, უმუშევართა სარეზერვო არმიის ზრდა, ეროვნულ შემოსავალში მშრომელთა წილის შეუჩერებელი შემცირება და შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ანტაგონიზმის მკვეთრი გამწვავება.

აღნიშნულმა კრიზისებმა ბიძგი მისცა მონოპოლიების აღმოცენებას, დაჩქარა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი და მით შეამზადა პირობები კაპიტალიზმის უკანასკნელ ფაზაში — იმპერიალიზმში გადაზრდისათვის.

კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკური განვითარება XIX საუკუნის 70—90-იან წლებში. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის გაძლიერება

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ევროპაში, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, იქმნება თანასწორუფლებიან ერთა სის-

[1] 1890-94 წლებში აშშ-ში, გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში აღრიცხული იყო 180 ათასზე მეტი ბანკროტობა.

ტემა, ყალიბდება კონსტიტუციური[1], ეროვნული სახელმწიფოები. აშშ-ში, საფრანგეთში, ბელგიაში... მტკიცდება სახელმწიფო წყობილების რესპუბლიკური ფორმა[2]. „შედარებით დემოკრატიული ერების გვერდით დგას რუსეთის ცარიზმი, „რომელიც ასეული წლების მანძილზე ყველას ძარცვავდა და ჩაგრავდა“[3]. ერთეროვნებიანი ეროვნული სახელმწიფოების გვერდით არსებობს და ვითარდება მრავალეროვნებიანი სახელმწიფოებიც (მეფის რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი...); აღმოსავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოებში გაბატონებული ეროვნების (ველიკორუსების, გერმანელების) გაბატონებული კლასები ჩაგრავენ სხვა ხალხებს (ავსტრია-უნგრეთში—ჩეხებს, სლოვაკებს, ხორვატებს, რუმინელებს; რუსეთში — პოლონელებს, ლიტველებს, ლატვიელებს, ფინელებს, ქართველებს, ესტონელებს და სხვ.), რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ეროვნულ დამონებასა და ჩაგვრას ადგილი აქვს დასავლეთ ევროპაშიც. ინგლისელები ჩაგრავენ ირლანდიელებს, გერმანელები — პოლონელებსა და ელზას-ლორენის მოსახლეობას, ესპანელები — ბასკებს, კატალონელებს და ა. შ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში დამკვიდრებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკები და ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქიები „საყოველთაო“-საარჩევნო უფლებით და პრესის, სიტყვის, შეკრების შედარებითი თავისუფლებით, ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის დამახასიათებელი სიმახინჯეების მიუხედავად, მშრომელებს თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლის მეტ გასაქანს აძლევენ, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. რუსეთში, ავსტრია-უნგრეთში, ესპანეთში, ნაწილობრივ გერმანიაში პარლამენტარიზმი ან სულ არ არსებობს, ან უბრალო შირმაა, რომელიც ფარავს მემამულურ-თვითმპყრობელურ რეჟიმს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი) სასტიკ ეროვნულ ჩაგვრას თან სდევს მშრომელი მასების მძიმე სოციალური კაბალა და სრული პოლიტიკური უუფლებობა.

პარიზის კომუნის განადგურების შემდეგ კაპიტალიზმი შედარებით „მშვიდობიანად“ ვითარდება. დასავლეთში, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მოთავდა ბურჟუაზიული რევოლუციები და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, 1917 წლის 19 იანვრის წერილი ინესა არმანისადმი, თხზ., ტ. 35, გვ. 283.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი, თხზ., ტ. 18, გვ. 706.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილი ინესა არმანისადმი, თხზ., ტ. 35, გვ. 283.

ეროვნულ-გამაერთიანებელი მოძრაობები. „აღმოსავლეთი საამისოდ ჯერ კიდევ არ მომწიფებულა, დასავლეთი შედის მომავალ გარდაქმნათა, ეპოქისათვის „მშვიდობიანი" მზადების ხანაში" [1].

მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, პარიზის კომუნის განადგურების მომდევნო რეაქციის მიუხედავად, უფრო და უფრო დიდ ძალად იქცევა. მკვეთრად იზრდება მისი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ისტორიული პროცესის წამყვანი ძალა ხდება. მაღლდება მისი პოლიტიკური შეგნებულობა, იდეური დონე და ორგანიზება, მარქსიზმი საბოლოოდ ეუფლება მილიონობით მშრომელს და მებრძოლ რევოლუციურ მსოფლმხედველობად იქცევა. მმართველი ზედაფენა და გაბატონებული ექსპლუატატორული კლასები იძულებული არიან სერიოზული ანგარიში გაუწიონ ამ მზარდ ისტორიულ ძალას, მათ მზარდ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას და რიგ დათმობებზე წავიდნენ (საარჩევნო უფლებების გაფართოება, შრომის კანონმდებლობის შემოღება, ხელფასის მომატება, კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება).

საკანონმდებლო ორგანიზაციების — პარლამენტების ფუნქციების შემცირება, აღმასრულებელი ხელისუფლების (კაბინეტები) როლის მკვეთრი გაძლიერება, თვითმმართველობათა შეზღუდვა, ბიუროკრატიული აპარატისა და ბიუროკრატიზმის შეუჩერებელი ზრდა, გაბატონებული პარტიების ელიტის მზარდი ჩარევა სახელმწიფოს საქმიანობაში, მილიტარიზმის ზრდა და მხედრიონის პოლიტიკური როლის გაძლიერება, დაბოლოს, რეაქციული ტენდენციების ზრდა მმართველი წრეების პოლიტიკაში და ბურჟუაზიული დემოკრატიის ხრწნის ნიშნების მკვეთრად გამოვლენა ავსებს ამ ეპოქის ძირითად ნიშან-თვისებებს.

ჩვენ არ გვექნება სრული წარმოდგენა კაპიტალისტური ქვეყნების XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის განვითარების ხასიათის შესახებ, თუ მოკლედ არ აღვნიშნავთ იმ უდიდეს ძვრებს, რაც ამ წლებში მოხდა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში.

მოცემულმა ისტორიულმა მონაკვეთმა წინ წასწია კაცობრიობის კულტურა და ცივილიზაცია, არნახულად გაზარდა აზრისა და ცნობიერების მიერ სამყაროს შეცნობის პროცესი და წარმატებით გადაწყვიტა მრავალი მანამდე ამოუცნობი საკითხი. განსაკუთრებით დიდ

---

[1] ვ. ი. ლენინი, კ. მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი, თხზ., ტ. 18 გვ. 707.

წარმატებას მიაღწია მეცნიერებამ და კულტურამ ევროპის დიდ ქვეყნებში — ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთსა და აშშ-ში. დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბუნებისმეტყველებაში, მედიცინაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში, ქიმიაში, ფიზიკაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ლიტერატურა, ხელოვნების ყველა დარგი გამდიდრდა მრავალი ახალი შედევრით. მაშინ მოღვაწეობდა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ათეული დიდოსტატი, რომლებმაც თავიანთი უკვდავი შემოქმედებით და დიდი წვლილით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მარადიული დიდება მოუხვეჭეს თავიანთ ერებს. ლუი პასტერი, დიმიტრი მენდელეევი, ტომა ედისონი, მარსელ დეპრე, კლიმენტი ტიმირიაზევი, ლევ ტოლსტოი, ბერნარდ შოუ, ჯეკ ლონდონი, ოგიუსტ როდენი, ვილჰელმ რენტგენი, თეოდორ დოსტოევსკი, რიხარდ ვაგნერი, ანატოლ ფრანსი, ჰენრიხ იბსენი, მარკ ტვენი, რაბინდრანად თაგორი, ედუარდ გრიგი, ჯუზეპე ვერდი და სხვ. აი მაშინდელ მოღვაწეთა არასრული სია, რომლებითაც დიდად არის დავალებული კაცობრიობა.

გერმანიის იმპერია 1871-96 წლებში

გერმანიის იმპერიის შექმნა

1871 წლის 18 იანვარს, საფრანგეთის მეფეთა ბრწყინვალე რეზიდენციის — ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში პრუსიის მეფე ვილჰელმ I დღესასწაულებრივ ვითარებაში იქნა გამოცხადებული გერმანიის იმპერიის მემკვიდრეობით იმპერატორად (კაიზერად).

გერმანიის ძალდატანებითი გაერთიანება „რკინითა და სისხლით", რომელსაც რეაქციული პრუსია ჩაუდგა სათავეში, დამთავრდა.

გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც ისტორიულ არენაზე მაშინ გამოვიდა, როცა პროლეტარიატი უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა და თავისი კლასობრივი მოთხოვნილებანი წამოაყენა, დასჯერდა კომპრომისს თავადაზნაურულ წრეებთან. ბურჟუაზიის ღალატმა, მისმა სიმხდალემ და პოლიტიკურმა უსუსურობამ, პროლეტარიატის სისუსტემ განაპირობა ის, რომ გერმანიის გაერთიანება პრუსიის იუნკრული მონარქიის ჰეგემონობით მოხდა. ცხადია, ამ გზით გაერთიანებულ გერმანიაში შენარჩუნებულ იქნა პრუსიულობის ყველა ნეგატიური თვისება.

გერმანიის გაერთიანებასა და მის შედეგებზე ვ. ი. ლენინი წერდა: „პრუსიისა და ავსტრიის პროლეტარიატის სისუსტე იყო იმის მიზეზი, რომ მან ხელი ვერ შეუშალა აგრარიებს და ბურჟუაზიას მოეხდინათ გარდაქმნა მუშათა ინტერესების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მუშებისათვის უ ა ღ რ ე ს ა დ ა რ ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ფორმით როგორც მონარქიის, ისე თავადაზნაურობის პრივილეგიების, აგრეთვე სოფლად უუფლებობისა და შუასაუკუნეების სხვა მრავალი ნაშთის შენარჩუნებით" [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რეფორმიზმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. თხზ., ტ. 17, გვ. 273—274.

1871 წლის მარტში მოიწვიეს პირველი საერთოიმპერიული რაიხსტაგი, რომელმაც აპრილში თითქმის უცვლელად დაამტკიცა ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის კონსტიტუცია იმპერიის კონსტიტუციად.

კონსტიტუციამ განამტკიცა იმპერიაში პრუსიის ჰეგემონია. პრუსია იყო გაერთიანებული გერმანიის ყველაზე დიდი სახელმწიფო— მასზე მოდიოდა იმპერიის ტერიტორიის 55% და მოსახლეობის 61%.

იმპერიამ გააერთიანა 22 მონარქია (მათ შორის 4 სამეფო—პრუსია, ბავარია, ვიურტემბერგი და საქსონია) და 3 თავისუფალი ქალაქი — ჰამბურგი, ბრემენი და ლიუბეკი. ელზას-ლორენი, რომელიც საფრანგეთს წაართვეს, უშუალოდ იმპერატორს დაემორჩილა, როგორც განსაკუთრებული საიმპერიო პროვინცია.

იმპერიაში შემავალმა სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს თავიანთი დინასტიები, კონსტიტუციები, მთავრობები და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები — ლანდტაგები. ლანდტაგებს ჰქონდათ უფლება გადაეწყვიტათ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები: განათლების, სათემო თვითმმართველობის, საეკლესიო, არაპირდაპირი გადასახადების დაწესებისა და ა. შ.

მაგრამ სახელმწიფო მმართველობის ძირითადი პრეროგატივები — სახელმწიფოს თავდაცვა, საგარეო პოლიტიკის წარმართვა, სამონეტო სისტემა, სამოქალაქო კანონმდებლობა და სხვ., იმპერიის კომპეტენციას დაექვემდებარა (მხოლოდ ბავარიამ შეინარჩუნა დამოუკიდებელი წარმომადგენლობანი უცხოეთში). საიმპერიო მთავრობა განაგებდა აგრეთვე სამრეწველო და საბანკო კანონმდებლობას.

საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნოდა საიმპერიო რაიხსტაგს, რომლის დეპუტატებს სამი წლით (1878 წლიდან კი უკვე 5 წლით) ირჩევდნენ „საყოველთაო"-საარჩევნო უფლების საფუძველზე და ისინი 1906 წლამდე არ იღებდნენ ანაზღაურებას. მაგრამ ხმის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მამაკაცებს (სამხედროთა გამოკლებით) 25 წლიდან. სინამდვილეში რაიხსტაგის საკანონმდებლო ინიციატივა და უფლებები ფრიად შეზღუდული იყო, რეალურად მას მხოლოდ ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების უფლება რჩებოდა. რაიხსტაგის მიერ მიღებული კანონები უნდა დამტკიცებინათ საკავშირო საბჭოს — რაიხსრატსა და იმპერატორს.

რაიხსრატი ცალკეული გერმანული სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შედგებოდა, რომელთაც ამ სახელმწიფოს მეთაური ნიშნავდა. იგი კონსერვატიული ჯგუფების ძირითადი საყრდენი იყო

და წამყვანი როლი მასში პრუსიას ეკუთვნოდა, რადაგან 58 ადგილიდან ამ საბჭოში 17 მის ხელთ იყო.

ფაქტიურად მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება კონცენტრირებული იყო იმპერატორის ხელთ, რომელიც ამავე დროს აუცილებლად უნდა ყოფილიყო პრუსიის მეფე. იმპერატორი განაგებდა იმპერიის შეიარაღებულ ძალებს, ნიშნავდა უმაღლეს ოფიცრებსა და მოხელეებს, იგი აცხადებდა ომს და დებდა ზავს, ამტკიცებდა კანონებს და ჰქონდა უფლება მოეწვია და დაეშალა რაიხსტაგი და რაიხსრატი. იმპერატორი ნიშნავდა რაიხსკანცლერს — ერთადერთ საერთო საიმპერიო მინისტრს. იმპერიის კანცლერი, რომელიც ამავე დროს პრუსიის მთავრობისა და რაიხსრატის თავმჯდომარეც იყო, პასუხს მხოლოდ იმპერატორის წინაშე აგებდა. ცალკეულ სახელმწიფო დაწესებულებათა — სამინისტროთა სათავეში სახელმწიფო მდივნები იდგნენ, რომელთაც კანცლერი ნიშნავდა და რომლებიც მთლიანად მას ემორჩილებოდნენ.

შექმნილი სახელმწიფოებრივი წყობილება უზრუნველყოფდა იუნკრობის უპირატესობას ბურჟუაზიაზე, ხალხის უუფლებობას, უზრუნველყოფდა პრუსიის სამეფოს — იუნკრული რეაქციისა და კონსერვატიზმის ამ საყრდენის უპირატეს გავლენას გერმანიის იმპერიაში შემავალ სხვა სახელმწიფოებზე.

გერმანიის იმპერია შესანიშნავად დაახასიათა კ. მარქსმა. მისი სიტყვით, ეს იმპერია სხვა არა იყო რა, „...თუ არ პარლამენტური ფორმებით შელამაზებული, ფეოდალური ნაშთებით შენარევი, უკვე ბურჟუაზიის გავლენას დაქვემდებარებული, ბიუროკრატიულად შედგენილი და პოლიციის საფარველქვეშ მყოფი სამხედრო დესპოტიზმი“ [1].

გერმანიის ეკონომიური განვითარება 1871-07 წლებში

გერმანიის გაერთიანებამ შესაძლებელი გახადა ფართო საშინაო ბაზრის შექმნა და ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარება. 1900 წლისათვის გერმანიაში — ევროპის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოში უკვე 56 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, აგრარული ქვეყნიდან იგი სწრაფად ვითარდებოდა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად. XIX საუკუნის 70-იან წლებში ფოლადისა და თუჯის გამოდნობით, ქვანახშირის მოპოვებით გერმანია მესამე ადგილზე იდგა მსოფლიო-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამის შესახებ, კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 29.

ში და საგრძნობლად ჩამორჩებოდა ინგლისს, ხოლო საუკუნის დასასრულისათვის მეორე ადგილი დაიკავა აშშ-ის შემდეგ. 1871 წლიდან 1900 წლამდე ქვანახშირის მოპოვება გერმანიაში გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო ფოლადის გამოდნობა — 50-ჯერ. სარკინიგზო ხაზების სიგრძე გაიზარდა 21,4 ათასი კილომეტრიდან 1871 წელს — 51,4 ათას კილომეტრამდე 1900 წელს.

გერმანიის გაერთიანებით გაპირობებულმა ფართო საშინაო ბაზრის წარმოქმნამ, საფრანგეთისაგან მიღებულმა დიდმა კონტრიბუციამ და სხვა კონიუნქტურულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს გერმანიაში „გრიუნდერულ" (სადამაარსებლო) ციებ-ცხელებას. თუ 1790—1870 წლებში გერმანიაში საერთოდ დაარსდა 276 სააქციო საზოგადოება, რამდენიმე წლის განმავლობაში, 1874 წლის დამდეგისათვის დაარსებული იყო 857 სააქციო საზოგადოება (აქედან გარკვეული ნაწილი ფიქტიური იყო და მხოლოდ მოსახლეობისაგან ფულის ამოქაჩვას ისახავდა მიზნად).

განსაკუთრებული მნიშვნელობა გერმანიაში მოიპოვა მძიმე მრეწველობამ. კერძოდ, ლითონდამმუშავებელმა და მანქანათმშენებელმა მრეწველობამ. გერმანიამ გაუსწრო ევროპის ყველა ქვეყანას ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარებით.

გერმანიის მრეწველობის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი მიზეზი იყო შრომის ექსპლუატაციის ექსტენსიური მეთოდებიდან ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლა. ამის შედეგად ერთი მუშის გამომუშავება 1894—1902 წლებში 43 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1868-78 წლებში. ამავე დროს შენარჩუნებულ იქნა მუშათა ხელფასის ინგლისთან და საფრანგეთთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო დაბალი დონე.

მრეწველობის განვითარებას თან სდევდა წარმოების სულ უფრო მზარდი კონცენტრაცია დიდ საწარმოებში. ეს პროცესი თანდათანობით ძლიერდებოდა. მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობაში, წარმოიშვა პირველი მონოპოლისტური გაერთიანებანი, რომელთა რაოდენობამ 1897 წელს 250-მდე მიაღწია. XIX საუკუნის დასასრულისათვის უდიდეს საწარმოებს წარმოადგენდნენ კრუპის ფოლადსადნობი ქარხნები ესენში, სადაც უკვე 45 ათასი მუშა მუშაობდა.

მრეწველობის განვითარება და წარმოების გაფართოება დიდძალ ფულს საჭიროებდა. ამიტომაც ძველმა ბანკებმა („დისკონტოგეზელშაფტი", „დარმშტეტერ ბანკი" და სხვ.) დაიწყეს მრეწველობის დაფინანსება. წარმოიქმნა ახალი საფინანსო ტიტანები — „გერმანიის ბანკი" („დოიჩე ბანკი") და „დრეზდენის ბანკი", — რომლებიც ხში-

რად უშუალო კონტროლს ახორციელებდნენ სამრეწველო ობიექტებზე. თანდათანობით დაიწყო ფინანსური კაპიტალის ჩამოყალიბება. წარმოიშვა ფინანსური ოლიგარქია.

მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მუშათა რაოდენობაც. 1882 წლიდან 1895 წლამდე მარტო იმ მუშების რაოდენობა, რომლებიც დამმუშავებელ და სამთამადნო მრეწველობაში იყვნენ დასაქმებული, 50 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ კაპიტალისტური წარმოების სწრაფი ზრდა პერიოდულად მკვეთრად ფერხდებოდა ჭარბწარმოების კრიზისებით. განსაკუთრებით მძიმე იყო 1873 წლის კრიზისი; მას სამრეწველო შეფერხება მოჰყვა, რომელიც 70-იანი წლების დასასრულამდე გაგრძელდა

გერმანიის სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპები, გერმანიის კაპიტალიზმის ნახტომისებური წინსვლა ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებთან — ინგლისთან და საფრანგეთთან — შედარებით აიხსნებოდა უპირველეს ყოვლისა იმით, რომ გერმანიას შეეძლო შეექმნა მძლავრი მანქანური ინდუსტრია სხვა ქვეყნების გამოცდილების, ტექნიკისა და მეცნიერების უახლეს მიღწევათა გამოყენებით. გერმანიის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას აჩქარებდა მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრეების არსებობა, კერძოდ, საფრანგეთისაგან ელზასისა და ლორენის მიტაცება, სადაც რკინის მადნის მდიდარი საბადოები იყო.

სწრაფად ვითარდებოდა გერმანიის სოფლის მეურნეობაც. მაგრამ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმი ვითარდებოდა განსაკუთრებული, „პრუსიული“ გზით, რომელიც მძიმე იყო გლეხობის უმეტესი ნაწილისათვის.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რიგ გერმანულ სახელმწიფოებში ჩატარდა პრუსიის აგრარული კანონმდებლობის ანალოგიური აგრარული რეფორმები, რომლებიც ფეოდალურ ვალდებულებათა გაუქმებას კი არა, მათ გამოსყიდვას ითვალისწინებდნენ. „გაათავისუფლეს“ რა ასეთი გზით გლეხები, მემამულეებმა მათ წაართვეს მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი და თანდათანობით დაეუფლნენ სათემო მიწებსაც — საძოვრებს, სათიბებსა და ტყეებს. გამოსასყიდ ვალდებულებათა გადახდა 70-იანი წლების შუახანებამდე გაგრძელდა, მათ უღელქვეშ გლეხური მეურნეობები გაღატაკდა, ხოლო მემამულე-იუნკრები გლეხთა გაძარცვის ხარჯზე გაძლიერდნენ. ისინი აუმჯობესებდნენ თავიანთ მეურნეობებს, იყენებდნენ მანქანებსა და გაღატაკებული გლეხების იაფ შრომას.

გაღატაკების გზაზე მდგარი გლეხი თანდათანობით გადაიქცა ნახევრად მოჯამაგირედ, რომელიც მიჯაჭვული იყო თავის მიწის ნაფლეთ-

სა და მემამულეზე. გერმანიაში 3 მილიონი გლეხი იყო, რომელთაგან თითოეულს 2 ჰექტარზე ნაკლები მიწა გააჩნდა. საკუთარი ხორბალი მათ წლის დასასრულამდე არ ჰყოფნიდათ და ზოგჯერ ვალებად მუშაობდნენ იუნკრებსა და ბობოლა გლეხებთან — გროსბაუერებთან.

ჩამოყალიბდა მემამულე-იუნკრების მსხვილი მეურნეობები, რომლებიც სულ უფრო ინტენსიურად, კაპიტალისტური საწარმოს მსგავსად გამოიყენებოდა. აღმოსავლეთ პრუსიაში მსხვილ მემამულურ მეურნეობებს (თითოეულში 100 ჰექტარზე მეტი) ეჭირათ მთელი დამუშავებული ფართობის მესამედი, ხოლო პომერანიაში — ნახევარზე მეტი. სამხრეთ გერმანიაში — ბადენსა, ბავარიასა და ვიურტემბერგში განსაკუთრებით დიდი იყო გროსბაუერების ფენა.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულ გზას ვ. ი. ლენინი ახასიათებდა როგორც განსაკუთრებით მძიმეს გლეხობისათვის. „...ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ, იუნკრულ მეურნეობად და გლეხებს ათეული წლობით უსწავლავს ექსპროპრიაციაა და კაბალს განუცხადებს, ამასთანავე გამოჰყოფს „გროსბაუერების“ („მსხვილი გლეხების“) პატარა უმცირესობას“ [1].

სოფლის მეურნეობის განვითარება აფართოებდა საშინაო ბაზარს გერმანიის მრეწველობის პროდუქციისათვის, მაგრამ ამასთან ერთად მშრომელთა ფართო მასების გაღატაკება ზღუდავდა ნოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობას. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის დასასრულისათვის გერმანია ეკონომიურად ევროპის კონტინენტის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ გადაიქცა.

გერმანიის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 70—80-იან წლებში

გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი იყო მსხვილი პომერანელი მემამულე, მუშათა კლასის დაუძინებელი მტერი თავადი ოტო ფონ ბისმარკი. XIX საუკუნის ერთ-ერთ ლიდერს აბსოლუტიზმის მოღვაწესა და დიპლომატს, პრუსიული რეაქციულობისა და ქედმაღლობის ღვიძლ შვილს. თავად ბისმარკს შესანიშნავი კლასობრივი აღლო აღმოაჩნდა ვაბატონებული კლასების ინტერესთა დაცვის თვალსაზრისით.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ როცა გერმანიის გაერთიანება ვერ

[1] ვ. ი. ლენინი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ 13, გვ. 292.

მოხერხდა რევოლუციურად, იგი განხორციელდა კონტრრევოლუციურად, იუნკრულად **და** სწორედ „ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული ისტორიული საქმე“[1].

ბისმარკს კარგად ესმოდა, რომ იუნკრების ბატონობის განმტკიცება შეიძლებოდა მხოლოდ მათი კავშირით რეაქციულ ბურჟუაზიასთან. მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპები და კაპიტალიზმის ზრდა სოფლის მეურნეობაში ხელს უწყობდა იუნკრებისა და პრუსიულ-იუნკრული მონარქიის ეკონომიური ინტერესების დაახლოებას ბურჟუაზიის ინტერესებთან. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ბისმარკმა შეძლო დაეკმაყოფილებინა მსხვილი ბურჟუაზიის მადა და იმავე დროს მრავალი წლით რეაქციის მარწუხებში მოექცია მშრომელი მასები.

გერმანიაში ამ პერიოდში ნათლად ჩამოყალიბდა რამდენიმე თავადაზნაურული და ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტია.

გაბატონებულ პარტიას წარმოადგენდა კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა. იგი გამოხატავდა პრუსიელი იუნკრების, ოფიცრების, გროსბაუერებისა და ლუთერანული სამღვდელოების ინტერესებს.

კონსერვატიული პარტია იმდენად რეაქციული იყო, რომ ერთ ხანს გერმანიის გაერთიანების ბისმარკისეული პოლიტიკის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა, შიშობდა რა პრუსიის „გათქვეფას“ გაერთიანებულ გერმანიაში. პარტიას სათავეში ედგა ნახევრადფეოდალური არისტოკრატია, რომელიც მიზნად ისახავდა პრუსიული მონარქიისა და იუნკრული პრივილეგიების დაცვას მაღალი მფარველობითი ბაჟების მეშვეობით, რომლებიც მათთვის მონოპოლიურად უზრუნველყოფდნენ საშინაო ბაზარს. კონსერვატორები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ჰოჰენცოლერნთა დინასტიასთან, მათ ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობანი არმიაში, მინისტრების პოსტები. იმპერიის ადმინისტრაციული აპარატი და სასამართლოები უცვლელად იმყოფებოდნენ კონსერვატორების ხელთ.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ თ ა ანუ „ს ა ი მ პ ე რ ი ო პ ა რ ტ ი ა“ ჯერ კიდევ 1866 წელს გამოეყო კონსერვატიულ პარტიას. ამ დროიდან იგი მტკიცედ იდგა ბისმარკის მხარდაჭერის პოზიციაზე. იგი ეყრდნობოდა მემამულეებს, რომლებიც მეურნეობას კაპიტალისტური გზით ავითარებდნენ. მის შემადგენლობაში შედიოდნენ, აგრეთვე, უდიდესი სამრეწველო მაგნატები — კრუპი, კირდორფი, ფონ შტუმი და სხვ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 114.

ძირითადი ბურჟუაზიული პარტია იყო ნაციონალ-ლიბერალების პარტია. ნაციონალ-ლიბერალები ასახავდნენ რაინ-ვესტფალიის, საქსონიის, სილეზიის მსხვილი ბურჟუაზიის — იმპერიალისტური პოლიტიკის მომხრეთა ინტერესებს, რომელნიც კოლონიური დაპყრობების პოლიტიკას, არმიის გადიდებას, ფლოტის მშენებლობას ითვალისწინებდნენ. მუშათა კლასისა და სოციალისტური მოძრაობის დაუძინებელმა მტრებმა — ნაციონალ-ლიბერალებმა გერმანიის გაერთიანების შემდეგ მალე უკუაგდეს თავიანთი საპროგრამო მოთხოვნილებანი სამოქალაქო თანასწორობის, სიტყვის, კრებების, პრესის თავისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების გაფართოების შესახებ და გადაიქცნენ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის წამყვან პარტიად.

„თავისუფალ მოაზროვნეთა“ ანუ „პროგრესისტების“ პარტია სავაჭრო ბურჟუაზიის, წვრილი ბურჟუაზიის, ხელოსანთა ზედაფენისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტერესებს გამოხატავდა. პარტიის ხელმძღვანელები ზოგიერთი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმის გატარებას მოითხოვდნენ—რაიხსტაგის უფლებების გაფართოებას, რაიხსკანცლერის შეზღუდვას და ა. შ., მაგრამ ამავე დროს აქტიურად გამოდიოდნენ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

1871 წელს შეიქმნა ახალი ბურჟუაზიული პარტია—კათოლიკური ცენტრის პარტია, რომელიც სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოსულ კათოლიკური რელიგიის მიმდევრებს აერთიანებდა. ეს პარტია პრუსიის ჰეგემონიის წინააღმდეგ გამოდიოდა. მოითხოვდა კათოლიკური ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან და ღვთისმსახურების თავისუფლებას. მასების მიზიდვის მიზნით იგი გამოდიოდა წვრილი მიწათმფლობელების მხარდაჭერისა და სამუშაო დღის შემცირების ლოზუნგებით და ა. შ.

1871-78 წწ. თავისი პოლიტიკის გატარებისას ბისმარკი ეყრდნობოდა ორ პარტიას — საიმპერიო პარტიას, ე. ი. თავისუფალ კონსერვატორთა პარტიას და ნაციონალ-ლიბერალების პარტიას, რომელთაც ჰქონდათ უმრავლესობა რაიხსტაგში.

გერმანიის კონტრრევოლუციური ბურჟუაზია, რომელიც გაერთიანების შემდეგ გაფაციცებით ზრდიდა კაპიტალს და ძლიერდებოდა, მუშათა მოძრაობის განმტკიცებით შეშინებული, სულ უფრო სწრაფად კარგავდა თავისი ლიბერალიზმის ნაშთებს, აქტიურად უჭერდა მხარს ანტიმუშურ კანონებს, მძარცველურ საგარეო პოლიტიკას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „...გერმანიის ბურჟუაზიამ, შეშინე-

ბულმა პროლეტარიატის დამოუკიდებლობით, როცა დაინახა, რომ დემოკრატიულ დაწესებულებებმა მუშები იყენებენ თავისთვის და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ზურგი შეაქცია დემოკრატიას, საბარაბანოდ უღალატა თავისუფლებას, რომელსაც წინათ იცავდა და პირი იბრუნა ლაქიობისკენ მემამულეებისა და კლერიკალების წინაშე"[1].

ბიმარკი ცდილობდა განემტკიცებინა გაერთიანებული გერმანიის იუნკერულ-ბურჟუაზიული საფუძველი. ამ მიზნით მან იმპერიის შექმნის შემდეგ რამდენიმე რეფორმა გაატარა.

კერძოდ, 1873-75 წლებში ჩატარდა ფულის რეფორმა. ფულის ახალ სისტემას პრუსიული ოქროს მარკა დაედო საფუძვლად, ხოლო პრუსიის ბანკი იმპერიის ბანკად გადაკეთდა.

საბაჟოდრო რეფორმამ, საყოველთაო მობილიზაციის სისტემამ შესაძლებელი გახადა ერთიანი საიმპერიო არმიის შექმნა. 1874 წელს მიღებულ იქნა კანონი ე. წ. „სეპტენატის" შესახებ, რომელმაც რაიხსტაგს 7 წლის ვადით ის უკანასკნელი პრეროგატივაც კი წაართვა, რომელიც მას თავდაპირველად დაუტოვა ბისმარკმა — სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცება.

ჩატარებულ იქნა აგრეთვე ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის უნიფიკაციას.

1871 წლამდე ბისმარკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა გერმანიის გაერთიანება პრუსიის მონარქიის გარშემო. ახლა, როცა ეს ამოცანა განხორციელებული იყო, იგი მზად იყო დაუნდობლად ებრძოლა სეპარატისტული მისწრაფებების წინააღმდეგ.

წარილი გერმანული სახელმწიფოების მმართველი კლასები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ პრუსიელმა იუნკრებმა მიითვისეს წამყვანი ადგილები არმიასა და იმპერიის მმართველობაში. ასევეა უკმაყოფილებას გამოთქვამდა კათოლიკური ეკლესიაც. XVI საუკუნის რეფორმაციის შემდეგ გერმანიის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში პროტესტანტიზმი ბატონობდა, სამხრეთსა და დასავლეთში — კათოლიკობა.

კათოლიკური ეკლესია აქ მრავალ პრივილეგიას ფლობდა. ახლა, იმპერიის შექმნის შემდეგ, კათოლიკური საპყრდელობა შეშინდა, რომ პროტესტანტული პრუსიული მონარქია, რომელიც იმპერიას ჩაუდგა სათავეში, შეზღუდავდა ეკლესიის პრივილეგიურ მდგომარეობას. კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელიც დიდი გავლენით სარ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ, თხზ., ტ. 19, გვ. 316.

გეგლობდა მოსახლეობაში, გადაწყვიტა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ხალხის, ეროვნულ გლეხობისა და წვრილბურჟუაზიული ფენების სიძულვილი პრუსიის მიმართ. სწორედ პრუსიის უპირატესობასთან ბრძოლისათვის შექმნა კათოლიკურმა ეკლესიამ საკუთარი პოლიტიკური პარტია — „კათოლიკური ცენტრი“.

ბისმარკმა დაიწყო ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის გავლენისა და ცენტრის პარტიის წინააღმდეგ. კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ 70-იანი წლების დასაწყისში მან რამდენიმე კანონი გაატარა, რომლებიც ხელყოფდნენ საზოგადოების ინტერესებს. ახალი კანონების თანახმად, ეკლესიამ დაკარგა გავლენა სკოლაზე, ყველა საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნა დაექვემდებარა სახელმწიფო კონტროლს. მალე მთავრობამ განდევნა გერმანიიდან იეზუიტები, შეწყვიტა საზოგადოებრივ ქორწინება.

პაპმა პიუს IX-ემ მოუწოდა საზოგადოებას და მორწმუნეთ არ დამორჩილებოდნენ ამ კანონებს. პაპის მოწოდებას ბისმარკმა ერჩი მღვდელმსახურების დაპატიმრებით უპასუხა.

ბურჟუაზიული ლიბერალები კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას უწოდებდნენ კულტურისათვის ბრძოლას — „კულტურკამპფს“. სინამდვილეში, ეს კულტურისათვის ბრძოლა როდი იყო. ბისმარკი იმედოვნებდა, რომ „კულტურკამპფი“ დაეხმარებოდა მას ჩამოეშორებინა პროლეტარიატის ყურადღება მონარქიისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან და მიემართა იგი კათოლიკურ ეკლესიასთან ბრძოლისაკენ. მას სურდა აგრეთვე გაენადგურებინა პრუსიის მოწინააღმდეგენი და გადაექცია კათოლიკური სამღვდელოება მორჩილ მსახურებად.

მაგრამ „რკინის კანცლერმა“ ვერ შეძლო მოესპო კათოლიკური ეკლესიის გავლენა, ვერ შეძლო მისი დამორჩილება. დევნილი მღვდელმსახურები მორწმუნეთა თვალში სარწმუნოებისათვის „წამებულნი“ ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათი გავლენა მოსახლეობის ფართო ფენებზე არა თუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. ამავე დროს ბისმარკი მალე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მმართველი ბურჟუაზიულ-იუნკრული წრეებისათვის უფრო დიდ საშიშროებას მზარდი მუშათა ნოძრაობა წარმოადგენდა.

პუნქტებთან და სოციალისტურ მოძრაობასთან ბრძოლაში ბისმარკი მკაცრი რეპრესიების გზას დაადგა. 1877 წელს, რაიხსტაგის არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეძლო 12 დეპუტატის მანდატი მოეპოვებინა. ამ ფაქტმა ფრიად შეაშფოთა მმართველი კლასები. 1878 წლის ზაფხულში ანარქისტებმა ორი თავდასხმა განახორციელეს იმპერატორ ვილჰელმ პირველზე. მიუხედავად ამ

თავდასხმების უშედეგობისა (ზოგიერთის აზრით, ეს თავდასხმები თვით ბისმარკის მიერ იყო ინსპირირებული), 1878 წლის 19 ოქტომბერს რაიხსტაგმა მიიღო კანონი, რომელიც სოციალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული და ცნობილი გახდა როგორც „განსაკუთრებული კანონი". თავდაპირველად კანონის მოქმედების ვადა სამ წლამდე იქნა განსაზღვრული, მაგრამ შემდეგ მისი მოქმედება განვადებულ იქნა 1890 წლამდე.

ამ კანონის თანახმად, დაშლილი უნდა ყოფილიყო ყველა მუშათა ორგანიზაცია, მუშათა სპორტული წრეებიც კი. დაიხურა ყველა მუშათა გაზეთი და ჟურნალი, ჩატარდა სოციალისტური ლიტერატურის კონფისკაცია. დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მასობრივი დაპატიმრებანი და განდევნა. აიკრძალა პროფკავშირების უმრავლესობაც. მაგრამ ამ რეპრესიებმა ვერ გატეხა მუშათა კლასი.

ამასთან ერთად, ატარებდა რა „მათრახის პოლიტიკას", ბისმარკი ცდილობდა შეეჩერებინა მუშათა მოძრაობის ზრდა შეზღუდული სოციალური რეფორმების გატარებით. მაგრამ ისეთ დათმობებს, როგორიც იყო დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან მუშათა დაზღვევის კანონი, ინვალიდებისა და მოხუცებისათვის დახმარების შესახებ კანონი, მიღებული 80-იან წლებში, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა პროლეტარიატი. მასებში იზრდებოდა მებრძოლი, რევოლუციური განწყობილება, გახშირდა მუშათა გაფიცვები.

მუშათა კლასის მზარდ აქტივობასთან საბრძოლველად მთავრობამ გადაწყვიტა გაეერთიანებინა ქვეყნის ყველა რეაქციული ძალა. ბისმარკი შეურიგდა ცენტრის პარტიას. 1878 წლიდან 1882 წლამდე გაუქმებულად გამოცხადდა თითქმის ყველა კანონი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მიუხედავად ამისა, ბისმარკი განაგრძობდა ბრძოლას გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ პოლონელთა წინააღმდეგ, რომლებიც კათოლიციზმს აღიარებდნენ. 30 ათასამდე პოლონელი განდევნილ იქნა პოზნანიდან, ხოლო გათავისუფლებულ მიწებზე პრუსიელები დაასახლეს. სკოლებში დაწყებითი სწავლება მხოლოდ გერმანულ ენაზე წარმოებდა. პოლონურ სასოფლო თემებს ეკრძალებოდა პოლონელი მასწავლებლების დაქირავება, მასწავლებელთა დანიშვნას სახელმწიფო გახაგებდა. ასეთივე მკაცრი ბრძოლა წარმოებდა სეპარატისტულ განწყობილებათა წინააღმდეგ ელზასსა და ლორენში.

გერმანიის იმპერიის შექმნა საერთაშორისო ურთიერთობათა ასპარეზზე ახალი, ძლიერი მტაცებლის გამოჩენას ნიშნავდა, რომელიც

ტერიტორიული გაფართოებისა და ევროპის კონტინენტზე ჰეგემონიისაკენ ისწრაფოდა. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გერმანია ევროპის უძლიერესი სამხედრო სახელმწიფო გახდა, რამაც თავისთავად მკვეთრად გაამწვავა ვითარება დიდ სახელმწიფოთა „ევროპულ კონცერტში“.

გერმანიის საგარეო პოლიტიკას XIX საუკუნის 70—80-იან წლებში უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავდა მისწრაფება გერმანიის პოზიციების განმტკიცებისაკენ ევროპის კონტინენტზე. ამიტომაც უწოდებდნენ მას „კონტინენტურ პოლიტიკას“.

ბისმარკი მიიჩნევდა, რომ იმპერიის მონაპოვართა განმტკიცებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთი ან კოალიცია, რომლის ცენტრში საფრანგეთი იქნება. ბისმარკს, საერთოდ, ძალიან ეშინოდა გერმანიის წინააღმდეგ კოალიციის წარმოქმნის შესაძლებლობისა, იგი ამბობდა კიდეც, რომ მას „კოალიციის კოშმარები“ დევნიან. მიიჩნევდა რა რუსეთს უძლეველად, მას განსაკუთრებით რუსეთთან ომისა ეშინოდა.

კანცლერი ცდილობდა იზოლაციაში მოექცია საფრანგეთი. ამიტომაც მან რუსეთთან და ავსტრია-უნგრეთთან დაახლოება დაიწყო. ბისმარკმა შეძლო მოხერხებულად გამოეყენებინა მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი, რომლებიც აიძულებდა მათ გერმანიაში ეძიათ მოკავშირე. 1873 წლის ოქტომბერში ევროპის სამი რეაქციული რეჟიმის დაახლოება ე. წ. „სამი იმპერატორის კავშირში“ აისახა, კონსულტაციურ შეთანხმებაში, რომელიც საკმაოდ მერყევი აღმოჩნდა მასში შემავალი სახელმწიფოების საპირისპირო ინტერესების გამო.

ახლა ბისმარკის საგარეო-პოლიტიკურ მიზანსწრაფვათა ფოკუსში კვლავ საფრანგეთი მოექცა. მიუხედავად მძიმე კონტრიბუციისა, საფრანგეთმა მალე შეძლო აღედგინა თავისი ძლიერება. ამიტომ 1875 წელს ბისმარკი მზად იყო დაეწყო საფრანგეთის წინააღმდეგ „პრევენტიული“ (წინასწარი) ომი. მაგრამ რუსეთმა და ინგლისმა, რომლებიც კონფლიქტში ჩაერევნენ, არ დაუშვეს საფრანგეთის ახალი განადგურება.

გერმანია იძულებული გახდა უკან დაეხია. ბისმარკის უკმაყოფილება რუსეთის პოზიციით და გერმანია-რუსეთის წინააღმდეგობათა ზრდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ პოზიციაში აისახა, რომელიც ბისმარკმა 1878 წელს ბერლინის კონგრესზე დაიკავა.

ბერლინის კონგრესმა ხელი შეუწყო გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დაახლოებას. ავსტრია-უნგრეთი, რომლის საგარეო პოლიტიკის ცენტრმა ბალკანეთისაკენ გადაინაცვლა, გერმანიისათვის

მოზარხებულ ინსტრუმენტად იქცა მის ბრძოლაში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ და გერმანიის კაპიტალის მზარდი ექსპანსიის შესანიღბავად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. გერმანიასთან დაკავშირებით დაინტერესებული იყო თვით ავსტრია-უნგრეთიც.

ამ ფაქტორებმა შესაძლებელი გახადა 1879 წლის 7 ოქტომბერს გერმანია-ავსტრია-უნგრეთის საიდუმლო სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლის ძირითადი მახვილი რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1882 წლის 20 მაისს ამ კავშირს იტალიაც შეუერთდა, რომელიც ძალიან უკმაყოფილო იყო საფრანგეთის ექსპანსიის გაძლიერებით ხმელთაშუა ზღვის აუზში.

20 მაისს გაფორმებული „სამმაგი კავშირის“ ხელშეკრულებით გერმანია და იტალია დახმარებას აღუთქვამდნენ ურთიერთს მათზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში. ავსტრია-უნგრეთი განთავისუფლებულ იქნა გერმანიისათვის მხარდაჭერის აღმოჩენის ვალდებულებისაგან, თუ ამ უკანასკნელს საფრანგეთი დაესხმოდა თავს. ავსტრია-უნგრეთს რუსეთის შესაძლებელი ჩარევის საწინააღმდეგო რეზერვის როლი განეკუთვნა.

მაგრამ ამ აგრესიულმა კავშირმა გერმანიის ევენტუალურ ომწინააღმდეგეთა განცალკევება როდი განაპირობა, არამედ — პირიქით. 1887 წელს, როცა გერმანიის მთავრობა კვლავ შეეცადა დაეწყო ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, რუსეთმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ იგი დაეხმარებოდა საფრანგეთს. ამან ხელი შეუშალა გერმანიას განეხორციელებინა თავისი აგრესიული ზრახვები.

რუსეთისა და საფრანგეთის დაახლოება რომ არ დაეშვა, ბისმარკი რუსეთთან სრულიად საიდუმლო ე. წ. „გადაზღვევის“ ხელშეკრულების დადებაზედაც კი წავიდა 1887 წლის ივნისში. მაგრამ ეს ხელშეკრულება გერმანიას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღუთქვამდა რუსეთის ნეიტრალიტეტს, თუ მას საფრანგეთი დაესხმოდა თავს. ასეთი შესაძლებლობა კი ფრიად არარეალური იყო. ამიტომ ამ ხელშეკრულებამ, საბოლოო ჯამში, ვერ შეუშალა ხელი რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას, რაც 1891-93 წლებში რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნაში გამოიხატა.

მიუხედავად იმისა, რომ „კონტინენტური პოლიტიკა“ გერმანიის ბმართველი წრეების ძირითადი საგარეო-პოლიტიკური ხაზი იყო, უკვე XIX საუკუნის 80-იან წლებში გერმანიის ბურჟუაზიამ დაიწყო სწრაფვა კოლონიურ დაპყრობათა განხორციელებისაკენ. 80-იან წლებში შექმნილი „კოლონიური საზოგადოება“, ხოლო შემდეგ „პანგერმანული კავშირი“ (1893) და „ფლოტის ლიგა“ (1898) —

მოხოპოლისტური ბურჟუაზიის ძლიერი პროპაგანდისტული ორგანიზაციები — დაპეჭდითებით ნოითხოვდნენ აქტიური კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას.

1884 წელს ბრემენელი ვაჭრის ლიუდერიცის მიერ აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე იაფად შეძენილი ფაქტორიები ანგრა-პეკენაში ოფიციალურად იქნა გამოცხადებული გერმანიის კოლონიად. იმავე 1884 წელს გერმანიის პროტექტორატი გამოცხადდა ტოგოსა და კამერუნზე, 1885 წელს კი — სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაზე — ტერიტორიებზე, რომლებიც ყაჩაღურად იგდო ხელთ ცნობილმა ავანტიურისტმა კარლ პეტერსმა. „გერმანული აღმოსავლეთი აფრიკა“ ტერიტორიულად თითქმის ორჯერ უფრო დიდი იყო მეტროპოლიაზე.

გერმანიის ბურჟუაზიის თვალთახედვის სფეროში წყნარი ოკეანის კუნძულებიც მოექცნენ. 80-იანი წლების შუახანებში გერმანიამ ამ რეგიონში ხელში ჩაიგდო კუნძულ ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მარშალის, კაროლინის კუნძულები და სხვ.

გერმანიის მუშათა მოძრაობის წარმობებები 70—80-იან წლებში

XIX საუკუნის დასასრულისათვის გერმანიაში თითქმის 11 მილიონი სამრეწველო მუშა იყო. საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ევროპის რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გერმანიაში გადაინაცვლა.

გერმანიის მრეწველობის სწრაფ განვითარებას გაერთიანების შემდეგ თან ახლდა მუშათა კლასის რიცხოვნობის ზემდგომი ზრდა და მისი ექსპლუატაციის გაძლიერება. მიუხედავად მეაღორობის რეპრესიებისა, გერმანიაში იზრდებოდა საგაფიცო მოძრაობა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს, მაგალითად, რურში გაიფიცა 90 ათასი მეშახტე. რომლებიც ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვდნენ 8 საათამდე. მუშები გაიფიცნენ საარის აუზში, საქსონიაში, სილეზიაში. მუშათა შორის სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა სოციალისტური იდეები.

გერმანიის იმპერიის შექმნისთვის გერმანელი სოციალისტები ორ პარტიად იყვნენ გათიშულნი: ლასალიანელებად და აიზენახელებად. ლასალიანელები (ფერდინანდ ლასალის მიმდევრები) მცდარ პოზიციებზე იდგნენ მუშათა მოძრაობის ძირითად საპროგრამო, ტაქტიკურსა და ორგანიზაციულ საკითხებში. პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის ლოზუნგს ისინი ცვლიდნენ „თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს“ ვულგარულ-დემოკრატიული ლოზუნ-

გით, უარყოფდნენ მუშათა კლასიისა და გლეხობის კავშირს, უარს ამბობდნენ კლასობრივ ბრძოლაზე.

აიზენახელების პარტია 1869 წელს გაფორმდა, როცა სხვადასხვა საგანმანათლებლო მუშათა საზოგადოებები, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ ლასალის იდეების გავლენისაგან, ქალაქ აიზენახში შეიკრიბნენ ყრილობაზე და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შექმნეს. აიზენახელების ბელადები იყვნენ ვილჰელმ ლიბკნეხტი და ავგუსტ ბებელი. ლიბკნეხტი მარქსისა და ენგელსის ძველი თანამებრძოლი იყო. ბებელმა და სხვა აიზენახელებმა ბევრი რამ ისწავლეს მარქსისა და ენგელსისაგან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ თანმიმდევრული მარქსისტები. მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა აიზენახელების მერყეობა. 1874 წელს დაისვა საკითხი ლასალიანელებისა და აიზენახელების გაერთიანების შესახებ. მუშათა მოძრაობის ინტერესები მოითხოვდა ერთიანი პარტიის შექმნას. მარქსსა და ენგელსს შესაძლებლად მიაჩნდათ ლასალიანელებთან გაერთიანება მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი მთლიანად უარყოფდნენ ლასალის მცდარსა და მავნე შეხედულებებს და თუ გაერთიანებული პარტია მარქსისტულ პროგრამას მიიღებდა.

1875 წ. მაისის დამლევს ქალაქ გოთაში შეიკრიბა ორივე პარტიის გაერთიანებული ყრილობა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთიანი პარტიის შექმნის შესახებ ერთიანი პარტიული პროგრამით. მაგრამ პროგრამის შედგენისას, რომელმაც შემდგომში „გოთას პროგრამის“ სახელწოდება მიიღო, აიზენახელები დაუშვებელ დათმობებზე წავიდნენ ლასალიანელების მიმართ.

გოთას პროგრამა წარმოადგენდა მარქსიზმის ძირითადი დებულებების პირდაპირ გაყალბებას. მასში არაფერი იყო ნათქვამი კლასობრივ ბრძოლაზე, სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობაზე, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებასა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობის შესახებ. პროგრამაში შენარჩუნებულ იქნა ზოგიერთი ლასალიანური დებულებაც. მაგალითად, ერთ-ერთ პუნქტში ეწერა, რომ „სოციალიზმში გადასვლა შესაძლებელია მწარმოებლური მუშათა ამხანაგობების ორგანიზაციით“. ნაცვლად იმისა, რომ სწორად დაესვათ და გადაეწყვიტათ საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეების, კერძოდ, გლეხობის შესახებ, პროგრამის ავტორებმა ყველა კლასი, პროლეტარიატის გარდა, მათ შორის გლეხობაც, „რეაქციულ მასას“ მიაკუთვნეს. პროგრამაში შეტანილ იქნა ლასალიანური არასწორი და მავნე დებულე-

ბა „ხელფასის რკინის კანონის“ შესახებ. ლასალიანელები ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის დროს არსებობს ხელფასის გარკვეული დონე, რომლის ზემოთ მუშის ხელფასი არ შეიძლება გაიზარდოს. ამ ანტიმეცნიერული, რეაქციული „კანონიდან“ გამომდინარეობდა პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლის როლის უარყოფა და პროფკავშირების როლის შეუფასებლობა.

ერთიანმა პარტიამ სოციალისტური მუშათა პარტიის სახელწოდება მიიღო. 1890 წლიდან იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიად იწოდებოდა.

კ. მარქსმა 1875 წლის მაისს დამდეგს მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გოთას პროგრამა. მარქსის წერილი საყოველთაოდაა ამჟამად ცნობილი „გოთას პროგრამის კრიტიკის“ სახელწოდებით. თავისი კრიტიკის მახვილი მარქსმა წარმართა „თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს“ ლასალიანური მოძღვრების წინააღმდეგ, რომლითაც იჩქმალებოდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის ამოცანა. მარქსი წერდა: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის არის რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი ერთისა მეორედ. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“[1]. მკვეთრად აკრიტიკებდა რა ლასალიანელობას, მარქსმა „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ განავითარა თავისი შეხედულებები მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ძირითად საკითხებსა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკის შესახებ: სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის, კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის — სოციალიზმისა და კომუნიზმის, სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების შესახებ და ა. შ.

„გოთას პროგრამის კრიტიკა“ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. რომელშიც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მარქსმა „მთელი თავისი რევოლუციური მოძღვრება“ შეაჯამა. მარქსისეული კრიტიკა ამათრახებდა ოპორტუნიზმს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმა დაუმალეს ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი ფართო პარტიულ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამის შესახებ, კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები. ტ. II, გვ. 28.

მასებს. მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკა“ პირველად ენგელსის დაბეჭდვითი მოთხოვნის შედეგად მხოლოდ 1891 წელს გამოქვეყნდა.

მუშათა მოძრაობა გერმანიაში გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ სწრაფად იზრდებოდა. მომდევნო ყრილობაზე გოთაში, 1876 წელს, უკვე 98 დელეგატი მონაწილეობდა 291 პარტიული ორგანიზაციიდან. სოციალისტურ პარტიას ჰქონდა თავისი გაზეთი „ფორვერტსი“, რომელიც ბერლინში გამოდიოდა, და 25 კოოპერაციული გამომცემლობა. პარტიას ჰყავდა გამოჩენილი ბელადი მუშახარატის აუგუსტ ბებელის სახით, რომელიც პრუკენველი ორგანიზატორი და შესანიშნავი ორატორი იყო. ბებელი მაშინ ძირითადად სწორ ხაზს ატარებდა და უალრესად ერთგული იყო მუშათა კლასისა. მთავრობამ არაერთხელ დააპატიმრა იგი. პატიმრობის შემდეგ ბებელი გაორკეცებული ენერგიით განაგრძობდა პარტიულ მუშაობას. ბებელი კარგად დაეუფლა მარქსის მოძღვრებას. მარქსიზმის ფუძემდებლები, რომლებიც ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ პარტიას, მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას, უყვარდათ იგი. მაგრამ როცა იგი შეცდომებს უშვებდა, მარქსი და ენგელსი, მიუხედავად მისი დამსახურებისა, მკაცრად აკრიტიკებდნენ მას.

გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ სოციალისტების წინააღმდეგ „განსაკუთრებული კანონის“ მოქმედების მძიმე ვითარებაში მოექცა. „განსაკუთრებული კანონი“ სოციალ-დემოკრატებისათვის თითქოს მოულოდნელიც აღმოჩნდა: ხელმძღვანელები დაიბნენ, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა გადაწყვეტილება პარტიის თვითდაშლის შესახებ ისე, რომ არ შეუქმნია არავითარი არალეგალური ორგანიზაცია.

გაცილებით უფრო მეტი სიმტკიცე გამოავლენეს პარტიულმა მასებმა. სწრაფად, ზემოდან ყოველგვარი მითითებების გარეშე იქმნებოდა პარტიული ორგანიზაციები. აქ გამომჟღავნდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პარტიული მასების აღზრდის საქმეში.

„განსაკუთრებული კანონის“ გამოცემის შემდეგ „ციურიხელი სამეული“ — ჰოხბერგის, შრამისა და ბერნშტაინის შემადგენლობით — გამოვიდა პრესაში მოთხოვნით არალეგალური პარტიული მუშაობის ლიკვიდაციისა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფის შესახებ. ისინი წინადადებას იძლეოდნენ გადაელახათ „განსაკუთრებული კანონი“ კანონიერების ფარგლებში და „ეპოქის სულისკვეთებასთან“ შეგუებით. „ციურიხელი სამეული“ ბრალს სდებდა პარტიას იმაში, რომ მან „უკუაგდო ბურჟუაზიული დემოკრა-

ტია", რომ იგი მოქმედებდა როგორც კასტური მუშათა პარტია და „ცალმხრივად" იცავდა მუშათა ინტერესებს.

1879 წლის სექტემბერში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა წერილით მიმართეს ბებელ, ვ. ლიბკნეხტს, ბრაკეს და სხვებს. ამ წერილში მარქსი და ენგელსი ნათელყოფდნენ „ციურიხელი სამეულის" მემარჯვენე ოპორტუნისტობას. „ციურიხელი სამეულის" მემარჯვენე ოპორტუნისტული შეხედულებების მკვეთრმა კრიტიკამ მარქსისა და ენგელსის მიერ, მათმა მოთხოვნამ, ეწარმოებინათ დაუნდობელი ბრძოლა ციურიხელ „ბატონებთან" და მათ მიმდევრებთან თვით პარტიიდან მათ გარიცხვამდეც კი, დადებითი შედეგები გამოიღო— მემარჯვენე ოპორტუნიზმი უკუგდებულ იქნა.

მუშათა მოძრაობისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა პარტიის ფრთაც (რომლის სათავეში ჰასელმანი და მოსტი იდგნენ), რომელიც ტერორისაკენ მოუწოდებდა. მოითხოვდა რაიხსტაგის არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას, რაიხსტაგის ტრიბუნის გამოყენების უარყოფას პროლეტარული აგიტაციისთვის. მარქსი და ენგელსი ნიღაბს ხდიდნენ ამ ანარქისტულ იდეებს და მიაღწიეს კიდეც ანარქისტების განდევნას პარტიიდან პარტიის პირველ არალეგალურ ყრილობაზე 1880 წელს, შვეიცარიაში.

„განსაკუთრებული კანონის" მოქმედების წლებში გამომჟღავნდა მარქსისა და ენგელსის წამყვანი როლი, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჭეშმარიტ ბელადებისა. მარქსმა და ენგელსმა შეძლეს გამოესწორებინათ პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის ხაზი. პარტიამ შეძლო მუშაობის ლეგალური და არალეგალური მეთოდების სწორი ურთიერთშერწყმა. მოკვლდა საერთოპარტიული არალეგალური გაზეთის „სოციალ-დემოკრატის" გამოცემა, რომელიც 1879 წლიდან ჯერ ციურიხში, ხოლო შემდეგ ლონდონში გამოდიოდა

ბერლინსა და სხვა ქალაქებში გაიხსნა სტაბები, რომლებშიც პროპაგანდისტები იბეჭდებოდა. „განსაკუთრებული კანონის" მოქმედების ამ უაღრესად მძიმე, მაგრამ პარტიის მოღვაწეობის გმირულ პერიოდში ენერგიული როლი შეასრულა აგვუსტ ბებელმა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ბებელმა პარტიის ნამდვილი ბელადის თვისებები გამოიჩინა. მან დროზე დაინახა საშიშროება, შეიგნო მარქსისა და ენგელსის კრიტიკის სისწორე, შესძლო პარტიის წარმართვა შეურიგებელი ბრძოლის გზით" [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, აგვუსტ ბებელი, თხზ, ტ. 19, გვ 350.

მთავრობის რეპრესიების მიუხედავად პარტიამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. 1887 წელს, რაიხსტაგის არჩევნების დროს, სოციალისტურ მუშათა პარტიას ხმა მისცა 760 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა, ხოლო 1890 წელს — 1,5 მლნ. ეს იმ ფაქტზე მეტყველებდა, რომ „განსაკუთრებული კანონის“ მოქმედების წლებში სოციალისტური მუშათა პარტია გერმანიის უდიდეს პარტიად გადაიქცა.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული პროფკავშირულ მოძრაობაშიც. 1887 წლისათვის პროფესიული კავშირების წევრთა რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა და 250 ათასს მიაღწია. გაძლიერდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1889 წელს რურის მეშახტეთა გაფიცვას, რომელიც პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით დამთავრდა.

სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ პოლიტიკური რეპრესიების პოლიტიკამ და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბისმარკის „განსაკუთრებულმა კანონმა“ კრახი განიცადეს.

გერმანიის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 90-იან წლებში

1888 წელს, ვილჰელმ პირველის შვილის — ფრიდრიხ III-ის ხანმოკლე (მარტი-ივნისი) მეფობის შემდეგ გერმანიის იმპერატორი გახდა ვილჰელმ პირველის შვილიშვილი 28 წლის ვილჰელმ II— პატივმოყვარე, თვითდაჯერებული ადამიანი. იგი თავს შესანიშნავ ორატორად თვლიდა და ხშირად უყვარდა მაღალფარდოვანი, მაგრამ უხეში, უტაქტო სიტყვებით გამოსვლა.

პატივმოყვარე ვილჰელმ II-ეს არ შეეძლო, ცხადია, შერიგებოდა ისეთ ძლიერ ფიგურას, როგორიც იმპერიის შემოქმედი — „რკინის კანცლერი“ ბისმარკი იყო. 1890 წლისათვის ბისმარკის მდგომარეობა შესამჩნევად შეირყა. ამ წელს რაიხსტაგის მორიგი არჩევნები ჩატარდა. სოციალ-დემოკრატებმა არჩევნებში 1,5 მლნ-მდე ხმა მიიღეს.

სოციალ-დემოკრატების დიდმა საარჩევნო წარმატებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა სოციალისტების საწინააღმდეგო „განსაკუთრებული კანონის“ უნაყოფობა. მალე, 1890 წლის არჩევნების შემდეგ, რაიხსტაგმა უარყო კიდეც ამ კანონის გაგრძელება. ბისმარკისათვის ეს სერიოზული მარცხი იყო. მით უმეტეს, რომ როცა მან ხელახალი არჩევნები დანიშნა, სოციალ-დემოკრატებმა 35 მანდატი მიიღეს. გაძლიერდა ლიბერალური ჯგუფებიც.

ვილჰელმ II-ემ ისარგებლა მდგომარეობით: მან თავი გამოაცხადა რეპრესიების მოწინააღმდეგედ და მომხრედ რეფორმებისა,

რომელთაც ნაწილობრივი დათმობებით უნდა დაეშოშმინებინათ მუშები. ახლა ბისმარკით უკმაყოფილო იყო გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიაც, რომელიც კოლონიური პოლიტიკის გააქტიურებასა და ახალ-ახალ დაპყრობებს მოითხოვდა. 1890 წლის 17 მარტს ვილჰელმ II-ემ აიძულა მოხუცი „რკინის კანცლერი“ გადამდგარიყო.

ბისმარკის გადადგომის შემდეგ რაიხსკანცლერად დანიშნეს პრუსიელი გენერალი ლეო ფონ კაპრივი. მისი კანცლერობა, რომელსაც გერმანიაში ბისმარკის პოლიტიკური კურსისაგან განსხვავებით „ახალ კურსს“ უწოდებენ, დაახლოებით ოთხ წელს გაგრძელდა.

კაპრივიმ რამდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება დადო სხვა სახელმწიფოებთან, კერძოდ რუსეთთან (1894). ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ბაჟების დაწევას იმპორტირებულ პურზე და საპასუხოდ სხვა ქვეყნების მიერ ბაჟების დაწევას გერმანულ სამრეწველო საქონელზე.

ხელშეკრულებები შეესაბამებოდა გერმანელ მრეწველთა მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს; მაგრამ, ამავე დროს, მათ მემამულე-იუნკრების პროტესტი გამოიწვიეს. ამასთან კაპრივი ცდილობდა ტაქტიკის შეცვლით შეერბილებინა სოციალური კონფლიქტის სიმწვავე გერმანიაში. ამ მიზნით მან რამდენიმე რეფორმა ჩაატარა, კერძოდ, შემოიღო პროგრესული საშემოსავლო გადასახადი და ა. შ. ყველაფერმა ამან მმართველი კლასების უკმაყოფილება გამოიწვია და, საბოლოო ჯამში, იუნკრობის ბრძოლამ კაპრივის საბაჟო პოლიტიკის წინააღმდეგ განაპირობა კანცლერის გადადგომა 1894 წელს.

კანცლერის პოსტი დაიკავა 75 წლის თავადმა ხლოდვიგ ფონ ჰოჰენლოე-შილინგსფიურსტმა (1894—1900), ჰოჰენცოლერნთა დინასტიის ერთგულმა ვასალმა. ჰოჰენლოე, ადამიანი ყოველგვარი ინიციატივის გარეშე, ძალზე „ხელსაყრელი“ კანცლერი აღმოჩნდა პატივმოყვარე ვილჰელმისათვის.

დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების ხანა, რომელიც ახალი კოლონიების მიტაცებას განიზრახავდა. ამ პოლიტიკას ატარებდნენ თვით ვილჰელმ II, საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნჰარდ ბიულოვი, საზღვაო მინისტრი ალფრედ ტირპიცი, გენერალური შტაბის უფროსი გრაფი ალფრედ შლიფენი, რომელიც 15 წლის განმავლობაში ამუშავებდა რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ერთობლივი ომის გეგმას.

ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსი, ბისმარკის „კონტინენტური პოლიტიკისაგან“ განსხვავებით, ცნობილი გახდა როგორც „მსოფლიო პოლიტიკის“ („ველტპოლიტიკ“) კურსი. ამ პოლიტიკის არ-

სის თორმულირება საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიულოვმა გააკეთა რაიხსტაგში 1897 წელს წარმოთქმულ ერთ-ერთ თავის სიტყვაში. მან განაცხადა: „წავიდა ის დრო, როდესაც გერმანელი ერთ ძეზობელს მიწას უტოვებდა, მეორეს ზღვას და თვითონ მხოლოდ ცოტ კმაყოფილდებოდა... ახლა ჩვენც ვთხოულობთ ადგილს მზის ქვეშ“.

მაგრამ ახალი მტაცებელი — იმპერიალისტური გერმანია, რომელიც დაბეჯითებით ცდილობდა გამოესწორებინა „ისტორიული უსამართლობა“ — კოლონიების სიმცირე, ძველი იმპერიალისტური სახელმწიფოების ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა.

გერმანელი იმპერიალისტები მკვეთრად გაპოდიოდნენ ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო ტრანსვაალი და რესპუბლიკა აფრიკაში. 1896 წელს ვილჰელმ II-ემ ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტს კრიუგერს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც წერდა, რომ არ დაუშვებდა ინგლისელების მიერ ტრანსვაალის დაპყრობას. ამან, ცხადია, ძალზე გაამწვავა გერმანია-ინგლისის ურთიერთობა.

შორეულ აღმოსავლეთში გერმანიის იმპერიალისტურმა წრეებმა დასუსტებულ ჩინეთის იმპერიას მიაპყრო თვალი. ჩარევის ნობერხებულ საბაბად იქცა აქ იაპონია-ჩინეთის 1894-95 წლების ომი, რომლის შედეგადაც იაპონიამ წაართვა ჩინეთს ლიაოდუნის ნახევარკუნძული და კუნძ. ტაივანი. რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ასეთი მონაპოვარი მეტისმეტად დიდია იაპონიისათვის, პროტესტი განაცხადეს. იაპონია იძულებული აღმოჩნდა უკან დაეხია. მაშინ, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ჩინეთის ტერიტორიას „კბილები ჩაავლეს“ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და იტალიის კაპიტალისტებმა.

1897 წლის ნოემბერგომაზე გერმანელმა აგენტებმა გამოიწვიეს თავდასხმა შანდუნის ნახევარკუნძულზე გერმანულ კათოლიკურ მისიაზე, რომელსაც თვით იმპერატორი ვილჰელმ II „მფარველობდა“. ისარგებლა რა ამ პროვოცირებული ინციდენტით, გერმანიის ესკადრამ ადმირალ დიდერიხსის მეთაურობით დაიკავა ჩინეთის ნაპირადგური ცზიაო-ჩეოუ (ციაო-ჩაო). ხოლო შემდეგ, 1898 წლის 6 მარტს გერმანიის მთავრობამ აიძულა ჩინეთი „იჯარით“, 99 წლით გადაეცა მისთვის შანდუნის ნახევარკუნძული, მისი ზეუზღუდავი ექსპლუატაციის უფლებებით.

ქედგვბდა რა აგრესიულ საგარეო-პოლიტიკას, გერმანიის ბურჟუაზია რეაქციული საშინაო პოლიტიკის გზასაც დადგა.

ბისმარკის თავიდან ჩანოშორების შემდეგ ვილჰელმ II-ემ მალე

დაივიწყა დაპირებები რეფორმათა შესახებ. ახალი რაიხსკანცლერები ისეთ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც თავისი რეაქციულობით სრულიადაც არ ჩამორჩებოდა ბისმარკისეულს, თუმცა „განსაკუთრებული კანონი“ სოციალისტების წინააღმდეგ გაუქმებულ იქნა.

მთავრობა წინააღმდეგობას უწევდა ხალხის დემოკრატიული უფლებების გაფართოებას. მალე მან კვლავ იერიში მიიტანა სოციალურ კანონმდებლობაზე. 1894 წელს რაიხსტაგში შეტანილ იქნა კანონპროექტი, რომელიც ადიდებდა სასჯელს „სახელმწიფო გადატრიალებისაკენ“ მოწოდებისათვის და ითვალისწინებდა მძიმე სასჯელს გერმანიაში არსებული წესწყობილების სულ მცირე ხელყოფისათვისაც კი.

ამავე დროს რაიხსტაგმა განიხილა კანონპროექტი, რომელიც მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა შტრაიკბრეხერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მართალია, ორივე კანონი უარყვეს, მაგრამ თვით ფაქტი რაიხსტაგში მათი განხილვისა მეტყველებდა ქვეყნის შიგნით რეაქციული განწყობილებების გაძლიერების შესახებ. 90-იანი წლების დასასრულს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავდა მუშათა დაუბრკოლებელ გაერთიანებას პროფკავშირებში. საქსონიაში გაუქმდა საყოველთაო-საარჩევნო უფლება. ასევე გაისმოდა ხმები საყოველთაო-საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ მთელს გერმანიაში. რეაქციული პრუსიული სულისკვეთება და წეს-ჩვეულებანი გაბატონდა მთელს გერმანიაში.

მუშათა მოძრაობა გერმანიაში „განსაკუთრებული კანონის“ გაუქმების შემდეგ

სოციალისტების წინააღმდეგ „განსაკუთრებული კანონის“ გაუქმების შემდეგ 1890 წელს სოციალ-დემოკრატიამ ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვა და გამოვიდა იატაკქვეშეთიდან. გერმანიაში დაიწყო მუშათა მოძრაობის ახალი პერიოდი.

1890 წლის შემოდგომაზე ჰალეში პარტიის პირველი ყრილობა შედგა „განსაკუთრებული კანონის“ გაუქმების შემდეგ. მან აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანო, რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელობა და გაზეთ „ფორვერტსის“ რედაქცია. მაგრამ ეს ორგანოები ყრილობებს შორის ავტონომიურად მოქმედებდა, რაც არღვევდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს.

1891 წელს პარტიის მორიგ ყრილობაზე ერფურტში მიიღეს ახა-

ლი პროგრამა. გოთას პროგრამასთან შედარებით ახალი პროგრამა უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. პროგრამა გათავისუფლებულ იქნა ლასალიანური მცდარი დებულებებისაგან. მითითებული იყო, კერძოდ, რომ კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს და რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბოლოო მიზანს სოციალიზმის აშენება წარმოადგენს.

პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში — პროგრამა-მინიმუმში — დასახული იყო პარტიის უახლოესი მოთხოვნები: რვასაათიანი სამუშაო დღე, მუშათა უფლება კავშირების თავისუფალ შექმნაზე, გაფიცვების ჩატარებაზე და ა. შ. მაგრამ პროგრამაში დაშვებული იყო მნიშვნელოვანი დათმობებიც ოპორტუნიზმის მიმართ. ერფურტის პროგრამის ყველაზე სერიოზული შეცდომა ის იყო, რომ მასში არ იყო ნახსენები მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლა, რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა, არ იყო დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა. პარტიის ბელადებს ეშინოდათ, რომ ამ მოთხოვნათა შეტანა პროგრამაში გამოიწვევდა მთავრობის ახალ რეპრესიებს პარტიის მიმართ.

ენგელსმა მკვეთრად გააკრიტიკა ერფურტის პროგრამის პროექტი და დაბეჯითებით მოითხოვა შეეტანათ პროგრამაში მოთხოვნა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ. ენგელსმა განაცხადა, რომ დაუშვებელია პროგრამაში მონარქიის წინააღმდეგ და რესპუბლიკის დამყარებისათვის ბრძოლის დუმილით გვერდის ავლა. ასეთ დუმილს, მიუთითებდა იგი, შეუძლია წარმოშვას ძალზე მავნე ილუზიები, თითქოს გადასვლა სოციალიზმზე შესაძლებელია მშვიდობიანი და არა რევოლუციური გზით.

90-იან წლებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში შესამჩნევად გაიზარდა ოპორტუნიზმი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „...ოპორტუნისტები ობიექტურად წარმოადგენენ წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა კლასის ზოგიერთი ფენის ნაწილს, რომელიც მოსყიდულია იმპერიალისტური ზემოგების სახსრებით და გადაქცეულია კაპიტალიზმის მოდარაჯე ქოფაკებად, მუშათა მოძრაობის კამხრწნელებად“ [1].

ოპორტუნიზმის მთავარ საყრდენად XIX საუკუნის დასასრულს გადაიქცა მუშათა არისტოკრატია. კაპიტალისტებმა, რომლებიც ძა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, თხზ., ტ. 23, გვ. 137

ლიან დიდ მოგებებს იღებდნენ. მოისყიდეს მუშათა კლასის მცირე ნაწილი, აგრეთვე ისინიც, ვინც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ პროფკავშირებში. მოსყიდვა ჩვეულებრივ უფრო მაღალი ხელფასის, პრემიების დანიშვნით ხდებოდა. მუშათა არისტოკრატია გადაიქცა ბურჟუაზიის აგენტურად მუშათა მოძრაობაში.

ამასთან ერთად ბურჟუაზიის შეტევის გაძლიერება მუშათა კლასზე ამწვავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას, იზრდებოდა პროლეტარიატის პოლიტიკური აქტივობა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური ტენდენციების გაძლიერებისათვის მუშათა მოძრაობაში კ. მარქსის ნაშრომის — „გოთის პროგრამის კრიტიკა“ — გამოქვეყნებას 1891 წელს, რაც ძოხდა ენგელსის დაბეჯითებითი მოთხოვნის შედეგად, და 1894 წელს ენგელსის ნაშრომის—„გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“ — გამოსვლას. ენგელსმა მკვეთრად გააკრიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ლიდერები და მათი შიში რევოლუციის წინაშე.

1895 წელს ენგელსი გარდაიცვალა. მარქსის დიდი თანამებრძოლის სიკვდილის შემდეგ ოპორტუნისტები გამოცოცხლდნენ. სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი — ედუარდ ბერნშტაინი 90-იანი წლების დასასრულს გამოვიდა მარქსის მოძღვრების სრული გადასინჯვის, მისი „რევიზიის“ (აქედან წარმოდგება ტერმინი „რევიზიონიზმი“) პროგრამით. ბერნშტაინი აკრიტიკებდა კაპიტალისტური საზოგადოების მარქსისტულ ანალიზს, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ წინააღმდეგობები, რომლებიც კაპიტალიზმისათვის არის დამახასიათებელი, დროთა განვლობაში როდი მწვავდება, როგორც ამას მარქსი ამტკიცებდა, არამედ, პირიქით, სუსტდება. ბერნშტაინი ამტკიცებდა, რომ კლასობრივი ბრძოლა იღებს უფრო მშვიდობიან ხასიათს. აქედან იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა არა რევოლუცია, არამედ რეფორმები, რომლებიც თანდათან გააუმჯობესებს მუშათა მდგომარეობას; რეფორმები მოპოვებულ უნდა იქნეს მშვიდობიანი, პარლამენტური გზით. რევიზიონიზმის დევიზად გადაიქცა ბერნშტაინის ცნობილი ფრაზა: „საბოლოო მიზანი — არაფერია, მოძრაობა კი — ყველაფერი“.

ბერნშტაინის მიერ მარქსიზმის „რევიზია“ ძალზე ხელსაყრელი იყო ბურჟუაზიისათვის და უკიდურესად საზიანო მუშათა კლასის ბრძოლისათვის. მისი გამოსვლა ობიექტურად სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიის ცდა, აეფეთქებინა მარქსიზმი შიგნიდან. ბერნშტაინი ფაქტიურად პროლეტარიატის უმძლავრესი იარაღის — რევოლუციური მარქსისტული პარტიის დაშლას ქადაგებდა.

ბერნშტაინის ანტიმარქსისტულმა შეხედულებებმა ვერ პოვა ჯეროვანი კრიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში. რევიზიონიზმი მალე იქცა ყველა ქვეყნის ოპორტუნისტების სამოქმედო პროგრამად.

ასეთ პირობებში, XIX საუკუნის დასასრულისათვის, გერმანიაში სწრაფად მიმდინარეობდა პროცესი თავისუფალი კაპიტალიზმის გაღაზრდისა მონოპოლისტურ კაპიტალიზმში — იმპერიალიზმში.

ინგლისი 1870-95 წლებში

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ინგლისი კვლავ წარმოადგენდა ყველაზე განვითარებულ სამრეწველო ქვეყანას და ინარჩუნებდა მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობას. ამავე დროს. იგი ყველაზე დიდი კოლონიური სახელმწიფო იყო (რუსეთის ჩაუთვლელად). 1876 წელს ბრიტანეთის კოლონიებში 250 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, საფრანგეთის კოლონიებში კი მხოლოდ—6 მილიონი, გერმანიასა და აშშ-ს კოლონიები საერთოდ არ გააჩნდათ.

1870—1900 წლებში ინგლისის სამრეწველო წარმოება სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ქვანახშირის მოპოვება ორჯერ და ერფრო მეტად გაიზარდა, თუჯის გამოდნობა და ბამბეულის მოხმარება კი — თითქმის ერთნახევარჯერ. თუ მრეწველობის განვითარების შეფასებისას ზრდის აბსოლუტურ ციფრებს გავითვალისწინებთ, ინგლისისათვის უფრო სასურველ ვითარებას შევნიშნავთ. მაგალითად, მოცემულ წლებში თუჯის წარმოების ნამატი 3 მლნ ტონაზე მეტს შეადგენდა. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის ახალი დარგები: ქიმიური და ელექტრომრეწველობა, ძრავების წარმოება და სხვ. მაგრამ. თუ ინგლისის მრეწველობის განვითარების ტემპებს მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპებს შევუდარებთ, სხვაგვარი სურათი წარმოგვიდგება. აღმოჩნდება. რომ მიუხედავად აბსოლუტურ ციფრებში გამოხატული სწრაფი ზრდისა, ინგლისის ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში შესამჩნევად შეკვეცილა. ეს პროცესი თვალსაჩინოა მოტანილი მონაცემების გათვალისწინებით:

ინგლისის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებასა და ნედლეულის მოხმარებაში (პროცენტებში)

	1870	1880	1890	1900
ქვანახშ-რის მოპოვება	51,5	43.2	35,8	29,7
თუჯის გ.მოდნობა	50,0	42,4	28,7	22.1
ნედლეულის მოხმარება	49,2	42,3	35,9	28,5

ინგლისის მსოფლიო სამრეწველო მონოპოლია თანდათანობით ეცემა. ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები (ბუნებრივი წონით და აბსოლუტური მონაცემებით) უფრო სწრაფად ვითარდება. მაგალითად, აღნიშნული 30 წლის განძავლობაში გერმანიაში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 6-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება კი — თითქმის 5-ჯერ. ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო განვითარების ტემპები უფრო სწრაფია. აქ თუჯის წარმოება 80-ჯერ გაიზარდა. ინგლისი შესაძჩნევად ჩამორჩა აშშ-სა და გერმანიას. ამ ქვეყნების კონკურენცია უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. ეს ფაქტი კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების ბუნებიდან გამომდინარეობდა. გარდა ამისა, ამ უთანაბრობის საფუძველი სავსებით რეალურ ვითარებაშიც ჩანს: ინგლისის მრეწველობაში მრავალი წლის მანძილზე დაპანდებულ იქნა დიდი მოცულობის კაპიტალი. ამასთან, რადგან ტექნიკა სწრაფად ვითარდებოდა, ძველი მოწყობილობა და თვით ფაბრიკა-ქარხნებიც მოძველდნენ. მათი განახლება ახალი, მნიშვნელოვანი კაპიტალის დაბანდებას მოითხოვდა, რაც ადრე დაბანდებული კაპიტალის დიდი ნაწილის დაკარგვას გამოიწვევდა. ინგლისის ბურჟუაზიისათვის ასეთი ოპერაცია არ იყო ხელსაყრელი. რაც შეეხება ინგლისის კონკურენტებს — ამერიკის შეერთებულ შტატებს და გერმანიას — მათი წარმოება განვითარების სტადიაში იმყოფებოდა და ფაბრიკები და ქარხნები უახლესი ტექნიკური მიღწევების საფუძველზე შენდებოდა. ამის გამო, წარმოებას სრულყოფილი სახე ჰქონდა და პროდუქციის დამზადებაც შედარებით იაფი ჯდებოდა. ცხადია, ასეთ პირობებში გერმანულ და ამერიკულ ნაწარმს ინგლისის საქონელთან კონკურენცია არ გაუჭირდებოდა.

თავისებურად ვითარდებოდა ინგლისის საგარეო ვაჭრობაც. საქონელბრუნვა კვლავ ფართოვდებოდა, მაგრამ ექსპორტს იმპორტი სჭარბობდა. 1870—1900 წლებში ინგლისური საქონლის გატანა 42%-ით გაიზარდა, შემოტანა კი — 72%-ით. ინგლისური საგარეო ვაჭრობის პასივი (ე. ი. შემოტანის გადამეტება გატანაზე) სწრაფად იზრდებოდა. გარკვეულ დრომდე, საგარეო ვაჭრობის პასიური ბალანსი განგაშის საფუძველს არ იძლეოდა, რადგან ინგლისის საგადასახადო ბალანსი კვლავ ძალზე აქტიური იყო: უცხოეთიდან შემოტანა მნიშვნელოვნად სჭარბობდა გატანას. ინგლისის ბურჟუაზიის „უხილავი შემოსავალი" ძალიან დიდი იყო და გაზრდის ტენდენციებსაც კი ამჟღავნებდა. ეს „უხილავი შემოსავალი" იქმნებოდა უცხოეთში დაბანდებული კაპიტალის პროცენტების, საზღვაო ვაჭრობის დაზღვევის, უცხოეთში წარმოებული საშუამავლო და

საბანკო ოპერაციებისაგან. შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო იყო უცხოეთში კაპიტალის დაბანდება. ინგლისის ბურჟუაზიამ, ახორციელებდა რა დიდი მასშტაბის კოლონიურ პოლიტიკას, ყველა ქვეყანაზე ადრე დაიწყო კოლონიურ და ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალის გატანა. 1872 წელს უცხოეთში დაბანდებული ინგლისური კაპიტალის ოდენობამ 600 მლნ გირვ. სტერლინგს მიაღწია. მომდევნო წლებში ინგლისიდან კაპიტალის გატანის პროცესი უფრო ინტენსიური გახდა. მაგრამ კაპიტალის გაძლიერებული გატანა ინგლისის თანდათანობით ჩამორჩენას იწვევდა. ინგლისური კაპიტალი სამამულო მრეწველობის განვითარებას უფრო ნაკლებად ხმარდებოდა. საჭირო კი იყო წარმოების ძირითად საშუალებათა განახლება. მხოლოდ ამ გზით შეეძლო ინგლისს მსოფლიო წარმოებასა და მსოფლიო ბაზრებზე უწინდელი მდგომარეობის აღდგენა.

ინგლისის ეკონომიურ განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ხანგრძლივმა კრიზისმა, რომელიც ხანმოკლე შესვენებებით თითქმის ირი ათეული წლის განმავლობაში, — 70-იანი წლებიდან დაწყებული, 90-იან წლებამდე, — გრძელდებოდა. ინგლისის მრეწველობის კრიზისი დაიწყო 1873 წელს და 1874 წლამდე გასტანა. შემდეგ წლებში კი მისი ეკონომიკა გადავიდა დეპრესიის ფაზაში, რომელიც 1878-80 წლებში კვლავ ახალმა კრიზისმა შეცვალა. 1880 წლის შემოდგომაზე კ. მარქსი, ახასიათებდა რა ინგლისის ეკონომიკის მდგომარეობას, მიუთითებდა, რომ თანამედროვე კრიზისი, თავისი ხანგრძლივობით, მასშტაბით და ინტენსიურობით, წარმოადგენს უდიდეს კრიზისს იმათ შორის, რომელნიც კი ოდესმე თავს დასტყდომია ინგლისის ეკონომიკას. მხოლოდ 1881 წელს დაიწყო წარმოების ხანმოკლე გაფოცოცხლება. იგი 1883 წლამდე გაგრძელდა, შემდეგ კვლავ გაუარესდა ეკონომიური კონიუნქტურა. 1886 წელს დაწყებული ხანმოკლე გამოცოცხლება 1890-93 წლებში ახალმა კრიზისმა შეცვალა. ამრიგად, XIX საუკუნის უკანასკნელი 30 წლის ნახევარზე მეტი კრიზისებსა და დეპრესიებზე მოდის.

კრიზისმა დიდად დააზარალა ინგლისის სოფლის მეურნეობა. მარცვლეულზე, ხორცისა და რძის პროდუქტებზე ფასების დაცემამ შემოსავალი შეამცირა. ინგლისის სოფლის მეურნეობის კრიზისი გაძლიერა აშშ-ისა და კანადის გაზრდილმა კონკურენციამ. გადმოზიდვის გაიაფებასთან დაკავშირებით ოკეანესიქითა პურს შეეძლო წარმატებით გაეწია კონკურენცია ინგლისური მარცვლეულისათვის. 80-იანი წლებიდან კონკურენცია გავრცელდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზეც, კერძოდ რძისა და ხორცის ნაწარმზე. გაყინ-

ვის. შემდეგ გაციების ტექნიკის დანერგვამ ამ პროდუქტების არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კანადიდან გადმოზიდვის, არამედ შორეული ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან შემოტანის შესაძლებლობა შექმნა. 1890-91 წლებში ინგლისს საშინაო მოთხოვნილებისათვის უცხოეთიდან შემოჰქონდათ ხორცის 36%. ადრე, 60-იან წლებში ეს წილი 10%-ს არ აღემატებოდა. ინგლისელ მოიჯარეებს, რომლებიც დიდ გადასახადებს იხდიდნენ, არ შეეძლოთ კონკურენციის გაწევა შემოტანილი იაფი პროდუქტებისათვის. ინგლისის სოფლის მეურნეობა ხანგრძლივი დაცემის ფაზაში შევიდა. შემცირდა სათესი ფართობის ოდენობა. მარცვლეულის წარმოება ინგლისში 30 წლის განმავლობაში (1870—1900) 2570 ათასი ტონიდან 1910 ათას ტონამდე შემცირდა.

კრიზისმა დააჩქარა შინაგანი სტრუქტურული პროცესები მრეწველობაში, პირველ ყოვლისა ეს ეხება კაპიტალის კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას.

1886 წლის შემდეგ, როცა დასრულდა განსაკუთრებით ღრმა კრიზისის ფაზა, ინგლისში აღმოცენდა პირველი მონოპოლისტური გაერთიანებები, მაგრამ, მონოპოლიების განსაკუთრებით სწრაფი აღმოცენება 90-იანი წლებიდან დაიწყო. 1891 წელს შეიქმნა ტუტის ტრესტი (8,5 მლნ გირვ. სტ. კაპიტალით), რომელმაც გააერთიანა 45 ქიმიური ქარხანა და საწარმო. 1890 წელს ჩამოყალიბდა ძაფისა და ნართის წარმოების კოუტსის ტრესტი. 90-იანი წლების შუა ხანებისათვის მან მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა არა მარტო ინგლისურ, არამედ უცხოეთის ბაზრებზეც. XIX ს. დასასრულს ინგლისის მრეწველობის ზოგიერთ დარგებში მონოპოლიურმა გაერთიანებებმა გადამწყვეტი გავლენა მოიპოვა. მაგალითად, შპალერის ტრესტმა გააერთიანა შპალერის მწარმოებელ საწარმოთა 98%, საჩითავმა ტრესტმა — 85%.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ინგლისის მონოპოლიური გაერთიანებები არ ასრულებდა გადამწყვეტ როლს მრეწველობაში და ხშირად დროებით ხასიათს ატარებდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლები ინგლისის მუშათა კლასის პოლიტიკური პასიურობით ხასიათდება. ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული მუშათა ყველაზე მეტად დაკმაყოფილებული ფენები მთლიანად გაიტაცა ტრედუნიონიზმის იდეებმა. ენგელსი გულისტკივილით აღიქვამდა ამ მოვლენას და 1879 წელს ინგლისიდან წერდა: ჭეშმარიტი მუშური მოძრაობა, ამ სიტყვის კონტინენტალური მნიშვნელობით აქ, ახლანდელ მომენტში არ არსებობს. კ. მარქსი მკაცრად აკრიტიკებდა ტრედუნიონების ლიდერთა გამცემლურ მოღვაწეობას

და ხსნიდა მუშათა კლასის პასიურობის ნამდვილ მიზეზებს. კ. ლიბკნეხტისადმი მიწერილ წერილში 1878 წელს კ. მარქსი მიუთითებდა, რომ კორუპციის პერიოდის წყალობით, რომელიც 1848 წელს დაიწყო, ინგლისის მუშათა კლასი თანდათანობით ღრმა დემორალიზაციამ მოიცვა და საბოლოოდ იქამდე მივიდა, რომ გადაიქცა „დიდი" ლიბერალური პარტიის უბრალო დანამატად. ინგლისის მუშათა კლასის ხელმძღვანელობა მთლიანად გადავიდა ტრედუნიონების გამყიდველი ლიდერებისა და პროფესიით აგიტატორების ხელში[1].

გაჭიანურებული კრიზისი, რომელიც განსაკუთრებული ძალით დაატყდა თავს არაკვალიფიციური მუშების ფართო ფენებს, შეეხო მუშათა არისტოკრატიის ერთ ნაწილსაც. აღმოცენდა უმუშევრობა. მეწარმეებმა დაიწყეს ხელფასის შემცირება. ამ ნიადაგზე, 80-იანი წლების დასაწყისში ინგლისში შეინიშნება მუშათა მოძრაობის გამოცოცხლების პირველი ნიშნები. 80-იანი წლების შუა ხანებიდან ინგლისი მოიცვა უმუშევართა მძლავრმა მოძრაობამ. 1886 წლის თებერვალში ლონდონში, ხოლო შემდეგ სხვა ქალაქებში მოეწყო უმუშევართა მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები. მოითხოვდნენ პურს და სამუშაოს. 1887 წელს მოძრაობამ ახალი, ფართო გასაქანი მიიღო, რადგან მასში ჩაებნენ დასაქმებული მუშებიც. მიტინგებმა პოლიტიკური ეღერადობა შეიძინა.

1887 წლის ნოემბერში მთავრობამ აკრძალა მიტინგების მოწყობა ლონდონში, ტრაფალგარ-სკვერის მოედანზე. 13 ნოემბერს, კვირას, აკრძალვის მიუხედავად, ხალხის უდიდესი მასა კვლავ შეიკრიბა მოედანზე. მთავრობამ შეკრებილთა ძალის გამოყენებით გარეკვა სცადა. საქმე პოლიციასთან შეტაკებამდე მივიდა. დაიჭრა მრავალი მუშა, ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში 1887 წლის 13 ნოემბერი ცნობილია „სისხლიანი კვირის" სახელწოდებით.

1888-89 წლებში ბრძოლაში ჩაებნენ არაკვალიფიციური მუშები. ამ ბრძოლის ყველაზე ნათელ ეპიზოდს წარმოადგენდა ლონდონის სამი დიდი გაფიცვა: ასანთის ფაბრიკების მუშათა 1888 წლის გაფიცვა, რომელმაც აიძულა მეწარმეები გაეუმჯობესებინათ მუშათა შრომის პირობები; ლონდონის გაზის ქარხნების მუშათა 1889 წლის მაისის გაფიცვა, რომლის შედეგადაც ამ დარგის საწარმოებში დაწესდა 8-საათიანი (იყო 12 საათიანი) სამუშაო დღე და, ბოლოს, ლონდონის დოკერების 1889 წლის აგვისტოს გრანდიოზუ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, ინგლისის შესახებ, თბ., 1957, გვ. 473.

ლი გაფიცვა, რომელიც წარმოადგენს მობრუნების მომენტს ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

დოკერებმა თავდაპირველად წამოაყენეს ძალიან მოკრძალებული მოთხოვნები: ხელფასის ფიქსირებული მინიმუმი და სპეციალისტებისცმელი. დოკერების მეპატრონეებმა უარყვეს ეს მოთხოვნები. რადგან დოკერებს თავისი პროფესიული კავშირი არ ჰქონდათ, მეწარმეები ვარაუდობდნენ, რომ ადვილად გაუსწორებდნენ მათ ანგარიშს. მაგრამ ისინი მოტყუვდნენ. გაფიცულ დოკერებს დაეხმარნენ სხვა დარგის მუშები. გაფიცულთა ფონდში მნიშვნელოვანი თანხა დაგროვდა. აღსანიშნავია, რომ დახმარება წორეული ავსტრალიიდანაც მიიღეს. გაფიცვა ერთ თვეს გაგრძელდა. იგი მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

გაფიცვის მნიშვნელოვანი შედეგი იყო დოკერების მუშათა კავშირის შექმნა. ეს იყო არაკვალიფიციურ მუშათა პირველი კავშირი. დოკერების მსგავსად ასეთივე კავშირები შექმნეს სხვა პროფესიის მუშებმაც. ძველი ტრედუნიონებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავის შემადგენლობაში მხოლოდ მაღალი ანაზღაურების მუშათა ვიწრო წრეს აერთიანებდნენ და მთავარ ამოცანად ურთიერთდახმარების მიზნით დიდი ფულადი ფონდის შექმნას თვლიდნენ, ახალი კავშირები იმთავითვე მასობრივ ხასიათს ატარებდა და საბრძოლო სულისკვეთებით გამოირჩეოდა.

მუშათა მოძრაობაში ახალი ტენდენციების დამკვიდრებამ გამოიწვია აგრეთვე ზოგიერთი ძველი კავშირის გაზრდა და განმტკიცება. ამ მოვლენათა ზემოქმედებით ძველმა კავშირებმა ახალ წევრებს გაუღეს კარები. 1880-90 წლებში ინგლისის ტრედუნიონების წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1880 წ. იგი უდრიდა 604 ათასს, 1890 წ. — 1054 ათასს, ხოლო 1900 წ. — 1972 ათასს.

ინგლისში მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებამ სოციალიზმის პროპაგანდის გაძლიერების შესაძლებლობა შექმნა. გადაიდგა ნაბიჯები სოციალისტური პარტიის ჩამოყალიბების მიზნით.

1881 წელს ინტელიგენტების ერთმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც ამოცანად ისახავდა ჩარტიზმის ტრადიციის აღორძინებას და ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის მიზნით მასობრივი მოძრაობის გაშლას. ფედერაციაში მთავარ როლს ასრულებდა ჰაინდმანი, რომელიც თავს მარქსისტად აცხადებდა და ცდილობდა კიდეც მარქსის შეხედულებების პოპულარიზაციას. მისი წიგნი „ინგლისი ყველასათვის" ახასიათებდა ინგლისის ეითარებას სოციალიზმის გამარჯვების შემ-

დეგ. სინამდვილეში ჰაინდმანისათვის მარქსიზმი მიუღებელი იყო. მას ამ საქმიანობით პოლიტიკური კარიერის უზრუნველყოფა სურდა. 1884 წელს დემოკრატიულ ფედერაციას სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია ეწოდა და წინა პლანზე გადმოიტანეს სოციალისტური იდეების პროპაგანდა. ამ მიზნით დაიწყეს ყოველკვირეული გაზეთის „ჯასტისის“ (სამართლიანობა) გამოცემა. გაზეთის რედაქტორი იყო ჰაინდმანი. სოციალ-დემოკრატიული ფედერაციაც ძველებურად ინტელიგენტებისაგან შედგებოდა. უმრავლესობისათვის უცხო იყო მარქსიზმი. ისინი უარყოფდნენ რევოლუციას და ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ საკუთარი ბრძოლის მიზნებზე, საშუალებებსა და გზებზე. ფედერაციის ყველაზე სერიოზული შეცდომა მასობრივი მუშური ორგანიზაციებისადმი სექტანტურ მიდგომაში მდგომარეობდა. სამართლიანად აკრიტიკებდა რა ტრედუნიონების საქმიანობას, ფედერაციამ სათანადოდ არ შეაფასა პროფკავშირულ მასებში მუშაობის მნიშვნელობა. სექტანტობა ახასიათებდა სოციალისტურ ლიგასაც, რომელიც 1884 წლის დეკემბერში სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის მემარცხენე ფრთისაგან შეიქმნა. სოციალისტურ ლიგაში შევიდნენ საზოგადო მოღვაწეები, ცოლ-ქმარი ე

ბელ ნაკლოვანებებს. უარყოფდნენ რა რევოლუციას, ისინი იცავდნენ რეფორმების იდეას. ფაბიანელები აგრეთვე უარს აცხადებდნენ კლასობრივ ბრძოლაზე და გამოდიოდნენ პოლიტიკურ მოძრაობაში მუშათა მონაწილეობის წინააღმდეგ.

საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერებამ და მუშურ წრეებში სოციალისტური იდეების გავლენის ზრდამ, გააძლიერა მუშათა კლასის მისწრაფება — შეექმნა საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია. 1889 წელს ჩამოყალიბდა შოტლანდიის მუშათა პარტია, ხოლო 1890 წელს—ბრედფორდის მუშათა კავშირი. 1893 წლის იანვარში, ბრედფორდში, მუშათა ორგანიზაციების სრულიად ინგლისის კონფერენციაზე შეიქმნა დამოუკიდებელი მუშათა პარტია. პარტიის უახლოეს ამოცანად კონფერენციამ ჩათვალა პარლამენტში მუშათა დეპუტატების არჩევისათვის ბრძოლა და პროფკავშირებში მუშაობის გაშლა. საბოლოო ამოცანად გამოცხადდა სოციალიზმის დამყარება. მაგრამ კონფერენციამ უარყო რევოლუცია და კლასთა ბრძოლა. პარტიის ხელმძღვანელები კირ გარდი და მაკდონალდი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ და მუშათა შორის, ფაქტიურად. მათ პოლიტიკურ ხაზს ატარებდნენ. დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ ინგლისის მუშათა მოძრაობის მოწინავე წარმომადგენელთა იმედები ვერ გაამართლა, სოციალიზმზე ლაყბობით მან დაბრკოლა მუშათა კლასის მემარცხენე რევოლუციური ელემენტების კრისტალიზაცია და ჭეშმარიტად შეაფერხა პროლეტარული სოციალისტური პარტიის შექმნა. ამ პერიოდში ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშათა კლასი დამოუკიდებელ როლს არ ასრულებდა.

ცვლილებები განიცადა ბურჟუაზიის პოლიტიკურმა პარტიებმაც. მიუხედავად იმისა, რომ 1867 წელს ლიბერალებს შორის მოხდა განხეთქილება, მათ მაინც თვალსაჩინო გავლენა ჰქონდათ ინგლისის საზოგადოებრივ წრეებზე: კერძოდ, არჩევნების დროს მათ კიდევ უჭერდნენ მხარს წვრილი ბურჟუაზია და მუშათა კლასის ზედაფენა.

1867 წლის რეფორმამ აუცილებელი გახადა ბურჟუაზიული პარტიების ორგანიზაციული გარდაქმნა. აღნიშნული რეფორმის შემდეგ ინგლისში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამომრჩეველთა რიცხვი. მათი უმრავლესობა პოლიტიკაში გამოუცდელი იყო, ამიტომ მთელი სიმწვავით დადგა საარჩევნო კამპანიების ახალი მეთოდების გამოძებნის საკითხი. წინასაარჩევნო პროპაგანდას ახლა მეტი ორგანიზებულობა სჭირდებოდა. ამისათვის საჭირო იყო დიდძალი სახსრები. დროებითი კომიტეტების ადრინდელი სისტემა, რომელიც მხო-

ლოდ არჩევნების პერიოდში მოქმედებდა, უკვე აღარ იყო საკმარისი. ახალი პარტიული სისტემის ჩამოყალიბების ინიციატორი გახდა მსხვილი სამრეწველო ცენტრის -- ბირმინგემის ბურჟუაზია. ამ ქალაქის მრავალრიცხოვანმა მუშურმა მოსახლეობამ 1867 წლის რეფორმებით ნაწილობრივ მოიპოვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ამიტომ აქ, მასობრივი, ცენტრალიზებული საარჩევნო კამპანიის ორგანიზაცია აუცილებელ, გადაუდებელ საქმედ გადაიქცა.

სწორედ ამ დროს ჩაება ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბირმინგემელი მდიდარი მრეწველი ჯოზეფ ჩემბერლენი. პოლიტიკური კარიერა მან რადიკალიზმის ლოზუნგებით დაიწყო. ჩემბერლენმა საზოგადოებას თავი იმით გააცნო, რომ მოითხოვდა მშრომელებისათვის იაფფასიანი სახლების მშენებლობას. ჩემბერლენმა, ჩაუდგა რა სათავეში ბირმინგემის მუნიციპალიტეტს, მოახდინა მუნიციპალური მეურნეობის რეორგანიზაცია: შექმნა გაზისა და წყალსადენის ერთიანი სისტემა, მიაღწია ქალაქის ზოგიერთი რაიონის ახალი გეგმით გადაკეთებას. ბირმინგემში მოპოვებულმა გავლენამ ჩემბერლენს საშუალება მისცა თვალსაჩინო ადგილი დაეკავებინა ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობაში. 60-იანი წლების დასასრულს იგი შეუდგა ბირმინგემში ლიბერალური პარტიის რეორგანიზაციას. ქალაქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში მან შექმნა პარტიის მუდმივი ადგილობრივი ორგანოები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ არჩეული კომიტეტები. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოება და საერთოდ საარჩევნო კამპანიის ჩატარების პასუხისმგებლობა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შეიქმნა პარტიის საქალაქო საბჭო. რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ საქალაქო პარტიულ მუშაობას. საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები არ იშლებოდა და აგრძელებდა მოღვაწეობას. ახალმა სისტემამ ლიბერალურ პარტიას ბირმინგემში არნახული ძალა და ორგანიზებულობა შესძინა. ამის შემდეგ ჩემბერლენმა ხელი მოჰკიდა ლიბერალური პარტიის სხვა ქალაქების ორგანიზაციათა გარდაქმნას.

1877 წელს ლიბერალური პარტიის რეორგანიზაცია დასრულდა. საერთო ნაციონალური მასშტაბით აღმოცენდა ეროვნული ლიბერალური ასოციაცია. ადგილობრივი ავტონომიური და განცალკევებული ასოციაციების ნაცვლად. რომლებიც მხოლოდ საარჩევნო კამპანიების დროს არსებობდა, შეიქმნა მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარტიის საბჭო. საბჭო განა-

გებდა პარტიის მატერიალურ სახსრებს, ხელმძღვანელობდა კადრებთან მუშაობას. მის განკარგულებაში იყვნენ ფასიანი პროპაგანდისტები და ლექტორები, რომელთაც აგზავნიდნენ ქვეყნის ყველა ნაწილში, აგრეთვე, სპეციალური აგენტი-ორგანიზატორები, რომლებიც ადგილებზე თვალყურს ადევნებდნენ საქმის ვითარებას. საპმო ხელმძღვანელობდა საარჩევნო კამპანიის საჭიროებისათვის პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემას. ახალი სისტემა ძალზე ეფექტური გამოდგა.

ლიბერალების კვალდაკვალ პარტიის რეორგანიზაციის გზას დაადგნენ კონსერვატორებიც. დაიწყო ადგილობრივი კონსერვატორული ჯგუფების („ასოციაციების") „ბირმინგემის ყაიდაზე" ჩამოყალიბება.

გლადსტონის პირველი კაბინეტი (1868-74)

გლადსტონის მთავრობამ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მრავალი გარდაქმნა განახორციელა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1872 წლის კანონი, რომელმაც პარლამენტის არჩევნების დროს ხმის მიცემის ფარული წესი შემოიღო. ეს ღონისძიება წარმოადგენდა ლიბერალების დაგვიანებულ დათმობას, რადგან ასეთი რეფორმის მოთხოვნა უნა ათწლეულის რადიკალური და დემოკრატიული მოძრაობის ყველა პროგრამაში შედიოდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დაწყებითი განათლების რეფორმას — ე. წ. ფორსტერის რეფორმას. სახალხო განათლება ინგლისში სავალალო მდგომარეობაში იყო. სასკოლო ასაკის 4 მილიონი ბავშვიდან მხოლოდ ნახევარი სწავლობდა. ამასთან სასკოლო განათლების დონეც უკიდურესად დაბალი იყო. სკოლების უმრავლესობა გაბატონებული ანგლიკანური, კათოლიკური და აგრეთვე სხვადასხვა რელიგიური სექტებისა და ორგანიზაციების გავლენას განიცდიდა. სასკოლო პროგრამებში მთავარი ადგილი რელიგიური დოქტრინების სწავლებას ეკავა. მრეწველობის განვითარება კი კარგად მომზადებულ, მცოდნე და კვალიფიციურ მუშებს მოითხოვდა. საჭირო იყო ისეთი სახის სკოლების შექმნა, რომლებიც მუშათა მოზარდ თაობას საფუძვლიან ცოდნას მისცემდა. ხელმძღვანელობდა რა ამ მოსაზრებით, მთავრობამ გადაწყვიტა სამრეწველო სკოლების ჩამოყალიბება. მათ უნდა ეარსებათ ადგილობრივ მოსახლეობაზე გაწერილი სპეციალური გადასახადისა და მთავრობის გარკვეული ფინანსური დახმარების ანგარიშზე, ასეთი სახის სკოლები განთავისუფლდებოდნენ რელიგიური ორგანიზაციების გავლენისაგან და

მთავრობა ახალი, გაუმჯობესებული პროგრამის შემუშავებას და სწავლების ხარისხზე ზეგავლენის მოხდენას შეძლებდა.

სასკოლო რეფორმის პროექტმა ეკლესიის სასტიკი პროტესტი გამოიწვია. სამღვდელოება იბრძოდა სახალხო განათლებაზე კონტროლის შენარჩუნებისათვის. ეკლესიის წინააღმდეგობის შესუსტების მიზნით მთავრობა საეკლესიო სკოლების (ე. წ. „ნებაყოფლობითი სკოლების") შექმნაზე დათანხმდა. გარდა ამისა, გადაწყვიტა გამოეყო სუბსიდიები. მთავრობამ, ეკლესიის თანხმობა რომ მიეღო, სკოლებში რელიგიის აუცილებელი სწავლება შემოიღო. სხვადასხვა საეკლესიო ორგანიზაციებმა დაიწყო ბრძოლა სკოლებში რელიგიური სწავლების მონოპოლიისათვის. მაშინ მთავრობამ, ცალკეული რელიგიური ჯგუფების შერიგების მიზნით, გამოაცხადა, რომ სავალდებულო სწავლება სკოლებში შემოიფარგლება მხოლოდ ბიბლიით და კატეხიზისით, იმის გამო, რომ მათი დებულებები საერთოა ყველა მიმდინარეობისათვის და არ შეიცავს რელიგიური დოგმატების საკამათო საკითხებს.

ეკლესიასთან კომპრომისმა პროგრესული ძალების კრიტიკა გამოიწვია. ისინი მოითხოვდნენ სკოლებში რელიგიური სწავლების სრულ აკრძალვას. უკმაყოფილო დარჩა ანგლიკანური ეკლესიაც. რადგანაც იგი ახალ სკოლებში საერო განათლების ხელმძღვანელობის პრეტენზიას აცხადებდა.

1871 წელს გლადსტონის მთავრობამ განახორციელა არმიის რეფორმა. ინგლისის ახალ არმიაში სამსახურის ვადა 12-დან 6 წლამდე შემცირდა; გაუქმდა მეთაურთა წოდებების ყიდვა-გაყიდვის სისტემა.

გლადსტონის კაბინეტმა განახორციელა აგრეთვე ადმინისტრაციული ხასიათის რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. 1870 წელს სახელმწიფო სამსახურში წემსვლელთათვის შემოიღეს გამოცდები. ეს სიახლე, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო მოხელეების საერთო განათლების დონის ამაღლებას ითვალისწინებდა, ნაკარნახევი იყო იმ მოტივითაც, რომ საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლებისათვის არ მიეცათ სამსახურებრივი დაწინაურების საშუალება. ძველი ენების ცოდნაზე მოთხოვნილებამ უმაღლესი თანამდებობანი პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებს დაუმკვიდრა, რადგან მხოლოდ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ საუნივერსიტეტო განათლება. ამერიდან ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც შეეძლოთ სახელმწიფო სამსახურში მაღალი თანამდებობების დაკავება.

1873 წელს გამოიცა კანონი ინგლისის უმაღლეს სასამართლო

დაწესებულებათა რეფორმის შესახებ. უზარმაზარი და დახლართული სისტემის ნაცვლად შეიქმნა ორი უმაღლესი სასამართლო ინსტანცია: უმაღლესი სასამართლო და სააპელაციო პალატა. ბოლო სასამართლო ინსტანციად გამოცხადდა ლორდთა პალატა.

ლიბერალების ადმინისტრაციული რეფორმა შეეხო ადგილობრივ მმართველობასაც. 1872 წელს ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობის სამინისტრო, რომელიც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი დაწესებულებების საქმიანობას — სამრეწველო საბჭოებსა და საქალაქო მუნიციპალიტეტებს.

1871 წელს ლიბერალების მთავრობამ ტრედუნიონების ლეგალიზაციის კანონი მიიღო. აღიარეს მისი არსებობა და მიანიჭეს იურიდიული უფლებები. მაგრამ, ამასთან ერთად გლადსტონმა გაატარა კანონი, რომელიც მკაცრად კრძალავდა გაფიცვების დროს ყოველგვარი „დაშინების" პრაქტიკას, ანუ პიკეტების დაყენებას. რადგან პიკეტირება შტრაიკბრეხერობის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი საშუალება იყო, ამ აკრძალვამ ფაქტიურად დიდად შეზღუდა მუშათა გაფიცვები. აღნიშნულმა კანონმა ის შედეგი გამოიღო, რომ 1874 წლის თებერვლის არჩევნებში მუშებმა ხმა არ მისცეს ლიბერალებს. ლიბერალების დამარცხებას ხელი შეუწყო აგრეთვე ფორსტერის კანონით უკმაყოფილებამ როგორც პროგრესულ, ასევე საეკლესიო წრეებში.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 1874 წლის არჩევნების დროს პარლამენტში ორი მუშა დეპუტატის — ალექსანდრე მაკდონალდისა და ტომას ბერტის არჩევამ. მართალია, ეს მუშები პარლამენტში ლიბერალების ხელშეწყობით მოხვდნენ და აქ მათ პარტიას მიეკედლნენ. მაგრამ თვით ფაქტი პარლამენტში მუშათა წარმომადგენლების არჩევისა მეტად მრავლისმთქმელი იყო და პურიტანულ პრესაში შემაშფოთებელი კომენტარები გამოიწვია.

დიზრაელის კონსერვატიული კაბინეტი (1874-80)

დიზრაელიმ გაითვალისწინა გლადსტონის შეცდომა და 1875 წელს პარლამენტში გაატარა ბილი, რომელმაც გააუქმა 1871 წლის კანონი: მუშებმა მიიღეს გაფიცვების დროს პიკეტების დაყენების უფლება; დიზრაელიმ უარი განაცხადა ქვეყნის შიგნით რეფორმების ჩატარებაზე და დემაგოგიურად ამტკიცებდა, რომ ინგლისი „დაიღალა რეფორმებისაგან", რომ მას „სჭირდება დასვენება". ახალმა მთავრობამ მთავარი ყურადღება მიაქცია საგარეო პოლიტიკისა და კოლონიური ექსპანსიის საკითხებს. დიზრაელიმ პირველმა

ოტო ფონ ბისმარკი

ჰელმუტ ფონ
მოლტკე უფროსი

ნაპოლეონ III

ადოლფ ტიერი

დაიწყო შოვინიზმისა და კოლონიური პოლიტიკის ფართო პროპაგანდა. 1872 წელს მან ბრძოლის სასახლეში წარმოთქმულ საჯარო სიტყვაში უსაყვედურა ლიბერალებს კოლონიებისადმი უყურადღებობა და ბრალად დადო იმპერიის რღვევისაკენ მისწრაფებაც კი. იგი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ კონსერვატორების ენერგიულ ღონისძიებებს შეუძლია იმპერიის გადარჩენა. ლიბერალებმა უარყვეს დიზრაელის მიერ წამოყენებული ბრალდება და ხაზი გაუსვეს კოლონიური ექსპანსიის სარბიელზე საკუთარ დამსახურებებს.

1875 წელს დიზრაელიმ შემოვლითი გზით შეიტყო ეგვიპტის მთავრობის განზრახვა — გაეყიდა სუეცის არხის საკუთარი აქციები. ცნობილია, რომ ინგლისმა თავის დროზე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია სუეცის არხის აგებას. ახლა კი, ითვალისწინებდა რა არხის დიდ ეკონომიურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას, ცდილობდა მასზე დაემყარებინა თავისი კონტროლი. დიზრაელიმ პარლამენტის დაუკითხავად როტშილდის ბანკიდან ისესხა ფული და გამოისყიდა ყველა აქცია. ამრიგად, ინგლისი გახდა სუეცის არხის ერთ-ერთი მთავარი მესაკუთრე და შემდგომ დაიწყო ეგვიპტის ოკუპაციის მომზადება. დიზრაელიმ დაარღვია კონსტიტუციური წესები. პარლამენტის სანქციის გარეშე მთავრობას არ ჰქონდა უფლება თავის თავზე აეღო ფინანსური ვალდებულებანი. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზია აღტაცებული იყო დიზრაელის წარმატების გამო, სიამოვნებით აპატია მას კონსტიტუციის დარღვევა და დიდად შეუქო სითამამე და მოხერხებულობა.

1876 წელს დიზრაელიმ პარლამენტში გაატარა ინგლისის დედოფლისათვის „ინდოეთის იმპერატორის“ ტიტულის მინიჭების ბილი. ამან ინგლისის ტახტს ახალი ბრწყინვალება შემატა და რიგით ინგლისელებს გაუღვიძა და გაუძლიერა შოვინისტური განწყობილება. ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე დამსახურებისათვის დიზრაელიმ მიიღო გრაფის ტიტული და გახდა ლორდი ბიკონსფილდი.

ინგლისი და აღმოსავლეთის საკითხი 70-იან წლებში

დიზრაელის აგრესიულმა პოლიტიკამ ყველაზე ნათლად თავი იჩინა 1876-78 წლებში. 70-იანი წლების შუა ხანებში კვლავ გამწვავდა ე. წ. აღმოსავლეთის საკითხი. ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში ინგლისმა და რუსეთმა დაიწყეს ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებისათვის. აღმოსავლეთის კრიზისის გამწვავების საბაბი გახდა თურქეთის ბატონობას დაქვემდებარებულ ხალხებში ეროვნულ-განმათავისუფლე-

ბელი მოძრაობის ზრდა. 1875 წლის ივლისში სახალხო აჯანყებამ იფეთქა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. 1876 წელს აჯანყებულებს შეუერთდნენ სერბია და ჩერნოგორია. მათ ომი გამოუცხადეს თურქეთს. დამოუკიდებლობისათვის მძლავრი მოძრაობა დაიწყო ბულგარეთშიც. თურქეთის ხელისუფლება მკაცრი რეპრესიების პოლიტიკას დაადგა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის ინგლისის ბურჟუაზიის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში მყარია. განსაკუთრებით დიდი იყო ინგლისის ზეგავლენა თურქეთზე. ეს ქვეყანა, ფაქტიურად, ინგლისის ნახევრადკოლონიას წარმოადგენდა. ეგვიპტის საგარეო ვაჭრობას ინგლისელები განაგებდნენ. მბრძანებლობდა ინგლისის კონსტანტინოპოლელი ელჩი. ინგლისის დიპლომატია, ცდილობდა რა შეენარჩუნებინა მოპოვებული პოზიციები, იბრძოდა, რათა ოსმანთა იმპერია შეუცვლელი სახით დარჩენილიყო; ამიტომ, თურქეთის ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს ინგლისელები „მეაბბოხეებად" თვლიდნენ. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ინგლისელები ეხმარებოდნენ თურქეთს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში. 1875-76 წლების აჯანყებებს რეაქციული პუბლიცისტები ე. წ. „რუსეთის ხრიკებს" უკავშირებდნენ. სინამდვილეში, აჯანყება კანონზომიერი შედეგი იყო თურქ დამპყრობთა რეაქციული პოლიტიკისა. მრავალი ქვეყნის და მათ შორის რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობა თანაუგრძნობდა ბალკანეთის ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის მთავრობა ცდილობდა გამოეყენებინა შექმნილი ვითარება და გაეძლიერებინა თავისი გავლენა ბალკანეთზე, მაგრამ, კარგად ახსოვდა რა ყირიმის სამწუხარო გამოცდილება, შიშობდა იზოლაციაში არ დარჩენილიყო და გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარდაჭერას ეძებდა.

ინგლისის დიპლომატია მხარს უჭერდა თურქეთის რეაქციულ პოლიტიკას და ცდილობდა არ დაეშვა ბალკანეთის საქმეში ევროპის ქვეყნების ჩარევა. ინგლისის ელჩი კონსტანტინოპოლში ჰენრი ელიოტი შენიღბულ პოლიტიკას აწარმოებდა. როცა ევროპის სახელმწიფოთა მუქარით შეშინებულმა სულთანმა აბდულ აზიზმა დათმობებისაკენ გადახრა დაიწყო, შეთქმულებმა შეურიგებელთა წრიდან 1876 წლის 29 მაისს მოაწყვეს სახალხო რევოლუცია, ჩამოაგდეს სულთანი და ტახტზე აიყვანეს მურად V. მთავრობის კურსის შეცვლა თავიდან იქნა აცილებული. არსებობს სავსებით რეალური მოსაზრება, რომ გადატრიალებაში მონაწილეობდა ინგლისის ელჩიც. ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე, 1876 წლის 24 მაისს

ხმელთაშუა ზღვის ინგლისის ფლოტი დარდანელის სრუტესთან ახლოს ბეზიკის უბეში შევიდა.

1876 წლის დეკემბერში კონსტანტინოპოლში გაიხსნა 6 სახელმწიფოს კონფერენცია. ინგლისი წინ აღუდგა ერთობლივი ნოტის პროექტის შემუშავებასა და თურქეთის მთავრობისადმი მის გადაცემას. თურქეთის მთავრობა ინგლისელთა დახმარებით ცდილობდა არ დაეშვა ბალკანეთის საქმეებში სხვა სახელმწიფოთა ჩარევა. მან განაცხადა, რომ თურქეთში მიღებული ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებულია მმართველობის მთელი სისტემის გარდაქმნა და რეფორმები ბალკანეთზეც უნდა გავრცელდესო, მაგრამ ბალკანეთში მდგომარეობის შესაცვლელად არაფერი გაკეთებულა. აღსანიშნავია, რომ ინგლისი ამჯერად საერთაშორისო დიპლომატიური იზოლაციის მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ყირიმის ვარიანტი", რომელიც ასე წარმატებით განახორციელა პალმერსტონმა, დიზრაელის არ გამოუვიდა. მეფის რუსეთს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა. როცა საკითხის კომპრომისული გადაჭრის ყველა ცდა მარცხით დასრულდა, რუსეთმა 1877 წლის აპრილში ომი გამოუცხადა თურქეთს და წარმატებით გაშალა სამხედრო ოპერაციები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამ ომს დაპყრობებისათვის აწარმოებდა, ობიექტურად იგი განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. რუსეთის ჯარებს ბალკანეთის ხალხებისათვის თავისუფლება მოჰქონდათ.

კონსერვატორული კაბინეტის პოლიტიკამ აღმოსავლეთში მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა გლადსტონი, მან ანტიკონსერვატიული კამპანია დაიწყო ბროშურით: „ბალკანეთის საშინელებანი და აღმოსავლეთის საკითხი". გლადსტონმა გაიცხა თურქეთის მოღვაწეობა ბალკანეთში, მოიყვანა თურქეთის მხეცური თარეშის აღმაშფოთებელი ფაქტები. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტები შეგროვილი იყო პირუთვნელი მეთვალყურეებისა და თვითმხილველების მიერ. გლადსტონი მოითხოვდა თურქეთთან ურთიერთობის პოლიტიკის გადასინჯვას. მან ეჰვის ქვეშ დააყენა თურქეთის მხარდაჭერაზე დაფუძნებული ინგლისის ტრადიციული კურსის სისწორე და მოითხოვა თურქეთის „ევროპიდან წასვლა" და თურქეთის სლავი ქვეშევრდომებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. გლადსტონის ბროშურამ ფართო გამოხმაურება გამოიწვია. ასევე წარმატებით მიმდინარეობდა მისი საჯარო გამოსვლებიც.

დიზრაელის ავანტიურისტული პოლიტიკა შეშფოთებას იწვევდა თვით კაბინეტშიც. საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი დერბი

(გარდაცვლილი პრემიერის ვაჟი) გამოთქვამდა ეჭვს აღმოსავლეთის საკითხში ინგლისის კურსის სისწორის თაობაზე. როცა, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე, 1878 წლის 23 იანვარს, კაბინეტის სხდომაზე დიზრაელიმ წამოაყენა წინადადება „ინგლისის ინტერესების დაცვისათვის" სრუტეებში ფლოტის გაგზავნის შესახებ, დერბიმ გაიცხა ასეთი ნაბიჯი. მან მოაგონა მთავრობას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები არ აძლევს ინგლისს სრუტეებში ფლოტის შეყვანის უფლებას. ასეთი ღონისძიება, დერბის აზრით, ინგლისს ხელშეკრულებების დამრღვევი ქვეყნის რეპუტაციას შეუქმნიდა. დერბიმ გადადგომის მუქარით მიაღწია ამ საკითხის გადადებას.

1878 წლის 30 იანვარს რუსეთი და თურქეთი დაზავდნენ. ომი დამთავრდა. მიუხედავად ამისა, 8 თებერვალს ინგლისის კაბინეტი დაუბრუნდა აღნიშნული საკითხის განხილვას და გადაწყვიტა სრუტეებში ფლოტის შეყვანა. 15 თებერვალს ინგლისის გემები თურქეთის დედაქალაქთან გამოჩნდნენ. ამ ოპერაციის მიზანი იყო რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებაში ინგლისის სერიოზული ჩარევის შესაძლებლობის შექმნა. მარტის ბოლოს, როცა ინგლისის მთავრობამ მიიღო სრუტეებში ახალი მაშველი ძალების გაგზავნის გადაწყვეტილება, დერბი გადადგა. მიუხედავად ინგლისის საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობისა, დიზრაელის პოლიტიკამ გაიმარჯვა.

დიზრაელის აღმოსავლეთის პოლიტიკის ჭეშმარიტი ხასიათი გამოაშკარავა ინგლის-თურქეთის 1878 წლის 4 ივნისის საიდუმლო შეთანხმებამ. ინგლისელებს გადაეცათ სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი კუნძული კიპროსი. ეს იყო საზღაური თურქეთის „უანგარო" დაცვისათვის. საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ყარსი, ბათუმი და ბესარაბიის ნაწილი.

ომის ობიექტური შედეგი იყო თურქეთის ბატონობისაგან სლავი ხალხის განთავისუფლება. ინგლისი შიშობდა, ბულგარეთი არ გადაქცეულიყო ბალკანეთზე რუსეთის გავლენის დასაყრდენ ბაზად. ბერლინის კონგრესზე ინგლისის დაჟინებული მოთხოვნით ბულგარეთი ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთ ბულგარეთმა დამოუკიდებლობა მიიღო; სამხრეთი — თურქეთის გუბერნატორის მმართველობაში დარჩა. ამ ხელოვნურმა დაყოფამ დიდი ხნით დააბრკოლა ბულგარელი ხალხის საბოლოო განთავისუფლება. დიზრაელი, ბერლინის კონგრესიდან რომ დაბრუნდა, თვალთმაქცურად აცხადებდა. რომ მან ბერლინიდან ჩამოიტანა „საპატიო ზავი". სინამდვილეში ამ პერიოდის ინგლისის პოლიტიკა ხელს უწყობდა ომის გაჩაღებას და აბრკოლებდა თურქეთის უღლისაგან ბალკანეთის ხალხების გან-

თავისუფლებას. დიზრაელის აღმოსავლეთის პოლიტიკამ გააძლიერა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა.

* * *

დიზრაელი ცდილობდა ჩამოეცილებინა ინგლისელი ხალხის ყურადღება საშინაო პრობლემებისაგან; მან ახლო აღმოსავლეთში აქტიური დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. ფლობდა რა ინდოეთს და დაიქვემდებარა რა თურქეთი, ინგლისის მთავრობა მიისწრაფოდა სპარსეთზე, ავღანეთზე და მომიჯნავე ტერიტორიებზე გაევრცელებინა თავისი გავლენა. ინდოეთის ვიცე-მეფე, ლორდი ლიტონი ინდოეთის საზღვრების შემდგომი გაფართოების პოლიტიკას აწარმოებდა.

დაიპყრო რა ახალი ტერიტორიები ახლო აღმოსავლეთში, ინგლისის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მისი ერთადერთი მიზანია ინდოეთის სამფლობელოების „რუსეთის საფრთხისაგან" დაცვა. სინამდვილეში თავისი სამფლობელოების უშიშროების ლოზუნგით ინგლისი კოლონიური ექსპანსიისათვის იღვწოდა.

60-იან წლებში რუსეთმა დაიწყო შუა აზიის სახელმწიფოთა დაპყრობა. 1873 წელს ხივის ხანმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის შეტევა შუა აზიაში ახალი ძალით გაშალა. 1880 წელს რუსეთის ჯარმა დაიკავა გეოკ-ტეპე და აშხაბადი, ხოლო მომდევნო წელს მთელი თურქმენეთი, ავღანეთის საზღვრამდე. თავისი აგრესია რომ გაემართლებინა, რუსეთი მიუთითებდა ახლო აღმოსავლეთში ინგლისის დამპყრობლურ პოლიტიკასა და ინგლისელი აგენტების მოღვაწეობაზე. ინგლისი კი აშკარად ცდილობდა თავის კოლონიებად გადაექცია სპარსეთი და ავღანეთი. ყირიმის ომის დროს ინგლისის მთავრობა მიისწრაფოდა თურქეთის შუამავლობით რუსეთის წინააღმდეგ შეექმნა აზიის ხანების კოალიცია. ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ უბიძგებდა ქაშგარიის მფლობელს იაკუბ-ბეგს, აგულიანებდა ავღანეთის ემირს. ინგლისის აგენტები ბუხარის ემირთან ერთად მონაწილეობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთ-თურქეთის ომმა კიდევ უფრო გაამწვავა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა შუა აზიაში. ომის პერიოდში რუსეთი ცდილობდა წინ აღდგომოდა ავღანეთის შესვლას ინგლისის გავლენის სფეროში და მის გამოყენებას რუსეთის წინააღმდეგ ომში. ამიტომ რუსეთმა 1878 წელს „ურთიერთდახმარების" ხელშეკრულება დადო ავღანეთთან. ავღანეთის ემირი შირ-ალი ინგლისსა და რუსეთს

შორის ბალანსირების პოლიტიკას ატარებდა და ფიქრობდა რუსეთის მხარდაჭერის საფუძველზე ინგლისის აგრესიის შეჩერებას. ლონდონში გაგზავნილ პატაკში ლიტონი მოითხოვდა აქტიური მოქმედების დაწყებას ავღანეთის წინააღმდეგ, ვიდრე ეს უკანასკნელი რუსეთის გავლენის სფეროში მოექცეოდა. „დროა წავაჭრათ ბრჭყალები შირ-ალის", — წერდა ლიტონი. საჭირო იყო თავდასხმისათვის საბაბის გამოძებნა.

ინგლისის მთავრობამ ავღანეთში გაგზავნა „სპეციალური მისია" 400 კაცის შემადგენლობით. მისიას მეთაურობდა გენერალი ჩემბერლენი. არსებითად ეს იყო სამხედრო ექსპედიცია. ინგლისი კი ავღანეთთან მშვიდობიან დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. შირ-ალიმ „მისიას" ავღანეთში შესვლის ნება არ დართო. ინგლისის მთავრობამ ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღო და დაიწყო ავღანეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება. ინგლისის არმიამ ადვილად დაამარცხა ავღანეთის ცუდად შეიარაღებული და არაორგანიზებული ჯარი და დაიკავა ავღანეთის დედაქალაქი ქაბული. შირ-ალი ომის მსვლელობის დროს გარდაიცვალა. ახალმა ემირმა ხელი მოაწერა ინგლისთან ზავს, რომელიც ფაქტიურად კაპიტულაციას მოასწავებდა. ავღანეთი ინგლისის პროტექტორატად გადაიქცა. 1879 წლის განდამაკის ხელშეკრულებით ავღანეთის საგარეო პოლიტიკაზე ინგლისის კონტროლი დაწესდა. ინგლისელების ხელში გადავიდა ყანდაარის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონები და ხაიბერის გადასასვლელი, რომელიც ინდოეთის მხრიდან ავღანეთში შემოჭრის ყველაზე მოხერხებულ გზას წარმოადგენდა. ამ მნიშვნელოვანი დათმობების სანაცვლოდ ავღანეთის ემირს ყოველწლიურად ინგლისისაგან უნდა მიეღო სუბსიდია 60 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. ამავე ხელშეკრულებამ ინგლისის მთავრობას უფლება მიანიჭა ქაბულში ჰყოლოდა სპეციალური სამხედრო დიპლომატიური მისია, რომელსაც კონტროლი უნდა გაეწია ხელშეკრულების შესრულებისათვის და ფაქტიურად განეგო ქვეყანა.

ინგლისის ბურჟუაზია ზეიმობდა. დიზრაელიმ მკვეხარა სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიდან ინდოეთის უშიშროება უზრუნველყოფილია.

ინგლისის ბურჟუაზიის ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. ამავე წლის სექტემბერში ავღანეთში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ დაიწყო სახალხო აჯანყება. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს და იერიშით დაიკავეს ქ. ქაბული. ინგლისის მისია მოისპო. ინგლისელებმა ავღანეთის წინააღმდეგ ახალი ომი წამოიწყეს და კვლავ აიღეს

ქ. ქაბული. მაგრამ, ამჯერად მეტი კეთილგონიერება გამოიჩინეს და გააუქმეს განდამაკის ხელშეკრულება. მათ ახალი ხელშეკრულებით აღიარეს ავღანეთის დამოუკიდებლობა. ახალი ემირი აბდურაჰმანი, თავისი წინამორბედის მსგავსად, ინგლისსა და რუსეთს შორის წონასწორობის პოლიტიკას ახორციელებდა და ამ გზით სურდა შეენარჩუნებინა ავღანეთისათვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების გარკვეული დამოუკიდებლობა.

ავღანეთში წარუმატებლობამ შეარყია კონსერვატიული კაბინეტის პოზიციები და სახელი გაუტეხა ფართო კოლონიური ექსპანსიის გეგმებს. ინგლისისათვის არასასურველად წარიმართა აგრეთვე სამხრეთ აფრიკის ოლქების დაპყრობის პოლიტიკაც. ინგლისელები დიდი ხანია ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ბურების რესპუბლიკების — ორანჟისა და ტრანსვაალის ტერიტორია. 1849 წელს განხორციელებული პირველი ცდა მარცხით დასრულდა. ბურებმა დაამარცხეს ინგლისის ჯარები და აიძულეს ინგლისი ეცნო მათი დამოუკიდებლობა (1852 წლის სანდ-რივერის ხელშეკრულება). მაგრამ ინგლისელებმა ხელი არ აიღეს სამხრეთ აფრიკაში კომპაქტური ინგლისური კოლონიის შექმნის გეგმებზე. მათ მხოლოდ დროებით გადადეს მისი განხორციელება.

60-იანი წლების დასასრულს ბურების ტერიტორიაზე აღმოჩნდა ალმასი. ინგლისის ბურჟუაზია ახლა უფრო მეტი ენერგიით მიისწრაფოდა ამ რაიონის დასაპყრობად. და აი, 1877 წელს ინგლისის მთავრობა აცხადებს ბურების რესპუბლიკების ტერიტორიის ანექსიას.

ბურებმა მხოლოდ პროტესტი განაცხადეს და დროებით შეუერიგდნენ მომხდარ ფაქტს. ისინი ამ დროს ომს აწარმოებდნენ სამხრეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის, ზულუს ტომების წინააღმდეგ. ბურები ცდილობდნენ აეყარათ ნაყოფიერი ველებიდან ზულუს ხალხი და გადაესახლებინათ უკაცრიელ მთიან ტერიტორიებზე. 70-იანი წლების დასაწყისში ზულუს ტომების ფედერაციის მეთაურმა კეტჩვაიომ დამპყრობთა წინააღმდეგ მთელი მოსახლეობა გააერთიანა. ბურებს მოწინააღმდეგესთან დამოუკიდებელი გამკლავება არ შეეძლოთ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ინგლისის მთავრობა, მას შემდეგ რაც ბურების ტერიტორიის ანექსია მოახდინა, თავის თავზე აიღებდა ზულუს წინააღმდეგ ომის წარმოების საქმეს. მართლაც, ინგლისელებმა დაიწყეს ომი ზულუს წინააღმდეგ. მაგრამ პირველივე შეტაკებაში ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვილი ინგლისელთა რაზმი სამარცხვინოდ დამარცხდა; ბრძოლა გაიმართა 1879 წლის 22 იანვარს, ისანდლვანთან. მხოლოდ შუბებითა და ის-

რებით შეიარაღებულმა ზულუს ჯარმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარ-ჯვება. ინგლისელები იძულებული გახდნენ გაეგზავნათ სამხრეთ აფ-რიკაში მნიშვნელოვანი მაშველი ძალები. ბრძოლის საბოლოო შე-დეგი ეჭვს არ იწვევდა. 1879 წლის შემოდგომაზე ინგლისელებმა საბოლოოდ გატეხეს ზულუს წინააღმდეგობა. საუკეთესო მიწები ბურების ხელში გადავიდა.

სამხრეთ აფრიკაში დამარცხებამ და ავღანეთში წარუმატებლო-ბამ შეარყია დიზრაელის მთავრობის პოზიციები. ინგლისის ბურ-ჟუაზია, ცხადია, არ იყო დაპყრობების პოლიტიკის წინააღმდეგი, მაგრამ წარუმატებლობა მას აღიზიანებდა. დიზრაელის ხმაურიან აგრესიულ პოლიტიკას სახელი გაუტყდა. ლიბერალებმა გადაწყვი-ტეს ესარგებლათ ამ გარემოებით და გაშალეს დიზრაელის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა. გლადსტონმა ინგლისის მრავალი რაიონი შე-მოიარა და ათობით სიტყვა წარმოთქვა დიზრაელის პოლიტიკის წი-ნააღმდეგ. ამასთან გლადსტონი ინგლისელ ხალხს ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებას და მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის წარ-მოებას ჰპირდებოდა. 1880 წლის მარტში ჩატარებული პარლამენ-ტის არჩევნების დროს ლიბერალებმა გაიმარჯვეს. ახალ პარლა-მენტში, მათ 349 ადგილი (კონსერვატორებმა — 250) მიიღეს. დიზრაელი გადადგა.

გლადსტონის მეორე კაბინეტი (1880-86)

როცა ლიბერალები ხელისუფლებას დაუბრუნდნენ, გაცილე-ბით მეტ ხმებს ფლობდნენ. ვიდრე კონსერვატორები. ერთი შეხედ-ვით ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ კვლავ დგებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლიბერალების ხანგრძლივი ბატონობის პერიოდი. მაგრამ ამ ხანებში „ძველ დიად პარტიაში“ (როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ) დაიწყო ის შინაგანი კრიზისი, რო-მელიც ოთხქმის ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა, რამაც შეარყია ამ პარტიის პოლიტიკური სიძლიერე. კრიზისის საფუძველს პარტი-ის სოციალური ბაზის შევიწროება წარმოადგენდა. კოლონიებისა და ბაზრებისათვის ბრძოლის გამწვავების ვითარებაში, ქვეყნის შიგ-ნით კლასობრივი ბრძოლის ზრდის პირობებში მოძველდა მმართ-ველობის ლიბერალური მეთოდები. ლიბერალიზმის კრიზისთან ერთად დაიწყო კონსერვატიული პარტიის შესამჩნევი გაძლიერე-ბა. კონსერვატორები მოითხოვდნენ აქტიური საგარეო და კოლო-ნიური პოლიტიკის წარმოებას, იბრძოდნენ ძველი წესრიგისა და ტრადიციების ყოველგვარი შეცვლის წინააღმდეგ, საკუთრებისა და სოციალური პრივილეგიების დაცვისათვის.

გლადსტონის ლიბერალურმა კაბინეტმა ზოგიერთი საკანონმდებლო რეფორმა განახორციელა. 1883 წელს მთავრობამ გაატარა კანონი პარლამენტის არჩევნებში კორუპციის აკრძალვის შესახებ. ამ კანონმა განსაზღვრა არჩევნების დროს კანდიდატისათვის დასაშვები ხარჯების მაქსიმალური ოდენობა. 1884 წელს გლადსტონის კაბინეტმა განახორციელა ახალი საარჩევნო რეფორმა. გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ 1867 წლის რეფორმების შედეგებმა არ გაამართლა ბურჟუაზიის შიში. ახალმა ამომრჩევლებმა კვლავ ძველ პარტიებს მისცეს ხმები და მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ ოპოზიცია არ შეუქმნიათ. ბურჟუაზიას ახლა აღარც მუშათა კლასის ეშინოდა. მუშები არ ამჟღავნებდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლისაკენ მისწრაფებას და მორჩილად აძლევდნენ ხმას ლიბერალური პარტიის კანდიდატებს. ამიტომ ლიბერალური პარტია გამარჯვების შემდეგ თამამად დაადგა რეფორმების გატარების გზას.

1884 წლის საარჩევნო რეფორმამ შემოიღო საარჩევნო უფლებების ერთიანი სისტემა როგორც ქალაქში, ასევე სოფლად. ახალი რეფორმის გატარებამდე სოფლებში ხმის უფლების მიღებისათვის ქონებრივი ცენზი არსებობდა; ამიერიდან იგი გაუქმდა. რეფორმის შედეგად ამომრჩეველთა რიცხვი კიდევ ორჯერ გაიზარდა და 5 მილიონს მიაღწია. ახალი რეფორმით უმთავრესად ფერმერმა მოიჯარეებმა მოიგეს. ხმის უფლება მიიღო, აგრეთვე, მოჯამაგირეთა ნაწილმაც.

მომდევნო 1885 წელს პარლამენტში გატარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო ოლქების გადანაწილების კანონი. ამიერიდან ყოველ საარჩევნო ოლქში ერთიანდებოდა 50 ათასი ამომრჩეველი. თითოეული ოლქი პარლამენტში დეპუტატის ერთ მანდატს მიიღებდა. მსხვილი ქალაქები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 50 ათასს აღემატებოდა, მცხოვრებლებისა და ამომრჩეველთა რიცხვის შესაბამისად პარლამენტში რამდენიმე ადგილს მიიღებდა. პატარა ქალაქები და ოლქები, სადაც 15 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა, სხვა ქალაქებსა და ოლქებს უერთდებოდნენ. ლონდონმა პარლამენტში დეპუტატის 62 ადგილი მოიპოვა; ლივერპულმა — 9, გლაზგომ და ბირმინგემმა — თითოეულმა — 7. ახალმა ბილმა რეფორმის შესახებ წარმომადგენლობით სისტემაში ერთსახეობა შემოიღო და მოსპო ცალკეული ოლქების შეუწყნარებელი უთანასწორობა.

1880 წლის არჩევნებში ლიბერალების გამარჯვებას ხელი შეუწყო დიზრაელის საგარეო და კოლონიური პოლიტიკის კრიტიკამ. სწორედ ამიტომ დაუჭირეს მხარი ლიბერალურ პარტიას წვრილი ბურჟუაზიისა და ნაწილობრივ მუშათა კლასის წარმომადგენლებმა. მაგრამ ლიბერალებს, ცხადია, არ შეეძლოთ ბურჟუაზიული კლასის მისწრაფებათა უგულებელყოფა. ბურჟუაზია კი ახალ დაპყრობებს მოითხოვდა. გლადსტონის მთავრობამ დაივიწყა ბურებისათვის დამოუკიდებლობის დაბრუნების წინასაარჩევნო დაპირება. ზულუს განადგურების შემდეგ ბურებს აღარ სჭირდებოდათ ინგლისელების მეურვეობა. მაგრამ, როცა ბურების დელეგაცია ლონდონში ჩამოვიდა, გლადსტონმა მათ განუცხადა, რომ ბურები ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში საკმაო თავისუფლებით სარგებლობენო და უარი თქვა ანექსიის გაუქმებაზე.

როცა ბურებმა გლადსტონთან მოლაპარაკებით ვერაფერს მიაღწიეს, 1881 წელს აჯანყდნენ და თებერვალში მაჯუბთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს მათ წინააღმდეგ გამოგზავნილი ინგლისელთა რაზმი. ინგლისი მოერიდა დიდი ომის წამოწყებას სამხრეთ აფრიკაში. 1881 წლის აპრილში დაიდო პრეტორიის ხელშეკრულება. ინგლისმა გააუქმა ბურების რესპუბლიკების — ტრანსვაალისა და ორანჟის ანექსია, მაგრამ შეინარჩუნა კონტროლის უფლება ამ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე.

ლიბერალებმა საბოლოოდ გაიტეხეს სახელი ეგვიპტეში წარმოებული პოლიტიკით. ინგლისს დიდი ხანი ეჭირა თვალი ეგვიპტეზე და აგროვებდა ძალებს მის მისადგომებთან. მას შემდეგ, რაც 1839 წელს დაიპყრეს ადენი, ინგლისელებმა განამტკიცეს პოზიციები მეწამული ზღვის სამხრეთში. 1875 წელს ინგლისმა შეისყიდა სუეცის არხის აქციები. 1878 წელს დაიპყრო კიპროსი და ადრე მითვისებულ მალტასთან ერთად მოიპოვა სტრატეგიული უპირატესობა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. XIX საუკუნის შუა წლებიდან ინგლისელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბამბის პლანტაციების მოწყობაში, ბამბის გატანაში, ნილოსზე ნაოსნობაში, ირიგაციული ნაგებობების აგებაში, სხვადასხვა სპეკულაციური საწარმოების საქმიანობაში, მაგრამ, ინგლისელები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ ეგვიპტეში ფრანგების მომძლავრებისათვის. 1876 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა საზიარო კონტროლი დაამყარეს ეგვიპტის ეკონომიკაზე: ინგლისის რწმუნებული კონტროლს უწევდა ფინანსებს, საფრანგეთისა კი — „საზოგადოებრივ სამუშაოებს“ — ირიგაციისა და არხების მთელ სისტემას (სუეცის არხის ჩათვლით). ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენ-

ლები განუკითხავად განაგებდნენ ეგვიპტის საქმეებს. 1879 წელს მოკავშირეებმა გადააყენეს ეგვიპტის ხედივი ისმაილ-ფაშა და ძალაუფლება გადასცეს უფრო მორჩილ ტეფიკ-ფაშას. ეგვიპტეში დაბანდებულ უცხოეთის კაპიტალს დიდი მოგება მოჰქონდა. ეგვიპტელი გლეხი აუწერელ სიღარიბეში ცხოვრობდა. მოსავლის დიდ ნაწილს გადასახადის სახით კარგავდა. ასეთ პირობებში ქვეყანაში გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. იგი მიმართული იყო უცხოელთა მომძლავრების წინააღმდეგ. უკმაყოფილებამ მოიცვა არა მარტო მოსახლეობის ფართო ფენები, არამედ ეგვიპტის მქონებელი კლასებიც — ფეოდალები და ახალგაზრდა ბურჟუაზია. ოპოზიციას სათავეში ჩაუდგნენ ეგვიპტელი ოფიცრები. მათ შორის გამოირჩეოდა პოლკოვნიკი არაბი-ფაშა, რომელიც რეფორმების მოთხოვნის ლოზუნგით გამოდიოდა. 1882 წლის თებერვალში მან სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა და, ფაქტიურად, მთავრობის მეთაური გახდა. ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს ეშინოდათ არაბი-ფაშას მოსახლეობის ფართო ფენებზე დაყრდნობით არ დაეწყო უცხოეთის კაპიტალის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა. ამიტომ მათ მოამზადეს ეგვიპტეზე ერთობლივი ინტერვენცია. 1882 წლის მაისში ალექსანდრიაში გამოჩნდა ინგლის-საფრანგეთის ესკადრა. ეს იყო ეგვიპტის მოსახლეობის გამოწვევა. ამ აგრესიულმა აქტმა ალექსანდრიის მცხოვრებთა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია გამოიწვია. დემონსტრაცია ინტერვენციის საბაბად იქნა გამოყენებული. მაგრამ უკანასკნელ წუთებში საფრანგეთის მთავრობამ სხვა ქვეყნებთან კონფლიქტისა და ქვეყნის შიგნით გართულებების შიშით უარი განაცხადა ინტერვენციაში მონაწილეობაზე.

გლადსტონის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია შექმნილ ვითარებას და 1882 წლის 11 ივლისს ინგლისელებმა დაიწყეს ალექსანდრიის დაბომბვა. ამის შედეგად განადგურდა ქალაქის სიმაგრეები. მალე ინგლისელთა დესანტმა შეტევითი ოპერაციების გაშლის შედეგად დაიკავა ქალაქი. დაიწყო ეგვიპტის ოკუპაცია. ლიბერალებმა დაივიწყეს წინასაარჩევნო დაპირებები. პროტესტის ნიშნად გადადგა მთავრობის წევრი, ლიბერალი ჯონ ბრაიტი.

პროგრესული საზოგადოების პროტესტისა და ლიბერალური პარტიის წევრთა ერთი ნაწილის ოპოზიციის მიუხედავად, გლადსტონის კაბინეტმა ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე. 1832 წლის 13 სექტემბერს ტელ-ელ-ქებირთან ბრძოლაში ინგლისელებმა დაამარცხეს არაბი-ფაშა და ფაქტიურად გაანადგურეს ეგვიპტის არმია. ინგლისელები ქვეყნის ბატონ-პატრონნი გახდნენ. ინგლისის მთავრობამ ფარისევლურად გამოაცხადა, რომ ოკუპაცია დროებითი

ლონისძიებაა და იგი შეწყდება მაშინ, როცა აღმოიფხვრება მისი გამომწვევი მიზეზები. მაგრამ ეს იყო თვალთმაქცობა. ქვეყნის ოკუპაცია მრავალ ათეულ წელს გაგრძელდა.

ირლანდიის კრიზისი და გლადსტონის კაბინეტის დაცემა

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ირლანდიის სოფლის მეურნეობის ხანგრძლივი კრიზისი. იგი შემდეგში კიდევ უფრო გაღრმავდა უცხოეთის იაფფასიანი პროდუქტების, კერძოდ, პურის, რძის პროდუქტების, გაყინული ხორცისა და სხვათა კონკურენციის გამო. გაძლიერდა ირლანდიელი მოიჯარის გაღატაკების პროცესი. ამ მოვლენებმა ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. მოძრაობის მთავარ ძალას გლეხობა წარმოადგენდა. მათ წამოაყენეს მიწისათვის ბრძოლისა და მაღალი საიჯარო გადასახადის შემცირების ლოზუნგები. აგრარული და ეროვნული მოძრაობების გაერთიანებამ ირლანდიელი ხალხის ბრძოლას უჩვეულო ძალა და გაქანება მისცა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალმა ეტაპმა ირლანდიაში ახალი ბელადები წამოაყენა. ირლანდიელი გლეხობის ორგანიზატორთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მაიკლ დევიტი. მან შეიმუშავა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის პროგრამა და მთავარ ლოზუნგად წამოაყენა ირლანდიის მიწების ნაციონალიზაცია. თავისი პროპაგანდით დევიტმა ხელი შეუწყო ბრძოლაში ირლანდიის გლეხობის ფართო მასების მიზიდვას.

1879 წელს დევიტმა გლეხურ წრეებში მასობრივი აგიტაცია გაშალა. მისი ინიციატივით შექმნილმა ირლანდიის ეროვნულმა მიწის ლიგამ დაიწყო ენერგიული ბრძოლა საიჯარო გადასახადის გადაუხდელობის გამო მოიჯარეების გადასახლების წინააღმდეგ. ლიგის საბოლოო მიზანი იყო გლეხობის მიწით უზრუნველყოფა. მიწის ლიგამ გლეხობის ფართო წრეები მოიზიდა და ქვეყნის უდიდეს ძალად გადაიქცა.

ირლანდიის ბურჟუაზია ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცხადია, იგი უკმაყოფილო იყო იაფფასიანი ინგლისური საქონლის კონკურენციის გამო, მაგრამ, მეორე მხრივ, დიდად იყო დაინტერესებული ინგლისური და აგრეთვე ბრიტანეთის იმპერიის უდიდესი ბაზრების ექსპლუატაციით. სწორედ ბურჟუაზიის ამ ორჭოფობით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1870 წელს შექმნილმა ჰომრულის (თვით-

მმართველობა) ბურჟუაზიულმა ირლანდიურმა ასოციაციამ წამოაყენა მეტად ზომიერი პროგრამა, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის ჩარჩოებში ირლანდიის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა. „ჰომრულელებს“ ეშინოდათ ფართო სახალხო მოძრაობისა და იფარგლებოდნენ ინგლისის პარლამენტში მოღვაწეობით. ირლანდიის ბურჟუაზიის წარმომადგენლები თემთა პალატაში ყოველ შემთხვევას იყენებდნენ იმისათვის, რომ ინგლისელებისათვის გაეხსენებინათ ირლანდია და მოთმინებით ელოდნენ ირლანდიის ავტონომიის პროგრამის განხორციელებას.

ასეთი ტაქტიკა უნაყოფო იყო. ამასთან გაიზარდა სახალხო მოძრაობა ირლანდიაში. ირლანდიელები იძულებული გახდნენ შეეცვალათ მოქმედების გეგმა. ირლანდიის ფრაქციის წევრს ბიგარს კარგად ესმოდა, რომ ინგლისი დათმობებზე მხოლოდ იძულებით შეიძლებოდა წასულიყო. ამიტომ მან წამოაყენა ე. წ. „ობსტრუქციის“ ტაქტიკა, რომლის მთავარი ამოცანა იყო სხვადასხვა საშუალებებით ინგლისის პარლამენტის მოღვაწეობის შეფერხება. ბიგარი და მისი თანამოაზრენი ინგლისის პარლამენტში იყენებდნენ ყოველ შესაძლებელ შემთხვევას; განგებ აწყობდნენ ხანგრძლივ კამათს, წარმოსთქვამდნენ მრავალსაათიან სიტყვებს და ამ გზით ფაქტიურად ამუხრუჭებდნენ პარლამენტის მუშაობას. ირლანდიელები „ობსტრუქციის“ ტაქტიკით ორ მიზანს აღწევდნენ: ჯერ ერთი, ინგლისის საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდნენ ირლანდიის საკითხზე და შემდეგ. აიძულებდნენ ინგლისელებს ეზრუნათ ირლანდიაში რეფორმების განხორციელებისათვის.

1875 წელს ირლანდიის ფრაქციის შემადგენლობაში მოღვაწეობა დაიწყო დეპუტატმა ჩარლზ პარნელმა. მან დიდი როლი შეასრულა ირლანდიის ეროვნული მოძრაობის განვითარებაში. პარნელი წარმოშობით ინგლისელი იყო, ცხოვრობდა ირლანდიაში და პოლიტიკური კარიერის უზრუნველყოფის მიზნით დაუკავშირდა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. პარნელმა პარლამენტში არჩევისთანავე ენერგიული მუშაობა გაშალა. მან დეტალურად დაამუშავა „ობსტრუქციის“ ტაქტიკა და მისცა მას უაღრესად სრულყოფილი სახე. დროდადრო პარნელი ახერხებდა რამდენიმე კვირით ინგლისის პარლამენტის საქმიანობის შეწყვეტას. პარნელი მიზანდასახულობისა და უდიდესი ნებისყოფის წყალობით ირლანდიის ფრაქციის ფაქტიური ლიდერი გახდა. მან რკინისებური დისციპლინა დაამყარა და ამ გზით ყველა საჭირო მომენტში უზრუნველყო ირლანდიელი დეპუტატების უსიტყვო მხარ-

დაქერა. პარნელს შეგნებული ჰქონდა, რომ მხოლოდ პარლამენტარული მოღვაწეობით მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. ამიტომ მან სცადა გლეხური მასობრივი მოძრაობის სათავეში ჩადგომა. 1879 წელს პარნელი შევიდა მიწის ლიგაში. მისი ზეგავლენით ლიგამ მიიღო რენტის შემცირებისა და მიწის „სამართლიან ფასებში“ გამოსყიდვის პროგრამა. მიწა გამოსყიდვის შემდეგ უნდა გაენაწილებიათ უმიწო მოიჯარეებისათვის. მიწის ლიგამ სამი ლოზუნგი წამოაყენა: 1. „სამართლიანი რენტა“ (შეღავათიანი საიჯარო გადასახადი); 2. „ფიქსირებული იჯარა“ (მოიჯარისათვის იჯარის ვადის გაგრძელების უფლების მინიჭება); 3. „თავისუფალი გაყიდვა“ (მოიჯარისათვის სხვა პირზე ნაკვეთის გაყიდვის უფლების მიცემა). აღნიშნულ მოთხოვნათა მიზანი იყო წვრილი ირლანდიელი მოიჯარის ლენდლორდების თვითნებობისაგან დაცვა. ამრიგად, ირლანდიის გლეხურმა მოძრაობამ პირველად მიიღო ორგანიზებული ფორმა. მალე ლენდლორდების წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხობამ ე. წ. „ბოიკოტის“ ტაქტიკა წამოაყენა. აღნიშნული სახელწოდება დაკავშირებულია ირლანდიის ერთ-ერთი ჯიუტი ინგლისელი მოურავის, კაპიტან ბოიკოტის სახელთან, რომელმაც კატეგორიულად უარყო მიწის ლიგის მოთხოვნები და რამდენიმე მოიჯარის გადასახლება გადაწყვიტა. ლიგის ადგილობრივმა განყოფილებამ გლეხებს ბრძოლისაკენ მოუწოდა. ლიგის განკარგულებით კაპიტანი ბოიკოტი სრულ იზოლაციაში მოაქციეს: იგი მიატოვეს მუშებმა და შინამოსამსახურეებმა; ადგილობრივმა ვაჭრებმა შეუწყვიტეს მას პროდუქტების მიწოდება. ხალხი ბოიკოტს საერთოდ არ ცნობდა და შეგნებულად არ ესალმებოდა. კაპიტანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მამული. მისი შემცვლელი უფრო დამყოლი აღმოჩნდა და ლიგის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამრიგად, „ბოიკოტის“ ტაქტიკა ბრძოლის მეტად ეფექტური იარაღი აღმოჩნდა.

მიწის ლიგამ ირლანდიის გლეხურ წრეებში დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიხვეჭა. გლეხობის შეტაკებანი ლენდლორდებთან ყოველთვის მშვიდობიანად როდი მთავრდებოდა. ცალკეულ შემთხვევებში გლეხობა ბრძოლის უფრო გაბედულ მეთოდებს იყენებდა, მაგრამ ლიგის ხელმძღვანელობა გადაჭრით გმობდა ყოველგვარ „აგრარულ დანაშაულს“ და ცდილობდა გლეხთა მოძრაობა ლეგალური ფორმებით შემოესაზღვრა. ირლანდიის ბურჟუაზიას პარნელის ხელმძღვანელობით მტკიცედ ეპყრა გლეხური მოძრაობის სადავეები და მას საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა. ლიბერალური კაბინეტი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გლადსტონს შესანიშნავად ესმოდა, რომ ირლანდიის ეროვნული მოძრაობის მთავარ

ძალას გლეხობა წარმოადგენდა, ამიტომ იგი ცდილობდა ცალკეული დათმობების გზით გლეხური მოძრაობის შესუსტებას. 1869 წელს გლადსტონმა პარლამენტს მიაღებინა ირლანდიაში ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის კანონი. ანგლიკანური ეკლესია ირლანდიელი კათოლიკების ძარცვის მონოპოლიას კარგავდა.

1870 წელს გამოცემული კანონით მოიჯარეს, რომელიც საიჯარო ვადის გასვლის გამო მიწის ნაკვეთს კარგავდა, უფლება ჰქონდა მიეღო გასამრჯელო იმ „გაუმჯობესებისათვის" (დაბანდებისათვის), რომელიც მან ამ ნაკვეთზე განახორციელა. ბოლოს, 1885 წელს გლადსტონმა პარლამენტში გაატარა კანონი მემამულეებისაგან მიწის გამოსასყიდად 50 მლნ გირვ. სტერლინგის ასიგნაციის შესახებ. გამოსყიდული მიწა შემდეგ მცირე ნაკვეთებით გლეხობისათვის უნდა მიეყიდათ. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვერ შეასუსტა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. აშკარა იყო, რომ ირლანდიის მიწის ლიგის ხელმძღვანელობა ჰომრულს მოითხოვდა. ბრძოლის შემდგომი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, გლადსტონი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

1886 წლის აპრილში გლადსტონის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონი ირლანდიისათვის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში შეზღუდული თვითმმართველობის მინიჭების შესახებ. ეს საკითხები ირლანდიის აღდგენილ პარლამენტს უნდა გადაეწყვიტა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის ყველა და საშინაო პოლიტიკის რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს (ნაოსნობისა და ვაჭრობის მოწესრიგება, პოლიციისა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა და სხვ.) იგი ინგლისის კომპეტენციაში რჩებოდა.

გლადსტონის პროექტს პარლამენტში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. მას აკრიტიკებდნენ არა მარტო კონსერვატორები, არამედ ლიბერალური პარტიის გავლენიანი წევრებიც. განსაკუთრებით აქტიურობდა ლიბერალი ჟოზეფ ჩემბერლენი. მას გლადსტონის მთავრობაში ადგილობრივი მმართველობის დეპარტამენტის (სამინისტროს) უფროსის პოსტი ეკავა. ამასთან იგი ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი იყო. ჩემბერლენი დემაგოგიურად აცხადებდა, რომ ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭება და ირლანდიის განკერძოებული პარლამენტის შექმნა ბრიტანეთის იმპერიის დაშლას გამოიწვევსო. ჰომრულის საკითხმა ლიბერალური კაბინეტის შემადგენლობაში განხეთქილება გამოიწვია. რამდენიმე მინისტრი, მათ შორის ჟოზეფ ჩემბერლენი და ჩარლზ ტრეველიანი

(შოტლანდიის საქმეთა მინისტრი) ჰომრულის შესახებ ბილის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადადგნენ. გარდა ამისა, ლიბერალების ერთი დიდი ჯგუფი შეუერთდა კონსერვატორულ ოპოზიციას და ჩაშალა პარლამენტში ბილის მიღება. ამ გარემოებამ, თითქმის შეუძლებელი გახადა მომავალში ირლანდიის ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარება. 1886 წლის ივნისში იმ ლიბერალებმა, რომლებმაც გლადსტონის წინააღმდეგ მისცეს ხმა, საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი ლიბერალურ პარტიასთან, შექმნეს ლიბერალ-იუნიონისტთა ჯგუფი და მოითხოვეს ირლანდიასთან უნიის შენარჩუნება. ამ ფრაქციის აღმოცენებამ, რომლის შემადგენლობაში 95 დეპუტატი ითვლებოდა, მთლიანად შეცვალა პარტიულ ძალთა თანაფარდობა თემთა პალატაში.

ლიბერალებმა დაკარგეს უმრავლესობის მხარდაჭერა. გლადსტონი დარწმუნდა, რომ ჰომრულის შესახებ ბილის გატარება შეუძლებელი იყო და გადადგა. განხეთქილება ლიბერალურ პარტიაში ინგლისის გაბატონებულ კლასებს შიგნით მიმდინარე ღრმა წინააღმდეგობრივი პროცესების გამოხატულებას წარმოადგენდა. მიუხედავად უდიდესი თავისთავადი მნიშვნელობისა, ჰომრულის საკითხი, ლიბერალების დასუსტებისა და განხეთქილების საბაბი უფრო იყო, ვიდრე მიზეზი.

სოლსბერის კონსერვატიული კაბინეტი (1886-92)

ახალი კაბინეტი მსხვილმა მემამულემ და აშკარა რეაქციონერმა მარკიზმა სოლსბერიმ შეადგინა. ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე სოლსბერიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ირლანდიის საკითხის გადასაჭრელად საჭიროა „ოცწლიანი შეუპოვარი მმართველობა", ე. ი. მკაცრი რეპრესიების მეთოდი. 1887 წელს გამოცემულმა დრაკონისებურმა ბილმა დანაშაულებათა შესახებ შეაჩერა ირლანდიაში პიროვნების ხელშეუხებლობის კანონების მოქმედება და მთავრობას საგანგებო რწმუნებები მიანიჭა. მაგრამ აგრარული მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართულმა მასობრივმა რეპრესიებმა და სასამართლო პროცესებმა კი არ შეამცირა, არამედ, პირიქით, გაზარდა ე. წ. „აგრარულ დანაშაულობათა" და ტერორისტული აქტების რაოდენობა. ამ გარემოების გამო, კონსერვატორები იძულებული გახდნენ 1887 წელს პარლამენტში მიეღოთ საიჯარო დავალიანების შემცირების კანონი. 1891 წელს პარლამენტმა გამოსცა მიწის შესყიდვის კანონი. მთავრობამ გამოჰყო კრედიტი 30 მლნ გირვანქა სტერლინგის ოდენობით ირლანდიაში მიწების გამოს-

ავგუსტ ბებელი

ვილჰელმ ლიბკნეხტი

დედოფალი ვიქტორია

ბენჯამენ დიზრაელი
(ლორდი ბიკონსფილდი)

ყიდვისა და შემდეგ უმიწო ან მცირემიწიანი გლეხებისათვის პატარა ნაკვეთებად შესყიდვისათვის. ეს ღონისძიება. ისევე როგორც გლადსტონის ანალოგიური ღონისძიებანი. მიწის პრობლემას ირლანდიაში შეძლებული გლეხობის ინტერესების შესაბამისად წყვეტდა.

კონსერვატორების მიერ განხორციელებულ საკანონმდებლო ღონისძიებებს შორის ცალსახა ადგილი უკავია 1888 წლის ადგილობრივი მმართველობის რეფორმას. ამ კანონის ძალით საგრაფოებში შექმნა საგრაფოების არჩევითი საბჭოები: საბჭოების არჩევნებში დაუშვეს ყველა პირი. რომელსაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა. აგრეთვე 30 წლის ასაკს გადაცილებული ქალები. საბჭოების რწმუნებაში შედიოდა გადასახადების აკრეფა, ადგილობრივი საჭიროებისათვის. სკოლებისათვის, ჰოსპიტლებისათვის სახსრების გამოყოფა. ღარიბების დახმარება და სხვ. იმავე. 1888 წელს. განხორციელდა ლონდონის მმართველობის რეფორმა: ქალაქი 59 ოლქად დაიყო. ყოველი ოლქის ორი დეპუტატი შედიოდა დედაქალაქის ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოში — დედაქალაქის საბჭოში. ამ დეპუტატებს მიუმატეს სხვადასხვა პრივილეგირებული კორპორაციების მიერ არჩეული 19 მრჩეველი. ამრიგად. დედაქალაქის საბჭოს წევრთა შემადგენლობაში 137 მოქალაქე შევიდა. დედაქალაქის საბჭო განაგებდა ქალაქის მმართველობისა და ქალაქის მეურნეობის ყველა საკითხს. მისი რწმუნების მიღმა რჩებოდა სიტის მმართველობა. პოლიცია და ქალაქის გაზითა და წყლით მომარაგებაზე კონტროლი.

1891 წელს კონსერვატორებმა მიიღეს კანონი ბავშვების უფასო უიწყებითი განათლების შესახებ: იგი ნაკარნახევი იყო მრეწველობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მოტივით.

* *

იმის გამო. რომ ამ ეტაპზე მთავრდებოდა მსოფლიოს განაწილებისათვის ბრძოლა. სოლსბერი მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგარეო პოლიტიკის საკითხებს. XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ინგლისმა უდიდესი კოლონიური ტერიტორიები მოიპოვა. 1880 წლისათვის ბრიტანეთის იმპერიის ფართობი შეადგენდა 20 მლნ კვ კმ-ს. მოსახლეობა 200 მლნ-ს. 1900 წელს კი იმპერიის ფართობმა 33 მლნ კვ კმ-ს მიაღწია. მოსახლეობამ — 370 მლნ-ს. 1885 წელს ინგლისელებმა დაიპყრეს ბირმა. 1887 წელს მალაკის ნახევარკუნძული. ადრე. 1876 წელს ინგ-

ლისელებმა მიიტაცეს სოკოტრის, ხოლო 1877 წელს ბორნეოს კუნძულები. ამრიგად, ინგლისმა დაასრულა საზღვაო დასაყრდენი პუნქტების შექმნა ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ გზაზე.

ინგლისი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წყნარი ოკეანის კუნძულების განაწილებაშიც. 1874 წელს ინგლისელებმა დაიპყრეს ფიჯის კუნძულები, 1877 წელს კუნძულები — გილბერტი, ელისი, ფენიქსი, 1884 წელს — ახალი გვინეის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, 1887 წელს — ფრანგებთან ერთად გაიყვეს ახალი ჰებრიდები, 1888 წელს შემოიერთეს კუკისა და შობის კუნძულები, 1839 წელს დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს სამოას კუნძულების ნაწილი, ხოლო 1893 წელს — სოლომონის კუნძულები. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში საკუთარი პრეტენზიებით გამოდის წყნარი ოკეანის ინგლისის სამფლობელოთა ბურეუაზია. მაგალითად, ახალი გვინეის დაპყრობის ინიციატივა ავსტრალიას ეკუთვნოდა.

XIX საუკუნის დასასრულს კოლონიებისათვის ბრძოლის მთავარი ასპარეზი გახდა აფრიკა. მას შემდეგ, რაც ინგლისმა დაიპყრო ეგვიპტე (1882) და სომალი (1884), მთელი ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკა, აბისინიის გამოკლებით, დიდ სახელმწიფოთა შორის იყო განაწილებული. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში: ინგლისის მთავარ მოწინააღმდეგეებად აქ საფრანგეთი და გერმანია გამოდიოდნენ.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბრძოლა, ძირითადად, მიმდინარეობდა ნილოსის სათავეებისა და ტროპიკული დასავლეთი აფრიკისათვის. რათა არ დაეშვათ ფრანგების მიერ მდინარე კონგოს უზარმაზარი აუზის დაკავება, ინგლისელები დაეხმარნენ პორტუგალიასა და ბელგიას. 1884 წლის ინგლის-პორტუგალიის კონვენციით ინგლისმა ცნო პორტუგალიის პრეტენზიები აფრიკის სანაპიროს დიდ ნაწილზე გვინეის უბის სამხრეთით. შემდეგ კი ბელგიის მეფეს ლეოპოლდს კონგოს აუზის უზარმაზარი ტერიტორიის დაკავების ნება დართო. ლეოპოლდის დაპყრობანი ცნო ბერლინის კონფერენციამ (1884-85).

აფრიკის ტერიტორიებისათვის ბრძოლამ გამოიწვია ინგლისის გერმანიასთან დაპირისპირება. პირველი შეტაკება მათ შორის მოხდა 1885 წელს გერმანელების მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის დაპყრობასთან დაკავშირებით. ბისმარკმა არ ცნო ინგლისელთა უფლებები. მან სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ანექსია გამოაცხადა. ამან ინგლისის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: ამ ორ სახელმწიფოს

შორის ურთიერთობის შემდგომი გაუარესება გამოიწვია გერმანელების მიერ ტოგოსა და კამერუნის დაკავებამ. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ინგლის-გერმანიის ბრძოლამ აღმოსავლეთ აფრიკაში.

აფრიკის დაპყრობის გაადვილების მიზნით, ინგლისის ბურჟუაზიამ შექმნა სპეციალური პრივილეგირებული კომპანიები — ბრიტანეთის აღმოსავლეთ-აფრიკული კომპანია (1888), სამხრეთ-აფრიკის ბრიტანეთის კომპანია (1889) და სხვ. აღნიშნული კომპანიები მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდნენ, მთავრობის სრული მხარდაჭერით სარგებლობდნენ და არ ექვემდებარებოდნენ პარლამენტის კონტროლს. ეს გარემოება ინგლისის მთავრობას საშუალებას აძლევდა უარი ეთქვა ამ კომპანიების მოღვაწეობის პასუხისმგებლობაზე და ამით თავი დაეღწია დიპლომატიური გართულებებისაგან. პრივილეგირებული კომპანიები ინგლისის კოლონიური ექსპანსიის მძლავრ იარაღად გადაიქცნენ.

მიილტვოდა რა აღმოსავლეთ აფრიკაში თავისი სამფლობელოების გაერთიანებისაკენ, სოლსბერის მთავრობამ 1890 წელს შეთანხმება დადო გერმანიასთან: ინგლისმა მიიღო ზანზიბარი და კუნძული პემბა, გერმანიას ჩრდილოეთის ზღვაში გადაეცა პატარა კუნძული ჰელგოლანდი, რომელიც ინგლისელებმა თავის დროზე დანიას გამოსტაცეს.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის დაპყრობებს სამხრეთ აფრიკაში. ბურების დამორჩილების წარუმატებელი ცდის შემდეგ, ინგლისელები მათი გარშემორტყმისა და გარე სამყაროსაგან იზოლაციის პოლიტიკას დაადგნენ. 1885 წელს, გერმანელების მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ანექსიის პასუხად, ინგლისელებმა დაიკავეს ბეჩუანალენდი. რომელიც ბურების რესპუბლიკებსა და გერმანიის სამფლობელოებს შორის მდებარეობდა და, ამრიგად, ბურებს გზა მოუჭრეს დასავლეთიდან.

სამხრეთ აფრიკაში ინგლისის ტერიტორიულ ექსპანსიაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა სამხრეთ აფრიკის პრივილეგირებულმა კომპანიამ. აღნიშნულ კომპანიას ხელმძღვანელობდა მილიონერი სესილ როდსი. მას სურდა აფრიკაში შეექმნა ინგლისური სამფლობელოების ერთიანი ზოლი კაიროდან კეიპტაუნამდე. 1889 წელს როდსის კომპანიამ მატაბელეს ტომით დასახლებული უზარმაზარი ტერიტორია დაიკავა, რომელსაც შემდეგ როდსის პატივსაცემად როდეზია დაერქვა. იმავე წელს ინგლისის სამფლობელოებს შემოუერთდა ნიასა. ამით ბურების რესპუბლიკების გარშემორტყმა დასრულდა.

ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობის ზრდის მიუხედავად, ინგლისის მთავრობა კოლონიებისათვის ბრძოლაში თავის მთავარ მეტოქედ კვლავ საფრანგეთს თვლიდა. 1887 წელს ორი შეთანხმებით ინგლისმა იკისრა სამთა კავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად დაეცვა სტატუს-კვო ხმელთაშუა ზღვაში. ამ კოალიციის შესაძლებელ მოწინააღმდეგეებად საფრანგეთი და რუსეთი ითვლებოდნენ. კოლონიებისათვის ბრძოლის საფუძველზე აღმოცენებულმა საერთაშორისო წინააღმდეგობათა გამწვავებამ აიძულა ინგლისის მთავრობა 1889 წელს პარლამენტში გაეტარებინა კანონი ფლოტის შესახებ, რომლის ძალითაც ინგლისს უნდა შეენარჩუნებია თავისი უპირატესობა ზღვაზე „ორ დიდ საზღვაო სახელმწიფოსთან" ურთიერთობაში (იგულისხმებოდა საფრანგეთი და რუსეთი). 1884 წლის კანონმა ბიძგი მისცა გამალებულ საზღვაო შეიარაღებას და ხელი შეუწყო საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომ გამწვავებას.

ლიბერალები ხელისუფლების სათავეში (1892-95)

1892 წლის ივნისში კონსერვატორებმა პარლამენტის არჩევნები დანიშნეს. ლიბერალური პარტია კვლავ გამოვიდა კონსერვატორთა აგრესიული საგარეო და კოლონიური პოლიტიკის კრიტიკით და მთავრობას ბრალი დადო ინგლისის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებაში. ლიბერალებმა პოლიტიკური რეფორმების პროგრამა წამოაყენეს, რომლის ძირითადი პრინციპები გლადსტონმა ჯერ კიდევ 1891 წელს ნიუ-კასლში გამოსვლისას ჩამოაყალიბა. პროგრამა მოითხოვდა მიწის რეფორმას (მსხვილი სამფლობელოების მცირე ნაკვეთებად გაყიდვას), გარდაქმნებს სასამართლოსა და სახალხო განათლების დარგში. როცა არჩევნების დრო მოახლოვდა, ლიბერალურ პარტიას დაუბრუნდა 1886 წელს გამიჯნულ ლიბერალთა ერთი ნაწილი. მაგრამ ლიბერალ-იუნიონისტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩემბერლენის მეთაურობით უარი თქვა დაბრუნებაზე. მალე ეს უკანასკნელნი კონსერვატორებს შეერწყნენ.

არჩევნებში კონსერვატორთა დამარცხების მიუხედავად ლიბერალებმა ვერ შეძლეს უმრავლესობის მოპოვება: ორივე პარტია პარლამენტში თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი. შექმნილ ვითარებაში ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ირლანდიის ფრაქციის პოზიციას. ამ გარემოებამ გაზარდა ირლანდიელთა როლი პარლამენტში და აიძულა გლადსტონი, რომელმაც 1892 წლის ივლისში, ახალი, მეოთხე კაბინეტი შექმნა, ირლანდიელების მიმართ დათმო-

ბაზე წასულიყო. მაგრამ გლადსტონის მიერ შეტანილი ბილი ჰომ-
რულის შესახებ ლორდთა პალატამ უარყო.

გლადსტონის ლიბერალური კაბინეტის მოღვაწეობას ქვეყნის
საშინაო ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია. თემ-
თა პალატაში მოწონებულ ყველა ბილს ლორდთა პალატა უარ-
ყოფდა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ჰომრულის შესახებ მეორე
ბილს, რომელიც თემთა პალატამ 83-დღიანი ცხარე კამათის შემდეგ
1893 წლის 1 სექტემბერს მიიღო, ლორდთა პალატამ კი ერთი კვი-
რის შემდეგ განხილვის გარეშე უარყო იგი. ამ დროის ინგლისის
პრესა სამართლიანად აკრიტიკებდა ლიბერალების საკანონმდებლო
მოღვაწეობას. ნათლად ეგრძნობოდა, რომ იწყებოდა ლიბერალიზ-
მის ღრმა კრიზისი. ამ ნიადაგზე, პარტიის შიგნით აღმოცენდა ოპო-
ზიცია თვით პარტიის ლიდერის გლადსტონის წინააღმდეგ. ოპოზი-
ციონერები გლადსტონის პოლიტიკას მოძველებულად თვლიდნენ.
უკმაყოფილოთა დაჯგუფებას მეთაურობდა საგარეო საქმეთა მი-
ნისტრი ლორდი როზბერი (მსხვილი მიწათმფლობელი-არისტოკრა-
ტი, უდიდესი ბანკირის როტშილდის სიძე).

მალე კაბინეტის შიგნით შეთქმულება დაიწყო. 1894 წლის
მარტში კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე იხილებოდა საკითხი ფლო-
ტისათვის დამატებითი სახსრების (4 მლნ გირვ. სტ) გამოყოფის შე-
სახებ. კენჭისყრის დროს. სრულიად მოულოდნელად გლადსტონი
იზოლაციაში აღმოჩნდა. კაბინეტის ყველა წევრმა. მეთაურის გამოკ-
ლებით, მხარი დაუჭირა ასიგნაციის გაზრდას. გლადსტონი გადად-
გა. მაგრამ კაბინეტის დანარჩენი წევრები მას არ გაჰყოლიან. ახალ
კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ლორდი როზბერი. როზბერის კაბინეტ-
მა პარლამენტში საჭირო უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ამიტომ, ცხა-
დია, მისი ხელისუფლება ხანგრძლივი არ შეიძლებოდა ყოფილ-
ყო. 1895 წლის ივნისში პარლამენტში მეორეხარისხოვანი საკითხის
განხილვისას ლიბერალური კაბინეტი უმცირესობაში აღმოჩნდა და
როზბერი გადადგა. აღსანიშნავია, რომ როზბერის კაბინეტმა მაინც
მოასწრო აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიებზე ინგლისის პრო-
ტექტორატის გამოცხადება.

საფრანგეთი 1871-98 წლებში

საფრანგეთის ეკონომიური განვითარება

XIX საუკუნის 70-იანი წლების პირველი ნახევრის სამხედრო, პოლიტიკურმა, სამეურნეო და ფინანსურმა ქარტეხილმა ძლიერი კვალი დაამჩნია საფრანგეთის ეკონომიურ განვითარებას გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

საფრანგეთ-პრუსიის ომი საფრანგეთს იმ დროისათვის კოლოსალურ თანხად — 15 მილიარდ ოქროს ფრანკზე მეტად დაუჯდა, გარდა ამისა, მას მოუხდა უმოკლეს ვადაში გერმანელებისათვის კონტრიბუციის სახით 5 მილიარდი ოქროს ფრანკის გადახდა; გერმანელთა მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში მდინარე სენის აუზისა და მომიჯნავე ტერიტორიის ოკუპაციამ დაარღვია ტრადიციული კავშირები საფრანგეთის რაიონებს შორის და დიდი ზარალი მიაყენა საფრანგეთის ეკონომიკას; საფრანგეთი იძულებული გახდა გერმანიისათვის გადაეცა ელზასი და ლორენი, რაც ნიშნავდა უმდიდრესი რკინის მადნის საბადოების, 674 ათასი ჰექტარი სახნავი მიწის, 32 ათასი ჰექტარი ვენახისა და 443 ათასი ჰექტარი ტყის დაკარგვას; დიდად დაზარალდა პარიზის ეკონომიკაც 1870 წლის 19 სექტემბრიდან დაწყებულ გერმანელთა ბლოკადისა და განსაკუთრებით ვერსალელთა მიერ პარიზის კომუნის ჩახშობის დროს; ამიტომაც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით 70-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში თითქმის არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან სამეურნეო აღმავლობას, ხოლო 1873 წლის ეკონომიური კრიზისი არაჩვეულებრივი ძალით დაატყდა თავს დასუსტებულ საფრანგეთის მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, XIX საუკუნის უკანასკნელ ოცდაათწლეულის მანძილზე საფრანგეთის ეკონომიური განვითარების ტემპი შეანელა რამდენიმე მიზეზმა.

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში საფრანგეთის ბურჟუაზია გადაიქცა მსოფლიო მევახშედ. 70-იანი წლებიდან დაიწყო ფრანგული კაპიტალის გატანა ესპანეთში, 80-იანი წლებიდან — რუსეთში,

90-იანი წლებიდან — თურქეთში, ავსტრია-უნგრეთში, სამხრეთ ამერიკაში და, ნაწილობრივ, საფრანგეთის კოლონიებში. საფრანგეთის ბურჟუაზია ზემოგებათა მისაღებად ამჯობინებდა თავისი კაპიტალი დაებანდებინა არა სახელმწიფოს შიგნით, არამედ საზღვარგარეთ. ამავე დროს საფრანგეთის მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა განიცდიდა უდიდეს ფინანსურ სიძნელეებს, რის გამოც ფრანგული საქონლის კონკურენციისუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე მცირდებოდა და საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მანძილზე თითქმის ერთ და იმავე დონეზე იმყოფებოდა.

ამავე პერიოდში საშინაო ბაზარიც შეზღუდული რჩებოდა, რადგან საფრანგეთის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი სოფლის მოსახლეობაზე (ძირითადად წვრილმესაკუთრე გლეხობაზე) მოდიოდა. მცირე მიწის ნაკვეთის („ცხვირსახოცის") მფლობელი გლეხი, რომელსაც ახრჩობდა იპოთეკური დავალიანება, ცდილობდა თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი მეურნეობით დაეკმაყოფილებინა და მინიმუმამდე დაეყვანა ყოველივე ის, რაც ფულით უნდა შეეძინა. უსახსროობის გამო გლეხობა ვერ ახერხებდა თავის მეურნეობებში სრულყოფილი ტექნიკის გამოყენებას და აგროტექნიკის მიღწევების დანერგვას, მევენახეობის რაიონებში კი ფილოქსერისა და ვაზის სხვა დაავადებათა და მავნებელთა გავრცელების გამანადგურებელი შედეგების სწრაფ ლიკვიდაციას. ფრანგი გლეხი ვერ უწევდა კონკურენციას იაფფასიან ჩრდილოამერიკულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და თუ კიდევ ინარჩუნებდა საკუთარ მეურნეობას, მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავისა და ოჯახის წევრთა არაჩვეულებრივი ექსპლუატაციის გზით.

რადგან ფრანგ გლეხს აშინებდა ისედაც მცირე ნაკვეთის შემდგომი დანაწევრების შესაძლებლობა, იგი თავს არიდებდა მრავალშვილიანობას და კმაყოფილდებოდა ერთი-ორი ბავშვით, რაც იწვევდა, ქალაქისათვის დამახასიათებელ დაბალი შობადობის პირობებში, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის შენელებას; 1870 წლიდან 1900 წლამდე (ელზასისა და ლორენის გამოკლებით) საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა მხოლოდ 2,1 მილიონით — 36,8 მილიონიდან 38,9 მილიონამდე. პირველი მსოფლიო ომის წინაც კი საფრანგეთის მოსახლეობამ ვერ მიაღწია 40 მილიონ მცხოვრებს. საფრანგეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დაბალი ტემპი კი დამატებით სიძნელეებს უქმნიდა წარმოების განვითარებას. დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალით მრეწველობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საფრანგეთს მნიშვნელოვანი რაოდენობით

შემოჰყავდა ესპანეთიდან, იტალიიდან, ალჟირიდან და პოლონეთი-დან იაფფასიანი მუშახელი.

საფრანგეთის მრეწველობის ძირითად დარგებს და. პირველ რიგში, შავ მეტალურგიასა და ენერგეტიკას არ ჰყოფნიდა საკუთარი ნედლეული. ლორენის დაკარგვის გამო 1869 წლიდან 1896 წლამდე საფრანგეთში რკინის მადნის წარმოება შემცირდა 0.9 ათასი ტონიდან 0,8 ათას ტონამდე; ამავე პერიოდში ქვანახშირის მოპოვება თუმცა გაორკეცდა და მიაღწია 30 მილიონ ტონას, მაგრამ იგი ვერ ფარავდა საშინაო ბაზრის მოთხოვნილებებს და საფრანგეთს, მაგალითად, 1896 წელს მოუხდა საზღვარგარეთიდან 8 მილიონი ტონა ქვანახშირის შემოზიდვა.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი სიძნელეებისა, საფრანგეთის მრეწველობა განაგრძობდა განვითარებას, მაგრამ უფრო დაბალი ტემპით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, აშშ-სა და გერმანიაში.

საფრანგეთი აშშ-სა და გერმანიას ჩამორჩებოდა წარმოების კონცენტრაციის საქმეშიც. საფრანგეთში მსხვილ წარმოებებთან ერთად დიდი ადგილი ეკავათ საშუალო და წვრილ წარმოებებსაც. მაგალითად, 1896 წელს წვრილ საწარმოებზე, რომლებშიც ერთიდან ათ კაცამდე შრომობდა, მოდიოდა საფრანგეთის 3.3 მილიონანი მუშათა კლასის 40%-ზე მეტი; საშუალო 10—100 კაციან საწარმოებზე — 26% და მსხვილ, ასზე მეტ კაციან საწარმოებზე — 34%-მდე.

წვრილი და საშუალო საწარმოები სჭარბობდა მსუბუქ მრეწველობაში, განსაკუთრებით საფრანგეთისათვის ტრადიციული ფუფუნების საგნების წარმოებაში, მსხვილი წარმოებები კი თავმოყრილი იყო მძიმე მრეწველობაში. XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ფართოვდებოდა შნედერ-კრეზოს სამხედრო წარმოება. 1872 წელს წარმოშობილმა „სენ-გობენის“ კომპანიამ გააერთიანა 30-ზე მეტი ქიმიური ქარხანა. 1884 წლის კანონის შესაბამისად. გარდაიქმნა 1864 წელს დაარსებული „კომიტე დე ფორეი“, რომელიც თანდათან გადაიქცა საფრანგეთის მეტალურგიული მრეწველობის მაგნატების უმძლავრეს მონოპოლიად. კონცენტრაციის ყველაზე უფრო მაღალ დონეს საფრანგეთში საბანკო კაპიტალმა მიაღწია: პარიზის სამმა უდიდესმა ბანკმა თავის ხელში მოუყარა თავი საფრანგეთის ყველა საბანკო ანაბრების 70%-ს.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მიუხედავად საფრანგეთის მრეწველობის მიერ მიღწეული წარმატებებისა, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ეს ძველი კაპიტალისტური ქვეყა-

ნა. მსგავსად ინგლისისა, მეურნეობის ზრდის ტემპების მხრივ დიდად ჩამორჩებოდა ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს. პირველ რიგში აშშ-სა და გერმანიას. XIX საუკუნის 60-იან წლებში საძრეწველო პროდუქციის გამოშვებით საფრანგეთს სჯარბობდა მხოლოდ ინგლისი, 80—90-იან წლებში კი მას გაუსწრეს აშშ-მა და გერმანიამ.

მესამე რესპუბლიკის გამოცხადება (1871-75)

1870-71 წლებში პრუსიასთან ომში დამარცხებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა საფრანგეთი არა მარტო ეკონომიური, არამედ სამხედრო და საერთაშორისო თვალსაზრისითაც, ხოლო 1871 წლის პარიზის კომუნის დაცემამ განაპირობა უკიდურესი რეაქციის გაბატონება ქვეყნის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნულმა კრებამ, რომლის უფლებამოსილება ამოიწურებოდა მხოლოდ გერმანიასთან ზავის დადებით, მიითვისა დამფუძნებელი კრების ფუნქციები და თანაც შეეცადა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა თავისი საქმიანობა, რათა ამ გზით შეექმნა ხელსაყრელი პირობები კონსერვატიული რეჟიმის დასამყარებლად.

დაწყებული 1789 წლის 14 ივლისის რევოლუციიდან, რომელმაც დაამხო ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილება, საფრანგეთმა სახელმწიფო მმართველობის შემდეგი ფორმები გაიარა:

კონსტიტუციური მონარქია (ლუი XVI) (1789-92 წწ.)

პირველი რესპუბლიკა (1792-1804 წწ.)

იმპერია (ნაპოლეონ I) (1804-14 წწ.)

ბურბონთა პირველი რესტავრაცია (ლუი XVIII) (1814-15 წწ.)

„ასი დღე“ (ნაპოლეონ პირველის იმპერიის აღდგენა) (1815 წ.)

ბურბონთა მეორე რესტავრაცია (ლუი XVIII, შარლ X) (1815-30 წწ.).

ივლისის მონარქია (ლუი-ფილიპე ორლეანელი) (1830-48 წწ.)

მეორე რესპუბლიკა (1848-52 წწ.)

მეორე იმპერია (ნაპოლეონ III) (1852-72 წწ.)

მესამე რესპუბლიკა (1870 წლიდან)

ამგვარად, მეორე იმპერიის დამხობის შემდეგ, 1870 წლის 4 სექტემბრიდან საფრანგეთში ფაქტიურად დამყარდა მესამე რესპუბლიკა. სწორედ ამ გარემოებას არ სურდა შეგუებოდა საფრანგეთის პროვინციაში კლერიკალურ-როიალისტური ელემენტების შეუზღუდავი დემაგოგიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ დეპარტამენტთა გერმანული ოკუპაციის პირობებში ნაჩქარევად არჩეული რეაქციული

ეროვნული კრება. ეროვნული კრების უმრავლესობას მონარქისტები შეადგენდნენ. მაგრამ მათ ერთობლივ მოქმედებას აძნელებდა როიალისტთა ბანაკში სამი დაჯგუფების — ლეგიტიმისტების (ბურბონთა დინასტიის მომხრეების), ორლეანისტებისა და ბონაპარტისტების — ურთიერთქიშპი. რაც მთავარია, ძირითადი და გადაულახავი დაბრკოლება საფრანგეთში მონარქიის აღდგენის გზაზე ის იყო, რომ გარდა როიალისტური მიმართულების პროფესიონალ-პოლიტიკოსთა და მათი მომხრეების მცირე ჯგუფებისა, საფრანგეთის ყველა ძირითადი კლასი — მუშები, გლეხები, სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზია — რესპუბლიკურად იყო განწყობილი. ამიტომაც, ისეთი ძველი ორლეანისტიც კი, როგორიც იყო პარიზის კომუნის ჯალათი ადოლფ ტიერი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ საფრანგეთში მონარქიის დამყარება „პრაქტიკულად სავსებით შეუძლებელიაო“.

რადგან დაუყოვნებლივ ვერ ხერხდებოდა მონარქიული წყობილების აღდგენა, ეროვნულმა კრებამ რეაქციული რეჟიმის განსაკუთრებულად 1871 წლის 31 აგვისტოს დროებით დააწესა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი და ამ თანამდებობაზე აირჩია ადოლფ ტიერი.

ტიერმა რესპუბლიკელების მიერ შემოთავაზებულ საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, შემოიღო არაპირდაპირი გადასახადები, რითაც გერმანიის კონტრიბუციისათვის საჭირო თანხების შეგროვების მიზნით მთავრობის მიერ 1871 და 1872 წლებში გამოშვებულ საშინაო სესხის დაფარვის მთელი სიმძიმე მშრომელ მასებს დააკისრა. მიღებული ფულით საფრანგეთის მთავრობამ ვადაზე ადრე გადაუხადა გერმანიას კონტრიბუცია და 1873 წლის 16 სექტემბერს გერმანიის არმიის უკანასკნელმა ქვეგანაყოფებმა დატოვეს საფრანგეთის ტერიტორია.

ტიერმა სამხედრო რეფორმა დაიწყო პარიზის კომუნის შემდეგ. რეაქციონერთა თვალში ნდობადაკარგული ეროვნული გვარდიის ლიკვიდაციით. 1872 წელს მიღებულ იქნა კანონი საკალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ. ეს კანონი საყოველთაო ხასიათს არ ატარებდა, რადგან არ ვრცელდებოდა ახალგაზრდობის ზოგიერთ კატეგორიაზე, ან გულისხმობდა მნიშვნელოვან შეღავათებს, უმთავრესად მატერიალურად შეძლებულ ოჯახებიდან გამოსული პირებისათვის. კენჭის ყრით წვევამდელთა ერთი ნაწილი სამხედრო სამსახურს იხდიდა ექვს თვეში, მეორე ნაწილი კი — ხუთ წელიწადში.

ტიერმა შეზღუდა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და განაცხადა, რომ „რესპუბლიკა იქნება კონსერვატიული ან საერთოდ არ

ქნებაო". მაგრამ ასეთი პოლიტიკური გეზიც კი არ აკმაყოფილებდა მათ, ვისაც ის ეყრდნობოდა — იმდროინდელი საფრანგეთის პოლიტიკურ ზედაფენას — „რესპუბლიკის რესპუბლიკელების გარეშე". თუკი როიალისტურად განწყობილმა ეროვნული კრების უმრავლესობამ აირჩია ტიერი საფრანგეთის პრეზიდენტად, ეს გაკეთა მხოლოდ იმისთვის, რომ მას გზა გაეკაფა მონარქიისათვის. ეროვნული კრების აზრით კი მან რეაქციული რეჟიმი ვერ უზრუნველყო „მორალური წესრიგით" („Ordre moral"). 1873 წლის 24 მაისს ტიერი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ტიერის ნაცვლად ეროვნულმა კრებამ პრეზიდენტად აირჩია სედანში 1870 წლის 30 აგვისტოს საფრანგეთის არმიის განადგურების ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე, უნიჭო მარშალი მაკ-მაონი, რომელმაც რეაქციონერთა დიდი ნდობა და აღტაცება დაიმსახურა დაუნდობელი ბრძოლით 1871 წლის პარიზის კომუნის წინააღმდეგ. ბეცი და უხეში პოლიტიკოსი მაკ-მაონი არ ფარავდა თავის ანტირესპუბლიკურ განწყობილებას და დაუყოვნებლივ შეუდგა „მორალური წესრიგის" დანერგვას, რაც, მისი აზრით, მდგომარეობდა კათოლიკური ეკლესიის უკიდურეს გაძლიერებაში და მონარქისტული იდეების მაქსიმალურ გავრცელებაში, სახელმწიფო აპარატის წმენდაში რესპუბლიკელებისაგან და მათ ნაცვლად როიალისტების დაწინაურებაში, მარშალ ბაზენის მსგავს სამშობლოს აშკარა მოღალატეების მიმართ სამხედრო სასამართლოების მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენების გაუქმებაში. თუკი ეს უკანასკნელნი ეკუთვნოდნენ კონსერვატიულ ფრანგულ მხედრიონს. მაკ-მაონის პრეზიდენტობის წლებში ხელისუფლების სათავეში ფაქტიურად იდგნენ მონარქისტულ-კლერიკალური წრეები ჰერცოგ ჟაკ-ვიკტორ-ალბერ დე ბროლის ხელმძღვანელობით.

როიალისტებმა გადაწყვიტეს, რომ დადგა ხელსაყრელი სიტუაცია მონარქიის აღსადგენად. მონარქისტთა ორმა ურთიერთმოქიშპე დაჯგუფებამ — ლეგიტიმისტებმა და ორლეანისტებმა მიაღწიეს შეთანხმებას. ლეგიტიმისტების კანდიდატი — შარლ X შვილიშვილი, უშვილო გრაფი შამბორი უნდა გამეფებულიყო საფრანგეთში ანრი V-ის სახელით, ხოლო ორლეანისტების კანდიდატი, ლუი-ფილიპეს შვილიშვილი, პარიზის გრაფი უნდა გამოცხადებულიყო ტახტის მემკვიდრედ. 1873 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის პარიზში როიალისტებმა დაამთავრეს სამზადისი მეფის საზეიმო შემოსვლისათვის. მაგრამ მონარქისტული გადატრიალების ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ამ წამოწყების ჩაშლის ჭეშმარიტი მიზეზი მდგომარეობდა საფ-

რანგეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის რესპუბლიკისადმი ერთგულებაში. რაც შეუძლებელს ხდიდა როიალისტურ ავანტიურას, ხოლო საბაბად გადაიქცა დროშის საკითხი. მონარქისტული გადატრიალების მონაწილეებმა უარყვეს გრაფ შამბორის 1873 წლის 27 ოქტომბრის კატეგორიული მოთხოვნა სამფეროვანი დროშის ნაცვლად საფრანგეთის სახელმწიფო დროშად გამოცხადებულიყო ბურბონთა საგვარეულო თეთრი დროშა. შეთქმულებმა მიიმიზეზეს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო მოსახლეობა და არმია ვერ შეელეოდა რესპუბლიკის, იმპერიისა და ოვლისის მონარქიის დროს შეჩვეულ სამფეროვან დროშას და მონარქიის აღდგენის საკითხიც გაურკვეველი დროით გადაიდო.

როიალისტები მაინც არ თვლიდნენ თავიანთ საქმეს საბოლოოდ წაგებულად და უკეთესი შემთხვევის მოლოდინში, მოპოვებული პოზიციების შესანარჩუნებლად, 1873 წლის ნოემბერში ეროვნულ კრებას გამოატანინეს დადგენილება მაკ-მაონის საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა შვიდი წლით განსაზღვრის შესახებ. სენატი საშუალებას აძლევდა მონარქისტებს შვიდი წლის განმავლობაში საფრანგეთის პრეზიდენტად ჰყოლოდათ სანდო პირი, რომელიც მათ ყოველმხრივ დახმარებასა და მფარველობას გაუწევდა.

რადგან საფრანგეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მონარქიის წინააღმდეგი იყო, ხოლო ეროვნული კრება მომეტებულად მონარქისტებისაგან შედგებოდა, იგი დიდი ხანი ტკეპნიდა ერთ და იმავე ადგილს კონსტიტუციის შემუშავების გზაზე. სანამ ბოლოს არ გახდა იძულებული არაპირდაპირი გზით ეღიარებინა რესპუბლიკური წყობილება.

კონსტიტუციაში სიტყვა „რესპუბლიკის" შეტანა მოხდა უკანა კარიდან 1875 წლის 30 იანვარს, როდესაც ეროვნულმა კრებამ სულ ერთი ხმის უმრავლესობით (353 ხმით 352 წინააღმდეგ) მიიღო დეპუტატ ვალონის შესწორება, რომელიც განსაზღვრავდა „რესპუბლიკის პრეზიდენტის" არჩევის წესსა და რწმუნებათა ხანგრძლივობას.

თუმცა მონარქისტები იძულებული იყვნენ დაეკანონებინათ რესპუბლიკა, მაგრამ ისინი შეეცადნენ მისთვის მიეცათ რამდენადაც შეიძლება უფრო კონსერვატიული და არადემოკრატიული ხასიათი.

კონსტიტუცია აწესებდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა განაწილებას. აღმასრულებელ ხელისუფლებას განასახიერებდა პრეზიდენტი, რომელსაც 7 წლის ვადით არჩევდა დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებული სხდომა (ეროვ-

ნელი კრება). პრეზიდენტი წარმოადგენდა საფრანგეთს საერთაშორისო ურთიერთობების დროს; იგი ნიშნავდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ მინისტრებს და შეეძლო ეთავმჯდომარა მინიატრთა საბჭოს სხდომისათვის. პრეზიდენტს ემორჩილებოდა არმია, მას ჰქონდა უფლება სენატის თანხმობით დაეთხოვა დეპუტატთა პალატა, მაგრამ სამი თვის განმავლობაში უნდა დაენიშნა არჩევნები. მასვე ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივისა და ამნისტიის უფლება. მაგრამ კონსტიტუციის მიერ მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა დიდი ნაწილი პრაქტიკულად აღმოჩნდა ფიქტიური, რადგან აშშ-ის პრეზიდენტისაგან განსხვავებით, საფრანგეთის პრეზიდენტი იყო მხოლოდ სახელმწიფოს და არა მთავრობის ხელმძღვანელი და თანაც იგი მთლიანად დამოკიდებული იყო დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან, რომლებიც მას ირჩევდნენ.

საკანონმდებლო და, ფაქტიურად, აღმასრულებელი ხელისუფლებაც ეკუთვნოდა დეპუტატთა პალატასა და სენატს. დეპუტატთა პალატა უნდა აერჩიათ 4 წლის ვადით 21 წლის ასაკს მიღწეულ მამაკაცებს. ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ სამხედრო პირებსა და იმ მამაკაცებს, რომელთაც არ გააჩნდათ ექვსი თვის ბინადრობის ცენზი. სენატის წევრების ერთი მეოთხედის არჩევა ხდებოდა მუდმივად, თავდაპირველად ეროვნული კრების მიერ, შემდგომში კი ეს ფუნქცია თვით სენატს ეკუთვნოდა. სენატის წევრების დანარჩენ სამ მეოთხედს ირჩევდნენ 9 წლით: ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ამოსარჩევ სენატორთა ერთ მესამედს ირჩევდნენ სადეპარტამენტო საარჩევნო კოლეგიები, რომლებიც შედგებოდა მოცემული დეპარტამენტის დეპუტატთა პალატის დეპუტატებისაგან და დეპარტამენტის სადისტრიქტო და მუნიციპალური საბჭოების დელეგატებისაგან.

არჩევნების განსხვავებული წესი განაპირობებდა დეპუტატთა პალატასთან შედარებით სენატის უფრო კონსერვატიულ ხასიათს და უშუალოდ ამომრჩეველებისაგან ნაკლებ დამოკიდებულებას. სენატის არსებობა საშუალებას აძლევდა ბურჟუაზიულ პარტიებს დეპუტატთა პალატაში გაეტარებინათ ზოგიერთი მათთვის მიუღებელი, მაგრამ ხალხისათვის საჭირო გადაწყვეტილება. ამგვარ გადაწყვეტილებას კონსერვატიული სენატი უდავოდ გააუქმებდა. დეპუტატთა პლატის ბურჟუაზიულ ფრაქციებს კი ეძლეოდა საშუალება პოლიტიკური მანევრირებისა და მოსახლეობის ფართო მასებისათვის ილუზიის შექმნისა, თითქოს ისინი ხალხის ინტერესებზე ზრუნავენ.

კონსტიტუცია დიდ უფლებებს ანიჭებდა სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატს. საფრანგეთის მუდმივ მოხელეთა ზედაფენის დანიშვნა უშუალოდ პრეზიდენტსა და მინისტრებზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მესამე რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მთავრობების ხშირი ცვლა, როგორც წესი, არ იწვევდა ცენტრალურ უწყებათა მოხელეების შეცვლას. მინისტრები ეყრდნობოდნენ საქმის კურსში მყოფ და ბურჟუაზიისათვის საკუთარი საიმედო სამოხელეო აპარატს, ვიწრო ფრაქციული მიზნებისათვის კი — თავიანთი პარტიებიდან მოწვეულ უახლოეს თანამოაზრეთაგან შექმნილ კაბინეტებს. ასევე არ ხდებოდა პროვინციულ მოხელეთა შეცვლა, გარდა დეპარტამენტების სათავეში მყოფ პრეფექტებისა. მთავრობა ჩვეულებრივ ცვლიდა ხოლმე პრეფექტების იმ მცირე ნაწილს, რომლებიც განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნდა.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით საფრანგეთი იყოფოდა 87 დეპარტამენტად, დეპარტამენტი — რამდენიმე დისტრიქტად, დისტრიქტი — რამდენიმე კანტონად, კანტონი — კომუნებად. კომუნებს წარმოადგენდნენ დასახლებული პუნქტები, პატარა სოფლებიდან დაწყებული და დიდი ქალაქებით დამთავრებული. კომუნების სათავეში, როგორც წესი, იდგნენ არჩეული მერები (მამასახლისები, ქალაქის თავები), მაგრამ ისინი, ისევე როგორც აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები, სადისტრიქტო და გენერალური საბჭოები), რომლებსაც მოსახლეობა ირჩევდა, სახელმწიფო მოხელეთა სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ; შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით პრეზიდენტის მიერ დანიშნულ დეპარტამენტების პრეფექტებს უფლება ჰქონდათ გაეუქმებინათ მერების, მუნიციპალიტეტების, სადისტრიქტო და გენერალური საბჭოების ყოველგვარი დადგენილება ან განკარგულება.

ამრიგად, 1875 წლის კონსტიტუციით დაკანონებული სახელმწიფო მმართველობის წესი წარმოადგენდა საფრანგეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის შემდგომ სრულყოფას, თუმცა 1875 წლის კონსტიტუციაში, რომელიც არ იყო ერთიანი იურიდიული აქტი და შედგებოდა 1871-75 წლებში მიღებული რამდენიმე კანონისაგან, ბევრი იყო ბუნდოვანი, გაურკვეველი და წინააღმდეგობრივიც კი. მრავალი ღიად დარჩენილი საკითხი, მაგალითად, უმაღლესი სახელმწიფო ინსტანციების პრეროგატივების გამიჯვნა, უნდა განესაზღვრათ იმ ტრადიციებს, რომლებიც დგინდებოდა ამ კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარების დროს.

მიუხედავად 1875 წლის კონსტიტუციის კონსერვატიული ხასია-

თისა, მესამე რესპუბლიკის პოლიტიკური წყობილება[1] უფრო პროგრესული იყო, ვიდრე ბონაპარტისტული ან რესტავრაციისა და ივლისის მონარქიისდროინდელი რეჟიმები, რადგან იგი ჰქმნიდა უფრო ხელსაყრელ პირობებს პროლეტარიატის, როგორც კლასის ორგანიზებისათვის, მშრომელების ბრძოლისათვის თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და პოლიტიკურ უფლებათა გასაფართოებლად. თუმცა პარიზის კომუნის ჩახშობის შემდეგ საფრანგეთში გაბატონებული რეაქციის პირობებში მშრომელებს და განსაკუთრებით მუშათა კლასს არ ჰქონდათ საშუალება დაუყოვნებლივ გამოეყენებინათ ეს შესაძლებლობანი, მაგრამ თვით რესპუბლიკის დამყარების ფაქტი წარმოადგენდა მნიშვნელოვან მონაპოვარსა და საწინდარს ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის საქმეში.

„რესპუბლიკელთა რესპუბლიკის" დამყარება (1876-84)

1876 წლის არჩევნების შედეგად უმრავლესობა დეპუტატთა პალატაში მოიპოვეს რესპუბლიკელებმა, სენატში კი — მონარქისტებმა.

დეპუტატთა პალატაში არჩეულ რესპუბლიკელებს შორის საკმაოდ ეკუთვნოდა მემარჯვენე ფრაქციებს. რაც შეეხება ლეონ გამბეტას დაჯგუფებას, იგი მსგავსად თავისი ბელადისა. 70-იან წლებში — სულ უფრო და უფრო მეტად მემარჯვენდებოდა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს წარმოიშვა თვით ტერმინი „ოპორტუნისტები". ეს სიტყვა პირველად გვხვდება ანრი როშფორის 1871 წლის 11 თებერვალს გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიის სათაურად. გამბეტას ერთ-ერთმა თანამოაზრემ დე პრესანსემ განაცხადა პარლამენტში, რომ კომუნარების მიმართ ამნისტია განხორციელდება „შესაფერ დროს" (pour les temps opportuns). „შესაფერ დროს, — ეს საპარლამენტო ჟარგონზე ნიშნავს: არასდროს", — ამ დასკვნითი წინადადებით ამთავრებდა როშფორი თავის სტატიას: როშფორის ეს გესლიანი გამოთქმა კარგად აპახავდა გამბეტისტების პოლიტიკას სხვა საკითხშიც და ამიტომ მათ ძალიან მალე დაუმკვიდრდათ ოპორტუნისტების სახელი. მემარჯვენე რესპუბლიკელებისა და ოპორტუნისტების პოლიტიკური პლატფორმის დაახლოების გამო ამ ფრაქციებს 70-იანი წლების ბოლოდან ჩვეულებრივ

[1] მესამე რესპუბლიკამ გასტანა 1940 წლამდე და შეწყვიტა არსებობა ჰიტლერული გერმანიის მიერ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ.

უწოდებენ საერთო სახელწოდებას — ზომიერ რესპუბლიკელებს.

გამბეტას და მისი მომხრეების მიერ დემოკრატიულ მოთხოვნებზე ხელის აღებამ 70-იანი წლების მიწურულში ჟორჟ კლემანსოს მეთაურობით წარმოშვა ბურჟუაზიული რესპუბლიკელების „უკიდურესი მემარცხენე" დაჯგუფება, რომლისგანაც 1881 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩამოყალიბდა რადიკალების პარტია. ზომიერი რესპუბლიკელებისა და რადიკალების პოლიტიკურ პროგრამებს ერთმანეთს შორის ძირითადად განასხვავებდა არა სტრატეგიული, არამედ მხოლოდ ტაქტიკური ხასიათის მოსაზრებები. რადიკალები მოითხოვდნენ ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან, სენატის გაუქმებას, პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღებას და, საერთოდ, ბურჟუაზიული დემოკრატიის რამდენადმე უფრო თანმიმდევრულ გატარებას. რადიკალების ბელადს კლემანსოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანად მიაჩნდა საფრანგეთის მიერ გერმანიის დამარცხება და 1870-71 წწ. დაკარგულ ელზას-ლორენის დაბრუნება.

რადიკალური პარტიის წარმოშობა სავსებით უპასუხებდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებს. 70-იანი წლების მიწურულიდან დაწყებული კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და საზოგადოებრივი აზრის გამემარცხენება აიძულებდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, მმართველობის პარლამენტური ფორმის განსამტკიცებლად, გარდა ზომიერი რესპუბლიკელებისა, გამოეყენებინა რადიკალებიც და ამ ორ დაჯგუფებას შორის ბრძოლა გადაექცია მესამე რესპუბლიკის შინაპოლიტიკური ცხოვრების საფუძვლად, შეექმნა წვრილი ბურჟუაზიისათვის, გლეხობისა და ინტელიგენციისათვის შთაბეჭდილება, თითქოს რადიკალთა პარტია მათ ინტერესებს იცავს. მუშებს შორის მეცნიერული კომუნიზმის იდეების გავრცელების შესაფერხებლად რადიკალთა ბელადმა ჟორჟ კლემანსომ 80-იანი წლების დასაწყისში დემაგოგიური მიზნებით წამოაყენა ზოგიერთი ეკონომიური და სოციალური მოთხოვნა, მაგალითად, რკინიგზებისა და მაღაროების ნაციონალიზაციისა და რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება.

1876 წლისათვის კი რადიკალები თითქმის არ ჩანდნენ. ხოლო დეპუტატთა პალატაში წარმოდგენილ რესპუბლიკელების ყველა დაჯგუფება ცდილობდა საერთო ენა გამოეძებნა მონარქისტულად განწყობილ სენატსა და პრეზიდენტთან. რადგან 1876 წლის არჩევნების დროს უმრავლესობა დეპუტატთა პალატაში რესპუბლიკელებმა მოიპოვეს, პრეზიდენტი მაკ-მაონი დიდი ყოყმანის შემდეგ მეტად უხალისოდ დათანხმდა, რომ 1876 წლის მარტიდან საფრან-

გეთში ხელისუფლება განეხორციელებინა ჯერ დიუფორისა და შემდეგ ჟიულ სიმონის ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა მთავრობებს. დიუფორიცა და ჟ. სიმონიც ეკუთვნოდნენ რესპუბლიკელთა მემარჯვენე დაჯგუფებებს და მათი მთავრობების კონსერვატიული პოლიტიკური გეზი მდგომარეობდა ლავირებაში რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის.

ეს ე. წ. ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკა ფრანგი კლერიკალების ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო 1877 წლის გაზაფხულზე ჩიხში მოექცა. კლერიკალები აწყობდნენ ანტირესპუბლიკურ მანიფესტაციებს და ურთულებდნენ საფრანგეთს საერთაშორისო ურთიერთობებს რომის პაპისათვის საერო ხელისუფლების დაბრუნების მოთხოვნით. ამიტომაც ლეონ გამბეტას მოწოდება — რომ „კლერიკალიზმია მთავარი მტერი“ — გააზიარა რესპუბლიკელთა ყველა დაჯგუფებამ. დეპუტატთა პალატამ რესპუბლიკის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად 1877 წლის 4 მაისს მთავრობას წარუდგინა ანტიკლერიკალური რეზოლუცია. როგორც თანამედროვენი აღნიშნავდნენ, ჟიულ სიმონმა კი არ მიიღო ეს რეზოლუცია, არამედ იძულებული გახდა იგი „გადაეყლაპა“. მაგრამ პრეზიდენტ მაკ-მაონისათვის ასეთი „კადნიერებაც“ კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ 16 მაისს საჯაროდ, უაღრესად უხეში ფორმით გადაეყენებინა ჟიულ სიმონის მთავრობა, რაც აშკარად წარმოადგენდა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის ცდას და ისტორიაში შევიდა „16 მაისის“ სახელწოდებით.

დეპუტატთა პალატამ თავის მხრივ 363 ხმით 158 წინააღმდეგ გამოუცხადა უნდობლობა მაკ-მაონის მიერ შექმნილ დე ბროლის მონარქისტულ-კლერიკალურ მთავრობას. მაშინ პრეზიდენტმა, რომელიც ეყრდნობოდა რეაქციული სენატის მხარდაჭერას, 1877 წლის 25 ივნისს დაითხოვა დეპუტატთა პალატა.

დეპუტატთა პალატის შემოდგომისათვის დანიშნული არჩევნების დროს მაკ-მაონი ფართოდ სარგებლობდა კათოლიკური ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ბანკირ როტშილდის ფინანსური დახმარებით. საარჩევნო კამპანიის დროს მთავრობის კანდიდატთა მხარეზე სახელმწიფო-ადმინისტრაციული აპარატის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით რამდენიმე ათასი რესპუბლიკურად განწყობილი მოხელე შეცვალეს მონარქისტებით. მაკ-მაონის მოწინააღმდეგეთა ადმინისტრაციული და სასამართლო წესით დევნა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დათხოვნა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

პრეზიდენტის თვითნებობით აღშფოთებული რესპუბლიკელი

ჟურნალისტები განზრახ ამახინჯებდნენ მაკ-მაონის კვარს; მაკ-მაონის (Mac-Mahon) ნაცვლად მას უწოდებდნენ მაკ-მა-ონტს (Mac-Ma-Honte), რაც ფრანგულად ნიშნავს „მაკ, ჩემი სირცხვილი". რესპუბლიკელთა ყველა ჯგუფი გაერთიანდა გამბეტას მეთაურობით და უაღრესად ენერგიულად ჩაატარეს საარჩევნო კამპანია. მათ მხარი დაუჭირა საფრანგეთის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ და, მთავრობის ყველა ღონისძიების მიუხედავად, რესპუბლიკელებმა 1877 წლის 14 ოქტომბრის არჩევნების დროს კვლავ მოიპოვეს გამარჯვება.

ერთ-ერთ საარჩევნო სიტყვაში გამბეტამ განაცხადა, რომ მის შემდეგ, რაც საფრანგეთი გამოთქვამს თავის აზრს, მარშალი იძულებული გახდება ან „დამორჩილდეს, ან გადადგესო" („se soumettre ou se demettre"). მაგრამ პრეზიდენტი ოქტომბერში განცდილი დამარცხების შემდეგაც ჯიუტობდა: რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდა შეენარჩუნებინა დე ბროლის მთავრობა, შემდეგ მონარქისტულად განწყობილი მოხელეებიდან შექმნა სამუშაო მთავრობა და, ბოლოს, საფრანგეთი საერთოდ მთავრობის გარეშე დატოვა, სანამ 1878 წლის ბიუჯეტის დამტკიცების აუცილებლობამ არ აიძულა იგი 13 დეკემბერს დათანხმებულიყო დიუფორის მთავრობის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს მაკ-მაონი განიხილავდა სამხედრო გადატრიალების მოხდენისა და დეპუტატთა პალატის ხელახალი დათხოვის შესაძლებლობას. მაგრამ სენატისა და ოფიცერთა კორპუსის შიშმა, რომ ანტიკონსტიტუციურ აქტებს არ მოჰყოლოდა რევოლუციური აფეთქება, ხელი ააღებინეს პრეზიდენტს მის განზრახვაზე. 1879 წლის იანვარში ჩატარდა ნაწილობრივი არჩევნები სენატში, გამარჯვება ამჯერადაც რესპუბლიკელებმა მოიპოვეს და სენატიც მათ ხელში გადავიდა.

დეპუტატთა პალატამ, სენატმა და მთავრობამ დაიწყო სამოხელეო აპარატის ზედაფენისა და არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის წმენდა აშკარა მონარქისტებისაგან და მათი შეცვლა რესპუბლიკელებით. ამ მიზნით პრეზიდენტს წარუდგინეს ახლად დანიშნულთა სიები, მაგრამ მაკ-მაონმა არ მოინდომა მათი დამტკიცება. რადგან დეპუტატთა პალატის, სენატისა და მთავრობის ერთობლივი მოთხოვნების დაძლევა მაკ-მაონის შესაძლებლობებს აღემატებოდა, მან დამორჩილებას გადადგომა ამჯობინა. და 1879 წლის 30 იანვარს, ჯერ კიდევ შვიდწლიანი ვადის დამთავრებამდე, დატოვა პრეზიდენტის პოსტი.

1879 წლის 30 იანვარშივე დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებულმა სხდომამ რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ზო-

მიერი რესპუბლიკელი ქიულ გრევი. ამგვარად, დეპუტატთა პალატა, მთავრობა, სენატი და პრეზიდენტის პოსტი, ე. ი. საფრანგეთის ყველა უმაღლესი ხელისუფლება და საერთოდ მთელი სახელმწიფო აპარატიც საბოლოოდ გადავიდა ზომიერი რესპუბლიკელების ხელში, დამყარდა ე. წ. „რესპუბლიკელების რესპუბლიკა".

რესპუბლიკელების სიძლიერეს განამტკიცებდა საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობის ენერგიული მხარდაჭერა. რაზეც მეტყველებს 1881 წლის არჩევნების შედეგები: რესპუბლიკელთა ყველა მიმდინარეობამ დეპუტატთა პალატაში 450 ადგილზე მეტი მიიღო. მონარქისტებმა კი ძლივს შეძლეს 90-მდე მანდატის მოპოვება. იმ წლების საზოგადოებრივ აზრს საუკეთესოდ გამოხატავდა ის უდიდესი პოპულარობა, რომლითაც სარგებლობდა თანამიმდევარი დემოკრატი, გენიალური ფრანგი პოეტი და მწერალი ვიქტორ ჰიუგო. 1882 წელს ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 80 წლისთავი გადაიქცა გრანდიოზულ ეროვნულ დღესასწაულად.

ამგვარად, 70-იანი წლების მიწურულში და 80-იანი წლების პირველ ნახევარში ზომიერ რესპუბლიკელებს არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები შეექმნათ დაპირებული დემოკრატიზაციის ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ ისინი არ იქარობდნენ დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას, ხოლო ოპორტუნისტებმა (გამბეტისტებმა) ზოგიერთ თავის საპროგრამო მოთხოვნაზე, როგორიც იყო, მაგალითად, სენატის გაუქმება, პრეზიდენტის ხელისუფლების შეზღუდვა და საშემოსავლო პროგრესული გადასახადის დაწესება, საერთოდაც ხელი აიღეს.

80-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკელები იძულებული გახდნენ გამოეცათ ამნისტია კომუნარეებზე. თუმცა 1880 წლის იანვარში დეპუტატთა პალატამ უარყო წინადადება ამნისტიის შესახებ. მაგრამ იმავე წლის 24 მაისს პარიზის მუშების მიერ პოლიციის წინააღმდეგობის დაძლევამ და დაღუპულ კომუნართა ხსოვნის აღსანიშნავად პერ-ლაშეზის სასაფლაოზე მოწყობილმა დიდმა მანიფესტაციამ აიძულა დეპუტატთა პალატა კვლავ დაბრუნებოდა კომუნარების ამნისტიის საკითხს. ზომიერი რესპუბლიკელებისათვის აშკარა გახდა, რომ კომუნართა განთავისუფლება ბურჟუაზიის ბატონობას აღარავითარ საშიშროებას აღარ უქადდა, ხოლო მათ მიმართ ამნისტიის გაუტარებლობა უაღრესად აღშფოთებდა მუშათა კლასს, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გართულებები. დეპუტატთა პალატა დაეთანხმა გამბეტას მოსაზრებას, რომ შექმნილ სიტუაციაში ამნისტია პოლიტიკურად აუცილებელი იყო და 1880 წლის 21 ივნისს დაადგინა კომუნართა განთავისუფლე-

ბა, რაც მუშებისა და დემოკრატიულ ძალთა მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა.

80-იანი წლების პირველ ნახევარში დეპუტატთა პალატამ მიიღო რამდენიმე კანონი განათლების შესახებ. თუმცა ბურჟუაზიული რესპუბლიკელები ირწმუნებოდნენ, რომ 7-დან 13 წლამდე უფასო სავალდებულო საერო სწავლების შემოღება იყო გამოხატულება მათი უანგარო ზრუნვისა ხალხის კულტურული დონის ასამაღლებლად. სინამდვილეში ეს კანონი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. წარმოების, განსაკუთრებით კი მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების დონე XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში და საფრანგეთის საქონლის კონკურენციის უნარიანობის გაზრდის აუცილებლობა მსოფლიო ბაზარზე მოითხოვდა დიდი რაოდენობით კვალიფიციურ მუშახელს. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი საფრანგეთის ბურჟუაზიას შეეძლო საყოველთაო განათლების შემოღებით საკუთარ ქვეყანაში.

1879-84 წწ. ზომიერ რესპუბლიკელთა მიერ გატარებულ დანარჩენ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია: მთავრობისა და პარლამენტის ადგილსამყოფელის ვერსალიდან პარიზში გადმოტანა; 14 ივლისის—ბასტილიის აღების დღის ეროვნულ დღესასწაულად, ხოლო „მარსელიეზისი“ — ეროვნულ ჰიმნად გამოცხადება, იეზუიტთა ორდენის აკრძალვა და სხვა სასულიერო კონგრეგაციათა საქმიანობის შეზღუდვა, სენატორთა მთელი სიცოცხლით დანიშვნის წესის გაუქმება, პროფესიულ კავშირთა ლეგალიზება, მერების არჩევითობის დაწესება.

იმ დაქსაქსულობასა და შინაგან წინააღმდეგობებზე, მერყეობასა და არათანმიმდევრობაზე, რასაც იჩენდნენ ზომიერი რესპუბლიკელები, თვალნათლივ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათმა ყველაზე უფრო პოპულარულმა ბელადმა ლეონ გამბეტამ მხოლოდ ერთხელ შეძლო მთავრობის შედგენა. გამბეტას მთავრობას „დიდი სამინისტრო“ უწოდეს, რადგან მას უნდა გაეერთიანებინა რესპუბლიკელთა თითქმის ყველა დაჯგუფება და მნიშვნელოვანი სახელმწიფო აქციები უნდა განეხორციელებინა. სინამდვილეში გამბეტას მთავრობამ მხოლოდ 73 დღე იარსება და თითქმის ვერავითარი კვალი ვერ დაამჩნია საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, ხოლო ზემოჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტები შემუშავებულ და მიღებულ იქნა მოსახლეობის უფართოესი მასების აქტიური ზემოქმედებით რესპუბლიკელთა რიგითი მთავრობების მიერ, რომელთა არასიმტკიცის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენდა მათი ხშირი ცვლა (6 წლის განმავლობაში საფრანგეთში შეიცვალა 9 მთავ-

რობა). 80-იანი წლების შუახანებისათვის კი ზომიერმა რესპუბლიკელებმა გადაწყვიტეს, რომ დემოკრატიულ რეფორმათა ხანა დასრულდა; მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა და იმ დროს მთავრობის ხელმძღვანელმა ჟიულ ფერიმ განაცხადა — „მთავარი საშიშროება მარცხნიდან მოდისო“.

ბულანჟისტური კრიზისი და პანამის სკანდალი (1885-92)

1885 წლის არჩევნებმა გამოავლინა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უკმაყოფილება ზომიერი რესპუბლიკელებით, რომლებმაც დაკარგეს დეპუტატთა პალატაში აბსოლუტური უმრავლესობა. ზომიერთა მიერ შემდგომ დემოკრატიულ გარდაქმნებზე ხელის აღებით გულგატეხილმა ამომრჩეველების ძირითადმა მასამ ხმა მისცა რადიკალებს. ამავე დროს, ზომიერ რესპუბლიკელებს ჩამოშორდა და მონარქისტებს მიემხრო „ვემარცხენე საშიშროებით“ დამფრთხალი შეძლებული ბურჟუაზიის, ჩამორჩენილი გლეხობისა და მდაბიოთა ზოგიერთი ფენა. მომხდარი ძვრების შედეგად დეპუტატთა პალატაში მანდატები დაახლოებით თანაბრად განაწილდა რადიკალებს, ზომიერ რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის; ამგვარად, დეპუტატთა პალატაში რესპუბლიკელთა ვერც ერთმა ფრაქციამ უპირატესობა ვერ მოიპოვა, რის გამოც რესპუბლიკელებისაგან შემდგარი მთავრობები მერყეობდნენ ზომიერ და რადიკალურ მიმართულებებს შორის. პოლიტიკურ ძალთა ამგვარი არამყარი წონასწორობის ვითარებაში 1885 წელს ხელმეორედ აირჩიეს საფრანგეთის პრეზიდენტად ზომიერი რესპუბლიკელი ჟიულ გრევი.

ასეთ პირობებში წარმოიშვა ბულანჟისტური კრიზისი. რეაქციულ-მილიტარისტული ბულანჟიზმი შეეცადა გამოეყენებინა მოსახლეობის საერთო უკმაყოფილება ზომიერი რესპუბლიკელებით და საიდუმლო პოლიტიკური კომბინაციების გზით დაყრდნობოდა ურთიერთის მიმართ დაპირისპირებულ რადიკალებსა და მონარქისტებს. ამ მოძრაობის ხელმძღვანელმა ჟორჟ ბულანჟემ სამხედრო კარიერა დაიწყო 1856 წელს ალჟირის მოსახლეობის წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობით, შემდეგ, 1871 წელს თავი „ისახელა“ სისასტიკით კომუნარებთან ანგარიშსწორების დროს; გენერლობას მან მიაღწია ორლეანისტების დახმარებით, ხოლო სამხედრო მინისტრის პოსტს — რადიკალების ბელად კლემანსოსთან დაახლოების წყალობით. სამხედრო მინისტრად ყოფნის დროს 1886 წლის იანვრიდან 1887 წლის მაისამდე პოპულარობის მოხვეჭის მიზნით იგი ფართოდ მიმართავდა დემაგოგიას. ბულანჟე ყოველნაირად ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი მტკი-

ცე რესპუბლიკელია, უანგარო ადამიანი, დიდი პატრიოტი, ნიჭიერი სარდალი, ჯარისკაცების კეთილდღეობაზე მზრუნველი გენერალი; თითქოს იგი აქტიურად ემხრობოდა საფრანგეთის არმიის გაწმენდას მონარქისტულად განწყობილი ოფიცრებისაგან და ეწინააღმდეგებოდა მუშათა გაფიცვების ჩახშობას შეიარაღებული ძალების გამოყენით.

ბუნებრივია, რომ ზომიერი რესპუბლიკელები იყვნენ ერთ-ერთი პირველნი იმათ შორის, ვინც ამხედრდნენ ბულანჟეს წინააღმდეგ, რადგან მათთვის აშკარა გახდა მოავანტიურისტო გენერლის მისწრაფება — გამოეყენებინა კარიერისტული მიზნებით ზომიერთა ავტორიტეტის მკვეთრი დაცემა საფრანგეთის მოსახლეობის თვალში. ამიტომაც 1887 წელს ზომიერმა რესპუბლიკელებმა აღარ შეიყვანეს ბულანჟე საომარი მინისტრად მთავრობაში და დანიშნეს კორპუსის მეთაურად კლერმონ-ფერანში, მაგრამ 1887 წლის გაზაფხულისათვის ბულანჟე უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისმა თაყვანისმცემლებმა მოაწყვეს ხალხმრავალი და ხმაურიანი მანიფესტაციები „პრინციპულობისა და უანგარობისათვის“ მთავრობიდან გამოყვანილ და ფაქტიურად კლერმონ-ფერანში გადასახლებული „პატრიოტი გენერლის“ სასარგებლოდ.

ბულანჟეს პოპულარობის შემდგომ ზრდას დიდად შეუწყო ხელი მის მოწინააღმდეგე ზომიერ რესპუბლიკელთა წრეში მომხდარმა ვილსონის სკანდალმა. 1887 წლის შემოდგომაზე გამოიაშკარავდა, რომ დეპუტატთა პალატის წევრი, პრეზიდენტი ჟიულ გრევის სიძე დანიელ ვილსონი ეაჭრობდა საპატიო ლეგიონის ორდენებით. ვილსონი არ წარმოადგენდა გამონაკლისს, ზომიერ რესპუბლიკელებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული წარმატების ნიშნებითა და პროტექციით ვაჭრობა, მაგრამ დეპუტატთა პალატის მმართველი ფრაქციის ეს ბნელი მაქინაციები 1887 წლის შემოდგომამდე საზოგადოებრივი აზრისათვის ცნობილი არ იყო. ძალიან მალე ვილსონის სკანდალი გადაიზარდა პოლიტიკურ კრიზისში. თუმცა სიძის ბინძური მაქინაციებით კომპრომეტირებული ჟიულ გრევი მაინც ცდილობდა შეენარჩუნებინა პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში, იგი იძულებული გახდა გამომშვიდობებოდა ელისეს სასახლეს და გადამდგარიყო. რესპუბლიკელთა დაჯგუფებებს შორის პრეზიდენტის სავარძლისათვის გაშლილი ბრძოლის დამთავრების მიზნით, რადიკალების ბელადმა კლემანსომ წინადადება შემოიტანა პრეტენდენტებს შორის უპირატესობა მიეცათ „ყველაზე უფრო ჩლუნგისათვის“, რომელიც არც ერთი მოქიშპე ფრაქციისათვის არ იქნებოდა მიუღებელი. კლემანსოს ცინიკურ

ფორმულას ყველაზე მეტად უპასუხებდა სადი კარნოს კანდიდატურა და რესპუბლიკელთა ურთიერთშეთანხმებით იგი აირჩიეს საფრანგეთის პრეზიდენტად. სადი კარნოს ერთადერთ ღირსებად შეიძლებოდა მიჩნეულიყო ის, რომ იგი იყო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწის ლაზარ კარნოს შვილიშვილი და ეკუთვნოდა ტრადიციულ რესპუბლიკურ ოჯახს.

1887 წლის ნოემბრის მიწურულში, როდესაც ვილსონის სკანდალით გამოწვეული პოლიტიკური კრიზისი უკიდურესად გამწვავდა, კლერმონ-ფერანიდან პარიზში ინკოგნიტოდ ჩამოვიდა ბულანჟე და მონაწილეობა მიიღო როგორც რადიკალების, ე. ი. მემარცხენე რესპუბლიკელების, ისევე ორლეანისტების, ე. ი. მონარქისტების ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელთა საიდუმლო თათბირებში: გენერალმა ორივე მხარეს აღუთქვა დახმარება და თანამშრომლობა. სადი კარნოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც თავის მომხრეებთან შესახვედრად ბულანჟე ფარულად ჩავიდა პარიზში, რითაც ისარგებლეს ზომიერმა რესპუბლიკელებმა და მათთვის არასასურველი გენერალი სამხედრო დიქტატურის დარღვევისათვის მთავრობას თანამდებობიდან გადააყენებინეს. მაშინ ბულანჟისტებმა შექმნეს „ეროვნული პროტესტის კომიტეტი", რომელმაც მიიღო დემაგოგიური ხასიათის პროგრამა. ბულანჟეს მიერ წამოყენებული ეს პროგრამა შეიცავდა სამ ძირითად მოთხოვნას: სენატისა და დეპუტატთა პალატის დათხოვნას, დაჩქარებული კრების მოწვევასა და კონსტიტუციის გადასინჯვას. ბულანჟისტები განზრახ არ აზუსტებდნენ თავიანთ პროგრამას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი მოთხოვნების მრავალნაირად გაგება, რაც საშუალებას იძლეოდა მიეზიდათ არსებული წყობილებით უკმაყოფილო მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ფენები, დამოუკიდებლად ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მისწრაფებებისა.

1888 წლის დასაწყისიდან ბულანჟისტური მოძრაობა გადაიქცა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ძალად; ბულანჟისტებს ჰქონდათ თავიანთი პრესა, გაანდათ მნიშვნელოვანი სახსრები, ჰყავდათ წარმომადგენლები პარლამენტში და მომხრენი არმიაში; ბულანჟეს სასარგებლოდ ეწეოდა აგიტაციას მრავალრიცხოვანი ფრანგული კათოლიკური სამღვდელოება. იქმნებოდა საშიშროება სამხედრო დიქტატურის დამყარებისა, რომელიც გზას უხსნიდა მონარქიას. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია, რომ ბულანჟე აღარ დაკმაყოფილდა მხოლოდ ორლეანისტებთან ფარული კავშირით და საიდუმლო ურთიერთობა დაამყარა მეორე როიალისტურ ფრაქციასთან —

ბონაპარტისტებთან. მონარქისტები და კლერიკალები უსვად ამარაგებდნენ ბულანჟისტებს ფულით.

შექმნილ ვითარებაში კლემანსომ და რადიკალების უმრავლესობამ გაწყვიტეს კავშირი ბულანჟესთან. კლემანსოს ინიციატივით 1888 წლის მაისში ყველაზე უფრო აქტიური ანტიბულანჟისტური ძალები გაერთიანდა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დაცვის საზოგადოებაში". დაიწყო თანმიმდევრული და საფუძვლიანი ბრძოლა ბულანჟიზმის წინააღმდეგ.

ბულანჟისტურმა მოძრაობამ თავის აპოგეს მიაღწია 1889 წლის 27 იანვარს, როდესაც პარიზში დეპუტატთა პალატის დამატებითი არჩევნების დროს ბულანჟემ ორჯერ უფრო მეტი ხმა შეაგროვა, ვიდრე რესპუბლიკელთა ყველა დაჯგუფების მიერ მის საპირისპიროდ ერთობლივად წამოყენებულმა კანდიდატმა. წარმატება იმდენად თავბრუდამხვევი აღმოჩნდა, რომ ბულანჟისტური მოძრაობის ზოგმა ხელმძღვანელმა წინადადებაც კი წამოაყენა ძალდატანებითი სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის შესახებ. მაგრამ თვით ბულანჟემ და მასთან დაახლოებულ პირთა ერთმა ნაწილმა უფრო რეალისტურად შეაფასეს პოლიტიკური კონიუნქტურა და ხელი აიღეს შეიარაღებული ამბოხების მოხდენის ცდაზე.

ბულანჟემდე მივიდა ხმა, რომ მთავრობა აპირებდა მის პასუხისგებაში მიცემას სამხედრო შეთქმულების მოწყობისათვის. შეშინებულმა გენერალმა სასწრაფოდ შეაფარა თავი ბელგიას. საფრანგეთიდან სამარცხვინოდ გაქცევამ და თავის თანამოაზრეთა ბედის ანაბარად მიტოვებამ დასცა ბულანჟეს ავტორიტეტი, რომელიც შემოსილი იყო „მამაცობის", „გამბედაობის", „თანამებრძოლთადმი ვაჟკაცური ერთგულებისა" და სხვა ამგვარ სათნოებათა შარავანდედით. ბულანჟეს ემიგრირების შემდეგ ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მისი საიდუმლო კავშირი ორლეანისტებთან, ბონაპარტისტებთან, რომის პაპთან. ამასთანავე 1889 წელს დაწყებულმა სამრეწველო გამოცოცხლებამ შეასუსტა წვრილი ბურჟუაზიის ის უკმაყოფილება ზომიერი რესპუბლიკელების პოლიტიკით, რომელსაც იყენებდა ბულანჟე. ბულანჟიზმმა სწრაფად დაიწყო დაქვეითება და უკვე 1889 წლის სექტემბრის არჩევნების დროს ბულანჟისტებმა მანდატების ძალიან მცირე რაოდენობა მიიღეს დეპუტატთა პალატაში, ხოლო 1891 წელს, ბელგიაში ბულანჟეს თვითმკვლელობის შემდეგ, ეს მოძრაობა საერთოდაც ჩამოვიდა პოლიტიკური სარბიელიდან. ბულანჟიზმი ვერ წარმოიშობოდა და ვერ განვითარდებოდა, რომ მესამე რესპუბლიკის სათავეში მოქცეული ზომიერი რესპუბლიკელების საქმიანობას არ გამოეწვია

საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობის უკმაყოფილება. ბულანჟისტური მოძრაობის მოსპობა კი გამოხატავდა რესპუბლიკური მსოფლმხედველობის სიძლიერეს საფრანგეთში და რესპუბლიკური წყობილების დამხობის შეუძლებლობას არა მარტო მაკ-მაონის „ჯიქური“ პოლიტიკით, არამედ ბულანჟეს მოქნილი, შენიღბული და დემაგოგიური ტაქტიკითაც. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ უგულებელვყოფდით 1871 წელს პრუსიასთან დამარცხების გამო ფრანგული ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფასა და საფრანგეთის საერთაშორისო სიძნელეებს, რომლებსაც ფართოდ იყენებდა ბულანჟე თავისი ანგარებითი მიზნებისათვის. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა, რომ 80-იანი წლების შუახანებში ბისმარკისა და გერმანიის პრესის გამოხდომებმა ბულანჟეს უპასუხისმგებლო ნაციონალისტური განცხადებების წინააღმდეგ დიდად შეუწყო ხელი ამ პერიოდში ბულანჟიზმის პოპულარობის ზრდას საფრანგეთის მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილ, მაგრამ პოლიტიკურად ჩამორჩენილ ფენებში.

1870-71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის მომდევნო ოცწლეულის მანძილზე საფრანგეთის საგარეო მდგომარეობა დიდი დაძაბულობით ხასიათდებოდა. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გერმანიის მთავრობა არ ერიდებოდა საფრანგეთის მიმართ პროვოკაციებსა და შანტაჟს. 70-იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული ბისმარკი შეუნელებლად მიისწრაფოდა შეექმნა ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაცია გერმანიის მიერ საფრანგეთის ხელახალ სამხედრო განადგურებისათვის. მაგრამ ბისმარკმა თავის საწადელს ვერ მიაღწია რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგობის გამო, რადგან ამ უკანასკნელთ სრულიადაც არ აწყობდათ გერმანიის შემდგომი გაძლიერება. საფრანგეთის უშიშროების განმტკიცება ევროპაში დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1891-93 წლებში დაიდო რუსეთ-საფრანგეთის კავშირი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულში საფრანგეთის საერთაშორისო ურთიერთობებს დიდად ართულებდა მსხვილი ფრანგული ბურჟუაზიის ინიციატივით წარმოებული ფართო კოლონიური დაპყრობანი. აქტიური კოლონიური ექსპანსია დიდძალ სახელმწიფო სახსრებს ნთქავდა, ასუსტებდა საფრანგეთის თავდაცვისუნარიანობას, რადგან მოითხოვდა მნიშვნელოვან სამხედრო ძალების გადასროლას ევროპიდან და იწვევდა მწვავე კოლონიურ კონფლიქტებს იტალიასა და ინგლისთან.

1881 წელს საფრანგეთის მიერ ტუნისის დაპყრობამ იტალიას დაადებინა სამხედრო კავშირი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან.

ხოლო 1898 წელს სუდანში მომხდარმა ფაშოდის ინციდენტმა კი-ნაღამ არ გაჩოიწვია ინგლის-საფრანგეთის ომი. 1881-98 წლებში საფრანგეთმა თავისი ბატონობა დაამყარა ტუნისზე, ე. წ. ფრანგულ ეკვატორულ და დასავლეთ აფრიკაზე, კუნძულ მადაგასკარზე, ინდოჩინეთზე. 1860 წლიდან 1899 წლამდე საფრანგეთის კოლონიების ფართობი და მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 17-ჯერ.

„შორეულ წამოწყებათა პოლიტიკას" მიეკუთვნებოდა აგრეთვე ფრანგული კაპიტალის მისწრაფება საზღვარგარეთ რკინიგზების მშენებლობისა და უმნიშვნელოვანეს საზღვაო არხების გაყვანისადმი.

80-იანი წლების დასაწყისიდან საფრანგეთის კომპანია აწარმოებდა სამუშაოებს პანამის არხის გასათხრელად. კომპანიას ხელმძღვანელობდა 1869 წელს გახსნილ სუეცის არხის მშენებლობის ინიციატორი ფერდინანდ ლესეპსი. თავდაპირველად პანამის არხის გამყვანი კომპანია იოლად ავრცელებდა თავის აქციებსა და ობლიგაციებს. მაგრამ სამუშაოთა მოცულობა ნავარაუდებზე უფრო მეტი აღმოჩნდა. საჭირო გახდა დამატებითი სახსრები. 1885 წელს ლესეპსმა განაცხადა, რომ არხი დაჯდება არა 600 მილიონი ფრანკი, როგორც ეს მან თავდაპირველად ივარაუდა, არამედ 1 მილიარდ 70 მილიონი ფრანკი და რომ არხის მშენებლობა დასრულდება 1888 წელს. პრესისა და მთავრობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად კომპანია ფართოდ იყენებდა მოსყიდვას: მოქრთამეს მთელი რიგი მინისტრები, დეპუტატები და ცენტრალური გაზეთების რედაქტორები.

1888 წლის ზაფხულისათვის, თუმცა კომპანიის სალაროში გადარიცხული თანხების საერთო რაოდენობამ მიაღწია 1.4 მილიარდ ფრანკს, ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი პანამის არხის ერთი მესამედიც. მშენებლობის გაჭიანურებამ წარმოშვა ეჭვი არხის ოგების წარმატებით დამთავრების შესაძლებლობაში. შემცირდა ამ საქმეში კაპიტალის დაბანდების მოსურნეთა რაოდენობა. ფინანსურ სიძნელეთა დასაძლევად კომპანიამ მიაღწია მთავრობისაგან ლატარიის გამოშვების ნებართვას. მაგრამ მთავრობის მფარველობამ საქმეს ვერ უშველა და 1888 წლის დეკემბერში მან კრახი განიცადა.

„პანამის არხის გაყვანის საზოგადოების" გაკოტრებამ გაანახაკა უპირველეს ყოვლისა აქციების წვრილმფლობელთა ფართო ფენები. საერთო აღშფოთება განსაკუთრებით გაძლიერდა, როდესაც გამოირკვა, რომ 1,4 მილიარდი ფრანკიდან არხის მშენებლობას მოხმარდა არა უმეტეს 0,7 მილიარდი ფრანკისა. მთავრობა ყოველნაი-

რად ცდილობდა გაეჭიანურებინა და არ დაეშვა ამ სკანდალური საქმის გამოძიება.

1892 წლის ბოლოს ზოგიერთ ოპოზიციურად განწყობილ რეაქციონერ დეპუტატამდე სანდო წყაროებიდან მიაღწია ცნობებმა პანამის კომპანიის მოსყიდვითი საქმიანობის შესახებ და მათ დეპუტატთა პალატაში შეიტანეს სათანადო ინტერპელაცია. დაიწყო გამოძიება, რომელმაც გამოავლინა პოლიტიკური კორუფციის უაღრესად არასახარბიელო სურათი; დადასტურდა, რომ ამ სკანდალურ საქმეში მონაწილეობას იღებდა მინისტრების, სენატორებისა და დეპუტატთა პალატის წევრების არანაკლებ ერთი ჭესამედისა — თუმცა მთავრობის მითითებებით საპამართლო და პროკურატურის ორგანოები შეეცადნენ მინიმუმამდე დაეყვანათ ბრალდებულთა რიცხვი, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობისათვის აშკარა გახდა, რომ მესამე რესპუბლიკის ძალიან ბევრი წამყვანი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი იღებდა ქრთამს პანამის კომპანიისაგან. პანამის სკანდალმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის რიგით მოქალაქეებზე, მან დიდად გაუტეხა სახელი ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ მოღვაწეებს და ხელი შეუწყო სოციალისტების ავტორიტეტის ზრდას.

მუშათა მოძრაობა საფრანგეთში (1872-93)

პარიზის კომუნის შესახებ ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ „რამდენადაც მან ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ევროპაზე, იმდენადვე ვადაისროლა უკან საფრანგეთის პროლეტარიატი“ [1], რადგან პარიზის კომუნის დამარცხების შედეგად საფრანგეთის მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი განადგურდა. ბურჟუაზიული რესპუბლიკელები შეეცადნენ გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია და მუშათა კლასი დაემორჩილებინათ თავიანთი გავლენისათვის.

1872 წელს ჟურნალისტმა ბარბერემ დაიწყო მუშათა წრეებისა და წვრილი პროფესიული კავშირების — სინდიკატების შექმნა. სინდიკატებში ბარბერე ქადაგებდა რეაქციულ-რეფორმისტულ შეხედულებებს: გაფიცვებზე, კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლაზე უარის თქმას, საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივების შექმნითა და საგანმანათლებლო საქმიანობით შემოფარგვლას. ბარბერეს იდეები გავრცელდა მუშათა ჩამორჩენილ ფენებში.

---

[1] Ф. Энгельс — А. Бебелю, 29.X.1884 г.; К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXVII, стр. 422.

1876 წელს პარიზში შეკრებილმა მუშათა პირველმა კონგრესმა მოიწონა პარბერისტების პროგრამა. კონგრესის რეზოლუცია მიუთითებდა: „მშრომელთა განთავისუფლების საკითხი თავის გადაწყვეტილებას პოვებს კოოპერაციული ასოციაციის პრინციპშიო“. მუშათა კონგრესის მოწვევას, მიუხედავად მის მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებებისა, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მან ბიძგი მისცა დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობას.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში საფრანგეთში მარქსისტული იდეების გავრცელება დაიწყეს ჟიულ გედმა (1845—1922 წწ.) და პოლ ლაფარგმა (1842—1911 წწ.). თუკი ჟიულ გედი გადაიქცა იმ დროის საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობის ყველაზე გამოჩენილ ორგანიზატორად, ტაქტიკოსად და ორატორად, პოლ ლაფარგმა ძალიან მალე მოიხვეჭა საუკეთესო პროპაგანდისტისა და ბრწყინვალე პამფლეტისტის სახელი. 1877 წელს მათ დააარსეს გაზეთი „ეგალიტე“ („თანასწორობა“). ორივენი ახალგაზრდობისას გატაცებული იყვნენ ანარქისტული იდეებით, შემდეგ მარქსიზმის გაცნობამ ისინი დაარწმუნა მეცნიერული კომუნიზმის ჭეშმარიტებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჟ. გედი და კარლ მარქსის სიძე პ. ლაფარგი თავიანთი მოღვაწეობის საუკეთესო პერიოდშიც კი ვერ გახდნენ თანამიმდევარი რევოლუციონერი მარქსისტები.

„ეგალიტე“ ეწეოდა სოციალისტური იდეების გავრცელებას და მოუწოდებდა მუშათა კლასს ჩამოეყალიბებინა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია. მარქსისტებთან გაერთიანდნენ წვრილბურჟუაზიული სოციალისტური ჯგუფებიც და ერთობლივი ფრონტით შეუტიეს ბარბერეტიზმს. რადგან სოციალისტები მომხრენი იყვნენ წარმოების განსაზოგადოებისა, ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ კოლექტივისტებს.

1878 წელს მუშათა მეორე კონგრესზე ლიონში, თუმცა უმრავლესობა ბარბერეს მომხრეებს ეკუთვნოდა, უკვე გაისმოდა კოლექტივისტების ხმაც. 1879 წელს კი მუშათა მესამე კონგრესზე მარსელში უმრავლესობა კოლექტივისტებმა მოიპოვეს და მათ გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწიეს ბარბერეტისტებზე; კონგრესმა შექმნა პროლეტარული სოციალისტური პარტია, რომელსაც ეწოდა „მუშათა პარტია“.

1880 წელს ჰავრის კონგრესმა მიიღო პარტიის პროგრამა, რომლის შესავალი ნაწილი შეადგინა კ. მარქსმა. პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომები; მაგ., მოთხოვნა საწარმოში მომუშავე მუშებისათვის სახელმწიფო საწარმოების გადაცემის შესახებ. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სასტიკად გააკრიტი-

ყეს პროგრამაში შესული მცდარი დებულებები, მაგრამ მუშათა პარტიის ბელადებმა ჟიულ გედმა და პოლ ლაფარგმა უარი თქვეს პროგრამის გასწორებაზე.

ახალგაზრდა სოციალისტურ მოძრაობაში თავი იჩინა განხეთქილებამ. სანამ ებრძოდნენ ბარბერესა და მის მომხრეებს, ყველა მიმართულების სოციალისტები გაერთიანებულნი იყვნენ, ხოლო როდესაც მუშათა მოძრაობაში სოციალიზმმა საბოლოო გამარჯვება მოიპოვა, მუშათა პარტიაში მკაფიოდ გამოვლინდა ორი მიმდინარეობა: რევოლუციურ-მარქსისტული, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გედი და ლაფარგი, და წვრილბურჟუაზიულ-რეფორმისტული, რომლის სათავეშიც იდგნენ ბრუსი და მალონი. ეს უკანასკნელნი მარქსიზმს უპირისპირებდნენ ეკლექტიკურ პრუდონისტულ-ბაკუნისტურ შეხედულებებს. რადგან ბრუსი და მალონი იძლეოდნენ წინადადებას, რომ მუშები დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ იმით, რის მიღწევაც მარტოოდენ რეფორმების გზით იყო შესაძლებელი (possibilité), გედმა ამ მიმდინარეობის მომხრეებს უწოდა პოსიბილისტები. პოსიბილისტები მთავარ ამოცანად სახავდნენ სოციალისტების მიერ მუნიციპალიტეტების დაპყრობას. „მუნიციპალური სოციალიზმი“ საშიში იყო, რადგან მუშებში წარმოშობდა რეფორმისტულ ილუზიებს, აცდენდა მათ სწორი რევოლუციური გზიდან.

ამნისტიით კომუნარების განთავისუფლების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული ბლანკისტები ნაწილობრივ შევიდნენ მუშათა პარტიაში, სადაც შექმნეს გედისტებისა და პოსიბილისტებისაგან განცალკევებული ჯგუფი და დაიწყეს გაზეთ „არც ღმერთი, არც ბატონის“ გამოცემა. 1881 წელს ეს ჯგუფი ედუარდ ვაიანის ხელმძღვანელობით გამოიყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად — „ცენტრალურ რევოლუციურ კომიტეტად“. 1881 წელს ოგიუსტ ბლანკის გარდაცვალების შემდეგაც ბლანკისტები მთელ იმედებს ამყარებდნენ ერთი მუჭა შეთქმულთა მიერ პოლიტიკური გადატრიალების მოხდენის შესაძლებლობაზე და შემდგომ მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმების გატარებაზე, ე. ი. მათი თეორიები საქმით უარყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას.

1882 წელს სენტ-ეტიენის კონგრესზე მუშათა პარტია გაითიშა. გედისტებმა შექმნეს თავიანთი საკუთარი პარტია და შეინარჩუნეს ძველი სახელწოდება. პოსიბილისტებმა თავის ორგანიზაციას უწოდეს საფრანგეთის სოციალისტ-რევოლუციონერების მუშათა პარტია. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოიწონეს სენტ-ეტიენის კონგრესზე მომხდარი განხეთქილება. ფ. ენგელსი ყოველმხრივ დახმარე-

ბას უწევდა ჟ. გედსა და პ. ლაფარგს წვრილბურჟუაზიულ მიმართულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და, ამავე დროს, აკრიტიკებდა მათ სექტანტურ შეცდომებსა და გატაცებას „რევოლუციური ფრაზით“.

1882 წელს საფრანგეთში დაიწყო ეკონომიური კრიზისი, რომელიც გაგრძელდა 1885 წლამდე. ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და, განსაკუთრებით, საგაფიცო მოძრაობის აღმავლობა. მთავრობამ მიმართა რეპრესიებს, ჯარის დახმარებით დაიწყო გაფიცვების ჩახშობა.

საფრანგეთში მუშათა ხელფასი ძალიან დაბალი იყო, იგი ბევრად ნაკლები იყო ინგლისელი მუშების ხელფასზე და თანდათან იწყებდა ჩამორჩენას გერმანელი მუშების ხელფასიდანაც. თავიანთი საწარმოების ტექნიკური ჩამორჩენილობის კომპენსირებას ფრანგი მეწარმენი ცდილობდნენ ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გაზრდის ხარჯზე; განსაკუთრებით მძიმე იყო წვრილი საწარმოებისა და შინმომუშავე მუშების მდგომარეობა.

მუშათა კლასის უკმაყოფილებას მძიმე ეკონომიური მდგომარეობით დაემატა წვრილი ბურჟუაზიის აღშფოთება პანამის სკანდალით, რამაც საგრძნობლად დაასუსტა როგორც ზომიერი რესპუბლიკელების, ისე რადიკალების გავლენა მოსახლეობის ფართო ფენებზე. 1893 წლის არჩევნების დროს სოციალისტებმა შეაგროვეს 700 ათასი ხმა და პალატაში გაიყვანეს 30 დეპუტატი, მათ შორის გედი და ვაიანი. სოციალისტურ დეპუტატთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან მემარცხენე ბურჟუაზიული დაჯგუფებებიდან სოციალისტურ ფრაქციას შეუერთდა 20 დეპუტატი ჟორესის, მილიერანისა და ვივიანის ხელმძღვანელობით.

ჟან ჟორესს (1859—1914) ძლიერმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და პოლიტიკური მებრძოლის ტემპერამენტმა დიდი პოპულარობა მოუხვეჭა სოციალისტებს შორის. როგორც ოდესღაც რობესპიერმა, ისე ჟორესმაც „მოუსყიდველის“ სახელი დაიმკვიდრა. იგი იყო შესანიშნავი ისტორიკოსი, მგზნებარე მებრძოლი სოციალური უსამართლობის, კოლონიური დაპყრობებისა და ომის წინააღმდეგ. მაგრამ ჟორესს სწამდა, რომ სოციალიზმამდე მისვლა და სოციალისტური საზოგადოების დამყარება შესაძლებელია არა კლასობრივი ბრძოლით, არამედ კლასთა შერიგებით.

ჟორესის, მილიერანისა და ვივიანის მომხრეები გაერთიანდნენ დამოუკიდებელ სოციალისტებად. უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1890 წელს პოსიბილისტებს ჩამოსცილდა ერთი ნაწილი ჟორჟ ალემანის ხელმძღვანელობით; ალემანისტები თვლიდნენ, რომ პროლეტა-

რიატს თავისი მიზნების მიღწევა შეუძლია საყოველთაო ეკონომიური გაფიცვის გზით და, ამდენად, პროლეტარიატის მთავარ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ არა პარტიას, არამედ სინდიკატებს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთის პროლეტარიატის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დანაწევრებული აღმოჩნდა გედისტებს, პოსიბილისტებს, ალემანისტებს, ბლანკისტებსა და დამოუკიდებელ სოციალისტებს შორის.

მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის მნიშვნელოვან ხელშეშლებს ჰქმნიდა არა მარტო პროლეტარიატის დაქსაქსულობა, არამედ საფრანგეთის ერთადერთი მარქსისტული პარტიის — გედისტების არათანმიმდევრობაც. გედისტები, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღოდათ საფრანგეთის მუშათა კლასის პოლიტიკური თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში, უშვებდნენ უხეშ შეცდომებს. მაგალითად, პროფკავშირებში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ მათ 1894 წელს მიატოვეს პროფკავშირული ყრილობა. გედისტების ამ ტაქტიკური შეცდომით დაუყოვნებლივ ისარგებლეს პროფკავშირებში შეღწეულმა ანარქისტებმა და მათთან მონაწილეობა ნებაყოფლობრივად ანარქისტულმა ჯგუფებმა თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად. ამავე დროს 1893 წლის აგვისტოში დეპუტატთა პალატის არჩევნებისას სოციალისტების მიერ მოპოვებულმა მნიშვნელოვანმა წარმატებამ გააძლიერა გედისტებში პარლამენტარული ილუზიები და მუშათა მოძრაობისათვის საშიში ცალმხრივი გატაცება პარლამენტური საქმიანობით.

რეაქციის შეტევაზე გადასვლა და დრეიფუსის საქმე (1893-00)

სოციალისტური მოძრაობის წარმატებებმა კიდევ უფრო მეტად გაამემარჯვენეს ზომიერი რესპუბლიკელები (ოპორტუნისტები), რომელთაც თავიანთ თავს უწოდეს „პროგრესისტები" და გააძლიერეს მათში კლერიკალურ და როიალისტურ დაჯგუფებებთან საერთო ენის გამოძებნის ტენდენცია. მეორე მხრივ, ბულანჟიზმის კრახმა კლერიკალებისა და როიალისტების უმრავლესობა დაარწმუნა საფრანგეთში მონარქიის აღდგენის შეუძლებლობაში.

1891 წელს გამოქვეყნებულ ენციკლიკაში (მიმართვაში) რომის პაპმა ლეო XIII-ემ მოუწოდა ფრანგ კათოლიკეებს ეღიარებინათ მესამე რესპუბლიკა. კლერიკალებისა და როიალისტების უმრავლესობამ პაპის წინადადების შესაბამისად გრაფ დიუ მენისა და ჟ. პიუს ხელმძღვანელობით გამოაცხადა, რომ უერთდება რესპუბლიკას.

„მიერთებულნი“ („rallié“) მიზნად ისახავდნენ საფრანგეთში არსებული წყობილების აღიარების გზით გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობაზე და შეენარჩუნებინათ მნიშვნელოვანი პოზიციები საჯელმწიფო აპარატში, უპირველეს ყოვლისა არმიის ხელმძღვანელობაში, რომელიც თითქმის მთლიანად კლერიკალურად განწყობილ რეაქციონერი მონარქისტებისაგან შედგებოდა.

ძალიან ცოტა მონარქისტი დარჩა „შეურიგებელი“, ხოლო ზოპიერ რესპუბლიკელთა ხელმძღვანელობაში მოსულმა ახალგაზრდა ეაობამ — რ. პუანკარემ, ჟ.-ლ. ბარტუმ და სხვებმა, რომლებმაც დაიკავეს ამ ბურჟუაზიული პარტიის ძველი ლიდერების — ჟ.-ფ. სიმონის, შ.-თ. ფლოკესა და სხვათა ადგილი, ადვილად შეცვალეს ლოზუნგი „კლერიკალიზმი მთავარი მტერია“ ლოზუნგით „სოციალიზმი მთავარი მტერია“. სწორედ სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლამ საბოლოოდ დაუახლოვა ერთმანეთს „მიერთებულნი“ და ზომიერი რესპუბლიკელები. ძალიან მალე ამ ორმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ გამონახა საერთო ენა საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებშიც.

ბურჟუაზიული დიქტატურის განსამტკიცებლად და მშრომელთა ექსპლუატაციის გასაძლიერებლად 1893 წლის დეკემბერში დეპუტატთა პალატამ შექმნა უაღრესად მემარჯვენე მთავრობა მსხვილი ბანკირისა და ქვანახშირის მრეწველის ორლეანისტ ჟან-პოლ-პიერ კაზიმირ-პერიეს ხელმძღვანელობით.

რეაქციის შეტევაზე გადასვლა ანარქისტებმა უპასუხეს ტერორისტული აქტების მოწყობით. 1894 წლის 24 ივნისს ლიონში ანარქისტმა კაზერიომ მოკლა რესპუბლიკის პრეზიდენტი სადი კარნო. საფრანგეთის ახალ პრეზიდენტად პირწავარდნილ რეაქციონერ კაზიმირ-პერიეს არჩევა წარმოადგენდა აშკარა გამოწვევას დემოკრატიის მიმართ. ამავე დროს მემარჯვენე ბურჟუაზიულმა ძალებმა ანარქისტთა ტერორისტული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით იერიში მიიტანეს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე. 1893 წლის მიწურულში მიღებულ კანონს პრესის შეზღუდვის შესახებ დაემატა 1894 წლის 28 ივლისის კანონი „ანარქისტული აგიტაციის ჩახშობის“ ზომების შესახებ. ეს „ავაზაკური კანონები“ მთავრობამ პირველ რიგში თავს დაატეხა სოციალისტებსა და სოციალისტურ პრესას. მაგალითად, საფრანგეთიდან გაასახლეს ცნობილი რუსი მარქსისტი გ. ვ. პლეხანოვი, თუმცა იგი შეუპოვრად აკრიტიკებდა ანარქისტებს.

სოციალისტებმა დემოკრატიული მასებისა და რადიკალების

მხარდაჭერით გააჩაღეს ძლიერი კამპანია რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ. კაზიმირ-პერიეს პრეზიდენტობიდან გადაყენებისა და „ავაზაკური კანონების“ გაუქმებისათვის ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ჟან ჟორესმა. მთავრობა იძულებული გახდა 1895 წლის დასაწყისისათვის ფაქტიურად შეეწყვიტა „ავაზაკური კანონების“ ცხოვრებაში გატარება, ე. ი. სოციალისტური პრესის დევნა, ხოლო კაზიმირ-პერიემ ამჯობინა გადამდგარიყო პრეზიდენტის პოსტიდან. მაგრამ მიღწეული წარმატება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა დემოკრატიის გამარჯვებას. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია, რომ 1895 წლის იანვარში საფრანგეთის პრეზიდენტად არჩეული ფელიქს ფორი დაკავშირებული იყო დეპუტატთა პალატისა და სენატის რეაქციულ უმრავლესობასთან.

ზომიერ რესპუბლიკელთა და „მიერთებულთა“ ბლოკს ხელი არ აუღია თავის რეაქციულ მიზნებზე. მან მხოლოდ შეცვალა ტაქტიკა: სკანდალური რეპუტაციის მქონე დიდი ფრანგი ბანკირისა და სპეკულანტის კაზიმირ-პერიეს ნაცვლად პრეზიდენტად გაიყვანა ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ასევე კონსერვატიული პიროვნება ფელიქს ფორი; ცენზურის შესუსტება 1895 წლის დასაწყისში და ლეონ ბურჟუას რადიკალური კაბინეტის ჩამოყალიბება 1895 წლის ნოემბერში წარმოადგენდნენ მხოლოდ დროებით დათმობებს; რამდენიმე თვის შემდეგ. 1896 წლის აპრილში ამ შედარებით პროგრესული მთავრობის ადგილი დაიკავა აშკარად მემარჯვენე მელინის სამინისტრომ.

რეაქციის ალაგმვას დიდად აფერხებდა დემოკრატიული მოძრაობის დაქსაქსულობა, რასაც პირველ რიგში ადგილი ჰქონდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობის საქმეში. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ საფრანგეთის დემოკრატია არ აპირებდა იერიშზე გადმოსულ რეაქციასთან შებრძოლებას. XIX საუკუნის მიწურულისათვის საფრანგეთში პოლიტიკური სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. „ხალხის უშუალოდ მისაყვანად სამოქალაქო ომამდე საკმარისი აღმოჩნდა ისეთი „მოულოდნელი“ და ისეთი „წვრილმანი“ საბაბი, როგორიც იყო რეაქციული სამხედრო ხროვის ერთი არაკეთილსინდისიერი ოინი მრავალ ათასიდან (დრეიფუსის საქმე)“[1].

დრეიფუსის საქმე დაიწყო 1894 წლის სექტემბერში, როდესაც ფრანგულ დაზვერვას ხელთ ჩაუვარდა პარიზში გერმანიის სამხედრო ატაშეს სახელზე გაგზავნილი წერილი ე. წ. ბორდერო (აღწერა).

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, თხზ., გამოც IV. ტ. 31. გვ. 105—106.

ბორდერო ხელმოუწერელი იყო, მაგრამ შინაარსი აშკარად მეტყველებდა, რომ იგი ეკუთვნოდა საფრანგეთის გენერალური შტაბის ერთ-ერთ ოფიცერს, რომელიც გერმანელებს სთავაზობდა საიდუმლო ხასიათის სამხედრო დოკუმენტებს.

საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები, სამხედრო მინისტრ მერსიეს ჩათვლით, გამოაშკარავებული ბოროტმოქმედების ობიექტურად და ყოველმხრივი გამოკვლევისა და ჭეშმარიტი დამნაშავის დადგენის ნაცვლად აჰყვნენ გულისთქმას და ჯაშუშობა მიაწერეს გენერალური შტაბის ოფიცერს კაპიტან დრეიფუსს. საფრანგეთის რეაქციულ-კლერიკალურმა სამხედრო ხროვამ თავის უდანაშაულო მსხვერპლად აირჩია კაპიტანი დრეიფუსი, რადგან იგი ებრაელი იყო. არისტოკრატიული წრეებიდან გამოსულ ფრანგულ მხედრიონს დიდი ხანია აღშფოთებდა ოფიცერთა შორის და მით უფრო გენერალურ შტაბში „პლებეების" და განსაკუთრებით ებრაელების გამოჩენა. იეზუიტთა აღზრდილებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ შემთხვევით და უდანაშაულო ებრაელი ოფიცრის დასჯით შური ეძიათ მათი კასტური ინტერესების შემლახველებზე.

დასახული მიზნის მისაღწევად საფრანგეთის რეაქციულმა სამხედრო ხროვამ უგულებელყო კვალიფიცირებული ექსპერტიზის შედეგები და ბორდეროს დამწერის ხელის დასადგენად მოიწვია ამ საქმეში არაკომპეტენტური პირები. სამხედრო უწყებამ გამოიყენა ცრუმოწმის, კაპიტან ანრის ჩვენება და ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე მემარჯვენე პრესის საშუალებით გააჩაღა ანტისემიტური კამპანია ებრაელი ოფიცრის წინააღმდეგ. სამხედრო სამინისტრომ გამოატანინა სასამართლოს მისთვის სასურველი განაჩენი. დრეიფუსს აჰყარეს ოფიცრის წოდება, მიუსაჯეს მუდმივი პატიმრობა და გადაასახლეს სამხრეთ ამერიკაში, ფრანგულ გვიანასთან მდებარე ეშმაკის კუნძულზე, სადაც იგი იმყოფებოდა უმძიმეს საპატიმრო რეჟიმში.

1896 წელს საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირმა, კოლონელმა პიკარმა ფრანგული დაზვერვიდან მიღებული წერილობითი წყაროების გზით შეძლო ზუსტად დაედგინა, რომ გერმანელი ატაშეს ჭეშმარიტი აგენტი იყო საფრანგეთის სამხედრო სამსახურში მყოფი, წარმოშობით უნგრელი არისტოკრატი, მორალურად გახრწნილი პიროვნება ესტერჰაზი, რომელიც საფრანგეთის გავლენიანი სამხედრო წრეების მფარველობით სარგებლობდა. რათა არ დაეშვა ჭეშმარიტების გამომჟღავნება, საფრანგეთის სამხედრო ხროვამ კოლონელი პიკარი ჯერ გააგზავნა ტუნი-

სის საზღვარზე იმ იმედით, რომ იქ მას მოკლავდნენ, შემდეგ კი დაითხოვა სამსახურიდან პენსიის უფლების ჩამორთმევით.

ამავე დროს კაპიტან ალფრედ დრეიფუსის ძმა მატიეზი კერძო წესით აგროვებდა დამატებით ინფორმაციას, რათა დაემტკიცებინა ალფრედისადმი გამოტანილი განაჩენის უსაფუძვლობა. დრეიფუსების მდიდარმა ებრაულმა ბურჟუაზიულმა ოჯახმა შეაგროვა ესტერჰაზის საფრანგეთისადმი მტრული დამოკიდებულებისა და ჯაშუშური საქმიანობის უდავოდ მამხილებელი მასალა, მაგრამ ანტისემიტურად განწყობილმა რეაქციულმა ფრანგულმა მხედრიონმა მატიეზ დრეიფუსის მიერ ესტერჰაზის წინააღმდეგ აღძრულ პროცესზე სასამართლოს გაამართლებინა თავისი პროტეჟე.

ამ პროცესის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ, 1898 წლის 13 იანვარს სახელგანთქმულმა ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ მიმართა ღია წერილით საფრანგეთის პრეზიდენტს ფელიქს ფორს. კაპიტან დრეიფუსის წინააღმდეგ ჩადენილი უსამართლობის მონაწილეთა ბოროტმოქმედებებისა და შეცდომების ინდივიდუალურად გარჩევის შემდეგ, დიდი ფრანგი პროზაიკოსი და მოქალაქე მიუთითებდა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი პიროვნებები განასახიერებენ სოციალურ უსამართლობას, ხოლო მათ წინააღმდეგ პრესაში ღია წერილის გამოქვეყნება ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მიღწევის დასაჩქარებლად გამოყენებული რევოლუციური საშუალებაა.

ემილ ზოლას წერილმა „მე ბრალსა ვდებ“ მოახდინა არაჩვეულებრივი ეფექტი, მან დააჩქარა ანტიდრეიფუსართა ბლოკში შეკავშირებული რეაქციის საპირისპიროდ დემოკრატიის გაერთიანება დრეიფუსართა ბანაკში; დრეიფუსის საქმე სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა. თავდაპირველად უპირატესობა ანტიდრეიფუსართა მხარეზე იყო, რეაქციონერებმა დაიწყეს ემილ ზოლას დევნა სასამართლო წესით და გათავხედებული შოვინისტური ბრბოების მის წინააღმდეგ წაქეზების გზით. სახელოვანი ფრანგი მწერალი იძულებული გახდა წასულიყო საზღვარგარეთ. კლერიკალურ-მონარქისტულმა წრეებმა დრეიფუსისა და ზოლას სასამართლო პროცესები გამოიყენეს შოვინიზმისა და რელიგიური ფანატიზმის გასაძლიერებლად. იმ დროს საფრანგეთში ცხოვრობდა არაუმეტეს 70 ათასი ებრაელისა, მაგრამ ებრაულ ბურჟუაზიას ძლიერი მატერიალური პოზიციები გააჩნდა, რითიც სარგებლობდნენ რეაქციული ძალები და მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში აღვივებდნენ ანტისემიტიზმს. ანტისემიტიზმს კი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლების მოწინააღმდეგეები მოხერხებულად იყენებდ-

ნენ დიფერსიულ საშუალებად მესამე რესპუბლიკის სათავეში სამ-ხედრო ხელისუფლების ჩაყენებისათვის ბრძოლის საქმეში.

მოწინავე ფრანგული ინტელიგენცია გამოჩენილი მწერლის ანატოლ ფრანსისა და ცნობილი მეცნიერის ელიზე რეკლიუს მოთავეობით გაჰოქმაგა ალფრედ დრეიფუსსა და ემილ ზოლას. დემოკრატიული საფრანგეთი აღსდგა აღვირახსნილი რეაქციის წინააღმდეგ. 1898-99 წლებში დრეიფუსის საქმით გამოწვეულმა ვნებათა ღელვამ მიაღწია უდიდეს მასშტაბებს. სამხედრო მინისტრები ზედიზედ ტოვებდნენ თავიანთ პოსტს ნიშნად პროტესტისა, რომ თითქოს მთავრობა სათანადოდ არ იცავდა საფრანგეთის არმიის „ღირსებას".

1898 წელს გამოაშკარავდა ახალი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებდა ჭეშმარიტების განზრახ ფალსიფიკაციას სამხედრო ხელისუფალთა მიერ: ცრუმოწმე ანრიმ მოიკლა თავი, საფრანგეთიდან გაიქცა ესტერჰაზი. ბრძოლა მიმდინარეობდა უკვე არა მხოლოდ დრეიფუსის გამართლებისა თუ გამტყუნების თაობაზე, არამედ იმის ირგვლივ, თუ ვინ გაიმარჯვებდა — დემოკრატია თუ რეაქცია.

1899 წლის თებერვალში მოულოდნელად გარდაიცვალა ფელიქს ფორი. საფრანგეთის ახალ პრეზიდენტად რადიკალების ინიციატივით არჩეულ იქნა ზომიერი რესპუბლიკელი ემილ ლუბე, რომელიც ითვლებოდა დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მომხრედ. 1899 წლის 23 თებერვალს პრეზიდენტ ფორის დაკრძალვის დროს ნაციონალ-მონარქისტული ბანდები დერულედის ხელმძღვანელობით სახელმწიფო გადატრიალების მოხდენასაც კი შეეცადნენ, თუმცა უშედეგოდ.

1899 წლის 4 ივნისს ე. წ. „ოქროს ახალგაზრდობამ" მოაწყო პრეზიდენტ ლუბეს მიმართ მტრული გამოსვლა და შეურაცხყოფაც კი მიაყენა მას. რეაქციის ამ გამოხდომის წინააღმდეგ სოციალისტური პარტიების ერთობლივი მოწოდებით პარიზის მოსახლეობამ კვირა ღღეს, 11 ივნისს ჩაატარა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომლის შედეგადაც დემოკრატიულმა ძალებმა საბოლოოდ გამოგლიჯეს ქუჩა ანტიდრეიფუსართა რეაქციულ ბრბოებს.

საფრანგეთის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ, მათივე კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მწვავე პოლიტიკურ ბრძოლად გადაზრდილ დრეიფუსის საქმის დამთავრება. დრეიფუსის საქმეს ჩაითრია აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში საფრანგეთის მოსახლეობის უფართოესი მასები და, პირველ რიგში, მუშათა კლასში გამოიწვია რევოლუციური განწყობილების გაძლიერება. რეაქციულ-

მილიტარისტული ხროვის მიერ წამოწყებული ეს ანტისემიტური პროვოკაცია შემოტრიალდა საფრანგეთის ბურჟუაზიის, როგორც კლასის წინააღმდეგ, რადგან საზოგადოების გათიშულობა მოუყენა სამოქალაქო ომის ზღურბლამდე. რაც შეეხება თვით ალფრედ დრეიფუსის პიროვნებას, მის შესახებ სოციალისტური პარტიის ერთმა ბოღვაწემ, რომელიც კარგად იცნობდა ბრალდებულს, გონებამახვილურად შენიშნა, რომ „მას არ გააჩნდა არავითარი მოწოდება ამ როლისადმი, რომელიც მას თავს მოახვია ისტორიის კაპრიზმა: ის რომ დრეიფუსი არ ყოფილიყო, იქნებოდა კი დრეიფუსარი?"

1899 წელს მოეწყო სასამართლო წესით დრეიფუსის საქმის გადასინჯვა. 9 სექტემბერს, მიუხედავად სამხედრო ხროვის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა აშკარა უსაფუძვლობისა, სასამართლომ ორი ხმის წინააღმდეგ სუთი ხმის უმრავლესობით ცნო დრეიფუსი დამნაშავედ, მაგრამ შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო დრეიფუსს პატიმრობის ვადა შეუმცირა ათ წლამდე. ათი დღის შემდეგ, 19 სექტემბერს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ემილ ლუბემ ჯანმრთელობის მდგომარეობის საბაბით შეიწყნარა დრეიფუსი და 1899 წლის 20 სექტემბერს ალფრედ დრეიფუსი ინდივიდუალური ამნისტიის წესით გაათავისუფლეს პატიმრობიდან, მეორე დღეს კი სამხედრო მინისტრმა გალიფემ სპეციალური ბრძანებით განაცხადა, რომ „ინციდენტი ამოწურულიაო".

სინამდვილეში დრეიფუსის საქმე არ იყო „ამოწურული", რადგან არავითარი შემამსუბუქებელი გარემოებები ან შეწყალების საფუძველი არ შეიძლებოდა ჰქონოდა ესოდენ გახმაურებულ ოფიცრის ჯანუშობას, თუკი ბრალდებულმა ჭეშმარიტად ჩაიდინა სამხედრო ღალატი. მაგრამ რეაქციული წრეებისათვის მთელ სიძნელეს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ დრეიფუსი სრულიად უდანაშაულო იყო. საფრანგეთის სასამართლოს კვლავ მოუხდა დაბრუნებოდა ამ 1899 წელს „ამოწურულ" საქმეს და 1905 წელს დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო მოეხდინა დრეიფუსის სრული რეაბილიტაცია; მით უფრო, დრეიფუსის საქმე არ იყო მხოლოდ და მხოლოდ „ინციდენტი", იგი წარმოადგენდა დიდ პოლიტიკურ კრიზისს, რომლიდანაც თავის დაღწევის მიზნით საფრანგეთის ბურჟუაზიას მოუხდა რთული პოლიტიკური მანევრის განხორციელება ვალდეკ-რუსოს მთავრობის ჩამოყალიბების სახით.

1899 წლის 11 ივნისის გრანდიოზული დემონსტრაციის შემდეგ ბურჟუაზიამ ვალდეკ-რუსოს ხელმძღვანელობით შექმნა „რესპუბლიკური კონცენტრაციის მთავრობა". ვალდეკ-რუსომ გამოაცხადა, რომ მას სურს რესპუბლიკის ყველა მომხრეთა გაერთიანება. განურ-

ჩევლად პარტიათა სხვადასხვაობისა. მან თავისი კაბინეტის შემადგენლობაში შესვლის წინადადება მისცა გენერალ გალიფეს, პარიზის კომუნის ერთ-ერთ ჯალათს, და „სოციალისტ“ მილიერანს. მილიერანმა უყოყმანოდ მიიღო ვალდეკ-რუსოს წინადადება და გენერალ გალიფესთან ერთად შევიდა „რესპუბლიკური კონცენტრაციის მთავრობაში“.

მილიერანის ეს ნაბიჯი გაამართლა ჟან ჟორესმა, რადგან მან არასწორად შეაფასა საფრანგეთის პოლიტიკური სიტუაცია XIX საუკუნის მიწურულში და უპირველეს ამოცანად რესპუბლიკის გადარჩენა მიიჩნია. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, სინამდვილეში „რესპუბლიკა უკვე ფაქტი იყო და მას არავითარი სერიოზული საფრთხე არ ემუქრებოდა“. „რესპუბლიკის ხსნისა და სოციალიზმის ინტერესების დაცვის“ საბაბით ვალდეკ-რუსოს მთავრობაში მილიერანის შესვლამ ხელი შეუწყო საფრანგეთის ბურჟუაზიას ვამოეყვანა რეაქცია უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობიდან, განემუხტა დრეიფუსის საქმით შექმნილი დაძაბულობა და გაეძლიერებინა მუშათა კლასში რეფორმისტული ილუზიები.

ჟიულ გედმა და ედუარდ ვაიანმა სამაროლიანად დაგმეს მილიერანის საქციელი, მაგრამ გადავარდნენ მეორე უკიდურესობაში და გამოაცხადეს, რომ მუშათა კლასის ჰეგემარიტმა წარმომადგენელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ მთავრობაშიო. საკითხის ამგვარი დაყენებით მათ ერთმანეთში აურიეს პროლეტარიატის მონაწილეობა იმ მთავრობაში, რომელიც სოციალისტურ გადატრიალებას უწევს წინააღმდეგობას და პროლეტარიატის მონაწილეობა დემოკრატიული რევოლუციის ხელისუფლებაში.

ამგვარად, 1899 წლის 18 ივნისს ვალდეკ-რუსოს მთავრობაში მილიერანის შესვლამ არა მარტო გაუადვილა საფრანგეთის ბურჟუაზიას თავისი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება, არამედ ჩაშალა, ერთიანი პროლეტარული პარტიის შექმნისაკენ მუშათა კლასის სტიქიური მისწრაფების შედეგად, საფრანგეთში სოციალისტურ მიმდინარეობებს შორის დაწყებული დაახლოება. ამ ე. წ. „მილიერანის კაზუსმა“ გამოიწვია მწვავე პოლემიკა, ერთი მხრივ, ჟორესისა და, მეორე მხრივ, გედისა და ვაიანის მომხრეებს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატები XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში (1870-98)

სამოქალაქო ომისა და რეკონსტრუქციის შემდეგ კაპიტალიზმის მეტად სწრაფი განვითარება დაიწყო. სამხრეთში მონათმფლობელურ-პლანტატორული სისტემის ლიკვიდაციამ წაშალა კაპიტალიზმის განვითარებისათვის ხელის შემშლელი უკანასკნელი ზღუდე. 1860 წელს აშშ-ს წარმოების მოცულობით მსოფლიოში მეოთხე ადგილი ეკავა, 1894 წლის მონაცემებით კი იგი უკვე მსოფლიოს პირველი სამრეწველო ქვეყანა გახდა. აღნიშნულ წელს აშშ-ში გამოუშვეს 9.498 მილიონი დოლარის ღირებულების წარმოების პროდუქცია, ინგლისში — 4.263 მილიონის, გერმანიაში — 3.357 მილიონის, საფრანგეთში 2.900 მილიონისა. 1860 წელთან შედარებით 1894 წლისათვის წარმოების პროდუქციის საერთო ღირებულება შვიდჯერ გაიზარდა. 1860 წელს წარმოებაში დაბანდებული იყო 1 მილიარდი დოლარი. ამავე წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო 1.5 მილიონი მუშა. დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ კაპიტალდაბანდებამ 12 მილიარდზე მეტს მიაღწია; წარმოებაში ჩაბმული იყო 7.5 მილიონზე მეტი მუშა. წარმოების წლიური პროდუქციის ღირებულება 15 მილიარდ დოლარს აღწევდა. სამოქალაქო ომამდე აშშ ეკონომიურად ევროპის კოლონიად რჩებოდა. ომის შემდეგ ერთი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იგი მსოფლიოში უპირველეს ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანად იქცა.

აშშ-ში უპირველეს ყოვლისა აღინიშნება მძიმე ინდუსტრიის სწრაფი ზრდა. 1870 წელს აქ მოპოვებულ იქნა 33 მილიონი ტონა ქვანახშირი, 1890 წელს — 230 მილიონი. ამჯერად, მან ქვანახშირის მოპოვებაში მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა და მნიშვნელოვნად გაუსწრო ინგლისს. 1870 წელს ფოლადის წარმოებით იგი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. 1870 წელს აშშ-ში გამოადნეს 2.3 მილიონი ტონა ფოლადი და რკინა, 1900 წელს — 29.8 მილიონი. ამჯერად მისი პროდუქცია ფოლადის მსოფლიო წარმოების თითქმის ნახევარს უდრიდა. შავ მეტალურგიასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა ფერადი ლითონების მოპოვება და წარმოე-

ბა (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუთია და სხვ.). XIX საუკუნის 90-იან წლებში ადგილი ჰქონდა ქიმიური მრეწველობის სწრაფ ზრდას, რაც თავის მხრივ, ხელოვნური სასუქების გამოყენების შედეგად ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

აშშ-ში ფართო განვითარება პოვა წარმოების ახალმა დარგებმა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ნავთობის, ქიმიური, ლითონჩამომსხმელი და ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის განვითარების მაღალი დონე (კლივლენდი, ჩიკაგო, პიტსბურგი და სხვ.); წარმოებაში ელექტროენერგიის გამოყენებამ ფართო ხასიათი მიიღო. აშშ-ის თითქმის ყველა ქალაქში აშენდა დიდი სიმძლავრის თბოელექტროსადგურები. თავდაპირველად ელექტროენერგიას იყენებდნენ ტრანსპორტის (80-იან წლებში ქალაქებში ამოძრავდა ტრამვაი. პირველად იგი გამოჩნდა ვირჯინიის შტატში, ქ. რიჩმონდში), განათების (1878 წელს გაკეთდა პირველი ელექტრონათურა, რომელმაც მალე ფართო გავრცელება პოვა) და კავშირგაბმულობისათვის (ტელეგრაფი,1876 წლიდან—ტელეფონი). 1893 წელს კონეკტიკუტში ელექტროენერგიის გამოყენებით ამოძრავდა საფეიქრო ფაბრიკა, ამიერიდან მრეწველობაში ელექტროენერგიის დანერგვამ ფართო ხასიათი მიიღო. ელექტრომანქანებისა და ელექტროდანადგარების წარმოება ხელთ იგდო 1892 წელს დაარსებულმა დიდმა გაერთიანებამ „ჯენერალ ელექტრიკმა“.

აშშ რკინიგზების ფართო ქსელით დაიფარა, რაც კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საწინდარი გახდა. 1860 წელს აშშ-ში იყო 50.000 კილომეტრი რკინიგზა, 1903 წელს—400.000 კილომეტრი, 1910 წელს—406.459 კილომეტრი, რაც მსოფლიო სარკინიგზო ქსელის ნახევარზე მეტს უდრიდა. რკინიგზაში დასაქმებული იყო ორ მილიონამდე მუშა; XIX—XX საუკუნის მიჯნაზე აშშ მსოფლიოში პირველი სარკინიგზო ქვეყანაა. აშშ-ში გაყვანილ იქნა რამდენიმე ტრანსკონტინენტული რკინიგზა. პირველი ასეთი გზის მშენებლობა („იუნიონ პასიფიკ“, ანუ „სენტრალ პასიფიკ“) 1862 წელს დაიწყო და 1869 წლის 6.XII დამთავრდა. ეს გზა აკავშირებდა ნიუ-იორკს, ჩიკაგოსა და სან-ფრანცისკოს. იგი მსოფლიოში ყველაზე გრძელი მაგისტრალი იყო. 1881 წელს გაყვანილ იქნა დიდი ტრანსკონტინენტული მაგისტრალი: აჩისონ-ტოპიკა-სანტა ფე; 1882 წელს—„ნორზერნ პასიფიკ“; 1893 წელს—„გრეით ნორზერნ“; 1910 წელს ჩიკაგო-მილუოკი-სენტ პოლის გზა; სარკინიგზო კომპანიები მთავრობის დიდი დახმარებით სარგებლობდნენ. მათ ეძლეოდათ დიდი სუბსიდიები და რკინიგზების გასწვრივ მიწის უზარმაზარი ტერიტორიები (სახნავ-სათესი, საძოვრები, ტყეები, წიაღისეუ-

ლით მდიდარი ნაკვეთები და სხვ.). რკინიგზების სწრაფ მშენებლობას განაპირობებდა მრავალი ფაქტორი, მათ შორის: მრეწველობის განვითარება, ინდიელებისაგან მიტაცებული და დასავლეთის თავისუფალი მიწების სწრაფი ათვისებისაკენ ლტოლვა, აღმოსავლეთ შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროსთან დაკავშირების ეკონომიური და პოლიტიკური აუცილებლობა, დასავლეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონებიდან აღმოსავლეთის სამრეწველო რაიონებში და, პირიქით, სამრეწველო რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში შისაფერისი პროდუქციის სწრაფი გადაზიდვის აუცილებლობა და სხვ. სამოქალაქო ომამდე დასავლეთში დასახლების პიონერები რკინიგზის მოლოდინში რჩებოდნენ. ომის შემდეგ პირიქით ხდება: რკინიგზები წინასწარ გაჰყავთ, ამიერიდან უკვე რკინიგზა ელოდება გადმოსახლებულებს. ასეთ ვითარებაში დასავლეთის დასახლებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო.

რკინიგზების ფართო ქსელის შექმნამდე შტატები ურთიერთს ვერტიკალურად (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) უკავშირდებოდნენ (მდინარე მისისიპი შენაკადებით, რომლებიც დაახლოებული იყვნენ დიდი ტბების აუზთან და ურთიერთს უკავშირდებოდნენ არხების სისტემით). ამიერიდან შესაძლებელი გახდა მათი ჰორიზონტალური კავშირი ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეთა შორის. დასავლეთთან მოვაჭრე აღმოსავლეთის ძველი შტატები დაუკავშირდნენ დასავლეთის ახალ შტატებს და ამით აზიასთან ვაჭრობის ფართო შესაძლებლობა შექმნეს. ფართოდ დაინერგა აგრეთვე გზატკეცილებისა და არხების მშენებლობა, აიგო მრავალი ნავსადგური. XIX საუკუნის დამლეგს აშშ-ში დიდ წარმატებას მიაღწია ახალმა სატრანსპორტო საშუალებამ — ავტომობილმა. 1900 წელს აშშ-ში იყო 8.000 ავტომანქანა.

აშშ-ში ფართოდ ვითარდება აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა. განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ფეხსაცმელების, ქსოვილების, ტანისამოსის, კონსერვების, თამბაქოს, ხე-ტყის, რეზინისა და სხვათა წარმოება. სამაცივრო საქმეში მოპოვებულმა წარმატებებმა სახორცე-საკონსერვო წარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობა შექმნა.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებას მძლავრ სტიმულს აძლევდა ტექნიკური რევოლუცია, რომელმაც შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია. უმჯობესდება სამრეწველო პროცესების ორგანიზების მეთოდები. ტექნიკური გადატრიალება შეერთებულ შტატებში უკვე XVIII საუკუნის დამლეგს დაიწყო. 1793 წელს გამოიგონეს ბამბის საწმენდი მანქანა. XIX საუკუ-

ნის პირველ ნახევარში ტექნიკურმა გაუმჯობესებებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1807 წელს წყალში ჩაუშვეს ორთქლის გემი, 1809 წელს ააგეს ქაღალდის მანქანა, 1831 წელს — სათიბი მანქანა, 1832 წელს გაიყვანეს პირველი ტელეგრაფი, 1836 წელს შექმნეს სამკალი მანქანა, იმავე წელს გამოიგონეს ფოსფორიანი ასანთი, 1844 წლიდან დაინერგა კაუჩუკის ვულკანიზაცია, 1845 წელს შექმნეს პნევმატიური საბურავი, 1846 წელს გამოიგონეს ფეხსაცმლის საკერავი მანქანა, იმავე წელს შეიქმნა როტაციული მანქანა, 1847 წელს დაინერგა ბესემერირების პროცესი, 1849 წელს გამოიგონეს ტურბინა, 1851 წელს აიგო პირველი ელმავალი, 1868 წელს—ვაგონი-მაცივარი და სხვა მრავალი. 70-იან წლებში გაცემულ იქნა 125.000-ზე მეტი პატენტი სხვადასხვა გამოგონებაზე, 80-იან და 90-იან წლებში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მრავალრიცხოვან გამოგონებათა შორის ყურადღებას იპყრობს ტელეფონი (1876), ფონოგრაფი (1877), ელექტრონათურა (1879), ლინოტიპი (1880), ფოტოფირი (1881), ცვლადი დენი (1892), მუხლუხა ტრაქტორი (1900), სალეწი მანქანა. სამკალი, ლოკომობილი და სხვა მრავალი. 1895 წელს შეიქმნა კინემატოგრაფი. ამერიკულმა ტექნიკურმა აზროვნებამ გენიალური ედისონის მეთაურობით საყოველთაო აღიარება პოვა.

ამერიკული წარმომავლობის ტექნიკური სიახლეების გარდა შეერთებულ შტატებში ფართოდ ინერგებოდა აგრეთვე ყველაფერი ახალი, რაც ტექნიკურ სამყაროში იქმნებოდა ევროპის მიერ. ევროპულ ტექნიკასთან ერთად აშშ ფართოდ იყენებდა ევროპულ კაპიტალსაც.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში აშშ მაღალგანვითარებული კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყანა გახდა. XIX საუკუნის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში აქ ხორბლის მოყვანა თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. საუკუნის დასასრულს აშშ ამზადებდა ხორბლის მსოფლიო პროდუქციის თითქმის ერთ მეოთხედს. უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იგი ხორბლის მსოფლიო ბეღლად იქცა და ამ საქმეში რუსეთიც კი უკან ჩამოიტოვა.

მნიშვნელოვნად განვითარდა აშშ-ის ბამბის წარმოება, აშშ-სა და ევროპაში საფეიქრო წარმოების აღმავლობის პირობებში აშშ-ში ბამბის ნედლეულზე მოთხოვნილება გაიზარდა. მაგალითად, არსებული ცნობების მიხედვით 1880 წელს აშშ-ში მოიყვანეს 5.7 მლნ კგ ბამბა, 1900 წელს კი —10.5 მლნ. 1900 წლისათვის მსოფლიო ბამბის წარმოების 85—90% შეერთებულ შტატებზე მოდიოდა. ასეთ ვითარებაში გაიზარდა მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე. სასოფლო-სამეურნეო მანქანათაშენებლობის ცენტრი ხდება ქ. ჩიკაგო.

აშშ-ის სოფლის მეურნეობა კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობის ფორმით ვითარდებოდა. აქ საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების ე. წ. ამერიკულმა გზამ. სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდეს სტიმულატორს წარმოადგენდა დასავლეთის თავისუფალი მიწები, რომელთა ათვისებამ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. დასავლეთით გადასახლება და აქაური ტერიტორიების ათვისება ძალზე ინტენსიურად წარმოებდა. XIX საუკუნის დამლევს დასავლეთის ტერიტორია წყნარი ოკეანის სანაპირომდე მთლიანად იქნა დასახლებული. დასავლეთის მიწების დასახლებას ქვეყნის ცხოვრებისათვის უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ დასახლების დროს მრავალმა უკანონობამ იჩინა თავი. ჰომსტედის კანონის (1862) შესაბამისად, დასავლეთისაკენ მწირომელი მოსახლეობის დიდი მასა დაიძრა (უპირატესად ამერიკელები, იყვნენ იმიგრანტებიც). 1900 წლისათვის ახალმოსახლეების მიერ ათვისებულ იქნა დაახლოებით 81 მილიონი ჰექტარი სახელმწიფო მიწა; მაგრამ ჰომსტედის კანონს მრავალი სპეკულანტი, ბედისმაძიებელი, ავანტიურისტი თუ საეჭვო საქმოსანი ეფარებოდა და დასავლეთის მიწებს სპეკულაციისა და აჟიოტაჟის ობიექტად აქცევდა. მაგალითად, 90-იან წლებში სან-ფრანცისკოს ბანკირების ერთმა ჯგუფმა ათასობით შემცველი პირი დაიქირავა. მათ აწერინებდნენ ფიქტიურ განცხადებებს მიწის მისაღებად. ასეთი გზით ბანკირებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მათ შორის ტყის დიდი მასივები. ამ მაქინაციის შედეგად მათი მოგება 22.000.000 დოლარით განისაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი რკინიგზის კერძო კომპანიებს ერგო. მათ სახელმწიფოსაგან დაახლოებით 65.8 მილიონი ჰექტარი მიწა მიიღეს (დაახლოებით 286 ათასი კვ მილი). ეს ტერიტორია უდრის გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიას ერთად აღებულს. მარტო „ნორზერნ პასიფიკმა“ 19.300.000 ჰექტარი მიწა მიიღო, რაც უდრიდა საფრანგეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარს. ამასთან ერთად რკინიგზის კერძო კომპანიებმა სახელმწიფოსაგან სუბსიდიების სახით მიიღეს დაახლოებით 700 მილიონი დოლარი [1]: ფაქტიურად რკი-

---

[1] ყოველ გაყვანილ ერთ მილ რკინიგზაზე მათ ეძლეოდათ შემოგარენი მიწა 20 კვადრატული მილის ფართობით; კომპანიები სუბსიდიებს იღებდნენ შემდეგი მოცულობით: 1 კმ გზა ვაკე ადგილზე — 16.000 დოლარი, ბორცვიან რაიონში — 32 ათასი, მთიან რაიონებში — 48 ათასი. ფედერალურ მთავრობასთან ერთად

ნიგზებს სახელმწიფო აშენებდა და „ძღვნად“ აძლევდა კერძო კომპანიებს. რკინიგზის მაგნატებმა ეს მიწები აქციონერებისა და სპეკულაციის ობიექტებად აქციეს. მნიშვნელოვნად ზარალდებოდნენ წვრილი ფერმერები და, საერთოდ, დემოკრატიული ფართო ფენები. მათ ხელიდან ეცლებოდათ თავისუფალი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისების შესაძლებლობა. ბევრი წვრილი ფერმერი იმასაც კი კარგავდა, რაც გააჩნდა. ადგილი ჰქონდა მათ განდევნას მიწებიდან, ანდა ისინი მსხვილი მეურნეობის კოსკურენციის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

რკინიგზის კომპანიები ზღაპრულად გამდიდრდა. რკინიგზის მაგნატები სახელმწიფოში ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალად იქცნენ. გარდა მიწებისა და სუბსიდიებისა მათ ეძლეოდათ სხვა სახის შეღავათებიც. მაგალითად, მათი კუთვნილი მიწები გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა და სხვ. რკინიგზის კომპანიებში სუფევდა წარმოუდგენელი კორუფცია. რკინიგზების მაგნატები მოსყიდვისა და შანტაჟის გზით თავის გავლენას უმორჩილებდნენ სახელმწიფო აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს. ასეთი გზით ისინი ახერხებდნენ მაღალი სარკინიგზო ტარიფების დაწესებას, რაც მათი გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

დასავლეთით ტერიტორიების სწრაფი და ინტენსიური ათვისების შედეგად აქ აღინიშნა მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მაგალითად, მდინარე მისისიპის დასავლეთით მდებარე მიწებზე 1870 წელს 6.877 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1890 წელს მათმა რიცხვმა 16.775 ათასს მიაღწია. დასავლეთში შეიქმნა ახალი შტატები. შუა და შორეულ დასავლეთში კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობასთან ერთად ვითარდებოდა კაპიტალისტური მრეწველობა.

კოლოსალურად გაიზარდა აშშ-ის ვაჭრობის მოცულობა. აშშ, ოდესღაც ევროპის კოლონია, რომელიც მეტროპოლიის ნედლეულისა და წარმოების პროდუქციის გასაღების ბაზას წარმოადგენდა, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში თანდათან ეუფლება არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო ბაზარს. იგი დიდ კონკურენციას უწევს ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და სხვა ქვეყნებს. ამიერიდან აშშ-დან საქონლის გატანა საგრძნობლად სჭარბობს შემოტანას. ადრე აშშ, რომელსაც საკუთარი ინდუსტრია არ გააჩნდა, ევროპას ამარაგებდა ბამბით, ინდიგოთი, თამბაქოთი და სხვა ნედლეულით.

მათ სუბსიდიებს აძლევდნენ შტატები, საგრაფოები, მუნიციპალიტეტები. რკინიგზის მაგნატების ხელთ აღმოჩნდებოდა ხოლმე ამა თუ იმ შტატის ძოელი ტერიტორიის ერთი მეოთხედიც კი.

ამერიდან აშშ-ის ექსპორტში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამრეწველო პროდუქცია. 1870—1903 წლების განმავლობაში აშშ-ში საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობა გაიზარდა 3.5-ჯერ; XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ექსპორტში დიდი ადგილი დაიკავა ხორბალმა. ამერიკის იაფმა პურმა მტკიცედ დაიპყრო მსოფლიო ბაზარი. ევროპის გარდა იგი ეძებს ახალ ბაზრებს. უპირველეს ყოვლისა იგი გზას მიიკვლევს წყნარი ოკეანის მიმართულებით აზიაში— იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში და სხვ. აშშ საქონელი ავსტრალიამდეც კი აღწევს. იგი თანდათან ხელთ იგდებს ვაჭრობას ესპანეთის კოლონიებში, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებში, რომელთაც საკუთარი ინდუსტრია არ გააჩნდათ.

ევროპასთან შედარებით კაპიტალიზმის განვითარებას აშშ-ში ახასიათებდა კაპიტალის კონცენტრაციის უფრო მაღალი დონე. კაპიტალისა და წარმოების ცენტრალიზაციის პროცესი აქ სამოქალაქო ომამდე დაიწყო. ომის, განსაკუთრებით კი 1873 წლის კრიზისის შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში კაპიტალის კონცენტრაციამ ხელი შეუწყო მონოპოლიების გაბატონებას, რაც XX საუკუნის დამდეგს საყოველთაოდ განხორციელდა. გააფთრებულმა კონკურენციამ და მწვავე ეკონომიურმა კრიზისებმა (1873-76, 1883-84, 1893-94, 1900-03, 1907) გააანადგურა მრავალი წვრილი და საშუალო საწარმო და ხელი შეუწყო კაპიტალისა და წარმოების შემდგომ კონცენტრაციას. 1880 წელს აშშ-ში მოქმედებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი 1934 ქარხანა. 1890 წელს მათი რიცხვი შემცირდა 910-მდე, მაშინ როდესაც აქ დაბანდებული კაპიტალი ორჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში ლითონის ჩამომსხმელი და დამმუშავებელი ქარხნების რიცხვი შემცირდა ერთი მესამედით, გამოშვებული პროდუქცია ამდენჯერვე გაიზარდა. ტყავის ფაბრიკების რიცხვი ერთი მეოთხედით შემცირდა, პროდუქცია კი ხუთჯერ გაიზარდა და ა. შ.

აშშ-ის ეროვნული სიმდიდრე თანდათან კაპიტალისტთა მცირე ჯგუფის ხელში გადავიდა. XIX საუკუნის დამლევს ამერიკის მოსახლეობის ერთ პროცენტს იმაზე მეტი სიმდიდრე ჰქონდა, რასაც ფლობდა მოსახლეობის დანარჩენი 99%. არსებული მონაცემების მიხედვით, XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ამერიკელთა 10%-ს ნაციონალური სიმდიდრის ცხრა მეათედი ეკუთვნოდა. 70—80-იან წლებში ამერიკაში გაჩნდა რკინის, ფოლადის, ნავთის, რკინიგზების, ქვანახშირის, ხორცის, შაქრის, ფეხსაცმლის და სხვა მრავალთა „მეფეები". კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაცია მოხდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში (მრეწველობა, რკინიგზა, სოფ-

ლის მეურნეობა, ბანკები და სხვ.). კაპიტალისა და წარმოების კონ-
ცენტრაციამ ზნიშვნელოვან ფარგლებს 70-იან წლებში მიაღწია. მა-
შინ კონცენტრაციის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ე. წ.
პული (კაპიტალისტთა შეთანხმება წარმოების ნოცულობისა და
საბაზრო ფასების რეგულირების მიზნით). 80—90-იან წლებში მა-
თი ადგილი დაიკავა ტრესტებმა. საუკუნის დამლევს მსხვილ გაერ-
თიანებათა ანგარიშზე მოდიოდა აშშ-ის საერთო წარმოების 66.7%.
1900 წელს აშშ-ის რკინიგზის ნახევარზე მეტი 6 დიდი კომპანიის
ხელთ იყო (მორგანი, ჰარიმანი, ვანდერბილტი, გულდი, ჰილი და
ე. წ. პენსილვანიის კომპანია). კაპიტალისტთა მცირე ჯგუფები სიმ-
დიდრის დაგროვების დროს ხშირად მიმართავდნენ მაქინაციებს.
მსხვილი კაპიტალის მაგნატების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა.
1861 წელს აშშ-ში იყო სულ ოთხიოდე მილიონერი, 1897 წელს
დაახლოებით — 3. 800. მსხვილი კაპიტალის ამერიკელმა მაგნატებ-
მა ზღაპრული სიმდიდრე დააგროვეს და ქვეყნის მთელი ეკონომი-
კა და მასთან ერთად პოლიტიკა თანდათან თავიანთ კონტროლს დაუ-
მორჩილეს. ასტორების ოჯახი ბეწვეულის სპეკულაციით გამდიდრ-
და (ისინი ძვირფას ბეწვეულს ჩალის ფასად ართმევდნენ ინდიელებს,
ატყუებდნენ და ათრობდნენ მათ), შემდეგ მიწების და ბინების სპე-
კულაციას მიჰყვეს ხელი. 1870 წელს ასტორებს ეკუთვნოდა 700
დიდი საერთო საცხოვრებელი სახლი. 1889 წელს მათ პირად ანგა-
რიშზე იყო 250.000.000 დოლარი, XX საუკუნის დამდეგს — 450
მილიონი. ასტორები მალავდნენ ქონებას, ატყუებდნენ სახელმწი-
ფოს საშემოსავლო გადასახადების გადახდისას. უზარმაზარი სიმ-
დიდრე დააგროვეს მორგანებმა, გულდებმა, როკფელერებმა და
სხვებმა. 1900 წელს ჯონ პირპონტ მორგანს (უფროსს) ხელთ ეპყრა
55.000 მილი რკინიგზა, მსხვილი ბანკები, სადაზღვევო და სამრეწ-
ველო კომპანიები. პულმანიის კომპანიის მთავარმა აქციონერმა ჯე-
გულდმა კარიერა დაიწყო როგორც ტყავის ქარხნის ერთ-ერთმა
კომპანიონმა. მან პირველ წარმატებას თავისი კომპანიონების მო-
ტყუების გზით მიაღწია. XIX საუკუნის დამლევს გულდის ხელთ
იყო 140.000.000 დოლარი. იგი ფლობდა ერთი მილიარდის აქციებს.
მას ეკუთვნოდა 18.000 მილი რკინიგზა, მრავალი მსხვილი საწარმო.
ამერიკის მსხვილი კაპიტალის დიდმა მაგნატმა ჯონ დ. როკფელერ-
მა მოღვაწეობა დაიწყო ერთ-ერთი სავაჭრო ფირმის ნოქრობით.
XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე კი მსოფლიოში უმდიდრესი პი-
როვნება გახდა და „ნავთობის მეფის“ სახელი მოიხვეჭა. მისი ცნო-
ბილი გაერთიანება „სტანდარტ ოილ კომპანი“ შეიქმნა 1870 წელს,
1882 წელს ტრესტის რეორგანიზაციის შემდეგ მან ხელში ჩაიგდო

აშშ-ის ნავთობის წარმოების 90%. 90-იან წლებში შეიქმნა ნახშირის, გაზის, სპილენძის, რკინის და სხვა ტრესტები. დიდი გაერთიანებები შეიქმნა აგრეთვე მსუბუქ მრეწველობაშიც. მაგალითად, „ბამბის ზეთის ამერიკული ტრესტი", „სელის ზეთის ეროვნული ტრესტი", „შაქრის ტრესტი", „თამბაქოს ტრესტი". „ხორცის", „საკონსერვო" და სხვ. XIX საუკუნის დამლევს აშშ-ში იყო 445 სამრეწველო და სატრანსპორტო ტრესტი, 20 მილიარდზე მეტი კაპიტალით. XIX საუკუნის 90-იან წლებში ფართოდ ხორციელდება საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია და სამრეწველო კაპიტალთან მისი შერწყმა. ფინანსური კაპიტალი აშშ-ის ეკონომიკის სათავეში დგება. მაგალითად, მორგანი და მისი კომპანიონები ადრე ტიპური საბანკო მილიონერები იყვნენ. შემდეგ ისინი დაეპატრონენ რკინიგზებსა და წარმოების სხვადასხვა დარგებს. ფინანსური კაპიტალის ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა აგრეთვე როკფელერთა სახლი. როკფელერი ერთდროულად დიდი მრეწველი და დიდი ფინანსისტი იყო. მან ჯეიმზ სტილმენთან ერთად შექმნა უზარმაზარი საფინანსო ორგანიზაცია ნიუ-იორკის ეროვნული საქალაქო ბანკის სახით.

აშშ-ის კაპიტალიზმის ესოდენ სწრაფი და მძლავრი განვითარება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ჩრდილოეთის სამხრეთზე გამარჯვებამ ბოლო მოუღო მონათმფლობელობას, კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების ამ ფრიად მძლავრ ხელისშემშლელ ფაქტორს. აშშ-ში საჭირო არ იყო კაპიტალიზმის განვითარების ისეთი ჯებირის დანგრევა, როგორსაც, ვთქვათ, ევროპული ფეოდალიზმი წარმოადგენდა. აქ არც სამეფო დინასტია არსებობდა და არც მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატია, რეაქციულ სამღვდელოებასთან ერთად. აქ სამეურნეო ცხოვრება უშუალოდ ბურჟუაზიული გზით ვითარდებოდა. სამოქალაქო ომის შემდეგ სახელმწიფოს ხელთ იყო უზარმაზარი თავისუფალი ტერიტორია (1.048.111.603 აკრი), რომელიც თითქმის ქვეყნის ნახევარს უდრიდა. მრეწველები და ბანკირები მიწას თითქმის უფასოდ ღებულობდნენ. მათ საშუალება ეძლეოდათ დაემუშავებინათ წიაღისეულით მდიდარი ეს ტერიტორიები, გაეყვანათ რკინიგზები. თავისუფალი მიწების სიუხვე კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობის ფართოდ განვითარების საშუალებას იძლეოდა. მიწათმფლობელი კაპიტალისტები არ იხდიდნენ მიწის რენტას, რაც მათ საშუალებას აძლევდა ასეთი გზით დაზოგილი თავისუფალი კაპიტალი წარმოებაში დაებანდებინათ.

კაპიტალიზმის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის, რომ

ამერიკელი საქმოსნების ხელში იყო წიაღისეულით უმდიდრესი აუთვიაებელი (ყამირი) მიწები, სადაც უხვად იყო რკინა, ქვანახშირი, ნავთობი, ოქრო, ვერცხლი, სპილესძი, თუთია და სხვა მრავალი. მათ ხელთ იყო უძდიდრესი ხელუხლებელი ტყეები, ჰიდროორესურსები და სხვ.

საბრეთი ძონათმფლობელურ-პლანტატორული სისტემის გაუქმების, დაუავლეთის მიწების ათვისებისა და აქ კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად, აშშ-ში შეიქმნა დიდი და უაღრესად ტევადი საშინაო ბაზარი. რკინიგზისა და სხვა ეკონომიური კომუნიკაციების მშენებლობამ ეს ბაზარი კიდევ უფრო განამტკიცა. საშინაო ბაზარი აშშ-ის კაპიტალიზმის შემდგომი ზრდის უდიდესი წინაპირობა იყო. სოფლის მეურნეობაში ამერიკული გზით კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვება კაპიტალისტური ინდუსტრიის წარმატებების მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა. საშინაო ბაზრის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე მოსახლეობის სწრაფი ზრდა. არსებობდა კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის აუცილებელი კიდევ ერთი წინაპირობა — თავისუფალი მუშახელის სახით. განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ იმიგრანტთა იაფ შრომას. აშშ-ში იმიგრანტთა ნაკადი ძალიან დიდი იყო, რაც ზრომის უზარმაზარ სარეზერვო არმიას ქმნიდა. 1789 წელს ფედერალური კონსტიტუციის მიღების მომენტში ინგლისისაგან ჩამოწორებულ ახალშენებში ცხოვრობდა დაახლოებით ოთხი მილიონი ადამიანი (აქედან ოთხი მესამედი ინგლისური წარმოშობისა იყო, დანარჩენ ნაწილს შეადგენდნენ გერმანელები, ფრანგები, ჰოლანდიელები და სხვ.). 1820 წელს აშშ-ის მოსახლეობა უდრიდა 9.5 მლნ-ს, 1850 წელს — 23 მლნ-ს, 1860 წელს, დაახლოებით,—31.5 მლნ-ს, 1900 წელს — 76 მილიონს, 1860—1900 წლებში მას შემოემატა 14.1 მილიონზე მეტი იმიგრანტი, რომელთა შორის მრავალი კვალიფიცირებული მუშა იყო. ამავე პერიოდში მუშათა კლასის რიცხვმა ხუთ მილიონამდე მიაღწია, ანუ მისი შემადგენლობა სამოქალაქო ომის დროსთან შედარებით სამჯერ გაიზარდა.

აშშ-ის კაპიტალიზმის სწრაფ ზრდას განაპირობებდა თავისუფალი კაპიტალის სიუხვე. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ადგილობრივ თავისუფალ კაპიტალთან ერთად ფართოდ ინერგებოდა ევროპული წარმომავლობის თავისუფალი კაპიტალიც. თავისუფალი კაპიტალის რეზერვებს ქმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაცია. სახელმწიფოს უდიდესი სუბსიდიები (ეს კარგად ჩანს რკინიგზათა მშენებლობის მაგალითზე) აშშ თავისუფალი კაპიტალის დაგროვების ყველა ცნობილ საშუალებათა შერწყმის მკაფიო მაგა-

ლითს წარმოადგენს: კოლონიების დაპყრობა და ძარცვა, სამხედრო განადგურებები და კონტრიბუციები, კაბალური კონცესიები და კაბალური სესხები. აღსანიშნავია ისიც, რომ 1870—1900 წლებში აშშ შედარებით მშვიდობიან პირობებში ვითარდება. აშშ არ აწარმოებდა დიდი მასშტაბის ძვირად ღირებულ ომებს, ანუ მას არ სჭირდებოდა მილიტარიზმისათვის კოლოსალური ხარჯების გაღება.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დამყარდა სამხრეთ შტატებზე ჩრდილოეთის შტატების ხანმოკლე დიქტატურა. როგორც ცნობილია, სამხრეთზე ჩრდილოეთის გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულეს აშშ-ის დემოკრატიულმა მასებმა (მუშებმა, წვრილმა ფერმერებმა, ზანგებმა და სხვ.). ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთის ბურჟუაზია იძულებული იყო ზოგიერთი დემოკრატიული, პროგრესული ღონისძიება განეხორციელებინა, მათ შორის, აღსანიშნავია კანონი ჰომსტედების შესახებ, კანონი მონობის გაუქმების შესახებ, ზოგიერთი დემოკრატიული ხასიათის შესწორებები კონსტიტუციაში და სხვ. დემოკრატიული გარდაქმნა ხორციელდებოდა აგრეთვე სამხრეთ შტატების მიმართ, რომელსაც ე. წ. სამხრეთის რეკონსტრუქციის პოლიტიკა ითვალისწინებდა. 1870 წელს სამხრეთის შტატები კვლავ შეერთებული შტატების შემადგენლობაში შევიდა.

1862 წელს ლინკოლნის მიერ გამოქვეყნებული „პროკლამაცია ზანგების განთავისუფლების შესახებ“ აშშ-ში მოსახლე ოთხ მილიონ ზანგს სრულ თავისუფლებას აღუთქვამდა. 1870 წელს აშშ კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შესწორებანი (მე-14, მე-15), რომელთა თანახმად ზანგებმა ხმის უფლება მოიპოვეს. ამიერიდან მათ ადგილობრივ თუ ფედერალურ ორგანოებში არჩევის საშუალება მიეცათ. 1870 წელს სამხრეთ შტატების ახლად არჩეულ ხელისუფლების ორგანოებში ზანგებსაც ვხედავთ. ჩრდილოეთი შტატებიდან სამხრეთის რეკონსტრუქციის მიზნით გამოგზავნილ იქნა მოხელეთა მოელი არმია [1]. ისინი აქ განახლებას განთავისუფლებულ ზანგებთან ერ-

[1] ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ეს მოხელეები უპირატესად დემოკრატიული და წვრილბურჟუაზიული ფენების წარმომადგენლები იყვნენ. მათდამი მტრულად განწყობილმა სამხრეთელმა პლანტატორებმა მათ „ხელჩანთოსნები“ (carpet-bagger) შეარქვეს და ამ სიტყვას გადატანით „ავანტიურისტისა“ და „თაღლითის“ გაგებით ხმარობდნენ. მართლაც, ჩრდილოეთიდან ჩამოსულნი, მატერიალურად ხელმოცარული მოხელეები ყოველგვარი ბარგის გარეშე, მხოლოდ სამგზავრო ხელჩანთით დამშეენებულნი დადიოდნენ. „ჩანთოსანთა“ შორის უმრავლესობა პროგრესულად განწყობილ მონობის მოწინააღმდეგეთაგან

თად ახორციელებდნენ. გატარდა მრავალი სასარგებლო პროგრესული ღონისძიება: გაუმჯობესდა საგადასახადო სისტემა, ძირითადად გაუქმდა კანონები, რომლებიც რასობრივ დისკრიმინაციას ითვალისწინებდნენ, შეიქმნა სახელმწიფო სკოლების სისტემა, გაუმჯობესდა სოციალური უზრუნველყოფის საქმე მოხუცთათვის, ობოლთათვის, ბრმათათვის და სხვ.

მაგრამ ამ პროგრესულ-დემოკრატიულ ღონისძიებათა განხორციელებას მალე ბოლო მოეღო. პოლიტიკურად და ეკონომიურად გამარჯვებულმა ჩრდილოეთის ბურჟუაზიამ ყოფილ მეამბოხეებთან საერთო ენა გამონახა და მათ მიმართ კომპრომისის პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. 1871 წელს კონგრესმა ყოფილ მეამბოხეთა საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა. მხოლოდ ხუთასამდე ყოფილ მეამბოხეს აეკრძალა სახელმწიფო თანამდებობების დაკავება. კვლავ ამოქმედდა ლინჩის კანონი, დაიწყო ზანგებისა და თეთრკანიან პროგრესულ მოღვაწეთა დევნა. განსაკუთრებით აქტიურობდა ტერორისტულ-რასისტული ორგანიზაცია კუ-კლუკს-კლანი[1]. ყოფილმა პლანტატორებმა თეთრკანიან მოსახლეობაში ფართო შოვინისტური აგიტაცია გააჩაღეს და ზანგების წინააღმდეგ დემოკრატიული ფენების მრავალი წარმომადგენელი განაწყვეს. ყოფილმა მეამბოხეებმა თანდათან დაიბრუნეს გავლენა და ძალაუფლება სამხრეთის თითქმის ყველა შტატში, გარდა ლუიზიანასა და

შედგებოდა. მაგრამ მათ შორის ბევრი იყო ბედისმაძიებელი და საქმოსანი. ისინი სამხრეთში მოდიოდნენ სწრაფი გამდიდრებისა და პირადი უზრუნველყოფის მიზნით. ცენტრალური ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ყოფილ მონათმფლობელები ჩრდილოეთიდან გამოგზავნილ მოხელეებს ყველას ერთ სასწორზე დებდნენ და მათი სახით მხოლოდ ავანტიურისტებსა და ჩრდილოეთის ჯაშუშებს ხედავდნენ.

[1] კუ-კლუკს-კლანი სამხრეთელ პლანტატორ-მონათმფლობელთა მიერ შექმნილი ფარული ტერორისტული ორგანიზაციაა. სახელწოდება წარმოდგება თოფის ჩახმახის შემართვისას წარმოშობილი ბგერების შესაბამისად. ორგანიზაცია შეიქმნა 1866 წელს ტენესის შტატის ქ. პულასკში. ორგანიზაციის მთავარი ამოცანა იყო ზანგების წინააღმდეგ ბრძოლა „თეთრი რასის" დასაცავად. კუ-კლუკს-კლანს გააჩნდა დიდი მატერიალური სახსრები და ჰყავდა მეტად გავლენიანი მფარველები. ორგანიზაცია აწყობდა ფარულ მკვლელობებს. იგი დაუნდობლად ხოცავდა ზანგებს და პროგრესულად მოაზროვნე თეთრკანიანებს. მსხვერპლი წინასწარ ღებულობდა განაჩენს. ტერორისტული აქტები, როგორც წესი, დაუსჯელი რჩებოდა. შემდგომში ორგანიზაცია ტერორს უნიშნავდა მუშათა კლასის წინამძღოლებსაც. თანამედროვე აშშ-ის კუ-კლუკს-კლანი ახალი ძალით ამოქმედდა. იგი ზანგებთან ერთად ებრძვის ყველა პროგრესულ პიროვნებას თუ წამოწყებას.

სამხრეთ კაროლინისა. აქ ჯერჯერობით ფედერალური ჯარები რჩებოდა და პროგრესული ელემენტები კვლავ ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას. 1876-77 წლებში პრეზიდენტმა ჰეისმა ამ შტატებიდან ფედერალური ჯარები გაიყვანა. „სამხრეთის რეკონსტრუქციის“ პოლიტიკა დამთავრდა. ყოფილმა მონათმფლობელებმა, კონფედერაციის ყოფილმა მეთაურებმა სამხრეთ შტატებში თაეიანთი ძალაუფლება საბოლოოდ აღადგინეს.

ცასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ზანგებმა დაკარგეს სამოქალაქო ომის შედეგად მოპოვებული თითქმის ყველა ეკონომიური, სოციალური თუ პოლიტიკური უფლება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ზანგები უმიწოდ „გაათავისუფლეს“. ისინი ამაოდ ელოდნენ მიწას შეღავათიან პირობებში. ზანგებს არც საწარმოო საშუალებები გააჩნდათ და არც დამოუკიდებელი მეურნეობის წამოსაწყებად საჭირო თავისუფალი თანხა. მიწები ყოფილ მონათმფლობელთა საკუთრებაში დარჩა. პირადად თავისუფალი მონები ამიერიდან იძულებულნი იყვნენ იჯარით აეღოთ მათგან მიწები მეტად მძიმე პირობებში, ხშირ შემთხვევაში სანახევროდ და უფრო მეტადაც კი. ყოფილი მონა-ზანგები წვრილ, მოზიარე ფერმერებად იქცნენ. მათ არ გააჩნდათ არც სათესლე მასალა, არც საწარმოო საშუალებები. მემამულისა და მევახშის ვალში ჩავარდნილი მოზიარეები ვეღარ იხდიდნენ ვალს, პროცენტი იზრდებოდა და ბოლოს და ბოლოს ისინი სავალო, კაბალური მონების (პეონების) მდგომარეობაში ვარდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამხრეთ შტატების თეთრკანიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც. ეკონომიურად და სოციალურად დაკაბალებული ზანგებისათვის პოლიტიკური უფლებები, არსებითად, ფიქციად იქცა. ტერორისა და შანტაჟის გზით ზანგები პოლიტიკური ცხოვრებიდან ფაქტიურად გამორიცხეს. სამხრეთელი რასისტები, კუ-კლუქს-კლანის ორგანიზაციის და „ლინჩის კანონის“ შიშით, ზანგებს უკრძალავდნენ პოლიტიკაში ჩაბმას, მონაწილეობის მიღებას არჩევნებში, პირად საკუთრებაში მიწისა და მუშა-საქონლის შეძენას, შვილების სკოლაში გაგზავნას და სხვ. დემოკრატიული მასის, უპირველეს ყოვლისა ზანგი მოსახლეობის პოლიტიკურ იზოლაციას ითვალისწინებდა ის შეზღუდვანი, რომელნიც აშშ-ის საარჩევნო სისტემაში დამკვიდრდა. აშშ-ის ქალები ხმის უფლებას მოკლებულნი იყვნენ; იმიგრანტებს ხმის უფლებას აძლევდნენ აშშ-ში ჩამოსვლიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ.

ხმის უფლება არ ჰქონდათ სეზონურ მუშებს (უმეტესობა ფერადკანიანებია). მრავალ შტატში დადგენილი შეზღუდვები უპირ-

ველეს ყოვლისა ზანგების წინააღმდეგ იყო მიმართული. 1890 წელს მისისიპის შტატში მიიღეს კანონი ამომრჩეველთათვის აუცილებელი განათლების ცენზის შესახებ. 1895 წელს სამხრეთ კაროლინას შტატში შემოიღეს შემზღუდავი კანონი „წერა-კითხვის უცოდინარობის“ შესახებ და დააწესეს ქონებრივი ცენზი. მთელ რიგ შტატებში ამომრჩეველთაგან მოითხოვდნენ კონსტიტუციის ცოდნას, ლუიზიანაში მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც ხმის უფლება ჩამოერთვათ იმ პირებს, რომელთა მამები და პაპები სამოქალაქო ომამდე არ სარგებლობდნენ ხმის უფლებით („პაპის კანონი“). 1881 წელს ტენესის შტატში მიღებულ იქნა ე. წ. ჯიმ კროუს კანონი, რომელიც ზანგებს უკრძალავდა თეთრკანიანებთან ერთ ვაგონში მგზავრობას. მსგავს შეზღუდვებს ადგილი ჰქონდა სხვა შტატებშიც: ზანგი ვერ შევიდოდა თეთრკანიანთა სასადილოში და სხვა საზოგადო შესაკრებ ადგილას; ზანგებს არ აძლევდნენ თეთრკანიანებთან ერთად სწავლის უფლებას; ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში იჭერდნენ, მძიმე სამუშაოზე გზავნიდნენ და რამდენიმე ერთად ბორკილგადაბმული მუშაობდა. ისინი გრძნობდნენ უფლებებისათვის ბრძოლაში გაერთიანების აუცილებლობას. 1869 წლის 12 იანვარს ვაშინგტონში გაიმართა ზანგების პირველი ეროვნული კონფერენცია. 1869 წლის 12 დეკემბერს შეიქმნა „ზანგი მუშების კავშირი“.

აშშ-ის რეალური პოლიტიკური ცხოვრება ნათელყოფდა აშშ-ის ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმალურ ხასიათს. გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო: მიმდინარეობდა სამართლიანი ბრძოლა პრეზიდენტის, კონგრესისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების დროს, მოქმედებდა სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. მაგრამ ყველაფერ ამას მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. ფაქტიურად, პოლიტიკურ ცხოვრებას თავის სასარგებლოდ წარმართავდა კაპიტალის მაგნატთა ფარული ხელი.

არჩევნების დროს ფართოდ ინერგებოდა მოსყიდვის, შანტაჟის, დევნის, ცილისწამებისა და ტერორის მეთოდები. საყოველთაო კორუფციისა და პოლიტიკური სპეკულაციის პირობებში არაჩვეულებრივად გაიზარდა პროფესიული პოლიტიკანების, პარტიული ლიდერების, ე. წ. ბოსების როლი. ბოსები, რომლებიც, როგორც წესი, მონოპოლიური კაპიტალის აგენტებს წარმოადგენდნენ და მათი ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდნენ, აშშ-ის „პოლიტიკურ მანქანას“ თავის გავლენას უმორჩილებდნენ. ბოსები ხელმძღვანელობდნენ მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას, თანამდებობებზე არჩევასა და დანიშვნას, კონგრესში და შტატების საკანონმდებლო ორგანოებში კანდიდატთა წამოყენებასა და სხვ. ბოსები და მათი

აგენტები კაპიტალის მაგნატთა სურვილისამებრ ახორციელებდნენ თანამდებობის პირთა და კონგრესმენთა მოსყიდვას; ისინი მოქმედებდნენ ხელისუფალთა ზურგს უკან, კულუარებში. მაგრ „მოღვაწეობა“ ზოგჯერ სკანდალურ ხასიათს ღებულობდა და მთავრობა იძულებული იყო ზოგიერთი მათგანი პასუხისგებაშიც კი მიეცა. 1872 წელს გრანტის პრეზიდენტობის დროს ადგილი ჰქონდა ე. წ. ტუიდის სკანდალურ საქმეს. გავლენიანმა ნიუ-იორკელმა ბოსმა, ავანტიურისტმა უილიამ ტუიდმა (ხელმძღვანელობდა ე. წ. ტამანი ჰოლს — დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციას ნიუ-იორკში) თავის გავლენას დაუმორჩილა ქალაქის მუნიციპალიტეტი და ბნელი მაქინაციების შედეგად ქალაქს 100 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა. ტუიდს 12 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. მასთან ერთად ქალაქის ზოგიერთი დიდმოხელე დაისაჯა.

სპეკულაციამ, მექრთამეობამ, პოლიტიკურ მოღვაწეთა მოსყიდვამ, კორუფციამ თეთრ სახლშიც კი შეაღწია. აშშ-ში დამკვიდრებული წესის თანახმად ახალი პრეზიდენტი სახელმწიფო აპარატის ძველ შემადგენლობას ცვლიდა არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლებით. ეს წესი დიდი ფინანსური სპეკულაციის ხასიათს ღებულობდა. პარტიის გავლენიანი წევრები გამარჯვების, სახელმწიფო პოსტების დაკავების იმედით წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების დროს დიდძალ თანხებს ხარჯავდნენ (წინასაარჩევნო აგიტაცია, აბომარჩეველთა მოსყიდვა და სხვ.). ახლადარჩეული პრეზიდენტი თუ სხვა დიდმოხელე მათ წინაშე ვალში იყვნენ. ისინი იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი მომხრეები უხვად დაეჯილდოებინათ შესაფერისი თანამდებობებით, მიეცათ მათთვის სამრეწველო, სავაჭრო თუ ფინანსური სარფიანი საქმეები და სხვ. ეს გარემოება ხშირად ძალზე ცუდ ფორმებში ვლინდებოდა. პრეზიდენტის მეგობრები, ნათესავები, პოლიტიკური მოკავშირეები, დეპუტატები და მოხელეები თავიანთ ოფიციალურ გავლენას სპეკულაციის წყაროდ იყენებდნენ. პრეზიდენტი უილის გრანტი და მისი პირადი მდივანი კერძო კომპანიებისაგან უხვად ღებულობდნენ „საჩუქრებს“. 1876 წელს მექრთამეობაში შემჩნეულ იქნა სამხედრო მინისტრი. იგი პრეზიდენტის ახლო მეგობარი იყო და ამით სასამართლოს გადაურჩა. საერთო კორუფცია, კერძო ფირმებისა და მსხვილ საქმოსანთა მიერ ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსყიდვა და სახელმწიფო აპარატში მექრთამეობა საყოველთაო საქმედ იქცა.

აშშ-ში საბოლოოდ დამკვიდრდა ორპარტიული სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე ჩამოყალიბდა. მმართველო-

პის სადავეები დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ხელთ იყო. სამოქალაქო ომის შემდეგ ამ პარტიებმა გარკვეული რაფინირება განიცადა. სამოქალაქო ომის წინ მათ შორის გარკვეული განსხვავება არსებობდა: დემოკრატიული პარტია უპირატესად აერთიანებდა სამხრეთის მონათმფლობელ-პლანტატორებს, რესპუბლიკური პარტია კი — ჩრდილოეთის ბურჟუაზიას (სამრეწველო, საფინანსო, სავაჭრო) და კაპიტალისტურ ფერმერებს. სამოქალაქო ომის შემდეგ სამხრეთის პლანტატორები საერთო ბურჟუაზიულ ეკონომიურ განვითარებაში ჩაებნენ და ამიერიდან კაპიტალიზმის საყოველთაო წარმატების პირობებში ამ ორ პარტიას შორის არსებული სოციალური განსხვავება წაიშალა. ორივე პარტიას ერთი ძირითადი ამოცანა აქვს: ექსპლუატაციაზე დამყარებული არსებული კაპიტალისტური სისტემის დაცვა. ორპარტიული სისტემა მოქნილი საშუალება იყო ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების. ორივე პარტია ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ხალხთა ფართო მასების ინტერესებს გამოხატავს და იბრძვის სახალხო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. შემთხვევითი არ იყო, რომ ოპოზიციური პარტია მმართველ პარტიას უპირველეს ყოვლისა ასეთი ლოზუნგით ებრძოდა. შემდეგ იგივე მეორდებოდა, როცა პარტიებს შორის როლები შეიცვლებოდა. მაგალითად, როცა ხელისუფლების სათავეში იდგნენ რესპუბლიკელები, დემოკრატები მათი „კრიტიკოსების" როლში გამოდიოდნენ და თავიანთ გარშემო რაზმავდნენ უკმაყოფილოთა ფართო ფენებს. დემოკრატთა გამარჯვების შემთხვევაში ოპოზიციის როლს რესპუბლიკელები ასრულებდნენ და ამჯერად უკმაყოფილო ფართო ფენების ინტერესების „დამცველები" ხდებოდნენ. ასეთ პირობებში მესამე, ჭეშმარიტად სახალხო პარტიის შექმნას საგრძნობლად ეშლებოდა ხელი. ამრიგად, ამ ორ პარტიას შორის მუდმივი პოლიტიკური დუელი უპირატესად დემაგოგიურ ხასიათს ატარებდა. მათ შორის წარმოებდა მხოლოდ ხელისუფლებისათვის ბრძოლა, გამომდინარე პრაქტიკულ ინტერესთა სხვადასხვაობიდან.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ვიდრე 1885 წლამდე, ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკური პარტია იდგა. 1868 წლიდან 1877 წლამდე (ორი ვადით) პრეზიდენტად იყო უილის გრანტი, 1877-81 წლებში—რეტეფორდ ჰეისი, 1881 წელს—ჯეიმზ აბრაჰამ გარფილდი. მაგრამ მას პრეზიდენტობა არ დასცალდა. 1881 წლის 2 ივლისს იგი სასიკვდილოდ დაჭრა ადვოკატმა გიტომ, ნიუიორკის სპეკულანტთა აგენტმა. მან რამდენიმე კვირა იცოცხ-

ლა და 1881 წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა. პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა ჩესტერ არტურმა. 1884 წლის არჩევნებში წარმატება დემოკრატიული პარტიის კანდიდატს გროვერ კლივლენდს ხვდა. 1885 წელს იგი პრეზიდენტი გახდა. 1888 წლის არჩევნებში ისევ რესპუბლიკელებმა იმარჯვეს. 1889 წლიდან მათი კანდიდატი ბენჯამენ ჰარისონი შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. 1892 წლის არჩევნებში დემოკრატებმა გაიმარჯვეს; პრეზიდენტად კვლავ კლივლენდი აირჩიეს და 1893 წლიდან იგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. 1897 წლიდან პრეზიდენტის პოსტი დაიკავა რესპუბლიკელმა მაკ-კინლიმ. რესპუბლიკური პარტიის ამ წარმატებას განაპირობებდა სამოქალაქო ომის დროს მოპოვებული ავტორიტეტი. აშშ-ის მოსახლეობის ფართო ფენებს ჯერ კიდევ ახსოვდათ ის პროგრესული როლი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ამ პარტიამ შეასრულა. რესპუბლიკური პარტიიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ელემენტი თანდათან იდევნებოდა. პარტია თანდათან მსხვილი ფინანსისტების, ვაჭრების, მრეწველების, მსხვილი კაპიტალისტური აგრარიების ერთგული დასაყრდენი გახდა. მათი ინტერესების სასარგებლოდ წარმართული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა მშრომელთა შორის რესპუბლიკური პარტიისადმი უნდობლობას ზრდიდა. როგორც აღვნიშნეთ, აუთვისებელი თავისუფალი მიწები, ე. წ. „საზოგადოებრივი მიწები“ (public lands), რომელთა მიმართ უფლებების მოპოვებისათვის დემოკრატიულმა ამერიკამ ესოდენ დიდი ბრძოლა აწარმოვა, რესპუბლიკური პარტიის მესვეურებმა მსხვილი კაპიტალის გამდიდრების წყაროდ აქციეს. რესპუბლიკური პარტია ყოველმხრივ მფარველობდა და ხელს უწყობდა საბირჟო სპეკულაციას, რამაც XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ფართო ხასიათი მიიღო. რესპუბლიკური პარტია მფარველობდა მაღალ სარკინიგზო ტარიფებს, რაც ფასების ზრდას უწყობდა ხელს. მსხვილი კაპიტალის მაგნატების ინტერესების შესაბამისად რესპუბლიკური მთავრობა ახორციელებდა პროტექციონიზმის პოლიტიკას, რაც უპირველეს ყოვლისა მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესებაში გამოიხატა. მაღალი ტარიფები საშუალებას აძლევდა ამერიკის კაპიტალის მაგნატებს მონოპოლიურად დაჰპატრონებოდნენ აშშ-ის ბაზარს. ავტომატურად გაეზარდათ ფასები და თავი დაეცვათ უცხოური საქონლის კონკურენციისაგან. მაღალ სატარიფო პოლიტიკასთან მშრომელთა შეგუებას რესპუბლიკელები დემაგოგიური ლოზუნგით: — „მაღალი ფასები — მაღალი ხელფასი, დაბალი ფასები — დაბალი ხელფასი“ —ცდილობდნენ. პროტექციონიზმი, მაღალი საბაჟო ტარი-

ფები, ტრესტების თვითნებობა მუშების, ფერმერებისა და, საერთოდ, დემოკრატიის ფართო ფენების უკმაყოფილებას იწვევდა.

როგორც აღვნიშნეთ, 70-იანი წლების დამდეგს დემოკრატიულმა პარტიამ აღადგინა თავისი მდგომარეობა. ჯერ კიდევ პრეზიდენტ გრანტის დროს სამხრეთის მიმართ ჩრდილოეთის სამხედრო დიქტატურა შენელდა. 1872 წელს სამხრეთის აჯანყების მონაწილეებმა და ხელმძღვანელებმა კვლავ მიიღეს პოლიტიკური უფლებები (დაახლოებით 150.000 კაცმა). დემოკრატიული პარტია ამიერიდან თავის რიგებში აერთიანებდა მსხვილ პლანტატორებს, მდიდარ ფერმერებს, სამხრეთის ახალ ბურჟუაზიას, ჩრდ. ბურჟუაზიის ნაწილს. იგი ოსტატურად იყენებდა რესპუბლიკური მთავრობის მიმართ საზოგადოების უკმაყოფილებას და რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას აჩაღებდა. დემოკრატები ააშკარავებდნენ სახელმწიფოში არსებულ კორუფციას, მექრთამეობას და სხვა ბოროტმოქმედებას, რომელთაც პრეზიდენტი გრანტი თვით უწყობდა ხელს. დემოკრატები იცავდნენ შტატების ავტონომიას, ილაშქრებდნენ სახელმწიფოს ზედმეტი ცენტრალიზაციის, მაღალი საბაჟო და სარკინიგზო ტარიფების წინააღმდეგ, მოსახლეობას აღუთქვამდნენ დემოკრატიული რეფორმების გატარებას და სხვ.

1876 წლის არჩევნებში დემოკრატებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. რესპუბლიკელთა კანდიდატის ჰეისის ბედი ბეწვზე ეკიდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ჰეისი დემოკრატების წინაშე მრავალ დათმობაზე წავიდა. სწორედ მის დროს დაიბრუნეს ყოფილმა პლანტატორებმა პოლიტიკური უფლებები სამხრეთში, ზანგების მიერ მოპოვებული უფლებები კი არარაობად იქცა. პრეზიდენტმა გაიყვანა ჯარი ორი უკანასკნელი სამხრეთი შტატიდან (ლუიზიანა, სამხრეთ კაროლინა). სამხრეთ შტატებიდან გამოიწვიეს აგრეთვე „ხელჩანთოსნები". „სამხრეთის რეკონსტრუქცია" დამთავრდა. შეიქმნა „ძლიერი, გაერთიანებული სამხრეთი", რომელიც დემოკრატიული პარტიის დასაყრდენად იქცა.

პოლიტიკური პოზიციების განმტკიცების მიზნით რესპუბლიკური პარტია იძულებული გახდა ზოგიერთი რეფორმის განხორციელებაზე ეზრუნა. 1883 წელს კონგრესმა მიიღო დემოკრატი დეპუტატის ჯორჯ პენდელტონის მიერ წამოყენებული კანონი, ე. წ. „ადმინისტრაციულ რეფორმათა დიდი ქარტია". კანონის მიზანი იყო სამოქალაქო მსართველობაში არსებული უწესრიგობის მოსპობა. კანონის თანახმად, სახელმწიფო ოხელეთა დანიშვნაზე უნდა ყოფილიყო თანხმობა სამი კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომისიისა,

რომელიც ყოველ კანდიდატს მოუწყობდა საგამოცდო კონკურსს. აიკრძალა თანამდებობის პირთა დანიშვნის წესი, როცა „ნადავლის გაყოფის“ არსებულ პირობებში რესპუბლიკური პარტია თანამდებობებზე ნიშნავდა თავის ხალხს. შერჩევა ხდებოდა არა შესაძლებლობისა და უნარის მიხედვით, არამედ პროტექციითა და განსაკუთრებით კი პარტიულობის პრინციპით, ე. ი. უნდა ყოფილიყავი პარტიის წევრი ან გყოლოდა მფარველი პარტიულთა შორის. ამა თუ იმ თანამდებობისათვის შესაფერის პირს ნაკლებად ეძებდნენ. უპირატესად ხდებოდა თანამდებობის ძებნა ამა თუ იმ პირისათვის, რომელიც პარტიისა და ამა ქვეყნის ძლიერთა მფარველობით სარგებლობდა. პენდელტონის კანონმა საქმეს ვერ უშველა. პრეზიდენტი და ბოსები კვლავ ნიშნავდნენ თავის ხალხს, კვლავ გრძელდებოდა მოსყიდვა, ქრთამი, თაღლითობა. სახელმწიფო კორუფცია კვლავ მძვინვარებდა. საერთო უკმაყოფილების პირობებში 1884 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად გამარჯვებული აღმოჩნდა გროვერ კლივლენდი. მან ავტორიტეტი შეიქმნა სახელმწიფოში არსებული კორუფციის, მოსყიდვების, მეკრთამეობისა და სხვა მანკიერებათა მძაფრი კრიტიკის შედეგად. მაგრამ მოსახლეობის ფართო ფენების იმედები კლივლენდმა ვერ გაამართლა. პრეზიდენტი და მის მიერ შექმნილი კოალიციური მთავრობა (დემოკრატები და რესპუბლიკელები) მსხვილი კაპიტალის ერთგულ მსახურებად დარჩნენ. კლივლენდის დროს გაძლიერდა მილიტარიზმი, შეიქმნა მძლავრი არმია და ფლოტი. ამასთან ერთად გაძლიერდა ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი. ამიერიდან აშშ-ში აშკარად იგრძნობოდა ბიუროკრატიულ-მილიტარისტული ტენდენციების მომძლავრება. კლივლენდის დროს არმიასა და პოლიციას ხშირად იყენებდნენ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. მის დროს მოხდა 1886 წელს ჩიკაგოს მუშათა სამაისო დემონსტრაციის დახვრეტა. საზოგადოებრივი აზრის დამშვიდების მიზნით 1887 წელს კონგრესმა სცადა რკინიგზების კომპანიათა თავაშვებულობის შეზღუდვა სარკინიგზო ტარიფებზე ფედერალური კონტროლის დაწესების გზით, მაგრამ ამაოდ, მათი საქმიანობის შეზღუდვა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

დემოკრატიულ მასებში დემოკრატიული პარტიის ავტორიტეტი შეირყა. მუშათა კლასი უკმაყოფილო იყო ტრესტების ოვითნებობით, პოლიტიკური რეპრესიებით. უკმაყოფილება იზრდებოდა წვრილ ფერმერთა შორისაც, რესპუბლიკელები ამომრჩევლებს ჰპირდებოდნენ ტრესტების საწინააღმდეგო კანონების მიღებას, საბაჟო ტარიფების მოგვარებას და სხვ. 1888 წლის არჩევნებში რესპუბლი-

ქელებმა გაიმარჯვეს. პრეზიდენტმა ჰარისონმა 1890 წლის 2 ივლისს მართლაც განახორციელა პირველი ანტიტრესტული ღონისძიება, ე. წ. „შერმანის კანონი" (anti-Trust act). კანონის მიხედვით, მაღალი ფასების დაწესების მიზნით მეწარმეთა ერთობლივი შეთანხმება (მონოპოლიური გაერთიანებები) სასტიკად ისჯებოდა. მაგრამ ამ განცხადებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. პრაქტიკულად ტრესტების შექმნას ხელს არავინ უშლიდა. კანონის მიღებამდე 30 წლის განმავლობაში შექმნილი იყო 24 ტრესტი, მომდევნო ათ წელიწადში კი — 157. ამავე წლებში ტრესტების წინააღმდეგ გაიმართა 18 სასამართლო პროცესი. მათ შორის ყველა უშედეგოდ დამთავრდა. „შერმანის კანონი" მრეწველების მიერ მუშათა კლასის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. კანონის მეშვიდე პუნქტის მიხედვით, ცალკე პიროვნება თუ გაერთიანება, რომელიც სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მოქმედებს, დასასჯელად გადაეცემა სასამართლოს ან დაჯარიმდება. ამასთან ერთად შერმანის კანონი თავისუფალი კონკურენციის დამცველად გვეელინება. აღნიშნულ ვითარებას მრეწველები მუშათა მოძრაობის, პროფესიული კავშირების წინააღმდეგ იყენებდნენ. პროფკავშირები და მუშათა სხვა ორგანიზაციები ცხადდებოდნენ ორგანიზაციებად, რომლებიც ხელყოფდნენ სხვის საკუთრებას, ხელს უშლიდნენ ვაჭრობას და მრეწველობას. ასე გაიგო, მაგალითად, კანონი ნიუ-ორლეანის სასამართლომ, რომელმაც ნიუ-ორლეანის მუშათა გაერთიანებული კავშირისა და ადგილობრივი მრეწველების დავა უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ჰარისონის მთავრობამ საბაჟო ტარიფების საკითხიც მსხვილი კაპიტალის სასარგებლოდ გადაწყვიტა. როგორც აღვნიშნეთ, მაღალი საბაჟო ტარიფი აშშ-ის მონოპოლისტებს შინაბაზრებზე მაღალი ფასების შენარჩუნების საშუალებას აძლევდა. სამრეწველო საქონელზე მაღალი ფასების არსებობის პირობებში ზარალდებოდა მოსახლეობის ფართო ფენები. ღატაკდებოდა წვრილი ფერმერობა და წვრილი ბურჟუაზია, იზრდებოდა შრომის ინტენსიფიკაცია და სხვ. წინა საარჩევნო კამპანიის დროს რესპუბლიკელები ამომრჩევლებს მაღალი ტარიფების შეცვლას ჰპირდებოდნენ, მოხდა კი პირიქით. 1890 წელს მიიღეს ახალი საბაჟო-სატარიფო ე. წ. „მაკ-კინლის კანონი". ბაჟები საგრძნობლად გაიზარდა, მათ თითქმის აკრძალვითი ხასიათი მიიღეს.

ჰარისონის მთავრობა სასტიკად ახშობდა მუშათა მოძრაობას. მაგალითად, 1892 წელს ჯარისა და პოლიციის დახმარებით ჩაახშეს პენსილვანიის შტატში მუშათა მასობრივი გაფიცვა.

1892 წლის არჩევნებში კვლავ დემოკრატებმა გაიმარჯვეს. პრეზიდენტად კლივლენდი აირჩიეს. კლივლენდის პრეზიდენტობის დროს (1893-97) მდგომარეობა არ შეცვლილა. იგი საკუთრივად ებრძოდა მუშათა მოძრაობას, მფარველობდა მსხვილ კაპიტალს. სწორედ მისი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებდა იგი აქტიურ საგარეო პოლიტიკას. 1893 წელს გამოცხადდა აშშ-ის პროტექტორატი ჰავაის კუნძულებზე. ეს ფაქტი აშშ-ის კოლონიური პოლიტიკის დასაწყისად ითვლება.

ხელისუფლების სათავეში ამ ორი პარტიის წარმომადგენელთა ასე ხშირი ცვლა ფართო მასებში ამ პარტიების ავტორიტეტის შელახვაზე მიუთითებს. დემოკრატიული მასები თანდათან რწმუნდებიან იმაში, რომ აღნიშნული პარტიები შორს დგანან მათი ინტერესებისაგან. მუშათა კლასის, წვრილი ბურჟუაზიისა და წვრილი ფერმერების პოლიტიკური თვითშეგნება იზრდება. ისინი ცდილობენ გამონახონ პოლიტიკური ბრძოლის საკუთარი გზა, შექმნან საკუთარი პოლიტიკური პარტია. ამ ვითარებამ აშშ-ში გაბატონებული წრეების ძალთა კონსოლიდაციას შეუწყო ხელი. 1896 წლის არჩევნებში წარმატება ხვდა წილად მონოპოლიური კაპიტალის ერთ-ერთულ მსახურს, აშშ-ის იმპერიალიზმის ერთ-ერთ ცნობილ მესვეურს, რესპუბლიკელ მაკ-კინლის. მის არჩევაში ამერიკის კაპიტალის მაგნატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. წინასაარჩევნო კამპანიას სათავეში ედგა კაპიტალის მაგნატი მარკუს ჰანა, რომელსაც ზედმეტსახელად „პრეზიდენტების შემქმნელი“ დაარქვეს. მაკ-კინლის არჩევა რამდენიმე მილიონი დაჯდა.

* * *

აშშ-ის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, აშშ-ის კაპიტალიზმის ისტორიას ახასიათებს განსაკუთრებულობა: იგი ვითარდებოდა და ვითარდება მშვიდობიანი გზით, ყოველგვარი კრიზისებისა და კლასობრივი ბრძოლების, აგრესიისა და ომების გარეშე, რომ აშშ კაპიტალისტურ სამყაროში წარმოადგენს ბედნიერ გამონაკლისს, რომ აშშ-ის კაპიტალიზმისათვის უცხოა ის წინააღმდეგობანი, რაც კაპიტალიზმის განვითარებას ევროპის კონტინენტურ ქვეყნებში ახასიათებდა, რომ კლასთა ბრძოლა, მარქსიზმი და კომუნიზმი უცხოა ამერიკის საზოგადოების შინაგანი ბუნებისათვის, რომ ყოველივე ეს შემოტანილია უცხოეთიდან, ევროპელი ემიგრანტების მიერ და სხვ. ისტორიული სინამდ-

ვილე აბათილებს ამ შეხედულებებს და სრულიად საწინააღმდეგოს ადასტურებს.

აშშ-ის კაპიტალიზმის სწრაფი აღმავლობის პირობებში თავი იჩინა კაპიტალიზმის ყველა მანკიერებამ, მათ შორის ძირითადმა წინააღმდეგობამ შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის. მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლუატაციის წინააღმდეგ აშშ-ის კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება. XIX საუკუნის 70—80-იანი წლები აშშ-ში კლასთა ბრძოლის შემდგომი აღმავლობით ხასიათდება.

მუშათა მოძრაობის აღმავლობა უკვე სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შეიმჩნევა. ამჟამად იბრძვიან არა „თავიანთი მტრების მტრების წინააღმდეგ", არამედ უშუალოდ საკუთარი მტრების— სამრეწველო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მუშათა მოძრაობის ზრდას ხელს უწყობდა მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდა. რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მუშათა კლასი თვისობრივადაც იზრდებოდა, უფრო სრულყოფილი ხდებოდა მისი კლასობრივი თვითშეგნება. მართალია, ევროპასთან შედარებით აშშ-ში მუშათა შრომის ანაზღაურება საშუალოდ უფრო მაღალი იყო, მაგრამ აქაურ პირობებთან შედარებით მაინც დაბალი რჩებოდა. ხელფასის სიმცირეს განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ არაკვალიფიცირებული მუშები. რეალურად მცირე ხელფასთან ერთად აშშ-ის სამუშაო საათები ძალზე ხანგრძლივი იყო და ხშირად 16—18 საათს აღწევდა. ფართოდ იყენებდნენ ბავშვებისა და ქალების იაფ შრომას, უსაფრთხოების ტექნიკა თითქმის არ არსებობდა. მძიმე შრომას თან სდევდა დიდი მსხვერპლი და დასახიჩრება. აშშ-ში არ არსებობდა შრომის დაცვის ერთიანი კოდექსი. მუშა კაპიტალისტის სრული თვითნებობის მსხვერპლი იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო მუშათა საბინაო პირობები, რომელთა გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობდა. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების შედეგად მუშათა შორის ხშირი იყო ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. განსაკუთრებით მძიმე იყო ფერადკანიან მუშათა მდგომარეობა. სამხრეთ შტატებში ზანგი მუშების ხელფასი 30%-ით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ჩრდილოეთ შტატებში. ასევე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ იმიგრანტი მუშები, განსაკუთრებით აზიური წარმოშობისა.

ასეთ პირობებში კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო და უფრო ფართო და მწვავე ხასიათს ღებულობდა. ამასთან ერთად აშშ-ის მუშათა მოძრაობას ახასიათებდა გარკვეული თავისებურება. აშშ-ის მუშათა შორის ფეხმოკიდებული იყო წვრილბურჟუაზიული ტენდენციები, ნაკლებად ინერგებოდა სოციალისტური, განსაკუთრე-

ბით მარქსისტული რევოლუციური განწყობილება, სჭარბობდა ოპორტუნიზმი და რეფორმიზმი, პოლიტიკურ ბრძოლასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდნენ ეკონომიურს, შესაძლებლად მიაჩნდათ კაპიტალიზმის პირობებში მუშათა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება და სხვ. ასეთ ვითარებას მრავალი გარემოება განაპირობებდა. თავისუფალი მიწების არსებობის პირობებში სამრეწველო მუშათა ნაწილი ტოვებდა წარმოებას და წვრილი ფერმერი ხდებოდა, რაც მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის განმუხტვას უწყობდა ხელს. მუშაოა კლასი მრავალეროვანი იყო, მას ემატებოდა მუშა-იმიგრანტთა უწყვეტი ნაკადი. ბურჟუაზია ოსტატურად იყენებდა ამ ვითარებას მუშათა კლასის გათიშვის მიზნით. იგი თეთრკანიან ამერიკული წარმოშობის მუშებს უპირისპირებდა მუშათა ფერადკანიან და იმიგრანტ მასას. ბურჟუაზია ასეთ პირობებში ქმნიდა კვალიფიცირებული მუშების ე. წ. მუშა-არისტოკრატიის ზედაფენებს, ხელს უწყობდა და აქეზებდა დაპირისპირებას მუშა-არისტოკრატიასა და არაკვალიფიცირებულ მუშათა მასას შორის. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა კიდევ ერთი გარეგნება: აშშ-ში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლება ადრე განხორციელდა. საერთო-დემოკრატიული ამოცანები სამოქალაქო ომის შემდეგ აღარ იდგა დღის წესრიგში. მათი განხორციელებისათვის ბრძოლა კი, როგორც ცნობილია, მუშათა კლასისათვის წარმოადგენდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლის კარგ მაგალითს. ასეთ პირობებში ბურჟუაზია ოსტატურად იყენებდა ორპარტიულ სისტემას და მუშათა მოძრაობას ბურჟუაზიული პოლიტიკური ცხოვრების დანამატად აქცევდა.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, განსაკუთრებით 80—90-იან წლებში მუშათა შორის იმატა საბრძოლო განწყობილებამ; ეკონომიურ ბრძოლასთან ერთად იწყება პოლიტიკური ბრძოლაც, გაფიცვები, დემონსტრაციები, პიკეტები ფართო ხასიათს ღებულობენ. ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებას ჯართან და პოლიციასთან. მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლა მუშათა დამოუკიდებელი პარტიის შექმნის მტკიცე საფუძველს ქმნიდა. აღნიშნულ პერიოდში აშშ-ის მუშათა კლასმა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა.

სამოქალაქო ომის შემდეგ 1865 წელს აშშ-ის 12 ტრედიუნიონის წარმომადგენელთა თაოსნობით გადაწყდა მომავალ წელს მუშათა ეროვნული კონგრესის (კავშირის) მოწვევა. კავშირის დამფუძნებელი კრება შეიკრიბა 1866 წლის 28 აგვისტოს ბალტიმორში. აშშ-ის

მუშათა ეროვნული კავშირის (National Labor Union) ორგანიზატორთა შორის გამოირჩეოდა ლიბერალისმსახმელთა კავშირის ხელმძღვანელი, მუშა-რევოლუციონერი უილიამ სილვისი. აშშ-ის მუშათა ეროვნულმა კავშირმა დიდი როლი შეასრულა აშშ-ის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მუშათა ეროვნულ კავშირს ეკუთვნის 8-საათიანი სამუშაო დღისათვის ბრძოლის ინიციატივა. რაც მთავარია, კავშირი აშშ-ის მუშათა კლასს დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და ხელს უწყობდა მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას განმტკიცებას. ამ მიზნით სილვისმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარა I ინტერნაციონალთან. კავშირი იბრძოდა ქალთა და ბავშვთა უფლებებისათვის, ცდილობდა თეთრკანიანი და ფერადკანიანი მუშების შეკავშირებას და სხვ. 1873 წლის მწვავე კრიზისის დროს მან ვერ გაუძლო ბურჟუაზიის შემოტევას და დაიშალა.

60-იან წლებში საფუძველი ეყრება აშშ-ის სოციალისტურ მოძრაობას. სოციალიზმის პირველი პროპაგანდისტები ევროპელი იმიგრანტები იყვნენ, ძირითადად გერმანელები. მათ აქ ბევრი შეცდომა დაუშვეს. უპირატესად ლასალიანური ყაიდის. სოციალიზმის მქადაგებელთა შორის მარქსისტებიც იყვნენ (ზორგე, ვაიდემაიერი), მაგრამ ისინი უმცირესობას შეადგენდნენ და აშშ-ის მუშათა შორის შესაფერისი გავლენა ვერ მოიპოვეს. აშშ-ში პირველი სოციალისტური ორგანიზაცია შეიქმნა 1865 წელს გერმანული წარმოშობის მუშების მიერ — ე. წ. „გერმანელ მუშათა საყოველთაო კავშირი". 1868 წელს ეს ორგანიზაცია, როგორც სექცია, დაუკავშირდა „აშშ მუშათა ეროვნულ კავშირს". აშშ-ში სოციალიზმის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა I ინტერნაციონალმა. პირველი სექცია შეიქმნა 1867 წელს ფ. ა. ზორგეს ხელმძღვანელობით. მარქსი და ენგელსი დიდ ყურადღებას უთმობდნენ მუშათა მოძრაობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ მუშათა მოძრაობის ლიდერებთან, აძლევდნენ მათ რჩევა-დარიგებებს, მითითებებს და სხვ. 70-იან წლებში აშშ-ის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქში შეიქმნა I ინტერნაციონალის სექციები. 1872 წლისათვის უკვე 30 სექცია არსებობდა, რომელშიც 5.000 მუშა იყო გაერთიანებული. მათ შორის წამყვან როლს ასრულებდა ნიუ-იორკის სექცია, რომელიც „აშშ მუშათა ეროვნულ კავშირში" შედიოდა. 1872 წ. ნიუ-იორკში I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს გადმოტანამ (იარსება 1876 წლამდე) სოციალისტური იდეების გავრცელებას ახალი ძალა შემატა. ინტერნაციონალის გენერალურ მდივნად 1874 წლამდე იყო ფრიდრიხ-ალბერტ ზორგე (1828—1909), მარქსისა

და ენგელსის მეგობარი. 1876 წელს აშშ-ში ინტერნაციონალმა შეწყვიტა არსებობა. პირველი ინტერნაციონალის სექციები იმავე წელს გაერთიანდნენ აშშ-ის მუშათა პარტიის სახელწოდებით. 1877 წლის 26 დეკემბერს პარტიას ეწოდა „აშშ მუშათა სოციალისტური პარტია" (Socialist Labor Party). პარტიის 90%1848 წელს გერმანიიდან გადმოსახლებული მუშებისაგან შედგებოდა, რაც პარტიას თავიდანვე სექტანტურ ხასიათს აძლევდა. მისი ორგანო „რევოლუცია" დიდხანს გერმანულად გამოდიოდა. მან ვერ შეძლო აშშ-ის მუშათა მოძრაობის საერთო ეროვნული მასშტაბით ხელმძღვანელობა. ამასთან ერთად პარტიაში თავიდანვე დამკვიდრდა ლაბალიანობა. პარტია უარყოფითად ეკიდებოდა მუშათა მასობრივ მოძრაობას, პროფესიულ მოძრაობასთან კავშირს. უარყოფდა რევოლუციურ-კლასობრივ ბრძოლას და მხოლოდ საარჩევნო და საპარლამენტო ბრძოლას აღიარებდა. პარტიის მთავარი დევიზი იყო: „ცოდნა—არსენალი, გონება—იარაღი, საარჩევნო კენჭი—სატყორცნი ყუმბარა". კ. მარქსი და განსაკუთრებით ფ. ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდნენ ამერიკის მუშათა სოციალისტური პარტიის საქმიანობას.

1890 წელს პარტიას სათავეში ჩაუდგა აშშ-ის და მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი დანიელ დე ლეონი. იგი შეეცადა ეს პარტია მუშათა მასობრივ ორგანოდ ექცია. დე ლეონის მიერ შექმნილ გაზეთში „ხალხი" (The People) იბეჭდებოდა მარქსისტული ლიტერატურა; გაზეთი აშშ-ის მუშათა კლასს მოუწოდებდა დარაზმულიყო სოციალისტური პარტიის ირგვლივ, რომელიც მას ესახებოდა როგორც მუშათა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია. დე ლეონი მოითხოვდა პარტიის მტკიცე ცენტრალიზებას და მკაცრ დისციპლინას, ქადაგებდა პროლეტარული რევოლუციის იდეას, ახორციელებდა ფართო მუშაობას პროფკავშირებს შიგნით, ებრძოდა რეფორმიზმსა და ოპორტუნიზმს და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, დე ლეონი მალე თვით აღმოჩნდა სექტანტობის ტყვეობაში, თანმიმდევრულად ვერ გაერკვა პროლეტარიატის ბრძოლის ჭეშმარიტ ამოცანებსა და მეთოდებში, პროლეტარიატის დიქტატურის, — როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღის, — მნიშვნელობაში. დე ლეონი გადაჭარბებულად აფასებდა პროფკავშირების როლს, ანუ სინდიკალიზმის პოზიციებზე დგებოდა. იგი პროლეტარული რევოლუციის განხორციელებას პროფესიულ კავშირთა თაოსნობით ფიქრობდა და იმედი ჰქონდა, რომ რევოლუციის განხორციელების მეორე დღესვე დამყარდებოდა „ინდუსტრიული სახელმწიფო". დე ლეონს არ ესმოდა, რომ საჭირო

იყო კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლის დაკავშირება მუშათა კლასის ყოველდღიური მოთხოვნებისათვის ბრძოლასთან, მას არ ესმოდა პროლეტარიატის როგორც დემოკრატიული ფართო ფენების ჰეგემონის როლი, ვერ ერკვეოდა აგრარული და ეროვნული საკითხების მნიშვნელობაში.

70-იანი წლები, მიუხედავად სასტიკი ტერორისა, აშშ-ის მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობით აღინიშნა. 1871 წელს ნიუ-იორკში ადგილი ჰქონდა მუშათა დემონსტრაციებს. 13 სექტემბერს დემონსტრაციაში მონაწილეობდა 20 ათასზე მეტი მუშა. დემონსტრანტები გამოდიოდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით. ტრანსპარანტებსა და პლაკატებზე წარწერილი იყო რევოლუციური ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით". დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ ინტერნაციონალის სექციის წევრები, ოფიციანტთა და მებათქაშეთა კავშირების შავკანიანი წევრები. დემონსტრანტები სოლიდარობას უცხადებდნენ პარიზის კომუნარებს. 1871 წლის 18 დეკემბერს პირველი ინტერნაციონალის სექციამ მოაწყო დიდი დემონსტრაცია, რომელიც პარიზის კომუნარებისადმი ანგარიშსწორების წინააღმდეგ იყო მიმართული. დემონსტრაციები ეწყობოდა სხვა ქალაქებშიც. 1872 წელს ნიუ-იორკში გაიფიცა 100 ათასი მშენებელი; 1873-76 წლების მწვავე ეკონომიური კრიზისის დროს მუშათა მოძრაობა ახალ აღმავლობას განიცდის. 1874 წელი აშშ-ის მაღაროელთა ფართო საგაფიცო მოძრაობით დაიწყო, რომელსაც სათავეში ედგა ირლანდიური წარმოშობის მუშების მიერ შექმნილი ფარული ორგანიზაცია „ჰიბერნიალების ძველი ორდენი". ხელისუფლებამ ქვანახშირის მაგნატებთან ერთად სასტიკი რეპრესიები განახორციელა. მოძრაობის 10 ხელმძღვანელი სიკვდილით დასაჯეს, 17 ხელმძღვანელი ციხეში ჩასვეს. 1876 წელს ქ. სენ-ლუიში გაფიცულ მუშათა აღმასრულებელი კომიტეტი ერთი კვირის განმავლობაში ქალაქში ხელისუფლებას ფლობდა. მუშები შეიარაღებული ძალების დახმარებით დაამარცხეს. 1877 წელს პენსილვანიაში დაიწყო რკინიგზის მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. გაფიცვები მოედო ქალაქებს: ჩიკაგოს, ბალტიმორს, პიტსბურგს. პიტსბურგი ორი კვირის განმავლობაში მუშების ხელთ იყო. პრეზიდენტ ჰეისის ბრძანებით აშშ-ის რეგულარულმა ჯარებმა ჩაახშეს გაფიცვა. 1875-77 წწ. გაფიცვების დროს ასზე მეტი მუშა მოკლეს, ათასზე მეტი დაიჭრა, 4500 საპატიმროებში მოხვდა.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, XIX საუკუნის 80—90-იან წლებში აშშ-ში მუშათა მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. 1886 წლისათვის გაფიცვათა რიცხვმა 579-ს მიაღწია. აშშ-ისა და საერ-

თაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1886 წლის მაისის გაფიცვას ქ. ჩიკაგოში, ანუ „ჩიკაგოს სასაკლაოს". 1886 წლის გაზაფხულზე აშშ-ში დაიწყო ფართო საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნის ლოზუნგით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩიკაგოს მშრომელები. გაფიცვა დაიწყო 1 მაისს. ჩიკაგოს დაახლოებით 80 ათასმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა და ქალაქში პიკეტები მოაწყო. 3 მაისს მაკ-კორმიკის სასაკლაოსთან შეკრებილ გაფიცულებს პოლიციამ ცეცხლი დაუშინა. მოკლულ იქნა 1 მუშა და 50 დაიჭრა. 4 მაისს ჩიკაგოს მშრომელებმა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. პოლიციის პროვოკატორის, ანარქისტ შპაუბელტის მიერ ჰაიმარკეტ-სკვერში ნატყორცნი ყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა 7 პოლიციელი და 4 მუშა. დაიწყო სასტიკი ანგარიშსწორება. 200 დემონსტრანტი დაიჭრა, მათ შორის ბევრი — სასიკვდილოდ. რეაქცია საყოველთაო ტერორს მოითხოვდა. „მუშებს ტყვია, მათი ბელადები სახრჩობელაზე", — გაიძახოდნენ ბურჟუაზიული გაზეთები. ჩიკაგოს სამაისო გაფიცვის ოთხი თავკაცი: აუგუსტ შპისი, ჯორჯ ენგელი, ადოლფ ფიშერი და ალბერტ პარსონსი 1887 წლის 11 ნოემბერს ჩამოახრჩვეს. სიკვდილმისჯილი ალბერტ პარსონსი ამტკიცებდა, რომ ჩიკაგოელმა მაგნატებმა მოსამართლეებს წინასწარ 100 ათასი დოლარი გადაუხადეს.

ჩიკაგოს ტრაგედიას მოჰყვა საყოველთაო რეაქცია და ანგარიშსწორება. ჰაიმარკეტ-სკვერის ამბებმა საერთაშორისო გამოხმაურება პოვა. 1889 წელს, პარიზში II ინტერნაციონალის პირველმა დამფუძნებელმა კონგრესმა 1 მაისი აღიარა მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ. აშშ-ის ზოგიერთ შტატში გამოცხადდა 8-საათიანი სამუშაო დღე. 1886 წ. აშშ-ის პროლეტარიატმა კლასობრივი ბრძოლის ახალი წრთობა მიიღო.

აშშ-ში თანმიმდევრულად მებრძოლი მოწინავე თეორიით შეიარაღებული პროლეტარული პოლიტიკური რევოლუციური პარტიის არარსებობა ხელს უშლიდა მუშათა მოძრაობის წარმატებით განვითარებას. მუშათა სოციალისტურ პარტიას და პროფკავშირებს მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინამძღოლობა არ შეეძლოთ.

შედარებით ფართო ავტორიტეტით სარგებლობდა 1869 წელს ფილადელფიაში ჩამოყალიბებული „შრომის კეთილშობილ რაინდთა ორდენი". ეს ორგანიზაცია, რომელიც უპირატესად არაკვალიფიცირებულ მუშებს აერთიანებდა, მალე მასობრივი გახდა და 1886 წლისათვის 700 ათასამდე წევრს ითვლიდა. ორდენის წევრე-

ბად შეიძლებოდა ფერადკანიანთა მიღებაც. ორდენი დააარსა მკერავ-გამომჭრელთა პროფკავშირის შვიდმა წევრმა სტივენსონის ხელმძღვანელობით. 9 წლის განმავლობაში ორდენი ფარულ, მკაცრად კონსპირირებულ, მასონურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. 1878 წელს ორდენი გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და პოლიტიკური ბრძოლის თავისი, უტოპიური, უპირატესად ლასალიანური პროგრამა შეიმუშავა. ორგანიზაცია თავის ბრძოლის ამოცანად სახავდა „მსხვილი კორპორაციების ტირანიისაგან მსოფლიო მშრომელების განთავისუფლებას", „შრომის სამართლიანი პირობების" შექმნას. ორგანიზაციის პროგრამის მიხედვით საზოგადოება უნდა გარდაქმნილიყო მშვიდობიანი გზით, რევოლუციის გარეშე, კლასთა თანამშრომლობის პირობებში. მუშათა კლასის განთავისუფლების უმთავრეს საშუალებად ორდენს მიაჩნდა კოოპერირების მეთოდი, რაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს დახმარებით უნდა განხორციელებულიყო. ორდენი მოითხოვდა მიწების დარიგებას ნამდვილ მშრომელთათვის, საშემოსავლო გადასახადების დაწესებას, ტრანსპორტისა და წარმოების ზოგიერთი დარგის სახელმწიფოსათვის გადაცემას გამოსყიდვის გზით, მტრულად ეკიდებოდა მუშათა არისტოკრატიას და მას ბურჟუაზიასთან აიგივებდა. იგი უარყოფდა პოლიტიკურ ბრძოლას და გაფიცვების მეთოდს, მაგრამ მშრომელთა აქტივობის ზრდის პირობებში იძულებული იყო საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობა მიეღო. 14 წლის განმავლობაში ორდენს სათავეში ედგა ყოფილი ცეცხლფარეში ოპორტუნისტი და რეფორმისტი პაუდერლი (1849—1924), რომელიც შემდეგში მუშათა მოძრაობის რენეგატი გახდა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. პაუდერლი უარყოფდა კლასთა ბრძოლას და მშვიდობიანი ბრძოლის მომხრე იყო. იგი წინააღმდეგი იყო გაფიცვებისა და უმჯობესად მიაჩნდა კონფლიქტების მოგვარება მშვიდობიანად, მომრიგებელი სასამართლოს საშუალებით.

„შრომის რაინდთა" ოპორტუნისტულმა, უტოპიურმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 1886 წელს პაუდერლის ინიციატივით მან მხარი არ დაუჭირა საგაფიცვო მოძრაობასა და 8-საათიანი საშუშაო დღისათვის ბრძოლის ლოზუნგს. 90-იან წლებში ორგანიზაციამ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად ოპორტუნისტული, რეფორმისტული შეცდომებისა ფ. ენგელსი ორგანიზაციის როლს დადებითად აფასებდა, მას თვლიდა ეროვნული მასშტაბის პირველ მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციად.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან აშშ-ის მუშათა მოძრაობაში ხელმძღვანელობა „შრომის ამერიკული ფედერაციის" (შაფ) ხელში

გადავიდა. ამ ეროვნულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც დღესაც არსებობს, საფუძველი ჩაეყარა 1879 წელს მეთამბაქოეთა ტრედ-იუნიონების ყრილობაზე. 1881 წელს 17.XI აშშ რამდენიმე ტრედ-იუნიონის ინიციატივით პიტსბურგში მოწვეულ ყრილობაზე შეიქმნა ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდა „აშშ და კანადის ორგანიზებული ტრედ-იუნიონებისა და მუშათა კავშირების ეროვნული ფედერაცია". ფედერაციის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ აშშ-ის ტრედ-იუნიონური მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლები — გომპერსი, შტრასერი, მაკჰაირი და სხვ. 1883 წ. ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს გომპერსი, 1886 წელს 8.XII კოლუმბუსში (ოჰაიოს შტატი) გამართულ ყრილობაზე ორგანიზაციას ეწოდა „შრომის ამერიკული ფედერაცია" (American Federation of Labor — AFL). „შაფ" თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ოპორტუნისტული, კონსერვატორული, ანტისოციალისტური ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა აშშ-ის მუშათა კლასის კვალიფიციურ ზედაფენას, ე. წ. მუშათა არისტოკრატიას. არაკვალიფიცირებულ მუშათა ფართო ფენებისათვის ფედერაციის კარები დახურული იყო. ამდენად ორგანიზაცია გამოხატავდა არა მთელი მუშათა კლასის, არამედ მისი ნაწილის ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ ფედერაციის მუშაობა უპირატესად ვიწრო საამქრო პრაქტიციზმით ხასიათდებოდა. კლასობრივი, რევოლუციური ბრძოლების ნაცვლად ფედერაცია ქადაგებდა კაპიტალისტებთან თანამშრომლობის იდეას. მუშათა ბრძოლის ძირითად ამოცანად იგი მიიჩნევდა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას კაპიტალიზმთან თანამშრომლობის გზით. ფედერაცია ხელს უშლიდა მუშათა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნას. არჩევნების დროს იგი მხარს უჭერდა იმ ბურჟუაზიულ პარტიას, რომელიც მას რეფორმებს ჰპირდებოდა. ამერიკელი სოციალისტის დე ლეონის თქმით, „შაფ"-ის ხელმძღვანელობა კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრად გადაიქცა. „შაფ"-ის ლიდერი, ამერიკული პროფბიუროკრატიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი სემიუელ გომპერსი (1850—1924) წარმოშობით ინგლისელი ებრაელი იყო. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა ამერიკაში და თამბაქოს წარმოების მუშა გახდა, 17 წლისა უკვე ტრედ-იუნიონური მოძრაობის აქტივისტია. 1883 წლიდან სიკვდილამდე, ერთი წლის გამოკლებით (1894-95), იგი „შაფ"-ის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. გომპერსი სოციალიზმს არ ცნობდა. მას კაპიტალიზმი მარადიულ მოვლენად მიაჩნდა, სოციალიზმში კი მხოლოდ უტოპიას ხედავდა. გომპერსის აზრით, კაპიტალისტური საზოგადოება კაპიტალისტისათვის და

მუშისათვის ერთნაირად ხელსაყრელია. მას მიაჩნდა, რომ „შრომა და კაპიტალი ერთმანეთს ავსებენ“. გომპერსის აზრით, ყოვლად შეუძლებელია ამ ერთიანობის დარღვევა, ანუ შრომისა და კაპიტალის დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, იგი უარყოფდა კლასობრივ დაპირისპირებას, რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობას. მისი აზრით, კლასობრივი თანამშრომლობისა და კაპიტალიზმის არსებობის პირობებში შესაძლებელია მუშათა კლასის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. მუშისათვის მთავარია „სამართლიან შრომაში“ მიიღოს „სამართლიანი გასამრჯელო“, კაპიტალისტმა კი — „სამართლიანი მოგება“. გომპერსის მიხედვით, ფედერაციის მიზანია „ყველა ინდუსტრიული კლასის სასარგებლოდ მუშაობა“.

მუშათა მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პირობებში „შაფ“-ი ვერ ახერხებდა ოპორტუნისტული შემარიგებლური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებას. მშრომელთა შორის ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით იგი იძულებული იყო ანგარიში გაეწია მუშათა ფართო ფენების განწყობილებისათვის. ამით აიხსნება ის, რომ 1884 წ. „შაფ“-ი მხარს უჭერდა საგაფიცვო მოძრაობას, 1886 წელს მან მხარი დაუჭირა 8-საათიანი სამუშაო დღისათვის ბრძოლის პროლეტარულ ლოზუნგს და ბავშვებისა და ქალების შრომის პირობების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ „შაფ“-ის შიგნით შეიქმნა საკმაოდ ძლიერი მემარცხენე ფრაქცია, რომელსაც ამერიკელი სოციალისტები, ანარქო-სინდიკალისტები და უპარტიო აქტივისტები ხელმძღვანელობდნენ. მემარცხენეები მხარს უჭერდნენ კლასობრივ ბრძოლას, მუშათა კლასს დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მოითხოვდნენ შრომის ფედერაციის დემოკრატიზაციას. მაგრამ მათ არ გააჩნდათ რევოლუციური ბრძოლის თანამიმდევრული პროგრამა და არ იზიარებდნენ რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებს.

„შაფ“-ის ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელობამ ვერ შეაჩერა მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობა, რომელმაც 90-იან წლებში იჩინა თავი. გომპერსმა და ტრედ-იუნიონისტურმა ბიუროკრატიამ, მართალია, მოახერხეს 1889 წელს გამიზნული საყოველთაო გაფიცვის მომზადების ჩაშლა, მაგრამ მომდევნო წლებში საგაფიცვო მოძრაობის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ 1889-90 წლებში გაიფიცნენ 137 საწარმოს დურგლები, რომელთაც 8-საათიანი სამუშაო დღე მოიპოვეს. 1892-94 წლებში ადგილი ჰქონდა და-

სავლეთის სამთამადნო მუშათა მასობრივ გაფიცვებს, რომელთაც სათავეში ედგა სამთამადნო მუშათა დასავლეთის ფედერაცია. 1892 წელს გაიფიცნენ პენსილვანიის შტატის ფოლადის ჩამომსხმელი წარმოების მუშები. გაფიცვა დაიწყო ჰომსტედში კარნეგის ქარხნებში, აქედან იგი გავრცელდა პიტსბურგში და ფოლადის ჩამომსხმელი წარმოების სხვა ცენტრებში. გაფიცვების მიზეზი იყო ხელფასის შემცირება. პრეზიდენტ ჰარისონის ბრძანებით ჯარებმა და პოლიციამ გაფიცვებს ბოლო მოუღეს. საგაფიცვო ბრძოლა ხუთ თვეს გაგრძელდა. ჰომსტედის ამბებმა საყოველთაო გამოძახილი პოვეს. ჰომსტედელი მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად გაიფიცნენ პიტსბურგელი მუშები, ბუფალოს რკინიგზელები, ჩიკაგოში აღგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებებს რკინიგზელებსა და მთავრობის შეიარაღებულ ძალებს შორის. ტენესის შტატში შეიარაღებულმა მუშებმა (მათ შორის იყვნენ ზანგები და იმიგრანტები) გაათავისუფლეს 1500 დაპატიმრებული მაღაროელი.

კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა 1893-94 წლების ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც XIX საუკუნის განმავლობაში ყველაზე მწვავე იყო. განსაკუთრებით მძლავრი და შეუპოვარი იყო პულმანის ვაგონმშენებელი ქარხნების (ჩიკაგოს სამხრეთ განაპირას) მუშათა გაფიცვა. გაფიცვის საბაბად იქცა ხელფასის შემცირება (1893 წლის სექტემბრიდან 1894 წლის მაისამდე ხელფასი შემცირდა 25—40 პროცენტით) და ბინების ფასების ზრდა მუშათა დასახლებაში (დასახლება ეკუთვნოდა პულმანის კომპანიას). გაფიცვას ხელმძღვანელობდა აშშ-ის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი, ყოფილი ცეცხლფარეში იუჯინ (ევგენი) დებსი (1855—1926). მალე გაიფიცნენ სხვა რკინიგზელებიც, მოძრაობაში ჩაება 23 სარკინიგზო ხაზი. საგაფიცვო მოძრაობას წარმართავდა დებსის მიერ ორგანიზებული „ამერიკის რკინიგზელთა კავშირი". გაფიცვა თანდათან საყოველთაო მასშტაბებს აღწევდა. საყოველთაო გაფიცვას მხარს არ უჭერდა გომპერსი. მას ეშინოდა ამ მოძრაობას რევოლუციური ხასიათი არ მიეღო. პრეზიდენტ კლივლენდის ბრძანებით, აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა საგაფიცვო მოძრაობა ჩაახშეს. შეტაკებების დროს მოკლულ იქნა 12 მუშა, 50-ზე მეტი კაცი დაიჭრა, შვიდასამდე მუშა დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის იყო იუჯინ დებსიც.

1894 წლის მაისში აშშ-ის მუშათა კლასმა პირველად გამოიყენა ბრძოლის კიდევ ერთი მეთოდი — უმუშევართა დემონსტრაცია (ჭშვიდობიანი ლაშქრობა) დედაქალაქ ვაშინგტონში. 1 მაისს უმუშევართა არმია ჯეიმზ კოქსის მეთაურობით ვაშინგტონში შემოვიდა.

მას მხარი დაუჭირა ადგილობრივ მშრომელთა დიდმა დემონსტრაციამ. პოლიციამ დაარბია მშრომელთა მანიფესტაცია, ხელმძღვანელები დაატყვევეს.

ბურჟუაზიული წრეები მთავრობისაგან მეტ სიმკაცრეს მოითხოვდნენ. უპირველეს ყოვლისა საჭიროდ თვლიდნენ არმიის შემადგენლობის გაზრდას მუშათა წინააღმდეგ მისი უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით. ამერიკის არმიის შტაბის 1894 წლის წლიურ ანგარიშში ნათქვამია: „საჭიროა არმიის ხელახალი რეორგანიზაცია, რათა იგი დავუპირისპიროთ მტერს, უფრო მრავალრიცხოვანსა და ქვეყნისათვის უფრო საშიშს (ე. ი. მუშათა კლასს — გ. კ.), ვიდრე ყველა წითელკანიანი, რომლებთანაც აქამდე ბრძოლა გვიხდებოდა". არმიისა და პოლიციის გარდა აშშ-ის მმართველი წრეები იყენებდნენ რეპრესიის სხვა საშუალებებსაც: სასამართლო დადგენილებანი გაფიცვათა აკრძალვის შესახებ, შტრეიკბრეხერობას, პროვოკაციებს და სხვ. გარდა მათრახისა აშშ ბურჟუაზია იყენებდა ტკბილ კვერსაც: საარბიტრაჟო სასამართლოები, კომპრომისები, თეთრკანიან და ფერადკანიან კვალიფიცირებულ და არაკვალიფიცირებულ მუშათა შორის გათიშვის შეტანა, პროფბიუროკრატიის მოსყიდვა და სხვ.

80—90-იანი წლების მუშათა მოძრაობის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მოვლენა, ე. წ. ჯორჯიზმი. ჯორჯიზმი ეს იყო ნიუ-იორკში დაწყებული მუშათა მოძრაობა (მას ფერმერთა ნაწილიც უჭერდა მხარს), რომელსაც სათავეში ედგა ჰენრი ჯორჯი. ჯორჯი სავსებით სამართლიანად მოუწოდებდა მუშათა კლასს დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლისაკენ და ამისათვის უპირველეს ყოვლისა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნას მოითხოვდა. მაგრამ ჯორჯს არ ესმოდა მუშათა ბრძოლის ჭეშმარიტი მიზნები და მუშათა კლასს წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური ილუზიებით კვებავდა. მას სოციალური უსამართლობის მიზეზად მიაჩნდა მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა. ეგონა, რომ მხოლოდ მიწის ნაციონალიზაციის პირობებში შეიძლებოდა ამ უსამართლობის მოსპობა. ჯორჯის პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე ზოგიერთი პოლიტიკური ხასიათის რეფორმას (საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია, მშვიდობიანი კრებებისა თუ დემონსტრაციების საქმიანობაში პოლიციის ჩარევის აკრძალვა, სასამართლოს რეფორმა, შრომის უსაფრთხოების კანონის მიღება, მშრომელთა საყოფაცხოვრებო-სანიტარული პირობების გაუმჯობესება, ერთნაირ შრომის პირობებში ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურების გათანაბრება და სხვ). 1886 წ. ჰენრი ჯორჯი ნიუ-იორკის მუშებმა ქალაქის მერის

კანდიდატად წამოაყენეს. ჯორჯმა 68.110 ხმა მიიღო, რესპუბლიკელთა კანდიდატმა თეოდორ რუზველტმა — 60.435, დემოკრატმა ჰიუიტმა — 90.552. ყოველივე ეს მუშათა კლასის მნიშვნელოვან წარმატებებსა და მათი პოლიტიკური შეგნების ზრდაზე მიუთითებს.

მუშათა მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში მშრომელ ფერმერთა მოძრაობის ზრდასაც აქვს ადგილი. კაპიტალიზმის შემდგომი ზრდა და მისი სწრაფი კონცენტრაცია აშშ-ის წვრილი და, ნაწილობრივ, საშუალო ფერმერების მდგომარეობას ართულებდა. იწყება მათი მასობრივი დაკაბალება და პროლეტარიზაცია. ფერმერთა მდგომარეობას აუარესებდა აგრეთვე დასავლეთის მიწების მიტაცება სარკინიგზო კომპანიების მიერ. ფერმერთა დაკაბალებას და პროლეტარიზაციას აჩქარებდნენ მსხვილი ფერმერები, დიდი ელევატორების, სასაკლაოების, შაქრის ქარხნების, თამბაქოს ფაბრიკების მფლობელები და სხვ. მშრომელ ფერმერთა მდგომარეობას ართულებდა მაღალი სარკინიგზო ტარიფები (რაც ფერმერთა საქონლის გადაზიდვას თითქმის შეუძლებელს ხდიდა), სამრეწველო საქონელზე მაღალი ფასები, მძიმე საგადასახადო სისტემა და მთავრობის ფინანსური პოლიტიკა, რომელიც მსხვილი კაპიტალის სასარგებლოდ ხორციელდებოდა. აშშ-ის წვრილი და საშუალო ფერმერობა საბანკო კაპიტალისაგან დამოკიდებულებაში ვარდება. ლენინი აშშ ფერმერთა ცხოვრების მაგალითზე ასკვნიდა, რომ მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის აუცილებელი შედეგია წვრილი ფერმერების ჰაუპერიზაცია, გაკოტრება და ექსპროპრიაცია. XIX საუკუნის დამლევისათვის ფერმერების მიერ ჰომსტედ-აქტის საფუძველზე მიღებული მიწების დიდი ნაწილი მსხვილი ტრესტებისა და მონოპოლიების ხელთ აღმოჩნდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა მესაკუთრე ფერმერთა რიცხვი მოიჯარე ფერმერთა ზრდის ხარჯზე. პირველ რიგში მიწებს კარგავდნენ მსხვილი ბანკების კაბალაში მყოფი ფერმერები, მაღალი სავაჭრო პროცენტების შედეგად. მოიჯარე ფერმერთა მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. მათ საიჯარო გადასახადის ან ვალის პროცენტის დროზე გადაუხდელობის შემთხვევაში მიწიდან აყრა ელოდათ. მოუსავლიან წლებში აშშ-ში მასობრივად ვხვდებოდით „მომთაბარე ფერმერებს“, რომლებიც ოჯახითა და ღარიბული ნივთებით ფურგონებზე ამხედრებულნი ეძებდნენ ახალ იჯარას ანუ ახალ კაბალას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთის ფერმერი-მოიჯარეები, რომლებიც რკინიგზების მიწებს ამუშავებდნენ. 80—90-იან წლებში დასავლეთის მოიჯარე ფერმერთა ცხოვრე-

ბაში ნამდვილი ტრაგედია დაიწყო. ოდესღაც დასავლეთის ველური, უდაბური ტრამალები (პრერიები) ფერმერთა შრომის შედეგად სასოფლო-სამეურნეო წალკოტებად იქცა. ამიერიდან მიწებზე ფასებმა იმატა. ოდესღაც სარკინიგზო კომპანიები მოიჯარე ფერმერებს ჰპირდებოდნენ, რომ დროთა ვითარებაში ფერმერები ამ მიწების საკუთრებაში შესყიდვის უფლებას მიიღებდნენ. ამჯერად კომპანიებმა ეს დაპირებები უკან წაიღეს და მიწებიდან მოიჯარე ფერმერთა მასობრივი გასახლება დაიწყეს მიწების თავისუფლად გაყიდვის მიზნით.

ფერმერთა მოძრაობა უკვე 70-იან წლებში დაიწყო და „გრეინჯერების" („გრეინჯ"—ფერმა) სახელით იყო ცნობილი. ეს იყო ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც თავიდან სოფლის მეურნეობის მფარველობას ითვალისწინებდნენ. პირველი ასეთი ორგანიზაცია 1867 წელს შეიქმნა და მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო. მსხვილი კაპიტალის შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით ისინი ქმნიდნენ ადგილობრივ კოოპერატივებს, ბრძოლას უცხადებდნენ საბანკო კაპიტალს, სარკინიგზო კომპანიებს, იბრძოდნენ თავისუფალი მიწების დატაცების წინააღმდეგ და სხვ. ზოგიერთ შტატში (ილინოისი, ვისკონსინი, მინესოტა, აიოვა) გრეინჯერებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. მათ შეძლეს ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით მიეღოთ ზოგიერთი კანონი, რომელიც ფერმერთა ინტერესებს იცავდა.

გრეინჯერების მოძრაობამ მალე დაკარგა მნიშვნელობა. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა იყო ის, რომ იგი ღარიბ ფერმერებთან ერთად აერთიანებდა მდიდარ ფერმერებს. მათი ინტერესები ბევრ რამეში არ ემთხვეოდა ერთმანეთს. გრეინჯერებს არ გააჩნდათ ერთიანი პოლიტიკური პროგრამა. ხელმძღვანელობა იკვებებოდა წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური იდეებით, არ იყო კავშირი მუშათა კლასთან, რაც გამორიცხავდა ფერმერთა მოძრაობის წარმატებისაუცილებელ პირობას მუშათა კლასის ხელმძღვანელობის სახით და სხვ.

გრეინჯერების მოძრაობა უფრო რადიკალურმა „გრინბეკერობამ" შეცვალა („greenback" — მწვანე გვერდი, ანუ ქაღალდის დოლარის მეორე გვერდი, რომელიც მწვანე ფერისა იყო). ფერმერთა ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სამოქალაქო ომის დროს გამოშვებული ქაღალდის დოლარის ხმარებაში დატოვება. ომის შემდეგ ამ ფულის კურსი დაეცა დაახლოებით 50%-ით. ფერმერები ვალს და გადასახადებს ამ ფულით იხდიდნენ. მთავრობამ 1875 წელს გადაწყვიტა გრინბეკების შეცვლა. ეს ღონისძიება

მსხვილი ბანკების და ფინანსისტების სასარგებლოდ იყო წარმართული. ფერმერობა წინ აღუდგა მთავრობას და მის ამ გადაწყვეტილებას. 1875-76 წლებში მათ შექმნეს (ოფიციალურად გამოცხადდა 1876 წლის 18 მაისს) ახალი, დამოუკიდებელი პარტია, რომელსაც „გრინბეკის პარტია“ ეწოდა. აღსანიშნავია, რომ ფერმერებს მხარს უჭერდნენ მუშები და მათი ორგანიზაციები. 1878 წელს მუშათა მრავალი ორგანიზაცია და პროფკავშირი ფერმერებს შეუკავშირდა. ამიერიდან პარტიას გრინბეკერული მუშათა პარტია ეწოდა. 1878 წელს კონგრესის არჩევნებში პარტიამ მილიონზე მეტი ხმა მიიღო და კონგრესის 15 ადგილს დაეპატრონა. 1880, 1884 წლების არჩევნებს პარტიისათვის რაიმე არსებითი წარმატება არ მოუტანია. 1890 წლიდან საფუძველი ჩაეყარა „პოპიულისტების“ (სახალხო) პარტიას, რომელიც ოფიციალურად 1891 წლის 19 მაისს გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ ფერმერებთან ერთად გამოდიოდნენ მუშები და ქალაქის წვრილბურჟუაზიული დემოკრატია. პარტიაში გაერთიანდნენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფერმერთა კავშირები, „შრომის რაინდთა“ ნარჩენები, ჰენრი ჯორჯის მიმდევრები, სოციალისტები და სხვა პროგრესული ორგანიზაციები. პარტიის პროგრამაში გათვალისწინებული იყო გრინბეკერთა ტრადიციული მოთხოვნა „იაფფულის“ შესახებ. გარდა ამისა, წამოყენებული იყო მრავალი. იმ დროისათვის პროგრესული მოთხოვნა: საშემოსავლო პროგრესული გადასახადის დაწესება, რკინიგზების, ფოსტისა და ტელეგრაფის ნაციონალიზაცია, პრეზიდენტის არჩევა პირდაპირ ამომრჩევლების მიერ, სენატორთა სახალხო არჩევნები, მიწების გადაცემა მხოლოდ იმათთვის, ვინც მათ უშუალოდ ამუშავებს, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება როგორც წარმოებაში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში, შრომის დაცვის კანონის მიღება, პინკერტონისეული ორგანიზაციების (საძებრო ორგანიზაციების) და შტრეიკბრეხერობის აკრძალვა და სხვ.

1890 წელს კონგრესისა და შტატების საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში პარტიამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. პოპიულისტებმა მიიღეს 9 ადგილი წარმომადგენლობით (ქვედა) პალატაში და ორი — სენატში. მათვე მიიღეს გუბერნატორის სამი ადგილი. 1892 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის კანდიდატმა ჯეიმზ ულივერმა მილიონზე მეტი ხმა მიიღო, 1896 წლის არჩევნებში პარტიამ დამოუკიდებელი კანდიდატი არ წამოაყენა და მხარი დაუჭირა დემოკრატების კანდიდატს უ. ბრაიანს.

* * *

აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი აღინიშნა ექსპანსიონიზმის ზრდით, რაც კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგი იყო. აშშ-ის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია და ზოგიერთი სოციალისტი (მაგალითად, ლეონ ბლიუმი, კარლ რენერი და სხვ.) ამტკიცებდნენ, რომ ამერიკული კაპიტალიზმის განვითარებას არ ახასიათებს ექსპანსია და აგრესია, რომ აშშ გაზრდილა და გაძლიერებულა მშვიდობიანი გზით და სხვ. ისტორია კი სულ სხვას მეტყველებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისას (1776) აშშ-ის ტერიტორია უდრიდა 386.000 კვ მილს. 1803 წელს აშშ-მა ნაპოლეონისაგან 15.000.000 დოლარად იყიდა ლუიზიანა, რომლის ტერიტორია 827.9 ათას კვ მილს უდრიდა; 1821 წელს 5 მილიონ დოლარად ესპანეთისაგან შეძენილ იქნა ფლორიდა — 59.600 კვ მილი; 1845 წელს ხელთ იგდეს ტეხასი — 389 ათასი კვ მილი; 1846 წელს შემოიერთეს ორეგონი — 286.000 კვ მილი. 1848 წელს მექსიკასთან ომის შედეგად აშშ ხელთ იგდო ტერიტორიები (დღეს შტატები): არიზონა, იუტა, ახალი მექსიკა, კალიფორნია — სულ 529.000 კვ მილი; 1853 წელს აშშ-მა აიძულა მექსიკა მიეყიდნა მისთვის 30.000 კვ მილი ფართობის მდიდარი ტერიტორია; 1776—1853 წლებში აშშ ტერიტორიამ სამ მილიონზე მეტ კვადრატულ მილს მიაღწია, ე. ი. მისი ტერიტორია დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მან თავის სამფლობელოებს შემოუმატა 716.666 კვ მილი ოდენობის ტერიტორია. აქ შედის ალასკა, რომელიც აშშ-მა 1867 წლის 30 მარტს მეფის რუსეთისაგან შეისყიდა, ფილიპინები, პუერტო-რიკო, რამდენიმე კუნძული, მათთან ერთად ჰავაის კუნძულები და პანამის არხის ზონა. 1776—1900 წლებში აშშ-ის ტერიტორიამ ათჯერ იმატა და გაიზარდა სამ მილიონ კვადრატულ მილზე უფრო მეტად.

აშშ-ის ტერიტორიული ზრდა უპირატესად სამხედრო აგრესიის ხარჯზე ხდებოდა. თავისი არსებობის პირველი 135 წლის განმავლობაში მან ექსპანსიონისტურ-აგრესიულ პოლიტიკას მოხმარდა 56 მილიონი დოლარი. საერთო სახელმწიფოებრივი ხარჯები ამავე პერიოდში 66 მილიონს უდრიდა, ფინანსთა სამინისტროს ცნობით, 1800 წელს აშშ არმიასა და ფლოტზე დაიხარჯა 6.009.525 დოლარი, 1850 წელს —17. 305. 038, 1870 წელს—79. 435. 906, 1900 წელს— 190.727.846.

აშშ-ის ექსპანსიონისტური პოლიტიკა სამ ეტაპად წარიმართა.

უპირველეს ყოვლისა იგი განვითარდა თვით დასავლეთ ნახევარსფეროს მიმართ. მისი პირველი მსხვერპლი იყო ადგილობრივი აბორიგენები, ინდიელები. მათი მიწების მიტაცება აშშ-ის პოლიტიკას წითელი ხაზივით გასდევს, ამასთან ერთად ექსპანსია ვრცელდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის მიმართ. მეორე ეტაპზე, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, ჩნდება ექსპანსიის ახალი კერა წყნარი ოკეანის აუზის სახით. მესამე ეტაპზე, რომელიც XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ვითარდება, აშშ უკვე მსოფლიო პოლიტიკის განხორციელებას იწყებს.

ინდიელთა დევნა და მათი ტერიტორიის მიტაცება ჩრდილოეთ ამერიკაში ევროპელთა ჩამოსახლების პირველსავე დღეებიდანვე დაიწყო. საუკუნეების მანძილზე მიმდინარე პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება. 1881 წელს აშშ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი შურცი იძულებული იყო ეთქვა, რომ ინდიელებთან ამერიკელთა ურთიერთობის მთელი ისტორია ესაა „ხელშეკრულებათა დარღვევის, უსამართლო ომების, უსასტიკესი ძარცვისა და გაჩანაგების ისტორია“. ინდიელთა წინააღმდეგ ამერიკელებმა მრავალი ომი აწარმოეს. 1903 წელს ამერიკაში გამოიცა „შეერთებული შტატების არმიის ისტორიული კრებული“. აქ აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შექმნიდან გასული 128 წლის განმავლობაში, ამერიკელებმა 114 ომი აწარმოეს. აღნიშნული ომების დროს ადგილი ჰქონდა 8600 ბრძოლასა და სამხედრო შეტაკებას. ამ პერიოდში ამერიკამ საერთაშორისო მნიშვნელობის რამდენიმე ომი გადაიხადა: ომი ინგლისთან (1812-14), მექსიკასთან (1846-48) და ესპანეთთან (1898). ამასთან ერთად 1861-65 წწ. ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომს თვით აშშ-ში. ამდენად, როგორც ეხედავთ, დანარჩენი ათასობით ბრძოლა და სამხედრო შეტაკება ინდიელების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ინდიელთა საბოლოო განადგურება სამოქალაქო ომის შემდეგ დაიწყო. სამოქალაქო ომის დროს ინდიელთა ნაწილი იბრძოდა ჩრდილოეთელთა მხარეზე, ნაწილი სამხრეთელთა მხარეზე. ამ ვითარებამ მათი ძალები კიდევ უფრო დაქსაქსა და დაუძლურა. 1865, 1866, 1867 წლებში აშშ-ს მოუხდა ინდიელთა სამი აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლა. 1871-82 წლებში განადგურებულ იქნა კლდოვან მთებში შერეკილი აპაჩების (ისინი განდევნილ იქნენ არიზონიდან და ნიუმეხიკოდან 1866 წელს ოთხთწლიანი ბრძოლების შემდეგ) ცნობილი ტომი. ინდიელთა განადგურების საქმეში თავი ისახელეს სამოქალაქო ომის გმირებმა, გენერლებმა გრანტმა,

შერმანმა, შერიდანმა. XIX საუკუნის დამლევს თითქმის მთლიანად გაანადგურეს ინდიელთა ტომები, რომლებიც დაკოტას შტატში ცხოვრობდნენ. განადგურებამდე მიიყვანეს ერთ დროს მდიდარი და ძლიერი ჩიროკის ტომი. ადრე ისინი მდინარე ტენესის მიდამოებში ცხოვრობდნენ, შემდეგ დასავლეთით გადარეკეს და 1866 წლისათვის დაუტოვეს მიწის უვარგისი პატარა ტერიტორია, რომელიც მათი პირვანდელი სამფლობელოებისაგან 2.000 მილით იყო დაშორებული. ჩიროკის ტომს ამერიკელებმა 81.2 მილიონი აკრი მიწა წაართვეს. 1890 წელს აშშ ბრძოლას აწარმოებდა სიუს ტომებთან სამხრეთ დაკოტაში.

1862 წლიდან აშშ-ის მთავრობამ დაიწყო ინდიელთა წინააღმდეგ ახალი ხანგრძლივი ომი. ომი ხასიათდებოდა უკიდურესი სიმკაცრით და მიმდინარეობდა ლოზუნგით: „კარგია მხოლოდ მკვდარი ინდიელი". ცოცხლად დარჩენილ ინდიელებს მათთვის გამოყოფილ სპეციალურ რეზერვაციებში ერეკებოდნენ. აქტი ინდიელების რეზერვაციებში მოთავსების შესახებ მიღებულ იქნა 1871 წლის 3 მარტს (Indian Appropriation act). რეზერვაციებში ჩაკეტილ ინდიელებს, 1887 წლის ცნობით, 133,7 მილიონი აკრი მიწა დარჩათ. ხოლო 1930 წლის ცნობით, ისინი მხოლოდ 47,3 მილიონ აკრ მიწასღა ფლობდნენ. 1925 წლისათვის ინდიელებს შერჩათ 2% იმ ტერიტორიისა, რომელსაც ისინი XVIII საუკუნეში ფლობდნენ. როცა ამერიკელმა კოლონიზატორებმა ამერიკაში ფეხი შედგეს. იქ დაახლოებით 50 მილიონი ინდიელი ცხოვრობდა (უმეტესობა ცხოვრობდა თანამედროვე აშშ-ის ტერიტორიაზე). დღეს კი აშშ-ში სულ რაღაც 300.000 ინდიელიღა დარჩა.

აშშ-ის ექსპანსიის მეორე სფეროს სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნები წარმოადგენდნენ. სამოქალაქო ომის შემდეგ ლათინურ ამერიკაში აშშ-ის კაპიტალის შეჭრა მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მონროს ცნობილმა დოქტრინამ „ამერიკა-ამერიკელთათვის" ამჟამად ახალი შინაარსი შეიძინა, ამიერიდან იგი გაგებულია როგორც „ამერიკა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის".

უკვე ასეთი გაგებით ესმოდათ ამერიკელ პოლიტიკოსებს ეს დოქტრინა, როცა მათ ნაპოლეონ III-ის მექსიკური ავანტიურის წინააღმდეგ გაილაშქრეს (1866) და საფრანგეთს მექსიკის მიმართ პრეტენზიები აღუკვეცეს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ უკვე აშკარად აცხადებდა თავს მთელი ამერიკის კონტინენტის პატრონ-პატრონად და მფარველად. 1854—1903 წლების განმავლობა-

ში მან ლათინური ამერიკის ქვეყნებზე 50-ზე მეტი თავდასხმა განახორციელა. ამ ინტერვენციას ერთი მიზანი ჰქონდა: ლათინურ ამერიკას ნებით ან ძალით აშშ უნდა ეცნო როგორც მფარველი და პროტექტორი. 1865-85 წლებში აშშ-მა ჯარები გადასხა კოლუმბიაში პანამის ყელის დაპატრონების მიზნით. 1870-80 წლებში აშშ-მა მექსიკის წინააღმდეგ მრავალ სასაზღვრო პროვოკაციას მიმართა. აღნიშნულ პერიოდში აშშ-ის ჯარები არაერთხელ შეიჭრნენ მექსიკის ტერიტორიაზე. 1890 წელს არგენტინაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით აშშ-მა ჯარები გადასხა ბუენოს აირესში; 1891 წელს აშშ-ის საზღვაო ფეხოსანთა რაზმმა დაიკავა ჩილეს ქალაქი ვალპარაისო; 1893-94 წლებში აშშ-ის ფლოტი ადმირალ ბენჰაიმის სარდლობით ბრაზილიის სამოქალაქო ომში ჩაერია, 1894 წელს აშშ-ის ჯარები ნიკარაგუას ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

1895 წელს ვენესუელასა და ინგლისს შორის ატყდა დავა ვენესუელასა და ინგლისის გვიანას საზღვრების გამო. აშშ აქტიურად ჩაერია ამ დავაში. მას სურდა დაერწმუნებინა ინგლისი, რომ მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს პროტექტორია აშშ და არა სხვა ვინმე. აშშ-ის სახელმწიფოს მდივანმა ოლნიმ ინგლისის მთავრობას განუცხადა: „ამჟამად შეერთებული შტატები ამ კონტინენტზე ფაქტიურად სუვერენული უფლებებით სარგებლობს. მისი სურვილები კანონის ძალას ატარებს ყოველთვის, როცა იგი ჩარევას საჭიროებს" (ეს პრინციპი ჩამოყალიბებულ იქნა 1895 წლის 20 იულისს და ცნობილია Olney docktrin-ის სახელით). კონგრესის სპეციალური კომისიის განმარტებით ამ კონფლიქტის დროს აშშ-ის შუამავლობის უგულებელყოფა ნიშნავს „აშშ-ის ინტერესებისა და უფლებების შელახვას", რაც მას იძულებულს გახდის ამას „მის ხელთ არსებული ყოველგვარი საშუალებებით წინააღმდეგობა გაუწიოს". აშშ-მა საწადელს მიაღწია: ინგლისი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

ლათინური ამერიკის ქვეყნებზე აშშ-ის ბატონობას გულისხმობდა „პანამერიკანიზმის" დოქტრინა. 1889 წელს სახელმწიფო მდივნის ჯეიმზ ბლეინის ინიციატივით მოწვეულ იქნა პირველი პანამერიკული კონგრესი ვაშინგტონში. აშშ მოითხოვდა შექმნილიყო სრულიად ამერიკის საბაჟო კავშირი. ფაქტიურად ეს ნიშნავდა მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს ჯერ ეკონომიურ და შემდეგ, ცხადია, უკვე პოლიტიკურ დამორჩილებას ეკონომიურად ზემძლავრ აშშ-ის მიერ. როგორც მოსალოდნელი იყო, ლათინური ამერიკის წარმომადგენლებმა ამ წინადადებას წინააღმდეგობა გაუწიეს. სრულიად

ამერიკის საბაჟო კავშირის შექმნა. შეერთებულმა შტატებმა ვერ მოახერხა. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება: შექმნილიყო „ამერიკული რესპუბლიკების კავშირი ვაჭრობის, მეგობრობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად“ (ე. წ. „ამერიკის რესპუბლიკათა ბიურო“). 1910 წელს აშშ ახერხებს ბიუროს გადაკეთებას პანამერიკულ კავშირად, რაც ლათინურ ამერიკაზე აშშ-ის კაპიტალის გაბატონების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

აშშ-ის ექსპანსიის მესამე სფერო წყნარი ოკეანის აუზი იყო. მას სურდა ხელთ ეგდო წყნარი ოკეანის მრავალი მნიშვნელოვანი კუნძული, გაბატონებულიყო ფილიპინებზე, იაპონიაში, კორეაში, ჩინეთში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში და სხვ.

1867 წელს აშშ-მა რუსეთისაგან (30 მარტის ხელშეკრულებით) შეიძინა მდიდარი ალასკა, რაშიც მეფის მთავრობას 7.2 მილიონი დოლარი გადაუხადა (ალასკის ერთი ჰექტარი მიწა აშშ-ს 4.74 ცენტი დაუჯდა). მისი შეძენის შემდეგ აშშ-ს სურდა ხელთ ეგდო კუნძულები სახალინი, კუნაშირი, კომუნდო და ტაივანი. განსაკუთრებით აქტიურად უტევდნენ სახალინსა და ტაივანს. სახალინზე ფართო საქმიანობას ეწეოდნენ ამერიკელი ფირმები „ფეისიფიკ მეილი“ და „ოლიფანტი“. 1867 და 1873 წლებში აშშ-ის ფლოტი თავს დაესხა ტაივანს. ფართოვდება აშშ-ის კაპიტალის შეჭრა ჩინეთში, რომელსაც აშშ-ის მთავრობამ თავს მოახვია რამდენიმე არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. გრძელდება აშშ-ის კაპიტალის შეჭრა იაპონიაში, რაც ჯერ კიდევ 1853 წელს კომოდორ პერის ექსპედიციის შემდეგ დაიწყო. 1866 და 1871 წლებში კორეის წინააღმდეგ აშშ-ის საზღვაო ლაშქრობამ მარცხი განიცადა. კორეის დაპყრობა აშშ-მა ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, მისი კაპიტალი ახერხებს კორეაში „მშვიდობიან შეღწევას“. 1882-90 წლებში აშშ-მა კორეას თავს მოახვია რამდენიმე არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რაც აქ აშშ-ის კაპიტალს ფართო მოქმედების საშუალებას აძლევდა.

აზიის სანაპიროებზე ტერიტორიების დაპყრობის გადაწყვეტილებაზე აშშ-მა დროებით ხელი აიღო. თავი იჩინა სამხედრო-ტექნიკურმა (განსაკუთრებით სამხედრო-საზღვაო სფეროში) ერთგვარმა ჩამორჩენილობამ, რაც გამოვლინდა კიდეც კორეაში ინტერვენციის მარცხის სახით. მომავალი დიდი შეტაკების მოსამზადებლად მან საჭიროდ ჩათვალა წყნარი ოკეანის აუზში გაბატონება. ამიერიდან მისი აგრესიის ობიექტებად იქცნენ აუზის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ჰავაის და სამოას კუნძულთა ჯგუფი.

1889 წელს აშშ-მა ინგლისთან და გერმანიასთან ერთად სამოას კუნძულებზე პროტექტორატის უფლება მოიპოვა. 1898 წლის 7 ივლისს აშშ-მა განახორციელა ჰავაის არქიპელაგის ანექსია.

1898 წელს ესპანეთ-ამერიკის ომი (25 აპრილი — 12 აგვისტო) აშშ საგარეო პოლიტიკაში ახალი კურსის მომასწავებელი გახდა. ამიერიდან აშშ თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის მესამე ეტაპის განხორციელებას შეუდგა. იგი უკვე მსოფლიო ბატონობაზე აცხადებს პრეტენზიას.

ავსტრია-უნგრეთი 1867-98 წლებში

მიუხედავად იმისა, რომ 1867 წელს, დუალიზმის დამყარების შემდეგ, ავსტრია-უნგრეთში ჩატარდა რეფორმები, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებას უწყობდა ხელს, XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში იგი მაინც რჩებოდა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად. შენარჩუნებულ იქნა ფეოდალიზმის მნიშვნელოვანი გადმონაშთები, დარჩა ეროვნული ჩაგვრა სლავი და სხვა ხალხებისა, რომლებიც ავსტრია-უნგრეთში ცხოვრობდნენ.

ავსტრია-უნგრეთის ეკონომიური განვითარება 70—80-იან წლებში

XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ავსტრია-უნგრეთის ეკონომიკა სუსტად, მაგრამ მაინც იცვლიდა წინანდელ, უპირატესად აგრარულ ხასიათს. ჩეხიასა და ქვემო ავსტრიაში წარმოიშვა მსხვილი საწარმოები, რომლებშიც უკვე ათასობით მუშა იყო დაკავებული: მსხვილი სამთამადნო და ლითონდამმუშავებელი საწარმოები შტირიაში, ვიტკოვიცის მეტალურგიული ქარხნები და შკოდას ფირმის ქარხნები ჩეხიაში, რომლებიც არა მარტო ავსტრია-უნგრეთს აწოდებდნენ იარაღს, არამედ სხვა მეზობელ სახელმწიფოებსაც. ჩეხიის თუჯის გამომდნობი საწარმოები იმპერიის თუჯის საერთო წარმოების 86 პროცენტს იძლეოდა, ჩეხიასა და მორავიაზე მოდიოდა ცისლაიტანიის* ქვანახშირის მოპოვებისა და ფოლადის გამოდნობის 90 პროცენტი.

განვითარდა ნავთობმომპოვებელი მრეწველობაც, 1900 წლისათვის ნავთობის მოპოვებამ 347 ათასი ტონა შეადგინა. სწრაფად იზრდებოდა სარკინიგზო ქსელი. სწრაფი იყო მრეწველობის იმ დარ-

---

* მდ. ლაიტა ორ ნაწილად ჰყოფდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიას: ლაიტას აღმოსავლეთით — ტრანსლაიტანიად (უნგრეთი, სლოვაკია, ხორვატია, ტრანსილვანია და სხვ.) და ლაიტის დასავლეთით — ცისლაიტანიად (ავსტრია, ჩეხია, მორავია, სილეზია და სხვ.).

გების განვითარებაც, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებასთან იყო დაკავშირებული — შაქრის ჭარხლის, ღვინისა და ლუდის წარმოები. მაგრამ მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარების შედარებით მაღალ ტემპებთან ერთად წარმოების აბსოლუტური მოცულობა ჯერ კიდევ მცირე იყო. მაგალითად, ავსტრია-უნგრეთი მხოლოდ მეშვიდე ადგილზე იყო მსოფლიოში თუჯის გამოდნობით, ევროპის ქვეყნებიდან იგი ბელგიასაც კი ჩამორჩებოდა.

ავსტრია-უნგრეთს ევროპაში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობაში მანქანებისა და სასუქების გამოყენების მხრივ. გლეხობა მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას. ამავე დროს თავადაზნაურობის მცირერიცხოვან ფენას ეკუთვნოდა მიწის უზარმაზარი მასივები. მაგალითად, ოთხი ათასი უნგრელი მაგნატიდან თითოეული 1000 ჰექტარზე მეტ მიწას ფლობდა.

ჩეხიაში წვრილი საგლეხო მეურნეობები, რომლებიც კომლთა საერთო რაოდენობის 80 პროცენტზე მეტს შეადგენდა, ფლობდა მიწის მხოლოდ 12.5 პროცენტს, მაშინ როცა დამუშავებული მიწის მესამედზე მეტი რამდენიმე ასეული ავსტრიელი მემამულის ხელთ იყო კონცენტრირებული. უმიწაწყლო და მცირემიწიანთა კატეგორიას განეკუთვნებოდა უკრაინელი გლეხობა გალიციაში, პოლონელი გლეხობა ტეშინის სილეზიაში და ა. შ.

გლეხობის სიღატაკე კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა აგრარული კრიზისების პერიოდში. მაგალითად, მარტო 1888 წელს ცისლაიტანიაში აუქციონზე გაიყიდა 12 ათასი გლეხის ქონება.

დუხჭირმა ცხოვრებამ განაპირობა ამ პერიოდში ემიგრაციის კოლოსალური მასშტაბები. XIX საუკუნის მიწურულში ავსტრია-უნგრეთი 750 ათასმა კაცმა დატოვა. განსაკუთრებით დიდი იყო ემიგრაციაში წასულთა შორის სლავი ხალხების — ავსტრია-უნგრეთში ყველაზე ჩაგრული ხალხების — წარმომადგენელთა რაოდენობა. 80-იან წლებში დასავლეთ გალიციიდან ემიგრაციაში ყოველწლიურად 7 ათასამდე კაცი მიდიოდა, 90-იან წლებში კი უკვე — 17 ათასი.

ძლიერი პოზიციები ეკავა ავსტრია-უნგრეთის ეკონომიკაში უცხოურ კაპიტალს, უპირველეს ყოვლისა გერმანულსა და ფრანგულს. მათ აქ მუშახელის შედარებით სიიაფე იზიდავდა. გერმანელმა კაპიტალისტებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი პოზიციები მანქანათმშენებლობაში, ფოლადსადნობ და ქიმიურ მრეწველობაში, მოგვიანებით — ელექტროტექნიკურ მრეწველობაშიც. შკოდას ქარხნები კრუპის საწარმოებთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. ფრან-

ბული კაპიტალი წარმოდგენილი იყო სარკინიგზო მშენებლობაში, ქვანახშირის მრეწველობაში, შტირიის მეტალურგიულ მრეწველობაში და ა. შ.

თავის მხრივ, ავსტრია-უნგრეთის ბურჟუაზია დაჟინებით ცდილობდა უპირველეს ყოვლისა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში შეეჭრილიყო, დაებანდებინა იქ საკუთარი კაპიტალი.

70-იან წლებში დაიწყო პირველი მსხვილი სამრეწველო გაერთიანებების — მომავალი მონოპოლიების წარმოშობა. კაპიტალის კონცენტრაციის პროცესის დაჩქარებაში დიდ როლს ასრულებდნენ მსხვილი ბანკები „კრედიტ-ანშტალტი", „ჩეხიის საადრიცხვო ბანკი" და სხვ., რომლებიც მნიშვნელოვანწილად აკონტროლებდნენ მძიმე და მსუბუქ მრეწველობას.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მეტალურგიული წარმოების კონცენტრაცია. უმსხვილეს მონოპოლიურ გაერთიანებას წარმოადგენდა 1881 წელს დაარსებული სამთამადნო მეტალურგიული ფირმა „ალპინე-მონტან", რომელიც მძიმე მრეწველობის ფაქტიურ ბატონ-პატრონად გადაიქცა ავსტრიულ რაიონებში.

მრეწველობის მონოპოლიზაცია ქვეყნის მხოლოდ ყველაზე უფრო ინდუსტრიალიზებულ რაიონებში ხდებოდა. ავსტრია-უნგრეთის ბევრი მხარე ჯერ კიდევ რჩებოდა ეკონომიური განვითარების მეტად დაბალ დონეზე. ავსტრიის ბურჟუაზია ეიისწრაფოდა გადაექცია იმპერიის არაავსტრიული მიწები, მათ შორის უნგრეთიც, თავისი მრეწველობის აგრარულ დანამატად, შეექმნა თავისათვის „შინაგანი კოლონია".

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 70—80-იან წლებში

ეროვნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა ჰაბსბურგთა მონარქიაში. ოფიციალური მონაცემებითაც კი XIX საუკუნის დამლევისათვის ავსტრიელები შეადგენდნენ ცისლაიტანიის მოსახლეობის მხოლოდ მესამედს. უნგრელები, რომლებიც 1867 წლის შეთანხმების შედეგად გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, თავის მხრივ უმცირესობას შეადგენდნენ ტრანსლაიტანიაში.

ჰაბსბურგები ცდილობდნენ შეეჩერებინათ თავიანთი იმპერიის დაშლა. ამისათვის ისინი მოხერხებულად იყენებდნენ წინააღმდეგობებს ჩაგრულ ხალხებს შორის. მმართველი წრეების ნაცადი ხერხი იყო ცალკეულ ეროვნებათა გაბატონებული ზედაფენებისათვის გარკვეულ პრივილეგიათა დათმობა. ეს მით უფრო მოსახერხებე-

ლი იყო, რომ ქვეყნის ბევრ რაიონში გაბატონებული და ექსპლუატირებული კლასები სხვადასხვა ეროვნებებს ეკუთვნოდნენ: უნგრელი ფეოდალები ჩაგრავდნენ სერბ, სლოვაკ, ხორვატ, რუმინელ გლეხებს; პოლონელი მემამულეები — უკრაინელ გლეხებს და ა. შ.

ავსტრია-უნგრული დუალიზმის დამყარება ჩაგვრის „ავსტრიული სისტემის“ ნათელი გამოვლინება იყო. ამაზე მეტყველებდა მჭიდრო თანამშრომლობაც ავსტრიის მმართველ წრეებსა და პოლონურ შლიახტას შორის, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში შესამჩნევად განმტკიცდა. ავსტრიის მთავრობამ პოლონელ მემამულეებს გადასცა ადგილობრივი ძალაუფლების ორგანოები გალიციაში, ნება დართო პოლონური ენის, როგორც ოფიციალური ენის შემოღებაზე, რიგ სხვა დათმობებზეც წავიდა. სიმაგიეროდ. მან პოლონელი მემამულეების მხარდაჭერა მოიპოვა.

მაგრამ „გაჰყავი და იბატონეს“ ტრადიციული მეთოდები სულ უფრო წარუმატებელი ხდებოდა. ჩეხიასა და სხვა ოლქებში იზრდებოდა ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც გაბატონებული ერის ბურჟუაზიასთან გათანაბრებას მოითხოვდა. ავსტრია-უნგრეთის ეროვნულ ოლქებში მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა მუშათა კლასიც, რომლის გავლენით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ უფრო მასობრივსა და შემტევ ხასიათს იღებდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებით მწვავედ ჩეხურ რაიონებში გაიშალა, იქ სადაც ინტენსიური ეკონომიური განვითარება სერიოზულ გავლენას ახდენდა ჩეხი ბურჟუაზიის პოლიტიკურ აქტიურობაზე. ჩეხიის ბურჟუაზია უარს ამბობდა დეპუტატების წარგზავნაზე იმპერიის რაიხსრატში (პარლამენტში) და ჩეხიის ლანდტაგში, მოითხოვდა გარკვეულ ავტონომიას. მთავრობამ ასეთ მოთხოვნებს 1868 წლის ოქტომბერში საალყო წესების შემოღებით უპასუხა. მაგრამ რეპრესიებმა ვერ შეძლეს ჩეხური ოპოზიციის დათრგუნვა, პირიქით, მათ უფრო გაამწვავეს მდგომარეობა.

ჩეხიის ნაციონალურ მოძრაობაში მტკიცდებოდა რადიკალური ფრთა, რომელიც ბურჟუაზიის ფართო წრეების ინტერესებს გამოხატავდა. მისი მომხრეები, ე. წ. „მლადოჩეხები“ ძმებით გრეგრებითა და სლადკოვსკით სათავეში, 1874 წელს დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბდნენ. ისინი ცდილობდნენ მოეპოვებინათ პროლეტარიატის მხარდაჭერა, მაგრამ მიემართათ მუშათა უკმაყოფილება მხოლოდ ავსტრიელი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, „სტაროჩეხები“ (კონსერვატიული ჯგუფი პალაცკისა და რიგერის ხელმძღვანელობით), მშრომელი მასების გამოსვლებით დაშინებულნი, უარს ამბობდნენ ავტონომიაზეც კი და ცდილობდნენ, პოლონელი კონსერვატორების მსგავსად, ავსტრიის მმართველი წრეების პირდაპირ მხარდაჭერას დაყრდნობოდნენ. 80-იან წლებში ისინი მთავრობის საპარლამენტო უმრავლესობის შემადგენლობაში შეიდნენ, დაკმაყოფილდნენ რა უმნიშვნელო დათმობებით (მაგ., ჩეხური ენის შემოღებით ჩეხიის სასამართლო დაწესებულებებში, ჩეხური განყოფილების გახსნით პრაღის უნივერსიტეტში და ა. შ.). „სტაროჩეხები“ გეგმავდნენ ჩეხიის გაყოფას ცალკეულ ეროვნულ-ჩეხურ და გერმანულ რაიონებად, რამაც ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის მკვეთრი წინააღმდეგობა გამოიწვია.

ავსტრიელი და პოლონელი მემამულეები უხეშად ჩაგრავდნენ უკრაინელ მოსახლეობას; ასეთსავე ჩაგვრას უნგრელი მემამულეების მხრიდან განიცდიდნენ იმიერკარპატელი უკრაინელები. პოლონელი და უნგრელი მემამულენი, რომელთაც თითქმის ბატონყმურ კაბალაში მოაქციეს უკრაინელი გლეხობა, ცდილობდნენ ჩაეხშოთ უკრაინული კულტურის განვითარებაც. მაგრამ სწრაფვა ეროვნული თავისუფლებისაკენ აქაც იზრდებოდა. აქაც ეროვნულ მოძრაობაში დემოკრატიული ფრთა, რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე ფრანკო, დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მიმართულებას — „ხალხსნობას“, რომელზეც დიდ გავლენას ახდენდა უნიატური სამღვდელოება.

ეროვნული საკითხი მწვავედ იდგა იმპერიის უნგრულ ნაწილშიც. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ 1867 წლის შეთანხმებამ განამტკიცა ავსტრიის წამყვანი როლი იმპერიაში, თუმცა უნგრეთის შინაპოლიტიკური დამოუკიდებლობა დააკანონა.

უნგრელი მიწათმფლობელების წარმომადგენელი „შეთანხმების პარტია“ დეაკის მეთაურობით მზად იყო კვლავაც დაეცვა ორმხრივი შეთანხმება. მის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა „1848 წლის პარტია“ ემიგრაციაში მყოფი ლაიოშ კოშუტის მეთაურობით, რომელიც წვრილი აზნაურობისა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. მაგრამ მიუხედავად უნგრეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პოპულარული ლოზუნგის წამოყენებისა, ამ პარტიას არ ჰქონდა დიდი გავლენა მასებში.

უკვე 1868 წლის ნოემბერში უნგრეთში მიღებულ იქნა „კანონი ეროვნებათა შესახებ“. ამ კანონმა ფაქტიური უუფლებობის პირობებში ჩააყენა უნგრეთში მცხოვრები ეროვნული უმცირესობანი,

მან სახელმწიფო ენად მხოლოდ უნგრული გამოაცხადა. ასეთმა ტენდენციებმა ხორვატიაში, რომელიც შინაგანი ავტონომიით სარგებლობდა და თავისი სეიმი ჰქონდა, 1883 წელს აჯანყება გამოიწვია და უნგრეთის მთავრობა იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისი გეგმების შესრულებაზე.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ უნგრეთში სლოვაკები, რუმინელები, იმიერკარპატის უკრაინელები. სასტიკად იხშობოდა მათი კულტურა. 1883 წლის კანონი საშუალო სკოლებში უნგრულ ენაზე სწავლებას აწესებდა. ეროვნული ენების გამოყენება დაშვებული იყო სახელმწიფო აპარატის მხოლოდ ყველაზე დაბალ საფეხურებზე. კათოლიკური ეკლესია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა განემტკიცებინა უნგრული ელემენტების უპირატესობა.

ასეთი პოლიტიკა, ცხადია, აღშფოთებას იწვევდა ეროვნულ უმცირესობებს შორის. ამ ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ამწვავებდა შინაპოლიტიკურ კრიზისს ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში.

ავსტრია-უნგრეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 70—80-იან წლებში

ავსტრიაში ორი წამყვანი პარტია მოქმედებდა: ლიბერალურ-კონსტიტუციური, ბურჟუაზიის ინტერესების ამსახველი, და კონსერვატიული, რომელიც თავადაზნაურობას ეყრდნობოდა. 70-იანი წლების განმავლობაში ხელისუფლების სათავეში ლიბერალები იდგნენ, კერძოდ აუერსპერგის კაბინეტი (1871-79 წლები). ამ კაბინეტმა რამდენიმე ბურჟუაზიული რეფორმა ჩაატარა — გააუქმა კონკორდატი ვატიკანთან, დააწესა სამოქალაქო ქორწინება და ა. შ. ამავე დროს ლიბერალები დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ ეროვნული უმცირესობებისა და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

მასების სერიოზულმა უკმაყოფილებამ, რომელიც 1873 წლის ეკონომიურმა კრიზისმა გაამწვავა, დააჩქარა საარჩევნო რეფორმის გატარება. დაწესებულ იქნა რაიხსრატის დეპუტატთა არჩევა უშუალოდ ამომრჩეველთა მიერ, რომლებიც ოთხ საარჩევნო კურიად იყვნენ გაყოფილი: მსხვილი მიწათმფლობელების, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლების, საერთო-საქალაქო და სასოფლო თემთა კურიებად. დეპუტატთა ადგილების რაოდენობის განაწილება პირველი ორი კურიის სასარგებლოდ უზრუნველყოფ-

და მმართველი კლასებისა და ავსტრიელების უპირატესობას რაიხსრატში.

თუ საფრანგეთ-პრუსიის ომის დასაწყისში იმპერატორი ფრანციოზეფი და ავსტრიის მმართველი წრეები ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ რევანშზე 1866 წელს წაგებული ომისათვის, პრუსიის გამარჯვებამ და რუსეთის პოზიციამ საბოლოოდ ჩაფუშა მათი მისწრაფებანი — სათავეში ჩასდგომოდნენ გერმანიის გაერთიანებას.

ახლა მათი ყურადღება მიპყრობილი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. 1873 წელს ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიამ და რუსეთმა შეჰკრეს „სამი იმპერატორის კავშირი", ხოლო 1876 წელს რაიხშტადტის ხელშეკრულებით, რომელიც რუსეთს ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტს აღუთქვამდა თურქეთთან შესაძლებელ ომში, იმპერიას უნდა მიეღო ხორვატიისა და ბოსნიის ტერიტორიების ნაწილი. 1878 წელს, ბერლინის კონგრესზე ავსტრიამ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაციის უფლება მიიღო.

მაგრამ ამ ფაქტმა ძალზე გაამწვავა ავსტრია-რუსეთის ურთიერთობა, მით უმეტეს ამწვავებდა მას სწრაფვა იმპერიის საზღვრებს გარეთ მცხოვრები სლავი ხალხების დამორჩილებისა, რომელთა განმაათავისუფლებელი ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ ხელს უწყობდა ჰაბსბურგთა მონარქიაში მცხოვრებ სლავებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას.

ეს ტენდენციები გერმანიასთან დაახლოების საფუძვლად იქცა. განსაკუთრებული დაინტერესება ამ საკითხში უნგრელმა მაგნატებმა გამოაცლინეს, რომელთა წარმომადგენელმა გრაფმა ანდრაშიმ, 70-იან წლებში ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მოამზადა გერმანიასთან კავშირის შეკვრა 1879 წელს. 1832 წელს წარმოიშვა გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-იტალიის „სამთა კავშირი", რომლის აგრესიულმა ხასიათმა საბოლოოდ გაართულა ურთიერთობა ავსტრია-უნგრეთს, რუსეთსა და საფრანგეთს შორის.

ავსტრიის მმართველი წრეების ნაწილი წინააღმდეგი იყო ბალკანეთზე ექსპანსიის გაძლიერებისა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ იმპერიაში სლავური მოსახლეობის ზრდა მხოლოდ ზიანს მოუტანდა გაბატონებულ ერს. უთანხმოებამ ამ საკითხში განაპირობა ბურჟუაზიული ლიბერალების მთავრობის დაცემა. ძალაუფლება გადავიდა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — გრაფ ედუარდ ტააფეს ხელში. მის მიერ შექმნილმა კაბინეტმა დიდხანს — 1879 წლის აგვისტოდან 1893 წლის ნოემბრამდე იარსება.

ამ პერიოდში ტააფეს მთავრობამ, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა კონსტიტუციურ ფორმებს, თითქმის აღადგინა ავსტ-

რიაში ბონაპარტისტული ყაიდის აბსოლუტიზმი. მთავრობის ბონაპარტისტული თვალთმაქცობა მუშათა კლასის წინაშე პირფერობაში გამოვლინდა, ცდებში შეეჩერებინა მუშათა მოძრაობა სოციალური კანონმდებლობის დარგში უმნიშვნელო დათმობებით და ა. შ. ასეთივე ლავირება ახასიათებდა ტააფეს კაბინეტს ეროვნულ საკითხშიც. თავის მოღვაწეობაში იგი არა მარტო ავსტრიის კონსერვატიულ ძალებს ეყრდნობოდა, არამედ პოლონურ, ჩეხურ, სლოვენურ ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებსაც, რომელთაც უმნიშვნელო დათმობებით იმხრობდა (1880-82 წლებში სწორედ ტააფეს მთავრობამ შემოიღო ჩეხიისა და მორავიის სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში გერმანული ენის გარდა ჩეხური ენაც. ჩეხურ და გერმანულ განყოფილებებად გაჰყო პრაღის უნივერსიტეტი და ა. შ.). ტააფეს მთავრობა განაგრძობდა რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ საგარეო-პოლიტიკურ გეზს. ამ ტენდენციის გამოხატულება იყო 1887 წელს ე. წ. „ხმელთაშუა ზღვის ანტანტაში“ შესვლა, რომლის მონაწილენი ავსტრია-უნგრეთთან ერთად ინგლისი და იტალია იყვნენ.

მაგრამ კონსერვატორებმა ვერ შეძლეს თავიანთი ავტორიტეტის განმტკიცება ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიულ ფენებში. წარმოების შემდგომი კონცენტრაცია სულ უფრო აღატაკებდა წვრილ ბურჟუაზიას.

80-იან წლებში ავსტრიის წვრილი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის უკმაყოფილებით ისარგებლა ორმა ახალმა პარტიამ — „გერმანულ-ეროვნულმა კავშირმა“ და „ქრისტიანულ-სოციალურმა პარტიამ“. „გერმანულ-ეროვნული კავშირი“, რომელსაც გეორგ შოენერერი ხელმძღვანელობდა, აგრესიულ-ნაციონალისტური, პანგერმანული ხასიათის პარტია იყო. პანგერმანელები მოითხოვდნენ ავსტრიის შეერთებას გერმანიასთან. მიესწრაფოდნენ გერმანიის მმართველი წრეების მხარდაჭერას ჩაგრული ხალხების წინააღმდეგ. ისინი ეყრდნობოდნენ გერმანელი თანამოაზრეების დახმარებას. რომლებმაც ფართო პროპაგანდა გაშალეს ორივე სახელმწიფოში „რასიული სიწმინდისა“ და გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში ავსტრიის შესვლის სასარგებლოდ. თუ პირველ ხანებში შოენერერმა გააფთრებული შოვინისტური და ანტისემიტური პროპაგანდის მეშვეობით შეძლო მიემხრო გერმანელი წვრილი ბურჟუაზიის საგრძნობი ნაწილი, 90-იანი წლების ბოლოს პანგერმანელთა გავლენა დაეცა.

„ქრისტიანულ-სოციალური პარტია“ კარლ ლუეგერის ხელმძღვანელობით, რომელიც თავდაპირველად შოენერერს ემხრობოდა,

ფართოდ იყენებდა ეკლესიის ავტორიტეტს — სერიოზულ ფაქტორს კათოლიკურ ქვეყანაში. მან შეძლო მიემხრო წვრილი ბურჟუაზიის ჭნიშვნელოვანი ნაწილი. პანგერმანისტულ პროპაგანდას ეს პარტია მოხერხებულად უთავსებდა გამოსვლებს კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ, ქადაგებდა კლასობრივ ზავს და ყველა სოციალური კონფლიქტის გადაწყვეტას „თანხმობითა და სიყვარულით". ამავე დროს ეს პარტია აღვირახსნილ ანტისემიტურ პროპაგანდას აწარმოებდა. ქრისტიანულ-სოციალური პარტიის საყრდენი ვენა იყო, მისი ლიდერი ლუეგერი 1897 წელს ვენის ბიურგერმაისტერი (ქალაქისთავი) გახდა და მრავალი წლის მანძილზე ეჭირა ეს პოსტი.

უნგრეთის მმართველი წრეები მხარს უჭერდნენ ავსტრიის გაბატონებული კლასების პოლიტიკას, მაგრამ ხშირად მაინც სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ავსტრიის ბურჟუაზიის მისწრაფებათა გამო, უზრუნველეყო თავისი უპირატესობა უნგრეთის ეკონომიკაში. უნგრეთის გაბატონებული კლასები მოითხოვდნენ ცალკე უნგრულ არმიას, უნგრეთის ბანკის დამოუკიდებლობას და ა. შ. მაგრამ კონფლიქტები, საბოლოო ჯამში, კომპრომისებით მთავრდებოდა, ვინაიდან მათ წინააღმდეგობას არ შეეძლო მოეხსნა ორივე მხარის დაინტერესება ეროვნული და კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებით.

მუშათა მოძრაობა ავსტრია-უნგრეთში 70—90-იან წლებში

კაპიტალიზმის განვითარებამ ავსტრია-უნგრეთში განაპირობა მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდა და მუშათა მოძრაობის შესამჩნევი აღმავლობა. 1867 წელს ჩამოყალიბდა პირველი მუშათა ორგანიზაცია — ვენის მუშათა საგანმანათლებლო საზოგადოება, რომელიც ლასალიანელთა სერიოზულ გავლენას განიცდიდა. მალე მუშათა კავშირები წარმოიშვნენ სხვა დიდ ქალაქებშიც. მათ შორის პრაღასა და ბრნოში.

1868 წელს შეიკრიბა მუშათა კონგრესი, რომელმაც გამოაცხადა სოციალ-დემოკრატიული პარტიის — პირველი მუშათა პარტიის შექმნა ავსტრიაში. 1869 წელს გამოვიდა პირველი სოციალ-დემოკრატიული ყოველკვირეული გაზეთი „ფოლკსშტიმე" („ხალხის ხმა"). პარტიის პროგრამა მიზნად ისახავდა სრული თანასწორუფლებიანობის მიღწევას „თავისუფალ სახელმწიფოში" მშვიდობიანი და კანონიერი გზით.

ავსტრია-უნგრეთის მუშათა მოძრაობაში თანდათანობით ვრცელდებოდა მარქსიზმი. მარქსიზმისა და ინტერნაციონალის მოღვაწეობის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი იყო ვილჰელმ ლიბკნეხტი, რომელმაც ვენაში 1869 წლის ივლისში გამართულ მიტინგზე მოუწოდა ავსტრიელ მუშებს გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები გერმანული მუშათა კავშირების ყრილობაზე აიზენახში.

1869 წლის დეკემბერში ვენის მუშათა მასობრივმა დემონსტრაციამ რაიხსრატს კავშირებისა და კრებების სრული თავისუფლების, რეგულარული არმიის დაშლისა და სახალხო მილიციის შექმნის მოთხოვნები წაუყენა. დემონსტრაციაში სხვადასხვა ეროვნების მუშები მონაწილეობდნენ.

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, საერთოევროპული რეაქციის განმტკიცების პერიოდში, მკვეთრად გაძლიერდა რეპრესიები ავსტრია-უნგრეთშიც. მათ სერიოზულად შეუშალეს ხელი მუშათა მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. მუშათა მოძრაობის სისუსტით ისარგებლეს მარქსიზმის მტრებმა — ოპორტუნისტული და ანარქისტული ხასიათის მიმდინარეობებმა, კერძოდ ლასალიანელებმა.

1874 წელს შედგა ავსტრიის მუშათა ორგანიზაციების ყრილობა, რომელიც შეეცადა შეემჭიდროებინა იმპერიის მრავალეროვანი პროლეტარიატი, მაგრამ ყრილობაზე შექმნილი კავშირიანება არამყარი გამოდგა.

პროლეტარიატის საარსებო პირობები ძალიან მძიმე იყო. საშუალოცხოვრებლო მინიმუმი 3—4 კაციანი ოჯახისათვის წელიწადში დაახლოებით 1200 კრონს შეადგენდა. ეს მაშინ, როცა ავსტრიის მეტალურგიული მრეწველობის მუშათა ხელფასი 1897 წელს შეადგენდა 817 კრონს. 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე ფაქტიურად არაფრით ისაზღვრებოდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა.

ცხოვრების ძალზე მძიმე პირობები, უუფლებობა, ეროვნული ჩაგვრა საბრძოლო განწყობილებებს აღვივებდა ავსტრია-უნგრეთის მუშათა შორის. სწრაფვა სოციალისტური იდეებისაკენ სულ უფრო ნათლად იჩენდა თავს. 1878 წელს ჩეხიაში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გოთას პროგრამა დაედო საფუძვლად.

ტააფეს მთავრობა, გერმანიის მმართველი წრეების მსგავსად, სოციალური დემაგოგიის მეთოდებს იყენებდა მუშათა მოძრაობის მიმართ. 80-იან წლებში მიღებულ იქნა კანონები დასახიჩრების შემთხვევაში დაზღვევის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის გარკვეული შემცირების შესახებ და სხვ. ამავე დროს მმართველი წრეები

მკაცრად სდევნიდნენ პროლეტარიატის ძალების ორგანიზაციის ცდებს. 1884 წელს ბისმარკისეული „სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის“ ანალოგიურად შემოღებულ იქნა „კანონი ანარქისტების წინააღმდეგ“. თვით საბაბიც კი ამ კანონის მიღებისა ანალოგიური იყო — მთავრობის მიერ პროვოცირებული ანარქისტული თავდასხმა იმპერატორზე. დაწესდა საალყო წესები ყველა უმნიშვნელოვანეს სამრეწველო რაიონში. განსაკუთრებული სასამართლოები სასტიკად უსწორდებოდნენ მოწინავე მუშებს, დაარბევს პროფესიული კავშირები და მუშათა პრესა.

მიუხედავად დევნისა 80-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალისტური აგიტაცია ცისლაიტანურ ოლქებში. ვაძლიერდა მუშათა კლასის საგაფიცვო გამოსვლებიც. პროლეტარიატის იდეური და ორგანიზაციული სისუსტის გადალახვისათვის სერიოზულ ბრძოლას აწარმოებდა გაზეთი „გლაიხჰაიტ“ („თანასწორობა“). რომელიც 1886 წლიდან გამოდიოდა ვიქტორ ადლერის ხელმძღვანელობით და რომელმაც ჩეხ სოციალისტებთან ერთად მოამზადა 1888 წლის მიწურულში ზოგადავსტრიული სოციალისტური ყრილობის მოწვევა ჰაინფელდში.

ჰაინფელდის გამაერთიანებელ ყრილობაზე (1888 წ. 31 დეკემბერი — 1889 წ. 1 იანვარი) ჩამოყალიბდა ერთიანი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამა მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებებს, პარლამენტის საყოველთაო თანასწორ და პირდაპირ არჩევნებს, ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. პროლეტარიატის პოლიტიკურ ორგანიზაციასა და მისი კლასობრივი თვითშეგნების განვითარებას. პროგრამაში სწორად იყო ფორმულირებული ავსტრიის მუშათა მოძრაობის მთავარი ამოცანა — სოციალიზმის მიღწევა. მაგრამ პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი პროლეტარიატის დიქტატურაზე, გვერდი ჰქონდა ავლილი ავსტრია-უნგრეთში მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხს. 1889 წლის აპრილიდან გამოდიოდა „არბაიტერ ცაიტუნგი“ („მუშათა გაზეთი“). რომელიც 1895 წლიდან ყოველდღიურ ორგანოდ გადაიქცა.

90-იანი წლების დასაწყისისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა რაოდენობა 15-დან 50 ათასამდე გაიზარდა. მისი პრესის ტირაჟი გაიზარდა ექვსჯერ. სოციალისტების ხელმძღვანელობით ჩატარდა რამდენიმე დიდი გაფიცვა, მათ შორის ვენის კალატოზებისა 1890 წელს, კრაინის, შტირიისა და ჩეხიის მეშახტეთა გაფიცვები 1892 წელს და ა. შ.

1890 წლის 1 მაისს ავსტრია-უნგრეთის ბევრ ქალაქში შედგა ძლიერი მასობრივი დემონსტრაცია. მარტო ვენაში დემონსტრაციებში მონაწილეობდა 100 ათასამდე მუშა. დიდი აღმავლობით ტარდებოდა ამგვარი გამოსვლები შემდეგ წლებშიც. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, ეს იყო „ნამდვილი საპირველმაისო დღესასწაული პროლეტარული სულისკვეთებით“.

ყველაფერმა ამან ტააფეს მთავრობა იძულებული გაბადა გაეუქმებინა „კანონი ანარქისტების წინააღმდეგ“.

განსაკუთრებით მძიმე დევნას განიცდიდა მუშათა ორგანიზაციები უნგრეთში. ამას გარდა, აქ კიდევ უფრო დამღუპველად და ხანგრძლივად მოქმედებდა ლასალიანელობისა და ანარქიზმის გავლენა. იდეურ მერყეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურება მიუძღვის პარიზის კომუნის გამოჩენილ მოღვაწეს ლეო ფრანკელს, რომელიც 1876 წელს უნგრეთში დაბრუნდა. 1890 წელს, მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, უნგრეთშიც შეიქმნა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია.

სამრეწველო მუშების საპირველმაისო გაფიცვები და დემონსტრაციები უნგრეთში ერწყმოდა პროლეტარიატის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ ჩამორჩენილი ნაწილის — სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და გლეხობის მღელვარებას. უნგრეთში ხელსაყრელი პირობები იყო მუშათა კლასისა და გლეხობის დაახლოებისათვის, მაგრამ სოციალ-დემოკრატიამ ვერ შეძლო გამოეყენებინა ეს შესაძლებლობანი.

მარქსისტული იდეების გავრცელება პოლონელ და უკრაინელ მუშებშიც დაიწყო. მუშათა მოძრაობის აღმავლობა იმპერიის პოლონურ და უკრაინულ რაიონებში 1890 წელს განეკუთვნება. ამ წელს ჩატარდა მუშების მასობრივი შეკრებები და დემონსტრაციები, 8-საათიანი სამუშაო დღის, ხელფასის მინიმუმის დაწესების და სხვა მოთხოვნებით. 1890 წლის პირველი მაისი გაფიცვებითა და მიტინგებით აღინიშნა კრაკოვში, ლვოვსა და სხვა ქალაქებში. ამავე დროს მუშები გამოდიოდნენ პროტესტით ეროვნული ჩაგვრისა და მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

90-იან წლებში აღმავლობის გზაზე იდგა ჩეხიის მუშათა მოძრაობაც. ძალზე მწვავე იყო საგაფიცვო ბრძოლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ბრნოს ფეიქრები (1894), სლანის მანქანათმშენებლები (1896). საქმე აქ პოლიციასთან შეიარაღებულ შეტაკებებამდეც კი მიდიოდა.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება დღის წესრიგში სხვადასხვა ეროვნების მუშათა შემჭიდროების საკითხს აყენებდა ერთი საერ-

თო მტრის — ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ოპორტუნისტული ტენდენციები გაძლიერდა, რასაც ხელს უწყობდა მუშათა არისტოკრატიის ჩამოყალიბება, გერმანელი ეროვნების მუშათა შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა და ა. შ. პარტიის წარმატებებმა თავბრუ დაახვია წვრილბურჟუაზიულ თანამგზავრებს, განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეებიდან. ვიქტორ ადლერის ოპორტუნიზმი, რომელიც როზა ლუქსემბურგის განსაზღვრით „საერთაშორისო ოპორტუნიზმის ადვოკატად“ გამოდიოდა, ყველაზე ნათლად ნაციონალურ საკითხში გამოვლინდა.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა უარყოფდა ეროვნული ბრძოლის რევოლუციურ მნიშვნელობას. ამან გამოიწვია სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებად გათიშვის ტენდენციები. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია თანდათან გადაიქცეოდა ეროვნული ჯგუფების ფედერაციად. 1897 წლის ვიმბერგის პარტიული ყრილობის შემდეგ ავსტრიაში უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა ფაქტიურად არსებობდა ექვსი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — ავსტრიის, ჩეხიის, პოლონეთის, უკრაინის, იუგოსლავიისა და იტალიის. უთმობდა რა ადგილს ეროვნულ კარჩაკეტილობას. ორგანიზაციული კავშირი მათ შორის ყოველწლიურად სუსტდებოდა.

1899 წელს პარტიის ყრილობაზე ბრნოში (ბრიუნი) მიღებულ იქნა ე. წ. „ბრიუნის პროგრამა ნაციონალურ საკითხში“, რომელიც დათმობას წარმოადგენდა „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორიის წინაშე. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორეტიკოსები (ოტო ბაუერი, კარლ რენერი და სხვ.) ქადაგებდნენ არა ტერიტორიულ ავტონომიას, არამედ ადამიანთა „ავტონომიას“. ეს „თეორია“ ასახავდა მისწრაფებას ჰაბსბურგთა მონარქიის მთლიანობის აუცილებელი შენარჩუნებისაკენ და მიჰყავდა საქმე ეროვნებათა თვითგამორკვევისათვის ბრძოლის უარყოფისა და სხვადასხვა ეროვნების პროლეტარიატის განკერძოებისაკენ.

ოპორტუნიზმი ეროვნულ საკითხში არ იყო იზოლირებული მოვლენა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობაში. გაიზარდა ოპორტუნიზმი პროფესიული კავშირების ხელმძღვანელებს შორისაც. ფაქტიურად გათიშულმა მუშათა კლასმა ვერ შეძლო მთლიანად გამოეყენებინა 90-იან წლებში წარმოშობილი პოლიტიკური კრიზისი.

90-იანი წლების დასაწყისისათვის ნათელი გახდა, რომ ჩეხურ მოსახლეობას აღარ აკმაყოფილებდა ადრე განხორციელებული ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობა. 1890 წელს ტააფეს მთავრობამ „სტაროჩეხებთან" შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ჩეხიის გაყოფის შესახებ (მორავიის გარეშე) გერმანულ და ჩეხურ ნაწილებად. ეს გადაწყვეტილება, ე. წ. „ვენის კომპრომისი", წარმოადგენდა ცდას ჩეხური ოლქების გერმანიზაციისა ეროვნული სკოლების, დამოუკიდებელი სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებების შექმნისას.

მოკლე დროში ჩეხია მოიცვა მძაფრმა საპროტესტო მოძრაობამ, რომლის პირველ რიგებში ჩეხიის მუშათა კლასი იდგა. ამ წლების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსელა იყო მეშახტეთა გაფიცვა კლადნოში 1892 წელს. მთავრობამ დათხოვა ჩეხიის სეიმი, შემოიღო საალყო წესები, ციხეებში ჩაყარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი მონაწილე. „ვენის კომპრომისის" წინააღმდეგ ილაშქრებდნენ გერმანელი ნაციონალისტებიც. მასების ზეგავლენით ტააფეს მთავრობის განზრახვები ჩაიშალა.

ამ მოვლენათა შედეგად ჩეხური ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობა „მლადოჩეხებთან" გადავიდა, რომლებიც უფრო რადიკალური სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ. მაგრამ ფაქტიურად „მლადოჩეხების" მოთხოვნებიც არ სცილდებოდა ავტონომიის მოთხოვნებს ჰაბსბურგთა მონარქიის შემადგენლობაში. ეს უპირველეს ყოვლისა ავსტრია-უნგრეთის შინაგან ბაზარში ჩეხი კაპიტალისტების დაინტერესებით აიხსნებოდა.

მეტად გართულებულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში ტააფეს მთავრობა 1893 წელს ახალი საარჩევნო რეფორმის პროექტით გამოვიდა. რაიხსრატში წარდგენილი პროექტი ითვალისწინებდა საარჩევნო ცენზის გაუქმებას და საარჩევნო უფლების გაფართოებას. უშუალო წინაპირობა ამგვარი პროექტის მომზადებისა იყო ავსტრიის პროლეტარიატის მიერ გაშლილი ბრძოლა საყოველთაო-საარჩევნო უფლებებისათვის. მთავრობა ვარაუდობდა, კომპრომისული ღონისძიებებით დაკმაყოფილებულიყო და ამით ავსტრიის კონსერვატიულ-კლერიკალური წრეებისათვის მუშების სიმპათიები მიემხრო.

მაგრამ რეფორმის პროექტმა ავსტრიის ბურჟუაზიისა და კონსერვატიული ელემენტების დიდი ნაწილის ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია. მათ არ სურდათ დაეშვათ პროლეტარიატისა და სლა-

ვი ხალხების წარმომადგენლობის გაძლიერება რაიხსრატში. ასეთ ვითარებაში ტააფეს მთავრობა 1893 წლის ნოემბერს გადადგა.

ტააფეს გადადგომის შემდეგ ავსტრიელმა კონსერვატორებმა, ლიბერალებმა და პოლონელმა მემამულეებმა ვინდიშგრეცის კოალიციური მთავრობა შექმნეს (1893-95). მისი ერთადერთი მიზანი იყო საარჩევნო რეფორმის გადავადება, რომელსაც ასე დაბეჯითებით მოითხოვდნენ მშრომელთა ფართო მასები. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ საყოველთაო უკმაყოფილების ზრდა გამოიწვია. თვით კოალიციაშიც მწვავე ბრძოლა დაიწყო უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებზე.

1895 წელს იმპერატორმა ფრანც-იოზეფმა ავსტრიის მთავრობის მეთაურად გალიციის მეფისნაცვალი გრაფი კაზიმირ ბადენი დანიშნა. მსხვილი მემამულე, ჰაბსბურგთა მონარქიის ერთგული ქვეშევრდომი ბადენი მაინც იძულებული გახდა წასულიყო რიგ დათმობებზე მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. 1896 წელს გამოცხადდა საარჩევნო რეფორმა. ამ რეფორმით შემოღებულ იქნა მხოლოდ დამატებითი, მეხუთე საარჩევნო კურია, მაგრამ მან მაინც საშუალება მისცა სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს პირველად მოხვედრილიყვნენ რაიხსრატში (1897 წელს არჩეულ იქნა 14 დეპუტატი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან). მიუხედავად ამისა, ავსტრიელმა მემამულეებმა და ბურჟუაზიამ შეინარჩუნეს რაიხსრატში სრული უპირატესობა.

ბადენი ადვილად მოელაპარაკა „მლადოჩეხებს“, რომლებიც მიესალმნენ მთავრობის მიერ 1897 წელს გამოცემულ კანონს. ამ კანონით ჩეხიასა და მორავიაში გამოცხადდა ჩეხური ენის თანასწორობა გერმანულ ენასთან. ამას გარდა, ყველა მოხელეს დაევალა ამ ორი ენის აუცილებელი ცოდნა.

სამაგიეროდ, ამ კანონმა ავსტრიელი რეაქციონერების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია. მის წინააღმდეგ აღვირახსნილი კამპანიის სათავეში პანგერმანელები ჩადგნენ. პანგერმანელებმა რაიხსრატში ობსტრუქციას მიმართეს, ხელს უშლიდნენ ყოველგვარი კანონპროექტების განხილვას ენების თანასწორობის შესახებ დადგენილების გაუქმებამდე. რაიხსრატში მძაფრი შეჯახებები და სკანდალები დაიწყო, ბევრი ამას „მაიმუნთა თეატრს“ უწოდებდა. 1897 წელს ბადენი გადადგა, ხოლო 1899 წელს გაუქმდა კანონი ენების თანასწორობის შესახებ. ეს იყო სერიოზული დათმობა უკიდურესად რეაქციული წრეების წინაშე.

ჰაბსბურგთა მონარქია XIX საუკუნეს მძიმე პოლიტიკური კრიზისით ამთავრებდა.

იტალია 1870—1900 წლებში

იტალიის სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების შესაძლებლობა შექმნა. პოლიტიკური დაქუცმაცების ლიკვიდაციამ დაჩქარა ერთიანი ეროვნული ბაზრის აღმოცენება. ამ პროცესს ხელს უწყობდა აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის სწრაფი განვითარება. 1870—1900 წლებში სარკინიგზო ქსელი იტალიაში 2.5-ჯერ გაიზარდა (6 ათასი კმ-დან 16 ათას კმ-მდე). წარმატებით ვითარდებოდა საფეიქრო მრეწველობის მრავალი დარგი. შესამჩნევად გაიზარდა იტალიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (2 მილიარდი ლირიდან — 3 მილიარდ ლირამდე).

მიუხედავად ამისა, იტალია გაერთიანების შემდეგ კვლავ ჩამორჩებოდა ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო იტალიის გაერთიანების თავისებურება — იტალიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაუმთავრებლობა.

კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრება და ეროვნული ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა განხორციელდა ძველი ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაციის გარეშე, სოფლად — დემოკრატიული აგლეხური რევოლუციის გარეშე: იტალიის სოფელში პატრონყმური ურთიერთობისაგან განთავისუფლებას საყოველთაო ხასიათი არ მიუღია. გლეხობის ძირითადმა მასამ მიწა ვერ მიიღო. ამის გამო, იტალიის სოფლის მეურნეობის პროგრესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა და მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს ჩამორჩებოდა. მაგალითად, 1880—1900 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ოდენობა იტალიაში მხოლოდ 11%-ით გაიზარდა, აშშ-ში კი — 57%-ით.

იტალიის ბურჟუაზიამ, უარყო რა აგრარული რევოლუციის იდეა და დაუტოვა რა მიწა ძველ მესაკუთრე-ფეოდალებს, მოსპო გლეხურ მასასთან კავშირის შესაძლებლობა და უკიდურესად შეკვეცა ახალი სახელმწიფოს სოციალური ბაზა.

ბურჟუაზიამ, გარდა ამისა, იმავე გლეხობას და მშრომელთა ფენებს დააკისრა ახალი სახელმწიფოს შექმნისა და შენახვისათვის საჭირო მატერიალური სახსრების გაღება და გაზარდა გადასახადების მოცულობა. გასაგებია, რომ სახელმწიფო, რომელშიც მშრომელი ხალხი მხოლოდ გადასახადის ამკრეფს, ჟანდარმს, რეკრუტთა შემკრებს ხედავდა, არ შეიძლებოდა პოპულარული ყოფილიყო. იტალიის ცნობილი კონსერვატორი მოღვაწე სიდნეი სონინო პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე მწარე ირონიით აღნიშნავდა, რომ გლეხურ მოსახლეობაში სამშობლოსადმი სიყვარულის ერთადერთი პროპაგანდისტები გადასახადების ამკრეფნი და პოლიციელები არიანო.

ვატიკანმა და იტალიის უკიდურესი ფეოდალური რეაქციის წარმომადგენლებმა სცადეს მშრომელების, პირველ რიგში, გლეხობის უკმაყოფილების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. იყენებდნენ რა სახელმწიფოს აგრარული და საგადასახადო პოლიტიკით გამოწვეულ გლეხობის გულისწყრომას, ისინი აგრარიების ანტისახელმწიფოებრივ რეაქციულ ბლოკში აერთიანებდნენ ჩამორჩენილი გლეხობის ფართო მასებს და იბრძოდნენ ერთიანი „ლიბერალური", ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ. სოფლად ფეოდალური გადმონაშთების შემორჩენა და ამით გაპირობებული სოფლის მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბე საშინაო ბაზრის სივიწროვის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა და, თავის მხრივ, ამუხრუჭებდა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას. იტალიის ღარიბი სოფელი სამრეწველო საქონლის ცუდი შემსყიდველი იყო და არ შეეძლო ახალი სტიმული მიეცა მრეწველობის განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ, იტალიაში მსხვილი მრეწველობის განვითარება შეფერხდა. საშინაო ბაზრის სივიწროვით გაპირობებული მრეწველობის ნელი ტემპით განვითარება აქვეითებდა მის საკონკურენციო შესაძლებლობას. ამის გამო, უცხოეთის მრეწველობამ შეძლო იტალიის საშინაო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის დაქვემდებარება. ამ გარემოებამ შესამჩნევად შეკვეცა ეროვნული მრეწველობის განვითარების მასშტაბები. რაც შეეხება საგარეო ბაზარს, იტალიის სამრეწველო პროდუქციას აქ უფრო მეტად უჭირდა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ძლიერი კონკურენციის დაძლევა. მრეწველობის განვითარების ობიექტურმა სიძნელეებმა იტალიელ ხალხს მტკივნეული შედეგები მოუტანა. დაიწყო ქრონიკული უმუშევრობა და მასობრივი ემიგრაცია. იტალიის მრეწველობას განვითარების ნელი ტემპის გამო არ შეეძლო შთაენთქა ის სამუშაო ძალა, რომელიც კაპიტალიზმმა „გაათავისუფლა" სოფლის მეურნეობისა და წვრილი კუსტარული წარმოების სფეროდან. XIX—XX საუკუნე-

თა მიჯნაზე იტალიელების ემიგრაციამ უაღრესად დიდი მასშტაბი მიიღო. პირველი მსოფლიო ომის წინა 40 წლის განმავლობაში იტალია დატოვა 5.5 მილიონმა ადამიანმა. მათ საკუთარი შრომით სამშობლოში ვერ შეძლეს თავის გამოკვება და პურისათვის ძიებაში მიაშურეს უცხოეთს. იტალიელი ემიგრანტები ყველაზე იაფფასიან სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ და დასაქმებული იყვნენ მრეწველობის დაბალი ანაზღაურების დარგებში. ისინი სახლდებოდნენ ამერიკისა და ევროპის ქალაქების ყველაზე ღარიბ, ვიწრო და ჭუჭყიან კვარტალებში.

მასობრივი ემიგრაცია ასუსტებდა ერის საწარმოო ძალებს, რადგან იგი ეროვნული წარმოების პროცესიდან თიშავდა მშრომელთა დიდ ნაწილს. თუ იტალიის მიმართ გამოვიყენებთ კ. მარქსის ცნობილ დებულებას, იტალიელი ხალხი იტანჯებოდა როგორც კაპიტალიზმისაგან, ასევე მისი განვითარების უკმარისობისაგან.

იმის გამო, რომ იტალიაში შემორჩა დრომოჭმული წარმოების წესი და მოძველებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობანი, იტალიის კაპიტალიზმმა მიიღო პარაზიტული ხასიათი, შეფერხდა საწარმოო ძალების განვითარება, წარმოიშვა ღრმა უთანასწორობა სხვადასხვა დარგებს შორის და დაბრკოლდა სოციალური პროგრესი.

რისორჯიმენტოს ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა გაბატონებული კონსერვატიული ძალების — კაპიტალისტებისა და მემამულეების რეაქციულ კომპრომისს. იტალიის ბურჟუაზია მიისწრაფოდა ყველაზე რეაქციულ ძალებთან კავშირისაკენ, მას ეშინოდა ხალხისა და უგულებელყოფდა მის ინტერესებს, არ შეეძლო გადაეჭრა ერის წინაშე მდგარი მთავარი პრობლემები და ამიტომ გაერთიანებული ქვეყნის არსებობის პირველსავე წლებში ჩამოიშორა ხალხი, დაკარგა მისი მხარდაჭერა და ამით თვითონვე განსაზღვრა საკუთარი პოლიტიკური უმწეობა.

საარჩევნო უფლება მსხვილი აგრარიების, მრეწველებისა და მსხვილი ვაჭრების ვიწრო წრის პრივილეგიას წარმოადგენდა, მოსახლეობის ძირითადი მასა — გლეხობა, ღარიბი მოქალაქეები, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზიის დიდი ნაწილი მოკლებული იყო სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. განსაკუთრებით უუფლებონი იყვნენ სამხრეთ იტალიისა და კუნძულების გლეხური მოსახლეობა.

იტალიის ბურჟუაზიის სისუსტის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ მას არ ჰქონდა საკუთარი, ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია. იტალიაში არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია, მაგრამ არც

ერთ მათგანს არ გააჩნდა განსაზღვრული პროგრამა და მტკიცე ორგანიზაცია. რისორჯიმენტოს დროს აღმოცენებული პოლიტიკური პარტიები იტალიის გაერთიანების შემდეგ დაცემის გზას დაადგა. განსხვავება ბურჟუაზიულ პარტიათა შორის თითქმის შეუმჩნეველი იყო. ცალკეული პირები და მთელი ჯგუფები განუწყვეტლივ გადადიოდნენ ერთი პარტიიდან მეორეში. დეპუტატები პარლამენტში, როგორც წესი, ქმნიდნენ არა რაიმე ეროვნულ პარტიულ დაჯგუფებას, არამედ გამოხატავდნენ პირად და ადგილობრივ ინტერესებს. ამის გამო, პარლამენტში ხშირად თავს იჩენდა ხოლმე ყველაზე მოულოდნელი და უცნაური პოლიტიკური კომბინაციები.

იტალიის სამეფოს არსებობის პირველ წლებში, კერძოდ 1876 წლამდე ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ე. წ. „მემარჯვენეები". ისინი გამოხატავდნენ გაბურჟუებული მსხვილი მიწათმფლობელი მემამულეების, მიწისმფლობელი ბურჟუაზიისა და სამრეწველო ბურჟუაზიის ცალკეული ჯგუფების ინტერესებს. „მემარჯვენეთა" ორ უკანასკნელ სამინისტროს მეთაურობდნენ ჯოვანი ლანცა (1870-73) და მარკო მინგეტი (1873-76). ორივე მთავრობა საშინაო პოლიტიკაში მიისწრაფოდა გადაეჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი ორი ძირითადი საკითხი: ვატიკანთან ურთიერთობის მოწესრიგება და ფინანსური პრობლემა.

პაპის სამფლობელოების დაკავებამ და დედაქალაქის რომში გადმოტანამ წარმოშვა იტალიის სახელმწიფოს ხანგრძლივი კონფლიქტი ვატიკანთან. ჯ. ლანცას მთავრობამ სცადა ამ კონფლიქტის გადაჭრა პარლამენტის მიერ 1871 წლის 13 მაისს მიღებული „კანონით გარანტიების შესახებ". იტალიის მთავრობა „უმაღლესი მღვდელთმთავრის" პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდა, პაპს დაუტოვეს ვატიკანისა და ლატერანის სასახლეები. ამას გარდა, იტალიის მთავრობამ იკისრა პაპისათვის ყოველწლიურად გადაეხადა 3.225 ათასი ლირა. პაპს მიენიჭა კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობის სრული თავისუფლება, უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლების მიღების უფლება დიპლომატიური წარმომადგენლობის ყველა პრივილეგიასთან ერთად. მიუხედავად ამისა, პაპმა პიუს IX-ემ იტალიის სახელმწიფოსთან შერიგებაზე უარი განაცხადა. პაპი თავგამოდებით ებრძოდა იტალიის მთავრობას, მის მიერ განხორციელებული „ბიწიერი, უაზრო და უგუნური" პოლიტიკის გამო. მან ანათემას გადასცა რომის აღების ყველა მონაწილე.

(მას შემდეგ, რაც პიუს IX-ემ თავი „ვატიკანის ტყვედ" გამო-

ცხადა, 1929 წლამდე არც ერთ პაპს არ დაუტოვებია ვატიკანი. მრავალი წლის განმავლობაში მღვდლები და ბერ-მონაზვნები ჰყიდდნენ იმ ლეიბის ჩალას, რომელზეც თითქოს ეძინა „ვატიკანის ტყვეს“). სპეციალური ენციკლიკით პაპმა პიუს IX-ემ იტალიის კათოლიკეებს აუკრძალა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა. ეს აკრძალვა ძალაში რჩებოდა XX საუკუნის დასაწყისამდე.

პაპის ტახტმა იტალიის სახელმწიფოს მიმართ მტრული პოზიციის გამო შექმნა მრავალი სიძნელე ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრებაში. ვატიკანი მოუწოდებდა მორწმუნე იტალიელებს არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას და ცდილობდა თავის ირგვლივ გაეერთიანებინა მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო ყველა ელემენტი; მაგრამ შემდეგ, როცა მუშური და სოციალისტური მოძრაობა გაძლიერდა, ვატიკანი იძულებული გახდა დადგომოდა იტალიის სამეფოს გაბატონებულ კლასებთან დაახლოებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას.

გაერთიანების პირველივე წლებში იტალია მძიმე ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა. გაერთიანებამ, რომელიც ე. წ. „სამეფო დაპყრობების“ ფორმას ატარებდა, დიდძალი ხარჯები მოითხოვა. ოფიციალური მონაცემებით 1861-71 წლების განმავლობაში დაიხარჯა 10 მილიარდი ლირა: აქედან, 3 მილიარდ ლირაზე მეტი — სამხედრო საჭიროებისათვის. უდიდეს თანხებს მოითხოვდა უკიდურესად გაბერილი სახელმწიფო აპარატის, არმიისა და პოლიციის შენახვა. სახელმწიფო ფინანსებს მძიმე ტვირთად დააწვა რკინიგზების ინტენსიური მშენებლობაც. 1859 წლიდან 1870 წლამდე იტალიის სახელმწიფოს ვალი თითქმის 15-ჯერ გაიზარდა (570 მილიონიდან 8.300 მლნ ლირამდე). 70-იანი წლების დასაწყისში ბიუჯეტის ყოველწლიური დეფიციტი 400 მილიონ ლირას აღწევდა.

მთავრობამ მრავალი სახის არაპირდაპირი გადასახადი შემოიღო. არაპირდაპირმა გადასახადებმა 1876 წელს შეადგინა ყველა საგადასახადო შემონატანის 65%. ხალხისათვის ყველაზე მძიმე იყო მარილსა და დაფქვაზე გადასახადი.

იტალიის ბურჟუაზიული სახელმწიფო თავის საგადასახადო პოლიტიკაში ემყარებოდა ე. წ. „უსამართლო თანაწორობის“ პრინციპს. ყველა იტალიელის ხაზინის წინაშე „გათანაბრების“ დროშის ნიღბით მთავრობამ მოაწყო სოფლის მოსახლეობის ნამდვილი ძარცვა. განსაკუთრებით მძიმე იყო სამხრეთ იტალიისა და კუნძულების მდგომარეობა. ამ ოლქების ღარიბ მოსახლეობას იმდენივე გადასახადი უნდა გადაეხადა, რამდენიც შედარებით მატერიალურად უზ-

რუნველყოფილ ჩრდილოეთ იტალიის მოსახლეობას. მაგალითად, 1884-89 წლებში სამხრეთ იტალიისა და სიცილიის წილად, რომლებიც ეროვნული შემოსავლის 27%-ს ფლობდნენ, მოდიოდა გადასახადების 32%; იმ დროს, როცა ჩრდილო იტალია ეროვნული შემოსავლის 56%-ს ღებულობდა და იხდიდა გადასახადების მხოლოდ 47%-ს.

„მემარჯვენეთა" რეაქციული საგადასახადო პოლიტიკა გლეხობის საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა. 70-იან წლებში ეს გულისწყრომა გამოიხატა დაფქვაზე გადასახადის გაუქმებისათვის გაშლილ მასობრივ მოძრაობაში. გლეხობა ანადგურებდა სახაზინო წისქვილებს, კომუნალურ სამმართველოებს, მდიდართა სახლებს.

„მემარჯვენეთა" პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულმა მასობრივმა მოძრაობამ იტალიის მმართველ წრეებში სერიოზული უთანხმოება წარმოშვა. 1876 წლის 18 მარტს ე. წ. „საპარლამენტო რევოლუციის" შედეგად მინგეტის მთავრობა დაემხო და ძალაუფლება „მემარცხენეების" ხელში გადავიდა. ახალი ხელისუფლება ძირითადად სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსური წრეების ინტერესებს გამოხატავდა. მათი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ: აგოსტინო დეპრეტისი, ბენედეტო კაიროლი, ფრანჩესკო კრისპი. ახლო წარსულში ისინი მოქმედების რესპუბლიკური პარტიის წევრები იყვნეს, მაგრამ შემდეგ გაემიჯნენ მას და უღალატეს საკუთარ რესპუბლიკურ მრწამსს.

როცა „მემარცხენეები" ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, ისინი იძულებულნი გახდნენ განეხორციელებინათ ზოგიერთი დაპირებული რეფორმა. 1880 წლის ზაფხულში გაუქმდა დაფქვაზე გადასახადი. ამ გადასახადის გაუქმება მხოლოდ გლეხური მასის დაშოშმინების მიზნით არ მომხდარა. ეს სამრეწველო ბურჟუაზიის მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობდა. იაფ მუშახელს მოკლებული იტალიის ბურჟუაზია დაინტერესებული იყო პურზე ფასის დაკლებით.

1882 წელს დეპრეტისის მთავრობამ საარჩევნო რეფორმა განახორციელა. ამომრჩეველთა ასაკობრივი ცენზი 25 წლიდან 21 წლამდე შემცირდა; საგადასახადო ცენზი კი — 40 ლირიდან 19 ლირამდე. რეფორმამ ამომრჩეველთა რიცხვი 600 ათასიდან 2 მილიონამდე გაზარდა. „მემარცხენეთა" მმართველობის პერიოდში გატარდა ზოგიერთი სხვა რეფორმაც. 1877 წელს მიიღეს კანონი საერო სკოლების შექმნისა და ბავშვების სავალდებულო სამწლიანი სწავლების შემოღების შესახებ. ორი წლის შემდეგ, 1879 წელს

პარლამენტმა მიიღო კანონი სამოქალაქო ქორწინების შემოღების შესახებ. ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს.

„მემარცხენეთა“ მმართველობის პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება არ მომხდარა. „მემარცხენეები“ და „მემარჯვენეები“ ერთ და იმავე „პოლიტიკურ კლასს“ ეკუთვნოდნენ. მათ შორის არ არსებობდა პრინციპული და არსებითი განსხვავება.

„მემარცხენეთა“ შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო და სიმყარითაც არ გამოირჩეოდა. მალე ისინი სხვადასხვა მიმდინარეობად და ჯგუფებად დაიშალნენ. ახლადშექმნილ ჯგუფებს შორის გამოირჩეოდნენ: დემოკრატები (დეპრეტისი, კრისპი, კაიროლი), რადიკალები (კავალოტი) და „შეურიგებელი რესპუბლიკელები“ (ბერტანი). ამ ორმა უკანასკნელმა მიმდინარეობამ „უკიდურესი მემარცხენეების“ ჯგუფი შეადგინა.

ძველი ბურჟუაზიული პარტიების დაშლის პროცესი ცალკეული პირებისა და მთელი ჯგუფების ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლის ვითარებაში მიმდინარეობდა. ხშირად თავს იჩენდა გარდამავალი პოლიტიკური კომბინაციები. ეს პროცესი იტალიის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში ცნობილია „ტრანსფორმიზმის“ სახელწოდებით. „ტრანსფორმიზმმა“ თავისი გამოხატულება პოვა დემოკრატიულ რესპუბლიკურ მოძრაობაშიც. რომელიც ამ დროს მაძინის გავლენას განიცდიდა: გაერთიანების შემდეგ იტალიის წვრილმა ბურჟუაზიამ დაკარგა ყოველგვარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მისი ერთი ნაწილი გაჰყვა მსხვილ ბურჟუაზიას, მეორე ახალგაზრდა რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის მხარეზე გადავიდა.

იტალიის სამრეწველო განვითარება პროლეტარიატის რიცხობრივი ზრდის, ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი როლის გაძლიერების ვითარებაში მიმდინარეობდა. გაერთიანებულ იტალიაში მუშათა კლასის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. დაბალი იყო შრომის ხელფასი. მაგალითად, ლომბარდიაში მუშამამაკაცი დღეში მხოლოდ 2 ლირას იღებდა. ქალები და მოზარდები უფრო ნაკლებს — 1.5 ლირიდან 90 ჩენტეზიმომდე. სასოფლო-სამეურნეო მუშათა დღიური ხელფასი საშუალოდ 1 ლირას აღწევდა. კალოგრამი პური კი 40—50 ჩენტეზიმო ღირდა. აღსანიშნავია, რომ იტალიაში დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა შრომის არავითარი კანონმდებლობა. ცხოვრების მძიმე პირობები, პოლიტიკური უუფლებობა. მეწარმეთა თვითნებობა ხელს უწყობდა ქვეყანაში კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებას. მშრომელთა კლასობ-

რავი თვითშეგნების ზრდას. 70-იანი წლების დასაწყისში იტალიაში შესამჩნევად გაძლიერდა საგაფიცვო მოძრაობა. მაგრამ ორგანიზებული მუშური მოძრაობის განვითარებას ხელს უშლიდნენ ანარქისტები და მაძინისტები. მაძინი და მისი თანამოაზრენი შიშითა და სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი გლეხური მოძრაობის მიმართ, უფრო დიდი სიძულვილით შეეგებნენ მაძინისტები პროლეტარიატის პირველ რევოლუციურ გამოსვლას. მაძინიმ მკაცრად დაგმო იტალიის მშრომელთა საგაფიცვო მოძრაობა, რადგან ამ მოძრაობამ ეპვის ქვეშ დააყენა მაძინის მოძღვრება შრომაისა და კაპიტალს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ, მაძინი პარიზის კომუნასაც, გარიბალდისაგან განსხვავებით, მტრულად ეკიდებოდა, მაძინი თავს დაესხა კომუნარებს. ღვარძლიანი წყევლა-კრულვით მან კომუნაზე რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. „უკეთესია ავსტრიელთა ბატონობის დაბრუნება, — ამბობდა იგი,— ვიდრე იტალიაში ცრუ და მახინჯი იდეების გავრცელება; იდეებისა, რომელიც იტალიელებს ჩაგრულებად და მჩაგვრელებად დაჰყოფს“.

პირველ პროლეტარულ რევოლუციაზე თავდასხმამ მაძინის მრავალი მიმდევარი ჩამოაცილა. მაძინისტებსა და მშრომელებს შორის ღრმა უფსკრული აღმოცენდა. მაძინის ფორმულა „ღმერთი და ხალხი“ არსებულ ვითარებაში სასაცილოდ ეღერდა. მუშები მაძინისტებს უსაყვედურებდნენ იტალიელი ხალხის რეალური ცხოვრების უცოდინარობას, მისი განწყობილებისა და მისწრაფებების უგულებელყოფას. მშრომელებს არ მოსწონდათ მაძინის ბუნდოვანი მისტიციზმი. მაძინისტების გავლენის შესუსტებას ხელი შეუწყვეს ანარქისტებმაც. ბაკუნინმა მაძინის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით იტალიის რევოლუციური ახალგაზრდობის სიმპათიები მოიპოვა. 1871 წელს მაძინისტებსა და ბაკუნისტებს შორის მოხდა სრული განხეთქილება. ამის შემდეგ, ბაკუნისტებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თავიანთი გავლენა. ცნობილია, რომ ანარქიზმი, როგორც მიმდინარეობა, შეუთავსებელია მარქსიზმთან. ანარქიზმი გამოხატავდა წვრილბურჟუაზიული მასისა და გლეხობის განწყობილებას. მისი მიმდევრები მტრულად იყვნენ განწყობილნი ყოველგვარი სახელმწიფოს მიმართ, აიდეალებდნენ სტიქიურობას მუშათა მოძრაობაში, უარყოფდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელ როლს. მარქსის საპირისპიროდ ბაკუნინი ლუმპენპროლეტარიატის იდეალიზაციას ეწეოდა და მას რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა. ამასთან გლეხობის ყველაზე მეტად ჩამორჩენილ ფენებს ბაკუნინი

ახალი სოციალისტური ცივილიზაციის ჭეშმარიტ მატარებლებად ნათლავდა.

ბრძოლის მთავარ გზად ბაკუნისტები მიიჩნევდნენ შეთქმულებებს და მცირე აჯანყებებს, რომლებიც უნდა მოეწყოთ პროფესიონალ-რევოლუციონერთა ვიწრო ჯგუფებს. ამ გზით ვარაუდობდნენ ისინი ძლევამოსილი რევოლუციის განხორციელებას.

70-იანი წლების შუა ხანებში ბაკუნისტებმა რამდენჯერმე სცადეს აჯანყების მოწყობა. 1874 წლის ზაფხულში ბაკუნინმა მოამზადა გამოსვლა ბოლონიაში, რომელიც, მისი აზრით, შემდეგ გავრცელდებოდა რომანიაზე, მარკესა და ტოსკანაზე. ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ანარქისტების 150-კაციანი რაზმი იმოლიდან ბოლონიაში მიმავალ გზაზე ჟანდარმერიამ შეაჩერა და ასევე იოლად გაფანტა. სამარცხვინოდ დამთავრდა აპულიაში აჯანყების მოწყობის ცდაც. აქ დათქმულ ადგილზე 6 კაცი გამოცხადდა. შეთქმულთა მოწოდებას გლეხობა გულგრილად შეხვდა. უფრო სერიოზული ხასიათი ჰქონდა ანარქისტების მიერ 1877 წელს სან ლუპოში (ბონევენტოს პროვინცია) ორგანიზებულ გამოსვლას. აჯანყება მოამზადეს ბაკუნინის უახლოესმა თანამებრძოლებმა—ენრიკო მალატესტამ და კარლო კაფიერომ. შეთქმულების ხელმძღვანელებმა გლეხობას აუწყეს, რომ იტალიაში დაიწყო საყოველთაო რევოლუცია და ძველი მთავრობა უკვე დამხობილია. გლეხობამ ირწმუნა ეს ცნობა და იმწამსვე დაიწყო მიწების განაწილება. ხალხს იარაღი გადასცეს. აჯანყებულებმა დასწვეს საგადასახადო წიგნები და გაანადგურეს ავტომატური მრიცხველი, რომლითაც დაფქვაზე გადასახადის აკრეფის დროს სარგებლობდნენ. მაგრამ, როგორც კი გავრცელდა ცნობა მთავრობის ჯარის მოახლოების შესახებ, გლეხობა დაიშალა და სახლებში დაბრუნდა. აჯანყების ორგანიზატორები მთებში გაიხიზნენ.

აჯანყებათა წარუმატებლობამ მუშათა რიგებში დასცა ანარქისტების ავტორიტეტი. 70-იანი წლების დასასრულისათვის მათი გავლენა თანდათანობით კლებულობს. ამავე პერიოდში იტალიის მუშათა მოძრაობაში ჩაისახა ანტიანარქისტული მიმდინარეობა, გაძლიერდა მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის შექმნის ტენდენცია. ბაკუნინის წინააღმდეგ ერთ-ერთი პირველი გამოვიდა მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ლომბარდიაში, წარსულში გარიბალდის თანამებრძოლი ენრიკო ბინიამი. იგი არ იყო მარქსიზმის მომხრე, მაგრამ თანაუგრძნობდა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და დაკავშირებული იყო ფრ. ენგელსთან. ბინიამმა მოუწოდა ხალხს უარი ეთქვათ ბაკუნისტების შეთქმულებრივ მეთოდებზე და დად-

გომოდნენ პოლიტიკური ბრძოლის გზას მუშათა ფართო მასებზე დაყრდნობით. ამასთან ბინიამი მოითხოვდა „ფართო და ერთიანი" იტალიის სოციალისტური პარტიის შექმნას. ამ მოწოდებას მოწონებით შეხვდა იტალიის მრავალი მუშური ორგანიზაცია.

1879 წელს იტალიის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ანდრეა კოსტამ კავშირი გაწყვიტა ანარქიზმთან. აქამდე იგი რომანიის პროვინციის ანარქისტებს მეთაურობდა. 1879 წლის 27 ივლისს კოსტამ წერილით მიმართა თავის „რომანიელ მეგობრებს", რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა ანარქისტების მოღვაწეობა და დაჟინებით მოითხოვა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დაეგმოთ აჯანყების ანარქისტული თეორია. კოსტა მოუწოდებდა, შეექმნათ „რევოლუციური სოციალისტური პარტია"—„მოქმედების პარტია". კოსტას ანარქისტებთან კავშირის გაწყვეტამ უდიდესი ზემოქმედება მოახდინა იტალიის მშრომელებზე. იგი ამ წრეებში უდიდესი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ამიტომ მის საქციელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. კოსტამ, საერთო იტალიური სოციალისტური პარტიის შექმნისათვის მზადების მიზნით, ენერგიული მოღვაწეობა გაშალა. 1881 წელს რომანიის სოციალისტებმა მისი ინიციატივით მოწოდებით მიმართეს იტალიაში არსებულ ყველა სოციალისტურ ჯგუფს და ორგანიზაციას გაერთიანებულიყვნენ ერთიან რევოლუციურ სოციალისტურ პარტიაში.

1882 წლის ზაფხულში მილანოში შეიქმნა იტალიის მუშათა პარტია. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ტიპოგრაფიის ახალგაზრდა მუშა კონსტანტინო ლაძარი, რომელიც შემდეგ იტალიის სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელი გახდა. პარტია აწარმოებდა ბრძოლას „ინტელიგენტური" სოციალიზმისა და სხვადასხვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჯგუფის წინააღმდეგ. იტალიის მუშათა პარტიის საქმიანობამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიული დემოკრატების გავლენისაგან მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლებას.

მუშათა პარტიის პროგრამა ძირითადად რადიკალური დემოკრატებისაგან იყო ნასესხები. პროგრამა მხოლოდ საერთო დემოკრატიული თავისუფლებებისა და რეფორმების მოთხოვნებს აყენებდა (საყოველთაო-საარჩევნო უფლება, ორგანიზაციებისა და კრებების თავისუფლება და ა. შ.), მაგრამ პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა აშკარად გამოხატულ ანტიბურჟუაზიულ და პროლეტარულ ხასიათს ატარებდა.

მუშათა პარტია არ წარმოადგენდა საერთო იტალიურ ორგანი-

ზაციას. მისი მოღვაწეობა ძირითადად ლომბარდიის რაიონით შემოიფარგლებოდა. ამ გარემოებით, განსაკუთრებით კი, ნათელი სოციალისტური პროგრამის უქონლობის გამო 80-იანი წლების დასასრულს დაიწყო მუშათა პარტიის გავლენის შესუსტება.

ამავე პერიოდში იტალიაში ძლიერდება მოძრაობა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალისტური პარტიის შექმნისათვის.

გაერთიანების შემდეგ იტალია უფრო აქტიურად გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე. განუხრელად იზრდებოდა გასაღების ბაზრებსა და იაფფასიანი ნედლეულის წყაროებზე მოთხოვნილება, ამიტომ იტალიის ბურჟუაზიამ დაიწყო აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოება. ამავე გზით იმედოვნებდა იტალიის მთავრობა, რომ დაძლევდა საშინაო სირთულეებს.

იტალიის ბურჟუაზიული სახელმწიფოს სისუსტემ, უცხოეთზე მისმა ძლიერმა ეკონომიურმა დამოკიდებულებამ, არახელსაყრელმა სტრატეგიულმა მდგომარეობამ იტალიის საგარეო პოლიტიკა ცვალებადი, დამოკიდებული და წინააღმდეგობებით აღსავსე გახადა, იტალიის საგარეო პოლიტიკის ამ თვისებებმა განაპირობა მისი დიპლომატიის განსაკუთრებული ხასიათი: იტალიის დიპლომატია მოქმედებდა მცირე ქვეყნისათვის დამახასიათებელი მეთოდებითა და ხერხებით, მაგრამ ამქღავნებდა ძლიერი სახელმწიფოსათვის ჩვეულ პატივმოყვარეობისა და დიდი უფლებების დაჩემების ტენდენციებს.

იტალია მასზე ძლიერი სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიმართ იტალიას აშკარა და ზოგჯერ ფარული პრეტენზიები ჰქონდა. იტალიის მთავრობა გამუდმებით ლავირებდა მათ შორის, იყენებდა მათ წინააღმდეგობებს და კონკრეტული ვითარების შესაბამისად სახელმწიფოთა ხან ერთ. ხან მეორე ჯგუფს უკავშირდებოდა.

გაერთიანების პირველ წლებში იტალიამ სცადა ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთზე დაქვემდებარებული ზოგიერთი ტერიტორიის მიტაცება. 1878 წელს ბერლინის კონგრესზე იტალიელი დიპლომატები ცდილობდნენ იტალიისათვის დაემკვიდრებინათ ტრენტინო და ალბანეთი (როგორც ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხელში ჩაგდების კომპენსაცია). იტალიის პრეტენზიები უცერემონიოდ უარყვეს. იტალიელი დიპლომატები ბერლინის კონგრესიდან ხელცარიელი დაბრუნდნენ. იტალიის ბურჟუაზიულმა წრეებმა, დაკარგეს რა დროებით ტრესტინოსა და ალბანეთის მოპოვების იმედი, დამპყრობლური მზერა ჩრდილოეთ აფრიკას მიაპყ-

რეს. მათ განიზრახეს ტუნისის ხელში ჩაგდება, მაგრამ ეს პოლიტიკაც სრული მარცხით დამთავრდა. იტალიას დაასწრო საფრანგეთმა და 1881 წელს ტუნისზე საკუთარი პროტექტორატი დაამყარა. იტალიის ბურჟუაზიამ ძალზე მტკივნეულად განიცადა ეს ახალი მარცხი. იტალიამ, მწვავედ შეიგრძნო რა თავისი სისუსტე და მარტოობა, დაიწყო ისეთი ძლიერი მფარველის ძებნა, რომელიც დახმარებას გაუწევდა მას საფრანგეთთან ბრძოლაში. ასეთ მფარველად გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ჩათვალეს. სწორედ საფრანგეთთან კონფლიქტი იყო ის მთავარი მიზეზი, რომელმაც იტალიის მმართველ კლასებს გერმანია-ავსტრიის კოალიციასთან დაახლოებისა და თანამშრომლობისაკენ უბიძგა. საფრანგეთთან კონფლიქტი ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, როცა საფრანგეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა პაპის ანტიიტალიურ პოლიტიკას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იტალიის მონარქია ცენტრალურ იმპერიებთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარებით ცდილობდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ქვეყნის შიგნით; მან უზრუნველყო საკუთარი უსაფრთხოება როგორც რესპუბლიკური ელემენტების (მათ შეეძლოთ საფრანგეთის მხარდაჭერის მოპოვება), ასევე გაზრდილი მუშათა და სოციალისტური მოძრაობის წინაშე. იტალიის მმართველი წრეები განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდნენ გერმანიასთან მეგობრობაზე. იტალიას სურდა გერმანიის სახით შეეძინა საიმედო და ძლიერი მოკავშირე საფრანგეთისა და ვატიკანის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიასთან კავშირს იტალიის დიპლომატია განიხილავდა როგორც გარანტიას ავსტრიის მხრივ შესაძლებელი თავდასხმის წინააღმდეგ.

1882 წლის 20 მაისს იტალიის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პირველ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ასე აღმოცენდა სამთა კავშირი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის გათიშვას ერთმანეთის საწინააღმდეგო სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად.

მოკავშირეებმა საერთო მიზნად გამოაცხადეს „საყოველთაო მშვიდობის გარანტიების გაზრდა“. მონარქისტული პრინციპების განმტკიცება, მის სახელმწიფოში არსებული სოციალური და პოლიტიკური წყობილების ხელშეუხებლად შენარჩუნება. გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა იტალიას აღუთქვა საფრანგეთის მხრივ იტალიაზე თავდასხმის შემთხვევაში მხარდაჭერა და ყოველგვარი დახმარება. იტალია, თავის მხრივ, კისრულობდა ასეთსავე ვალდებულებას, თუ საფრანგეთი უშუალოდ დაემუქრებოდა გერმანიას.

მოკავშირეებმა ერთმანეთს აღუთქვეს სამხედრო დახმარება იმ შემთხვევაშიც, თუ სამთა კავშირის ერთ ან ორ ქვეყანას, ერთდროულად თავს დაესხმოდა ორი ან რამდენიმე დიდი ქვეყანა.

პირველ ხანებში სამთა კავშირი იტალიის ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან კავშირით იტალია ნაკლებ რისკზე მიდიოდა და მხოლოდ იგებდა. სამთა კავშირის წყალობით იტალიამ თავი დაღწია საერთაშორისო იზოლაციას და ჩაერთო დიდ სახელმწიფოთა „ანსამბლში". საფრანგეთი ახლა იძულებულია მეტი ასგარიში გაუწიოს თავის სამხრეთელ მეზობელს. მეორე მხრივ, იტალიას უფრო ნაკლებად ეშინია ავსტრია-უნგრეთთან შეიარაღებული კონფლიქტისა. ბოლოს, გერმანიასთან კავშირი იტალიას დაეხმარა ეკონომიური თვალსაზრისითაც.

მაგრამ იტალიის ბურჟუაზია სამთა კავშირისაგან უფრო მეტს ელოდა. მას ამ კავშირზე დაყრდნობით დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელება სურდა. იტალიის იმპერიალისტები მიისწრაფოდნენ — მოკავშირეთა ძალები საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებიათ. ისინი არც მალავდნენ ამ ტენდენციას. ბისმარკი მწვავე ირონიით შენიშნავდა, რომ იტალიელები აშკარად აკლენენ „უანგარობის ნაკლულოვნებასო". ასეთი მოქმედება გერმანელ და ავსტრიელ მოკავშირეებს მხოლოდ აღიზიანებდა. ისინი უამისოდაც უნდობლად და უპატივცემლოდ ეკიდებოდნენ იტალიას და მიაჩნდათ არათანასწორუფლებიან პარტნიორად. ეყრდნობოდა რა გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან კავშირს, იტალიამ განაახლა კოლონიური დაპყრობების პოლიტიკა. მან მოახდინა აფრიკის სანაპიროზე მნიშვნელოვანი პუნქტის მასაუას ოკუპაცია. იტალიელები აქედან ეთიოპიაში შეჭრას ვარაუდობდნენ. მათ გამოიყენეს ეთიოპიელ თავადთა შორის უთანხმოება და დაიწყეს ქვეყნის დაპყრობა. მაგრამ ეთიოპიის დაპყრობის პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. 1887 წლის იანვარში დოგალის მთიან გასასვლელში ეთიოპიელები გარს შემოერტყნენ იტალიის 430-კაციან რაზმს და მთლიანად გაანადგურეს იგი.

იტალიის ავსტრია-გერმანიის კავშირთან დაახლოებას არ შეეძლო გადაეჭრა იტალია-ავსტრია-უნგრეთს შორის არსებული ღრმა წინააღმდეგობა. მოკავშირეები მუდმივ მეტოქეობას უწევდნენ ერთმანეთს ბალკანეთში და ადრიატიკაზე. იტალიის ბურჟუაზიას აშინებდა ამ რაიონში ავსტრია-უნგრეთის მომძლავრება. იტალიას არ გააჩნდა საკმარისი ძალები ავსტრიასთან აშკარა ბრძოლის საწარმოებლად. ამიტომ იტალიის მთავრობა ცდილობდა მოკავშირის

აგრესია ბალკანეთში შეეფერხებინა საიდუმლო დიპლომატიური გარიგებებით. 1887 წელს იტალიის მთავრობის მოთხოვნით იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის დაიდო შეთანხმება: ორივე სახელმწიფოს თავი უნდა შეეკავებინა ნახევარკუნძულზე ცალმხრივი მოქმედებებისაგან. დადგინდა ამ რაიონში მიღწეული „ყოველგვარი ტერიტორიული ან სხვა სახის სარგებლობის“ ურთიერთსაზიარო კომპენსაციის პრინციპები. 1891 წელს აღნიშნული შეთანხმება ჩართეს სამთა კავშირის ხელშეკრულების ტექსტში როგორც განსაკუთრებული მეშვიდე სტატია.

რეაქციულ საფუძველზე შექმნილი, წინააღმდეგობებით აღსავსე და ურთიერთუნდობლობის ვითარებაში მოქმედი სამთა კავშირი, ისევე როგორც სხვა იმპერიალისტური კოალიციები, არამყარი აღმოჩნდა. XIX საუკუნის დასასრულს იტალიამ დაიწყო მოკავშირეებისაგან თანდათანობით ჩამოშორება.

იმის გამო, რომ მუშური და დემოკრატიული მოძრაობა ძლიერდებოდა, „შემარცხენეები“ და „მემარჯვენეები“ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რათა აღეკვეთათ ამ მოძრაობის შემდგომი ზრდა. ამ ნიადაგზე და აგრეთვე სამრეწველო აგრარული პროტექციონიზმის საფუძველზე უფრო მეტად განმტკიცდა ბურჟუაზიისა და მსხვილ მიწისმფლობელ მესაკუთრეთა შორის ტრადიციული კავშირი. XIXსაუკუნის დასასრულს იტალიის გაბატონებული კლასები მიისწრაფოდნენ აშკარა ტერორისტული რეაქციული დიქტატურის დამყარებისაკენ. ამ მისწრაფების ნათელი დადასტურებაა კრისპის დიქტატორული მმართველობა, რომელიც ხანმოკლე პაუზებით გრძელდებოდა 1887 წლიდან 1896 წლის მარტამდე. კრისპის დიქტატურით იწყება პერიოდი, რომელიც იტალიის ისტორიაში ცნობილია „სისხლიანი ათწლეულის“ (1890—1900) სახელწოდებით. ფრანჩესკო კრისპი (1819—1901) ადრე გარიბალდელი და „მემარცხენე“ იყო. შემდეგ მან მკვეთრად შეცვალა თავისი შეხედულებები და, ისე როგორც სხვა მრავალი იტალიელი ბურჟუაზიელი მოღვაწე, რევოლუციონერი რესპუბლიკელიდან აშკარა რეაქციონერად და მონარქისტად გადაიქცა. „ჩვენ ვიყავით რევოლუციონერები. რათა შეგვექმნა ერთიანი იტალია, ჩვენ გავხდით კონსერვატორები. რათა დავიცვათ მისი ერთიანობა. ასე ამართლებდა კრისპი თავის პოლიტიკურ ევოლუციას. „მონარქია ჩვენ გვაერთიანებს, რესპუბლიკა კი გაგვთიშავდა“, — აცხადებდა იგი.

კრისპი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1887 წლის ივლისში, დეპრეტისის გარდაცვალების შემდეგ. იგი ძალაუფლების მოყვარული და მკაცრი ადამიანი იყო. იტალიას მართავდა როგორც

ნამდვილი დიქტატორი. მას ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი და, გარდა ამისა, მეთაურობდა ორ მნიშვნელოვან — შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებს. კრისპი უგულებელყოფდა პარლამენტს და მეტისმეტად შეუწყნარებლად ეპყრობოდა პარლამენტალურ ოპოზიციას. კრისპიმ მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ვადა გადაუდო პარლამენტის სესიას. მისი მმართველობის დასაწყისში სახელმწიფო უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. იტალიის ეკონომიკა და ფინანსები ღრმა კრიზისს განიცდიდნენ. კრიზისი განსაკუთრებით გაძლიერდა 1886 წელს საფრანგეთთან დაწყებული საბაჟო ომის დროს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 1889 წელს 400 მილიონ ლირას მიაღწია. მწვავე კრიზისს განიცდიდა სოფლის მეურნეობაც. მიმდინარეობდა გლეხობის მასობრივი გაჩანაგება, განსაკუთრებით სამხრეთში. ამის გამო გაიზარდა ემიგრაცია. 1886-90 წლებში იტალიას ყოველწლიურად ტოვებდა 220 ათასზე მეტი ადამიანი. საუკუნის დასასრულისათვის იტალიის მოსახლეობის ყოველწლიურმა დენადობამ 300 ათასს მიაღწია.

კრისპის მმართველობის პირველ წლებში კვლავ გამწვავდა ძველი კონფლიქტი იტალიასა და ვატიკანს შორის. კლერიკალებს არ სურდათ შერიგებოდნენ საერო ხელისუფლების დაკარგვას და იტალიის სახელმწიფოს წინააღმდეგ მრავალნაირ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. ვატიკანი თავის პოლიტიკას საფრანგეთზე ორიენტაციის ვითარებაში წარმართავდა; იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა კი უაღრესად დაძაბული იყო. ამიტომ იტალიის მმართველ წრეებში გაძლიერდა ანტიკლერიკალური განწყობილება. ვატიკანის მტრული მოღვაწეობის აღკვეთის მიზნით მთავრობამ განახორციელა რამდენიმე ანტიკლერიკალური ღონისძიება. 1888 წელს სახალხო სკოლებში გაუქმდა „საღვთო სჯულის“ სავალდებულო სწავლება. გაუქმდა აგრეთვე საეკლესიო მეათედი. სისხლის სამართლის ახალი კოდექსით, რომელიც იუსტიციის მინისტრმა ძანარდელიმ შეიმუშავა, მკაცრი სასჯელი შემოიღეს ეკლესიის იმ მსახურთა წინააღმდეგ, რომელთა მოქმედება და გამოსვლები მიმართული იყო იტალიის სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ. ამ ღონისძიებებმა კათოლიკური იერარქიის ძლიერი პროტესტი გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ განიხილეს პაპის რეზიდენციის იტალიიდან გადატანის საკითხი. იტალიის მთავრობის კონფლიქტმა ვატიკანთან უკიდურეს დაძაბულობას მიაღწია 1889 წლის ზაფხულში, როცა რომში კრისპის თანხმობით გაიხსნა ჯორდანო ბრუნოს ძეგლი. ქანდაკება აღმართეს სწორედ იმ ადგილზე, სადაც 1600

წელს მოეწყო ეკლესიის წინააღმდეგ მამაცი მებრძოლის დაწვა. ძეგლის გახსნის დღეს რომში მოეწყო დიდი ანტიკლერიკალური დემონსტრაცია.

მაგრამ მალე დაიწყო ვატიკანისა და იტალიის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. რევოლუციური მოძრაობის ზრდის გავლენით მმართველ და კლერიკალურ წრეებში გაძლიერდა მისწრაფება ურთიერთ დაახლოებისაკენ ლოზუნგით: „სოციალიზმი — აი მტერი!“

კრისპის მთავარი საზრუნავი საშინაო პოლიტიკის სფეროში იყო ბრძოლა სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მთავრობა იყენებდა ყოველგვარ საშუალებას — დაწყებული მასობრივი ტერორიდან და დამთავრებული ანტიმუშური კანონმდებლობით. 1889 წელს მიღებულ იქნა კანონი „საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ“, რომელმაც აკრძალა „შეიარაღებული შეკრება“ და დააწესა მკაცრი სასჯელი მის ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე. ეს კანონი პირველ ყოვლისა მიმართული იყო მუშათა წინააღმდეგ. ანტიმუშურ ხასიათს ატარებდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგიერთი სტატიაც. „შრომის თავისუფლების“ დაცვის მოტივით კოდექსი 20-თვიანი პატიმრობით ემუქრებოდა ყველას, ვინც „ძალდატანებით ან მუქარით ხელს შეუშლიდა სამრეწველო და კომერციული მოღვაწეობის თავისუფლებას“. ასეთი სახის სტატიები ორგანიზაციების თავისუფლებისა და გაფიცვების გამოცხადების უფლებას არარად აქცევდა.

მიუხედავად დიქტატორული ღონისძიებებისა, კრისპის მთავრობამ ვერ შეძლო იტალიის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის შეჩერება. პირიქით, 90-იანი წლებიდან მოძრაობა უფრო მძლავრი გახდა. 1891 წელს იტალიის მრავალ ქალაქში მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაციები. რომში საბარიკადო ბრძოლებიც კი გაიმართა. ამავე ხანაში. იტალიაში მტკიცედ იკიდებს ფეხს მეცნიერული სოციალიზმის იდეები. 80—90-იან წლებში იტალიურ ენაზე ითარგმნა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შრომების ერთი ნაწილი.

იტალიაში მარქსიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი პროპაგანდისტი იყო ანტონიო ლაბრიოლა (1843—1904). სპეციალობით ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, სერიოზული მკვლევარი ინტერესით ეცნობოდა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შრომებს. 1880-95 წლებში ლაბრიოლა აწარმოებდა ფრ. ენგელსთან ინტენსიურ მიმოწერას. იგი ფართოდ იყენებდა მარქსიზმის იდეებს თავის საუნივერსიტეტო ლექციებში, ნაბეჭდ შრომებში და ამ გზით იტალიის საზოგადოების

ფართო ფენებს აცნობდა მარქსისტულ მოძღვრებას. ლაბრიოლას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს — „ისტორიული მატერიალიზმის შესახებ", ვ. ი. ლენინმა „ჩინებული" წიგნი უწოდა. ლაბრიოლას შრომებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მომდევნო თაობის გამოჩენილ მარქსისტებზე, კერძოდ ანტონიო გრამშსა და პალმირო ტოლიატზე. იტალიელი კომუნისტები ლაბრიოლას შრომებს განიხილავენ როგორც თავიანთი იდეოლოგიური მონაპოვარის განუყოფელ ნაწილს. იტალიაში მეცნიერული სოციალიზმის იდეების გამოჩენილი გამავრცელებელი იყო აგრეთვე ფილიპო ტურატი (1857—1932). იგი იყო მილანოს სოციალისტური ლიგის ხელმძღვანელი. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შრომების შესწავლის შედეგად ტურატი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „არსებითად, არსებობს მხოლოდ ერთი სოციალიზმი — მარქსისტული". 1891 წელს მან დააარსა ჟურნალი „სოციალიზმის კრიტიკა", რომელიც მიზნად ისახავდა იტალიის მშრომელებში სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობას.

1891 წლის აგვისტოს დასაწყისში მილანოს ყრილობაზე მილანოს სოციალისტური ლიგა შეუერთდა იტალიის მუშათა პარტიას. ერთი წლის შემდეგ, 1892 წლის 14—15 აგვისტოს გენუაში შეიკრიბა სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. ამ ყრილობაზე შექმნილმა პარტიამ დასაწყისში მიიღო იტალიის მუშათა პარტიის სახელწოდება. 1895 წლიდან მას ეწოდა იტალიის სოციალისტური პარტია. 1896 წლის 25 დეკემბერს გამოვიდა გაზეთ „ავანტის" („წინ") პირველი ნომერი, რომელიც სოციალისტური პარტიის მთავარი ორგანო გახდა.

გენუის ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა იტალიის პროლეტარიატის პოლიტიკურ ორგანიზაციას საერთო ეროვნული მასშტაბით. ორგანიზაციამ ჩააბა მუშათა კლასი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში და სათავე დაუდო იტალიის მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებას. სისუსტისა და სერიოზული ნაკლოვანებების მიუხედავად, იტალიის სოციალისტურმა მოძრაობამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა. როგორც პალმირო ტოლიატი აღნიშნავდა, „სოციალისტური მოძრაობა იტალიაში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, აღმოცენდა და ვითარდებოდა როგორც მძლავრი პროტესტი იმ რეაქციისა და თვითნებობის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც იტალიის მშრომელებს ყოველგვარი უფლებები ჩამოართვა. ამიტომ ჰქონდა მას ფართო სახალხო ხასიათი და ამიტომ შეუერთდა მას წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის დიდი მასა; აგრეთვე თვით ბურჟუაზიის რადიკალური ელემენტებიც, რომლებიც იტან-

ჯებოდნენ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობა გამო და აღსდგნენ ამ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ საბრძოლველად".

სოციალისტურმა პარტიამ ჩამოყალიბებისთანავე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად შეზღუდვებისა და რეპრესიებისა, იგი ყოველწლიურად აძლიერებდა მშრომელთა ფართო ფენებზე თავის ზეგავლენას, ზრდიდა წარმომადგენლობას პარლამენტში. 1892 წელს იტალიის პარლამენტში 7 სოციალისტი მოღვაწეობდა, 1897 წელს კი — 16. სოციალისტური პარტია იტალიის პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა როგორც ახალი, მძლავრი და მებრძოლი ძალა.

სოციალისტური პარტიის აღმოცენებასთან ერთად, 1891 წელს ჩამოყალიბდა პირველი შრომის პალატები, რომლებიც შემდეგ მშრომელთა ორგანიზაციების ცენტრებად და მათი ბრძოლის იარაღად გადაიქცნენ.

XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში იტალიის მშრომელთა კლასობრივმა ბრძოლამ უდიდესი გაქანება და უჩვეულო ფორმები მიიღო. ამ პერიოდში, პირველად, ერთ ნაკადად გაერთიანდა პროლეტარიატის აჯანყება ჩრდილოეთში და გლეხთა გამოსვლები სამხრეთში. 1893 წელს სიცილიაში ჩაისახა მოძრაობა „ფაშის" (გაერთიანებას, რაზმს ნიშნავს) სახელწოდებით. აქ შედიოდნენ კლეტები, მეშახტეები და სხვა პროფესიის მუშები. წლის ბოლოს „ფაში" უკვე აერთიანებდა სიცილიის 300 ათას მშრომელს. ძმთავრესად გლეხობას. სიცილიელი გლეხები იბრძოდნენ გადასახადებისა და ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ; მოითხოვდნენ მიტაცებული სათემო მიწების დაბრუნებას, საჯარო გადასახადების შემცირებას. გლეხობამ დაიწყო მემამულეთა დაუმუშავებელი მიწების დატაცება. „ფაშის" მოძრაობას მსარს უჭერდა სოციალისტური პარტია. მოძრაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდა მრავალი ადგილობრივი სოციალისტი.

სიცილიელი გლეხების გამოსვლებს კრისპის მთავრობამ სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიებით უპასუხა. სიცილიაში გაიგზავნა სამხედრო ნაწილები, შემოიღეს საალყო მდგომარეობა. 1894 წელს გამოიცა კანონი ანარქისტების წინააღმდეგ. რომელიც პრაქტიკულად სოციალისტური პარტიისა და სხვა მუშური ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოიყენეს. აიკრძალა სოციალისტური პარტიის საქმიანობა და მრავალი შრომის პალატის მოღვაწეობა. დაწესდა ცენზურა მუშურ პრესაზე. მაგრამ რეაქციულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაზარდა მშრომელთა შორის სოცია-

ჩარლზ პარნელი



უილიამ გლადსტონი

ჯოზეფ ჩემბერლენი

რობერტ სოლსბერი

ლისტური პარტიის ავტორიტეტი და გააძლიერა ხალხის სიძულვილი ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიმართ.

კრისპის მთავრობა გერმანიასთან კავშირზე დაყრდნობით ახორციელებდა აგრესიულ, დამპყრობლურ პოლიტიკას. კრისპი იტალიის დიდი კოლონიური იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა. მთავრობას სურდა შეესუსტებინა იტალიის მთავარი მეტოქის — საფრანგეთის ძლიერება და გამალებით ემზადებოდა მის წინააღმდეგ სალაშქროდ. ამავე დროს იტალიამ განაახლა ეთიოპიის დაპყრობის ცდები. 1885 წელს აღმოსავლეთ აფრიკაში გაიგზავნა იტალიის არმიის დიდი შენაერთები, მაგრამ ეთიოპიის დაპყრობის მეორე ცდაც სრული მარცხით დამთავრდა. 1896 წლის 1 მარტს ადუასთან ეთიოპელებმა მთლიანად გაანადგურეს იტალიელთა 10-ათასიანი არმია. ბრძოლის ველზე დაეცა 5.500 იტალიელი ჯარისკაცი, დაიჭრა 2.000, ტყვედ ჩავარდა — 1.500. ეთიოპელებმა ხელთ იგდეს იტალიის მთელი არტილერია და საბარგული.

ეთიოპიის კატასტროფამ დაამხო კრისპის მთავრობა. 1896 წლის 5 მარტს კრისპი გადადგა და საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას. აფრიკაში დამარცხებას ძირეული ცვლილებები მოჰყვა იტალიის საგარეო პოლიტიკაში; იტალიის მმართველ წრეებში აღმოცენდა უნდობლობა ავსტრიასა და გერმანიასთან კავშირის მიმართ და გამოიკვეთა საფრანგეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების ტენდენცია.

ეთიოპიის ავანტიურის შემდეგ უჩვეულოდ დაიძაბა იტალიის საშინაო ვითარება. გაძლიერდა ხალხის საყოველთაო უკმაყოფილება მმართველი კლასების პოლიტიკის მიმართ. 1898 წლის გაზაფხულზე პურზე ფასების მომატებისა და მასობრივი უმუშევრობის გამო იტალია მოიცვა სახალხო მღელვარებათა ნაკადმა. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო მილანოში აღმოცენებულმა მოძრაობამ. აქ ხუთი დღის განმავლობაში (6—9 მაისი) მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკებები მუშებსა და ჯარის ნაწილებს შორის. ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 82 და დაიჭრა 450 კაცი.

მილანოს „სასაკლაო" „სიბრალიანი ათწლეულის" ყველაზე შემზარავ ეპიზოდს წარმოადგენდა. ამ საზარელი მოვლენით დასრულდა იტალიის XIX საუკუნის ისტორია.

ესპანეთი 1868-98 წლებში

ესპანეთის 1868-74 წლების რევოლუცია

მიუხედავად იმ ოთხი ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომლებმაც თავზე გადაუარეს ესპანეთს XIX საუკუნის პირველ ნახევარში[1], იქ ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან ძვრებს, რომელთაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა არსებითი ხასიათის ცვლილებები.

ესპანეთის რიგით მეხუთე რევოლუცია, რომელიც დაიწყო კადისის ნავსადგურში მდგარმა სამხედრო საზღვაო ფლოტმა 1868 წლის სექტემბერში, არსებითად განსხვავდებოდა თავის ზემოაღნიშნულ წინამორბედთაგან. ესპანეთის ისტორიის ავანსცენაზე მაშინ პირველად გამოჩნდა ახალი სოციალური ფაქტორი ესპანეთის მუშათა კლასის სახით.

დედოფალ იზაბელა II-ის (1833-68) რეაქციულმა პოლიტიკამ ქვეყნის მმართველობის ყველა სფეროში გამოიწვია ესპანეთის საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება. ოპოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც დაიშალა კორტესები[2] და დიდი ქალაქების მუნიციპალიტეტები და რეპრესიათა სუსხიანი ხელი შეეხო მსხვილ ბურჟუაზიასა და თვით მოლიბერალო მემამულეთა წრეებსაც კი.

1868 წლის რევოლუციის მესვეურებმა მსხვილი ბურჟუაზიისა და ლიბერალურ მემამულეთა სახელით 19 სექტემბერს გამოაქვეყნეს მოწოდება, რომლითაც იზაბელა II დამხობილად იქნა გამოცხადებული, რევოლუციის ძირითად მიზნებად კი აღიარებულ იქნა „წესრიგისა“ და „კანონიერების“ აღდგენა.

მასების აქტიური მონაწილეობის მიუხედავად 1868 წლის სექტემბრის რევოლუციის ძირითადი მოსავალი მოიმკეს ესპანეთის

---

[1] პირველი რევოლუცია მოხდა 1808-14 წწ., მეორე—1820-23 წწ., მესამე — 1833-43 წწ., მეოთხე—1854-56 წწ.

[2] კორტესები — საპარლამენტო ორგანოს სახელწოდებაა ესპანეთში.

მსხვილი სავაჭრო და ფინანსური ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შეკრეს ბლოკი ლიბერალ მემამულეებთან. ამ აღზევებულ ბანკირთა და ვაჭართა ინტერესებს გამოხატავდა ე. წ. „პროგრესისტთა“ პარტია, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა გაბურჟუებულ მემამულეთა ძირითად პოლიტიკურ დაჯგუფებას („უნიონისტთა“ პარტია).

მსხვილი ბურჟუაზიულ-მემამულური ბლოკი თავიდანვე ცდილობდა ესპანეთის მასების დარწმუნებას, რომ თითქოს დედოფალ იზაბელა II-ის ჩამოგდებითა და მსხვილი ლატიფუნდისტ-მიწათმფლობელთა და კათოლიკური ეკლესიის რეაქციულად განწყობილ ეპისკოპოსთა პოლიტიკური ხელისუფლებისაგან ჩამოშორებით რევოლუცია დასრულდა.

1869 წლის თებერვალში მოწვეული დამფუძნებელი კორტესების მიერ შემუშავებული კონსტიტუციის თანახმად, ესპანეთი გამოცხადებულ იქნა კონსტიტუციურ მონარქიად. ამ შეკვეცილი კონსტიტუციის თანახმად, შეინარჩუნა უფლება კორტესების მოწვევისა და დათხოვნისა; ზედა პალატა (სენატი) კვლავინდებურად უნდა შევსებულიყო უმაღლესი თანამდებობის პირთაგან, ხოლო, რაც შეეხება ქვედა პალატას, ამიერიდან მისი დაკომპლექტება ხდებოდა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. ახალი კონსტიტუციით ფორმალურად ცხადდებოდა რწმენისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, თანაც შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები და სამოქალაქო ქორწინება. აკრძალულ იქნა იეზუიტთა ცნობილი სასულიერო ორდენი და ამასთან ერთად ლიკვიდირებულ იქნა უკანასკნელ წლებში დაარსებული მონასტრებიც.

ესპანეთის სამეფო ტახტი დროებით ვაკანტური რჩებოდა. მომავალი მეფის კანდიდატურის „ძებნა“ დაიწყეს ესპანეთის ფარგლებს გარეთ, ევროპის კონტინენტზე. 1869 წლის კონსტიტუციის თანახმად ესპანელ ბურბონთა დინასტიის წარმომადგენლებს, რომლებიც გაძევებულნი იყვნენ საშობლოდან, „სამუდამოდ“ ჩამორთმეული ჰქონდათ გამეფების უფლება.

სხვადასხვა ქვეყნის გვირგვინოსანთა მხრივ უარის თქმის შემდეგ, ესპანეთის მეფის რეგალიები შესთავაზეს იტალიის მეფის, ვიტორიო-ემანუელ II-ის ვაჟს, 26 წლის პრინც ამადეო სავოიელს.

1870 წლის 16 ნოემბერს დამფუძნებელმა კორტესებმა 191 ხმის უმრავლესობით 120-ის წინააღმდეგ ესპანეთის მეფედ ამადეო სავოიელი აირჩიეს.

ახალი მეფე უცხო იყო ესპანეთის მოსახლეობისათვის, მან არც კი იცოდა ენა, ისტორია, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი თავისი

ახალი ქვეყნისა, არ იყო გარკვეული ესპანეთის კლასობრივი და, შესაბამისად, პარტიული ბრძოლის ხლართებში და მას სულ ძუდამ თავლწინ ედგა ჟოზეფ ბონაპარტის აჩრდილი [1].

კონსტიტუციური მონარქიის, კერძოდ კი უცხოელი მეფის წინააღმდეგ მალე თავი იჩინა საყოველთაო უკმაყოფილებამ, რაც შედეგი იყო რევოლუციასთან დაკავშირებული იმედების გაცრუებისა. ესპანეთის გლეხობას არავითარი შეღავათები არ მიუღია რევოლუციისაგან. მუშებისა და ხელოსნების ეკონომიური და უფლებრივი პირობები თითქმის არ გაუჰჯობესებულა. ქალაქის წვრილმა ბურჟუაზიამ ზურგი შეაქცია ახალ ხელისუფლებას, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების წახალისების ნაცვლად დაშალა ახლადშექმნილი მუნიციპალური საბჭოები მთელს ესპანეთში. არც სამრეწველო ბურჟუაზიის დიდი ნაწილი იყო კმაყოფილი ახალი ეკონომიური პოლიტიკით, განსაკუთრებით მთავრობის კურსით თავისუფალი ვაჭრობის განვითარების (ე. წ. „ფრიტრედერობა") სფეროში, რადგანაც ესპანეთის ახალგაზრდა მრეწველობა დაინტერესებული იყო პროტექციონისტული ხასიათის ღონისძიებათა გატარებით, რაც შეძლებისდაგვარად დაიცავდა ესპანეთის პროდუქციას ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოების საქონლის კონკურენციისაგან.

რაც შეეხება კათოლიკურ უმაღლეს სამღვდელოებას, იგი თავიდანვე მტრულად შეხვდა იმ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს, რომლის მეთაურმაც (იგულისხმება იტალიის მეფე ვიტორიო-ემანუელ II) რომის პაპი ფაქტიურად გადააქცია „ვატიკანის სასახლის საპატიო ტყვედ". ფეოდალურ-მემამულური რეაქციული ბანაკის წარმომადგენლებიც ალმაცერად უყურებდნენ ამადეო საოიელს, როგორც მათთვის საძულველი რევოლუციის ნაშიერს.

1873 წლის დასაწყისისათვის კონსტიტუციურ მონარქიას თითქმის მთლიანად გამოეცალა სოციალური საძირკველი და უცხოელი მეფე გადაიქცა როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან შეტევის ობიექტად. ამიტომაც ამადეო საოიელმა 1873 წლის 9 თებერვალს „ნებაყოფლობით" უარი თქვა ესპანეთის სამეფო ტახტზე და ორი დღის შემდეგ დატოვა პირენეის ნახევარკუნძულის მისთვის ესოდენ „არასტუმართმოყვარული" ნაპირები.

---

[1] ნაპოლეონ I-ის უფროსი ძმა, რომელიც საფრანგეთის იმპერატორმა ძალად თაეს მოახვია მეფედ ესპანელ ხალხს 1808 წელს. მიუხედავად საფრანგეთის შეიარაღებული ძალების აქტიური დახმარებისა, ჟოზეფ ბონაპარტი 1813 წელს იძულებული გახდა მიეტოვებინა ესპანეთი.

იმავე 1873 წლის 11 თებერვალს მადრიდში შედგა კორტესების ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა, სადაც 258 დეპუტატმა 32-ის წინააღმდეგ ხმა მისცა რესპუბლიკის სასარგებლოდ.

პოლიტიკური ძალაუფლება გადავიდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ხელში, რომლებიც გამოდიოდნენ ესპანეთის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის ლოზუნგით. პირველი დროებითი პრეზიდენტი ფიგერას-ი-მორაგასი მათი რიგებიდან იყო გამოსული. ახალ პრეზიდენტს, პროფესიით ყოფილ ადვოკატს, ეშინოდა ხალხისა.

ახალი კორტესების არჩევნებში, რომელთაც მონარქისტებმა (ე. წ. „კარლისტები“ [1] და „ალფონსისტები“ [2]) ბოიკოტი გამოუცხადეს, გაიმარჯვეს ფედერალისტური ორიენტაციის ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა.

სულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა რიგებში ს

შირებელ რგოლად ისინი გულისხმობდნენ სუსტ და ეფემერულ ცენტრალურ ხელისუფლებას.

კანტონალისტებს მრავლად ჰყავდათ თავიანთი მომხრეები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთის (ანდალუსია, ვალენსია, მურსია) პროვინციული ქალაქების წვრილი ბურჟუაზიის რიგებში, რომელთა შორისაც, ფ. ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, მოიძებნებოდნენ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები, პატივმოყვარე პირები და კარიერისტები [1].

მართალია, პირველი ინტერნაციონალის ესპანური სექცია 70-იანი წლების დასაწყისისათვის თავის რიგებში მოითვლიდა 60 ათას წევრს, რაც იმდროინდელი ესპანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ბაკუნისტური ხელმძღვანელობის მცდარი კურსის გამო ესპანეთის პროლეტარიატმა ვერ გამოიყენა ქვეყანაში შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში.

1872 წელს ბაკუნისტებმა მიაღწიეს იმას, რომ მათი ინიციატივით პირველი ინტერნაციონალის ესპანეთის სექციის შემადგენლობიდან გარიცხულ იქნა გამოცდილ მარქსისტთა ჯგუფი, ბუშათა მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების ჩათვლით, როგორებიც იყვნენ პაბლო იგლესიასი და ხოსე მესა, რომლებმაც შემდეგში დაარსეს ახალი ორგანიზაცია „მადრიდის ახალი ფედერაციის“ სახელწოდებით, რომელიც, სამწუხაროდ, არ სარგებლობდა დიდი გავლენით მასებში და 1873 წელს დაიშალა კიდეც.

რაც შეეხება ბაკუნისტებს, მათ, ფ. ენგელსის აზრით, მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს [2].

1873 წლის ივნისში არჩეული დამფუძნებელი კორტესების დეპუტატთა მანდატების უმრავლესობა წილად ხვდათ ფედერალისტებს, რომლებმაც ესპანეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს მემარცხენე რესპუბლიკელთა აღიარებული ლიდერი ფრანსისკო პი-ი-მარგალი.

იურისტი, ფილოსოფოსი, მწერალი, ღარიბი ოჯახიდან გამოსული პი-ი-მარგალი იმდროინდელი ესპანეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი სენ-სიმონის, პრუდონის, რობერტ ოუენის გავლენას განიცდიდა და თავის თავს „ინტეგრალურ სოციალისტს“ უწოდებდა.

---

[1] Ф. Энгельс, Бакунисты за работой. Заметки о восстании в Испании летом 1873 г.; К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XV (I изд.), стр. 109.

[2] იქვე, გვ. 124.

პი-ი-მარგალს სურდა სახელმწიფო და საეკლესიო მიწების განვადებით გაყიდვის კანონის ცხოვრებაში გატარება, რაც, მისი აზრით, საშუალებას მისცემდა უმიწო და მცირემიწიან გლეხებს შეეძინათ ეს მიწები. იგი წინააღმდეგი იყო მცირეწლოვანი ბავშვების შრომისა ესპანეთის ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში, მოითხოვდა ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან, საყოველთაო და უფასო სწავლების შემოღებას და ესპანეთის კოლონიებისათვის იგივე საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ნორმების მინიჭებას, რითაც სარგებლობდა თვით ესპანეთის მოსახლეობა.

მაგრამ დამფუძნებელმა კორტესებმა მიიღეს კანონი მოიჯარეთა მიერ მემამულეთაგან მიწის ნაწილობრივი გამოსყიდვის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ესპანეთის გლეხობის იმედის გაცრუება ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ, რადგანაც ამ აქტით მსხვილმა მემამულეებმა ფაქტიურად შეინარჩუნეს მოიჯარე გლეხების მიწის ნაკვეთიდან აყრის უფლება.

ასეთ პირობებში „შეურიგებლებმა“ ხელსაყრელ საბაბად გამოიყენეს ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება, 1873 წლის ივლისში წამოიწყეს ე. წ. „კანტონალური“ აჯანყება და ხელთ იგდეს ძალაუფლება ანდალუსიის, მურსიისა და ვალენსიის პროვინციის მთელ რიგ ქალაქებში. აჯანყებულები „გამოეყვნენ“ ესპანეთის რესპუბლიკას და დააარსეს თავიანთი დამოუკიდებელი „კანტონალური“ მთავრობები სევილიაში, კორდობაში, გრანადაში, მალაგაში, ვალენსიაში, კადისსა და კარტახენაში. მართალია, „შეურიგებელთა“ ხელში გადავიდა თითქმის მთელი სამხრეთი ესპანეთი, მაგრამ მშრომელების მდგომარეობა კვლავ იგივე დარჩა.

ბაკუნისტები კი, თავის მხრივ, არ მოერიდნენ აშკარა თანამშრომლობას „შეურიგებლებთან“ და მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყოველი „კანტონალური მთავრობის“ მოღვაწეობაში, თუმცა ისინი ყველგან გამოდიოდნენ „უმცირესობის“ როლში.

„შეურიგებელთა“ და ბაკუნისტთა ერთობლივი გამოსვლის შედეგად მემარცხენე რესპუბლიკანელთა მთავრობის პოზიციები ძალზე შეირყა და 1873 წ. 18 ივლისს პი-ი-მარგალი, 40 დღის მმართველობის შემდეგ იძულებული გახდა გადამდგარიყო. ამით ფაქტიურად დაიწყო ესპანეთის მეხუთე რევოლუციის დასასრული.

პი-ი-მარგალისა და მემარცხენე რესპუბლიკელების შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მოექცნენ მემარჯვენე რესპუბლიკელები, რომელთა მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო „საზოგადოებრივი წესრიგის“ აღდგენა ესპანეთში და, შესაბამისად,

კანტონალური აჯანყების სრული ლიკვიდაცია. დროებითი პრეზიდენტის ფუნქციები გადავიდა ისტორიის პროფესორის, იურისტის, ფილოსოფოსისა და მწერლის, ნიკოლას სალმერონის ხელში.

სალმერონის ინიციატივით დაიწყო სამხედრო ოპერაციები ანდალუსიისა და მურსიის „განდგომილი" ქალაქების წინააღმდეგ, რომლებმაც თავის დროზე აღმართეს ე. წ. „კანტონალური" აჯანყების ალამი.

როდესაც სალმერონი მოგვიანებით მიხვდა, რომ საქმე სამხედრო დიქტატურის დამყარებისაკენ მიდიოდა, იგი შეეცადა შეეჩერებინა გენერალთა შემდგომი წინსვლა სამხრეთ ესპანეთში, რომელსაც შედეგად მოჰყვა რეაქციის ბანაკის საპასუხო გამოსვლა. ხმა აღიმაღლეს ყოველი ჯურის მონარქისტებმა — დაწყებული „კარლისტებითა" და დამთავრებული „ალფონსისტებით". შესაფერისი მომენტის დადგომას უცდიდნენ მარშალი სერანო და სხვა გენერლები, მრავალრიცხოვან „პრონუნსიამენტოთა" ეს „დიდოსტატები". მათთვის არა თუ პი-ი-მარგალი, არამედ სალმერონიც კი უკიდურესი „მემარცხენე" რესპუბლიკელი იყო და ამიტომაც ეს უკანასკნელი აიძულეს 1873 წლის სექტემბერში გადამდგარიყო.

ესპანეთის პირველი რესპუბლიკის შემდგომი „გამემარჯვენების" თვალნათლივ ილუსტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ პი-ი-მარგალისა და სალმერონის შემდეგ დროებითი პრეზიდენტის ფუნქციები გადაეცა მემარჯვენე რესპუბლიკელთა ლიდერს, ისტორიის პროფესორსა და მწერალს ემილიო კასტელარს, რომელმაც დაასრულა ე. წ. „კანტონალური" აჯანყების უკანასკნელი კერების (ვალენსია და სამხედრო-საზღვაო ციხესიმაგრე კარტახენა) ლიკვიდაცია. მან თავისი მმართველობა დაიწყო იმით, რომ შეაჩერა კორტესების საქმიანობა 1874 წლის იანვრამდე და ძირითადი აქცენტი გადაიტანა ქვეყნის მემარცხენე ძალების დევნაზე, რითაც ფაქტიურად გზა გაუკაფა რეაქციის ძალებს ხელისუფლებისაკენ.

როგორც კი კასტელარმა შეასრულა ესპანეთის მემარცხენე ძალების დამარცხების ეს თავისი „მისია", იგი თვით გახდა მონარქისტთა, კლერიკალური რეაქციისა და გენერალიტეტის მარჯვნიდან შეტევის „მსხვერპლი"; მათ უკვე აღარ სჭირდებოდათ „მავრი", რომელმაც თავისი საქმე გააკეთა.

ახალი კასტილიის გენერალ-კაპიტანმა (ფაქტიურად მადრიდის გარნიზონის ჯარების სარდალმა) პავიამ 1874 წლის 2 იანვარს გარეკა კასტელარის მიერ მოწვეული კორტესების დეპუტატები, რითაც ფაქტიურად დასრულდა პირველი რესპუბლიკისა და შესაბა-

მისად, ძეხუთე რევოლუციის ისტორია. ესპანეთში დამყარდა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი, რომლის მეთაურადაც გამოაცხადეს მარშალი სერანო.

რაც შეეხება ესპანეთის მშრომელ ძასებს, ისინი გულგრილად შეხვდნენ 1874 წლის იანვრის კონტრრევოლუციურ გადატრიალებას: თავის დროზე პირველმა რესპუბლიკამ ვერ გაამართლა მათი იმედები და შესაბამისად რწმენა რევოლუციის გამარჯვებისა უკვე დაკარგული ჰქონდათ.

რეაქციის რეპრესიები შეეხო ესპანეთის მუშათა კლასის ორგანიზაციებს, საერთოდ, და, პირველ რიგში, I ინტერნაციონალის ესპანურ სექციას, რომელიც საბოლოოდ დაშალეს; აიკრძალა პროფესიული კავშირებიც. მაგრამ გათავხედებული მონარქისტებისათვის მარშალი სერანოც კი არასაკმაოდ „საიმედო“ პირი (პერსონა ნონ გრატა) იყო და ამიტომ ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ სამეფო ხელისუფლების სრულ რესტავრაციას. საბოლოოდ რჩებოდა მხოლოდ ერთი საკითხი, რომელიც ეხებოდა იმას, თუ ვინ დაიკავებდა ესპანეთის სამეფო ტახტს — დონ კარლოსი თუ დონ ალფონსო.

ბოლოს და ბოლოს ეს ხანგრძლივი დავა გადაწყდა დონ ალფონსოს (ალფონსო XII) სასარგებლოდ.

ერთი შეხედვით, ალფონსო XII ესპანეთის სამეფო ტახტზე ავიდა გენერალთა მორიგი „პრონუნსიამენტოს“ შედეგად, კერძოდ, იგი მეფედ „აკურთხა“ გენერალ მარტინეს დე კამპოსმა ქ. საგუნტოში 1874 წლის 24 დეკემბერს.

მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ მოვლენათა მსვლელობაში, ნათლად დავინახავთ, რომ ალფონსო XII-ეს მხარი დაუჭირა, ერთი მხრივ, რესპუბლიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ტახტის პრეტენდენტის დონ კარლოსის წინააღმდეგ ბრძოლაში ესპანეთის მემამულეთა, მსხვილი ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და არმიის უმაღლესი ოფიცრობის უმრავლესობამ. ამ უმრავლესობისათვის მიუღებელი იყო დონ კარლოსის[1] კანდიდატურა, რომელიც ეყრდნობოდა ესპანეთის საზოგადოების ყველაზე რეაქციულ და ჩამორჩენილ ძალებს — მიწათმფლობელ უმაღლეს არისტოკრატიასა (ე. წ. „გრანდები“) და უმაღლეს კათოლიკურ სამღვდელოებას, რომლებიც მიისწრაფოდნენ ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმის აღდგენისაკენ.

---

[1] დონ კარლოს-მარია ხოსე-ისიდორ (კარლოს VII). „კარლისტთა“ მოძრაობის ინიციატორის დონ კარლოსის (კარლოს V, 1788—1855) შვილიშვილი.

1874 წლის 31 დეკემბერს მარშალ სერანოს მთავრობა შეცვალა მონარქისტი მინისტრებისაგან შემდგარმა კაბინეტმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ანტონიო კანოვას დელ კასტილიო. ხოლო 1875 წლის 14 იანვარს მადრიდს ეწვია ხანგრძლივი ემიგრაციის შემდეგ თვით 16 წლის მონარქი ალფონსო XII (1874-85).

ესპანეთში დაიწყო რესტავრაციის ხანგრძლივი პერიოდი. ესპანეთის მეხუთე ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხებისა და მონარქიის რესტავრაციის მიზეზთა შორის აღნიშვნის ღირსია, პირველ რიგში, შემდეგი მიზეზები:

ჯერ ერთი, მუშათა კლასის დაქსაქსულობა და ბაკუნისტურ-ანარქისტულ დაჯგუფებათა მცდარი პოლიტიკური კურსი მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში.

მეორე, ესპანელი გლეხობის შედარებით ნაკლები აქტიურობა, მისი გამოსვლები ძირითადში ატარებდა სტიქიურსა და ლოკალურ ხასიათს. ყოველივე ეს კი გამოწვეული იყო კონსტიტუციური მონარქიისა და პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკის მთავრობათა აგრარული პოლიტიკით; მათ გლეხები კვლავინდებურად უმიწოდ დატოვეს. სწორედ ამის გამო ესპანეთის გლეხობამ არ გაუწია აქტიური წინააღმდეგობა რესტავრაციის კონტრრევოლუციური რეჟიმის დამყარებას, ხოლო ჩრდილოეთ ესპანეთის მთელ რიგ პროვინციებში (ბასკეთი, ნავარა, ბისკაია) გლეხობა გადაიქცა პირწავარდნილი მონარქიულ-კლერიკალური ბლოკის მესვეურთა („კარლისტების“ ბანაკი) ბრმა იარაღად.

მესამე, ესპანეთის ბურჟუაზია, რომელიც გამოდიოდა მეხუთე რევოლუციის ხელმძღვანელის როლში, არ იყო ერთიანი თავისი შემადგენლობით. გარდა ამისა, ბურჟუაზიას მარჯვნივ უბიძგებდა შიში ესპანეთის მშრომელთა აქტიური გამოსვლების წინაშე. ყოველივე ამით იყო გაპირობებული მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის გადასვლა კონტრრევოლუციის ბანაკში და კომპრომისი რესტავრაციის მოსურნე მემამულეებსა და თავადაზნაურობასთან.

ესპანეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა 1874-98 წლებში

მართალია, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ესპანეთში ლიკვიდირებულ იქნა აბსოლუტიზმი, ჩატარდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია, დასაბამი დაედო ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური ნორმების განვითარებას და რამდენადმე შესუსტდა ის შუასაუკუნეობრივი არტახები, რომლებიც აფერხებდნენ ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ ესპანეთის ბურჟუაზიამ თავისი

სისუსტის გამო, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობდა ესპანეთის ეკონომიური ჩამორჩენილობიდან, ვერ შეასრულა ბოლომდე თავისი ისტორიული მისია ფეოდალურ-მემამულური სისტემის სრული ლიკვიდაციის თვალსაზრისით.

სწორედ მეხუთე რევოლუციის (1868-74) დასასრულისათვის ესპანეთის ბურჟუაზიამ შეწყვიტა აშკარა ბრძოლა მემამულეთა კლასის წინააღმდეგ და თანხმობა განაცხადა კომპრომისზე, რაც საფუძვლად დაედო რესტავრაციის რეჟიმს.

ესპანეთის საზოგადოების ორი ვაბატონებული კლასის — მემამულე-თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის — დაახლოებისა და ურთიერთმორიგების პროცესის დამაჩქარებელ ფაქტორებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია პროლეტარიატის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალისადმი შიშის გრძნობა, რომელმაც ყველაზე მეტად თავი სწორედ მეხუთე რევოლუციის წლებში იჩინა.

ესპანეთის მსხვილი სავაჭრო და ფინანსური ბურჟუაზიისათვის, რომელმაც ხელი მოითბო სამხედრო დაკვეთებზე, სარკინიგზო კონტრაქტებზე, კოლონიების უმოწყალო ექსპლუატაციაზე და სხვადასხვა სახის სპეკულანტურ-ფინანსურ გარიგებებზე, ყოველმხრივ მისაღები იყო ის „მყარი", კონსერვატიული რეჟიმი, რომელიც საიმედოდ დაიცავდა მას როგორც პროლეტარიატის გამოსვლის საშიშროებისაგან, ისე კარლისტური რეაქციისა და სხვადასხვა ჯერის გენერალთა სამხედრო დიქტატურის საფრთხისაგან.

რაც შეეხება ესპანეთის მემამულეთა კლასს. მისი გარკვეული ხაწილი თვით ჩაება კაპიტალისტური ხასიათის საქმიანობაში, ხელი მოჰკიდა ტექნიკური კულტურების დანერგვასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებას.

ამგვარ ვითარებაში ესპანეთის მსხვილ მემამულე-ლატიფუნდისტთა და მსხვილი სავაჭრო და ფინანსური ბურჟუაზიის წრეებს შორის გაიბა ეკონომიური, პოლიტიკური და სხვა კავშირი, რომლის მახვილი ძირითადად მიმართული იყო საერთო მტრის — ესპანეთის მუშათა კლასისა და უუფლებო გლეხობის წინააღმდეგ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ესპანეთის სოფლის მეურნეობაში ძირითადად შემორჩა ფეოდალურ-აგრარულ ურთიერთობათა ბაზა.

ესპანეთის სოციალური იერარქიის კიბის ზედა საფეხურზე კვლავინდებურად რჩებოდა მსხვილი ნახევრადფეოდალურ მიწათმფლობელთა კლასი, რომელიც თითქმის სრულად ინარჩუნებდა თავის გაბატონებულ პოზიციებს ესპანეთის სოფლის მეურნეობაში.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად 1881

წელს ესპანეთის სოფლის მეურნეთა 47%-ს შეადგენდნენ წვრილი მოიჯარე გლეხები, თუმცა სინამდვილეში მათი რიცხვი მეტი იყო. საიჯარო სფეროში მრავლად შემორჩა მიწით სარგებლობის წუასაუკუნეობრივი ფორმები. აქ შეიძლება აღინიშნოს „სენსოს“ სხვადასხვა ფორმა, რომელთა თანახმად, მრავალრიცხოვან ვალდებულებათა ნორმები გაპირობებულია არა პერსონალურად, მიწით მოსარგებლესა თუ მოიჯარეზე, არამედ დადგენილია ერთხელ და სამუდამოდ მიწის გარკვეულ ნაკვეთზე. ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში (ასტურია, გალისია), სადაც, სამხრეთისაგან განსხვავებით, ადგილი ჰქონდა მიწების უკიდურეს დაქუცმაცებას, გავრცელებული იყო „ფოროს“ სხვადასხვა ფორმები. „ფოროს“ თანახმად, გლეხს გააჩნდა მიწით სარგებლობის იურიდიული უფლება, რის საფასურშიც იგი იხდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გარკვეულ რაოდენობას. „ფორო“ ვრცელდებოდა როგორც ცალკეულ ნაკვეთებზე, ისე მთელ სოფლებზე. „ფოროს“ თანახმად, გლეხს არ ჰქონდა მიწის შესყიდვის უფლება.

კატალონიაში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ესპანეთი) გავრცელებული „რაბასა მორტას“ თანახმად, მიწით მოსარგებლე გლეხს ჰქონდა უფლება მოეყვანა თავის ნაკვეთზე ყურძენი, რის საფასურშიც მოიჯარე გლეხი „რაბასაირი“ ვალდებული იყო გადაეხადა მიწის მესაკუთრისათვის ყურძნის ყოველწლიური მოსავლის ნახევარი ან ერთი მესამედი; ამავე დროს მემამულეს შეეძლო გაეძევებინა გლეხი ნაკვეთიდან დათქმულ ვადაზე ადრე, თუ რაიმე სტიქიური უბედურების გამო ვაზის ორი მესამედი დაიღუპებოდა.

მიწის საკუთრებისა და მიწით სარგებლობის სფეროში ფეოდალიზმის ეს გადმონაშთები ამუხრუჭებდნენ კაპიტალიზმის განვითარებას ესპანეთში. სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობის კომპენსაცია კი მემამულეთა მხრივ ხდებოდა ესპანეთის საშინაო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების აწევით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დაბრკოლებებისა, ესპანეთის სოფლის მეურნეობაში ვითარდებოდა კაპიტალიზმი, თუმცა ეს განვითარება მიმდინარეობდა ნელა, მტკივნეულად, ე. წ. „პრუსიული“ გზით, რის დამადასტურებელიც იყო სოფლად დაქირავებული შრომის გამოყენება და სასოფლო-სამეურნეო ფულადი იჯარის გავრცელება.

ესპანეთის სოფლის მოსახლეობის ექსპლუატაციის ნახევარფეოდალურ მეთოდებს დაემატა კაპიტალისტური ექსპლუატაციაც.

ელეხობის სწორედ ამ ორმაგმა ექსპლუატაციამ განაპირობა ესპანეთის მოსახლეობის ძირითადი მასის ძალიან დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა, რაც, თავის მხრივ, ამუხრუჭებდა ესპანეთის სამრეწველო განვითარებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ესპანეთის გაბატონებულ კლასებს უფრო სარფიანად და მომგებიანად მიაჩნდათ თავიანთი კაპიტალის დაბანდება ფასიანი ქაღალდებისა და სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შეძენის საქმეში, ვიდრე მრეწველობაში.

ყოველივე ამის გამო ესპანეთის მრეწველობა წარმოადგენდა ძალზე ადვილად შესაღწევ და ხელსაყრელ პლაცდარმს უცხოეთის კაპიტალისათვის. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ესპანეთის რკინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის საბადოებითა და სხვა წიაღისეულით. მომპოვებელი მრეწველობის ამ სფეროში გაბატონებული პოზიციები ხელთ იგდეს უცხოურმა და შერეულმა კომპანიებმა. რაც შეეხება სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს, ესპანეთის რკინის მადანი ძირითადად გაჰქონდათ დაუმუშავებელი სახით.

უცხოური კაპიტალი ფართოდ იჭრებოდა აგრეთვე ესპანეთის სარკინიგზო მშენებლობის სფეროშიც. განაგებდა რა ფაქტიურად ესპანეთის მრეწველობის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა სამთოგადამმუშავებელი მრეწველობა და სარკინიგზო ტრანსპორტი, უცხოური კაპიტალი მიისწრაფოდა ქვეყნის წიაღისეულ სიმდიდრეთა შეუზღუდავი გაზიდვისაკენ, რითაც ამუხრუჭებდა ესპანეთის სამრეწველო განვითარებას.

მაგრამ, მიუხედავად უცხოური კაპიტალის მოძალებისა, XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ესპანეთის მრეწველობაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ძვრებს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ძვრებს არ მოჰყოლია შედეგად რაიმე არსებითი სიახლენი ქვეყნის ეკონომიური სტრუქტურისა და კლასობრივ ურთიერთობათა სფეროში.

თავის მხრივ ესპანეთის კაპიტალისტური განვითარების ნელი ტემპებით იყო გაპირობებული ქვეყნის სოციალურ ცვლილებათა შედარებით მდორე ხასიათი, ის შედარებითი წონასწორობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია რესტავრაციის პერიოდის ესპანეთისათვის.

ესპანეთის პოლიტიკური მდგომარეობა 1874-98 წლებში

რესტავრაციის პერიოდში ესპანეთის გაბატონებულ კლასებს შორის პირველობას ისევ მსხვილ ფეოდალ-მემამულეთა კლასი ინარ-

ჩუნებდა. რაც შეეხება ეროვნული მსხვილი ბურჟუაზიის ზედაფენას, მისი როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში „უმცროსი პარტნიორის“ როლით შემოიფარგლებოდა. სხვადასხვა კაბინეტის მრავალრიცხოვანი მინისტრების პოსტები კვლავინდებურად „დაჯავშნული“ იყო მემამულეთა ბლოკის კანდიდატებისათვის.

როგორც წინათ, ისე რესტავრაციის პერიოდში ძალიან ძლიერი იყო კათოლიკური ეკლესიიის პოზიციები ესპანეთის სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში. უმაღლესი სამღვდელოების ხელთ იყო ეკონომიური და იდეოლოგიური ზეგავლენის მნიშვნელოვანი ბერკეტები, კონტროლი დაწყებით და საშუალო განათლებაზე; მის განკარგულებაში იყო კერძო უმაღლეს სასწავლებელთა დიდი ნაწილი.

XIX საუკუნის დასასრულისათვის უმაღლესმა კათოლიკურმა სამღვდელოებამ სხვადასხვანაირი შენიღბული გზით დიდძალი კაპიტალი დააბანდა ესპანეთის ბანკებში, რკინიგზის ტრანსპორტში, სანაოსნო კომპანიებში, შემნახველ სალაროებსა და სხვ.

არმიას, უფრო სწორედ უმაღლეს ოფიცერთა მრავალრიცხოვან კორპუსს, გააჩნდა სხვადასხვა საშუალებებით სახელმწიფო ხაზინის გაძარცვისა და მთავრობაზე ძლიერი ზემოქმედების შესაძლებლობა.

რაც შეეხება სამეფო ხელისუფლებას, მისი ფუნქციები შეზღუდული იყო 1876 წლის კონსტიტუციით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ნაყოფს იმ კომპრომისისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი ესპანეთის გაბატონებულ კლასებს შორის რესტავრაციის გარიჟრაჟზე.

რესტავრაციის რეჟიმის შედარებითი ხანგრძლივი არსებობის ძირითად მიზეზად უნდა დავასახელოთ ის, რომ თავისი არსებობის საწყის პერიოდში რესტავრაციის რეჟიმი მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავდა კლასთა თანაფარდობას ესპანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მომავალმა მეფემ, ალფონსო XII-ემ ჯერ კიდევ ემიგრაციაში ყოფნისას გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც საქვეყნოდ აცხადებდა, რომ იგი იქნება სანიმუშო ესპანელი, კეთილი კათოლიკე და მოწინავე ლიბერალი.

1876 წლის მარტში ჩატარებულ იქნა არჩევნები დამფუძნებელ კორტესებში. სათანადო კამპანიას უშუალოდ წარმართავდა პრემიერ-მინისტრი კანოვას დელ კასტილიო, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა მთავრობის განკარგულებაში არსებული ზეგავლენის მრავალრიცხოვანი ბერკეტები.

იმავე წლის 30 ივნისს კორტესებმა მოიწონეს ესპანეთის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც არსებითი ცვლილებების გარეშე იარსება 55 წლის მანძილზე, 1931 წლამდე.

1876 წლის კონსტიტუციის თანახმად ესპანეთი გამოცხადდა კონსტიტუციურ მონარქიად, რომელშიც საკანონმდებლო ხელისუფლება მეფისა და კორტესების ხელში იყო თავმოყრილი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ფლობდა მეფე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავდა პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს.

კორტესები შედგებოდა ორი თანასწორუფლებიანი პალატისაგან — სენატისა (ზედა პალატა) და კონგრესისაგან (ქვედა პალატა).

სენატი თავის რიგებში ითვლიდა 360 დეპუტატს, რომელთა ერთ ნაწილს ირჩევდნენ 10 წლის ვადით პროვინციული და კომუნალური ორგანოების, უმაღლესი სამღვდელოების, უნივერსიტეტების წარმომადგენლები. სენატის წევრთა მეორე ნაწილს სამეფო ოჯახის წევრები, მეფის მიერ დანიშნული დიდმოხელეები და გრანდები შეადგენდნენ.

კონგრესში არჩევნები ეწყობოდა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ (ყოველ 50.000 ამომრჩეველზე მოდიოდა ერთი დეპუტატი). არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ ის ესპანელები, რომლებიც იხდიდნენ საკმაოდ დიდ საადგილმამულო საშემოსავლო ანდა სამრეწველო გადასახადებს. სწორედ ამის გამო იყო, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდა ესპანეთის სრულწლოვანი მოსახლეობის მხოლოდ 6%, ხოლო მუშებისა და გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ უფლებებს მოკლებული იყო.

ახალი კონსტიტუციის თანახმად მეფის პიროვნება ხელშეუხებელი იყო, მაგრამ მის მიერ დანიშნული მინისტრები პასუხისმგებელნი იყვნენ კორტესების წინაშე. მეფეს შეეძლო კორტესების ვადაზე ადრე დათხოვნა მხოლოდ ერთი პირობით: იგი ვალდებული იყო უახლოესი სამი თვის ვადაში მოეწვია ახალი კორტესები.

ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლი (მე-17 მუხლი) ეხებოდა საკონსტიტუციო გარანტიების დროებით შეჩერებას. ამ მუხლმა შემდგომში თვალსაჩინო როლი შეასრულა ესპანეთის პოლიტიკურ ისტორიაში.

1876 წლის კონსტიტუციით იურიდიულად იქნა გაფორმებული აქტი პოლიტიკური კომპრომისისა ესპანეთის ორ გაბატონებულ კლასს შორის. მაგრამ ამ კლასების ბატონობის განმტკიცებისათვის

საჭირო იყო შესაბამისი პოლიტიკური და ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნა და ამუშავება. ამ მექანიზმის ამუშავებისათვის კი აუცილებელი გახდა „ორპარტიული სისტემის“ არსებობა, როდესაც ორი მმართველი პარტიის წარმომადგენლები რეგულარულად და რიგრიგობით ცვლიან ერთიმეორეს ხელისუფლების საუნესთან.

რესტავრაციის გარიჟრაჟზე მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის მმართველი ბლოკის ხელმძღვანელთა ინიციატივით ჩამოყალიბდა ორი პარტია — კონსერვატორებისა და ლიბერალების. რესტავრაციის პირველ პერიოდში ორივე პარტიამ შეინარჩუნა თავიანი განსაკუთრებული ფიზიონომია და ტაქტიკური კურსი. მაგრამ წლების მანძილზე ეს ორი პარტია, ფაქტიურად, გადაიქცა პოლიტიკურ საქმოსანთა ორ დიდ „კლანად“, რომელთა აღიარებულ ლიდერებსაც წარმოადგენდნენ კანოვას დელ კასტილიო (კონსერვატიული პარტია) და საგასტა (ლიბერალური პარტია).

ანტონიო კანოვას დელ კასტილიო (1828-97) ეკუთვნოდა მალაგის თავადაზნაურთა წრეს. იგი იყო სწავლული, მწერალი, ისტორიკოსი და კარგი ორატორი, მაგრამ აირჩია პოლიტიკური საქმიანობა. ახალგაზრდობაში კანოვას დელ კასტილიო სარგებლობდა ლიბერალური მმართველების სახელმწიფო მოღვაწის რეპუტაციით (ერთ დროს გადასახლებაშიც კი იმყოფებოდა), შემდგომში ცნობილი გახდა იგი როგორც „მემარცხენე კონსერვატორი“. პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში ეს „მემარცხენე კონსერვატორი“ დაუახლოვდა ესპანეთის სამეფო ტახტის მაძიებელს — დონ ალფონსო ბურბონს და სათავეში მოექცა ე. წ. „ალფონსისტთა“ ბანაკს, რის შედეგადაც შემდგომში გახდა რესტავრაციის რეჟიმის ძირითადი პოლიტიკური ბურჯი. მას სურდა იგივე როლი შეესრულებინა ალფონსო XII-ის სამეფო კარზე, რასაც ასეთი დიდი ოატატობით ასრულებდა „რკინის კანცლერი“ ბისმარკი ვილჰელმ I-ის საიმპერატორო კარზე გერმანიაში. ამიტომაც იყო, რომ მადრიდის კამარილიის მლიქვნელები მას „ესპანეთის ბისმარკსაც“ კი უწოდებდნენ.

კანოვას დელ კასტილიოს აზრით, ესპანეთს მხოლოდ დიდებული წარსული გააჩნდა, რომლითაც იგი მუდამ უნდა ამაყობდეს, ხოლო რაც შეეხება მომავალს, იგი უპერსპექტივო ქვეყანაა.

კანოვას დელ კასტილიო კატეგორიულად მოითხოვდა ესპანეთის მასების მოთოკვას, მუშებისა და გლეხების ყოველგვარი გამოსვლების სასტიკ ჩაქრობას. სამეფო დინასტიისა და შესაბამისად საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის მას საკმარისად მიაჩნდა

სესილ როდსი

ჟიულ ფერი

ჟიულ გედი

პოლ ლაფარგი

ესპანეთში შეზღუდული კონსტიტუციისა და ფსევდოპარლამენტარიზმის არსებობა.

კანოვას დელ კასტილიოს მმართველობის წლებში კორუპციამ, თაღლითობამ, მოტყუებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, თვით იგი ვირტუოზი იყო ამ საქმეებისა. ხუთი წლის მანძილზე კანოვასმა გასცა 1275 ტიტული და ორდენი, აავსო თავისი ძმობრეებით სახელმწიფოს ყველა უწყება.

მიუხედავად ზემოთქმულისა, კანოვას დელ კასტილიო იყო ყველაზე კოლორიტული ფიგურა რესტავრაციის პერიოდში დაწინაურებულ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. იგი იყო ესპანეთის მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. კონსერვატიული პარტიის ფუძემდებელი (1875) და სიკვდილამდე (იგი მოკლეს ანარქისტებმა 1897 წელს) მისი უცვლელი და აღიარებული ლიდერი.

კანოვას დელ კასტილიოს ღირსეული პოლიტიკური მეტოქე გამოდგა ესპანეთის ლიბერალური პარტიის ლიდერი პრაქსედეს მატეო საგასტა (1827—1903).

საგასტა იყო ვაჭრის შვილი, პროფესიით ინჟინერი. მან კანოვას დელ კასტილიოს მსგავსად გაიარა ევოლუციის გარკვეული გზა მარცხნიდან მარჯვნივ. XIX საუკუნის 50-იან წლებში საგასტა მემარცხენე რადიკალი იყო და ოცნებობდა დემოკრატიულ კონსტიტუციაზე. მეოთხე რევოლუციის დღეებში იგი ბარიკადებზეც კი იბრძოდა მადრიდის ქუჩებში. აქტიური მონაწილეობა მიიღო 1868 წლის სექტემბრის რევოლუციაში. ორჯერ მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა.

შემდგომში საგასტა სათავეში ჩაუდგა რადიკალური პარტიის მემარჯვენე ფრთას და დაიწყო ბრძოლა პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ. მან ჯერ მონაწილეობა მიიღო 1874 წლის სახელმწიფო გადატრიალებაში, ხოლო შემდეგ დაიწყო ზრუნვა მეფესთან დაახლოების გზების გამოძებნაზე.

1875 წლის შემოდგომაზე საგასტამ მეხუთე რევოლუციის პერიოდის სხვადასხვა ლიბერალურ და რადიკალურ დაჯგუფებათა ნამსხვრევებისაგან ჩამოაყალიბა ლიბერალური პარტია, რომელმაც მიიღო ოფიციალურად „კონსტიტუციურ-მონარქისტული" პარტიის სახელწოდება. ლიბერალური პარტია ძირითადში ეყრდნობოდა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებს, ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებს, მოხელეთა და ოფიცერთა შედარებით პროგრესულ ნაწილს.

თუ კანოვას დელ კასტილიო განასახიერებდა ესპანეთის ერთი

გაბატონებული კლასის — მემამულე მიწათმფლობელთა ინტერესებს, საგასტა მეორე გაბატონებული კლასის — მსხვილი ბურჟუაზიის ზედაფენების ტიპური წარმომადგენელი იყო და ამ კლასის პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავდა კიდეც.

საგასტა, კანოვას დელ კასტილიოს მსგავსად, პესიმისტურად აფასებდა საკუთარი ქვეყნისა და თავისი ხალხის პოტენციურ შესაძლებლობებს. მაგრამ კანოვას დელ კასტილიოსაგან განსხვავებით იგი თავს არიდებდა ამ თემაზე საჯარო განცხადებების გაკეთებას.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო უახლოვდებოდა ერთიმეორეს კანოვას დელ კასტილიოს და საგასტას პოლიტიკური გზები. პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მოქცევის შემდეგ საგასტამ საბოლოოდ უღალატა თავისი ყმაწვილკაცობის იდეალებს. იგი უკვე არაფერში ჩამორჩებოდა კანოვას დელ კასტილიოს და სურდა ტოლი არ დაედო მისთვის არც მუშათა და გლეხთა მოძრაობების სასტიკად ჩახშობაში, არც საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნების გაყალბებაში, არც კოლონიური სამფლობელოების მოსახლეობის გაძარცვაში და არც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოსყიდვის საქმეში.

მიუხედავად ამისა, იგი ბოლომდე თვლიდა თავს ლიბერალად და დემოკრატად, ოფიციალური ოპოზიციის აღიარებულ ლიდერად და შესაბამისად სარგებლობდა კიდეც გარკვეული პოპულარობით. რაშიც მას ხელს უწყობდა ბრწყინვალე პოლემისტის ნიჭი, პარლამენტარული და სხვა პოლიტიკური კომბინაციების ოსტატის რეპუტაცია.

თითქმის 25 წლის მანძილზე კანოვას დელ კასტილიო და საგასტა „იდეალურად" განასახიერებდნენ რესტავრაციის რეჟიმის „ორსახოვან იანუსს," სადაც ერთი გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი პარტია რეგულარულად ცვლიდა მეორე გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველ პარტიას ხელისუფლების სათავეში.

1885 წლის 15 ნოემბერს მადრიდის ელ პარდოს სასახლეში ალფონსო XII-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოიწვიეს ვიწრო შემადგენლობის თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ესპანეთის პოლიტიკური პარტიების ლიდერები, მინისტრები, გენერლები, სამეფო სახლის წარმომადგენლები. აქ დადებული ე. წ. „ელ პარდოს პაქტის" თანახმად, დედოფალ მარია ქრისტინას მშობიარობამდე (1836 წლის 17 მაისს დაიბადა სამეფო ტახტის მემკვიდრე, მომავალი მეფე ალფონსო XIII) ესპანეთის პარტიებმა დადეს „ღვთიური საზავო ხელშეკრულება", რომლის თანახმადაც კონსერვატორებმა ნებაყოფლობით გადასცეს ლიბერალებს სახელმწიფო ხელისუფლე-

ბის სადავეები. კანოვას დელ კასტილიოს რჩეკით ქვრივმა დედოფალმა საგასტას შესთავაზა ახალი მთავრობის ჩამოყალიბება.

სულ რესტავრაციის პირველი პერიოდის 24 წლის მანძილზე „ორპარტიული სისტემის“ არსებობის პერიოდში კანოვას დელ კასტილიოს მმართველობაზე მოდის დაახლოებით 14 წელიწადი (კანოვასი ოთხჯერ იყო პრემიერის პოსტზე: 1875-81, 1884-85, 1890-92, 1895-97), ხოლო საგასტას მმართველობაზე თითქმის 13 წელიწადი (საგასტაც ოთხჯერ ედგა სათავეში ესპანეთის მთავრობას: 1881-84, 1885-90, 1892-95 და 1897-99).

სწორედ კონსერვატორებისა და ლიბერალების მმართველობის წლებში (XIX საუკუნის 60-იან და 90-იან წლებში) ესპანეთის საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების ატმოსფერო მთლიანად მოიწამლა კორუპციისა და მოსყიდვის ბაცილებით. მეხვილგონივრულად აღნიშნავდა ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი მიგელ დე უნამუნო, რომ სწორედ მაშინ შეიგნეს პარტიებმა (მას მხედველობაში ჰქონდა კონსერვატიული და ლიბერალური პარტიები), რომ საჭიროა იცხოვრო და სხვასაც მისცე ცხოვრების საშუალება, ე. ი. ჯერ სამი წლის მანძილზე შენ თვით ძარცვო ქვეყანა, ხოლო შემდეგი სამი წლის მანძილზე ეს პრივილეგია დაუთმო მოწინააღმდეგეს.

კონსერვატორებმა და ლიბერალებმა არჩევნები ფაქტიურად გადააქციეს დიდ პოლიტიკურ მანევრებად, რომლებსაც თითქმის საჰხედრო მეთოდების მოშველიებით ატარებდა ხოლმე ერთი ან მეორე მმართველი პარტია.

კონსერვატიული და ლიბერალური პარტიების ლიდერები სრულებითაც არ ერიდებოდნენ არჩევნების ამკარა გაყალბებას და საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობას ჩვეულებრივ აკისრებდნენ ხოლმე ამ საქმის „სპეციალისტებს“, რომელთაც, როგორც წესი, ეკავათ ამა თუ იმ კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი.

დროთა განმავლობაში თანდათანობით გამომუშავდა წესი, ტრადიცია, რომლის თანასმად, კონგრესის (კორტესების ქვედა პალატა) 400 დეპუტატიდან დაახლოებით 300 მმართველ პარტიას ეკუთვნოდა; ოფიციალურ ოპოზიციაზე მოდიოდა დაახლოებით 70 მანდატი, ხოლო არაოფიციალური ოპოზიციის (ბურჟუაზიული რესპუბლიკელები, „კარლისტები“ და სხვ.) დეპუტატთა რაოდენობა 25—30-ს არ აღემატებოდა ჩვეულებრივ.

ესპანეთის გაბატონებული კლასები დაზღვეულნი იყვნენ ყოველგვარი რისკისაგან. ე. წ. „მაღალ საზოგადოებაში“ შემავალ თითქმის ყოველ ოჯახს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები როგორც

კონსერვატიულ, ისე ლიბერალურ პარტიაში, რაც ორივე მმართველ ბანაკში მტკიცედ ფეხის მოკიდების საშუალებას იძლეოდა.

ადგილებზე არჩევნების ჩატარება და მათზე კონტროლი დაკისრებული ჰქონდათ ე. წ. „კასიკებს“ [1], რომელთა როლშიც პროვინციებში გამოდიოდნენ მღვდლები, სხვადასხვა რანგის მოხელეები და სოფლის ბობოლები.

ამრიგად, ესპანეთი XIX საუკუნის 80—90-იან წლებში, ერთი შეხედვით, წარმოადგენდა სავსებით რესპექტაბელურ კონსტიტუციურ მონარქიას, რომელსაც ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, „საყოველთაო“ საარჩევნო კანონის საფუძველზე მოწვეული პარლამენტი (კორტესები), პასუხისმგებელი სამინისტროები და სხვა, მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ამით მოხერხებულად იყო შენიღბული ესპანეთის მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიის აშკარა დიქტატორული რეჟიმი, რომელსაც ადრევე შეურიგდა და შეეგუა როგორც მმართველი დინასტია, ისე კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სამღვდელოება და არმიის ოფიცერთა კორპუსი.

რაც შეეხება რესტავრაციის რეჟიმის ოპოზიციურ ბანაკს, ოპოზიციის მემარჯვენე ფრთას ე. წ. „კარლისტები“ შეადგენდნენ, რომლებიც, მეორე კარლისტურ ომში (1873-76) დამარცხების მიუხედავად, განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას როგორც საზღვარგარეთ, ისე საკუთრივ ესპანეთში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა უცხოეთს თავშეფარებული სამეფო ხელისუფლების მაძიებელი — დონ კარლოს მარია. კარლოს VII-ედ წოდებული. ეს უკანასკნელი მთელ თავის იმედებს ამყარებდა ბასკეთის და ნავარის უკმაყოფილო მოსახლეობაზე, რომელსაც რესტავრაციის წლებში ჩამოართვეს ძველი ავტონომიის („ფუეროს“) უფლებები.

ესპანეთის ორ გაბატონებულ კლასს შორის არსებული კომპრომისის პირობებში „კარლისტების“ მოძრაობა სასიკვდილოდ იყო გაწირული, თუმცა მისი აგონია დიდხანს გაგრძელდა.

საპარლამენტო ოპოზიციის მარცხენა ფრთას რესპუბლიკელები შეადგენდნენ, რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენდნენ მეხუთე რესპუბლიკის პერიოდის ოდესღაც ძლიერი და მრავალრიცხოვანი ბანაკის პოლიტიკურ ნამსხვრევებს. ისინი რამდენიმე პოლიტიკურ დაჯგუფებებად იყვნენ დაყოფილნი, რომლებიც ერთიერთმანეთს გამუდმებით ეჭიშპებოდნენ.

---

[1] „კასიკი“ — ამერიკული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც შემოიტანეს ესპანეთის სამხრეთ ამერიკული კოლონიებიდან, სადაც კასიკი ადგილობრივი ტომის ყოვლისშემძლე ბელადი იყო.

საპარლამენტო ოპოზიციაზე გაცილებით უფრო სერიოზული იყო პარლამენტის გარეშე არსებული ოპოზიცია, რომელიც ძირითადში ეყრდნობოდა მუშათა მოძრაობას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულისათვის ესპანეთის მუშათა მოძრაობამ მიიღო შედარებით ფართო და მრავალმხრივი ხასიათი. მაგრამ, წინა პერიოდის მსგავსად, ესპანეთის მშრომელთა მასების მოძრაობას ასუსტებდა მუდმივი ბრძოლა სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის.

სოციალისტების ძირითად სამოქმედო კერებს წარმოადგენდა მადრიდი და ჩრდილოეთ ესპანეთის ისეთი განვითარებული სამრეწველო რაიონები, როგორებიც იყო ასტურია, ბისკაია. განსაკუთრებით კი ბილბაოს რაიონი ბასკეთში; ანარქისტების ძირითადი დასაყრდენი ცენტრები კი მდებარეობდა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთში, ანდალუსიასა და კატალონიაში, სადაც მათ ციტადელს ბარსელონა წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 1871 წელს ცნობილმა ფრანგმა სოციალისტმა პოლ ლაფარგმა ჩამოაყალიბა პირველი სოციალისტური ორგანიზაციები ესპანეთში, რომელთა მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდგომში პირველი ინტერნაციონალის ისეთმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ სტამბის ამწყობი მუშა პაბლო იგლესიასი, ფრანსისკო მორა და ხოსე მესა, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ბაკუნიზმთან.

1879 წლისათვის ესპანეთში ჩამოყალიბდა სოციალისტების სამი დიდი ჯგუფი მადრიდში, ბარსელონასა და გვადალახარაში, რომლებიც იმავე წლის მაისში ფარულად გაერთიანდნენ და შექმნეს იატაკქვეშეთში „ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია".

ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე იდგა. თავის საპროგრამო დოკუმენტებში იგი აღიარებდა, რომ პარტიის მოღვაწეობის მიზანს წარმოადგენს მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა; ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო პოლიტიკურ თავისუფლებათა მოპოვებაზე, პროფესიული კავშირების შექმნაზე, გაფიცვების მოწყობაზე და სამუშაო დღის შემცირებაზე. მაგრამ ამავე დროს მის საპროგრამო დოკუმენტებში არ იყო მითითებული მუშათა კლასის ძალაუფლების ხელში ჩაგდების, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

1881 წელს საგანგებო მმართველობის პერიოდში ესპანეთის სო-

ციალისტური მუშათა პარტია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან. მას თავიდანვე მოუხდა შეუპოვარი ბრძოლების წარმოება ანარქისტებთან ესპანეთის მშრომელ მასებზე გავლენისათვის. ყველაზე მწვავე ხასიათი ამ ბრძოლამ მიიღო კატალონიაში, განსაკუთრებით ბარსელონაში.

1882 წლის აგვისტოში ბარსელონაში შედგა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პირველი ლეგალური ყრილობა, რომელმაც მიიღო პროგრამა და აირჩია ეროვნული კომიტეტი.

ბარსელონას ყრილობაზე მიღებული პროგრამის ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენდა, ჯერ ერთი, პოლიტიკური ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლა; მეორე, წარმოებისა და მიმოქცევის ყველა საშუალებათა განსაზოგადოება; მესამე, საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა ეკონომიური ფედერაციის შექმნის საფუძველზე, სადაც მუშებს ექნებოდათ მათი შრომის მთელი პროდუქციის მოხმარებისა და ზოგადი და სპეციალური უფასო სწავლებისა და განათლების გარანტია; მეოთხე, საზოგადოების ხარჯზე ავადმყოფთა და დავრდომილთა უზრუნველყოფა.

ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მბეჭდავ მუშათა ასოციაციის თავმჯდომარე პაბლო იგლესიასი (1850—1925), რომელიც ამ პოსტზე იმყოფებოდა სიკვდილამდე.

იგლესიასმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ესპანეთის მუშების პროფკავშირული ცენტრის „მშრომელთა საყოველთაო კავშირისა“ და გაზეთ „სოციალისტის“ დაარსების საქმეში. იგი დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ესპანეთის მშრომელებს შორის, რომლებიც მას ესპანელი სოციალისტების „ბაბუას“ უწოდებდნენ.

ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე ქ. ბილბაოში (1890) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კორტესების არჩევნებში რევოლარული მონაწილეობის მიღების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო საგასტას მიერ 1890 წელს გატარებულ საარჩევნო რეფორმასთან, რის მიხედვითაც ესპანეთის სრულასაკოვან მამაკაცებს ეძლეოდათ საყოველთაო-საარჩევნო ხმის მიცემის უფლება. ამით სოციალისტებს გაეხსნათ საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენების გზა. მაგრამ მიუხედავად მიღებული ხმების რაოდენობის განუხრელი ზრდისა (1891 წ. — 5000 ხმა, 1899 წ. — 23.000 ხმა) სოციალისტებმა XX საუკუნის დამდეგამდე ვერც ერთი დეპუტატის გაყვანა ვერ შეძლეს კორტესებში.

ესპანელმა სოციალისტებმა თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქ-

ციის პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას. 1888 წლის აგვისტოში ბარსელონაში შედგა პროფკავშირული ორგანიზაციების კონგრესი, სადაც ჩამოყალიბდა ესპანეთის „მშრომელთა საყოველთაო კავშირი". ეს უკანასკნელი შეიქმნა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ინიციატივით. ამის შესაბამისად ამ პროფკავშირულ გაერთიანებას სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტები, რაც იმის საშინდარი გახდა, რომ შემდგომში „მშრომელთა საყოველთაო კავშირი" გადაიქცა მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ცენტრად ესპანეთში.

„მშრომელთა საყოველთაო კავშირის" აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი გარსია კეხიდო (1856—1927).

„მშრომელთა საყოველთაო კავშირი" პირველ რიგში მიმართული ეფოდა ესპანეთის მუშათა კლასის შრომის პირობების გაუმჯობესებისაკენ. გარდა ამისა, მას სურდა მჭიდრო კავშირის დამყარება საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობასთან.

იმ უშუალო კონტაქტმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ესპანეთის სოციალისტურ მუშათა პარტიასა და „მშრომელთა საყოველთაო კავშირს" შორის, დიდი როლი შეასრულა 1890, 1892 და 1898 წლების გაფიცვების დროს ჩრდილოეთ ესპანეთის სამრეწველო რაიონებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1890 წლის საყოველთაო გაფიცვა ბილბაოს რაიონში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა მუშამ. მთავრობის მხრივ რეპრესიული ღონისძიებების მიუხედავად გაფიცული მუშების მოთხოვნათა დიდი ნაწილი მექარხნეთა მიერ შესრულებულ იქნა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაყვანილ იქნა 10 საათამდე. რაც იმ დროისათვის ესპანეთის მუშათა კლასის თვალსაჩინო მონაპოვარს წარმოადგენდა.

მაგრამ XIX საუკუნის დასასრულისათვის ესპანეთის „მშრომელთა საყოველთაო კავშირში" თავი იჩინა ოპორტუნისტულმა სენმა. „მშრომელთა საყოველთაო კავშირის" თავდაპირველი საბრძოლო სულისკვეთება თანდათანობით დავიწყებას მიეცა. მისი ლიდერების აზრით, მხოლოდ „კარგად ორგანიზებული გაფიცვების მოწყობა იყო მიზანშეწონილი". აქედან გამომდინარე, ისინი სხვადასხვა საბაბით თავს არიდებდნენ გაფიცვების ხელმძღვანელობას და სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავდნენ შემთანხმებლურ მოლაპარაკებათა ტაქტიკას. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ანარქო-სინდიკალიზმის ძალთა პოზიციების გაძლიერებას ესპანეთის მუშათა კლასის რიგებში.

ანარქისტულ იდეებს ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები ესპანეთის მშრომელთა შეგნებაში, ხოლო ამ იდეების მასაზრდოებელ ნიადაგს წარმოადგენდა ხელოსნური წარმოება, მრეწველობის განვითარების შედარებითი ნელი ტემპები, პროლეტარიატის გაფანტულობა და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ექსპლუატაციის კაპიტალისტური ფორმების გვერდით ნახევრადფეოდალური ფორმების არსებობა.

1881 წელს ესპანეთის სხვადასხვა ანარქისტულმა ორგანიზაციებმა შეკრეს კავშირი ბაკუნისტური „ალიანსის“ ნაშთებთან, რის საფუძველზეც ბარსელონაში დაარსდა „ესპანეთის ოლქის მშრომელთა ფედერაცია“, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა პირველი ინტერნაციონალის ბაკუნისტური ფრთის იდეურ მემკვიდრესა და საქმის გამგრძელებელს. მას სერიოზული გავლენა ჰქონდა არა მარტო მუშათა შორის, არამედ გლეხთა რიგებშიც.

80-იან წლებში ანარქისტული მოძრაობა ძალზე პოპულარული იყო ესპანეთის მუშებსა და გლეხებს შორის, ხოლო თავისი რევოლუციური აღტყინებისა და ენთუზიაზმის თვალსაზრისით განსხვავდებოდა სოციალისტური მოძრაობისაგან.

ესპანეთის გლეხურ მასაში ანარქისტებისა და ანარქისტული იდეების პოპულარობის ფაქტთან არის დაკავშირებული რომანტიკული საიდუმლოების ბურუსით მოცული „შავი ხელის“ ორგანიზაციის ისტორია. ესპანეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ვერსიის თანახმად, ვასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ანდალუსიაში, მურსიასა და ესტრემადურაში მოქმედებდა ფარული ანარქისტული საზოგადოება „შავი ხელის“ სახელწოდებით, რომლის დევიზიც იყო „მემამულეებზე შურისძიება, ღარიბთა დაცვა“.

მაგრამ თვით ესპანელი ანარქისტების ვერსიის თანახმად, არავითარი „შავი ხელის“ ტერორისტული ორგანიზაცია არ არსებობდა სინამდვილეში. იგი გამოგონილი იყო ესპანეთის ჟანდარმერიის მიერ, რომელსაც ამით სურდა თავი გაემართლებინა იმ აგრარული მოძრაობების მხეცური ჩახშობისათვის, რომელთაც ხშირად ჰქონდათ ადგილი სამხრეთ ესპანეთის სოფლებში. 1883 წლისათვის დაპატიმრეს „ესპანეთის ოლქის მშრომელთა ფედერაციის“ ასამდე წევრი, რომელთაგანაც 8 სიკვდილით იქნა დასჯილი, მათ რიცხვში ესპანეთის სოფლის მუშების კავშირის თავმჯდომარე ფ. კორბაჩო.

1888 წელს ქ. ვალენსიაში მოწვეულ კონგრესზე მოხდა განხეთქილება და „ესპანეთის ოლქის მშრომელთა ფედერაცია“ ფაქტიუ-

რად დაიშალა ცალკეულ ანარქისტულ ორგანიზაციებად და პროფკავშირულ ჯგუფებად, რომლებიც არსებითად უარყოფდნენ პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. იმავე 1888 წ. ანარქისტთა უკიდურესი ფრთის წარმომადგენლებმა კატალონიის ანარქისტების ინიციატივით ქ. ბარსელონაში დააარსეს პროფკავშირული გაერთიანების ახალი ცენტრი—„ერთიანობისა და სოლიდარობის პაქტი“.

1890 წლის 1 მაისს ბარსელონაში ადგილი ჰქონდა მუშების საყოველთაო გაფიცვას, რაც ორ დღეს გაგრძელდა. 1891 წლის 1 მაისს კი საყოველთაო გაფიცვის ალი მოედო, გარდა ბარსელონასი, კატალონიის სხვა ქალაქებსა და ესპანეთის სხვა პროვინციების სამრეწველო ცენტრებს. ბარსელონაში საყოველთაო გაფიცვა გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებაში, ქუჩის ბრძოლებში, სადაც რამდენიმე მუშა იქნა მოკლული.

1892 წელს გლეხთა აჯანყებამ იფეთქა ანდალუსიაში. მოჯამაგირეთა შეიარაღებული რაზმები შეძახილებით „სიკვდილი ბურჟუებს“ თავს დაესხნენ ქალაქ ხერეს-დე-ლა-ფრონტერას (60 ათასი მცხოვრები). ეს გამოსვლა მარცხით დამთავრდა. აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორეს ანგარიში; აჯანყების 4 მოთავე დაიღუპა ეშაფოტზე, ხოლო აჯანყებულთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს.

80-იან და 90-იან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ანარქისტების ტერორისტული მოძრაობა, რომლის ძირითადი კერა კატალონია იყო, პირველ რიგში კი კატალონიის ცენტრი ბარსელონა. 1889 წელს ანარქისტებმა აფეთქება მოაწყვეს მადრიდში, მეფის სასახლეში. თითქმის იმავე დროს ბარსელონაში ანარქისტებმა მოკლეს მუშებისათვის ერთი ყველაზე მეტად საძულველი მეფაბრიკე. 1893-96 წწ. ანარქისტთა ტერორისტული თავდასხმის ტალღამ გადაუარა კატალონიასა და ესპანეთის სხვა რაიონებს. ამ მრავალრიცხოვან ტერორისტულ აქტებს შორის ზოგიერთი გაოცებას იწვევს თაკისი უგუნურობითა და უაზრობით.

ასე, ერთ-ერთმა კატალონელმა ანარქისტმა 1894 წლის ნოემბერში ბომბი შეაგდო ბარსელონას საოპერო თეატრის შენობაში; მეორე ანარქისტმა კი 1896 წლის ივნისში ბომბი ეკროლა ქუჩაში მიმავალ რელიგიურ პროცესიას და ა. შ.

კანოვას დელ კასტილიოს მთავრობამ, გამოიყენა რა საბაბად ანარქისტთა ტერორისტული საქმიანობა, სასტიკი რეპრესიები დაატეხა თავს ესპანეთის მშრომელებს, მუშებს, გლეხებს, სოციალისტებსა და პროფკავშირული მოძრაობის აქტივისტებს. ესპანეთის საპყრობილეები აივსო არა მარტო დაპატიმრებული ანარქისტი ტერორისტებით, არამედ სოციალისტებითა და პარლამენტის გარეშე

ოპოზიციის ბანაკის სხვა მრავალრიცხოვან მიმართულებათა წარმომადგენლებით.

მართალია, თვით „თეთრი ტერორისა“ და რეპრესიათა სულის-ჩამდგმელი, ესპანეთის პრემიერ-მინისტრი კანოვას დელ კასტილიო 1897 წლის 8 აგვისტოს სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი ანარქისტის ანქიოლილოს მიერ, მაგრამ ამით არსებითად არაფერი შეცვლილა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონსერვატორ კანოვას დელ კასტილიოს „ღირსეულმა მენკვიდრემ“ ესპანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ლიბერალმა საგასტამ იმდაგვარივე სისასტიკით განაგრძო შეუბრალებელი ბრძოლა რევოლუციური ბანაკის ძალების წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლების გამწვაკებასთან ერთად XIX საუკუნის დასასრულისათვის ესპანეთში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად გადაიქცა ეროვნული საკითხი. ამ პერიოდისათვის ძირითადად დასრულდა კატალონელების, ბასკებისა და გალისიელების ერებად ჩამოყალიბების პროცესი, რასთან დაკავშირებითაც ეს სამი პროვინცია გადაიქცა ეროვნული მოძრაობის ძირითად კერად. სწორედ კატალონიასა და ბასკეთში ჰქონდა ადგილი ყველაზე მწვავე ბრძოლებს. ეს კი აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ კატალონია და ბასკეთი იყო იმდროინდელი ესპანეთის ყველაზე მეტად განვითარებული რაიონები.

1892 წელს კატალონიის ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ქ. მანრესაში, სადაც გამოიმუშავეს სამოქმედო პროგრამა, რომელიც ცნობილია „მანრესას საფუძვლების“ სახელით. კატალონიის ბურჟუაზიამ, რომელიც ადრევე გამოირჩეოდა თავისი სეპარატისტული ტენდენციებით, პირველად აქ, მანრესაში, საჯაროდ დააყენა საკითხი კატალონიის ავტონომიის შესახებ. მან მოითხოვა საკუთარი ავტონომიური კორტესების მოწვევა ბარსელონაში, რომელიც, თავის მხრივ, აღჭურვილი იქნებოდა საკანონმდებლო ძალაუფლებით საგადასახადო, სავაჭრო და საბაჟო ურთიერთობების, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, განათლებისა და სხვა სფეროებში.

ბასკეთის მსხვილი ეროვნული ბურჟუაზიის ინიციატივით 1894 წელს ჩამოყალიბდა ბასკთა ეროვნული პარტია, რომლის მეშვეობითაც მან ბასკეთის გლეხობის დიდი ნაწილი და მუშების გარკვეული ჯგუფი თავის გავლენას დაუქვემდებარა.

კატალონიისა და ბასკეთის მაგალითისამებრ 1897 წელს გალისიაშიც შეიქმნა ბურჟუაზიული ნაციონალისტების პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია — „გალისიის ლიგა“.

მიუხედავად დრამატიზმით აღსავსე საბრძოლო ეპიზოდებისა, არსებული ოპოზიციის ბრძოლას ძირითადად არ მოუხდენია რაიმე არსებითი ხასიათის გავლენა ესპანეთის სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ მოვლენათა საერთო განვითარებაზე XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში; ხოლო ამის მიზეზი შემდეგშია: ესპანეთის მუშათა კლასი თავისი შემადგენლობით ჯერ კიდევ შედარებით მცირერიცხოვანი იყო, სუსტად ორგანიზებული; მოუგვარებელი იყო აგრეთვე მუშათა მოძრაობის პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი; გაუთავებელი ბრძოლა სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის ხელს უშლიდა ესპანეთის მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის კონსოლიდაციას; ანარქისტების თეორია და პრაქტიკული საქმიანობა, განსაკუთრებით კი მათი ტერორისტული ტაქტიკა ქალაქად და ექსცესები სოფლად მიუღებელი და მავნე იყო ესპანეთის მუშათა კლასისა და გლეხობისათვის; გლეხთა გამოსვლები კი მეტნაწილად ატარებდნენ სტიქიურ, ლოკალურ და პოლიტიკურად მოუმწიფებელ ხასიათს.

სოციალ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩენილ, ნახევრადფეოდალურ არტახებში მოქცეული, დასუსტებული ესპანეთი XIX საუკუნის მიწურულისათვის პოლიტიკური კრახის წინაშე აღმოჩნდა. გაბატონებულმა კლასებმა — რესტავრაციის რეჟიმის მესვეურებმა, რომელთაც ჯიუტად არ სურდათ ანგარიში გაეწიათ დროის ფაქტორისათვის, ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს. პირველივე სერიოზული გამოცდა ესპანეთ-აშშ-ის 1898 წლის ომის სახით საბედისწერო აღმოჩნდა დაკნინებული ესპანეთისათვის.

ესპანეთის კოლონიები და ესპანეთ-ამერიკის შეერთებული შტატების 1898 წლის ომი

ესპანეთის რესტავრაციის პერიოდის მონარქიის ეკონომიური დაძაბუნება და პოლიტიკური ჩამორჩენილობა ყველაზე ნათლად გამომჟღავნდა მის კოლონიურ პოლიტიკაში.

XIX საუკუნის დასასრულისათვის ესპანეთს შემორჩა მხოლოდ „ნაშთი ძველი დიდებისა“, თავისი ოდესღაც ვრცელი კოლონიური იმპერიის ნამსხვრევები, ზღვის გაღმა მდებარე კოლონიები— კუბა და პუერტო-რიკო ატლანტის ოკეანისა და კარიბის ზღვის აუზში, ფილიპინები, კაროლინისა და მარიანის კუნძულები წყნარ ოკეანეში.

ე. წ. „ძველ“ კოლონიურ სახელმწიფოებს შორის სწორედ ესპანეთი იყო ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაჩაჩანაკებული მეპატრონე, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტად უქირდა თავისი კოლონიური სამფლობელოების ძველი მეთოდებით „მოვლა-პატრონობა“.

ესპანეთი კვლავინდებურად ეწეოდა თავისი კოლონიების მშრომელი მოსახლეობის სასტიკ ექსპლუატაციას, რომელიც ძველებურად გმინავდა მძიმე გადასახადების უღელქვეშ.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულიდან ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კოლონიაში — კუბაზე ადგილი ჰქონდა თითქმის განუწყვეტლივ აშკარა და ფარულ გამოსვლებს მეტროპოლიის ხელისუფალთა წინააღმდეგ. 1868-78 წლებში კუბა გაეხვია ხანგრძლივი და შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში, რომელსაც კუბის ეროვნული ბურჟუაზია ჩაუდგა სათავეში. 1895 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ რაც განთავისუფლებულ იქნა კუნძულის აღმოსავლეთი და ცენტრალური რაიონები, აჯანყებულებმა („ინსურგენტებმა“) მოიწვიეს დამფუძნებელი ასამბლეა, რომელმაც გამოაქვეყნა კუბის დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკად გამოცხადების აქტები.

დიდმპყრობელური შოვინისტური ტრადიციებით და ვიწრო კლასობრივი ინტერესებით დაბრმავებულმა კანოვას დელ კასტილიომ, საგასტამ და ესპანეთის კონსერვატიული და ლიბერალური პარტიების სხვა ლიდერებმა კუბის საკითხში გამოიჩინეს იგივე პოლიტიკური სიბეცე. რომელსაც იჩენენ ხოლმე, ჩვეულებრივ, უკვე თითქმის გახრწნილი სახელმწიფო მანქანის მძღოლები.

ესპანეთის თითქმის 100 ათასიანი არმია 1868 წლიდან მოყოლებული მთელი 10 წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლების მიუხედავად ფაქტიურად უძლური აღმოჩნდა, რათა ჩაექრო კუბის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს კოცონი.

ამიტომ გენერალი მარტინეს კამპოსი, რომელიც 1877 წლის ოქტომბერში დანიშნეს ესპანეთის გენერალ-გუბერნატორად კუბაზე, მიხვდა რა, რომ ძალით აჯანყების ჩაქრობა შეუძლებელი იყო, შეეცადა რეპრესიათა „მათრახი“ რეფორმების „ტკბილი კვერით“ შეეცვალა. მაგრამ მან ამით დაიმსახურა კანოვას დელ კასტილიოს გულისწყრომა და, გარდა ამისა, წააწყდა ესპანეთის გაბატონებული კლასების მხრივ გააფთრებულ წინააღმდეგობას. მეტროპოლიის მსხვილ ექსპორტიორებსა და გემების მეპატრონეებს, მემამულეებსა და მრეწველ-კაპიტალისტებს არ სურდათ თავიანთ პრივილეგიებზე ხელის აღება კოლონიურ ბაზრებზე, ხოლო კუბის სახელმწიფო

სესხის ობლიგაციების ესპანელი მფლობელები, რომელთა შემოსავლის გარანტიასაც კუბის საბაჟოები წარმოადგენდნენ, წინააღმდეგნი იყვნენ რაიმე სიახლეთა დანერგვისა და რეფორმებისა კოლონიური მმართველობის დარგში.

1896 წლის იანვარში შერისხული გენერალი მარტინეს კამპოსი შეცვალეს გენერალ ვეილერით, რომელმაც ადრევე გაითქვა სახელი როგორც კატალონელი მუშების სისხლიანმა ჯალათმა. ვეილერმა კუბაზე ჩამოსვლისთანავე გამოაქვეყნა ბრძანებულება ადგილობრივი მოსახლეობის „კონცენტრაციის" შესახებ განსაკუთრებული ტიპის ბანაკებში; ამის შედეგად მოკლე დროში ამოწყდა კუბის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი.

1896 წლის ზაფხულში დაიწყო აჯანყება ფილიპინის კუნძულებზე. რაც სწრაფად მოედო მთელ არქიპელაგს. ესპანეთის ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა ბლანკომ დაინახა რა, რომ რეპრესიული ღონისძიებებით ვერაფერს გააწყობდა აჯანყებულთა წინააღმდეგ, კანოვას დელ კასტილიოს რეფორმების გატარება მოსთხოვა. ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა სასწრაფოდ მოხსნა იგი.

სისხლისმღვრელმა ომმა კუბასა და ფილიპინებზე სერიოზული ზარალი მიაყენა თვით ესპანეთის ეკონომიკას. ესპანური სამრეწველო პროდუქციის ის დიდი ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, იგზავნებოდა კოლონიური სამფლობელოების ბაზრებზე, გაუსაღებელი დარჩა. ამან კი გამოიწვია მთელი ესპანეთის, პირველ რიგში კი კატალონიის ფაბრიკა-ქარხნების დახურვა ანდა სანახევროდ შეჩერება. გარდა ამისა, ომმა კოლონიებში ესპანეთის დიდძალი ფინანსური სახსრები და ცოცხალი ძალა შთანთქა.

ყოველივე ამან კი გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება ესპანეთის მშრომელ მასებში, რამაც, თავის მხრივ, აიძულა ესპანეთის ლიბერალური კაბინეტი გარკვეულ დათმობებზე წასვლით გამოეძებნა შექმნილი სავალალო მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზები. სწორედ ამ მიზნით ესპანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა საგასტამ ჯერ გაიწვია კუბიდან გენერალი ვეილერი, ხოლო 1897 წლის 25 ნოემბერს ესპანეთის კორტესებში გაატარა განსაკუთრებული დეკრეტი კუბისა და პუერტო-რიკოსათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. მაგრამ ამ მოგვიანებული დეკრეტებისა და ახალი სტატუტების მინიჭებით უკვე შეუძლებელი შეიქნა კოლონიური სამფლობელოების შენარჩუნება.

აშშ-ის იმპერიალისტურმა მმართველმა წრეებმა კარგად ისარგებლეს კუბასა და ფილიპინებზე დატრიალებული სისხლიანი ორგიებით და 1896 წლის მარტში კონგრესში გაატარეს რეზოლუცია

კუბის საკითხში „გადამჭრელი ზომების“ მიღების თაობაზე, რაშიც ინტერვენციაც კი იყო ნაგულისხმევი; იმავე წლის მაისში აშშ-ის მთავრობამ გადადგა ახალი ნაბიჯი და ესპანეთს „შესთავაზა“ თავისი „შუამავლობა“ კუბის საკითხის გადაჭრაში. ამ წინადადების უარყოფის შემდეგ ამერიკის პრესაში დაიწყო მკაცრი თავდასხმები კუბის ჯალათ-ესპანელ გენერალ ვეილერსა და მადრიდის სამეფო კარის სხვა მესვეურებზე.

1897 წლის სექტემბერში აშშ-ის მთავრობამ ხელმეორედ „შესთავაზა“ ესპანეთს „შუამავლობა“ კუბის საქმეთა მოგვარებაში, სადაც ამერიკულ კაპიტალდაბანდებათა საერთო ჯამმა უკვე 50 მილიონ დოლარს მიაღწია.

კანოვას დელ კასტილიოს დაღუპვის შემდეგ ესპანეთის ხელისუფლების სათავეში მყოფი საგასტა მზად იყო წასულიყო ყოველგვარ დათმობებზე, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი ომი აშშ-თან.

მაგრამ აშშ-ის იმპერიალიზმს სურდა ომი და ეძებდა მხოლოდ რაიმე საბაბს მძარცველური ომის დაწყებისათვის. ხოლო მას შემდეგ, რაც ესპანეთის მთავრობამ უარყო აშშ-ის იმპერიალისტების თავხედური წინადადება 300 მილიონ დოლარად კუბის მისთვის მიყიდვის შესახებ, ომი გარდუვალი შეიქნა.

1898 წლის 14 თებერვალს ესპანეთის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნდა ესპანეთის მთავრობისათვის დამამცირებელი განცხადება საგასტას ხელმოწერით, სადაც იგი ბოდიშებს იხდიდა აშშ-ის მთავრობის წინაშე. მაგრამ ერთი დღის შემდეგ, 1895 წლის 15 თებერვალს ღამით, ჰავანის ნავსადგურში ღუზაზე მდგარ აშშ-ის კრეისერ „მენზე“ მოხდა მოულოდნელი აფეთქება, რის შედეგადაც დაიღუპა 200-მდე ამერიკელი მეზღვაური. ამ საზღვაო კატასტროფის ზუსტი მიზეზი დღემდე საიდუმლოებითაა მოცული, თუმც ერთი რამ ნათელია, რომ ინციდენტი ძალზე დროული და მოხერხებული საბაბი აღმოჩნდა აშშ-ის მმართველი წრეების ხელში იმპერიალისტური ომის გაჩაღებისათვის.

კუბაზე აშშ-ის მთავრობის მიერ სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი სპეციალური კომისია კრეისერ „მენის“ დაღუპვის მიზეზთა გამოსარკვევად, რომელმაც ბუნებრივია მთელი პასუხისმგებლობა ესპანეთს დააკისრა. ამას დაერთო ისიც, რომ 1898 წლის მარტში აშშ-ის კონგრესმა „საომარი მიზნებისათვის“ გამოყო ახალი კრედიტები 50 მილიონი დოლარის რაოდენობით. 20 მარტს აშშ-ის მთავრობამ ესპანეთს ულტიმატურ ფორმებში მოსთხოვა დაზავება აჯანყებულ კუბელებთან არა უგვიანეს 15 აპრილისა; რამდენიმე დღის შემდეგ

კი აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დეიმ ახალი ნოტა გაუგზავნა ესპანეთის მთავრობას, სადაც იგი მოითხოვდა აშშ-ის პრეზიდენტის მაკ-კინლის მედიატორად დანიშვნას, რომელსაც ფაქტიურად უნდა გადაეწყვიტა „ესპანეთ-კუბის დავა“.

საპასუხოდ ესპანეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადება კრეისერ „მენის“ ინციდენტის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში გადაცემის შესახებ. ამას მოჰყვა ჯერ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა აშშ-სა და ესპანეთს შორის (1898 წლის 21 აპრილი), შემდეგ კი ომი (რომელიც გამოუცხადა ესპანეთს აშშ-მა 1898 წლის 25 აპრილს).

აშშ-ესპანეთის ომი გაგრძელდა სულ 110 დღე და დასრულდა ესპანეთის სამეფოს სრული მარცხით.

1898 წლის 1 მაისს მანილის ყურეში (ფილიპინის კუნძულები) აშშ-ის წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გაანადგურა ესპანეთის ესკადრა. 1898 წლის აგვისტოში კი ამერიკის ჯარებმა, ისარგებლეს რა ფილიპინის კუნძულებზე მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიესპანური მოძრაობის განახლებით. შეძლეს ქ. მანილას დაკავება და ფილიპინის მთელი არქიპელაგის ოკუპაცია.

1898 წლის 3 ივლისს აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტმა შეძლო სანტ-იაგოს ყურეში, კუბის ტერიტორიულ წყლებში, ესპანეთის მეორე ესკადრის განადგურება, რასაც მოჰყვა ქ. სანტ-იაგოს დაცემა და მთელი კუბის ოკუპაცია. შემდეგში კი ამერიკელებმა უბრძოლველად მიითვისეს ესპანეთის კოლონია პუერტო-რიკო.

1898 წლის 12 აგვისტოს დამარცხებულ ესპანეთსა და აშშ-ს შორის ხელმოწერილ იქნა პრელიმინარული (წინასწარი) საზავო ხელშეკრულება, ხოლო იმავე წლის 10 დეკემბერს პარიზში დაიდო ზავი აშშ-სა და ესპანეთს შორის. ამ ზავის თანახმად, ესპანეთი აშშ-ს „უთმობდა“ მთელ თავის უფლებებს კუბაზე, პუერტო-რიკოსა და ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე; ხოლო, რაც შეეხება ფილიპინის კუნძულებსა და კუნძულ გუამს, დამარცხებული ესპანეთი იძულებული იყო ეს თავის „ზღვისგაღმა“ კოლონიური საკუთრებანი „მიეყიდა“ 20 მილიონ დოლარად გამარჯვებული აშშ-თვის.

დასასრულ, რადგანაც ესპანეთის დაუძლურებულ მონარქიას უკვე აღარ გააჩნდა საკმარისი ძალები თავისი „ზღვისგაღმა კოლონიების მოვლა-პატრონობისა,“ იგი 1899 წლის თებერვალში კვლავ იძულებული ხდება „გაჰყიდოს“ თავისი უკანასკნელი კოლონიური საკუთრებანი წყნარი ოკეანის აუზში; ამჯერად კაროლინისა და მარიანის კუნძულები „შეიძინა“ იმპერიალისტურმა გერმანიამ.

1898 წელს ნახევრადფეოდალურმა, ჩამორჩენილმა, დაკნინებულმა ესპანეთის მონარქიამ სასტიკი დამარცხება განიცადა, რაც საერთოდ „98 წლის ეროვნული კატასტროფის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ესპანეთის გაბატონებული კლასების მმართველი წრეების წარმომადგენლები შეეცადნენ თავიანთი დანაშაულებრივი პასუხისმგებლობის მიჩქმალვას და, შესაბამისად, 1898 წლის სამხედრო კატასტროფაში მთელი ესპანელი ერის დადანაშაულებას.

სინამდვილეში კი, ლენინისეული განსაზღვრით, იმპერიალიზმის ეპოქის ამ პირველ ომში ერთიმეორეს შეეჯახა ორი დამპყრობელი სახელმწიფო — აშშ და ესპანეთი, სადაც როგორც ერთმა, ისე მეორემ ნათლად გამოააშკარავა თავისი რეაქციული ბუნება.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა 1876-90 წლებში. მეორე ინტერნაციონალი

მუშათა მოძრაობის ძალების ზრდა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

საუკუნის უკანასკნელი მესამედის საერთაშორისო მუშათა და რევოლუციური მოძრაობა მთელი რიგი ორიგინალური ნიშნებით ხასიათდება. ამ წლებში მან ახალი ისტორიული მიჯნები დაიპყრო და მორიგი წარმატებები მოიპოვა როგორც ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დარგში, ისე იდეოლოგიურ სფეროში. მარქსიზმმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა წვრილბურჟუაზიულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობებზე და მუშათა კლასის მებრძოლი, რევოლუციური იდეოლოგია გახდა. ჩამოყალიბდა ეროვნული მუშათა პარტიები, განმტკიცდა და გაძლიერდა კლასობრივი პროფესიული, კოოპერაციული კულტურულ-საგანმანათლებლო და სასპორტო ორგანიზაციები. გაფართოვდა მუშათა მოძრაობის გეოგრაფიული არე. იგი გაშორდა ევროპის ფარგლებს და აზიაში, ამერიკასა და ავსტრალიაშიც მოიკიდა ფეხი.

ახასიათებდა რა პარიზის კომუნის მომდევნო პერიოდის მუშათა მოძრაობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „მეორე პერიოდი (1872—1904) პირველისაგან განსხვავდება „მშვიდობიანი“ ხასიათით, აღარ არის რევოლუციები, დასავლეთში მოთავდა ბურჟუაზიული რევოლუციები, აღმოსავლეთი საამისოდ ჯერ არ მომწიფებულა.

დასავლეთი შედის მრავალ გარდაქმნათა ეპოქისათვის „მშვიდობიანი“ მზადების ხანაში. ყველგან ყალიბდება თავისი საფუძვლით პროლეტარული სოციალისტური პარტიები, რომლებიც სწავლობენ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გამოყენებას, თავიანთი ყოველდღიური პრესის, თავიანთი საგანმანათლებლო დაწესებულებების, თავიანთი პროფესიული კავშირების, თავიანთი კოოპერატივების შექმნას. მარქსის მოძღვრება სრულ გამარჯვებას აღწევს და ფ ა რ-

თ ო ვ დ ე ბ ა. ნელა, მაგრამ განუხრელად მიდის წინ პროლეტარიატის ძალების შერჩევისა და შეგროვების, მომავალი ბრძოლებისათვის მისი მომზადების პროცესი“ [1].

ეროვნულმა მუშათა მოძრაობამ შედარებით მოკლე დროში მოიშუშა პარიზის კომუნის დაღუპვით და მომდევნო ევროპული რეაქციით მიყენებული მძიმე ჭრილობები. დროებითი დეპრესია და იდეური დაბნეულობა ახალმა აღმავლობამ შეცვალა. ისტორიამ მშვარედ დასცინა ტიერის ტიპის რეაქციონერ კაცუნებს, რომლებიც დაიმედებული იყვნენ, რომ სოციალიზმის ხსენება ღიდი ხნით ამოიშლებოდა მუშათა შეგნებიდან. ათიოდე წელიც არ გასულა კომუნის დამარცხებიდან, რომ გამოღვიძებულმა მუშათა მოძრაობამ კვლავ აგრძნობინა თავისი ძალა გაბატონებულ კლასებსა და მათი ინტერესების დამცველ მთავრობებს. კომუნართა ახალშობამ საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში ისევ სოციალიზმისათვის ბრძოლა დააწერა თავის საბრძოლო დროშას. ჩიკაგოს 1886 წლის ამბები, მასობრივი საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში, მოროზოვის მუშათა 1885 წლის გაფიცვა რუსეთში და სხვ., ამის ნათელი ილუსტრაცია იყო.

თვითონ ისტორიამ დააყენა დღის წესრიგში მუშათა მოძრაობის შედარებით ნელი, თანდათანობითი განვითარება, მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადება, იდეურად მომწიფება და ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განმტკიცება. მარქსმა და ენგელსმა, რომლებიც მარქსის გარდაცვალებამდე ერთობლივად სათავეში ედგნენ საერთაშორისო მოძრაობას, უდიდესი ძალა და ენერგია მოანდომეს ამ მოძრაობის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული სიწმინდის დაცვას. მათ, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „სწორად გაითვალისწინეს მომენტი, შეიგნეს საერთაშორისო სიტუაცია, შეიგნეს სოციალური რევოლუციის დასაწყისისადმი ნ ე ლ ი მიდგომის ამოცანები“ [2] და შესატყვისი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები დაუსახეს მუშათა კლასს, ასწავლეს ევროპის ქვეყნების სოციალისტებს ბურჟუაზიული პარლამენტების ტრიბუნისა და „საერთო-დემოკრატიულ თავისუფლებათა“ გამოყენება პროლეტარიატის კლასობრივი მიზნებისათვის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის იდეურ-პოლიტიკურ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი, თხზ., ტ. 18, გვ. 707.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში, თხზ. ტ. 24, გვ. 85.

ხელმძღვანელობასთან ერთად მარქსი და ენგელსი განაგრძობდნენ ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას. საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისა და ენგელსის წინათ დაწერილი ნაშრომების ხელახალ გამოცემასა და თარგმნას სხვადასხვა ევროპულ ენებზე, მარქსის „კაპიტალის“ მეორე და მესამე ტომების წინასწარი რედაქციის დამთავრებას და მარქსიზმის ისეთი ცნობილი ნაშრომების დაწერას, როგორიც იყო მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკა“ (რომელიც გამოიცა მარქსის გარდაცვალების შემდეგ 1891 წელს) და ენგელსის „ანტი-დიურინგი“.

1883 წელს მარქსი გარდაიცვალა და მარქსიზმის დაცვა ყველა ჯურის ფალსიფიკატორებისაგან, მარქსისტული თეორიის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა მარტო ენგელსს დაეწვა ტვირთად.

მარქსისა და ენგელსის დამსახურება იყო, რომ მარქსიზმმა გადამწყვეტი დამარცხება აგემა მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში ყველა ჯურის წვრილბურჟუაზიულ და „მემარცხენე“ მიმდინარეობებს, ნიღაბი ჩამოხსნა პრუდონიზმსა და ანარქიზმს. მარქსიზმი მუშათა კლასის გაბატონებული მოძღვრება გახდა.

მუშათა ერთიანული პარტიების შექმნა ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებში

მარქსიზმის გამარჯვება მუშათა მოძრაობაში მოასწავებდა მეცნიერული სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთებას, რამაც მოამზადა ნიადაგი მასობრივი ეროვნული სოციალისტური (მუშათა) პარტიების აღმოცენებისათვის. პირველი ასეთი პარტია შეიქმნა 1875 წელს გერმანიაში გოთას ყრილობაზე აიზენახელებისა და ლასალიანელების გაერთიანების შედეგად. 1878 წელს ბისმარკის ინიციატივით რაიხსტაგის მიერ მიღებულმა „განსაკუთრებულმა კანონმა“ სოციალისტების წინააღმდეგ, გერმანიის ხელისუფლების პოლიციურმა ტერორმა ხელი ვერ შეუშალა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ქცეულიყო მასობრივ პარტიად, გერმანიის მუშათა კლასის მებრძოლ ავანგარდად. ამ დროისათვის ხდება ეროვნული და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ცენტრის საფრანგეთიდან გერმანიაში გადანაცვლება. ამ საპატიო მისიას იგი XX საუკუნის დამდეგამდე ინარჩუნებდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ავგუსტ ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი ედგნენ სათავეში, ევროპის სხვა ქვეყნებში სოციალისტებისათვის მაგა-

ლითსა და ნიმუშს წარმოადგენდა. 1871 წელს შეიქმნა და 1876 წელს ხელახლა აღსდგა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, 1876 წელს — ამერიკის მუშათა პარტია; 1879 წელს მარსელის ყრილობაზე ჟიულ გედისა და პოლ ლაფარგის ხელმძღვანელობით აღმოცენდა საფრანგეთის მუშათა პარტია, 1882 წელს — იტალიის მუშათა პარტია; 1883 წელს პლეხანოვის ხელმძღვანელობით ჟენევაში შეიქმნა „შრომის განთავისუფლების ჯგუფი", 1884 წელს — ინგლისის სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია; 1885 წელს — ბელგიის მუშათა პარტია, 1887 წელს — ნორვეგიის მუშათა პარტია; ამავე პერიოდში აღმოცენდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიები ავსტრიაში, შვეიცარიაში, შვეიცარიასა და ჰოლანდიაში.

ბრძოლა II ინტერნაციონალის შექმნისათვის

მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის იდეოლოგიურმა გაბატონებამ, ევროპის ქვეყნების უმეტესობასა და აშშ-ში მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიების — სოციალისტური პარტიების შექმნამ, სხვადასხვა ქვეყნის მუშათა რევოლუციური აქტივობის გაძლიერებამ და მათ შორის ინტერნაციონალური სულისკვეთების გაღრმავებამ შექმნა წანამძღვრები მუშათა ახალი საერთაშორისო გაერთიანების — II ინტერნაციონალის აღმოცენებისათვის. ასეთი გაერთიანების არარსებობა უკვე სერიოზული დაბრკოლება იყო. იგი ხელს უშლიდა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასისა და სოციალისტური პარტიების კლასობრივ ინტერესთა ერთობის შემდგომ გაღრმავებას.

მუშათა ახალი საერთაშორისო გაერთიანების შექმნის ინიციატივა ერთდროულად ეკუთვნოდათ როგორც მარქსიზმის მომხრეებს, ისე მის მოწინააღმდეგეებს — ფრანგ პოსიბილისტებს, ანარქისტებს და ინგლისის ტრედიუნიონების წარმომადგენლებს. ახალი ინტერნაციონალის დაარსების მოსამზადებელი კონფერენციებიდან აღსანიშნავია გენტისა — 1877 წელს, ლონდონისა და ხურისა — 1881 წელს, პარიზისა — 1883-86 წლებში და ლონდონისა — 1888 წელს. ხურისა და გენტის კონფერენციების გამოკლებით, მოწვევის ინიციატორები იყვნენ ანარქისტები, ფრანგი პოსიბილისტები და ინგლისის ტრედიუნიონების ხელმძღვანელები. მარქსიზმის მოწინააღმდეგეები ენერგიას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ სათავეში ჩასდგომოდნენ ახალი ინტერნაციონალის შექმნას, გამხდარიყვნენ მისი მესაჭენი და გამოეყენებინათ იგი თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის მუშათა მოძრაობაში.

მაგრამ მარქსისტებს არ ეძინათ, მათ დიდ საორგანიზაციო-მასობრივ და საგიტაციო-საპროგრამო მუშაობას ამ მიმართულებით უშუალოდ ფრიდრიხ ენგელსი ედგა სათავეში. მას საჭიროდ მიაჩნდა ისეთი ახალი ინტერნაციონალის შექმნა, რომელიც აგებული იქნებოდა მებრძოლ რევოლუციურ ბაზაზე და განავითარებდა პირველი, ჭეშმარიტად კომუნისტური ინტერნაციონალის რევოლუციურ ტრადიციებს. ენგელსმა განზე გადადო დროებით სხვა არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი საქმეები და მუშათა ახალი საერთაშორისო განვითარების შექმნის მოსამზადებელ საქმიანობას დაუთმო თავისი დროის დიდი ნაწილი. მან საჯაროდ ამხილა ფრანგი პოსიბილისტების ინტრიგები, ენერგიულად მოუწოდა ფრანგ და გერმანელ მარქსისტ სოციალისტებს არ დაეთმოთ მოწინააღმდეგეებისათვის და საკუთარ ხელში აეღოთ ახალი ინტერნაციონალის შექმნის საქმე. ვ. ი. ლენინის თქმით, „ენგელსი (მაშინ ის 68 წლისა იყო) ჭაბუკივით ებმება ბრძოლაში. მთელი რიგი წერილები მიუძღვნა ოპორტუნისტებთან ბრძოლას, ხვდება არა მარტო მათ, არამედ გერმანელებსაც, ლიბკნეხტს, ბებელს და სხვებს, მათი შემარიგებლობისათვის“ [1].

ენგელსის უშუალო ხელმძღვანელობით ფრანგ სოციალისტთა ლიდერები ჟიულ გედი და პოლ ლაფარგი, რომელთაც მხარში ამოუდგნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ავგუსტ ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი, 1888 წლიდან პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ ახალი ინტერნაციონალის შესაქმნელად. მათ საჭიროდ ცნეს, რომ მომავალი კონგრესი, რომელიც პარიზში უნდა მოწვეულიყო, ყოფილიყო არა მარტო საერთაშორისო, არამედ სოციალისტური, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა ორ ფრონტზე ბრძოლის პრინციპები.

1889 წლის 28 თებერვალს ჰაგაში ენგელსის ინიციატივით მოწვეულ იქნა წინასწარი, შემთანხმებლური კონფერენცია, რომელსაც უნდა განესაზღვრა როგორც ახალი ინტერნაციონალის დამფუძნებელი კონგრესის მოწვევის ზუსტი თარიღი, ისე მისი მოწვევის პირობები. მაგრამ პოსიბილისტებმა მონაწილეობა არ მიიღეს მარქსისტების მიერ მოწვეული კონფერენციის მუშაობაში. მათ არ აწყობდათ მომავალი კონგრესის რიგითი მონაწილის როლი, ამიტომ ჰაინდმანთან ერთად განაგრძეს გამთიშველური საქმიანობა და დამოუკიდებელი კონგრესისათვის მზადება. ფრანგმა მარქსისტებმა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ფ. ა. ზორგესთან მიმოწერის წინასიტყვაობა, თხზ., ტ. 12, გვ. 449.

სხვა ქვეყნების მარქსისტების დახმარებით, გაითვალისწინეს რა ფრიდრიხ ენგელსის მითითებები, წარმატებით ჩაატარეს საორგანიზაციო კონგრესის მოსამზადებელი სამუშაოები.

1889 წლის პარიზის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი და II ინტერნაციონალის დაარსება

1889 წლის 14 ივლისს, ბასტილიის ციხის აღების ასი წლისთავზე პარიზში ერთდროულად გაიხსნა ორი კონგრესი: მარქსისტებისა და პოსიბილისტების და ინგლისის ტრედიუნიონისტების. პირველი კონგრესი ჭეშმარიტად საერთაშორისო ხასიათს ატარებდა, მეორე კი ძირითადად ფრანგი პოსიბილისტებით იყო წარმოდგენილი[1] და ფაქტიურად არ იყო საერთაშორისო ხასიათის (ამიტომ იყო, რომ მან კრახი განიცადა).

მარქსისტთა პარიზის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 22 ქვეყნის სოციალისტური პარტიების 393 წარმომადგენელი. ენგელსის თქმით, პარიზის კონგრესზე წარმოდგენილი იყო „მთელი ევროპა" — ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ავსტრიელები, ბელგიელები, უნგრელები, ჰოლანდიელები, რუსები, შვედები, ნორვეგიელები, დანიელები, შვეიცარიელები, პოლონელები, ჩეხები, ესპანელები, რუმინელები, პორტუგალიელები, ბულგარელები. წარმოდგენილნი იყვნენ, ჯერეთვე, აშშ-ის სოციალისტური პარტიისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კონგრესის სხდომა საზეიმო ვითარებაში გახსნა ფრანგი სოციალისტების ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ ლაფარგმა. თავმჯდომარეებად აირჩიეს გერმანელ სოციალისტთა ერთ-ერთი ლიდერი ვილჰელმ ლიბკნეხტი და ფრანგი კომუნარი ედუარდ ვაიანი. რუსი სოციალისტებიდან პარიზის კონგრესის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" ხელმძღვანელი გ. ვ. პლეხანოვი და პ. ლავროვი. თავის სიტყვაში პლეხანოვმა განაცხადა, რომ რუსეთის რევოლუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა რევოლუცია ან სრულებით არ გაიმარჯვებსო. სხვა საქმეებით დატვირთვის გამო კონგრესის მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობას ვერ იღებდა ენგელსი. მაგრამ კონგრესის ხელმძღვანელები მთელ საქმიანობას წარმართავდნენ მისი მითითებებისა და ინსტრუქციის შესაბამისად.

პარიზის კონგრესის საქმიანობის დასაწყისში ადგილი ჰქონდა

[1] 524 დელეგატი 606-დან ფრანგი იყო.

პოსიბილისტების კონგრესთან გაერთიანების ცდებს, მაგრამ პოსიბილისტებმა არ მიიღეს ვ. ლიბკნეხტის მიერ წამოყენებული და მარქსისტული კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია; მეორე კონგრესის დელეგატებს (პოსიბილისტებს) ევალებოდათ პირველი კონგრესის (მარქსისტულის) მიერ მოწონებული რეზოლუციის მიღება.

პარიზის კონგრესის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მუშათა კანონმდებლობის, 2) მუდმივი არმიების მოსპობის, 3) მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მანიფესტაციის დღის დაწესების და 4) მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შესახებ. ყველა საკითხზე კონგრესმა მიიღო მარქსისტული სულისკვეთებით გაჟღენთილი რეზოლუციები, რითაც ანგარიში გაუსწორა ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, ანარქისტულად განწყობილ ელემენტებსა და მათ მომხრეებს, რომლებიც საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილი კონგრესზე.

პირველ საკითხზე კონგრესმა, ანარქისტთა გაფანტრებული წინააღმდეგობის მიუხედავად (რომლებიც პრინციპულად უარყოფდნენ პარლამენტის გამოყენების საჭიროებას და ანტისოციალისტურად თვლიდნენ სათანადო აქციებს), მიიღო მარქსისტების მიერ წამოყენებული რეზოლუცია. იგი მოითხოვდა პარლამენტური და არაპარლამენტური საშუალებებით ბრძოლას ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში რეფორმებისათვის, მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის. რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ მუშათა კლასის ბრძოლის საბოლოო მიზანს შეადგენს ბრძოლა სოციალიზმისათვის, რომ „შრომისა და კაცობრიობის განთავისუფლება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ პროლეტარიატის საერთაშორისო ღონისძიებებით, პროლეტარიატისა, რომელიც ორგანიზებული იქნება როგორც კლასი და მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი დაეუფლება პოლიტიკურ ძალაუფლებას". მაგრამ ამ საბოლოო მიზნის მიღწევამდე რეზოლუცია საჭიროდ თვლიდა ბრძოლას სოციალური კანონმდებლობისათვის, ე. ი. უახლოეს ამოცანებად მას საჭიროდ მიაჩნდა: 8-საათიანი სამუშაო დღის მოპოვება, 14 წლამდე ბავშვთა შრომის აკრძალვა, 18 წლამდე მოზარდებისათვის 6-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, ყოველკვირეული 36-საათიანი უწყვეტი დასვენების შემოღება, ქალთა შრომის აკრძალვა მათი ჯანმრთელობისათვის მავნე საწარმოებში, ხელფასის ნატურით გაცემის აკრძალვა, ინსპექტორთა კონტროლის დაწესება და სხვ.

რეზოლუციაში მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შესახებ აღნიშნული იყო, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასმა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა საყოველთაო-საარჩევნო უფლება, საჭიროა ენერგიული ბრძოლა მისი მოპოვებისათვის, ხოლო იქ, სადაც უკვე არსებობს იგი, სოციალისტების ამოცანაა გამოიყენონ მუშათა კლასის ინტერესებისათვის საბრძოლველად.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა პარიზის კონგრესის მიერ მიღებულ დადგენილებას, საერთაშორისო პროლეტარიატის ძალების დათვალიერების, მანიფესტაციისა და კლასობრივი ზეიმის დღის დაწესების შესახებ (სათანადო წინადადება შეიტანა საფრანგეთის მუშათა სინდიკატების წარმომადგენელმა, კონგრესის დელეგატმა ლავინმა). 8-საათიანი სამუშაო დღისათვის სხვადასხვა ქვეყნის მუშათა ბრძოლის ინტერნაციონალური ხასიათის აღსანიშნავად და სხვადასხვა ქვეყნის მუშათა ბრძოლის გაერთიანების მიზნით საერთაშორისო სოლიდარობის დღედ დაწესდა პირველი მაისი. შემთხვევითი არ იყო ამ მიზნისათვის პირველი მაისის შერჩევა. 1889 წლის 1 მაისს ჩიკაგოს 1886 წლის სისხლიანი ამბების აღსანიშნავად აშშ-ის შრომის ფედერაციამ დანიშნა დიდი მანიფესტაცია 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით.

პირველი მაისობის დღესასწაულის დაწესების შესახებ კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლუციას ჰქონდა შენიშვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „სხვადასხვა ქვეყნის მშრომელები მოაწყობენ ამ მანიფესტაციას იმგვარად, როგორც ამას საშუალებას მისცემს მათ მათი ქვეყნის პირობები". ამან ბევრ სოციალისტს საშუალება მისცა ოპორტუნისტული ნაბიჯი გადაედგა და პირველი მაისობისთვის წაერთმია მისი მებრძოლი ხასიათი.

კონგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა მუდმივი არმიის მოსპობის საკითხი (მოხსენებით გამოვიდა ვ. ლიბკნეხტი). მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა მართებული შეფასება მისცა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ევროპაში დამყარებული მშვიდობიანობის დროებითსა და არასტაბილურ ხასიათს. მილიტარიზმის ზრდის შესაჩერებლად მან მოითხოვა მუდმივი არმიების მოსპობა დიდ სახელმწიფოებში და მათი შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით. მუდმივმა არმიამ და შემტევმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის იარაღსაც იგი წარმოადგენს, — აღნიშნული იყო ამ რეზოლუციაში,—ადგილი უნდა დაუთმოს სახელმწიფოთა დემოკრატიულ მშვიდობიან პოლიტიკას. სახალხო შეიარაღება კი ქვეყნის დაცვისა და ხალხის ინტერესების დაცვის იარაღი უნდა გახდეს და არა აგრესიებისა და დაპყრობებისა. ამასთან ერ-

თად რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ არმია, როგორც თანამედროვე კაპიტალისტურ ურთიერთობათა აუცილებელი პროდუქტი, საბოლოოდ მხოლოდ თვით კაპიტალიზმის მოსპობისა და შრომის განთავისუფლების შემდეგ მოისპობაო.

პარიზის კონგრესს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან საფუძველი ჩაუყარა მუშათა კლასის ახალ საერთაშორისო გაერთიანებას — მეორე ინტერნაციონალს, რითაც აღადგინა და განავითარა პირველი ინტერნაციონალის საბრძოლო ტრადიციები. ახალი ინტერნაციონალი იყო მარქსისტული ინტერნაციონალი, სადაც მარქსიზმმა ყველა პრინციპულ საკითხში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ანარქიზმზე, პოსიბილიზმსა და ყველა სხვა ჯურის ოპორტუნიზმზე. პირველი მაისობის დღესასწაულის დაწესებით პარიზის კონგრესმა ხაზი გაუსვა ადამიანური უფლებებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ინტერნაციონალურ ხასიათს და ამით ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნის მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას. მან გამოიმუშავა საერთაშორისო მუშათა კლასის ძირითადი სტრატეგიული პრინციპები, ტაქტიკური ხერხები და მიუთითა მათი განხორციელების გზებზე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა XIX-იანი წლების დასასრულსა. ბრიუსელის კონგრესი

მეორე ინტერნაციონალის პარიზის დამფუძნებელი კონგრესის შემდეგ ევროპულმა მუშათა მოძრაობამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა. მუშათა კლასის ახალ-ახალი ლეგიონები დაირაზმნენ მარქსიზმის საბრძოლო დროშის ქვეშ. გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის სოციალისტებმა სერიოზული გამარჯვებები მოიპოვეს ბურჟუაზიულ პარლამენტებში, პროფესიული კავშირებისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების რიგებში. 1890 წელს ვილჰელმ II-ის ხელისუფლება გერმანიაში იძულებული იყო გაეუქმებინა განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, რომელმაც არ გაამართლა რეაქციის იმედები და ხელი ვერ შეუშალა მუშათა კლასის რიგებში სოციალიზმის იდეების შემდგომ ზრდას. სერიოზული ძვრები მოხდა ინგლისშიც, სადაც პროფკავშირთა რიგებში შეიქმნა ძლიერი მემარცხენე მიმდინარეობა, რომელმაც მხარი დაუჭირა ბრძოლის მასობრივ, რევოლუციურ ფორმებს და გაიზარდა სოციალისტების გავლენა. ანარქიზმის ისეთ კლასიკურ ქვეყნებში, როგორიც იყო რომანული ქვეყნები — იტალია და ესპანეთი, მუშათა

ბევრმა ორგანიზაციამ კავშირი გაწყვიტა ანარქისტებთან და დადგა მარქსისტული სოციალიზმის პლატფორმაზე. მუშათა და სოციალისტური მოძრაობა შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში. დაიწყო მუშათა კლასის ძალთა მობილიზაციის, ძლიერი სოციალისტური პარტიების შექმნის პერიოდი.

ამ პერიოდის მუშათა და სოციალისტური მოძრაობის, ისე როგორც ევროპის მთელი პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო პირველი მაისის მასობრივი დემონსტრაციების ჩატარება 1890 წელს. II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესის დადგენილების შესაბამისად იგი ჩატარდა როგორც მასობრივი პროლეტარული მოძრაობა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების მოთხოვნით, როგორც მუშათა კლასის საბრძოლო დათვალიერების დღე. მის ჩატარებას წინ უძღოდა მასობრივი კამპანია, რომელსაც ერთსულოვნად გამოეხმაურა ასეული ათასი გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, ავსტრიელი და სხვა ქვეყნის მუშები. ბურჟუაზია, მისი კლასობრივი ინტერესების დამცველი რეაქციული მთავრობები და ეკლესიის მსახურნი ევროპის კონტინენტზე ძალზე დაეშინა პირველი მაისობისათვის მზადების მასშტაბმა. გერმანიაში, ავსტრიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ხელისუფლებმა საჭიროდ ცნეს გამაფრთხილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასე რომ, ჯარსა და პოლიციასთან შეტაკებების, გაბატონებული კლასების მტრული რეაქციის ვითარებაში მოუხდა ევროპის მუშათა კლასს პირველი მაისობის — პირველი საერთაშორისო მანიფესტაციის ჩატარება. თვით ინგლისშიც, ტრედიუნიონების რეფორმისტი ლიდერების ენერგიული წინააღმდეგობების მიუხედავად, მუშათა მასები მხურვალედ გამოეხმაურნენ სათანადო მოწოდებას და მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციის ჩატარებაში. ლონდონში, მაგალითად, სოციალისტების ხელმძღვანელობით 4 მაისს მოეწყო გრანდიოზული მიტინგი, რომელშიც 200 ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას. „ეს ჩვენი პირველი დიდი გამარჯვებაა ლონდონში, ეს იმას ამტკიცებს, რომ ახლა მასები აქაც ჩვენ მოგვყვებიან", — წერდა ფ. ენგელსი ამ მიტინგის შესახებ ფ. ზორგეს 1890 წლის ერთ-ერთ წერილში [1].

1891 წლის 16—22 აგვისტოს მუშათა მოძრაობის შემდგომი აღმავლობის ვითარებაში ბრიუსელში ჩატარდა მეორე ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 37, стр. 339.

თითქმის ყველა ქვეყნისა და აშშ-ის მუშათა პარტიების 337 წარმომადგენელი.

ბრიუსელის კონგრესის მუშაობა ჩატარდა პოსიბილისტთა გავლენის შემდგომი შესუსტებისა და მარქსისტთა პოზიციების განმტკიცების ნიშნის ქვეშ. ამის კონკრეტული გამოხატულება იყო გედისტების პოზიციების გაძლიერება საფრანგეთში, მანამდე მერყევი პოზიციის მქონე ბელგიის მუშათა პარტიის გადასვლა მარქსისტების მხარეზე და ინგლისელ სოციალისტთა აქტიური მონაწილეობა ამ კონგრესის საქმიანობაში[1]. რაც შეეხება ანარქისტებს, ისინი ჯერ კიდევ საშიშნი იყვნენ, თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობას არ წყვეტდნენ და სერიოზულ უსიამოვნებას აყენებდნენ მარქსისტებს. ბრიუსელის კონგრესზე მათი მორიგი დაჯახება მარქსისტებთან ამის ნათელი დადასტურება იყო.

ბრიუსელის კონგრესმა განიხილა საკითხები: 1) მუშათა კლასის საერთაშორისო ტაქტიკის, 2) მილიტარიზმისა და ომის საფრთხის, 3) პირველი მაისის ჩატარების, 4) მუშათა კანონმდებლობისა და 5) გაფიცვებისა და ბოიკოტის მეთოდების გამოყენების შესახებ.

მართალია, ბრიუსელის კონგრესის მუშაობა ძირითადად ანარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ჩატარდა, მაგრამ ამ დროისათვის ოპორტუნისტულმა საფრთხემაც იჩინა თავი, კერძოდ, გერმანიის ს-დ პარტიის რიგებში. ამ საფრთხეზე მიუთითებდნენ ანარქისტები, როცა მოითხოვდნენ სოციალისტთა ბრძოლის ერთიანი ტაქტიკის შემუშავებას. ამ ტაქტიკის ცნებაში კი ისინი გულისხმობდნენ პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელის აღებას და „პირდაპირი მოქმედების", „აქტიური" ბრძოლის ტაქტიკაზე გადასვლას. სწორედ დღის წესრიგის პირველი საკითხი გაიხადეს მათ მარქსისტების წინააღმდეგ იერიშის მიტანის საბაბად.

ანარქისტების გამოხდომებს საკადრისი პასუხი გასცა ავგუსტ ბებელმა, რომელმაც თავის მჭევრმეტყველურ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ევროპისა და მსოფლიოს სოციალისტური ამოცანა ამჟამად მდგომარეობს მარქსიზმის პროპაგანდასა და მუშათა უმრავლესობის მოპოვებაში პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის სწორი შეხამების გზით. ეს ამოცანა მაშინ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. მუშათა კლასი ყველგან როდი მიჰყვებოდა სოციალისტ მარქსისტებს და ამიტომ ერთიანი ტაქტიკის შემუშავება, მით უფრო, უშუალო ბრძოლა ძალაუფლებისა და ბურჟუაზიის რევოლუციური დამ-

---

[1] შავი მუშებისა და გაზის ქარხნების მუშების წარმომადგენელი ბრიუსელის კონგრესზე იყო მარქსის ქალიშვილი ელეონორა ეველინგი.

ხობისათვის რამდენადმე ნაადრევი იყო. ბებელის გამოსვლის შემდეგ კონგრესმა უარი თქვა გაეხილა ანარქისტთა წინადადება ერთიანი საერთაშორისო ტაქტიკის შემუშავების შესახებ.

კონგრესის მთავარი საკითხი მაინც მილიტარიზმის საკითხი იყო; მომხსენებლად გამოვიდნენ ვილჰელმ ლიბკნეხტი და ფრანგი სოციალისტი ედუარდ ვაიანი. ამ საკითხში კონგრესზე თავი იჩინა ანტიპარლამენტურმა — ანარქოსინდიკალისტურმა გადახრამ. ჰოლანდიელმა სოციალისტმა დომელა ნიუვენჰეისმა გაილაშქრა კონგრესისათვის ლიბკნეხტის მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მილიტარიზმს უშუალოდ კაპიტალიზმის არსებობას უკავშირებდა და მისი სრული აღმოფხვრისათვის საჭიროდ მიიჩნევდა კაპიტალისტური წესების მოსპობას და სოციალისტური საზოგადოების დამყარებას, მასებს მოუწოდებდა ენერგიულად ებრძოლათ ომის ყოველგვარი შემზადების წინააღმდეგ (თუმცა რეზოლუციაში სჭარბობდა ზოგადი ფრაზები და ცოტა იყო კონკრეტული წინადადებები); ნიუვენჰეისი, პირიქით, მოითხოვდა „ომის ყოველგვარი გამოცხადებისათვის“ ეპასუხათ მოსახლეობის საყოველთაო გაფიცვით. მას ყოველგვარი ომი მიაჩნდა დაპყრობით, რეაქციულ ომად, თუგინდ იგი ყოფილიყო ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი. ეს იყო ანარქისტული ფრაზეოლოგია, რომელსაც ავანტიურისტული სულისკვეთებაც ახლდა. მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა უარყო ნიუვენჰეისის წინადადება საყოველთაო გაფიცვის, როგორც ომის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალების გამოყენების შესახებ და გაიზიარა ლიბკნეხტის მიერ განვითარებული პრინციპული შეხედულებები.

მუშათა კანონმდებლობის საკითხში კონგრესმა მიიღო მარქსისტული რეზოლუცია (მომხსენებელი იყო ბელგიელი ს-დ ემილ ვანდერველდე), რომელიც ყველა ქვეყნის მუშათა კლასს მოუწოდებდა ებრძოლათ მუშათა კანონმდებლობის გაფართოებისა და ცხოვრებაში მისი დანერგვისათვის. ეს რეზოლუცია არსებითად ადასტურებდა ამ საკითხზე პარიზის კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მუშათა კანონმდებლობის საკითხთან დაკავშირებით კონგრესმა განიხილა გაფიცვებისა და ბოიკოტის გამოყენების საკითხი. მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა ურჩია მუშებს გამოეყენებინათ ბრძოლის ეს ფორმები როგორც თავდაცვისათვის, ისე ბურჟუაზიისათვის მორიგი დათმობების გამოსატაცებლად, მაგრამ ზომიერ ფარგლებში და სიფრთხილით.

კონგრესზე სერიოზული კამათის საგანი გახდა პირველი მაისის მანიფესტაციის ჩატარების საკითხი. ამ კამათმა ცხადყო, რომ გერმანიის ს-დემოკრატიული პარტიის რიგებში ფეხს იკიდებდა ოპორტუნიზმი და იგი შორდებოდა რევოლუციურ პოზიციებს. გერმანელმა სოციალისტებმა (ინგლისელი სოციალისტების მხარდაჭერით) პარიზის კონგრესის დადგენილება მუშათა დემონსტრაციების პირველ მაისს ჩატარების შესახებ სავალდებულოდ არ მიიჩნიეს. მათ მოითხოვეს მისი პირველი მაისის მომდევნო უახლოესი კვირისათვის ჩატარება, რომ ამით თავიდან ყოფილიყო აცილებული გაფიცვის გამოცხადება და აქედან გამომდინარე მეწარმეებსა და ხელისუფლებასთან მოსალოდნელი კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის უმრავლესობა ამ წინადადების წინააღმდეგი იყო, კონგრესმა ვერ გამოიჩინა საჭირო პრინციპულობა და ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერი და წამყვანი პარტიის ხათრით მიიღო კომპრომისული რეზოლუცია. იგი სოციალისტურ პარტიებს ნებას რთავდა საჭირო შემთხვევებში კვირა დღისათვის გადაეტანათ პირველი მაისის დემონსტრაციები. ამ გადაწყვეტილებით კონგრესმა გასაძრომი ხვრელი დაუტოვა ოპორტუნისტებს, რომელთაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით.

ფრიდრიხ ენგელსი კმაყოფილი იყო ბრიუსელის კონგრესის შედეგებით. კონგრესზე ტრედიუნიონებისთვისაც ღია იყო კარები, მაგრამ მათ მიმართ არავითარ დათმობაზე არ წავსულვართო, სწერდა იგი ლაფარგს. ანარქისტები გამოვაძევეთო, ბრუსისტულ-ჰაინდმანურმა ოპოზიციამ კი სრული კრახი განიცადა 1891 წლის 2 სექტემბერს [1]. „კონგრესი საბოლოო ჯამში ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებაა, — სწერდა იგი ზორგეს 1891 წლის 14 სექტემბერს, — ბაკუნისტები საერთოდ არ გამოცხადდნენ კონგრესზე, ხოლო ჰაიდმანის მომხრეებმა თავიანთი პოზიცია ჯიბეში შეინახეს. მაგრამ ყველაზე უკეთესი ის არის, რომ ყრილობამ საკუთრივ გააძევა ანარქისტები... ახალმა ინტერნაციონალმა, უსასრულოდ დიდმა და გარკვევით მარქსისტულმა თავისი საქმიანობა სწორედ იქიდან დაიწყო, სადაც თავისი არსებობა შეწყვიტა ძველმა“ [2]. მისი თქმით, „მარქსისტებმა პრინციპულად და ტაქტიკურადაც ყველა ხაზით მოიპოვეს გამარჯვება [3].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., 38, стр. 128.

[2] იქვე, გვ. 132.

[3] იქვე.

ბრიუსელის კონგრესიდან მორიგ — მესამე კონგრესამდე ორი წელი გავიდა. ეს მოკლე ისტორიული მონაკვეთი აღინიშნა ევროპული და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი წარმატებებით, სოციალისტური პარტიების შემდგომი განმტკიცებითა და მარქსიზმის იდეური გავლენის გაფართოებით. ეს მიღწევები მოპოვებულ იქნა ანარქიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლით. ამ უკანასკნელმა კი ბრიუსელის კონგრესის შემდეგ შეძლო ისევ მოექცია თავისი გავლენის ქვეშ საფრანგეთის, ესპანეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მუშები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, წვრილბურჟუაზიული წრეები და ინდივიდუალური ტერორის აქტებით სერიოზული ზიანი მიეყენებინა სოციალისტური მუშათა მოძრაობისათვის.

II ინტერნაციონალის მესამე კონგრესი ჩატარდა 1893 წლის 6—12 აგვისტოს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროპის 30 ქვეყნისა და აშშ-ის სოციალისტური პარტიების 411 დელეგატი.

კონგრესის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მუშათა საერთაშორისო კანონმდებლობის; 2) პარლამენტარიზმთან დამოკიდებულების; 3) ბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკის — ს-დ პარტიების პოლიტიკური ტაქტიკის; 4) მილიტარიზმისა და ომის საფრთხის; 5) პირველი მაისობის შესახებ.

იმის გამო, რომ ანარქისტები ლამობდნენ გამძვრალიყვნენ კონგრესში, რათა ზიანი მიეყენებინათ მისი საქმიანობისათვის, ციურიხის კონგრესმა ენგელსის მითითებით დასაწყისშივე დაგმო მათი ტაქტიკა და მიიღო დადგენილება, რომლითაც ინტერნაციონალის რიგებში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ის მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც ცნობდნენ პოლიტიკურ ბრძოლას. მაგრამ ვინაიდან ანარქისტებს ტერორისტული საქმიანობაც პოლიტიკურ ბრძოლად მიაჩნდათ, ბებელის წინადადებით აღნიშნულ დადგენილებას დაემატა შენიშვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პოლიტიკური ბრძოლის ცნებაში იგულისხმება მუშათა პარტიების მიერ პოლიტიკური უფლებებისა და საკანონმდებლო ორგანოების გამოყენება პროლეტარიატის ინტერესებისათვის და მუშათა კლასის მიერ ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის.

ციურიხის კონგრესი მეორე ინტერნაციონალის პირველი და უკანასკნელი კონგრესი იყო, რომლის მუშაობაში უშუალო მონაწილეობა მიიღო ფრიდრიხ ენგელსმა. მის გამოჩენას კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე უდიდესი აღფრთოვანებით და ხანგრძლივი

ოვაციებით შეეგება მთელი დარბაზი. როდესაც ოვაციები დაცხრა, ენგელსმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელშიც შეჯამა მსოფლიო მუშათა მოძრაობის შედეგები ნახევარი საუკუნის მანძილზე, ე. ი. მარქსიზმის აღმოცენებიდან. ამ სიტყვაში, რომელიც ერთ და იმავე დროს პროგრამულიც იყო და ანდერძიც, მან ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის წარმოების საჭიროებას, მკაცრად დაგმო ანარქისტების პროვოკაციული საქმიანობა და ანარქისტებს მუშათა მოძრაობის დეზორგანიზატორები უწოდა.

კონგრესის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ს-დ პარტიების პოლიტიკური ტაქტიკის საკითხი (ე. ი. საკითხი პარლამენტარიზმთან დამოკიდებულებისა და ბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკის შესახებ); მომხსენებლად გამოვიდა ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერველდე. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც სოციალისტურ პარტიებს რჩევას აძლევდა შეეხამებინათ პარლამენტური საქმიანობა მუშათა კლასის ბრძოლის სხვა, არაპარლამენტურ ფორმებთან: ყველა ქვეყნის მუშებს მოუწოდებდა ებრძოლათ პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის და ეს უფლებები გამოეყენებინათ თავიანთი მოთხოვნების განხორციელებისათვის ყველა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში „პოლიტიკური ძალაუფლების დაპაპყრობად და მის გადასაცემად კაპიტალის იარაღიდან მუშათა კლასის განთავისუფლების იარაღად“. რეზოლუციის ეს უკანასკნელი პუნქტი ფოლმარის (გერმანიის ს-დ პარტიის რიგებიდან) ტიპის ოპორტუნისტებმა ისე გაიგეს, თითქოს პარლამენტური ბრძოლა ცვლიდა საბარიკადო ბრძოლას და ზედმეტს ხდიდა სოციალისტური რევოლუციის აქტის მომზადებასა და განხორციელებას. რეზოლუციაში დაგმობილი იყო ისეთი კომპრომისები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა სოციალისტური პარტიების პრინციპებსა და მიზნებს.

ხანგრძლივი და მწვავე დისკუსია გამოიწვია ციურიხის კონგრესზე მილიტარიზმისა და ომის საფრთხის საკითხმა. ამ საკითხზე მომხსენებელი იყო გ. ვ. პლეხანოვი. როგორც ბრიუსელის კონგრესზე, აქაც მარქსისტულ მიმდინარეობას დაუპირისპირდა ჰოლანდიელი სოციალისტი დომელა ნიუვენჰეისი, რომელსაც მხარი დაუჭირეს საფრანგეთის, ბელგიისა და შვეიცარიის დელეგატებმა. მან ისევ გაიმეორა თავისი მყვირალა „მეშვარცხენე“, სინამდვილეში ყოვლად მიუღებელი წინადადება „სამხედრო გაფიცვის გამოცხადებისა“ და გასაწვევ პუნქტებში გამოუცხადებლობის შესახებ. მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა ისევ უარყო ნიუვენჰეისის წი-

ნადადება და ძირითადად გაიმეორა ამავე საკითხზე ბრიუსელის კონგრესზე მიღებული დადგენილება. მაგრამ მასში იყო ახალი, სწორი პოლიტიკური პუნქტი, რომელიც სოციალისტებს ავალებდა პარლამენტში ხმა მიეცათ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ.

ციურიხის კონგრესმა საჭიროდ ცნო ერთხელ კიდევ განეხილა პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების საკითხი. ამ საკითხის განხილვამ ცხადყო ოპორტუნისტული სულისკვეთების ზრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში. კონგრესის დელეგატთა უმრავლესობამ დაგმო ეს ოპორტუნისტული რეციდივები და მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის ს-დემოკრატიული პარტიის ლიდერების მავნე ოპორტუნისტული ტაქტიკა: ჩაეტარებინათ პირველი მაისობა კვირა დღეებში. მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა აღნიშნა მუშათა დემონსტრაციების პირველ მაისს — პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — ჩატარების სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა. ამით მან უარყო გერმანიის ს-დემოკრატების წინადადება მეწარმეებთან და ხელისუფლებასთან კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საპირველმაისო დემონსტრაციების კვირა დღეებში ჩატარების შესახებ.

ლონდონის კონგრესი

ენგელსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც გერმანიისა და სხვა ქვეყნის ს-დემოკრატიული პარტიების რიგებში თავი იჩინა ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის ნიშნებმა. მაგრამ ფოლმარის, დავიდისა და ბერნშტაინის ტიპის ოპორტუნისტები ენგელსის შიშით ვერ ბედავდნენ აშკარად ექადაგათ თავიანთი რევიზიონისტული შეხედულებები. ამიტომ იყო, რომ ისინი ინიღბებოდნენ და მხოლოდ ცალკეულ საკითხებში ავლენდნენ რევოლუციური მარქსიზმისაგან გადახვევას. ენგელსი მეტად საშიში იყო ასეთი ტიპის ადამიანებისათვის. იგი არავის არაფერს უთმობდა და თვით გერმანიის ს-დემოკრატიული პარტიის ცნობილ ლიდერებს ავგუსტ ბებელსა და ვილჰელმ ლიბკნეხტსაც კი ამათრახებდა, როდესაც ხედავდა, რომ ისინი სცილდებოდნენ რევოლუციური მარქსიზმის მებრძოლ პოზიციებს.

თავაუღებლად მუშაობდა რა მარქსისტული თეორიის შემდგომ განვითარებაზე, „კაპიტალის“ II და III ტომების ბეჭდვისათვის მომზადებასა და მარქსიზმის სხვა ფუძემდებელი ნაშრომების ხელახლა გამოცემებზე, ენგელსი მაინც პოულობდა დროს იმისათვის, რომ თვალყური ედევნებინა ევროპული და საერთაშორისო მუშა-

თა მოძრაობის განვითარებისათვის, სოციალისტთა წარმატებებისა და ცალკეული მარცხისათვის. ენგელსი უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა II ინტერნაციონალსა და მასში შემავალ სოციალისტური პარტიების საქმიანობას. პრინციპულობა, რევოლუციური მარქსიზმიდან ყოველგვარი გადახრისადმი შეურიგებლობა. ორ ფრონტზე დაუნდობელი ცეცხლის გაჩაღება, ოპორტუნისტული რეციდივების ყოველგვარი გამოვლენის მხილება, „მემარცხენე" ფრაზეოლოგიის ნამდვილი სარჩულის გამოაშკარავება მისი უდიდესი საორგანიზაციო, საპროპაგანდო-თეორიულ-პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი იყო. მარქსიზმის რევოლუციური სიწმინდის დაცვასა და სხვადასხვა გადახრათა მხილებას მეორე ინტერნაციონალისა და მისი პარტიების საქმიანობაში ენგელსმა მიუძღვნა რამდენიმე ათეული სტატია. რუსეთის მუშათა მოძრაობა ამ დროისათვის უკვე ძალას იკრებდა და მსოფლიო ასპარეზზე გამოდიოდა. ენგელსი სიხარულით ადევნებდა თვალყურს ამ პროცესს და უფრო დიდ პერსპექტივას უწინასწარმეტყველებდა მას.

განსაკუთრებით იპყრობდა ენგელსის ყურადღებას ცალკეული სოციალისტური პარტიების (მაგ. გერმანიის ს-დ) რიგებში ფეხმოკიდებული რეფორმიზმი და მარქსიზმის პროპაგანდის პროცესში დაშვებული აბსტრაქტიზმი, დოგმატიზმი და სქოლასტიზმი, თეორიის პრაქტიკული ცხოვრებიდან მოწყვეტის ტენდენციები და ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული თავისებურებების გაუთვალისწინებლობა. ერთიანი მოდელისადმი ლტოლვა და სხვ. იგი დაჟინებით მოითხოვდა სოციალისტებისაგან, რომ ისინი უფრო ახლო ყოფილიყვნენ ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, თეორიული დასკვნების სისწორე სისტემატურად შეემოწმებინათ რევოლუციური პრაქტიკით და სერიოზული ყურადღება მიექცათ ცალკეული ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური პირობებისათვის. ამა თუ იმ პროლეტარული პარტიის საბრძოლო ტაქტიკის გამომუშავებას, — ასწავლიდა იგი სოციალისტებს, — საფუძვლად უნდა დაედოს მოცემული ქვეყნის ეროვნული, ისტორიული, სოციალ-ეკონომიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინება. „მასების ამოძრავება მხოლოდ იმ გზით შეიძლება, — სწერდა იგი ფ. ა. ზორგეს 1887 წლის 16 სექტემბრის წერილში, — რომელიც შეესაბამება მოცემულ ქვეყანას და მოცემულ განსაზღვრულ პირობებს" [1].

ტიტანურმა შრომამ, რასაც უკანასკნელ წლებში ეწეოდა ფრიდრიხ ენგელსი საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ინტერე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 36. стр. 589.

სებისა და მარქსიზმის ტრიუმფისათვის. მაქსიმალურად გადაღალა იგი და დააჩქარა მისი სიკვდილი. იგი გარდაიცვალა 1895 წლის 5 აგვისტოს. მისი სიკვდილი უდიდესი დანაკლისი იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვისა და ყველა ქვეყნის რევოლუციონერი სოციალისტებისათვის. ტყუილად როდი წერდა ლენინი, რომ „რუსმა რევოლუციონერებმა ენგელსის სახით თავიანთი საუკეთესო მეგობარი დაკარგეს“ [1]. ენგელსის გარდაცვალებით მსოფლიოს მშრომელებმა დაკარგეს მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ღრმად ერუდირებული, ენციკლოპედიური ცოდნით დაჯილდოებული ადამიანი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დიდი მრჩეველი და მასწავლებელი.

ენგელსის გარდაცვალების შემდეგ თავი წამოყვეს შენიღბულმა ოპორტუნისტებმა. ის, რაც ენგელსის სიცოცხლეში ტენდენციისა და ჩანასახის სახით არსებობდა, რეალურ საშიშროებად იქცა. II ინტერნაციონალსა და მასში შემავალ პარტიებში ფეხი მოიკიდა როგორც ოპორტუნიზმმა და რეფორმიზმმა, ისე მათდამი შემარიგებლობამ. ამ მხრივ ცუდი მაგალითი უჩვენა სხვებს გერმანიის ს-დ-მოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ტონს აძლევდა სხვა ქვეყნის სოციალისტებს. ბერნშტაინის გამოსვლით იქ აფრიალდა აშკარა რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის დროშა. გერმანელ რევიზიონისტებს მალე მიჰყვნენ სხვა ქვეყნის რევიზიონისტები და ოპორტუნისტები.

ასეთ ვითარებაში ენგელსის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1896 წლის 27 ივლისს ლონდონში მუშაობა დაიწყო II ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესმა. იგი 6 დღეს მუშაობდა და I აგვისტოს დაასრულა საქმიანობა. კონგრესს ესწრებოდა მრავალმილიონიანი სოციალისტური პარტიების 535 წარმომადგენელი [2].

კონგრესის დღის წესრიგში იყო საკითხები: 1) პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის ურთიერთობის; 2) იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიური დაპყრობების და კოლონიური პოლიტიკისადმი სოციალისტების დამოკიდებულების; 3) ეკონომიური ბრძოლის, 4) ომის საფრთხის ზრდისა და 5) აგრარულ-გლეხური საკითხისადმი სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ.

ლონდონის კონგრესმა საბოლოოდ გარიცხა თავისი რიგებიდან

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ფრიდრიხ ენგელსი, თხზ., ტ. 2, გვ. 17.

[2] მათ შორის ოპორტუნისტული ტაქტიკის მომხრე ფრანგი სოციალისტები —ჟორესი, მილიერანი და ვივიანი.

ანარქისტები. რომლებიც არ წყვეტდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას და სერიოზულ ვნებას აყენებდნენ სოციალისტებს. პირველ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა კვლავ დაადასტურა წინა კონგრესების დადგენილებები იმის შესახებ, რომ მუშათა კლასი და სოციალისტები ვალდებულნი არიან აწარმოონ პოლიტიკური ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და ურჩია მათ გამოეყენებინათ „მუშათა კლასის ორგანიზებული ბრძოლის ყველა ფორმა". მაგრამ სათანადო რეზოლუციას გარკვევით ემჩნეოდა ოპორტუნიზმის კვალი. იქ არ იყო პუნქტი ბურჟუაზიის ბატონობის რევოლუციური გზით დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის შესახებ.

კონგრესმა, რომელიც მიმდინარეობდა მაშინ, როცა ევროპის დიდმა და პატარა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ძირითადად დაამთავრეს მსოფლიოს კოლონიური დაყოფა და ხელში ჩაიგდეს აზიის, აფრიკისა და ოკეანიის ვრცელი კოლონიური სამფლობელოები, საგანგებოდ განიხილა კოლონიური პოლიტიკისადმი სოციალისტების დამოკიდებულების საკითხი. მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა დაგმო კოლონიური პოლიტიკა და სათანადო კვალიფიკაცია მისცა მას. „ყოველგვარი კოლონიური პოლიტიკა. — აღნიშნული იყო რეზოლუციაში, — არსებითად არის კაპიტალისტური ექსპლუატაციის სფეროს გაფართოების საშუალება კაპიტალისტთა კლასის ინტერესებისათვის" — კონგრესმა მხარი დაუჭირა ყველა ხალხის, მათ შორის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. მაგრამ მან აქ დასვა წერტილი და თავი შეიკავა კონკრეტული ზომების გამომუშავებისაგან, რომლებიც საშუალებას მისცემდა სოციალისტებს ეფექტურად ებრძოლათ თავიანთი ქვეყნების კოლონიური მტაცებლობის წინააღმდეგ.

ეკონომიური ბრძოლის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმა აღნიშნა მუშათა კლასის ბრძოლის ამ ფორმის სერიოზული მნიშვნელობა და მოუწოდა სოციალისტებს ჯეროვანი ყურადღება მიექციათ მისთვის. კერძოდ. მან სოციალისტებს ურჩია უფრო ენერგიულად ებრძოლათ პროფესიული კავშირების შესაქმნელად და დროდადრო გამოეყენებინათ გაფიცვები და ბოიკოტი, როგორც ეკონომიური ბრძოლის აუცილებელი საშუალებები.

ლონდონის კონგრესი ერთადერთი იყო, რომელმაც განიხილა აგრარული საკითხი. მაგრამ იგი სერიოზულად არ მოეკიდა მას და ზედმეტად მიიჩნია შეემუშავებინა მის შესახებ პრინციპული, მკაფიო რევოლუციური გადაწყვეტილებები სხვადასხვა ქვეყანაში აგრარული წყობის დიდი სხვადასხვაობის მოტივით. სინამდვილეში

აგრარული საკითხის შესახებ საერთო ხაზის შემუშავებისაგან თავის შეკავების მიზეზი იყო ევროპის სოციალისტების უმრავლესობის მიერ თვით აგრარულ-გლეხური საკითხის შეუფასებლობა. II ინტერნაციონალის იდეოლოგების მნიშვნელოვანი ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი გლეხობისა და მისი რევოლუციური პოტენციისადმი. ისინი მათ არ თვლიდნენ მუშათა კლასის ბუნებრივ მოკავშირედ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღნიშნულის გამო საჭიროდ არ მიაჩნდათ მკაფიო აგრარული პროგრამის შემუშავება, გლეხობაში სათანადო მუშაობის წარმოება.

ლონდონის კონფერენციით მთავრდება II ინტერნაციონალის მოღვაწეობის პირველი ეტაპი, რომელიც მიმდინარეობდა წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში. მისი ძირითადი დამსახურება ამ ეტაპზე იყო ანარქიზმის იდეურ-პოლიტიკური განადგურება, მარქსიზმის გავლენის შეუჩერებელი ზრდა, სოციალისტთა სერიოზული წარმატებები საპარლამენტო საქმიანობაში პროფესიული კავშირების ხაზით, მუშათა კლასის ძალების შემდგომი შეკავშირება, მისი კლასობრივი თვითშეგნების ამაღლება, საერთაშორისო სოლიდარობის გაძლიერება და სხვ. მაგრამ მისი მოღვაწეობის ამ უკეთეს პერიოდშიც II ინტერნაციონალის საქმიანობაში თავი იჩინა ჩრდილოვანმა მხარეებმაც. სოციალისტური პარტიების ცალკეული ლიდერების მიერ ადგილი ჰქონდა მარქსიზმის ზოგიერთი დებულების ნებსით თუ უნებლიეთ დამახინჯებას, ბრძოლის პარლამენტური ფორმის გადაჭარბებით შეფასებას. პირველი მაისობის კვირა დღეებში ჩატარების არასწორ ოპორტუნისტულ პრაქტიკას, ლიბერალურ შემარიგებლურ დამოკიდებულებას მარქსიზმის რევიზიის ტენდენციებისადმი და სხვ.

საერთაშორისო ურთიერთობანი 1871-98 წლებში

ახალი ისტორიის მეორე პერიოდი, როგორც ვიცით, ორ ეტაპად იყოფა. ამ ორი ეტაპის შესაბამისად ვითარდება აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაც.

საერთაშორისო ურთიერთობათა პირველ ეტაპზე (1871-93) კაპიტალიზმის აღმავალი ხაზით განვითარება ჯერ კიდევ გრძელდება (დაცემა მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში შეიმჩნევა), ამასთან ერთად მწიფდება იმპერიალიზმზე გადასვლის ყველა წინაპირობა, ფართოდ იჩენს თავს ცალკეული ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა. საერთაშორისო ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა კაპიტალისტური სახელმწიფოები — გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, — რომლებიც სწრაფად ვითარდებიან და ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებთან — ინგლისთან და საფრანგეთთან — შეჯიბრში უპირატესობას აღწევენ. ამავე პერიოდში მთავრდება მსოფლიოს განაწილება, ხოლო XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე დღის წესრიგშია მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი, კაცობრიობა მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე დგება. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობათა მეორე ეტაპზე მომზადდა, მაგრამ მისი წინაპირობები უკვე პირველი ეტაპის დროს უნდა ვეძიოთ.

XIX საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობაში ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმი წამყვან როლს ასრულებდა. მაგრამ მსოფლიო ასპარეზზე გერმანიის გამოსვლამ ეს ანტაგონიზმი თანდათან შეანელა და XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების კონიუნქტურა წარმოშვა. ამავე პერიოდში გააქტიურდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მსოფლიო ბატონობის აშკარა პრეტენზიებით აღიჭურვა. აღმოსავლეთში თავი წამოყო იაპონიის იმპერიალიზმმა, რამაც არსებითად შეცვალა ევროპის სახელმწიფოთა ტრადიციული პოლიტიკა შორეული აღმო-

საკლეთის მიმართ. არსებითი ცვლილებები მოხდა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობათა სფეროში. საერთაშორისო ურთიერთობათა მსვლელობას გარკვეული დაღი დაამჩნია აგრეთვე გაერთიანებული იტალიის შექმნამ.

საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კოლონიური პოლიტიკის ფართოდ გაშლამ, რომელიც ახალი ისტორიის აღნიშნული უტაპისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია. კოლონიური სამყაროს განაწილება ძირითადად მთავრდება. იწყება ბრძოლა ნახევრადდამოუკიდებელი ქვეყნების (ჩინეთი, თურქეთი, მაროკო, ალჟირი, ეგვიპტე და სხვ.) ხელში ჩასაგდებად. აშშ მტკიცედ იკიდებს ფეხს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ამასთანავე იწყება კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობათა მსვლელობას გარკვეულ დაღს ამჩნევს.

გერმანიის იმპერიის შექმნამ არსებითად შეცვალა ევროპის სახელმწიფოთა თანაფარდობის სურათი. ერთმანეთს დაუახლოვდნენ საფრანგეთი და რუსეთი; გერმანიის დიპლომატია მომავალი ომის მიზნებისათვის ქმნის სამთა კავშირს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია); ინგლისი ჯერჯერობით კიდევ „ბრწყინვალე იზოლაციის" პოლიტიკას განაგრძობს, ინგლის-რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობები ჯერჯერობით ანეიტრალებენ გერმანიის საფრთხეს; XIX საუკუნის დამლევს კი, როცა გერმანიის საფრთხე ინგლისისათვის მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევს, ინგლისის დიპლომატია ანტიგერმანული კავშირის შექმნას იწყებს, რაც ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდა „სამთა შეთანხმების" სახით (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი).

ფინანსური კაპიტალის ბატონობის პირობებში შეიცვალა თვით დიპლომატიური ურთიერთობის ფორმა და ტექნიკა. იმპერიალისტური ექსპანსია და სამხედრო აგრესია, მსოფლიოს გადანაწილება ძლიერ სახელმწიფოთა შორის, — აი ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაჭრას ემსახურება ამიერიდან საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ამრიგად, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ფინანსური კაპიტალის ვიწრო წრეების კარნახით მზადდება, საგარეო პოლიტიკაში და დიპლომატიაში იზრდება მონოპოლიურ გაერთიანებათა, მსხვილი ბანკებისა და ბირჟების როლი. უმეტეს შემთხვევაში ძველი პროფესიული დიპლომატები, ე. წ. „კარიერის დიპლომატები", ადგილს უთმობენ საქმიანი სამყაროს მსხვილ წარმომადგენლებს, საერთაშორისო მასშტაბის საქმოსნებს, ფინანსისტებს, ბირჟის მაკ-

ლერებს, მსხვილ სპეკულანტებს, დაზვერვის აგენტებს და სხვ. ე. წ. „უსერთუკო დიპლომატებს“ (Shirt-Sleeves Diplomats), რომ-ელიც ამას ინგლისელები იტყვიან ხოლმე.

დიპლომატიურ ურთიერთობათა ახალი მეთოდები კოლონიურ და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მიმართ ინერგებოდა. მათი დაკაბალების ნაცად ხერხებად ამიერიდან გამოყენებულია ფინანსური კონტროლი, კონცესიები, იძულებითი სესხები, ეკონომიური დაზვერვა, „მრჩეველთა“ დანიშვნა. ამ „მშვიდობიან შეჭრასთან“ (penetration pacific) ერთად წარმოებს ძირგამომთხრელი საქმიანობა აჯანყებისა და სასახლის გადატრიალებათა მომზადების გზით. ზდება მარიონეტული მთავრობების შექმნა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობა იხშობა შეიარაღებული ძალების დახმარებით. მათ წინააღმდეგ იმპერიალისტური დიპლომატია არაფერს ზოგავს.

საერთაშორისო ურთიერთობათა აღნიშნულ ეტაპზე იმპერიალისტური სახელმწიფოები კოლონიური ქვეყნების მიმართ „თავისუფალი ვაჭრობის“ ძველი პრინციპის ნაცვლად ნერგავენ ახალ, პირველ ყოვლისა „გავლენის სფეროებისა“ და „ღია კარების“ პრინციპებს, ნახევრადკოლონიური ქვეყნების ექსპლუატაციის მიზნით ფართოდ ნერგავენ არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა სისტემას.

საერთაშორისო ურთიერთობათა აღნიშნულ ეტაპზე ბურჟუაზიული სახელმწიფოები კვლავ ახორციელებენ ფარული დიპლომატიის მეთოდებს, კვლავ გრძელდება ტრადიცია ხალხებისა და საზოგადოებრივი აზრის გარეშე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისა. ტალეირანის ცნობილი პრინციპი — „ენა არსებობს იმისათვის, რომ დაფარო საკუთარი აზრები“—ახალი დროის დიპლომატთათვის უცხო როდი იყო. ფრანგი დიპლომატის ალბერ მუსეს მიხედვით, „კარგი დიპლომატი ისაა, რომელიც დიდის ინტერესით მოისმენს უმნიშვნელო ცნობას და გულგრილად მოეკიდება ფაქტებს, რომლებიც მას განსაკუთრებით აინტერესებს“. ფინანსური კაპიტალის ეპოქის დიპლომატებს შესანიშნავად უდგება ბომარშეს უკვდავი ფიგაროს სიტყვები, რომლითაც იგი იმდროინდელ დიპლომატებს ურჩევდა: „თავი ისე უნდა მოაჩვენო, თითქოს არ იცი ის, რაც იცი, ყურადღება ის, რაც არ გესმის, ყურიდან გაუშვა ის, რაც იცი, დიდ საიდუმლოებად გამოაცხადო ის, რაც საყოველთაოდ ცნობილია,... ღრმა მოაზროვნედ წარმოადგინო თავი, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავში სიცარიელე გაქვს, ამრავლო ჯაშუშები და შეინახო მოღალატეები, გახსნა დალუქული წერილები

და შეეცადო ყველა მდაბალი საშუალება გაამართლო მიზნის სიდიადის ნიშნით...".

მაგრამ, ამჯერად, იმპერიალისტური სახელმწიფოები მაინც უწევს ანგარიშს ფართო მასებს, საზოგადოებრივ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წარმომადგენლობითი ორგანოები ვერ ახერხებს დიპლომატიის საქმიანობაზე საყოველთაო კონტროლის დაწესებას, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტები ფინანსური ოლიგარქიის ნება-სურვილის აღმასრულებელ ორგანოებად იქცა. ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთავრობები და საგარეო პოლიტიკის მესვეურები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით კი მუშათა კლასს და მის პროგრესულ ორგანიზაციებს. მასების პოლიტიკური აქტიურობის ზრდის პირობებში ბურჟუაზიული მთავრობები ფართოდ ნერგავენ პოლიტიკური დეზინფორმაციის მეთოდებს, სურთ რაც შეიძლება უფრო ოსტატურად და შენიღბულად მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი; ამ ამოცანების შესრულებას უპირატესად ანდობენ პრესას, რომელიც მონოპოლიური გაერთიანებების კონტროლს ემორჩილება. ბეჭდვითი ორგანოების მოსყიდვის გზით ფართოდ დაინერგა ე. წ. „რეპტილური" პრესის სისტემა. უკვე XV საუკუნეში საფრანგეთის მეფე ლუი XI თავის ელჩებს ასეთ დარიგებას აძლევდა: „თუ თქვენს მოტყუებას შეეცდებიან, თქვენის მზრივ ეცადეთ უფრო მეტი ტყუილის თქმას". ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრესა სუსტად იყო განვითარებული, საფრანგეთში მოღვაწე დიპლომატი პეტრე პირველს ურჩევდა: მოისყიდეთ გაზეთების რედაქტორები, რათა მათ ჩვენთვის ხელსაყრელი ცნობები ბეჭდონო. XX საუკუნეში, როცა პრესა „მეექვსე დიდ სახელმწიფოდ იქცა", აღნიშნულმა მოვლენამ ფართოდ იჩინა თავი. მასების დეზინფორმაციისათვის ამიერიდან იყენებდნენ არა მარტო საკუთარ, არამედ უცხოეთის პრესასაც. გიზო, ნაპოლეონ III, ტიერი და მესამე რესპუბლიკის ბევრი სხვა მოღვაწე ამ მეთოდს ფართოდ ნერგავდნენ. ბისმარკმა პრესის მოსყიდვის მიზნით სპეციალური ფონდიც კი შექმნა (ამ ფონდს „რეპტილურს" უწოდებდნენ). ბისმარკი ეწეოდა არა მარტო საკუთარი, არამედ უცხოური პრესის (განსაკუთრებით ინგლისის პრესის) მოსყიდვას. 1875 წელს, როცა იგი საფრანგეთზე თავდასხმას ამზადებდა, პრესის საშუალებით მთელი აურზაური ატეხა საფრანგეთის საგანგებო სამხედრო მზადების შესახებ. 1887 წელს, როცა გერმანიის რაიხსტაგმა არმიის შემცირება მოინდომა, ბისმარკმა პრესის საშუალებით საქვეყნოდ გამოაცხადა: ფრანგები გერმანელთა საძოვრებს ესხმიან თავს და გერმანიის

გლეხობის განადგურებას ლამობენო. ბისმარკი დეზინფორმაციის მიზნით იყენებდა ინგლისურ სოლიდურ გაზეთს „ტაიმსს“ და თვით სოლსბერის ორგანოს „სტანდარტსაც“ კი. საყოველთაოდ ცნობილი „ემსის დეპეშა“ დიპლომატიური სიყალბის შესანიშნავი ფაქტია.

ახალი დროის საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში დეზინფორმაციასთან ერთად ფარულად ინერგება „დიპლომატიური ჯაშუშობის“ მეთოდი. ახალი დროის დიპლომატიის ისტორიაში ცნობილია ძირგამომთხრელ და დივერსიულ საქმეებში დიპლომატთა მონაწილეობის მრავალი ფაქტი. ცნობილია აგრეთვე დიპლომატთა ჩარევა იმ ქვეყნების შინაურ საქმეებში, სადაც ისინი აკრედიტებულნი იყვნენ. ინგლისელი დიპლომატი სატოუ. დიპლომატიის პრაქტიკული სახელმძღვანელოს ავტორი, წერდა: „ჩვენ მიგვიჩნია, რომ საერთაშორისო სამართალს მოსყიდვის მიმართ არავითარი საქმე არა აქვს..., რადგანაც ყველა წარმომადგენლობას აქვს ფარული ფონდი; ფულის საშუალებით საიდუმლო ინფორმაციების მოპოვება, როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად უნივერსალური საშუალებაა“, რუსეთის ლონდონელი საელჩოს მეორე მდივანი ზიბერტი გერმანიის მთავრობას საიდუმლო დიპლომატიური საბუთებით ამარაგებდა; გერმანიის საგარეო საქმეთა უწყებას პეტერბურგში ინფორმატორთა მთელი ამალა ჰყავდა; განსაკუთრებით გამოირჩევა გრაფ კლეინმიხელის მეუღლის სალონი და ვირუბოვას წრე. პეტერბურგში მცხოვრები ჩერნოგორელი თავადის ქალები ზორკა და მილიცა (ისინი რუსეთის დიდი მთავრების მეუღლეები იყვნენ) ჩერნოგორიის მთავრის მეშვეობით საიდუმლო ცნობებს აწვდიდნენ იტალიის მეფეს ვიტორიო-ემანუილ II-ეს, ეს უკანასკნელი კი — თავის მოკავშირე გერმანიას ამარაგებდა. ეს ამბები ნიკოლოზ II-ის დროს ხდებოდა, უფრო ადრე კი ალექსანდრე II გერმანიიდან იღებდა ინფორმაციებს ვილჰელმ I-ის ნდობით აღჭურვილი პირის, მისი პირადი წამკითხველის ლეი შნაიდერის საშუალებით; ალექსანდრე II ინფორმატორად იყენებდა აგრეთვე საერთაშორისო ჯაშუშს, გერმანელ კლინდვორტს. ეს უკანასკნელი ინფორმაციებს აწვდიდა აგრეთვე ინგლისის, ავსტრია-უნგრეთისა და საფრანგეთის მთავრობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დიპლომატიური სამსახური ფართოდ ეყრდნობა აგრეთვე სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვის მონაცემებს. დიპლომატი და მზვერავი ამიერიდან თავისებურ სინონიმებად იქცნენ.

1871 წლიდან ევროპაში დამყარდა ე. წ. „შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი მ შ ვ ი დ ო ბ ი ს“ სისტემა, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, სწორედ მშვიდობას უქმნიდა საფრთხეს და ფაქტიურად მოასწავებდა

ახალი ომებისათვის მზადებას. აგრესიულ-მილიტარისტული გერმანიის ძეზობლობა ხელს უწყობდა ევროპის სახელმწიფოთა გამალებულ შეიარაღებას, რომელსაც, ევროპის დიპლომატთა განცხადებით, საყოველთაო მშვიდობა უნდა უზრუნველეყო, მაგრამ მოხდა პირიქით. 1871-98 წწ. კაცობრიობა გახდა მოწმე რამდენიმე ომისა, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის პრელუდიას წარმოადგენდა. ამავე პერიოდში განხორციელდა მრავალი სამხედრო ანექსია ახალი კოლონიების დაპყრობის მიზნით. იყო რამდენიმე საფრთხე დიდ სახელმწიფოთა შორის ომის აღმოცენებისა და სხვ.

ამავე პერიოდმა გამოააშკარავა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის თვალთმაქცური, არაგულწრფელი ხასიათი. რაც უპირველეს ყოვლისა ცალკეულ სახელმწიფოთა შორის კავშირების არასიმყარეში გამოიხატა. ამის საუკეთესო მაგალითია იტალიის პოზიციები სამთა კავშირის მიმართ, „სამი იმპერატორის კავშირის" სისუსტე და სხვ. გერმანიის კანცლერის ბეტმან-ჰოლვეგის ცნობილი ნათქვამი „ნაგლეჯი ქაღალდის" შესახებ, გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევასთან დაკავშირებით კარგად ასახავს ამ ვითარებას.

განსახილველი პერიოდის დამლევს მთავრდება მსოფლიოს განაწილება და დღის წესრიგში დგება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი. 1898 წელს ამერიკა-ესპანეთის ომით იწყება ომები, რომლებიც აღნიშნულ ამოცანებს ისახავდა. ამავე პერიოდში მომზადდა და დაიწყო ამავე ხასიათის მეორე, ე. წ. ინგლის-ბურების ომი (1899—1902). ამავე კატეგორიას ეკუთვნოდა უფრო გვიან დაწყებული რუსეთ-იაპონიის ომი (1904-05)

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი გერმანიის შექმნამ არსებითი ცვლილება შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების ისტორიაში. ამ ფაქტმა და მასთან ერთად ერთიანი იტალიის შექმნამ არსებითად შეცვალეს საერთაშორისო სიტუაცია.

1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან დარბაზში პრუსიის მეფე ვილჰელმ I ერთიანი გერმანიის იმპერატორად გამოაცხადეს. გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ხარობდა თავისი შემოქმედებით—ერთიანი გერმანიით. „გაჩნდა ახალი მტაცებელი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — 1871 წელს შეიქმნა ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც განუზომლად უფრო სწრა-

ფად ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისი... გერმანიის კაპიტალიზმის ეს სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა ძლიერი მტაცებლისა[1]. გერმანიამ განვითარების ტემპებით ინგლისსაც და საფრანგეთსაც გაუსწრო, უკვე XX საუკუნის დასაწყისში მისი მრეწველობა თავისი სიძლიერით აღემატება ინგლისის და საფრანგეთისას და მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს აშშ-ის შემდეგ. მსოფლიო ასპარეზზე გამოსული გერმანიის სახელით ფონ ბიულოვი აცხადებდა: „ევროპამ თავის წრეში დაუშვა ახალი წევრი, რომელსაც აქვს არა მარტო საკუთარი ინტერესები, არამედ შესაძლებლობაც გააჩნია მის დასაცავად". გერმანიის იმპერიალიზმის ეს საშუალება იყო უაღრესად აგრესიული და რეაქციული მილიტარიზმი. გერმანიის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის კავშირმა განაპირობა გერმანიის საგარეო პოლიტიკის უაღრესად აგრესიული ბუნება.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა 1871-98 წწ. ორ ეტაპად იყოფა: I ეტაპზე (70—80-იანი წლები) გერმანია ახორციელებს ბისმარკისეულ „კონტინენტურ პოლიტიკას", რომლის მიზანი იყო ახალგაზრდა გერმანიის იმპერიის შენარჩუნება და განმტკიცება, გერმანიისათვის ევროპაში ჰეგემონობის მოპოვება. აქედან გამომდინარე უპირველეს ყოვლისა გერმანიის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. მათი სახით იგი ხედავდა ევროპაში გერმანიის გაბატონების ძირითად მოწინააღმდეგეებს, რომელთა ტერიტორიების ხარჯზე სურდა მას შეექმნა „დიდი შუა ევროპული სახელმწიფო". ბისმარკი ერიდებოდა ინგლისთან ურთიერთობის გამწვავებას, რაც საზიანო იქნებოდა ზემოაღნიშნული პოლიტიკის განხორციელების საქმეში. ამასთან ერთად ბისმარკი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეპოქაში, როცა იმპერიალიზმი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული; ამით აიხსნება ის, რომ მისთვის კოლონიური პოლიტიკის პრობლემები არ იდგა წინა პლანზე. ცნობილია ბისმარკის სიტყვები: „მე სრულიადაც არა მსურს კოლონიები, ისინი მხოლოდ სინეკურათა შექმნას ემსახურებიან; ესაა ყოველივე, რასაც ამჟამად ინგლისი ღებულობს თავისი კოლონიებისაგან, ისევე, როგორც, თუ გნებავთ, ესპანეთი; ჩვენთვის, გერმანელებისათვის, კოლონიები იგივე იქნებოდა, რაც ფარჩა და აბრეშუმი პოლონელი აზნაურებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ პერანგი აბრეშუმის ტანისამოსის ქვეშ ჩასაცმელად". მაგრამ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24. გვ. 486.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბისმარკი, საერთოდ, გაურ-ბოდა კოლონიურ პოლიტიკას, პირიქით, გერმანიამ თავისი აქტიური კოლონიური პოლიტიკა სწორედ ბისმარკის დროს დაიწყო (1884 წლიდან)[1]. 1889 წლის იანვარში ბისმარკმა რაიხსტაგში განაცხადა: „თავდაპირველად მე არ ვიყავი კოლონიური პოლიტიკის მომხრე. ამ საქმეში სამართლიანი დაეჭვების უფლება მქონდა. მხოლოდ საზოგადოებრივი აზრისა და უმრავლესობის ზემოქმედებამ მაიძულა კაპიტულაციაზე წავსულიყავი და დავმორჩილებოდი მას". გარდა ამისა ბისმარკზე გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ საერთაშორისო ურთიერთობა გერმანიის ასეთი მოქმედების სასარგებლოდ ვითარდებოდა. საფრანგეთის მიერ ტუნისის, ინგლისის მიერ ეგვიპტის, რუსეთის მიერ თურქესტანის დაპყრობამ უაღრესად გაამწვავა საფრანგეთ-იტალიის, ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა. ამ სახელმწიფოთა შორის ქიშპობა უზრუნველყოფდა გერმანიის მდგომარეობას ევროპაში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში მთავრდება გერმანიის იმპერიალიზმის ჩამოყალიბება. ამავე პერიოდისათვის მსოფლიოს განაწილება დასასრულს უახლოვდება, ბრძოლა დედამიწის ჯერ კიდევ გაუყოფელი ნაწილების დატაცებისათვის მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ ბრძოლაში გერმანიაც აქტიურად ჩაება. მისი გამოსვლა კოლონიურ ასპარეზზე გვიან მოხდა. ინგლისმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, რუსეთმა და სხვებმა უკვე მოასწრეს კოლონიების უდიდესი ნაწილის მითვისება. გერმანიის მზარდი კოლონიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი იყო უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იმპერიალისტური ომით ძველი იმპერიალისტური სახელმწიფოების მიმართ. გერმანიის იმპერიალიზმის ამ დაგვიანებული, მაგრამ სწრაფი განვითარებით აიხსნება სწორედ მისი უკიდურესი აგრესიული ხასიათი. აღნიშნულმა ვითარებამ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში ახალი მიმართულება შექმნა. ბისმარკისეული „კონტინენტური პოლიტიკა" ამიერიდან შეიცვალა იმპერიალისტური „მსოფლიო პოლიტიკით" (Weltpolitik). ამ პოლიტიკის ერთ-ერთი

---

[1] 1883 წელს ბრემენელმა ვაჭარმა ადოლფ ლიუდერიცმა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე დააარსა კოლონია ანგრა-პეკენა. ლიუდერიცმა ბისმარკს მოსთხოვა გერმანიის სახელმწიფოს მიერ ამ კოლონიაზე ოფიციალური უფლების გამოცხადება. 1884 წლის 24 აპრილს ბისმარკმა ლიუდერიცის კოლონიაზე გერმანიის პროტექტორატი გამოაცხადა. ეს იყო პირველი გერმანული კოლონია „გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა".

უპირველესი ამოცანა იყო დიდი კოლონიური იმპერიის შექმნა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში — „გავლენის სფეროების“ მოპოვება. მსოფლიო პოლიტიკა წარმოუდგენელია კოლონიური პოლიტიკის გარეშე (Keine Weltpolitik ohne Kolonialpolitik), — ასეთი იყო გერმანიის დევიზი. გერმანიის ახალმა იმპერატორმა ვილჰელმ II-ემ საქვეყნოდ განაცხადა: „მე არ დავზოგავ არავითარ ძალას იმისათვის, რომ გერმანიას მსოფლიოში გაბატონებული სახელმწიფოს მდგომარეობა მოუპოვო“. საგარეო პოლიტიკაში ეს არსებითი ცვლილება „რკინის კანცლერის“ — ბისმარკის პოლიტიკური კარიერის დასასრულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. როცა სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ღრმად მოხუცი ექსკანცლერი გერმანიისა ოტო ფონ ბისმარკი ესტუმრა გერმანიის უდიდეს ნავსადგურ ჰამბურგს და იხილა შორეული რეისით მიმავალი უზარმაზარი საოკეანო გემი, წამოიძახა: „დიახ, ეს სხვა ქვეყანაა, ახალი ქვეყანა!“. ახალმა გერმანიამ საგარეო პოლიტიკის ახალი ამოცანები დაისახა. ამოცანები, რომლებმაც გერმანია და მსოფლიო, სულ მალე, 1914 წელს პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე მიიყვანა.

* * *

საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში თავისებური გარდატეხა იტალიის გაერთიანებულმა სახელმწიფომაც შეიტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის გამოჩენას საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაზე იმდენი გავლენა. ცხადია, არ ჰქონდა, როგორც გერმანიის გამოჩენას. იტალიის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ამოცანათა გრანდიოზულობა მცირე შესაძლებლობათა პირობებში. იტალიის მესვეურებმა იტალია, არც მეტი არც ნაკლები, „დიდი რომის“ მემკვიდრედ გამოაცხადეს. იტალიელებს დიდი ხანია თვალი ეჭირათ ჩრდილო აფრიკის ქვეყნებზე და მათ ხარჯზე ცდილობდნენ შეექმნათ დიდი კოლონიური იმპერია. როცა საფრანგეთმა ტუნისი დაიპყრო, იტალიის უკმაყოფილებამ ფართოდ იჩინა თავი, რადგან ტუნისი მისი პრეტენზიის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი იყო. ამით აიხსნება ის, რომ ამიერიდან იტალიამ ორიენტაცია ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაზე აიღო. მიუხედავად ავსტრია-უნგრეთთან დიდი წინააღმდეგობისა, იგი დაუახლოვდა ამ ორ სახელმწიფოს და შეიქნა საფუძველი „სამთა კავშირის“ შექმნისა. ამ ნიადაგზე საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა დღითი დღე უარესდებოდა. მათ შორის წინააღმდეგობას აღრმავებდა აგრეთვე მაროკოს პრობლემა. საფრანგეთი მაროკოთიც იყო დაინტერესებუ-

ლი და მის დაპყრობას. ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ. „ტუნი-სიფიცირებას“ ამზადებდა. იტალიელები აცხადებდნენ: „იტალია დაინტერესებულია ხელი შეუშალოს ზედ მის ჭიშკართან დიდი აფრიკული სახელმწიფოს შექმნას“. იტალია ყურადღებით ადევნებს თვალს ფრანგების მისწრაფებას მაროკოში და ზრუნავს იმაზე, რომ იქ „Status quo“ არ დაირღვეს. იტალია ცდილობს დააბანდოს თავისი კაპიტალი მაროკოში და სხვაგან (მაგალითად, მან 1889 წელს ააშენა იარაღის დიდი ქარხანა ქ. ფესში. მაროკოს მთავრობის დაკვეთით იტალიამ ააგო სამხედრო ხომალდი).მიუხედავად დიდი სურვილებისა, იტალიას არ გააჩნდა საკმარისი ძალა იმისათვის, რომ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა განეხორციელებინა და დაპირისპირებოდა ძლიერ სახელმწიფოებს. ამიტომ იგი თავის საგარეო პოლიტიკას დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა ფონზე აგებდა. ეძიებდა ამა თუ იმ ჯგუფთან დაახლოების თავისთვის სასურველ კომბინაციას. ჯერ იგი გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბანაკში აღმოჩნდა, თუმცა მათთან წინააღმდეგობანი დაძლეული არ იყო. საფრანგეთი გრძნობდა ამას და ცდილობდა იტალია მოეწყვიტა ამ უპირატესად ანტიფრანგული ბლოკისაგან. 1888 წელს საფრანგეთმა იტალიას საბაჟო ომი გამოუცხადა. რამაც საფრანგეთის ეკონომიკაზე დიდად დამოკიდებულ იტალიაში მწვავე სამეურნეო კრიზისი გამოიწვია; ამას ზედ დაერთო იტალიელთა მარცხი ეთიოპიასთან (აბისინიასთან) ომში (1896 წ.); ამიერიდან იტალია საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცა (1900 წელს მწვავე კრიზისის დროს იტალიამ სესხი საფრანგეთისაგან მიიღო), აქედან მოყოლებული იტალიის ყოფნა „სამთა კავშირში“ მხოლოდ ფორმალობად იქცა: დაიწყო საფრანგეთ-იტალიის დაახლოება, შემდეგ კი იტალია ინგლის-საფრანგეთის ბანაკში აღმოჩნდა.

* * *

საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიას განხილულ პერიოდში უდიდესი კვალი დაამჩნია აშშ-ის გამოსვლამ მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე. აშშ აღნიშნულ პერიოდში უძლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და XIX საუკუნის დამლევს მსოფლიო ეკონომიურ ასპარეზზე მტკიცედ დაიკავა პირველი ადგილი. 1898 წლის 27 აპრილს ამერიკელმა სენატორმა ალბერტ ბევერიჯმა საქვეყნოდ განაცხადა: „ამერიკის ქარხნებში გაცილებით იმაზე მეტს ამზადებენ, რისი მოხმარებაც ამერიკელ ხალხს

შეუძლია. ამერიკის მიწა უფრო მეტს იძლევა, ვიდრე ეს მას სჭირდება. ბედმა წინასწარ ძოგვიხაზა ჩვენ ჩვენი პოლიტიკა. მსოფლიო ვაჭრობა ჩვენი უნდა იყოს და იგი ჩვენი იქნება. ჩვენ ხელთ უნდა ვიგდოთ იგი, ისე როგორც ეს ჩვენმა დედამ — ინგლისმა გვასწავლა. მთელს მსოფლიოში სავაჭრო პოსტებს შევქმნით, რომლებიც ამერიკის პროდუქტების განმანაწილებელი იქნება. ოკეანეებს ჩვენი გემებით ავავსებთ; ჩვენ ჩვენი სიდიადის შესაფერის სამხედრო ფლოტს შევქმნით. ჩვენს სავაჭრო დასახლებათა გარშემო შეიქმნება თვითმმართველობის მქონე დიდი კოლონიები, რომელთა თავზე ჩვენი დროშები იფრიალებენ და რომლებიც ჩვენთან ივაჭრებენ. ჩვენს ვაჭრობას თან გაჰყვებიან ჩვენი წესები. და ამერიკული კანონები, ამერიკული წესწყობილება, ამერიკული ცივილიზაცია და ამერიკული დროშა განმტკიცდებიან იმ სანაპიროებზე, რომლებიც სისხლით იყვნენ მორწყულნი და სადაც ღრმა წყვდიადი სუფევდა. რომლებიც ამიერიდან ღვთის ნებით შესანიშნავ და ნათელ ადგილებად გადაიქცევიან". ამერიკის კაპიტალიზმის ამ საბრძოლო მოწოდების განხორციელება ევალებოდა უპირველეს ყოვლისა აშშ საგარეო პოლიტიკას.

„მსოფლიო პოლიტიკის" კურსი აშშ-მა უკვე XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან აიღო. ამიერიდან მონროს ცნობილი დოქტრინა — „ამერიკა ამერიკელებისათვის", ანუ „ამერიკა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის" ახლებურად ეღერს: „მსოფლიო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის". XIX საუკუნის პირველ ნახევარში აშშ-ის აგრესიის ობიექტს ამერიკის კონტინენტი წარმოადგენს, იგი თანდათან იმორჩილებს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს, უპირატესად ეკონომიური დაკაბალების გზით, ხშირად სამხედრო ინტერვენციასაც მიმართავს (მაგ. ამერიკა-მექსიკის ომები). 50-იანი წლებიდან მოყოლებული აშშ შეიჭრა წყნარი ოკეანის აუზში, შეაღწია შორეულ აღმოსავლეთს. XIX საუკუნის დამლევს იგი უკვე მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს დაკაბალებას ცდილობს.

ფინანსური კაპიტალის კარნახით ამერიკის საგარეო პოლიტიკა მტკიცედ ახორციელებს მსოფლიო დაკაბალების გეგმას, ცდილობს მთელი კაცობრიობა ამერიკის მონოპოლისტთა საწველ ფურად აქცეოს.

აშშ თავის საგარეო პოლიტიკის განხორციელების საქმეში ყველა აქამდე ნაცად ხერხს იყენებს, ამასთან ერთად ნერგავს ახალ, ორიგინალურ ამერიკულ მეთოდებს. სარგებლობს რა თავისი შეუდარებელი ეკონომიური პრიორიტეტით, რომელიც მან მსოფლიო-

ყველა სახელმწიფოსთან შედარებით მოიპოვა, სარგებლობს რა იმით, რომ მას სხვა ქვეყნების კონკურენცია ვერაფერს დააკლებს, აშშ თავის აგრესიულ პოლიტიკას უპირველეს ყოვლისა „მშვიდობიანი შეჭრის“ პოლიტიკით ნიღბავს, ეკონომიურად დაკაბალებულ, დოლარებით დაპყრობილ ქვეყნებს იგი ფორმალურად უნარჩუნებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, არ ცდილობს ისინი ევროპელების მსგავსად უშუალოდ კოლონიებად აქციოს. ამას ითვალისწინებდა, მაგალითად, ე. წ. „ღია კარების“ დოქტრინა, რომელიც 1899 წელს სექტემბრის თვეში წამოაყენა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰეიმ. დოქტრინა ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური ნოტის სახით, რომელიც ჩინეთის დაკაბალების ახალ გეგმას წარმოადგენდა (ნოტა გაეგზავნა ინგლისს, გერმანიას და რუსეთს 6 სექტემბერს, საფრანგეთსა და იაპონიას 13 სექტემბერს, იტალიას 17 სექტემბერს). ურთიერთ კონკურენციის შიშით ეს სახელმწიფოები ჩინეთის მიმართ „გავლენის სფეროების“ პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვდნენ. აშშ მათ სთავაზობდა „თანასწორ შესაძლებლობათა“ და „ღია კარების პრინციპების“ დაცვას: ინდივიდუალური კონტროლის ნაცვლად—საერთაშორისო კონტროლს. „ღია კარების“ პრინციპის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში აშშ იმედოვნებდა, რომ თავისი მზარდი, ძლიერი ეკონომიკის საშუალებით ეკონომიურ ჭიდილში ადვილად სძლევდა ყველა მეტოქეს, დაეპატრონებოდა ჩინეთის ბაზარს, ხოლო შემდეგ კი ადვილი იყო „ღია კარების“ დახურვა და იქ დარაჯად ჯარისკაცის დაყენება, რომ ოთახში კვლავ არავინ შემოსულიყო. როგორც ჩინელი ისტორიკოსი ლიუ და ნიანი აღნიშნავს, „ღია კარების“ პოლიტიკის გამოცხადება ნიშნავდა ამერიკის შემოტევის გაძლიერებას და, ამავე დროს, სრულიადაც არ ნიშნავდა ჩინეთზე სხვა სახელმწიფოების შემოტევის შესუსტებას. ამასთანავე ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ „ღია კარების“ პრინციპის გამოცხადებით ისინი ჩინეთის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა შარავანდედით შეიმოსებოდნენ და ამით ჩინელი და სხვა ხალხების თვალში გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდნენ. აკი სხვა ქვეყნები ჩინეთის „გავლენის სფეროებად“ დანაწილებას, მისი ტერიტორიული ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოშლას ითვალისწინებდნენ. ჭეშმარიტად ოსტატურად შენიღბული ექსპანსიონისტური დოქტრინა იყო „ღია კარების“ აღნიშნული პრინციპი.

ჩინეთის „გავლენის სფეროებად“ დაყოფა ამერიკისათვის მა-

შინ მიუღებელი იყო, რადგანაც მას არ ძალუძდა ახლო მომავალში აქ ასასურველი სფეროები შემოეფარგლა, ამისათვის მას შორეული აღმოსავლეთის წყლებში არ ჰყავდა შესაფერისი ძალის ფლოტი, არც აუცილებელი სამხედრო-საზღვაო ბაზები გააჩნდა. ერთი სიტყვით, იარაღით ჩინეთის დაპყრობა ადვილი არ იყო. აქ მტკიცედ იყვნენ მოკალათებულნი მსოფლიოს ძველი მტაცებლები — ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, მათი ახალგაზრდა პარტნიორი გერმანია და სხვა. აი, რატომ ეწინააღმდეგებოდა ამერიკა ჩინეთის ნაჭერ-ნაჭრად დაქუცმაცებას. ამერიკა უფრო შორს იცქირებოდა, პერსპექტივაში მას ესახებოდა ჩინეთი, როგორც მთლიანი უზარმაზარი ბაზარი და ნედლეულის წყარო, როგორც მისი მონოპოლიური მფლობელობა. „თანასწორ შესაძლებლობათა“ პრინციპის ამერიკელი ავტორების ჭეშმარიტი მიზნები თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მათ ფილიპინების კარები სხვა ქვეყნებისათვის მაგრად ჩაკეტეს, ასეთივე ბედს უმზადებდნენ ისინი ჩინეთს. ამასთან ერთად ჩინეთის მთლიანობის ამერიკელი „დამცველები“ ფხიზლად იყვნენ და, იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის დაყოფა მაინც მოხდებოდა, თავისთვის გარკვეულ ტერიტორიებს ითვალისწინებდნენ. იგივე ჰეი ჩინეთის გაყოფის შემთხვევაში ამერიკისათვის ითხოვდა ჩეილის (ხებეი) პროვინციას; 1900 წელს იგი ცდილობდა ჩინეთისაგან მიეღო დიდი საზღვაო ბაზები სამსას უბეში (ფუძიანის პროვინცია). არც ისაა შემთხვევითი, რომ იხეტუანის (ბოქსიორთა) აჯანყების დროს (1897 — 1900) აშშ ჩინელი ხალხის ერთ-ერთი მთავარი ჯალათის როლში მოგვევლინა. აქ ამერიკელებმა გაგზავნეს სამხედრო რაზმი გენერალ ჩეფის მეთაურობით. ეს იყო უკვე „სახელგანთქმული“ შემმუსვრელი ჩაგრული ხალხებისა. მისი მხედრული რისხვა ადრე განიცადეს ტეხასისა და არიზონას ინდიელებმა, კუბის მოსახლეობამ და სხვ. 1901 წლის 7 სექტემბერს ჩინეთი აიძულეს ხელი მოეწერა ე. წ. „დასკვნითი ოქმისათვის“. მას დაადეს უზარმაზარი კონტრიბუცია 32.900 მილიონი ლიანის რაოდენობით. ჩინეთმა მარტო ამერიკას 25 მილიონი დოლარი გადაუხადა. სხვა ქვეყნებთან ერთად ამერიკამაც მოიპოვა ჩინეთში ჯარების ყოლის უფლება. უცხოელებმა მოიპოვეს უფლება კონტროლი გაეწიათ ჩინეთის საბაჟოებისათვის და აეკრიფათ ძირითადი გადასახადები.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ამერიკის აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ ახალი მეთოდები შეიმუშავა, რომელთაც „დოლარის დიპლომატიას“ და „დიდი კეტის“ ანუ „ხიშტის დიპლომატიას“ უწოდებენ. სხვა ქვეყნების ფინანსურ დაკაბალებასთან ერთად ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა საჭირო შემთხვევაში მათ ოკუპაციას (ანდა

ოკუპაციის მუდმივ მუქარას). საგარეო ურთიერთობათა ასპარეზზე ხიშტი, ხელკეტი და დოლარი ერთმანეთს ავსებდნენ. ან ხიშტი უკვლევდა გზას დოლარს, ან, პირიქით, ამერიკული დოლარი, რომელიც ეყრდნობოდა შეერთებული შტატების პოლიტიკურ და სამხედრო აპარატს, ეკონომიურად იმონებდა მცირე ქვეყნებს, უტოვებდა მათ მხოლოდ ფორმალურ დამოუკიდებლობას. „დოლარის დიპლომატის" ზურგს უკან დგას და მას მხარს უჭერს ამერიკის არმია და ფლოტი. ამ მხარდაჭერას ითვალისწინებდა აშშ-ის მთავრობა, როცა XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე სამხედრო ბიუჯეტი 300%-ზე მეტად გაზარდა. პრეზიდენტი ტაფტი „დოლარის დიპლომატიას" ასე ახასიათებს: „ესაა ტყვიების დოლარებით შეცვლა პოლიტიკა, ესაა ამერიკის ვაჭრობის გაფართოებისაკენ აშკარა მიზწრაფება. ამასთან ერთად, აუცილებლად გათვალისწინებულია ის, რომ აშშ-ის მთავრობამ საზღვარგარეთ ამერიკელთა კანონიერ და სასარგებლო საქმიანობას ყოველგვარი შესაძლებელი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს".

„დოლარის დიპლომატიის" ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი აშკარად დაკავშირებულია უოლსტრიტის მაგნატებთან და მათი კარნახით ხორციელდება. პროგრესული ამერიკელი მწერალი ჯონ მარიონი წერს: „ზოგჯერ აშკარადაც კი ჩანს, რომ მათ შორის (უოლსტრიტი და სახელმწიფო დეპარტამენტი — გ. კ.) მთლიან შერწყმასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ერთი და იგივე პირები ხან გამოდიან როგორც შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები, ხან უშუალოდ ამერიკელ ბანკირებს ემსახურებიან, სარგებლობენ რა, ამასთან ერთად, სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით". ამერიკის დიპლომატია ფართოდ იყენებდა აგრეთვე ცალკეული ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის პოლიტიკას (მარიონეტული მთავრობების შექმნისა და სახელმწიფო გადატრიალებათა გზით), კაბალური იძულებითი სესხების ძალად თავზე მოხვევის მეთოდს, ფინანსურ კონტროლს, კონცესიებს და სხვ. ეკონომიური და პოლიტიკური აგრესიის უმთავრეს იარაღად კი მაინც სამხედრო აგრესიის მეთოდი რჩებოდა.

* * *

1871-98 წწ. საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გავეცნოთ ამ ურთიერთობათა კონკრეტული მსვლელობის ისტორიას.

1871 წლის 10 მაისს მაინის ფრანკფურტში გერმანიასა და საფ-

რანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, საფ-
რანგეთს დაეკისრა უზარმაზარი კონტრიბუცია 5 მილიარდი ოქროს
ფრანკის რაოდენობით, მან გერმანიას დაუთმო ეკონომიურად და
სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი რაიონები ელზასისა და ლო-
რენის სახით.

საფრანგეთი ამ აშკარად მძარცველურმა ხელშეკრულებამ უ-
დურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საზავო ხელშეკრულება
ოდნავადაც არ მოასწავებდა ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთო-
ბათა თუნდაც ოდნავ ნორმალიზაციასაც კი. პირიქით, მათ შორის
ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, რაც უპირველეს ყოვლისა საფ-
რანგეთში რევანშისტული მოძრაობის ფართო აღმავლობაში გამო-
ხატა. ეს ვითარება, თავის მხრივ, საფუძველი გახდა გერმანიაში
სამხედრო დესპოტიზმის სისტემის შემდგომი განმტკიცებისა. ორ-
ივე მხარე გამალებით იარაღდება, მათ შორის კონფლიქტი გრძელდე-
ბა და, მარქსის თქმით, მათ შორის ომის საფრთხე „ევროპული
ინსტიტუციის“ ხასიათს ღებულობს. ბისმარკი ფართოდ იყენებს
საფრანგეთის მხრივ რევანშის საფრთხეს, შინაგან პოლიტიკაში ფარ-
თოდ ეყრდნობა მილიტარისტულ-აგრესიულ ძალებს. ზრდის არმიას,
აფართოებს შეიარაღებას.

ომმა და შინაგანმა პოლიტიკურმა გართულებებმა (განსაკუთ-
რებით პარიზის კომუნამ) საფრანგეთის ყველა ჯანსაღად მოაზროვ-
ნე პოლიტიკოსი დაარწმუნა იმაში, რომ ძალთა მოკრების მიზნით
საფრანგეთი საჭიროებს მშვიდობას, რომ აღნიშნულ ეტაპზე ომის
დაწყება საფრანგეთისათვის მომაკვდინებელი შეცდომა იქნებოდა.
ამასთან ერთად ომის გამოცდილებამ ცხადყო, რომ გერმანიასთან
მოკავშირეების გარეშე ომი არ შეიძლებოდა. აქედან გამომდინარე
70-იანი წლების საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა წინაშე ორი
რეალური ამოცანა დაისახა: პირველ ყოვლისა გათვალისწინებული
იყო საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის რაც
შეიძლება სწრაფად აღდგენა, მეორე მხრივ, გადაიდგა ნაბიჯები მო-
კავშირეთა შესაძენად. საფრანგეთი მზად იყო გერმანიის ყველა
შესაძლო მოწინააღმდეგეს შეკვროდა და ევროპის ყოველგვარ
კონფლიქტი გერმანიის საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა. ტიერის
მეთაურობით მომაგრების პროცესში მყოფი საფრანგეთი მიისწრაფ-
ვის იშოვოს მოკავშირეები (ისინი მომავალ მოკავშირეებად ითვა-
ლისწინებდნენ ავსტრია-უნგრეთს, ინგლისს, რუსეთს) და თავი და-
აღწიოს იზოლაციას, რომელიც 1870 წელს მისთვის საბედისწერო
აღმოჩნდა.

ბისმარკი, რომელსაც. რუსი დიპლომატის პეტრე შუვალოვის

თქმით, არ ასვენებდა „კოალიციის კოშმარი“, ითვალისწინებდა საფრანგეთის ამ განწყობილებას და დაუყოვნებლივ შეუდგა კონტრლონისძიებათა გატარებას. უპირველეს ყოვლისა მან მიზნად დაისახა საფრანგეთის იზოლაციის განმტკიცება და ამ მიზნით განახორციელა სამი სახელმწიფოს — რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის დაახლოება, რაც საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ძალზე არაზუსტი, „სამი იმპერატორის კავშირის (შეთანხმების)“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს „კავშირი“ ფაქტიურად მოასწავებდა 1872 წელს სამი იმპერატორის (ალექსანდრე II, ფრანც-იოზეფი, ვილჰელმ I) ბერლინში შეხვედრის შედეგად ამ სახელმწიფოთა შორის შექმნილ ურთიერთობებს. ბისმარკი, როცა ამ სამი სახელმწიფოს დაახლოებას შეეცადა, დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის ყველა შესაძლო მოწინააღმდეგეს ჰყავდა პოტენციური მოკავშირე საფრანგეთის სახით, რომ საფრანგეთი ანტიგერმანული კავშირის შეკვრაზე ყველა ვარიანტში თანახმა იყო. ეს კავშირი რომ შესაძლებელი იყო ამას ბისმარკი კარგად გრძნობდა. გერმანიის ახალგაზრდა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური ძლიერების კოლოსალური და სწრაფი ზრდა ერთნაირად გვრიდა შიშს ევროპის ყველა სახელმწიფოს, რაც გერმანიის წინააღმდეგ მათი გაერთიანების რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა. აქედან გამომდინარე, ბისმარკს სრული უფლება ჰქონდა ევარაუდა ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოება.

პრუსიასთან 1866 წელს დამარცხებულ ავსტრიაში, ისევე როგორც 1870 წელს დამარცხებულ საფრანგეთში, დიდი იყო რევანშისტული ტენდენცია, რასაც ავლენდნენ კიდეც ავსტრიის პოლიტიკოსები, — გრაფი ჰოჰენვარტი, ფონ ბოისტი და სხვ. მაგრამ მალე ავსტრიის პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ სედანთან განადგურებულ საფრანგეთთან კავშირი ამაოა, შესაბამისად შეუძლებელია ავსტრიისათვის გერმანიაში ჰეგემონობის აღდგენაზე ფიქრიც. ავსტრია-უნგრეთმა რევანშიზმზე საბოლოოდ უარი თქვა 1871 წლიდან, როცა საგარეო საქმეთა სათავეში აღმოჩნდა უნგრელი დიულა ანდრაში. ანდრაში სლავებისა და რუსეთის სახით ავსტრიის მთავარ მოწინააღმდეგეებს ხედავდა, განსაკუთრებით ბალკანურ პოლიტიკაში. ანდრაში გერმანიისა და ინგლისის სახით ხედავდა ავსტრია-უნგრეთის ყველაზე რეალურ მოკავშირეებს. ანდრაშის მიხედვით, რახან ავსტრია-უნგრეთმა უარყო კავშირი საფრანგეთთან, ამიტომ გერმანიამ რუსეთთან კავშირი უნდა უარყოს.

ბისმარკი მიესალმებოდა ანდრაშის პოლიტიკას, მაგრამ მის ან-

ტირუსულ პოზიციას არ იზიარებდა, იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ავსტრია-უნგრეთ — რუსეთის დაახლოებას.

ბისმარკი პრინციპში ანტირუსული ორიენტაციისა იყო. მას ყოველთვის სძაგდა იგი და, ამასთანავე, ეშინოდა მისი. იგი, როგორც რეალური პოლიტიკოსი, ყოველთვის გაურბოდა რუსეთთან ომს. მას თვალწინ ედგა ნაპოლეონ I-ის მწარე გაკვეთილი, მუდამ რეალისტურად აფასებდა ომის მთელ სიძნელეებს: გიგანტური სივრცე, მკაცრი კლიმატი, ადამიანთა ამოუწურავი რეზერვები, ამოუწურავი რესურსები, რუსი ჯარისკაცის ბუნება და სხვ. ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების პირობებში მის „კონტინენტურ პოლიტიკას", კერძოდ, ახალგაზრდა იმპერიის მომავალს საფრთხე შეექმნებოდა; ბისმარკს განსაკუთრებით აშინებდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, მას ორ ფრონტზე ბრძოლის საფრთხისაგან თავის დაზღვევა აუცილებელ ფაქტორად მიაჩნდა.

რუსეთი, რომელიც, როგორც ცნობილია, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს პრუსიის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებდა (ეს ბისმარკის დიპლომატიის დიდი წარმატება იყო), სრულიადაც არ იყო მომზრე საფრანგეთის სრული განადგურების, აშკარა იყო, რომ იგი გერმანიის განუზომელ გაძლიერებას გულგრილად ვერ შეხვდებოდა. რადგანაც ასეთი ვითარება ევროპაში ძალთა წონასწორობის აშკარა დარღვევას მოასწავებდა. ნიშანდობლივია, რომ თვით სამი იმპერატორის მოლაპარაკების დროს ბერლინში, 1872 წლის სექტემბერში გორჩაკოვმა საფრანგეთის ბერლინელ ელჩს გონტო-ბირონს განუცხადა, რომ „ევროპას სჭირდება ძლიერი საფრანგეთი", იგივე განუმეორა ელჩს ალექსანდრე II-ემ; რუსები ამშვიდებდნენ საფრანგეთის ელჩს, რომ ისინი მხოლოდ აღადგენდნენ რევოლუციის წინაალმდეგ თანამშრომლობას, რომელიც მეტერნიხისა და ნიკოლოზ I-ის დროს ხორციელდებოდა. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია „სამი იმპერატორის კავშირს" გარკვევით ახასიათებდა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამასთან ერთად რუსეთი არ იყო კმაყოფილი იმ ანაზღაურებით, რომელიც მან ბისმარკისაგან მიიღო ნეიტრალიტეტის საზღაურად, კერძოდ, მხარდაჭერა 1856 წლის პარიზის ზავის გადასინჯვისა და შავ ზღვაზე თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხში.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანია-რუსეთის დაახლოებას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ამის უპირველესი საწინ-

დარი იყო რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება. თითქმის მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი აღინიშნა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობით, განსაკუთრებით აღმოსაკლეთის საკითხში. ინგლისი ცდილობდა არ დაეშვა რუსეთი დარდანელთან, ყოველნაირად აფერხებდა (შემდგომში იაპონიის დახმარებით) რუსეთის ექსპანსიას შორეულ აღმოსავლეთში; ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგობები მწვავედ ეჯახებოდნენ ერთმანეთს შუა აზიაშიც.

განხილულ პერიოდში ინგლისსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც ხივის სახანოს საკითხთან წამოჭრილმა კონფლიქტმა განაპირობა (1873 წელს რუსეთის გენერალმა კაუფმანმა დაიკავა ხივის სახანოს დედაქალაქი. ხანმა დაუთმო რუსეთს სრული უფლებები მდინარე ამუ-დარიას მარჯვენა სანაპიროს მიმართ, ბუხარის საზღვრიდან არალის ზღვამდე). რუსეთისათვის იმ მომენტში მოკავშირედ შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანია, რომელიც თვითონაც მოსურნე იყო დაახლოებისა. ახლებურად დგებოდა ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის პრობლემაც. ინგლისისათვის ამჯერად რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე უფრო რეალურ მოკავშირედ ავსტრია-უნგრეთი ჩანდა. რუსეთი, ცხადია, მზად იყო ჩაეშალა ეს კომბინაცია. ამიტომ მიესალმა იგი ბისმარკის ცდას, აეძულებინა ანდრაში უარეყო ინგლისური ორიენტაცია და რუსეთთან მოერიგებინა. ამასვე ცდილობდა ბერლინის შეხვედრის დროს გორჩაკოვიც.

ბისმარკის ცდამ ნაყოფი გამოიღო. ანდრაშიმ და გორჩაკოვმა შეძლეს გამოენახათ საერთო ენა. მათი ვაჭრობის ობიექტი, ცხადია, ბალკანეთი იყო. გორჩაკოვმა აღუთქვა ანდრაშის, რომ რუსეთი არ დაუჭერს მხარს „დიდი სერბეთის“ პროპაგანდას და დაკმაყოფილდება ბალკანეთზე არსებული „Status quo“-თი. გორჩაკოვმა ინგლის-ავსტრია-უნგრეთის დაახლოების საფრთხისაგან თავი დაიზღვია, ამჯერად ინგლისთან კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთის დასავლეთ საზღვრებს საფრთხე აღარ ელოდა. ავსტრია-უნგრეთი ჰპირდებოდა რუსეთს, რომ არ აამხედრებდა პოლონელებს რუსეთის წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და რუსეთის დაახლოება არ იყო მყარი და იგი უფრო მიმდინარე კონიუნქტურის შესაბამისად აწესრიგებდა ამ სახელმწიფოთა ურთიერთობას; სულ მალე აღნიშნულმა გარემოებამ მთელი სიცხადით იჩინა თავი. ამიტომაა, რომ სახელწოდება „სამი იმპერატორის კავშირი“ მეტად ნყვირალად ჟღერს.

1872 წლის სექტემბერში ბერლინში ჩამოვიდა ფრანც-იოზეფი.

სადოვასთან 1866 წ. დამარცხებული, მეგობრად ეახლა გამარჯვებულს. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II შეაშფოთა ამ ვიზიტმა, იგი შიშობდა არ გამორჩენოდა ბისმარკის მიერ ორგანიზებულ დიპლომატიურ კონცერტს. ბალტიის ფლოტის მანევრების დროს შან გარკვევით აგრძნობინა გერმანიის ელჩს, რომ იგი მზადაა ჩავიდეს გერმანიაში. ბისმარკმა საწადელს მიაღწია. ალექსანდრე II გორჩაკოვთან ერთად ბერლინს ჩავიდა.

გარეგნულად სამი იმპერატორის შეხვედრა ძველი „საღვთო კავშირის" აღორძინების ნიშნით ჩატარდა. ამის საბაბს თვით მონარქები იძლეოდნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათი შეხვედრა არის დემონსტრაცია „რევოლუციების" წინააღმდეგ, რომ მათი მსჯელობის ობიექტია უშუალოგობის ახალი წყარო, — მარქსიატული ინტერნაციონალი. ცხადია, ეს არ იყო მათი შეხვედრის მთავარი მიზანი, მაგრამ, ასეთი განზრახვა რომ ჰქონდათ, ეს ფაქტია. განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს უბრალოდ იმიტომ, რომ 1871-75 წწ. ევროპაში რევოლუციური მოძრაობა ფართოდ არ აღინიშნებოდა. ამ შეხვედრებისას რაიმე რეალური გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

1873 წლის მაისში პეტერბურგს ეწვია ვილჰელმ I. ბისმარკისა და მოლტკეს თანხლებით. აქ შემუშავებულ იქნა რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენცია. გერმანიის მხრივ მას ხელი მოაწერა მოლტკემ, რუსეთის მხრივ — თავადმა ბარიატინსკიმ; ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინეს ვილჰელმ I-მა და ალექსანდრე II-ემ. კონვენციის თანახმად, ორივე სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობდა მათზე თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთისათვის გაეგზავნათ არმია 200.000 კაცის რაოდენობით. ბისმარკი აცხადებდა, რომ კონვენცია ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა მას ავსტრია-უნგრეთი შეუერთდებაო. ავსტრია-უნგრეთს კი ეშინოდა ინგლისის წინააღმდეგ ომში ჩათრევისა და ეს არ მოხდა. ფაქტიურად ეს კონვენცია დარჩა როგორც სადავო დოკუმენტი. 1873 წლის 6 ივნისს ალექსანდრე II და გორჩაკოვი ვენას ესტუმრნენ, ორ სახელმწიფოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც მოკლებული იყო რეალურ ძალას, იგი უფრო მეტად კონსულტატიური ტიპის პაქტს მოგვაგონებდა. ამ შეთანხმებაში მხოლოდ კეთილი სურვილები უფრო სჭარბობს, ვიდრე რეალური, კონკრეტული ვალდებულებები. ორივე მონარქი ვალდებულებას კისრულობდა მათზე რომელიმე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში შეემუშავებინათ „ერთიანი მოქმედების გეზი". თუ ასეთი შეთანხმების შემთხვევაში საჭირო გახდებოდა საომარი მოქმედების დაწყება, მაშინ მათი ხა-

სიათი უნდა განესაზღვრათ სპეციალური სამხედრო კონვენციით. ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა ყველა სადავო საკითხი ურთიერთ მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ და მიეღოთ სათანადო შეთანხმება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

რუსეთსა და ავსტრიას შეუერთდა აგრეთვე გერმანიაც იმავე წლის 23 ოქტომბერს, თუმცა ამ შეთანხმების მუხლები მხოლოდ რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობას განსაზღვრავდა.

„სამი იმპერატორის კავშირის" რაობა კარგად განსაზღვრა ა. ტეილორმა. გათვალისწინებული იყო, — წერს იგი, — რომ კავშირი ევროპაში მშვიდობის დაცვისაკენ იყო გამიზნული. ნამდვილად კი მას შეეძლო ეარსება მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ევროპაში მშვიდობა იქნებოდა. ეს ისეთივე არასაიმედო სისტემა იყო, როგორც ადრე „საღვთო კავშირი". მისი მოსპობა დაუყოვნებლივ შეეძლო საფრანგეთსა და გერმანიას შორის ახალ კონფლიქტს, ან აღმოსავლეთის საკითხის ახალ შემობრუნებას.

* * *

ევროპაში შექმნილმა პირველმავე სერიოზულმა გართულებამ დაადასტურა „სამი იმპერატორის კავშირის" უდღეურობა. საქმე ეხებოდა საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმის საფრთხეს, რომელიც 1875 წელს შეიქმნა. საფრანგეთი სწრაფად იშუშებდა ომით მიყენებულ ჭრილობებს. 1872 წელს ფრანგებმა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესი აღადგინეს. 1873 წლის 24 მაისს ტიერი გადადგა, მისი ადგილი მონარქისტებისა და კათოლიკების კრეატურამ—მარშალმა მაკ-მაონმა დაიკავა. 1873 წ. 16 სექტემბერს გერმანიის საოკუპაციო ჯარებმა დატოვეს საფრანგეთის ტერიტორია. საფრანგეთში ფართოდ გაიშალა შეიარაღებული ძალების ზრდისა და განმტკიცების პოლიტიკა, საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ჰერცოგი დე ბროი, ხოლო შემდეგ დეკაზი ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად მიეღწიათ წარმატებებისათვის საგარეო პოლიტიკაში.

ბისმარკმა ომით დამუქრების პოლიტიკა არჩია. მან აქტიურად განახორციელა პოლიტიკა, რომელიც ჯერ კიდევ 1871 წელს ასე ჩამოაყალიბა: საფრანგეთის მიერ ძალების მოკრებას როდი უნდა ველოდოთ, როცა ასეთი საფრთხე რეალური გახდება, „საჭირო იქნება დაუყოვნებლივ დავარტყათ".

საფრანგეთის მიმართ მუქარის პოლიტიკა ბისმარკმა ჯერ კიდევ 1872 წელს გამოიყენა, როცა აიძულა ტიერი უყოყმანოდ მიეღო კონტრიბუციის გადახდის გერმანული წინადადება.

1873 წლის აგვისტოში ქ. ნანსის ეპისკოპოსმა მოწოდებით მიმართა მორწმუნეებს ელოცათ ელზას-ლორენის დაბრუნებისათვის.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით ბისმარკმა სასტიკი განგაში ატეხა. მან გამოიყენა „რეპტილური პრესა“ და ვითარება ისე დახატა. თითქოს საფრანგეთი რევანშისთვისაა მზად, თითქოს მშვიდობას საფრთხე ელის და სხვ. საფრანგეთის მთავრობას ბისმარკმა ნანსის ეპისკოპოსის დასჯა მოსთხოვა.

დეკაზმა იგრძნო ომის რეალური საფრთხე; მან საყოველთაო განგაში ატეხა, ავსტრია-უნგრეთს, რუსეთსა და ინგლისს დახმარებისაკენ მოუწოდა. ამჯერად დეკაზს გაუმართლა: დედოფალმა ვიქტორიამ 10 თებერვალს მოუწოდა ვილჰელმ I-ს „გამოეჩინა სულგრძელობა“. პეტერბურგში ვიზიტად მყოფმა ფრანც-იოზეფმა და მისმა მინისტრმა ანდრაშიმ საფრანგეთს უთანაგრძნეს. გორჩაკოვმა და ანდრაშიმ საფრანგეთის ელჩს პეტერბურგში განუცხადეს, რომ ისინი გმობენ ბისმარკის პოლიტიკას.

ასეთი ვითარებით შეშფოთებულმა ბისმარკმა გამოსავალის ძებნა დაიწყო. იგი დარწმუნებული იყო, რომ 1874-75 წწ. საფრანგეთთან ომი გერმანიისათვის სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელი იქნებოდა. მაგრამ სირთულეს ქმნიდა საკითხის დიპლომატიური მხარე. შეძლებდა თუ არა გერმანია დიდი სახელმწიფოების ნეიტრალიზებას, დარჩებოდა თუ არა საფრანგეთი იზოლირებულ მდგომარეობაში, ისევე როგორც 1870 წელს?

1874 წლის გაკვეთილმა დაარწმუნა ბისმარკი, რომ საფრანგეთის იზოლირებისათვის უფრო ქმედითი საქმიანობა იყო საჭირო. პირველ რიგში ბისმარკმა რუსეთის პოზიციები მოსინჯა. ამ მიზნით მან 1875 წლის თებერვალში პეტერბურგს სპეციალური მისიით მიაკლინა თავისი ერთგული და სანდო ემისარი, რადოვიცი. ბისმარკს დიპლომატიური მოლაპარაკებისას სავაჭრო გარიგებებთან შედარება უყვარდა. როცა ცხენს ჰყიდიან, — თქვა მან ერთხელ, — თავიდან როდი ითხოვენ ყველაზე ნაკლებ ფასს, რომლის აღებისათვის მზად არიან. როცა ყიდულობენ, როდი ასახელებენ უმაღლეს სასყიდელს, რომლის მიცემისათვისაც მზად არიან... რადოვიცმა სწორედ ასეთი მეთოდი იხმარა რუსეთთან მოლაპარაკების დროს. მოლაპარაკების ნამდვილ მიზანს რადოვიცი არ ამხელდა, ჯერ იყო და მან თავისი ჩამოსვლის მიზნად „სამი იმპერატორის კავშირის“

ნიმტკიცის დადასტურება გამოაცხადა. შემდეგ რუსეთისათვის მტკივნეულ მახლობელი აღმოსავლეთის საკითხს შეეხო. ბევრი ითქვა სრუტეების, კონსტანტინოპოლისა და სხვათა შესახებ. რადოვიცი ირწმუნებოდა, რომ გერმანია ყოველნაირად დაუჭერს მხარს რუსეთის ყველა პრეტენზიას მახლობელი აღმოსავლეთის საკითხში. ხოლო, თავის მხრივ, რუსეთისაგან მოითხოვა საფრანგეთის საქმეებში დიპლომატიური ჩაურევლობის სრული გარანტია. გორჩაკოვი მეტად ოსტატურად იგერიებდა რადოვიცის შემოტევას. გაურბოდა საფრანგეთის შესახებ საუბარს, მეტიც, მან პირდაპირ აგრძნობინა რადოვიცს, რომ საფრანგეთში გერმანიის საწინააღმდეგო რაიმე მოძრაობას ვერ ხედავს.

საფრანგეთი გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს და სათანადო ღონისძიებებს ღებულობდა. სასწრაფოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება არმიის რიცხობრივი შემადგენლობის გაზრდის შესახებ. რეჟიმენტების (პოლკების) შემადგენლობაში საბი ბატალიონი ოთხამდე აიყვანეს. საფრანგეთს საშუალება მიეცა არმიის რიცხვი მშვიდობიანობის დროს 144 ათას კაცამდე აეყვანა (ბისმარკს კი მშვიდობიანობის დროს 427 ათასიანი არმია ჰყავდა). 1875 წლის გაზაფხულის დასაწყისში გერმანიის პრესამ ანტიფრანგული კამპანია გააჩაღა: ბისმარკმა აკრძალა გერმანიიდან ცხენების ექსპორტი, რაც ყოველთვის განგაშის მაუწყებელი იყო. ბისმარკი ირწმუნებოდა — ამ ღონისძიების გატარება გერმანიის სოფლის მეურნეობის საჭიროებამ მიკარნახა. ამასთან ერთად ბრალს სდებდა საფრანგეთს, თითქოს იგი გერმანიაში ცხენებს სამხედრო საჭიროებისათვის იძენსო.

აპრილის თვეში გერმანიის პრესამ („Kölnische Zeitung", „Post" და სხვ.) ახალი ძალით განაახლა ანტიფრანგული აგიტაცია. გაზეთების მიერ ატეხილმა აურზაურმა პირდაპირ სენსაციური ხასიათი მიიღო. საფრანგეთი ომს იწყებს, — ასეთი იყო მათი აზრი. ანტიფრანგული კამპანია მიმდინარეობდა დევიზით: „მოსალოდნელია თუ არა ომი".

ამჯერად დიდი სახელმწიფოები უფრო ენერგიულად ამოქმედდა. პეტერბურგი გორჩაკოვის სახელით საფრანგეთს ქმედით დახმარებას დაჰპირდა. ინგლისის ახალი პრემიერი, კონსერვატორი დიზრაელი (1874 წელს მან შეცვალა გლადსტონი) ამბობდა: „ბისმარკი ახალი ნაპოლეონია. იგი უნდა აილაგმოს... ამ კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა კავშირი რუსეთთან..." გორჩაკოვმა ლონდონში ოფიციალური წერილი გაგზავნა. სადაც აღნიშნავდა, რომ რუსეთის ექსპანსია შუა აზიაში, რომელიც ინგლისის უკმაყო-

ფილებას იწვევს, შეჩერებულ იქნებაო... ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა დერბიმ წინადადება მისცა ინგლისის ელჩს ბერლინში ლორდ ოდო როსელს კატეგორიული ზომები მიეღო საფრანგეთის დაცვის მიზნით. ა. დებიდურის მოხდენილი თქმით, ინგლისი და რუსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ საფრანგეთის მიმართ მზრუნველობის გამოჩენის საქმეში. ოდო როსელმა ინგლისის სახელით, ხოლო პ. ა. შუვალოვმა რუსეთის სახელით აპრილის შუა რიცხვებში საკმაოდ მტკიცე ფორმებში ამცნეს ვილჰელმ I-ს, რომ მათი მთავრობები ვერ შეურიგდება გერმანიის პოზიციას საფრანგეთის მიმართ. ვილჰელმ I დარწმუნდა ამ განცხადებათა სერიოზულობაში და ორივე დიპლომატს ფრიად დამამშვიდებელი პასუხი გასცა. ეს უკვე საგრძნობი უკან დახევა იყო.

დიპლომატიური ბრძოლის ფინალი შედგა მაისში, როცა ალექსანდრე II და გორჩაკოვი მორიგი ვიზიტით ბერლინში აღმოჩნდნენ. ბისმარკმა უკან დაიხია, იგი არწმუნებდა გორჩაკოვს, რომ გერმანიის მთავრობას საფრანგეთთან ომი ოდნავადაც არ სურს, რომ პანიკა ბირჟის მესვეურებმა ატეხეს აქციების ფასის დაწევის მიზნით, რომ აურზაურში დამნაშავეა დეკაზი, რომელიც, თურმე, თავის მხრივაც ბირჟის ოპერაციებით იყო დაინტერესებული. რომ ფონ მოლტკეს განცხადება პრევენტიული ომის შესახებ ყურადსაღები არაა, რადგანაც იგი პოლიტიკაში აბსოლუტურად ბეცია და სხვ. ომის გაჩაღებაში რომ ბრალი დამდოთ, ეს ნიშნავს სულელად ჩამთვალოთ, — ეუბნებოდა იგი გორჩაკოვს.

არც ავსტრია-უნგრეთის პოზიცია იყო მთლად მყარი. ანდრაში მოხიბლული იყო გერმანია-რუსეთის ურთიერთობათა გაუარესებით. ვენის კარი არ აპირებდა ხელი შეეშალა გერმანიის ანტიფრანგული პოლიტიკისათვის, მაგრამ კოხფლიქტის შემთხვევაში არც რაიმე რეალურ დახმარებას აღუთქვამდა. რაც შეეხება იტალიას, იგი ჯერჯერობით ჩამოწერილი ძალა იყო. იგი თვითონ განიცდიდა დიდ სიძნელეებს და საჭიროებდა მშვიდობას და, რაც მთავარია, — პურს.

მოულოდნელად აღმოცენებული კრიზისი, ასევე მოულოდნელად დამთავრდა. ეს იყო საფრანგეთის გამარჯვება, თუმც ჯერჯერობით მეტად შეზღუდული ფორმით. „სამი იმპერატორის კავშირმა" გამოავლინა თავისი სუსტი მხარეები. ბისმარკი დარწმუნდა იმაში, რომ მისი აგრესიული პოლიტიკის მთავარ მოწინააღმდეგედ რჩებოდა რუსეთი. 1875 წლის კრიზისის შემდეგ ბისმარკის ანტირუსული განწყობა გაძლიერდა.

* * *

1875-78 წწ. აღმოსავლეთის კრიზისმა ევროპის სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი ცვლილებები შეიტანა.

1875 წლის ივლისში ჰერცეგოვინის სლავურმა მოსახლეობამ თურქების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. მალე მათ ბოსნიის მოსახლეობაც შეუერთდა.

აჯანყებულებმა მხურვალე მხარდაჭერა პოვეს სერბიისა და ჩერნოგორიის მხრივ. დაიწყო აღმოსავლეთის ახალი, დიდი კრიზისი. ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობამ ახალი ძალით იჩინა თავი. სლავური ეროვნული მოძრაობა უპირველეს ყოვლისა თურქეთის ფეოდალურ-აბსოლუტისტური ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ამასთან ერთად ეს მოძრაობა ავსტრია-უნგრეთის იმპერიასაც ეხებოდა, რომლის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, მილიონობით სლავი ცხოვრობდა. სლავური აღორძინება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა არ აწყობდა ავსტრია-უნგრეთის გერმანულ-მადიარულ გაბატონებულ ელემენტს; ავსტრია-უნგრეთი მზად იყო დაეცვა ოსმანთა იმპერიის მთლიანობა სლავური აღორძინების შეჩერების მიზნით. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1815 წელს მეტერნიხი ამბობდა: „თურქეთის მონარქიის დამხობის შემდეგ ავსტრიის არსებობის დღეც შემოკლდებაო“. უფრო კატეგორიული იყო ანდრაში, რომელმაც 1875 წლის 20 იანვარს განაცხადა: „თურქეთს ავსტრია-უნგრეთის მიმართ თითქმის პროვიდენციური სარგებლიანობა მოაქვს. ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ბალკანეთის მცირე სახელმწიფოთა სტატუს-ქვოს და ხელს უშლის მათ მისწრაფებებს (ნაციონალისტურს). რომ არა თურქეთი, ეს მისწრაფებები ჩვენ დაგვატყდება თავს... ბოსნია-ჰერცეგოვინის შეერთება სერბიასთან ან ჩერნოგორიასთან, ან ახალი სახელმწიფოს შექმნა დაღუპვით დაგვემუქრება და ჩვენ კი „ავადმყოფი ადამიანის“ როლის შესრულება უნდა ვიკისროთ...“

ბალკანეთს ავსტრია-უნგრეთის ბურჟუაზიისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა. ავსტრიისათვის დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მისთვის ჯერჯერობით უცხო ქვეყნებთან დამაკავშირებელ ეკონომიურ მაგისტრალად რჩებოდა. ტრიესტი და იქ გაყვანილი რკინიგზა, რომლითაც ავსტრია ხმელთაშუა ზღვას უკავშირდებოდა, ვერ ცვლიდა დუნაის მნიშვნელობას. ამასთან ერთად ავსტრია-უნგრეთის ბურჟუაზიას გადაწყვეტილი ჰქონდა ბალკანეთზე რკინიგზების ფართო

ქსელის მშენებლობა, ვენელი კაპიტალისტები უკვე გეგმავდნენ მას. გარდა ამისა ავსტრია-უნგრეთი კვლავ მიესალმებოდა ყოველგვარ ტერიტორიულ შენაძენს ბალკანეთში, იტალიაში და გერმანიაში დაკარგული მიწების კომპენსაციის სახით. უკვე 1867 წლიდან ავსტრია-უნგრეთი ხარბი თვალით უყურებდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინას. ბალკანეთი ავსტრია-უნგრეთის ბურჟუაზიისათვის წარმოადგენდა აგრეთვე გასაღების მნიშვნელოვან ბაზარს.

რუსეთის იმპერია ამ პერიოდში მწვავე შინაპოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, გლეხობის გაღატაკებისა და მემამულური მეურნეობის მოშლის პირობებში ფართოდ გაიშალა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ლიბერალური მოძრაობა, საგრძნობლად გააქტიურდნენ ხალხოსნები, აქტიური საგარეო პოლიტიკის წყალობით რუსეთის მესვეურები ცდილობდნენ შეენელებინათ შინაპოლიტიკური გართულებები. ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, რუსეთის პროგრესული ძალები მუდამ თანაუგრძნობდნენ სლავურ აღორძინებას. სლავების ქომაგის როლში გამოსვლის შემთხვევაში ალექსანდრე II-ისეული რუსეთის მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ მიაღწევდნენ ცარიზმის პრესტიჟის ამაღლებას და მთავრობის ავტორიტეტის გაზრდას.

ბალკანეთის პრობლემას რუსეთისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო შავი ზღვისა და სრუტეების პრობლემასთან, რომელიც მუდამ იმყოფებოდა რუსეთის პოლიტიკის ცენტრში. რუსეთი შიშობდა, რომ დასუსტებულ ოსმანთა იმპერიაზე რომელიმე დიდი სახელმწიფოს (ინგლისი, ავსტრია-უნგრეთი და სხვ.) მიერ გავლენის მოპოვების შემთხვევაში რუსეთი ვეღარ გაუწევდა კონტროლს სრუტეებს ანუ დაკარგავდა გამოსავალს შავი ზღვიდან. აი ძირითადად ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებდა რუსეთის პოლიტიკას თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებული სლავების მიმართ, რაც, როგორც აღინიშნა, ამ მოძრაობისადმი მხარდაჭერაში გამოიხატა.

ინგლისისათვის თურქეთისა და ბალკანეთის პრობლემას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უშუალოდ იყო დაკავშირებულ ინგლისის დიდ აღმოსავლურ პოლიტიკასთან. თურქეთზე გავლენის მოპოვებით ინგლისის კაპიტალიზმი კარგ ბაზარს იმკვიდრებდა; მაგრამ ამასთან ერთად თურქეთს დიდი ბრიტანეთის იმპერიისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო პლაცდარმი, საიდანაც ინგლისი ანეიტრალებდა მახლობელ, შუა და შორეულ აღმოსავლეთში რუსეთთან წინააღმდეგობებს. სწორედ თურქეთზე მოპოვებული გავლენის შედეგად შეეძლო ინგლისს უზრუნველეყო

შავ ზღვაში საკუთარი ფლოტის შეყვანა. რითაც იგი რუსეთს აეკრძალა საფრთხეს უქმნიდა, რაც ნათელყო კიდეც ყირიმის ომმა. რუსეთის მიერ თურქეთის დამარცხების შემთხვევაში სრუტეებზე კონტროლი რუსთა ხელში აღმოჩნდებოდა, ამის დაშვება კი ინგლისელებს, ცხადია, არ შეეძლოთ. ამას გარდა შეიქმნებოდა საფრთხე — ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ფლოტის გამოჩენისა; აქ ხომ მას უკვე ჰყავდა მნიშვნელოვანი კონკურენტი ფრანგული ფლოტის სახით. სუეცის არხის გათხრის შემდეგ (1869 წელი) ხმელთაშუა ზღვა უმოკლესი კომუნიკაცია გახდა ინდოეთისაკენ, არხი კი ჯერჯერობით ფრანგების ხელთ იყო. ეს გარემოება აძლიერებდა დიდი ბრიტანეთის მზრუნველობას თურქეთის მიმართ. გლადსტონის მემკვიდრე დიზრაელი შეუპოვარ, მებრძოლ პოლიტიკას ავითარებდა. მისი პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო ბოლო მოეღო აღმოსავლეთში რუსეთის კონკურენციისათვის.

შუა აზიაში რუსეთის შეჭრა კიდევ უფრო ამწვავებდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობას. აქ რუსეთის ყოველი ახალი წარმატება ინგლისის პოლიტიკოსთა დიდ შეშფოთებას იწვევდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშიშროება ემუქრებოდა ინგლისის კოლონიური იმპერიის უძვირფასეს მარგალიტს — ინდოეთს. ასეთ ვითარებაში ოსმანთა იმპერიის ერთიანობის პრობლემა უფრო აქტუალური ჩანდა, თურქეთი კიდევ რჩებოდა ევროპიდან ინდოეთისაკენ გადებულ ხიდად.

ხივის ირგვლივ ამტყდარი კონფლიქტის შემდეგ ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობის ობიექტად იქცა ავღანეთი. ინგლისელები ამ ქვეყნის მიმართ განსაკუთრებულ პრეტენზიებს ავლენდნენ და არ სცნობდნენ რუსეთის წინადადებას ამ ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ. ავღანეთის ემირი ინგლისელებისაგან თავდაცვის მიზნით რუსეთთან კავშირს ეძიებდა.

1876 წლის 17 თებერვალს რუსეთის მეფემ გამოსცა მანიფესტი რუსეთის იმპერიისადმი კოკანდის სახანოს შემოერთების შესახებ.

ავსტრია-უნგრეთი და ინგლისი რუსეთის მიერ სლავური მოძრაობის მხარდაჭერაში უპირველეს ყოვლისა თურქეთის მიმართ შექმნილ საფრთხეს ხედავდნენ, ინგლის—რუსეთსა და რუსეთ—ავსტრია-უნგრეთს შორის ურთიერთობა გართულდა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბერლინის პოზიციებს.

ბოსნიაში და ჰერცეგოვინაში აჯანყების დაწყების მომენტში დიდი სახელმწიფოების პოზიციები რეალურად გამორკვეული არ იყო. ანდრაში არწმუნებდა თურქეთს, რომ ეს აჯანყება თურქეთის შინაგანი საქმეა და პორტას სრულ ჩაურევლობას აღუთქვამდა. მაგ-

რამ მის ასეთ ტენდენციას სახელმწიფოს შიგნით დიდი ოპოზიცია აღმოაჩნდა იმ წრეების სახით, რომლებიც ბალკანეთის სლავური ტერიტორიების ანექსიის პოზიციაზე იდგნენ და ამ ტერიტორიების დაპყრობის შედეგად „დუალისტური იმპერიის" ნაცვლად „ტრიალისტური იმპერიის" შექმნას ფიქრობდნენ. მათ შორის ბევრი თანახმა იყო ბალკანეთი რუსეთთან ერთად გაეყო (აღმოსავლეთი — რუსეთს, დასავლეთი — ავსტრია-უნგრეთს). ანექსიონისტებს თანაუგრძნობდა თვით იმპერატორი ფრანც-იოზეფი.

რუსეთი მტკიცედ დაადგა სლავების საქმეებში ჩარევის გზას. მაგრამ ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობათა რადიკალური გამწვავების თავიდან აცილების მიზნით გორჩაკოვიც თანახმა იყო პრობლემა ავსტრია-უნგრეთთან თანამშრომლობის გზით გადაეწყვიტა. რუსეთი აჯანყებული პროვინციებისათვის ავტონომიას ითხოვდა (მსგავსად რუმინეთისა), ავსტრია-უნგრეთს ეს ვარიანტი არ აწყობდა. მას ეშინოდა იმისა, რომ ავტონომიის უფლებით აღჭურვილი ეს პროვინციები სერბიასთან და ჩერნოგორიასთან გამონახავდნენ საერთო ენას, რასაც, შესაძლოა, მათი გაერთიანება მოჰყოლოდა, ანე შეიქმნებოდა საფრთხე „დიდი სერბეთის" შექმნისა. ანდრაში პორტასა და აჯანყებული პროვინციების შერიგების პროექტით გამოვიდა, ამასთან ერთად აჯანყებულ ქრისტიანებს დახმარებასა და ზოგიერთ ადმინისტრაციული ხასიათის რეფორმებს პირდებოდა, რასაც, საბოლოო ანგარიშში, აქ სულთნის ხელისუფლების აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. გორჩაკოვი თანახმა იყო ასეთი რეფორმებისა. იმ განსხვავებით, რომ მათი სახით იგი ამ ტერიტორიების მომავალი ავტონომიისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს ხედავდა.

ანდრაშიმ თავისი პროექტი 1875 წლის 30 დეკემბერს ნოტის სახით წარუდგინა ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთაც 1856 წლის პარიზის ტრაქტატს მოაწერეს ხელი. 31 იანვარს ეს ნოტა პორტას გადაეცა. თურქეთი, ცხადია, კმაყოფილი იყო საქმის ასეთი შემობრუნებით და დათანხმდა დაეწყო რეფორმების გატარება. აჯანყებულებმა სწორად გაიგეს შექმნილი ვითარება და ბრძოლის შეწყვეტის საწინდრად თურქეთის ჯარების მიერ აჯანყებული ტერიტორიების სრული ევაკუაცია გამოაცხადეს. ანდრაშის გეგმები იშლებოდა.

გორჩაკოვი კვლავ გააქტიურდა. მან ბერლინს სამი იმპერატორის შეხვედრის ორგანიზება მოსთხოვა. შეხვედრა შედგა. გორჩაკოვის პროექტი ისევ ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა, აქ ივი ანდრაშის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ საერთო წინააღმდეგობათა პირობებში მიღებულ იქნა ე. წ. „ბერლინის მემორანდუმი",

რომელიც უფრო ანდრაშის პოზიციებს ასახავდა, იმ განსხვავებით, რომ აქ ანგარიშგაწეული იყო აჯანყებულთა ზოგიერთი მოთხოვნა. პროვინციები კვლავ თურქთა იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა, იქ რეფორმების გატარების, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ „Status quo"-ს გაუმჯობესების" პირობებში.

საფრანგეთი და იტალია დაეთანხმნენ მემორანდუმს, ინგლისმა კი, დიზრაელის სახით, კატეგორიულად უარყო თურქეთის შინაგან საქმეებში რაიმე ჩარევის შესაძლებლობა. ინგლისის ასეთმა პოზიციამ დააჩქარა კრიზისის გაღრმავება.

აღმოსავლეთის კრიზისის კულმინაცია თურქეთ-სერბეთის ომით დაიწყო. ეს მოვლენა დაემთხვა თურქეთის მიერ ბულგარელი ხალხის აჯანყების სასტიკად ჩახშობის მომენტს. დამარცხებულ აჯანყებულებს თურქებმა საშინელი რბევა მოუწყვეს. მარტო ფილიპოპოლისის სანჯაყში მათ 15 ათასი კაცი ამოჟლიტეს. დიზრაელი ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. იგი ყოველნაირად ჩქმალავდა თურქთა მხეცობას, ხოლო თურქეთის პოზიციების განმტკიცების მიზნით მან დარდანელის მისადგომებთან ძლიერი ფლოტი გაგზავნა.

სერბია და ჩერნოგორია ომისათვის ემზადებოდნენ. 1876 წლის 30 ივნისს თავადმა მილანმა თურქეთს ომი გამოუცხადა. სერბეთის არმიაში ათასი რუსი მოხალისე იყო; არმიას რუსი გენერალი ჩერნიაევი სარდლობდა. რუსეთი სერბეთს ფინანსურ დახმარებასაც უწევდა. ამ ომმა ევროპული კონფლიქტის რეალური საფრთხე შექმნა. სერბეთის დამარცხების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ომში რუსეთის ჩაბმა, ასეთ ვითარებაში გარდუვალი იყო მისი კონფლიქტი ავსტრია-უნგრეთსა და ინგლისთან. სერბეთის გამარჯვება ოსმანთა იმპერიის დაშლას გამოიწვევდა, რაც განაპირობებდა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთშეჯახებას ნადავლის გაყოფის მიზნით.

თურქებმა ადვილად სძლიეს სერბთა ჯარები. რუსეთი იძულებული გახდა ჩარეულიყო ომში. 1877 წლის 24 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ახალი ომი. მიუხედავად სიძნელეებისა, რუსეთის არმიამ შეძლო თურქთა შევიწროება როგორც ბალკანეთის, ისე აზიის საომარ ასპარეზზე. 1878 წლის იანვრისათვის რუსეთის არმია კონსტანტინოპოლს მიუახლოვდა. აშკარა იყო, რომ კონსტანტინოპოლის აღების შემთხვევაში ინგლისი რუსეთს ომს გამოუცხადებდა. ბიკონსფილდი (დიზრაელი) საამისოდ მზად იყო. რუსეთმა კონსტანტინოპოლის აღებაზე უარი თქვა და ზედ მის კედლებთან თურქეთს საზავო პირობები უკარნახა. ინგლისის ფლოტი 13 თე-

ბერლინიდან მარმარილოს ზღვაში იმყოფებოდა და ბოსფორში შეპყ-ლისთვის მზად იყო.

ზავი დადებულ იქნა 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში (კონ-სტანტინოპოლთან ახლოს). იგი რუსეთის მნიშვნელოვანი წარმატე-ბის დადასტურება იყო. რუსეთის მხრივ ზავს ხელი მოაწერეს ნ. პ. იგნატიევმა და ა. ი. ნელიდოვმა, თურქეთის მხრივ — საადულა ბეიმ და საფეთ ფაშამ. საზავო ხელშეკრულების ტექსტი ნ. იგნატიევმა შეიმუშავა და იგი განხილულ იქნა ზამთრის სასახლეში ალექსანდ-რე II-ის თანდასწრებით.

საზავო ხელშეკრულების თანახმად, შეიქმნა ახალი სახელმწიფო— ბულგარეთი, რომელიც ნომინალურად თურქეთის მიმართ ვასა-ლურ მდგომარეობაში რჩებოდა. თურქეთის ჯარები ტოვებდნენ ბულგარეთს. რუსეთის არმია აქ 2 წლით რჩებოდა. სერბიამ, ჩერ-ნოგორიამ და რუმინეთმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს. რუ-მინეთმა მიიღო დობრუჯა. ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ავტონომია მიენიჭათ. რუსეთს დაუბრუნდა თითქმის მთლიანად ბესარაბიის ის ნაწილი, რომელიც მას 1856 წელს ჩამოერთვა. რუსეთს გადაეცა ყარსი, არდაგანი, ბაიაზეთი და ბათუმი. თურქეთს დაეკისრა კონ-ტრიბუცია — 310 მილიონი მანეთი. საზავო ხელშეკრულება ითვა-ლისწინებდა, აგრეთვე, ზოგიერთ რეფორმებს სომხეთის მიმართ. აუმჯობესებდა ალბანეთის, თესალიისა და ეპირის მდგომარეობას და სხვ.

ზავი ბალკანეთზე რუსეთის გავლენის ზრდის მომასწავებელი იყო, რაც უპირველეს ყოვლისა ბულგარეთის გზით უნდა განხორ-ციელებულიყო. ბულგარეთის საზღვრები უშუალოდ მიუახლოვდა კონსტანტინოპოლს და სრუტეებს. საზავო ხელშეკრულებამ უზრუნ-ველყო სლავური აღორძინების ახალი წარმატება. ადვილად გასა-გებია ის დიდი გულისწყრომა, რომლითაც ამ ზავს ინგლისსა და ავს-ტრია-უნგრეთში შეხვდნენ. მათ არ დააყოვნეს და კატეგორიულად მოითხოვეს საერთაშორისო კონგრესის მოწვევა ზავის პირობების გადასინჯვის მიზნით.

ანდრაშიმ უკვე 6 მარტს ოფიციალურად მოითხოვა ზავის გა-დასინჯვა. ბიკონსფილდმა დემონსტრატიულად დაიწყო სამხედრო სამზადისი. მანვე გადააყენა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტ-რი ლორდი დერბი, რომელიც რუსეთის მიმართ ერთგვარ ლოიალო-ბას იჩენდა და მასთან ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება არ სურდა. ამასთან ერთად რუსეთის დიპლომატიისათვის დიდი დანაკ-ლისი იყო ლედი დერბი, რომელიც შუვალოვის მეგობარი იყო და ხშირად მისი ინფორმატორის როლშიც გამოდიოდა. დერბის

მემკვიდრე, შესანიშნავი ინგლისელი დიპლომატი და პოლიტიკოსი სოლსბერი მოვლენებს რეალურად აფასებდა. რუსეთთან აშკარა კონფლიქტს არც იგი თვლიდა სასურველად, მაგრამ მზად იყო ყოველნაირად შეემცირებინა რუსეთის მიერ მოპოვებული წარმატებები. უპირველეს ყოვლისა ამას იგი ბულგარეთის ხარჯზე ითვალისწინებდა. მოითხოვდა ბულგარეთის საზღვრების შემცირებას, მისი ტერიტორიის დაშორებას კონსტანტინოპოლისა და სრუტეებისაგან. სან-სტეფანოს ზავი, სოლსბერის მიხედვით, მოასწავებდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას საერთოდ მთელს აღმოსავლეთში. მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ არა მარტო შავი ზღვის გარშემო განლაგებული ქვეყნები, არამედ ირანი და სხვ. მისი აზრით, საფრთხე ექმნებოდა სუეცსა და ხმელთაშუა ზღვას.

რუსეთის ხელმძღვანელობა იძულებული იყო დათანხმებოდა ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის წინადადებას. ალექსანდრე II, კანცლერი გორჩაკოვი, მილიუტინი (სამხედრო მინისტრი), რეიტერნი (ფინანსთა მინისტრი), დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (ბალკანეთის ფრონტის სარდალი), დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე (კავკასიის ფრონტის სარდალი), ერთი სიტყვით, ყველა ვისაც მაშინდელი რუსეთის ბედი ებარა, ახალი ომის წინააღმდეგი იყო.

გერმანიამაც მეტად ორჭოფული პოზიცია დაიკავა. ბისმარკს, მართალია, აღმოსავლეთის კრიზისში უშუალო დაინტერესება არ ჰქონდა, მაგრამ რუსეთის ზედმეტი გაძლიერება მის ანგარიშში არ შედიოდა. მას არც ავსტრია-უნგრეთის განაწყენება სურდა, რადგან მისი სახით მომავალში ერთადერთ საიმედო მოკავშირეს ითვალისწინებდა. აღმოსავლეთის საკითხში მე მხოლოდ „პატიოსანი მაკლერი" ვარ, — განაცხადა მან, მაგრამ არც ის იყო გამორიცხული, რომ ეს „პატიოსანი მაკლერი" გაწეული სამსახურისათვის მოქიშპე მხარეებს გარკვეულ გასამრჯელოს მოსთხოვდა.

გრაფი ანდრაში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ჯერ კიდევ სან-სტეფანოს ზავის დადებამდე მოითხოვდა. ამასთან ერთად მას მისი მოწვევა ვენაში სურდა. კანცლერი გორჩაკოვი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამისა. იგი თანახმა იყო კონგრესი ბერლინში მოწვეულიყო. როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა ბისმარკისა და იმ „მეგობრობისა", რომელიც, უკვე ნომინალურად არსებული „სამი იმპერატორის კავშირის" სახით, ჯერ კიდევ ძალაში იყო, ყოველ შემთხვევაში იურიდიულად მაინც.

ბერლინის კონგრესმა საქმიანობა დაიწყო ბისმარკის თავმჯდომარეობით 1878 წლის 13 ივნისს და დაამთავრა მუშაობა 13 ივლისს.

კონგრესი მაღალ დონეზე ჩატარდა; მის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთიდან — კანცლერმა გორჩაკოვმა, ლონდონელმა ელჩმა პ. შუვალოვმა და ბერლინელმა ელჩმა პ. უბრიმ; ავსტრია-უნგრეთიდან — საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ანდრაშიმ, ბერლინელმა ელჩმა გრაფმა კაროლიმ, ელჩმა რომში ჰაიმერლემ; ინგლისიდან — პრემიერმა გრაფმა ბიკონსფილდმა (დიზრაელი), საგარეო საქმეთა მინისტრმა მარკიზმა სოლსბერიმ, ბერლინელმა ელჩმა ლორდმა როსელმა. რაიხსკანცლერ ბისმარკის გარდა გერმანიის მხრივ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ბიულოვი და ელჩი პარიზში თავადი ჰოჰენლოე. საფრანგეთის დელეგაციაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ვადინგტონი და ელჩი ბერლინში გრაფი სენ-ვალიე. იტალიის მხრიდან — საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი კორტი და ბერლინელი ელჩი გრაფი დელონე. თურქეთის დელეგაციაში შედიოდნენ: ყარათეოდორ-ფაშა, მეჰმედ ალი-ფაშა და ბერლინელი ელჩი საადულა ბეი. ბალკანეთის წარმომადგენლები კონგრესს ესწრებოდნენ სათათბირო ხმის უფლებით (დელიანისი — საბერძნეთიდან, ბრატიანუ და კოგალნიჩანუ — რუმინეთიდან, რისტრიჩი — სერბიიდან, ბოჟკო-პეტროვიჩი — ჩერნოგორიიდან). კონგრესს ესწრებოდა აგრეთვე ირანის დელეგატი — მალკოლმ ხანი.

13 ივლისს ხელმოწერილი „ბერლინის ტრაქტატი" 67 მუხლისაგან შედგებოდა. კონგრესის მუშაობა მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, „პატიოსანი მაკლერი" ბისმარკი რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკს უჭერდა მხარს, განსაკუთრებით კი ავსტრია-უნგრეთს, რომელთანაც კავშირს მომავალი გერმანიისათვის იგი განსაკუთრებით საჭიროდ თვლიდა.

პირველ რიგში, ტრაქტატის ძალით, საგრძნობლად იქნა შეკვეცილი ბულგარეთის ტერიტორია; სან-სტეფანოს ზავის შედეგად მის შემადგენლობაში შეყვანილი სლავური ტერიტორიები დაუბრუნდა თურქეთს ფორმალური ავტონომიის უფლებით (აღმოსავლეთ რუმელია), ბევრი ქრისტიანული ტერიტორია, მათ შორის მაკედონია და ალბანეთი თურქული გავლენის ქვეშ დატოვეს. ავსტრია-უნგრეთს მიეცა უფლება ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიების ოკუპაციისა, ამით „დიდ ბულგარეთთან" ერთად ბოლო მოეღო „დიდი სერბიის" საფრთხეს. ტრაქტატის ძალით აღიარებულ იქნა სერბიის, რუმინეთისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა. არდაგანი, ყარსი და ბათუმი დარჩა რუსეთს. მანვე დათმო მცირე აზიაში მდებარე ბაიაზეთი. ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ ნავსადგურად (პორტო-ფრანკო), მხოლოდ სავაჭრო თვალსაზრისით. თურქეთი პირობას

დებდა შეეტანა ზოგიერთი განახლება მის იმპერიაში შემავალ სომხურ ტერიტორიებზე. მას პატივი უნდა ეცა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანი ხალხებისათვის.

ბერლინის ტრაქტატმა ბევრი საკითხი მოუწესრიგებელი დატოვა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რადგანაც 1913 წლამდე (ბალკანეთის ომებამდე) იგი რჩებოდა ძირითად დოკუმენტად, რომელსაც ბალკანეთის ხალხების ბედის გადაწყვეტის პრეტენზია ჰქონდა. ტრაქტატის პრინციპები თანდათან კარგავდა ძალას. 1885 წელს ბულგარეთმა კვლავ შემოიერთა აღმოსავლეთი რუმელია, 1886 წელს რუსეთმა გააუქმა ბათუმის მიმართ პორტო-ფრანკო. 1908 წელს ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინას ოკუპაცია მისი სრული ანექსიით დამთავრდა. თურქეთი კვლავ ავიწროებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიან ხალხებს, კვლავ გრძელდებოდა სომეხი ხალხის ტრაგედია, რომელიც მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში გამოიხატებოდა; ალბანეთსა და მაკედონიაში დაპირებული რეფორმები არ გატარებულა.

გადაუწყვეტელი დარჩა მრავალი პრობლემა, მათ შორის სერბების ეროვნული გაერთიანებისა (მათი დიდი ნაწილი ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში რჩებოდა), მაკედონიის, ალბანეთის, კრეტის, ბერძნების, სომხებისა და, საერთოდ, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანი ხალხებისა, თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწებისა და სხვ.

ინგლისმა, რომელიც თურქეთის დამცველის როლში გამოდიოდა, ბერლინის ტრაქტატის შედეგად აიძულა თურქეთი დაეთმო მისთვის სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი კუნძული კიპროსი.

ბერლინის ტრაქტატის ძალით ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა მიაღწიეს ძირითად მიზანს: შეკვეცეს რუსეთის პრეტენზიები და გზა გადაუღობეს მის სანუკვარ მიზანს — გზას სრუტეებისაკენ. კონგრესზე რუსეთის დამარცხება სრულებითაც არ ნიშნავდა ავსტრია-უნგრეთის ან თვით ინგლისის სრულ ტრიუმფს.

* * *

1875 წლის საომარმა განგაშმა და მახლობელი აღმოსავლეთის კრიზისმა 1875-78 წწ. თითქმის ცხადი გახადა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების სურათი. ბერლინის კონგრესზე ბისმარკის პოზიციამ საბოლოოდ დაარწმუნა რუსეთი იმაში, რომ მისი ავსტრია-უნგრეთთან კონფლიქტის შემთხვევაში გერმანია უკა-

ნასკნელს დაუჭერდა მხარს. რუსეთის აზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით კი სლავოფილები თავს ესხმოდნენ რუსეთის დიპლომატიას, მიუთითებდნენ მისი საბედისწერო შეცდომების შესახებ ნამდვილი მოკავშირის ძებნის საქმეში. რუსეთისა და გერმანიის პრესა მძაფრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ კამპანიაში მალე ოფიციალური წრეებიც ჩაებნენ. ბისმარკი ვალში არ დარჩა. იგი საქვეყნოდ აცხადებდა რუსეთის „უმადურობის" შესახებ, რომ თითქოს იგი ბერლინის კონგრესზე და ადრეც ყველაფერს შესაძლებელს აკეთებდა რუსეთის სასარგებლოდ და სხვ.

1878 წლის ოქტომბერში ბისმარკმა პირველი მტრული ნაბიჯი გადადგა. მისი მითითებით ბალკანეთზე ახალი საზღვრების დამდგენ გერმანულ კომისიას აშკარად ანტირუსული მითითებები მიეცა.

წინააღმდეგობამ ეკონომიურ სფეროშიც იჩინა თავი. გერმანია ინგლისის შემდეგ რუსეთის ნედლეულის მოხმარების ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზა იყო. 1879 წლის მონაცემებით, რუსეთის ექსპორტის 30% გერმანიაზე მოდიოდა. რუსეთის იაფი ნედლეული (განსაკუთრებით ხორცისა და პურის პროდუქცია) დიდ კონკურენციას უწევდა გერმანიის იუნკრულ-მემამულურ ფენებს. მათი მოთხოვნის შესაბამისად, გერმანიის მთავრობამ 1879 წ. რუსეთის ხორცის პროდუქციას თითქმის აკრძალვითი ბაჟი დაადო, ასეთივე ბედი ეწია იმავე წელს რუსეთის მარცვლეულს. ამ ღონისძიებებმა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობანი კიდევ უფრო დაძაბა.

ავსტრია-უნგრეთ-რუსეთსა და გერმანია-რუსეთს შორის აღმოცენებულმა მზარდმა წინააღმდეგობამ ხელი შეუწყო ბისმარკს განეხორციელებინა დიდი ხნის ჩანაფიქრი — შეექმნა ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის კავშირი.

ბისმარკს წინ არაფერი ეღობებოდა. ერთადერთი დაბრკოლება ვილჰელმ I-სა და ალექსანდრე II-ის ურთიერთ სიმპათიები იყო. მაგრამ ამ წმინდა სუბიექტური ფაქტორის დაძლევა ბისმარკს არ გასჭირვებია. მან გეგმაზომიერი კამპანია წამოიწყო მონარქთა ურთიერთ წაკიდების მიზნით. იგი არ ერიდებოდა თვით წვრილმან პროვოკაციებსაც კი — საბაჟო ომიდან დაწყებული პრესის ფურცლებზე „რუსული ხასიათის" ლანძღვამდე. ფელდმარშალ მოლტკესთან ერთად იგი არწმუნებდა ჰოხუც იმპერატორს იმაში, რომ რუსეთს უზარმაზარი არმია ჰყავს, რომ ალექსანდრე II ომით იმუქრება და სხვ.

ბისმარკს ღრმად სწამდა, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის არსებობა აუცილებლად საჭირო იყო გერმანიის იმპერიის მომავლი-

სათვის. ამ იმპერიის დაშლა, ბისმარკის მიხედვით, გამოიწვევდა რუსეთის გაძლიერებას იმით, რომ ავსტრიის იმპერიაში შემავალი სლავური ტერიტორიები და სლავი ხალხები ცალკე სახელმწიფოებს შექმნიდნენ და რუსეთის ბანაკში აღმოჩნდებოდნენ.

1879 წლის 21 სექტემბერს ბისმარკი თვით გაემგზავრა ვენაში გრაფ ანდრაშისთან მოლაპარაკების მიზნით. 7 ოქტომბერს ხელშეკრულება მზად იყო. გაფორმდა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ავსტრია-უნგრეთმა და გერმანიამ ურთიერთშორის სამხედრო კავშირი დადეს. ამ ე. წ. „ორთა კავშირით" (Zweibund) დასაბამი მიეცა ევროპის სახელმწიფოთა ორ მტრულ ბანაკად გაყოფას. ხელშეკრულებამ დაჩქარა საფრანგეთ-რუსეთის კავშირის გაფორმება, რის შედეგადაც შეიქმნა მეორე მტრული ბანაკი. ევროპის მშვიდობა საბოლოოდ დაირღვა, მოიხაზა მსოფლიო ომის რეალური კონტურები.

„ავსტრია-გერმანიის კავშირი" ძირითადად მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. ერთ-ერთ მათგანზე რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს ყველა არსებული სამხედრო შესაძლებლობით. თუ რომელიმე მათგანს თავს დაესხმოდა არა რუსეთი, არამედ რომელიმე სხვა სახელმწიფო, მაშინ მხარეები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი. თუ თავდამსხმელს დაეხმარებოდა რუსეთი, მაშინ ავტომატურად ძალაში უნდა შესულიყო ხელშეკრულების პირველი მუხლი.

ხელშეკრულება საიდუმლო იყო (პირველად გამოქვეყნდა 1888 წ. 3 თებერვალს). მიუხედავად ამისა, ბისმარკმა მისი არსებობის შესახებ ამცნო ინგლისის მთავრობას, რომელმაც მოიწონა ეს ანტირუსული კავშირი.

აღნიშნული კავშირი არ მოასწავებდა საფრანგეთის იზოლაციას, რაც, როგორც ვიცით, გერმანიის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩებოდა. ბისმარკი ენერგიულად ეძებდა ახალ მოკავშირეს იტალიის სახით. იტალიის გერმანია-ავსტრიის ბანაკში გადმობირება ფრიად რთული ამოცანა იყო. ამას უპირველეს ყოვლისა ხელს უშლიდა იტალიის ისტორიული მტრობა ყოფილი მჩაგვრელების, „თეთრი წურბელების" — ავსტრიელების მიმართ. საჭირო იყო აკრეთვე იტალიაში საკმაოდ მტკიცედ ფეხმოკიდებული ფრანკოფილური განწყობილების დაძლევა. ბისმარკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ამ წინააღმდეგობათა დაძლევა და იტალიის თავის მხარეზე გადმობირება. ეან ფრანგებსა და იტალიელებს შორის

შეტად ოსტატურად ჩააგდო „პარისის ვაშლი“ ტუნისის სახით. რო-გორც უკვე აღნიშნული იყო, იტალიას ტუნისის მიმართ დიდი პრე-ტენზიები ჰქონდა და იგი თავისი მომავალი კოლონიური იმპერიის შემადგენლობაში ეხატებოდა. 1881 წელს ფრანგებმა ხელთ იგდეს ტუნისი. აღსანიშნავია, რომ ბისმარკი აქეზებდა ფრანგებს ტუნი-სისაკენ. ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესზე იგი საფრანგეთის ბერ-ლინელ ელჩს სენ-ვალიეს ეუბნებოდა: „ტუნისის მსხალი დამწიფდა და თქვენთვის დადგა დრო მოწყვიტოთ იგი... თუ თქვენ ამ ნაყოფს კვლავ ხეზე დატოვებთ, იგი წახდება ან სხვა ვინმე მოწყვეტს ადვი-ლად...“ ბერლინიდან პარიზში დაბრუნებული ვადინგტონი იკვეხნი-და, რომ მან „ტუნისი პორთფელით ჩამოიტანა“. ტუნისის ანექსიამ იტალიის გააფთრება გამოიწვია და იგი ანტიფრანგულ ბანაკში აღ-მოჩნდა გერმანიასთან ერთად.

იტალიამ აგრძნობინა გერმანიას, რომ მზადაა მასთან მჭიდრო კავშირისათვის. ბისმარკმა დაარწმუნა იტალია, რომ „გერმანიის კარების გასაღები იტალიას შეუძლია იპოვოს მხოლოდ ვენაში“.

1882 წლის 20 მაისს ვენაში ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის. ასე შეიქმნა ე. წ. „სამთა კავშირი“ (Dreibund). ახალი დროის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გარიგება. კავშირის მიხედვით, თუ საფრან-გეთი თავს დაესხმოდა იტალიას, მაშინ გერმანია და ავსტრია-უნგ-რეთი მას სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდნენ. ასეთსავე ვალ-დებულებას კისრულობდა იტალია საფრანგეთის გერმანიაზე თავ-დასხმის შემთხვევაში. ავსტრია-უნგრეთი ასეთ ვალდებულებას გერმანიის მიმართ არ კისრულობდა. საფრანგეთ-გერმანიის კონ-ფლიქტის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთს ეკისრებოდა როლი რე-ზერვისა, რომელიც შემონახული იყო ომში რუსეთის ჩაბმის მომენ-ტისათვის. გერმანიაზე ან ავსტრია-უნგრეთზე ინგლისის თავდასხ-მის შემთხვევაში იტალიას დახმარება არ ეკისრებოდა.

სამივე მხარე ერთმანეთს აღუთქვამდა კეთილგანწყობილ ნეიტ-რალიტეტს რომელიმე სხვა დიდ სახელმწიფოსთან ომის შემთხვე-ვაში, გარდა საფრანგეთისა. სამივე მხარე ერთმანეთს აღუთქვამდა სამხედრო დახმარებას, თუკი რომელიმე მათგანს ერთდროულად თავს დაესხმოდა ორი სახელმწიფო ერთად. ხელშეკრულება დადე-ბულ იქნა ხუთი წლით. შემდგომში იგი რამდენჯერმე გაანახლეს (1887, 1891, 1902, 1912 წლები).

„სამი იმპერატორის კავშირი“ ასეთ ვითარებაში, ცხადია, მხო-

ლოდ ფორმალურად არსებობდა. უკვე 1879 წელს კანცლერი გორ-ჩაკოვი თვლიდა, რომ ეს კავშირი აღარ არსებობს.

ბისმარკი კარგად გრძნობდა, რომ თავისი საგარეო პოლიტიკით რუსეთს საფრანგეთთან აახლოვებდა; იგი ყოველნაირად ცდილობ-და ხელი შეეშალა ამ დაახლოებისათვის. აფრიკაში და აზიაში კო-ლონიური ექსპანსიის გაძლიერება ამწვავებდა ინგლის-საფრანგე-თისა და ინგლის-რუსეთის ტრადიციულ წინააღმდეგობებს. რუსე-თის საგარეო პოლიტიკური პოზიციები ამჯერად შერყეული იყო. ბერლინის კონგრესზე იგი იზოლირებული აღმოჩნდა, რაც ინგლის-თან გამწვავებული ურთიერთობის პირობებში რუსეთს საზარბიე-ლოს არას უქადდა. სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი არმიის რე-ფორმას შეუდგა, შავ ზღვაზე საჭირო იყო ფლოტის აგება. ინგლის-თან პირისპირმდგარი რუსეთი იძულებული იყო თავი დაეღწია იზოლაციისათვის. ასეთი ვითარება საშუალებას აძლევდა ბისმარკს განეახლებინა 1881 წლის 18 ივნისს „სამი იმპერატორის კავშირი“.

ფაქტიურად ეს იყო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ. კერძოდ, რუსეთი პირობას დებდა არ ჩარეულიყო გერმანია-საფრანგეთის კონფლიქტში, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ამასვე აღუთქვამდნენ რუსეთს ინგლის-რუსეთის ომის შემთხვევაში. ლაპარაკი იყო აგრეთვე ნეიტრალიტეტის შესახებ თურქეთთან ომი-სას, იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ ომის მიზნები და შესაძლო რეზულტატები წინასწარ ყოფილიყო შეთანხმებული. გათვალისწი-ნებული იყო აგრეთვე ისიც, რომ არც ერთი მხარე არ შეეცდებოდა შეეცვალა ბალკანეთის არსებული მდგომარეობა წინასწარ, ურ-თიერთშეთანხმების გარეშე. ხელშეკრულება სამი წლით იყო გან-საზღვრული. 1884 წელს მისი განახლებისას რუსეთმა აგრძნობინა მათ, რომ იგი ნეიტრალიტეტს დაიცავს ისეთი ომის შემთხვევაში, რომელიც დაიწყება გერმანიაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხ-ვევაში და არა, პირიქით.

ხელშეკრულება ავალდებულებდა გერმანიასა და ავსტრია-უნგ-რეთს ხელი შეეწყოთ რუსეთისათვის სრუტეების საკითხის მოგვა-რებაში ანუ თურქეთის მთავრობისაგან მიეღწიათ იმისათვის, რომ მას მტკიცედ დაეცვა სრუტეების დახურვის პრინციპი ანუ არ დაემ-ვა ინგლისის ფლოტი შავ ზღვაში.

* * *

1885 წელს ბალკანეთზე ახალი კრიზისი დაიწყო. 18 სექტემ-ბერს აღმოსავლეთ რუმელიის მთავარ ქალაქში ფილიპოპოლში

(პლოვდივი) აჯანყებამ იფეთქა. ბულგარელმა პატრიოტებმა განდევნეს თურქი მოხელეები. ბულგარეთის მთავარმა ალექსანდრემ (ყოფილი პრინცი ბატენბერგელი) მცირედი ყოყმანის შემდეგ „ორივე ბულგარეთის“ გაერთიანება გამოაცხადა. ეს აქტი ბერლინის ტრაქტატის დარღვევას მოასწავებდა. რუსეთმა, საერთაშორისო გართულებათა თავიდან აცილების მიზნით, არ ცნო ეს აქტი, ამასთან ერთად იგი უკმაყოფილო იყო ალექსანდრეს დასავლური, უპირატესად პროგერმანული პოზიციებით. მომხდარი ფაქტი არ ცნეს აგრეთვე სერბებმა და ბერძნებმა. სერბეთის მეფემ მილანმა, რომელიც ავსტრიული ორიენტაციისა იყო, ბულგარეთის გაერთიანება „ბალკანეთზე წონასწორობის დარღვევად“ მიიჩნია და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა 1885 წლის 14 ნოემბერს ბულგარეთს. ბულგარელებმა გაიმარჯვეს და მდგომარეობა აღადგინეს. ამას დაემთხვა პოლიტიკური კრიზისი ქვეყნის შიგნით, ხელისუფლების სათავეში მოექცა ანტირუსული პარტია ს. სტამბოლოვის მეთაურობით. ბულგარეთის ტახტზე ავიდა გერმანელი პრინცი ფერდინანდ კობურგელი, რომელიც ავსტრია-უნგრეთის კრეატურას წარმოადგენდა. ავსტრია-უნგრეთმა, ინგლისმა და თურქეთმა მხარი დაუჭირეს მას. რუსეთის მთავრობამ არ ცნო კობურგელის კანდიდატურა და იგი უზურპატორადაც კი გამოაცხადა. დიდ სახელმწიფოთა შორის კვლავ უთანხმოება დაიწყო.

ბისმარკმა ისარგებლა რუსეთის კრიტიკული მდგომარეობით და კვლავ შეეცადა საფრანგეთთან ურთიერთობის გამწვავებას. იგი საბაბად იყენებდა ბულანჟიზმს, განზრახ აზვიადებდა ამ ფაქტს და იმედოვნებდა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში საფრანგეთთან პირისპირ აღმოჩნდებოდა. მაგრამ მიუხედავად გართულებებისა, რომელიც რუსეთს ბულგარეთში შეექმნა, აღმოჩნდა, რომ იგი საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის შემთხვევაში ნეიტრალური არ დარჩებოდა. 1887 წლის აპრილში ადგილი ჰქონდა გერმანია-საფრანგეთს შორის მწვავე სასაზღვრო კონფლიქტს (ე. წ. შნებელეს საქმე) [1]. ბისმარკი იძულებული გახდა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა.

ასეთ ვითარებაში „სამი იმპერატორის კავშირს“ საბოლოოდ დაესვა ჯვარი. 1887 წლის ივნისში ხელშეკრულების განახლებისას რუსეთმა არ ისურვა ავსტრია-უნგრეთთან მოლაპარაკება. ამჯერად მოლაპარაკება მხოლოდ გერმანიასა და რუსეთს შორის ჩატარდა.

---

[1] კონფლიქტი გამოიწვია გერმანიის ხელისუფალთა მიერ საფრანგეთის სასაზღვრო მოხელის შნებელეს დაპატიმრებამ.

მათ შორის დაიდო ე. წ. „გადაზღვევის ხელშეკრულება“. შეთანხმების თანახმად, ორივე მხარე ურთიერთს ჰპირდებოდა ნეიტრალიტეტს მათზე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ აქვე აღინიშნა ორი გამონაკლისი შემთხვევა. რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის კონფლიქტის შემთხვევაში გერმანია არ იყო ვალდებული დაეცვა ნეიტრალიტეტი. რუსეთი უარს ამბობდა ნეიტრალიტეტზე საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის შემთხვევაში.

გერმანია კვლავ ცდილობდა წაექეზებინა რუსეთი აღმოსავლეთის. კერძოდ თურქეთის მიმართ. ამავე დროს იმავე 1887 წელს იგი რუსეთის ზურგს უკან ხელს უწყობდა ინგლისის. იტალიისა და ავსტრია-უნგრეთის შეთანხმებას (ე. წ. „ხმელთაშუა ზღვის ანტანტა“). რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას სრუტეებისა და ბალკანეთის საკითხში, ამასთან ერთად „Status quo“-ს დაცვას ხმელთაშუა, შავ, ეგეოსისა და ადრიატიკის ზღვებზე.

1890 წელს ბისმარკის შემცვლელმა კაპრივიმ აღარ განაახლა 1887 წლის ხელშეკრულება გადაზღვევის შესახებ. ამიერიდან გერმანელებმა საგარეო პოლიტიკაში „ახალი კურსი“ აიღეს. მათ მოსინჯეს ინგლისთან დაახლოების შესაძლებლობა. კერძოდ იმედოვნებდნენ, რომ ინგლისი „სამთა შეთანხმებას“ შეუერთდებოდა. ეს იყო პირველი სიმპტომები იმ დიდი შეცდომისა, რომელიც გერმანიის საგარეო პოლიტიკის სტრატეგებმა დაუშვეს XIX—XX საუკუნის მიჯნაზე. მათ ეგონათ, რომ ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმი ურყევი და შეურიგებელი იყო, რომ ინგლის-საფრანგეთის დაახლოება, საერთოდ, გამორიცხული იყო. როგორც ცნობილია, ეს ვარაუდი არ გამართლდა და 1904 წლის ინგლის-საფრანგეთის „გულითადი შეთანხმებით“ დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ინგლისთან დაახლოება პირველად ბისმარკმა სცადა (1889), მან წინადადებით მიმართა სოლსბერის დაედოთ ანტიფრანგული კავშირი, მაგრამ. ამაოდ.

საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის გასხილულ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. რის შედეგადაც დამთავრდა კონტინენტის სახელმწიფოთა ორ მტრულ ბანაკად დაყოფა.

XIX საუკუნის 80—90-იანი წლები აღინიშნა გერმანია-რუსეთის ურთიერთობათა შემდგომი გაუარესებით. გერმანელ და რუს აგრარიების მწვავე ეკონომიურ ბრძოლას ამიერიდან დაემატა ბრძოლა რუს და გერმანელ კაპიტალისტურ მრეწველებს შორის. საქმე ისაა, რომ 70-იანი წლების დამლევამდე გერმანიის მრეწვე-

ლები თავისუფლად ბატონობდნენ რუსეთის ბაზარზე. 70-იანი წლებიდან მოყოლებული აღინიშნება რუსეთში კაპიტალისტური წარმოების ზრდა. რუსი მრეწველები საკუთარ მთავრობას მტკიცე პროტექციონიზმის გატარებას სთხოვდნენ. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა 1876 წლიდან გაეზარდა საბაჟო გადასახადები. რუსეთის ბაზარზე გერმანული პროდუქციის შელწევა გაძნელდა.

ეს ის პერიოდია, როცა ბისმარკის მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა ეშოვნა გერმანიის მრეწველობის პროდუქციის გასაღების საშუალებები. 1883 წელს მან აიძულა თურქეთი სამხედრო შეკვეთები არმსტრონგის ნაცვლად გადაეცა კრუპისა და მაუზერისათვის; 1885 წელს მან მიაღწია იმას, რომ ჩინელებმა კრუპს დაკვეთა მისცეს, გერმანიამ მოახერხა რუმინეთსა და იტალიაში დიდი დაკვეთა მიეღო იარაღსა და რკინიგზის მოწყობილობაზე. სერბეთში ცდილობდა გამოეტაცებინა სამხედრო დაკვეთები ფრანგული ფირმებისათვის. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან. ბისმარკი წელებზე ფეხს იდგამდა და ასეთ მომენტში, რასაკვირველია, რუსეთია უზარმაზარი ბაზრის დაკარგვა გერმანიის ეკონომიკისათვის უდიდეს ტრავმას მოასწავებდა. ბისმარკი ხან თხოვნით, ხან მუქარით ცდილობდა აეძულებინა რუსეთის მთავრობა დაეწია პაჟებისათვის. მაგრამ, ამაოდ, 1884-85 წწ. ბაჟები საგრძნობლად გაიზარდა.

პოლიტიკურ ზეგავლენასთან ერთად ბისმარკი რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიურ აქციებსაც იყენებდა; იგი აშინებდა რუსეთს გერმანიაში რუსული იმპორტის შეზღუდვით, ძირს უთხრიდა მის კრედიტებს, აღარ აძლევდა სესხს. რაიხსტაგს წინადადება მიეცა არ მიეღო რუსეთის ფასიანი ქაღალდები და სხვ.

რუსეთის კრედიტზე შეტევამ გერმანელთათვის საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. საფრანგეთმა დაუყოვნებლივ გამოიყენა შექმნილი ვითარება და რუსეთს საჭირო ფინანსური დახმარება აღმოუჩინა. საფრანგეთის ბანკებმა გამოუყვეს მას საჭირო თანხა. ეს იყო მნიშვნელოვანი მომენტი საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების გზაზე. 1888 წელს რუსეთმა პირველი სესხი მიიღო. 1888-89 წწ. საფრანგეთის ფინანსისტებმა ჩაატარეს დიდი ოპერაცია რუსეთის სახელმწიფო სესხის კონვერსიის სფეროში. 1890 და 1891 წწ. მიღებულ იქნა ახალი სესხები. ამიერიდან ფრანგული კაპიტალი რუსეთის მთავარი კრედიტორი გახდა. რუსეთმა საფრანგეთს იარაღის დიდი პარტია შეუკვეთა (500.000 თოფი), თანაც დაარწმუნა იგი, რომ ამ იარაღს მის წინააღმდეგ არასოდეს არ გამოიყენებდა.

კაპრივის მიერ „გადაზღვევის" ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმამ და ინგლისთან დაახლოების ცდამ საბოლოოდ განსაზ-

ღვრა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კურსი. რუსეთმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო შეეკრა კავშირი საფრანგეთთან.

ამ კავშირის აუცილებლობაში საფრანგეთი კიდევ ერთხელ დაარწმუნა 1887 წლის მოვლენებმა, გერმანიის ახალ მუქარაში რომ გამოიხატა.

1888 წელს გერმანიის ტახტზე ავიდა ახალგაზრდა იმპერატორი ვილჰელმ II; 1890 წლის 20 მარტს გადადგა ბისმარკი. ვილჰელმ II-ის „ახალი კურსის“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ფრანც-იოზეფს ვილჰელმ II არწმუნებდა, რომ მზადაა ყოველთვის ამოუდგეს მას მხარში ბულგარეთთან თუ რუსეთთან საბრძოლო სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს. 1889 წლის ოქტომბერში ბერლინში ჩავიდა ალექსანდრე III. მასპინძლებს — გერმანელებს იგი მეტად ცივად შეხვდა, საფრანგეთის ელჩს ჟიულ ერბეტს კი მიუალერსა, მასთან საუბარში იმპერატორმა სურვილი გამოთქვა საფრანგეთის არმიის შემდგომი გაძლიერების შესახებ. გერმანელთათვის შეურაცხმყოფელი იყო ისიც, რომ მან მისასალმებელი სიტყვა ფრანგულად წარმოთქვა. ამას ზედ დაერთო ამავე წლის ნოემბერში ვილჰელმის ჩასვლა მეგობრული ვიზიტით კონსტანტინოპოლში.

1890 წელს ახალმა რაიხსკანცლერმა კაპრივიმ განაცხადა, რომ სრუტეების პრობლემის რუსული გადაწყვეტა „აბსოლუტურად შეუძლებელია“, რომ ახლო აღმოსავლეთში არავითარი ცვლილება არ უნდა მოხდეს გერმანია-ავსტრია-უნგრეთის თანხმობის გარეშე.

1890 წლის აგვისტოში რუსეთს ესტუმრა საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე გენერალი ბუადეფრი. მოლაპარაკება ფრიად შედეგიანი აღმოჩნდა. რუსები მზად იყვნენ გამოეცხადებინათ მობილიზაცია საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში; რუსეთი მზად იყო მარტო დასხმოდა თავს ავსტრია-უნგრეთს. ისინი ფრანგებისაგან ერთგვარ „გადაზღვევას“ მოითხოვდნენ: მათ მობილიზაციის გამოცხადებით უნდა შეეკავებინათ გერმანიის ძალები. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ყინული გალხვა, საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება რეალურ საქმედ იქცა.

1891 წლის ივლისში კრონშტადტში ვიზიტით ჩამოვიდა საფრანგეთის ესკადრა ადმირალ ჟერვეს მეთაურობით. ესკადრის შესახვედრად მოვიდა თვით იმპერატორი ალექსანდრე III, რომელიც ქუდმოხდილი ისმენდა საფრანგეთის რესპუბლიკის ჰიმნს „მარსელიო-

ზას". და ეს მაშინ, როცა ამ სიმღერისათვის ქვეყნის შიგნით რუს ადამიანებს პეტრე-პავლეს ციხესა და ციმბირში გზავნიდნენ. ფლოტის ვიზიტი საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის დემონსტრაციად იქცა.

დიპლომატები თავის საქმეს აკეთებდნენ. პირველი შეთანხმება გაფორმდა 1891 წლის 27 აგვისტოს, საგარეო საქმეთა ორი მინისტრის (გირსი, რიბო) წერილების გაცვლა-გამოცვლის სახით (ამჟამად ლიტერატურაში ამ შეთანხმებას საფრანგეთ-რუსეთის კონსულტაციურ პაქტს უწოდებენ). აქ ორივე მხარე შესაძლებლად თვლიდა ურთიერთ დაახლოებას და ითვალისწინებდნენ დაახლოების კონკრეტული პირობების შემუშავებას სამხედრო საფრთხის აღმოცენების შემთხვევაში. 1893 წელს რუსეთის ფლოტი საპასუხო ვიზიტით ესტუმრა ტულონს. 1893 წლის 27 დეკემბერს გირსმა ამცნო ფრანგებს, რომ ალექსანდრე III დათანხმდა საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო კონვენციის მიღებას. გაფორმდა სამხედრო კავშირი საფრანგეთსა და რუსეთს შორის. კონვენციის თანახმად. თუ საფრანგეთს თავს დაესხმის გერმანია ან იტალია. რუსეთი მას სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს და თავს დაესხმება გერმანიას. ასეთივე ვალდებულება იკისრა საფრანგეთმა რუსეთზე გერმანიის ან ავსტრია-უნგრეთის თავდასხმის შემთხვევაში.

ამრიგად, კონტინენტური სახელმწიფოები ორ მტრულ აგრესიულ ბანაკად გაიყო. ასეთი იყო საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი შედეგი. „კონტინენტის დიდი სამხედრო სახელმწიფოები გაიყვნენ ორ დიდ, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბანაკად: ერთი მხრივ, საფრანგეთი და რუსეთი, მეორე მხრივ, გერმანია და ავსტრია", — წერდა ფ. ენგელსი [1].

დიდი ბრიტანეთი ოფიციალურად ჯერჯერობით არც ერთ ბანაკს არ უკავშირდებოდა. იგი კვლავ განაგრძობდა „ბრწყინვალე იზოლაციის" ტრადიციულ პოლიტიკას. რომელიც. ამასთანავე ერთად. „თავისუფალი ხელების" პრინციპსაც ითვალისწინებდა. ცხადია. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ინგლისი აქტიური საგარეო პოლიტიკის გარეშე იდგა. პირიქით, მას ხელთ ეპყრა ამ პოლიტიკის მთავარი საბადაეები და თავის პოზიციებს ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა შესაბამისად განსაზღვრავდა.

საერთაშორისო ურთიერთობათა ამ ეტაპზე ინგლისის უმთავრეს მეტოქეებად რჩებოდნენ საფრანგეთი და რუსეთი. ინგლისის სახელმწიფოს ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ არანაკლებ მძაფრი წი-

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. XVI. ч. 2, стр. 33.

ნაალმდეგობები არსებობს, ვთქვათ, რუსეთსა და გერმანიას შორის, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის, თურქეთსა და რუსეთს შორის, რუსეთსა და იაპონიას შორის და სხვ. ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ საფრანგეთთან ან რუსეთთან ინგლისის კონფლიქტის შემთხვევაში. იგი გამოიყენებდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ძალებს. აქედან გამომდინარე, მათ ზედმეტად მიაჩნდათ ამ სახელმწიფოებთან რაიმე ხელშეკრულების დადება, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი იძულებული იქნებოდნენ ომში ჩაბმულიყვნენ ან გერმანიის, ან ავსტრია-უნგრეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთან ერთად ინგლისი კვლავ იცავდა „სხვისი ხელებით ნარის გლეჯის“ ცნობილ პოლიტიკას. მისი გატარების საუკეთესო საშუალება იყო სხვა სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობათა წაქეზება მათ შორის პერმანენტული კონფლიქტის არსებობის უზრუნველსაყოფად. „ბრწყინვალე იზოლაციის“ პოლიტიკაში ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ზემოაღნიშნული „ხმელთაშუა ზღვის ანტანტა“, მაგრამ ამ შემთხვევაში ინგლისი არ ღალატობდა ტრადიციას, ეს შეთანხმება არ ითვალისწინებდა სამხედრო ვალდებულებებს, ანუ სამხედრო კავშირს არ წარმოადგენდა. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე, როცა ინგლისი დარწმუნდა, რომ ამიერიდან მისი მთავარი მეტოქე გერმანიაა, მან ხელი აიღო „ბრწყინვალე იზოლაციის“ პოლიტიკაზე და მოკავშირეების ძებნას შეუდგა.

* * *

საერთაშორისო ურთიერთობათა აღნიშნულ ეტაპზე გამწვავდა ბრძოლა დიდ სახელმწიფოთა შორის კოლონიებისათვის, გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისათვის. საუკუნის დასასრულს მთავრდება მსოფლიოს განაწილება. დღის წესრიგში დგება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი.

70-იანი წლებიდან დაიწყო მსოფლიოს ჯერ კიდევ გაუნაწილებელი ტერიტორიების დატაცება. ტონის მიმცემი იყო ინგლისი, დიზრაელის მეთაურობით. 1878 წელს ინგლისელებმა ხელთ იგდეს კიპროსი, დაიწყეს ომი ავღანეთის წინააღმდეგ და მას თავს მოახვიეს პროტექტორატი; შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ბურების ტერიტორია, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. რუსეთმა ფართო ექსპანსია გაიჩაღა შუა აზიაში და ზედიზედ რამდენიმე წარმატებას მიაღწია. 1881 წელს საფრანგეთმა ხელთ იგდო ტუნისი და მასზე პროტექტორატი დააწესა. ფართოდ გაიშალა ბრძოლა მაროკოსათვის. აქ ერთ-

მანეთს დაუპირისპირდნენ საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და, ბოლოს, გერმანია. 1882 წელს ინგლისელებმა ხელთ იგდეს ეგვიპტე, თავის კონტროლს დაუმორჩილეს სუეცის არხი. დიდი სახელმწიფოები შეუდგნენ, აგრეთვე, აფრიკის კონტინენტის საბოლოო განაწილებას, აქ ერთმანეთს შეეჯახნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, პორტუგალიისა და გერმანიის ინტერესები. დიდი წინააღმდეგობა წარმოიშვა კონგოს განაწილების დროს; გამწვავდა ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის დასავლეთი აფრიკის განაწილებისას. 1898 წელს ე. წ. ფაშოდას ინციდენტის დროს, რომელიც სუდანის დაპყრობასთან დაკავშირებით აღმოცენდა, ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა იმდენად დაიძაბა, რომ მათ შორის მოსალოდნელი გახდა ომი. ფრანგებმა უკან დაიხიეს და ევროპა ახალ ომს გადარჩა. წინააღმდეგობის ასპარეზს წარმოადგენდა, აგრეთვე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. 1874-87 წწ. ინგლისელებმა პროტექტორატი გაავრცელეს მალაკის ნახევარკუნძულის სახელმწიფოების მიმართ; 80-იან წლებში ფრანგები განაგრძობენ ანექსიას ინდოჩინეთში.

სამხრეთ ინდოჩინეთის ხელში ჩაგდების შემდეგ მათ 1883 წელს ხელთ იგდეს ანამი. ფრანგულ ანექსიას მოჰყვა ვიეტნამელი ხალხის დიდი წინააღმდეგობა და ომი ჩინეთთან, რომლებმაც შეძლეს ფრანგების წინსვლის გარკვეული შეფერხება. 1885 წელს ფრანგებმა ხელთ იგდეს ტონკინი, ინგლისელებმა ბირმა. სიამი ფრანგებთან ერთად გავლენის სფეროებად გაიყვეს.

70-იანი წლების დამლევს კოლონიურ ასპარეზზე გამოდის გერმანია. გერმანიის კოლონიური პოლიტიკის ისტორია ჯერ კიდევ ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის არსებობის დროიდან იწყება. კოლონიური პოლიტიკის პიონერებად მისიონერები და სავაჭრო ქალაქები გვევლინებიან. ეს პოლიტიკა ჯერჯერობით კერძო ინიციატივის გზით ხორციელდებოდა. ჯერ კიდევ 1833 წელს ჰამბურგელმა ვაჭრებმა კომერციული ურთიერთობა გაბეს დასავლეთ და სამხრეთ აფრიკასთან. 1864 წელს შეიქმნა კომპანია დასავლეთ აფრიკასთან სავაჭროდ. გერმანიის ცალკეული ფირმები, მათ შორის ჰამბურგისა და ბრემენის სავაჭრო საზოგადოებები, ხელთ იგდებენ მთელ რიგ პუნქტებს აფრიკის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროებზე, ახალ გვინეაზე, ოკეანიის კუნძულებზე, სამოაზე და სხვ.

1883 წელს ბრემენელმა ვაჭარმა ადოლფ ლიუდერიცმა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე დააარსა კოლონია ანგრა-პეკენა. 1884 წლის 24 აპრილს ბისმარკმა ლიუდერიცის კოლონიაზე გერმანიის პროტექტორატი გამოაცხადა, ეს იყო პირველი ოფი-

ციალური გერმანული კოლონია. ე. წ. „გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა". იმავე 1884 წლის 15 ოქტომბერს გერმანიის პროტექტორატი გამოცხადდა ტოგოსა და კამერუნზე, სადაც ადრე ბრემენის ცნობილი ვოერმანის ფირმა მოქმედებდა. შეძენილ იქნა ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. მასთან ერთად გერმანიამ დაიმკვიდრა სოლომონის კუნძულთა ჯგუფი და კუნძულთა ჯგუფი, რომელთაც შემდეგ ბისმარკის არქიპელაგი ეწოდა. 1885 წ. გერმანელებმა ხელთ იგდეს ე. წ. მარშალის კუნძულები. 1885 წელს შეიქმნა ახალი კოლონია — „გერმანიის აღმოსავლეთი აფრიკა".

XIX საუკუნის 90-იან წლებში გერმანიის კოლონიურმა ექსპანსიამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამჯერად უკვე გერმანიას მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების ტენდენცია ამოქმედებს. იგი აქტიურად ჩაება ჩინეთის განაწილების საქმეში და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. 1894 წელს იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და მალე გაანადგურა ჩინეთის არმია. 1895 წ. სიმონოსეკის ზავით მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ჩინეთში იაპონელთა გაბატონების საფრთხის წინაშე მდგომი რუსეთი და საფრანგეთი ცდილობდნენ შეეჩერებინათ იაპონელთა წარმატებები და თვით დამკვიდრებულიყვნენ ჩინეთში. მათ გერმანიაც შეუერთდა. რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ მიზანს მიაღწიეს. იაპონიამ მნიშვნელოვნად შეკვეცა თავისი პრეტენზიები. ინგლისი არ მიეხმრო ევროპის დიდ სახელმწიფოებს. მას არ სურდა იაპონიასთან ურთიერთობის გაუარესება. რადგანაც სწორედ იაპონიაზე დაყრდნობით ანეიტრალებდა იგი რუსეთის მისწრაფებებს შორეულ აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა, მან საფრანგეთთან, რუსეთთან და გერმანიასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩინეთის გავლენის სფეროებად დაყოფაში.

გერმანიამ XIX საუკუნის 90-იან წლებში თავისი კოლონიური ექსპანსია ახლო აღმოსავლეთისაკენ მიმართა; უპირველეს ყოვლისა იგი მიზნად ისახავდა თურქეთზე გავლენის მოპოვებას. სწორედ ამ ზრახვების განხორციელებას ემსახურებოდა ცნობილი ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის გრანდიოზული წამოწყება.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში აფრიკის განაწილების შედეგად მსოფლიოს განაწილება ფაქტიურად დამთავრდა. დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი. საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის მეორე ეტაპი (1898 — 1914) ძირითადად სწორედ ამ ნიშნით წარიმართა. ესპანეთ-ამერიკის, ინგლის-ბურებისა და რუსეთ-იაპონიის ომებმა კაცობრიობას აუწყეს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლის დასაწყისი.

ლეონ გამბეტა

ჟან ჟორესი

ვიქტორ ჰიუგო

ემილ ზოლა

პორტუგალია

XX საუკუნის დასაწყისისათვის პორტუგალია წარმოადგენდა უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყანას. მოსახლეობის ნახევარზე მეტი დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად იმისა, რომ იქ ჭარბი რაოდენობით იყვნენ უმიწაწყლო გლეხები, დასამუშავებლად ვარგისი მიწების 43% აუთვისებელი რჩებოდა. პორტუგალიის სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი იყო ფეოდალიზმის გადმონაშთები. მსხვილი მემამულური ექსტენსიური მეურნეობა, იჯარის კაბალური ფორმა „ფორო“, მონახევრეობა, რაც მეტისმეტად ამუხრუჭებდა ქვეყნის სამეურნეო განვითარებას. პორტუგალიის ჩრდილოეთ რაიონებში გაბატონებული იყო წვრილგლეხური მეურნეობები, ხოლო სამხრეთში — უზარმაზარი 20-30 ათასი ჰა ფართობის ლატიფუნდიები, რომლებიც მიწათმფლობელ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. მაღალი სავაჭრო და საბაჟო ტარიფები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე უფრო მეტად ამდიდრებდა მიწათმფლობელებს, რაც შეეხება გლეხობას, ისინი საშინელ პირობებში ცხოვრობდნენ. მძიმე სახელმწიფო გადასახადები აიძულებდა გლეხს დაეგირავებინა თავისი მიწის ნაკვეთი. ბევრი მათგანი ლენური ან სეზონური მუშაობით ირჩენდა თავს. სწორედ ამის გამო პორტუგალიის საშინაო ბაზარი სამრეწველო საქონლისათვის არ იყო საკმარისი და ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას.

ეკონომიური დამოკიდებულება ინგლისზე, თავისუფალი კაპიტალის უკმარისობა და მისი გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ძირითადად ბრაზილიასა და კოლონიებში) ამუხრუჭებდა მრეწველობის განვითარებას. მრეწველობაში ძირითადად გავრცელებული იყო საფეიქრო წარმოება. შედარებით სუსტად იყო განვითარებული სამთამადნო, გემო-კვებისა და თამბაქოს მრეწველობა. 1881 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო 91 ათასი კაცი, 1907 წლის მონაცემების მიხედვით კი პორტუგალიის მუშათა კლასი 580 ათასი

კაცისაგან შედგებოდა, მაშინ როდესაც მთელი მოსახლეობა 6 მილიონს აღწევდა.

პორტუგალიის სამთამადნო მრეწველობა მთლიანად ინგლისელთა ხელში იყო; მათ ამ ქვეყნიდან მხოლოდ მადანი გაჰქონდათ და არ იყვნენ დაინტერესებული პორტუგალიაში მძიმე მრეწველობის საწარმოთა აგებით. 1914 წელს ინგლისურმა კაპიტალმა პორტუგალიაში 8,1 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" მიუთითებდა, რომ ინგლისურ ბანკებზე ეკონომიური დამოკიდებულება, ინგლისელების მიერ ადგილობრივი რკინიგზების, მიწების, მადნეულის შესყიდვა პორტუგალიას ინგლისის ვასალად ხდიდა[1].

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის პორტუგალიის სამეურნეო ცხოვრებას გამოცოცხლება დაეტყო. 1885 წელს სამთო-მოპოვებით მრეწველობაში კონცესიათა რაოდენობამ, რომელიც 1866 წელს 265-ს შეადგენდა, მიაღწია 432-ს. 1880 წელს პორტუგალიაში აიგო თევზის პირველი საკონსერვო ფაბრიკა, ხოლო 6 წლის შემდეგ მათი რაოდენობა უკვე 66-ს აღწევდა. 1877 წლიდან 1896 წლამდე აქ გაიყვანეს 1,4 ათასი კმ რკინიგზა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პორტუგალიამ არამცთუ ვერ შეძლო საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის გადალახვა, პირიქით, მისი სამეურნეო ცხოვრება დიდ სიძნელეთა წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით სერიოზული იყო პორტუგალიის ფინანსური მდგომარეობა. 1892 წ. პორტუგალიამ ბანკროტობა გამოაცხადა. თუ მისი სახელმწიფო ვალი 1896 წ. 664 მილიონ მილრეისს შეადგენდა, 1909 წლისათვის ამ თანხამ 161.837.430 გირვანქა სტერლინგს მიაღწია. სახელმწიფო სესხების პროცენტების გადახდაზე მიდიოდა პორტუგალიის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი. პორტუგალიის ბურჟუაზია, რომელიც სახელმწიფოს თავის კაპიტალს კრედიტით აძლევდა, იღებდა შემდეგ ისეთ შემოსავალს, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალს. აქედან გამომდინარე, პორტუგალიის ბურჟუაზია ნაკლებად იყო დაინტერესებული ეროვნული მრეწველობის განვითარებით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თავისუფალი კაპიტალის უქონლობა ამცირებდა მიწაზე მოთხოვნილებას, რის გამოც XIX საუკუნის მიწურულში მიწის ფასი უაღრესად დაეცა. გაიზარდა ემიგრაცია. თუ 1881-85 წწ. პორტუგალიას საშუალოდ ტოვებდა 17

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 331, 332.

ათასი კაცი, 1891-95 წწ. მისმა რიცხვმა საშუალოდ 31.6 ათას კაცს მიაღწია.

XX საუკუნის დამდეგისათვის პორტუგალია წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიას, რომელსაც მართავდა ბრაგანს-კობურგთა დინასტიის წარმომადგენელი კარლუშ I. კონსტიტუციის თანახმად საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ორ პალატას: პერებისა და დეპუტატების. ზედა პალატა (პერების) შედგებოდა მეფის ნათესავების, პერების, უმაღლესი საეო და სასულიერო წოდებათა წარმომადგენლებისაგან. რაც შეეხება ქვედა (დეპუტატთა) პალატას, მისი შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა საარჩევნო კანონების ცვლილებების შესაბამისად. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მამაკაცებს 21 წლის ასაკს ზევით, რომლებმაც იცოდნენ წერა-კითხვა და იხდიდნენ 500 მილრეის პირდაპირ გადასახადს. ასეთი შეზღუდვების შედეგად 25 წლის ასაკს გადაცილებულ მამაკაცთა მხოლოდ 50% იღებდა არჩევნებში მონაწილეობას.

1876 წლამდე (1852 წლიდან) ხელისუფლებას სათავეში ედგა „რეკენერადოს" (აღორძინების) პარტია, რომელმაც უაღრესად შეზღუდული ლიბერალური რეფორმები გაატარა: გააუქმა მაიორატის სისტემა, პერის წოდების მემკვიდრეობითი გადაცემა, გამოსცა სამოქალაქო კოდექსი. 1876 წ. „რეკენერადოს" გამოეყო „მემარცხენე" ფრთა, რომელმაც შექმნა პროგრესისტების პარტია („პარტიდუ „პროგრესიშტა"); „რეკენერადოს" და პროგრესისტების პარტიები ცვლიდნენ ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში. ორივე პარტია დაკავშირებული იყო ინგლისურ კაპიტალსა და მიწათმფლობელ ოლიგარქიასთან და დიდ გავლენას ახდენდა პორტუგალიის როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ ცხოვრებაზე.

ასეთ პირობებში XIX საუკუნის მიწურულში პორტუგალიაში ფართოდ გავრცელდა რესპუბლიკური მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა 1868-74 წწ. ესპანეთის რევოლუციის გავლენით და თავდაპირველად მოიცვა ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი, რომლებმაც 1876 წელს შექმნეს პორტუგალიის რესპუბლიკური პარტია. რესპუბლიკისათვის მოძრაობას მძლავრი ბიძგი მისცა მთავრობის პოზიციამ, რომელიც მან დაიკავა 1890 წლის 11 იანვრის ინგლისის ულტიმატუმის მიმართ, რომლის მიხედვითაც ინგლისი ითხოვდა მოზამბიკში ტერიტორიულ დათმობებს. მთავრობის შემთანხმებლურმა პოლიტიკამ გამოიწვია მასების დიდი აღშფოთება, რითაც ისარგებლეს რესპუბლიკელებმა. 1891 წ. 31 იანვარს მათ ქალაქ პორტუში მოაწყვეს აჯანყება და გამოაცხა-

დეს რესპუბლიკა. მაგრამ მთავრობამ ეს გამოსვლა სისხლში ჩაახშო. მიუხედავად რეპრესიებისა, რესპუბლიკური მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა და უკვე 1906 წ. არჩევნებში მიიღო 13.204 ხმა, რამაც მას საშუალება მისცა პარლამენტში 4 დეპუტატი გაეყვანა.

1906 წლის მაისში პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ჟოან ფრანკუ, 1903 წელს დაარსებული ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიის ლიდერი, რომელმაც დაითხოვა პარლამენტი და ქვეყნის შიგნით დიქტატორული რეჟიმი დაამყარა. მაგრამ რეპრესიებმა ვერ შეაჩერა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი. 1908 წლის 28 იანვარს აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა დიქტატურის დამხობას. შეთქმულებას მოჰყვა მუნიციპალური საბჭოების დაშლა, დახურეს დამოუკიდებელი გაზეთები, ბევრი რესპუბლიკელი ციხეებში ჩაყარეს ან გადაასახლეს. ამის პასუხად ლისაბონსა და სხვა ქალაქებში მოეწყო მძლავრი დემონსტრაციები. 1908 წლის 1 თებერვალს ტერორისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ეტლით მიმავალი მეფე კარლუშ I და ტახტის მემკვიდრე ლუიშ ფილიპე. ახალმა მეფემ მანუელ II-ემ (1908-19) ოპოზიციის დასამშვიდებლად გაატარა ზოგიერთი ღონისძიება: დაითხოვა ჟ. ფრანკუს მთავრობა, გამოაცხადა ნაწილობრივი ამნისტია და ა. შ. მაგრამ კრიზისი ვერც ამ ღონისძიებებმა შეაჩერა. პოლიტიკური მდგომარეობა არ იყო სტაბილური: წელიწადნახევრის განმავლობაში მთავრობა შვიდჯერ გამოიცვალა. 1910 წელს გადასახადები წინა წელთან შედარებით თითქმის 900 ათასი მილრეისით გაიზარდა. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტიც. მოსახლეობის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი გამოსავალს მონარქიის დამხობაში ხედავდა. მუშათა კლასი ამ მოძრაობას სათავეში ვერ ჩაუდგებოდა თავისი მოუმწიფებლობის გამო. მონარქიის დამხობისათვის მზადებაში დიდი როლი შეასრულა 1895 წ. დაარსებულმა ფარულმა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „კარბონარიამ“, რომელიც თავის რიგებში თავდაპირველად კოიმბრის უნივერსიტეტის სტუდენტობას აერთიანებდა; 1909 წლის ოქტომბრიდან კვლავ დაიწყო აჯანყებები არმიასა და ფლოტში. მიუხედავად ტერორისა და ფალსიფიკაციისა 1910 წლის არჩევნების შედეგად რესპუბლიკელებმა მიიღეს პარლამენტში 14 ადგილი.

1910 წლის 3 ოქტომბერს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დოქტორ ბომბარდას მკვლელობით აღშფოთებულმა ხალხმა ხელი მოჰკიდა იარაღს. 4 ოქტომბერს აჯანყდნენ სამხედრო-საზღვაო და ქვეითი ჯარის ნაწილები. 5 ოქტომბერს ლისაბონის მუნიციპალიტეტის დარბაზში პორტუგალია რესპუბლიკად გამოცხადდა.

შეიქმნა დროებითი მთავრობა თეოფილო ბრაგას მეთაურობით. მთავრობაში შევიდნენ რესპუბლიკელი-ინტელიგენტებისა და ოფიცერთა წარმომადგენლები.

ბურჟუაზიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა, დაიწყო მისთვის სასურველი პროგრამის განხორციელება. 1911 წლის 20 აპრილის დეკრეტით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, შემოიღეს საერო სწავლება, განდევნეს იეზუიტები. 1910 წლის 6 დეკემბერს მიიღეს კანონი გაფიცვების დაშვების შესახებ: ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა მამაკაცს 21 წლის ასაკს ზევით. მაგრამ რევოლუციამ ფეოდალიზმის ნაშთები კვლავ ხელუხლებლად დატოვა, რითაც ქვეყნის ეკონომიკას აგრარული ხასიათი შეუნარჩუნა. 1911 წლის 11 ივნისს ეროვნულმა დამფუძნებელმა ასამბლეამ მიიღო ახალი კონსტიტუცია; პორტუგალია გამოაცხადა რესპუბლიკად და პირველ პრეზიდენტად აირჩიეს დოქტორი არიაგა.

ახასიათებდა რა პორტუგალიის 1910 წლის რევოლუციას, რომელმაც ვერ მოუტანა ქვეყანას ვერც ფინანსური და ვერც დიპლომატიური დამოუკიდებლობა, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ეს რევოლუცია არის წმინდაწყლის ბურჟუაზიული რევოლუცია და არა „სახალხო“, ვინაიდან ხალხის მასა, მისი უმრავლესობა აქტიურად, დამოუკიდებლად, თავისი საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით... შესამჩნევად არ გამოდიან“ [1].

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე პორტუგალიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებამ ბიძგი მისცა მუშათა მოძრაობის აქტივიზაციას. პორტუგალიაში რევოლუციური იდეები ჯერ კიდევ 1870 წლიდან გავრცელდა. როდესაც I ინტერნაციონალის აქტიურმა მბარდამჭერებმა ხოსე ფონტანამ და ანტერუ დი კენტალიამ ჩამოაყალიბეს პირველი სოციალისტური ჯგუფები. დიდი გავლენა მოახდინა პორტუგალიაზე პარიზის კომუნამ; 1875 წ. ჩამოყალიბდა პორტუგალიის სოციალისტური პარტია, რომლის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პ. ლაფარგმა. 1889 წ. პორტუგალიის ქ. ოპორტოს მუშებმა მოაწყვეს დიდი გაფიცვა. საწარმოებში სამუშაო დრო 1910 წელსაც კი 12—14 საათს აღწევდა. მუშებს (ბაღაროელთა გარდა) არ ჰქონდათ საკვირაო დასვენების დღე. მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, 1910 წ. გრანდიოზული გაფიცვების შედეგად წავიდა მთავრობა ზოგიერთ დათმობაზე. 1911 წლის 15 იანვარს რკინიგზელთა გაფიცვა დამთავრდა მუშების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ. 25, გვ. 512.

გამარჯვებით. მათ მოემატათ ხელფასი, სამუშაო დღე შემცირდა 9 საათამდე და მოიპოვეს 20-დღიანი შვებულების უფლება, მაგრამ მუშათა შემდგომი გამოსვლები სეტუბალში, ლისაბონში, ევორაში მთავრობის ჯარებმა სისხლში ჩაახშეს. მუშები არ იყვნენ სათანადოდ ორგანიზებულნი. ანარქო-სინდიკალისტურ პრინციპებზე მდგარი პროფკავშირები უარს ამბობდნენ პოლიტიკური ხასიათის ბრძოლაზე, მუშათა კლასი დაქსაქსული იყო. მხოლოდ 1919 წ. მუშათა II ეროვნულ ყრილობაზე მოხერხდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის შექმნა.

რუმინეთი

XX საუკუნის დამდეგისათვის რუმინეთი კვლავ რჩებოდა სუსტადგანვითარებულ ქვეყნად, მნიშვნელოვანი ფეოდალური გადმონაშთებით.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმული იყო რუმინეთის მოსახლეობის $^2/_3$ და მხოლოდ $^1/_{10}$ იყო დასაქმებული მრეწველობაში. რუმინეთის სოფლის მეურნეობის ნახევრადფეოდალური მდგომარეობის საილუსტრაციოდ საკმარისია ასეთი ფაქტი: 921 ათას წვრილგლეხურ მეურნეობას, რომლებიც მიწის მესაკუთრეთა 95%-ს შეადგენდა, ეკუთვნოდა 3 მლნ ჰა მიწა (სახნავი მიწის ფართობის 41%), მაშინ როდესაც 5 ათასი ბოიარი, რომლებიც მიწის მფლობელთა 1%-ს წარმოადგენდნენ — ფლობდა 4 მლნ ჰა-ს (სახნავი მიწის ფართობის 49%).

მემამულეთა უმეტესობა მიწას იჯარით იძლეოდა. მსხვილი მოჯარე, თავის მხრივ, მიწის პატარა ნაკვეთებს აძლევდა გლეხებს. საჯარო ქირას იხდიდნენ როგორც ნატურით, ისე ფულით. გლეხთა საშინელ ექსპლუატაციას ხელს უწყობდა მევახშეობაც; მევახშეთა ხელში გლეხი ვარდებოდა საიჯარო საფასურის გადაუხდელობის გამო. მიუხედავად გლეხთა საშინელი ექსპლუატაციისა და არარენტაბელური წვრილგლეხური მეურნეობებისა, რუმინეთმა შეძლო მარცვლეული კულტურების მოყვანაში XIX—XX სს. მიჯნაზე კონკურენცია გაეწია აშშ-თვის.

რაც შეეხება მრეწველობას, იგი სუსტად იყო განვითარებული. რუმინელ მრეწველთა კაპიტალი ძირითადად დაბანდებული იყო კვების, საფეიქრო და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში. მიუხედავად რუმინეთის მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკისა, XX საუკუნის დასაწყისში რუმინეთის მრეწველობაში მნიშვნელოვანი პოზიციები განიმტკიცა უცხოურმა კაპიტალმაც. მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში უცხოურმა, ძირითადად ინგლის-საფრანგეთის კაპიტალდაბანდებებმა 91,9% შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის მრეწველობა ძირითადად შინამრეწველთა საწარმოებისაგან შედგებოდა, XX საუკუნის დასაწყისში მკვეთრად იჩინა თავი მონოპოლისტური კაპიტალისათვის დამახასიათებელმა ნიშნებმა. 1903 წ. 53 მსხვილი საწარმოს კაპიტალმა შეადგინა მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალის 60%, რაც კაპიტალის კონცენტრაციაზე მიუთითებს. წარმოიშვა მონოპოლისტური გაერთიანებანი შაქრის, ქაღალდისა და მრეწველობის სხვა დარგებში.

XX საუკუნის დამდეგისათვის რუმინეთი წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიას ორპალატიანი პარლამენტითურთ. პარლამენტი შედგებოდა დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მიწის მაგნატების, ფინანსისტებისა და მრეწველების ციტადელს. საკმარისია ითქვას, რომ მის სხდომებს ესწრებოდნენ პირები, რომელთა წლიური შემოსავალი 30 ათას ლეის აღემატებოდა. მაღალი ქონებრივი ცენზის გამო მოსახლეობის მხოლოდ 1,3%-ს შეეძლო დეპუტატთა პალატის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, სენატის არჩევნებში კი მოსახლეობის მხოლოდ 0,38% მონაწილეობდა. ამრიგად, ძალაუფლება მთლიანად ერთი მუჭა მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელში იყო.

რუმინეთის ოლიგარქიას შესაფერისი მთავარიც (1881 წ.-დან მეფე) ჰყავდა კაროლ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენის სახით. პრუსიის სამეფო-საგვარეულოს გვერდითი შტოს ეს წარმომადგენელი რუმინეთში მხოლოდ ორიოდე ჩემოდნით ჩამოვიდა. 1881 წ. რუმინეთის მთავრობამ მას საჩუქრად 130 ათასი ჰა ფართობის ლატიფუნდია გადასცა. მალე მეფე კაროლი გახდა სხვადასხვა რუმინული და გერმანული ფირმების აქციათა პაკეტების მფლობელი. ევროპის გვირგვინოსანთა შორის მოხერხებულობითა და გაქნილობით იგი მეორე ადგილზე იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბელგიის მეფე ლეოპოლდს, რომელმაც აფრიკაში მთელი სახელმწიფო—კონგო მისაკუთრა. კაროლის სიკვდილის (1914) შემდეგ მისი ქონება შეფასებული იყო 100 მილიონ ლეიდ; მან „უსაყვარლესი ქვეყნისა და ხალხისათვის“ მხოლოდ 12 მილიონი გაიმეტა.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის მსოფლიო აგრარული ბაზარი მძიმე კრიზისმა მოიცვა; ევროპას ამერიკის კონტინენტიდან მოაწყდა იაფი ხორბალი და დასცა მისი ფასი ევროპაში. რუმინელი ექსპორტიორები გამოსავალს ეძებდნენ. რუმინეთში ხორბლის მარაგმა 80 ათასი ტ შეადგინა. მაშინ რუმინეთის კონსერვატიულმა მთავრობამ ზედმეტი ხორბლის საზღვარგარეთ გატანის მიზნით ავსტრია-უნგრეთთან ბაჟები გააუქმა. კონსერვატორებს არ

აწუხებდათ ის, რომ რუმინეთს მოაწყდა ავსტრიის სამრეწველო საქონელი. რუმინეთს საშიშროება ელოდა; იგი უნდა გამხდარიყო ჰაბსბურგთა მონარქიის სანედლეულო დანამატი. ეს იყო ის დრო, როცა „რუმინელები ჰამდნენ ბუდაპეშტში დაფქულ რუმინული მარცვლისაგან გამომცხვარ პურს. დადიოდნენ ავსტრიული ფეხსაცმელებით, რომლებიც რუმინული ტყავისაგან მზადდებოდა. და ატარებდნენ ვენურ კოსტიუმებს, რომლებიც რუმინული მატყლისაგან იყო მოქსოვილი". იმდროინდელი გაზეთი „რუმინული" ამ მოლაპარაკებას ასე ახასიათებდა: „კონსერვატიულმა მთავრობამ რუმინეთს მკერდში ჩასცა ხანჯალი და მისი უსიცოცხლო სხეული გრაფ ანდრაშის ფეხქვეშ გათელაო".

ამის გამო მმართველ ზედაფენაში დაიწყო განხეთქილება: კონსერვატორები გამოდევნეს ლიბერალებმა იონ ბრატიანუს ხელმძღვანელობით, რომლის მთავრობამაც აღარ გააგრძელა ავსტრია-უნგრეთთან არაპოპულარული ხელშეკრულება და 1881 წ. გამოსცა კანონი ეროვნული მრეწველობის დაცვის შესახებ. ლიბერალების ბატონობის ხანაში სამრეწველო განვითარების ტემპები სწრაფად გაიზარდა. თუ რუმინეთში 1866 წ. იყო 39 ფაბრიკა და ქარხანა, 1901 წლისათვის მათმა რიცხვმა 362-ს მიაღწია. ნავთობის მოპოვება 20 წლის მანძილზე (1880—1900) 10,5 ათასი ტონიდან გაიზარდა 250 ათას ტონამდე. ინტენსიურად მიმდინარეობდა რკინიგზების მშენებლობა. XX საუკუნის დასაწყისისათვის მისმა სიგრძემ 3 ათას კმ-ს გადააჭარბა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანით დაინტერესებული მემამულეები მხარს უჭერდნენ სარკინიგზო მშენებლობას.

ინდუსტრიის განვითარების პარალელურად იზრდებოდა და ძლიერდებოდა მუშათა კლასიც. 1901 წლისათვის მუშათა რაოდენობამ იმ ფაბრიკებში, ქარხნებსა და შახტებში, რომლებშიც 25 კაცზე მეტი არ მუშაობდა, არასრული მონაცემებით 61 ათასს მიაღწია. მარტო გადამმუშავებელ მრეწველობაში 130 ათასი კაცი იყო დაკავებული.

აუტანელი მდგომარეობა აიძულებდა მუშათა კლასს ებრძოლა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. პირველი დიდი გაფიცვა მოხდა 1872-75 წწ. 1872 წელს დაიწყო ცდა სახელმწიფოს მასშტაბით მუშების გასაერთიანებლად. დაარსდა „რუმინეთის მუშათა საყოველთაო ასოციაცია", მაგრამ ამ ორგანიზაციაში ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს სასელოსნოთა მეპატრონეებმა. რამდენადაც რუმინეთში იზრდებოდა პროლეტარული მოძრაობა, მოძრაობის წევრებს სულ უფრო იტაცებდათ მარქსისტული ლიტერატურა. 1881 წლის იანვარში

ამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „კონტემპორანულ“ („თანამედროვე“), რომელშიც დაიბეჭდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთი ნაშრომი. რუმინეთში შეიქმნა მთელი რიგი რევოლუციური წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ დოქტორი რუსელი, კ. დობროჯანუ-გერია და სოციალისტ-უტოპისტი ნ. ზუბკუ-კოდრიანუ. ამ წრეებს არ გააჩნდა ნათელი პროგრამა და თავის საქმიანობაში ინტელიგენციას. ძირითადად სტუდენტობას ეყრდნობოდა. მაგრამ ეს ნაბიჯი მცდარი აღმოჩნდა. ბევრი ყოფილი სტუდენტი, რომლებიც დიპლომებს იღებდნენ და ეწყობოდნენ თბილ ადგილებზე სამსახურში, თავს ანებებდა ფრონდირებას. ასეთი ევოლუცია შესანიშნავად ასახა თავის პამფლეტში „რ-რუმინელი“ ცნობილმა რუმინელმა სატირიკოსმა ლ. კარაჯალემ:

„მოსამზადებელი კურსიდან გიმნაზიის დამთავრებამდე—ანარქისტი;

გიმნაზიიდან სტუდენტამდე — სოციალისტი;

სტუდენტ-დიპლომანტიდან მოხელემდე—პროგრესისტი;

მოხელიდან პენსიონერამდე — კონსერვატორი“.

XIX საუკუნის 90-იანი წლები რუმინეთში კვლავ აღინიშნა მუშათა მოძრაობის ზრდით. მარტო ბუქურეშტში 1889 წელს მუშათა 162 ასოციაცია და საზოგადოება ჩამოყალიბდა, კრაიოში — 16, გალაცში—14 და ა. შ. გაიზარდა გაფიცვათა რაოდენობა. თავისი ხასიათით ეს გაფიცვები ეკონომიური ხასიათის იყო და პოლიტიკურად თითქოს არ წარმოადგენდა საშიშროებას კაპიტალიზმისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კლასობრივი აღზრდის საქმეში მათ მაინც დიდი წვლილი შეიტანეს.

1893 წელს დაარსდა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და ბუქურეშტის ყრილობაზე მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა. პროგრამის ავტორები მიუთითებდნენ შეურიგებელ ანტაგონიზმზე პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, მხარს უჭერდნენ კლასობრივ ბრძოლას, მოითხოვდნენ შრომის კანონმდებლობას, აგრარული საკითხების გადაჭრას, მაგრამ საერთოდ პროგრამა რეფორმისტული იყო: პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ სოციალისტური გარდაქმნები ჯერ დასავლეთ ევროპაში უნდა მომხდარიყო, ხოლო რუმინელი სოციალისტები იქიდან ნიშანს უნდა დალოდებოდნენ და მანამდე მოემზადებინათ ამ გარდაქმნებისათვის ნიადაგი რუმინეთში პროპაგანდით, მუშების ორგანიზაციით, ეკონომიური მოთხოვნებით და ა. შ. აქედან გამომდინარე, ისინი მოითხოვდნენ პარტიის ლეგალიზაციას.

რუმინეთის მუშათა კლასზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის

1905 წლის რევოლუციამ. 1905 წ. იანვრის ბოლოს მუშათა ორგანიზაციებმა გამოუშვეს ფურცლები და სპეციალური გაზეთი, სათაურით: „ძირს თვითმპყრობელობა“. 1905 წ. რუმინეთის სანაპიროებს ორჯერ მიუახლოვდა აჯანყებული ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, რომლის მეზღვაურებიც გულთბილად მიიღეს რუმინეთის მშრომელებმა. რუსეთის რევოლუციასთან სოლიდარობის დემონსტრაციები მოეწყო ბუქურეშტში, იასაში, ბაკეუში, კონსტანცაში და ა. შ. ცნობილი რუმინელი რევოლუციონერების ი. ფრიმუსა და შ. გეორგიუს ხელმძღვანელობით იქმნება პროფკავშირული ორგანიზაციები. ხოლო 1906 წ. ეწყობა პროფკავშირთა პირველი ყრილობა. მაგრამ ამ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენათაგან აღსანიშნავია გლეხთა 1907 წლის აჯანყება.

1907 წლის 15 თებერვალს ჩრდილოეთ რუმინეთში, მოლდოვაში ბოტოშანის მაზრის სამი სოფლის გლეხობამ დაარბია მსხვილი მოიჯარის მამული. აჯანყება გადაედო მეზობელ სოფლებსაც და გავრცელდა ქვეყნის ცენტრალურ ოლქებშიც. გლეხები გადადიოდნენ სოფლიდან სოფელში, არბევდნენ მემამულეთა და მოიჯარეთა მამულებს, სპობდნენ საიჯარო ხელშეკრულებებს და ა. შ. 27 თებერვალს აჯანყებულთა წინააღმდეგ მთავრობამ დასჭრა არმია. მაგრამ ამან ვერ შეაშინა გლეხობა. მარტში აჯანყდა მთელი მოლდავეთი. კონსერვატორებისაგან შემდგარი მთავრობა გადადგა და ადგილი დაუთმო ლიბერალებს დ. სტრუძას ხელმძღვანელობით.

რუმინეთში შემოიღეს საალყო წესები. არმიამ დაიწყო გეგმაზომიერი შეტევა ცუდად შეიარაღებულ გლეხობაზე. ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა გლეხების დახვრეტა, გადაწვეს ათობით სოფელი. დახოცილ იქნა 11 ათასი კაცი. მუშათა კლასმა ნაწილობრივ გაუწია დახმარება აჯანყებულ გლეხობას. ბუქურეშტში და სხვა ქალაქებში მოეწყო სოლიდარობის დემონსტრაციები. ქ. პაშკანში მუშა-რკინიგზელები თავს დაესხნენ ვაგონს, რომლითაც დაპატიმრებული გლეხები მიჰყავდათ, და გაათავისუფლეს ისინი. მუშა-სოციალისტებმა გაზეთის „მუშათა რუმინეთის“ საშუალებით მოწოდებით მიმართეს ჯარისკაცებს არ ესროლათ გლეხებისათვის. მაგრამ მუშათა კლასის საერთო ხელმძღვანელობა ხელთ ეპყრათ ოპორტუნისტებს, რომლებმაც დაგმეს გლეხთა გამოსვლები და მოუწოდეს მათ სიმშვიდისაკენ.

სტიქიური გამოსვლა, რომელსაც არ გააჩნდა ხელმძღვანელობის ერთიანი ცენტრი და მოწყვეტილი იყო მუშათა კლასს, მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამ მარცხისა, 1907 წლის გლეხთა აჯანყებას უკ-

ვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ამან სერიოზული გავლენა მოახდინა რუმინეთის ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე. აჯანყებით დაშინებულმა რუმინეთის მთავრობამ მთელი რიგი რეფორმები გაატარა, კერძოდ, გამოსცა კანონი, რომელიც აწესრიგებდა და გარიგებას აწყობდა გლეხობასა და მემამულეებს შორის, მოახდინა საიჯარო გადასახადის ფორმისა და ოდენობის რეგლამენტაცია, შეზღუდა მექრთამეობა. გარდა ამისა გატარდა რეფორმები, რომელთაც ხელი უნდა შეეწყოთ რუმინეთის სოფელში კაპიტალიზმის შეჭრისათვის. გლეხთა გამოსვლები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მეორე ინტერნაციონალის შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია „რუმინეთის ამბების შედეგების შესახებ", სადაც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სახელით სოლიდარობას უცხადებდნენ რუმინეთის გლეხობას. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „1907 წ. (გაზაფხულზე) რუმინეთის გლეხთა აჯანყებამ ისეთივე როლი შეასრულა მათი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, როგორიც რუსეთში 1905-07 წწ. რევოლუციამ" [1].

1907 წ. გლეხთა აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ მთავრობის მეთაური დ. სტრუძა იმდენად დაკნინდა ხალხის თვალში, რომ გადადგა არა მარტო პრემიერის პოსტიდან, არამედ ლიბერალური პარტიის ლიდერის თანამდებობიდანაც. იგი შეცვალა იონელ ბრატიანუმ, მაგრამ 1910 წლიდან ხელისუფლების სათავეში კვლავ კონსერვატორები მოექცნენ, რომელთაც თავიანთი მდგომარეობის განმტკიცება რაიმე საგარეო პოლიტიკური მონაპოვრით სცადეს, და დაელოდნენ ბალკანეთის ამბებში ჩასარევად შესაფერის დროს: მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთი არ მონაწილეობდა ბალკანეთის პირველ ომში, დიდი სახელმწიფოების წყალობით, „ნეიტრალიტეტისათვის" მან მიიღო ბულგარეთის კუთვნილი სილისტრია. ბალკანეთის მეორე ომის დროს იგი მიემხრო სერბეთ-საბერძნეთის კოალიციას და თუმცა თოფიც კი არ უსვრია (რუმინეთის ჯარებმა ვერც კი მოასწრეს ბულგარეთის საზღვრების გადალახვა, რომ მან კაპიტულაცია გამოაცხადა), 1913 წ. ბუქურეშტის ზავის მიხედვით, მიიღო ბულგარეთის ტერიტორიის ნაწილი — სამხრეთი დობრუჯა.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში მმართველ ზედაფენაში არ იყო ერთსულოვნება. ნაწილი მოითხოვდა ანტანტისადმი მხარდაჭერას, ხოლო რაც შეეხებოდა ჰოჰენცოლერნებთან დაკავშირებულ მეფეს კაროლ I და კონსერვატორებს — ისინი გერმანიას

---

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, М., 1939, стр. 65.

ემხრობოდნენ. 1914 წ. ხელისუფლების სათავეში მოქცეული ლიბერალები დაადგნენ ლონდონის ტაქტიკას. ორპოფოშდნენ და აწარმოებდნენ რა ორივე მეომარ მხარესთან საიდუმლო მოლაპარაკებებს, ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს. მაგრამ რუსეთის არმიის შეტევამ გალიციაში და ანტანტის სახელმწიფოების ზემოქმედებამ 1916 წლის 27 აგვისტოს აიძულა რუმინეთის მთავრობა ომი გამოეცხადებინა ავსტრია-უნგრეთისათვის, ხოლო 28 აგვისტოს — გერმანიისათვის.

საბერძნეთი

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კაპიტალიზმის განვითარება საბერძნეთში სწრაფად წავიდა წინ, რაც გამოიხატა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებით. გაიზარდა სამთამადნო მრეწველობა. საბერძნეთმა პირველად დაიწყო ტყვიის, მარგანეცის და სხვა მადნეულის გატანა. სამთამადნო პროდუქციის ღირებულება 1891 წელს 11.09 მილიონ ოქროს ფრანკიდან გაიზარდა 1910 წ. 26.65 მილიონ ოქროს ფრანკამდე. დაარსდა საფეიქრო ფაბრიკები, ღვინისა და ტყავის ქარხნები, სწრაფად მიმდინარეობდა გზების მშენებლობა. თუ 1869 წელს საბერძნეთში იყო 11 კმ რკინიგზა, 1890 წ. მან 767 კმ-ს მიაღწია, 1900 წელს კი — 902 კმ-ს. 1893 წელს გაიხსნა არხი კორინთოს ყელზე. 1892—1911 წწ. საზღვაო-სავაჭრო ფლოტის ტონაჟი გაიზარდა 6.4-ჯერ. გაფართოვდა საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვაც. თუ 1880 წ. იგი 157 მილიონ ოქროს დრაჰმას შეადგენდა, 1906 წ. 267 მილიონი, ხოლო 1900 წ. 300 მილიონი ოქროს დრაჰმა შეადგინა.

მიუხედავად ასეთი სწრაფი წინსვლისა, საბერძნეთი მაინც რჩებოდა აგრარულ ნახევრადკოლონიად. უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ. 1907 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაკავებული იყო სოფლის მეურნეობაში და მხოლოდ 11%—მრეწველობაში (ხელოსნობის ჩათვლით). ეროვნული ეკონომიკის მთავარი სახე — სოფლის მეურნეობა — მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მსოფლიო ბაზარზე მძაფრი კონკურენცია სულ უფრო ართულებდა საბერძნეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (ძირითადად, ჩამიჩის) გატანას, რასაც მოჰყვა ქვეყნის ზოგიერთი რაიონის გლეხობის უკიდურესი გაღატაკება.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე, საბერძნეთში ხელისუფლების სათავეში ერთმანეთს რიგრიგობით ცვლიდა საბერძნეთის ბურჟუაზიის ორი ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფება; ქვეყნის ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ

და საშუამავლო ვაჭრობისადმი მიდრეკილებამ გამოიწვია საბერძნეთში ძირითადად საგაჭრო ბურჟუაზიის ზრდა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული უცხოურ კაპიტალთან, პირველ რიგში ინგლისურთან. ბურჟუაზიის ამ დაჯგუფების ლიდერი იყო ტრიკუპისი, ხოლო 1896 წ.-დან ტრიკუპისის სიკვდილის შემდეგ, — თეოტოკისი.

აღნიშნული დაჯგუფება მოითხოვდა მრეწველობის განვითარებას უცხოური კაპიტალის მოზიდვის გზით. თავისი მმართველობის პერიოდში ტრიკუპისმა ფართოდ გაუღო კარი ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის სააქციო კომპანიებს. მარტო 1861-75 წწ. საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს გადაეცათ 400-მდე სამთამადნო კონცესია. თითქმის ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ ტრიკუპისი იღებდა სესხს ინგლისისაგან, საფრანგეთისაგან, მოგვიანებით კი გერმანიისაგან.

ამ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა, ერთი მხრივ, საბერძნეთის საბრეწველო განვითარება, მეორე მხრივ კი ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუმორჩილა იგი უცხოურ კაპიტალს. უკვე 1891 წლისათვის საბერძნეთის ვალმა უცხო ქვეყნებისადმი შეადგინა 704.4 მლნ დრაჰმა. საგარეო სესხების პროცენტების გადახდას. 1892 წ. მონაცემებით, მიჰქონდა საბერძნეთის ბიუჯეტის 50%. 1893 წ. ტრიკუპისის მთავრობამ, რომელსაც არ გააჩნდა ვალების გადასახადი სახსრები, სახელმწიფო ბანკროტობა გამოაცხადა.

მეორე მნიშვნელოვან პოლიტიკურ დაჯგუფებას საბერძნეთში წარმოადგენდნენ ე. წ. ნაციონალისტები. ეს დაჯგუფება თავის რიგებში აერთიანებდა მსხვილ მიწათმფლობელებს, მონარქიულ წრეებს, ნაციონალისტურად განწყობილ წვრილ ბურჟუაზიას. პარტია სარგებლობდა გლეხობის მხარდაჭერითაც. ვინაიდან იგი მოითხოვდა ზოგიერთი გადასახადის გაუქმებას, უცხოური კაპიტალის ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლას, ბერძნული მიწების გაერთიანებას. პარტიაში ძლიერი იყო პრორუსული ტენდენციები. ამ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა დელიანისი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ (1905)—რალისი.

ორივე ეს დაჯგუფება თავის ინტერესებისათვის იყენებდა იმ ბერძნული ტერიტორიების მოსახლეობის მოთხოვნებს საბერძნეთთან შეერთების შესახებ, რომლებიც თურქეთის უღელქვეშ გმინავდნენ; ისინი აწყობდნენ „დიდი საბერძნეთის“ შექმნის ექსპანსიონისტურ გეგმებს. 1881 წ. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის ძალითაც თურქეთმა საბერძნეთს დაუთმო თესალიისა და ეპირის ნაწილი. 90-იან წლებში მწვავედ დადგა კრეტას საკითხი, სადაც თურქთა

პატრონობის წინააღმდეგ აჯანყებებმა ფართო სასიათი მიიღო. 1894 წ. ათენში შეიქმნა ნაციონალისტური პარტია „სახალხო ამხანაგობა" (Ethnike Hetairia), რომელმაც პანელინიზმის თეორია წამოაყენა და დაამყარა კავშირი კრეტას ბერძენიზმის ლიდერთან ე. ვენიზელოსთან. ერთ-ერთმა ამ მრავალრიცხოვან აჯანყებათაგან, რომლებიც კ. კრეტაზე ეწყობოდა, გამოიწვია 1897 წ. საბერძნეთ-თურქეთის ომი. ბერძენი მოსალოსენი პოლკოვნიკ პასოსის ხელმძღვანელობით გადასხდნენ კ. კრეტაზე, ხოლო ჯარები თესალიაში გადავიდნენ თურქეთის საზღვარს. მაგრამ ომისათვის მოუმზადებელმა საბერძნეთმა მარცხი განიცადა და იძულებული გახდა თურქეთისათვის 4 მლნ თურქული გირვანქა კონტრიბუცია გადაეხადა.

საბერძნეთის სრულმა ფინანსურმა კრახმა გამოიწვია ის, რომ 1898 წ. დაარსდა საერთაშორისო საფინანსო კომისია ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და იტალიის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა საბერძნეთის ყველა საგარეო ვალის დაფარვა და პროცენტების გადახდა. კომისიას ამავე დროს უნდა დაეწესებინა კონტროლი საბერძნეთის შემოსავალსა და გასავალზე. კომისიის ხელში გადადიოდა შემოსავალი თამბაქოს, სპირტისა და სხვა მოხმარების საგნებზე სახელმწიფო მონოპოლიიდან და ბაჟები დაწესებული საბერძნეთის ნავსადგურ პირეიში შემოტანილ საქონელზე. ამავე დროს საბერძნეთმა მიიღო დახმარება 133 მილიონი ფრანკის სახით.

ქვეყნის დამოკიდებულება უცხოურ კაპიტალზე და სატახტო წრეების თვითნებობა იწვევდა მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას. XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენით, დაიწყო გლეხთა მღელვარებანი მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების მიზნით, აგრარული რეფორმების განხორციელებისათვის. საბერძნეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში — გლეხობაში, ბურჟუაზიაში ძლიერდებოდა მისწრაფება ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციისათვის. ასეთ პირობებში 1908 წ. ნაციონალისტურად განწყობილმა ოფიცრობამ ათენში დააარსა სამხედრო ლიგა, რომელმაც წამოაყენა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერების პროგრამა. სამხედრო ლიგა და მისი პროგრამა განიცდიდნენ ახალგაზრდა თურქთა 1908 წლის რევოლუციის დიდ გავლენას.

1908 წლის ოქტომბერში კრეტას პარლამენტმა (1898 წლიდან კ. კრეტა წარმოადგენდა ავტონომიურ სახელმწიფოს და იმყოფებოდა სულთნის უზენაესი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ) გამოა-



ფრიდრიხ ზორგე

დანიელ დე ლეონი

ჯონ როკფელერი
(უფროსი)

უილიამ მაკ-კინლი

ცხადა კუნძულის შეერთება საბერძნეთთან და გაგზავნა თავისი დეპუტატები საბერძნეთის პარლამენტში. საბერძნეთის მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგა თეოტოკისი, შეეშინდა საერთაშორისო არენაზე გართულებებისა და უარი თქვა კრეტის შემოერთებაზე. ამან ხალხის თვალში შეარყია მისი პრესტიჟი და იძულებული გახადა გადამდგარიყო. ახალი მთავრობის მეთაურმა, ნაციონალისტების ლიდერმა რალისმა წამოაყენა საგზაო რეფორმების ფართო პროგრამა. მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს.

1909 წლის აგვისტოში „საგზაო ლიგამ" კოლონელ ზორბოსის მეთაურობით ათენიდან გაიყვანა გარნიზონი და მთავრობას წაუყენა მოთხოვნები. „საგზაო ლიგამ" მხარდაჭერა პოვა წვრილ ბურჟუაზიაში, სტუდენტობაში, მოსახლეობის იმ ფენებში, რომლებიც დემოკრატიული გარდაქმნების მომხრეებად გამოდიოდნენ. „საგზაო ლიგამ" აიძულა რალისის მთავრობა გადამდგარიყო და შეექმნა ახალი მთავრობა მავროგიანნისის მეთაურობით. არჩევაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები. ხელმძღვანელი პოსტებიდან გადაიყენეს პრინცი კონსტანტინოსი და საუფლო გვარეულობის სხვა წარმომადგენლები. „საგზაო ლიგის" დიქტატურა წელიწადნახევარს გრძელდებოდა, მაგრამ ქვეყანა ვერ გამოიყვანა კრიზისიდან. მაშინ 1909 წლის 28 დეკემბერს ლიგამ მთავრობის მეთაურად მოიწვია პოლიტიკური მრჩეველი ელეფთერიოს ვენიზელოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა XX საუკუნის საბერძნეთის ისტორიაში.

კრეტელი ვაჭრის შვილმა, მსხვილი საკაჭრო ბურჟუაზიის ინტერესების დამცველმა, ვენიზელოსმა თავისი პოლიტიკური კარიერა კ. კრეტაზე დაიწყო. სადაც დიდი გავლენა მოიპოვა. 1910 წ. მან დააარსა საბერძნეთის ლიბერალური პარტია. ლიგის სათავეში მოქცევისთანავე, ვენიზელოსმა დათხოვა პალატა და 1910 წ. კონსტიტუციის კადასასინჯად ეროვნული კრება მოიწვია. ეროვნულ კრებაში მისი მომხრენი უმცირესობას წარმოადგენდნენ. მან დაითხოვა იგი და დანიშნა ხელახალი არჩევნები. 1910 წლის ოქტომბერში ვენიზელოსის მეთაურობით შეექმნა ახალი მთავრობა. ვენიზელოსის წინაშეულასთან ერთად იცვლებოდა მისი პოლიტიკური მრწამსიც. კრეტაზე ყოფნისას იგი „ბოდიერების" წინააღმდეგ გამოდიოდა. „საგზაო ლიგაში" ზომიერებს ხელმძღვანელობდა, 1911 წ. კი საბოლოოდ გაუქმა „საგზაო ლიგა" და გადაბარგდა რეაქციის ბანაკში.

ვენიზელოსის მთავრობამ გაატარა რეფორმები, რომლებმაც გზა გაუკაფა კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას საბერძნეთში,

განამტკიცა სახელმწიფო მმართველობის აპარატი. შეიქმნა სოფლის მეურნეობის, სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროები. გატარდა ღონისძიებები საფინანსო საქმიანობის მოსაწესრიგებლად. მთავრობამ გაატარა მიწის რეფორმები თესალიაში და 1911 წ. მიიღო ახალი კონსტიტუცია.

საგარეო პოლიტიკის დარგში ვენიზელოსის მთავრობა ეყრდნობოდა ინგლის-საფრანგეთზე ორიენტაციას და, გამოხატავდა რა ბერძნული ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს, ცდილობდა გაფართოებინა საბერძნეთი თურქეთის ტერიტორიის ხარჯზე. რაც შეეხება კრეტას შემოერთებას, საბერძნეთს აქ ორმოფული პოზიცია ეკავა, რადგან მის „მფარველ" ინგლისს არ სურდა კრეტას საბერძნეთთან შეერთება.

ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვენიზელოსმა ბალკანეთის კავშირის შექმნის საქმეშიც. 1912 წ. მაისში მან სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო ბულგარეთთან, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში ჩაება თურქეთის წინააღმდეგ ომში სერბეთის, ბულგარეთისა და ჩერნოგორიის მხარეზე. ომის პირველსავე დღეებში საბერძნეთის არმიამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა: დაიკავა ეპირი, სამხრეთი მაკედონია სალონიკით და ეგეოსის ზოგიერთი კუნძული. მიუხედავად ჩათალჯაში თურქეთთან მოკავშირეების დაზავებისა — საბერძნეთი მაინც აგრძელებდა საომარ საქმიანობას. აგრძელებდა მაშინაც, კი, როდესაც ლონდონში დაიწყო საზავო მოლაპარაკება, სადაც ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის წარმოიშვა უთანხმოება სამხრეთ მაკედონიის გამო.

ერთი თვეც არ იყო გასული ბალკანეთის პირველი ომის დამთავრებიდან, რომ ატყდა ომი ბულგარეთსა და საბერძნეთ-სერბეთს შორის; ამ ომში ბულგარეთი დამარცხდა. 1913 წლის 10 აგვისტოს, ბუქურეშტის ზავის თანახმად, საბერძნეთმა მიიღო სამხრეთი მაკედონია, დასავლეთი თრაკია, სამხრეთი ეპირი და შემოიმტკიცა კ. კრეტა. შემოერთებული ტერიტორიების მოსახლეობის ხარჯზე ქვეყნის მოსახლეობა 2.7 მლნ. კაციდან გაიზარდა 4.6 მლნ-მდე.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ჩამოვარდა უთანხმოება ვენიზელოსსა და მეფე კონსტანტინოსს შორის, რომელიც ტახტზე ავიდა 1913 წ. გეორგიოს I-ის სიკვდილის შემდეგ. ვენიზელოსის მთავრობა, რომელიც გამოხატავდა ბერძნული ბურჟუაზიის ინტერესებს, ცდილობდა საბერძნეთი ომში ანტანტის მხარეზე ჩაეთრია, კონსტანტინოსი კი, რომელიც გერმანიის იმპერატორს ენათესაურებოდა, ცდილობდა გერმანიის მხარეზე გადასვლას. ვენიზელოსი გადადგა, მაგრამ არ გაუწყვეტია კავშირი ანტანტასთან. ანტანტის

ქვეყნების მიერ სალონიკის ოკუპაციასთან დაკავშირებით მეფე კონსტანტინოსი იძულებული გახდა გადამდგარიყო და ტახტზე აეყვანა თავისი შვილი ალექსანდროსი. ანტანტის იარაღის წყალობით ვენიზელოსი კვლავ მოექცა მთავრობის სათავეში და 1917 წლის 29 ივნისს ომი გამოუცხადა გერმანიას.

ომის პირველ წლებში ნეიტრალიტეტის დაცვამ ხელი შეუწყო ბერძნული სავაჭრო ბურჟუაზიის ძლიერების ზრდას. მაგრამ ბლოკადამ, ინგლის-საფრანგეთის მიერ საბერძნეთის ოკუპაციამ, შემდგომ მობილიზაციამ და ომში ჩაბმამ ქვეყანა კვლავ ეკონომიურ კრიზისამდე მიიყვანა. ვენიზელოსმა ქვეყნისადმი კონტროლი მთლიანად დაუქვემდებარა ინგლისსა და საფრანგეთს.

ალბანეთი

XIX—XX საუკუნის მიჯნაზე კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაში, იმპერიალიზმში გადასვლასთან ერთად, ალბანეთი, ისევე როგორც ოსმანთა იმპერიის სხვა პროვინციები, დიდ სახელმწიფოთა შორის შუღლის ობიექტად გადაიქცა.

ალბანეთის ეკონომიური და პოლიტიკური დამორჩილებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს ძირითადად ავსტრია-უნგრეთი და იტალია ეცილებოდნენ. ამ ბრძოლის არსი კარგად გამოხატა იტალიის საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ტიტონიმ, რომელიც 1904 წ. წერდა: „ალბანეთს, როგორც ასეთს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მისი თავისებურება გამოიხატება ნავსადგურებითა და სანაპირო ზოლით, რომელთა ხელში ჩაგდებაც ავსტრიისა ან იტალიისათვის ნიშნავს შეუზღუდავ ბატონობას ადრიატიკის ზღვაზე. მაგრამ ამის უფლებას ავსტრია არ მისცემს იტალიას. ხოლო იტალია—ავსტრიას, და თუ ერთი მათგანი მიისწრაფვის იქითკენ, მეორემ მთელი ძალღონით უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა“. ალბანეთს დიდი ხანია უმიზნებდნენ აღნიშნული სახელმწიფოები, მაგრამ ვინაიდან ვერ ახერხებდნენ ჯერ კიდევ ცოცხალი ლომის ტყავის გაყოფას (ვერ შეთანხმდნენ „თურქეთის მემკვიდრეობის“ გაყოფაზე). ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ თავიანთ სურვილს — შეენარჩუნებინათ სტატუს-ქვო ბალკანეთში. „ოტომანთა იმპერიის ერთიანობის“ შენარჩუნების პოლიტიკას მხარს უჭერდა იმპერიალისტური გერმანიაც, თუმცა თავისთვის იმედოვნებდა „თურქეთის მემკვიდრეობის“ ხელში ჩაგდებას. ინგლისმა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში პირისპირ შეეჩეხა ისეთ ძლიერ მეტოქეს, როგორიც გერმანია იყო, ხელი აიღო სტატუს-ქვოს ძველ პოლიტიკაზე. ცდილობდა რა არაბული მიწების ხელში ჩაგდებას, მან მხარი დაუჭირა ანტითურქულ მოძრაობას ოსმანთა იმპერიის თითქმის ყველა პროვინციაში, მათ შორის ალბანეთშიც. ასეთი პო-

ლიტიკის წყალობით ინგლისმა მოიპოვა ალბანელი ხალხის ეროვნული მოძრაობის „დამცველის“ სახელი, თუმცა სინამდვილეში, ისიც თავისი ინტერესებისათვის ზრუნავდა.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ალბანეთი წარმოადგენდა ოსმანთა იმპერიის ჩამორჩენილ, აგრარულ პროვინციას, რომლის ეკონომიკაში გაბატონებული იყო ფეოდალური წესები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის თურქული აგრარული კანონმდებლობის მიხედვით შეიძლებოდა მიწების ყიდვა-გაყიდვა, რაც იწვევდა მიწის საკუთრების კონცენტრაციას. XX საუკუნის დასაწყისში მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელები, რომლებიც მოსახლეობის 2—4%-ს შეადგენდნენ, ფლობდნენ დასამუშავებლად ვარგისი მიწების ნახევარს. ჰდინარეების ვიოსის, შკუმბინის, ერზენის, დრინის ხეობებში საუკეთესო მიწები მსხვილი მიწათმფლობელების—ბეების ხელში იყო. მაგ., ვლიორას საგვარეულო ფლობდა 60 ათას ჰა, ტოპტანის საგვარეულო 50 ათასს და ა. შ. მიწის დიდი ფართობების მფლობელნი იყვნენ აგრეთვე რელიგიური დაწესებულებები — მეჩეთები, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები. უმიწაწყლო გლეხობა (ჩიფჩი) მიწას იჯარით იღებდა მემამულეებისა და ბობოლა გლეხობისაგან (ბეების ან აღებისაგან). საიჯარო გადასახადი ჩვეულებრივ შეადგენდა მოსავლის 1/3 ან ნახევარს. XX საუკუნის დასაწყისში ალბანეთში ფართოდ გავრცელდა საიჯარო გადასახადის განსაკუთრებული ფორმა — ქესიმი. მისი ოდენობა დამოკიდებული იყო იჯარით აღებული მიწის ზომაზე. ქესიმის გავრცელება იწვევდა გლეხთა შეჰდგომ დაყმევებას, ვინაიდან მოუსავლიან წელიწადში გლეხს არ შეეძლო მისი გადახდა და იძულებული იყო მემამულისაგან ვალი აეღო. მაგრამ თვით საკეთესო მოსავლიან წელსაც კი არ ყოფნიდა გლეხს შემოსავალი იმისათვის, რომ ყველა გადასახადი გაესტუმრებინა. ფეოდალური ჰეათედის (აშარა) გარდა, რომლის ოდენობაც XX საუკუნის დასაწყისში ფორმალურად უდრიდა შემოსავლის არა 10, არამედ 12,5%-ს (2,5%-ს თურქეთის მთავრობა იღებდა თურქული სკოლების საჭიროებისათვის), გლეხობა იხდიდა გადასახადს ცხვრების ყოლის გამო (ჯელები), საცხოვრებელი ნაგებობისათვის (ჰესაკაფატი) და ა. შ. უაღრესად ჰქონდა იყო მთიელ მესაქონლეთა ხვედრიც. ფეოდალური ზედაფენა, რომელსაც ხელთ ეპყრა ადმინისტრაციული და ეკონომიური ძალაუფლება, ყოველმხრივ ცდილობდა მოსახლეობის მორჩილებაში ყოლის მიზნით შეენარჩუნებინა პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობა.

XIX საუკუნის უკანასკნელ ჰეოთხედში უცხოურმა კაპიტალმა

ალბანეთის ეკონომიკაში უაღრესად ღრმად გაიდგა ფესვები. არღვევდა რა ხელოსნობისა და მანუფაქტურის ძველ ფორმებს, ის იმავე დროს აფერხებდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებასაც. ევროპულ საქონელზე დაბალი საბაჟო ტარიფების არსებობა იყო მიზეზი ათასობით ალბანელი ხელოსნის გაღატაკებისა. თამბაქოს მომყვანი გლეხობა და ვაჭრები ფრანგული კონცესიებისაგან დიდ ზარალს განიცდიდნენ. ფრანგებმა გარდა თამბაქოსი ხელთ იგდეს სელენიცაში ბიტუმის დამუშავება. იტალიელი საქმოსნები ვლიორში, დურესში, ბუტრინტოში ფლობდნენ ყველის საწარმოებს, წისქვილებს, ზეთის ხილის გადამამუშავებელ საწარმოებს. გარდა ამისა იტალიელთა ხელში იყო ხე-ტყის მრეწველობა. 1909 წ. იტალიელებმა დაიწყეს სპილენძის მოპოვება ალბანეთში. ალბანეთის საგარეო ვაჭრობაში იტალიელები და ავსტრიელები ბატონობდნენ.

ალბანეთში უცხოური კაპიტალის ბატონობა უაღრესად უშლიდა ხელს ეროვნული მრეწველობის განვითარებას. არ იყო კაპიტალი მრეწველობაში დასაბანდებლად, ან, თუ იყო, მის დაბანდებას ხელს უშლიდა თურქული ადმინისტრაცია. ამიტომაც ალბანეთში უპირატესობა მოიპოვა სავახშო და სავაჭრო კაპიტალმა. XIX საუკუნის დამლევისათვის ალბანეთში მხოლოდ 25 მანუფაქტურული ტიპის საწარმო არსებობდა. ესენი იყვნენ დამმუშავებელი საწარმოები, რომლებიც ადგილობრივი მოთხოვნილების საგნებს — თიხის ჭურჭელს, შალის უხეშ ქსოვილებს, აგურსა და კრამიტს აწარმოებდნენ. შინაგანი ბაზრის სივიწროვემ და ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ გამოიწვია ის, რომ XX საუკუნის დასაწყისში ალბანეთში ჯერ კიდევ არ იყო ქვეყნის მასშტაბით ეკონომიური ერთობლიობა და არ იყო ძლიერი ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირებისათვის საჭირო პირობები. საქმოსნობაში შეზღუდული ბურჟუაზია ცდილობდა შეენარჩუნებინა საკუთრება მიწაზე. იგი ყიდულობდა მიწებს გაღატაკებული ფეოდალებისაგან და მდიდრდებოდა გლეხობის ფეოდალური ექსპლუატაციის ხარჯზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც მოიცვა ბალკანეთის ხალხები XIX საუკუნის 70-იან წლებში, ალბანეთშიც იფეთქა. 1875-77 წწ. ალბანეთში დაიწყო ანტითურქული აჯანყებები. ალბანელმა გლეხებმა უარი თქვეს მიეღოთ მონაწილეობა დამსჯელ ექსპედიციებში ბოსნიის (1875) და ბულგარეთის (1876) წინააღმდეგ. 1878 წ. თურქთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა ჩრდილოეთ ალბანეთის მოსახლეობა, რომელთაც ამ დროს თურქეთ-

თან საომარ მდგომარეობაში მყოფ ჩერნოგორიის[1] დახმარების იმედი ჰქონდათ. მაგრამ ჩერნოგორიამ თურქეთთან დაზავება არჩია. აჯანყების ხელმძღვანელთა (ბაირაქტართა) ნაწილი გადავიდა თურქეთის მხარეზე და აჯანყება დამარცხდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს მდგომარეობა ალბანეთში გართულდა. რუსეთის გამარჯვებებმა თურქთა უღლისაგან განთავისუფლების იმედი კვლავ ჩაუსახა ალბანელებს. უკვე 1877 წლის დეკემბერში ჩერნოგორიის მთავარმა, ნიკოლოზმა რუსეთის დიპლომატიის მხარდაჭერით გამართა მოლაპარაკება აჯანყებულ ალბანელთა ხელმძღვანელებთან. მაგრამ ალბანელთა შორის არ იყო ერთსულოვნება. აჯანყებულ ალბანელთა ხელმძღვანელობა ფრენკ ბიბ დოდას მეთაურობით თურქთა მხარეზე გადავიდა, ვინაიდან თურქები ჩრდ. ალბანეთს ავტონომიას შეჰპირდნენ.

რუსეთი დაინტერესებული იყო ალბანეთის მდგომარეობით. ჯერ კიდევ 1878 წლის შემოდგომაზე რუსეთის არმიის მთავარსარდალს ადრიანოპოლში ეწვია ალბანეთის წარმომადგენელი სპეციალური მისიით—გაეგო რუსეთის მთავრობის პოზიცია ალბანეთის საკითხში; რუსეთის წარმომადგენელმა, გენერალმა ე. ი. ტოტლებენმა უპასუხა, რომ „რუსეთისათვის სასურველია დამოუკიდებელი ალბანეთის შექმნა“.

ბრძოლა ალბანეთის დამოუკიდებლობისათვის გაამძაფრა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებამ. რომელმაც ალბანელი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, ქვეყნის ჩრდილოეთში ორი სოფელი — ფლავი და ჰუსინე—გადასცა ჩერნოგორიას, ხოლო სამხრეთი ნაწილი — საბერძნეთს. ბრძოლაში ალბანეთის მოსახლეობის ყველა ფენა ჩაება—დაწყებული გლეხობიდან და დამთავრებული მიწათმფლობელებითა და ვაჭრებით, რომელთათვისაც ეს დანაწილება ეკონომიური ბატონობისა და განვითარების თვალსაზრისით მიუღებელი იყო.

1878 წლის 10 ივნისს, პრიზრენში, ალბანელ ფეოდალთა ყრილობაზე შეიქმნა ე. წ. პრიზრენის ლიგა, რომელმაც გააპროტესტა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილება ალბანეთის დანაწილების შესა-

---

[1] ჩერნოგორიას რუსულად ეწოდებოდა Черногория. Черная гора, Черногорье, სერბიულ ენაზე — Црна гора. ჩეხურად Cerna Hora. იტალიურად და საერთოდ, დასავლეთ ევროპაში — montenegro. თურქულად — „ყარადაღი“ — ყველა სახელი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა. XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტურ ლიტერატურაში ეწოდებდნენ „მთამავლეს“.

ხებ. შეიარაღებული ბრძოლის სახელმძღვანელოდ შეიქმნა ცენტრალური საბჭო, ხოლო ადგილებზე—ლიგის ეროვნული კომიტეტები.

თურქეთის მთავრობამ, რომელიც თავდაპირველად მხარს უჭერდა პრიზრენის ლიგას, 1878 წლის შემოდგომისათვის დიდი სახელმწიფოების დიპლომატიური ზეგავლენის შედეგად შეცვალა დამოკიდებულება ლიგისადმი და მოითხოვა მისი დაშლა. მაგრამ ალბანელ ხალხს არ სურდა დამორჩილებოდა ამ გადაწყვეტილებას. ხალხმა იარაღი აიღო. ალბანელებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი თურქი გენერალი მეჰმედ ალი-ფაშა მოკლეს. სამხრეთ ალბანეთში გამოვიდნენ ალბანური ჯარის ნაწილები, გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე. ლიგის კომიტეტებმა დაიწყეს თურქი მოხელეების განდევნა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ფუნქციების შესრულება. მოძრაობამ აშკარა ანტითურქული ხასიათი მიიღო.

1878 წლის ნოემბერში ლიგის ცენტრალურმა საბჭომ ხალხის მოთხოვნის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ალბანეთის ავტონომიის გამოცხადების შესახებ. ლიგა მოითხოვდა ალბანეთის გაერთიანებას, ალბანური ენის ცნობას, სახალხო განათლების ორგანიზაციას. მაგრამ იგი არ გამოდიოდა სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ.

თვით ლიგაში არ იყო ერთსულოვნება. პროგრესული ფრთა, რომელმაც აიძულა ლიგის ხელმძღვანელობა გამოეცხადებინა ავტონომია, სუსტი იყო.

1870-81 წწ. პრიზრენის ლიგა აქტიურად იბრძოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის და ამ მხრივ წარმატებასაც მიაღწია — არ მისცა ჩერნოგორიას ქვეყნის ჩრდ. რაიონების შეერთების საშუალება.

პრიზრენის ლიგის საქმიანობის უკანასკნელ პერიოდში (1881 წლის იანვარი-აპრილი) ხელმძღვანელობა გადავიდა მისი პროგრესული ფრთის ხელში. ლიგის ახალმა ხელმძღვანელობამ ხალხის მხარდაჭერით კოსოვოს ვილაიეთიდან განდევნა თურქი მოხელენი და შექმნა ალბანური ადმინისტრაცია. რეგულარულად იკრიბებოდა გადასახადები, კალაპოტში ჩადგა ვაჭრობა. მაგრამ ლიგის ხელმძღვანელობა ბრძოლის ამ ეტაპზე არ ცდილა სულთნის ხელისუფლების გაუქმებას. მან, პირიქით, სულთანს შესთავაზა გუბერნატორის გამოგზავნა და გადასახადების ნაწილი. მხოლოდ სულთნის უარის შემთხვევაში აცხადებდა ლიგა ალბანეთის დამოუკიდებლობას.

თურქეთის მთავრობა, რომელმაც არ უპასუხა ლიგის წინადადებას, ცდილობდა შიგნიდან გაეტეხა ციხესიმაგრე. მან გამოიყენა ალბანელი ფეოდალები, რომელთაც შეეშინდათ სახალხო მოძრაო-

ბის მძლავრი აღმავლობისა. ამიტომაც, როგორც კი დაიწყო თურქეთის არმიამ ბრძოლა ალბანელების წინააღმდეგ, ფეოდალები მაშინვე გადავიდნენ მის მხარეზე. 1881 წლის აპრილში ლიგის სამხედრო ძალები დამარცხდნენ. პრიზრენი თურქეთის არმიამ აიღო.

პრიზრენის ლიგა იყო პირველი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა ალბანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და მას საერთაშორისო რეზონანსი მისცა. მაგრამ ლიგის ფეოდალურ-ბურჟუაზიულმა შემადგენლობამ და მის შიგნით პროგრესულსა და ზომიერ ფრთათა შორის ბრძოლამ დაასუსტა იგი.

პრიზრენის ლიგის დამარცხების შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საათავეში ჩაუდგა ეროვნული საზოგადოებები, რომლებიც ალბანელმა ემიგრანტებმა შექმნეს თურქეთში, ეგვიპტეში, რუმინეთში, ბულგარეთში. პირველი საზოგადოება „ალბანურ ენაზე ბეჭდვის საზოგადოება" შეიქმნა 1899 წ. სტამბოლში. ამ საზოგადოებამ ალბანური ანბანის შესაქმნელად შექმნა კომისია, რომელმაც განიხილა ანბანის რამდენიმე ვარიანტი; ბოლოს უპირატესობა მიანიჭა ანბანს, რომელიც ლათინური და ბერძნული ანბანის საფუძველზე შექმნა სამი-ბეი ფრაშერიმ პრინციპით — „ყველა ბგერას თავისი ასო". მალე კომისიამ გამოსცა პირველი წიგნი „ალფაბეტარია" (Allfabetaria) 20 ათას ეგზემპლარად.

ალბანელმა განმანათლებელმა სამი-ბეი ფრაშერიმ (1850—1904) პოპულარობა მოიპოვა როგორც გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორმა, დიდი ფრანგულ-თურქული ლექსიკონის შემქმნელმა. იგი ფეოდალური წრიდან იყო. თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე სამი-ბეი ფრაშერი დაუკავშირდა „ახალ ოსმანებს". უკვე 1874 წ. იგი „ახალ ოსმანთა" ერთ-ერთ ხელმძღვანელთან პოეტ ნამიქ ქემალთან ერთად იწყებს გაზეთ „ხადიკას" („ბაღნარი") გამოცემას, რისთვისაც იგი თურქებმა ტრიპოლიში გადაასახლეს.

1879 წელს სტამბოლის ალბანური საზოგადოების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვასო პაშკომ პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „სიმართლე ალბანეთისა და ალბანელთა შესახებ", რომელიც მალე ევროპის სხვა ენებზეც ითარგმნა.

ვასო პაშკოს წიგნი იყო სტამბოლის ალბანური საზოგადოების თავისებური პოლიტიკური პროგრამა. წიგნის პირველ თავში მოთხრობილი იყო ალბანეთის ისტორია, სადაც ავტორი სიამაყით აღწერდა ალბანელი ხალხის გმირულ წარსულს. მაგრამ ამასთან ერთად პაშკო აყენებდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ,

ალბანელი ბურჟუაზიისა და ვაკრების მოთხოვნებს: ალბანეთში „ყველასათვის საერთო კანონების შემოღებას“, თანასწორობას. ვასო პაშკო წერდა ალბანეთის სიმდიდრის შესახებ, რომლის გამოყენებაც არ შეეძლო ალბანეთის ბურჟუაზიას თურქული კანონების გამო.

ალბანეთის ავტონომიის მოთხოვნა ვასო პაშკოს წიგნში უაღრესად ფრთხილად იყო ფორმირებული: ავტორი რწმენას გამოთქვამდა, რომ ალბანეთი გაერთიანდებოდა ერთ ვილაიეთად, რომლის ადმინისტრაციაში გადამწყვეტ როლს ალბანელები შეასრულებდნენ, მაგრამ იქვე აცხადებდა, რომ ალბანელებმა არ უნდა დაკარგონ თურქეთის მფარველობა. რეფორმების სახით პაშკო მოითხოვდა ეროვნულ სკოლებს, სამხედრო სამსახურს „შვეიცარიის მაგალითისამებრ“ და ა. შ.

ვასო პაშკოს წიგნი იყო პირველი ალბანური წიგნი, რომელიც ეკუთვნოდა ალბანელის კალამს და ევროპელ მკითხველს აცნობდა ალბანეთის წარსულსა და ცალკეული სოციალური წრეების პოლიტიკურ შეხედულებებს.

მალე სტამბოლის საზოგადოების წევრები იძულებულნი გახდნენ თავიანთი საქმიანობა გადაეტანათ ბუქურეშტში, სადაც 1884 წელს დაიწყეს ჟურნალ „დრიტას“ („სინათლე“) გამოცემა.

1891 წ. სოფიაში დაარსდა ალბანელ ემიგრანტთა საზოგადოება „დეშირა“ („მისწრაფება“). ეგვიპტეში დაარსდა ალბანური საზოგადოება „ბაშქიმი“ („ერთიანობა“), რომლის აქტიური წევრები იყვნენ იანი ვრიეტო, ტიმი მიტკო და ა. შ. ეროვნული ენის დაცვისა და სკოლის შექმნის ლოზუნგით მიმდინარეობდა 1888 წ. აჯანყება დიბრეში და 1897 წ. აჯანყება—ელბასანში.

ალბანელთა ემიგრანტული საზოგადოებები არ იყო ერთსულოვანი. ზომიერი ფრთის გარდა ისინი პროგრესულად მოაზროვნე მებრძოლებსაც აერთიანებდნენ, მაგრამ მათი უკიდურესად რადიკალური განცხადებაც კი არ აყენებდა ძირეული სოციალური ცვლილებების, უცხოელ კაპიტალისტთა საქმიანობის შეზღუდვისა და სხვა მოთხოვნებს.

900-იანი წლების დასაწყისში თურქეთის მთავრობა გადავიდა გადამწყვეტ ბრძოლაზე ემიგრანტული საზოგადოებების წინააღმდეგ. ჰუსლიმი სამღვდელოება, პანისლამიზმზე დაყრდნობით, ცდილობდა ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების შეტანას. მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ, ვერც სულთან აბდულ-ჰამიდ II-ის ტერორმა ვერ შეაჩერა ალბანელი ხალხის ბრძოლა, რომელმაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო რუსეთის 1905 წ.

რევოლუციის გავლენით. ალბანეთის პროგრესული პრესა მიესალმა რუსეთის რევოლუციას. 1905 წელს გაზეთი „დრიტა“ წერდა, რომ „დადგა დრო, რათა აღვდგეთ თურქთა წინააღმდეგ და განვთავისუფლდეთ... ხალხი მზადაა აჯანყებისათვის და აგვიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ მდიდრებს ან ეშინიათ თურქეთის მთავრობის, ან უკვე შეუთანხმდნენ მას“. მოუთხრობდა რა ალბანელებს რუსეთის რევოლუციის წარმატებებზე, გაზეთი „ალბანეთი“ სვამდა კითხვას: „როდის მოხდება ჩვენთან, ალბანეთში, ასეთი რევოლუციაო“.

1905 წ. ალბანელმა მშრომელებმა აღნიშნეს მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე — 1 მაისი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „შპნესა ე შკიუპნისი“ წერდა: „ძვირფასო მეგობრებო! ნუ დაივიწყებთ ამ შესანიშნავ წეს-ჩვეულებებს, რომელთაც მთელი მსოფლიო იცავს! როგორც ძმებს, ერთად ომუშაველებს, შეგვიძლია ბრძოლას უფრო მალე დავაღწიოთ თავი! გაუმარჯოს თავისუფალ ალბანეთს“. რუსეთის ამბების გავლენით ალბანეთში დაიწყეს შექმნა კომიტეტებისა, რომელთაც უნდა ეხელმძღვანელათ ალბანეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. პირველი ასეთი კომიტეტი 1905 წ. შექმნა თურქული გიმნაზიის მასწავლებელმა ბაიო თოფულამ, „ალბანეთის დაცვის კომიტეტის“ სახელწოდებით, რომელმაც დასახა პროპაგანდიდან შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლის ამოცანა. 1906 წ. შეიქმნა პარტიზანთა პატარა რაზმები, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 1907 წ. პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბაიო თოფულას ძმა ჩერჩიზი, ალბანეთის ჩრდ. რაიონებიდან ილაშქრა სამხრეთ ალბანეთში.

1908 წლის ივლისიდან ალბანელი პარტიზანები იბრძოდნენ ახალგაზრდა თურქებთან ერთად, რომლებიც ალბანელებს ჰპირდებოდნენ ფართო უფლებებს თვით დამოუკიდებლობის აღიარებამდე. ალბანელების, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ალბანეთის გლეხობის მიერ ახალგაზრდა თურქებისათვის მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათს გამარჯვებაში. ახალგაზრდა თურქთა ჩადგომამ ხელისუფლების სათავეში თავდაპირველად ხელი შეუწყო ალბანეთში ეროვნული მოძრაობის ზრდას. ალბანეთში შეიქმნა ეროვნული სკოლები, დაარსდა პოლიტიკური კლუბები, გამოვიდა გაზეთები „დრიტა“, „ალბანეთი“, „შპნესა ე შკიუპნის“ („ალბანეთის ვარსკვლავი“) ალბანურ ენაზე. 1908 წლის ნოემბერში მონასტერში შედგა ეროვნული კონგრესი, რომელმაც განიხილა ერთიანი ალბანური ანბანის შექმნის საკითხი და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური პროგრამა.

მაგრამ ახალგაზრდა თურქები სულაც არ ფიქრობდნენ ალბანეთისათვის ავტონომიის მიცემას და დაიწყეს მეთოდური შეტევა ალბანელთა ეროვნულ უფლებებზე. 1909 წ. გამოიცა კანონი „ბანდების" შესახებ, ხოლო იმავე წელს ალბანეთში გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ალბანელი ხალხი არ არსებობსო.

თურქეთის მთავრობის ამ ღონისძიებებს ალბანელმა ხალხმა პროტესტის ახალი აზვირთებით უპასუხა. 1910 წლის გაზაფხულზე პროტესტი შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა, რომელიც 5 თვის ბრძოლის შემდეგ იქნა ჩახშობილი. 1911 წლის გაზაფხულისათვის ალბანეთის ეროვნულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს აჯანყება, რომელსაც მთელი ქვეყანა უნდა მოეცვა. მაგრამ ქვეყნის ჩრდილოეთში ჩერნოგორელთა მხრიდან პროვოკაციის შედეგად, რომელიაც აჯანყების თავის სასარგებლოდ წარმართვა სურდათ, იგი არაორგანიზებულად დაიწყო. აჯანყებულთა რაზმები დაიქსაქსა, რამაც თურქებს გაუადვილა მათი დამარცხება. ალბანეთის 1911 წლის აჯანყებამ შეაშფოთა ახალგაზრდა თურქთა მთავრობის პოზიციები და ისინი იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ მცირე დათმობებზე. მიუხედავად ამისა, 1912 წელს კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც მხარი დაუჭირა ახალგაზრდა თურქებისადმი ოპოზიციაში მდგარმა პარტიამ — „თავისუფლება და თანხმობა", რომელსაც სურდა მისი თავის მიზნებისათვის გამოყენება. ალბანელმა ფეოდალებმა თურქ ოპოზიციონერებთან კავშირის გულისათვის კვლავ გაყიდეს ეროვნული ინტერესები და აჯანყების მზადების დროს 1912 წ. უღალატეს აჯანყებულებს.

ბალკანეთის ომების დასაწყისში ალბანელებმა მხარი დაუჭირეს ბალკანეთის კავშირს და ეხმარებოდნენ სერბეთისა და ჩერნოგორიის არმიებს. მაგრამ ბალკანეთის ქვეყნებმა (სერბეთი, საბერძნეთი) გადაწყვიტეს ტერიტორიების გაფართოება ალბანეთის ხარჯზე. ასეთ პირობებში ალბანელებმა, რომელთაც ორ ფრონტზე მოუხდათ ბრძოლა, 1912 წლის 28 ნოემბერს მოიწვიეს კონგრესი ვლიორში და გამოაცხადეს ალბანეთის დამოუკიდებლობა. შეიქმნა დროებითი მთავრობა ისმაილ ქემალ-ბეის ხელმძღვანელობით.

ალბანეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა რთულ საერთაშორისო პირობებში. იტალიამ და ავსტრია-უნგრეთმა, რომელთაც არ სურდათ სერბეთის დაშვება ადრიატიკის ზღვაზე, ცნეს ალბანეთის დამოუკიდებლობა; 1912 წლის 17 დეკემბერს ავსტრია-უნგრეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩების ლონდონის კონფერენციაზე ცნეს ალბანეთის

ავტონომია, ხოლო 1913 წ. ლონდონის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერდნენ იმავე სახელმწიფოთა ელჩები, 1913 წლის 29 ივლისს ალბანეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ფაქტიურად ალბანეთში დამყარდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პროტექტორატი, თუმცა იმავე სახელმწიფოთა თანხმობით, ალბანეთის მთავრად დაინიშნა გერმანელი თაეადი ვილჰელმ ვიდი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ალბანეთი გამოცხადებული იყო ნეიტრალურ სახელმწიფოდ, თუმც მის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრძოლები. ომის დასასრულისათვის იტალიის, სერბეთის და საბერძნეთის არმიებს ეკავათ ალბანეთის ტერიტორიები, რომლებიც მათ ერგოთ 1915 წ. ლონდონის საიდუმლო შეთანხმების შედეგად. ალბანეთმა კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა. საოკუპაციო რეჟიმმა და თურხან-ფაშა პერმეტის რეაქციული მთავრობის საქმიანობამ კვლავ დასვა ალბანელი ხალხის წინაშე დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ამოცანები.

ბელგია

ბელგიის ისტორიულ განვითარებაში 1870—1918 წწ. აღინიშნა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებითა და მისი გადაზრდით იმპერიალიზმში. ბელგიის ეკონომიური განვითარების ბაზას წარმოადგენდა ქვანახშირისა და მეტალურგიის მრეწველობა. 1835 წ. ბელგიის ქვანახშირის მაღაროები იძლეოდა 2.6 მლნ ტ ქვანახშირს, ხოლო 1900 წ. — 23.5 მლნ ტ. 1850-90 წწ. რკინის მწარმოებელი ქარხნების პროდუქციის საერთო ღირებულება 5-ჯერ გაიზარდა და 15 მლნ ფრანკიდან 83 მლნ ფრანკს მიაღწია. ფართო გაქანება მიეცა სარკინიგზო მშენებლობას, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ 1885 წლისათვის ბელგიაში რკინიგზების საერთო სიგრძემ 4400 კმ-ს მიაღწია. 1914 წ. ბელგია რკინიგზის ქსელის გაფართოების მხრივ ევროპაში პირველ ადგილზე გამოვიდა: ყოველ 100 კვ კმ ფართობზე მოდიოდა 28 კმ რკინიგზა, მაშინ როდესაც ინგლისში იმავე ფართობზე მოდიოდა 12, ხოლო გერმანიაში 11 კმ.

გამოიყენა რა ქვანახშირისა და მადნის მდიდარი საბადოები, ბელგიამ შექმნა მძლავრი მეტალურგიული მრეწველობა, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა. 1865 წლიდან აქ ფოლადის წარმოების ტემპები 8-ჯერ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე დანარჩენ ევროპაში. XX საუკუნის დასაწყისში ბელგია უკვე ქვანახშირის, ფოლადისა და თუჯის წარმოების მხრივ ევროპაში მეოთხე ადგილზე გამოვიდა. ყოველივე ამის საფუძველზე ბელგიის ეკონომიკაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც დამახასიათებელია მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის: ეს იყო წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. 1914 წელს 70 ათას წვრილ და საშუალო საწარმოში მუშაობდა მუშების 40%, მაშინ როდესაც მსხვილი მრეწველობის 1700 საწარმოში დასაქმებული იყო მუშათა 60%. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ზრდის საფუძველზე წარმოიშვა მონოპოლიური გაერთიანებები, რომლებმაც პირველ რიგში მეტალურგიული მრეწველობა მოიცვა. 1897 წ. შეი-

ქნა ლიეჟის ქვანახშირის გამყიდველი სინდიკატი, ჰენეგაუში დაარსდა კოქსის მწარმოებელთა სინდიკატი და ა. შ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბელგიელი მრეწველები საერთაშორისო კარტელებშიც. ბელგიის საძილე ვაგონებისა და ექსპრესების საერთაშორისო კომპანია ექსპლუატაციას უწევდა ევროპის რკინიგზებს ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე. 1904 წ. ბელგიელმა კაპიტალისტებმა მონაწილეობა მიიღეს სალიანდაგო კარტელში. გარდა ამისა, ბელგიელი მონოპოლისტები მონაწილეობდნენ თუთიის საერთაშორისო კარტელში, დენთის საერთაშორისო ტრესტში. კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია საბანკო კაპიტალის ზრდაც. ბელგიის ფინანსურმა კაპიტალმა დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებში. ფინანსურმა კაპიტალმა უდიდესი მოგება ნახა კაპიტალის ექსპორტით. მარტო რუსეთში 1890—1900 წწ. ინვესტირებულ იქნა მილიარდი ფრანკი. 1914 წ. ბელგიური კაპიტალი რუსეთში შეფასებული იყო 6 მლრდ ფრანკად. ბელგიის კაპიტალი საქართველოშიც იყო დაბანდებული. აღსანიშნავია ის, რომ თბილისის ფუნიკულიორი და პირველი ცხენიანი ტრამვაი (კონკა) საქართველოში სწორედ ბელგიელებმა გაიყვანეს. რუსეთის გარდა კაპიტალი გაჰქონდათ ეგვიპტეში, სამხრეთ ამერიკაში, ირანში, ჩინეთში.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისისათვის ბელგია ინგლისთან, საფრანგეთთან და გერმანიასთან ერთად გადაიქცა კრედიტორ ქვეყნად და აქტიურად ჩაება მსოფლიო გადანაწილებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბელგიის მმართველი ზედაფენა მეფე ლეოპოლდ II-ის მეთაურობით დაინტერესდა აფრიკით და მიიღო მონაწილეობა მის განაწილებაში. 1884-85 წწ. ბერლინის კონფერენციაზე ბელგიამ შეძლო მიეღწია თავისი განსაკუთრებული ინტერესების ცნობისათვის, რომელიც მას გააჩნდა ე. წ. „კონგოს თავისუფალი სახელმწიფოს" მიმართ. ლეოპოლდ II გამოდიოდა როგორც ამ სახელმწიფოს კერძო მფლობელიცა და სახელმწიფოს მეთაურიც. კონგოსა და ბელგიას შორის გამოცხადდა უნია, მაგრამ 1908 წლიდან ბელგიელმა კოლონიზატორებმა კონგო კოლონიად აქციეს. ბელგია გადაიქცა კოლონიურ სახელმწიფოდ, რომლის ტერიტორიაც 80-ჯერ ნაკლები იყო ამ კოლონიის ტერიტორიაზე.

ბელგიის ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნამ, თავის მხრივ, გამოიწვია ცვლილებანი სოფლის მეურნეობაშიც. გამოიყო მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები, თუმცა ბელგიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო ძირითადად წვრილგლეხური.

წარმოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოიჯარეთა რიცხვი 3-ჯერ სჯარბობდა მიწათმფლობელთა რიცხვს. ყოველწლიურად 50 ათასი ბელგიელი გლეხი და მოიჯარე მიდიოდა საფრანგეთში სამუშაოს საძებნელად.

ფართო ხასიათი მიიღო კოოპერაციულმა საზოგადოებებმა. კოოპერაციულ გაერთიანებებს ეკუთვნოდა შაქრის, ლუდის, ღვინის, ყველის საწარმოები და დიდი ფერმები. 1907 წელს რძის კოოპერაცია აერთიანებდა 53 ათას მეურნეობას. კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში კოოპერატივი სოფლად ბურჟუაზიის გამდიდრების კიდევ ერთი წყარო აღმოჩნდა.

ბელგია წარმოადგენდა მონარქიას ორპალატიანი პარლამენტით. იქ მოქმედებდა 1830 წ. მიღებული კონსტიტუცია. XIX საუკუნის შეორანებიდან მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ბურჟუაზიული პარტია— ლიბერალური და კათოლიკური. კათოლიკურ პარტიას თავდაპირველად მხარს უჭერდა ფლამენდელებით დასახლებული სოფლები, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან პარტიის ხელმძღვანელობაში მოკალათდნენ ფინანსური ოლიგარქია და მსხვილი მრეწველები. რაც შეეხება ლიბერალურ პარტიას, იგი აერთიანებდა მრეწველებსა და ვაჭრებს, ინტელიგენციას და ქალაქის წვრილბურჟუაზიულ ფენებს. XX საუკუნის დასაწყისამდე ამ პარტიის გავლენას განიცდიდა მუშათა კლასიც.

ძირითადი, რომლის გარშემოც მიმდინარეობდა ბრძოლა ამ ორ პარტიას შორის იყო საერთო განათლების საკითხი. ეს ბრძოლა ისეთი გაჟფთრებით მიმდინარეობდა, რომ მუშათა კლასის ყურადღება დიდი ხნით ჩამოაცილა საჭირბოროტო საკითხებს. 1878 წელს ფერერ-ორბანის მთავრობამ დააარსა საერო სკოლები და შექმნა განათლების სამინისტრო. ეს იყო ეკლესიისაგან დამოუკიდებელი სკოლების შექმნის ცდა. სკოლის გამო ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ 1880 წ. ვატიკანმა ბელგიასთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც 1884 წ. ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა კათოლიკურმა პარტიამ კვლავ აღადგინა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამწვავდა წინააღმდეგობა ფლანდრიის აგრარულ პროვინციებსა და ვალონურ ინდუსტრიულ პროვინციებს შორის: „ფლანდრიის პრობლემა“ იმ დროს ის იყო, რომ ორივე ენა 1831 წლის კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო ენად გამოცხადებინათ, მაგრამ ეს კანონი დიდი ხნის მანძილზე ქაღალდზე რჩებოდა. 1898 წ. კანონმა დაამტკიცა „ორენიანობის“ პრინციპი, რომლის შემდეგაც წარწერები საფოსტო მარკებსა და კონვერტებზე, მონეტებზე, სახელმწიფო დაწესებულებათა შენო-

ბებზე კეთდებოდა ორ ენაზე — ფრანგულსა და ფლამანდურზე.

ბელგიის კაპიტალისტური ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის სოციალურ შემადგენლობაში. გაიზარდა პროლეტარიატის რიცხვი, რომელმაც 1,5 მლნ კაცი შეადგინა. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდისა, მუშათა კანონმდებლობა ბელგიაში უაღრესად ჩამორჩენილი იყო. ბელგიის მუშათა კლასის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას თვით ბურჟუაზიული ისტორიკოსები ბ. შლეპნერი, ა. პირენი, ფ. ვან-კალკენიც კი ვერ უარყოფდნენ. სამუშაო დღე 11-12 საათს გრძელდებოდა. ფაბრიკა-ქარხნებში შემოიღეს „სამუშაო წიგნაკები", რომლებშიც აღინიშნებოდა მუშების ყოფაქცევის, ვალების გადაუხდელობისა და სხვა ფაქტები. ცუდი დახასიათების შემთხვევაში მუშას არ იღებდნენ სამსახურში. უმუშევრები, რომელთაც არ გააჩნდათ წიგნაკები, რეგისტრირებულნი იყვნენ როგორც „მაწანწალები".

1879 წ. დაარსდა ბელგიის სოციალისტური პარტია, რომლის ბაზაზეც 1885 წ. შეიქმნა ბელგიის მუშათა პარტია. ამ პარტიამ გააერთიანა პროფკავშირული ორგანიზაციები, ურთიერთდახმარების სალაროები, კოოპერაციული ორგანიზაციები, მუშათა თვითგანათლების წრეები. თავის წესდებაში ძირითადი ამოცანების გადაჭრის სახით პარტია მოითხოვდა საყოველთაო-საარჩევნო უფლებას, უფასო საერთო განათლებას, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, პროფკავშირების კანონით ცნობას, სოციალურ დაზღვევას, 8-საათიან სამუშაო დღეს და სხვა საჭირბოროტო საკითხებს; მაგრამ პარტიის წესდებაში არსად არ იყო ნახსენები ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის.

„ბელგია, — წერდა კ. მარქსი, — კონტინენტური კონსტიტუციონალიზმის სანიმუშო სახელმწიფოა: მყუდრო, მემამულეების, კაპიტალისტებისა და მღვდლების პატარა შემოღობილი სამოთხე. ბელგიის მთავრობა მუშების ყოველწლიურ ცემა-ტყეპას აწყობს ისეთი სიზუსტით, რომელიც არ ჩამოუვარდება დედამიწის ყოველწლიურ ბრუნვას მზის გარშემო[1]". საკვირველი არაა ის, რომ ამ „პატარა სამოთხეში" მუშები მძლავრად იბრძოდნენ კაპიტალისტური ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებისათვის. 1885 წ. აღმოცენებული ბელგიის მუშათა პარტია, რომელმაც უარი განაცხადა „სოციალისტურ მუშათა პარტიის" სახელწოდებაზე, მალე მთლიანად ჩაეშვა რეფორმიზმის ჭაობში, გადაიქცა ტიპურ დასავლეთევროპულ

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 13, ч. I, стр. 304.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიად და თავისი მუშაობა დაუქვემდებარა საპარლამენტო საქმიანობას.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია სამრეწველო პროლეტარიატის ზრდა და ამასთან ერთად კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. 80-იანი წლები იყო ბელგიის მუშათა კლასის გამოღვიძებისა და თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლის დაწყების წლები.

1884 წ. მოეწყო მუშათა პირველი გაფიცვა შარლერუას შუშის ქარხნებში. 1886 წ. გაფიცვები ლიეესა და ჰენეგაუში სისხლში იქნა ჩახშობილი. 100 მუშა მოკლეს, ხოლო ათასი გადასცეს სასამართლოს. მაგრამ მუშათა პარტიას არ შეეძლო ხელში აეღო გაფიცვების ხელმძღვანელობა, ვინაიდან მისი ლიდერები ჩაეფლნენ რეფორმიზმის ჭაობში.

მუშათა პირველ მასობრივ გამოსვლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ბურჟუაზიული მთავრობა დათმობაზე წავიდა და გააუქმა „სამუშაო წიგნაკები"; შეწყდა შრომის ანაზღაურება პროდუქტებით; 1884 წლიდან აიკრძალა 12 წლამდე ასაკის ბავშვების ქარხნებში სამუშაოდ მიღება.

1886 წლიდან მნიშვნელოვან პრობლემად გადაიქცა საყოველთაო-საარჩევნო უფლების მოპოვება. 1890 წ. მოქმედი ცენზიანი საარჩევნო კანონის მიხედვით, 6 მილიონი ბელგიელიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მხოლოდ 137 ათას კაცს. საყოველთაო-საარჩევნო უფლებების მოპოვების ლოზუნგით ჩატარდა 1890 წ. მემაღაროელთა გაფიცვა; 1893 წ. აპრილში — საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვების ჩასახშობად ბელგიის მთავრობას არაერთხელ მიუმართავს სამხედრო ძალებისათვის. მაგრამ ამავე დროს მუშათა გამოსვლების ზრდით შეშინებულმა მმართველმა წრეებმა 1893 წლის 18 აპრილს გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც საარჩევნო უფლება მიენიჭა 25 წელს მიღწეულ ყველა მამაკაცს. ამასთან უმაღლესი განათლების მქონეებსა და იმ მესაკუთრეებს, რომელთა ქონების ფასიც 2000 ბელგიურ ფრანკს აღემატებოდა, ეძლეოდათ ორმაგი ხმის უფლება. მიუხედავად ამისა, ბრძოლა საყოველთაო არჩევნებისათვის კვლავ გრძელდებოდა. 1902 წლის 18 აპრილს მოხდა მეორე საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობდა 300 ათასი მუშა. 1913 წლის აპრილში მესამე საყოველთაო გაფიცვაში უკვე 400 ათასი მუშა მონაწილეობდა, მაგრამ ბელგიის პარლამენტმა კვლავ უარყო საყოველთაო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი აღინიშნა კლერიკალური რეაქციის შემოტევით. მთავრობამ, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, გაზარდა სამხედრო ხარჯები და ჩაება საერთო ევროპულ გამალებულ შეიარაღებაში. ბელგია სამხედრო ხარჯების მხრივ კვალდაკვალ მისდევდა ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, მიუხედავად იმისა, რომ 1831 წლიდან დაწყებული იგი ვალდებული იყო დაეცვა ნეიტრალიტეტი. რეაქციული წრეები მოითხოვდა არმიისა და სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას. 1909 წ. გატარდა სამხედრო რეფორმა, რომლის ძალითაც არმია 180 ათას კაცამდე გაიზარდა. 1913 წ. გამოიცა კანონი არმიაში საყოველთაო გაწვევის შესახებ, ხოლო არმიის რიცხვი 345 ათას ჯარისკაცამდე გაზარდეს.

ბელგიის მუშათა კლასის ბრძოლა იმპერიალისტური ბლოკების მიერ გაჩაღებული პირველი მსოფლიო ომის მომზადების წინააღმდეგ ჩაიშალა რეფორმისტი ლიდერების გამცემლობის შედეგად. გერმანიის მიერ 1914 წლის 4 აგვისტოს ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შემდეგ პარლამენტის სოციალისტურმა ფრაქციამ ხმა მისცა ბელგიის ანტანტის მხარეზე ომში ჩაბმას და სამხედრო კრედიტებს, ხოლო პარტიის ლიდერი ე. ვანდერველდე, რომელიც II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარე იყო, 1916 წ. შევიდა ბელგიის მთავრობის შემადგენლობაში.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ბელგიის მთავრობა ჰავრში (ჩრ. დას. საფრანგეთი) გადავიდა. ბელგია დაიკავეს გერმანელებმა და 4 წლის ოკუპაციის შედეგად მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას: დაინგრა 100 ათასი სახლი; 57 ბრძმედიდან 26 დაინგრა, ხოლო 20 ძლიერ დაზიანდა. 8800 კმ რკინიგზიდან აიყარა 3650 კმ. დიდად დაზარალდა სოფლის მეურნეობა.

იმ დროს, როდესაც ბელგიის ტერიტორია დაკავებული ჰქონდათ გერმანელებს, ბელგიის ჯარები ინგლისურ და ფრანგულ კოლონიურ ნაწილებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანიის აფრიკული კოლონიების დაპყრობაში, რითაც ნიადაგი მოიმზადეს ომის შემდგომ მსოფლიოს გადანაწილებისათვის. ამ ბრძოლებში დაიღუპა 20 ათასი აფრიკელი, რომლებიც ბელგიის ჯარებში მტვირთავებად იყენენ გამოყენებულნი, 2.5 ათასი კონგოელი ჯარისკაცი და 257 ბელგიელი.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებას მოჰყვა ბელგიის ტერიტორიის განთავისუფლება.

ნიდერლანდები

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნიდერლანდები (ჰოლანდია) წარმოადგენდა პარლამენტურ მონარქიას, სადაც საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენა. პარლამენტი შედგებოდა ორი პალატისაგან: ზედა პალატა—სენატი, რომელსაც პროვინციული შტატები ცხრა წლის ვადით ირჩევდნენ. და ქვედა პალატა — გენერალური შტატები, რომელსაც ოთხი წლის ვადით ირჩევდა მაღალი ქონებრივი ცენზის მქონე ამომრჩეველთა ვიწრო წრე.

ნიდერლანდების ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა კათოლიკური, ანუ ცენტრის პარტია, რომელიც ძირითადად ბრაბანტისა და ლიმბურგის პროვინციების მოსახლეობას ეყრდნობოდა. მეორე ძლიერი პარტია იყო პროტესტანტების (ანუ ანტირევოლუციონერების) პარტია, რომლის ძირითად საყრდენსაც კალვინისტი-გლეხები შეადგენდნენ. ორივე ეს პარტია XIX საუკუნის 90-იან წლებში გაერთიანდა „ქრისტიანული პარტიების ბლოკში“ და გამოვიდა ლიბერალური პარტიის წინააღმდეგ. რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის შუა ფენებსა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას.

დემოკრატიზაციის გზაზე პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1869 წ. საარჩევნო კანონის გამოცემა, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა მამაკაცებს 25 წლის ასაკს ზევით, მაგრამ ქონებრივი ცენზი შენარჩუნებულ იქნა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნიდერლანდები ეკუთვნოდა დიდი კოლონიური სამფლობელოების მქონე სახელმწიფოთა რიცხვს. იგი (ჰოლანდია) ფლობდა კოლონიებს. რომელთა ფართობი 60-ჯერ აღემატებოდა მეტროპოლის ფართობს, ხოლო მისი მოსახლეობა 10-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საკუთრივ ჰოლანდიაში. მას ეკუთვნოდა ინდონეზია, ანუ ნიდერლანდების ინდოეთი, მცირე ზონდისა და მოლუკის კ-ები, ახალი გვინეის ნაწილი. ჰოლანდიის

ბურჟუაზიას კოლონიებიდან გამოჰქონდა ნავთობი, კაუჩუკი, შაქარი, თამბაქო, ჩაი, ყავა, ქინაქინა და სხვა ნედლეული, რომლებიც მისი სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის საგნებს შეადგენდნენ. კოლონიების ექსპლუატაციამ და კოლონიური ნედლეულის მზარდმა შემოზიდვამ ნიდერლანდებში, მეტად თავისებურად განსაზღვრა მისი ეკონომიური სტრუქტურა. განსაკუთრებით განვითარდა ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყო კოლონიური ნედლეულის დამუშავებასთან (თამბაქოს, კვების, ნავთობგადამუშავების და ა. შ.). რაც შეეხება მძიმე ინდუსტრიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა მეტალურგია და ენერგეტიკა, ისინი კვლავ ჩამორჩენილ დარგებად რჩებოდნენ.

XIX—XX საუკუნის მიჯნაზე სწრაფად დაიწყო განვითარება ჰოლანდიის სამეურნეო ცხოვრებამ, დაჩქარდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, წარმოიშვა ისეთი მონოპოლისტური გაერთიანებები, როგორებიც იყო „კონინკლეიკე ნიდერლანდს პეტროლეუმ მატსჰაპეი“ (1907 წლიდან „როიალ დატჩ-შელი“), „ფილიპსი“, „აკიუ“ და ა. შ. ნიდერლანდების ინტენსიური ეკონომიური განვითარება ამ პერიოდში მიმდინარეობდა კოლონიათა ძარცვის ხარჯზე. უზარმაზარი შემოსავალი, რომელსაც ჰოლანდია კოლონიებიდან იღებდა, საშუალებას აძლევდა ბურჟუაზიას განეხორციელებინა მსხვილი სამუშაოები რკინიგზების, არხებისა და ნავსადგურების მშენებლობაზე. 1910 წლისათვის რკინიგზის ქსელის საერთო სიგრძემ ჰოლანდიაში 3500 კმ შეადგინა. ჰოლანდიამ, გამოიყენა რა მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, მდინარეების რაინის, შელდისა და მაასის — ევროპის სამი უდიდესი არტერიის — შესართავები, XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა სატრანზიტო ვაჭრობაში. ნიდერლანდების, როგორც სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრის როლი გაიზარდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გერმანია დაადგა სავრეწველო განვითარების გზას. ჰოლანდიის ერთ-ერთი ნავსადგური როტერდამი ამ პერიოდში გადაიქცა ევროპაში სიდიდით მესამე ნავსადგურად. დიდი მნიშვნელობა მიეცა გემთმშენებლობას. 1914 წლისათვის ჰოლანდიის სავაჭრო ფლოტს მსოფლიოში მეშვიდე ადგილი ეკავა.

ჰოლანდიაში მძიმე მრეწველობის განუვითარებლობის გამო მონოპოლიები ძირითადად იქმნებოდა მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც კოლონიური საქონლის გადამუშავებასთან იყო დაკავშირებული.

ამსტერდამსა და როტერდამის უდიდესი ბანკების გარდა მნიშ-

ვნელოვან როლს ასრულებდა ჰოლანდია-ინდოეთის ბანკი, სურინამის ბანკი, ნიდერლანდების ბანკი სამხრეთ აფრიკისათვის და სხვა. ჰოლანდია-ინდოეთის ბანკის ფილიალები მოქმედებდა შანხაიში, ტოკიოში, კალკუტაში, მანილაში და ა. შ. XX საუკუნის დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო საზღვარგარეთ კაპიტალის გატანამ. კაპიტალი ძირითადად გაჰქონდათ აშშ-სა და კანადაში, სადაც აფინანსებდნენ რკინიგზების, ნავთობგადამმუშავებელ და საავტომობილო საწარმოების მშენებლობას. ჰოლანდიის იმპერიალიზმი თანდათან ავლენდა თავის მევახშურ ბუნებას, იგი გადაიქცა ქვეყანა-რანტიედ.

სოფლის მეურნეობაში ჰოლანდიისათვის დამახასიათებელი იყო მიწის ნაკვეთების უაღრესად დაქუცმაცება კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარების პირობებში და წარმოების ძლიერი ინტენსიფიკაცია. XX საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიაში სოფლად მეურნეობათა 52,4% ფლობდა მიწებს 1-დან 5 ჰა-მდე. დასამუშავებლად ვარგისი მიწების თითქმის ნახევარი (49%) ეძლეოდათ მოჯარეებს. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჰოლანდიელმა გლეხებმა ვერ გაუძლეს აშშ-დან შემოტანილი ხორბლის კონკურენციას და ხელი მიჰყვეს მებოსტნეობასა და მეცხოველეობას.

მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით გაიზარდა მათი მისწრაფება ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ. ჯერ კიდევ 1871 წ. შეიქმნა ნიდერლანდების მუშათა საყოველთაო კავშირი. მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, განიცდიდა ანარქიზმის ძლიერ გავლენას. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი იყო დონელა ნიუვენჰეისი, პასტორი, რომელმაც უარყო თავისი რწმენა და რელიგიური თანამდებობა და ხელი მიჰყო სოციალისტური იდეების პროპაგანდას. იგი „გულხელდაკრეფილი გაფიცვების" ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი იყო; მან მალე გაწყვიტა ურთიერთობა მარქსისტულ ელემენტებთან და გადაბარგდა ანარქისტების ბანაკში.

1881 წ. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ნიდერლანდების სოციალ-დემოკრატიული კავშირი. მაგრამ არსებობის პირველივე დღეებიდან ჰოლანდიის მუშათა მოძრაობა ჩაეფლო ანარქიზმის ჭაობში, რაც ნიდერლანდების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან გამომდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ჰოლანდიაში არ იყო მსხვილი კონცენტრირებული მრეწველობა, თანაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წვრილი კერძო მესაკუთრეები წარმოადგენდნენ. 1894 წ. სოციალ-დემოკრატიული კავშირის წევრთა ჯგუფმა პ. ი. ტრულსტრას ხელმძღვანელობით ანარქისტ ლიდერთა პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად

დატოვა პარტია და დააარსა ნიდერლანდების სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. XX საუკუნის დასაწყისში პარტიაში გაძლიერდა ოპორტუნისტული ფრთა. პარტიის ლიდერებმა ტრულსტრამ, ვან-კოლმა მხარი დაუჭირეს ჰოლანდიის კოლონიურ პოლიტიკას, ამის მაგალითი იყო ვან-კოლის განცხადება 1907 წ. II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესზე. გარდა ამისა, პარტიამ უარი თქვა ბრძოლაზე რესპუბლიკური წყობისათვის.

XIX საუკუნის დამლევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ ჰოლანდიაში გამოიწვია საგაფიცვო მოძრაობის ზრდა. 1901 წ. გაფიცული იყო 4 ათასი მუშა, ხოლო 1902 წელს უკვე—13 ათასი. მუშები მოითხოვდნენ საყოველთაო-საარჩევნო უფლებებს, 8-საათიან სამუშაო დღეს, გაფიცვების შეზღუდვების შესახებ კანონების გაუქმებას. XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება პროფესიული მუშათა ორგანიზაციების შექმნაც. 1906 წ. დაარსდა ჰოლანდიის პროფკავშირული გაერთიანება. 1907 წ.—ჰოლანდიის პროფკავშირების ეთოლიკური გაერთიანება, 1909 წ. — ქრისტიანული პროფკავშირების ეროვნული გაერთიანება. 1903 წ. მოეწყო იმ დროისათვის ჰოლანდიაში უდიდესი გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ამსტერდამის ნავსადგურის, რკინიგზებისა და მეზობელი ქალაქების მუშები. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა გამცემლობის გამო გაფიცვა დამარცხდა.

1906 წლიდან რუსეთის რევოლუციის გავლენით ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიაში ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა (დ. კაინკოპი, ჰორტერი, პანეკუკი და სხვები), რომელმაც გააჩაღა ბრძოლა პარტიის ხელმძღვანელობასთან მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გამო. მემარცხენეები მოითხოვდნენ სკოლებში რელიგიის სწავლების სახელმწიფო დაფინანსების აკრძალვას, იბრძოდნენ პარტიის პროგრამის გადასინჯვის, პარტიის საპარლამენტო ფრაქციისათვის დამორჩილების, ლიბერალურ პარტიასთან კავშირის წინააღმდეგ.

1907 წ. მემარცხენე ფრთამ დააარსა გაზეთი „ტრიბუნა“. 1909 წ. ტრიბუნისტებმა, რომლებიც გაირიცხნენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან, დააარსეს ცალკე ნიდერლანდების სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც გააჩაღა ბრძოლა რეფორმისტების წინააღმდეგ, თუმცა ხშირად უშვებდა მემარცხენე სექტანტურ შეცდომებს.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ჰოლანდიამ, რომელიც ნეიტრალურ ქვეყნად დარჩა, არნახული მოგებები ნახა საომარი იარაღის წარმოებითა და მეომარ ქვეყნებთან ვაჭრობით. ჰოლანდიის

ოქროს მარაგი ომის დროს 4,5-ჯერ გაიზარდა. მაგრამ ამასთან ერთად ომმა გამოიწვია მრეწველობის ზოგიერთი დარგის დახურვა, სიძვირისა და ინფლაციის ზრდა. ქვეყანაში უკვე 1915 წლიდან შემოიღეს საბარათო სისტემა და საქონლის ყიდვა-გაყიდვის მტკიცე რეგლამენტაცია. გაიზარდა უმუშევრობა, გადასახადები, რამაც გამოიწვია მუშათა მოძრაობის აქტივიზაცია.

ომის დროს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიდერები აშკარად დაადგნენ სოციალ-შოვინიზმის გზას და ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს. იმავე დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია ებრძოდა რეფორმისტებს, სოციალ-შოვინიზმს და ომის დროს გადაიქცა ქვეყნის ანტიიმპერიალისტურ, ინტერნაციონალური ელემენტების გამაერთიანებელ ორგანიზაციად.

შვეიცარია

1874 წ. მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, შვეიცარია გახდა ბურჟუაზიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც მართავდა ორპალატიანი პარლამენტი და შედგებოდა 22 კანტონისაგან. კონსტიტუციის ძალით, ყველა მოქალაქე კანონის წინაშე ცხადდებოდა თანასწორუფლებიანად; ცხადდებოდა სიტყვის, რელიგიური კულტის, კრებების თავისუფლება. მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც აცხადებდა სავაჭრო და სამრეწველო წარმოების თავისუფლებას. შვეიცარიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რეფერენდუმის შემოღება. გარკვეული ქონებრივი ცენზის მქონე 50 ათასმა შვეიცარიელმა მიიღო კონსტიტუციის მუხლებში ცვლილებების შეტანისა და ან არსებული კანონის საერთოდ შეცვლის უფლება.

1877 წლის პარლამენტის არჩევნების დროს კათოლიკურმა კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც სოფლად ბობოლა გლეხობას ეყრდნობოდა, განიცადა დამარცხება. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი დემოკრატიული პარტია, რომლის საქმიანობამაც ხელი შეუწყო შვეიცარიის ეკონომიურ განვითარებას.

XX საუკუნის დასაწყისამდე შვეიცარიის ეკონომიკაში სჭარბობდა შინამრეწველობა, რაც თავის გამოხატულებას საათების წარმოებაში პოულობდა. ყოველწლიურად შვეიცარია 5 მილიონ საათს ამზადებდა. შვეიცარიას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა ტურიზმი. ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ადამიანი ჩამოდიოდა შვეიცარიაში, ტოვებდა რა აქ საშუალოდ 400—500 მილიონ ფრანკს. „წვრილბურჟუაზიული ქვეყანა... ძლიერ იყო დამოკიდებული მდიდარ მუქთახორებზე, რომლებიც მილიონებს ფლანგავენ მთებში საზაფხულო გასეირნებაზე“ [1], — წერდა ვ. ი. ლენინი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, შვეიცარიაში თხზ., ტ. 18, გვ. 182.

XX საუკუნის დასაწყისიდან შვეიცარიაში სწრაფი ტემპით იწყო განვითარება მსხვილმა მრეწველობამ. ამას ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვება და შვეიცარიის ჩაბმა საერთაშორისო სავაჭრო ფერხულში. მის ტერიტორიაზე გადიოდა გზები, რომლებიც აკავშირებდა ევროპის კონტინენტის ჩრდილოეთსა და სამხრეთს. 1872 წ. შვეიცარიელი მრეწველი ლუი ფავრი შეუდგა ალპების მთების ქვეშ სანკტ-გოტარდის გვირაბის გაყვანას. 1881 წ. 1 ნოემბერს გავიდა პირველი მატარებელი ამ გვირაბით. მან ერთმანეთს დაუკავშირა გერმანია და იტალია. 1906 წ. დამთავრდა სიმპლონის დიდი გვირაბის მშენებლობა, რომელმაც დააკავშირა პარიზი და მილანო [1].

შვეიცარიის მრეწველობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ენერგორესურსების ფართოდ გამოყენებამ. 1916 წელს შვეიცარიაში მოქმედებდა 144 ელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 1.540 მილიონ კვტ-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის მრეწველობა ძირითადად ექსპორტისათვის მუშაობდა. ქიმიური, საკონდიტრო, საფეიქრო, ელექტროტექნიკური და მანქანათმშენებელი წარმოების 75—90% საზღვარგარეთ გადიოდა. მძიმე მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით ელექტროტექნიკურ და მანქანათმშენებელ მრეწველობაში იქმნება პირველი მონოპოლისტური გაერთიანებები.

შვეიცარიის საბანკო კაპიტალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპის უდიდეს ბანკებთან. შვეიცარიის ბურჟუაზია ყოველწლიურად 3 მილიარდი ფრანკის ექსპორტირებას ახდენდა და მონაწილეობდა სუსტადგანვითარებული ქვეყნების ძარცვაში. შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა უცხოელი მუშების ექსპლოატაცია, რომლებიც სამუშაოს საძებნელად ჩამოდიოდნენ აქ. იმისათვის, რომ შვეიცარიის მოქალაქედ გამხდარიყო, უცხოელს წინასწარ დიდი თანხა უნდა გაეღო, რაც ჩამოსულ მუშებს არ გააჩნდათ. ამრიგად, რჩებოდნენ რა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებად, საზღვარგარეთელი მუშები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს, განიცდიდნენ სასტიკ ექსპლუატაციას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შვეიცარიული იმპერიალიზმის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობდა შვეიცარიის ბურჟუაზიის მიერ უცხოელი მუშების უმოწყალო ექსპლუატაციაში [2].

---

[1] სიმპლონის გვირაბის მშენებლობაში მონაწილეობდა იტალიაც, რომელიც უაღრესად იყო დაინტერესებული ევროპის ჩრდილოეთთან კავშირით.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის ს.-დ. პარტიაში, თხზ., ტ. 23, გვ. 172—188.

ვრეწველობის სწრაფმა ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობაზე. შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა. თუ 1870 წ. შვეიცარიაში მოსახლეობის 47% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, 1910 წელს მათმა რიცხვმა შეადგინა 29%. მსხვილმა მეურნეობებმა დაქირავებული შრომის გამოყენება დაიწყო. 1905 წ. აღწერის მიხედვით მეურნეობების 60% (10-დან 15 ჰა ფართობის მქონე) იყენებდა დაქირავებულ შრომას.

მიუხედავად გარეგნული დემოკრატიისა, იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლასთან დაკავშირებით, შვეიცარიის მმართველ წრეებში მტკიცედ დამკვიდრდა რეაქციული ტენდენციები. ამაზე მიუთითებდა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად პოლიტიკური პოლიციის დაარსება, რეპრესიები გაფიცულთა წინააღმდეგ, არმიისა და სამხედრო ბიუჯეტის ზრდა.

პირველ მსოფლიო ომამდე შვეიცარიის სოციალ-დემოკრატია მეტად მცირერიცხოვანი იყო და მოითვლიდა 18 ათას კაცს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა ე. წ. გრიუტლი-კავშირი (Grütliverein), რომელიც ჯერ კიდევ 1838 წ. დაარსდა შვეიცარიაში, როგორც ხელოსნებისა და მუშების განმანათლებელი საზოგადოება. სახელწოდება მიუთითებდა ორგანიზაციის წმინდა ეროვნულ-შვეიცარიულ ხასიათზე (გადმოცემის მიხედვით 1307 წელს სამი შვეიცარიული კანტონის წარმომადგენელი შეიკრიბა გრიუტლის (თუ რიუტლას) მდელოზე ჰაბსბურგთა წინააღმდეგ საბრძოლო კავშირის შესაქმნელად). გრიუტლი-კავშირი უაღრესად დიდი გავლენით სარგებლობდა ჩამორჩენილ მუშათა შორის. 1891 წ. მას გააჩნდა 353 სექცია 16 ათასი წევრით. 1893 წ. გრიუტლი-კავშირი შეუერთდა 1888 წ. აღმოცენებულ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, თუმცა შეინარჩუნა გარკვეული დამოუკიდებლობა. ვ. ი. ლენინი გრიუტლი-კავშირს ახასიათებდა როგორც მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის თანმიმდევრულ და აშკარა ლაქიებს [1].

1902 წელს ჟენევის მუშათა პირველმა საყოველთაო გაფიცვამ დასაბამი მისცა შვეიცარიაში საგაფიცვო მოძრაობის ზრდას, რომელიც განსაკუთრებით 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გავლენით გაიზარდა.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის ფორმირების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის ს.-დ. პარტიაში, თხზ., ტ. 23, გვ. 185.

ემიგრაციაში მყოფმა ბოლშევიკებმა. 1917 წლამდე შვეიცარია წარმოადგენდა ბოლშევიკური ემიგრაციის ცენტრს. აქ 1903-05, 1907-08, 1914-17 წწ. ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ი. ლენინი. იგი არაერთხელ გამოსულა შვეიცარიელი მუშების წინაშე, არაერთხელ გაემათრახებია შვეიცარიის სოციალ-დემოკრატია რეფორმისტული საქმიანობისათვის, გამოუაშკარავებია შვეიცარიის მთავრობის იმპერიალისტური ხასიათი და მისი კავშირი საერთაშორისო იმპერიალიზმთან.

მსოფლიო ომის წინა წლებში შვეიცარიის მუშათა მოძრაობაში თავი იჩინა ორმა ტენდენციამ: რევოლუციურმა და რეფორმისტულმა. 1912 წლის ივლისში ციურიხში იფეთქა კომუნალური მეურნეობის მუშათა გაფიცვამ, რომელიც რამდენიმე კვირა გაგრძელდა. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ უღალატა მუშებს — ციურიხის მაგისტრატის სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მუშათა წინააღმდეგ რეპრესიულ ღონისძიებებს და კანონს საგაფიცვო პიკეტების აკრძალვის შესახებ.

XIX საუკუნის მიწურულიდან შვეიცარია თანდათან გადაიქცა საერთაშორისო ორგანიზაციების სამყოფელ ადგილად: 1864 წ. ხელმოწერილ იქნა ჟენევის კონვენცია, რომელმაც თითქმის მთელ მსოფლიოში გამოიწვია წითელი ჯვრის საზოგადოების შექმნა: 1891 წ. ქ. ბერნი გახდა მშვიდობის საერთაშორისო ბიურო; 1892 წ. ამავე ქალაქში გადმოიტანეს საერთაშორისო საზავო კონფერენციების ბიურო; 1874 წ. აქვე დაარსდა საერთაშორისო საფოსტო კავშირი; შვეიცარიაშივე იყო საერთაშორისო სატრანსპორტო სამმართველო; 1888 წ. დაარსდა „ინტელექტუალური საკუთრების", ანუ საავტორო უფლებათა ბიურო.

პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს შვეიცარია შეხვდა როგორც მდიდარი, განვითარებული ბურჟუაზიული ქვეყანა გაძლიერებული ცენტრალური ხელისუფლებით, რომელიც ახორციელებდა მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს და ომში ნეიტრალიტეტს იყენებდა კაპიტალისტურ ზემოგებათა მისაღებად.

შვედეთი

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შვედეთმა დიდი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები განიცადა. შვედეთში, რომელიც ადრე განვითარების მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა დას. ევროპის ქვეყნებს, XIX საუკუნის 50-იან წლებში მოხდა სამრეწველო გადატრიალება, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის სწრაფ განვითარებას. ინგლისური და გერმანული კაპიტალის დახმარებით ტექნიკურად გადახალისდა მძიმე მრეწველობა, განვითარდა სამთამადნო მრეწველობა, გაყვანილ იქნა რკინიგზები.

სამრეწველო გადატრიალებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია სოფლადაც, სადაც მოხდა საშუალო და წვრილგლეხური მეურნეობების გაღატაკება. წარმოიშვა სოფლის საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ბატონობდა ღარიბ მოიჯარეთა და სასოფლო-სამეურნეო მუშების დიდ რაოდენობაზე. ამ ორი უკანასკნელი კატეგორიის არსებობა შვედეთისათვის უაღრესად დამახასიათებელი იყო. XIX საუკუნის მიწურულში შვედეთის მოქმედი მოსახლეობის 60% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, ამასთან მათი უმრავლესობა წვრილ მოიჯარეთა კატეგორიას ქმნიდა. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შვედეთში წარმოიშვა სასოფლო პროლეტარიატის ახალი ფენა—სტატარიები. სტატარი (სიტყვა „სტატი" ნიშნავს ბიუჯეტს) იყო სასოფლო-სამეურნეო მუშის კატეგორია, რომელიც მუშაობდა კვების, ბინისა და მცირე გასამრჯელოსათვის. სტატარიები განსაკუთრებით მრავლად იყვნენ უზარმაზარი ლატიფუნდიების რაიონებში — სკონეში, სიოდერმანლანდეში, ესტერში და ა. შ.

გაღატაკებული გლეხობა მიდიოდა ქალაქში, სადაც ავსებდა უმუშევართა ისედაც ზარდ არმიას. საქმე ისაა, რომ კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ძველი ამქრული წყობის მსხვრევა და ქეჩაში გადმოისროლა ათასობით ხელოსანი. საშუალო ფენის გაღატაკება შვედეთში იმდენად სწრაფად მიმდინარეობდა, რომ

მზარდი მრეწველობაც კი ვერ აუდიოდა მუშახელის ათვისებას. ამიტომაც ფართო ხასიათი მიიღო შვედეთიდან აშშ-ში ემიგრაციამ. 70-იან წლებში ემიგრაციის მხრივ შვედეთი მეორე ადგილზე იმყოფებოდა ირლანდიის შემდეგ.

შვედეთი წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიას. 1865 წ. მიღებულმა კონსტიტუციამ გააუქმა შუასაუკუნეობრივი ოთხწოდებიანი რიკსდაგი და შემოიღო ორპალატიანი პარლამენტი: თავადაზნაურულ ზედა პალატას უფლება ჰქონდა უარეყო ყოველგვარი კანონპროექტი, რაც შეეხება ქვედა პალატას—იგი შედგებოდა აგრარიებისა და ქალაქის სავაჭრო ბურჟუაზიისაგან.

60-იანი წლებიდან შვედეთის მთავრობა დაადგა სავაჭრო ბურჟუაზიის მფარველობის გზას: შეამცირა ბაჟები, შემოიღო ფრიტრედის სისტემა. ეკონომიურად მომძლავრებულ სოფლის ბურჟუაზიას კი სურდა სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკაში გადამწყვეტი გავლენა მოეპოვებინა. აგრარიები მოითხოვდნენ მიწაზე გადასახადების გაუქმებას. ამ საკითხის გამო მიმდინარეობდა ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ბრძოლა თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე. ბრძოლის ორგანიზებულად წარმართვისათვის აგრარიებმა 1867 წ. შექმნეს ე. წ. „სოფლის მეპატრონეთა“ პარტია.

XIX საუკუნის 80—90-იანი წლები შვედეთში ახალი პოლიტიკური ძვრებით აღინიშნა. ამის მიზეზი იყო ეკონომიური გარდაქმნები შვედეთში და მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურის ცვლილება. გერმანიიდან სამრეწველო საქონლის, ხოლო აშშ-დან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მზარდმა ექსპორტმა საფრთხე შეუქმნა შვედეთის ახლადგანვითარებულ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. ბობოლა გლეხები, მემამულეები, სავაჭრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ბაჟების აწევას შემოტანილ საქონელზე. ამის წინააღმდეგ კი გამოდიოდნენ სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები და გაბურჟუებული თავადაზნაურობა (ხე-ტყისა და სამთამადნო მრეწველები), რომელთაც არ ეშინოდათ კონკურენციისა. სწორედ ამ ბრძოლამ პროტექციონისტებსა და ფრიტრედერებს შორის დაამსხვრია ძველი პოლიტიკური დაჯგუფებანი.

1883 წ. „სოფლის მეპატრონეთა“ პარტიას გამოეყვნენ პროტექციონისტები. 1886 წ. მათ უმრავლესობა მოიპოვეს პარლამენტის ქვედა პალატაში. მაგრამ მუშათა მოძრაობის ზრდით დაშინებული ბურჟუაზიული ჯგუფები შეუთანხმდა ერთმანეთს. მეფე ოსკარ II-ემ შეძლო „შერიგების სამინისტროს“ შექმნა.

შვედეთის მუშათა მოძრაობა ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც შეიქმნა მთელი რიგი პროფესიული კავშირები. თავისი არსებობის დასაწყისში შვედეთის მუშათა პროფესიული მოძრაობა ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენას განიცდიდა. მაგრამ 70-იანი წლების დასასრულიდან გამოჩნდნენ მოწინავე მუშები, რომლებიც გაეცნენ მარქსიზმსა და ევროპულ, პირველ რიგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საქმიანობას. მარქსიზმის პირველ პროპაგანდისტად შვედეთში შეიძლება ჩაითვალოს ავგუსტ პალმი. 1881-85 წწ. ავგუსტ პალმმა შექმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და დააარსა სოციალ-დემოკრატიული გაზეთები მალმეში 1882 წ. და სტოკჰოლმში 1883 წელს. 1889 წელს შვედეთის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები გაერთიანდა შვედეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობა იმთავითვე ხელში ჩაუვარდათ მეშარჯვენე, რეფორმისტულ ელემენტებს კარლ იალმარ ბრანტინგის ხელმძღვანელობით, რომლებიც მზად იყვნენ პოლიტიკურად ეთანამშრომლათ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან.

შვედური კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესთან დაკავშირებით XX საუკუნის დასაწყისში შვედეთში იზრდება მუშათა მოძრაობა. თუ 1896 წ. საკაციო საზოგადოებებს ხელთ ეპყრათ შვედეთის მრეწველობის 24%, 1905 წ. მათმა ხვედრმა 35% შეადგინა.

საგარეო ბაზრებზე შვედური საქონლის საკონკურენტო უნარის გაზრდის მიზნით მეწარმენი ამცირებდნენ მუშათა ხელფასს. მიუხედავად შტრეიკბრეხერული ორგანიზაციების წახალისებისა, ფართოხასიათი მიიღო მუშათა საგაფიცვო მოძრაობამ. 1900-02 წწ. მოეწყო 200 გაფიცვა, 1903-04 წწ. კი — 300. მიუხედავად საგაფიცვო მოძრაობის ზრდისა, იგი ატარებდა სტიქიურ, არაორგანიზებულ ხასიათს და, ძირითადად, მიზნად ისახავდა ეკონომიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად შვედმა მრეწველებმა შექმნეს თავიანთი კლასობრივი ორგანიზაციები. 1902 წ. შეიქმნა „მეწარმეთა შვედური კავშირი", რომელმაც დაიწყო ორგანიზებული შეტევა მუშათა კლასზე. 1900 წელს ლიბერალური პარტიის ბაზაზე შეიქმნა „ერთიანობის პარტია", რომლის მიზანიც მუშათა მოძრაობის შეჩერება იყო. ლიბერალური ბურჟუაზია ცდილობდა შვედეთის ბურჟუაზიული საზოგადოების ხსნას მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებით, რაც ძირითადად მიმართული იყო ნახევრადფეოდალური სახელმწიფოს რეფორმებისაკენ, ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის შერიგებისაკენ. ამრიგად, შვედეთის პროლეტარიატს ბრძოლა უწევდა არამარტო მე-

წარმეებთან, არამედ ისეთ ვერაგ მტერთან, როგორსაც ლიბერალური ბურჟუაზია წარმოადგენდა.

1905 წ. შვედეთში შიდაპოლიტიკური ვითარება ნორვეგიისათვის დამოუკიდებლობის მიცემის გამო უაღრესად დაიძაბა. მღელვარება მუშათა კლასში, რომელიც გამოვიდა ნორვეგიელი ხალხის კანონიერი მოთხოვნების მხარდასაჭერად, გაძლიერდა 1905 წ. რუსეთის რევოლუციის გავლენით. 1905 წ. შვედეთში დაიწყო მეტალისტების, ჯარისკაცების და მეზღვაურთა გაფიცვები, რამაც ხელი შეუწყო ნორვეგიის ცალკე გამოყოფას. 1905 წ. სულ მოხდა 177 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 2.350 ათასი კაცი. ასეთ პირობებში ლიბერალების მთავრობამ კ. სტაიფის ხელმძღვანელობით გამოსცა კანონები, რომლებიც სასტიკად სჯიდა მუშებს ანტისამხედრო და სოციალისტური აგიტაციისათვის.

მიუხედავად ამ რეპრესიებისა 1906-08 წწ. გაფიცვების რაოდენობა კი არ შემცირდა, პირიქით, სოფლადაც გავრცელდა. 1908 წ. მეწარმეებმა სცადეს მუშათა კლასის წინააღმდეგობის გატეხა ხანგრძლივი ლოკაუტებით. პროფკავშირთა რეფორმისტი ხელმძღვანელები ამუხრუჭებდნენ მუშათა გადამწყვეტ გამოსვლებს, შეჰქონდათ მასში დემორალიზაცია. ამას შედეგად მოჰყვა მუშათა კლასის პოზიციების შესუსტება. ასეთ პირობებში მრეწველებმა გადაწყვიტეს გაეტეხათ მუშათა კლასის წინააღმდეგობა და მოაწყვეს გენერალური ლოკაუტი. მუშათა კლასმა ამას უპასუხა 1909 წ. საყოველთაო გაფიცვით, რომელიც ორ თვეს ვაგრძელდა. მასში მონაწილეობდა დაახლოებით 300 ათასი მუშა. მაგრამ ეს გაფიცვა არახელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა და მარცხით დამთავრდა. ვ. ი. ლენინმა 1909 წ. შვედეთის მუშათა გაფიცვა შეაფასა როგორც „უკანასკნელი დროის ერთადერთი უდიდესი, საყოველთაო გაფიცვა“ [1].

1909 წ. გაფიცვის დამარცხებამ მძიმე დაღი დაასვა შვედეთის მუშათა კლასს. ორჯერ შემცირდა პროფკავშირებში გაერთიანებული მუშათა რიცხვი. 1911 წ. პარტიულ ყრილობაზე შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია მთლიანად დაადგა რადიკალური ლიბერალიზმის გზას. ასეთი პოლიტიკის გამო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოხდა განხეთქილება. ცალკე გამოიყო „ახალგაზრდა სოციალისტთა“ ჯგუფი, რომელიც შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დროს შევიდა „ციმერვალდის მემარცხენე დაჯგუფებაში“.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია, თხზ., ტ. 16, გვ. 168.

ევროპაში ორი იმპერიალისტური დაჯგუფების — ანტანტისა და სამთა კავშირის — შექმნა შვედეთსაც შეეხო. მრეწველები, აგრარიები და სასახლის კამარილია, რომლებიც პროგერმანული ორიენტაციის მომხრენი იყვნენ, ცდილობდნენ შვედეთის ცხოვრება სამხედრო ლიანდაგებზე გადაეყვანათ. მაგრამ სავაჭრო ბურჟუაზია, რომელიც ინგლისურ კაპიტალთან იყო დაკავშირებული და ხელმძღვანელობდა შვედეთს სტააფის მთავრობის სახით, წინ აღუდგა შვედეთის არმიის შეიარაღების და გარდაქმნის საქმეს. წინააღმდეგობამ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის 1914 წ. უკიდურესობას მიაღწია. 1914 წლის თებერვალში კონსერვატორებმა ნაციონალისტური აგიტაციის მეოხებით მოაწყვეს ქვეყნის მილიტარიზაციის დასაცავად 30 ათასიანი დემონსტრაცია. დემონსტრაციას მიემხრო მეფე გუსტავ მეხუთე. სტააფის ლიბერალური მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო. შეიქმნა კონსერვატორული მთავრობა ჰამარშელდის ხელმძღვანელობით, რომელმაც 1916 წლამდე იარსება და ეყრდნობოდა გერმანიას თავის საქმიანობაში. 1916 წ. შექმნილმა ახალმა ლიბერალურმა მთავრობამ ანტანტის ქვეყნების მიმართ გამოაცხადა მეგობრული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.

ნორვეგია

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ნორვეგიაში დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება; მაგრამ იგი აქ შედარებით ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე შვედეთში. ფ. ენგელსი, რომელიც 1890 წ. იყო ნორვეგიაში, ქვეყნის ჩამორჩენილობის მიზეზად ასახელებდა მის გეოგრაფიულ იზოლაციას, ეკონომიკის თავისებურ სისტემას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ნორვეგიაში არ იყო კაპიტალის კონცენტრაციისათვის ადგილობრივი პირობები. ქვეყნის ჩამორჩენილობის მნიშვნელოვანი მიზეზები ის იყო, რომ ნორვეგია 1814 წლიდან პოლიტიკურად შვედეთს ემორჩილებოდა; ვიწრო იყო ქვეყნის შინა ბაზარი, და ბოლოს, ემიგრანტების სახით ნორვეგია კარგავდა მუშახელს.

მიუხედავად დასამუშავებლად ვარგისი მიწის ფართობის სიმცირისა (მთელი ტერიტორიის 2.5%) და ნორვეგიის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის მცირეოდენი წილისა, მოსახლეობის 72% 1900 წელს სოფლად ცხოვრობდა. ნორვეგიის სოფლისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ გლეხობის უმეტესობა წვრილი და საშუალო მესაკუთრე იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან იწყო სოფლად ღარიბ მოიჯარეთა—ჰუსმენების—გაქრობა. მარტო 1885—1900 წწ. მათი რაოდენობა 60%-ით შემცირდა. მაგრამ ეს შემცირება ხდებოდა არა ჰუსმენების წვრილ მესაკუთრეებად გარდაქმნის, არამედ — ემიგრაციის ხარჯზე. ემიგრაცია გახდა ნორვეგიის ეროვნული უბედურება. XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1905 წლამდე ემიგრაციაში 700 ათასი ნორვეგიელი წავიდა, მაშინ როდესაც თვით ნორვეგიაში სულ 2 მლნ მცხოვრები იყო.

ემიგრაციის მიზეზები იყო წვრილი გლეხობის, მეთევზეებისა და მზარდი პროლეტარიატის აუტანლად ძძიმე ცხოვრება. მოსახლეობის ეს ფენები განიცდიდნენ სასტიკ ჩაგვრას როგორც სოფლის, ისე ქალაქის სავაჭრო ბურჟუაზიის მხრივ. ვინაიდან ნორვეგიაში მემამულეთა კლასი არ არსებობდა, მოსახლეობის ანტაგონისტურ კლასებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, გლეხობის ფართო ფენები,

ხოლო, მეორე მხრივ, ბიუროკრატიული მოხელეები, ბურჟუაზია და, საერთოდ, „ქალაქი". ემიგრაციასთან ერთად ეს გარემოება ხელს უშლიდა სოფლად კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებას. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ამუხრუჭებდა კლასობრივ ბრძოლას, იყო მთელი ნორვეგიელი ხალხის ბრძოლა შვედეთთან უნიის წინააღმდეგ.

ნორვეგიის მშრომელთა გაერთიანების პირველი ცდები მ. ტრანეს ეკუთვნის. 1848-50 წწ. შეიქმნა ჰუშათა კავშირები: მაგრამ ისინი ისე სწრაფად იქნენ განადგურებულნი ბურჟუაზიის მიერ, რომ მთელი 30 წლის მანძილზე ვერ შეძლეს წელში გამართვა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ბრძოლა ნორვეგიის დამოუკიდებლობისათვის უაღრესად გამწვავდა. გამოიყო სამრეწველო ბურჟუაზია, რომელიც ფინანსურად შვედეთთან იყო დაკავშირებული და უარს ამბობდა მასთან უნიის გაუქმებაზე. რაც შეეხება გემთმეპატრონეებსა და საკაპრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ისინი ინგლისურ კაპიტალთან იყვნენ დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1869 წ. ჩაისახა ლიბერალური მოძრაობა, რომელიც შვედეთთან კავშირის გაწყვეტის მომხრედ გამოდიოდა: 1884 წ. ლიბერალებმა შექმნეს „ნორვეგიის მემარცხენეთა გაერთიანება" — „ვენსტრე". უნიის მომხრე მემარჯვენეები გაერთიანდნენ პარტია „ჰიოირეში".

ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობის გამწვავების პირობებში შვედეთისა და ნორვეგიის ყოფნა ერთ სახურავ ქვეშ შეუძლებელი გახდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ნორვეგიელმა ხალხმა მოიპოვა ავტონომია, მიიღო თავისი კონსტიტუცია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო (სტორტინგი) დამოუკიდებლად წყვეტდა ეკონომიურ საკითხებს. ნორვეგია შვედეთისაგან მხოლოდ საგარეო პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის მხრივ იყო დამოკიდებული. 1895 წ. ნორვეგიის სტორტინგმა მიიღო გადაწყვეტილება ნორვეგიის დამოუკიდებელი საკონსულოების შექმნის შესახებ. ეს ნიშნავდა ნორვეგიის საბოლოო განთავისუფლებას შვედეთისაგან, ვინაიდან მათ საგარეო პოლიტიკის გარდა აღარაფერი აკავშირებდათ. მაგრამ ნორვეგიის ბურჟუაზია ამ ნაბიჯისათვის ჯერ კიდევ მოუმზადებელი აღმოჩნდა და იგი განეხორციელებელი დარჩა. 1898 წ. შვედეთის მეფის სამგზის ვეტოს შემდეგ მთავრობამ მიიღო კანონი ნორვეგიის სახელმწიფო დროშის შესახებ.

1904-05 წწ. დიდ სახელმწიფოებს შორის შეღლისა (რუსეთ-იაპონიის ომი) და რუსეთში რევოლუციის შედეგად მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე უაღრესად დაიძაბა, რითაც ისარგებლა ნორვეგიის მთავრობამ გემთმეპატრონე ხ. მიკელსენის მეთაურო-

ბით და 1905 წლის 18 მაისს მიიღო კანონი ნორვეგიული საკონსულოების შექმნის შესახებ. როდესაც შვედეთის მეფემ, ოსკარ II-ემ უარი თქვა დაემტკიცებინა ეს კანონი, 7 ივნისს ნორვეგიის მთავრობამ განაცხადა, რომ შვედეთის მეფეს, ოსკარ II-ეს არ თვლის ნორვეგიის ხელმწიფედ.

13 აგვისტოს ნორვეგიაში ჩატარდა რეფერენდუმი უნიასთან დამოკიდებულების შესახებ. 368 ათასმა ამომრჩეველმა მამაკაცმა და 245 ათასმა ქალმა 184 ამომრჩევლის ხმის წინააღმდეგ მხარი დაუჭირეს შვედეთთან უნიის გაუქმებას. 1905 წლის 23 სექტემბერს ქ. კარლსტადში ხელმოწერილ იქნა ნორვეგიასა და შვედეთს შორის შეთანხმება, რომლითაც შვედეთმა ცნო ახალი სახელმწიფო — ნორვეგია. ნორვეგიის მეფედ არჩეულ იქნა დანიელი პრინცი, რომელმაც მიიღო ჰოკონ მეშვიდის სახელწოდება. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მონარქიული წყობილების არჩევა ერთხელ კიდევ ცხადყოფდა ნორვეგიის პროლეტარიატის სისუსტეს და პატრიარქალური წვრილი ბურჟუაზიის გავლენას. მაგრამ თვითონ ფაქტი ნორვეგიის დამოუკიდებლობისა პროგრესული მნიშვნელობისა იყო, თუმცა მას არ შეუცვლია ნორვეგიის ეკონომიკის დამოკიდებული ხასიათი. ქვეყნის ეკონომიკაში ასეთ სიტუაციასთან დაკავშირებით ლიბერალური პარტია ორ ნაწილად გაიყო: უცხოური კაპიტალის დაშვების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რამაც აიძულა მიკელსენის მთავრობა გადამდგარიყო. ხელისუფლების სათავეში ხიორეს პარტია მოექცა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ნორვეგია ნეიტრალურ სახელმწიფოდ რჩებოდა და 1916 წლამდე ორივე მეომარ მხარესთან ვაჭრობდა, რამაც ხელი შეუწყო ნორვეგიის ბურჟუაზიის გამდიდრებას. ნორვეგიის საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვა 1913 წელთან შედარებით 1916 წ. 2.5-ჯერ გაიზარდა. ხოლო გემთმეპატრონეთა შემოსავალმა თითქმის 10-ჯერ იმატა. ნორვეგია სამრეწველო ბუმს განიცდიდა. გარდაიქმნა ფლოტი, მრეწველობა. შეიქმნა ჰონოპოლიები ქიმიურ მრეწველობასა („ნორსკ ჰიდრო“) და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში („ბორეგორი“). ნორვეგია მოვალე ქვეყნიდან გადაიქცა ქვეყანა-კრედიტორად 1.31 მლრდ კრონი აქტივით. სერიოზული ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაშიც: გაიზარდა ღარიბ გლეხთა რაოდენობა (1917 წ. 82 ათასი ოჯახი), მაშინ როდესაც 15 ათასი კულაკური მეურნეობა ფლობდა მთელი მიწების 62%-ს. ასეთ ვითარებაში მოუსწრო ნორვეგიას რუსეთში თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ.

დანია

1864 წ. ომში დამარცხებამ დანიას ხელი აიღებინა აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე. პრუსიის ვიერ ჰოლშტაინის, შლეზვიგისა და ლაუენბურგის მითვისებამ ეროვნული თვალსაზრისით დანია ერთგვაროვანი გახადა. გარდა ამისა, დანია ამ პერიოდისათვის ფლობდა ისლანდიას, ფარერის კუნძულებს, გრენლანდიასა და ვირჯინიის კუნძულებს.

80-იან წლებამდე დანია რჩებოდა ტიპურ აგრარულ ქვეყნად, რომელსაც გაჰქონდა ხორბალი ევროპის სამრეწველო ქვეყნებში. მაგრამ 80-იანი წლებიდან იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ამერიკული ხორბლის კონკურენციის გამო. ენერგეტიკული და მინერალური რესურსების უქონლობის, აგრეთვე ინგლისისა და გერმანიის მხრივ სამრეწველო კონკურენციის გამო, დანიის მეურნეობას არ შეეძლო ინდუსტრიალიზაციის გზით განვითარებულიყო. საჭირო შეიქნა გზის ძოძებნა სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად, რაც იმაში გამოიხატა, რომ დანია ხორბლის ექსპორტიორისაგან გადაიქცა მეცხოველეობის პროდუქციის ექსპორტიორად. მალე იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი გახდა ხორცის, კარაქის, ყველის, კვერცხის.

სოფლის მეურნეობის მიმართულების შეცვლა მოითხოვდა მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს, რამაც გამოიწვია ქალაქის კაპიტალის დენადობა სოფლისაკენ და მეურნეობის წარმოების მეთოდების შეცვლა. ამას კი ჰოჰყვა მნიშვნელოვანი ძვრები დანიის სოფელში. გაღატაკდა წვრილი მიწათმფლობელი გლეხობა, რომელიც იძულებული ხდებოდა წასულიყო ქალაქად. თუ 1880 წელს სოფლის მეურნეობაში დაკავებული იყო მოსახლეობის 47%, ხოლო მრეწველობაში 23%, 1900 წლისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეიცვალა — 40 და 27,5%. ამავე დროს სოფლად აღმოცენდა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჰუსმენების ფენა — 103 ათასი მეურნეობა — რაც 50-ჯერ აღემატებოდა მემამულეების მეურნეო-

ბათა რაოდენობას, თუმცა ამ უკანასკნელებს მიწის ფართობის უმეტესი ნაწილი ეკავათ. გარდა ამისა, XIX საუკუნის 80—90-იან წლებში დანიის სოფელში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ჰორდმენებმა (ბობოლა გლეხებმა), რომლებიც უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის ფლობდნენ 5-ჯერ მეტ მიწის ფართობს, ვიდრე მემამულეები და 7-ჯერ მეტს, ვიდრე ჰუსმენები. ადვილი გასაგებია, რომ ქვეყნის შიგნით ბობოლა გლეხობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა.

70-იანი წლებიდან იწყება დანიური კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი ქვეყნის შიგნით. აღმოცენდა მრავალი სააქციო საზოგადოება, ძირითადად ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროში. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა გემთმშენებელ და მანქანათმშენებელ საზოგადოებას „ბურმეისტერ ოგ ვაინი", საზოგადოებას „დანიის შაქრის ქარხნები", სპირტის, არყისა და ლუდის მწარმოებელ საზოგადოებას „ტიუბორგს" და ა. შ., რომლებიც XX საუკუნის დასაწყისისათვის დანიის უდიდეს საწარმოებად გადაიქცნენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარება ძირითადად ქვეყნის დედაქალაქ კოპენჰაგენში ხდებოდა, მაშინ როდესაც ქვეყნის სხვა ნაწილები აგრარულ რაიონებად რჩებოდა. XIX საუკუნის შუა ხანებში თუ კოპენჰაგენში სულ 4 ათასი მუშა იყო, 1872 წ. მათმა რიცხვმა იქ 14 ათასს, ხოლო 1897 წ. — 25 ათასს მიაღწია.

1864 წლიდან დანიის საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა კონსტიტუციის საკითხი, რომლის გადასაჭრელადაც იბრძოდა დანიის სამი ძირითადი პარტია.

ნაციონალ-ლიბერალების პარტიამ, რომელიც გამოხატავდა მოხელეთა და საჯარო ბურჟუაზიის ინტერესებს და 15 წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას, განიცადა ევოლუცია მარჯვნივ. იგი გამოდიოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების გატარების წინააღმდეგ. ამ რეფორმების გატარებას მოითხოვდა პარტია „გლეხთა მეგობრების საზოგადოება", რომელიც ძირითადად კულაკობის ინტერესებს გამოხატავდა. ხოლო მემამულეთა პარტია, რომელიც აკრიტიკებდა ნაციონალ-ლიბერალებს „სისუსტისათვის", მოითხოვდა კონსტიტუციის რეაქციული მუხლების გაფართოებას. 1866 წელს კონსტიტუციის გადასინჯვისას სწორედ ამ კონსერვატიულმა ელემენტებმა მოიპოვეს გამარჯვება. ამან გამოიწვია ქვეყნის შიგნით ძალთა გადაჯგუფება. მემამულეთა პარტია გაერთიანდა ნაციონალ-ლიბერალებთან და დააარსეს კონსერვატიული (მემარჯვენე)

პარტია, ხოლო ბურჟუაზიის მემარცხენე დაჯგუფებები გაერთიანდა პარტიაში „გაერთიანებული ვენსტრე“ („გლეხთა მეგობრები“), რომელიც მოითხოვდა პარლამენტარიზმზე გადასვლას.

1871 წ. შეიქმნა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, I ინტერნაციონალის სექცია. პარტიის დამაარსებლები პიო და გელეფი, განსაკუთრებით პიო, მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ კ. მარქსთან და ფ. ენგელსთან. მაგრამ პარტიის დაარსებიდან რამდენიმე თვის შემდეგ პიო და გელეფი დააპატიმრეს და პარტია ფაქტიურად დაიშალა. 1876 წ. დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია აღდგენილ იქნა, მაგრამ ამასში უკვე მტკიცედ ჰქონდათ მოკიდებული ფეხი წვრილბურჟუაზიულ ლიბერალურ ელემენტებს, რამაც გამოიწვია პარტიის რეფორმიზმის ლიანდაგებზე გადასვლა. ფაქტიურად დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია სოფლის ბურჟუაზიის გავლენას განიცდიდა. ამ გავლენის წინააღმდეგ იბრძოდა დაჯგუფება გ. ტრირის ხელმძღვანელობით, რომელიც ცდილობდა პარტიაში სამრეწველო საწარმოთა მუშების ჰეგემონიის დამყარებას.

მთავარი მაინც დანიის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში იყო ბრძოლა მემამულეებსა და სოფლის ბურჟუაზიას შორის. მემამულეთა ინტერესების გამომხატველი ხდება პარლამენტის ზედა პალატა—ლანდსტინგი, ხოლო სოფლის ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი — ქვედა პალატა — ფოლკეტინგი.

ვენსტრეს პარტიამ პარლამენტში ბრძოლის მეთოდად აირჩია კონსერვატიული მთავრობის საფინანსო პოლიტიკისადმი წინააღმდეგობა. ამ მიზნით ქვედა პალატა ყოველთვის უარყოფდა ზედა პალატის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტებს. ამის გამო მთავრობა იძულებული იყო მიეღო დროებითი ბიუჯეტი, დაეთხოვა ფოლკეტინგი და დაენიშნა ახალი არჩევნები. მაგრამ ყოველივე თავიდან მეორდებოდა. ქვედა პალატა პირველად დაითხოვეს 1877 წ., შემდეგ 1885 წლიდან 1894 წლამდე რეგულარულად ხდებოდა მისი დათხოვნა, ამიტომაც ეს წლები დანიის ისტორიაში ცნობილია როგორც „დროებითი ბიუჯეტის პერიოდი“.

90-იანი წლებიდან შეიცვალა კლასობრივ ძალთა განლაგება დანიაში. მემამულეთა კლასის ნაწილი, რომელიც ბობოლა გლეხობაში ეძებდა დასაყრდენს, გამოვიდა ვენსტრეს პარტიის მემარჯვენე ფრთასთან კავშირის დამყარების ლოზუნგით. 1894 წ. ვენსტრეს პარტიას გამოეყო ე. წ. „ზომიერი ვენსტრეს“ ჯგუფი და შეადგინა ბლოკი კონსერვატორებთან. დანარჩენმა ვენსტრემ შექმნა პარტია „რეფორმისტული ვენსტრე“, რომელიც თავისი საერთო პოლიტიკური პლატფორმით უაღრესად ჰგავდა შვედეთისა და ნორვეგიის

ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიებს. განსხვავება კი ის იყო, რომ თუ სკანდინავიის ქვეყნებში ამ პარტიებში ქალაქის ბურჟუაზია იყო გაერთიანებული, დანიაში ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიის ბირთვს სოფლის ბურჟუაზია წარმოადგენდა.

1895 წ. საპარლამენტო არჩევნებში „რეფორმისტულმა ვენსტრეს“ პარტიამ მიიღო 53 ადგილი, ხოლო 1898 წ. უკვე—63 ადგილი.

1901 წ. არჩევნებში მემარჯვენე პარტიებმა სასტიკი მარცხი განიცადა. ყოფილმა მმართველმა მემარჯვენე კონსერვატიულმა პარტიამ მიიღო მხოლოდ 8 ადგილი, მაშინ როდესაც ვენსტრემ და სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც ძხარი დაუჭირეს „რეფორმისტულ ვენსტრეს“, მიიღეს 90 ადგილი. ამ გარემოებამ აიძულა მონარქია დაეთმო სოფლის ბურჟუაზიისათვის. მეფე ქრისტიან IX-ემ უარი თქვა თავის უფლებაზე, დაენიშნა პრემიერ-მინისტრი; ამის უფლება მისცა არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას. მეფის ეს აქტი მოასწავებდა დანიაში პარლამენტარიზმის საბოლოო გამარჯვებას. და ბურჟუაზიის კომპრომისს თავადაზნაურულ-ბიუროკრატიულ წრეებთან. ეს ნიშნავდა იმას, რომ 1849 წ. დანიაში დაწყებული რევოლუცია დამთავრდა ზემოდან გარდაქმნებით, ვინაიდან გამარჯვებულ სოფლის ბურჟუაზიას არ აწყობდა მონარქიის დამხობა.

ახალმა მთავრობამ, რომელსაც დეინცერი ხელმძღვანელობდა, წამოაყენა რეფორმების პროგრამა, რომლის ღერძსაც წარმოადგენდა დანიაში საგადასახადო სისტემის შეცვლა და საარჩევნო რეფორმების გატარება. საარჩევნო რეფორმების განხორციელება დიდი ხანი იდგა დღის წესრიგში. ვენსტრეს მემარჯვენე ფრთა გამოდიოდა საარჩევნო უფლებათა გაფართოების წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც პარტიამ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა. მემარცხენე ფრთა კი გამოდიოდა სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობის ლოზუნგით. რაც შეეხება ვენსტრეს ცენტრს, რომელსაც ხელმძღვანელობდა XX საუკუნის დასაწყისის დანიის გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურა ქრისტენსენი, — მას სურდა სოციალ-დემოკრატებთან ეთანამშრომლა მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე ვენსტრეს მათი დახმარება ესაჭიროებოდა. 1901 წ. არჩევნების შემდეგ ვენსტრეს რიგებში გაძლიერდა სოციალ-დემოკრატთა მოწინააღმდეგეების რიცხვი. ამის მიზეზი იყო არა მუშათა კლასის ძალის ზრდა, არამედ სოფლად ჰუსმენობის ზრდა და წინააღმდეგობათა გამწვავება.

დანიის მუშათა პარტია 1901 წლიდან საბოლოოდ დაადგა რეფორმიზმის გზას. რაც შეეხებოდა სოფელს, აქ ჰუსმენები ახალ პო-

ლიტიკურ ფაქტორად გადაიქცნენ, რომლის მხარდაჭერის მოსაპოვებლადაც იბრძოდნენ როგორც ბურჟუაზიული პარტიები, ისე სოციალ-დემოკრატები.

1901-05 წწ. დანიაში საკმაოდ მომძლავრდა სოფლის პროლეტარიატიც—მოჯამაგირეები, სეზონური მუშები, მაგრამ 1904 წ. მთავრობამ დიდი ზეიმით გააცხადა „სოციალური რეფორმა“ — საკარმიდამო ნაკვეთები დაურიგა მოჯამაგირეებს. ამით დანიის მთავრობას სურდა სოფლის პროლეტარიატის რიგებში განხეთქილების შეტანა. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიას, იგი ვერ მიუხვდა მთავრობის ვერაგულ ნაბიჯს და ამ რეფორმაში დემოკრატიული გარდაქმნები დაინახა.

XX საუკუნის დასაწყისში დანია შევიდა თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. დანიის იმპერიალიზმის დახასიათებისას ვ. ი. ლენინი წერდა: „დანიის იმპერიალიზმის სპეციფიკურ ხასიათს წარმოადგენს... ზემოგების მიღება რძისა და ხორცის პროდუქტების ბაზრების მონოპოლიურად ხელსაყრელი განლაგებით: ლონდონში, მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე, პროდუქტების გატანა ყველაზე იაფი საზღვაო გზით...“ [1] XX საუკუნის დასაწყისში დანიის ექსპორტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას 90% ეკავა, რომლიდანაც 60%. მიდიოდა ინგლისში, ხოლო 28% — გერმანიაში. 1895—1904 წწ. დანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 180 მლნ კრონი, ხოლო 1905-14 წწ.—1.043 მლნ. დანიის კაპიტალიზმმა კარგად გამოიყენა ხელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა და ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს მოუყარა თავი. მაგ., კაპიტალდაბანდებებმა ლანმანსბანკსა და პრივატენბანკში 1900 წელს შეადგინა 325 მლნ კრონი, 1913 წელს — 886 მლნ, ხოლო 1917 წ.—2.353 მლნ. XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძირითადად რუსეთში დაარსდა სანაოსნო, გემთმშენებელი, აგრეთვე ტელეგრაფის კომპანიები. დანიურმა მონოპოლიებმა დაიწყო კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის დანიის მონოპოლიათა ინტერესები მჭიდროდ აღმოჩნდა დაკავშირებული ინგლისურ და გერმანულ მონოპოლიებთან. ამან განაპირობა დანიის ნეიტრალიტეტი ომში და მომგებიანი ვაჭრობა როგორც ანტანტის, ისე „სამთა კავშირის“ ქვეყნებთან. 1916 წ. დანიის მმართველმა წრეებმა 25 მლნ დოლარად მიჰყიდეს აშშ-ს ვირჯინიის კ-ები. ომის დასასრულისათვის უმოწყალო წყალქვეშა ომებმა დიდი გართულე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „სოციალისტ“ მინისტრთა მთელი ათეული, თხზ., ტ. 16, გვ. 170.

ბები გამოიწვია დანიაში ფურაჟისა და სხვა ნედლეულის შემოზიდ-ვის შეწყვეტის გამო. წარმოება 1913 წლის დონესთან შედარებით 20%-ით დაეცა. გაიზარდა უმუშევრობა, მუშის რეალური ხელფასი დაეცა 15%-მდე. ყოველივე ამან გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გაჭვავება დანიაში. მაგრამ მუშების გამოსვლები სტიქიური იყო, რაშიც მნიშვნელოვანი ბრალი დანიის რეფორმისტულ სოციალ-დემოკრატიას მიუძღოდა. შეიძლება ითქვას, რომ 1920 წლამდე დანიის მუშათა კლასს არ გააჩნდა თავისი ინტერესების დამცველი პარტია.

ლათინური ამერიკის ქვეყნები ახალი ისტორიის მეორე პერიოდში

დედამიწის თითქმის ყველა რეგიონის სახელწოდებები მიუთითებს პირველ ყოვლისა მათში შემავალი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის გარკვეულ ერთობლიობაზე (მაგ., ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, შორეული აღმოსავლეთი, დასავლეთი აფრიკა). რეგიონ „ლათინური ამერიკის" სახელწოდება კი არა მარტო ამერიკაში შემავალი ქვეყნების ადგილმდებარეობას გამოხატავს, არამედ მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებასაც. უკვე თვით სახელწოდებაც ხაზს უსვამს ამ დიდი ტერიტორიის კოლონიზაციის ლათინურ ხასიათს.

ტერმინი „ლათინური ამერიკა" შემოღებულ იქნა XIX ს. შუაწლებში ფრანგი გეოგრაფების მიერ, როდესაც ნაპოლეონ III-ემ მიზნად დაისახა „ლათინური იმპერიის" შექმნა. რომლის შემადგენლობაში ესპანეთის ამერიკული კოლონიებიც უნდა შესულიყო. გერმანულ ლიტერატურაში ლათინური ამერიკის სინონიმად იხმარება ტერმინი „იბეროამერიკა", რომელმაც ფართო გავრცელება პოვა ესპანეთშიც XX ს. 40-იანი წლებიდან. გარდა ამ სახელწოდებებისა, სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება აგრეთვე ტერმინები „ესპანეთის ამერიკა", „ლუზოესპანური ამერიკა" (ლუზიტანია — პორტუგალიის უძველესი სახელწოდება), „ინდოამერიკა" (ხაზგასმულია ინდიური ელემენტის სიჭარბე). მექსიკასა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს ზოგჯერ აერთიანებენ ერთ ტერმინში „მეზოამერიკა" („შუა ამერიკა") ან „კარიბული ამერიკა".

1870 წლისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობამ—არგენტინამ, ბრაზილიამ, ჩილემ, მექსიკამ, ურუგვაიმ, ვენესუელამ, კოლუმბიამ, ბოლივიამ, პერუმ, ეკუადორმა, გუატემალამ, ნიკარაგუამ, ჰონდურასმა, სალვადორმა, კოსტა-რიკამ, ჰაიტიმ — დაამთავრეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირება, მოახ-

დინეს ეროვნული კონსოლიდაცია და მყარ პოლიტიკურ ერთეულებად გადაქცნენ.

ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში კაპიტალიზმი ემბრიონულ მდგომარეობაში იყო. დედამიწის ამ ნაწილში კაპიტალიზმმა ჩასახვა და განვითარება დაიწყო მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა თავის უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში გადადიოდა. ლათინური ამერიკის ჩამორჩენილ ქვეყნებში იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის ის პირობები, რომლებსაც მონოპოლიების შექმნა მოსდევს. მიუხედავად ბურჟუაზიული რევოლუციისა ლათინურ ამერიკაში და დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ლათინური ამერიკის ქვეყნების სოციალ-ეკონომიური საფუძველი ხელუხლებელი დარჩა. ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის ნიშნებთან ერთად არსებობდა ფეოდალური ურთიერთობანი, მონათმფლობელობა და ინდიელთა ტომების პრიმიტიული თემურ-გვაროვნული წყობილება. ცხოვრებისა და მეურნეობის ძველი, დრომოჭმული ფორმები ხელს უშლიდა კაპიტალიზმის განვითარებას.

კაპიტალიზმის განვითარების წინაპირობები, როგორც კ. მარქსმა უჩვენა, იქმნება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესში, როცა: 1. ხდება ფულის მნიშვნელოვანი რაოდენობისა და საწარმოო საშუალებების დაგროვება გარკვეული ჯგუფის ხელში, რომელსაც სურს სამუშაო ძალა იყიდოს კაპიტალისტური წარმოებისათვის და 2. იქმნება ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც არ გააჩნია არც ფული და არც საწარმოო საშუალება, მაგრამ პირადად (იურიდიულად) თავისუფალია და რომ არ დაიღუპოს იძულებულია გაყიდოს სამუშაო ძალა.

იმ ქვეყნებში, სადაც უშუალო მწარმოებელთა მასა ფლობდა იარაღსა და წარმოების საშუალებებს, ე. წ. თავდაპირველი დაგროვების პროცესში მოხდა გლეხთა ექსპროპრიაცია და მათი დაქირავებულ მუშახელად გადაქცევა. ეს იყო თავდაპირველი დაგროვების ინგლისური ვარიანტის არსი. რაც შეეხება ლათინური ამერიკის ქვეყნებს, სადაც არსებობდა მონათმფლობელობა, პირველყოფილი თემური წყობილება, ფეოდალური ექსპლუატაციის სასტიკი ფორმები, კაპიტალიზმის განვითარების პროცესს თავისი საკუთარი გზა უნდა მოეძებნა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში კაპიტალის თავდაპირველი აკუმულაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონის, მოჯამაგირის შრომის ექსპლუატაციას, მისი შრომის შედეგად შექმნილ ზედმეტი პროდუქციის გადაქცევას კაპიტალად. ასეთი დაგროვების ეფექტია-

ნობა მეტად უმნიშვნელო იყო. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ მეურნეობის კაპიტალისტურამდელი ფორმები იმდენად მცირე შემოსავალს იძლევა, რომ კაპიტალის „დაგროვება შეუძლებელია, ან შეიძლება უაღრესად შეზღუდული რაოდენობით“ [1].

იძულებითი შრომა სოფლის მეურნეობაში მთავარ როლს ასრულებდა ზედმეტი ღირებულების შექმნაში. პლანტაციური მეურნეობის პროდუქტები — ყავა, ბამბა, შაქარი, კაკაო, იერბა-მატე (პარაგვაის ჩაი), თამბაქო, კაუჩუკი და სხვა — შეადგენდა XIX საუკუნის ლათინური ამერიკის ქვეყნების ექსპორტის 70—80%-ს ბრაზილია აწარმოებდა ყავას, ბამბასა და კაუჩუკს, არგენტინა — ხორცს, ტყავს, მატყლს, ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში გასატანად; პერუ 1877 წლამდე სახელმწიფო შემოსავლის $^3/_4$ იღებდა ფრინველის გუანოს ექსპორტით, რომელიც ევროპის ბაზარზე, როგორც მაღალხარისხოვანი სასუქი, ძვირად ფასობდა. ბოლივიის ეკონომიკა დამოკიდებული იყო ვერცხლის საბადოთა დამუშავებაზე, ხოლო ჩილესი — გვარჯილისა და კალის მოპოვებაზე. ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა ვითარდებოდა ნელა, ცალმხრივად, აშშ-სა და ევროპის ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად და არა თავისი ხალხების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობას არ ჰყოფნიდა საკვები პროდუქტი. 1875 წლამდე ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ვერც ერთი ვერ იკმაყოფილებდა მოთხოვნილებას მარცვლეულზე. არგენტინაში, პერუში, ბრაზილიაში, კოლუმბიასა და სხვა ქვეყნებში. სადაც ხელსაყრელი კლიმატური პირობები არსებობდა, არ თესდნენ მარცვლეულ კულტურებს — ხორბალს, ქერს, ბრინჯს.

ლათინური ამერიკის სოფლის მეურნეობაში ძირითადად გავრცელებული იყო სავალო მონობა, ანუ პეონაჟი (ფრანგული სიტყვა peonage წარმოიშვა ესპანური სიტყვიდან peon — მოჯამაგირე). თავისუფალი გლეხები (გაუჩო, რანჩერო), მეთემე ინდიელები, — რომელთაგანაც მემამულეები ყიდულობდნენ მიწას ან ძალით ისაკუთრებდნენ, — მიდიოდნენ კაბალაში ივავე მემამულესთან ან მეჯოგესთან. მემამულე მათ სესხად, განვადებით აძლევდა მიწის ნაკვეთს ან საქონელს და გლეხი მემამულის ვალიდან ვეღარ ამოდიოდა, და იგი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. კ. მარქსი პეონაჟს მონობის შენიღბულ ფორმას უწოდებდა და წერდა, რომ „მუშაობით ასა-

---

[1] К. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производству, М., 1940, зз. 43.

ნაზღაურებელი სესხებისა და თაობიდან თაობაზე გარდამავალი ვალდებულებების შედეგად, არა მარტო ცალკეული მშრომელი, არამედ მთელი მისი ოჯახიც, ფაქტიურად სხვა პიროვნებისა და ოჯახის საკუთრებად ხდებოდა“ [1].

ლათინური ამერიკის ქვეყნებში პეონაჟი განსაკუთრებით ფართოდ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გავრცელდა. ამ წლებში ინგლისელმა, ფრანგმა და ამერიკელმა საქმოსნებმა დაიწყეს ლათინურ ამერიკაში რკინიგზების გაყვანა. უცხოელი კაპიტალისტები გლეხებსა და მეთესე-ინდიელებს აძევებდნენ მათი საკუთარი მიწებიდან და აიძულებდნენ მათ წასულიყვნენ პეონებად, მოჯამაგირეებად ან შავ მუშებად რკინიგზებზე.

პეონაჟის გარდა, ცენტრალურ ამერიკასა და სამხრეთ კონუსის ზოგიერთ ქვეყანაში — პარაგვაიში, პერუში, გავრცელებული იყო საბატონო ბეგარა. გლეხი, რომელმაც ოდესღაც მემამულისაგან იყიდა მიწის ნაკვეთი, იძულებული იყო წელიწადში 10-დან 90 დღემდე მემამულის მიწებზე ან პლანტაციებში უფასოდ ემუშავა. ზოგიერთ ქვეყანაში — არგენტინაში, ურუგვაიში, კოლუმბიასა და ჩილეში მიწათმოქმედთა მცირერიცხოვან ფენას შეადგენდნენ მოიჯარენი, რომლებიც იჯარით იღებდნენ მიწას დასამუშავებლად ან თვითონ ხშირად სუბიჯარით აძლევდნენ მიწის ნაკვეთს. რაც შეეხება ფერმერული ტიპის თავისუფალ გლეხობას, ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ისინი სულ არ იყვნენ, ზოგიერთებში კი მეტად მცირე ნაწილს შეადგენდნენ.

პერუში, ბოლივიაში, ეკუადორსა და გუატემალაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ინდიელთა თემებს. ამ ქვეყნების მოსახლეობის 80%-ს ინდიელები შეადგენდნენ, მაგრამ ფეოდალები და უცხოელი კაპიტალისტები, ხელთ იგდებდნენ ორა ინდიელთა სათემო მიწებს, აიძულებდნენ მათ გახიზნულიყვნენ მთებში ან სელვისათვის[2] შეეფარებინათ თავი. მემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობები აწყობდნენ სამხედრო და დამსჯელ ექსპედიციებს ინდიელთა წინააღმდეგ, ხალხი მიწების ხელში ჩასაგდებად. თუ თეთრკანიანი გაამთრახებდა ინდიელს, ამ უკანასკნელს მადლობა უნდა მოეხსენებინა თეთრკანიანისთვის. პერუში, ბოლივიაში, მექსიკაში, ეკუადორში და სხვა ქვეყნებში ინდიელებს 1917-18 წლებამდე არ ჰქონდათ უფლება გაძღიჩენილიყვნენ ქუჩებში ეროვნული ტანსაცმლით, არ ჰქონდათ

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Собр. соч. т. 23, стр. 179 (მე-2 გამოცემა).

[2] სელვა — ტროპიკული ტყეების სახელწოდება ლათინურ ამერიკაში.

სასამართლოში ჩივილის უფლება და ა. შ.[1] თავიანთი მიწებიდან აყრილი ათასობით ინდიელი იღუპებოდა შიმშილით, ავადმყოფობისა და ცუდი კლიმატისაგან.

შევიწროებასა და საშინელ ექსპლუატაციას ინდიელები შეიარაღებული ბრძოლით უპასუხებდნენ. ფართო ხასიათი მიიღო ინდიელთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა — მექსიკაში, პერუში, ეკვადორში, ბოლივიაში, — მიწისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის. განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო მაიას ტომის ინდიელთა აჯანყებამ იუკატანის ნახევარკუნძულზე სესილიო ჩის და ხასინტო პატის ხელმძღვანელობით. აჯანყება დაიწყო 1874 წელს და გაგრძელდა 1901 წლამდე. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს იუკატანის ხელისუფლებმა მიმართეს ინდიელ ტუკეთა გაყიდვის სამარცხვინო პრაქტიკას. ტუკე ინდიელებს ჰყიდდნენ საზღვარგარეთ, თითოეულს 25 პესოდ. მეტად მნიშვნელოვანი იყო იაკეების ტომის ინდიელთა, აგრეთვე კომანჩებისა და აპაშების 1875—1901 წწ. აჯანყებები. ინდიელთა ამ ტომების შეიარაღებულმა ბრძოლამ რამდენადმე შეასუსტა პორფირიო დიასის დიქტატურა მექსიკაში და ხელი შეუწყო 1910-17 წწ. რევოლუციის მომზადებას ამ ქვეყანაში.

მეტად მნიშვნელოვანი იყო კეჩუას ტომის ინდიელთა გამოსვლები პერუში, რომელიც დაიწყო 1885 წ. აჯანყების საბაბი გახდა გადასახადების გაზრდა და ბეგარის ხელახალი აღდგენა. თავდაპირველად ინდიელებმა თავი აარიდეს მთავრობის ძალებთან შეტაკებას და შეადგინეს დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი იყო მოთხოვნები. ამის პასუხად ხელისუფლებმა დააპატიმრეს ინდიელთა ერთ-ერთი უხუცესი ბელადი პედრო პაბლო ატუსპარია. ამ პერიოდში ქ. უარასის რაიონში იმყოფებოდნენ იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად მორეკილი ინდიელები, რომლებმაც ატუსპარიას დაპატიმრებას პასუხად არ დააყოვნეს აჯანყების დაწყება. აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. უარასი და უმაღლეს ბელადად გამოაცხადეს ატუსპარია. ორი თვის განმავლობაში განაგებდნენ ისინი ქ. უარასსა და მის შემოგარენს. აჯანყებულები უშვებდნენ საკუთარ გაზეთს, სიმბოლური სახელწოდებით „ინკების ზეა". მაგრამ აჯანყებულთა შორის არ

---

[1] ინდიელთა შორის დიდი ხნის მანძილზე მცხოვრებ მწერალს ლუსიო მანსილიას მოჰყავს მეტად საყურადღებო დიალოგი: „ძმაო ჩემო,—უთხრა მანსილიას ინდიელთა ბელადმა, — ქრისტიანებს რომ შეეძლოთ, ისინი დაგვასამარებდნენ; მაგალითად, რომ შეეძლოთ ხვალ ჩვენი ამოყლეტვა—ყველას ამოგვეყლეტდნენ". „არრა არის რა უმოწყალო ცივილიზაციაზე უსაშინელესიო", — წერდა მანსილია.

იყო ერთსულოვნება. აჯანყებულთა ნაწილი მოითხოვდა „თეთრი“ მოსახლეობის ამოჟლეტას, ნაწილი, და მათ შორის ატუსპარი კი სამართლიანად თვლიდა, რომ „თეთრ“ მოსახლეობასთან კავშირის გარეშე აჯანყება დამარცხდებოდა. საბოლოოდ ნაციონალისტურმა ტენდენციამ მოიპოვა გამარჯვება. ღალატში ბრალდებულმა ატუსპარიამ თავი მოიკლა. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან ღრმა კვალი დატოვა ინდიელთა თვითგამორკვევისათვის ბრძოლაში.

ექსპლუატაციის ნახევრადფეოდალური და პატონყმური ფორმების გარდა ლათინური ამერიკის ისეთ ქვეყნებში, როგორიც იყო ბრაზილია და კუბა, არსებობდა მონათმფლობელური წარმოების წესი, რომელმაც ამ ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ღრმად გაიდგა ფესვები. მონების შრომა ფართო გამოყენებას პოულობდა უზარმაზარ პლანტაციებში და საექსპორტოდ განკუთვნილ ტროპიკული კულტურების — შაქრის ლერწმის, ყავის, ბრინჯის, მანიოკის, ინდიგოს და სხვათა წარმოებაში. მონის მდგომარეობა აუტანელი იყო. მონას აკრძალული ჰქონდა წერა-კითხვის სწავლა, თეთრკანიანების საწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა, ვაჭრობა, ნებადაურთველად პლანტაციიდან წასვლა. დანაშაულისათვის მონა-ზანგს ამათრახებდნენ, ასვამდნენ დალს სახეზე. შავკანიანი მონის მოკვლა დანაშაულად არ ითვლებოდა. შავკანიან მონებს პირუტყვებად თვლიდნენ. აუტანელი შრომის შედეგად მონა ჩვეულებრივ 6—7 წელს თუ ცოცხლობდა. პლანტატორები უფრო სასარგებლოდ თვლიდნენ შავკანიანი მონის მუშაობით სიკვდილამდე მიყვანას, ვიდრე მათ სიბერეში შენახვას. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მონებს შორის მოხუცი იშვიათი იყო. მონობა კუბაში გაუქმდა 1880 წელს, ხოლო ბრაზილიაში — 1889 წელს, მაგრამ მისი ნაშთები ამ ქვეყნებს მაინც დიდი ხნის მანძილზე შემორჩათ.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიწის საუკეთესო ნაკვეთები თავმოყრილი იყო ლატიფუნდისტების ხელში, რომლებიც ქმნიდნენ უზარმაზარ მამულებს: ფაზენდას — ბრაზილიაში, ფუნდოს — ჩილეში, ესტანსიას — არგენტინაში, ასიენდას — დანარჩენ ქვეყნებში. თავის უზარმაზარ მამულებში ლატიფუნდისტს „თავსაყრელად ჰქონდა ხორცი და პური, ღვინო და ბრინჯი — საკვებად; მატყლი და ბამბა — ჩასაცმელად; ქონი, ზეთი და სანთელი — გასანათებლად; ხე-ტყე და აგურ-კრამიტი მას უამინდობისაგან იცავდა; იარაღი — თავდასაცავად. მას არაფერი ესაჭიროებოდა, ის იყო პატარა ხელმწიფე თავის მამულში“.

ბრაზილიაში დაახლოებით ორი ათასამდე ლატიფუნდისტს ეკუთვნოდა მიწის ნაკვეთები, რომელთა საერთო ფართობი აღემატებო-

და იტალიის, ნიდერლანდების, ბელგიისა და დანიის ტერიტორიებს ერთად აღებულს. არგენტინაში, 1914 წლის მონაცემებით, 100 ათას წვრილ მესაკუთრეს 964 ათასი ჰა მიწა ეკავა, მაშინ როდესაც 2 ათასი მსხვილი მემამულე 54 მილიონ ჰა მიწას ფლობდა.

ლათინურ ამერიკაში ლატიფუნდიები წარმოიშვა კონკისტისა და კოლონიური ბატონობის პერიოდში, მაგრამ ბურჟუაზიული რევოლუციებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად ისინი არა თუ განადგურდნენ, არამედ უფრო გაიზარდნენ და გაძლიერდნენ. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობები კერძო პირებს ურიგებდნენ სახაზინო მიწებს და ხელს უწყობდნენ ახალი ლატიფუნდიების შექმნას. მაგალითად, მექსიკაში 1883 წ. შემდეგ პორფირიო დიასის დიქტატორულმა რეჟიმმა შვიდ პიროვნებას გადასცა 12 მლნ ჰა მიწა. ჩილეში მარტო 1901-დან 1905 წლამდე მთავრობამ 46 ახალ მფლობელს დაურიგა 4.7 მლნ ჰა სახაზინო და ნაწილობრივ სათემო მიწები მათი „უკეთესად" ათვისების მიზნით. XIX საუკუნეში მსხვილმა მემამულეებმა ხელთ იგდეს იმდენივე მიწის ფართობი, რამდენიც განვლილი სამასი წლის განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ლატიფუნდია და მიწის მსხვილი საკუთრება არ არის ერთი და იგივე. ყოველი ლატიფუნდია მიწის მსხვილი საკუთრებაა, მაგრამ არსებობს მიწის მსხვილი საკუთრება, რომელიც არ წარმოადგენს ლატიფუნდიებს. ლატიფუნდიებისათვის დამახასიათებელია არა მარტო მიწის ფართობის სიდიდე, არამედ მეურნეობის წარმოების ექსტენსიური ფორმები, ლატიფუნდისტების აბსენტეიზმი და სამუშაო ძალის უფრო დიდი ექსპლუატაცია მიწის ექსპლუატაციასთან შედარებით. გარდა ამისა, ლატიფუნდიებში მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა და ეს მაშინ, როდესაც მილიონობით გლეხს არ გააჩნდა საკუთარი მიწის მცირე ნაკვეთი.

გარდა ამ კერძო მემამულეებისა, მიწის უზარმაზარი ფართობის მფლობელნი იყვნენ უცხოური, კერძოდ, ინგლისისა და აშშ-ის კომპანიები. ცენტრალური ამერიკისა და სამხრეთ კონუსის ქვეყნებში მემამულურ მიწათმფლობელობასთან ერთად შენარჩუნებული იყო საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობაც. მექსიკის, კოლუმბიის, პერუს, ეკუადორის, ნიკარაგუას სასულიერო წოდების მაღალი მოხელენი იყვნენ ამ ქვეყნებში ყველაზე მდიდარი მიწათმფლობელები და, ისევე როგორც არისტოკრატიული ფენები, პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ლათინური ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორ ძირითად

ჯგუფს — მპართველებსა და მშრომელ მასას შორის არსებობდა დიდი სოციალური ვაკუუმი, რომელსაც ავსებდნენ დეკლასირებული, საზოგადოებიდან განდევნილი ელემენტები, ხალხი, რომელიც შემთხვევით პოულობდა საქმეს ანდა სულ უმუშევარი იყო. ეს იყო შრომის უზარმაზარი სარეზერვო არმია, რომელიც წარმოიშვა მანამ, ვიდრე შეიქმნებოდა მისი შრომითი გამოყენების ეკონომიური პირობები. მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ამ ელემენტებმა შეავსეს დაქირავებული შრომის არმია.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ლათინურ ამერიკაში სწრაფად იწყო შეჭრა უცხოურმა, განსაკუთრებით ინგლისის კაპიტალმა. ინგლისელები ლათინური ამერიკით დიდად იყვნენ დაინტერესებული. „საქმე გაკეთებულია, — წერდა ჯერ კიდევ 1825 წ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯორჯ კანინგი, — ესპანური ამერიკა თავისუფალია; და თუ ჩვენ ჩვენსავე თავს არ ვავნეთ, იგი ინგლისური გახდებაო". 1873 წელს ინგლისს თავს დაატყდა მძიმე ეკონომიური კრიზისი. მსოფლიო ვაჭრობაში თავისი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, ინგლისელმა საქმოსნებმა დაიწყეს კაპიტალის გატანა და დაბანდება ჩამორჩენილ ქვეყნებში. ინგლისის კაპიტალდაბანდებანი კოლონიურ და განუვითარებელ ქვეყნებში 1913 წლისათვის გაიზარდა 4 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე. ამ თანხიდან ლათინურ ამერიკაზე 1 მილიარდი გირვანქა სტერლინგი მოდიოდა. ინგლისელ კაპიტალისტებს ყველაზე მეტი თანხა დაბანდებული ჰქონდათ არგენტინაში (357.7 მილიონი გირვანქა სტერლინგი), ბრაზილიაში (223.9 მილიონი გირვანქა სტერლინგი), მექსიკაში (159 მილიონი გირვანქა). უცხოელი კაპიტალისტები ლათინურ ამერიკაში კაპიტალს აბანდებდნენ ტროპიკული საქონლის (ყავა, ბამბა, კაუჩუკი, წითელი ხე, ბანანები, იერბა-მატე (პარაგვაის ჩაი) წარმოებაში, სამთამადნო მრეწველობაში (ტყვიის, სპილენძის, კალის, თუთიის, ოქროს, ვერცხლის და სხვ. მოპოვება), რკინიგზების, ნავსადგურების მშენებლობაში. ინგლისის კაპიტალი მიზნად ისახავდა გაეზიდა ლათინური ამერიკიდან ის ნედლეული, რომელიც მას (ინგლისს) ძლიერ ესაჭიროებოდა და, ამრიგად, ცდილობდა ეს ქვეყნები თავის აგრარულ-სანედლეულო დანამატად გადაექცია.

XIX საუკუნის მიწურულში აშშ-ის გადაქცევამ მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის კლასიკურ ნიმუშად, მისმა გამოსვლამ ექსპლუატაციისა და ძარცვის ასპარეზზე, ლათინური ამერიკის სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის საბედისწერო როლი შეასრულა. თუ

1897 წლისათვის აშშ-ის კაპიტალდაბანდებები ლათინურ ამერიკაში უდრიდა 300 მილიონ დოლარს, 1913 წლისათვის 1.5 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო მექსიკაში, კუბასა და გუატემალაში საგრძნობლად გადააჭარბა ინგლისურ კაპიტალდაბანდებებს. აშშ-ის კაპიტალდაბანდებათა ძირითადი სფერო იყო სამთამადნო მრეწველობა და ნავთობის მოპოვება.

იმპერიალისტთა ასეთი პოლიტიკის შედეგად ლათინურ ამერიკაში ინერგებოდა მეურნეობის მონოკულტურული სისტემა. ეკონომიური განვითარება ცალმხრივ და მახინჯ ფორმებს ღებულობდა. მონოკულტურა, ანუ სპეციალიზაცია ერთი კულტურის მოყვანაში წარმოადგენდა კოლონიური ეპოქის მემკვიდრეობას, როდესაც ესპანეთი და პორტუგალია ითძულებდნენ კოლონიებს ეწარმოებინათ მხოლოდ ესა თუ ის ნედლეული. მაგ., სალვადორის, გუატემალის, კოლუმბიის, ჰაიტისა და ბრაზილიის ექსპორტის თითქმის ნახევარს შეადგენდა ყავა; დომინიკანელთა რესპუბლიკიდან და კუბიდან ძირითადად გაპქონდათ შაქარი. ლათინური ამერიკის ქვეყნიდან ექსპორტის საგნები იყო კვების პროდუქტები და ნედლეული.

მონოკულტურული სისტემის შეტად მავნე მხარეს წარმოადგენდა ისიც, რომ მონოკულტურის ქვეყანა მთლიანად მსოფლიო ბაზრის ფასებზე იყო დამოკიდებული (ე. ი. ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნების ნება-სურვილზე დამოკიდებული). მონოკულტურის უარყოფით მხარეს წარმოადგენდა ისიც, რომ ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ექსპორტს და განზე რჩებოდა ეროვნული ბაზრის ინტერესები.

მიუხედავად ეკონომიური ჩამორჩენილობისა, XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ლათინური ამერიკის ქვეყნები აქტიურად ჩაებნენ მსოფლიო სავაჭრო ფერხულში, გაიზარდა ქალაქებისა და ნავსადგურების როლი, შეიქმნა მრეწველობის ადგილობრივი დარგები, გაიზარდა სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებანი. თუ არგენტინაში რკინიგზების საერთო სიგრძე 1880 წელს 2.5 ათასი კმ იყო, 1900 წელს მან 16.6 ათას კმ-ს, ხოლო 1914 წელს 28 ათას კმ-ს მიაღწია. ბრაზილიაში რკინიგზების სიგრძე 1916 წლისათვის გაიზარდა 27 ათას კმ-დე, ხოლო მექსიკაში 690 კმ-დან 24 ათას კმ-დე 1910 წელს.

ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა არგენტინა, ურუგვაი, კოლუმბია, ბრაზილიის სამხრეთი რაიონები, სადაც არ იყო ტროპიკული კულტურებისათვის ხელსაყრელი კლიმატი, ეკონომიკის ძირითად დარგად გადაიქცა მესაქონლეობა და მარცვლეული კულტურების მოყვანა.

ლა-პლატის აუზში განსაკუთრებით განვითარდა ხორცის დამამზადებელი სამრეწველოები — „ფრიგორიფიკები". მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებას შედარებით მცირე შრომა და თანხები ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, ლათინური ამერიკის მეცხოველეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხვრის მოშენებასაც. თავდაპირველად ლათინური ამერიკიდან გაჰქონდათ გამხმარი და დამარილებული ხორცი, ან ცოცხალი საქონელი, მაგრამ ეს არ იყო მომგებიანი, ვინაიდან ევროპამდე 10 ათასი კმ იყო და გემებში პირუტყვი შეიძლება დავარდნილიყო. სწორედ ამიტომ 1877 წელი ითვლება გადატრიალების აღმნიშვნელ თარიღად ლათინური ამერიკის ხორცის დამამზადებელ მრეწველობაში. ამ წელს ფრანგულმა რეფრიჟერატორმა „ლა ფრიგორიფიკ"-მა ევროპაში წაიღო სამხრეთამერიკული გაყინული ხორცის პირველი პარტია. უკვე 90-იანი წლების დასაწყისისათვის არგენტინა ცხვრის სულადობის მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზე იყო. თუ 1883 წელს საზღვარგარეთ გაიტანეს 7.5 ათასი დაკლული ცხვარი, მათმა რიცხვმა 1895 წელს 2 მილიონს გადააჭარბა.

სულ უფრო მძლავრად იჭრება კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში. მსხვილ მამულებსა და პლანტაციებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება. არგენტინის, მექსიკის, ჩილეს, ურუგვაის, კუბის სოფლის მეურნეობაში ფართოდ ინერგება დაქირავებული შრომა: „საოკეანო გემებმა, ჩრდილოეთ და სამხრეთ-ამერიკულმა, აგრეთვე ინდურმა რკინიგზებმა ევროპის ბაზრებზე კონკურენციის შესაძლებლობა მისცეს სრულიად აუთვისებელ მიწებს, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — ესენი იყვნენ, ერთის მხრივ, ჩრდილოამერიკელი პრერიები, არგენტინული პამპასები, სტეპები, რომლებიც... ხანგრძლივი დროის მანძილზე, უსასუქოდ და პრიმიტიული დამუშავების მიუხედავად, უხვ მოსავალს იძლეოდნენ" [1].

XX საუკუნის დასაწყისში იქმნება ლათინური ამერიკის ნავთობის მრეწველობა. 1900 წელს ჩრდილოამერიკელმა კაპიტალისტმა ე. დოგენიმ აღმოაჩინა მექსიკაში ნავთობის უდიდესი მარაგი და მის საექსპლუატაციოდ შექმნა „მექსიკენ პეტროლეუმ კომპანი". მალე მას მიჰყვნენ „როიალ დატჩ შელის", როკფელერების და სხვათა ტრესტები. მარტო 1905 წლიდან 1918 წლამდე ნავთობის მოპოვება მექსიკაში 10-ჯერ გაიზარდა. 1917 წელს ევროპაში ჩაიტანეს ვენესუელას ნავთობის პირველი პარტია. ვენესუელა გახდა „შავი ოქროს" მწარმოებელი ქვეყანა და როკფელერებისა და სხვა

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 25, ч. II, стр. 282.

ჩრდილოამერიკელი მაგნატების შემოსავლის წყარო. განვითარდა სამთამადნო მრეწველობაც. 1913 წელს აშშ-ის კომპანიებმა დაიწყეს სპილენძის მოპოვება ჩილეში. XX საუკუნის დასაწყისში ბოლივიაში აღმოჩენილ იქნა კალის უდიდესი საბადოები. კოლუმბიაში დაიწყეს ფერადი ლითონების ახალი დიდი საბადოების დაშენება. ცნობილი რუსი მოგზაური და დიპლომატი ა. ს. იონინი, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში იმოგზაურა ლათინურ ამერიკაში, მიუთითებდა იმ დიდ როლზე, რომელსაც ასრულებდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ევროპული და ჩრდილოამერიკული კაპიტალი. ევროპელები და ჩრდილოამერიკელი საქმოსნები ლათინური ამერიკის ქვეყნების მმართველობაში არ მონაწილეობდნენ, — წერდა იონინი, — მაგრამ სინამდვილეში ისე იგდეს ხელთ ამ ქვეყნების ეკონომიური ცხოვრება, რომ გადაიქცნენ მის ძირითად პოლიტიკურ ფაქტორებად.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ლათინურ ამერიკაში თან მოჰყვა ბურჟუაზიის ზრდა, ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი ხვედრითი წონის გადიდება. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული ბურჟუაზია მომაგრდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, ხოლო არგენტინასა და ურუგვაიში ხელთ იგდო ძალაუფლება.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ბურჟუაზიის გვერდით გამოვიდა ახალი სოციალური ძალა—პროლეტარიატი. პროლეტარიატის წარმოშობა და ფორმირება მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპელ იმიგრანტებთან, რომლებიც თავიანთი ქვეყნებიდან ცხოვრების მძიმე პირობებსა და პოლიტიკურ რეპრესიებს გაურბოდნენ. იმიგრანტული ნაკადები განსაკუთრებით დიდი იყო პარიზის კომუნის დამარცხებისა და გერმანიაში ბისმარკის განსაკუთრებული კანონის გამოცემის შემდეგ. მიწის ნაკვეთების შესაძენად საკმარო თანხა იმიგრანტებს არ გააჩნდათ, ამიტომაც ისინი ქალაქებში სახლდებოდნენ, ხელს ჰკიდებდნენ ვაჭრობასა და ხელოსნობას. ევროპელ იმიგრანტთა მასები ითვისებდნენ ადგილობრივ ესპანურ ან პორტუგალიურ ენებს, ზნე-ჩვეულებებს, კულტურასა და ფორმირებაში მყოფ ლათინური ამერიკის ერების ორგანულ ნაწილებად იქცეოდნენ.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში, — არგენტინაში, ურუგვაიში, ნაწილობრივ ბრაზილიასა და მექსიკაში, ჩილეში — კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების თავისებურება ის იყო, რომ ქალაქის მოსახლეობა იზრდებოდა არა სოფლიდან აყრილი უმიწაწყლო

გლეხობის ხარჯზე, არამედ იმიგრაციის ხარჯზე. მაგ., ბუენოს-აირესის მთელი მოსახლეობის 50,3%-ს ევროპელი იმიგრანტები შეადგენდნენ. სწორედ ამ თავისებურებამ განსაზღვრა დასახელებულ ქვეყნებში დიდი კონტრასტი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. სოფელი, მიუხედავად სასაქონლო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისა, უაღრესად ჩამორჩა ქალაქს. მისი ხვედრი ვახდა უწიგნურობა, უმეცრება, გარე სამყაროსგან მოწყვეტა.

1896 წლიდან 1913 წლამდე არგენტინაში 3 მილიონი იმიგრანტი დასახლდა. ბრაზილიაში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან 1917 წლამდე დასახლდა 2.5 მილიონზე მეტი იმიგრანტი, რომელთაგან ნახევარზე მეტი იტალიელი იყო. ზოგიერთ ქვეყანაში მმართველი ზედაფენები ხელს უწყობდნენ მხოლოდ ევროპულ ემიგრაციას. რაც შეეხება აზიის ქვეყნებიდან იმიგრანტების შემოსვლას — იგი ან აკრძალული იყო, ან უაღრესად შეზღუდული. მაგ., არგენტინაში ჩინელებს დასახლების უფლება მხოლოდ 1872-73 წწ. დართეს, ისიც ჩაისა და ბრინჯის კულტივირების მიზნით.

ევროპელი იმიგრანტებისაგან ხდებოდა პროლეტარიატის ძირითადი ბირთვის ფორმირება ისეთ ქვეყნებში, როგორიც იყო არგენტინა, ჩილე, ურუგვაი, კოსტა-რიკა, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი, ინდიური ელემენტი მეტად ძლიერი იყო (მექსიკა, კოლუმბია, პერუ), პროლეტარიატის ფორმირებაში უპირატეს როლს ასრულებდნენ ინდიელები და მეტისები. რაც შეეხება ბრაზილიასა და კუბას, აქ პროლეტარიატის რიგებს ძირითადად ზანგები და მულატები ავსებდნენ. ინდიური და ზანგური ელემენტების მატარებელ ქვეყნებში იყვნენ მაღალკვალიფიციური მუშების მცირერიცხოვანი ჯგუფებიც, რომლებიც ძირითადად ევროპელი იმიგრანტებისაგან იქმნებოდა.

ფაბრიკებსა და მაღაროებში შრომის პირობები უაღრესად მძიმე იყო. სამუშაო დღე გრძელდებოდა 14—16 საათს, ხელფასს კი, უაღრესად მცირეს იძლეოდნენ. მუშას არავითარი უფლება არ ჰქონდა და ყოველმხრივ მეპატრონეზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც პროლეტარიატი ჩამოყალიბების დღიდანვე ჩაება აქტიურ ბრძოლაში ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ელემენტარული პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის.

XIX საუკ. 80-იანი წლების დასაწყისისათვის ლათინურ ამერიკაში იქმნება სტამბის მუშათა, მეტყავეების, ქვისმთლელების, დურგლების, თერძების და სხვა მუშების პირველი პროფკავშირული გაერთიანებები. ამავე პერიოდში ხდება პირველი დიდი საგაფიცვო

გამოსვლები არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში, ურუგვაიში. 1890 წ. არგენტინაში შეიქმნა იმდროინდელ ლათინურ ამერიკაში ყველაზე დიდი პროფკავშირული გაერთიანება—„არგენტინის მუშათა ფედერაცია". ანალოგიური პროფკავშირული გაერთიანება შეიქმნა არგენტინის მეზობელ ურუგვაიშიც. 90-იან წლებში პროფკავშირული ფედერაციები იქმნება სამრეწველო დარგების მიხედვით.

მუშათა კლასის რიგებში სერიოზული პოლიტიკური მუშაობა გაიშალა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში. ამ პერიოდში არგენტინასა და მექსიკაში შეიქმნა მუშათა ამხანაგობები — I ინტერნაციონალის სექციები, რომლებიც 1875-76 წწ. პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დაიშალა. XIX საუკუნის მიწურულში ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობის პირობებში ჩამოყალიბდა სოციალისტური ორგანიზაციები და პარტიები. მაგრამ II ინტერნაციონალის ლიდერები ლათინურ ამერიკაში სოციალისტურ მოძრაობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, იმის გამო, რომ ლათინურ ამერიკაში, სამრეწველო განვითარების სისუსტის შედეგად, მუშათა არისტოკრატია არ არსებობდა, ან მეტად მცირერიცხოვანი იყო. ლათინურ ამერიკაში არსებული სოციალისტური პარტიებიდან ყველაზე ძლიერი იყო არგენტინის სოციალისტური პარტია, რომელიც 1896 წ. დააარსეს იმიგრანტმა მუშებმა. 1896 წელს ბრაზილიაში იქმნება სოციალისტური მუშათა პარტია. სოციალისტური პარტია მექსიკაში შეიქმნა 1878 წელს. როგორც პარტიის გაზეთი „სოციალური რევოლუცია" იუწყებოდა, პარტიის წევრები თავიანთ თავს კომუნისტებს უწოდებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ლათინურ ამერიკაში ფართო გავრცელება პოვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებმა. ლათინური ამერიკის საზოგადოებრივობა პირველად გაეცნო კ. მარქსის, ფ. ენგელსისა, ვ. ი. ლენინის ზოგიერთ კლასიკურ შრომას. 1912 წელს არგენტინელმა მემარცხენე სოციალისტებმა შექმნეს „კარლ მარქსის შრომების შემსწავლელი ცენტრი", რომელიც შემდეგ მუშათა რევოლუციურ პარტიად გადაიქცა. 1906 წ. ლ. ე. რეკაბარენმა დააარსა ჩილეს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მოგვიანებით კომუნისტურ პარტიად გარდაიქმნა.

საერთოდ, ლათინურ ამერიკაში ამ დროს მუშათა მოძრაობაში გაბატონებული პოზიციები ეკავა ანარქიზმსა და ანარქო-სინდიკალიზმს თავისი სახესხვაობებით (ბაკუნიზმი, ბლანკიზმი, პრუდონიზმი). მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო ანტიპარლამენტარიზმი, პროფკავშირების დეცენტრალიზებული ორგანიზაცია, გაფიცვების

როლის გაზვიადება, რადიკალური ანტიკლერიკალიზმი, სტიქიური გამოსვლები ნაცვლად ორგანიზებული ბრძოლისა. ანარქიზმისა და ანარქო-სინდიკალიზმის ფუძემდებელნი ლათინურ ამერიკაში იყვნენ ევროპელი იმიგრანტები ესპანეთიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან. სამრეწველო განვითარების დაბალი დონე და მუშათა ჩამორჩენილობა ლათინურ ამერიკაში მეტად ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ანარქიზმისათვის.

გარდა ანარქიზმისა და ანარქო-სინდიკალიზმისა, მექსიკაში, არგენტინაში, ურუგვაიში პირველი მსოფლიო ომის წინ გავრცელდა რეფორმიზმი. მუშათა მოძრაობის ლათინურ-ამერიკელი რეფორმისტი წარმომადგენლები ომის პერიოდში შოვინიზმისა და მილიტარიზმის ნიადაგზე დაუახლოვდნენ ბურჟუაზიას.

ლათინური ამერიკის მშრომელთა ბრძოლამ ფეოდალურ-კლერიკალური ოლიგარქიის წინააღმდეგ ანტიიმპერიალისტური ხასიათიც მიიღო, ვინაიდან ეკონომიკაში გაბატონებული პოზიციები ეკავათ უცხოელ კაპიტალისტებს, რომელთა ინტერესებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლათინური ამერიკის მემამულურ-ბურჟუაზიულ ზედაფენებთან.

ლათინური ამერიკის ხალხების ბრძოლა ამ ორმაგი ჩაგვრის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური პირობების შესაბამისად და მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. არ შეიძლებოდა ურუგვაის, არგენტინის ან ჩილეს საწარმოო ძალთა განვითარების სოციალ-ეკონომიური თავისებურების შედარება ჰონდურასის, გუატემალის ან პარაგვაის თავისებურებებთან. შეუძლებელი იყო მექსიკისა და ბრაზილიის პოლიტიკური განვითარების შედარება. მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო განსხვავება ამ ქვეყნებს შორის, მათს წინაშე იდგა საერთო ამოცანები, რომელთა გადაუჭრელადაც ისინი ვერ გადალახავდნენ ჩამორჩენილობასა და უცხო კაპიტალისაგან დამოკიდებულებას.

ეს ამოცანები იყო: აგრარული რეფორმების გატარება და ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაცია, უცხოელ კაპიტალისტთა საკუთრების კონფისკაცია და ნაციონალური მრეწველობის განვითარება, წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობა, ბურჟუაზიული დემოკრატიის დამყარება, ინდიელების სხვა ფენებთან გათანასწორება, მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების გაზრდა-გაუმჯობესება.

ლათინური ამერიკის ქვეყნების სოციალ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას ხელს უწყობდა ამ ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმის

არამდგრადობაც. 1810—1822 წწ. რევოლუციას ესპანეთის ამერიკაში, ნაცვლად კონფლიქტისა მიწათმფლობელ არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის, მოჰყვა თანამშრომლობა მათ შორის. ამ რევოლუციამ წარმოშვა გარდამავალი ტიპის ხელისუფლება, პირადი ძალაუფლების რეჟიმი, რომელიც შემოიფარგლა ბურჟუაზიული კანონმდებლობის შემოღებით. ეს იყო პოლიტიკური რევოლუცია, რომლის ეკონომიური ფესვებიც უაღრესად სუსტი აღმოჩნდა, ხოლო მის შედეგად შექმნილი სახელმწიფო უფრო აბსოლუტურ მონარქიას წააგავდა, ვიდრე ბურჟუაზიულ რესპუბლიკას. ამ სახელმწიფოში ერთმანეთის გვერდით მოიპოვეს არსებობის უფლება როგორც არისტოკრატმა-მიწათმფლობელმა, ისე ბურჟუამაც.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით მსხვილ მემამულეთა ძალაუფლება მერყეევი ხდებოდა. მეორე მხრივ, ბურჟუაზიას ეკონომიური პოზიციების სისუსტის გამო არ გააჩნდა სათანადო პოლიტიკური სიძლიერე და რევოლუციურობა, რათა ლატიფუნდისტები ჩამოეცილებინა. ამის შედეგი იყო პოლიტიკური არამდგრადობა, რაც ხშირად სახელმწიფო გადატრიალებებში და სამოქალაქო ომებში გამოიხატებოდა. ხშირი შეიარაღებული გამოსვლები გახდა საფუძველი იმ მოვლენისა, რომელსაც კაუდილიზმს (ესპ. კაუდილიო—ბელადი) უწოდებენ.

კაუდილიოების გამოჩენა ლათინურ ამერიკაში იყო რევოლუციის შემდეგდროინდელი ვითარების ბუნებრივი შედეგი, რევოლუციისა, რომელსაც არ მოჰყვა ახალი გაბატონებული კლასის შექმნა. ასეთ პირობებში ძალაუფლება ლათინური ამერიკის ქვეყნებში უნდა გადასულიყო სამხედროების ხელში.

კაუდილიო ეყრდნობოდა ან ქალაქის „დემოსის" ბუნდოვან და რიტორიკულ ლიბერალიზმს, ან მიწათმფლობელი კასტის კოლონიურ კონსერვატიზმს. კაუდილიოს პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა ან ქალაქის დემოკრატიული ბანაკიდან ადვოკატებისა და ორატორების კლიენტურა, ან ლიტერატორები და პოლიტიკოსი ლატიფუნდისტები არისტოკრატიის ბანაკიდან.

კაუდილიზმი პირველ ყოვლისა რეაქციული დიქტატორების ბატონობა იყო. დიქტატორები კი ლათინურ ამერიკაში იმდენი იყო, რომ „ამ ქვეყნების ისტორია ძირითადად ამ ძალაუფლების მოყვარე პიროვნებათა ბიოგრაფიების კრებულია". დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 1917 წლამდე ლათინური ამერიკის ქვეყნებში დაახლოებით 450-ზე სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო: ბოლივიაში (1825-98)— 60; ვენესუელაში (1811—1911) — 50; ჰონდურასში 90 წლის მანძილზე — 90; კოლუმბიაში ჩატარდა 27 სამო-

ქალაქო ონი, რომელთაგან მარტო ორმა 180 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იმავე XIX საუკუნეში მექსიკის სათავეში მყოფ 72 პრეზიდენტიდან კანონიერი გზით ხელისუფლებამდე 12 პრეზიდენტი თუ იქნება მისული. ჩვეულებრივ, მემამულეები, გამოლიოდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არმია — ფლოტის წინააღმდეგ. პროვინციები — ცენტრის წინააღმდეგ. კლერიკალები — საერო ხელისუფლების წინააღმდეგ, სამოქალაქო ხელისუფლება— სამხედრო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ჯგუფები გადატრიალებათა შედეგად აღწევდა ვიწრო კასტობრივი ინტერესების განხორციელებას.

მთელი რიგი ბურჟუაზიელი ისტორიკოსების აზრით, გადატრიალებათა წყაროს წარმოადგენდა ლათინური ამერიკის ხალხების მიერ ბელადებისადმი, ძლიერი, მკაცრი და ენერგიული ხელმძღვანელებისადმი სიყვარული. ამერიკელი ისტორიკოსის, ჯ. ჯონსონის აზრით, გადატრიალებათა მიზეზი იყო ლათინური ამერიკის ხალხების მიერ სამხედროების წინაშე ტრადიციული „ქედის მოხრა“.

სამხედრო გადატრიალების (ე. წ. პრონუნსიამენტო) შედეგად ხელისუფლების სათავეში მოქცეული დიქტატორი ბარბაროსული სასასტიკით ბურთავდა ქვეყანას, ანიავებდა სახელმწიფო მიწებს, ეროვნულ სიმდიდრეს აძლევდა უცხოელ კაპიტალისტებს, ერეკებოდა პარლამენტს. ცვლიდა მინისტრებს, სურვილისამებრ ადგენდა კონსტიტუციას. მაგ., ვენესუელაში 100 წლის მანძილზე კონსტიტუცია 15-ჯერ შეიცვალა. ეკუადორში — 13-ჯერ, ბოლივიაში — 10-ჯერ. დაწყებული 1810 წლიდან დღემდე ლათინურ ამერიკულ ქვეყნებს 125 კონსტიტუცია ჰქონდა.

ბევრი დიქტატორი-კაუდილიო ხალხის მასების მოტყუების მიზნით ფართოდ იყენებდა დემაგოგიას. ზოგიერთი მათგანი გამოსვლების თავიდან აცილების მიზნით, მართლაც, ატარებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის მცირე რეფორმებს. მაგ., გუატემალის დიქტატორმა რუფინო ბარიოსმა, რომელიც ამ ქვეყანას XIX საუკუნის 70—80-იან წლებში მართავდა, ინდიელთა გამოსვლების თავიდან აცილების მიზნით გამოსცა დეკრეტები, რომლებიც ზღუდავდა მღვანელებისა და ეკლესიის ძალმომრეობას. ბარიოსი აშენებდა სკოლებს, საავადმყოფოებს, გაჰყავდა გზები. მაგრამ შემდეგმა დიქტატორმა ესტრადა კაბრერამ[1] გააუქმა ყველა რეფორ-

[1] 1898 წელს ეს ავანტიურისტი მოულოდნელად გამოცხადდა გუატემალის ბანკირთა სობჭოს სამგლოვიარო სხდომაზე, მაგიდაზე დადო რევოლვერი და ფინით დაფანტულ მინისტრებს გამოუცხადა „მე ვარ გუატემალის ახალი პრეზიდენტი“.

მა, სისხლში ჩაახშო ყოველგვარი ანტიფეოდალური და ანტიკლერიკალური გამოსვლები.

ვენესუელას დიქტატორები გუსმან ბლანკო (1877-86) და კასტრო (1900-09) წინააღმდეგობას უწევდნენ ინგლისელ და ამერიკელ კოლონიზატორებს, ზრუნავდნენ გზების, კავშირგაბმულობისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგების განვითარებაზე. იგივე შეიძლება ითქვას სარმიენტოსა (1868-74) და ირიგოიენზე (1916-22) — არგენტინაში, სანტა-მარიასა (1881-86) და ბალმასედაზე (1886-91) —ჩილეში და ათობით სხვა ლიბერალ დიქტატორზე ლათინურ ამერიკაში. მაგრამ მათი რეფორმების შემდეგ „წმინდათა წმინდა" — მსხვილი მიწათმფლობელობა მაინც ხელუხლებელი რჩებოდა, ზოგჯერ კი, პირიქით, ხელსაც უწყობდა მის გაფართოება-განმტკიცებას.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ლათინური ამერიკის ქვეყნებში დამყარდა ისეთი სისხლიანი დიქტატორული რეჟიმი, როგორიც იყო ვენესუელაში ხუან ვ. გომესის (1909-35) დიქტატურა, მექსიკაში პორფირიო დიასის (1876—1910), ნიკარაგუაში — ხოსე სელაიას (1862 — 1910), პერუში — მანუელ პარდოსა (1872—1876) და აუგუსტო ლეგიას (1908-12) დიქტატურები. მათთვის დამახასიათებელი იყო მემამულეთა და ეკლესიის ინტერესების დაცვა, ეროვნული სიმდიდრის მიყიდვა უცხოელი კაპიტალისტებისათვის, ყოველგვარი პროგრესულის სისხლში ჩახშობა.

მმართველობის მეთოდებით ამ დიქტატორებისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ კონსტიტუციური პრეზიდენტები არგენტინაში, კოლუმბიაში და 1891 წლიდან — ბრაზილიაში. ამ ქვეყნების პრეზიდენტები — მემამულურ-კლერიკალური წრეების წარმომადგენლები — იცავდნენ იმავე ინტერესებს, რასაც დიქტატორები, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ კონსტიტუციური რეჟიმის ქვეყნებში ფორმირებაში მყოფ პროლეტარიატსა და პროგრესულ ძალებს მეტი შესაძლებლობა გააჩნდათ ორგანიზაციისა და პრძოლისათვის.

ტერორისტული დიქტატურებისა და „ძლიერი პრეზიდენტების" რეჟიმებისაგან განსხვავებით, ურუგვაიში, — სადაც 1903 წლამდე, ისევე, როგორც სხვა ლათინურ ამერიკულ ქვეყნებში მოხდა გადატრიალებათა მთელი სერია, — დამყარდა ლიბერალურ-კონსტიტუციური რეჟიმი. 90-იან წლებში ურუგვაიში მუშათა კლასი გამოვიდა 8-საათიანი სამუშაო დღისა და თავისუფალი პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნის მოთხოვნით. 1905 წელს ურუგვაიში შე-

იქმნა მუშათა რეგიონალური ფედერაცია, რომელიც სათავეში ჩაუდგა მუშათა ბრძოლას. რადიკალური ბურჟუაზიის ლიდერი, პრეზიდენტი ბატლიე-ი-ორდონიესი (1903-07, 1911-15) ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდე აქტიურად მოითხოვდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების გატარებას. ბატლიეს პოლიტიკურმა კონცეფციამ მხარდაჭერა პოვა ურუგვაის იმ ახალ მოქალაქეთა შორის, რომლებიც ევროპიდან იყვნენ გადმოსახლებულნი და იცნობდნენ დემოკრატიულსა და სოციალისტურ იდეებს. მათ გარდა ბატლიეს მხარს უჭერდნენ ურუგვაიში შექმნილი პროფკავშირული ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო შეალია პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას, ბატლიემ მაინც შეძლო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. ხელი შეუწყო მუშების გაერთიანებას პროფკავშირებში, გამოსცა დეკრეტი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ (ასეთი რამ ლათინური ამერიკის ქვეყნებში მანამდე არ ყოფილა). რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ბატლიე-ი-ორდონიესი აშშ-ის ორიენტაციის მომხრე იყო და ინგლისის იმპერიალიზმთან შედარებით მას ნაკლებ ბოროტებად თვლიდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ურუგვაის გარდა კონსტიტუციური რეჟიმი დამყარდა ჩილეშიც. ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარება სწრაფად წავიდა წინ. მაგრამ ჩილეს შინაპოლიტიკური ვითარება აღინიშნა სოციალური და პოლიტიკური ვითარების გამწვავებით, ეკონომიური კრიზისით. ეკონომიური კრიზისის პირობებში ეკონომიკის ერთადერთი შემოსავლიანი დარგი აღმოჩნდა გვარჯილას წარმოება. მაგრამ გვარჯილის საბადოები, რომლებსაც ჩილელები ამუშავებდნენ, განლაგებული იყო ბოლივიის (ანტოფაგასტას რ-ნი) და პერუს (ტარაპაკის პროვინცია) ტერიტორიაზე, რაც ხშირად იწვევდა შეტაკებას ჩილელ მრეწველებსა და ამ ქვეყნების მთავრობებს შორის. 1879 წ. ბოლივიის მთავრობამ დაიწყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელთა მიზანიც ჩილელ მრეწველთა საქმიანობის შეზღუდვა იყო, ხოლო იმავე წლის თებერვალში სეკვესტრი დაადო „ჩილეს გვარჯილის კომპანიას“.

1879 წლის 14 თებერვალს, დღეს, როცა დანიშნული იყო კომპანიის ქონების აუქციონზე გაყიდვა, 500 ჩილელმა ჯარისკაცმა კოლონელ ემილიო სოტომაიორის ხელმძღვანელობით დაიკავა ქალაქი ანტოფაგასტა, რაც ნიშნავდა ომის დაწყებას, ერთი მხრივ, ჩილესა და, მეორე მხრივ, ბოლივია-პერუს კავშირს შორის. ეს ომი წყნარი ოკეანის მეორე ომის სახელწოდებითაა ცნობილი. მაგრამ მას მეორე სახელწოდებაც გააჩნია — „გვარჯილის ომი“ — რაც პირდაპირ

ხსნის მის არსს. ჩილე, რომლის ზურგსაც ინგლისის იმპერიალიზმი ეფარებოდა, ესწრაფოდა ხელთ ეგდო ბოლივიისა და პერუს გვარჯილითა და გუანოთი მდიდარი ტერიტორიები.

ეკონომიურმა უპირატესობამ და ინგლისის მხრივ მხარდაჭერამ უზრუნველყვეს ჩილელების წარმატება საომარ ფრონტებზე. იმ დროს, როცა ჩილეს საზღვაო ფლოტი ბომბავდა პერუს ნავსადგურებს და ჩაკეტა მთელი სანაპირო ხაზი, ქვეითმა არმიამ მთელი რიგი დამარცხებები აგემა პერუ-ბოლივიის არმიას, რის შედეგადაც ბოლივია ომს გამოეთიშა. პერუს არმია განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას 1881 წლის იანვრამდე, ვიდრე ჩილეს არმიამ პერუს დედაქალაქი ლიმა არ დაიკავა.

1883 წლის 20 ოქტომბერს ანკონაში (ლიმის ახლოს) ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება ჩილესა და პერუს შორის, რომლის ძალითაც ჩილეს გადაეცა პერუს პროვინცია ტარაპაკა სამუდამოდ, ტაკნა და არიკა კი — 10 წლის ვადით[1].

1884 წლის 4 აპრილს ვალპარაისოში დაიდო საზავო ხელშეკრულება ჩილესა და ბოლივიას შორის, რომლის ძალით ამ უკანასკნელმა დაკარგა სანაპირო პროვინცია ანტოფაგასტა და, ამრიგად, — ოკეანეზე გასასვლელიც. სამშვიდობო ხელშეკრულება კი ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო მხოლოდ 1904 წელს.

ამ ომში გამარჯვების შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება ჩილეში სწრაფად წავიდა წინ. პრეზიდენტებმა სანტა-მარიამ (1881-86) და განსაკუთრებით ხოსე მ. ბალმასედამ (1886-91) გაატარეს მთელი რიგი რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მრეწველობის ზრდას და პოლიტიკური ცხოვრების გამოღვიძებას. მაგრამ ხოსე ბალმასედას ცდას—შეეზღუდა კათოლიკური ეკლესია—მოჰყვა მძაფრი კონფლიქტი ჩილესა და ვატიკანს შორის. ქვეყნის შიგნით მოეწყო რეაქციული ძალების მიერ მომზადებული გადატრიალება, რასაც მოჰყვა ბალმასედას ოჯახისა და მის მომხრეთა დარბევა. ბალმასედამ თავი მოიკლა.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე აშშ, გამოიყენა რა პანამერიკანიზმის თეორია, შეიჭრა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამერიკული ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის იდეა პოპულარული იყო დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში. ჯერ კიდევ 1797 წელს ფრანსისკო მირანდამ წამოაყენა „დიდი ამერიკული კავშირის“ შექმნის გეგმა. შემდგომში პანამერიკანისტული იდეები

[1] 1929 წ. ხანგრძლივი კონფლიქტი მოგვარდა. ტაკნა დაუბრუნდა პერუს, ხოლო არიკა გადაეცა ჩილეს.

არაერთხელ წამოუყენებიათ ისეთ პროგრესულ მოღვაწეებს, რო-გორებიც იყვნენ ს. ბოლივარი, ხ. სან-მარტინი, ბ. ო'ხიგინსი, მ. ალ-ვეარი და სხვები. აშშ-ის იმპერიალიზმი, რომელიც იმ დროს ჯერ კი-დევ სუსტი იყო და ეშინოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების კოა-ლიციისა, ამ იდეას ეხარს არ უჭერდა. მაგრამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აშშ-მა სასტიკი ბრძოლა გააჩაღა დასავლეთ ნახევარ-სფეროს თავის კონტროლქვეშ მოქცევისათვის.

1881 წელს აშშ-ის მონოპოლისტური წრეების წარმომადგენელ-მა ჯეიმზ ბლეინმა წამოაყენა წინადადება ამერიკული ქვეყნების კონფერენციის მოწვევის შესახებ. ბლეინი აშკარად აცხადებდა-რომ მის მიზანს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ვაჭრობაში აშშ-ის უპირატესობის მოპოვება შეადგენდა. მაგრამ ბლეინის გეგმები იმ პერიოდში ჩაიფუშა. 1889 წელს მან კვლავ წამოაყენა კონფერენ-ციის მოწვევის იდეა. იმავე წელს ვაშინგტონში მოეწყო ამერიკის კონტინენტის 18 ქვეყნის კონფერენცია, რომელზეც გაფორმდა პანამერიკული კავშირი. ამ კავშირს თავდაპირველად „ამერიკის რესპუბლიკებს შორის ვაჭრობის საკითხების ბიურო" ეწოდებოდა. 1910 წელს კი, პანამერიკულ მეოთხე კონფერენციაზე, ბუენოს-აირესში, პანამერიკული კავშირი დაერქვა. ამრიგად, საფუძველი დაედო პანამერიკანიზმის სისტემას, როგორც ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ბატონობის იარაღს. მაგრამ აშშ-მა ვერ შეძლო თავისი აგრე-სიული ზრახვებისათვის ამ კავშირის ეფექტურად გამოყენება. უკვე პირველივე კონფერენციაზე, 1889 წ. ჩაიფუშა აშშ-ის კაპიტალის ინტერესებისათვის დასავლეთ ნახევარსფეროს ეკონომიური „გაერ-თიანების" გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საბაჟო კავშირის, სავალუტო კავშირისა და საერთო ამერიკული ბანკის შექმნას. 122 წლის მანძილზე (დაწყებული 1826 წ. პანამის კონფერენცი-იდან 1948 წლამდე) შედგა დაახლოებით 208 პანამერიკული კონფერენცია, რომელზეც ხელმოწერილ იქნა 100-ზე მეტი ხელ-შეკრულება. მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი ხელშეკრულება იქნა რატიფიცირებული პანამერიკულ კავშირში შემავალ ლათინუ-რი ამერიკის ქვეყნების მიერ.

აშშ-ის აგრესიულ გეგმებში მთავარი ადგილი ეკავა პუერტო-რიკოსა და კუბის ხელში ჩაგდებას, რომლებიც იმ დროს დაუძლუ-რებული ესპანეთის კოლონიებს წარმოადგენდნენ.

კუბელი ხალხი 1868-78 წლებში იარაღით ხელში ებრძოდა ეს-პანელ კოლონიზატორებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლები-სათვის. მონებმა, გლეხებმა, ხელოსნებმა, რომლებიც თვითნაკეთები იარაღით იბრძოდნენ, ნიჭიერი ორგანიზატორების — ანტონიო მა-

სეოს და ზანგ მერკადოს ხელმძღვანელობით მძიმე დარტყმები მიაყენეს კოლონიზატორებს. ესპანეთი იძულებული იყო დაედო აჯანყებულებთან ე. წ. სანხონის ზავი და გაეუქმებინა მონობა 1880 წელს. მონობის გაუქმებამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებმა კუბელებს გაუღვიძა დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი.

კოლონიზატორების წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა პუერტო-რიკელი ხალხი, რომლებმაც 1883 წელს მიაღწიეს მონობის გაუქმებას. კუბაზე და პუერტო-რიკოში ესპანეთის პოზიციების დასუსტებით ისარგებლა აშშ-მა და 1889 წ. მესამედ შესთავაზა ესპანეთის მთავრობას გაეყიდა კუბა. ესპანეთმა უარი განაცხადა. არც კუბისა და პუერტო-რიკოს საზოგადოებრიობა შეხვედრია ამ ფაქტს აღტაცებით, „ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ეროვნული დამოუკიდებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ ხელში ჩაიგდებს ანტილიის კუნძულებს", — წერდა კუბელი ხალხის დიდი შვილი ხოსე მარტი.

1895 წ. კუბაზე დაიწყო დამოუკიდებლობისათვის ომი ხოსე მარტისა და მაქსიმო გომესის ხელმძღვანელობით. 1898 წლის 15 თებერვალს ჰავანის ნავსადგურში ამერიკული კრეისერის, „მენის" აფეთქებამ აშშ-ს მისცა ომში ჩარევის დიდი ხნის ნანატრი საბაბი. ესპანეთ-აშშ-ის ომში ახალგაზრდა, მძლავრ აშშ-ს არაფრად ულირდა დაუძლურებული ესპანეთის დამარცხება.

1898 წლის 10 დეკემბერს პარიზში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აშშ-ს გადაეცა პუერტო-რიკო, ხოლო კუბა გამოცხადდა „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ, სინამდვილეში კი აშშ-ს დაექვემდებარა. კუბის ტერიტორიის ნაწილი, ნავსადგურ გუანტანამოთი, აშშ-მა სამხედრო-საზღვაო ბაზად აქცია, ხოლო ქვეყნის კონსტიტუციაში სენატორ პლატის წინადადებით, შეტანილ იქნა შესწორება (ე. წ. პლატის შესწორება), რომლის ძალითაც აშშ-ს შეეძლო ყოველგვარ მოვენტში ჩარეულიყო კუბის საშინაო საქმეებში.

ესპანეთთან ომში გამარჯვების შემდეგ აშშ აქტიურად ჩაერია ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში. XIX საუკ. მიწურულში ვენესუელაში აღმოჩენილ იქნა ნავთობის უმდიდრესი საბადოები, რომელთა ხელში ჩაგდებასაც ცდილობდნენ ინგლისი და გერმანია იმ ძველი სესხის ფასში, რომელიც ადრე მისცეს ვენესუელას მთავრობას. ამას მოჰყვა ვენესუელას კონფლიქტი ინგლისთან, გერმანიასა და იტალიასთან. 1903 წელს გერმანიამ მოახდინა ვენესუელას ნავსადგურების ბლოკადა. აშშ-ის პრეზიდენტი თეოდორ რუზველ-

ტი, რომელიც თავისი ქვეყნის ნავთობის მონოპოლიათა ინტერესებს იცავდა, ჩაერია ამ კონფლიქტში და მუქარით აიძულა გერმანია — გაეყვანა ფლოტი კარიბის ზღვის აუზიდან.

1901-03 წწ. აშშ ჩაერია კოლუმბიის სამოქალაქო ომში და მხარი დაუჭირა პანამის რეაქციონერ-სეპარატისტებს. 1903 წელს აშშ-მა კოლუმბიას თავს მოახვია ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია ჰეი-ერანის[1] ხელშეკრულების სახელწოდებით. ამ ხელშეკრულების ძალით კოლუმბიამ აშშ-ს პანამის ყელზე არხის გასაყვანად 99 წლის ვადით დაუთმო 10 კილომეტრის სიგანის ტერიტორია. ამ ფაქტმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია კოლუმბიელ ხალხში, რომ კოლუმბიის კონგრესმა გააუქმა ეს ხელშეკრულება. მაშინ აშშ-მა პანამის ყელის რაიონში მოაწყო „რევოლუციის“ ინსცენირება. შეიქმნა პანამის რესპუბლიკა, რომელიც აშშ-მა მაშინვე ცნო და გაუგზავნა საჰხედრო ფლოტი დასახმარებლად. ამის შემდეგ პანამასთან დაიდო ხელშეკრულება არხის გაყვანის თაობაზე. კოლუმბიამ კი პანამა მხოლოდ 1914 წელს ცნო, მაშინ, როდესაც არხი უკვე გაყვანილი იყო და პანამა ფაქტიურად აშშ-ის პროტექტორატად გადაიქცა.

1905 წ. აშშ-მა ინტერვენცია მოახდინა დომინიკანელთა რესპუბლიკაში, 1909 წ. მოაწყო ნიკარაგუას ოკუპაცია. 1911 წ. თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჰონდურასი. 1914-16 წწ. აშშ-ის ჯარები ორჯერ შეიჭრნენ მექსიკაში. ლათინური ამერიკის დასამორჩილებლად აშშ არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებდა. იგი მათ მიმართ ახორციელებდა დიქტატის პოლიტიკას, რომელსაც თვით პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა „დიდი ხელკეტის პოლიტიკა“ უწოდა. თუ ვინ იდგა „დიდი ხელკეტის პოლიტიკის“ მიღმა, კარგად ჩანს იმდროინდელი ამერიკელი გენერლის სმედლი დ. ბატლერის სიტყვებიდან: „1914 წ. მე ვაწყნარებდი მექსიკას, განსაკუთრებით ტამპიკოს პროვინციას, აშშ ნავთობის კომპანიებისათვის. მე ვეხმარებოდი „ნეშნლ სიტი ბენკს“ ჰაიტისა და კუბის გადაქცევაში შემოსავლის წყაროდ. 1909-12 წლებში გავწმინდეთ ნიკარაგუა „ბრაუნ ბრაზერსის“ საბანკო სახლისათვის. 1916 წ. „შევიტანე განათლება“ დომინიკანელთა რესპუბლიკაში აშშ-ის შაქრის ტრესტების ინტერესების შესაბამისად. 1903 წ. „წესრიგში მომყავდა“ ჰონდურასი აშშ-ის ხეხილის კომპანიებისათვის“.

---

[1] ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰეიმ და ვაშინგტონში კოლუმბიის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა თომას ერანმა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ლათინურ ამერიკაში ეკონომიური ბატონობისა და პოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლაში გერმანიაც ჩაება. მკვეთრად გაძწვავდა იმპერიალისტური ქვეყნების წინააღმდეგობა ლათინურ ამერიკაში.

1913 წლისათვის ლათინური ამერიკის საგარეო ვაჭრობაში აშშ-მა გაუსწრო ინგლისს, ხოლო გერმანია სწრაფი ტემპებით უახლოვდებოდა მეტოქეებს. ლათინური ამერიკის ქვეყნების იმპორტში აშშ-ის ხვედრითმა წონამ მიაღწია 25%-ს, ინგლისისამ — 24.4%-ს. გერმანიისამ — 16.6%-ს; ექსპორტში კი აშშ-ზე მოდიოდა 30.8%, ინგლისზე — 21.2%, ხოლო გერმანიაზე — 12.4%.

მიუხედავად ამისა, ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში პირველი მსოფლიო ომის წინ მაინც ინგლისური კაპიტალი იყო გაბატონებული, ვინაიდან ინგლისის კაპიტალდაბანდებანი ოთხჯერ სჭარბობდნენ აშშ-ის კაპიტალდაბანდებებს. უცხოური კაპიტალის ბატონობა ლათინურ ამერიკაში ამუხრუჭებდა ამ ქვეყნების პროგრესს სამრეწველო განვითარების გზაზე, უწევდა მათ სასტიკ ექსპლუატაციას ადგილობრივ მემამულურ ოლიგარქიასთან ერთად.

არგენტინა

1870 წლის მარტში არგენტინის გამარჯვებით დამთავრდა 1865 წ. პარაგვაისთან დაწყებული უსამართლო ომი. მიუხედავად გამარჯვებისა, „ეს ომი არგენტინას უფრო მეტ სისხლად და ფასად დაუჯდა, ვიდრე ესპანეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ომი“, — წერდა ცნობილი არგენტინელი პუბლიცისტი ხ. ბ. ალბერდი. გარდა ამისა, შინაპოლიტიკურმა ბრძოლებმა, ქოლერამ და ციების ეპიდემიამ, რომელმაც 1871 წელს გადაუარა არგენტინას— ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება გაპარტახებამდე მიიყვანა.

პოლიტიკური ძალები, რომლებიც არგენტინაში იყო გაბატონებული, იცავდა ლიბერალი მემამულეების, ვაჭრებისა და მზარდი ბურჟუაზიის ინტერესებს. 70-იან წლებში არგენტინას მართავდნენ ფედერალისტები, რომლებიც პროვინციების ფართო ავტონომიას მოითხოვდნენ [1], თუმცა 1868 წელს პრეზიდენტად არჩეული დომინ-

[1] ესპანეთის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისთანავე არგენტინის განვითარებაში თავი იჩინა ორმა ტენდენციამ: ცენტრალიზატორულმა და სეპარატისტულმა, რომელთა შორისაც მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა და რომელიც ცხობილია უნიტარიებსა და ფედერალისტებს შორის ბრძოლის სახელწოდებით. უნიტარიები იყვნენ ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და მთავრობის შექმნის მომხრენი, ხოლო ფედერალისტები მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ფე-

გო სარმიენტო უარყოფითად ეკიდებოდა ბრძოლას უნიტარიებსა და ფედერალისტებს შორის. თვით სარმიენტოს ხატოვანი თქმა-ვ. იგი იყო „პროვინციელი ბუენოს-აირესში და ბუენოს-აირესის მოქალაქე პროვინციაში". ცენტრალიზებული მმართველობის მომხრე დ. სარმიენტო იმავე დროს პატივს სცემდა პროვინციათა ავტონომიასაც. იგი არგენტინის ეკონომიურ პროგრესს ხედავდა ბუენოს-აირესის და პროვინციების ერთდროულ განვითარებაში.

მთელი რიგი რეფორმების გატარებით სარმიენტოს მთავრობა ცდილობდა არგენტინა კაპიტალისტურ ქვეყნად გადაექცია. ამისათვის კი საჭირო იყო დიდძალი მუშახელი წარმოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც სარმიენტო ყოველმხრივ ხელს უწყობდა იმიგრაციას. მართო 1869 წელს არგენტინაში ჩამოვიდა 38 ათასი ევროპელი. სარმიენტოს ექვსწლიანი მმართველობის დროს კი არგენტინაში სულ 300 ათასი იმიგრანტი დასახლდა. მაგრამ სარმიენტოს იმედები იმიგრანტებმა ვერ გაამართლეს. 300 ათასი იმიგრანტიდან მხოლოდ 16 ათასმა მიიღო მიწა, დანარჩენებმა ან ვერ მიიღეს იგი, ანდა მიატოვეს დასამუშავებელი სახსრებისა და ინვენტარის უქონლობის გამო.

სარმიენტოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა ქალაქების მშენებლობას, განათლების გავრცელებას. 1872 წ. ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლების პირობებში გაიხსნა არგენტინის ეროვნული ბანკი. 1871 წ. ქ. კორდოვაში მოეწყო ნაციონალური აგრარულ-ინდუსტრიული გამოფენა, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით ეკონომიური კავშირის გაფართოებას. 1873 წელს არგენტინაში მიღებულ იქნა სამოქალაქო სასამართლო კოდექსი, რომელმაც ბოლო მოუღო ქაოსს არგენტინის იურისპრუდენციაში. შეიზღუდა ეკლესიის როლი განათლებისა და კულტურის დარგში, დაიხურა ბევრი საეკლესიო სკოლა და მათ ნაცვლად გაიხსნა საერო სკოლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები. სარმიენტოს ინიციატივით შეიქმნა არგენტინის მეცნიერებათა აკადემია, გაიხსნა პირველი ასტრონომიული ობსერვატორია ქ. კორდოვაში.

ძლიერმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ და თვით დიეგო სარმიენტოს კლასობრივმა შეზღუდულობამ არ მისცა მის მთავრობას იმ

ფერაციული წყობილების პრინციპს და მოითხოვდნენ პროვინციებისათვის ფართო პოლიტიკურ და ეკონომიურ ავტონომიას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც უნიტარიები და არც ფედერალისტები არ წარმოადგენდნენ პარტიებს ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით; გარდა ამისა, მათ რიგებში არ იყო ერთიანობა. ისინი მეტად ბრელი პოლიტიკური დაჯგუფებები იყვნენ.

ამოცანების გადაჭრის საშუალება, რომლებიც ცხოვრებამ არგენტინის წინაშე დააყენა.

80-იანი წლების დასაწყისში არგენტინაში ხელისუფლების სათავეში კვლავ მემამულური ოლიგარქიის და ინგლისის კაპიტალის გაერთიანებული პოლიტიკური ძალები მოექცა. პრეზიდენტები აველანედა (1874-80), როკა (1880-86) და ხუარესი (1886-90) სათამაშო ტიკინები იყვნენ ინგლისური კაპიტალის ხელში. ქვეყნის ბედიღბალს განაგებდნენ ცენტრალური ზონის (ბუენოს-აირესი, სანტა-ფე, კორდოვა და სხვ.) მსხვილი მემამულეები. ოლიგარქიულმა წრეებმა განსაკუთრებით მოითხეს ხელი პრეზიდენტ როკას დროს: დაიტაცეს სახელმწიფო მიწები, უმოწყალოდ ჟლეტდნენ ადგილობრივ მკვიდრთ — ინდიელებს და ისაკუთრებდნენ მათ მიწებს. მემამულეების მთავრობამ არაერთი დიდი სამხედრო ექსპედიცია მოაწყო ინდიელთა წინააღმდეგ, მაგალითად, აღსანიშნავია 1872, 1878, 1879 და 1886 წლების სადამსჯელო ექსპედიციები; ინდიელთა ჟლეტის მთავარი ინიციატორი იყო პრეზიდენტი როკა, რომელიც ინდიელების აყრას „უდაბნოთა დაპყრობას" უწოდებდა. 1878 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ლა-პლატის ტერიტორიაზე XVII საუკუნეში ცხოვრობდა 2 მლნ ინდიელი, XVIII საუკუნის მიწურულისათვის ინდიელთა რაოდენობა შემცირდა 500 ათასამდე, ხოლო 1878 წელს—300 ათასამდე.

80-იანი წლებისათვის ბუენოს-აირესის სამხრეთით მდებარე ნაყოფიერ დაბლობზე, რომლის ფართობიც 120 ათას კვ კმ შეადგენდა, ამოჟლეტილ იქნა ინდიელთა რანკალესა და არაუკანების ტომები. ინდიელთა მიწები დამსჯელი ექსპედიციების მონაწილე ოფიცრებსა და ჯარისკაცებს დაუნაწილდა. ისინი კი, თავის მხრივ, ჰყიდდნენ ამ მიწებს მემამულეებსა და უცხოელ კაპიტალისტებზე. ამრიგად, ინდიელთა ჟლეტისა და მათი მიწების დატაცების პარალელურად იქმნებოდა ლატიფუნდიებისა და აქციონერების ძლიერი ზედაფენა.

არგენტინელი რეფორმატორების (რივადავია, სარმიენტო, აველანედა) ოცნება—დაემკვიდრებინათ ინდიელთა მიწებზე იმიგრანტ-კოლონისტების წვრილი მიწათმფლობელობა და გადაექციათ გაუჩო[1] თავისუფალ მიწათმფლობელად — დაიმსხვრა.

---

[1] გაუჩო (ესპანური სიტყვა gauchio საკარაუდოა წარმოიშვა არაუკანელი სიტყვიდან cauchio, რაც მოხეტიალეს ნიშნავს) იყო ეთნიკური ჯგუფი სამხრეთ ამერიკაში და წარმოიშვა XVII—XVIII საუკუნეებში, როდესაც ესპანელების

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე არგენტინის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასაზღვრო კონფლიქტი ჩილესთან. ეს უკანასკნელი ტერიტორიული ექსპანსიის გზას უფრო აღრე დაადგა, ვიდრე არგენტინა. უკვე 1847 წ. დაიწყო მან ცეცხლოვანი მიწის ათვისება და განაცხადა პრეტენზია მაგელანის სრუტის ორივე სანაპიროზე. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 1881 წ. არგენტინამ ცნო ჩილეს უფლებები; 1884 წ. მეორე მოლაპარაკების შემდეგ არგენტინა და ჩილე შეთანხმდნენ დაეწესებინათ სახელმწიფო საზღვარი ანდების გასწვრივ სამხრეთ განედის 52°-დან. მაგრამ ამ რაიონის ერთობლივმა გამოკვლევამ გამოიწვია კონფლიქტი ამ ქვეყნებს შორის. ბრძოლამ თავის აპოგეას 1898 წელს მიაღწია, როცა ჩილემ ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა არბიტრაჟი. საკითხის გადაწყვეტა მიანდო აშშ-ს. მან კი ეს საქმე დააკისრა თავის ელჩს ბოლივიაში, ბიუკენენს, რომელმაც მოაგვარა ეს კონფლიქტი: მთელი ოლქი დაჰყო სექტორებად, და ცალ-ცალკე მიაკუთვნა იმ სახელმწიფოებს, რომელთა უფლებებიც ამა თუ იმ სექტორზე უფრო ნათელი იყო. ცეცხლოვანი მიწის გამო კონფლიქტის მოგვარება თავს იდო ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ, რომელმაც 1902 წელს დაწესა აქ ჩილე-არგენტინის საზღვრები.

ამ საკითხის მშვიდობიანად მოგვარების აღსანიშნავად ორივე

უმეტესობა, რომელთაც ქალაქებში არავითარი უფლებები არ გააჩნდათ, უკეთესი ცხოვრების საძებნელად მიდიოდნენ პამპასებში (სტეპების სახელწოდება სამხ. ამერიკაში). სადაც ხელს ჰკიდებდნენ გარეული საქონლის მოშინაურებას, ნადირობასა და კონტრაბანდას. გაუჩოები, ისევე როგორც ინდიელები, უღრეს პრიმიტიულად ცხოვრობდნენ. კარგი ცხენი, ქამანდი (ლასო) და მოხრილი ჯანა გაუჩოს განუყრელი მეგობრები იყვნენ. იყო უცხენოდ პამპასებში ნიშნავს იყო უფეხოო—ამბობდნენ გაუჩოები. XIX ს. 80—90-იან წლებში ეს დაუღალავი მონადირე, თავისუფალი მცხოვრები გადაიქცა ესტანსიის პეონად, თავისუფალი გაუჩო—კაპიტალის მონად.

გაუჩოს სახემ ფართო ასახვა პოვა არგენტინის ლიტერატურაში, პოეზიასა და ხელოვნებაში. ამ სახის დიდძალი ნაწარმოებები წარმოადგენდა პატრიარქალური, ნახევრად ველური არგენტინის იდეალიზაციას. მაგრამ ამ ნაწარმოებთა შორის მოიპოვება არგენტინის ხელოვნების ნამდვილი შედევრები. ასეთებია, მაგ., ხოსე ერნანდესის პოემა-ეპოპეა „გაუჩო მარტინ ფიერო და მისი დაბრუნება“ (1887) და ილარიო ასკასუბის რომანსერო, სადაც ავტორი უმღერის პამპასების სილამაზეს, გიტარის ჰანგებს, გაუჩოს ლაღ, თავისუფალ ცხოვრებას. გაუჩოს მელოდიები, ცეკვები აუცილებელია შევიდნენ კომპონენტებად არგენტინელი ერის ფსიქიკური ერთობის ჩამოყალიბებაში. მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ არგენტინელ ნაციონალისტებს, რომლებიც, უკეთებენ რა იდეალიზაციას გაუჩოს, თვლიან მას არგენტინელი ხალხის ნამდვილი ინტერესების, ეროვნული სულისკვეთების გამომხატველად.

სახელმწიფომ საომრად გამზადებული ზარბაზნები გადაადნო და ანდების მთებში ააგო უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც ცნობილია „ანდების ქრისტეს“ სახელწოდებით. ამ ისტორიას საკმაოდ სასაცილო დასასრული ჰქონდა. გამოირკვა, რომ ქრისტე პირით არგენტინისაკენ იყო მიქცეული, ხოლო ზურგით ჩილესაკენ და ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის კვლავ დაიძაბა. მაგრამ მალე ბედგამარეობა განმუხტა ერთ-ერთმა ჩილელმა ხუმარამ, რომელმაც განაცხადა, რომ „არგენტინელებს ერთი წუთითაც არ უნდა მოვაცილოთ თვალიო“.

XIX ს. 70-იანი წლებიდან არგენტინაში სწრაფი ტემპით განვითარდა სასაქონლო მიწათმოქმედება და მეცხოველეობა: 1876 წელს უკვე შეწყდა აშშ-დან მარცვლეულის შემოტანა. ორი წლის შემდეგ არგენტინული ხორბალი გამოჩნდა ევროპის ბაზარზე; 1880 წ. მან გაიტანა 15 ათასი ტონა სიმინდი და 2 მლნ ტ ხორბალი; 1895 წელს 2 მლნ ჰა მიწიდან 77 მლნ ფუთი ხორბალი მიიღო. 1906 წელს სათესმა ფართობმა 16. 3 მლნ ჰა-ს მიაღწია.

მეცხოველეობის ზრდა საგრძნობლად უსწრებდა წინ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს განვითარების ტემპების მხრივ. 1895 წ. არგენტინაში იყო 1.7 მლნ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო 1908 წ. — 30 მლნ. ყოველწლიურად მატულობდა ხორცის ექსპორტი. განსაკუთრებული სისწრაფით იზრდებოდა ცხვრის სულადობა. თუ 1870 წ. აქ იყო მლნ ცხვარი, 1895 წ. ცხვრის რაოდენობამ 78 მილიონს გადააჭარბა. რაც შეეხება მერძევეობას, იგი სულ არ ვითარდებოდა. 1895 წელს არგენტინაში 21.7 მილიონი რქოსანი პირუტყვიდან მეწველი ძროხები მხოლოდ 1.8 მილიონს შეადგენდნენ.

კაპიტალიზმის განვითარების პირობებში მემამულეთა და უცხოელ კაპიტალისტთა მიერ მიწების ძარცვა-გლეჯამ არნახული შედეგი გამოიღო. მემამულეები და უცხოელი მიწათმფლობელები ცდილობდნენ თავიანთი მამულების (ესტანსია) გაფართოებას. მაგ., კურუმალიანის ესტანსია ბუენოს-აირესის სამხრეთში, რომელიც ინგლისელმა ედუარდ კაზიმ იყიდა, შეადგენდა 300 ათას ჰა-ს, რომელზეც იმყოფებოდა 47 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 145 ათასზე მეტი ცხვარი, 15.7 ათასზე მეტი ცხენი და ა. შ. ინგლისური კომპანია „არგენტაინ საუს ლენდ კომპანი“ არგენტინის სამხრეთში ფლობდა 600 ათასზე მეტ ჰა მიწას. პატაგონიის თვალუწვდენელი ველები წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. ორ თუ სამ უცხოურ კომპანიას აქ ჰყავდა თავისი პოლიცია, გააჩნდა კანონები, ხელისუფლება. ქვეყნის ცენტრიდან გამოქცეულ

ინდიელთა მიწების ხელში ჩაგდების მიზნით ეს კომპანიები ინდიელის მოჭრილ თავში იძლეოდა პრემიას. პატაგონიის ტრაგიკული ისტორია, როგორც სამართლიანად აღნიშნავს არგენტინელი ისტორიკოსი ფ. ლუნა, უცნობია მსოფლიოსათვის, ხოლო ის, ვინც მის თხრობას ცდილობდა გააჩუმესო.

ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხორცისა და სამაცივრო მრეწველობას. 1884 წ. ბუენოს-აირესის მუშათა კვარტალში „ბარაკას" აიგო პირველი ხორცის დამამზადებელი ფაბრიკა (ფრიგორიფიკი) „ლა ნეგრა". ორი წლის შემდეგ მდ. პარანის ნაპირზე ქ. სარატეში აიგო მეორე ფრიგორიფიკი „ლას პალმასი". სადაც დასაქმებული იყო ათასი მუშა, რომლებიც დღეში 5 ათას ცხვარსა და 600 მსხვილფეხა რქოსან პირუტყეს კლავდნენ.

ფეოდალური ტიპის ლატიფუნდიები თანდათან გარდაიქმნა იუნკრულ-პრუსიული ტიპის მეურნეობებად, სადაც გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა, მაგრამ იმავე დროს შენარჩუნებული იყო ნახევრადფეოდალური გადმონაშთებიც. მემამულე თავისი მიწის ნაწილს ამუშავებდა დაქირავებული მუშახელის საშუალებით. ზოგიერთ მსხვილ მამულში დაქირავებული მუშახელის რაოდენობა 500-დან 1000-მდე აღწევდა. მიწის მეორე ნაწილს მემამულე მოკლევადიანი იჯარით იძლეოდა ფულის ან ნატურალური გადასახადის საფასურში. იმასთან დაკავშირებით, რომ საიჯარო ფასი უაღრესად მაღალი იყო, მოიჯარეთა რიცხვი ძალიან ნელა იზრდებოდა. განსაკუთრებით ფართო გავრცელება მოიპოვა მონახევრეობამ. ინფლაციის ზრდის პერიოდში მემამულეს არ აინტერესებდა ფულადი რენტა და უფრო ხელსაყრელად თვლიდა ექსპლუატაციის ფეოდალურ ფორმებს, ბეგარას, ნატურალურ გადასახადებს, მონახევრეობას.

არგენტინის სოფელში კაპიტალიზმის ნელმა ევოლუციამ 80——90-იან წლებში, მაინც მძლავრი დარტყმა მიაყენა სოფლად ძველ პატრიარქალურ ცხოვრებას. სოფელი შეიცვალა. წარმოიშვა გლეხთა ახალი კატეგორიები: წვრილი ფერმერები (ჩაკარეროს), მოიჯარეები (მედიეროს), მოჯამაგირეები, მონახევრენი (პეონი), რომელნიც ქმნიდნენ სეზონურ და მუდმივ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კადრებს.

მეცხოველეობის პარალელურად XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში განვითარდა გემო-კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ახალი დარგები—შაქრის, მელვინეობის, სპირტის, ტყავის

და სხვ. 80—90-იან წლებში ბუენოს-აირესსა და სხვა მსხვილ ქალაქებში აღმოცენდა ძექანიკური და ფოლადსასხმელი ქარხნები, პირველი ელსადგურები, ტრამვაის ხაზები. 1895 წ. არგენტინაში იყო 24.114 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც 175 ათასი მუშა იყო დასაქმებული. 1887 წ. მარტო ბუენოს-აირესში იყო 10.349 საწარმო 42.3 ათასი მუშით, ხოლო 8 წლის შემდეგ, 1895 წ. საწარმოთა რიცხვი შემცირდა 8.439-მდე, მუშათა რაოდენობამ კი 72.8 ათას კაცს მიაღწია.

ბუენოს-აირესთან ერთად იზრდებოდა სხვა ქალაქებიც — როსარიო, სანტა-ფე, ლა-პლატა. ქალაქის მოსახლეობა 1869 წ. იყო 28%, ხოლო 1895 წ. 37%-მდე გაიზარდა.

არგენტინაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების თავისებურება ის იყო, რომ აქ ქალაქის მოსახლეობის ზრდა ხდებოდა არა უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობის, არამედ იმიგრანტების ხარჯზე. მაგ., ბუენოს-აირესის მოსახლეობის 50.3%-ს იმიგრანტები შეადგენდნენ. 1870 წლიდან 1900 წლამდე არგენტინაში დასახლდა 2 მლნ-ზე მეტი ევროპელი.

კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის მიჯნაზე ფართო ხასიათი მიიღო ევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის კაპიტალის ექსპანსიამ. სწრაფად იზრდებოდა არგენტინის დამოკიდებულება ბრიტანელი ფინანსისტებისაგან. 1880-90 წწ. ინგლისის კაპიტალდაბანდებანი არგენტინაში გაიზარდა 500 მლნ პესომდე. ამ თანხის სიდიდეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, უნდა აღინიშნოს, რომ არგენტინის გამოყენებული მიწების, მთელი საქონლისა და რკინიგზების ფასი უდრიდა 1350 მლნ პესოს.

ხალხთა მასების, განსაკუთრებით არგენტინის პროლეტარიატის ხვედრი მეტად მძიმე იყო. სამუშაო დღე გრძელდებოდა მეპატრონის სურვილისამებრ ან ფირმის „ტრადიციისა და ჩვეულებების“ მიხედვით. მუშათა მოძრაობა არგენტინაში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. მუშათა პირველი კავშირები და ორგანიზაციები, ძირითადად იმიგრანტული იყო (იტალიური, გერმანული, ფრანგული).

1871-75 წწ. ბუენოს-აირესში და კორდოვაში არსებობდა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის სამი სექცია, რომლებშიც 300 კაცამდე იყო გაერთიანებული. მათ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მარქსის თანამებრძოლი და I ინტერნაციონალის წევრი რაიმონდ ვილმარი. რ. ვილმარსა და მუშათა მოძრაობის მეორე ხელმძღვანელს ემილ ფლეშს მიწერ-მოწერა ჰქონდათ კ. მარქსთან, ფ. ენგელსთან, პ. ლაფარგთან. ამ სექციების აქტიური მონაწილეობით

არგენტინაში შეიქმნა ქვისმთლელი, დურგლების, ხაბაზების, თერძებისა და სხვა პროფკავშირები, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ბუენოს-აირესის მესტამბე მუშათა კავშირი“.

1876 წელს ეს ორგანიზაციები დაარბიეს, მაგრამ მათი საქმიანობა უგზო-უკელოდ არ დაკარგულა: მათ დიდი როლი შეასრულეს მუშათა შეგნებულობისა და საგაფიცვო მოძრაობის ზრდაში.

1878 წელს მოეწყო პირველი დიდი გაფიცვა არგენტინაში. სტამბის მუშები მოითხოვდნენ სამუშაო დღის 10 საათამდე შემცირებას. ამ გაფიცვას მოჰყვა 1887 წ. რკინიგზელთა დიდი გაფიცვა. შეიქმნა რკინიგზელთა პროფკავშირი — „მემანქანეებისა და ცეცხლფარეშების ძმობა“.

პროფკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა სოციალისტურმა კლუბმა „ფორვერტსმა“, რომელიც 1882 წ. გერმანელმა იმიგრანტმა-სოციალისტებმა—გ. ლალმანმა, ა. კუნმა და ფ. ვებერმა—შექმნეს. კლუბს გააჩნდა თავისი შენობა და გაზეთი „ფორვერტსი“, რომელიც სოციალისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდა.

1889 წ. II ინტერნაციონალის პარიზის პირველ კონგრესზე არგენტინელმა სოციალისტებმა თავიანთი წარმომადგენლობა სთხოვეს გერმანელ რევოლუციონერს ვილჰელმ ლიბკნეხტს. კონგრესს ესწრებოდა იმ დროს პარიზში მცხოვრები არგენტინელი სოციალისტი ალეხანდრო პეირეტიც.

1890 წ. ბუენოს-აირესის მშრომელებმა იზეიმეს 1 მაისი. დემონსტრანტები მოითხოვდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს. ბუენოს-აირესის ქუჩებში პირველად გამოჩნდა პლაკატი ლოზუნგით — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

1890 წლის დეკემბერში გამოსვლა დაიწყო მუშათა გაზეთმა „ელ ობრერომ“ (el Obrero): „არგენტინის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე ჩვენ გამოვდივართ როგორც ავანგარდი, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ გამოეყო ექსპლუატირებულ მასებს და გახდა ბირთვი ახალი კლასისა, რომელიც აღფრთოვანებულია მეცნიერული სოციალიზმის თანამედროვე დიადი მოძღვრებით“, — ნათქვამი იყო გაზეთის სარედაქციო სტატიაში.

არგენტინის მუშათა მოძრაობის ფორმირება ხდება ევროპიდან შემოტანილი ანარქიზმისა და პრუდონიზმის გავლენით. მაგრამ 80-იანი წლებიდან ფართო გავრცელება დაიწყო მარქსისტულმა იდეებმაც.

1896 წ. შეიქმნა არგენტინის სოციალისტური პარტია. თავდაპირველად იგი იბრძოდა 8-საათიანი სამუშაო დღისათვის, რელიგიური განათლების წინააღმდეგ, მოითხოვდა მუშათა კავშირების შექმნის თავისუფლებას. სოციალისტური პარტიის ბევრი ლიდერი (ხ. ინხენიეროსი, გ. ლალმანი, გ. მიულერი, ა. კუნი) არგენტინაში მარქსისტულ ლიტერატურას ავრცელებდა. 1898 წ. სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ხუან ბ. ხუსტოს თაოსნობით ესპანურ ენაზე ითარგმნა კ. მარქსის „კაპიტალი", 1904 წლიდან (სოციალისტური პარტიის მეექვსე ყრილობიდან) არგენტინის სოციალისტური პარტიის ლიდერები დაადგნენ რეფორმიზმის გზას: მათ მიერ ნაადრევად იქნა მიჩნეული მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლა და მოძრაობის ძირითად ფორმად გამოცხადდა ეკონომიური გაფიცვა. 1908 წელს სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ უარყო ერთიანი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის იდეა და წამოაყენა „პროფკავშირების პოლიტიკური ნეიტრალიზაციის" ლოზუნგი. არგენტინელი სოციალისტი-ლიდერები თანდათან ჩაეფლნენ ოპორტუნიზმის ჭაობში და თანდათან გაწყვიტეს კავშირი მუშათა კლასთან.

მუშათა მოძრაობის პარალელურად იზრდებოდა ბურჟუაზიის კონსოლიდაცია. 1891 წ. ეროვნული ბურჟუაზიის პროგრესულმა ელემენტებმა შექმნეს რადიკალური პარტია. ბურჟუაზია ორჯერ (1890 წ. და 1893 წ.) შეეცადა აჯანყებით დაემხო რეაქციული კლერიკალური ძალების ბატონობა. მიუხედავად თავისი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის ჩამორჩენილობისა, არგენტინა განსაზღვრულ როლს ასრულებდა მსოფლიო ვაჭრობასა და ეკონომიკაში. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების უდიდესი ექსპორტიორი გახდა. ხორბლის გატანამ წელიწადში 15—20 მილიონ ცენტნერს მიაღწია. არგენტინას პირველი ადგილი ეკავა სიმინდის გატანაში, რომელიც ომის პერიოდში ყოველწლიურად 24.6 მილიონ ცენტნერს შეადგენდა.

პირველმა მსოფლიო ომმა არგენტინა დროებით მოწყვიტა ევროპის სამრეწველო ბაზარს, რითაც ხელი შეუწყო ეროვნული მრეწველობის ზრდას. განვითარდა საფეიქრო, ცემენტის, ლითონდამამუშავებელი და გემთმშენებელი მრეწველობა, მთელი სიმძლავრით მუშაობდა ხორცის დამამზადებელი საწარმოები. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოების 2/3 თავმოყრილი იყო ბუენოს-აირესში, რომელიც 1914 წლისათვის უზარმაზარ ქალაქად იქცა და მოითვლიდა 6 მილიონ მცხოვრებს.

პირველი მსოფლიო ომის წლებში არგენტინის მრეწველობას კონტროლს უწევდა უცხოური კაპიტალი. სარკინიგზო ხაზები, რომელთა საერთო სიგრძე 25 ათას კმ-ს შეადგენდა, ინგლისელების საკუთრება იყო. გემო-კვების მრეწველობაში აშშ-ის კაპიტალი იყო გაბატონებული. ინგლისის კაპიტალს არგენტინაში ეკუთვნოდა მიწის უზარმაზარი ფართობები, საფეიქრო და ლითონდამმუშავებელი საწარმოები. 1914 წლისათვის ინგლისის კაპიტალდაბანდებანი აქ შეადგენდნენ 1.5 მილიარდ დოლარს. არგენტინის საგარეო ვაჭრობას ინგლისური კაპიტალი უწევდა კონტროლს. ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „იმპერიალიზმი, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ 1916 წ. არგენტინას ახასიათებდა როგორც ფორმალურად დამოუკიდებელს, სინამდვილეში კი ინგლისის დიპლომატიური და ფინანსური დამოკიდებულების ქვეშ მყოფს [1].

იმასთან დაკავშირებით, რომ ომმა გაზარდა მოთხოვნილება არგენტინულ საქონელზე, არგენტინელთა და უცხოელთა ექსპლუატატორებმა გაზარდეს მუშათა შრომის ინტენსიფიკაცია, სამუშაო დღე და ა. შ. უკვე 1907-12 წწ. ფართო გაქანება მიიღო საგაფიცვო მოძრაობამ. გაიზარდა გლეხთა გამოსვლები. 1912 წელს შეიქმნა გლეხობის უდიდესი ორგანიზაცია ლათინურ ამერიკაში — „არგენტინის აგრარული ფედერაცია“, რომელმაც მოითხოვა გადასახადების შემცირება, აგრარული რეფორმის გატარება. მასების ასეთი გამოსვლებით შეშინებულმა მმართველმა ზედაფენამ გაატარა ზოგიერთი სოციალური და პოლიტიკური ხასიათის რეფორმა. 1912 წელს გამოიცა საარჩევნო კანონი, რომლის ძალითაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა მამაკაცს 18 წლის ასაკს ზევით.

ამ დათმობებმა საშუალება მისცა ბურჟუაზიულ რადიკალურ პარტიას გაემარჯვა 1916 წლის არჩევნებში და პრეზიდენტის პოსტზე გაეყვანა თავისი კანდიდატი ი. ირიგოიენი. მაგრამ რადიკალური პარტიის მთავრობამ არაფერი გააკეთა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კვლავ გაიზარდა საგაფიცვო მოძრაობა. 1917 წ. არგენტინაში მოეწყო 138 მსხვილი გაფიცვა, რომელშიც 136 ათასი მუშა მონაწილეობდა. ამასობაში სოციალისტური პარტია უფრო ღრმად ჩაეფლო ოპორტუნიზმის ჭაობში და დაკარგა კავშირი მუშათა კლასთან. ამისა და აგრეთვე 1915 წ. პარტიაში აღებული მილიტარისტული კურსის გამო, 1917 წელს არგენტინის სოციალისტურ პარტიას გამოეყო მემარცხენეთა ჯგუფი, რომელმაც

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 331.

1918 წლის 3 მარტს შექმნა ინტერნაციონალური სოციალისტური პარტია, პირველი მარქსისტულ-ლენინური პარტია ლათინურ ამერიკაში.

ბრაზილია

XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ბრაზილია მსოფლიოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ამ ქვეყნის ეკონომიური განვითარების უდიდესი მუხრუჭი იყო მონათმფლობელობა. მსოფლიოში გაბატონებული კაპიტალიზმი გადადიოდა ახალ სტადიაში — იმპერიალიზმში. მაგრამ ბრაზილიამ ვერ დააღწია თავი კაპიტალიზმის გავლენას. განუხრელად იზრდებოდა საექსპორტო ბრაზილიური საქონლის — ყავის, ბამბის, კაუჩუკის წარმოება. თუ 1840 წ. დამზადდა 68 ათასი ტონა ყავა, 1880 წელს ეს ციფრი გაიზარდა 330 ათას ტონამდე. 70-იანი წლებიდან ბრაზილიაში განვითარდა ადგილობრივი მრეწველობა: საფეიქრო, თამბაქოს. ტყავის, ხორცის წარმოება, მეღვინეობა. 1903 წ. აქ იყო 143 საფეიქრო ფაბრიკა. უცხოური კომპანიები აშენებდნენ რკინიგზებს, ნავსადგურებს, შახტებს, ქმნიდნენ ბანკებს, სადაზღვევო და სანავიგაციო საზოგადოებებს.

70—80-იან წლებში ადგილი ჰქონდა მონების დიდ გამოსვლებს მინას-ჟერაისის, ამაზონასის, რიო-გრანდე-დუ-ხორტეს პროვინციებში. მათგან ყველაზე დიდი იყო შაქრის ლერწმის პლანტაციებში დასაქმებულ მონათა აჯანყება მონა ბონიფასიოს ხელმძღვანელობით რიო-გრანდე-დუ-ნორტეს პროვინციაში. მონებმა გამოაცხადეს ზანგური რესპუბლიკის დაარსების შესახებ, ბონიფასიო აირჩიეს თავიანთ პრეზიდენტად და გაილაშქრეს პროვინციის დედაქალაქ ნატალზე, მაგრამ გზაში იმპერატორ პედრუ II-ის (1831-89) ჯარების მიერ იქნენ განადგურებულნი.

აჯანყება იყო მონათა ბრძოლის ძირითადი ფორმა. მაგრამ ამ ფორმის გარდა ისინი სხვა მეთოდებსაც იყენებდნენ: გარბოდნენ. გაქცეული მონები, რომელთაც „კილომბოებს“ უწოდებდნენ, თავს აფარებდნენ ძნელადმისასვლელ ადგილებს და ქმნიდნენ ურთიერთდამხმარე საზოგადოებებს, აგროვებდნენ მონობისაგან გამოსასყიდ ფულს. მონათა წრიდან გამოვიდა განთავისუფლებისათვის თავდადებული ბევრი მებრძოლი, რომელთა შორის აღსანიშნავია ლუის გამა, ზანგი ანდრეას რემუსაზი, ჟოზე დე პატროსინიო და სხვ.

1883 წელს აბოლიციონისტური კონფედერაციის დამაარსებელმა ანდრეას რემუსაზმა რიო-დე-ჟანეიროში გამოსცა „თავისუფლების მანიფესტი“, რომელშიც მოუწოდებდა მონობის დაუყოვნებლივი

გაუქმებისაკენ. მანიფესტმა, რომელიც გამოიცა „მონათა განმათავისუფლებელი საზოგადოების სახელით“, თვალსაჩინო როლი შეასრულა აბოლიციონისტური მოძრაობის აღმავლობაში.

აბოლიციონისტური მოძრაობის ლიდერი თეთრკანიანთა შორის იყო გამოჩენილი ბრაზილიელი პოეტი-ჰუმანისტი კასტრო ალვესი (1847-71), რომელიც თავისი ლექსებით მოუწოდებდა ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ.

მონათმფლობელობის გაუქმებით დაინტერესებულნი იყვნენ არა მარტო ხალხთა მასები და ბურჟუაზია, არამედ თვით ის პლანტატორებიც, რომელნიც ამზადებდნენ საექსპორტო საქონელს. საგარეო ბაზრებთან დაკავშირებულ პლანტატორებს მეურნეობის კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა სურდათ, ამას კი ხელს უშლიდა მონათმფლობელობა. ბევრი პლანტატორი უკვე სარგებლობდა დაქირავებული მუშახელით, მაგრამ სამეფო კარსა და იმპერატორ პედრუ II-ეს არ სურდათ განშორებოდნენ „ცოცხალ საკუთრებას“ და დაერღვიათ არისტოკრატიის „წმინდა ტრადიციები“. თუმცა მონობის გაუქმების საჭიროება მონარქიულ წრეებსაც ესმოდათ.

1871 წლის 18 სექტემბერს გამოიცა კანონი „დაბადებიდან თავისუფლების“ შესახებ, რომლის მიხედვითაც ბავშვები, რომლებიც მხევალს შეეძინა, კანონის გამოცემის დღიდან მონებად აღარ ითვლებოდნენ და ირიცხებოდნენ თავისუფალ მოქალაქეებად. დეპუტატთა პალატაში ამ ახალ კანონს ხმა მისცა 65 დეპუტატმა 45 ხმის წინააღმდეგ; შემდეგ მონობისაგან გათავისუფლდა ყველა ვინც 60 წელს მიაღწია. ზოგიერთ პროვინციაში ადგილობრივმა ხელისუფლებმა საერთოდ გააუქმეს მონობა. გაბურჟუებული პლანტატორები აქტიურად ჩაებნენ აბოლიციონისტურ მონობაში. მსხვილმა ფაზენდეირომ ანტონიო პარეტომ, რომელსაც სამეფო კარზე მინისტრის თანამდებობა ეკავა, გაათავისუფლა თავისი მონები და შეიტანა წინადადება მონათმფლობელობის გაუქმების შესახებ. 1888 წლის 13 მაისს პრინცესა-რეგენტმა იზაბელმა ხელი მოაწერა ე. წ. „ოქროს კანონს“, რომლის ძალითაც ბრაზილიაში მონათმფლობელობა გაუქმებულად ითვლებოდა. მონობისაგან განთავისუფლდა 750 ათასი კაცი.

მონათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რესპუბლიკისათვის ბრძოლასთან. მონარქია ახშობდა ყოველგვარ პროგრესულს, მხარს უჭერდა მონობას, ეკლესიისა და პლანტატორების პრივილეგიებს. მონარქიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მარტო ხალხის ფართო მასები, არამედ ლიბერალურად განწყობილი მემამულე-ფეოდალებიც. ანტიმონარქისტული განწყო-

ბილებები განსაკუთრებით ძლიერი იყო არმიაში. აბოლიციონისტურ მოძრაობაში სამხედრო პირთა მონაწილეობის აკრძალვის შემდეგ ბენჟამენ კონსტანის სამხედრო აკადემიაში შეიქმნა სამხედრო კლუბი, რომელიც ოფიცერთა პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე დისკუსიების ცენტრი გახდა.

ანტიმონარქისტული განწყობილება განსაკუთრებით გაიზარდა სან-პაულუს შტატში, რომლის პლანტატორებმაც ამ დროისათვის ფართო საგარეო-სავაჭრო ურთიერთობანი დაამყარეს, გაერთიანდნენ რესპუბლიკურ (ე. წ. პაულისტურ) პარტიაში. მათ მხარეზე იყო არმიის ზედაფენა მარშლების დიოდორო და ფონსეკასა და ფლორეანო პეიშოტუს ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკისათვის მოძრაობის რადიკალურ ფრთას ქმნიდნენ მოსახლეობის დემოკრატიულად განწყობილი ფენები, სადაც გაერთიანებული იყო სავაჭრო ბურჟუაზია, დაბალი ოფიცრობა, სტუდენტები. ამ ბლოკის წარმომადგენლები იყვნენ ჟურნალისტი ლოპეს ტრავენი, ფილოსოფოსი ტობიაშ ბარეტო, მწერალი სილვიო რომერო, მეცნიერი ეუკლიდეს და კუნია.

1889 წლის 14 ივლისს ბასტილიის აღების 100 წლისთავზე რიოდე-ჟანეიროში გაიმართა რესპუბლიკის მომხრეთა დიდი დემონსტრაცია. პედრუ II-ის მთავრობამ რეპრესიებს მიმართა და დემონსტრანტები ციხეში ჩაყარა. ამით ისარგებლეს პაულისტებმა — რესპუბლიკელებმა და მოაწყვეს ამბოხება არმიაში. 1889 წლის 16 ნოემბერს პედრუ II-ემ უარი თქვა სამეფო ტახტზე და პორტუგალიაში გაიქცა. ხელისუფლება სამხედროების ხელში გადავიდა.

„სასახლის რევოლუციის" (ასე ეწოდა ამ ამბავს) შემდეგ რესპუბლიკურ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მარშალი მანოელ-დეოდორო და ფონსეკა. ვიდრე კონსტიტუციას მიიღებდნენ, ახალმა ხელისუფლებამ ეკლესია გამოყო სახელმწიფოსაგან, გამოსცა კანონი სამოქალაქო ქორწინების შესახებ და საფრანგეთის მაგალითის მიხედვით ეროვნული ზეიმის დღედ 14 იელისი დააწესა, ხოლო სახელმწიფო ალამს დააწერა პოზიტივისტების დევიზი: „წესრიგი და პროგრესი". საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გავლენა შეინიშნებოდა იმაშიც, რომ ოფიციალური დოკუმენტები მთავრდებოდა ცნობილი სიტყვებით: „სალამი და ძმობა" (Salut et fraternité).

ახალი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც 1891 წელს იქნა მიღებული და განიცდიდა აშშ-ის კონსტიტუციის ძლიერ გავლენას, ბრაზილიას ეწოდა „ბრაზილიის შეერთებული შტატები", რომელშიც გაერთიანდა 20 შტატი და ერთი ფედერალური ოლქი (რიო-

დე-ჟანეირო). შტატები ღებულობდნენ თვალსაჩინო ავტონომიას. კონსტიტუცია აუქმებდა წოდებრივ უთანასწორობას, ზანგები გაუთანაბრა თეთრკანიანებს, შეზღუდა ეკლესიის პრივილეგიები, გააუქმა სასულიერო განათლება; კონსტიტუციით გამოცხადდა საყოველთაო არჩევნები და მასში მონაწილეობის უფლება მიეცა ყველას, ვინც კი წერა-კითხვა იცოდა. მაგრამ ეს კანონი ფორმალური აღმოჩნდა, ვინაიდან ბრაზილიის მოსახლეობის 90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. გარდა ამისა საარჩევნო ხმის უფლება არ გააჩნდათ ქალებსა და ჯარისკაცებს. 1891 წლის კონსტიტუციამ ვერ შეცვალა ბრაზილიის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა. რესპუბლიკის დასაყრდენად დარჩა ძალები (მსხვილი ლატიფუნდისტები, პლანტატორები, ვაჭრები-კომპრადორები), რომლებიც ადრე მონარქიის საყრდენს წარმოადგენდნენ. კონსტიტუციამ ვერ დაამყარა ბრაზილიაში ჰარმონია და წესრიგი: თავდაპირველად მთელი რიგი კონფლიქტები მოხდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის, პრეზიდენტსა და პალატებს შორის, ფედერალურ ხელისუფლებსა და პროვინციებს შორის, ქვეითი ჯარებისა და საზღვაო ფლოტის ოფიცერთა კორპორაციებს შორის. ბრაზილიის ისტორიაში დაიწყო სამხედრო გადატრიალებებისა და სამოქალაქო ომების პერიოდი.

მიუხედავად ბრაზილიის ეკონომიური ჩამორჩენილობისა, მონობის გაუქმების შემდეგ დაიწყო ბრაზილიის კაპიტალისტური განვითარების ახალი ეტაპი. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მარტო წელიწადნახევრის განმავლობაში—1888 წლის მაისიდან 1889 წ. ნოემბრამდე — ბრაზილიაში დაარსდა დიდი რაოდენობით სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები, რომელთა საერთო კაპიტალმაც 402.6 კონტორეისი შეადგინა, რაც ტოლი იყო ინვესტიციათა იმ ჯამისა, რომელიც ბრაზილიაში წინა 64 წლის მანძილზე იყო გაკეთებული. შემდეგ წელს (1890 წ. ოქტომბრამდე) ახალი სააქციო საზოგადოებების კაპიტალმა 1.1 მილიონი კონტორეისი შეადგინა.

1889 წელს მარტო რიო-დე-ჟანეიროში მოქმედებდა 14 ბანკი, 26 სავრეწველო სააქციო საზოგადოება, 4 სარკინიგზო კომპანია, 3 გემთმშენებელი და 12 სხვა კომპანია.

ბრაზილიის მთავარი ინდუსტრიული ცენტრები იყო რიო-დე-ჟანეირო, სან-პაულუ, სადაც კონცენტრირებული იყო საწარმოთა ძირითადი მასა, რომელიც აწარმოებდა მთელი ინდუსტრიული პროდუქციის 2/3-ს. იმ პერიოდის მრეწველობაში ფართოდ იყო გამოყენებული მექანიკური ძრავები, რომელთა საერთო სიმძლავრეც 143.7 ათას ცხ. ძალას შეადგენდა. 1912 წელს რეგისტრირებული 9.475

საწარმოდან მექანიკური ძრავები მხოლოდ 775 საწარმოში იხმარებოდა; დანარჩენში გამოყენებული იყო ხელით შრომა ან ცხენის გამწევი ძალა. მრეწველობის სტრუქტურა ძალზე ჩამორჩა. წამყვანი ადგილი ეკავა მსუბუქ მრეწველობას (გემო-კვების — დაახლოებით 30%, საფეიქრო მრეწველობას—20—25%. სამკერვალო წარმოებას — 16%, ფარმაცევტულს — 9,4%).

XX საუკუნის დასაწყისში რაოდენობისა და ხვედრითი წონის მხრივ მუშები ბრაზილიის მოსახლეობაში უმცირესობას წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა. კაპიტალიზმის განვითარებას თან ახლდა დაქირავებულ მუშათა რაოდენობის სწრაფი ზრდა. 1890 წლიდან 1907 წლამდე საქრეწველო პროლეტარიატის რიგები ბრაზილიაში სამჯერ გაიზარდა და 151.8 ათას კაცს გადააჭარბა.

ისარგებლეს რა ბრაზილიის ეკონომიური სიძნელეებით. ინგლისის, გერმანიის, აშშ-ის, საფრანგეთის კაპიტალისტებმა ხელთ იგდეს გაბატონებული პოზიციები ამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. 1910 წლისათვის უცხოურმა კაპიტალდაბანდებებმა ბრაზილიაში მიაღწია 3 მილიარდ დოლარს. 1913 წლისათვის ბრაზილიაში დაბანდებულმა, მარტო ინგლისურმა კაპიტალმა შეადგინა 1.162 მილიონი დოლარი. 1910 წლიდან ბრაზილია გახდა პანამერიკული კავშირის წევრი და ამ დროიდან დაიწყო იქ აშშ-ის კაპიტალის შეღწევა, რამაც პირველი მსოფლიო ომის დროს ფართო ხასიათი მიიღო. უცხოური კაპიტალის ხელში იყო ბრაზილიის ეკონომიკის ძირითადი დარგები: სარკინიგზო მშენებლობა. ელექტროსადგურები, სამთამადნო მრეწველობა, რომელიც განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის წლებში განვითარდა რკინის მადანზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით. ამყარებდნენ რა მჭიდრო კონტაქტებს პლანტატორ-ფაზენდეიროებთან, უცხოელი კაპიტალისტები ბრაზილიის ეკონომიკას წარმართავდნენ მათთვის სასურველი მიმართულებით: ინერგებოდა მეურნეობის მონოკულტურული სისტემა. რკინიგზები, გზატკეცილები, ნავსადგურები და ფაბრიკები იგებოდა მხოლოდ განსაზღვრული საქონლის გასატანად: ყავის, ბამბის და შაქრის მიწოდების მიხედვით, მაშინ, როდესაც ქვეყნის შიდა უზარმაზარი რაიონები აუთვისებელი რჩებოდა.

უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდნენ ბრაზილიელი გლეხები. სოფლად გავრცელებული იყო იძულებითი შრომის სხვადასხვა ფორმები. გლეხები იბრძოდნენ ძალმომრეობისა და სიღატაკის წინააღმდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია 1892 წელს ბაიას შტატში კანუდუსის რაიონის გლეხთა აჯანყება, რომელიც 1897 წლამდე გაგრძელდა. აჯანყებული გლეხები სწვავდნენ მემამულეთა სახლ-კარს, უს-

წორდებოდნენ თვით მემამულეებს. მაჩეტებით, ცულებითა და ცელებით შეიარაღებული გლეხები წარმატებით იბრძოდნენ რეგულარული არმიის წინააღმდეგ. ისინი დამარცხდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ წინააღმდეგ 10 ათასიანმა კორპუსმა არტილერია გამოიყენა. დიდი აჯანყება მოხდა 1912-16 წწ. სანტა-კატარინას შტატში. ეს აჯანყება ცნობილია „კონტესტადოს“ სახელწოდებით (პორტუგალიური სიტყვიდან contestar — კამათი). გლეხებმა შექმნეს 20 ათასკაციანი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯარისკაცი ჟოზე მარია. ამჯერად მათ მახვილი მიმართეს აშშ-ის ტრესტების „ლუმბერი და კომპანია“ და „ბრაზილ რეილუეის“ წინააღმდეგ. ამ აჯანყების ჩასახშობად მთავრობამ გააგზავნა არტილერიით შეიარაღებული 12 ათასიანი არმია.

აჯანყებამ არმიაშიც იფეთქა. 1910 წ. აჯანყდა ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობა. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ზანგი მეზღვაურები ჟოაო კანდიდო და მიჩმანი ნორმანი. აჯანყების შედეგად მეზღვაურებმა მიაღწიეს არასასურველი კანონებისა და წესების გაუქმებას ფლოტში.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ბრაზილიაში აღმოცენდა მუშათა პირველი ორგანიზაციული გაერთიანებები, რომლებიც მოითხოვდნენ ელემენტარულ-პოლიტიკურ უფლებებსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. II ინტერნაციონალის ლონდონის კონგრესის (1896 წლის ივლისი) ინფორმაციაში ბრაზილიის მუშათა მოძრაობის შესახებ ნათქვამი იყო: „ბრაზილიაში სოციალისტური მოძრაობა (მუშათა მოძრაობა — გ. ბ.) ჯერ კიდევ ემბრიონულ მდგომარეობაში იმყოფება. განსაკუთრებით აქტიურად იგი გაშლილია სამხრეთ შტატებში: რიუ-გრანდი-დუ-სულში და სან-პაულუში, სადაც განსაკუთრებით დიდია იტალიური და გერმანული იმიგრაცია. ქ. სანტოსში მოქმედებს მუშათა კავშირი, მუშათა პარტია, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ“. 1895 წ. ინტელიგენტთა ჯგუფმა დააარსა სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის სოციალისტური ცენტრი. ბრაზილიაში განსაკუთრებით აქტიური სოციალ-დემოკრატები არიან სილვერიო ფონტესი, კარლოს დე ესკობარი, მარიანო გარსია, სირილო კოსტა და სხვები. ყოველივე ეს ცხადყოფს იმას, რომ 90-იანი წლების შუა პერიოდში ბრაზილიაში არსებობდა სოციალისტური წრეები და ჯგუფები. მაგრამ ბრაზილიის მუშათა მოძრაობაში გაბატონებული იყო ანარქო-სინდიკალისტური იდეები. უკვე XIX ს. მიწურულში ევროპელ იმიგრანტთა თანხლებით დაარსდა ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფები: წინააღმდეგობის ლიგა, დემოკრატიული ლიგა, სტუდენტური ასო-

ფრანც იოზეფ I

დიულა ანდრაში

ფრანჩესკო კრიპსი

ალფონს XII

ციაცია. რომლებიც გამოდიოდნენ „მუშათა მდგომარეობის მორალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების“ მოთხოვნით. 1896 წელს სან-პაულუში დაიწყო მუშათა პირველი გაზეთის „ო სოსიალისტის“ (O Sozialista) გამოცემა პორტუგალიურ, ესპანურ, იტალიურ და გერმანულ ენებზე. გაზეთის დევიზი იყო „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის!“ გარდა ამისა, 1903-14 წწ. გამოდიოდა მუშათა გაზეთები: „ავროორა“, „მუშის ხმა“, „ახალი გზა“, „ბარიკადა“ და სხვ., სადაც იბეჭდებოდა უფრო და უფრო მტკიცედ მოითხოვდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს, კვირის დასვენების უფლებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას.

1903 წ. რიო-დე-ჟანეიროში ეხლა ტრამვაის მუშათა დიდი გაფიცვა, ხოლო 1907 წ. გაფიცნენ სან-პაულუს მელითონე მუშები. ისინი მოითხოვდნენ 12-საათიანი სამუშაო დღის შემცირებას 9 საათამდე. ეგრეთ ეს გაფიცვები მარცხით დამთავრდა.

1906 წელს ბრაზილიაში შედგა პროფკავშირების I კონგრესი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბრაზილიის მუშათა პროფკავშირულ მოძრაობას. ეროვნულად იმისა, რომ 1906-17 წწ. ბრაზილიის მუშათა მოძრაობას ანარქისტები ხელმძღვანელობდნენ. ამ გაფიცვებს დიდი ფსიქოლოგიური ჰქონდა, რადგან მათ საფუძველი ჩაუყარეს მუშათა კლასის რევოლუციურ გამოსვლებს.

ბრაზილია იყო ლათინური ამერიკის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომსა და პარიზის საზავო მოლაპარაკებაში. ბრაზილია ომში ჩაება 1917 წლის 25 ოქტომბერს ანტანტის მხარეზე. მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ბრაზილიის რამდენიმე ხომალდი ჩაძირეს. ომმა ბიძგი მისცა ბრაზილიის ახალ ეკონომიურ განვითარებას. 1915-19 წწ. ბრაზილიაში დაარსდა 5840 ახალი საწარმო, ხოლო მუშათა საერთო რაოდენობამ მიაღწია 300 ათასს. ქვეყანაში შეიქმნა ეროვნული ბურჟუაზიისა და ვაჭრების საკმაოდ ძლიერი ფენა. ეკონომიური განვითარების პირობებში XX ს. 20-იანი წლებისათვის ძირითადად დამთავრდა ბრაზილიელი ერის ჩამოყალიბება.

მექსიკა

1872 წელს პრეზიდენტ ბენიტო ხუარესის უეცარი სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა მექსიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლერდო დე ტეხადამ (1872-76). ახალი პრე-

ზედენტი ეკუთვნოდა ლიბერალური პარტიის მემარჯვენე ფრთას და, ცდილობდა დაემყარებინა კავშირი მემამულეებთან და ეკლესიასთან. საგარეო პოლიტიკის დარგში ლერდო დე ტეხადა აგრძელებდა ბენიტო ხუარესის მთავრობის ხაზს — იცავდა მექსიკის ეროვნულ ინტერესებს. როდესაც აშშ-ის მთავრობამ სთხოვა მექსიკას, გაეყვანა რკინიგზები ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, ლერდო დე ტეხადა მიუხვდა აშშ-ის კაპიტალისტთა ხრიკებს, რომელთაც მექსიკის კოლონიზაცია სურდათ. „დაე ძველებურად იყოს, — განაცხადა მან, — ძალასა და სისუსტეს შორის უდაბნოს ზონა უნდა არსებობდეს“.

ლერდო დე ტეხადას პრეზიდენტობამ ვერაფერი შეცვალა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. სახელმწიფო ხარჯები შემოსავალზე მნიშვნელოვნად მეტი იყო, თუმცა გადასახადები არ შემცირებულა. ხელფასს არ იღებდნენ ჯარისკაცები, ოფიცრები, სახელმწიფო მოხელენი. სახელმწიფოში მაღალ პოსტებზე ყოფნისას ლერდო დე ტეხადამ უზარმაზარი ქონება დააგროვა; იგი მიწით სპეკულაციის მფარველი გახდა, მისი ადრინდელი ლიბერალიზმიდან ნატამალიც აღარ დარჩა. ლერდომ სავსებით შეწყვიტა მექსიკის კონსტიტუციისათვის ანგარიშის გაწევა და დაიწყო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება. მემამულეები გააფთრებით იბრძოდნენ ლიბერალური რეფორმების წინააღმდეგ და სურდათ ძველი პრივილეგიების აღდგენა. ამის გამო სხვადასხვა ოლქებში ეწყობოდა რეაქციული აჯანყებები, რომელთა ხელმძღვანელებიც (კაუდილიოები) ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. ამ კაუდილიოებიდან განსაკუთრებით საშიში იყო გენერალი და პლანტატორი პორფირიო დიასი, რომელიც ახალგაზრდობაში ბენიტო ხუარესის აქტიური თანამებრძოლი იყო. მაგრამ ეს შემდეგ, რაც ხელთ იგდო დიდძალი ქონება, განუდგა ბ. ხუარესს და დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა.

1876 წელს პ. დიასმა და მისმა თანამზრახველებმა გამოაქვეყნეს „ტუსტაპეკის გეგმა“, რომელშიც ლერდო დე ტეხადას ბრალად დასდეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და ა. შ. ეს გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე არჩევის შექმნას. პ. დიასის ხელმძღვანელობით „ტუსტაპეკის გეგმას“ მხარი დაუჭირეს პუებლამ, ვერაკრუსის, გერეროს, ხალისკოს, იუკატანის და სხვა შტატებმა.

1876 წ. კონგრესმა გამოაცხადა ლერდო დე ტეხადას ხელახლა პრეზიდენტად არჩევის შესახებ. არჩევნების ფალსიფიკაცია იმდენად აშკარა იყო, რომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ხოსე იგლესიასმა არჩევნების შედეგები უკანონოდ გამოაცხადა და თავის

თავზე აიღო რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის ფუნქციები. ამასობაში ტლასკალაში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა მთავრობის არმიასა და პორფირიო დიასის მომხრეთა შორის. 1876 წლის ნოემბერში მთავრობის ჯარები დამარცხდნენ და დიასი დედაქალაქისაკენ დაიძრა. რამდენიმე დღის შემდეგ ლერდო დე ტეხადა გაიქცა აშშ-ში. 1876 წლის 23 ნოემბერს დიასის არმია ქ. მეხიკოში შევიდა. 1877 წლის მაისში მექსიკის კონგრესმა პორფირიო დიასი მექსიკის პრეზიდენტად აირჩია.

პორფირიო დიასი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ქვეყანაში სამართლიანობისა და დემოკრატიის აღდგენის ლოზუნგით. სინამდვილეში კი იგი სულაც არ ფიქრობდა ქვეყნის დემოკრატიზაციაზე. მან მექსიკაში დაამყარა ბანკირების, მემამულეებისა და უმაღლესი სამღვდელოების სამხედრო-პოლიტიკური დიქტატურა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიასმა თავდაპირველად ვერ გაბედა დაერღვია „ტუსტეპეკის" გეგმით გათვალისწინებული პრეზიდენტის არჩევის პრინციპები. ამიტომ 1880 წ. მისი დაჟინებით პრეზიდენტად „აირჩიეს" გენერალი მანუელ გონსალესი, რომელიც ლერდო დე ტეხადას წინააღმდეგ ბრძოლის დროს დიასის მარჯვენა ხელი იყო. მაგრამ 1884 წ. დიასი კვლავ გახდა პრეზიდენტი და შემდეგში ამ პოსტზე დარჩა 1911 წლამდე, დაამყარა რა დესპოტური, დიქტატორული რეჟიმი.

დიასის მმართველობის პერიოდი იყო მექსიკის ნახევრადკოლონიურ ქვეყნად გადაქცევის პერიოდი. მის დროს აშშ-ის კაპიტალდაბანდებებმა მექსიკაში 1 მილიარდ დოლარს მიაღწია. აშშ-მა ხელში ჩაიგდო მექსიკის ნავთობის საბადოები, მოკალათდა სამთამადნო მრეწველობაში და თავის კონტროლს დაუქვემდებარა მექსიკის საგარეო ვაჭრობა. ინგლისელმა და აშშ-ის კაპიტალისტებმა მექსიკაში მიწის უზარმაზარი ფართობი დაიკავეს. ამერიკული კომპანია „სონორა ენდ სინალოა კომპანი" სონორას შტატში ფლობდა 200 ათას ჰა მიწას, საგაზეთო მაგნატს ჰერსტს მთელს მექსიკაში ეკუთვნოდა 1.5 მილიონი ჰა მიწა. 1910 წლისათვის 269 უცხოელს მექსიკაში ეკავა 32 მილიონი ჰა მიწა, ე. ი. მექსიკის ტერიტორიის 16.2%, ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთ შტატში (მორელოსი, მეხიკო, ოახაკა) გლეხობის 98%-ს მიწა სრულიად არ გააჩნდა. მექსიკის სოფლის მოსახლეობის 90%-ს ინდიელები და მეტისები შეადგენდნენ. იმ დროს, როდესაც მექსიკის სახნავ-სათესად ვარგისი მიწის 95% ეკავა 834 მექსიკელ მსხვილ მემამულესა და უცხოელ კაპიტალისტს, წვრილგლეხურ მეურნეობებს, რომლებსაც ე. წ. რანჩეროები ქმნიდნენ, ეკუთვნოდათ მთელი მიწის 5%. ინდიელები და მე-

ტისები იბრძოდნენ თავიანთი სათემო მიწების დასაბრუნებლად, მაგრამ რეგულარული არმიის წინააღმდეგ უძლურნი იყვნენ. გმირული იყო იაკის ტომის ინდიელთა ბრძოლა სონორას შტატში. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა რეგულარული არმიის ნაწილები და ინდიელთა ეს ტომი მთლიანად ამოჟლიტეს.

დიასის დიქტატურის პერიოდში აშშ-ისა და ინგლისის კომპანიებმა დაიწყეს რკინიგზების გაყვანა იმ მიზნით, რომ გაეზიდათ ქვეყნის სიმდიდრე. მექსიკის სამთამადნო და მეტალურგიულ მრეწველობაში ბატონობდა ჩრდილოეთ ამერიკელი ძმების გუგუნჰეიმების კომპანია, ხოლო ნავთობის მრეწველობაში როკფელერების ტრესტი და ინგლისური „მექსიკენ იგლი“.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური მონოპოლიები მექსიკაში აშენებდნენ სამრეწველო საწარმოებს და გაჰყავდათ გზები, მექსიკა მაინც რჩებოდა ჩამორჩენილ ქვეყნად. მისი ეკონომიკა ცალმხრივად და ნელა ვითარდებოდა, კაპიტალისტურამდელი საწარმოო ურთიერთობის შენარჩუნებით. თუ 1877 წელს მექსიკაში სულ არ იყო კაპიტალისტური ტიპის საწარმო, 1910 წელს აქ უკვე 146 საფეიქრო ფაბრიკა არსებობდა. 1910 წლისათვის შეიქმნა ბანკებიც, რომლებიც საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებდნენ.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე მექსიკაში ჩამოყალიბდა ახალი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. 1910 წლისათვის მექსიკა 350 ათას მუშას ითვლიდა. მექსიკის პროლეტარიატი ერთგვაროვანი არ იყო: მის პრივილეგირებულ ნაწილს შეადგენდნენ კვალიფიცირებული მუშები — ძირითადად, ჩრდილო ამერიკელები, ნაკლებ კვალიფიციური მუშები — უმეტესად ემიგრანტები — ესპანელები, პორტუგალიელები და იტალიელები და ყველაზე დაბალი ფენა—მექსიკელები. სამუშაო დღე 16—18 საათს გრძელდებოდა.

მექსიკელი პროლეტარები არ იყვნენ ორგანიზებულნი. მუშათა ზოგიერთ ჯგუფში, ისიც იმიგრანტებში, გავრცელებული იყო პრუდონიზმი, ფურიეს, ოუენის მოძღვრებები. 1870 წელს შეიქმნა მექსიკის მუშათა პირველი ორგანიზაცია — „მექსიკის მუშათა დიადი წრე“. მუშათა კლასის მოწინავე ნაწილმა და ინტელიგენციამ დიდი ინტერესი გამოიჩინა I ინტერნაციონალის მიმართ. ხუან დე მატა რივერას ხელმძღვანელობით შეიქმნა I ინტერნაციონალის მექსიკის სექცია. 1871 წელს მექსიკაში გამოვიდა პირველი მუშათა გაზეთი „ელ სოსიალისტა“.

1877 წელს დიასის რეაქციული დიქტატურის დამყარების შემ-

დეგ მუშათა ორგანიზაციები დარბეულ იქნა, რამაც შეაფერხა მუშათა მოძრაობის განვითარება მექსიკაში.

მაგრამ 1905 წლიდან კვლავ განახლდა მუშათა ორგანიზაციების საქმიანობა. 1906 წ. ორიზაბაში (ვერაკრუსის შტატი) მუშა-სოციალისტის მანუელ ავენას თაოსნობით შეიქმნა „თავისუფალ მუშათა დიადი კავშირი", ორგანიზაცია უშვებდა გაზეთს „სოციალური რევოლუცია".

ამავე პერიოდში ხდება მუშათა გრანდიოზული გაფიცვები კანანეაში, პუებლაში, ორიზაბაში. მაგრამ ამ გაფიცვების დროს გამოამჟღავნდა მუშების სუსტი ორგანიზებულობა და პოლიტიკური მოუმწიფებლობა. ევროპელი ლუდიტების მსგავსად, მექსიკელი მუშები წვავდნენ საწყობებს, საფაბრიკო ნაგებობებს, ამსხვრევდნენ დაზგებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მექსიკელი მუშები გამოდიოდნენ იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც მარქსიზმი ფართოდ იყო გავრცელებული და მწიფდებოდა სოციალისტური რევოლუცია. ამიტომ ლუდიტურ გამოხდომებთან ერთად წამოყენებული იყო ლოზუნგები: „ძირს დიასის დიქტატურა! გაუმარჯოს მუშათა რევოლუციას!"

XX საუკუნის დასაწყისში დიასის დიქტატურამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და რღვევის ნიშნები გამოამჟღავნა. დიასმა შეერთებულ შტატებშიც კი დაკარგა მხარდაჭერა. პორფირიო დიასის სისხლიანმა რეჟიმმა, რომელიც რეაქციულ-კლერიკალური ძალების და უცხო კაპიტალის ინტერესებს იცავდა, ხალხთა მასების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. დიქტატურის თვითნებობის წინააღმდეგ მომწიფდა და დაიწყო ხალხის ფართო მასების მოძრაობა, რომელიც მალე მექსიკის რევოლუციაში გადაიზარდა.

მექსიკის 1910-17 წწ. რევოლუცია. 1908 წელს გლეხთა მღელვარება დაიწყო ჩიუაუას, სონორას, ტამაულიპასეს შტატებში. ზოგიერთ რაიონში გლეხებმა დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის. გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ძირითადი ბაზები იყო ჩრდილოეთში ჩიუაუას და დურანგოს შტატები, სამხრეთში კი — მორელოსის შტატი.

ჩრდილოეთში გლეხთა ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ყოფილი პეონი ფრანსისკო ვილია, ხოლო სამხრეთში ემელიანო სპატა. საბრძოლველად აღსდგა პროლეტარიატიც. მოეწყო მუშათა მძლავრი გაფიცვები პუებლას საფეიქრო ფაბრიკებში, რიო ბლანკოს შტატში, სანტა-როსაში, ნოგალესში. დიასის დიქტატურის წინააღმდეგ აღსდგა აგრეთვე ნაციონალური ბურჟუაზია და მემამულეთა ნაწილი. უცხოური კაპიტალის ბატონობა ხელს უშლიდა ნაციონალური

ბურჟუაზიის განვითარებას და სერიოზულად აფერხებდა იმ მეშამულეთა ზრახვებს, რომელთაც თავიანთი მეურნეობა კაპიტალისტურ რელსებზე გადაჰყავდათ.

რევოლუციურმა განწყობილებამ თავი იჩინა ინტელიგენციაშიც. მაგრამ ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი არ სარგებლობდა დიდი გავლენით ლიბერალურ ბანაკში, რომელსაც სათავეში ედგა მდიდარი მეშამულე ფრანსისკო მადერო.

1910 წ. ლიბერალებმა პრეზიდენტის არჩევნების დროს შექმნეს დიასის პრეზიდენტად ხელახალი არჩევის მოწინააღმდეგეთა პარტია. 1910 წ. ამ პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ფ. მადერო. დიასის მთავრობამ მიმართა რეპრესიებს. მადერო დააპატიმრეს, მაგრამ მან მოახერხა აშშ-ში გაქცევა. ტერორის პირობებში დიასი ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტად.

ამ ამბავმა ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა სტიქიურად აღსდგა დიქტატურის წინააღმდეგ. 1910 წლის 5 ოქტომბერს მადერომ გამოაქვეყნა „სან-ლუის-პოტოსის გეგმა“, სადაც გამოცხადებული იყო პრეზიდენტის არჩევნების ანულირება. მადერო თავის თავზე იღებდა დროებითი პრეზიდენტის ფუნქციებს და მოუწოდებდა მექსიკელ ხალხს დიასის რეჟიმის დამხობისაკენ. მადეროს ესმოდა გლეხთა ბრძოლის მნიშვნელობა დიქტატურის წინააღმდეგ და ამიტომაც მოითხოვა გლეხებს მიწა დაბრუნებოდათ.

დიასის მთავრობა შეეცადა აქტიურ დამსჯელ ოპერაციებზე გადასვლას, მაგრამ უკვე გვიან იყო. 1910 წლის ნოემბრისათვის მასობრივი რევოლუციური მოძრაობა ვრცელ ტერიტორიას მოედო. ჩრდილოეთში წარმატებით იბრძოდნენ პანჩო ვილიასა და პასკუალე ოროსკოს პარტიზანული რაზმები, ხოლო სამხრეთში— ემელიანო სპატასი; კოაუილეს შტატში—ლასარო გუტიერეს დე ლარას, ხოლო ვერაკრუსში კანდიდო აგილიარის რაზმები. აჯანყებულები აძევებდნენ დიასისეული ადმინისტრაციის მოხელეებს. მადერომ დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა ვილიასა და სპატასთან. იგი იყენებდა აგრეთვე აშშ-ის მატერიალურ მხარდაჭერასაც. რაც შეეხება აშშ-ს, იგი უკმაყოფილო იყო იმით, რომ დიასმა ბოლო წლებში უპირატესობა ინგლისელ კაპიტალისტებს მიანიჭა.

1911 წლის 11 თებერვალს ემელიანო სპატას არმიამ დაიწყო შეტევა მექსიკის დედაქალაქზე სამხრეთიდან. მაისში სპატასა და ვილის არმიების ერთდროული დარტყმების შედეგად დაიწყო მთავრობის არმიის რღვევა. დიასის მომხრეებმა გადაწყვიტეს დათმობებზე წასულიყვნენ და სასაზღვრო ქალაქ სიუდად-ხუარესში დაი-

წყეს მოლაპარაკება მადეროსთან. 21 მაისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც დიასს ჩამოერთვა ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლებები. ამრიგად, ხალხის გმირული ბრძოლების შედეგად დამხობილ იქნა საძულველი დიქტატურა. დიასი საზღვარგარეთ გაიქცა. ლიბერალებმა რევოლუცია დამთავრებულად ჩათვალეს. დროებით პრეზიდენტად არჩეულ იქნა ძველი რეჟიმის ერთერთი მოხელე დე ლა ბარა, მექსიკის ყოფილი ელჩი აშშ-ში. ძველი ფეოდალური არმია თავისი გენერალიტეტით შენარჩუნებულ იქნა. დამსჯელი ნაწილები გენერალ ვიქტორიანო უერტას ხელმძღვანელობით განაგრძობდნენ ბრძოლას ემელიანო საპატას წინააღმდეგ.

1911 წლის ოქტომბერში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები, რომლის შედეგადაც პრეზიდენტად არჩეულ იქნა მადერო. ემელიანო საპატამ არ დაშალა თავისი არმია და უცდიდა, როდის შეასრულებდა თავის დაპირებას მადერო „სან-ლუის-პოტოსის გეგმის“ განხორციელების შესახებ. მაგრამ მადერო სულაც არ აპირებდა დაპირებების შესრულებას. რაც შეეხება მიწის გლეხობისათვის გადაცემის პრობლემას, — მადერო მას ძალზე რთულ საკითხად თვლიდა და ამბობდა, რომ საჭიროა დრო-ის გადასაჭრელად. სოფლად ყველაფერი ძველებურად რჩებოდა: მილიონობით პეონი კვლავ სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდა ლატიფუნდისტების მხრივ.

1911 წლის 28 ნოემბერს საპატამ გამოაქვეყნა მოწოდება ხალხისადმი, რომელიც ცნობილია „აიალას გეგმის“ სახელწოდებით (აიალა სოფელია, სადაც დაიბადა ე. საპატა). მასში აღნიშნული იყო, რომ მადერომ მოატყუა ხალხი, არ შეასრულა დაპირება და უღალატა რევოლუციას. საპატამ განაცხადა, რომ მიწა, ტყეები და წყლები, რომლებიც ადრე მემამულეებმა ჩაიგდეს ხელში, უბრუნდებოდათ ადრინდელ მფლობელებს, გლეხებს, მოქალაქეებს. საპატას პროგრამა ითვალისწინებდა ლატიფუნდიების ექსპროპრიაციას და ამ მიწების გლეხთა შორის განაწილებას. მეტად მნიშვნელოვანი იყო საპატას პროგრამის-ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა იმ მემამულეთა მიწა-წყლის სრულ ნაციონალიზაციას, რომლებიც წინ აღუდგებოდნენ „აიალას გეგმის“ გატარებას.

გლეხების და პროლეტარიატის იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას მოჰყვა მადეროს მთავრობის იზოლაცია, რითაც ისარგებლეს ფეოდალურ-კლერიკალურმა ძალებმა და აშშ-მა, რომელთაც არ უნდოდათ მადერო, რადგან იგი გამოხატავდა მექსიკის ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს. შეთქმულების ცენტრი იყო აშშ-ის საელჩო, ხოლო ხელმძღვანელები — აშშ-ის ელჩი მექსიკაში ჰენრი ლ.

უილსონი, გენერალი უერტა და დიასის ბიძაშვილი ფელიქს დიასი. 1913 წლის თებერვალში მოხდა კონტრრევოლუციური გადატრიალება, მადერო მოკლეს, ხოლო ძალაუფლება ხელთ იგდო რეაქციულმა ხროვამ გენერალ უერტას ხელმძღვანელობით.

მაგრამ ეს გადატრიალება არ ნიშნავდა რევოლუციის მარცხს. მემამულურ-კლერიკალური რეაქციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ხალხის რევოლუციური ძალები. მალე ქვეყნის სამხრეთსა და ცენტრში დაიწყო სამოქალაქო ომი. უერტას მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს ფრანსისკო ვილიას და ემელიანო საპატას არმიებმა. მაგრამ გლეხთა ბელადებს არ გააჩნდათ ნათელი წარმოდგენა რევოლუციის პერსპექტივებისა და ამოცანების შესახებ. რაც შეეხება მექსიკის მუშათა კლასს, მისი მოუმწიფებლობისა და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო არ შეეძლო ეხელმძღვანელა გლეხობისათვის. როგორც აშშ-ის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი უ. ფოსტერი აღნიშნავდა, „მექსიკის რევოლუციის ძირითადი სისუსტე იმთავითვე ის იყო, რომ მუშათა კლასმა არ აიღო თავის თავზე ხელმძღვანელის როლი". ამიტომაც მდგომარეობის ბატონ-პატრონები გახდნენ კვლავ ლიბერალები, რომელთაც სათავეში ჩაუდგა მადეროს თანამებრძოლი, მსხვილი მემამულე ვენუსტიანო კარანსა. მთელი რევოლუციური ძალების გაერთიანების მიზნით ფ. ვილიამ. ცნო კარანსას უმაღლესი ხელისუფლება. მაგრამ იმავე დროს ვილიამ შეინარჩუნა მოქმედების დამოუკიდებლობა. ორი თვის მანძილზე მან ჩიუაუას შტატიდან განდევნა უერტას ჯარები და განახორციელა მექსიკის ჩრდილოეთში გლეხობის საუკუნეობრივი ოცნება—მემამულეთა და ეკლესიის ბატონობისაგან. განთავისუფლება.

ფრანსისკო ვილიას გამარჯვებათა წყალობით ჩრდილოეთი მექსიკა 1913 წ. კარანსას მომხრეთა ხელში გადავიდა. სამხრეთ მექსიკაში შეტევაზე გადავიდა ემელიანო საპატა. უერტას მთავრობის მდგომარეობა უიმედო გახდა. ამით ისარგებლა აშშ-მაც, რომელიც უერტას პროინგლისური პოლიტიკის უკმაყოფილო იყო და შეუწყვიტა მას დახმარება. პრეზიდენტი ვ. უილსონი დემოკრატიის მომხრე იყო, სინამდვილეში კი ცდილობდა ჩაეხშო რევოლუცია ინტერვენციის გზით. საბაბიც მალე მიეცა. 1914 წლის 9 აპრილს ტამპიკოს ინციდენტის შემდეგ (ამერიკელი მეზღვაურები დააკავეს უერტას პატრულებმა) აშშ-მა 21 აპრილს ჯარები გადასხა ვერაკრუსში.

აშშ-ის ინტერვენციამ მექსიკაში გამოიწვია მძლავრი პატრიოტული აღმავლობა. კარანსამ აშშ-ის მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, სადაც მას ბრალს სდებდა აგრესიაში, მექსიკის სუვერენიტეტის შებღალვაში და მოითხოვდა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვა-

ნას. მექსიკელი ხალხის მამაცურმა წინააღმდეგობამ შედეგი გაძლიერო. 1914 წლის ნოემბერში აშშ-მა ჯარები გამოიყვანა მექსიკიდან. მანამდე კი ივლისის თვეში დამხობილ იქნა უერტას მთავრობა.

უერტას დამხობის შემდეგ ვილამ და საპატამ მოსთხოვეს კარანსას ეროვნული ბანკის ფინანსური ინტერესების გადაწყვეტა. კარანსამ უარი განუცხადა გლეხთა ბელადებს. მაშინ ქ. აგუას კალენტეში მოწვეულ იქნა ეროვნული კრება, რომელმაც კარანსას ჩამოართვა უმაღლესი ხელისუფლება და დროებით პრეზიდენტად აირჩია ეულალიო გუტიერესი. 1914 წლის დეკემბერში ვილიასა და საპატას არმიებმა დაიკავეს დედაქალაქი და შექმნეს დროებითი მთავრობა. საპატამ და ვილამ მოიმიზეზეს რა უწიგნურობა, უარი თქვეს მთავრობაში შესვლაზე. მაგრამ მალე გუტიერესი კარანსას მიემხრო. გლეხთა ბელადების გავლენის შესუსტებისა და დროის მოგების მიზნით 1915 წ. კარანსამ გამოსცა კანონი აგრარული რეფორმების შესახებ. მიუხედავად ამ რეფორმის შეზღუდულობისა, მან რევოლუციურ შეიარაღებულ ბრძოლას გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაცალა და შესუსტა მისი პოზიციები. კარანსამ თავის მხარეზე გადაიყვანა პროლეტარიატის ანარქო-სინდიკალისტი ლიდერები. ცრუ დაპირებებისა და დემაგოგიის გზით მან მოახერხა გლეხთა წინააღმდეგ მუშათა რაზმების, ე. წ. „წითელი ბატალიონების" გაგზავნა. ე. საპატას ნაწილები ბლოკირებულ იქნენ მორელოსის შტატში, ხოლო ფ. ვილია უკუქცა აშშ-ის საზღვრისაკენ. მოიპოვა რა გამარჯვება გლეხთა არმიებზე, კარანსამ დაშალა მუშათა რაზმები და ახლა მათ წინააღმდეგ დაიწყო რეპრესიების გატარება.

1916 წ. აშშ-მა ისარგებლა სასაზღვრო ქალაქ კოლუმბუსში მომხდარი ინციდენტით და დაიწყო ახალი შეიარაღებული ინტერვენცია მექსიკაში. კარანსას მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა აშშ-ს და მოსთხოვა ჯარების გაყვანა. ასეთმა ანტიიმპერიალისტურმა პოზიციამ კარანსას გავლენა ძლიერ განამტკიცა ქვეყნის შიგნით. 1916 წ. აშშ-მა დაიწყო მასთან მოლაპარაკება, ხოლო 1917 წ. ესწრაფოდა რა მსოფლიო ომში ჩაბმას, სასწრაფოდ გაიყვანა ჯარები მექსიკიდან.

1917 წ. დამფუძნებელმ. კრებამ მძაფრი კლასობრივი ბრძოლების პირობებში მიიღო დამფუძნებელი კრების მემარცხენე ფრთისა და მისი ლიდერის ფრანსისკო მუხიკას მიერ შემუშავებული კონსტიტუცია.

კონსტიტუცია აცხადებდა წიაღისეულის, წყლების, მთების, ტყეების საერთო-ეროვნულ საკუთრებას და ცდილობდა შეეზღუდა უცხოელ მონოპოლიათა უფლებები მექსიკის წიაღისეულს მი-

მართ. ერის საკუთრებად ცხადდებოდა საეკლესიო ქონებაც. გლეხობისათვის უნდა დაებრუნებინათ ჩამორთმეული მიწები, შემოეღოთ 8-საათიანი სამუშაო დღე, ცხადდებოდა კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება.

მექსიკის 1917 წ. კონსტიტუცია იყო ყველაზე პროგრესული იმ დროის ბურჟუაზიულ კონსტიტუციებს შორის. მაგრამ მისი ხალხისათვის მნიშვნელოვანი დადგენილებები ქაღალდზე დარჩა. კარანსა არ აპირებდა ცხოვრებაში მათ გატარებას. მშრომელთა ყოველ გამოსვლას იგი სასტიკი რეპრესიებით პასუხობდა. მოკლულ იქნენ გლეხთა ბელადები ემელიანო საპატა და ფრანსისკო (პანჩო) ვილია.

ამრიგად, მექსიკის რევოლუციამ ძირფესვიანად ვერ აღმოფხვრა ფეოდალური გადმონაშთები და ქვეყანა იმპერიალიზმისადმი დამოკიდებულებისაგან ვერ იხსნა, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა მექსიკის ისტორიაში, ვინაიდან შეასუსტა ფეოდალურ-კლერიკალური ძალები და იმპერიალიზმის გავლენა მექსიკაში და შექმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის პროგრესული განვითარებისათვის.

* * *

1870—1918 წლების პერიოდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიაში.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდა ხალხები ყალიბდებიან ერებად.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალიზმში გადასვლას სავალალო შედეგი მოჰყვა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის. ისარგებლეს რა ამ ქვეყნების სუსტი განვითარებით, უცხოურმა მონოპოლიებმა ფინანსური და ეკონომიური დამოკიდებულების ბადეში მოაქციეს ისინი.

XX საუკუნის დამდეგამდე ლათინურ ამერიკაში გაბატონებული პოზიციები ეკავათ ინგლისურ მონოპოლიებს. 1898 წ. ესპანეთ-აშშ-ის ომის შემდეგ აშშ-ის მონოპოლისტურმა კაპიტალმა დაიწყო აქტიურად შეღწევა ლათინურ ამერიკაში და 1918 წლისათვის გაბატონებულ პოზიციებს მიაღწია.

უცხოური მონოპოლიები თავიანთ საქმიანობაში ემყარებოდნენ რეაქციულ ძალებს — მემამულეებს, ლატიფუნდიის მფლობელებს, უმაღლეს სამღვდელოებასა და სახელმწიფო-პოლიციურ აპარატს. მაგრამ იმპერიალიზმმა ვერ შეაჩერა კაპიტალიზმის განვითარება ლათინურ ამერიკაში.

ლათინურ ამერიკაში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ეროვნული ბურჟუაზია და პროლეტარიატი. არგენტინაში, ურუგვაიში, ჩილეში ისინი წარმოიშვნენ XIX საუკუნის მიწურულში, ხოლო ბრაზილიაში, მექსიკასა და ზოგიერთ სხვა ლათინური ამერიკის ქვეყანაში — პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

დაარსების პირველი დღიდანვე მუშათა კლასმა დაიწყო ბრძოლა თავისი უფლებებისა და თავიანთი ქვეყნების პროგრესული განვითარებისათვის. პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ლათინური ამერიკის პროლეტარიატმა მიაღწია ორგანიზებულობისა და პოლიტიკური ჩამოყალიბების ისეთ დონეს, რომ დააყენა მარქსისტული პარტიების შექმნის საკითხი.

1918 წლისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნებში მთელი სიმწვავით დადგა ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანათა გადაწყვეტის პრობლემა.

ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრი

შესავალი

პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლები მუდამ დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოეთის ქვეყნების საშინაო ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვანი ამბებისადმი. ქართული პუბლიცისტიკის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებიც წარმატებით პასუხს სცემდნენ მაშინდელი ეპოქის მიერ აღძრულ ყველა საკირბოროტო საკითხს, მთელი სერიოზულობით სწავლობდნენ ევროპისა და მსოფლიოს სხვა კონტინენტების ახალი ისტორიის აქტუალურ პრობლემებს და ერუდირებულ, პოლიტიკურად გამახვილებულ, ისტორიული სინამდვილის ძირითადში სწორად ამსახველ ცნობებს აწვდიდნენ მათ შესახებ ქართველ მკითხველებს.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ინტერესით აკვირდებოდა უცხოეთის ქვეყნების შინაპოლიტიკურ ვითარებას და საერთაშორისო ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან მოვლენებს. ისინი ცდილობდნენ საფუძვლიანად გარკვეულიყვნენ ამ ამბების არსში და სათანადოდ აეხსნათ მათი ხასიათი, მიზეზები და ისტორიულ ვნიშვნელობა. პუბლიკაციის ძალზე შეზღუდულ შესაძლებლობათა მიუხედავად, ისინი მაინც ახერხებდნენ კონტაქტი დაემყარებინათ ქართველ მკითხველებთან და აღნიშნული ამბების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გაეზიარებინათ მათთვის. ამ მოწინავე ქართველთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვახუშტი ბატონიშვილი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ფილადელფოს კეკნაძე, თეიმურაზ ბატონიშვილი.

ახალი დროის მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი დაინტერესება საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან, როცა ჩვენს ქვეყანაში გაიშალა დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იდეურ-ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც ქართული განმანათლებლობის, ან „სამოციანელობის" სახელითაა ცნობილი. მისი ბაირახტარი იყო ღრმად განსწავლული მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის ბრწყინვალე თაობა — „თერგდალეულები". სამოციანელთა შემოქმედების ძირითადი იდეური წყარო იყო (თუმცა მათ განათლება რუსეთში მიიღეს და დასავლეთ ევროპის მოწინავე იდეებსაც დაეუფლნენ) თვითმყოფადი ეროვნული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა. მათ მსოფლმხედველობას, ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ქართული დვრიტა" ედო საფუძვლად.

თერგდალეულთა იდეურ-პოლიტიკური ბელადი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, დათა მიქელაძე და სამოციანელთა სხვა წარმომადგენლები ღრმად მოაზროვნე ეროვნული მოღვაწეები იყვნენ. ისინი აღიზარდნენ ქართველი ხალხის იმ დიდი კულტურის ტრადიციებზე, რომლის შესახებ გაზეთი „პრავდა" 1958 წლის 21 მარტს წერდა: „მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და მდიდრდებოდა ქართველი ხალხის კეთილშობილი და დემოკრატიული მხატვრული ტრადიციები. ამ ძველისძველმა, მაგრამ გაზაფხულივით აყვავებულმა კულტურამ საუკუნეები გამოატარა და შეინარჩუნა თავისი ხალხის ახალგაზრდობა: მისი სულის სიმხნევე, მისი დიდი სიცოცხლისმოყვარეობა, რომელიც ვერ გატეხა მძიმე განსაცდელის ჟამმა, მკაცრმა ბრძოლებმა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; მან გამოატარა თავისი ხალხის ოცნება ბედნიერებაზე".

მათი დიდი პატრიოტიზმი და შემოქმედებითი შემართება ყალიბდება მშობლიური ქვეყნის გმირული წარსულის მაგალითებზე, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებით მებრძოლ შვილთა საბრძოლო ტრადიციებზე. მათი სათაყვანებელი ეროვნული გმირები იყვნენ: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი, გიორგი საკაძე, „კახეთის მხსნელი გმირები"—ბიძინა, ზალკა და ელიზბარი, ერეკლე მეორე, სოლომონ ლეონიძე და სხვები. ისინი სიყვარულით სწავლობენ და ავითარებენ იმ მდიდარ იდეურ მემკვიდრეობას, რომელიც შექმნეს დიდმა წინამორბედებმა პეტ-

რე იბერმა, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, ეფრემ მცირემ, იოანე პეტრიწმა, შოთა რუსთველმა, ჩახრუხაძემ, არჩილმა, თეიმურაზმა, ვახტანგ მეექვსემ, ვახუშტი ბატონიშვილმა, სულხან-საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანებმა, გიორგი ერისთავმა და სხვებმა.

ქართველ სამოციანელთა საზოგადოებრივ-პატრიოტული მოღვაწეობის უპირველესი ამოცანა საქართველოს აღორძინება და ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან მისი განთავისუფლება იყო. საქართველოს მოწინავე შვილთა წინაშე, ილია ჭავჭავაძის აზრით, სულ სხვა ამოცანები იდგა, ვიდრე რუსეთში ან დასავლეთ ევროპაში. ამიტომ სამშობლო მათგან სხვა ხასიათის „მსახურებას“ მოითხოვდა. „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს. ის „სხვა რამეა“ — ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან...“ აი ამ დიადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნის მისაღწევად მათ ბრძოლის ვრცელი პროგრამა შეიმუშავეს. ქართველი ხალხის გათვითცნობიერება და კულტურული დონის ამაღლება. მათი პატრიოტული აღზრდა, მათში ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების ყოველმხრივ გაღვივება აღნიშნული პროგრამის განუყოფელი ნაწილი იყო. კეთილშობილური მიზნის მისაღწევად ქართველი ხალხის ამ ღირსეულმა შვილებმა ისტორიის მდიდარი გამოცდილებაც გამოიყენეს. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის თაობა ცდილობდა ეპოვნა საჭირო პასუხი იმ მწვავე პრობლემებზე, რასაც აყენებდა მათ წინაშე საქართველოს მაშინდელი ცხოვრება, მისი აღორძინების, ეროვნული გამოხსნისა და განვითარების პერსპექტივები. ისტორიის საინტერესო მოვლენებზე დაკვირვებით, წარსულის მდიდარი გამოცდილების შესწავლით ისინი ცდილობდნენ დაესახათ მშობლიური ქვეყნის წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის უკეთესი გზები.

ისტორიის გამოცდილების დიდი როლი ხალხის ცხოვრებაში შესანიშნავად ესმოდა ი. ჭავჭავაძეს, როცა წერილში: „ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა“ წერდა: „ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა — კაცსა უკან მიმდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთე-

ლი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ". „ისტორია მთხრობელია იმისა, — წერს იგი სხვა ადგილას („დავით ალმაშენებელი"), — თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იქდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაქდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის".

ისტორიული ცოდნის პრაქტიკულ დანიშნულებაში კარგად ერკვეოდა დიდი ვაჟაც. „ყოველი ამბავი ისტორიკოსისაგან, — წერდა იგი, — უეჭველად რასმე გვასწავლის ცხოვრების შესახებ. ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის, აწმყო ცხოვრებისათვის. იგი გვაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ; მასში ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს; აქ ვხედავთ შეცდომას და შეცდომასთან ერთად გამარჯვებას...".

მაგრამ ქართველი სამოციანელები და მათი ღირსეული მემკვიდრეები, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად, არ იფარგლებოდნენ მარტო მშობლიური ქვეყნის ისტორიის ჩარჩოებით და არ კმაყოფილდებოდნენ საქართველოს ისტორიის ჰეროიკული წარსულის გამომზეურებით და მისი პოპულარიზაციით. ამის პარალელურად ისინი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ახალი დროის მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკვანძო საკითხებს და პერიოდულად აშუქებდნენ მათ ქართული პრესის ფურცლებზე.

პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის მოთავენი აღიარებდნენ მსოფლიო ისტორიული პროცესის ერთიანობას. აქედან გამომდინარე, ისინი მშობლიური ქვეყნის ისტორიას განიხილავდნენ არა იზოლირებულად, არამედ მსოფლიო ისტორიის ამბებთან მჭიდრო კავშირში. ეს მათ საშუალებას აძლევდა მიემართათ შედარებითი მეთოდისათვის, შეედარებინათ მშობლიური ქვეყნის ისტორიული განვითარება უცხოეთის ქვეყნების ისტორიულ პროცესთან და ამ გზით ეჩვენებინათ, თუ რა იყო მათ შორის საერთო და ზოგადსაკაცობრიო.

ახალი დროის მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემებისათვის სერიოზული ყურადღების მიქცევით XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართველი მოაზროვნეები პასუხს პოულობდნენ ქვეყნის წინაშე მდგარი ბევრი საჭირბოროტო საკითხის.

კადასაწყვეტად. უცხო ქვეყნების მიმდინარე ისტორიული პროცესის შესწავლით და საქართველოს ისტორიულ განვითარებასთან მისი შედარებით ისინი საჭირო დასკვნებს აკეთებდნენ და სამშობლოსათვის გამოსადეგ მაგალითებს ამზეურებდნენ.

„როგორც ინგლისელი, ფრანგი, სხვა ცდილობს თავისი ქვეყნის სასარგებლო რამ გამოიკვლიოს კოშუთის წარსულში, ისე ქართველმა საქართველოსათვის გამოსადეგი რამ უნდა ეძიოს შიგ და არა სხვებისათვის", — წერდა ნ. ნიკოლაძე 1884 წელს წერილში „კოშუთი და დეკი". რითაც შესანიშნავად გამოხატა სხვა ქვეყნების ისტორიის ამბებისა და ღირსეულ მამულიშვილთა მოღვაწეობის შესწავლის პრაქტიკული დანიშნულება საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის.

ი. ჯავჯავაძე (შინაური მიმოხილვა, VIII) ჩვენს მოწინავე ახალგაზრდობას მოუწოდებდა: ისარგებლეთ, გამოიყენეთ, შეისწავლეთ ის მდიდარი გამოცდილება, რაც გააჩნიათ „სლავური აღორძინების" მოთავე მოწინავე ადამიანებს, რომლებმაც გააცოცხლეს წარსული, შეაყვარეს იგი ხალხს და წარსულის მდიდარი მემკვიდრეობა ცხოვრების წინწაწევისათვის გამოიყენონ.

„სლავიანებმა,—წერდა იგი, — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათ ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შენწეობით დიდებულნი სახენი ძველი გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა, მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი ღღენი წარსულისა, აღადგინეს, გაწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ყმათა ვიოარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასაკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს. შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამის მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან".

ეს უნდა იყოს, — დასძენს ილია, — ჩვენი ყმაწვილ-კაცობის საბრძოლო ამოცანა. ეს უნდა გახდეს მათი სამოღვაწეო საქმიანობის ძირითადი მიმართულება. მათ წარსულის მდიდარ გამოცდილებასთან ერთად ბეჯითად უნდა შეისწავლონ ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვარონ ევროპის გამოცდილება და „ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს... ჩვენის მხარით ამაზედ უკეთესს



გიორგი წერეთელი



სერგეი მესხი

საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას".

ანტონ ფურცელაძეც, აგრეთვე ფიქრობდა, რომ ერის აღორძინებისა და პატრიოტული აღზევებისათვის საკმაო არ იყო მარტო საკუთარი წარსულის შესწავლა და სამშობლოსათვის თავდადებული ძველი გმირების შარავანდედით შემოსვა. ამისათვის საჭირო იყო აგრეთვე თანამედროვეობაში ღრმად ჩახედვა, სხვა „ერთ ბედს ქვეშ მყოფი" და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების აღდიდარი საბრძოლო გამოცდილების გათვალისწინება.

„საჭიროა მშობლიური ქვეყნის წარსულის წარმტაცი მოვლენების გამომზეურებასთან ერთად, — წერდა იგი 1882 წელს ჟურნ. „იმედში",—თანამედროვე ხალხებიდანაც გადავიღოთ მაგალითები, რომლებიც დღეს თვალწინ გვიდგანან და რომელთაგანაც ყოველდღე შეგვიძლია გადავიღოთ კიდევაც ეს მაგალითი". იგი განსაკუთრებით მოითხოვდა თანამედროვე ხალხების სახალხო გმირების (ჯ. გარიბალდის მსგავსნი) მისაბაძი მაგალითების საფუძვლიანად შესწავლას. ასეთ გმირებს, მისი თქმით, უფრო ცხადი მიზნები გააჩნიათ, ნათელი გონებით არიან აღჭურვილნი და უფრო ვრცელი პროგრამით მოქმედებენ.

უცხოეთის ქვეყნების შინაპოლიტიკური ცხოვრების მშფოთვარე ამბების, კერძოდ საქართველოს მდგომარეობაში მყოფი პატარა ქვეყნების ისტორიული პროცესის პროგრესული ქართული პრესის ფურცლებზე გაშუქების ეროვნული პუბლიცისტიკის წარმომადგენლებისათვის სხვა გამიზნულობაც ჰქონდა. იგი ცარიზმის სუსხიანი კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ხერხიც იყო. მათ სამწერლობო-პუბლიცისტური მოღვაწეობა და ერის ინტერესებისათვის ბრძოლა უხდებოდათ რუსეთის ცარიზმის კოლონიურ ხელისუფალთა მიერ დაწესებულ მკაცრი კოლონიური ცენზურის პირობებში. აღნიშნულის გამო ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას აშკარად ექადაგათ პროგრესულ-საგანმანათლებლო და განმათავისუფლებელი აზრები და თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი გულისნადები სამშობლოს ავბედობის მიზეზებისა და მისი მოსპობის შესახებ. ამიტომ ისინი ხშირად მიმართავდნენ ალეგორიებს, ეზოპეს ენას და მით ახერხებდნენ ცენზორთა შეცდომაში შეყვანას. ამაზე წერდა ლენინი: „... ეზოპური—წყეული ეზოპური—ენით, ხმარებასაც აიძულებდა ცარიზმი ყველა რევოლუციონერს, როდესაც ისინი „ლეგალური ნაწარმოების დასაწერად კალამს ჰკიდებდ-

ნენ ხელს“ [1]. აღგილობრივი ცენზურა შედარებით „ლიბერალობას“ იჩენდა და ნაკლებ მკაცრი იყო იმ მასალების მიმართ, რომლებიც რუსეთის იმპერიის მიღმა მიმდინარე ამბებს ასახავდა. ეროვნული პრესის მუშაკებს იგი, შედარებით იოლად, ნებას რთავდა გამოექვეყნებინათ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მათი ნარკვევები ევროპისა და სხვა კონტინენტების ხალხთა ცხოვრების შესახებ, ამ ნარკვევებში გატარებული პროგრესულ-დემოკრატიული თვალსაზრისის მიუხედავად. ამით კარგად სარგებლობდნენ ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის იდეური მესვეურები და მაქსიმალურად იყენებდნენ ამ შესაძლებლობებს. ასეთი ხასიათის ისტორიულ ნარკვევებში ისინი გაბედულად ექომაგებოდნენ მცირე და დამონებულ, კოლონიური უღლის ქვეშ მოქცეულ ერებს, მკაცრად გმობდნენ ყოველგვარ ძალადობას, დრომოჭმულ დესპოტურ რეჟიმებს, ანტიხალხურ აქციებს, მხარს უჭერდნენ პროგრესისა და სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლ ძალებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს და ფართოდ აშუქებდნენ ხალხთა მასების ყოფას. ამიო მათ შეცდომაში შეჰყავდათ ცენზურის მუშაკები. ასეთი ხასიათის ნარკვევებში ისინი ახერხებდნენ ოსტატურად ჩაექსოვათ თავიანთი გულისნადები მშობლიური ქვეყნის პრობლემებისადმი. ქართველი მკითხველი, რომელიც კარგად იცნობდა მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მრწამსს, უცხოეთის ქვეყნების ამბებისადმი მიძღვნილ ნააზრევში სწორედ იმას კითხულობდა, რაც მშობლიური ქვეყნის შესახებ იყო ნაგულისხმევი.

პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის მესვეურთა ამ გულისნადებს შესანიშნავად გამოხატავდა „საქართველოს მოამბეს“ თანამშრომელი დ. ყიფიანი, როცა 1863 წელს ამავე ჟურნალში წერდა: „ჩვენ რასაც ვიტყვით მკითხველო! დარწმუნებული უნდა იყო, რომა ყოვლისფერში, მეტადრე ლიტერატურაში ჩვენ ქართველობა გვყავს მხედველობაში. ამისათვის, გთხოვ, რომა სხვადასხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგინო... ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე, იმის თანამედროვე მაცოცხლებელს თუ მომაკვდინებელ აზრებზე... მოიფიქრე ხოლმე და შენ ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, თუ იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ“.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ქართული პრე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, თხზ., ტ. 22, გვ. 231.

სის დიდოსტატები (სხვა ქვეყნებთან და ამბებთან ერთად) საქმის ცოდნითა და სიყვარულით მოუთხრობდნენ ქართველ მკითხველებს ირლანდიის, საბერძნეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის, სერბიის, იტალიის ხალხების ყოფისა და ბრძოლის შესახებ. მათი ისტორიული წარსული და თანამედროვე ყოფა ხომ ბევრ რაშიმე ემთხვეოდა ქართველი ხალხის ისტორიულ პროცესს. მათ წარსულსა და აწმყოში, მათი განმათავისუფლებელი ბრძოლების მატიანეში ბევრი რამ იყო „ჭკუის სასწავლი", რაც ქართველ ხალხს გაკვეთილად და მაგალითად გამოადგებოდა. მოუთხრობდნენ რა ამ ხალხთა და აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის საინტერესო ეპიზოდებზე, ამით ისინი აყვარებდნენ ქართველ ხალხს საკუთარ სამშობლოს და აღვივებდნენ მასში არსებული კოლონიური ყოფისადმი შეურიგებლობას, მებრძოლ განმათავისუფლებელ სულისკვეთებას, შეჰყავდათ რა ისინი მსოფლიო ისტორიის მშფოთვარე ამბების კურსში. ამით ხელს უწყობდნენ მათ გათვითცნობიერებას და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით მათ აღზრდას. ეს იყო დიდი პატრიოტულ-საგანმანათლებლო მისია, მათი მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილი.

მრავალფეროვანი იყო ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდნენ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის ბურჯები ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების გასაშუქებლად. მათთვის უცხო იყო ტრაფარეტი, ზერელეობა. სხვისი აზრების მექანიკურად გადმოღება, ეპიგონობა. რომელიმე თემაზე ნარკვევის დაწერამდე ისინი წინასწარ ეცნობოდნენ მის შესახებ არსებულ სოლიდურ შრომებს, მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევებს, ჟურნალ-გაზეთების მასალებს, დიპლომატიურ მიმოწერას და სხვ. ამ მასალებს ისინი სერიოზულად ამუშავებდნენ, აძლევდნენ ორიგინალურ სახეს და ისე აქვეყნებდნენ ჟურნალებსა და გაზეთებში. ამ მხრივ ნიმუშის მიმცემი იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვები. მათ ისტორიულ მიმოხილვებში დამოწმებულია ათეული ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, იურისტი, ლიტერატორი, ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ზოგჯერ მათი შეხედულებები მოჰქონდათ ამა თუ იმ მოსაზრებათა საარგუმენტაციოდ და რომელიმე აზრის გაკრიტიკების მიზნით.

თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ისინი მიმოხილვის ობიექტად ქცეული საკითხების გაშუქებას, ამაზე დამაჯერებელ

ცნობას გვაწვდის ნ. ნიკოლაძე თავის ავტობიოგრაფიაში. „1865 წელს გერცენის პარიზში სტუმრობის დროს,—წერს ილია,—მე ვამზადებდი ფელეტონს, მიძღვნილს პრუდონის გარდაცვალებისა და დაკრძალვისადმი. მან ბევრი იცინა ჩემი სამწერლო მანერის გამო, როდესაც დაინახა, თუ როგორ ვიყავი გარშემორტყმული თვით პრუდონისა და პრუდონის შესახებ არსებული უამრავი თხზულებებით და დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს წაკითხული მქონდა“. აფასებდა რა ჟურნალ „მოამბეში“ 1894-95 წლებში მოთავსებულ საკუთარ წერილებს, ნ. ნიკოლაძე წერდა: „ეს წერილები არ იყო შიშველი ქრონიკა ან ახალი ცნობების კრებული, არამედ მიმოხილვები, დოქტრინული წერილები სხვადასხვა მიმდინარე საკითხებზე. ყოველ ასეთ ნარკვევში მე ვაქსოვდი ბევრ შრომასა და მასალას“.

ძალიან ვრცელი იყო ახალი ისტორიის იმ პრობლემების წრე, რომელიც გაშუქდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის ფურცლებზე და რომელთა შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ჩვენი ეროვნული კულტურის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა.

ეს პრობლემები იყო:

1. ევროპის დიდი სახელმწიფოების — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და აშშ ისტორიული პროცესი. მათი შინაპოლიტიკური ვითარება, ეკონომიური განვითარება, მმართველობის ფორმები, კლასობრივი ბრძოლა, საგარეო პოლიტიკა, კოლონიური დაპყრობები და ურთიერთ კონფლიქტები.

2. საერთაშორისო მუშათა და რევოლუციური მოძრაობა (პირველი ინტერნაციონალი, პარიზის კომუნა, მეორე ინტერნაციონალის საქმიანობა).

3. პოლონელი, უნგრელი, ირლანდიელი, იტალიელი და ბალკანეთის სლავ და სხვა ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა.

4. აზიისა და აფრიკის კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების გამოღვიძების პროცესი, მათი განმათავისუფლებელ ბრძოლა მჩაგვრელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ (ჩინეთი, ინდოეთი, არაბული ქვეყნები, „შავი აფრიკა“, „იხეტუანელთა“ დიდი ანტიიმპერიალისტური აჯანყება ჩინეთში).

5. საფრანგეთ-პრუსიის ომი და მისი შედეგები, „შეიარაღებული მშვიდობის“ დამყარება ევროპაში, მილიტარიზმის შეუჩერებელი ზრდა და ახალი ომის საფრთხე, ევროპის დაყოფა ორ მოპირდაპირე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად, საერთაშორისო კონფლიქტების გახშირება, ჩინეთ-იაპონიის ომი, ესპანეთ-ამერიკისა და ინგლისბურების პირველი იმპერიალისტური ომები, რუსეთ-იაპონიის ომი.

6. აღმოსავლეთის საკითხი და მისი მეტამორფოზები, დიდი სახელმწიფოების პოზიციები თურქეთის იმპერიის მემკვიდრეობის განაწილების საკითხში.

7. შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის პრობლემა („ჩინეთის საკითხი").

8. XIX საუკუნე და მისი ადგილი კაცობრიობის ისტორიაში.

9. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება (გარიბალდი, მაძინი, კოშუთი. ვაშინგტონი, ოუენი, ლუი ბლანი, ფრანკლინ განმანათლებლები, ანრი როშფორი, ბისმარკი, ვ. ჰიუგო, ლ. გამბეტა, ა. ბებელი და ბევრი სხვა).

აღნიშნული პრობლემები პერიოდულად შუქდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის ისეთ ორგანოებში, როგორებიც იყო: ჟურნალები „საქართველოს მოამბე" [1], „კრებული" [2], „მნათობი" [3], „მოამბე" [4], გაზეთები „დროება" [5], „ივერია" [6]

---

[1] ეს იყო რადიკალურ-დემოკრატიული, პროგრესული მიმართულების ლიტერატურულ-ისტორიული ორგანო, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ი. ჭავჭავაძე, გამოდიოდა 1863 წელს.

[2] გამოდიოდა 1872-73 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. წერეთელი. პროგრესული, საგანმანათლებლო-განმათავისუფლებელი მრწამსის მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი.

[3] გამოდიოდა 1869-72 წლებში. მისი რედაქტორი იყო ნ. აბელიშვილი. თავისი დროისათვის პროგრესული ლიტერატურულ-მეცნიერული ჟურნალი, რომელშიც ქართველი ხალხისნები (ა. ფერცელაძე, ს. მგალობლიშვილი, ნ. აბელიშვილი, გ. ქიქოძე) თანამშრომლობდნენ.

[4] გამოდიოდა 1894—1905 წლებში. მისი რედაქტორი იყო ალ. ყაზბეგი (დროებით ალ. ჯაბადარი). ეს იყო ლიბერალურ-პროგრესული ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი, რომელშიც თანამშრომლობდა ბევრი მაშინდელი გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე.

[5] მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, რომელიც 1866-85 წლებში გამოდიოდა. 1874 წლამდე ყოველკვირეული იყო. 1875-76 წლებში გამოდიოდა კვირაში სამჯერ. 1877 წლიდან — ყოველდღე. მისი რედაქტორები (დროგამოშვებით) იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული, საგანმანათლებლო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების მქონე ორგანო.

[6] პირველი „ივერია"—ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი — გამოდიოდა 1877-85 წლებში. მისი რედაქტორები იყვნენ ი. ჭავჭავაძე (1877-79), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი და ი. მაჩაბელი შემდეგ წლებში. მას წინათ „პირველი დასის" ორგანოს უწოდებდნენ. მან დიდი როლი შეასრულა ბატონყმობისა და ცარიზმის კოლონიური ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე „ივერია" გამოდიოდა 1886—1906 წლებში. რედაქტორები იყვნენ ი. ჭავჭავაძე (1886—1902) და ა. სარაჯიშვილი (1902-05); დროებითი რედაქტორები: გრ. ყიფშიძე, ვ. სულხანიშვილი და ფ. ვოვიჩაიშვი-

და „კვალი“ [1]. ცნობები ქვეყნდებოდა აგრეთვე ჟურნალებში „ჯეჯილში“ [2] და „მწყემსში“ [3], გაზეთ „ცნობის ფურცელში“ [4] და ზოგიერთ სხვა ორგანოში [5]. არ შეიძლება აქვე არ დავასახელოთ აგრეთვე ნ. ნიკოლაძის გაზეთი „Обзор“ და „Новое обозрение“ და „Тбилисский вестник“, რომლებშიც თანამშრომლობდნენ ქართული პროგრესული პუბლიცისტიკის ბევრი ცნობილი წარმომადგენელი. ამდენად ეს ორგანოებიც რამდენადმე გამოხატავდა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის სულისკვეთებას.

სხვადასხვა დროს ახალი ისტორიის ცალკეულ საკითხებს, უცხოეთის ქვეყნების საინტერესო ამბებს ქართული პრესის ფურცლებზე აშუქებდნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, ი. გოგებაშვილი, ა. ფურცელაძე, ბ. ჯაფარიძე, ი. ჯაბადარი, გ. მაიაშვილი, კ. ნაცვლიშვილი, ა. ფრონელი (ა. ყიფშიძე), ა. სარაჯიშვილი, კ. ნანეიშვილი, კ. მანსვეტაშვილი, პ. უმიკაშვილი (მ. პეტრიძე), გ. ლასხიშვილი, ი. აგლაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, ა. ჯორჯაძე, ი. გომართელი, რ. ფანცხავა, ფ. გოგიჩაშვილი, ხომლელი, თ. სახოკია, ი. მეუნარგია, ალ. სარაჯიშვილი, ლ. დარჩიაშვილი, ე. მჭედლიძე და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

საფრანგეთის ახალი ისტორიის საკითხები

დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოებიდან მოწინავე ქართული საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი

ლი. ეს იყო ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, რომელიც განაგრძობდა 1877-85 წლის „იენერის“ საუკეთესო ტრადიციებს და გაბედულად იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მის ენასა და კულტურას

[1] გამოდიოდა 1893 — 1904 წლებში; ყოველკვირეული პოლიტიკური, ლიტერატურული და მეცნიერული ილუსტრირებული გაზეთი, რომელიც „მესამე დასის“ ორგანოს წარმოადგენდა. მისი რედაქტორი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (ფაქტიურად იყო გ. წერეთელი სიკვდილამდე. დროებით ნ. ალექსიევ-მესხიშვილი).

[2] საბავშვო ჟურნალი, რომელიც ა. თუმანიშვილ-წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა 1890—1917 წლებში.

[3] სასულიერო ორგანო, რომელიც გამოდიოდა 1883—1910 წლებში, დ. ღამბაშიძის რედაქტორობით.

[4] გამოდიოდა 1896—1906 წლებში ვ. გუნიასა და ა. ჭყონიას რედაქტორობით.

[5] მაგალითად, გაზეთ „მუშაში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა.

საფრანგეთი იყო. იგი აშკარა სიმპათიით იყო განწყობილი ამ ქვეყნის მიმართ, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იქ მიმდინარე მშფოთვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამბებს და სისტემატურად აწვდიდა მათ შესახებ ცნობებს ქართველ მკითხველებს. საფრანგეთის წინა პლანზე დაყენება და მისი ახალი ისტორიის პრობლემებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. იგი ამ ორი, გეოგრაფიულად დაშორებული, მაგრამ დიდი კულტურისა და საინტერესო ისტორიის მქონე ქვეყნების ხანგრძლივი პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის მდიდარ ტრადიციებს ემყარებოდა და მთელი რიგი სხვა გარემოებებით იყო განპირობებული.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, შემდეგ კი მეთვრამეტე საუკუნეში თურქ-სპარსთა და ლეკთა გამაჩანაგებელი თავდასხმებისაგან თავის დაღწევისა და ქართველი ხალხის ეროვნული მეობის შენარჩუნების ერთ-ერთ შესაძლებელ გზად ქართლ-კახეთის მმართველი ზედაფენის ერთმა ჯგუფმა საფრანგეთთან კავშირი და მისი დახმარება მიიჩნია. დიდი ქართველი მწიგნობრის, პოლიტიკური მოღვაწის, მეცნიერ-დიპლომატის და პატრიოტის, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში (1713-14) და მისი ორი აუდიენცია ლუი მეთოთხმეტესთან, ამ მისწრაფების რეალიზაციის წარუმატებელი ცდა იყო. არც ერეკლე II-ის დროს შეწყვეტილა საფრანგეთთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირის დამყარების ცდები. რუსეთზე მტკიცე ორიენტაციის აღების შემდეგაც თბილისში დარჩნენ დასავლეთთან კავშირის მომხრენი. სასახლეში ხარბად ეწაფებოდნენ საფრანგეთის ამბებს, რასაც აწვდიდნენ კათოლიკე ბერ-მისიონერები. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროს, პლატონ იოსელიანის ცნობით, თბილისში სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული პარიზში დაწყებული რევოლუციით და ნაპოლეონის მომდევნო აღზევების ამბებით. თბილისში კარგად იცნობდნენ ვოლტერს. რომელსაც „ურწმუნოების მთესველის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი. რაც შეეხება ნაპოლეონს, პატრ ნიკოლას მეფე დაუჯერებია მის კარგ კათოლიკობასა და რწმენისადმი ერთგულებაში. ბატონიშვილი დავითი საფრანგეთში გამგზავრებაზეც კი ოცნებობდა და აღტაცებული ყოფილა ნაპოლეონით, რომელიც მაშინ პირველი კონსული იყო.

საფრანგეთის ახალმა მბრძანებელმა ნაპოლეონ ბონაპარტმაც, რომლის აღმოსავლურ პოლიტიკაში გარკვეული ადგილი ეკავა საქართველოს (მისი მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის გამო). სერიოზული დაინტერესება გამოიჩინა ამ ქვეყნის

მიმართ. როგორც ცნობილია, 1799 წელს ეგვიპტეში ყოფნის დროს მან სპეციალური წარმომადგენელი გაგზავნა საქართველოს უკანასკნელ მეფე გიორგი XII-თან, რომელიც ახალციხის ფაშამ შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. ჩვენ არ ვიცით ნაპოლეონის მიერ თბილისში გაგზავნილი წერილის შინაარსი, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, იგი შეიცავდა რუსეთისაგან განდგომისა და „მეგობრული კავშირის“ დამყარების წინადადებას. პროდასავლური ორიენტაციის ჰქონე ქართველი პოლიტიკოსები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ნაპოლეონის საქმიანობას ეგვიპტეში. ისინი არა თუ სიხარულით შეხვდნენ ნაპოლეონის წარმატებას, არამედ იმედოვნებდნენ, რომ ოსმალთა ბატონობის მოსალოდნელი დამხობა სიკეთეს მოუტანდა საქართველოს და შესაძლებლობას მისცემდა მას უკან დაებრუნებინა თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყალი (მესხეთი, აჭარა, სამცხე-საათაბაგო, ტაო-კლარჯეთი).

XVIII საუკუნის დამლევს ფრანგული კულტურა და ცხოვრების წესები მოწინავე ქართველთა სერიოზული დაინტერესებისა და მოწონების საგანს წარმოადგენდა. ი. ჯავახიშვილის თქმით, განათლებულ ქართველთა ინიციატივით ადგილი ჰქონდა საქართველოში ევროპული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მრეწველობის გადმონერგვის ცდებს. იმ დროს ფრანგ განმანათლებლებს მიმდევრებიც კი გაუჩნდნენ საქართველოში. კითხულობდნენ მონტესკიეს, ვოლტერს, რუსოს, ენციკლოპედისტებს (დიდრო, დალამბერი, ჰოლბახი). დავით ბატონიშვილმა თარგმნა „კანონთა არსი“. თბილისში ეცნობიან ფრანგულ თეატრს, ლიტერატურას, მუსიკას.

ინტერესი საფრანგეთის ისტორიისა და ფრანგული კულტურისადმი კიდევ უფრო გაიზარდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისის არისტოკრატიულ სახლებში გაჩნდნენ ფრანგი აღმზრდელი ქალები (გუვერნანტკები). განსწავლული ქართველები უფრო ხარბად დაეწაფნენ ჰუმანურ ფრანგულ ლიტერატურას. ითარგმნა ვოლტერისა და სხვა ფრანგ განმანათლებელთა ცალკეული ნაშრომები, გამოჩენილ ფრანგ რომანისტთა და პოეტთა ნაწარმოებები.

ფრანგი ხალხის გამოჩენილი შვილებიც სერიოზულ დაინტერესებას იჩენდნენ საქართველოს ყოფისა და ისტორიისადმი. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ცნობილი ფრანგი ორიენტალისტისა და დიპლომატის ფ. გამბას (1763—1833) ყოფნა საქართველოში (1820) და მისი საინტერესო ცნობები ამ ქვეყნის შესახებ; ფრანგი დიპლომატის ვ. ლეტელიეს მიერ (XIX საუკუნის 30-იან წლებში) ქართული ენის შესწავლა და ქართული კულტურის შეყვარება, ფრანგი ბოტანიკოსის ბელანჟესა (1825) და ფრანგი ისტორიკოსის

ჟ. დე ბერეს (1830) მოგზაურობა საქართველოში და სხვა ფაქ-ტები.

საქართველოსადმი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ აგრეთვე ვიქ-ტორ ჰიუგო, ფრანსუა შატობრიანი, სტენდალი და ონორე დე ბალ-ზაკი. ბალზაკი, რომელიც საქართველოს ყველაზე უფრო ლამაზ ქვეყნად თვლიდა, ოცნებობდა მოეწყო მოგზაურობა საქართველო-ში. საუბედუროდ დიდი მწერლის უდროო სიკვდილმა ფრთა შეაჭ-რა ამ ოცნებას.

1858 წელს საქართველოს ესტუმრა საქვეყნოდ ცნობილი ფრან-გი მწერალი, „სამი მუშკეტერის", „გრაფი მონტე-კრისტოსა" და სხვა რომანების ავტორი დიუმა-მამა. იგი აღტაცებული დარჩა სა-ქართველოში ნანახითა და გაგონილით, მოიხიბლა მისი ბუნებით, ადამიანებით, სტუმარ-მასპინძლობით. მან საქართველოს „ზღაპრუ-ლი ქვეყანა" უწოდა, ქართველ ხალხს კი საუცხოო, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და მებრძოლი. უკან დაბრუნების შემ-დეგ დიუმამ ამ მოგზაურობას მიუძღვნა წიგნი „კავკასია", რითაც ხელი შეუწყო საქართველოს შესახებ სწორი წარმოდგენის შექმნას საფრანგეთის მოსახლეობის ფართო წრეებში. ფრანგმა კომპოზი-ტორმა ჟაკ ოფენბახმა დაწერა ოპერა ბუფი (ოპერეტა) — „მშვე-ნიერი ქართველი ქალები", რომლის ლიბრეტოს საფუძვლად დაე-დო თამარ მეფის ცხოვრება. საქართველოს შესახებ საინტერესო ნაშრომები შექმნეს აგრეთვე (XIX ს-ში) ქ-მა კარლა სერენამ, დე ვილნევმა, ბარონმა დე დიელმახმა და სხვებმა.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის ქალიშვი-ლის სალომეს პრინც ანშილ-ნაპოლეონ მიურატისათვის ცოლად გა-ყოლა, მიურატის საქართველოში ჩამოსვლა, რასაც მოჰყვა სამეგრე-ლოში ფრანგული კულტურის შესანიშნავი კერის შექმნა, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, ფრანგი მეცნიერის პარი ბროსეს ფასდაუ-დებელი ქართველოლოგიური მოღვაწეობა. რომელმაც ფრანგ ხალხს გააცნო ქართველი ერის საინტერესო წარსული. საფრანგეთ-საქარ-თველოს ურთიერთ ინტერესისა და სიმპათიის მორიგი გამოხატვა-ლება იყო.

საფრანგეთის ისტორიისა და ყოფისადმი განსაკუთრებული დაინ-ტერესების ზემოაღნიშნულ კარგ ისტორიულ ტრადიციას სხვა გა-რემოებებიც ემატებოდა. ფ. ენგელსის თქმით, „საფრანგეთი ისეთ-ქვეყანა იყო,... რომლის ისტორიაში კლასების ბრძოლა მეტად, ვიდ-რე სადმე სხვაგან, ყოველთვის გადაწყვეტამდე მიიყვანებოდა. ამ-ტომ ცვალებადი პოლიტიკური ფორმები, რომელთა შიგნით ეს ბრძოლა წარმოებდა და რომლებშიც მისი შედეგები თავს იყრიდა...

ეკეთრეს ვამოხატულებაში ყალიბდებოდა“ [1]. „საფრანგეთი თავი-ი განვითარების თავისებურების ლოგიკურ-დიალექტიკური სელის ერთგული რჩება, — წერდა ფ. ენგელსი ჰერმან შლუტერს 1885 წლის 9 ოქტომბერს. — იქ არასოდეს არ აფუჩეჩებენ დიდხანს წინააღმდეგობას და იგი მუდამ ბრძოლით გადაიჭრება“ [2].

ძოწინავე ქართველ საზოგადოებას ხალხად ჰქონდა წარმოდგენილი საფრანგეთის განსაკუთრებული ადგილი როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში. მისი მდიდარი წარსული, დიდებული ისტორია. მშფოთვარე პოლიტიკური ცხოვრება და საკაცობრიო ჰუმანური კულტურა ქართველი ერის მოწინავე შვილებს განაწყობდა საფრანგეთის ყოფისა და ცხოვრებისადმი ღრმა პატივისცემით.

„ახალი დროის ისტორიაში ძნელად მოიძებნება სხვა სახელმწიფო, — წერდა გაზეთი „ეგერია“ (№ 5, 1877 წ.) წერილში — „საფრანგეთი“, — რომელსაც მიეწერებოდეს იმ რიგივე მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, როგორიც აქვს საფრანგეთს. არა ქვეყანას, არა ხალხს არ მიუზიდავს თავისაკენ იმოდენა თანაგრძნობა, იმოდენა სიყვარული, იმოდენა უნებური ყურადღება, როგორიც ამ სახელმწიფოს, მის წარმატებას, მის ყოველსავე წინ წადგომას მნიშვნელობა აქვს არაშც თუ მარტო თავის შინაობაში, არამედ თითქმის მთელს ევროპისათვის“.

გაზეთი არ კმაყოფილდება მოტანილი შეფასებით, აღნიშნავს საფრანგეთის წარსულს, ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კაცობრიულ მნიშვნელობას და დასძენს:

„საფრანგეთში საპოლიტიკო და საზოგადოებრივი ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია და უფრო განვითარებულია, ვიდრე სხვა ქვეყანაში“. ამიტომ ყველა მისკენ იცქირება და მას აქცევს ყურადღებას.

ასეთივე აზრია გატარებული ჟურნალ „მოამბის“ ერთ-ერთ წერილში საფრანგეთის შესახებ (1894, № 1); წერილის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს იმ დიდ მსხვერპლზე, რომელიც საფრანგეთმა გაიღო კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ჯვაროსნული ომიდან XIX საუკუნის დამლევამდე. ამ ბრძოლის პროცესში მან ძირეულად შეარყია მთელი ქვეყნიერების ჭკუა, გონება, ზნე-ჩვეულება, „კანონი“, იქადაგა ადამიანის თავისუფლება, ძმობა და სიყვარული, საფრანგეთმაო. — განაგრძობს შემდეგ ავტორი, — „თავისი მაღალ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, ფ. ენგელსის წინასიტყვაობა, თბ., 1956, გვ. 25.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 36, стр. 310—311.

აზრი, თავისი მუდმივი შინაური და გარეშე დარდი და ვარამი საზოგადო ქვეყნიერების დარდად და ვარამად გადაგვიქცია.

საფრანგეთისაგან გაღვიძებული ეროვნული თვითცნობა ისეთი კეთილი და მადლიანია, რომ იგი სრულებით არ უშლის იმ სანატრელ ღრმა აზრის განხორციელებას, რომელსაც ჩვენი კაცობრიობის ამურ ერთობას ვეძახით".

მაშასადამე, საფრანგეთი ამ მხრივ სანმუშო ქვეყანა იყო XIX საუკუნეში. პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის მეუფეურებს პირველ რიგში საფრანგეთისაკენ უნდა მიეპყროთ გულისყური, რათა ნათელი წარმოდგენა შეემუშავებინათ დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. საფუძვლიანად შეესწავლათ იქაური პოლიტიკური მეტამორფოზები, კლასობრივი ბრძოლა და მისი ხასიათი. ინტერესი კი ამ ამბების შესწავლისადმი საქართველოში თანდათან იზრდებოდა.

საფრანგეთი უაღრესად საინტერესო ისტორიული პროცესით. მდიდარი რევოლუციური ტრადიციებით, დიდ ფრანგ განმანათლებელთა მოძღვრებებით, უტოპიური სოციალიზმის მიმზიდველი თეორიებით და მისი პრაქტიკული განხორციელების ცდებით, გამოჩენილი ისტორიკოსებით, მსოფლიო მნიშვნელობის ჰუმანური ლიტერატურით, ფერწერის ოსტატებით და ხელოვნების სხვა ჟანრებით მომაჯადოებელ ზემოქმედებას ახდენდა მთელ ცივილიზებულ სამყაროზე. რა გასაკვირია, თუ ეროვნული ჩაგვრის უღელში მოქცეულ საქართველოს მოწინავე შვილებს საფრანგეთისაკენ მიეპყროთ თვალი, ხარბად დასწაფებოდნენ იქაურ ცოდნის უშრეტ წყაროს და ამ ქვეყნის ცხოვრების ბევრი მხარე მისაბაძი მაგალითისა და აღტაცების საგნად გაეხადათ. ქართველი მოაზროვნის გერონტი ქიქოძის თქმით, ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხის თაობის ქართველ ახალგაზრდობაში საფრანგეთის პრესტიჟი მეტად მაღალი იყო. ეროვნული და სოციალური პრობლემებით დაინტერესებული მაშინდელი ქართველი მოწინავე ახალთაობა დიდი სიხარულით მიილტვოდა საფრანგეთისაკენ. მასში ხედავდნენ ისინი ევროპული დემოკრატიის მედროშეს, პარიზში კი — მსოფლიო კულტურის აკვანსა და მექას. „ისინი პარიზის მუშათა გარეუბნებში ივლისისა და თებერვლის ბარიკადების რელიკვიებს ეძებდნენ", — წერს იგი თავის მოგონებებში, — „პერლაშეზის სასაფლაოს კედლებზე კომუნარების სისხლის ლაქებს ხედავდნენ. ხოლო პანთეონში ვოლტერისა და რუსოს სარკოფაგების წინ იჩოქებოდნენ".

ჩვენი ერის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, „XIX საუკუნის მეო-

რე ნახევრის ქართული დამოუკიდებელი აზრის გამოღვიძებისა და ეპოქის ფიქრთა მპყრობელი“ ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე, უფრო გვიან ი. მაჩაბელი, თ. სახოკია, ა. წერეთელი, ლ. დარჩია-შვილი და ბევრი სხვა აღნიშნულის გამო მიილტვოდა საფრანგეთისაკენ. ზოგი მათგანი წლობით ცხოვრობდა იქ, ეწაფებოდა იქაურ ცოდნას, ეცნობოდა მისი ხალხის ყოფას, ისტორიასა და კულტურას, უშუალო კონტაქტს ამყარებდა ამ ქვეყნის გამოჩენილ მოაზროვნეებთან, მწერლებთან. სახელმწიფო მოღვაწეებთან [1], საფრანგეთში მცხოვრებ რუს რევოლუციონერ ემიგრანტებთან. სხვები უფრო ხანმოკლედ რჩებოდნენ იქ, მაგრამ მაინც აბერხებდნენ ღრმად ჩაეხედათ პარიზის მშფოთვარე ცხოვრების სიღრმეში, გასცნობოდნენ მისი ხალხის რევოლუციურ ტრადიციებს, თავისუფლებისმოყვარე ხალხს, კულტურასა და ლიტერატურას, შეემუშავებინათ წარმოდგენა ამ ქვეყნის ეროვნულ თავისებურებასა და მეობაზე.

ეს გარემოებაც ხელს უწყობდა საფრანგეთისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღძვრას და სათანადო მასალების მრავალფეროვნებას პროგრესული ქართული პრესის ფურცლებზე.

საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ქართული პრესის მასალების დიდი უმეტესობა მოთავსებულია გაზეთებში: „დროება“, „ივერია“ და „კვალი“, ჟურნალებში: „კრებული“ და „მოამბე“. აღნიშნული მასალებით ძირითადად გაშუქებულია საფრანგეთის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები მეორე იმპერიის სამარცხვინო ფინალიდან XX საუკუნის დამდეგამდე. მაგრამ ზოგიერთი შორდება ამ ჩარჩოებს და ქართველი მკითხველი შეჰყავს იმ ამბების კურსში, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებასთან, ნაპოლეონის იმპერიასთან და მომდევნო ისტორიულ პროცესებთან. ამ ამბებს შორის, თქმა არ უნდა, ქართული პრესა უმთავრეს ყურადღებას აქცევს საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის აქტს და მის ისტორიულ შედეგებს, თუმცა მხედველობის გარეშე არ არის დატოვებული არც ნაპოლეონის ომები, 1830 წლის ივლისისა და 1848 წლის თებერვლის რევოლუციები, 1848 წლის ივნისის აჯანყება, 1852 წლის სახელმწიფო გადატრიალება და II იმპერიის შექმნა. XIX საუკუნის 70—90-იანი წლე-

---

[1] მაგ., ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რომელიც მეგობრობდა გერცენთან და რუს ემიგრანტ ხალხოსნებთან, ახლოს იცნობდა ლეონ გამბეტას, ანრი როშფორს, ლუი ბლანს, ვიქტორ ჰიუგოს, შარლ რიგოს, ალფონს დოდეს, პოლ ლაფარგსა და სხვებს. ასეთივე ნაცნობობა ჰქონდათ ღ. მიქელაძეს და ნაწილობრივ ს. მესხსაც.

ბის მოვლენებით აღსავსე საფრანგეთის ისტორიის ანალებიდან ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ყველაზე მეტი ყურადღება მიაქცია ისეთ ამბებს, როგორებიც იყო საფრანგეთი და მისი ადგილი ევროპაში, მისი კულტურის ჰუმანურ-დემოკრატიული ტრადიციების საკაცობრიო მნიშვნელობა, პარიზის ადგილი საფრანგეთის ცხოვრებასა და მსოფლიოში, საფრანგეთ-პრუსიის ომი და მისი შედეგები, 4 სექტემბრის რევოლუცია, პარიზის კომუნა, მესამე რესპუბლიკა და მისი კლასობრივი არსი, კლასობრივი ბრძოლა მესამე რესპუბლიკის შიგნით, მონარქისტები და რესპუბლიკელები, ბულანჟიზმი, სოციალისტური მოძრაობა, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა, კოლონიური დაპყრობები, დრეიფუსის საქმე და მისი არსი.

ბევრმა ქართველმა პუბლიცისტმა გამოთქვა თავისი მოსაზრება საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების შესახებ. მაგრამ განსაკუთრებული დამსახურება ამ მხრივ მაინც გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს, ყველაზე დიდ „დასავლეთელს“ ქართველ სამოციანელთა შორის — ნ. ნიკოლაძეს მიუძღვის. იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა საფრანგეთში და საფუძვლიანად სწავლობდა მის ცხოვრებას. ამან საშუალება მისცა მას ღრმად ჩასწვდომოდა საფრანგეთის ისტორიას და თანმიმდევრულად გაეშუქებინა იგი ქართული პრესის ფურცლებზე. საკმაოდ ბევრს წერდნენ ამ ქვეყნის შესახებ თავის კორესპონდენციებში 70-იანი წლების დასაწყისში იქ მყოფი დ. მიქელაძე და ს. მესხი.

მოწინავე ქართული პრესის ფალავნებმა (ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ) სათანადო კვალიფიკაცია მისცეს საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას და მის ადგილს როგორც ფრანგი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე მთელი ევროპის სახელმწიფოთა ისტორიულ განვითარებაში. მათ კარგად განჭვრიტეს მის მიერ მოხდენილი ძირეული გადატრიალების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა.

ცნობილ ნაშრომში „რამოდენიმე სიტყვა ერთი ძალზე ძველი საკითხის გამო“ ნ. ნიკოლაძემ აღნიშნული რევოლუცია შეაფასა როგორც ისტორიული კანონზომიერება და აუცილებლობა, საფრანგეთის წინამორბედი ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგი, იმ სოციალ-ეკონომიური და იდეოლოგიური პროცესების ლოგიკური ფინალი, რომლებიც წინ უძღოდა მას. იგი სწორ შეფასებას აძლევს რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარულ წყობას, წარმოების ხასიათს, წოდებათა ურთიერთობას, დიდ ფრანგ განმანათლებელთა დამსახურებას და „ძველი რეჟიმის“ მახინჯ მხარეებს, მშრომელი მასების განწყობილებას, საერთოდ, აღნიშნული რევო-

ლუციის მთელ კომპლექსს: მიზეზებს, მიმდინარეობას, ხასიათს, შედეგებს, იაკობინთა დიქტატურის კრახს, 9 თერმიდორის სახელმწიფო გადატრიალებას. ნ. ნიკოლაძე აშუქებს თანამიმდევრულად, რადიკალურ-დემოკრატიული თვალსაზრისით, ძირითადად მატერიალისტური მიდგომით.

ამასთან ერთად ნ. ნიკოლაძეს და გ. წერეთელს მხედველობიდან არ გამორჩენიათ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შეზღუდული ხასიათი. მართალია, მათი მართებული შეხედულებით, მან ფეოდალიზმი მოსპო და წარმოების კაპიტალისტური წესი დაამკვიდრა, მაგრამ მშრომელებისათვის ბევრი არაფერი გაუკეთებია: ექსპლუატაციის ერთი ფორმა შეცვალა მეორეთი, ხელუხლებლად დატოვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, მშრომელთა ჩაგვრა და უუფლებობა. მის შედეგად ახალი ექსპლუატატორული კლასი — ბურჟუაზია დაეუფლა მთელ ძალაუფლებასა და ეკონომიურ რესურსებს.

ისტორიული სინამდვილის შესაბამისი შეფასება მიეცა ქართულ პრესაში დირექტორიის მმართველობას, თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების აქტს და კონსულობის რეჟიმს, პირველი იმპერიის აღმოცენებას და ბონაპარტისტული ხელისუფლების კლასობრივ ხასიათს. მაგალითად, ნ. ნიკოლაძე ბონაპარტისტულ ხელისუფლებას უწოდებს კლასობრივ ხელისუფლებას, რომელსაც ზეკლასობრივი და ზოგადნაციონალური ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული. მისი თქმით, ნაპოლეონმა „...ლაგამი აუდგა რევოლუციას. ბოლო მოუღო ამ რევოლუციის მონაპოვართა დიდ ნაწილს, მაგრამ. რომელიც, ამასთან ერთად, ალაგმული რევოლუციის ძალებიო ებრძოდა ევროპის ძველ წესებსა და განწყობილებას". ჰაინესა და პუშკინის მსგავსად, ნაპოლეონში იგი ერთდროულად ხედავდა რევოლუციის „მკვლელსა" და „მემკვიდრეს". ნ. ნიკოლაძე იმაშიც კარგად გაერკვა, რომ ნაპოლეონი თავის დაპყრობითი ომებით (რომლითაც შეიცვალა მანამდელი იაკობინური სამართლიანი და განმათავისუფლებელი ომი) „ორმაგ მისიას" ასრულებდა ევროპის მეზობელ ქვეყნებში. ერთი მხრივ, იგი იპყრობდა და ძარცვავდა მათ, ართმევდა დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ კი, სპობდა იქ ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივ წესებს, ფეოდალურ სეპარატიზმს; ამკვიდრებდა მოწინავე ბურჟუაზიულ ურთიერთობას და ბიძგს აძლევდა ეროვნული გაერთიანების პროცესს. ამ ომებს, მისი აზრით, ჰქონდა დაპყრობითი-უსამართლო და პროგრესული ხასიათი, ერთ და იმავე დროს. ნაპოლეონის ომების ხასიათის ამგვარი შე-

ფასება ნ. ნიკოლაძის დიდ ალღოსა და დამკვირვებლობაზე ძიგვინიშნებს. ამ საკითხშიც მან ალღოთი მარქსისა და ენგელსის მსგავსი შეხედულება განავითარა.

სპორადულ ცნობებში რესტავრაციის, 1830 წლის ივლისის რევოლუციის, ივლისის მონარქიის, 1848 წლის თებერვლის რევოლუციისა და 1848 წლის ივნისის აჯანყების შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო ქართული პრესის ფურცლებზე, ჯეროვანი კვალიფიკაცია ეძლევა ამ მოვლენებსა და მათ ადგილს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ კარგად დაინახეს, რომ თუმცა 1830 და 1848 წლების რევოლუციები „მუშა ხალხმა“ მოახდინა, მაგრამ მათ ნაყოფს ორთავე შემთხვევაში ბურჟუაზია დაეუფლა, რომელმაც ეკონომიურადაც მოიგო და პოლიტიკურადაც. მშრომელი ხალხის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა და არც მისი უფლებები გაფართოებულა მნიშვნელოვნად.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლმა მოწინავე ქართულმა პრესამ მკაცრად დაჭვმო 1848 წლის ივნისის სისხლისღვრა პარიზში და წყევლა-კრულვით მოიხსენია მისი ორგანიზატორი საფრანგეთის ბურჟუაზია. ივნისის დღეებში პარიზის რევოლუციური პროლეტარიატის იარაღით გამოსვლას არსებული წყობილების წინააღმდეგ პრესა უწოდებს სამართლიან, სასიცოცხლო აუცილებლობით გამოწვეულ აქტს. გაბედულად ესარჩლება მას და თავის აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბურჟუაზიულმა მთავრობამ „ცხოვრების გაუმჯობესების მოთხოვნას“ სისხლისღვრით უპასუხა. ამ მხეცურმა შურისძიებამ, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — არა მარტო სისხლიდან დაცალა მშრომელები, არამედ გული აუყარა მათ რესპუბლიკაზე (რომელმაც კავენიაკებს მისცა ისინი საჟლეტად), ამან კი დაჩქარა რესპუბლიკის დამხობა ბონაპარტის მიერ.

საკმაოდ რელიეფურად გამოიკვეთა ქართული პრესის ფურცლებზე 1851 და 1852 წლების სახელმწიფო გადატრიალების აქტი, მეორე იმპერიის შექმნა, მისი კლასობრივი არსი და ნაპოლეონ მესამის ფიგურა. ნ. ნიკოლაძესთან ერთად აღნიშნულის თაობაზე თავიანთ მოსაზრება გამოთქვეს ი. ჭავჭავაძემ, დ. მიქელაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა და სხვებმა. მათი ნააზრევი საფრანგეთის ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ გამსჭვალულია ფრანგი მშრომელებისადმი წრფელი სიყვარულით და იმ სოციალური ძალებისადმი ზიზღით, რომლებმაც ძირი გამოუთხარეს რესპუბლიკას და საშუალება მისცეს „ძველ გამოქექილ ოინბაზსა და ავარას“ (მარქსი), „გენიოსი

ბიძის იდიოტ ძმისშვილს“ (ენგელსი)—ნაპოლეონ ბონაპარტს ხელთ ეკვდო იმპერატორის ტახტი. ფრანგი გლეხობის როლი ნაპოლეონის კამეფებაში, ნაპოლეონ მესამის მეფობა, მეორე იმპერიის კლასობრივი არსი და მისი მოსალოდნელი ფინალი მათ გააშუქეს ისტორიული სინამდვილის შესატყვისად, საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნით, თანმიმდევრული რადიკალ-დემოკრატიული პოზიციიდან. ჩვენ ახლაც შეგვიძლია მივიღოთ და გავიზიაროთ უმნიშვნელო კორექტივით ის შეფასება, რაც ნ. ნიკოლაძემ მისცა ნაპოლეონ მესამის ერთპიროვნულ დიქტატურას, მის ანტიბალხურ და ანტინაციონალურ ბუნებას, და იმ ავანტიურისტთა და მედროვეთა პარპაშს, რომლებიც გარს ერტყნენ იმპერატორს. აფასებს რა ნაპოლეონის მეფობას, ნ. ნიკოლაძე დაასკვნის: დიდად საშიშია და სამწუხარო ერის ბედისა და მომავლის ერთი კაცისათვის მინდობა.

საფრანგეთ-პრუსიის ომი ახალი ისტორიის ეპოქის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც წყალგამყოფის როლი შეასრულა როგორც საფრანგეთის ისტორიაში, ისე მთელი ევროპის პოლიტიკურ ურთიერთობაში.

ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ის ცხოველი გამოხმაურება, რაც ამ ომმა პოვა მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში. ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე და სხვა ავტორები გაზეთ „დროების“ ფურცლებზე სისტემატურად ათავსებდნენ ცნობებს ამ ომის შესახებ მისი აღმოცენების პირველი დღეებიდან მოკიდებული ფრანკფურტის ზავის დადებამდე. სათანადო მასალების ავტორები არ დაკმაყოფილდნენ ომის მსვლელობის მიმოხილვითა და სააგენტოთა საინფორმაციო ცნობების მოთავსებით და მკითხველებს აწვდიდნენ საკმაოდ ვრცელსა და ფაქტობრივად მდიდარ მიმოხილვებს ომის მიზეზების, ხასიათის, მეომარ მხარეთა სამხედრო-სტრატეგიული ოპერაციებისა და იმ საზოგადოებრივ ძალთა შესახებ, რომლებმაც ბიძგი მისცეს აღნიშნული ომის აღმოცენებას. სათანადო ნარკვევების ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ნაპოლეონ მესამისა და მისი სასახლის რეაქციული ელიტის პროვოკაციული როლი საფრანგეთ-პრუსიის ომის გაჩაღებაში. მათ, ამასთან ერთად, თავისი მიუზღვეს პრუსიელ მილიტარისტებს და რეაქციული პრუსიელობის ერთ-ერთ მთავარ მოთავეს ბისმარკს, რომლებმაც არანაკლები როლი შეასრულეს ამ მიმართულებით.

ნ. ნიკოლაძე და „დროების“ სხვა კორესპონდენტები კარგად გაერკვნენ მიმდინარე ომის დროს მომხდარ ცვლილებებში, ამ

ცვლილებების მიზეზებში და ყოველივე ამის შესახებ დამაჯერებლად გადასცეს დაინტერესებულ მკითხველებს. ომის ხასიათში მომხდარი ცვლილებები მის მეორე ეტაპზე — ცალკე საფრანგეთისათვის და ცალკე გერმანიისათვის მათ კონკრეტული მაგალითებით აქვთ არგუმენტირებული. მთელ რიგ დამარწმუნებელ გარემოებათა გათვალისწინებით წინასწარ ივარაუდეს საფრანგეთის დამარცხება გერმანელ-პრუსიელებთან ბრძოლაში. მათ შეძლეს მკაფიო ფერებში დაეხატათ ბაზენისა და მაკ-მაონის ტიპის უნიკო და პატრიოტულ გრძნობადაკარგულ ფრანგ გენერალთა სურათები, რათა მკითხველ მასას თვითონ გაეკეთებინა საჭირო დასკვნა: შეძლებდა თუ არა ასეთი სარდლების ხელში საფრანგეთის არმია ღირსეულად დაეცვა საფრანგეთის ღირსება და მისი მთლიანობა? გერმანიისათვის (რომლის ეროვნული გაერთიანება ეპოქის სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა, მეორე იმპერიის მმართველობა კი ხელს უშლიდა მას) ომს იმ ეტაპზე ობიექტურად პროგრესულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. მათ კარგად დაინახეს, რომ სედანის კატასტროფისა და 4 სექტემბრის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ბოლო მოუღო ნაპოლეონ III-ის ერთპიროვნულ დიქტატურას და სათავე დაუდო მესამე რესპუბლიკას, გერმანელ-პრუსიელი ოკუპანტები კი დაეუფლნენ საფრანგეთის პროვინციებს ელზასსა და ლორენს და ახალი ფრანგული ტერიტორიების ანექსიაზე აიღეს გეზი, უსამართლო ომი საფრანგეთის მხრივ იქცა სამართლიან, სამამულო ომად, გერმანია-პრუსიისათვის კი მიიღო უსამართლო-დაპყრობითი ომის ხასიათი. სამოქალაქო მოსახლეობის აქტიური გამოსვლა სამშობლოს დასაცავად და „თავისუფალ მსროლელთა“ („ფრანტირერთა“) რაზმების მასობრივად ჩაბმა ბრძოლაში (რის სათანადო მასალები მოტანილია ქართული პრესის ფურცლებზე) იმის მაჩვენებელი იყო, რომ ფრანგი ხალხისათვის ომი გადაიქცა განმათავისუფლებელ ომად.

ფრანგი ხალხის გმირობამ და მამაცობამ ვერ იხსნა რეაქციული წრეების მიერ გაყიდული საფრანგეთი. ახალმა რესპუბლიკურმა ხელისუფლებამ, როგორც კარგადაა ნაჩვენები ნ. ნიკოლაძისა და სხვა ავტორების წერილებში, მემკვიდრეობით მიიღო მშრომელი ხალხისადმი სიძულვილი, მხარი არ დაუჭირა სახალხო ბრძოლას საკუთარ მიწა-წყალზე მოთარეშე მტრის ძალების წინააღმდეგ. დროებითი „თავდაცვითი მთავრობა“, რომელსაც გაქნილი ტიერისა და მონარქისტი ტროშიუსდაგვარი პოლიტიკანები წარმართავდნენ, ეროვნული ღალატისა და მარცხის მთავრობა იყო. ამ მთავრობის ბუნებას შესანიშნავად აფასებს ნ. ნიკოლაძე, როცა წერს შემდეგს: „დროებითი მთავრობის გაიძვერა და უსინდისო პოლიტიკოსები

მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ შეეშალათ ხელი გამბეტა-სათვის, ან რა ძალა ეხმარათ პროლეტარული პარიზის წინააღმდეგ, როგორ ესიამოვნებინათ კაპიტალისტებისა და მედუქნეებისათვის ან როგორ შეეყვარებინათ თავი მონარქისტებისათვის“.

ფრანგი ხალხი ღრმა გულისტკივილით შეხვდა სამშობლოს ტერიტორიულ ამპუტაციას და ორი პროვინციის: ელზასისა და ლორენის ანექსიას გერმანიის მიერ. იგი არასოდეს არ შერიგებია ამ ფაქტს და მუდამ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დაებრუნებინა დედასამშობლოსათვის ეს მიტაცებული მიწები. არანაკლებ მტკივნეულად აღიქვა იგი თვითონ ელზასისა და ლორენის მოსახლეობამ — წარმოშობით და ენით გერმანულმა, მაგრამ ჰუმანური ფრანგული კულტურისა და მისი (მთელი რიგი რევოლუციებით დამკვიდრებული) დემოკრატიული სულის წყალობით საფრანგეთზე შეყვარებულმა და „გაფრანგებულმა“.

აღნიშნული განწყობილება შესანიშნავად გადმოსცეს თავიანთ წერილებსა და კორესპონდენციებში ი. ჭავჭავაძემ, ხ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, დ. მიქელაძემ. 1872 წელს საფრანგეთში მიმავალმა ნ. ნიკოლაძემ მატარებლით გაიარა ელზასი და ლორენი, რამაც საშუალება მისცა მას საკუთარი თვალით დაენახა იქ მომხდარი ძირეული ცვლილებები: გერმანელ-პრუსიელთა აუტანელი საოკუპაციო რეჟიმი, მოსახლეობის საყოველთაო წუხილი, ახალგაზრდობის მასობრივი ლტოლვა ემიგრაციაში წასასვლელად, დედასამშობლოდ ქცეულ საფრანგეთში დაბრუნებაზე ოცნება, ახალი რეჟიმისადმი შეურიგებლობა. ელზასისა და ლორენის დაკარგვით გამოწვეულ ფრანგი ხალხის სულიერ განწყობილებას კარგად გადმოსცემს ი. ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვები: „საფრანგეთი დიდის გულისტკივილით გაიყურება რეინისაკენ და გერმანიისაგან წართმეულს ელზას-ლოტარინგიას გასტირის. ჯერ ეს ზარალი ნივთიერი და მერე თავმოწონებული სითამამე საფრანგეთის ერისა, შეგინებული, დამარცხებული და დამცირებული ქვეყნის წინაშე სიამაყე ამაყის საფრანგეთისა, — ორივ ერთად წყლულსავით ჩაჰსდგომია გულში საფრანგეთს და მოსვენებას არ აძლევს“.

საფრანგეთ-პრუსიის ომის ამბების მთელი კომპლექსი მოწინავე ქართულმა პრესამ გააშუქა ფრანგი ხალხის მეგობრისა და კეთილმოსურნეს პოზიციიდან. მან გულისტკივილით აღიქვა მისი დროებითი მარცხი, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა და უსინდისო მმართველთაგან გაყიდვა. მაგრამ მანვე გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ამაყი, თავისუფლებისმოყვარე და ნიჭიერი ფრანგი ხალხი ახ-

ლო მომავალში შეძლებდა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას და ღირსეული ადგილის დაჭერას ევროპის კონტინენტზე.

საფრანგეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ოქტომბრამდელი პერიოდის ყველაზე დიდმა რევოლუციურმა აქტმა პარიზის კომუნამ, დიდი გამოძახილი პოვა საქართველოში. მისი მიზეზები, მიმდინარეობა, კლასობრივი ხასიათი, ბრძოლა კომუნართა რიგებში, მისი სავალალო ფინალი — „სისხლიანი კვირა" დამარცხების განმაპირობებელი ფაქტორები და ისტორიული მნიშვნელობა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის ცხოველი მსჯელობისა და შეფასების საგანი გახდა. ქართული პრესა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძუნწად იყო ინფორმირებული პარიზის კომუნის შესახებ, თანაც პერიოდულ ცნობებს მის შესახებ მტრულად განწყობილი ბურჟუაზიულ-რეაქციული წრეების წყაროებიდან იღებდა, მაინც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. პარიზის კომუნაში მან ალღოთი დიდი განმათავისუფლებელი, რევოლუციური აქტი დაინახა და ქართველ ახალგაზრდობას პარიზის კომუნის დიდებული ეპოპეის შესახებ მოუთხრო უანგარო მეგობრის, მისი „სიტყვისა და საქმის" თაყვანისმცემლის, რევოლუციური დემოკრატიზმის პლატფორმიდან. იგი მიესალმა პარიზის კომუნის აქტს, სიხარულით აღიქვა კომუნართა პირველი სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებები, ხაზგასმით აღნიშნა მათი დიდი რევოლუციური, პროგრესული მნიშვნელობა და საჯაროდ შეაჩვენა ვერსალის კონტრრევოლუციური ბანაკი და პრუსიელ-გერმანელი მილიტარისტები კომუნართა წინააღმდეგ სისხლიანი შეთქმულებისათვის. მან აღტაცება გამოთქვა „დიადი მიზნისათვის მებრძოლ" კომუნართა გმირობისა და თავდადების გამო და ღრმა გულისტკივილით შეეგება პარიზის კომუნის განადგურებას.

პარიზის კომუნის შესახებ ყველაზე უხვი და თანმიმდევრული ცნობები ქვეყნდებოდა გაზეთ „დროების" ფურცლებზე, მაგრამ კანტი-კუნტად მის შესახებ მასალები მოათავსეს სხვა გაზეთებმა და ჟურნალებმაც. ქართული პრესის გამოხმაურება არ შემოფარგლულა კომუნის აღმოცენებისა და მისი ჩახშობის ქრონოლოგიური ჩარჩოებით. ზოგიერთი ორგანო კელავ დაუბრუნდა ამ თემას სხვა საკითხებთან დაკავშირებით და ისევ მოუთხრო მკითხველებს მის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოხმაურების ზემოაღნიშნული შეფასება შემდგომშიც უცვლელი დარჩა და რაიმე არსებითი კორექტივი მასში არ შეტანილა.

ცნობილი ლექსი „1871 წელი, 23 მაისი" (კომუნის დაცემის დღე) ი. ჭავჭავაძემ უძღვნა პარიზის კომუნის ხსოვნას, დიდებული ჰიმნი

უმღერა მას და კომუნართა საბრძოლო დროშას „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა“ უწოდა. იგი ღრმა გულისტკივილით შეეგება ქვეყნის მჩაგვრელი ძალის მიერ ამ დროშის ძირს დაცემას, დიდი საქმის დამარცხებას და მასში ისტორიის კვლავ შეფერხება, განახლების ძალთა შეჩერება, გამარჯვებულ მტარვალთა დღესასწაული დაინახა [1].

წერილების სერიაში, რომელიც ნ. ნიკოლაძემ პარიზის კომუნის დიად ეპოპეას მიუძღვნა, ნათლადაა ასახული მშრომელთა სამართლიანი აღშფოთების ნიადაგზე აღმოცენებული დიდი რევოლუციური აქტი. მან აღტაცება გამოთქვა კომუნართა „უზენაესი გმირობის თვისებებით—მოკვდომის ცოდნით“ და „მართალი საქმისადმი“ არნახული თავდადებით. კომუნის გამოცხადებას მან ალეგორიულად მიძინებული ბუნების გამოღვიძება, განახლება და გამშვენიერება უწოდა. რამდენადაც სიხარულით აღიქვა მან კომუნის აღმოცენება, იმდენადვე უსაზღვრო გულისტკივილითა და აღშფოთებით შეხვდა იგი მის ჩახშობას ვერსალის სისხლიანი ჯალათების მიერ (პრუსიელ ოკუპანტთა ხელშეწყობით). მისი თქმით, ეს იყო საძაგლობა, უკუნი ღამის დადგომა, ბუსა და ღამის მეჯლისი. მას ღრმად სწამს, რომ „პატიოსან სწავლაზე“ აღმოცენებული გმირ კომუნართა საქმე, მისი სისხლში ჩახშობის მიუხედავად, საბოლოოდ არ დამარცხებულა და აუცილებლად გაიმარჯვებს მომავალში. იგი არა თუ ექომაგებოდა და მხარს უჭერდა კომუნართა საქმეს, არამედ მოუწოდებდა იმდროინდელ ქართველ ახალგაზრდებს მიეღოთ რევოლუციური გამოცდილება და იმათი ღირსი გამხდარიყვნენ, ვინც ამდენი მსხვერპლი გაიღო მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის.

ნარკვევების ნაწილი პარიზის კომუნის შესახებ, რომელიც „დროებაში“ იყო მოთავსებული, ეკუთვნოდა მის ერთ-ერთ რედაქტორსა და დამაარსებელს ს. მესხს. მათში მკაფიოდ გამოსქვივის ავტორის აღტაცება ამ დიდი რევოლუციური მოვლენის გამო. პარიზის კომუნას იგი მიიჩნევდა ლუკმპურის სურვილით წარმოშობილი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ დიდ აქტად, ჩაგრულთა მიერ მჩაგ-

---

[1] სამართლიანად სწერდა ილიას ამ ლექსის შესახებ ცნობილი რუსი მეცნიერი, ქართული კულტურის დიდი მეგობარი ვიქტორ გოლცევი: „Не только в Грузинской, но и в русской поэзии того времени не найдется другого стихотворения прославляющего с такой силой и ясностью мысли борцов Парижской Коммуны 1871 года“ (В. Гольцев, Грузинские деятели девятнадцатого века, М., 1948,стр. 57).

ვრელთა წინააღმდეგ გაშლილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის კონკრეტულ გამოვლენად. პარიზის კომუნის იდეების კვალი ნათლად ამჩნევია ს. მესხის სტატიებს „რა მოსპობს ქურდობას“ და „არსენა“. ორივე სტატიაში ის აზრია გატარებული, რომ სიღატაკეს, ქურდობას, მძარცველობას წარმოშობს მახინჯი სოციალური სისტემა, მშრომელთა ჩაგვრა და ექსპლუატაცია ექსპლუატატორების მიერ.

„გაანთავისუფლეთ ხალხი ყოველგვარი დამჩაგვრელი ძალისაგან, — წერს იგი, — ეცადეთ, რომ იმის ნაღვაწს სხვები არ ართმევდნენ“... და მაშინ ლუკმაპურის მოპოვების ნიადაგზე წარმოშობილ სისხლის ღვრასაც ბოლო მოეღება. წერილში „არსენა“ ს. მესხს მოაქვს თავის დროზე „დროებაში მოთავსებული ემიგრანტი კომუნარების წერილი კომუნის ჯალათებისადმი, რომელშიც ისინი წერდნენ: „იცოდეთ, ადრე თუ გვიან, ჩვენ თქვენზე ძლიერნი ვიქნებით და მაშინ საშინლად გადაგიხდით 1871 წლის სისხლისღვრისათვის, მოგკითხავთ თქვენ ანგარიშს მშრომელთა დახოცვისათვის“. ს. მესხი სრულ სოლიდარობას უცხადებს კომუნართა ამ შურისმაძიებელ განწყობილებას და ამით ერთხელ კიდევ მკაფიოდ ავლენს თავის საჯარო სიმპათიას კომუნის დიადი საქმისადმი.

პირველი ინტერნაციონალისა და მისი პირმშოს — პარიზის კომუნის შესახებ ქართველ მკითხველებს თავისი აზრი გაუზიარა აგრეთვე ცნობილმა სამოციანელმა ჟურნალისტმა დ. მაქელაძემ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ თავის კორესპონდენციებში[1]. ბევრი რამ გაიგო დ. მაქელაძემ პარიზის კომუნის შესახებ შვეიცარიაში მყოფი ემიგრანტი კომუნარებისაგან, რომლებსაც ხშირად ხვდებოდა და თანაუგრძნობდა. იგი კარგად გაერკვა იმ იდეურ კავშირში, რომელიც არსებობდა პარიზის კომუნასა და პირველ ინტერნაციონალს შორის. პარიზის კომუნას იგი მიიჩნევს კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური გზით დამხობის პირველ წარუმატებელ ცდად. მას ღრმად სწამს, რომ კომუნის დამარცხებისა და კომუნის მომხრეების სასტიკი დევნის მიუხედავად ევროპის ქვეყნებში კომუნის საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს. „ახალი სწავლების ბედი, — წერს იგი, — გადალახავს ყველა დაბრკოლებას, შემოიკრებს ახალ წევრებსა და ძალას და საბოლოოდ გაიმარჯვებს: სიმართლე თავის გზას იპოვნის“. თავისი მიუზღა მან კომუნართა ჯალათს, ქონდრის კაცს, რომელსაც „თავისუფლების ჯალათის“ სახელით ნათლავენ.

---

[1] იგი მაშინ საფრანგეთსა და შვეიცარიაში იყო და კორესპონდენციებს აგზავნიდა საქართველოში დ. ზურაბიშვილის ფსევდონიმით.

პარიზის კომუნის აქტს მხურვალედ გამოეხმაურნენ და მისი რევოლუციური იდეების გავლენა განიცადეს ა. წერეთელმა, ა. ფურცელაძემ, ნ. ლომოურმა, ჭალადიდელმა, ი. ჯაბადარმა, გ. მაიაშვილმა და სხვებმა. ნ. ნიკოლაძის სარწმუნო ცნობით, ა. წერეთელმა თავისი ცნობილი ლექსი „ციცინათელა“ პარიზის კომუნის დაცემას მიუძღვნა.

თქმა არ უნდა, პარიზის კომუნის ამბებისადმი ქართული პრესის გამოხმაურებას ჰქონდა ჩრდილოვანი მხარეებიც. ყველა მისი ასპექტი არ იყო გაშუქებული ერთნაირი სიღრმითა და ისტორიული თანმიმდევრობით. ყველამ როდი შეძლო ჩაწვდენილიყო პარიზის კომუნის კლასობრივ არსში და მკაფიოდ წარმოეჩინა მის მიზანდასახულობათა და სოციალ-ეკონომიურ ღონისძიებათა სიდიადე. მაგრამ ეს იყო „ეპოქის ნაკლი“ და ამისათვის მსჯავრს ვერ დავდებთ ჩვენს სახელოვან წინამორბედებს. მაშინ თვით კომუნარებსაც კი არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა იმ საქმის სიდიადის შესახებ, რასაც ისინი აკეთებდნენ. „კომუნა არ ესმოდათ იმათ, ვინც მას ჰქმნიდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ისინი ქმნიდნენ გამოფხიზლებული მასების გენიალური ალღოს მეშვეობით და საფრანგეთის სოციალისტების არც ერთ ფრაქციას შეგნებული არ ჰქონდა, თუ რას აკეთებდა იგი“ [1].

„ისტორიული დამსახურება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“ [2]. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოხმაურებას პარიზის კომუნის ამბებზე, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ იგი უპასუხებდა ეპოქის მოთხოვნებს და ავლენდა აზრის მაღალ დონეს.

მესამე რესპუბლიკა, რომელიც 1870 წლის 4 სექტემბერს გამოცხადდა და პარიზის კომუნის ჩახშობის შემდეგ დამკვიდრდა საფრანგეთში, მისი კონსტიტუცია, მმართველობის წესი, ბრძოლა მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს, მშრომელებსა და ექსპლუატატორთა კლასებს შორის, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა და კოლონიური დაპყრობები, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება ფართოდ გაშუქდა იმდროინდელი ქართული პერიოდული ორგანოების ფურცლებზე.

ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე და სხვა ქართ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 145.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ, ტ. 2, გვ. 217.

ველი მოაზროვნეები, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, სიყვარულით და სიმპათიით არიან განწყობილი საფრანგეთისადმი[1]. ფრანგი ხალხი, მათი შეფასებით, „უსაყვარლესი და უბედნიერესი ხალხია მთელ ევროპაში, რომლის ცხოვრება და საზოგადოებრივი განწყობილება სამაგალითოა".

მათ წარმოდგენაში ფრანგი ხალხი იყო „მოძრავი, წარმატების მოსურნე და მუდამ კაცობრიობის სიკეთისათვის მებრძოლი, კეთილშობილი, თავისუფლებისმოყვარე, კაცობრიული გრძნობებით გამსჭვალული და თავგანწირვის უნარის მქონე". საფრანგეთში ჩასული ქართველი ახალთაობა ხარბად ეწაფებოდა ყოველივე კარგსა და ახალს, რასაც საფრანგეთში ხედავდა და ეცნობოდა. მათ სურდათ ღრმად ჩაწვდენა ფრანგი ხალხის ცხოვრების სიღრმეში, შესწავლა ყოველივე იმისა, რაც მისაბაძი და სანიმუშო იყო. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ საფრანგეთის პოლიტიკურ წყობასა და ფრანგი ხალხის ცხოვრებაში შეემჩნიათ შავი ლაქები, მრავალი უარყოფითი მხარეები და დაუფარავად მოეთხროთ მათ შესახებ ქართველი მკითხველისათვის. საფრანგეთისადმი გულწრფელი სიყვარულისა და ფრანგი ხალხის მიღწევებით გამოწვეული აღტაცების მიუხედავად, მათმა მახვილმა თვალმა კარგად დაინახა მესამე რესპუბლიკის მრავალი მანკიერი მხარე: ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმალური ხასიათი და სახელმწიფო ხელისუფლების ბურჟუაზიისა და სხვა ექსპლუატატორული ჯგუფების ხელში მოქცევა, სახალხო დოვლათის შემქმნელთა — სოფლისა და ქალაქის მშრომელთა დუხჭირი ცხოვრება და უუფლებობა, მსხობრივი უმუშევრობა, მმართველი ელიტის გახრწნა, მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნის აბუჩად აგდება, იძულების ყველა საშუალების ღარიბ-ღატაკთა „ურჩობის" ჩასახშობად გამოყენება და სხვ.

ი. ჭავჭავაძე კარგად აკვირდება რა პოლიტიკური ცხოვრების მშფოთვარე დინებასა და პოლიტიკური ბრძოლის სიმწვავეს საფრანგეთის რესპუბლიკაში, მის საფუძველს, სავსებით სამართლიანად, ეკონომიური საკითხის სიმწვავესა და ქონებრივი უთანასწორობის ზრდაში ხედავს. „საფრანგეთის შინაური განწყობა, — წერს იგი, —

---

[1] ევროპაში იყო კიდევ ერთი პატარა ქვეყანა — შვეიცარიის რესპუბლიკა, რომლის პოლიტიკური წყობა და ცხოვრება სანიმუშოდ მიაჩნდათ მათ. „საყვარელი და უბედნიერესი ერი, განათლებული, ლაღი და მხიარული", — წერდნენ ამ ქვეყნის შესახებ ს. მესხი და დ. მიქელაძე. რა ბედნიერი ვიქნებით ჩვენ ქართველები, რომ შევძლებდეთ ისეთი ცხოვრება შეექმნათ საქართველოში, როგორითაც ცხოვრობენ თავიანთ ქვეყანაში ბედნიერი შვეიცარიელები".

მოუწესრიგებელია. ეკონომიური წესწყობილების ცვლილებათა საჭიროების ხანა დამდგარია და ამას მოსახლეობის დიდი ნაწილი მკვეთრად გრძნობს. მშრომელები იმიტომ იბრძვიან ასე მედგრად, რომ მძიმე და სავალალოა მათი ცხოვრება, მათი ეკონომიური პირობები ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს".

„სარჩო-საბადებელი მუშებისათვის საფრანგეთშიაც ადვილი საშოვარი არ არის,—წერდა ილია 1886 წელს.—ამ მხრითაც შინაური განწყობილება საფრანგეთისა, რომელსაც აუარებელი უსახლკარო, უბინაო მუშა ჰყავს, ბევრს ავს მოაქსწავებს..." ამ გარემოებას იგი საფრანგეთის მწვავე ტკივილს უწოდებს და დასძენს: მესამე რესპუბლიკის მთავრობამ, რომელსაც მშრომელები მხარს უჭერენ, არაფერი გააკეთა ამ ტკივილის გასაყუჩებლად, მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მდიდართა თავგასულობის ასალაგმავად.

ნ. ნიკოლაძემ სტატიებში „პ. ჟ. პრუდონი", „ლუი ბლანი და გამბეტა", „საფრანგეთი", „საფრანგეთის საქმეებზე" (და ბევრ სხვა წერილში) რელიეფურად გამოძერწა მესამე რესპუბლიკის პოლიტიკური სახე და დამაჯერებლად წარმოაჩინა მისი ცხოვრების სიმახინჯეები. მან შეძლო ნათლად ეჩვენებინა აღნიშნული რესპუბლიკის შიგნით მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის მამოძრავებელი ძალები, კაპიტალისტებსა და მუშათა კლასს, გლეხობასა და მემამულეებს' შორის ინტერესთა სრული შეურიგებლობა და ხელისუფლების ექსპლუატატორული ბუნება. 1875 წლის კონსტიტუციის შეფასებისას, მან პირველ ყოვლისა ყურადღება გაამახვილა მის კლასობრივად შეზღუდულ ხასიათზე. მან მართებულად აღნიშნა, რომ მასში ფიქსირებული დემოკრატიული უფლებები არაფრით არის გარანტირებული მშრომელებისათვის და უბრალო ფიქციას წარმოადგენენო — კონსტიტუციამ მშრომელებს არ მიანიჭა „შრომის სუფევის", განათლებისა და დასვენების უფლება, არ გაითვალისწინა შრომის კანონმდებლობის გაფართოება და სხვ. საერთოდ, ნ. ნიკოლაძის თქმით, მესამე რესპუბლიკას და მის მმართველებს, რომლებიც „ბურჟუათა" ინტერესებს იცავდნენ, არაფერი ჰქონდათ დასაკვეხი მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

1875 წელს ნ. ნიკოლაძემ პარიზში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ბროშურა „La presse de la décadence". რომელშიც მან საფუძვლიანად მიმოიხილა საფრანგეთის პრესა და ამხილა მისი მანკიერებანი. ეს პრესა, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, ხალხის ფართო მასების სამსახურისა და მისთვის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ სწორი ცნობების მიწოდების ნაცვლად, მთავრობისა და

მმართველი კლასების დაკვეთას ასრულებს, ყველა ჯურის ავანტიურისტების მოსყიდვის ობიექტი და დეზინფორმაციის წყარო გახდა. მაგრამ ნ. ნიკოლაძის აღნიშნული ბროშურა, რომელმაც ფრანგული პუბლიცისტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა, მარტო პრესის შეფასებით არ იფარგლება. მესამე რესპუბლიკის პრესის სიავკარგის საკითხზე გამოტანით მან ფარდა ახადა თვით რესპუბლიკური ხელისუფლების კლასობრივ არსს და ყველას დაანახვა მისი ანტიხალხური დანიშნულება. საფრანგეთის რესპუბლიკას იგი უწოდებს „ვითომ რესპუბლიკას", რადგან მას ისევ საფრანგეთის გამძარცველები და მისი დამღუპველი პირები, „სედანის კატასტროფის ორგანიზატორები" უდგანან სათავეში. ისინი თითქოს ხალხის სახელით მოქმედებენ, მაგრამ, ნ. ნიკოლაძის თქმით, აბუჩად იგდებენ მას და მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ.

ს. მესხი, დ. მიქელაძე, გ. წერეთელი, ლ. დარჩიაშვილი, ა. ფრონელი ი. ჭავჭავაძესთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად ინტერესით მოუთხრობენ მკითხველებს როგორც საფრანგეთის ცხოვრების წარმტაც ფურცლებზე. ისე მათ მიერ შენიშნულ ყველა ჩრდილოვან მხარეებსა და ნაკლოვანებებზე. ისინი ულმობელი სარკაზმით უმასპინძლდებიან ტიერის, ბაზენის, მაკ-მაონის ტიპის პოლიტიკანებსა და სალდაფონებს, სათანადო მეტსახელებით ამკობენ მათ და მიუთითებენ ამ დიდ ვნებაზე. რაც მათ მიაყენეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, მშრომელ ხალხს. ისინი გულისტკივილით აღნიშნავენ ამ ფაქტს და გულწრფელად ღანაუგრძნობენ ფრანგ ხალხს, რომელსაც ბედმა არგუნა ასეთი ვაიწირისუფლების „მეურვეობა".

ისინიც არაერთხელ აღნიშნავენ საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ცუდ მდგომარეობას: საზოგადოებრივ ანტაგონიზმს, მოსახლეობის დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად, ღარიბ-ღატაკთა აუტანელ ყოფას, ექსპლუატატორული ფენების ფუფუნებასა და პარპაშს მშრომელთა ხარჯზე. რესპუბლიკის ხელისუფალთა (და სათანადო ინსტიტუტების) ექსპლუატატორულ ბუნებას. მშრომელებს ხშირად სარჩო-საბადებელი და ღამის გასათევი არ გააჩნიათ. შიმშილობენ. მათი მჩაგვრელები კი ფუფუნებასა და განცხრომაში ატარებენ დროს, ძალა და ხელისუფლებაც იმათია, ვინც მდიდარია და მძარცველი,—წერენ ისინი. ასეთ მოუწყობელ სოციალურ გარემოში მათ სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ მძაფრი კლასობრივი ბრძოლა და მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები. „საფრანგეთის ისტორიაში, — წერს ს. მესხი, — ყოველთვის რევოლუციის შემდეგ, როცა მოქანცული, დაღლილი ხალხი რომე-

ლიმე ერთ პარტიას მიენდობა და იმას ჩააბარებს თავის ბედს და თავისი ქვეყნის მმართველობას, ეს პარტია თითქმის იმნაირათვე იწყებს მოქმედებას, იმნაირათვე ართმევს ხალხს თავისუფლებას, რომლისთვისაც იმან იმდენი სისხლი დაღვარა, როგორც წინანდელი, გადაგდებული მმართველობა, ერთი სიტყვით, რევოლუციის შემდეგ ჯერჯერობით, თითქმის მუდამ რეაქციის უკან დაბრუნება, ძველი წესების განახლება და ისევ ხალხის შევიწროება იწყება".

საერთოდ აღნიშნული საკითხის მთელი კომპლექსი ქართულ პრესაში გაშუქდა მებრძოლი დემოკრატიზმისა და ანტიკაპიტალიზმის პოზიციებიდან. მშრომელთა გამოსარჩლება, მათი სამართლიანი რევოლუციური ბრძოლის მხარდაჭერა, ექსპლუატატორული წრეების სიხარბისა და უხეში ეგოიზმის დაგმობა, მესამე რესპუბლიკის მმართველთა მოჩვენებითი დემოკრატიზმისა და ბურჟუაზიული კანონმდებლობის ანტიხალხური ბუნების მხილება, ქვეყნისა და მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლ მოწინავე პიროვნებათა ქება-დიდებით მოხსენიება და ტიერის ტიპის გარეწართა მიმართ აშკარა ზიზღის გამოხატვა, წითელი ზოლივით გასდევს სათანადო გამოხმაურებას.

მესამე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ძალზე რთული და მრავალფეროვანი იყო. იგი მარტო მდიდრებსა და ღარიბებს შორის მწვავე კლასობრივი ბრძოლით არ ამოიწურებოდა. არანაკლებ მწვავე და გაჭიანურებული ხასიათი ჰქონდა ბრძოლას რეაქციულ ბანაკსა და დემოკრატიის ძალებს, მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს, მშვიდობის მომხრეებსა და მილიტარისტულ წრეებს, კოლონიური დაპყრობების მოტრფიალეებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის. ქართული პროგრესული პრესის მესვეურებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ეს გარემოება და მათ შესახებაც საინტერესო ცნობები მიაწოდეს მკითხველებს.

განსაკუთრებით ვრცლად და თანამიმდევრულად შუქდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის წარმოებული ბრძოლა მომავალი სახელმწიფო ფორმის თაობაზე. მართალია, 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლუციამ რესპუბლიკა დაამყარა საფრანგეთში, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი კონსტიტუცია და გაურკვეველი იყო, თუ რა ფორმის სახელმწიფო დამკვიდრდებოდა საფრანგეთში: რესპუბლიკა თუ მონარქია. 1875 წლის კომპრომისული კონსტიტუციის მიღების შემდეგაც კი (თუმცა მან არისტოკრატიულ-კონსერვატიული რესპუბლიკა დაამკვიდრა საფრანგეთში) არ შეწყვეტილა მძაფრი ბრძოლა მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს შორის. ბულანჟიზმი,

პანამისა და დრეიფუსის საქმე ამ ძაფრი ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპები და გამოხატულება იყო.

აღნიშნული ამბების გაშუქების დროსაც ჩვენს პრესას ნათელი პოზიცია უკავია. იგი მხარს უჭერს რესპუბლიკას, გმობს მონარქიას, ექომაგება რესპუბლიკელებს, ამხელს რეაქციონერ მონარქისტთა და კლერიკალთა ბნელ გეგმებს და მეგობრულადაა განწყობილი ფრანგი მშრომელებისადმი, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ მონარქიის რესტავრაციის ცდების წინააღმდეგ. მონარქიის რესტავრაციის არაერთი ცდის წარუმატებლობის ძირითად მიზეზად ნ. ნიკოლაძეს, ს. მესხს, დ. მიქელაძეს და სხვა ავტორებს, სავსებით სამართლიანად მიაჩნდათ არა მონარქისტთა რიგებში არსებული კინკლაობა (ლეგიტიმისტებს, ორლეანისტებსა და ბონაპარტისტებს შორის), არამედ მოსახლეობის ფართო ფენების შეურიგებლობა მონარქიის რესტავრაციის გეგმებისადმი და მათ რიგებში დამკვიდრებული ანტიმონარქისტული სულისკვეთება.

რეაქციისა და მონარქიის ძალების კონცენტრირებულ იერიშებს რესპუბლიკის, მისი ინსტიტუტებისა და მასების მიერ სისხლით მოპოვებული ზოგიერთი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მონაპოვარის წინააღმდეგ 1875 წლის შემდეგაც ბევრჯერ ჰქონდა ადგილი საფრანგეთში. მაგალითად, მაკ-მაონის პრეზიდენტობის წლებში ბულანჟიზმის დროს და დრეიფუსის საქმის პროცესში. სამივე ცდა წარუმატებელი იყო, არა თუ მოიგერიეს ეს იერიშები, არამედ აიძულეს მესამე რესპუბლიკის მესვეურები გაეტარებინათ ზოგიერთი ანტიკლერიკალური ღონისძიება (მაგ., იეზუიტთა ორდენის საქმიანობის აკრძალვა), მოეხდინათ პარიზის კომუნის მონაწილეთა საყოველთაო ამნისტია, დაეშვათ პროფკავშირების სრული ლეგალიზაცია, გაეფართოებინათ სახალხო განათლების ქსელი და ა. შ. საფრანგეთის შინაპოლიტიკური ცხოვრების ეს საინტერესო ამბები საკმაოდ დეტალურად გაშუქდა ქართული პრესის ფურცლებზე. იგი მიესალმა რეაქციის იარაღის, სალდაფონისა და კომუნის ჯალათის მაკ-მაონის სამარცხვინო გადადგომას 1879 წელს. სათანადო მიუზღა ამ რეაქციონერ სამხედრო-პოლიტიკურ ფიგურას და, მართებულად შეაფასა რა ფრანგი ხალხის განწყობილება, დაასკვნა: მაკ-მაონებს მომავალშიც ასე მოელის, მონარქიისა და გენერლის დიქტატურას საფრანგეთში საფუძველი გამოცლილი აქვს. თითქმის ყველამ, ვინც პრესას მიაწოდა ცნობები ბულანჟიზმის შესახებ. მართებული კვალიფიკაცია მისცა ამ პოლიტიკურ ძოვლენას. გენერალი ბულანჟე გარკვეული სოციალური წრეების წარმომადგენელად, რეაქციული წრეების იარაღად, დემაგოგად, იაფფასიანი პოპულარობის მოპოვე-

ბის უპრინციპო ოსტატად, ავანტიურისტად და კარიერისტად მონათლა. იგი კმაყოფილებით შეხვდა ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ ბულანჟესათვის ზურგის შექცევას და ამ თვითმარქვია გენერლის დროებითი პოპულარობისათვის ჯვარის დასმას, რასაც მოჰყვა მისი კარიერის სამრცხვინო კრახი.

იგივე უნდა ითქვას იმ ცნობების შესახებაც, რომლებიც მიეძღვნა დრეიფუსის საქვეყნოდ გახმაურებულ საქმეს 1894—1900 წლებში. მოწინავე ქართული პრესა არ დაკმაყოფილდა მარტო დრეიფუსის საქმის მსვლელობის გადმოცემით და შეეცადა მკითხველი მასა შეეყვანა ამ საქმის სიღრმეში, საფუძვლიანად გაერკვია იგი მის სოციალურ-პოლიტიკურ არსში. ამიტომ იყო, რომ სათანადო სტატიების ავტორები ჯეროვან შეფასებას აძლევდნენ იმ საზოგადოებრივ ძალებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც იდგნენ დრეიფუსართა და ანტიდრეიფუსართა ბანაკებში. მათ ამხილეს ის მილიტარისტული ზედაფენა, კლერიკალური და მონარქისტული ჯგუფები, რომელთაც გააჩაღეს ანტისემიტური კამპანია, შეეცადნენ აემხედრებინათ მოსახლეობა რესპუბლიკის წინააღმდეგ და გამოეყენებინათ დრეიფუსის საქმე რესპუბლიკური წყობილების დასამხობად. ნათლად გამოკვეთა ქართულმა პრესამ დრეიფუსართა ბანაკში გაერთიანებული პროგრესული საზოგადოებრივი ძალების პოზიცია და სილუეტები, თანაც სიყვარულით მოუთხრო მკითხველებს ემილ ზოლას, ოქტავ მირბოს, ანატოლ ფრანსის, ჟორესისა და ფრანგული დემოკრატიული ინტელიგენციის სხვა ბრწყინვალე წარმომადგენელთა მოღვაწეობაზე, რომელთაც ნიღაბი ჩამოხსნეს რეაქციის მაქინაციებს და ამხილეს მათი ბნელი გეგმები.

ვრცლად აისახა ქართულ პრესაში მესამე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა საერთოდ, კერძოდ კი ევროპის კონტინენტის ფარგლებში. დადებითად შეფასდა საფრანგეთის დიპლომატიის პირველი ღონისძიებები ქვეყნის საერთაშორისო პოზიციის ასამაღლებლად და გერმანიის მხრივ ახალი საომარი მუქარის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ სულ სხვაგვარი რეაქცია პოვა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრამ და გამალებულმა შეიარაღებამ, რომლის ლოგიკური შედეგი იყო სამხედრო ბიუჯეტის ზრდა და მოსახლეობის ფართო ფენების საგადასახადო ტვირთის შემდგომი გადიდება. ქართული პრესა მიესალმა საფრანგეთში გაშლილ მოძრაობას მილიტარიზმისა და ომისათვის მზადების წინააღმდეგ, რომელსაც წარმართავდნენ პროგრესული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები—ჟორესი და სხვა სოციალისტ-პაციფისტები.

არანაკლები ყურადღებით მოეკიდა ქართული პერიოდიკა საფ-

რანგეთის კოლონიურ აქტივობას აზიასა და აფრიკაში. მან ყურადღების გარეშე არ დატოვა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი კოლონიური ომი, რასაც ეწეოდა საფრანგეთის მხედრიონი ამ კონტინენტებზე, და არც ის კონფლიქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საფრანგეთსა და სხვა დიდ მტაცებლებს შორის „კოლონიური ნადავლის“ გაყოფის ნიადაგზე. იგი არ დაკმაყოფილდა მარტო საფრანგეთის კოლონიური დაპყრობების კონკრეტული ფაქტების დასახელებით და სათანადო შეფასება მისცა ყოველ მათგანს.

ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, დ. მიქელაძემ, ა. ფრონელმა, ა. სარაჯიშვილმა და სხვა ქართველმა პუბლიცისტებმა თავიანთ ნარკვევებში დამაჯერებლად აჩვენეს მესამე რესპუბლიკის მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკის ანტინაციონალური და ანტიხალხური ხასიათი. საფრანგეთის დიდებას, — წერენ ისინი, — მის ნაციონალურ ინტერესებს არ ესაჭიროება ზღვის იქითა ტერიტორიების დაპყრობა და მკვიდრი მოსახლეობის დამონება. ყოველი კოლონიური ექსპედიცია მხოლოდ საგადასახადო და სამხედრო ბეგარის ტვირთს მატებს საფრანგეთის მოსახლეობის ფართო ფენებს და სიკეთის ნაცვლად მხოლოდ ვნება და ზარალი მოაქვს მათთვის. ისინი ისტორიული ჭეშმარიტების შესაბამისად მიუთითებდნენ იმ საზოგადოებრივ ძალებზე, რომლებიც ბიძგს აძლევდნენ და წარმართავდნენ საფრანგეთის კოლონიურ ავანტიურებს. ესენი იყვნენ სხვადასხვა კოლონიზატორული საზოგადოებები, მილიტარისტული წრეები, ფინანსისტ-მევახშეები, ბურჟუა-კაპიტალისტები და ყველა ჯურის იოლი გამდიდრების მაძიებელი ავანტიურისტები. მათ კარგად შენიშნეს, რომ აქტიური კოლონიური პოლიტიკის წარმოება არყევდა საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციებს და ზიანს აყენებდა მის პრესტიჟს. იგი მრავალი კონფლიქტისა და სერიოზული გართულებების წყარო ხდებოდა. მის ნიადაგზე არაერთხელ იდგა საფრანგეთი აშკარა ომის ზღურბლზე — ხან იტალიასთან, ხან ინგლისსა და გერმანიასთან.

ი. ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე, რომლებიც შესანიშნავად ერკვეოდნენ ბისმარკის დიპლომატიის ვერაგულ ნაბიჯებში, მიუთითებდნენ, რომ მან შეგნებულად შეუწყო ხელი საფრანგეთს ტუნისის დაპყრობაში. ამით იგი ლამობდა ერთდროულად, ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ერთი სროლით ორი კურდღელი მოეკლა“: საფრანგეთი ტუნისში „დაეკავებინა“ და რაინის საზღვარი დაეცალებინა, თანაც წაეკიდებინა საფრანგეთი იტალიასთან. რომელიც თვითონ ფიქრობდა ტუნისის დაპყრობას. ასეთივე შეფასება მიეცა ქართულ პრე-

საში ე. წ. „ფაშოდის კონფლიქტს“, როცა ინგლისის დამსჯელი ექსპედიცია კიტჩენერის სარდლობით და საფრანგეთის რაზმი მარშანის ხელმძღვანელობით ერთმანეთს შეხვდნენ სუდანის ტერიტორიაზე, ნილოსის ნაპირას მდებარე პატარა დაბა ფაშოდასთან (1898). ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებმაც ვრცლად გააშუქეს ეს კონფლიქტი, მაშინ გულისტკივილით წერდნენ: მესამე რეს-პუბლიკის ხელმძღვანელებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ინგლისიც კი გადაიმტერეს და ეს მაშინ, როცა გერმანიის მხრივ მუქარა თუ გაიზარდა, თორემ არ შემცირებულაო.

ქართულმა პრესამ ყურადღება მიაქცია საფრანგეთის კოლონიური წრეების გააქტიურებას მაროკოში და მათ ცდას — ხელში ჩაეგდოთ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ეს დიდმნიშვნელოვანი პლაცდარმი. მან სწორად ივარაუდა, რომ ეს გამოიწვევდა საფრანგეთ-გერმანიის ანტაგონიზმის შემდგომ გაძლიერებას, რადგან გერმანიასაც ასეთივე მტაცებლური ზრახვები ჰქონდა მაროკოს მიმართ და არ დაუშვებდა საფრანგეთის იქ დამკვიდრებას. მომდევნო მოვლენებმა სავსებით გაამართლა ეს ვარაუდი.

დაბოლოს, მოწინავე ქართულმა საზოგადოებრიობამ თავისი მოსაზრებები გამოთქვა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების მიზეზებისა და 1891 და 1893 წლებში მათ შორის ხელმოწერილ პოლიტიკურ და სამხედრო შეთანხმებათა შესახებ. სათანადო ნარკვევების ავტორებმა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება და მათი ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანება განიხილეს ევროპის პოლიტიკურ ურთიერთობათა ფონზე და მასში დაინახეს საერთაშორისო ურთიერთობაში წინა წლებში მომხდარი მობრუნების ლოგიკური განვითარება. მათი შეხედულებით საფრანგეთ-რუსეთის კავშირი გერმანიის საგარეო პოლიტიკური აგრესიის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ იყო მიმართული, სამთა კავშირს უპირისპირდებოდა და ფაქტიურად ევროპის კონტინენტის ორ ანტაგონისტურ ბანაკად გაყოფას მოასწავებდა. იგი ხელმომწერ სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევდა უფრო აქტიური და შემტევი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინათ. მართალია, ზოგიერთმა ავტორმა რუსეთ-საფრანგეთის კავშირს მშვიდობის გარანტია უწოდა, მაგრამ უმეტესობამ (მათ შორის ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა) სწორი კვალიფიკაცია მისცა მას, როგორც ისეთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, რომელიც კიდევ უფრო ზრდიდა დაჭიმულობას ევროპაში, აძლიერებდა მილიტარიზმს და აახლოებდა უკვე შესაძლებლობაში მოცემული ომის საფრთხეს.

საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების გაშუქების დროს ქართულმა პრესამ მკითხველებს მოუთხრო საფრანგეთის ათეული პოლიტიკური მოღვაწის, პროგრესული მოაზროვნის, მწერლისა და დიპლომატის შესახებ. ყოველი მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობა გაშუქდა ფართო ისტორიულ ფონზე, იმ ამბებთან უშუალო კავშირში, რომელთა მონაწილენიც ისინი იყვნენ. ასეთ ისტორიულ პიროვნებათა გალერეაში ადგილი დაეთმო როგორც დადებით მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ ფრანგი ხალხის წინსვლას, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებას, მტკიცედ იცავდნენ რევოლუციურ და დემოკრატიულ ტრადიციებს და ხალხის მასების ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ, ისე ანტიხალხური სულისკვეთებით გაჟღენთილ რეაქციონერ პოლიტიკურ ფიგურებს, ზიანს რომ აყენებდნენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, უკან ეწეოდნენ მას და მოსახლეობის ფართო ფენების სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. პირველთა შორის ქართული საზოგადოებრივი აზრის მედროშეები ასახელებენ დიდ ფრანგ განმანათლებლებს, დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწეებს, ფრანგული უტოპიური სოციალიზმის თეორეტიკოსებს, ჰიუგოს, სტენდალს, ბალზაკს, ზანდს და საფრანგეთის კულტურის სხვა დიდ კორიფეებს. პასტერს, ანრი როშფორს, ჟან ჟორესს და ბევრ სხვას. გარკვეული შენიშვნებით ქართული პრესა დადებითად აფასებს აგრეთვე ნაპოლეონ ბონაპარტის, ლეონ გამბეტას და ორიოდე სხვა გამოჩენილ პირთა ისტორიულ მისიასაც. ნეგატიურად იქნენ შეფასებული ბურბონი მეფეები, ლუი ფილიპე ორლეანელი, კავენიაკი, ნაპოლეონ მესამე, ტიერი, ბულანჟე.

საფრანგეთის ისტორიულ მოღვაწეთა შეფასებისას მოწინავე ქართველ მოაზროვნეთა უმრავლესობამ (ხალხოსნების გამოკლებით) ალღოთი, მიხვედრით, ისტორიული მატერიალიზმისათვის დამახასიათებელი მეთოდი მოიმარჯვა და ისე გააშუქა როგორც ფრანგი ხალხის როლი საფრანგეთის ისტორიულ პროცესში, ისე ამ ქვეყნის ისტორიულ პიროვნებათა ადგილი მის ისტორიულ განვითარებაში.

ინგლისის ახალი ისტორიის საკითხები

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ახალი ისტორიის პრობლემების შესახებ ქართული პრესის გამოხმაურება არ გამოირჩევა ისეთი სიუხვითა და მრავალფეროვნებით, როგორიც საფრან-

გეთის. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ქართული პროგრესული საზოგადოებრივი აზრი, გარკვეული მიზეზების გამო ამ ქვეყნისადმი არ იყო განწყობილი ისეთივე სიმპათიით, როგორც საფრანგეთის მიმართ.

ინგლისის ახალი ისტორიის პროცესი, მისი შინაპოლიტიკური ცხოვრებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხები ქართული პერიოდიკის ფურცლებზე სპეციალურად შუქდებოდა ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემასთან დაკავშირებით. ასეთები იყო, მაგალითად, აღმოსავლეთის საკითხი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ან ჩინეთის საკითხი, ინგლის-ბურების ომი, იხეტუანელთა აჯანყება ჩინეთში და ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა, მილიტარიზმის საფრთხის ზრდა ევროპაში, კოლონიური აგრესია ამერიკაში.

ქართულმა პრესამ საკმაო სისრულით დახატა იმ საზოგადოებრივი ძალების სილუეტები, რომლებიც წარმართავდნენ ინგლისის საგარეო პოლიტიკას და ბიძგს აძლევდნენ აქტიური კოლონიური პოლიტიკის წარმოებას აზიაში, აფრიკასა და ოკეანიაში. მას მხედველობის გარეშე არ დაუტოვებია მისი გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება, საზღვაო ძლიერება და საზღვაო კომუნიკაციების დაცვის დიდი ადგილი ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულების გამომუშავებაში. აღმოსავლეთის საკითხის რთული კვანძის გაშუქების დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სერიოზული ადგილი დაეთმო იმ მოტივების წარმოჩენას, რომლებიც განაპირობებდა ინგლისის აქტიურ როლს და დიდ დაინტერესებას აღმოსავლეთის, როგორც მარქსი ამბობს, „მარად თავსატეხ საკითხში". მან სწორი შეფასება მისცა ხმელთაშუა ზღვის კომუნიკაციებზე გაბატონებისა და მის აუზში მდებარე ქვეყნებთან ხელსაყრელი ვაჭრობის გაფართოების მისწრაფებას ამ მიმართულებით. სწორედ ამან გამოიწვია ინგლისის მწვავე ანტაგონიზმი რუსეთსა და საფრანგეთთან, უფრო გვიან კი გერმანიასთან. მათაც ხომ იგივე ეკონომიურ-სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები ამოქმედებდათ მსოფლიოს ამ დიდმნიშვნელოვან რაიონში. ამიტომ იყო, რომ ქართულმა პრესამ ინგლისის პოლიტიკა და მისი განმაპირობებელი ფაქტორები ხმელთაშუა ზღვის აუზში სავსებით მართებულად განიხილა უშუალო კავშირში იმ რთულ ამბებთან, რომლებიც დაკავშირებული იყო დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობებთან.

ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას ქართული პერიოდიკის ორგანოებმა საჭიროდ მიიჩნიეს დაეხატათ წამ-

ყვანი პოლიტიკური ფიგურების რელიეფური პორტრეტები და დაეხასიათებინათ გაბატონებული კლასების (ბურჟუაზიის, ლენდლორდებისა და ანგლიკანური ეკლესიის თავკაცების) ინტერესების გამომხატველი ორი დიდი პარტიის — ვიგებისა (ლიბერალების) და ტორების (კონსერვატორების) სოციალურ-პოლიტიკური მისია. ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიებიდან ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, კ. ნაცვლიშვილმა, ა. ჯორჯაძემ და სხვებმა ძირითადად ნეგატიური შეფასება მისცეს კონსერვატორთა პარტიას, ხოლო რაც შეეხება ლიბერალების პარტიას, მას უფრო ლმობიერად მოეკიდნენ და დადებითად შეაფასეს მისი ცალკეული აქცია.

კონსერვატორები, მათი შეფასებით, ემყარებოდნენ ძველი საზოგადოების ძალებს, წინააღმდეგობას უწევდნენ ცხოვრების საჭიროებით მომზადებულ რეფორმებს, მტრულად იყვნენ განწყობილი ქვეყნის პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციისადმი და შეურიგებლობას იჩენდნენ მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნებისადმი. საგარეო პოლიტიკაში კონსერვატორებს ჩვენი პრესა თვლიდა აგრესიული კურსისა და ფართო მასშტაბის კოლონიური დაპყრობების სულისჩამდგმელებად და ორგანიზატორებად. ლიბერალური პარტია კი, თითქოს უფრო ანგარიშს უწევდა ისტორიის მსვლელობას. იგი გამოდიოდა ცალკეული რეფორმების მოთავედ, მხარს უჭერდა პოლიტიკური წყობის შემდგომ დემოკრატიზაციას და საგარეო პოლიტიკაშიც უფრო ზომიერი და თავშეკავებული იყო.

ინგლისის ამ ორი დიდი პოლიტიკური პარტიის შინაპოლიტიკური საქმიანობისა და საგარეო პოლიტიკური კურსის ასეთი შეფასება, თქმა არ უნდა, სუბიექტურიც არის და საკმაოდ შორდება ისტორიულ სინამდვილეს. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ პარტიებს შორის არსებული სერიოზული დაპირისპირება ცხოვრებამ წაშალა. მათ შორის დარჩა მხოლოდ ფორმალური განსხვავება. კონსერვატორები არ გამოხატავდნენ მარტო ლენდლორდებისა და მათთან კავშირში მყოფი ფინანსური ბურჟუაზიისა და ანგლიკანური ეკლესიის თავკაცების ინტერესებს, ისე როგორც ლიბერალები არ იყვნენ მარტო სამრეწველო-სავაჭრო ბურჟუაზიის. ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და წვრილბურჟუაზიული წრეების პოლიტიკური მრწამსის გამომხატველები. „თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის“ იმპერიალიზმში გადაზრდის მომენტისათვის ეს ორი პარტია იდეურ-პოლიტიკური პრინციპებით, პროგრამითა და შემადგენლობითაც კი ძალზე დაუახლოვდა ერთმანეთს. ორივეს ერთი მიზანი ამოქმედებდა: ინგლისის არსებული სოციალ-ეკონომიური

სისტემის დაცვა ყოველგვარ შერყევათაგან, მშრომელთა ალაგმვა და იმპერიის ჩარჩოების გაფართოება ახალი კოლონიების დაპყრობის გზით. ნაქები „ანგლო-საქსური თავისუფლება" ამ დროს მხოლოდ წარსულის მოგონებას წარმოადგენდა. ინგლისი ღრმად ჩაეფლო ბიუროკრატიზმის, მილიტარიზმისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის ჭაობში. „ადამიანთა თავისუფლების" დაცვა არც ერთს ამ პარტიათაგან არ ჰქონდა მიზნად დასახული. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პროგრესულ საზოგადოებრივ აზრს არ ჰქონდა წარმოდგენა ინგლისის ამ ორი, მორიგეობით ხელისუფლების სათავეში მყოფი, პარტიის დაახლოებისა და ევოლუციის შესახებ. მაგრამ იყო ერთი ანგარიშგასაწევი გარემოება, რამაც ქართული პრესა განაწყო შედარებით მეგობრულად ლიბერალების მიმართ, და მტრულად—კონსერვატორებისადმი. ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ი. ჭავჭავაძემ და ი. გოგებაშვილმა „დიდებული მოხუცის" საპატიო სახელით შეამკეს ლიბერალების ბელადი უ. გლადსტონი, მაშინ როდესაც დიზრაელისა და კონსერვატორთა სხვა ლიდერების მიმართ სულ სხვაგვარად იყენენ განწყობილნი. ეს გარემოება იყო ე. წ. „ჰომრულის საკითხი".

ირლანდიის საკითხის უკიდურესად გამწვავებამ, რასაც დაერთო სოციალური კონფლიქტების გამწვავება ქვეყნის შიგნით, ინგლისის მმართველი წრეების ერთი ნაწილი აიძულა დათანხმებულიყო ირლანდიისათვის შეზღუდული ავტონომიის ე. წ. „ჰომრულის" მიცემაზე. ლიბერალური პარტია გლადსტონის მეთაურობით შინაპოლიტიკური კრიზისის შენელებისა და პარლამენტში ირლანდიელ დეპუტატთა თავის მხარეზე გადაბირების მიზნით გამოვიდა ირლანდიისათვის ასეთი ავტონომიის მინიჭების ინიციატორად. კონსერვატორები კი გადაჭრით წინააღუდგნენ „ჰომრულის" პროექტს და ლიბერალების ერთი ჯგუფიც („იუნიონისტები"—ჯოზეფ ჩემბერლენის ჯგუფი) კი მიიმხრეს. ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მოთავეებს, რომლებსაც მაღლა ეჭირათ ანტიკოლონიალიზმის, სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის საპატიო დროშა, სიხარულით შეეგებნენ „ერთ ბედს ქვეშ მყოფი" ირლანდიელი ხალხისათვის თვითმმართველობის მინიჭების პროექტს და ქებით მოიხსენიეს მისი ინიციატორები. კონსერვატორების მიმართ გამოვლენილი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებაც ამით იყო გაპირობებული. აღნიშნულმა საპატიო მოტივმა ხელი შეუშალა მათ უფრო ობიექტური მსჯავრი დაედოთ ლიბერალებისა და კონსერვატორების საქმიანობისათვის და სათანადო

კვალიფიკაცია მიეცათ მათი პოლიტიკური მისიისათვის კონსტიტუციურ-მონარქიულ ინგლისში.

ჩვენი სახელოვანი წინამორბედების მახვილ თვალს მხედველობის არედან არ გამორჩენია ინგლისში არსებული ღრმა სოციალური კონტრასტები, წინააღმდეგობა სიმდიდრესა და სიღარიბეს, ფუფუნებასა და პაუპერიზმს შორის. ისინი კარგად ხედავდნენ იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ ფულისა და სიმდიდრის დაგროვებას ამ ქვეყანაში არ გაუუმჯობესებია მშრომელთა მდგომარეობა, რომ სიმდიდრის მზარდ კონცენტრაციას ექსპლუატატორთა რიგებში თან სდევდა ამ სიმდიდრის შემქმნელ მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი გაუარესება.

„იმოდენა ფულით სიმდიდრე არსად არ არის, — წერდა ი. ჭავჭავაძე ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში, — როგორც ინგლისში და მის მხარდამხარ ისეთი სიღატაკეა უმრავლესობისა, რომ ამბადაც ძნელი დასაჯერებია“.

ვფიქრობთ, რომ მოტანილს კომენტარები არ ესაჭიროება. იქ ისეა გაშიშვლებული მდიდარი კაპიტალისტური ინგლისის სოციალური იარები, როგორც ამას მოითხოვდა ისტორიული სინამდვილე. ამავე თემისადმია მიძღვნილი მარველის (ცნობილი ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი) წერილები ინგლისიდან. მარველი მახვილი თვალით აცქერდება ინგლისის ცხოვრებას. იგი საფუძვლიანად სწავლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა განწყობილებას და ურთიერთობას, ეცნობა მუშათა მოძრაობას, სოციალისტური ორგანიზაციების საქმიანობას და თავის კორესპონდენციებში ლონდონიდან საფუძვლიანად მოუთხრობს მათ შესახებ ქართველ მკითხველ მასას. სოლიდური ცნობებით ინგლისის ცხოვრების ცალკეული მხარეების შესახებ განსაკუთრებით გამოირჩევა გაზეთი „ივერია“.

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ახალი ისტორიის საკითხები

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერიის გენეზისის, მათი განვითარების ძირითადი ტენდენციისა და სოციალურ-პოლიტიკური არსის საკითხები არაერთხელ აღძრულა და გაშუქებულა ქართული პრესის ფურცლებზე. ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს გაზეთმა „დროებამ“, ამ ომთან დაკავშირებული ამბების კომპლექსის მიმოხილვისას, მკითხველებს მოუთხრო აღ-

ნიშნულ სახელმწიფოთა აღმოცენების გზების, მათი საგარეო პოლიტიკის მიმართულებისა და მმართველი ზედაფენის ინტერესების შესახებ. შემდეგში ეს გაზეთი ბევრჯერ დაუბრუნდა ამ თემას. „დროებას“ არც სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები ჩამორჩნენ ამ საქმეში. საკმაოდ ბევრს წერდნენ ამ ქვეყნების შესახებ 80—90-იან წლებში გაზეთები „ივერია“ და „კვალი“.

ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ და სხვა ქართველმა პუბლიცისტებმა ძირითადად სწორი წარმოდგენა მისცეს მკითხველებს გერმანიის განვითარების თავისებურებათა და პრუსიის დაწინაურების მიზეზების შესახებ. მათ ნარკვევებში კარგად იყო ნაჩვენები გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცება და მეზობელი ქვეყნების ხელის ფათური გერმანიის „პაწაწინა სამთავროებში“, რომელთაც, ნ. ნიკოლაძის თქმით, ფუქსავატი დესპოტი მთავრები ედგნენ სათავეში. ამ ქვეყნებს შორის განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ჰაბსბურგთა მონარქია, რომელიც დიდხანს პრუსიის სერიოზულ მეტოქეს წარმოადგენდა გერმანიის საქმეებში. უფრო გვიან ამ თემაზე წერენ ე. პატრიშვილი (ფ. გოგიჩაიშვილი), ნ. ჟორდანია და სხვა ავტორები.

ნ. ნიკოლაძის მართებული შეხედულებით, პირველი სერიოზული ძვრები გერმანელი ხალხის ცხოვრებაში მოახდინა ნაპოლეონის მიერ გერმანიის დაპყრობამ, რომელსაც ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. მის შედეგად „გერმანულ ქაოსში“ გარკვეული წესრიგი შეიტანა და მას ახალი კანონები დაუწესა. „გერმანელმა ხალხმა წათლად დაინახა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ მამაპაპური უწესოება ბედი როდი ყოფილაო, თურმე სხვანაირი, უფრო სამართლიანი და კეთილი წესიც შესაძლებელი ყოფილა ჩვენთვისო“. ბუმცა ნაპოლეონის ბატონობის დამხობის ფაქტს გერმანიაში ქართული პრესა მიესალმა, მაგრამ მას არ გამორჩენია ამ აქტის უარყოფითი შედეგებიც; გერმანიის ხელახალი ფეოდალური დაქუცმაცება, ნაპოლეონის მიერ დანერგილი პროგრესული ღონისძიებების ლიკვიდაცია, რეაქციულ მთავართა ბატონობის რესტავრაცია და პრუსია-ავსტრიის ქიშპობის გაღრმავება გერმანიაში ჰეგემონობისათვის.

ქართულ პრესაში აისახა აგრეთვე 1848-49 წლების რევოლუცია გერმანულ სახელმწიფოებსა და ავსტრიაში და მისი მხეცური ჩახშობა რეაქციის, კონტრრევოლუციისა და მილიტარიზმის გაერთიანებული ძალების მიერ. სათანადო მასალებში ხაზგასმული იყო გერმანია-პრუსიისა და ავსტრიის ბურჟუაზიის სიმხდალე, მისი კაპი-

ტულანტური ბუნება და რევოლუციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაუწყვეტელობა. ასეთივე სწორი შეფასება მიეცა უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის ამბებს, ცარიზმის დახმარებას ავსტრიის იმპერატორისადმი და იმ საშინელ სიმხეცეს, რაც ავსტრიის რეაქციამ ჩაიდინა რევოლუციის ჩახშობის დროს.

მეტად საინტერესოდ, კონკრეტული ფაქტების დამაჯერებელი ანალიზით გაშუქდა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ბრძოლა გერმანიის გაერთიანებისათვის ზევიდან — რეაქციულ-პრუსიულ აწყობილებზე, ჰოჰენცოლერნთა დინასტიის „ერთგული მოურავისა", ბისმარკის როლი ამ საქმეში, „რკინისა და სისხლის" პოლიტიკა ნედეგები და ავსტრიის მარცხი, მისი ჩამოშორება გერმანიის საქმეებისაგან. ნ. ნიკოლაძემ, დ. მიქელაძემ და სხვა ავტორებმა ალბათ დაახლოებით ისეთი შეხედულება განავითარეს ამ ამბების შესახებ, რაც თავის დროზე გამოთქმული ჰქონდათ მარქსსა და ენგელსს. მათ კარგად გვიჩვენეს ბისმარკის დიპლომატიის ანტიხალხური და მშვიდობის საწინააღმდეგო აქციები როგორც გერმანიის გაერთიანების პროცესში, ისე მის შემდეგ. მათ მხედველობიდან არ გამორჩენიათ ეკონომიური ფაქტორის, როგორც დიდი სტიმულიზატორის როლი გერმანიის გაერთიანების საქმეში და თვით გერმანიის ერთიან ნაციონალურ სახელმწიფოდ ქცევის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიური განვითარების დაჩქარების საქმეში. ამავე დროს ქართულ პრესას მხედველობიდან არ გამორჩენია გერმანიის ზემოდან გაერთიანების მრავალი უარყოფითი შედეგები: მილიტარიზმისა და მხედრიონის დიდი როლი გერმანიის სახელმწიფოთა ცხოვრებაში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა განუხორციელებლობა, მრავალ შუასაუკუნეობრივი წესებისა და ფორმების შენორჩენა, იუნკერ-მემამულეთა დიდი ხვედრითი წონა პოლიტიკურ ცხოვრებაში, პრუსიის რეაქციულ-მილიტარისტული ელიტის გაბატონებული მდგომარეობა მთელს გერმანიაში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ გ. წერეთელმა პრუსიის აღზევების პროცესის გაშუქებისას ერთიმეორეს შეადარა საქართველო და პრუსია, ფრიდრიხ II და ერეკლე II, შეეცადა ენვენებინა მათ შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. მისი შეხედულებით, პრუსიის მეფე ფრიდრიხ II შთამომავლობამ „ფრიდრიხ დიდის" სახელით შეამკო, რადგან მან თავისი მოქნილი პოლიტიკით, დიპლომატიითა და ომებით პატარა მაგდებურგი პაწია სამარკგრაფოდან დიდ სახელმწიფოდ გადააქცია. იგი ბრძად არ ენდო არც ერთ დიდ მეზობელ სახელმწიფოს: ავსტრიას, რუსეთსა და საფრანგეთს, ოსტატურად წაჰკიდა ისინი ერთმანეთს და არ დაუშვა მათი ჩარევა თავის სა-

შინაო საქმეებში. რაც შეეხება ერეკლე II-ეს, მან, მისი თქმით, ვერ გამოიყენა რუსეთ-თურქეთ-სპარსეთის საურთიერთო წინააღმდეგობა და ვერ შეინარჩუნა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ერეკლე II-ეს „პატარა კახის“ სახელი შერჩა, — წერს იგი, — რადგანაც მან თავის განუკვრეტელი პოლიტიკის წყალობით, რაც ყმაწვილობაში იშოვნა, იგი მოხუცებულობაში დაკარგა“.

გერმანიის იმპერიის შექმნის შემდეგ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა იმ საკითხთა თემატიკა, რომელიც გაშუქდა ქართულ პრესაში ამ იმპერიის შინაპოლიტიკური ვითარებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროდან.

გერმანიის იმპერიის არქაული სოციალური წყობა, რომელიც შეეგუა და შეერწყა ახალს, პრუსიული მილიტარიზმისა და მხედრიონის გაბატონებული მდგომარეობა იმპერიაში, რაიხსტაგის უუფლებობა და ჰოჰენცოლერნთა ხელისუფლების ნახევრად თვითმპყრობელური ხასიათი, ბისმარკის საგარეო პოლიტიკის პანგერმანული იდეოლოგია და გერმანული დიდმპყრობელური გულზვიადობა ქართულ პროგრესულ საზოგადოებრივ აზრს ამხედრებდა ამ ქვეყნის წინააღმდეგ. გერმანული ცხოვრების წესისადმი ფეხმოკიდებულ ანტიპათიურ განწყობილებას ისიც აძლიერებდა, რომ დღითი დღე ღრმავდებოდა ანტაგონიზმი რუსეთსა და გერმანიას, გერმანიასა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთის მიმართ კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს მოწინავე შვილები მუდამ სიმპათიითა და სიყვარულით იყვნენ გაჟღენთილნი.

ნ. ნიკოლაძემ ერთ-ერთ თავის სტატიაში ერთიმეორეს დაუპირისპირა ფრანგული და გერმანული „სული“, ცხოვრების წესი, კულტურა, ხასიათი. საფრანგეთის „...გონებრივი კულტურა, — წერდა იგი, — საზოგადოებრივი განწყობილება და ზნეობრივი ხასიათი გერმანულს ნამდვილად სჯობია“. გერმანულ გონებას იგი უწოდებს მძიმეს და უმოძრაოს, მას ძალზე ეხერხება აბსტრაქტული წვრილმანის კვლევა, „განუსაზღვრელ სივრცეში“ ნავარდი, უმიზნო, უნაყოფო აზრებთან ჭიდილი.

მაგრამ ეს იყო არა ზეისტორიული, გერმანული „სულის“ რაღაც განსაკუთრებულობის ნაყოფი, არამედ—იმ მახინჯი სოციალ-ეკონომიური სისტემის შედეგები, რომლებშიც უხდებოდათ ცხოვრება გერმანელი ხალხის გამოჩენილ მოაზროვნეებს. ასე რომ, გერმანული და ფრანგული „სულის“ მეტაფიზიკური დაპირისპირება მცდარია და ამიტომ ნ. ნიკოლაძის მოსაზრებას მხოლოდ ნაწილობ-

რივ თუ გავიზიარებთ. „გერმანულმა სულმა“, როგორც ცნობილია, ფრანგულზე არანაკლები როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში და ბევრი დიდი მოღვაწე მისცა როგორც გერმანულ, ისე მსოფლიო კულტურას.

თითქმის ყველა ქართველმა პუბლიცისტმა, რომლებიც შეეხნენ ომის საფრთხის ზრდას ევროპაში და ევროპის დაყოფას მოპირდაპირე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად, ამის ძირითად მიზეზად, სავსებით სამართლიანად, მიიჩნიეს ბისმარკის ვერაგული დიპლომატია და გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის აგრესიული მიმართულება 1871 წლის მომდევნო პერიოდში. ამის დასამტკიცებლად მათ მოაქვთ სათანადო მაარგუმენტებელი კონკრეტული ფაქტები. „დაიარაღებული მშვიდობა“ რომ ბეწვზე ჰკიდია, რომ ომის საფრთხე დამოკლეს მახვილივითაა ამართული ევროპის თავზე და მილიტარიზმი სულს უხუთავს მშრომელ ხალხს, ამისათვის, მათი შეხედულებით, უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებლობა ეკისრება გერმანიის იმპერიას, რომელიც არ კმაყოფილდება მოპოვებული გამარჯვებით, ახალ-ახალ საომარ მუქარას უქმნის საფრანგეთს და შემდგომ ტერიტორიულ გაფართოებაზე ოცნებობს. მუდამ, როგორც კი აღიძვრებოდა „მარად თავსატეხი“ აღმოსავლეთის საკითხი ან შუქდებოდა დიდ სახელმწიფოთა „ცივილიზატორული მოღვაწეობა“ აზიასა და აფრიკაში, ქართულ პროგრესულ პრესას თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნდა მოეთხრო მკითხველისათვის გერმანიის იმპერიის შესახებ და ეჩვენებინა ამ სახელმწიფოს როლი აღნიშნული ამბების განვითარებაში.

ქართულ პრესაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული ის პროვოკაციული როლი, რასაც ასრულებდა ბისმარკისეული გერმანიის დიპლომატია აღმოსავლეთის საკითხის ხელოვნურად გამწვავებისა და დაჭიმული ვითარების აღმოცენების საქმეში. იქ მოტანილი იყო არაერთი კონკრეტული მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ცდილობდნენ იმპერიის მესვეურები აემღვრიათ წყალი, გაერთულებინათ ვითარება ხმელთაშუა ზღვის აუზში და დაეპირისპირებინათ ერთმანეთისათვის რუსეთი და ინგლისი, ინგლის-საფრანგეთი და იტალია, თურქეთი და რუსეთი. ქართულ პრესაში დამაჯერებლად იყო ნაჩვენები აგრეთვე ავსტრია–უნგრეთის დუალისტური იმპერიის საგარეო პოლიტიკის დაქვემდებარებული როლი, მისი დიპლომატიის ოსტატური გამოყენება გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა მიერ. ყველაზე მეტად ეს თავს იჩენდა ბალკანეთის საქმეებში. გერმანიის დიპლომატია, როგორც მართებულად იყო ნაჩვენები სათანადო მასალებში, ყოველმხრივ აქეზებდა დუა-

ლისტური იმპერიის აქტივობას ბალკანეთზე, მხარს უჭერდა მის ექსპანსიონისტურ გეგმებს და ამით იკეთებდა თავის საკუთარ საქმეს, ამტკიცებდა და აფართოებდა თავის პოზიციებს ამ დიდმნიშვნელოვან პლაცდარმზე. როცა XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ინგლის-ბურების ომმა და იხეტუანელთა ანტიიმპერიალისტურმა აჯანყებამ ჩინეთში მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია და ევროპული დიპლომატიის მოთავეებს ახალი თავსატეხი საქმე გაუჩინა. ჩვენმა პერიოდულმა ორგანოებმა საჭიროდ ჩათვალეს მოეთხროთ ქართველი მკითხველებისათვის ამ ამბებისადმი გერმანიის დამოკიდებულების შესახებ. მათ აშკარად ამხილეს ინგლის-ბურების ომის დროს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა ოინები—ესარგებლათ ინგლისის სიძნელეებით და შეექმნათ ანტიინგლისური კოალიცია გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის მონაწილეობით. მათვე სწორი შეფასება მისცეს იმ გარემოებებს, რომლებმაც ჩაშალა გერმანიის აღნიშნული „წამოწყება". დასასრულ, ქართულმა პრესამ მზის სინათლეზე გამოიტანა ის აღმაშფოთებელი ჯალათობის აქტები, რაც გერმანიის მხედრიონმა ჩაიდინა ჩინეთში 1899—1900 წწ. ანტიიმპერიალისტური აჯანყების ჩახშობის დროს.

ქართული პრესის სერიოზული ყურადღების ობიექტი იყო გერმანიის ხელისუფალთა რეაქციული საშინაო პოლიტიკაც. მის ფურცლებზე არაერთხელ აისახა ის დრაკონისებური ღონისძიებები, რასაც გერმანიის მთავრობა ბისმარკის მეთაურობით ახორციელებდა მზარდი მუშათა მოძრაობისა და სოციალისტური პარტიის საქმიანობის წინააღმდეგ. „ივერია", „კვალი" და სხვა ჟურნალ-გაზეთები მტრულად გამოეხმაურნენ 1878 წლის კანონს სოციალისტების წინააღმდეგ და კმაყოფილებით შეხვდნენ ამ კანონის სრულ მარცხსა და მის გაუქმებას 1890 წელს. ქართული პრესის მესვეურებმა მხედველობის გარეშე არ დატოვეს გერმანელ ხელისუფალთა დიდმპყრობელურ-ასიმილატორული პოლიტიკა პოლონურ ოლქებში (აღმოსავლეთ გერმანიაში). მათ მკაცრად დაგმეს დაპყრობილი პოლონური მოსახლეობის გაგერმანელების ის უხეში მეთოდები, რაც თანმიმდევრულად ხორციელდებოდა პოლონურ ოლქებში და რასაც თან სდევდა პოლონურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება. ასეთივე გამოხმაურება პოვა მაშინდელ საქართველოში იმ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმმა, რომელიც დაამყარეს ჰოჰენცოლერნებმა საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად ძალით მიტაცებულ ელზასსა და ლორენში. უხეში სალდაფონური მეთოდებით, როგორც სამართლიანად მიუთითებდნენ ჩვენი პრესის ორგანოები,

გერმანელი ანექსიონისტები ლამობდნენ „შემოემტკიცებინათ“ ეს პროვინციები და ჩაეხშოთ წარმოშობით გერმანელ და გერმანულ ენაზე მოლაპარაკე მკვიდრ მოსახლეობაში ფეხმოკიდებული ურჩობა, დაეკიწყებინათ მათთვის საფრანგეთი, რომელიც მოწინავე ჰუმანური კულტურითა და დემოკრატიული ტრადიციებით ნამდვილ დედასამშობლოდ იქცა მათთვის.

ქართულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო თავის ფურცლებზე გერმანია-საფრანგეთის აწმყოს, მომავლის საკითხებსა და იმ კონფლიქტების გაშუქებას, რომლებიც, ბისმარკის ვერაგული დიპლომატიის წყალობით, პერიოდულად თავს იჩენდა მათ ურთიერთობაში. ქართული პრესის თანამშრომლებმა არაერთხელ მოუთხრეს მკითხველ საზოგადოებას იმ ჯანსაღი ტენდენციის შესახებაც, რაც ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნებოდა ამ ორი შეურიგებელი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში. მაგრამ მათი ასეთი ტენდენციის ფაქტიდან ოპტიმისტური დასკვნა არ გაუკეთებიათ. მათ კარგად იცოდნენ ვილჰელმ II-ის ტიპის ადამიანების ლიტონი განცხადების ფასი. მათთვის კარგად იყო ცნობილი ის ჭეშმარიტება, რომ საფრანგეთი, ეს უაღრესად ამაყი და თავმოყვარე ერი, გულიდან არ ამოიღებდა რევანშის იდეას და გერმანიასთან მორიგებაზე არ აიღებდა გეზს მანამდე, სანამ ელზასი და ლორენი გერმანიის ხელში რჩებოდა. გერმანიის მესვეურებს კი, საფრანგეთთან დაძაბული ურთიერთობის შენელების სურვილის მიუხედავად, მაინც არ სურდათ ხელი აეღოთ 1871 წელს საფრანგეთისათვის წართმეულ ამ ორ პროვინციაზე.

* * *

ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერიის ახალი ისტორიის ათეული პრობლემიდან ქართულმა პრესამ მთავარი ყურადღება მიაქცია 1867 წლის აქტის შედეგებს, კერძოდ სლავი ხალხების მდგომარეობას იმპერიის შიგნით და ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობას დუალიზმის სისტემაში.

ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ა. ფრონელმა და სხვა ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს 1867 წლის კომპრომისული აქტის შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში აღმოცენებული სახელმწიფოს მეტად ჭრელი, მრავალეროვნული შემადგენლობა და ეს გარემოება

სამართლიანად მიიჩნიეს მისი სუსტი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ მიზეზად. ისინი ძირითადად სწორად გაერკვნენ იმ საშინაო პოლიტიკის არსში, რომლითაც ჰაბსბურგთა მონარქია ცდილობდა დაეძლია იმპერიის შინაგანი წინააღმდეგობანი და უზრუნველეყო გერმანული უმცირესობის ბატონობა სლავებზე, იტალიელებზე, რუმინელებსა და იმპერიის სხვა ხალხებზე, რომლებიც შეადგენდნენ ქვეშევრდომთა დიდ უმრავლესობას. მათ თვალს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ეროვნული საკითხის დიდი სიმწვავე და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ღრმა ანტაგონიზმი იმპერიის სხვადასხვა ეროვნულ ერთეულთა შორის. მათი შეხედულებით, ავსტრიის იმპერია უკურნებელი სენით იყო დაავადებული. გერმანული და მადიარული არისტოკრატია სასტიკად ებრძოდა ერთმანეთს ჰეგემონობისათვის იმპერიაში. გერმანელები ჩაგრავდნენ ჩეხებს, სლოვაკებს და იტალიელებს, მადიარები — გალიციელებს, სლოვენებსა და სხვა ხალხებს, სლავები კი — პირიქით, დიდი შემართებით იბრძოდნენ ეროვნული მეობის შენარჩუნებისა და ეროვნული თვითგამორკვევისათვის.

1895 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე ასე აფასებს ავსტრია-უნგრეთის შინავითარებას: „მთელი მისი ძალა და ენერგია, მისი უმჯობესი შვილების გონება და მოაზრება მარტო შინაგან ბრძოლაში ილევა... ტომთა შორის ბრძოლა ავსტრია-უნგრეთში ყველას აუძლურებს და თავ-პირს ამტვრევს. აქ სხვადასხვა ერის ღონე ერთიმეორის წინააღმდეგ მიმართული, ერთმანეთს აუქმებს“.

ქართული პრესა არ დაკმაყოფილდა ზემოაღნიშნული სინამდვილის უბრალო კონსტატაციით. მან აქედან გააკეთა ისტორიული სინამდვილის შესაბამისი დასკვნა, სწორად ივარაუდა, რომ ასეთი სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებდა, და მას სამარეს გაუთხრიდა მის ორგანიზმში მოთავსებული „მღრღნელი მატლი“—სლავების ჩაგვრა გერმანელებისა და მადიარების მიერ, ურთიერთქიშპობა, ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდნენ ავსტრია-უნგრეთის მმართველი წრეები.

ქართული პერიოდიკის ორგანოებმა მკითხველებს მოუთხრო აგრეთვე უნგრეთის შინაპოლიტიკური ვითარების შესახებაც. მათ დახატეს იმ სერიოზული განხეთქილების დამაჯერებელი სურათი, რომელიც არსებობდა უნგრეთის მმართველ წრეებში 1867 წლის კომპრომისული შეთანხმების თაობაზე, ერთმა ჯგუფმა — დეაკის მომხრეებმა — მოიწონა 1867 წლის შეთანხმება, ცნო ავსტრიის იმპერატორი უნგრეთის მეფედ, მონაწილეობა მიიღო პარლამენტის

მუშაობაში და დაკმაყოფილდა იმ თვითმმართველობით, რომელიც მიეცა უნგრეთს 1867 წლის შეთანხმებით. დეაკის მომხრეებს, როგორც აღნიშნული იყო ქართული პრესის ფურცლებზე, აწყობდათ ავსტრიასთან კავშირის არსებული ფორმები, მაგრამ არც იმის წინააღმდეგნი იყვნენ თუ ახალ დათმობებს გამოსტაცებდნენ ავსტრიის მმართველებს მშვიდობიანი პეტიციითა და მოთხოვნებით და გაფართოებდნენ თავიანთ პოზიციებს დუალიზმის შიგნით. ამ დაჯგუფებას, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვა ავტორები, უპირისპირდებოდა მეორე დაჯგუფება, რომელსაც გაცილებით უფრო მემარცხენე პოზიცია ეკავა და უპირატესად წვრილბურჟუაზიული პატრიოტებისაგან შედგებოდა. მისი ლიდერი იყო უნგრელი ხალხის 1848-49 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელი, გამოჩენილი უნგრელი პატრიოტი ლაიოშ კოშუთი.

განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობის შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა. კოშუთმა, როგორც ავსტრია-უნგრეთის უნიის შეუერიგებელმა მოწინააღმდეგემ, ჰაბსბურგთა მონარქიის დაუძინებელმა მტერმა და მგზნებარე რესპუბლიკელმა, არ ისარგებლა ამნისტიით, უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებაზე და საზღვარგარეთ გარდაიცვალა 1894 წელს. ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ, ნ. ჟორდანიამ და სხვებმა ნეკროლოგები მოათავსეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებშიც მკითხველს მოუთხრეს როგორც მისი დამსახურების, ისე იმ მშფოთვარე ამბების შესახებ, რომლის მონაწილე იყო ეს გამოჩენილი უნგრელი პატრიოტი. ემიგრაციაში მუდმივად ცხოვრების მიუხედავად, იგი სისტემატურად თვალყურს ადევნებდა თავის სამშობლოში მიმდინარე ამბებს და იდეურად წარმართავდა 1867 წლის აქტის შეუერიგებელ მოწინააღმდეგეთა საქმიანობას. კოშუთი, როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, მისი განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორი და თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის ერთგული დამცველი, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველი ხალხის მოწინავე შვილთა შორის. ეს გრძნობები ნათლად გამოვლინდა აღნიშნულ ნეკროლოგებსა და უნგრეთის ამბებისადმი მიძღვნილ სხვა წერილებში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დუალისტური იმპერიის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო პოლიტიკა თანმიმდევრულად არ ყოფილა ასახული და გაშუქებული ქართულ პრესაში. ცალკეული ცნობები მისი შინაგანი ცხოვრების შესახებ უპირატესად მხოლოდ მაშინ ქვეყნდებოდა, როცა მწვავედ იჩენდა თავს ამ სახელწიფოს

პოლიტიკური ცხოვრების ღერძი — ეროვნული საკითხი და დიდ გაქანებას იღებდა ჩეხებისა და სხვა სლავი ხალხების ეროვნული მოძრაობა. ჰაბსბურგთა საგარეო პოლიტიკის საკითხებიც მაშინ იპყრობდა ყურადღებას, როცა მწვავდებოდა აღმოსავლეთის საკითხი ანდა „მეორე ელზასი და ლორენი—ბალკანეთი“ იქცევდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას.

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შესახებ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები შეიცავდა ცალკეულ მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებებს, მაგრამ მათი ჩამოთვლა და შეფასება საჭიროდ არ მიგვაჩნია. აღნიშნული მასალების ავტორები პროფესიით ისტორიკოსები არ ყოფილან, რისთვისაც მათ ცალკეული „ჩავარდნებისათვის“ ბრალს ვერ დავდებთ[1].

ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები

ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის თემა ყველაზე მიმზიდველი და წარმტაცი თემა იყო ცარიზმის კოლონიური უღლის ქვეშ მგმინავ საქართველოს მოწინავე შვილთათვის. უცხოეთის ქვეყნების ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მრავალმხრივ იზიდავდა მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზრს. იგი აღფრთოვანებული იყო ამ ბრძოლის მონაწილე პატრიოტთა გმირული შემართებით, თავგანწირვის უნარითა და ფაქიზი პატრიოტიზმით. იგი არა მარტო მთელი არსებით თანაუგრძნობდა და მორალურ დახმარებას უწევდა სამართლიან ბრძოლებს, არამედ ცდილობდა საფუძვლიანად შეესწავლა მათი მდიდარი გამოცდილება, გაეთვალისწინებინა სათანადო გაკვეთილები და გამოეყენებინა საკუთარი სამშობლოს ინტერესებისათვის. ირლანდიელი, იტალიელი, ბერძენი, სლავი და სხვა დამონებული ხალხების განმა-

---

[1] სლავთა განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასთან ერთად, რომელშიც ჩეხები, როგორც დუალისტური იმპერიის სლავთა შორის ყველაზე დაწინაურებულნი და ეროვნულად მომწიფებულნი, ლიდერების როლში გამოდიოდნენ, ავსტრიის მმართველი წრეების ერთ ნაწილში შეიქმნა აზრი იმპერიის რეორგანიზაციის სასარგებლოდ. ეს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ქართული პრესის მუშაკებს და სათანადო ცნობები მიაწოდეს მის შესახებ მკითხველებს. მავალითად, გაზეთი „ივერია“ 80-იანი წლების მეორე ნახევარში წერდა, რომ შესაძლებელია სლავი ხალხების ზედაფენას იმპერიაში ისეთივე უფლებები მიანიჭონ, რითაც სარგებლობენ გერმანელი და მადიარი თავკაცებიო. ამან შესაძლებელია შეანელოს სლავთა მოძრაობა და ისინი იმპერიის ერთგულნი გახადოსო.

თავისუფლებელი ბრძოლების გმირული ეპოპეის ფართოდ გაშუქება ქართული პრესის ფურცლებზე მოსახლეობის ფართო ფენების პატრიოტული აღზრდის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებით მათი გაჟღენთის ეფექტური საშუალება იყო. „ხალხთა ბორკილის მტვრევის ხმა“ აღაფრთოვანებდა ქართველ აბალგაზრდობას. ეს ხმა ამხნევებდა და განაწყობდა მათ ასეთივე გმირული ბრძოლისაკენ ცარიზმის მკაცრი კოლონიური უღლის წინააღმდეგ, მშობლიური ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მოსაპოვებლად. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ყველა ქართულმა ჟურნალმა და გაზეთმა, ეროვნული პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის ყველა გამოჩენილმა წარმომადგენელმა თავის საპატიო მოვალეობად მიიჩნია გამოხმაურებოდა მხურვალედ ასეთ აქტებს, განეზოგადებინა მათი გამოცდილება და ერცლად მოეთხრო მათ შესახებ მკითხველთა ფართო ფენებისათვის.

ა. ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა

ერთ-ერთი ასეთი თემა იყო ირლანდიელი ხალხის ხანგრძლივი განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელიც ერთდროულად ატარებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და აგრარულ-გლეხურ ხასიათს; მისი მიზანი იყო დაკარგული თავისუფლების მოპოვება და ინგლისელ ლენდლორდთა მიერ მიტაცებული მიწების უკან დაბრუნება. ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა და მსოფლიოს მოწინავე ადამიანების ენერგიული მხარდაჭერით სარგებლობდა, განსაკუთრებით დიდ გაქანებას იღებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მის შესახებ ქართული პრესის გამოხმაურების უდიდესი ნაწილიც სწორედ ამ პერიოდზე მოდის.

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის თითქმის ყველა ცნობილი წარმომადგენელი გამოეხმაურა ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას და ერცლად. თანმიმდევრულად გაეშუქა მისი მეტამორფოზები. სათანადო მასალები ძირითადად ქვეყნდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „მოამბეში“, კანტი-კუნტი ცნობები იყო სხვა ორგანოებშიც.

ი. ჭავჭავაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობის გრძნო-

ბით მოჰკიდა ხელი ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლის გაშუქებას და მის ხასიათს, მიზეზებს, მიმდინარეობასა და განვითარების პერსპექტივებს მიუძღვნა მაღალიდეური, მეცნიერულად გამართული და ისტორიული სინამდვილის ძირითადში სწორად ამსახველი წერილების სერია. ეს წერილები დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას. დღევანდელი მკითხველი ამჟამადაც ბევრ საინტერესოსა და ჭკუის სასწავლებელს ამოიკითხავს მათში [1].

საინტერესო მიმოხილვები მიუძღვნეს ამ საკითხს აგრეთვე ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, გამოჩენილმა ქართველმა მოაზროვნემ და მამულიშვილმა იაკობ გოგებაშვილმა, კ. ნაცვლიშვილმა, ცნობილმა პუბლიცისტმა ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგმა ა. ჯორჯაძემ, ა. ყიფშიძემ, დ. მიქელაძემ და სხვებმა.

აზრთა და შეხედულებათა ნაშილობრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, რაც უეჭველად შეინიშნება ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი აღნიშნულ ავტორთა გამოხმაურებაში, ძირითადი ტენდენცია მაინც ერთი იყო: მოწინავე ქართველობა საზოგადოებამ „ირლანდიის საკითხის“ მთელი კომპლექსი სამართლიანად შეაფასა, როგორც ახალი დროის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი, როგორც ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საშიში ფიცხი მასალა, რომელიც მოითხოვდა ამ საკითხის უსწრაფესად და რადიკალურად გადაწყვეტას. ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა მან განიხილა სხვა მსგავს განმათავისუფლებელ მოძრაობათა ნაკადებთან მჭიდრო კავშირში, როგორც მათი ერთ-ერთი ნაკადი და კონკრეტული ნაირსახეობა. ამ ბრძოლის მთელი რთული მეტამორფოზი გაშუქებულ იქნა ისტორიულ ასპექტში, ინგლისისა და ირლანდიის ხანგრძლივი ურთიერთობის ფონზე, საინტერესო მაილუსტრირებელი კონკრეტული ისტორიული ფაქტების ანალიზით, მრავალფეროვანი წყაროებისა და ლიტერატურის მოშველიებით. ქართული პერიოდული პრესის ორგანოები (თითქმის ყველა უკლებლივ) გაბედულად გამოექომაგა კოლონიური უღლის ქვეშ მგმინავ, საკუთარი მამაპაპეული მამულებიდან ძალით აყრილ ირლანდიელ მშრომელ მოსახლეობას და ცნეს მისი ბრძოლის სამართლიანი და განმათავისუფლებელი ხასიათი. მათ გულისტკივილით აღიქვეს მისი დროებითი და-

[1] ეს წერილები სახელწოდებით: „ირლანდია და ინგლისი“ და „ინგლისისა და ირლანდიის ურთიერთობა“ გამოქვეყნდა გაზეთ „იბერიის“ 1886 და 1889 წლების ნომრებში.

მარცხება, საუკეთესო შვილთა დაღუპვა და ინგლისის დამსჯელი რაზმების თარეში ირლანდიის მიწა-წყალზე, თანაუგრძნეს მას თავდატეხილ უბედურებაში, თანაც გულწრფელად უსურვეს ავბედობიდან თავის დაღწევა და ნანატრი თავისუფლების მოპოვება ახლო მომავალში. ამის პარალელურად ქართულმა პრესამ ერთხმად დაგმო ინგლისელ კოლონიზატორთა ძალადობა მათგან დამონებულ ირლანდიაში. მზის სინათლეზე გამოიტანა ინგლისელ ლენდლორდთა მიერ უმწეო ირლანდიელ მოიჯარეთა საიჯარო ნაკვეთებიდან აყრის მრავალრიცხოვანი შემთხვევები და მათი საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე გამოყვანა. მან ინგლისის დემოკრატიულ წრეებს მოუწოდა მზარდი ზემოქმედება მოეხდინათ მთავრობაზე და აეძულებინათ იგი წასულიყო რიგ დათმობაზე ირლანდიელი ხალხის მიმართ, თანაც მიესალმა მმართველი წრეების ცალკეულ წარმომადგენელთა ინიციატივას — მიეცათ ირლანდიისათვის თვითმმართველობა (ჰომრული).

ი. ჭავჭავაძემ და ი. გოგებაშვილმა ირლანდიის საკითხის სიმწვავის ძირითად სარჩულად სავსებით სამართლიანად აგრარული საკითხი მიიჩნიეს. საფუძვლიანად მიმოიხილეს რა ირლანდიის საადგილმამულო ურთიერთობა, მათ დამაჯერებლად გვიჩვენეს (თითქოს ისე, როგორც ეს მარქსსა და ენგელსს ჰქონდათ ჩამოყალიბებული), რომ ირლანდიელი მოსახლეობა სოციალურ ჩაგვრასაც ებრძოდა და ეროვნულ დამონებასაც, მისი ბრძოლა მიწისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ერთდროულად იყო აგრარულიც და ეროვნულ-განმათავისუფლებელიც. ამას ეწირებოდა მრავალათასობით ირლანდიელის სიცოცხლე. ამიტომ იყო, რომ პატივაყრილი, ეროვნულ-ღირსებაშელახული და დამშეული ირლანდიელი მშრომელები მასობრივად ტოვებდნენ სამშობლოს და აშშ და სხვა ქვეყნებში მიილტვოდნენ საარსებო სახსრების საძებნელად. ამის შედეგი იყო, როგორც კარგად იყო ეს ნაჩვენები ჩვენს დიდ მამულიშვილთა წერილებში, არნახული გაჩანაგება და შიმშილი.

ი. ჭავჭავაძე XIX საუკუნის შედეგების შეფასების დროს გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მან ბევრ ხალხს, მათ შორის ირლანდიელ ხალხს ვერ შეხსნა მონობის უღელი, ვერ მოუტანა თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მისი გადაწყვეტა მემკვიდრეობით XX საუკუნეს უანდერძაო.

საერთოდ, ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის თაობაზე ქართულ პრესაში გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად თანმიმდევრული რადიკალიზმითა და მებრძოლი დემოკრა-

ტიზმით ხასიათდებოდა. ეს, რასაკვირველია, უფლებას არ გვაძლევს მხედველობის გარეშე დავტოვოთ ცალკეული უზუსტობანი, ისტორიული ჭეშმარიტებებიდან გადახვევა, მცდარი დასკვნები (გლადსტონის „დამსახურების“ გაზვიადება, ირლანდიაში კლასობრივი დაპირისპირების ფაქტის ჩრდილში მიტოვება, ზოგჯერ ეროვნული მოტივის წინ წამოწევა აგრარულის ნაცვლად და სხვ.), რაც შეინიშნებოდა ცალკეულ ავტორთა შეხედულებებში. მაგრამ ეს იყო უნებლიე შეცდომები, რაც ვერ ჩრდილავდა ქართული პრესის გამოძახილის პროგრესულ მნიშვნელობას.

ბ. იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი ბრძოლა (რისორჯიმენტო)

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი მხურვალე თანაგრძნობით და აღტაცებით გამოეხმაურნენ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის იდეურ-პოლიტიკური მედროშეები იტალიელი ხალხის მიერ წარმოებულ მძიმე ბრძოლას ავსტრიელთა უღლის დასამხობად და ფეოდალურ ერთეულებად დაყოფილი ქვეყნის გასაერთიანებლად, დიდი იტალიელი პატრიოტისა და სახალხო გმირის ჯუზეპე გარიბალდის ხელმძღვანელობით. ამ თემაზე წერა, ქართველი მკითხველი საზოგადოების სათანადო ამბების კურსში შეყვანა, იტალიელი ხალხის საბრძოლო დიდების მაგალითების გამომზეურება, გარიბალდის, მაძინისა და სხვა დიდ იტალიელ პატრიოტთა საგმირო საქმეების გაცნობა მათი ღირსების საქმედ და პატრიოტული მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ წარმტაც და შთამაგონებელ თემას მიუძღვნეს სიყვარულით გამთბარი ასეული სტრიქონები ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დ. მიქელაძემ, ა. ფურცელაძემ, პ. უმიკაშვილმა, ი. მეუნარგიამ და სხვებმა. მისი რთული პერიპეტიების შესახებ საინტერესო ცნობები მოათავსეს ჟურნალებმა — „კრებული“, „ცისკარი“, „მოამბე“, „ჯეჯილი“, „იმედი“, „საქართველოს კალენდარი“, და გაზეთებმა — „დროება“, „ივერია“, „ქვალი“.

ი. ჭავჭავაძემ იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და გამაერთიანებელ ბრძოლას მიუძღვნა მაღალი პათოსითა და შთაგონებით დაწერილი ლექსი „მესმის, მესმის სანატრელი“.

ჯუზეპე გარიბალდი, რომელსაც ენგელსმა ანტიკური ყალიბის გმირი უწოდა, ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და სა-

თაყვანებელი გმირი იყო უცხოეთის ქვეყნების დიდებულ შვილთა შორის. ცნობილია, რომ ილიას კაბინეტს სამი დიდი ადამიანის პორტრეტი ამშვენებდა: შოთა რუსთაველის, ერეკლე II-ისა და გარიბალდის. ამ ფაქტს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. კიღურაძე, თავისებური სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. „რუსთაველი სიმბოლო იყო ქართული კულტურისა, ერეკლე II ერთ დროს ძლიერ, აწ კი დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობისა, გარიბალდი — იმ გმირისა, რომელიც სამაგალითო უნდა გამხდარიყო ყველა იმ ქართველისათვის, რომელსაც სამშობლოს გამოხსნა ჰქონდა განზრახული". გარიბალდიში ილიას განსაკუთრებით იზიდავდა მისი ღრმა ხალხურობა, სწორუპოვარი პატრიოტიზმი, სამართლიანი საქმისათვის თავგანწირვის უნარი და დიდი რევოლუციური შემართება. ასეთ პიროვნებას, — წერდა ილია, — ორი სახელი აქვს: ერთი აქ დასარჩენი და მეორე თან წასაყოლი. მან სიცოცხლეშივე მოიხვეჭა დიდების გვირგვინი და მარადიული დიდების კვარცხლბეკზე ასვლის უფლება. განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ისწავლა ასეთი სასახელო შვილების დაფასება, უკვდავყოფა და სახალხო პატივისცემა. ასეთი სახალხო სიყვარული, მისი თქმით, მოიპოვეს ჯ. გარიბალდიმ იტალიაში, ჰიუგომ და ვოლტერმა — საფრანგეთში.

ასეთივე მაღალი შეფასება პოეტ ჯ. გარიბალდის ღვაწლმა თავისი ხალხის წინაშე ს. მესხისა და ა. ფურცელაძის სტატიებში ამ გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და „ჯეჯილსა" და „საქართველოს კალენდარში" მოთავსებულ ნეკროლოგებში [1].

თავის ვრცელ და ისტორიული სინამდვილის სწორად ამსახველ თხრობას ჯ. გარიბალდის საგმირო საქმეების შესახებ ს. მესხი ასეთი შესავლით იწყებს: „ვის არ გაუგონია გარიბალდის სახელი!... ევროპა განცვიფრებულია იმის საქმეებით, სამშობლო იტალიას ზეციდან გადმოვლენილ არსებად მიაჩნია და ისე უყურებს, როგორც ნახევარ ღმერთსა!". თხრობის ფინალში კი მას უწოდებს ისეთ კაცს, რომლის „...ცხოვრება და საქმეები სოცოცხლეშივე არაკად და ზღაპრად გადაიქცა". ნეკროლოგებში, რომლებიც გარიბალდის გარდაცვალების გამო გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში, გამოხატულია ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა ღრმა მოწონება და სიყვარული ამ

---

[1] იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მისი სახალხო გმირის ჯ. გარიბალდისადმი ღრმა სიმპათია ნათლად გამოსჭვივის გ. წერეთლის რომანში „მგზავრის წერილები", რომანის ერთ-ერთი გმირი შეყვარებულია გარიბალდიზე და მას ჩვენი ახალგაზრდობისათვის მისაბაძ პიროვნებად მიიჩნევს.

დიდი იტალიელი პატრიოტის მიმართ, „მისი საფლავი ნამდვილი სამლოცველოა დღეს იტალიის ერისათვის,... ათასობით მიდიან დღეს იტალიელები მისი ნეშტის თაყვანის საცემად“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ ნეკროლოგში. „...გარიბალდის სახელი უკვდავი იქნება მთელ დედამიწაზე“, — წერია მეორე ნეკროლოგში.

აღსანიშნავია, რომ გარიბალდი, რომელიც 1882 წელს გარდაიცვალა, ქართველმა ხალხმა ღრმა გულისტკივილით დაიტირა როგორც ახლობელი და საყვარელი პიროვნება. გორის საზოგადოებამ სამძიმრის დეპეშაც კი გაგზავნა იტალიაში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იტალიელი ხალხის დიდი შვილის გარდაცვალებამ ჩვენც შეგვაძრწუნაო.

ქართულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა იტალიელი ხალხის რისორჯიმენტოს მეორე გამოჩენილი მონაწილის ჯუზეპე მაძინის პატრიოტულ მოღვაწეობასაც. ბევრ შემთხვევაში გარიბალდისა და მაძინის სახელები ერთად არის მოხსენიებული და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მაძინიც იტალიის ხალხის დიდი პატრიოტი იყო. მართალია, მათ ცხოვრების სხვადასხვა გზა განვლეს და პირად ცხოვრებაშიც სხვადასხვა ხვედრი ხვდათ წილად, მაგრამ ორივე ერთი მშფოთვარე ეპოქის შვილი იყო, ორივეს თითქმის ერთნაირი მიზანი ჰქონდა და ერთი დიდი იდეალისათვის იბრძოდა: სამშობლოს განთავისუფლება და გაერთიანება, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

ამიტომ ს. მესხი სავსებით სწორად მოიქცა, როცა ორივე დიდი იტალიელი პატრიოტის ცხოვრება და მოღვაწეობა განიხილა ერთიან ისტორიულ ფონზე. 1872 წელს „დროებაში“ მოთავსებულ ნეკროლოგში ს. მესხმა საფუძვლიანად მიმოიხილა მაძინის დამსახურება, მისი აქტიური მონაწილეობა 1848-49 წლების მშფოთვარე ამბებისა და მომდევნო სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლებში, გარიბალდისთან ერთად. მათი საბრძოლო გზები მხოლოდ 1861 წლიდან გაიყარა. გარიბალდი იტალიაში დარჩა და ბრძოლა განაგრძო, — აღნიშნავს ს. მესხი, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატმა, შეთქმულებათა ტაქტიკის დიდოსტატმა, მაგრამ უდრეკმა რესპუბლიკელმა მაძინიმ არ უღალატა თავის რესპუბლიკურ პრინციპს და უარი განაცხადა სავოის დინასტიის ქვეშევრდომობაზე. მან შემდეგშიც არ ისარგებლა იტალიელი ხალხის მიერ პარლამენტის წევრად არჩევით და არ დაბრუნდა მონარქიულ იტალიაში. ს. მესხი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მაძინი ისე გარდაიცვალა საზღვარგარეთ. რომ ვერ ეღირსა თავისი უგულითადესი ზრახვის — იტალიაში რესპუბლიკის დაფუძნების — განხორციელებას.

ვრცელი ნეკროლოგით გამოეხმაურა მაძინის გარდაცვალებას მეორე ცნობილი ქართველი პუბლიცისტი პეტრე უმიკაშვილი („კრებული", 1872, ტ. 8). მან ამ გამოჩენილი იტალიელი პატრიოტისა და მგზნებარე რესპუბლიკელის ბობოქარი ცხოვრება და მოღვაწეობა გააშუქა ვრცელ ისტორიულ ფონზე, იმ დიდ ამბებთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც გაიშალა იტალიაში კარბონართა მოძრაობის აღმოცენების დღიდან და რომელთა უშუალო მონაწილე იყო იგი გარიბალდისთან ერთად.

რისორჯიმენტოს რთული და საინტერესო პროცესის გაშუქებისას ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ერთხელ კიდევ გამოავლინა მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, საზღვარგარეთის ამბებში ღრმად ჩახედულობა და მკითხველი მასის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. მან იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი ბრძოლის მთელი პროცესი გააშუქა როგორც ამ ხალხის უანგარო მეგობარმა და კეთილისმოსურნემ. იგი მთელი არსებით მიესალმა აღნიშნული ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას და სწორად წარმოაჩინა ამ ბრძოლის სამართლიანი და განმათავისუფლებელი ხასიათი, მიმდინარეობა და შედეგები. ისტორიული სინამდვილის შესაბამისი შეფასება მიეცა მასში მონაწილე პირთა სხვადასხვაგვარ როლს და დამსახურებას (გარიბალდი, მაძინი, კავური, ნაპოლეონ III [1], პიემონტის მეფე ვიტორიო და სხვ.). მან რისორჯიმენტო სავსებით სამართლიანად შეაფასა როგორც ძირიდან დაწყებული, მოსახლეობის ფართო ფენების აქტიური მონაწილეობით მიმდინარე სახალხო-რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც გარიბალდი და მისი გმირი თანამებრძოლები ხელმძღვანელობდნენ. ამიტომ იყო, რომ ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიებისა და ნეკროლოგების ავტორებმა გულისტკივილით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ გარიბალდის საარაკო გმირობის შედეგებით, მისი პოლიტიკური მოუმწიფებლობის გამო, ისარგებლა საოიის დინასტიამ, რომლის წარმომადგენელი ვიტორიო-ემანუელი კავურისა და კავურისტების აქტიური მხარდაჭერით გაერთიანებული იტალიის მეფე გახდა. რესპუბლიკის იდეა, რომელზეც მაძინისთან ერთად ასე ოცნებობდა გარიბალდიც, დასამარდა და მასთან ერთად გადაუწყვეტელი დარჩა ქვეყნის დემოკრატიული გადახალისების საქმეც.

---

[1] დ. მიქელაძის ფხიზელმა თვალმა კარგად შენიშნა, რომ ნაპოლეონმა იტალიას განთავისუფლებაში დიდი ქრთამი აიღოვა; ჩამოაცალა საოია და გარიბალდის სამშობლო ნიცა.

ჩეხი ხალხის ისტორია და მისი მაღალი თვითმყოფი კულტურა, გერმანელ-ავსტრიელთა უღლის ქვეშ მოქცეული ჩეხების თავდადებული ბრძოლა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთა შორის ისეთივე სიმპათიით სარგებლობდა როგორც ირლანდიელი ან იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამ თემაზე წერდა თითქმის ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერალი და პუბლიცისტი: ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, ალ. ყიფშიძე, ფრონელი და ბევრი სხვა. პერიოდული ცნობები მის შესახებ ხშირად თავსდებოდა გაზეთების—„დროება", „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი", ჟურნალების—„კრებული", „ივერია", „მოამბე" და ზოგიერთი სხვა ორგანოს ფურცლებზე. ქართველ მკითხველს საშუალება ჰქონდა ნათელი წარმოდგენა მიეღო ჩეხეთის საინტერესო ისტორიაზე, რომელიც ბევრ საქმეში მიაგავდა საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებსა და ეპიზოდებს, ჩეხი ხალხის კულტურაზე, ლიტერატურულ მიმდინარეობებზე, განმანათლებლობაზე, ჩეხი ხალხის მონაწილეობაზე 1848 წლის რევოლუციაში, ბრძოლაზე თვითმმართველობის უფლებების გაფართოებისათვის, დედაენის შერყვნისაგან დაცვის, მისი აღდგენა-განვითარებისათვის და სხვ.

ი. ჭავჭავაძეს ჩეხი ხალხის მოწინავე ადამიანები, მისი პატრიოტული პროგრესული ინტელიგენცია ჰყავდა მხედველობაში, როცა შინაურ მიმოხილვაში (VIII) ქართველ მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობდა „სლავური აღორძინების" მოთავეთა დიდ საგანმანათლებლო-კულტურულ საქმიანობაზე და მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის მისაბაძ მაგალითად მიიჩნევდა მას: მათ გამოაბრუნეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი, წერდა ილია, „ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა და რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა, ამის მაგალითი სხვათა შორის ჩეხელები არიან".

გ. წერეთელმა წერილში „ჩეხელნი და მათი ისტორია" ლაკონურად გააშუქა ჩეხი ხალხის წარსული ისტორიის ბევრი საინტერესო მომენტი: მისი დამკვიდრება თანამედროვე მიწა-წყალზე, ერთიან ხალხად ფორმირების პროცესი, ბრძოლა ყველა ჯურის აგრესორის, კერძოდ ჰაბსბურგ დამპყრობთა წინააღმდეგ. იგი ღრმა თანაგრძნობით და სიმპათიით მოუთხრობს ყოველივე ამის შესახებ ქართველ მკითხველს, თანაც სიხანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ

ამ მაღალი ეროვნული მეობისა და კულტურის ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ჰაბსბურგთა მონარქიის ბატონობას დაემორჩილა. ეხება რა იან ჰუსის რელიგიურ-რეფორმატორულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას, გ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავს მის უაღრესად კეთილნაყოფიერ როლს ჩეხი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განვითარებისა და განმათავისუფლებელი სულისკვეთების გაღვივების საქმეში. ჩეხი ხალხის ისტორიის ასეთივე დიდმნიშვნელოვან მოვლენად იგი მიიჩნევს ჩეხი ხალხის იმ საყოველთაო აღშფოთებას, რაც მოჰყვა იან ჰუსის დასჯას და იმ თერთმეტწლიან გმირულ ბრძოლას, რასაც ეწოდა ჩეხი ხალხი მომდევნო პერიოდში გერმანელთა წინააღმდეგ შესანიშნავი მამულიშვილის იან ჟიუკას ხელმძღვანელობით.

იან ჰუსის რეფორმატორულ და პატრიოტულ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე დ. მიქელაძემ, რომელმაც ჟურნალ „კრებულში" (1873, ტ. 10) მოათავსა ვრცელი წერილი „იოანე ჰესი". ეს წერილიც ჩეხი ხალხისადმი ღრმა სიმპათიით არის გაჟღენთილი.

ქართულ პრესას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ის ვითარება, რომელიც შეიქმნა ჩეხეთში ჰუსიტების დამარცხებისა და გერმანელთა ბატონობის აღდგენის შემდეგ. მან კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ნათელყო გერმანელთა ბატონობის მძიმე შედეგები, მოსახლეობის ფართო ფენების დრტვინვა, ზომიერი ჰუსიტებისა და კათოლიკური ეკლესიის მორიგება და მკითხველებს მოუთხრო ამ პერიოდის ისტორიის ბევრ სხვა მომენტზე.

XVIII საუკუნეს ჩეხი ხალხის ისტორიაში ქართულმა პრესამ სამართლიანად უწოდა უკუნი წყვდიადითა და კოშმარით აღსავსე პერიოდი. გერმანელი დამპყრობლები, თურქი ასიმილატორებისათვის დამახასიათებელი სისასტიკით, ცდილობდნენ წაეშალათ ჩეხური კულტურა: ხელოვნება, ლიტერატურა, თეატრი.

ჩეხური ენა, როგორც ეს ქართველ მოაზროვნეთა სათანადო წერილებშია ნაჩვენები, განიდევნა სკოლებიდან, სასამართლოდან, ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან; აიკრძალა ჩეხური წიგნების ბეჭდვა და გასაღება. ათასობით მოწინავე ჩეხი პატრიოტი იძულებული იყო საზღვარგარეთ გადახვეწილიყო და იქიდან განეგრძო ბრძოლა თანამემამულეთა ინტერესების დასაცავად.

სულ სხვაგვარად შეფასდა ქართული პროგრესული პერიოდიკის ორგანოებში XIX საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც დაიწყო ჩეხური ლიტერატურის აღორძინება და შემდგომი განვითარება. მათ სამართლიანად აღნიშნეს ამ აღორძინებული ეროვნული ლიტერა-

ტურის უდიდესი როლი ჩეხ ხალხში პატრიოტული იდეების გაღვივებისა, ეროვნული მეობის დაცვისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების საქმეში. სწორედ მაშინ გამოვიდა ასპარეზზე ჩეხ განმანათლებელთა პირველი თაობა, რომელსაც ასეთ მაღალ შეფასებას აძლევენ ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, ალ. ყიფშიძე და სხვები. მათ შეამზადეს იდეურად ის დიდი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ახალი გაქანება მიიღო XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ქართულმა პრესამ სერიოზული ყურადღება მიაქცია იმ ახალ ვითარებას ევროპის კონტინენტზე, რომელიც შეიქმნა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ და რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ჩეხი ხალხის ახალ პატრიოტულ აღტყინებას და ბრძოლას ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეს ვითარება, რომელიც კარგად იყო ნაჩვენები „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე, იყო „საღვთო კავშირის“—ევროპული რეაქციის ამ ბურჯის—ლიკვიდაცია და თავისუფალი აზრისათვის, პროგრესულ-საგანმანათლებლო იდეებისათვის მეტი გასაქანის მიცემა. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში—იტალიაში, ბალკანეთზე, ირლანდიაში—მძლავრი გაქანება მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. თვით ავსტრიაშიც გერმანელთა ბატონობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა მადიართა, რუმინელთა, ხორვატებისა და სხვა ჩაგრული ხალხების მოძრაობამ. როგორც ქართული პუბლიცისტიკის მოთავეთა წერილებიდან ჩანს, ამან მძლავრი ბიძგი მისცა ჩეხი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას გერმანელ-ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ. მათი შეხედულებით, ეს ბრძოლა პირველი სერიოზული წარმატებით დაგვირგვინდა 1879 წელს, როცა ბადენის კაბინეტმა ჩეხებს უბოძა შინაგანი თვითმმართველობა ჩეხურ-იტალიურ მიწებზე და ჩეხურ ენას გერმანული ენის თანაბარი უფლებები მიანიჭა. ქართველი ხალხის მოწინავე შვილები სიხარულით შეეგებნენ ჩეხი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ წარმატებას და ისურვეს მისი „გადმონერგვა“ საქართველოს სინამდვილეში.

მართალია, ჩეხეთის ისტორიისა და ჩეხი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველა მომენტი თანაბარი სისრულითა და ისტორიული სინამდვილის შესაბამისობით არ ასახულა მოწინავე ქართულ პრესაში, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ქართული პროგრესული პრესის ისტორიულ დამსახურებას, მის მაღალ პასუხისმგებლობას მკითხველი მასის წინაშე. აღნიშნული საკითხის გაშუ-

ქების დროსაც (ისე როგორც საერთოდ) იგი ეპოქის მოწოდების სიმაღლეზე იდგა და ძირითადად მისი მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებდა.

დ. ბალკანეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა

ქართული პროგრესული საზოგადოებრიობა მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ამბებს და ღრმა თანაგრძნობით ეკიდებოდა იქ მცხოვრები სლავი და ბერძენი ხალხების საუკუნოვან ბრძოლას ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის.

ბალკანეთის ხალხთა ყოფისა და განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი ყურადღება და ცხოველი ინტერესი მარტო იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ საქართველოსა და ამ ხალხებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო (ისინიც დიდხანს იტანჯებოდნენ თურქ ასიმილატორთა მძიმე უღელქვეშ), არამედ მას სერიოზული ისტორიული ფესვებიც ჰქონდა. ქართველ და ბალკანეთის ხალხებს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდათ კულტურული კავშირ-ურთიერთობანი. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის მრავალი კონკრეტული ფაქტი, ქართული კულტურის ცნობილი კერების არსებობა ათონის მთაზე (ქალკიდონის ნახევარკუნძულზე), ბაჩკოვოში, გრიგოლ ბაკურიანძის მიერ ბულგარეთში დაარსებული პეტრიწონის მონასტერი, ანთიმოზ ივერიელის მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მოლდავეთსა და ვლახეთში (რუმინეთი) და ბევრი სხვა. იმ ისტორიული ავბედობის მიუხედავად, რაც არაერთხელ დასტეხია თავს ქართველ ხალხს, იგი მაინც ახერხებდა ყოფილიყო საბერძნეთის, სერბიის, ბულგარეთისა და ბალკანეთის სხვა ქვეყნების ამბების კურსში. სოლომონ დოდაშვილი და სხვა მოწინავე ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ 1832 წლის შეთქმულებაში, აღტაცებით შეეგებნენ ბერძენი ხალხის საყოველთაო განმათავისუფლებელ აჯანყებას. ყირიმის ომის დროსაც, პუბლიკაციის ძალზე შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად, საქართველოში ქვეყნდებოდა თითო-ოროლა ცნობა საბერძნეთის, სერბიის ან ბულგარეთის შესახებ, ამ ცნობათა შორის მთავარი ადგილი ანტითურქულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ეთმობოდა.

მაგრამ ბალკანეთის ხალხთა ყოფისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ქართული პრესის ცნობები უხვი და მრავალფეროვანი ხდება განსაკუთრებით 1875 წლიდან, როცა ბოსნიისა და

ჰერცეგოვინის მოსახლეობის საყოველთაო ანტითურქული აჯანყებით დაიწყო ბალკანეთის სლავ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი, მძლავრი ეტაპი; სლავ ხალხთა საბრძოლო ასპარეზზე გამოსვლას ფეხი აუწყვეს კრეტის ბერძნულმა მოსახლეობამ, ალბანელებმა. ბალკანეთის ამბები ევროპული დიპლომატიის მორიგი „ზრუნვისა“ და დაინტერესების ობიექტი ხდება და საერთაშორისო რეზონანსს იღებს.

ქართული პრესის ყველა ორგანომ თავის საპატიო მოვალეობად მიიჩნია ვრცლად მოეთხრო მკითხველისათვის იმ ამბების შესახებ, რომლებიც კალეიდოსკოპის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს ბალკანეთზე 1875 წლიდან მოკიდებული 1878 წლის მეორე ნახევრამდე, როცა მუშაობა დაამთავრა ბერლინის კონგრესმა. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბალკანეთი და მთელი ახლო აღმოსავლეთი ისევ სერიოზული საერთაშორისო გართულებების ასპარეზი ხდება. სათანადო ფიცხი მასალა 90-იან წლებამდე არ იხსნება ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგიდან. ქართული პრესაც კვალდაკვალ მიჰყვება ამბების მსვლელობას და სხვა არანაკლებ აქტუალური ამბებით „დატვირთულობის“ მიუხედავად ისევ საფუძვლიანად აშუქებს ბალკანეთის ამბების მსვლელობას.

ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დ. მიქელაძემ, ი. აღლაძემ, გ. ლასხიშვილმა და სხვა ავტორებმა ბალკანეთის ხალხთა განმათავისუფლებელი სხვადასხვა ეტაპის გაშუქებისას საჭიროდ ცნეს მიემართათ ისტორიული ექსკურსისათვის და ვრცლად მოეთხროთ მკითხველთათვის ბულგარეთის, სერბიის, საბერძნეთის ისტორიული განვითარების, კრეტელთა, ალბანელთა და ჩერნოგორიელთა ყოფის შესახებ და მოეხდინათ მათი ცალკეული ისტორიული პერიოდების შედარება. მხედველობის გარეშე არ დაუტოვებიათ ეს ქვეყნები 1878 წლის შემდეგაც, როცა მათმა უმეტესობამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ხელი მიჰყო ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

ბალკანეთის ნიადაგზე აღმოცენებული ყოველი ახალი კრიზისის დროს ქართულმა პრესამ სათანადო შეფასება მისცა დიდი საბელმწიფოების ხელის ფათურს ბალკანეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში, მან ნიღაბი ჩამოხსნა მათი „მეურვეობის“ ნამდვილ სარჩულს, დაახასიათა ცალკეული ქვეყნების პოზიცია და გამოააშკარავა მათი ანგარული და ეგოისტური მისწრაფებები. ილიას თქმით, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა გულწრფელი სურვილი დახმარებოდა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლ სლავ ხალხებს, — ალბანელებს, კრეტელებს ან ჩერნოგორიელებს, მათ მხოლოდ სა-

კუთარი „...პოლიტიკის გამოხსნა ეწადათ“, საკუთარი ინტერესები ამოქმედებდათ. გ. წერეთელი სრულ ჭეშმარიტებას გამოხატავდა, როდესაც წერდა, რომ ხშირად დიდი სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, რუსეთი) რეალური დახმარების ნაცვლად ხელს უშლიდნენ მებრძოლ ხალხებს და თურქ ასიმილატორებს ექომაგებოდნენ. ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და სხვა ქართველი პუბლიცისტები მკაცრად გმობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა ასეთ პოლიტიკას და მას ბალკანეთის ხალხთა აბუჩად აგდებად მიიჩნევდნენ. მათი შეხედულებით, ისინი მოქმედებდნენ პრინციპით: „ვინც უნდა იტანჯებოდეს, ოღონდ მათ საკუთარ ინტერესებს არა მოაკლდეს რა“.

მაგრამ ქართული პუბლიცისტიკის მოთავეებმა კარგად იცოდნენ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთავრობების დიპლომატია და პოლიტიკა მებრძოლი ბალკანელი ხალხების მიმართ არ ემთხვეოდა და არ გამოხატავდა ამ სახელმწიფოთა მოსახლეობის ფართო ფენების სულისკვეთებას, რომ ხალხთა მასებსა და მთავრობებს შორის ღრმა უფსკრულია. ხალხი თვითონ იტანჯება საკუთარი მთავრობისაგან, რის გამოც კარგად აფასებს სხვათა ტანჯვას და ბედნიერებას. ამიტომ იგი მუდამ მზადაა არა მარტო მორალურად თანაუგრძნოს დაჩაგრულ ერებს, არამედ საჭირო შემთხვევაში დახმარების ხელიც გაუწოდოს მას. იგი ამასაც არ სჯერდება და მოუწოდებს საკუთარ მთავრობას შეცვალოს პოლიტიკა და ბოლოს და ბოლოს სამართლიან გზას დაადგეს.

რუსეთის ბალკანური პოლიტიკის გაშუქების დროს ქართულ პრესას მხედველობიდან არ გამორჩენია ცარიზმის სუბიექტური ჩანაფიქრისა და გეგმების ეგოისტურ-ანგარული სარჩული და მისი ობიექტურ-ისტორიული შედეგების პროგრესულობა. რუსი ხალხი თურქეთთან ომით და ბალკანეთზე იარაღისა და მოხალისეების გაგზავნით (რის შესახებაც სათანადო ცნობები მოთავსდა ჩვენი ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე) ეფექტურ, ქმედით დახმარებას უწევდა ბალკანეთის სლავ და არასლავ ხალხებს და აჩქარებდა მათ განთავისუფლებას.

როდესაც 1875 წლიდან ბალკანეთი ანტითურქული აჯანყებების ცეცხლში გაეხვია და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოსახლეობის საყოველთაო აჯანყების ტალღა სერბიასა და ბულგარეთსაც მოედო, ქართულმა პრესამ დიდი მონდომებით და სიყვარულით გააშუქა ანტითურქული განმათავისუფლებელი აჯანყებების საინტერესო ეპოპეა და მის საინტერესო ეპიზოდებზე მოუთხრო მკითხველებს. მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლები მთელი

არსებით მიესალმენ ამ ბრძოლას და უსურვეს მას გამარჯვებით დაგვირგვინება. როგორც ცნობილია, თურქი ბაშიბუზუკები ვანდალური შეუბრალებლობით მოედვნენ ბულგარეთის, სერბიისა და სხვათა ტერიტორიებს—სოფლებსა და ქალაქებს და შეეცადნენ ცეცხლითა და მახვილით, მებრძოლთა მასობრივი გაჟლეტით ჩაეხშოთ მათი სახალხო ბრძოლა. ენით აუწერელი მხეცობა ჩაიდინეს მაშინ თურქეთის დამსჯელმა ჯარებმა ყველგან, განსაკუთრებით კი ბულგარეთსა და სერბიაში. ათასობით დასახლებული პუნქტის ნახანძრალად ქცევა, მშრომელთა შრომით შექმნილ დიდძალ ფასეულობათა მოსპობა და სამოქალაქო მოსახლეობის (ასაკისა და სქესის განურჩევლად) წამებით სიცოცხლის გამოსალმება, ასეთი იყო ლანგთემურის ბანდების ამ „ღირსეულ“ მემკვიდრეთა თარეშის შედეგები. აღნიშნულ სისხლიან ორგიებს, რომელთაც შეაძრწუნეს მსოფლიოს მილიონობით ადამიანი, დემოკრატიისა და პროგრესის ყველა მეგობარი, ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესის ორგანოები. მათ თავიანთ ფურცლებზე მოათავსეს უცხოური პრესიდან და სხვა წყაროებიდან ამოკრეფილი ცნობები თურქეთის მხედრიონის მიერ ბალკანეთის მიწა-წყალზე ჩადენილ საშინელებათა შესახებ, აღშფოთებით დაგმეს იგი და ამხილეს ცალკეულ მსგავს აქტთა ჩადენის ორგანიზატორებიც და უშუალო აღმასრულებლებიც. აღსანიშნავია, რომ ბევრი ასეთი კონკრეტული ფაქტის შემკრები და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის მიმწოდებელი იყო რუსეთის გენერალური კონსული პლოვდივში, წარმოშობით ქართველი ალექსი წერეთელი.

ცოტა უფრო გვიან (90-იანი წლების ბოლოს) ასევე მხურვალედ გამოეხმაურა ქართული პრესა კუნძულ კრეტის საყოველთაო აჯანყებას, რომლის ამოცანა იყო თურქთა აუტანელი ტირანიის დამხობა და დედასამშობლოსთან გაერთიანება (სხვა ავტორებთან ერთად „ივერიაში“ ამ თემაზე მალაქია ბოლქვაძე წერდა). ხოლო კონსტანტინოპოლიდან თურქეთ-ირანის ომის ამბებს აშუქებდა გაზეთის (ივერიის) სპეციალური წარმომადგენელი იასე რაჭველი.

მილიტარიზმისა და ომის საფრთხის ზრდისა და განიარაღების საკითხები

ქართულმა პრესამ სერიოზული ყურადღება მიაქცია საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ევროპაში დამკვიდრებულ „შეიარაღებული მშვიდობის“ ვითარებას და გონებამახვილური მოსაზრებები გამოთქვა მისი მიზეზების, მიმდინარეობისა და შესაძლო შედეგების შესახებ. მან მკითხველ საზოგადოებას მოუთხრო იმ მილიტარის-

ტული ძალების შესახებ, რომლებიც, მოქმედებდნენ რა ხალხთა მასებისა და ევროპის სახელმწიფოთა ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ, აძლიერებდნენ დაძაბულობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში და ევროპას ახალი ომისაკენ ეწეოდნენ. მანვე საჭიროდ ცნო იმ საზოგადოებრივ წრეებზედაც გაემახვილებინა ყურადღება, რომლებიც დემოკრატიისა და პროგრესის ბანაკს ეკუთვნოდა, ანტიმილიტარისტულ პოზიციებზე იდგა და ცდილობდა გამოენახა ისეთი საშუალებები, რაც გზას გადაუღობავდა ომის მზარდ საფრთხესა და იარაღის ჟღარუნს, განმუხტავდა „შეიარაღებული მშვიდობის“ ატმოსფეროს, შექმნიდა პირობებს სახელმწიფოთა ურთიერთგაგებისათვის [1].

ცნობები ამ საჭირბოროტო თემაზე ხშირად თავსდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ზოგ მათგანში გაშუქებული იყო ევროპაში შექმნილი საომარი ვითარება, სხვებში კი მოთხრობილი იყო აღნიშნული ვითარების წარმომშობი და გამაღვიძებელი მიზეზები. ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, ხალხოსნები, „მოამბისა“ და „კვალის“ თანამშრომლები (მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით) თავიანთ შეშფოთებას გამოთქვამდნენ ევროპაში შექმნილი საშიში ვითარების შესახებ. ისინი დამაჯერებლად და ზუსტად გადმოსცემდნენ იმ ეგოიზმს, სახელმწიფოთა ურთიერთ სიძულვილსა და მტრულ ატმოსფეროს, რომელიც დამკვიდრდა ევროპაში, „მსოფლიოს ამ უგანათლებულეს ნაწილში“. „თავით ფეხებამდე შეიარაღებული ევროპა, — წერდა დ. მიქელაძე, — ხმელეთსა და ზღვაზე კაცთა სამტროდ აღდგენილი, განა ნიშანია ქრისტიანობისა!“ და დასძენდა: მმართველი წრეები სიტყვით ქრისტიანული მორალის ერთგულნი არიან, მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას ქადაგებენ, ხალხების ინტერესებისათვის მებრძოლებად ასაღებენ თავს, საქმით კი ძირს უთხრიან მშვიდობის საქმეს, ხალხებს მილიტარიზმის მძიმე ტვირთს ჰკიდებენ, აღვივებენ შუღლის ატმოსფეროს და აჩქარებენ ომს.

ი. ჭავჭავაძემ წერილების სერია [2] მიუძღვნა მილიტარიზმისა და

---

[1] შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძემ თავისი სადოქტორო დისერტაციის თემად (რომელიც ფრანგულ ენაზე დაწერა და წარმატებით დაიცვა 1868 წელს ციურიხის უნივერსიტეტში) აირჩია „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“.

[2] „ევროპა 1886 წელს“, „საპოლიტიკო მიმოხილვა“, „ომის საფრთხის წინ“, „მილიტარიზმი ევროპაში“, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, „ევროპის მილიტარობა“, „ამერიკის მერმისი“, „ევროპის დიდი ღა პატარა ონაერები“ და სხვ.

ომის საფრთხის საკითხს ევროპაში. ასევე მოიქცა ნ. ნიკოლაძეც, რომელმაც დასახელებულ სადოქტორო დისერტაციასთან ერთად ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა სტატიებში: „ევროპის ცხოვრება“, „ომის გავლენა ევროპაზე“, „ომის სადღეგრძელო“. აქ შორს წაგვიყვანდა იმ წერილების ჩამოთვლა, რომლებშიც სხვა პრობლემებთან ერთად აღძრულია და გაშუქებული მილიტარიზმისა და ომის საფრთხის საკითხი. ასეთები ძალიან ბევრია. მით უფრო, რომ ამ თემაზე წერა დაიწყო საფრანგეთ-პრუსიის ომის დროიდან და ვრცელდებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც.

ქართულმა პრესამ შეძლო ნათლად წარმოეჩინა იმ მოტივთა ხასიათი, რომელიც ევროპაში სულისშემხუთავი მილიტარიზმის ატმოსფეროს ქმნიდა და მიაქანებდა მას ომისაკენ. ძველ მოტივებთან ერთად მან კარგად დაინახა ის ახალი მოტივებიც, რომლებიც რელიეფურად გამოვლინდა 80-იანი წლებიდან. ამ მოტივთა შორის მან სავსებით მართებულად მიუთითა იმ მოტივებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ევროპის დიდი და პატარა კოლონიზატორი სახელმწიფოების კოლონიური დაპყრობების ციებ-ცხელებასთან, რამაც, როგორც ცნობილია, სწორედ 80—90-იან წლებში მიიღო ფართო გაქანება. რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია — აი კოლონიური დაპყრობების მთავარი მოქმედი გმირები. მათ გვერდით ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვები ასახელებენ პორტუგალიის, ბელგიისა და ესპანეთის ტიპის პატარა მტაცებლებსაც. ამ გამალებული კოლონიური დაპყრობების პროცესში, როგორც კარგად შენიშნეს ჩვენი პრესის მუშაკებმა, ასპარეზზე ამოტივტივდა საერთაშორისო კონფლიქტების გაღრმავების ახალი ობიექტები—ავღანეთის საკითხი, ტუნისისა და მაროკოს საკითხები, ტროპიკული აფრიკის ცალკეული რაიონების საკითხი, ოკეანიის საკითხი და სხვ. ამ ნიადაგზე არნახულად გამწვავდა ბრძოლა კოლონიზატორთა შორის. მათი შეხედულებით, ეს იყო ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის, სამხედრო-სტრატეგიული ბაზებისა და სავაჭრო უპირატესობისათვის.

„შიგ ევროპაში საქმე ისე არსად არ არის ჯერ გამწვავებული,— წერდა ილია 1898 წელს, — რომ ხაზი და ლარი დღევანდელის პოლიტიკისა ამ საქმეების მიხედვით გაიბას. სულ სხვაა ევროპის გარეთ. რაც უკანასკნელ ხანებამდე დიდთა სახელმწიფოთათვის ოსმალეთი იყო ევროპაში, ეხლა აფრიკაა და ჩინეთი“...

ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და გ. წერეთელი ერთ-ერთ მთავარ ფიცხ მასალად, რომელიც იწვევდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ანტაგონიზმის გამწვავებას და ევროპას ომის უფსკრულისაკენ

მიაქანებდა, აგრეთვე მიიჩნევდნენ კოლონიური მძარცველობის მასშტაბის გაფართოებას და ევროპაში დამკვიდრებულ წყობილებას, რომელიც სოციალურ და ეროვნულ უსამართლობაზე იყო დაფუძნებული. სანამ ეს საზოგადო მოვლენა არსებობს... სანამ ერთი მეორისაგან დაჩაგრულია, სანამ ბოლო არ მოეღება აზიის, აფრიკისა და ოკეანიის ჩამორჩენილი ხალხების დამონება-ძარცვას, წერენ ისინი, მანამ მშვიდობაზე ლაპარაკი მხოლოდ ლიტონი სიტყვები იქნება და მას არავინ უნდა მოველოდეთო.

საერთოდ, მოწინავე ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქცია მილიტარიზმისა და ომის საფრთხის ზრდას ევროპაში, რითაც მკაფიოდ გაუსვა ხაზი ამ პრობლემის დიდმნიშვნელოვან როლს ევროპის ხალხთა ცხოვრებაში. მან ეს პრობლემა განიხილა როგორც ზოგადად ევროპის მასშტაბით, ისე ცალკეული ქვეყნების მიხედვით. კარგად მოიმარჯვა რა ისტორიული ასპექტი, ამ პრობლემის მთელი კომპლექსი განიხილა ისტორიული თანამიმდევრობით, სათანადო ისტორიული ფონის ნათლად ჩვენებით.

მრავალი კონკრეტული ფაქტების მოტანით და ურთიერთისათვის შეჯერებით ჩვენმა სახელოვანმა წინამორბედებმა მკითხველებს ნათლად დაანახვეს მილიტარიზმის უაღრესად მავნე გავლენა ევროპის ცხოვრებაზე. მათ განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს მის დამღუპველ ხასიათს ქვეყნების ეკონომიკისა და მშრომელი მასების საარსებო ინტერესებისათვის და მთელი პასუხისმგებლობა ამისათვის დიდ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს დააკისრეს. ევროპაში არსებული საზოგადოებრივ-სოციალური და ეროვნული უსამართლობა მათ მიიჩნიეს მილიტარიზმისა და ომის საფრთხის ზრდის მთავარ წყაროდ და საფუძვლად. მათ ძირითადად სწორად მიუთითეს იმ მოტივებზე — ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის წინააღმდეგობათა კვანძებსა და მძაფრი ქიშპობის ობიექტებზე, რომლებმაც განაპირობეს ევროპაში „შეიარაღებული მშვიდობიანობის" დამკვიდრება და ომის მუდმივი საფრთხის დამოკლეს მახვილივით ამართვა ევროპის ხალხთა თავზე. მათ წინა ჰალანზე წამოსწიეს გერმანიის ზევიდან (რეაქციული) გაერთიანება. საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხება და ელზას-ლორენის პრობლემის აღმოცენება, გაერთიანებული გერმანიის აგრესიული საგარეო პოლიტიკა, აღმოსავლეთის „მარად თავსატეხი საკითხი" და მისი შემადგენელი ნაწილის — ბალკანეთის პლაცდარმისათვის ბრძოლა როგორც ევროპაში მილიტარიზმის დამკვიდრების მთავარი მოტივები და ფაქტები.

ქართული პრესა კარგად ჩასწვდა საერთაშორისო დაძაბულობისა და ომის საფრთხის შეუჩერებელი ზრდის საქმეში მსოფლიო პოლიტიკის ახალი ფიცხი მასალების მნიშვნელობას. წინააღმდეგობათა ახალი კვანძების წარმოშობა მან უშუალოდ დაუკავშირა დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის გაჩაღებულ მძაფრ ბრძოლას აზიისა და აფრიკის „უპატრონო“ ტერიტორიების“ კოლონიური დაპყრობებისათვის. ევროპის ორ მტრულ სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკად (სამთა კავშირი და რუსეთ-საფრანგეთის კავშირი) გათიშვა, რაც ძირითადად XIX საუკუნის დამლევისათვის დამთავრდა, მან სამართლიანად მიიჩნია აღნიშნული ვითარების ლოგიკურ შედეგად და მომავალი ომის პრელუდიად.

ქართულმა პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ქართველ მკითხველ მასას გააცნო ევროპის ის საზოგადოებრივი ძალებიც, რომლებიც ენერგიულად იბრძოდნენ ომის საფრთხისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ და სათავეში ედგნენ მასების რიგებიდან წარმოშობილ მოძრაობას განიარაღებისათვის. მან აღძრული საკითხის მთელი კომპლექსი გააშუქა თანამიმდევრულად ანტიიმპერიალისტური პოზიციიდან, თავისი პროტესტის ხმა შეუერთა ევროპის ზემოაღნიშნულ მოწინავე ადამიანთა ხმას და ქართველი ხალხის ფართო ფენები გამსჭვალა მებრძოლი ანტიიმპერიალისტური სულისკვეთებით. როგორც სხვა პრობლემების, ისე მილიტარიზმისა და ომის საფრთხის თემის გაშუქების დროს, თქმა არ უნდა, შეინიშნება შეხედულებათა გარკვეული დაცილება, ამა თუ იმ მოტივისადმი სხვადასხვა მიდგომა და პრობლემის რთული კომპლექსის ცალკეული კომპონენტის მეტ-ნაკლები სისრულითა და ისტორიული შესატყვისობით განხილვა. ყველას ისეთი თვალსაზრისი არ გაუტარებია აღძრული პრობლემის შესახებ, როგორიც დამკვიდრებულია მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ჩვენ არ ვიქნებოდით ობიექტურები ასეთი მოთხოვნები რომ წაგვეყენებინა ჩვენი სახელოვანი წინამორბედებისათვის. მთავარი და არსებითი ის არის, რომ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოხმაურება მილიტარიზმის, ომისა და განიარაღების პრობლემისადმი ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე იდგა, პროგრესული და დემოკრატიული მრწამსით იყო გაჟღენთილი და სავსებით უპასუხებდა გათვითცნობიერებული ქართველი მკითხველი მასის ომის საწინააღმდეგო განწყობილებას.

კოლონიური კოლიტიკის საკითხები

ცარიზმის კოლონიურ უღელქვეშ მყოფი საქართველოს მოწინავე შვილები მუდამ მტკიცე ანტიკოლონიურ ნიადაგზე იდგნენ.

ისინი მკაცრად გმობდნენ ერთი ერის მიერ მეორეზე მისევას, დიდი ერის მიერ პატარა ერის აბუჩად აგდებასა და დამონებას, კოლონიურ ძალადობასა და დაკაბალებას. ქართული პრესა პერიოდულად ათავსებდა ცნობებს ევროპის „დიდი და პატარა ონავრების" კოლონიური მტაცებლობისა და „მოღვაწეობის" შესახებ აზიასა და აფრიკაში. ასევე ხშირად შუქდებოდა მის ფურცლებზე კოლონიზატორთა „მეურვეობაში" გადასული ქვეყნების ხალხთა ყოფისა და ბრძოლის საკითხი. პირველ შემთხვევაში ცნობების ავტორები მკითხველებს განაწყობდნენ მტრულად ყოველგვარი კოლონიური ძალადობის წინააღმდეგ. მეორე შემთხვევაში კი აღძრავდნენ თანაგრძნობას კოლონიური ჩაგვრის ობიექტად ქცეულ ხალხთა მიმართ.

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთა უმრავლესობას კარგად ესმოდა ევროპის დიდი და პატარა კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიების სარჩული და ბიძგის მიმცემი მოტივები. მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა იდეოლოგიური მრწამსის მომხრეთა გარდა (ნ. ჟორდანია) საქართველოში თითქმის არავის სწამდა იმპერიალიზმის „ცივილიზატორული მისია" და „თეთრი ადამიანის ტვირთი" აზიასა და აფრიკაში. სინამდვილე სულ სხვა იყო, და ეს კარგად იყო ნაჩვენები ქართულ პრესაში, ვიდრე ის იდილიური სურათი, რასაც ხატავდნენ იმპერიალიზმის აპოლოგეტები. არსად, დედამიწის არც ერთ კუთხეში არ მისულან კოლონიზატორები კეთილი ნების მისიით. მკვიდრთათვის დახმარების გასაწევად და მათ შორის კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევათა დასანერგავად. მრავალი კონკრეტული მაგალითის ჩვენებით ქართულმა პერიოდულმა ორგანოებმა ქართველ მკითხველს მკაფიოდ დაანახვეს კოლონიური პოლიტიკის მტაცებლური სახე და იმ საქმიანობის ამაზრზენი არსი, რასაც ეწეოდნენ კოლონიზატორები თავიანთ კოლონიურ საჰფლობელოებში.

ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ, ი. გოგებაშვილმა, გ. ლასხიშვილმა, ი. აღლაძემ, ვ. ჩერქეზიშვილმა, ფ. მახარაძემ და სხვებმა რეალისტურ ფერებში გვიჩვენეს იმპერიალისტ-კოლონიზატორთა „მოღვაწეობა" კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში ჩინეთის, ინდოეთის, ინდოჩინეთის, ეგვიპტის, ტუნისის, ალჟირის, ტროპიკული აფრიკის, მადაგასკარის კონკრეტულ მაგალითებზე.

ი. ჭავჭავაძე აზიის ჩამორჩენისა და დაქაბუნების ძირითად მიზეზად XIX საუკუნეში(იმ კონტინენტისა, რომელიც, მისივე ხატოვანი თქმით, ერთ დროს „...სათავეში ედგა მთელი ქვეყნის ბედის წარმატებას" და ხელთ ეპყრა მსოფლიო კულტურისა და ცივილი-

ზაციის ჩირაღდანი) მიიჩნევს ევროპელ კოლონიზატორთა მისევას და მათ პარპაშს ამ კონტინენტის ქვეყნების მიწა-წყალზე. აზია, წერს იგი, თავისი ჩამორჩენილობის გამო ყველა ხარბისა და გამოცალვის მსურველთა მსუნაგი ინსტინქტების აღმძვრელი ობიექტი ვაჰდა „...ახლა თუ ვინმე ახსენებს, — ან იმისათვის, რომ როგორ და რა გზით გამოვწოვო მისი ხელუხლები სიმდიდრეო, ან იმისათვის რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე და ყურმოჭრილ ყმად იყმოს იმ მხარის მემკვიდრენი. ისევ — რასაკვირველია — გამოსაწოვებლად და მოსაწველად“.

აფრიკაში „სამოღვაწეოდ“ მისულ ევროპელ კოლონიზატორებს ილია დაუპატიჟებელ სტუმრებსა და მოძალადეებს უწოდებს. „ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, — წერს ილია წერილში „დიდი და პატარა ონავრები“, ეხება რა ორი კოლონიზატორის ქიშპობას აფრიკის ნიადაგზე, — ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალელებსაც. საიდამაც მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით“.

ი. ჭავჭავაძის მძლავრი ანალიტიკური გონება კარგად ჩაწვდა იმ მტაცებლურ მოტივებსაც, რამაც დიდი და მრავალფეროვანი რესურსების მქონე, მაგრამ ჩამორჩენილი ჩინეთი, რომელსაც ქართული პრესა „შორეული აღმოსავლეთის ავადმყოფ ადამიანს“ უწოდებდა, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შორეული აღმოსავლეთის რთული კვანძის ძირითად კერად აქცია და რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის და იაპონიის მმართველი წრეების ინტერესთა მძაფრი დაჯახების ობიექტად გახადა. ასეთ მოტივებად ილია სავსებით სამართლიანად მიიჩნევს მისი სამხედრო სტრატეგიული ბაზების, ბაზრისა და ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდების, მისი სიმდიდრის დაუფლების გაუმაძღარ მისწრაფებას.

„ეს უბედური ჩინეთი, — წერს ი. ჭავჭავაძე წერილში „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“, — თუმცა ტანით და ხორცით ერთი რაღაც უზარმაზარი ვეშაპია, მაგრამ ვისაც კი არ ეზარება, ყველა ზედ მიჰსევია, ყურში ხელსა ჰკიდებს და ბავშვივით ციბრუტივით ატრიალებს“.

XIX საუკუნის შედეგების შეფასებისას ი. ჭავჭავაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ამ საუკუნეს არ აღმოაჩნდა უნარი ბოლო მოეღო ეროვნული ჩაგვრისა და დამონებისათვის და რომ მისი გადაწყვეტა მან მემკვიდრეობით XX საუკუნეს უანდერძაო. „დღეს ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე

ოდესმე ყოფილა .და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს". იგი საკვლევით სამართლიანად დასძენს, რომ „...ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით".

ნ. ნიკოლაძე ბევრჯერ შეეხო კოლონიური ჩაგვრის საკითხს და ყოველთვის მისთვის დამახასიათებელი ერუდიციით და რადიკალურ-დემოკრატიული მრწამსით, ანტიკოლონიური პლატფორმიდან გააშუქა მისი არსი. მან საგნებს თავისი ნამდვილი სახელები უწოდა და გააშიშვლა, ნიღაბი ჩამოხსნა ევროპის დიდ და პატარა კოლონიზატორთა „ცივილიზატორულ მისიას" აზიასა და აფრიკაში.

თავის ცნობილ წერილში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", სადაც ნ. ნიკოლაძემ გლეხთა საკითხთან ერთად დააყენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხიც, მან გაილაშქრა ქართული ინტელიგენციის მცირე პროდასავლურ ნაწილში ფეხმოკიდებული აზრის—საქართველოს ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობაში შესვლის სასურველობის წინააღმდეგ. ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა, აღნიშნავდა იგი, საქართველოს ისე „გააბედნიერებს", როგორც „გააბედნიერეს" ფრანგებმა ალჟირი. „...ევროპის სახელმწიფოები, — წერს იგი, — დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ საქართველოს ცივილიზებას ალჟირის მსგავსად, ან მის ექსპლუატაციას ინდოჩინეთის მსგავსად".

ი. ჭავჭავაძის მსგავსად ნ. ნიკოლაძემაც ვრცლად გააშუქა იმპერიალისტ მოძალადეთა მძაფრი ქიშპობა ჩინეთში და მართებულად მიუთითა მათ ანგარულ მოტივებზე. მან ჩინელი ხალხის უბოროტესი მტრები, მოძალადეები და მძარცველები უწოდა ჩინეთის მიწა-წყალზე მოპარპაშე ყველა დაუპატიჟებელ სტუმარს — ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ, იაპონელ და სხვა კოლონიზატორებს.

„...დაწინაურებული ერები იმ მოძღვრებას დასდგომიან, — წერს იგი ბროშურაში „იაპონია" (1905),—რომ დაწინაურებულმა უკან ჩამორჩენილი უნდა დაიმონოს და ხრასო... ცუდი მოძღვრებაა ეს მოძღვრება, უსინდისო. ველური".

ასეთივე თანმიმდევრული, შემტევი ანტიკოლონიალიზმის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ნ. ნიკოლაძის ვრცელი სტატია „მადაგასკარი". ეს სტატია მაშინ არის დაწერილი (1894), როცა ინდოეთის ოკეანეში აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირთან მდებარე ამ დიდ კუნძულზე მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მკვიდრ მოსახლეობასა და ფრანგ კოლონიზატორებს შორის. პირველნი იცავდნენ თა-

ვიანთ მიწა-წყალს და თავისუფლებას. მეორენი კი ლამობდნენ კუნძულზე გაბატონებას, მისი ხალხის დამონებას და კუნძულის მრავალფეროვანი რესურსების ხელში ჩაგდებას. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საფრანგეთის კოლონიური არმია, რომელსაც ეხმარებოდა ძლიერი სამხედრო ფლოტი, შეუბრალებლად მუსრს ავლებდა თითქმის ნახევრად უიარაღოდ მებრძოლ მადაგასკარელ პატრიოტებს.

ნ. ნიკოლაძემ მოურიდებლად ამხილა ფრანგი კოლონიზატორები. მათი „ცივილიზატორული მისია" ზღვების მიღმა ქვეყნებში და საჯაროდ დაგმო მათი ძალმომრეობა მადაგასკარზე. მან შეაქო მადაგასკარელთა პატრიოტიზმი, მათი უნარი—სიცოცხლე გაეწირათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და გულწრფელად თანაუგრძნო მათ კარზე მომდგარი მძიმე განსაცდელის გამო.

„ევროპელი ხალხი, — წერდა ნ. ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ სტატიაში, — სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველ სხვა, უკან ჩამორჩენილ, უძლურსა და უმეცარ ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქერით: როდი ჰგონია. რომ ეს აზიელი, გინდა აფრიკელი ადამიანი ღვთისაგან დანაბადია"... იგი მკაცრად ჰგმობს კოლონიზატორთა რიგებში დამკვიდრებულ იმ შეხედულებას, რომელიც ურცხვად ქადაგებდა: „...ცივილიზაციის სახელით და თვით ამ უბედურ ერთა სიკეთისათვის... ევროპამ ძალით უნდა შეიტანოს იმათ ქვეყანაში განათლება და წესიერება".

ს. მესხი ძალზე აღაშფოთა ცარიზმის ერთ-ერთი დიდმოხელისა და მისი ერთგული აგენტის გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ გამოცემულმა ბროშურამ (რომელიც გამოვიდა 1872 წელს გაზეთ „კავკაზის" დამატების სახით) „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц", რომელშიც ის აზრი იყო გატარებული, რომ კაცობრიობის წინსვლა, მისი ბედნიერება მოითხოვს მცირე ერების გაქრობას, მათი ენისა, ადათისა და თავისებურების წაშლას და მათ დიდ ერებთან გათქვეფას. ს. მესხმა ამ ბროშურაზე დაწერა ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში" (№ 35). ს. მესხმა კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებზე მითითებით ნათელყო ბაგრატიონ-მუხრანსკის შეხედულების სრული სიყალბე, უაზრობა, ისტორიული შეუსაბამობა. იგი ინდოეთის, ინგლისის, თურქეთის, ჩინეთის, ოსმალეთის, შვეიცარიის, ბელგიის, იაპონიის მაგალითებზე ნათელყოფს იმ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ კულტურა, განათლება, წარმატებულობა ხალხის მრავალრიცხოვნობაზე არ არის დამოკიდებული, რომ პატარა ერებს ხში-

რად დიდ ერებზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვით მსოფლიო კულ-
ტურის განვითარებაში. წვრილი, სუსტი ერების გაქრობის აზრი დ-
დი დამპყრობელი ერების მესვეურთა რიგებშია ფეხმოკიდებული
და მათთვის არის ხელსაყრელიო. ისტორიაში ბშირი შემთხვევაა.
რომ წვრილ, სუსტ ხალხებს ძალით იპყრობენ დიდი ხალხები და
ხანდახან საესებით სპობენ მათ. „მაგრამ ამ შეთმხვევაში ძლიერ
ხალხებს განა კაცობრიობის სარგებლობა და არა საკუთარი თავისა
ჰქონიათ მხედველობაში". ინგლისელებმა შეიძლება თავიანთი ენაც
კი მოახვიონ ინდოელებს, ამბობს ს. მესხი. „მაგრამ ამას არ შეიძლე-
ბა მოჰყვეს ინდოელების გაინგლისელება და მათი ერთ ერად ქცე-
ვაო. წერილში „ძლიერი და სუსტი ერი" ს. მესხმა ქართველ მკითხ-
ველებს მოუთხრო იმ ძალადობისა და რასობრივი დისკრიმინაციის
შესახებ, რომელსაც იყენებდნენ აშშ-ის მმართველი წრეები ინდიე-
ლი მოსახლეობის ნაშთების მიმართ. იმ ხალხის მიმართ, რომელიც
ოდითგანვე ამ ქვეყნის მიწა-წყლის ბატონ-პატრონი იყო. თუ
„...ამისთანა გულის შესაძრწუნებელ მდგომარეობაში არიან ჩავარდ-
ნილი ამერიკელებისაგან საწყალი წითელკანიანი ინდიელები. თუ
ამერიკა ასე ეპყრობა თავის სუსტს და უღონო მეზობლებს. სხვა
ხალხებისაგან რაღას უნდა მოველოდეთ". — წერს ს. მესხი გულის-
ტკივილით. ამერიკის სიმდიდრეს. თავისუფლებასა და განათლებას
ხომ ევროპის ხალხებიც შენატრიანო.

დიდი და ძლიერი ერების ასეთივე აღმაშფოთებელ ძალადობას
ხედავს ს. მესხი აზიასა და აფრიკაში—ინდოეთში. ეგვიპტეში, ალჟირ-
ში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. ეხება რა კონკრეტულად ინგლისელ
კოლონიზატორთა „მოღვაწეობას" ინდოეთში. იგი წერს: „ინგლისე-
ლები იმასაც კი არ დასჯერდნენ. რომ ძალით დაიპყრეს ინდოეთი,
წაართვეს იქაურ მცხოვრებლებს მიწა-წყალი. არ სჯერდებიან არც
იმის სიმდიდრეს, რომელიც მუდამ წელს გამოაქვთ ამ ბუნებით
მდიდარსა და უხვის ქვეყნიდან: ისინი თვითონ უმოწყალოთ და...
ბარბაროსულად ეპყრობიან, ხოცავენ და სტანჯავენ".

მოტანილი მაგალითები შეიძლება გაგვემრავლებინა და სხვა ავ-
ტორებიც დაგვემოწმებინა, მაგრამ კოლონიური პოლიტიკისადმი
მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების
ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ესეც კმარა. ქართული მწერლობისა და
პუბლიცისტიკის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა (ორიოდეს გა-
მოკლებით) მკაცრად დაგმეს ყოველგვარი ეროვნულ-კოლონიური
ჩაგვრა და დისკრიმინაცია, გაბედულად გამოექომაგნენ დიდ და პა-
ტარა კოლონიზატორთა კოლონიური ძალადობის ობიექტად ქცეულ
აზიისა და აფრიკის ხალხებს, გააშიშვლეს კოლონიზატორთა „ცივ-

ლიზატორული მისია“ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში და ცნეს დამონებული ხალხების (ეროვნებისა და კანის ფერის განურჩევლად) ანტიკოლონიური მოძრაობისა და ბრძოლის სამართლიანი ხასიათი.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილებმა ალღოთი იგრძნეს აღმოსავლეთის გამოღვიძება, მიუთითეს მის პირველ სიმპტომებზე და მსოფლიო ისტორიის დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნიეს იგი. „...წარსული წელი აღმოსავლეთის ქვეყნებმა უნდა შეამკონ სხივმომფენ შარავანდედით, — წერდა 1895 წელს გ. წერეთელი, — რადგან ამ წელში გაიფერა და დაიკრა დაქანგული საყვირი ერიხონისა აღმოსავლეთის ერთა გამოსაფხიზლებლად“, გასულ წელს დადგა განთიადი აღმოსავლეთში დაჩაგრული ერების სიმართლის გამოსარკვევად, რაც დასავლეთისათვის მეცხრამეტე საუკუნე იყო, იგივე უნდა შეიქნეს მეოცე საუკუნე აღმოსავლეთისათვის“.

ისტორიამ საკუთარი ნებით დაადასტურა მათი ნათელი რწმენა აღმოსავლეთის დამონებული ხალხების გამოღვიძების პერსპექტივის შესახებ.

აღმოსავლეთის საკითხი

არ ყოფილა თითქმის არც ერთი მოწინავე ქართველი მოაზროვნე, საერთაშორისო ურთიერთობის ამბებით დაინტერესებული მწერალი თუ პუბლიცისტი, რომელსაც თავისი მოსაზრება არ გამოეთქვას „აღმოსავლეთის საკითხის“ შესახებ. მარქსმა და ენგელსმა მას „მარად თავსატეხი საკითხი“ უწოდეს. საქართველო იმ გეოგრაფიულ ზონაში მდებარეობდა, რომელიც მოქცეული იყო ამ პრობლემის მოქმედების სფეროში. როგორც ცნობილია, მარქსს და ენგელსს, რომელთა მოსაზრებები საერთაშორისო ურთიერთობის ახლო აღმოსავლეთის კვანძის შესახებ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული კონცეფციის საფუძველი გახდა, არაერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი შეხედულება საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობისა და ამ პლაცდარმით ინგლის-საფრანგეთის დაინტერესების მოტივთა შესახებ. ამ საკითხთან, კერძოდ, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგებთან უშუალოდ დაკავშირებული იყო სამხრეთ საქართველოს „გამოხსნისა“ და დედასამშობლოსთან მისი შეერთების საკითხი, რომლითაც ასე სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ქართველი ხალხი. ასე რომ, აღმოსავლეთის საკითხი მრავალმხრივ აღძრავდა ამ ხალხის მოწინავე შვილთა ინტერესსა და ყურადღებას.

ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ და ს. მესხმა წერილების მთელი

სერია მიუძღვნეს აღმოსავლეთის საკითხს [1]. არაერთხელ შეხებიან ამ თემას გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, ი. აღლაძე, გ. ლასხიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი (მარველი) და სხვა ავტორები. 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ნ. ნიკოლაძე სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა და უშუალოდ ფრონტის ხაზიდან აგზავნიდა კორესპონდენციებს საომარი მიმდინარეობის შესახებ. ს. მესხმაც მოინახულა ომის ასპარეზი ახლანდელი ქობულეთის ტერიტორიაზე. მან თავისი შთაბეჭდილებები „დროების“ მკითხველებს გაუზიარა. მართალია, წერილებისა და კორესპონდენციების მნიშვნელოვანი ნაწილი 1875-78 წლების პერიოდზე მოდის, მაგრამ მთლიანად მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები გაცილებით ფართოა და თითქმის 20—25 წელს მოიცავს.

„ეგრეთწოდებულ პოლიტიკოსებისაგან „აღმოსავლეთის საქმე“ ერთი უმკელებელი კერაა, რომელზედაც ყოველთვის ომის ცეცხლი ანთია“,—წერს ი. ჭავჭავაძე, რითაც რელიეფურად გამოკვეთს აღნიშნული რთული პრობლემის არსს. ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართველი ავტორები კარგად ერკვევიან იმ მიზეზებში, რომლებმაც აღმოაცენეს აღმოსავლეთის საკითხი და აქციეს იგი დიპლომატიური დაჯახებების და კონფლიქტების სერიოზულ წყაროდ. თავიანთ ნარკვევებში ისინი ისტორიული ვექშმარიტების შესაბამისად ხსნიან რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის პოზიციას ამ საკითხში. შავი ზღვის სრუტეების საკითხს კონსტანტინოპოლთან ერთად ისინი მიიჩნევენ ამ პრობლემის ღერძად და დედაარსად.

ბერლინის კონგრესის მუშაობისა და მისი შედეგების გაშუქების დროს ქართულმა პრესამ შეძლო ჩაწვდენა იმ დიპლომატიურ თამაშში, რომელიც მიმდინარეობდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის კონგრესის წინ, კონგრესის ოფიციალურ სხდომებზე და მის კულისებში. ამით მან ცხადყო არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობის სერიოზულ ამბებში საფუძვლიანი გარკვევის უნარი, არამედ რთულ დიპლომატიურ ხლართებში კარგი ორიენტირების ჩვევებიც. მან მართებულად მიუთითა იმაზეც, რომ ბერლინის კონგრესის შედეგებმა მხოლოდ ინგლისს და ავსტრია-უნგრეთს მოუტანა რეალური გამარჯვება, სხვებს კი სერიოზული უკმაყოფილების საბაბი მისცა.

---

[1] ი. ჭავჭავაძის წერილების უმეტესობა იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“, ნ. ნიკოლაძის „Обзор“-ში, „Тифлисский вестник“-ში, „მოამბეში,“ ს. მესხის „დროებაში“. ამ თემაზე ბევრი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა „მოამბეში“, „კვალში“ და ჩვენიერთ სხვა ორგანოში.

ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა და სხვებმა ნეგატიური შეფასება მისცეს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებებს და მას უწოდეს კომპრომისული, ბალკანეთის ხალხთა ინტერესების აბუჩად ამგდები აქტი. ამ დასკვნაში არ შემცდარან: ბალკანეთის ხალხთა ბედი „გადაწყდა" არა ამ ხალხთა ინტერესების შესაბამისად, არამედ საწინააღმდეგოდ. ტერიტორიები ისე დაანაწილეს და გადაანაწილეს, როგორც ამას მოითხოვდა დიდ სახელმწიფოთა ეგოისტური გეგმები და არა ამ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები. დიდ კოლონიზატორთა ხელის ფათურს სერბიის, ბულგარეთისა და ბალკანეთის სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ბოლო არ ეოლებია. ს. მესხის სიტყვებით რომ ვთქვათ: „კონგრესმა ყველა კითხვა ისე გაათავა, რომ დღეს-ხვალ, უეჭველია, ახალ აყალ-მაყალს, ახალ ბრეულობას... უნდა მოველოდეთ". ამბების შემდგომმა მსვლელობამ სავსებით გაამართლა სახელოვან წინამორბედთა ეს ვარაუდი, ბალკანეთი, ეს ახალი ელზას-ლორენი, ახალი გართულებებისა და კონფლიქტების წყარო გახდა.

ბერლინის კონგრესის შედეგების შეფასებისას ქართულმა პრესამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კონგრესის გადაწყვეტილებათა იმ მუხლებს, რომლებიც საქართველოს შეეხებოდა. ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა და სხვადასხვა ავტორებმა სპეციალური წერილები მიუძღვნეს ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადებას. ამასთან დაკავშირებით პრესაში პოლემიკაც კი გაიმართა იმის თაობაზე, თუ როგორ მომხდარიყო აჭარისა და განთავისუფლებული ტერიტორიების ეკონომიური ათვისება, რა სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამ მხარისათვის ბათუმის ნავსადგურს. ნ. ნიკოლაძემ მისთვის ჩვეული ერუდიციით წამოაყენა იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც, მისი შეხედულებით, ხელს შეუწყობდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ეკონომიურ განვითარებას და ბათუმს აქცევდა მნიშვნელოვან ნავსადგურად.

ქართულ პრესას მხედველობიდან არ გამორჩენია ის ცვლილებები, რაც მოხდა აღმოსავლეთის საკითხის განვითარებაში XIX საუკუნის დამლევისათვის. შეიცვალა ვითარება, დაირღვა ძალთა ძველი განწყობა და მისი ადგილი ახალმა დაიკავა. ამან სათანადო კორექტივი შეიტანა აღმოსავლეთის საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოთა პოლიტიკაშიც. მაგალითად, შეიცვალა ინგლისისა და რუსეთის როლები თურქეთის ბედის საკითხში. ინგლისმა თურქეთის იმპერიის მთლიანობის მოჩვენებითი შენარჩუნების პოლიტიკიდან მის დაყოფაზე აიღო გეზი, რუსეთი კი უკვე „მფარველად" მოევლინა მას. ქართულ პრესაში არა მარტო სწორი შეფასება მიეცა

აღნიშნული მობრუნების ფაქტს, არამედ იმ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებსაც (ევროპის მოპირდაპირე ბანაკებად დაყოფა, გერმანიის საგარეო პოლიტიკური ექსპანსიის ზრდა), რომელთაც განაპირობეს აღნიშნული პოლიტიკური მობრუნება.

მოწინავე ქართულმა საზოგადოებრიობამ აღმოსავლეთის საკითხის მთელი კომპლექსი. კერძოდ, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიული შედეგები უშუალოდ დაუკავშირა საქართველოს აწმყოსა და მომავლის პერსპექტივებს. საქართველო არა მარტო მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი იყო რუსეთის არმიისათვის აღმოსავლეთის ომის დროს, არამედ მისი მომარაგების სერიოზული ბაზა და ცოცხალი ძალის რეზერვიც. საქართველო მაშინ ხომ ომის ასპარეზსაც წარმოადგენდა. ქართველმა მოხალისეებმა და მილიციის რაზმებმა უღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს თურქებთან ბრძოლაში და თავიანთი გმირობითა და თავდადებით გაუადვილეს რუსეთის არმიას თურქეთის არმიის დამარცხება. ისინი ამას სჩადიოდნენ იმიტომ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ მას მოჰყვებოდა ქართველი ტომებით დასახლებული აკარისა და სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიების სამშობლოსთან შეერთება. ქართულმა პრესამ ვრცლად აღწერა ქართველთა მონაწილეობა 1877-78 წლის ომში. მკითხველებს მოუთხრო ასეულ მეთაურთა და მოხალისეთა საბრძოლო გმირობის შესახებ და თავი დახარა იმ ქართველ მებრძოლთა ნათელი ხსოვნის წინაშე, რომელთაც თავი შესწირეს თანამემამულეთა გამოხსნის საქმეს. ი. ჭავჭავაძე გულისტკივილით აღნიშნავდა სათანადო რუს სამხედრო ხელისუფალთა მიერ ქართველ მებრძოლთა დამსახურების შეუფასებლობის ფაქტებს და წერდა: „პირში პირველნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ... თქვენი სახელი და დიდება სხვაჰ დაისაკუთრა". „...იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოდენა მსხვერპლი მიიტანა ქართველობამ, ამდენის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა ...ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა". ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა და სხვებმა, რომელთაც გულწრფელად გაიზიარეს ქართველი ხალხის საუოველთაო სიხარული თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დიდი ნაწილის განთავისუფლებისა და „ძალით გათიშული ძმების" შეერთების გამო, მთელი სერიოზულობით დააყენეს საკითხი ახლად შემოერთებული ტერიტორიების საფუძვლიანი შესწავლის, გამაჰმადიანებულ ძმებთან უშუალო კონტაქტების დამყარებისა და მათთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ეს საქმე

მათ მიიჩნიეს ყველა შეგნებული ქართველის დიდ პატრიოტულ მოვალეობად.

ინგლის-ბურების ომი

XIX—XX საუკუნეების მიჯნის საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი დიდი ამბავი, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა საქართველოში, იყო 1899—1901 წლების ინგლის-ბურების ომი. ვ. ი. ლენინის შეფასებით, იგი იყო იმპერიალიზმის ეპოქის საწყისი პერიოდის ერთ-ერთი იმპერიალისტური ომი, რომლითაც დაიწყო უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება.

აღნიშნული ომის ხასიათი, მიმდინარეობა და შედეგი ვრცლად გააშუქეს გაზეთებმა „ივერიამ“ და „კვალმა“ და ჟურნალმა „მოამბემ“. ზოგიერთი ცნობები მის შესახებ მოათავსეს აგრეთვე გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ და ჟურნალებმა „მწყემსმა“ და „ჯეჯილმა“. წამყვანი წერილებისა და მიმოხილვების ავტორები იყვნენ ი. ჭავჭავაძე („ივერია“), გ. წერეთელი („კვალი“), ნ. ჟორდანია („კვალი“), ვ. ჩერქეზიშვილი („ივერია“), გ. ლასხიშვილი („მოამბე“), ი. აღლაძე („ივერია“) და ზოგიერთი სხვა კორესპონდენტი, რომლებიც ფსევდონიმით წერდნენ და ამიტომ მათი სახელი და გვარი დღემდე დაუდგენელია.

ინგლის-ბურების ომი, როგორც ცნობილია, სამხრეთ აფრიკაში მიმდინარეობდა. იგი წარმოებდა უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოს ინგლისსა და სამხრეთ აფრიკაში მდებარე ბურთა ორ პატარა რესპუბლიკას (ტრანსვაალი და ორანჟი) შორის. ინგლისის მხრივ, რომელსაც სურდა ბურთა რესპუბლიკების ანექსია და მათი მიერთება საკუთარი სამხრეთაფრიკული კოლონიური სამფლობელოებისათვის, ეს ომი იყო აშკარა მტაცებლური, უსამართლო იმპერიალისტური ომი. რაც შეეხება ბურებს, ისინი იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალსა და დამოუკიდებლობას, რის გამოც მათთვის ომს სამართლიანი ხასიათი ჰქონდა. ამით უნდა აიხსნას მოწინავე ქართული საზოგადოებრიობის აქტიური დაინტერესება ამ „ცხრა მთას იქით“ წარმოებული ომით და მის შესახებ ქართული პერიოდიკის ორგანოებში მოთავსებული მასალების სიუხვე. პატარა ერების ხვედრით ბუდამ აქტიურად დაინტერესებული ქართული პრესა შეეცადა ვრცელი ცნობები მიეწოდებინა მკითხველი მასისათვის ბურების შესახებ და შეეყვანა იგი იმ ამბების კურსში, რომლებიც ამ ომთან იყო დაკავშირებული.

საომარი ოპერაციების ვრცელ და საინტერესო მიმოხილვებთან

ერთად ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დროდადრო შეუქ-
დებოდა ზოგიერთი ისეთი საკითხიც, რომელთაც უშუალო კავშირი
ჰქონდათ სამხრეთ აფრიკის კონტინენტისა და იქ მოკალათებულ
ევროპელ კოლონიზატორთა „მოღვაწეობის“ ჩარჩოებთან. კერძოდ,
ეს ითქმის რიგ ვრცელ სტატიებზე, სადაც მიმოხილული იყო ინგლი-
სის საგარეო პოლიტიკის ხასიათი და მისი კოლონიური დაპყრობები
აფრიკის კონტინენტზე; ევროპის დიდი სახელმწიფოების, კერძოდ.
ინგლისის ძირითადი მოქიშპის, იმპერიალისტური გერმანიის დამო-
კიდებულება ინგლის-ბურების ომისადმი და მისი დიპლომატიური
აქტივობა, ბურების მოკლე ისტორია, მათი მმართველობისა და ში-
ნაპოლიტიკური ვითარება, ბურების ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის
მკვიდრ მოსახლეობასთან და ა. შ.

. საქართველოს პროგრესული პრესა. როგორც მოსალოდნელი
იყო, ენერგიულად გამოესარჩლა აგრესიის ობიექტად ქცეულ ბურე-
ბის რესპუბლიკებს, მან შეაქო ბურ მებრძოლთა გმირობა და თავ-
დადება, საჯაროდ დაგმო ინგლისელ კოლონიზატორთა ძალმომრეობა
და ბურებს გამარჯვება და საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებ-
ლობის წარმატებით დაცვა უსურვა. ამით მან ღირსეულად მოიხა-
და თავისი ვალი და საკუთარი პროტესტის ხმა შეუერთა დემოკრა-
ტიისა და ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ მსოფლიოს მი-
ლიონობით ადამიანს [1].

მოწინავე ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულება ინგ-
ლის-ბურების ომისადმი ყველაზე ნათლად გამოხატა ი. ჭავჭავაძეს
„ივერიის“ 1900 წლის № 1-ის საახალწლო დამატებაში: იგი წერდა
შემდეგს:

„ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთ-
ზე მისევამ, ურთი ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, პირში ლაგამ
ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისი-
სამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვინ-
ვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედ-
მისვლას, თავდასხმას და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს
სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისასაც.

ქართული პრესის მუშაკების დიდმა უმრავლესობამ საკმაოდ
სწორი შეფასება მისცა ინგლის-ბურების ომის ხასიათს, ისტორიუ-
ლი პეშმარიტების შესატყვისი ცნობები მიაწოდა მკითხველს მა-

---

[1] როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ერთ-ერთი სახელოვანი შვილი
ნიკო ბაგრატიონი („ნიკო ბური“), როგორც მოხალისე, ბურებთან ერთად
იარაღით ხელში იბრძოდა ინგლისელ მოძალადეთა წინააღმდეგ.

ან დაკავშირებულ საკითხთა მთელ კომპლექსზე. ამით მან ერთხელ კიდევ ცხადყო ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე დგომა და თავისი დიდი საგანმანათლებლო — განმათვითცნობიერებელი მისიისადმი ერთგულება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი ავტორის შეხედულება ინგლის-ბურების ომის შესახებ შორდებოდა ძირითად მართებულ ტენდენციებს და სერიოზულ ჩრდილს აყენებდა მას. განსაკუთრებით ეს ითქმის ლეგალური მარქსიზმის მამამთავრის ნოე ჟორდანიას სტატიების შესახებ. ნოე ჟორდანია, როგორც მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი იდეოლოგი, თავის სტატიებში ავითარებდა ამ ინტერნაციონალის ლიდერების რიგებში დამკვიდრებულ შეხედულებას იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკის პროგრესულობის, იმპერიალისტ-კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისიის" შესახებ აზიაში, აფრიკაში და ოკეანეთში. ერთი მხრივ, იგი სიმპათიურად არის განწყობილი „თავისი პაწია სამშობლოს" დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბურებისადმი, მეორე მხრივ კი, იმპერიალისტურ ინგლისს უწოდებს განათლებული კაცობრიობის მედროშეს, ახალი ცხოვრების მოციქულს, ცივილიზაციის მეთაურს და ქება-დიდებას ასხამს მის „სანაქებო დემოკრატიულ" წყობას. ინგლისის იმპერიალიზმის ასეთი შეფასება, თქმა არ უნდა, ეწინააღმდეგება ისტორიულ ჭეშმარიტებას და იმპერიალიზმის აშკარა აპოლოგეტთა არსენალიდან არის ნასესხები.

ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა

ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდ მატიანეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1899—1900 წლების იხეტუანელთა სახალხო-ანტიიმპერიალისტურ აჯანყებას, რომელმაც ფართო გამოძახილი პოვა მაშინდელ საქართველოში.

ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ქომაგი პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის ამსახველი ქართული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები იმთავითვე აქტიურად დაინტერესდნენ ამ ამბით და ეს ინტერესი და ყურადღება ბოლომდე არ შენელებულა.

ჩინელი ხალხის აღნიშნული ანტიიმპერიალისტური აჯანყება აღმოცენდა და მიმდინარეობდა ორი საუკუნის მიჯნაზე და ქრონოლოგიურად დაემთხვა ინგლის-ბურების ომს. ქართულმა პროგრესულმა პრესამ, მიუხედავად იმისა, რომ „დაკავებული და დატვირთული იყო" ინგლის-ბურების ომის ამბების გაშუქებით, მაინც იპოვა „დრო

და საშუალება“ არანაკლები პასუხისმგებლობით და სერიოზულობით მოჰკიდებოდა საერთაშორისო ურთიერთობის ამ სერიოზულ თავსატეხ საკითხს და ვრცლად გაეშუქებინა თავის ფურცლებზე როგორც თვით აჯანყების მიზეზები, ხასიათი და მიმდინარეობა, ისე მასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები.

ჩინეთის ამბებს გამოეხმაურნენ გაზეთები—„ივერია“, „კვალი“ და „ცნობის ფურცელი“, ჟურნალები — „მოამბე“ და „მწყემსი“... ამათგან სათანადო ცნობების სიუხვით და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ „მოამბე“ [1]. „ივერია“ [2] და „კვალი“ [3]. ჩინეთის შინაგანი ყოფა და საერთაშორისო მდგომარეობა, მეფის რუსეთის, იაპონიის, აშშ-ის და დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა და ინტერესები ამ ქვეყანაში, მათი საურთიერთო ქიშპობა ჩინეთში გავლენის გაფართოების ნიადაგზე. იხეტუანელთა აჯანყების აღმოცენება. მისი მიმდინარეობა და შედეგები. იმპერიალისტ-ინტერვენტთა მხეცობა აჯანყების ჩაქრობის პროცესში, „ბოქსიორთა დასკვნითი ოქმი“. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ინტერვენტთა ძალადობისადმი ჩინეთის მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ და სხვ., აი საკითხთა წრე, ომელთა შესახებ საინტერესოდ მოუთხრო ქართული პრესის აღნიშნულმა ორგანოებმა.

ქართულ პრესას ჩინეთის ომის შესახებ ძირითადი მასალების ამოკრეფა უხდებოდა იმპერიალისტური ქვეყნების (მეფის რუსეთის ჩათვლით) ოფიციალური პრესიდან, რომელიც იმპერიალისტ-კოლონიზატორთა რუპორს წარმოადგენდა და ბლეკ იდეოლოგიურ ომაეწეოდა „ჩინელი ბარბაროსების“ წინააღმდეგ. ძალზე შეზღუდული იყო ამ წყაროების სფერო. საიდანაც ჩვენი პრესის მუშაკებს შეეძლოთ ამოეკრიფათ შედარებით ობიექტური ცნობები ჩინეთში მიმდინარე ამბების შესახებ. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ერთგვაროი გავლენა მოახდინა ქართულ პრესაზე და ნაწილობრივ შეზღუდა მისი შესაძლებლობანი ამ მიმართულებით.

---

[1] წამყვანი სტატიებისა და მოწინავე წერილების ავტორები იყვნენ ნ. ნიკოლაძე (რომელმაც 1894 წლის მეცხრე ნომერში მოათავსა ვრცელი სტატია „იაპონია“) და გ. ლასხიშვილი (ლალი). საინტერესო ცნობებს ჩინელი ხალხის ყოფისა და ჩამორჩენის, ჩინეთ-იაპონიის ომში ჩინეთის დამარცხების შესახებ აქვეყნებდა აგრეთვე დ. მაქელაძე.

[2] წამყვანი სტატიების ავტორი იყო ი. ლღლაძე.

[3] წამყვანი სტატიებისა და მოწინავე წერილების ავტორები იყვნენ ლეგალური მარქსიზმის ლიდერი საქართველოში ნ. ჟორდანია და რევოლუციური მარქსიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი ფ. მახარაძე.

მიუხედავად ამისა, მან ძირითადად მაინც შეძლო განთავისუფლებულიყო აღვირახსნილი ანტიჩინური კამპანიის გავლენისაგან, საკუთარი პოლიტიკური მრწამსის პრიზმაში გაეტარებინა დეზინფორმატორული წყაროების მასალები და დაახლოებით სწორი წარმოდგენა მიეცა მკითხველი მასისათვის იხეტუანელთა აჯანყების მიზეზებისა და ხასიათის შესახებ. მან გააბათილა იმპერიალისტ-კოლონიზატორთა მონაჭორი „ჩინურ-ევროპული კულტურის შეურიგებლობის“ შესახებ, კონკრეტული მაგალითებით რეალურ ფერებში გვიჩვენა ჩინეთის მიმართ იმპერიალისტ-კოლონიზატორთა დაინტერესების ანგარული სარჩული, ამხილა მათი „კულტურული მისიის“ ნამდვილი არსი, სწორად მიუთითა ჩინელი ხალხის ანტიიმპერიალისტური აღშფოთების მიზეზებზე, ცნო იხეტუანელთა აჯანყებაში სამართლიანი განმათავისუფლებელი ხასიათი, საჯაროდ დაგმო იმპერიალისტ ინტერვენტთა მიერ ჩინეთში ჩადენილი აღმაშფოთებელი ძალადობა და ხმა აღიმაღლა ამ ძალადობათა მსხვერპლის — ჩინელ მშრომელთა დასაცავად.

თუ რამდენად მებრძოლი და ანტიკოლონიური პლატფორმიდან გააშუქა ქართულმა პრესამ ჩინეთის ომის ამბების მთელი კომპლექსი, ამაზე მკაფიოდ მიგვანიშნებს ის, რომ თითქმის ყველა ქართულმა გაზეთმა და ჟურნალმა თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნია მკითხველთათვის იმ ენით აუწერელი ამბების შესახებ, რაც ჩაიდინეს იმპერიალისტმა ინტერვენტებმა ჩინეთში იხეტუანელთა ანტიიმპერიალისტური აჯანყების სისხლში ჩახშობის დროს. მაგრამ იგი ამ აქტების კონკრეტული ფაქტების მოტანით როდი დაკმაყოფილდა. მან სათანადო კვალიფიკაცია მისცა ამ აქტებს, სამარცხვინო ბოძზე გააკრა მისი ორგანიზატორები და უშუალო დამნაშავენი, აღაშფოთა მკითხველი მასა. თანაც ხაზგასმით აღნიშნა მის პასუხად ჩინელი ხალხის ახალი სამართლიანი შურისძიების ამოფრქვევის აუცილებლობა ახლო მომავალში.

ჩვენ საჭიროდ ვცნობთ მოვიტანოთ ზოგიერთი მათგანი.

აი ერთ-ერთი გერმანელი ოკუპანტის წერილის ამონაწერი („ბოამბიდან“):

„მე აქ ყველაფერი მომწონს. როცა ფული არ გაქვს, მიდიხარ პირველ მდიდარ ჩინელთან, სცემ მას როგორც რიგია და მიგაქვს ფული. თუ წინააღმდეგობა გაგიწია იქვე დაახრჩობ“.

მეორე გერმანელის წერილი („ივერიიდან“):

„ჩვენ ისე ვეღლეტთ ჩინელებს, რომ მგონი ჩინელები არასოღეს დაივიწყებენ გერმანელ ჯარისკაცებს“.

მესამე ამონაწერი („ივერიიდან“):

„საყვარელო დედავ! არ შემიძლია აღვწერო ყველა ის, რაც აქ ხდება, გულჩვილი კაცი უეჭველად გაგიჟდება, რომ ნახოთ თუ როგორ უწყალოდ ვხოცავთ და ვჭლეტთ ჩინელებს. ისე ექცევიან მათ, თითქოს კაცები კი არა, ძაღლები იყვნენ...“

მეოთხე ამონაწერი („კვალიდან“):

„საყვარელო დედავ!...ისეთი ამოწყვეტა და ხოცვა-ჟლეტაა, რომ ენით არ ითქმის... ტყვედ არავინ არ მიგვყავს, იქვე დაუყოვნებლივ თვით ვკლავთ, ან პატრონების დასაზოგავათ უბრალოდ ხიშტებით ეხვრეტთ“.

ჩინეთის ომის ამბების გამოხმაურება საქართველოში ძირითადი მართებული ტენდენციიდან შეიცავდა ცალკეულ გადახვევებს და მცდარ შეხედულებებს. განსაკუთრებით ეს ითქმის „კვალში“ მოთავსებულ მასალებზე: ნ. ჟორდანია აქაც, ისე როგორც ინგლისბურების ომის შეფასებისას, მანკიერ ხაზს იცავდა და ცნობდა იმპერიალისტური ქვეყნების „ცივილიზატორულ მისიას“. აქედან გამომდინარე, 1899—1900 წლების ანტიიმპერიალისტური აჯანყება ჩინეთში მას „ევროპული კულტურის და ცივილიზაციის“ წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებად მიაჩნდა. იგი, თუმცა, ერთი მხრივ, ცნობდა მის სამართლიან ხასიათს, მეორე მხრივ, მასში ხედავდა რეაქციულ საწყისებსა და მიზანდასახულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის ომის შეფასებაში ცალკეული შეცდომებიდან დაზღვეული არ არის არც ფ. მახარაძე. თუმცა იგი ჭეშმარიტი მარქსისტი იყო, მასაც იხეტუანელთა აჯანყება ერთგვარად ორი კულტურის შეჯახების, ჩინეთ-ევროპის კულტურის შეჯახების საწყისად ჰქონდა წარმოდგენილი.

* * *

მოტანილით, თქმა არ უნდა, არ ამოიწურება XIX საუკუნის II ნახევრის პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოხმაურება საზღვარგარეთული ქვეყნების ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი. ასეთი პრობლემები გაცილებით მეტი იყო. ქართული პრესის ფურცლებზე ასახვას პოულობდა ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემა, ამბავი თუ მოვლენა. ვრცლად შუქდებოდა ცალკეული ქვეყნების ცხოვრებისა და განვითარების დამახასიათებელი პროცესებიც. მაგალითად, გაზეთი „დროება“ აქტიურად გამოეხმაურა I ინტერნაციონალის საქმიანობას, სოლიდარობა გამოუცხადა მის სიტყვასა და საქმეს, ვრცლად გააცნო მკითხველებს მისი საქმიანობა ცალკეული

ქვეყნების მიხედვით და თავისი აღშფოთება გამოთქვა ხელისუფალთა მიერ მისი დევნის გამო. მომდევნო პერიოდში საინტერესო ცნობები მოთავსდა ქართულ პრესაში ევროპის მუშათა და სოციალისტური მოძრაობის, კერძოდ II ინტერნაციონალის კონგრესების საქმიანობის, მარქსიზმის გავრცელებისა და მისი მოძღვრების არსის შესახებ. ასეთი მაგალითები ყველაზე მეტად თავსდებოდა გაზეთ „კვალში", იმ ორგანოში, რომელშიც ლეგალურ მარქსისტებთან ერთად ჰეშმარიტი მარქსისტებიც თანამშრომლობდნენ [1]. მაგრამ მათი ცალ-ცალკე ანალიზი ძალზე შორს წაგვიყვანდა და ეს საჭიროც არ არის. ქართულ პრესას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ბევრი სხვა საერთაშორისო მოვლენა. ჩვენი ამოცანა უფრო კონკრეტული იყო: გვეჩვენებინა, თუ როგორ ეხმაურებოდა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი ახალი ისტორიის ყველაზე აქტუალურ და დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორი იყო ამ გამოხმაურების მეცნიერული დონე, პოლიტიკური მრწამსი და ისტორიულ სინამდვილესთან შესაბამისობა. ამავე დროს, ჩვენ მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა მაშინდელი ქართული პრესის დონე, ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე დგომა და თავისი ერის წინაშე სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობა. ამიტომ ჩვენ, ზოგიერთი გამონაკლისის გარეშე, თავი შევიკავეთ აღნიშნული გამოხმაურების ჩრდილოვანი მხარეების ნაკლოვანებათა მხილებისაგან, ჩავთვალეთ რა ამ ნაკლოვანებათა ნაწილი თვით „ეპოქის ნაკლად".

---

[1] აგრეთვე გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე.

შინაარსი

შესავალი (გ. კიღურაძე) 3
საფრანგეთ-პრუსიის ომი. ოთხი სექტემბრის რევოლუცია. საფრანგეთში (ვ. დონაძე) 9
პარიზის კომუნა (ვ. დონაძე) 35
პირველი ინტერნაციონალი პარიზის კომუნის შემდეგ (ვ. დონაძე) . 79
კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური და პოლიტიკური გარეკვეულობების ძირითადი ნიშნები მონოპოლიამდელი კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის პერიოდში (ვ. დონაძე) 92
გერმანიის იმპერია 1871-96 წლებში (ნ. კიკვაძე) 108
ინგლისი 1870-95 წლებში (რ. ლასკარი) 132
საფრანგეთი 1871-98 წლებში (კ. ანთაძე) 161
ამერიკის შეერთებული შტატები XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1870-98) (გ. კიღურაძე) 190
ავსტრია-უნგრეთი 1867-98 წლებში (ნ. კიკვაძე) 240
იტალია 1870—1900 წლებში (რ. ლასკარი) 255
ესპანეთი 1868-98 წლებში (ვ. ივანოვი) 274
საერთაშორისო მუშათა მოძრაობა 1876-96 წლებში. II ინტერნაციონალი (ვ. დონაძე) 305
საერთაშორისო ურთიერთობანი 1871-98 წლებში (გ. კიღურაძე) . . 225
პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, ალბანეთი, ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია, შვედეთი, ნორვეგია, დანია (გ. ბოლოთაშვილი) . 369
ლათინური ამერიკის ქვეყნები ახალი ისტორიის მეორე პერიოდში (გ. ბოლოთაშვილი) 427
ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრი (ვ. დონაძე) 473